Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ
ᲠᲙᲞ(Ბ) IX ᲥᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ
II ᲥᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1951

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1952

ვ.ი. ლენინი

ტომი

32

1920 დეკემბერი — *1921* აგვისტო

წინასიტყვაობა

ოცდამეთორმეტე ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილია 1920 წლის 30 დეკემბრიდან 1921 წლის 14 აგვისტომდე.

ეს ნაწარმოებნი გვიჩვენებენ ლენინის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობას, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი მის ხელმძღვანელობას სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდში.

ტომში მოთავსებულია ლენინის სტატიები და სიტყვები: «პროფესიულ კავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკის შეცდომებზე», «პარტიის კრიზისი», მოხსენება და საბოლოო სიტყვა პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების შესახებ სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე, ბროშურა «ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკისა და ბუხარინის შეცდომებზე», «სიტყვა სამკერვალო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის IV ყრილობაზე» და სხვა. ამ ნაწარმოებებში ლენინი ასაბუთებს ახალ პირობებში, სახალხო მეურნეობის აღსადგენად მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პირობებში, მასებში პარტიის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, განსაზღვრავს პროფკავშირების, როგორც კომუნიზმის სკოლის, როლსა და ამოცანებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ეწევა რა შეურიგებელ ბრძოლას «მუშათა ოპოზიციის»,

«დემოკრატიული ცენტრალისტებისა» და «მემარცხენე კომუნისტების» წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ დაეშალათ პარტია, ძირი გამოეთხარათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის და პარტიის ხელმძღვანელი როლისათვის საბჭოებსა და პროფკავშირებში, ლენინი მთავარ დარტყმას მიმართავს ტროცკისტების, როგორც ანტიპარტიულ დაჯგუფებათა ძირითადი ძალის, წინააღმდეგ.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ლენინის მოხსენებები, სიტყვები, რეზოლუციების პროექტები რკპ(ბ) X ყრილობაზე. მათ განეკუთვნება: ანგარიში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ და საბოლოო სიტყვა ამ ანგარიშის გამო, სიტყვა პროფესიული კავშირების შესახებ, მოხსენება გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ და საბოლოო სიტყვა ამ მოხსენებების გამო, «პირვანდელი პროექტი რკპ X ყრილობის რეზოლუციისა პარტიის ერთიანობის შესახებ», «პირვანდელი პროექტი რკპ X ყრილობის რეზოლუციისა სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში», მოხსენება პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის შესახებ და საბოლოო სიტყვა ამ მოხსენების გამო და სხვ.. ეს ნაშრომები ახასიათებენ ლენინის ბრძოლას პარტიის ერთიანობისათვის, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებისათვის ახალ ეკონომიურ საფუძველზე, ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის.

ტომში შედის ლენინის ცნობილი ბროშურა «სასურსათო გადასახადის შესახებ (ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა და მისი პირობები)». ამ ბროშურაში ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, როგორც პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების შესაძლებლობას, როგორც სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის გზა. ამავე საკითხს ეხება ტომში დაბეჭდილი მთელი რიგი სხვა ნაწარმოებებიც. ამ ნაწარ-

მოებთა შორის არის: «მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ რკპ(ბ) ქ. მოსკოვის და მოსკოვის გუბერნიის უჯრედთა მდივნებისა და პასუხისმგებელი წარმომადგენლების კრებაზე», მოხსენება რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენციაზე სასურსათო გადასახადის შესახებ და საბოლოო სიტყვა ამ მოხსენების გამო, გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი სიტყვები და სხვ.

ტომში დიდი ადგილი უჭირავს ნაშრომებს, რომლებიც გვიჩვენებენ ლენინის მიერ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ორგანიზების საქმის ხელმძღვანელობას. მათ განეკუთვნება: «ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ», პროექტი შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესისა ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის, «სიტყვა ადგილობრივი ეკონომიური ორგანოების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე», «სიტყვა სრულიად რუსეთის III სასურსათო თათბირზე» და სხვ.

ტომში შესული მთელი რიგი სიტყვები და დოკუმენტები გვიხატავენ ლენინის მოღვაწეობას სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისათვის, მშრომელთა ფართო მასების სწავლებისა და სახელმწიფოს მმართველობაში ჩაბმისათვის. ამ დოკუმენტების რიცხვს ეკუთვნის: «ცენტრალური კომიტეტის დირექტივები განსახკომის მუშაკ კომუნისტებს», «განსახკომის მუშაობის შესახებ», «სიტყვა მოსკოვის მელითონეთა ფართო კონფერენციაზე», «სიტყვა მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომაზე», «სიტყვა ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის ყრილობაზე», «პეტროგრადის უპარტიო მუშების საერთო-საქალაქო თათბირს» და სხვ.

ტომში შედის ლენინის თეზისები, მოხსენებები და სიტყვები კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე: თეზისები მოხსენებისა რკპ ტაქტიკის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე, სიტყვა იტალიის საკითხზე, სიტყვა კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის დასაცავად, მოხსენება რკპ(ბ) ტაქტიკის შესახებ. ამ

დოკუმენტებში ლენინი განსაზღვრავს კომუნისტური პარტიების ამოცანებს და მშრომელი მასების მისამხრობად მათი მუშაობის მეთოდებს.

ტომში შეტანილია 9 ახალი დოკუმენტი, რომელიც წინათ არ შედიოდა ვ. ი. ლენინის თხზულებებში: «წინასწარი, შავად დაწერილი მონასახი თეზისებისა გლეხთა შესახებ», «პირვანდელი პროექტი რეზოლუციისა მუშათა და გაჭირვებულ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ», სიტყვა და წინადადება სათბობის საკითხის შესახებ რკპ(ბ) X ყრილობაზე, მოხსენება კონცესიების შესახებ პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე, «ბარათი ი. ბ. სტალინს და პოლიტბიუროს სხვა წევრებს», «1-ლი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის ქარხკომს და ყველა მუშას». პირველად ქვეყნდება მთლიანად «პროექტი რეზოლუციისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხების შესახებ». ყველა ეს ნაწარმოები მიძღვნილია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების და მშრომელთა ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებისადმი.

პირველად ქვეყნდება თხზულებებში სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება «აკადემიკოს ი. პ. პავლოვის და მისი თანამშრომლების მეცნიერული მუშაობის უზრუნველმყოფელი პირობების შესახებ». ეს დადგენილება გვიჩვენებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას საბჭოთა მოწინავე მეცნიერების განვითარებისათვის.

პროფესიულ კავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკის შეცდომებზე[1]

სიტყვა საბჭოების VIII ყრილობის დელეგატების, პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და ქ. მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს წევრების — რკპ(ბ) წევრების შეერთებულ თათბირზე

1920 წ. 30 დეკემბერი

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა, ბოდიში უნდა მოვიყადო, რომ წესრიგს ვარღვევ, ვინაიდან კამათში მონაწილეობისათვის, რასაკვირველია, საჭირო იყო მომესმინა მოხსენება, თანამოხსენება და კამათი. სამწუხაროდ, იმდენად ავად ვგრძნობ თავს, რომ არ ძალმიძს ამის შესრულება. მაგრამ მე გუშინ შესაძლებლობა მქონდა წამეკითხა ძირითადი დაბეჭდილი დოკუმენტები და მომემზადებინა ჩემი შენიშვნები. ბუნებრივია, რომ წესრიგის დარღვევას, რაზედაც მოგახსენეთ, თან სდევს თქვენთვის უხერხულობა: შესაძლოა, გავიმეორო ნათქვამი, რაკი არ ვიცი, თუ რა ილაპარაკეს სხვებმა, და არ ვუპასუხო იმაზე, რაზედაც პასუხის გაცემა საჭიროა. მაგრამ არ შემიძლია სხვანაირად მოვიქცე.

ჩემი ძირითადი მასალაა ამხ. ტროცკის ბროშურა «პროფკავშირების როლისა და ამოცანების შესახებ». როცა ამ ბროშურას ვადარებ იმ თეზისებს, რომლებიც მან წარმოადგინა ცენტრალურ კომიტეტში, როცა დაკვირვებით ვკითხულობ ხსენებულ ბროშურას, გაოცებული ვარ, თუ რამდენი თეორიული შეცდომა და აშკარად არასწორი აზრია იქ თავმოყრილი. როგორ შეიძლებოდა, როცა ამ საკითხზე დიდ პარტიულ დისკუსიას იწყებთ, ნაცვლად იმისა, რომ ძალიან კარგად მოფიქრებული რამ მოგეცათ, ესოდენ უხეირო რამ დაგეზადებინათ? მე მოკლედ აღვნიშნავ იმ მთავარ პუნქტებს, რომლებიც, ჩემი აზრით, ძირითად თეორიულ შეცდომებს შეიცავენ.

პროფკავშირები წარმოადგენენ არა მარტო ისტორიულად აუცილებელ რამეს, არამედ ინდუსტრიული პროლეტარიატის ისტორიულად გარდუვალ ორგანიზაციას, რომელიც, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, თითქმის უკლებლივ მოიცავს ამ პროლეტარიატს. ეს ყველაზე ძირითადი მოსაზრებაა. ამხ. ტროცკი კი მას მუდამ ივიწყებს, მას არ ეყრდნობა, არ აფასებს. მის მიერ დასმული თემა: «პროფკავშირების როლი და ამოცანები» ხომ უზომოდ ფართო თემაა.

ნათქვამიდან უკვე გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების მთელ საქმეში პროფკავშირების როლი მეტისმეტად არსებითია. მაგრამ როგორია ეს როლი? როცა გადავდივარ ამ საკითხის, ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი თეორიული საკითხის, განხილვაზე, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენ აქ უაღრესად თავისებურ როლთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, პროფკავშირები, რომლებიც უკლებლივ მოიცავენ, ორგანიზაციის რიგებში თავს უყრიან ინდუსტრიულ მუშებს, წარმოადგენენ მმართველი, გაბატონებული, მთავრობის სათავეში მდგომი კლასის ორგანიზაციას, იმ კლასისა, რომელიც დიქტატურას ახორციელებს, იმ კლასისა, რომელიც სახელმწიფოებრივ იძულებას ახორციელებს. მაგრამ ეს არ არის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ეს არ არის იძულების ორგანიზაცია, ეს არის აღმზრდელობითი ორგანიზაცია, საქმეში ჩაბმის, სწავლების ორგანიზაცია, ეს არის სკოლა, მართვა-გამგეობის სკოლა, მეურნეობის წარმართვის სკოლა, კომუნიზმის სკოლა. ეს სრულიად არაჩვეულებრივი ტიპის სკოლაა, ვინაიდან ჩვენ საქმე გვაქვს არა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან, არამედ საქმე გვაქვს ერთგვარ უაღრესად თავისებურ შეხამებასთან იმისა, რაც კაპიტალიზმისაგან დარჩენილა და რაც არ შეიძლებოდა არ დარჩენილიყო, და იმისა, რასაც თავიანთი წრიდან წამოაყენებენ რევოლუციური მოწინავე რაზმები, ასე ვთქვათ, რევოლუციური ავანგარდი პროლეტარიატისა. და აი, ლაპარაკი პროფკავშირების როლზე ისე, თუ არ გავითვალისწინეთ ეს



ვ. ი. ლენინი

1921 წ. მაისი

ჭეშმარიტებანი, იმას ნიშნავს, რომ მთელ რიგ მცდარ აზრებამდე მივიდეთ.

პროფკავშირები, იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მათ პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში უჭირავთ, დგანან, თუ ასე შეიძლება ითქვას, პარტიასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის. სოციალიზმზე გადასვლის დროს გარდუვალია პროლეტარიატის დიქტატურა, მაგრამ უკლებლივ მრეწველობის ყველა მუშის ორგანიზებით როდი ხორციელდება ეს დიქტატურა. რატომ? ამის პასუხი ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ კომინტერნის II კონგრესის თეზისებში საერთოდ პოლიტიკური პარტიის როლის შესახებ. აქ ამაზე აღარ შევჩერდები. იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ პარტია, ასე ვთქვათ, შეისრუტავს პროლეტარიატის ავანგარდს, და ეს ავანგარდი ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. და, თუ არ გვექნება ისეთი საძირკველი, როგორიცაა პროფკავშირები, ისე შეუძლებელია დიქტატურის განხორციელება, შეუძლებელია სახელმწიფო ფუნქციების შესრულება. ამ ფუნქციების განხორციელება კი გვიხდება ისევ რაღაცა ახალი ტიპის მთელ რიგ განსაკუთრებულ დაწესებულებათა საშუალებით, სახელდობრ: საბჭოთა აპარატის საშუალებით. რა შეადგენს ამ მდგომარეობის თავისებურებას პრაქტიკული დასკვნების მხრივ? ის, რომ პროფკავშირები ქმნიან ავანგარდის კ ა ვ შ ი რ ს მასებთან, პროფკავშირები ყოველდღიური მუშაობით არწმუნებენ მასებს, იმ კლასის მასებს, რომელსაც ერთადერთს ძალუძს კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადაგვიყვანოს. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, პროფკავშირები სახელმწიფო ხელისუფლების «რეზერვუარია». აი რას წარმოადგენენ პროფკავშირები კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში. საზოგადოდ არ შეიძლება ამ გადასვლის განხორციელება, თუ არ არის მეთაურობა იმ კლასისა, რომელიც კაპიტალიზმის მიერ ერთადერთია აღზრდილი მსხვილი წარმოებისათვის და ერთადერთია მოწყვეტილი წვრილი მესაკუთრის ინტერესებს. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება მისი საყოველთაო ორგანიზებით

შეუძლებელია. ვინაიდან არა მარტო ჩვენში, ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ კაპიტალისტურ ქვეყანაში, არამედ ყველა სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაშიც პროლეტარიატი ჯერ კიდევ ისე დაქსაქსული, ისე დაჩაგრული, ზოგან ისე მოსყიდულია (სახელდობრ იმპერიალიზმის მიერ ცალკე ქვეყნებში), რომ პროლეტარიატის საყოველთაო ორგანიზებას მისი დიქტატურის უშუალოდ განხორციელება არ შეუძლია. დიქტატურის განხორციელება შეუძლია მხოლოდ იმ ავანგარდს, რომელსაც კლასის რევოლუციური ენერგია შეუსრუტავს. ამრიგად ვიღებთ თითქოს მთელ რიგ კბილათვლებს. და ასეთია მექანიზმი პროლეტარიატის დიქტატურის თვით საფუძვლისა, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის თვით არსისა. უკვე აქედან ჩანს, რომ როდესაც ამხ. ტროცკი პირველ თეზისში, აღნიშნავს რა «იდეურ არევ-დარევას», ლაპარაკობს სპეციალურად და სახელდობრ პროფკავშირების კრიზისზე, აქ ძირითადად რაღაც არ არის პრინციპულად სწორი. თუ კრიზისზე ვილაპარაკებთ, მასზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური მომენტის ანალიზის შემდეგ. «იდეური არევ-დარევა» ნამდვილად ტროცკის გამოუდის, რადგან მას ძირითად საკითხში — კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის თვალსაზრისით პროფკავშირთა როლის საკითხში — მხედველობიდან გაუშვია, არ გაუთვალისწინებია ის, რომ აქ არის რამდენიმე კბილათვლის რთული სისტემა და არ შეიძლება იყოს მარტივი სისტემა, ვინაიდან შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება საყოველთაოდ ორგანიზებული პროლეტარიატის საშუალებით. შეუძლებელია დიქტატურის განხორციელება, თუ ავანგარდიდან მოწინავე კლასის მასისაკენ, მისგან მშრომელთა მასისაკენ რამდენიმე «ამძრავი» არ გაიბა. რუსეთში ამ მასას გლეხობა წარმოადგენს, სხვა ქვეყნებში ასეთი მასა არ არსებობს, მაგრამ ყველაზე მოწინავე ქვეყნებშიც კი არსებობს არაპროლეტარული ან არა წმინდა პროლეტარული მასა. აქედან უკვე მართლაც წარმოსდგება იდეური არეულ-დარეულობა. ოღონდ ტროცკი ტყუილუბრალოდ ამტყუნებს ამაში სხვებს.

როცა მე ვიღებ პროფკავშირების საწარმოო როლის საკითხს, ტროცკის თეზისებში ვხედავ იმ ძირითად შეცდომას, რომ ის ამის შესახებ სულ მუდამ ლაპარაკობს «პრინციპულად», ლაპარაკობს «ზოგად პრინციპზე». მის ყველა თეზისში ლაპარაკია «ზოგადი პრინციპის» თვალსაზრისით. საკითხის დასმა უკვე ამ მხრივ სრულიად არ არის სწორი. აღარას ვამბობ იმაზე, რომ პარტიის IX ყრილობამ პროფკავშირების საწარმოო როლის შესახებ საკმარისად და საკმარისზე მეტადაც ილაპარაკა[2]. აღარას ვამბობ იმაზე, რომ თვით ტროცკის თავის საკუთარ თეზისებში მოჰყავს სავსებით ნათელი განცხადებანი ლოზოვსკისა და ტომსკისა, რომლებიც მის თვალში, როგორც გერმანელები იტყვიან, «ხელწამოსაკრავ ბიჭებს», ან ისეთ საგანს წარმოადგენენ, რომელზედაც შეგიძლია ავარჯიშო შენი პოლემიკა. პრინციპული უთანხმოება აქ არ არის, და საამისოდ უხეიროდ არიან ამოჩემებულნი ტომსკი და ლოზოვსკი, რომლებსაც დაუწერიათ ისეთი რამ, რაც თვითონ ტროცკის მოჰყავს. პრინციპულ უთანხმოებათა მხრივ სერიოზულს ვერაფერს აღმოვაჩენთ აქ, რაც უნდა ბეჯითად ვძებნოთ. საერთოდ უდიდესი შეცდომა, პრინციპული შეცდომა ის არის, რომ ამხ. ტროცკი პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას უკან ეწევა, როცა ახლა «პრინციპულად» აყენებს საკითხს. ჩვენ, მადლობა ღმერთს, პრინციპებიდან პრაქტიკულ, საქმიან მუშაობაზე გადავედით. სმოლნში ჩვენ ვმასლაათობდით პრინციპებზე და, უეჭველია, ვმასლაათობდით იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭირო იყო. ახლა კი, სამი წლის შემდეგ, საწარმოო საკითხის ყველა პუნქტზე, ამ საკითხის მთელი რიგი შემადგენელი ელემენტების შესახებ ჩვენ გვაქვს დეკრეტები, — არასასიამოვნო რამ კია ეს დეკრეტები, — რომლებსაც ხელს ვაწერთ, ხოლო შემდეგ თვითონ ჩვენვე ვივიწყებთ და თვითონ ჩვენვე აღარ ვასრულებთ. მერე კი ვიგონებთ მსჯელობას პრინციპებზე, ვიგონებთ პრინციპულ უთანხმოებებს. შემდეგ მე დავასახელებ დეკრეტს, რომელიც პროფკავშირების საწარმოო როლის

საკითხს ეხება[3], დეკრეტს, რომელიც ყველას დაავიწყდა, მათ შორის მეც დამავიწყდა, რისთვისაც მონანიება მმართებს.

ნამდვილი უთანხმოება, რომელიც არსებობს, ეხება სრულიადაც არა ზოგადი პრინციპების საკითხებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რაც ჩამოვთვალე. ხოლო ჩემ მიერ ჩამოთვლილი «უთანხმოებანი» ჩემსა და ამხ. ტროცკის შორის მე უნდა აღმენიშნა, ვინაიდან ამხ. ტროცკიმ, აიღო რა ფართო თემა: «პროფკავშირების როლი და ამოცანები», ჩემი აზრით, ჩაიდინა მთელი რიგი შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის თვით არსთან. მაგრამ ეს რომ განზე გადავდოთ, საკითხავია, რატომ მართლაც არ გამოგვიდის შეთანხმებული მუშაობა, რომელიც ჩვენ ასე გვესაჭიროება? იმიტომ, რომ ჩვენ შორის აზრთა სხვადასხვაობაა მასისადმი მ ი დ გ ო მ ი ს, მასის დაუფლების, მასასთან კ ა ვ შ ი რ ი ს მეთოდების საკითხის გამო. ესაა თავიდათავი. და სწორედ ეს არის პროფკავშირების თავისებურება, როგორც ისეთი დაწესებულებისა, რომელიც კაპიტალიზმის დროს შეიქმნა, რომელიც კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს აუცილებელია, ხოლო შემდგომ მომავალში კითხვის ნიშანქვეშ ისმება. ეს შორეული მომავალია, როდესაც პროფკავშირები კითხვის ნიშანქვეშ მოექცევიან; ამაზე ჩვენი შვილიშვილები ილაპარაკებენ. ახლა კი საქმე ის არის, თუ როგორ მივუდგეთ მასას, როგორ დავეუფლოთ და დავუკავშირდეთ მას, როგორ მოვაგვაროთ მუშაობის (პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად საჭირო მუშაობის) რთული ამძრავნი. დაიხსომეთ, როდესაც მუშაობის რთულ ამძრავებზე ვლაპარაკობ, მხედველობაში საბჭოთა აპარატი როდი მაქვს. რა იქნება იქ კიდევ ამძრავთა სირთულის მხრივ — ეს სხვა საქმეა. ჯერჯერობით მე ვლაპარაკობ მხოლოდ აბსტრაქტულად და პრინციპულად კლასების ურთიერთობაზე კაპიტალისტურ საზოგადოებაში; არის იქ პროლეტარიატი, არიან არაპროლეტარული მშრომელი მასები, არის წვრილი ბურჟუაზია და არის ბურჟუაზია. ხოლო ამ თვალსაზრისით, თუნდაც არ იყოს ბიუროკრატიზმი საბჭოთა

ხელისუფლების აპარატში, უკვე ვიღებთ ამძრავთა უაღრეს სირთულეს იმის გამო, რაც კაპიტალიზმს შეუქმნია. და უწინარეს ყოვლისა ამაზე გვმართებს ფიქრი, თუ დავსვამთ საკითხს — რა შეადგენს პროფკავშირთა «ამოცანის» სიძნელეს. აზრთა ნამდვილი სხვადასხვაობა, ვიმეორებ, სრულიადაც არ არის იქ, სადაც მას ამხ. ტროცკი ხედავს, არამედ იმ საკითხშია, თუ როგორ დავეუფლოთ მასას, იმ საკითხში, თუ როგორ მივუდგეთ, როგორ დავუკავშირდეთ მას. უნდა ვთქვა, ჩვენ რომ ჩვენს საკუთარ პრაქტიკას, ჩვენს გამოცდილებას, თუნდაც მცირე ფარგლებში, დეტალურად, დაწვრილებით ვსწავლობდეთ, მაშინ თავიდან ავიცილებდით იმ ათასგვარ ზედმეტ «უთანხმოებებსა» და პრინციპულ შეცდომებს, რომლებითაც სავსეა ამხ. ტროცკის ეს ბროშურა. მაგალითად, ამ ბროშურაში მთელი თეზისებია მიძღვნილი «საბჭოთა ტრედუნიონიზმთან» პოლემიკისადმი. თითქოს არაფერი გვქონდეს სადარდელი, ახალი საფრთხობელა მოვიგონეთ! და მერე ვინ არის ეს საფრთხობელა? ამხ. რიაზანოვი. მე ამხ. რიაზანოვს ოც წელზე მეტია ვიცნობ. თქვენ მას დროის მხრივ ჩემზე ნაკლებად იცნობთ, მაგრამ საქმით არა ნაკლებად. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მის ძლიერ მხარეებს, რომლებიც მას აქვს, ლოზუნგების შეფასება არ მიეკუთვნება. და ახლა ჩვენ თეზისებში «საბჭოთა ტრედუნიონიზმად» უნდა დავსახოთ ის, რაც ზოგჯერ არცთუ ისე ხეირიანად უთქვამს ამხ. რიაზანოვს! ნუთუ სერიოზულად შესაძლებელია ასეთი რამე? თუ ასეა, მაშინ ჩვენ გვექნება «საბჭოთა ტრედუნიონიზმი», «საბჭოთა წინააღმდეგობა ზავის დადებისადმი» და რა ვიცი, კიდევ რა. არც ერთი პუნქტი არაა, რომლის გამოც საბჭოთა «იზმის» შეთხზვა არ შეიძლებოდეს (რ ი ა ზ ა ნ ო ვ ი: «საბჭოთა ანტიბრესტიზმი»). დიახ, სავსებით მართალია, «საბჭოთა ანტიბრესტიზმი».

ამავე დროს კი, იჩენს რა ამ არასერიოზულობას, ამხ. ტროცკი თავის მხრივ იქვე სჩადის შეცდომას. მას გამოუდის, რომ მუშათა კლასის მატერიალური და სულიერი ინტერესების დაცვა როდი შეადგენს პროფკავშირების როლს მუშათა

სახელმწიფოში. ეს შეცდომაა. ამბ. ტროცკი «მუშათა სახელმწიფოზე» ლაპარაკობს. მოითმინეთ, ეს ხომ აბსტრაქციაა. როდესაც ჩვენ 1917 წელს მუშათა სახელმწიფოზე ვწერდით, ეს გასაგები იყო; მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ გვეუბნებიან: «რატომ უნდა დავიცვათ, ვისგან უნდა დავიცვათ მუშათა კლასი, ბურჟუაზია ხომ არ არის, ხომ მუშათა სახელმწიფოაო», აქ აშკარა შეცდომას სჩადიან. საქმეც ის არის, რომ სავსებით მუშათა სახელმწიფო როდი გვაქვს. სწორედ აქ არის ამბ. ტროცკის ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა. ახლა ჩვენ ზოგადი პრინციპებიდან საქმიან მსჯელობაზე და დეკრეტებზე გადავედით, ჩვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ პრაქტიკულ და საქმიან მუშაობას შევუდგეთ, უკან გვეწევიან. ასე არ შეიძლება. ჩვენ ნამდვილად გვაქვს არა მუშური, არამედ მუშურ-გლეხური სახელმწიფო — ეს ერთი. აქედან კი ძალიან ბევრი რამ გამომდინარეობს (ბ უ ხ ა რ ი ნ ი: როგორი? მუშურ-გლეხური?). და თუმცა ამბ. ბუხარინი უკანიდან ყვირის: «როგორიო? მუშურ-გლეხურიო?», მაგრამ მას ამაზე არ ვუპასუხებ. ხოლო ვისაც სურს, გაიხსენოს სულ ახლახან დამთავრებული საბჭოების ყრილობა[4], და ეს უკვე იქნება პასუხი.

მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენი პარტიული პროგრამიდან ჩანს — დოკუმენტიდან, რომელსაც «კომუნიზმის ანბანის» ავტორი ძალიან კარგად იცნობს, — უკვე ამ პროგრამიდან ჩანს, რომ ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ი თ. და ჩვენ ეს სავალალო, — როგორ ვთქვა? — იარლიყი, ალბათ, აი ეს იარლიყი უნდა მიგვეკრა მისთვის. აი გადასვლის რეალობა. მერე-და, პრაქტიკულად ასე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოში პროფკავშირებს არაფერი აქვთ დასაცავი, განა ისინი საჭირონი არ არიან საყოველთაოდ ორგანიზებული პროლეტარიატის მატერიალური და სულიერი ინტერესების დასაცავად? — ეს თეორიულად სრულებით მცდარი მსჯელობაა. ამას ჩვენ გადავყავართ აბსტრაქციის ან იდეალის სფეროში, რომელსაც ჩვენ 15 — 20 წლის შემდეგ მივაღწევთ, მაგრამ მე არც ამაში ვარ დარწმუ-

ნებული, რომ სწორედ ამ ვადაში მივაღწევთ. ხოლო თვალწინ გვაქვს სინამდვილე, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ, თუკი თავს არ გავიბრუებთ, თუ არ გაგვიტაცებს ინტელიგენტური' ყბედობა, ან აბსტრაქტული მსჯელობა, ან ის, რაც ზოგჯერ «თეორიად» გვეჩვენება, ნამდვილად კი შეცდომაა, გადასვლის თავისებურებათა არასწორი გათვალისწინებაა. ჩვენი ახლანდელი სახელმწიფო ისეთია, რომ საყოველთაოდ ორგანიზებულმა პროლეტარიატმა უნდა დაიცვას თავისი თავი, ჩვენ კი ეს მუშათა ორგანიზაციები უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მუშები დავიცვათ მათი საკუთარი სახელმწიფოსაგან და რომ მუშებმა დაიცვან ჩვენი სახელმწიფო. ერთიც და მეორე დაცვაც ხორციელდება ჩვენი სახელმწიფო ღონისძიებებისა და ჩვენს პროფკავშირებთან ჩვენი შეთანხმების, «შეხორცების» თავისებური გადახლართვის გზით.

მე ამ შეხორცებაზე კიდევ უნდა ვილაპარაკო. მაგრამ მარტო ეს სიტყვაც კი გვიჩვენებს, რომ აქ «საბჭოთა ტრედუნიონიზმის» სახით მტრის შეთხზვა ნიშნავს შეცდომის ჩადენას. ვინაიდან ცნება «შეხორცება» ნიშნავს იმას, რომ არის ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რამ, რაც ს ა ჭ ი რ ო ა შევახორცოთ; ცნება «შეხორცება» შეიცავს იმას, რომ უნდა შეგვეძლოს სახელმწიფო ხელისუფლების ღონისძიებათა გამოყენება საყოველთაოდ გაერთიანებული პროლეტარიატის მატერიალური და სულიერი ინტერესების დასაცავად ა მ სახელმწიფო ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ. ხოლო როდესაც ჩვენ ს რ უ ლ შ ე ხ ო რ ც ე ბ ა ს ა და შ ე რ წ უ მ ა ს მივიღებთ, მაშინ შევიკრიბებით ყრილობაზე, რომელზედაც იქნება საქმიანი განხილვა პრაქტიკული გამოცდილებისა და არა პრინციპული «უთანხმოებებისა» ან აბსტრაქტულ-თეორიული მსჯელობებისა. უხეიროა აგრეთვე ცდა, რომ გამონახულ იქნეს პრინციპული უთანხმოებანი ამხ. ტომსკისთან და ამხ. ლოზოვსკისთან, რომლებსაც ამხ. ტროცკი პროფესიონალისტ ბიუროკრატებად სახავს — იმის შესახებ, თუ ვინ იჩენს ამ დავაში ბიუროკრატიულ ტენდენციებს, შემდეგ ვილაპარაკებ.

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ თუ ამხ. რიაზანოვი ზოგჯერ ცოტათი მოისუსტებს იმით, რომ თხზავს ხოლმე უსათუოდ ლოზუნგს და თანაც თითქმის პრინციპულ ლოზუნგს, სამაგიეროდ ამხ. ტომსკი თავის მრავალ ცოდვას ამ ცოდვას არ უმატებს. ამიტომ, მგონია, რომ აქ ამხ. ტომსკისთან პრინციპული ბრძოლის გამართვა (როგორც ამას ამხ. ტროცკი სჩადის) ყოველგვარ ზომას აღემატება. ეს მე პირდაპირ მაოცებს. იყო დრო, როდესაც ჩვენ ფრაქციულ, თეორიულ და ყოველგვარ სხვა უთანხმოებათა მხრივ ყველანი ბევრს ვცოდავდით, — მაგრამ, რასაკვირველია, ზოგი რამ სასარგებლოც გავაკეთეთ, — და ამ ხნიდან ჩვენ თითქოს გავიზარდეთ. და დროა პრინციპულ უთანხმოებათა გამოგონებიდან და გაზვიადებიდან საქმიან მუშაობაზე გადავიდეთ. მე არასოდეს არ მსმენია, რომ ტომსკიში თეორეტიკოსი სჭარბობდეს, რომ ტომსკის თეორეტიკოსის წოდების პრეტენზია ჰქონოდეს; შეიძლება, ეს მისი ნაკლიც იყოს, ეს სხვა საკითხია. მაგრამ რომ ტომსკი, რომელიც შეეწყო პროფესიულ მოძრაობას, უნდა გამოხატავდეს ამ რთულ გადასვლას, — შეგნებულად თუ შეუგნებლად — ეს სხვა საკითხია. მე არ ვამბობ, რომ ის ამას ყოველთვის შეგნებულად სჩადიოდეს, — რომ ის თავისი მდგომარეობით უნდა გამოხატავდეს ამ რთულ გადასვლას, და თუ მასას რაღაცა სტკივა და თვითონაც არ იცის, თუ რა სტკივა, თუ არც ტომსკიმ იცის, რა სტკივა (ტ ა შ ი, ს ი ც ი ლ ი) და ამავე დროს კი გოდებს, — მე ვამტკიცებ, რომ ეს დამსახურებაა და არა ნაკლი. მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ტომსკის ნაწილობრივი თეორიული შეცდომები ბლომად აღმოაჩნდება. და ჩვენ ყველანი, თუ მაგიდას შემოვუსხდებით და მოფიქრებულად შევუდგებით რეზოლუციის ან თეზისების წერას, ჩვენ ყველანი შევასწორებთ, ან, იქნებ, არც კი დავიწყოთ შესწორება, რადგან საწარმოო მუშაობა უფრო საინტერესოა, ვიდრე უწვრილმანეს თეორიულ უთანხმოებათა გასწორება.

ახლა მე «საწარმოო დემოკრატიაზე» გადავალ; ეს, ასე ვთქვათ, ბუხარინისათვის. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ

ყოველ ადამიანს აქვს პატარა სუსტი მხარეები, დიდ ადამიანსაც აქვს ხოლმე პატარა სუსტი მხარეები, მათ შორის ბუხარინსაც. თუ მაღალფარდოვანი ლაპარაკია, აქ ბუხარინს აღარ შეუძლია ჰო არ თქვას. საწარმოო დემოკრატიის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 7 დეკემბერს ის რეზოლუციას თითქმის რომ განუზომელი სიამოვნებით წერდა. რაც უფრო ვუკვირდები ამ «საწარმოო დემოკრატიას», მით უფრო ნათლად ვხედავ თეორიულ სიყალბეს, ვხედავ მოუფიქრებლობას. აქ გარდა დომხალისა სხვა არა არის რა. ამ მაგალითის გამო ერთხელ კიდევ, პარტიულ კრებაზე მაინც, უნდა ვთქვა: «ამხ. ნ. ი. ბუხარინ, რაც შეიძლება ნაკლები მაღალფარდოვანი ლაპარაკი, — ეს სასარგებლო იქნება თქვენთვისაც, თეორიისთვისაც, რესპუბლიკისთვისაც» (ტ ა შ ი). წარმოება ყოველთვის საჭიროა. დემოკრატია კი მარტოოდენ პოლიტიკური დარგის ერთ-ერთი კატეგორიაა. ეს სიტყვა რომ იხმარონ ლაპარაკში, სტატიაში, ამის საწინააღმდეგო არაფერი ითქმის. სტატია იღებს და ნათლად გამოთქვამს ერთ თანაფარდობას, მეტი არაფერი. მაგრამ როდესაც ამას თეზისად აქცევთ, როდესაც ცდილობთ გახადოთ იგი ლოზუნგად, რომელმაც უნდა გააერთიანოს ისინი, ვინც «თანახმაა» და ვინც თანახმა არ არის, როდესაც ამბობენ, როგორც ტროცკის აქვს ნათქვამი, პარტიამ უნდა «აირჩიოს ან ერთი, ან მეორე ტენდენციაო», ეს სავსებით უცნაურად გაისმის. მე ცალკე ვილაპარაკებ იმაზე, საჭიროა თუ არა პარტიამ მოახდინოს «არჩევანი», და ვისი ბრალია, რომ პარტია ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, როდესაც «არჩევანი» საჭირო ხდება. რამდენადაც უკვე ასე გამოვიდა, იმდენად ჩვენ უნდა ვთქვათ: «ყოველ შემთხვევაში, რაც შეიძლება ნაკლებად აირჩიეთ ისეთი თეორიულად მცდარი ლოზუნგები, როგორიცაა «საწარმოო დემოკრატია», რომელიც დომხალის მეტს არაფერს შეიცავს». არც ტროცკი და არც ბუხარინი ამ ტერმინს თეორიულად ნათლად არ ჩაფიქრებიან და დაიბნენ. «საწარმოო დემოკრატია» ისეთ აზრებს აღძრავს, რაც იმ იდეათა წრეს სრულიად არ ეკუთვნის, რომლებმაც ტროცკი

და ბუხარინი გაიტაცეს. მათ უნდოდათ ხაზი გაესვათ, მეტი ყურადღება მიექციათ წარმოებისათვის. სტატიაში, სიტყვაში ხაზის გასმა — ეს ერთი საქმეა, ხოლო როდესაც ამას თეზისებად აქცევენ და როდესაც პარტია იძულებულია მოახდინოს არჩევანი, მე ვამბობ: მოახდინეთ არჩევანი ამის წინაალმდეგ, რადგან ეს დომხალია. წარმოება ყოველთვის საჭიროა, დემოკრატია კი — არა ყოველთვის. საწარმოო დემოკრატია წარმოშობს მთელ რიგ ძირფესვიანად ყალბ აზრებს. ჯერაც არ გაგვცვეთია ფეხსაცმელი მას შემდეგ, რაც ერთპიროვნულობას ვქადაგებდით. არ შეიძლება ისეთი დომხალი შევქმნათ, რომ საშიშროება გაჩნდეს — ვაი თუ ყველა დაიბნეს: სადაა დემოკრატია, სადაა ერთპიროვნულობა და სად დიქტატურა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავიღოთ ხელი დიქტატურაზეც, — მე მესმის, ბუხარინი უკანიდან ღმუის: «სავსებით მართალია» (ს ი ც ი ლ ი. ტ ა შ ი).

შემდეგ. სექტემბრიდან ვლაპარაკობთ ჩვენ დამკვრელობიდან გამთანაბრებლობაზე გადასვლის შესახებ, ვამბობთ ამას საერთო-პარტიული კონფერენციის რეზოლუციაში, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა[5]. ძნელი საკითხია. ვინაიდან საჭირო ხდება ასე თუ ისე შევახამოთ გამთანაბრებლობა და დამკვრელობა, ეს ცნებები კი ერთმანეთს გამორიცხავენ. მაგრამ ჩვენ მარქსიზმი ცოტაოდნად მაინც გვისწავლია, გვისწავლია, თუ როგორ და როდის შეიძლება და უნდა შევაერთოთ დაპირისპირებანი, მთავარი კი ისაა, რომ ჩვენს რევოლუციაში სამ-ნახევარი წლის მანძილზე ჩვენ პრაქტიკულად არაერთხელ შეგვიერთებია დაპირისპირებანი.

აშკარაა, რომ საკითხს ძალიან ფრთხილად და დაფიქრებით უნდა მივუდგეთ. ჩვენ ხომ ჯერ ცენტრალური კომიტეტის ამ სავალალო პლენუმებზე *, სადაც თავი იჩინეს შვიდთა

* იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის 1920 წლის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმები. მათ მიერ მიღებული რეზოლუციების ტექსტები იხ. «პრავდაში» № 255, 1920 წ., 13 — XI და № 281, 1920 წ., 14 — XII, აგრეთვე შინაარსი — რკპ ც. კ-ის [6] «იზვესტიაში» № 26, 1920 წ. 20 —

და რვათა ჯგუფებმა და ამხ. ბუხარინის განთქმულმა «ბუფერულმა ჯგუფმა» [7], ჩვენ იქ ვილაპარაკეთ ამ პრინციპულ საკითხებზე და იქ უკვე გამოვარკვიეთ, რომ დამკვრელობიდან გამთანაბრებლობაზე გადასვლა ადვილი როდია. და აი, რათა შევასრულოთ სექტემბრის კონფერენციის ეს დადგენილება, ჩვენ ცოტაოდენი უნდა ვიმუშაოთ. ხომ შეიძლება ამ საპირ-დაპირო ცნებების ისე შეხამება, რომ კაკაფონია გამოვიდეს, და ისე შეხამებაც, რომ სიმფონია გამოვიდეს. დამკვრელობა — ეს არის ყველა აუცილებელი საწარმოდან ერთისათვის უპირატესობის მინიჭება მისი უაღრესად საარსებო მნიშვნელობის გამო. რა შეადგენს ამ უპირატესობას? რამდენად დიდი შეიძლება იყოს ეს უპირატესობა? ეს ძნელი საკითხია, და უნდა გითხრათ, რომ მის გადასაწყვეტად მარტო ბეჯითობა არ კმარა, აქ არ კმარა არც გმირი ადამიანი, რომელსაც, შესაძლოა, ბევრი მშვენიერი თვისება ჰქონდეს, მაგრამ რომელიც კარგია მხოლოდ თავის ადგილზე; აქ უნდა იცოდე, თუ როგორ მიუდგე მეტად თავისებურ საკითხს. და აი, თუ ისმება დამკვრელობისა და გამთანაბრებლობის საკითხი, უწინარეს ყოვლისა საჭიროა დაფიქრებულად მიუდგე მას, და სწორედ ეს არ ეტყობა ამხ. ტროცკის ნაშრომს; რაც უფრო ასწორებს ის თავის პირვანდელ თეზისებს, მით უფრო მეტი მცდარი დებულებანი გამოუდის. აი რას ვკითხულობთ მის უკანასკნელ თეზისებში:

...«მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს დარგში, ე. ი. მშრომელთა პირადი არსებობის პირობების დარგში, აუცილებელია გავატაროთ გამთანაბრებლობის ხაზი. წ ა რ მ ო ე ბ ი ს დარგში კი დამკვრელობის პრინციპი კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენში გადამწყვეტი»... (თეზისი 41, გვ. 31 ტროცკის ბროშურისა).

თეორიულად ეს სრული დაბნეულობაა. ეს სრულიად არ არის სწორი. დამკვრელობა უპირატესობის მინიჭებაა, ხოლო უპირატესობის მინიჭება მოხმარების გარეშე არარაა. თუ მე ისეთ უპირატესობას მომცემენ, რომ მხოლოდ ერთ მერვედ გირვანქა პურს მომაწვდიან, — დიდად გმადლობთ ასეთი უპირატესობის მონიჭებისათვის. უპირატესობა დამკვრელობაში არის უპირატესობა მოხმარებაშიც. უამისოდ დამკვრელობა

ოცნებაა, ღრუბელია, ჩვენ კი, რაც უნდა იყოს, მატერიალისტები ვართ. მუშებიც მატერიალისტები არიან; თუ ამბობ — დამკვრელობაო, პურიც მიბოძე, ტანისამოსიც და ხორციც. მხოლოდ ასე გვესმოდა და ასე გვესმის ჩვენ, როდესაც ამ საკითხებზე ათასჯერ გვიმსჯელნია, კონკრეტულ საბაბთა გამო, თავდაცვის საბჭოში[8], როდესაც ერთი ფეხსაცმელს ეწევა და ამბობს: «მე დამკვრელურად ვმუშაობო», ხოლო მეორე იძახის: «მე მომეცით ფეხსაცმელი, თორემ ველარ აიტანენ შენი დამკვრელი მუშები და დაიღუპება შენი დამკვრელობაო».

და ჩვენ ვხედავთ, რომ გამთანაბრებლობისა და დამკვრელობის მხრივ თეზისებში საკითხი ძირფესვიანად არასწორად არის დასმული. გარდა ამისა, ვხედავთ უკანდახევას იმისგან, რაც პრაქტიკულად შემოწმებული და მოპოვებულია. ასე არ შეიძლება, და ამ გზაზე სიარულით სახეირო არა გამოვა რა.

შემდეგ: «შეხორცების» საკითხი. ამჟამად ყველაფერზე მართებული ის იქნებოდა, «შეხორცების» შესახებ რომ გავჩუმებულიყავით. ლაპარაკი ვერცხლია, დუმილი კი — ოქრო. რატომ? იმიტომ, რომ შეხორცებას ჩვენ პრაქტიკულად უკვე შევუდექით; ჩვენში არ მოიპოვება სახალხო მეურნეობის არც ერთი დიდი საგუბერნიო საბჭო, არც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, არც გზათა სახალხო კომისარიატის და სხვათა არც ერთი დიდი განყოფილება, სადაც პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ შეხორცება არ ხდებოდეს. მაგრამ სავსებით კარგია თუ არა შედეგები? საქმეც ეს არის. შეისწავლე პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა იმისა, თუ როგორ გატარდა შეხორცება და რა არის ამით მიღწეული. დეკრეტი, რომლითაც ამა თუ იმ დაწესებულებაში შემოღებულია შეხორცება, ისე ბევრია, რომ ვერც კი ჩამოთვლი. ხოლო ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ პრაქტიკულად იმის შესწავლა, თუ რა გამოვიდა აქედან, თუ რა მოგვცა მრეწველობის ამა და ამ დარგის ასეთმა თუ ისეთმა შეხორცებამ, როდესაც საგუბერნიო პროფკავშირის ამა თუ იმ წევრს ესა თუ ის თანამდებობა ეკავა სახალხო მეურნეობის საგუბერნიო

საბჭოში, რა მოჰყვა ამას, რამდენ თვეს ახორციელებდა ის ამ შეხორცებას და სხვ., — ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ საქმიანად შეგვესწავლა ჩვენივე საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება. ჩვენ მოვახერხეთ შეხორცების შესახებ პრინციპული უთანხმოების შეთხზვა და ამასთანავე შეცდომის ჩადენა, ჩვენ ამის ოსტატები ვართ, ხოლო ჩვენივე საკუთარი გამოცდილების შესწავლას და შემოწმებას ნუ მოგვკითხავთ, — ამის უნარი ჩვენ არა გვაქვს. და როდესაც გვექნება საბჭოების ყრილობები, სადაც გარდა იმ სექციებისა, რომლებიც შეისწავლიან სასოფლო-სამეურნეო რაიონებს მიწათმოქმედების გაუმჯობესების კანონის ამა თუ იმ გამოყენების თვალსაზრისით, იქნება შეხორცების შემსწავლელი სექციები, იმის შემსწავლელი სექციები, თუ რა შედეგები მოჰყვა შეხორცებას სარატოვის გუბერნიის საფქვავ მრეწველობაში, პეტროგრადის ლითონის მრეწველობაში, დონბასის ქვანახშირის მრეწველობაში და ა. შ., როდესაც ეს სექციები, შეკრებენ რა მთელ გროვა მასალას, განაცხადებენ: «ჩვენ ესა და ეს შევისწავლეთო», მაშინ მე ვიტყვი: «დიახ, ჩვენ საქმეს შევდგომივართ, ჩვენ ბავშვობის ასაკს გავცილებივართ!». ხოლო თუ მას შემდეგ, რაც ჩვენ სამი წელიწადი შეხორცებას მოვანდომეთ, ჩვენ გვთავაზობენ «თეზისებს», რომლებშიც თხზავენ პრინციპულ უთანხმოებებს შეხორცების შესახებ, რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო სამწუხარო და უფრო მცდარი? ჩვენ შეხორცების გზას დავადექით, და მე ეჭვი არ მეპარება, რომ მართებულად დავადექით, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეგვისწავლია, როგორც საჭიროა, ჩვენი გამოცდილების შედეგები. ამიტომ ერთადერთი გონივრული ტაქტიკა შეხორცების შესახებ არის: «გაჩუმდი».

საჭიროა პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა. მე ხელს ვაწერდი დეკრეტებსა და დადგენილებებს, რომლებიც შეიცავენ მითითებებს პრაქტიკულ შეხორცებაზე, ხოლო პრაქტიკა ასჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყოველგვარი თეორია. ამიტომ, როდესაც ამბობენ: «მოდით, «შეხორცებაზე» ვილაპარაკოთო», მე ვუპასუხებ: «მოდით, შევისწავლოთ

ის, რაც გაგვიკეთებია». ჩვენ რომ ბევრი შეცდომა ჩავიდინეთ, ეს ეჭვს გარეშეა. შეიძლება აგრეთვე საჭიროა იყოს ჩვენი დეკრეტების დიდი ნაწილის შეცვლა. მე ამის თანახმა ვარ, ჩემში დეკრეტებით მოხიბლულობის ნატამალიც არაა. მაგრამ წარმოადგინეთ პრაქტიკული წინადადებანი: ეს ასე გადავაკეთოთ, ეს ასეო. აი ეს იქნება საკითხის საქმიანი დაყენება. აი ეს არ იქნება უნაყოფო შრომა. აი ეს არ გამოიწვევს ბიუროკრატიულ პროექტორობას. როდესაც ვიღებ ტროცკის ბროშურის VI კარს: «პრაქტიკული დასკვნები», ვხედავ, რომ პრაქტიკული დასკვნები სწორედ ამ ცოდვით სცოდავენ. ვინაიდან იქ ნათქვამია, პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა საერთო რიცხვიდან ისეთი წევრები, რომლებიც ორივე დაწესებულებაში იქნებიან, უნდა შეადგენდნენ ერთი მესამედიდან ნახევრამდე, ხოლო კოლეგიებში — ნახევრიდან ორ მესამედამდეო, და ა. შ.. რატომ? ისე უბრალოდ, «თვალზომით». რა თქმა უნდა, ჩვენს დეკრეტებში ხშირად წესდება ამგვარი თანაფარდობა სწორედ «თვალზომით», მაგრამ რატომ არის დეკრეტებში ეს აუცილებელი? მე ყველა დეკრეტის დამცველი როდი ვარ და არც მინდა იმაზე უკეთესად მოგაჩვენოთ დეკრეტები, ვიდრე ნამდვილად არის. იქ ძალიან ხშირად ისეთი პირობითი სიდიდენი, როგორიცაა საერთო წევრთა ნახევარი, ერთი მესამედი და სხვ., თვალზომით არის აღებული. როდესაც დეკრეტი ასეთ რასმე გვეუბნება, ეს ნიშნავს: თქვენ სცადეთ ასე გააკეთოთ, ხოლო მერე ჩვენ ავწონ-დავწონით თქვენი «ცდის» შედეგს. მერე გავარკვევთ, თუ რა გამოვიდა ნამდვილად. როდესაც გავარკვევთ, წინსვლასაც შეძლებთ. შეხორცებას ჩვენ ვახორციელებთ და მომავალში სულ უფრო და უფრო უკეთ განვახორციელებთ, ვინაიდან ჩვენ უფრო და უფრო პრაქტიკულნი და საქმიანნი ვხდებით.

მაგრამ მე, მგონი, «საწარმოო პროპაგანდა» დავიწყე? რას იზამ! პროფესიულ კავშირთა საწარმოო როლზე ლაპარაკის დროს საჭიროა ამ საკითხსაც შევეხოთ.

და მე გადავდივარ ამ საწარმოო პროპაგანდის საკითხზე. ესეც ისევ და ისევ საქმიანი საკითხია, და მას ჩვენ საქმიანადვე ვაყენებთ. საწარმოო პროპაგანდის გასაწევად უკვე შექმნილია სახელმწიფო დაწესებულებანი[9]. უხეირონი არიან თუ კარგნი ეს დაწესებულებანი, მე ეს არ ვიცი; საჭიროა მათი გამოცდა; და სრულიადაც არ არის საჭირო ამ საკითხზე «თეზისების» წერა.

თუ ვილაპარაკებთ პროფკავშირების საწარმოო როლზე მთლიანად, მაშინ დემოკრატიის საკითხში, გარდა ჩვეულებრივი დემოკრატიზმისა, არაფერია საჭირო. «საწარმოო დემოკრატიის» მსგავსი მიკიბ-მოკიბვა უმართებულოა და მისგან არა გამოვა რა. ეს ერთი. მეორე — საწარმოო პროპაგანდა. საამისო დაწესებულებები უკვე შექმნილია. ტროცკის თეზისები საწარმოო პროპაგანდაზე ლაპარაკობენ. ამაოდ, რადგან «თეზისები» აქ უკვე მოძველებული რამაა. კარგია თუ უხეირო დაწესებულება, ჯერჯერობით არ ვიცით. გამოვცადოთ საქმით და მერე ვთქვათ. მოდით, შევისწავლოთ და გამოვიკითხოთ. ვთქვათ, ყრილობაზე ეწყობა 10 სექცია ათ-ათი კაცის შემადგენლობით. ვკითხოთ: «შენ საწარმოო პროპაგანდას ეწეოდი? როგორ და რა გამოვიდა?». ამას რომ შევისწავლით, დავაჯილდოოთ ის, ვისაც განსაკუთრებით ჰქონია წარმატება, უკუვაგდოთ უხეირო გამოცდილება. ჩვენ უკვე გვაქვს პრაქტიკული გამოცდილება, სუსტი, მცირე, მაგრამ მაინც გვაქვს, ჩვენ კი ამ გამოცდილებიდან უკან, «პრინციპული თეზისებისაკენ» გვეწევიან. ეს უფრო «რეაქციული» მოძრაობაა, ვიდრე «ტრედუნიონიზმი».

შემდეგ, მესამე, პრემიები. აი პროფკავშირების საწარმოო როლი და ამოცანა: პრემიების გაცემა ნ ა ტ უ რ ი თ. ეს დაწყებულია. საქმე ადგილიდან დაძრულია. საამისოდ ხუთასი ათასი ფუთი პურია გადადებული; და ას სამოცდაათი ათასი უკვე დახარჯულია. კარგად, მართებულად არის დახარჯული თუ არა, არ ვიცი. სახკომსაბჭოში აღინიშნა: უხეიროდ არიგებენ, პრემიის ნაცვლად ხელფასის წამატება გამოდისო; ამას აღნიშნავდნენ პროფესიონალისტებიც და შრომის სახალხო

კომისარიატის მუშაკებიც. ჩვენ კომისია დავნიშნეთ საქმის შესასწავლად, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ არ შეგვისწავლია. გაცემულია ას სამოცდაათი ათასი ფუთი პური, მაგრამ საჭიროა ისე გავცეთ, რომ დავაჯილდოოთ ის, ვისაც გმირობა, მუყაითობა, სამეურნეო მუშაკის უნარი და ერთგულება გამოუჩენია, ერთი სიტყვით, გამოუჩენია ის თვისებები, რომლებსაც ტროცკი ხოტბა-ქებას ასხამს. მაგრამ ახლა საქმე ის კი არ არის, რომ თეზისებში ვინმეს ხოტბა-ქება შეასხა, არამედ საქმე პურისა და ხორცის მიწოდებაა. იქნებ უმჯობესი იყოს მუშათა ერთ რომელიმე კატეგორიას წავართვათ, ვთქვათ, ხორცი და იგი პრემიის სახით მივცეთ სხვებს, «დამკვრელ» მუშებს? ჩვენ ასეთ დამკვრელობაზე უარს არ ვამბობთ. ასეთი დამკვრელობა საჭიროა. გულმოდგინედ შევისწავლოთ ჩვენ მიერ დამკვრელობის გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება.

შემდეგ, მეოთხე, დისციპლინარული სასამართლოები. პროფკავშირთა საწარმოო როლი, «საწარმოო დემოკრატია», ნუ გაგვიჯავრდება ამხ. ბუხარინი, — ეს სულ ერთიანად ჩმახვაა, თუ ჩვენ დისციპლინარული სასამართლოები არ გვექნება. ეს კი თქვენს თეზისებში არ არის. ამრიგად, ტროცკის თეზისებისა და ბუხარინის პოზიციის გამო პრინციპულადაც, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ჩვენი ჭირიც წაუღია!

ამ დასკვნას მე კიდევ უფრო ვადგები, როდესაც ვეუბნები ჩემს თავს: თქვენ მარქსისტულად არ აყენებთ საკითხს. ეს ცოტაა, რომ თეზისებში მთელი რიგი თეორიული შეცდომებია. «პროფკავშირების როლისა და ამოცანების» შეფასებისადმი მიდგომა იმიტომ არ არის მარქსისტული, რომ არ შეიძლება ესოდენ ფართო თემას მივუდგეთ და ამავე დროს არ ჩავუფიქრდეთ მიმდინარე მომენტის თავისებურებებს პოლიტიკური მხრივ. ტყუილად ხომ არ ვწერდით ჩვენ ამხ. ბუხარინთან ერთად რკპ IX ყრილობის რეზოლუციაში პროფკავშირების შესახებ, პოლიტიკა ეკონომიკის ყველაზე უფრო კონცენტრირებული გამოხატულებაა.

თუ ანალიზს გავუკეთებთ მიმდინარე პოლიტიკურ მომენტს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვიცდით გარდამავალ პერიოდს გარდამავალ პერიოდში. პროლეტარიატის მთელი დიქტატურა არის გარდამავალი პერიოდი, მაგრამ ახლა ჩვენ გვაქვს, ასე ვთქვათ, ახალი გარდამავალი პერიოდების მთელი გროვა. არმიის დემობილიზაცია, ომის დასასრული, წინანდელზე გაცილებით უფრო ხანგრძლივი მშვიდობიანი შესვენების, სამხედრო ფრონტიდან შრომის ფრონტზე უფრო მტკიცედ გადასვლის შესაძლებლობა. მარტოოდენ ამის გამო, მხოლოდ ამის გამოც უკვე იცვლება პროლეტარიატის კლასის დამოკიდებულება გლეხობის კლასთან. როგორ იცვლება? ამას კარგად უნდა ჩავუკვირდეთ, თქვენი თეზისებიდან კი ეს არ გამოდის. ვიდრე არ ჩავკვირვებივართ, მანამდე უნდა შეგვეძლოს დალოდება. ხალხი ფრიად დაღლილია, მთელი რიგი მარაგი, რომელიც უნდა მოგვეხმარებინა ზოგიერთი დაკვრითი წარმოებისათვის, უკვე მოხმარებულია, პროლეტარიატის დამოკიდებულება გლეხობასთან იცვლება. ომისაგან დაღლილობა უდიდესია, მოთხოვნილებები გაიზარდა, წარმოება კი არ გაზრდილა ან საკმარისად არ გაზრდილა. მეორე მხრივ, მე უკვე აღვნიშნე ჩემს მოხსენებაში საბჭოების VIII ყრილობაზე ის გარემოება, რომ მაშინ ჩვენ მართებულად და წარმატებით ვიყენებდით იძულებას, როცა ვახერხებდით მისთვის ჯერ დარწმუნების ბაზის შექმნას. უნდა ვთქვა, რომ ტროცკისა და ბუხარინს ეს უმნიშვნელოვანესი მოსაზრება სრულიად არ მიუღიათ მხედველობაში.

შევუქმენით თუ არა ჩვენ დარწმუნების საკმაოდ ფართო და მტკიცე ბაზა ყველა ახალ საწარმოო ამოცანას? არა, ჩვენ მხოლოდ ახლაღა ვიწყებთ ამას. მასები ჩვენ ჯერ კიდევ არ ჩაგვიბამს. შეუძლიათ კი მასებს ერთბაშად გადავიდნენ ამ ახალ დავალებებზე? არ შეუძლიათ, რადგან, ვთქვათ, იმ საკითხს, საჭიროა თუ არა ვრანგელ-მემამულის გადაგდება, საჭიროა თუ არა ამისათვის მსხვერპლის დაშურება, ასეთ საკითხს განსაკუთრებული პროპაგანდა როდი სჭირდება. ხოლო რაც შეეხება პროფესიული კავშირების საწარმოო

როლის საკითხს, თუ მხედველობაში მივიღებთ არა «პრინ-ციპულ» საკითხს, არა მსჯელობას «საბჭოთა ტრედუნიონი-ზმის» შესახებ და სხვა ამგვარ ჩმახვას, თუ მხედველობაში მივიღებთ საკითხის საქმიან მხარეს, უნდა ითქვას, რომ ჩვენ სულ ახლა დავიწყეთ ამ საკითხის დამუშავება, ჩვენ სულ ახლა შევქმენით საწარმოო პროპაგანდისათვის დაწესებულება; ჯერ კიდევ არა გვაქვს გამოცდილება. ნატურპრემიები ჩვენ შემოვიღეთ, მაგრამ გამოცდილება ჯერ კიდევ არა გვაქვს. დისციპლინარული სასამართლოები ჩვენ შევქმენით, მაგრამ შედეგები ჯერჯერობით არ ვიცით. პოლიტიკური თვალსაზრისით კი სწორედ მასების მომზადებაა ყველაზე მნიშვნელოვანი. მომზადებულია, შესწავლილია, მოფიქრებული და აწონ-დაწონილია თუ არა საკითხი ამ მხრივ? ძალიან ნაკლებად. და ეს არის ძირითადი, უღრმესი და სახიფათო პოლიტიკური შეცდომა, რადგან აქ უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა საკითხში, უნდა მივდიოთ წესს: «შვიდჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერ», აქ კი ჭრას ისე შეუდგნენ, რომ ერთხელაც არ გაუზომიათ. ამბობენ, «პარტიამ ორი ტენდენციიდან ერთი უნდა აირჩიოსო», მაგრამ ჯერ ერთხელაც არ გაუზომიათ, თანაც გამოიგონეს ყალბი ლოზუნგი — «საწარმოო დემოკრატია».

უნდა შევიგნოთ ამ ლოზუნგის მნიშვნელობა განსაკუთრებით ისეთ პოლიტიკურ მომენტში, როდესაც ბიუროკრატიზმი მასების წინაშე თვალნათლივ დადგა და როდესაც საკითხი მის შესახებ დღის წესრიგში გვაქვს დასმული. ამხ. ტროცკი თეზისებში ამბობს, რომ მუშათა დემოკრატიის საკითხში ყრილობას დარჩენია «მხოლოდ ერთსულოვნად დაადასტუროსო». ეს მართალი არ არის. დადასტურება არ კმარა. დადასტურება ნიშნავს იმის განმტკიცებას, რაც საესებით აწონილ-დაწონილი და გაზომილია, ამავე დროს კი საწარმოო დემოკრატიის საკითხი სრულიადაც არ არის ბოლომდე აწონილ-დაწონილი, გამოცდილი, შემოწმებული. ერთი იფიქრეთ, რანაირი აზრი შეიძლება შეექმნათ მასებს,

როდესაც მათ «საწარმოო დემოკრატიის» ლოზუნგს სთავაზობენ.

«ჩვენ, საშუალო, მასობრივი მუშაკები, ვამბობთ, რომ საჭიროა განახლება, საჭიროა გამოსწორება, საჭიროა ბიუროკრატების განდევნა, შენ კი ლაპარაკით გულს მიწყალებ, ხელი მოჰკიდე წარმოებასო, დემოკრატია გამოაჩინე წარმოების წარმატებებითო, მაგრამ მე მსურს წარმოებას ხელი მოვკიდო არა ასეთი ბიუროკრატიული შემადგენლობის გამგეობებთან, მთავარ კომიტეტებთან და სხვ., არამედ სხვა შემადგენლობასთან ერთად». თქვენ მასებს საშუალება არ მიეცით, რომ ელაპარაკნათ, შეეთვისებინათ, მოეფიქრათ, თქვენ პარტიას საშუალება არ მიეცით შეეძინა ახალი გამოცდილება, და უკვე ჩქარობთ, ამლაშებთ, ქმნით ფორმულებს, რომლებიც თეორიულად ყალბია. არ იკითხავთ ახლა, როგორ გააღრმავებენ ამ შეცდომას გადამეტებულად ერთგული შემსრულებელნი? პოლიტიკური ხელმძღვანელი პასუხს აგებს არა მარტო იმისათვის, თუ როგორ ხელმძღვანელობს იგი, არამედ იმისათვისაც თუ რას აკეთებენ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფნი. მან ეს ზოგჯერ არ იცის, ხშირად არც სურს იცოდეს, მაგრამ პასუხისმგებლობა მას აწვება.

ახლა გადავალ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (9 ნოემბრის) და დეკემბრის (7 დეკემბრის) პლენუმებზე, რომლებმაც ყველა ეს შეცდომა გამოხატეს უკვე არა როგორც ლოგიკური დანაწევრებანი, დებულებანი, თეორიული მსჯელობანი, არამედ გამოხატეს მოქმედებით. ცენტრალურ კომიტეტში დომხალი და ალიაქოთი შეიქმნა; ეს პირველი შემთხვევაა ჩვენი პარტიის ისტორიაში რევოლუციის დროს, და ეს სახიფათოა. თავიდათავი ის იყო, რომ მოხდა გაორება, გაჩნდა ბუხარინის, პრეობრაჟენსკისა და სერებრიაკოვის «ბუფერული» ჯგუფი, რომელმაც ყველაზე მეტად გვავნო და აგვრიგ-დაგვრია.

გაიხსენეთ «გლავპოლიტპუტის»[10] და ცეკტრანის[11] ისტორია. რკპ 1920 წლის აპრილის IX ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ იქმნება «გლავპოლიტპუტი». «დროებითი»

დაწესებულება, ამასთან «რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ო კ ლ ე ხ ა ნ შ ი» აუცილებლად უნდა მოხდეს ნორმალურ მდგომარეობაზე გადასვლაო [12]. სექტემბერში ვკითხულობთ: «გადადი ნორმალურ მდგომარეობაზეო» *. ნოემბერში (9 ნოემბერს) იკრიბება პლენუმი, და ტროცკის მოაქვს თავისი თეზისები, თავისი მსჯელობა ტრედუნიონიზმის შესახებ. რაც უნდა კარგი იყოს მისი ცალკე ფრაზები საწარმოო პროპაგანდის შესახებ, უნდა თქმულიყო, რომ ყოველივე ეს სრულიადაც არ არის ის, რაც საჭიროა, ეს საქმეს არ ეხება, ნაბიჯია უკან, არ შეიძლება, რომ ახლა ცენტრალურ კომიტეტში ამას მოვანდომოთ დრო. ბუხარინი ამბობს: «ეს ძალიან კარგიაო». შეიძლება ძალიან კარგიც იყოს, მაგრამ ეს კითხვის პასუხი არ არის. ცხარე კამათის შემდეგ იღებენ რეზოლუციას 10 ხმით 4 ხმის წინააღმდეგ, სადაც ზრდილობიანი და ამხანაგური ფორმით ნათქვამია, რომ ცეკტრანმა თვითონ «უკვე დასვა რიგში» «კავშირის შიგნით პროლეტარული დემოკრატიის მეთოდების გაძლიერება და განვითარებაო». იქ ნათქვამია, რომ ცეკტრანმა «ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღოს პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს საერთო მუშაობაში, იგი უნდა შედიოდეს მის შემადგენლობაში სხვა საკავშირო გაერთიანებათა თანაბარი უფლებებით» [14].

რა არის ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილების ძირითადი აზრი? ეს აზრი ნათელია: «ცეკტრანში მომუშავე ამხანაგებო! შეასრულეთ არა მარტო ფორმალურად, არამედ არსებითადაც ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის

* იხ. რკპ ცენტრალური კომიტეტის «იზვესტია» № 26, გვ. 2, ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის რეზოლუცია, პ. 3: «შემდეგ, ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს, რომ სატრანსპორტო კავშირების მძიმე მდგომარეობა, რამაც გამოიწვია «გლავპოლიტპუტის» და «პოლიტვოდის» [13] მუშაობის დასახმარებლად და მოსაგვარებლად დროებითი ბერკეტების შექმნა, ამჟამად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამიტომ ახლა შესაძლებელია და უნდა დაიწყოს კიდეც მუშაობა იმისათვის, რომ ეს ორგანიზაციები მოქცეულ იქნენ კავშირში, როგორც საკავშირო ორგანოები, რომლებიც შეეგუებიან და გაითქვიფებიან საკავშირო აპარატში».

გადაწყვეტილებანი, რათა თქვენი მუშაობით დაეხმაროთ ყველა კავშირს, რათა აღარ დარჩეს ბიუროკრატიზმის, უპირატესობის მინიჭების ნატამალი, აღარ დარჩეს ნატამალი ყოყოჩობისა, როცა ამბობენ: ჩვენ თქვენზე უკეთესნი, თქვენზე მდიდარნი ვართ, უფრო მეტ დახმარებას ვიღებთო».

ამის შემდეგ ჩვენ საქმიან მუშაობაზე გადავდივართ. იქმნება კომისია, მისი შემადგენლობა გამოქვეყნებულია. ტროცკი კომისიიდან გადის, ფუშავს მას, არ სურს იმუშაოს. რატომ? მოტივი ერთია. ლუტოვინოვს ოპოზიციის თამაში უყვარსო. მართალია. ოსინსკისაც აგრეთვე. ეს, სინდისის ქვეშ რომ ვთქვა, არასასიამოვნო თამაშია. მაგრამ განა ეს საბუთია? ოსინსკი თესვის კამპანიას საუცხოოდ უძღვებოდა. მასთან მუშაობა საჭირო იყო, მიუხედავად მისი «ოპოზიციური კამპანიისა», და ასეთი ფანდი, როგორიც კომისიის ჩაშლაა, არის ბიუროკრატიული, არასაბჭოთა, არასოციალისტური, არასწორი, პოლიტიკურად მავნე ფანდი. იმ მომენტში, როდესაც საჭიროა, რომ «ოპოზიციაში» ჯანსაღი და არაჯანსაღისაგან გამოვყოთ, ასეთი ფანდი სამგზის უმართებულო და პოლიტიკურად მავნეა. როდესაც ოსინსკი «ოპოზიციურ კამპანიას» აწარმოებს, — მე მას ვეუბნები: «მავნე კამპანიაა», ხოლო როცა ის თესვის კამპანიას აწარმოებს, სიამოვნებისაგან თითს ილოკავ. ლუტოვინოვი რომ თავის «ოპოზიციურ კამპანიაში» შეცდომას სჩადის, ისევე როგორც იშჩენკო და შლიაპნიკოვი, ამას მე არასოდეს არ უარვყოფ, მაგრამ ამის გამო კომისიის ჩაშლა არ შეიძლება.

ამავე დროს კი, რას ნიშნავდა ეს კომისია? იგი ნიშნავდა ფუჭ უთანხმოებათა შესახებ ინტელიგენტური ყბედობიდან საქმიან მუშაობაზე გადასვლას. საწარმოო პროპაგანდა, პრემიები, დისციპლინარული სასამართლოები — აი რაზე უნდა ელაპარაკნა და რაზე უნდა ემუშავნა კომისიას. აქ ამხ. ბუხარინმა, «ბუფერული ჯგუფის» მეთაურმა, პრეობრაჟენსკისთან და სერებრიაკოვთან ერთად, ცენტრალურ კომიტეტში არსებული საშიშარი გაორება რომ დაინახა, დაიწყო ბუფერის შექმნა, ისეთი ბუფერისა, რომ მე მიძნელდება

პარლამენტური სიტყვის გამოძებნა ამ ბუფერის დასახასიათებლად. მე რომ ამხ. ბუხარინივით კარიკატურის ხატვა ვიცოდე, ამხ. ბუხარინს შემდეგნაირად დავხატავდი: ხელში ნავთით სავსე ვედროიანი კაცი, რომელიც ამ ნავთს ასხამს ცეცხლზე, და ქვეშ მოვაწერდი: «ბუფერული ნავთი». ამხ. ბუხარინს უნდოდა რაღაცა შეექმნა; ეჭვს გარეშეა, რომ მას მეტად გულწრფელი და «ბუფერული» სურვილი ჰქონდა. მაგრამ ბუფერი არ გამოუვიდა, არამედ გამოვიდა ის, რომ მან პოლიტიკური მომენტი ვერ გაითვალისწინა და, გარდა ამისა, თეორიული შეცდომები ჩაიდინა.

საჭირო იყო თუ არა ყოველივე ასეთი დავის ფართო დისკუსიაზე გამოტანა? ამ უსაქმურობით გართვა? ჩვენთვის საჭირო კვირეების დაკარგვა პარტიული ყრილობის წინ? ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შეგვეძლო დაგვემუშავებინა და შეგვესწავლა პრემიების, დისციპლინარული სასამართლოების, შეხორცების საკითხი. აი ამ საკითხებს გადავწყვეტდით ჩვენ საქმიანად ცენტრალური კომიტეტის კომისიაში. თუ ამხ. ბუხარინს ბუფერის შექმნა სურდა და არ უნდოდა ჩავარდნილიყო იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელზედაც იტყვიან: «ერთ ოთახს ეძებდა, მეორეში კი მოხვდაო», მაშინ მას ხმა უნდა ამოეღო და დაჟინებით მოეთხოვა, რომ ამხ. ტროცკი კომისიაში დარჩენილიყო. აი, ეს რომ მას ეთქვა და გაეკეთებინა, მაშინ ჩვენ საქმიან გზას დავადგებოდით, მაშინ ჩვენ ამ კომისიაში გავარჩევდით, თუ როგორია სინამდვილეში ერთმმართველობა, როგორია დემოკრატია, როგორი არიან დანიშნულნი და სხვ.

შემდეგ. დეკემბერში (7 დეკემბრის პლენუმი) უკვე უთანხმოება ჩამოვარდა წყალტრანსპორტელებთან, რამაც გაძლიერა კონფლიქტი, და ამის შედეგად ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი 7 ხმის წინააღმდეგ უკვე 8 ხმა გამოვიდა. ამხ. ბუხარინმა ნაჩქარევად დაწერა დეკემბრის პლენუმის რეზოლუციის «თეორიული» ნაწილი, იგი ცდილობდა «მორიგებას» და «ბუფერის» გამოყენებას, მაგრამ, ცხადია, კომისიის ჩაშლის შემდეგ აქედან არა გამოვიდოდა რა.

უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელი პასუხს აგებს არა მარტო თავისი პოლიტიკისათვის, არამედ იმისთვისაც, რასაც მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფნი აკეთებენ.

რა იყო «გლავპოლიტპუტისა» და ცეკტრანის შეცდომა? სრულიადაც არა ის, რომ ისინი იძულებას მიმართავდნენ. ეს, პირიქით, მათი დამსახურება იყო. მათ შეცდომას ის შეადგენდა, რომ მათ ვერ მოახერხეს დროზე და უკონფლიქტოდ გადასულიყვნენ ნორმალურ პროფკავშირულ მუშაობაზე, როგორც ამას რკპ IX ყრილობა მოითხოვდა, მათ ვერ მოახერხეს ჯეროვნად შეგუებოდნენ პროფკავშირებს, ვერ მოახერხეს დახმარებოდნენ მათ და თანასწორუფლებიანი ურთიერთობა დაემყარებინათ მათთან. არის საგულისხმო სამხედრო გამოცდილება: გმირობა, მუყაითობა და სხვ.. არის სამხედროთაგან უვარგისი ელემენტების გამოცდილებაში ცუდი მხარეები: ბიუროკრატიზმი, ყოყოჩობა. ტროცკის თეზისები, წინააღმდეგ მისი შეგნებისა და ნებისა, მხარს უჭერენ სამხედრო გამოცდილების არა უკეთეს, არამედ უარეს მხარეებს. უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელი პასუხს აგებს არა მარტო თავისი პოლიტიკისათვის, არამედ იმისთვისაც, რასაც მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფნი აკეთებენ.

უკანასკნელი, რაც მინდოდა თქვენთვის მეთქვა და რისთვისაც გუშინ იძულებული ვიყავი ჩემივე თავი გამელანძღა, ეს ისაა, რომ მე გამომეპარა ამხ. რუძუტაკის თეზისები. რუძუტაკს ის ნაკლი აქვს, რომ მან არ იცის ხმამაღლა, რიხიანად, ლამაზად ლაპარაკი. ვერ შეამჩნევ, ახლოსაც რომ ჩაგიაროს. გუშინ, რაკი არ შემეძლო კრებას დავსწრებოდი, ვათვალიერებდი ჩემს მასალებს და იქ ვიპოვნე დაბეჭდილი ფურცელი, გამოცემული პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციისათვის, რომელიც · 1920 წლის 2 — 6 ნოემბერს შედგა [15]. ამ ფურცლის სათაურია: «პროფკავშირთა საწარმოო ამოცანები». წაგიკითხავთ მთლად ამ ფურცელს, იგი დიდი არ არის:

პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციისათვის

პროფკავშირთა საწარმოო ამოცანები

(ამხ. რუძუტაკის მოხსენების თეზისები)

1. უშუალოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პროფესიული კავშირები თითქმის ერთადერთი ორგანოები აღმოჩნდნენ, რომლებსაც მუშათა კონტროლის გატარებასთან ერთად შეეძლოთ ეკისრნათ და უნდა ეკისრნათ კიდეც მუშაობა წარმოების ორგანიზებისა და მართვისათვის. სახალხო მეურნეობის მართვის სახელმწიფო აპარატი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული, ხოლო საწარმოების პატრონთა და უმაღლესი ტექნიკური პერსონალის საბოტაჟი მუშათა კლასის წინაშე მწვავედ აყენებდა მრეწველობის შენარჩუნებისა და ქვეყნის მთელი სამეურნეო აპარატის ნორმალური მოქმედების აღდგენის ამოცანებს.

2. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მუშაობის შემდგომ პერიოდში, როდესაც ამ მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრებოდა კერძო საწარმოთა ლიკვიდაციით და მათი სახელმწიფო მართვის მოწყობით, პროფესიული კავშირები ამ მუშაობას ეწეოდნენ ეკონომიური მმართველობის სახელმწიფო ორგანოების გვერდით და მათთან ერთად.

სახელმწიფო ორგანოების სისუსტე არა თუ ხსნიდა, არამედ ამართლებდა კიდეც ამგვარ პარალელიზმს; ისტორიულად იგი გაამართლა პროფკავშირებსა და ეკონომიური მმართველობის ორგანოებს შორის სრული კონტაქტის დამყარების ფაქტმა.

3. სახელმწიფო ეკონომიური ორგანოების მმართველობამ, მათ მიერ წარმოებისა და მმართველობის აპარატის თანდათანმა დაუფლებამ, ამ აპარატის ცალკე ნაწილების შეწყობამ, — ყოველივე ამან ამ ორგანოებში გადაიტანა იმ მუშაობის სიმძიმის ცენტრი, რომელსაც მრეწველობის მართვა და საწარმოო პროგრამის შემუშავება მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით, პროფკავშირების მუშაობა წარმოების მოწყობის დარგში განისაზღვრა მთავარი კომიტეტების, ცენტრებისა და საქარხნო სამმართველოების კოლეგიათა შედგენაში მონაწილეობით.

4. ამჟამად ჩვენ ხელახლა უშუალოდ მივადექით საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოებსა და პროფკავშირებს შორის უმჭიდროესი კავშირის დამყარების საკითხს, როდესაც აუცილებელია რადაც უნდა დაჯდეს მიზანშეწონილად გამოვიყენოთ თვითეული შრომითი ერთეული, შეგნებული მონაწილეობა მივაღებინოთ წარმოების პროცესში მწარმოებელთა მთელ მასას ერთობლივ; როდესაც ეკონომიური მმართველობის სახელ-

მწიფო აპარატი, რომელიც თანდათან იზრდება და რთულდება, გადაიქცა თანაშეუზომელ, თვით წარმოებასთან შედარებით უზარმაზარ ბიუროკრატიულ მანქანად, — ახლა ყოველივე ეს იძულებულს ხდის პროფკავშირებს უშუალო მონაწილეობა მიიღონ წარმოების მოწყობაში არა მარტო პერსონალური წარმომადგენლობით ეკონომიურ ორგანოებში, არამედ როგორც ორგანიზაციამ მთლიანად.

5. თუ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საერთო საწარმოო პროგრამის დადგენას უდგება ისე, რომ ეყრდნობა წარმოების მატერიალური ელემენტების არსებობას (ნედლეული, სათბობი, მანქანათა მდგომარეობა და სხვ.), პროფესიული კავშირები ამ საკითხს უნდა მიუდგნენ იმ თვალსაზრისით, რომ მოაწყონ შრომა საწარმოო ამოცანებისათვის და მიზანშეწონილად გამოიყენონ იგი. ამიტომ საერთო საწარმოო პროგრამა ნაწილ-ნაწილად და მთლიანადაც უნდა შედგენილ იქნეს პროფკავშირებისაუცილებელი მონაწილეობით, რათა რაც შეიძლება უფრო მიზანშეწონილად შევახამოთ წარმოების მატერიალური რესურსებისა და შრომის გამოყენება.

6. ნამდვილი შრომითი დისციპლინის შემოღება, შრომითს დეზერტირობასთან წარმატებით ბრძოლა და ა. შ. შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოების მონაწილეთა მთელი მასა შეგნებულად მონაწილეობს ამ ამოცანების განხორციელებაში. ამას ვერ მივაღწევთ ბიუროკრატიული მეთოდებით და ზემოდან გაცემული ბრძანებებით, არამედ საჭიროა, რათა წარმოების ყოველმა მონაწილემ შეიგნოს მის მიერ შესასრულებელი საწარმოო ამოცანების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა; რათა წარმოების ყოველი მონაწილე არა მარტო მონაწილეობდეს ზემოდან მოცემულ დავალებათა შესრულებაში, არამედ შეგნებულადაც იღებდეს მონაწილეობას წარმოების დარგში არსებული ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული ნაკლის გამოსწორებაში.

დიდია პროფკავშირების ამოცანები ამ დარგში. მათ ყოველ საამქროში, ყოველ ფაბრიკაში უნდა ასწავლონ თავიანთ წევრებს სამუშაო ძალის გამოყენებაში ყველა იმ ნაკლის შემჩნევა და აღრიცხვა, რაც გამომდინარეობს ტექნიკურ საშუალებათა არასწორად გამოყენებისაგან ან არადამაკმაყოფილებელი ადმინისტრაციული მუშაობისაგან. ცალკეული საწარმოებისა და წარმოების მთელი გამოცდილება გამოყენებულ უნდა იქნეს საქმის გაჯანჯლების, დაუდევრობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

7. რათა განსაკუთრებულად ხაზი გაესვას ამ საწარმოო ამოცანების დიდ მნიშვნელობას, ორგანიზაციულად მათ განსაზღვრული ადგილი უნდა მივუჩინოთ მიმდინარე განსაზღვრულ მუშაობაში. ეკონომიური

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი, რომლებიც III სრულიად რუსეთის ყრილობის დადგენილების თანახმად, იქმნება პროფკავშირებთან, გაშლიან რა თავიანთ მუშაობას, თანდათან უნდა აშუქებდნენ და განსაზღვრავდნენ მთელი საკავშირო მუშაობის ხასიათს. ასე, მაგალითად, თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებში, როდესაც მთელი წარმოება მიმართულია თვით მშრომელთა საჭიროების დაკმაყოფილებისაკენ, ტ ა რ ი ფ ი დ ა პ რ ე მ ი ე ბ ი ს გ ა ც ე მ ა უ ა ღ რ ე ს ა დ მ ჭ ი დ რ ო დ დ ა კ ა ვ შ ი რ ებ უ ლ ი დ ა დ ა მ ო კ ი დ ებ უ ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს ი მ ა ზ ე, თ უ რ ა მ დ ე ნ ა დ ს რ უ ლ დ ე ბ ა ს ა წ ა რ მ ო ო ბ ა.

8. პროფკავშირთა მუშაობის ასე დაყენებამ, ერთი მხრივ, ბოლო უნდა მოუღოს პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო ე ბ ი ს არსებობას (პ ო ლ ი ტ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა ნ ი დ ა ს ხ ვ.), ხოლო მეორე მხრივ — უნდა აღადგინოს მასების მჭიდრო კავშირი ეკონომიური მმართველობის ორგანოებთან.

9. III ყრილობის შემდეგ კავშირებმა ვერ მოახერხეს თავიანთი პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელება, პროგრამისა, რომელიც ეხება მათ მონაწილეობას სახალხო მეურნეობის მშენებლობის საქმეში, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, ს ა მ ხ ე დ რ ო პ ი რ ო ბ ებ ი თ, მეორე მხრივ, პროფკავშირთა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი ს ი ს უ ს ტ ი თ და იმით, რომ ისინი მოწყვეტილი იყვნენ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ და პრაქტიკულ მუშაობას.

10. ამასთან დაკავშირებით პროფკავშირებმა შემდეგი უახლოესი პრაქტიკული ამოცანები უნდა დაისახონ: ა) უაღრესად აქტიური მონაწილეობა წარმოებისა და მმართველობის საკითხების გადაწყვეტაში; ბ) უშუალო მონაწილეობა სათანადო სამეურნეო ორგანოებთან ერთად მმართველობის კ ო მ პ ე ტ ე ნ ტ უ რ ი ორგანოების მ ო წ ყ ო ბ ა შ ი; გ) მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს სხვადასხვა ტ ი პ ი ს გულდასმით აღრიცხვა და გავლენა წარმოებაზე; დ) აუცილებელი მონაწილეობა სამეურნეო გ ე გ მ ებ ი ს ა და საწარმოო პროგრამების შემუშავებასა და დადგენაში; ე) შ რ ო მ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა სამეურნეო ამოცანების დაკვრით ხასიათთან დაკავშირებით; ვ) ს ა წ ა რ მ ო ო ა გ ი ტ ა ც ი ი ს ა და პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს ფართო ორგანიზაციის განვითარება.

11. კ ა ვ შ ი რ ებ თ ა ნ და საკავშირო ორგანიზაციებთან არსებული ეკონომიური განყოფილებანი ნამდვილად უნდა გადავაქციოთ წარმოების მოწყობაში კავშირების გეგმაშეწონილი მონაწილეობის სწრაფად მოქმედ მძლავრ ბერკეტებად.

12. მუშათა მატერიალური უზრუნველყოფის გეგმაშეწონილობის საქმეში კავშირებმა თავიანთი გ ა ვ ლ ე ნ ა უნდა გადაიტანონ ს უ რ-

სათის კომისარიატის განმანაწილებელ ორგანოებზე, როგორც ადგილობრივზე, ისე ცენტრალურზე; მათ უნდა განახორციელონ პრაქტიკული და საქმიანი მონაწილეობა და კონტროლი ყველა განმანაწილებელ ორგანოში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშათა მომარაგების ცენტრალური და საგუბერნიო კომისიების საქმიანობას.

13. რადგან ეგრეთწოდებულმა «დამკვრელობამ», ცალკეული მთავარი კომიტეტების, ცენტრების და სხვათა ვიწრო უწყებრივ მისწრაფებათა წყალობით, უკვე მიიღო ფრიად არეულ-დარეული ხასიათი, კავშირებმა ყველგან უნდა დაიცვან დამკვრელობის ნამდვილად გატარება მეურნეობაში და დამკვრელობის განსაზღვრის არსებული სისტემის გადასინჯვა წარმოების მნიშვნელობისა და ქვეყნის მატერიალური რესურსების ოდენობის მიხედვით.

14. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოთა ეგრეთწოდებულ სანიმუშო ჯგუფს; ასეთი საწარმოები კომპეტენტური მმართველობის შექმნის, შრომის დისციპლინისა და საკავშირო ორგანიზაციის მუშაობის საშუალებით მართლაც სანიმუშო საწარმოებად უნდა გადავაქციოთ.

15. შრომის ორგანიზაციის საქმეში, გარდა სატარიფო ღონისძიებათა ჩამოყალიბებისა მწყობრ სისტემად, გამომუშავების ნორმის ყოველმხრივ გადასინჯვისა, კავშირებმა მტკიცედ უნდა აიღონ თავიანთ ხელში შრომის დეზერტირობის ცალკეულ სახეებთან (გაცდენა, დაგვიანება და ა. შ.) ბრძოლის მთელი საქმე. დისციპლინარული სასამართლოები, რომლებსაც აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, უნდა გადავაქციოთ პროლეტარული შრომითი დისციპლინის დარღვევასთან ბრძოლის ნამდვილ საშუალებად.

16. ჩამოთვლილი ამოცანების შესრულება, ისევე როგორც შემუშავება საწარმოო პროგრამის პრაქტიკული გეგმისა და მთელი რიგი ღონისძიებებისა მუშების ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უნდა დაეკისროთ ეკონომიურ განყოფილებებს. ამიტომ აუცილებელია დაევალოს პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს ეკონომიურ განყოფილებას უახლოეს დროში მოიწვიოს ეკონომიურ განყოფილებათა სრულიად რუსეთის სპეციალური თათბირი, რომელმაც უნდა განიხილოს სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკული საკითხები სახელმწიფო ეკონომიური ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებით.

იმედი მაქვს, რომ ახლა მიხვდებით, რატომ მომიხდა მე ჩემივე თავის გალანძღვა. აი ეს არის პლატფორმა, იგი ასკეცად სჯობია იმასაც, რაც ამხ. ტროცკის მრავალგზის

მოფიქრების შემდეგ დაუწერია, და იმასაც, რაც სრულიად მოუფიქრებლად დაუწერია ამხ. ბუხარინს (7 დეკემბრის პლენუმის რეზოლუცია). ჩვენ ყველამ, ცეკისტებმა, რომლებსაც მრავალი წლის მანძილზე არ გვიმუშავნია პროფმოძრაობაში, უნდა ვისწავლოთ ამხ. რუძუტაკისაგან, ამხ. ტროცკისაც და ამხ. ბუხარინსაც მართებთ ისწავლონ მისგან. ეს პლატფორმა პროფკავშირებმა მიიღეს.

დისციპლინარული სასამართლოები ჩვენ ყველას დაგვავიწყდა, ხოლო «საწარმოო დემოკრატია» ნატურპრემიების, დისციპლინარული სასამართლოების გარეშე მარტოოდენ ლაყბობაა.

რუძუტაკის თეზისებს მე ვადარებ ტროცკის თეზისებს, რომლებიც მან ცენტრალურ კომიტეტში წარმოადგინა. მე-5 თეზისის ბოლოში ვკითხულობთ:

...«აუცილებელია ახლავე შევუდგეთ კავშირების რეორგანიზაციას, ე. ი. უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი პერსონალის შერჩევას სწორედ ამ თვალსაზრისით»...

აი ნამდვილი ბიუროკრატიზმი! ტროცკიმ და კრესტინსკიმ უნდა შეარჩიონ პროფკავშირების «ხელმძღვანელი პერსონალი»!

ერთხელ კიდევ: აი განმარტება ცეკტრანის შეცდომისა. მისი შეცდომა ის კი არ არის, რომ იგი ზეგავლენას ახდენდა, ეს მისი დამსახურებაა. მისი შეცდომა ის არის, რომ მან ვერ შეძლო მიდგომოდა ყველა პროფკავშირის საერთო ამოცანებს, ვერ შეძლო თვითონ გადასულიყო და ყველა პროფკავშირსაც დახმარებოდა გადასულიყვნენ საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოების უფრო მართებულად, სწრაფად და წარმატებით გამოყენებაზე. როდესაც მე ამხ. რუძუტაკის თეზისებში დისციპლინარულ სასამართლოებზე წავიკითხე, გავიფიქრე: ალბათ, უკვე არის დეკრეტი ამის შესახებ-მეთქი. და აღმოჩნდა, რომ დეკრეტი არის. «მუშათა დისციპლინარული საამხანაგო სასამართლოების დ ე ბ უ ლ ე ბ ა» გამოცემულია 1919 წლის 14 ნოემბერს (კანონთა კრებული № 537).

ამ სასამართლოებში უმნიშვნელოვანესი როლი პროფკავშირებს აქვთ მიკუთვნებული. კარგია თუ არა ეს სასამართლოები, რამდენად წარმატებით მოქმედებენ ან ყოველთვის მოქმედებენ თუ არა ისინი, მე არ ვიცი. ჩვენ რომ ჩვენსავე საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას ვსწავლობდეთ, ეს მილიონჯერ უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე ყოველივე ის, რაც ამხ. ტროცკისა და ბუხარინს დაუწერიათ.

მე ვათავებ. ვაჯამებ რა ყოველივე იმას, რაც ამ საკითხზე მოიპოვება, უნდა ვთქვა, რომ ამ უთანხმოებათა გამოტანა ფართო პარტიულ დისკუსიაზე და პარტიულ ყრილობაზე უდიდესი შეცდომაა. პოლიტიკურად ეს შეცდომაა. კომისიაში და მხოლოდ კომისიაში გვექნებოდა ჩვენ საქმიანი მსჯელობა და წინაც წავიწევდით, ახლა კი ჩვენ უკან მივდივართ და რამდენიმე კვირას ვივლით უკან — აბსტრაქტული თეორიული დებულებებისაკენ, ნაცვლად იმისა, რომ ამოცანას საქმიანად მივდგომოდით. რაც მე შემეხება, საშინლად მომბეზრდა ყოველივე ეს, და უდიდესი სიამოვნებით მოვცილდებოდი ყოველივე ამას მიუხედავად ავადმყოფობისა; მე მზად ვარ წავიდე, სადაც გნებავთ, ოღონდ ამას თავი დავაღწიო.

დასკვნა: ტროცკისა და ბუხარინის თეზისებში არის მთელი რიგი თეორიული შეცდომები. მთელი რიგი პრინციპული უსწორობანი. პოლიტიკურად საქმისადმი მთელი მიდგომა სულ მთლად უტაქტობაა. ამხ. ტროცკის «თეზისები» პოლიტიკურად მავნე რამეა. მისი პოლიტიკა, საერთოდ აღებული, პროფკავშირების ბიუროკრატიული ჩხიკინის პოლიტიკაა. და ჩვენი პარტიული ყრილობა, დარწმუნებული ვარ, ამ პოლიტიკას დაგმობს და უკუაგდებს (მ ქ უ ხ ა რ ე, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

დაიბეჭდა 1921 წელს
ცალკე ბროშურად

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
ვ. ი. ლენინის მიერ გასწორებულ
სტენოგრამასთან

პარტიის კრიზისი

ყრილობისწინა დისკუსია უკვე საკმარისად ფართოდ გაიშალა. აზრთა პატარა სხვადასხვაობიდან და უთანხმოებიდან წარმოიშვა აზრთა დიდი სხვადასხვაობა და უთანხმოება, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე, როდესაც პატარა შეცდომას დაჟინებით იცავენ და მთელი ძალ-ღონით წინააღმდეგობას უწევენ მის გამოსწორებას, ანდა როდესაც ერთი ან რამდენიმე კაცის პატარა შეცდომას ჩაებღაუჭებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც დიდ შეცდომას სჩადიან.

ასე იზრდება ყოველთვის უთანხმოება და გათიშვა. ჩვენ ასე «გავიზარდეთ» პატარა უთანხმოებათაგან სინდიკალიზმამდე, რომელიც ნიშნავს კომუნიზმთან კავშირის სავსებით გაწყვეტას და პარტიის გარდუვალ გათიშვას, თუ პარტია საკმაოდ ჯანსაღი და ძლიერი არ აღმოჩნდება, რომ ავადმყოფობისაგან სწრაფად და რადიკალურად განიკურნოს.

უნდა გვქონდეს მამაცობა, რომ პირდაპირ გავუსწოროთ თვალი მწარე ჭეშმარიტებას. პარტია ავადაა. პარტია ციებცხელებას განიცდის. მთელი საკითხი ის არის, მოდებული აქვს ავადმყოფობა მარტო «ციებაშეყრილ ზედაფენებს», შეიძლება, მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვისას, თუ ავადმყოფობა მთელ ორგანიზმს აქვს გამჯდარი. და ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უნარი შესწევს თუ არა ორგანიზმს რამდენიმე კვირაში (პარტიულ ყრილობამდე და პარტიულ ყრილობაზე) საკვებით განიკურნოს და შეუძლებელი გახადოს ავადმყო-

ფობის განმეორება, თუ ავადმყოფობა გაჭიანურდება და საშიშარი გახდება.

რა უნდა გავაკეთოთ, რომ უსწრაფეს და ფრიად უტყუარ განკურნებას მივაღწიოთ? საჭიროა, რათა პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრი სრული გულდამშვიდებითა და უდიდესი გულმოდგინებით შეუდგეს 1) უთანხმოებათა არსისა და 2) პარტიული ბრძოლის განვითარების შ ე ს წ ა ვ ლ ა ს. აუცილებელია ერთიც და მეორეც, რადგან უთანხმოებათა არსი ბ რ ძ ო ლ ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა შ ი გაიშლება, გაირკვევა და დაკონკრეტდება ხოლმე (ამასთან ძალიან ხშირად იცვლება კიდეც); ეს ბრძოლა, გადის რა სხვადასხვა ეტაპს, ყოველთვის გვიჩვენებს თვითეულ ეტაპზე მებრძოლთა ა რ ა ერთნაირ შემადგენლობასა და რიცხვს, ა რ ა ერთნაირ პოზიციებს ბრძოლაში და ა. შ.. საჭიროა შ ე ვ ი ს წ ა ვ ლ ო თ ერთიც და მეორეც, ამასთან აუცილებლად უნდა მოვითხოვოთ ფრიად ზუსტი, დაბეჭდილი, შესამოწმებლად ყოველმხრივ ხელმისაწვდომი დოკუმენტები. ვისაც სიტყვისა სჯერა, ის გამოუსწორებელი იდიოტია, რომელზედაც ხელს ჩაიქნევენ ხოლმე. თუ დოკუმენტები ა რ ა რ ი ს, საჭიროა ო რ ი ვ ე ან რამდენიმე მხარის მოწმეთა დაკითხვა და აუცილებლად «დაკითხვა სასტიკად» და დაკითხვა მოწმეთა დასწრებით.

შეეცდები მოეხაზო კონსპექტი იმისა, თუ რანაირად მესმის მე როგორც უთანხმოებათა არსი, ისე ბრძოლის ეტაპების ცვლა.

1-ლი ეტაპი. პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენცია, 2 — 6 ნოემბერი. **ბრძოლის დასაწყისი.** ერთადერთი «მებრძოლნი» ცეკისტებიდან ტროცკი და ტომსკი არიან. ტროცკიმ წამოისროლა «მოსწრებული სიტყვა» პროფკავშირთა «შებერტყვის» შესახებ. ტომსკი ცხარედ დავობდა. ცეკისტების უმრავლესობა თვალყურს ადევნებს. მათი (და უწინარეს ყოვლისა ჩემი) უდიდესი შეცდომა იყო ის, რომ ჩვენ «გამოგვეპარა» რუძუტაკის თეზისები «პროფკავშირთა საწარმოო ამოცანების შესახებ», მიღებული V კონფერენციის

მიერ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია მთელ დავაში.

მე-2 ეტაპი. ცენტრალური კომიტეტის 9 ნოემბრის პლენუმი. ტროცკის შემოაქვს «თეზისების შავად დაწერილი მონასახი»: «პროფკავშირები და მათი შემდგომი როლი», სადაც ტარდება «შებერტყვის» პოლიტიკა, რომელიც დაფარული ან შელამაზებულია მსჯელობით პროფკავშირთა «უმძიმეს კრიზისზე» და ახალ ამოცანებსა და მეთოდებზე. ტომსკის, რომელსაც ძალიან უჭერს მხარს ლენინი, დავის სიმძიმის ცენტრად მიაჩნია სწორედ «შებერტყვა», ცეკტრანის უმართებულო მოქმედებასა და ბიუროკრატიზმის გადაჭარბებასთან დაკავშირებით. ამასთან დავის დროს ზოგიერთ, აშკარად გაზვიადებულ და ამიტომ შემცდარ «გამოლაშქრებას» ახდენს ლენინი, რის გამოც აუცილებელი ხდება «ბუფერული ჯგუფი», რომელიც კიდევაც იქმნება 10 ცეკისტის შემადგენლობით (სადაც შედიან ბუხარინიც და ზინოვიევიც, არ შედის არც ტროცკი, არც ლენინი). «ბუფერი» ადგენს: «ნუ გამოვიტანთ ფართო მსჯელობის საგნად უთანხმოებებსო», და, მოხსნისრა ლენინის მოხსენებას (პროფკავშირებში), მომხსენებლად ნიშნავს ზინოვიევს და ავალებს მას «გააკეთოს საქმიანი, არა პოლემიკური მოხსენება».

ტროცკის თეზისები უარყოფილია. მიღებულია ლენინის თეზისები. საბოლოო ფორმით რეზოლუცია გადის 10 ხმით 4-ის წინააღმდეგ (ტროცკი, ანდრეევი, კრესტინსკი, რიკოვი). და ეს რეზოლუცია იცავს «შრომის მილიტარიზაციის საღ ფორმებს», გმობს «ცენტრალიზმის და მუშაობის მილიტარიზებული ფორმების გადაგვარებას ბიუროკრატიზმად, თვითნებობად, კაზიონურობად» და ა. შ.. ცეკტრანს ევალება «მიიღოს უფრო აქტიური მონაწილეობა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს საერთო მუშაობაში და შევიდეს მის შემადგენლობაში სხვა საკავშირო გაერთიანებათა თანაბარი უფლებებით».

ცენტრალური კომიტეტი ირჩევს პროფესიონალისტურ კომისიას, რომელშიც შეიყვანს ამხ. ტროცკის. ტროცკი უარს ამბობს ამ კომისიაში მუშაობაზე, და მ ხ ო ლ ო დ ეს ნაბიჯი იწვევს ამხ. ტროცკის პირვანდელი შეცდომის გადიდებას, რომელიც შემდეგში ფრაქციულობად იქცევა. ეს ნაბიჯი რომ არა, ამხ. ტროცკის შეცდომა (არასწორი თეზისების წარმოდგენა) მეტად მცირე შეცდომაა, ისეთი შეცდომა, როგორიც სრულიად გამოუკლებლივ ყველა ცეკისტს ჩაუდენია.

მე-3 ეტაპი. წყალტრანსპორტელთა კონფლიქტი ცეკ-ტრანთან დეკემბერში. ცენტრალური კომიტეტის 7 დეკემბრის პლენუმი. მთავარ «მებრძოლებად» გამოდიან უკვე არა ტროცკი და ლენინი, არამედ ტროცკი და ზინოვიევი. ზინოვიევი, როგორც პროფკომისიის თავმჯდომარე, არჩევდა წყალტრანსპორტელთა დავას ცეკტრანთან დეკემბერში. ცენტრალური კომიტეტის 7 დეკემბრის პლენუმი. ზინოვიევს შემოაქვს პრაქტიკული წინადადება, რომ დაუყოვნებლივ შეიცვალოს ცეკტრანის შემადგენლობა. ცენ-ტრალური კომიტეტის უმრავლესობა ამის წინააღმდეგია. რიკოვი ზინოვიევის მხარეზე გადადის. იღებენ ბუხარინის რეზოლუციას, რომელიც პრაქტიკულ ნაწილში სამი მეოთხედით მხარს უჭერს წყალტრანსპორტელებს, ხოლო შესავალში, უარყოფს რა პროფკავშირების «გარდაქმნას ზემოდან» (პარაგრაფი მე-3), იწონებს ყბადაღებულ «საწარმოო დემოკრატიას» (პარაგრაფი მე-5). ცეკისტების ჩვენი ჯგუფი უმცირესობაში რჩება, იგი ბუხარინის რეზოლუციის წინააღმდეგია უმთავრესად იმიტომ, რომ «ბუფერს» მხოლოდ ქაღალდზე არსებულად თვლის, რადგან პროფკომისიაში ტროცკის მიერ მონაწილეობის მიუღებლობა ფაქტიურად ნიშნავს ბრძოლის განგრძობას და მის გატანას ცენტრალური კომიტეტის ფარგლებს გარეთ. ჩვენ შეგვაქვს წინადადება დაინიშნოს პარტიული ყრილობა 1921 წლის 6 თებერვლისათვის. წინადადება მიღებულია. ყრილობის გადადება 6 მარტისათვის გატარდა უფრო გვიან, შორეული განაპირა კუთხეების მოთხოვნით.

მე-4 ეტაპი. საბჭოების VIII ყრილობა. ტროცკის გამოსვლა 25 დეკემბერს «ბროშურა-პლატფორმით»: «პროფკავშირების როლი და ამოცანები». ფორმალური დემოკრატიზმის თვალსაზრისით ტროცკის უეჭველი უფლება ჰქონდა გამოსულიყო პლატფორმით, რადგან ცენტრალურმა კომიტეტმა 24 დეკემბერს დისკუსიის თავისუფლების ნება დართო. რევოლუციური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით კი ეს უკვე იყო შეცდომის უაღრესად გადიდება, ფ რ ა ქ ც ი ი ს შ ე ქ მ ნ ა მცდარ პლატფორმაზე. ბროშურაში მოყვანილია ცენტრალური კომიტეტის 7 დეკემბრის რეზოლუციიდან მხოლოდ ის, რაც «საწარმოო დემოკრატიას» ეხება, და ა რ არის მოყვანილი ის, რაც ნათქვამია «ზემოდან გარდაქმნის» წინააღმდეგ. ბუხარინის მიერ ტროცკის მხარდაჭერით 7 დეკემბერს შექმნილი ბუფერი ტროცკიმ დაამსხვრია 25 დეკემბერს. ბროშურის მთელი შინაარსი, თავიდან ბოლომდე, სულერთიანად გაჟღენთილია «შებერტყვის» სულისკვეთებით. «ახალი ამოცანები და მეთოდები» კი, რომლებსაც უნდა შეელამაზებინათ ან დაეფარათ ანდა გაემართლებინათ «შებერტყვა», ბროშურამ ვ ე რ გვიჩვენა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ინტელიგენტურ მაღალფარდოვან სიტყვებს («საწარმოო ატმოსფერო», «საწარმოო დემოკრატია»), რაც თეორიულად სწორი არ არის, ხოლო თავისი საქმიანი ნაწილით მთლად შედის საწარმოო პროპაგანდის ცნებაში, ამოცანებში, ფარგლებში.

მე-5 ეტაპი. დისკუსია მთელი რუსეთის მრავალი ათასი პასუხისმგებელი პარტმუშაკის წინაშე, საბჭოების VIII ყრილობის რკპ ფრაქციის სხდომაზე, 30 დეკემბერს. კამათი მთელი სიგრძე-სიგანით ჩაღდება. ერთ მხარეს არიან ზინოვიევი და ლენინი, მეორე მხარეს — ტროცკი და ბუხარინი. ბუხარინს სურს «იბუფეროს», მაგრამ მხოლოდ ლენინისა და ზინოვიევის წინააღმდეგ ლაპარაკობს და კრინტსაც არ ძრავს ტროცკის წინააღმდეგ. ბუხარინი კითხულობს თავისი (16 იანვარს გამოქვეყნებული) თეზისების ნაწყვეტს, მაგრამ მ ხ ო ლ ო დ იმ ნაწყვეტს, სადაც კრინტიც არ არის დაძრული

კომუნიზმთან კავშირის გაწყვეტისა და სინდიკალიზმზე გადასვლის შესახებ. შლიაპნიკოვი აქვეყნებს («მუშათა ოპოზიციის» სახელით) სინდიკალისტურ პლატფორმას [16], რომელიც ამხ. ტროცკიმ უკვე წინასწარ გააკამტვერა (მე-16 თეზისი მისი პლატფორმისა) და რომელიც (ნაწილობრივ, ალბათ, სწორედ ამ მიზეზის გამო) სერიოზულ რამედ არავის მიაჩნია.

30 დეკემბრის მთელი დისკუსიის მთავარ ღერძად მე პირადად რუძუტაკის თეზისების გამოქვეყნება მიმაჩნია. მართლაც: ვერც ამხ. ბუხარინმა, ვერც ამხ. ტროცკიმ ვერათუ ვერ მოახერხეს მათ საწინააღმდეგო რაიმე ეთქვათ, არამედ ლეგენდაც კი შეთხზეს: ამ თეზისების «საუკეთესო ნახევარი» ცეკტრანელებმა, გოლცმანმა, ანდრეევმა, ლიუბიმოვმა შეიმუშავესო. და ტროცკი ძალიან მხიარულად და მომხიბლავად დასცინოდა ამის გამო ლენინის უხეირო «დიპლომატიას»: ლენინს უნდოდა «მოეხსნა, ჩაეშალა» დისკუსია, ეძებდა «მეხსარიდს» და «შემთხვევით ხელი სტაცა არა მეხსარიდს, არამედ ცეკტრანსაო».

ლეგენდა გაქარწყლებულ იქნა მაშინვე, 30 დეკემბერს, რუძუტაკის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლიუბიმოვი «პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს ბუნებაში» არ არსებობს, რომ გოლცმანმა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში რუძუტაკის თეზისების წინააღმდეგ მისცა ხმა, რომ თეზისებს ამუშავებდა ანდრეევის, ციპეროვიჩის და რუძუტაკისაგან შემდგარი კომისიაო.

მაგრამ დავუშვათ ერთ წუთს, რომ ამხ. ამხ. ბუხარინისა და ტროცკის ლეგენდა ფაქტია. არაფერი არ აცამტვერებს მათ ისე, როგორც ასეთი დაშვება, ვინაიდან, თუ «ცეკტრანელებს» თავიანთი «ახალი» იდეები შეუტანიათ რუძუტაკის რეზოლუციაში, თუ რუძუტაკს ისინი გაუზიარებია, თუ ეს რეზოლუცია ყველა პროფკავშირს მიუღია (2 — 6 ნოემბერს!!), თუ ბუხარინსა და ტროცკის მის წინააღმდეგ სათქმელი არა აქვთ რა, მაშინ რა გამომდინარეობს აქედან?

აქედან გამომდინარეობს, რომ ტროცკის ყველა უთანხმოება გამოგონილი აქვს, არავითარი «ახალი ამოცანები და მეთოდები» არც მას, არც «ცეკტრანელებს» არა ჰქონიათ, ყოველივე საქმიანი და არსებითი პროფკავშირებს უთქვამთ, მიუღიათ, გადაუწყვეტიათ, ამასთან ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საკითხი ცენტრალურ კომიტეტში დაისმებოდა.

თუ საჭიროა ვისიმე კარგად გალანძღვა და «შებერტყვა», არა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოსი, არამედ რკპ ცენტრალური კომიტეტისა იმისათვის, რომ «გამოეპარა» რუძუტაკის თეზისები, და ამ თავისი შეცდომის გამო შესაძლებელი გახადა ყოვლად უშინაარსო დისკუსიის გაბერვა. შეუძლებელია მიჩქმალო ცეკტრანელების შეცდომა (არსებითად, სრულიადაც არა მეტისმეტი, არამედ სულ ჩვეულებრივი შეცდომა, რომელიც ბიუროკრატიზმის ერთგვარ გადაჭარბებაში მდგომარეობს). და საჭიროა არა მისი მიჩქმალვა, არა შელამაზება, არა გამართლება, არამედ გასწორება. ესაა და ეს.

რუძუტაკის თეზისების არსი მე 30 დეკემბერს ოთხი პუნქტით გამოვხატე: 1) ჩვეულებრივი დემოკრატიზმი (სრულიად გადაუჭარბებლად, ცენტრალური კომიტეტის მიერ «დანიშვნის» უფლებაზე სრულიად ხელის აუღებლად და სხვ., მაგრამ ისე, რომ ჯიუტად არ იყოს დაცული ზოგიერთი «დანიშნულის» შეცდომები და უკიდურესობანი, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებენ); 2) საწარმოო პროპაგანდა (ამაში შედის ყოველივე, რაც კი საქმიანია ტლანქ, სასაცილო, თეორიულად არასწორ «ფორმულებში», როგორიცაა «საწარმოო დემოკრატია», «საწარმოო ატმოსფერო» და სხვ.). ჩვენ შევქმენით საბჭოთა დაწესებულება: საწარმოო პროპაგანდის სრულიად რუსეთის ბიურო. საჭიროა, რომ მას ყოველნაირად შევუწყოთ ხელი და არა ის, რომ წავახდინოთ საწარმოო მუშაობა... უხეირო თეზისების წარმოებით. ესაა და ეს; 3) ნატურპრემიები და 4) დისციპლინარული საამხანაგო სასამართლოები. თუ არ იქნა მე-3 და

მე-4 პუნქტი, ისე ყოველგვარი ლაპარაკი «საწარმოო როლსა და ამოცანებზე» და სხვ. — ცარიელი ინტელიგენტური ლაყბობაა, ხოლო ტროცკის «ბროშურა-პლატფორმაში» სწორედ ორივე ეს პუნქტი დავიწყებულია. რუძუტაკს კი ისინი აქვს.

როდესაც 30 დეკემბრის დისკუსიაზე ვლაპარაკობ, მე კიდევ ერთი ჩემი შეცდომა უნდა გავასწორო. მე ვთქვი: «ჩვენ ნამდვილად გვაქვს არა მუშური, არამედ მუშურ-გლეხური სახელმწიფო-მეთქი». ამხ. ბუხარინმა მყისვე წამოიძახა: «როგორიო?». მე პასუხად დავიმოწმე იმ ხანებში დასრულებული საბჭოების VIII ყრილობა. ახლა რომ დისკუსიის ანგარიშს ვკითხულობ, ვხედავ, რომ მე მართალი არ ვიყავი, ამხ. ბუხარინი კი მართალი იყო. მე უნდა მეთქვა: «მუშური სახელმწიფო აბსტრაქციაა. ნამდვილად კი ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო, ჯერ ერთი, იმ თავისებურებით, რომ ჩვენს ქვეყანაში სჭარბობს არა მუშათა, არამედ გლეხთა მოსახლეობა; და, მეორეც, მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული დამახინჯებით». მკითხველი, რომელიც მოისურვებს მთელი ჩემი სიტყვის წაკითხვას, მიხვდება, რომ ეს შესწორება არ ცვლის არც ჩემი არგუმენტაციის მსვლელობას, არც ჩემს დასკვნებს.

მე-6 ეტაპი. პიტერის ორგანიზაციის გამოსვლა «პარტიისადმი მიმართვით» ტროცკის პლატფორმის წინააღმდეგ და მოსკოვის კომიტეტის კონტრგამოსვლა (13 იანვრის «პრავდა»).

ზემოდან შექმნილი ფრაქციების ბრძოლიდან გადასვლა ქვემოდან ორგანიზაციების ჩარევაზე. დიდი ნაბიჯი წინ გაჯანსაღებისაკენ. კურიოზულია, რომ მოსკოვის კომიტეტმა შეამჩნია პ ი ტ ე რ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს პლატფორმით გამოსვლის «საშიშარი» მხარე და არ მოისურვა შეემჩნია ამხ. ტროცკის მიერ 25 დეკემბერს ფრაქციის შექმნის ს ა შ ი შ ა რ ი მ ხ ა რ ე!!! ხუმარა ადამიანები ამგვარ სიბეცეს (ცალი თვალისას) «ბუფერულს» უწოდებენ...

მე-7 ეტაპი. პროფკომისია ამთავრებს თავის მუშაობას და აქვეყნებს პლატფორმას (ბროშურას სათაურით: «პროექტი

რკპ X ყრილობის დადგენილებისა პროფკავშირთა როლისა და ამოცანების საკითხზე»[17], 14 იანვრის თარიღით, რომელსაც ხელს აწერს 9 ცეკისტი: ზინოვიევი, სტალინი, ტომსკი, რუძუტაკი, კალინინი, კამენევი, პეტროვსკი, არტემი, ლენინი და პროფკომისიის წევრი ლოზოვსკი; ამხ. შლიაპნიკოვი და ლუტოვინოვი, ეტყობა, «მუშათა ოპოზიციაში» «გაიქცნენ»). «პრავდაში» ეს პლატფორმა 18 იანვარს დაიბეჭდა და იქ მას თავიანთი ხელმოწერა შეუერთეს შმიდტმა, ციპეროვიჩმა და მილიუტინმა.

16 იანვრის «პრავდაში» ქვეყნდება პლატფორმები: ბუხარინისა (ხელმოწერილია: «ამხანაგთა ჯგუფის დავალებით ბუხარინი, ლარინი, პრეობრაჟენსკი, სერებრიაკოვი, სოკოლნიკოვი, იაკოვლევა») და საპრონოვისა (ხელმოწერილია: «დემოკრატიული ცენტრალიზმის პლატფორმაზე მდგომი ამხანაგების ჯგუფი», ბუბნოვი, ბუგუსლავსკი, კამენსკი, მაქსიმოვსკი, ოსინსკი, რაფაილი, საპრონოვი)[18]. მოსკოვის კომიტეტის 17 იანვრის გაფართოებულ კრებაზე გამოდიან ამ პლატფორმების წარმომადგენლებიც და «იგნატოველებიც» (თეზისები დაიბეჭდა 19 იანვრის «პრავდაში», ხელმოწერით: იგნატოვი, ორეხოვი, კორზინოვი, კურანოვა, ბუროვცევი, მასლოვი) *.

ჩვენ აქ ვხედავთ, ერთი მხრივ, დარაზმულობის ზრდას (ვინაიდან 9 ცეკისტის პლატფორმა სავსებით ეთანხმება პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციის გადაწყვეტილებას); მეორე მხრივ, დაბნეულობასა და დაშლას. ამასთან ი დ ე უ რ ი დაშლის მწვერვალს წარმოადგენენ ბუხარინისა და კომპანიის თეზისები. აქ განხორციელებულია

* სხვათა შორის, პარტიამ უნდა მოითხოვოს, რომ «პლატფორმები» წამოყენებულ იქნეს ყველა იმ ამხანაგის სრული ხელმოწერით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ პლატფორმისათვის. ამ მოთხოვნას აკმაყოფილებენ «იგნატოველები» და «საპრონოველები», მაგრამ არ აკმაყოფილებენ არც «ტროცკისტები», არც «ბუხარინელები», არც «შლიაპნიკოველები»; ესენი მიუთითებენ დაუსახელებელ ამხანაგებზე, რომლებიც ვითომდა პასუხისმგებელნი არიან ამ პლატფორმისათვის.

ერთ-ერთი ისეთი «მობრუნება», რომლის შესახებაც მარქსისტები ძველისძველად ასე ოხუნჯობდნენ: «მობრუნება არა იმდენად ისტორიული, რამდენადაც ისტერიული». მე-17 თეზისში ვკითხულობთ: «...ამჟამად აუცილებელია ეს კანდიდატურები ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო გავხადოთო» (სახელდობრ: პროფკავშირთა მიერ სათანადო «მთავარი კომიტეტებისა და ცენტრებისათვის» წამოყენებული კანდიდატურები).

ეს არის კომუნიზმთან კავშირის სავსებით გაწყვეტა და სინდიკალიზმის პოზიციაზე გადასვლა. ეს, არსებითად, განმეორებაა შლიაპნიკოვის ლოზუნგისა — «გავაკავშიროთ სახელმწიფოო»; ეს არის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აპარატის ნაწილ-ნაწილ გადაცემა სათანადო პროფკავშირებისათვის. იმის თქმა: «მე ვაყენებ ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო კანდიდატურებსო» და თქმა: «მე ვნიშნავო» — ერთი და იგივეა.

კომუნიზმი ამბობს: პროლეტარიატის ავანგარდი, კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს მუშათა უპარტიო მასას, ათვითცნობიერებს, ამზადებს, ასწავლის, ზრდის ამ მასას (კომუნიზმის «სკოლა»), ჯერ მუშებს, მერე გლეხებსაც, რათა ამ მასამ შეძლოს იქამდე მისვლა და კიდეც მივიდეს იქამდე, რომ თავის ხელში მოაქციოს მთელი სახალხო მეურნეობის გამგებლობა.

სინდიკალიზმი წარმოებათა მიხედვით დაქსაქსულ უპარტიო მუშათა მასას გადასცემს მრეწველობის დარგების («მთავარი კომიტეტები და ცენტრები») გამგებლობას, ამით სპობს პარტიის აუცილებლობას, არ აწარმოებს ხანგრძლივ მუშაობას არც მასების აღსაზრდელად, არც მ ა თ ხელში მ თ ე ლ ი ს ა ხ ა ლ ხ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს გამგებლობის ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მოსაქცევად.

რკპ პროგრამა ამბობს: «პროფკავშირები... უ ნ დ ა მ ი ვ ი დ ნ ე ნ ი ქ ა მ დ ე» (მაშასადამე, არ მისულან და ჯერ არც კი მიდიან), «რომ ფაქტიურად მოაქციონ თავიანთ ხელში» (თ ა ვ ი ა ნ თ, ე. ი. პროფკავშირთა ხელში, ე. ი. საყოველთაოდ გაერთიანებული მ ა ს ე ბ ი ს ხელში; ყველა

ხედავს, თუ ჯერ კიდევ რა შორსა ვართ ჩვენ ასეთ ფ ა ქ-ტ ი უ რ მოქცევასთან პირველი მიახლოებისგანაც კი)... მოაქ-ციონ რა? «მთელი სახალხო მეურნეობის, როგორც ერთიანი სა-მეურნეო მთელის, მთელი მართვა-გამგეობა» (მაშასადამე, არა მრეწველობის დარგებისა და არა მრეწველობისა, არამედ მრე-წველობისა პ ლ უ ს მიწათმოქმედება და ა. შ.. ახლოსა ვართ თუ არა ჩვენ იმასთან, რომ ფაქტიურად მოვაქციოთ პროფკავშირთა ხელში მიწათმოქმედების გამგებლობა?). და რკპ პროგრამის შე-მდგომი ფრაზები ლაპარაკობენ «ცენტრალური სახელმწიფო მმართველობისა» და «მშრომელთა ფართო მასების» «კავ-შირზე», «პროფკავშირების მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ზ ე მეურ-ნეობის წარმართვაში» [15].

თუ პროფკავშირები, ე. ი. 9/10-ით უპარტიო მუშები, ნიშნავენ («სავალდებულო კანდიდატურები») მრეწველობის მმართველობას, მაშინ რისთვისღაა საჭირო პარტია? ლოგი-კურადაც, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ის, სადამდი-საც ბუხარინი მივიდა, ნიშნავს პარტიის გათიშვას, უფრო სწორად რომ ითქვას: სინდიკალისტების მიერ პარტიასთან კავშირის გაწყვეტას.

დღემდე ბრძოლაში «მთავარი» იყო ტროცკი. ახლა ბუხა-რინმა შორს «გაუსწრო» და სრულიად «დაჩრდილა» იგი, შექმნა სრულიად ახალი თანაფარდობა ბრძოლაში, ვინაიდან ისეთ შეცდომამდე მივიდა, რომელიც ასკეცად უფრო დიდია, ვიდრე ტროცკის ყველა შეცდომა, ერთად აღებული.

როგორ შეეძლო ბუხარინს კომუნიზმთან კავშირის გა-წყვეტამდე მისულიყო? ჩვენ ვიცით, თუ რა რბილი კაცია ამხ. ბუხარინი, ეს მისი ერთ-ერთი თვისებაა, რომლისთვი-საც იგი ასე უყვართ და არც შეიძლება არ უყვარდეთ. ჩვენ ვიცით, რომ მისთვის ხუმრობით არაერთხელ უწოდებიათ «რბილი ცვილი». თურმე, ყოველ «უპრინციპო» ადამიანს, ყოველ «დემაგოგს» შეუძლია ამ «რბილ ცვილზე» დაწეროს ის, რაც ნებავს. ეს ფრჩხილებში ჩასმული მკაცრი გამო-თქმები 17 იანვრის დისკუსიაში იხმარა ამხ. კამენევმა და უფლებაც ჰქონდა ეხმარა. მაგრამ არც კამენევს, არც სხვას

ვისმე, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოუვა, რომ ყოველივე ის, რაც მოხდა, უპრინციპო დემაგოგიით ახსნას, ყოველივე მით განსაზღვროს.

პირიქით. ფრაქციულ ბრძოლას ობიექტური ლოგიკა აქვს, რომელიც საუკეთესო ადამიანებსაც კი, თუ ისინი დაჟინებით იცავენ თავიანთ არასწორ პოზიციას, გარდუვალად მიიყვანს ისეთ მდგომარეობამდე, რომელიც ფაქტიურად არაფრით არ განსხვავდება უპრინციპო დემაგოგიისაგან. ამას გვასწავლის ფრაქციული ომების მთელი ისტორია (მაგალითად: «ვპერიოდელებისა» და მენშევიკების გაერთიანება ბოლშევიკების წინააღმდეგ). სწორედ ამიტომ უნდა შევისწავლოთ უთანხმოებათა არა მარტო აბსტრაქტული არსი, არამედ აგრეთვე მათი კონკრეტული გაშლაც და სახეცვლილება ბრძოლის სხვადასხვა ეტაპის განვითარებაში. 17 იანვრის დისკუსიამ გამოხატა ამ განვითარების შედეგი[20]. უკვე არ შეიძლება არც «შებერტყვის», არც «ახალი საწარმოო ამოცანების» დაცვა (რადგან ყოველივე გამოსადეგი და საქმიანი შეტანილია რუძუტაკის თეზისებში). ისღა დაგვრჩენია, რომ ან მოვიკრიბოთ, ლასალის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, «გონების ფიზიკური ძალა» (და ხასიათის სიმტკიცე) და ვაღიაროთ შეცდომა, გამოვასწოროთ იგი და გადავფურცლოთ რკპ ისტორიის ეს ფურცელი, ანდა... ანდა ხელი ჩავჭიდოთ დარჩენილ მოკავშირეებს, რანაირიც უნდა იყვნენ ისინი, და «არ შევამჩნიოთ» არავითარი პრინციპი. დარჩნენ ისინი, ვინც «დემოკრატიას» თავდავიწყებამდე ემხრობა. და ბუხარინიც მიექანება მათკენ, მიექანება სინდიკალიზმისაკენ.

იმ დროს, როდესაც ჩვენ თანდათან ვისრუტავთ იმას, რაც კი რამ ჯანსაღი იყო «დემოკრატიულ» «მუშათა ოპოზიციაში», ბუხარინი იძულებულია არაჯანსაღს ჩასჭიდოს ხელი. ამხ. ბუმაჟნი, ცნობილი ცეკტრანელი ანუ ტროცკისტი, 17 იანვარს ამბობს, მზად ვარ ბუხარინის სინდიკალისტური წინადადებანი მივიღოო. «საპრონოველები» იქამდე მივიდნენ, რომ ერთსა და იმავე თეზისში (№ 3) მსჯელობენ პროფკავშირთა «ღრმა კრიზისზე» და «ბიუროკრატიულ გახევებაზე»

და ამავე დროს მოითხოვენ, როგორც «აბსოლუტურად» აუცილებელ რამეს, «პროფკავშირთა უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს გაფართოებას წარმოებაში»... ალბათ, მათი «ბიუროკრატიული გახევების» გამო. განა შეიძლება ასეთი ჯგუფი სერიოზულ ჯგუფად მივიჩნიოთ? მათ გაუგონიათ სიტყვები პროფკავშირთა საწარმოო რ ო ლ ი ს შესახებ და, რათა სხვებზე ხმამაღლა დაეყვირათ, წამოაყრანტალეს: «უფლებათა გაფართოება» «ბიუროკრატიული გახევების» გამოო. საკმარისია წაიკითხოთ მათი «პრაქტიკული წინადადებების» პირველი სტრიქონები: «სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ასახელებს პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭო და საბოლოოდ ამტკიცებს სრულიად რუსეთის ცაკი», რომ შემდეგ აღარაფერი წაიკითხოთ. ახლა მათ «პრინციპულ» დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ პოზიციას არ იკითხავთ? მოისმინეთ: (თეზისი მე-2)... «ისინი (ზინოვიევი და ტროცკი) სინამდვილეში გამოხატავენ მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ყ ო ფ ი ლ ი მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ ა ტ ო რ ე ბ ი ს ერთი და იმავე ჯგუფის ორ მიმდინარეობას»!!

ამას თუ სერიოზულად მივიჩნევთ, ეს ყველაზე უარესი მენშევიზმი და ესერობა გამოვა. მაგრამ საპრონოვს, ოსინსკის და კომპანიას შეუძლებელია სერიოზული ანგარიში გავუწიოთ, როდესაც ეს — ჩემი აზრით, დიდად დასაფასებელი — მუშაკები ყოველი პარტყრილობის წინ («მუდამ ერთსა და იმავეს ღეჭავენ») რაღაც ციებ-ცხელების პაროქსიზმში ვარდებიან, ცდილობენ უეჭველად ყველაზე ხმამაღლა დაიყვირონ («ყველაზე ხმამაღლა მ ყვირალთა» ფრაქცია) და დიდის ამბით ვარდებიან სასაცილო მდგომარეობაში. «იგნატოველები» «საპრონოველებს» მიჰყვებიან. სხვადასხვა ჯგუფთა შორის ბლოკის შეკვრა (განსაკუთრებით ყრილობის წინ), რა თქმა უნდა, ნებადართულია (აგრეთვე ხმების გამოდევნებაც). მაგრამ ამას უნდა აკეთებდეთ კომუნიზმის (და არა სინდიკალიზმის) ფარგლებში და აკეთებდეთ ისე, რომ სიცილი არ დაგაყარონ. ვინ მეტს იძლევა! ვინ უფრო მეტ «უფლე-

ბებს» ჰპირდება უპარტიოებს, შეერთდით რკპ პარტყრილობის გამოო!..

აქამდე ჩვენი პლატფორმა იყო: ნუ დავიცავთ ბიუროკრატიზმის უკიდურესობებს, საჭიროა მათი გამოსწორება. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ხანგრძლივსა და მძიმე შრომას მოითხოვს. უკიდურესობათა გამოსწორება ახლავე შესაძლებელია და აუცილებელიცაა. სამხედრო მუშაკთა და დანიშნულთა ავტორიტეტს ძირს უთხრის არა ის, ვინც მავნე უკიდურესობებზე მიგვითითებს და მათ ასწორებს, არამედ ის, ვინც ასეთ გამოსწორებას წინააღმდეგობას უწევს. სწორედ ასეთი იყო უკიდურესობანი ზოგიერთი ცეკტრანელისა, რომლებიც, მიუხედავად ამისა, იქნებიან (და იყვნენ კიდეც) ძვირფასი, სასარგებლო მუშაკები. საჭიროა არ არის პროფკავშირთა ჩხიკინი და მათთან უთანხმოებათა გამოგონება, როდესაც ყოველივე ის, რაც ახალი, გამოსადეგი და საქმიანია პროფკავშირთა საწარმოო როლის საკითხში, მათ მიერ აღიარებულია და მათ მიერვე გადაწყვეტილია. მოდით, მონდომებით და შეთანხმებულად ვიმუშაოთ პრაქტიკულად ამ ნიადაგზე.

ახლა ჩვენს პლატფორმას დაემატა: უნდა ვებრძოლოთ ოდეურ დაბნეულობას და ოპოზიციის იმ არაჯანსაღ ელემენტებს, რომლებიც იქამდე მიდიან, რომ უარყოფენ «მეურნეობის» ყოველგვარ «მილიტარიზაციას», უარყოფენ არა მარტო «დანიშვნის მეთოდს», რასაც აქამდე უმთავრესად მივმართავდით, არამედ ყოველგვარ «დანიშვნასაც», ე. ი. ბოლოს და ბოლოს პარტიის ხელმძღვანელ როლს უპარტიოთა მასის მიმართ. უნდა ვებრძოლოთ სინდიკალისტურ გადახრას, რომელიც დაღუპავს პარტიას, თუ მისგან საბოლოოდ არ განვიკურნეთ.

ჩვენი პარტიის ავადმყოფობით, უეჭველია, ანტანტის კაპიტალისტებიც შეეცდებიან ისარგებლონ ახალი თავდასხმისათვის და ესერებიც — შეთქმულებათა და აჯანყებათა

მოსაწყობად. ჩვენ ამისა არ გვეშინია, ვინაიდან ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, დავირაზმებით, არ შეგვეშინდება ვაღიაროთ ავადმყოფობა, მაგრამ იმ შეგნებით კი, რომ ეს ავადმყოფობა მოითხოვს ყველასაგან მეტ დისციპლინას, მეტ გამძლეობას, მეტ სიმტკიცეს ყოველგვარ პოსტზე. პარტია კი არ დასუსტდება, არამედ განმტკიცდება რკპ მარტის X ყრილობისათვის და ამ ყრილობის შემდეგ.

1921 წ. 19 იანვარი

«პრავდა» № 13, 1921 წ. 21 იანვარი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ტექსტთან ბროშურისა: ნ. ლენინი, «პარტიის კრიზისი», 1921

მთამადნის მუშათა სრულიად რუსეთის II ყრილობა[21]

1

მოხსენება პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების შესახებ ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე 23 იანვარი

ის მტკივნეული ხასიათი, რომელიც მიეცა პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების საკითხს, იმით აიხსნება, რომ მან ძალიან ადრე მიიღო ფრაქციული ბრძოლის ფორმა. ამ საკითხს, უფართოეს, უსაზღვრო საკითხს, არ შეიძლება ისე, ნაუცბათევად მივუდგეთ, როგორც ჩვენში მიუდგნენ, და ყველაზე მეტად სწორედ ამაში, — ნაუცბათევად მიდგომაში, ძალიან დიდ აჩქარებულობაში, — ვამტყუნებ მე ამხ. ტროცკის. არასაკმაოდ მომზადებული თეზისების წარმოდგენა ცენტრალურ კომიტეტში თვითეულ ჩვენგანს შემთხვევია და შეემთხვევა, რადგან მთელი მუშაობა ჩვენში მეტისმეტად ნაუცბათევად წარმოებს. დიდი შეცდომა არ არის, ყოველი ჩვენგანი აჩქარებულა ხოლმე. ამ შეცდომას, რომელიც თავისთავად ჩვეულებრივია, თქვენ თავს ვერ დააღწევთ, რადგან ვითარების ობიექტური პირობები ძალიან ძნელია. მაგრამ მით უფრო ფრთხილად უნდა მივუდგეთ ფრაქციული ხასიათის საკითხებს, სადავო საკითხებს. ვინაიდან აქ არც თუ ისე ფიცხმა ადამიანმაც კი, — რასაც ჩემს ოპონენტზე ვერ ვიტყვი, — ძალიან ადვილად შეიძლება ეს შეცდომა ჩაიდინოს. და აი, რათა ნათლად გიჩვენოთ და ერთბაშად გადავიდე საქმის არსზე, ახლავე წაგიკითხავთ ტროცკის ძირითად თეზისებს.

აი, თავის ბროშურაში, მე-12 თეზისში, ბოლოს, ამხ. ტროცკი წერს:

«ჩვენ ვხედავთ იმ ფაქტს, რომ რაც უფრო პირველ რიგში დგება მეურნეობის ამოცანები, მით უფრო მკვეთრად და უფრო შეურიგებლად გამოდის ბევრი პროფესიონალისტი «შეხორცების» პერსპექტივისა და ამ პერსპექტივიდან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნების წინააღმდეგ. ამ პროფესიონალისტებს შორის ჩვენ ვპოულობთ ამხ. ტომსკისა და ლოზოვსკის.

ეს ცოტაა. თავს არიდებს რა ახალ ამოცანებსა და მეთოდებს, ბევრი პროფესიონალისტი ავითარებს თავის წრეში კორპორაციული კარჩაკეტილობის, მეურნეობის ამა თუ იმ დარგში ჩაბმული ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებას და ამრიგად ფაქტიურად მხარს უჭერს ამქრულობის გადმონაშთებს პროფესიულად ორგანიზებულ მუშებში».

ასეთი ადგილები ტროცკის ბროშურიდან ბლომად შემეძლო მომეყვანა. მე გეკითხებით, ფრაქციული გამოსვლის თვალსაზრისით: განა ესოდენ ავტორიტეტულ ადამიანს, ასეთ დიდ ბელადს, განა მას შეეფერის ასე გამოსვლა პარტიული ამხანაგების წინააღმდეგ? მე დარწმუნებული ვარ, რომ 99%, გარდა მარტოოდენ ერთმანეთს წაჩხუბებული ამხანაგებისა, იტყვის, რომ ასე გამოსვლა არ შეიძლება.

ამხ. ტომსკისა და ლოზოვსკის, რომ ბრალი მიუძღოდეთ, ან შეიძლებოდეს ეჭვის შეტანა, რომ მათ ბრალი მიუძღვით, მაგალითად, იმაში, რომ მათ ერთბაშად უარი თქვეს ხელი მოეწერათ ბრესტის ზავისათვის, ან ერთბაშად უარი თქვეს ომის წარმოებაზე, — მე გავიგებდი ასეთ გამოსვლას. რევოლუციური მიზანშეწონილობა ფორმალურ დემოკრატიზმზე უფრო მაღლა დგას. მაგრამ ასეთ მომენტში საკითხისადმი ასე განუსჯელად მიდგომა ძირეული შეცდომაა. ასე არ შეიძლება. ამ პუნქტში ნათქვამია, რომ ბევრი პროფესიონალისტი თავის წრეში მტრობისა და კარჩაკეტილობის სულისკვეთებას ავითარებსო. რა არის ეს? რანაირი ლაპარაკია ეს და რა ენაზე? განა შეიძლება ასე მივუდგეთ საკითხს? თუ წინათ ვამბობდი, იქნებ, მოვახერხო, რომ „ვიბუფერო“ და არ გამოვიდე დისკუსიაზე იმიტომ, რომ საზიანოა ტროცკისთან ჩხუბი, რადგან ეს საზიანოა ჩვენთვის, საზიანოა პარტიისათვის, საზიანოა რესპუბლიკისათვის-მეთქი, ამ ბროშურის შემდეგ მე ვთქვი, რომ გამოსვლა აუცილებელია.

ტროცკი წერს, რომ «ბევრი პროფესიონალისტი ავითარებს ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებასო» — როგორაო? თუ, მართლაც, ბევრი პროფესიონალისტი თავის წრეში ავითარებს «ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებას», უნდა დაასახელოთ ისინი, ვინც ამ მტრობის სულისკვეთებას ავითარებს. ხოლო თუ ეს არ არის დასახელებული, მაშინ ეს არის შებერტყვა, ეს არის საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომა. იქ კიდევაც რომ იყოს ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთება, მაინც ასე არ შეიძლება ლაპარაკი. ტროცკი ამტყუნებს ლოზოვსკისა და ტომსკის ბიუროკრატიზმში. მე კი პირიქით ვიტყოდი. აქ შემდგომ წაკითხვაც არ შეიძლება, რადგან საქმისადმი ამგვარმა მიდგომამ ყველაფერი გააფუჭა. მან თაფლში ერთი კოვზი კუპრი აურია, და, რამდენიც უნდა ასხას თაფლი, ყველაფერი უკვე გაფუჭებულია.

ვინღა არის დამნაშავე, რომ ბევრი პროფესიონალისტი ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებას ავითარებს? რასაკვირველია, მებუფერე ან ცეკტრანელი იტყვის — პროფესიონალისტებიო.

არსებითად კი აქ ყველაფერი მოხვეტილია, როგორც ახლა ქარბუქი ხვეტს, ყველაფერი შეთხზულია, მოჩმახულია. მაგრამ ამაში, ამხანაგებო, უნდა გავერკვეთ და დედაარსს მივაგნოთ. დედაარსი კი ის არის, რომ მთელი რიგი უტაქტო მოქმედება მტრობის სულისკვეთებას იწვევს მასაში. ჩემი ოპონენტი ამტკიცებს, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც მტრობის სულისკვეთებას ავითარებდნენო. ეს ცხადყოფს, რომ საკითხი სრულიად არ არის სწორად დასმული. უნდა გავერკვეთ. ნოემბერში შეიკრიბა სრულიად რუსეთის კონფერენცია, და ამ კონფერენციაზე წამოსროლილ იქნა ეს სიტყვა «შებერტყვა». ტროცკიმ შეცდომა ჩაიდინა, რომ ასე თქვა. აქ პოლიტიკურად ცხადია, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომა გათიშვას გამოიწვევს და პროლეტარიატის დიქტატურას დაამხობს.

უნდა გვესმოდეს, რომ პროფესიული კავშირები ისეთი უწყება არ არის, როგორიცაა სახალხო კომისარიატები. არამედ

რომ ეს არის მთელი გაერთიანებული პროლეტარიატი, რომ ეს არის განსაკუთრებული უწყება და არ შეიძლება მას ასე მივუდგეთ. და როდესაც წამოიჭრა საკითხი არასწორი მიდგომისა, რომელიც გათიშვით იმუქრება, მე ვთქვი: «აქ ფართო დისკუსიების შესახებ ჯერ ნუ ლაყბობთ, წადით კომისიაში და იქ ფრთხილად გამოარკვიეთ საქმე». ამხანაგები კი გვეუბნებიან: «არა, როგორ შეიძლება, ეს დემოკრატიზმის დარღვევა არისო». ამხ. ბუხარინი იქამდეც კი მივიდა, რომ იწყო ლაპარაკი «მუშათა დემოკრატიის წმიდათა წმიდა ლოზუნგზე». ეს სიტყვასიტყვით მისი ნათქვამია. ეს მე წავიკითხე და... კინაღამ პირჯვარი გადავიწერე (ს ი ც ი ლ ი). მე ვამტკიცებ, რომ შეცდომა ყოველთვის მცირედიდან იწყება და დიდი ხდება. უთანხმოება ყოველთვის მცირედიდან იწყება. ყველას შემთხვევია, რომ ცოტაოდენად გაკაწრულა, მაგრამ თუ ეს განაკაწრი დაჩირქებას იწყებს, შეიძლება მომაკვდინებელ ავადმყოფობად იქცეს. და ეს სწორედ განაკაწრის დაჩირქებაა. ნოემბერში შებერტყვაზე ლაპარაკობენ, დეკემბერში კი უკვე დიდი შეცდომა გამოდის.

ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი ჩვენი წინააღმდეგი იყო. ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე უმრავლესობა ტროცკის მიემხრო, და გატარებულ იქნა ტროცკისა და ბუხარინის რეზოლუცია, რომელიც თქვენ, რა თქმა უნდა, წაკითხული გექნებათ. მაგრამ ცენტრალური კომიტეტის ის წევრებიც კი, რომლებიც ჩვენ არ თანაგვიგრძნობენ, იძულებული იყვნენ აღეარებინათ, რომ უფრო მართალნი არიან წყალტრანსპორტელები, ვიდრე ცეკტრანი. აი ფაქტი. და როცა მე გეკითხებით, თუ რა იყო ცეკტრანის დანაშაული, უნდა ვუპასუხოთ არა ის, რომ თქვენ ზეგავლენა მოახდინეთ, — ეს თქვენი დამსახურებაა, არამედ ის, რომ თქვენ ბიუროკრატიზმის უკიდურესობა დაუშვით.

მაგრამ თუ თქვენ ეს უკიდურესობა შეიგნეთ, იგი უნდა გამოასწოროთ და გამოსწორების წინააღმდეგ არ იდავოთ. ესაა და ეს. ბიუროკრატიზმთან ბრძოლას ათეული წლები დასჭირდება. ეს უძნელესი ბრძოლაა, და ყველა, ვინც თქვენ

გეტყვით, რომ ჩვენ ბიუროკრატიზმს ერთბაშად დავაღწევთ თავს, თუ ანტიბიუროკრატიულ პლატფორმებს მივიღებთო, პირდაპირ შარლატანი, ლამაზი სიტყვების მოყვარული შარლატანი იქნება. ბიუროკრატიზმის უკიდურესობანი ახლავე უნდა გამოვასწოროთ. უნდა ხელი ვტაცოთ ბიუროკრატიზმის ამ უკიდურესობებს და გამოვასწოროთ ისინი, ისე რომ ცუდს კარგი არ ვუწოდოთ და შავს — თეთრი. მუშებსა და გლეხებს ესმით, რომ თვითონ მათ ჯერ კიდევ უნდა ისწავლონ მართვა, მაგრამ მათ ჩინებულად ესმით, რომ არის ბიუროკრატიზმის უკიდურესობანიც, ხოლო თუ შენ არ გინდა მათი გამოსწორება, უაღრესად დამნაშავე ხარ. შენ დროზე უნდა გამოასწორო, როგორც აღნიშნავდნენ წყალტრანსპორტელები, და არა მაშინ, როდესაც მათზე სხვები მიგითითებდნენ.

საუცხოო მუშაკებსაც მოსვლიათ შეცდომა. ცეკტრანში ჩინებული მუშაკები არიან, და ჩვენ მათ დავნიშნავთ ხოლმე, და გამოვასწორებთ ბიუროკრატიზმის უკიდურესობებს, რომლებიც მათ დაუშვეს. ამხ. ტროცკი ამბობს, ამხ. ტომსკი და ლოზოვსკი — პროფესიონალისტები — დამნაშავენი არიან იმაში, რომ თავიანთ წრეში ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებას ავითარებენო. მაგრამ ეს ხომ საშინელებაა. უნდა იყო თითქმის ავადმყოფი ან უზომო ციებ-ცხელებით შეპყრობილი, რომ ასე ილაპარაკო.

ამ აჩქარებულობიდან გამომდინარეობს ის, რომ დავობენ, პლატფორმებს აყენებენ, წერენ, დამნაშავენი ვართო, და გამოდის, რომ ყველაფერი ძირშივე გაფუჭებულია.

თქვენ მოგეხსენებათ, როდესაც ადამიანები წაიჩხუბებიან, თუ რა იქნება ორი დღის შემდეგ, — ისინი ნათესავებს მეათე თაობამდე გაიხსენებენ და ილაპარაკებენ. ვეკითხებით: «რის გამო წაეჩხუბე?» — «აი მას ძალუა ჰყავს, იმას კი ბაბუაო». — «არა, არა ახლა, არამედ აი მაშინ, რის გამო წაეჩხუბე?» თურმე, ამ ორი დღის განმავლობაში ამოდენა უთანხმოება დაუხვავებიათ.

ცეკტრანში დაშვებულია მთელი რიგი გადაჭარბებანი, და მავნე გადაჭარბებანიც, დაშვებულია უმაქნისო ბიუროკრატიზმი.

გადაჭარბებას ყველგან ვხვდებით. არის უწყებები, სადაც მარტო მოსკოვში ოცდაათი ათასი მოსამსახურეა. ეს სახუმრო საქმე არ გეგონოთ. განვკურნოთ ეს სენი, გავარღვიოთ ეს კედელი. არ უნდა შეგვეშინდეს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვიღაცამ ვიღაცას აწყენინა, რომ ვიღაცას სიცოცხლე ჩაუშხამეს. თუ ასტეხენ ფრაქციულ ბრძოლას და იტყვიან — დამნაშავეა ტომსკი, რომელიც მასებში ცეკტრანელებისადმი მტრობის სულისკვეთებას ავითარებდაო, ეს საქმის სრული დამახინჯება იქნება, ეს მთლად აფუჭებს მთელ მუშაობას, მთლად აფუჭებს მთელ დამოკიდებულებას პროფესიული კავშირებისადმი. პროფესიული კავშირები კი მთელი პროლეტარიატია. თუ ეს დაჟინებით მოვითხოვეთ და თუ ამას პლატფორმების მიხედვით ვუყარეთ კენჭი, ეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ წაგვიყვანს.

თუ პარტია პროფესიულ კავშირებს ეთიშება, მაშინ პარტიაა დამნაშავე, და ეს აუცილებლად საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვაა. ჩვენ არ მოგვეპოვება სხვა დასაყრდენი, თუ არა მილიონობით პროლეტარები, რომლებიც შეუგნებელნი არიან, ძალიან ხშირად გონებაბნელნი, განუვითარებელნი, უწიგნურნი არიან, მაგრამ რომლებიც, როგორც პროლეტარები, მიჰყვებიან თავიანთ პარტიას. ისინი ოცი წელია ფიქრობდნენ, რომ ეს მათი პარტიაა. შემდეგ კი არის არა ჩვენი კლასი, რომელიც, შესაძლოა, ჩვენ დაგვიჭერს მხარს, თუ ჩვენ ჭკვიანნი ვიქნებით და ჩვენს კლასში გავატარებთ სწორ პოლიტიკას. ჩვენ უდიდეს მომენტამდე მივედით ჩვენს რევოლუციაში, ჩვენ ფეხზე დავაყენეთ პროლეტართა მასები, ჩვენ ავამოძრავეთ სოფლის ღარიბნი იმდენად, რომ ისინი ჩვენ შეგნებულად გვიჭერენ მხარს. არც ერთ რევოლუციას ეს არ უქნია. არ არსებობს ისეთი კლასი, რომელსაც შეეძლოს ჩვენი დამხობა: ჩვენ მხარს გვიჭერს პროლეტართა და სოფლის ღარიბთა უმრავლესობა. არავის არ შეუძლია ჩვენი დაღუპვა გარდა ჩვენი საკუთარი შეცდომებისა. ეს «თუ» არის ყველაფერი. თუ ჩვენ გამოვიწვევთ გათიშვას, რომელშიც ჩვენ ვიქნებით დამნაშავენი, მაშინ ყველაფერი

დაინგრევა იმ მიზეზის გამო, რომ პროფესიული კავშირები წარმოადგენენ არა მხოლოდ უწყებას, არამედ წყაროს, რომლიდანაც გამომდინარეობს მთელი ჩვენი ძალაუფლება. ეს ის კლასია, რომელიც კაპიტალიზმის ეკონომიკით შექმნილია ეკონომიურ გამაერთიანებლად, რომელიც გაფანტულ, დაქსაქსულ გლეხთა მილიონებს აერთიანებს თავისი მრეწველობით. ამიტომაც ერთი პროლეტარი უფრო ძლიერია, ვიდრე ორასი გლეხი.

და აი რატომ არის, რომ ტროცკის მთელი ეს მიდგომა საქმისადმი მცდარია. მე შემეძლო ამეღო რომელიც გნებავთ თეზისი და გამერჩია, მაშინ საჭირო იქნებოდა არა ერთი საათი, არამედ ათი საათი. და ყველა გაიქცეოდა. რადგან მოსაწყენი იქნებოდა. ყოველ თეზისში თქვენ იპოვნით იგივე მიდგომას, ძირშივე მცდარ მიდგომას: «ბევრი პროფესიონალისტი მტრობის სულისკვეთებას ავითარებსო». პროფესიული კავშირების მასაში ჩვენდამი მტრობის სულისკვეთება განვითარდა შეცდომების წყალობით, ბიუროკრატიზმის წყალობით, რომელიც დაშვებულია ზემოთ, მათ შორის ჩემ მიერაც, რადგან მე ვნიშნავდი გზის მთავარ პოლიტსამმართველოს. როგორ მოვიქცეთ? გამოვასწოროთ? ცენტრანის უკიდურესობანი უნდა გამოვასწოროთ, რაკი შევიგნეთ, რომ პარტია მტკიცეა და მუშურია, რომ იგი საკუთარ ფეხებზე დგას, რომ მას საკუთარი თავი აქვს. ჩვენ ხელს არ ვიღებთ არც დანიშვნების სისტემაზე, არც დიქტატურაზე. მუშა, რომელმაც რუსეთში ოცი წლის სკოლა გამოიარა, ამას არ დათანხმდება. თუ ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ შეცდომას, მაშინ ჩვენ უეჭველად დავეცემით. აქ კი არის შეცდომა, და ეს არის საქმის ფესვი.

ტროცკი ამბობს, რომ ლოზოვსკი და ტომსკი თავს არიდებენ ახალ ამოცანებსო. თუ ამას დაამტკიცებთ, საქმე იცვლება. რა არის ახალი ამოცანები?

აქ ჩვენ გვეუბნებიან: «საწარმოო ატმოსფერო», «საწარმოო დემოკრატია», «საწარმოო როლი». მე იმთავიდანვე, 30 დეკემბრის დისკუსიაზე, ვამბობდი, რომ ეს ლიტონი

სიტყვაა, რომელიც მუშას არ ესმის, რომ ყოველივე ეს შედის საწარმოო პროპაგანდის ამოცანაში[22]. ჩვენ უარს არ ვამბობთ დიქტატურაზე, ერთმმართველობაზე, ყოველივე ეს რჩება, ყოველივე ამას მხარს დავუჭერ, ოღონდ სისულელესა და უკიდურესობას არ დავიცავ. «საწარმოო ატმოსფერო» სასაცილო სიტყვაა, რომელსაც მუშები სასაცილოდ აიგდებენ. უფრო მარტივად და ნათლად რომ ვთქვათ, ყოველივე ეს საწარმოო პროპაგანდაა. მაგრამ ამისთვის ცალკე დაწესებულებაა შექმნილი.

კავშირების საწარმოო როლის ამაღლებაზე მე პასუხი გავეცი 30 დეკემბერს, პასუხი გავეცი პრესაშიც, რომ არის ამხ. რუძუტაკის რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა 5 ნოემბრის კონფერენციაზე. ამხ. ტროცკი და ბუხარინი ამბობდნენ, ეს რეზოლუცია ცეკტრანმა დაწერაო. თუმცა ეს ფაქტი უარყოფილია, მაგრამ მე ვიტყვი, თუ მათ დაწერეს, მაშინ ვინღა არიდებს თავს? პროფესიულმა კავშირებმა მიიღეს, ცეკტრანმა დაწერა. ძალიან კარგი, ამის შემდეგ ბავშვებს არ მართებთ ჩხუბი და ფრაქციული უთანხმოების გამოწვევა. აქვს ამხ. ტროცკის ახალი ამოცანები? არა აქვს. ხოლო რაც ახალი აქვს, უარესია. საქმეც ეს არის. ამხ. ტროცკი ომს აწარმოებს, რათა მიაღწიოს პარტიისაგან იმათ დაგმობას, ვინც თავს არიდებს ახალ ამოცანებს, და ყველაზე დიდ ცოდვილებად ტომსკი და ლოზოვსკი არიან დასახელებულნი.

რუძუტაკს ყველაფერი უფრო ნათლად და უფრო მარტივად აქვს ნათქვამი, მას ნათქვამი არა აქვს არც «საწარმოო ატმოსფერო», არც «საწარმოო დემოკრატია». იქ ნათლად დაწერილია: კავშირის ყოველი წევრი შეგნებულად უნდა მოეკიდოს იმას, რომ აბსოლუტურად აუცილებელია შრომის ნაყოფიერების გადიდება ჩვენს ქვეყანაშიო. ეს მარტივი, გასაგები ენით არის დაწერილი. ყველაფერი უკეთ არის ნათქვამი, ვიდრე ტროცკის აქვს დაწერილი, უფრო სრულად არის ნათქვამი, რადგან დამატებულია ნატურპრემია და დისციპლინარული სასამართლოები. უამისოდ ყოველგვარი ლაპარაკი, რომ ჩვენ ტრანსპორტს გავაჯანსაღებთ, საქმეს გავა-

უმჯობესებთო, — ეს ლიტონი სიტყვებია. მოდით და მოვაწყოთ კომისიები, მოდით და მოვაწყოთ დისციპლინარული სასამართლოები. ცეკტრანში ამ მხრივ უკიდურესობაა ჩადენილი. ჩვენ მოვითხოვთ ითქვას, რომ უკიდურესობა არის უკიდურესობა, და ახალი ამოცანებით მისი დაცვა ამაოა, იგი უნდა გამოვასწოროთ. იძულებაზე ჩვენ ხელს არ ვიღებთ. არც ერთი საღად მოაზროვნე მუშა არ მივა იქამდე, რომ ახლა შეიძლებოდეს უიძულებოდ თავის გატანა ან რომ ახლა შეიძლებოდეს კავშირების დაშლა ან მათთვის მთელი წარმოების გადაცემა. ეს ამხ. შლიაპნიკოვს შეეძლო ასე წამოეროშა.

ამხ. შლიაპნიკოვის მთელ სიტყვაში არის ერთი საუცხოო ადგილი, სადაც მან თქვა, რომ ჩვენში, სორმოვოში, იყო ცდა, და 30%-ით შემცირდა გაცდენაო. ამბობენ, რომ ეს მართალია, მაგრამ მე მიუნდობელი კაცი ვარ, იმ აზრს ვიცავ, რომ გაიგზავნოს კომისია გამოსაკვლევად, ნიჟნის შესადარებლად პეტროგრადთან. ეს შეიძლება გაკეთდეს არა კრებაზე, არამედ საქმიან კომისიაში. ტროცკი ამბობს, რომ სურთ წინააღმდეგობა გაუწიონ შეხორცებასო. ეს სავსებით ჩმახვაა. ამხ. ტროცკი ამბობს, წინ უნდა ვიაროთო: თუ კარგი მანქანაა, წინ უნდა ვიაროთ, თუ მანქანამ განზე გადაუხვია, საჭიროა უკან გამობრუნება. და ეს სასარგებლოა პარტიისათვის, რადგან საჭიროა გამოცდილების შესწავლა.

წარმოება არა გვაქვს, ამავე დროს უხეირო თეზისების წარმოებას შესდგომიან. ასეთი მუშაობა შესწავლასა და გამოცდილებას მოითხოვს. თქვენ, პროფესიონალისტები, თქვენ, მთამადნის მუშები, თქვენი საქმით ხართ გართული. ნება მოგვეცით, თუ თქვენ ამ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, გამოჰკითხეთ, მოითხოვეთ ციფრები, შეამოწმეთ ოცჯერ, არც ერთ სიტყვას არ ენდოთ და მაშინ თქვით, თუ რა გამოვიდა. თუ კარგი რამ გამოვიდა, გასწით წინ, თუ ცუდი — უკან გამობრუნდით. ეს მუშაობაა და არა ლაყბობა. აი ეს უნდა გაკეთებულიყო პარტიულ კრებებზე.

საბჭოების VIII ყრილობაზე მე ვთქვი, რომ ჩვენში ნაკლებად ყოფილიყო პოლიტიკა. ეს რომ ვთქვი, ვფიქრობდი,

ჩვენ პოლიტიკური შეცდომები არ გვექნებოდა, ჩვენ კი საბჭოთა რევოლუციის სამი წლის შემდეგ სინდიკალიზმზე ვლაპარაკობთ, — ეს სამარცხვინოა. ჩემთვის ნახევარი წლის წინათ რომ ეთქვათ, სინდიკალიზმზე დაწერეთ რამეო, მე ვამჯობინებდი დონბასის შესახებ დამეწერა. ახლა კი ჩვენ გვაცდენენ და პარტიას უკან ეწევიან. პატარა შეცდომიდან დიდი შეცდომა წარმოიშობა. ახლა მე გადავალ ამხ. შლიაპნიკოვზე. ამხ. ტროცკი თავისი თეზისების მე-16 პუნქტში სწორად განსაზღვრავს შლიაპნიკოვის შეცდომას.

ბუხარინი, თავისი ბუფერობის გამო, ჩაებღაუჭა შლიაპნიკოვს, მაგრამ აჯობებდა, რომ ის ხავსს ჩასჭიდებოდა. ის კავშირებს სავალდებულო კანდიდატურებს ჰპირდება. მაშასადამე, ნიშნავს პროფესიული კავშირი. ეს იგივეა, რასაც შლიაპნიკოვი ამბობს. სინდიკალიზმს მარქსისტები მთელ ქვეყნიერებაზე ებრძოდნენ. ოც წელზე მეტია, რაც ჩვენ ვიბრძვით პარტიაში, ჩვენ არა სიტყვით, არამედ საქმით დავუმტკიცეთ მუშებს, რომ პარტია განსაკუთრებული რამ არის, რომ ის მოითხოვს შეგნებულ ადამიანებს, რომლებიც მზად იქნებიან თავი გასწირონ, რომ იგი სჩადის შეცდომებს, მაგრამ ასწორებს ამ შეცდომებს, რომ იგი ხელმძღვანელობს და შეარჩევს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ეცოდინებათ, თუ კიდევ რა გზა უნდა გავიაროთ, თუ კიდევ რა დაბრკოლებანი უნდა გადავლახოთ. იგი არ ატყუებს მუშებს. იგი არ იძლევა ისეთ დაპირებებს, რომელთა შესრულებაც არ შეიძლება. და, თუ თქვენ თავს გადაახტებით პროფესიულ კავშირებს, ამით თქვენ სამი წლის განმავლობაში გაწეულ მთელ ჩვენს მუშაობას აცამტვერებთ, ყველაფერს კითხვის ქვეშ აყენებთ. ამხ. ბუხარინი, რომელსაც მე ველაპარაკე ამ შეცდომის შესახებ, ამბობს: «თქვენ, ამხ. ლენინ, შარს გვდებთო».

მე მესმის სავალდებულო კანდიდატურები, რომ მათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წამოაყენებენ. და რა უფლებებს ვიძლევით ჩვენ მაშინ? ვერავითარ ბლოკს მაშინ ვერ განახორციელებ. მუშები და გლეხები ორი

სხვადასხვა კლასია. როდესაც ელექტრობა მთელ დედამიწაზე ყველგან გავრცელდება, თუ ჩვენ ამას ოცი წლის შემდეგ გავაკეთებთ, ეს გაუგონრად სწრაფად იქნება. ეს სწრაფად ვერ გაკეთდება. მაგრამ აი მაშინ მოდით და ვილაპარაკოთ იმაზე, რომ უფლებები პროფესიულ კავშირებს გადაეცეს, მანამდე კი ეს მუშების მოტყუებაა. პროლეტარიატის დიქტატურა ყველაზე მტკიცეა ქვეყნად იმიტომ, რომ ნდობა აქ საქმეებით არის მოპოვებული, და იმიტომ, რომ პარტია სასტიკად ადევნებდა თვალს იმას, რომ გათქვეფა შეუძლებელი ყოფილიყო.

ხოლო რას ნიშნავს ეს?

განა ყოველმა მუშამ იცის, თუ როგორ უნდა მართოს სახელმწიფო? პრაქტიკულმა ადამიანებმა იციან, რომ ეს ზღაპრებია, რომ ჩვენში პროფესიულად ორგანიზებული მილიონობით მუშები განიცდიან იმას, რასაც ჩვენ ვამბობდით, რომ პროფესიული კავშირები კომუნიზმისა და მმართველობის სკოლას წარმოადგენენ. როდესაც ისინი დაჰყოფენ სკოლაში ამ წლების მანძილზე, ისინი ისწავლიან, მაგრამ ეს ნელა ხდება. ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარობაც კი არ მოგვისპია. ჩვენ ვიცით, თუ როგორ აჰყვებიან ხოლმე არაპროლეტარულ ლოზუნგებს გლეხებთან დაკავშირებული მუშები. ვინ მართავდა მუშებიდან? რამდენიმე ათასი მთელ რუსეთში, ესაა და ეს. თუ ჩვენ ვიტყვით, რომ პარტია კი არ ატარებს კანდიდატურებს და კი არ მართავს, არამედ თვითონ პროფესიული კავშირებიო, ეს ძალიან დემოკრატიულად გაისმის, ამით, იქნებ, ხმები შეაგროვო, მაგრამ არა დიდხანს. ეს ღუპავს პროლეტარიატის დიქტატურას.

წაიკითხეთ კომინტერნის II კონგრესის გადაწყვეტილება. მისი დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი მთელ მსოფლიოს მოედო. ამას წინათ საფრანგეთის სოციალისტების ყრილობამ გვიჩვენა, რომ ჩვენ ამ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე მეტი შოვინიზმით არის აღსავსე, უმრავლესობა მოვიპოვეთ, პარტია გავთიშეთ, დამპალი ბელადები შორს გადავისროლეთ და ეს სინდიკალისტების

წინააღმდეგ მოვიმოქმედეთ. და მათ ყველამ ჩვენი თეორია მიიღეს, ყველა საუკეთესო მუშამ, ყველა საუკეთესო ბელადმა. სინდიკალისტებიც კი ძთელ მსოფლიოში, რევოლუციური სინდიკალისტები, ჩვენთან მოდიან. მე თვითონ ვნახე ამერიკელი სინდიკალისტები, რომლებიც ჩვენში იყვნენ და ახლა ამბობენ: «მართლაც, უპარტიოდ პროლეტარიატის მართვა არ შეიძლებაო». თქვენ ეს ფაქტიურად იცით. და პროლეტარიატისათვის სრულიად შეუფერებელია გულში ჩაეკრას სინდიკალიზმს, ილაპარაკოს სავალდებულო კანდიდატურებზე «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობებისათვის». ეს სახიფათოა, ეს ძირს უთხრის პარტიის ხელმძღვანელ როლს. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ორგანიზებული მუშების მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტია. და გლეხთა უმრავლესობა პარტიას გაჰყვება იმიტომ, რომ პარტიის პოლიტიკა სწორია, იმიტომ, რომ ბრესტის ზავის უაღრესად მძიმე დროს პარტიამ შეძლო დროებითი მსხვერპლი გაეღო და უკან დაეხია, და ეს სწორი გამოდგა. როგორ უნდა უკუვაგდოთ ყოველივე ეს? განა ყოველივე ეს შემთხვევითია? ეს მონაპოვარია იმისა, რაზედაც პარტია ათეული წლობით მუშაობდა. ბოლშევიკების სიტყვა, რომლებმაც ოცი წლის პარტიული სკოლა გამოიარეს, ყველას სჯერა.

რომ მართავდე, უნდა გყავდეს გამოწრთობილი რევოლუციონერ-კომუნისტების არმია, ასეთი არმია არის, მას პარტია ეწოდება. მთელი სინდიკალისტური აბდაუბდა, მწარმოებელთა სავალდებულო კანდიდატურები — ყოველივე ეს უმაქნისი ქაღალდისათვის განკუთვნილ კალათაში უნდა გადავყაროთ. თუ ამ გზას დავადგებით, ეს სინამდვილეში ნიშნავს იმას, რომ პარტია განზე ვიყოლიოთ, ნიშნავს იმას, რომ ნამდვილად რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება იყოს. აი ის თვალსაზრისი, რომლის გაშუქებაც თქვენს წინაშე ჩემ პარტიულ მოვალეობად მიმაჩნდა, თვალსაზრისი, რომელიც, ჩემი შეხედულებით, პრაქტიკულ დებულებათა სახით, გადმოცემულია პლატფორმაში, რასაც ეწოდება «რკპ X ყრილობის დადგენილების პროექტი» და რასაც

ხელს აწერენ ლენინი, ზინოვიევი, ტომსკი, რუძუტაკი, კალინინი, კამენევი, ლოზოვსკი, პეტროვსკი, სერგეევი და სტალინი. მათგან ცენტრალური კომიტეტის არა წევრი ლოზოვსკი იმიტომ შევიდა, რომ ის მუშაობდა პროფესიულ კომისიაში, რომლიდანაც, სამწუხაროდ, გავიდნენ შლიაპნიკოვი და ლუტოვინოვი. მუშები განსჯიან, კარგად მოიქცა თუ არა შლიაპნიკოვი, რომ ის გავიდა. თუ ის კარგად არ მოიქცა, ამისათვის მას დაგმობენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა შეგნებული მუშა მიიღებს ამ პლატფორმას, და ჩვენს პარტიაში ახლა •რსებული უთანხმოებანი ზედაფენების ციებ-ცხელებად დარჩება, მუშები კი მათ გამოასწორებენ, თავიანთ პოსტზე დარჩებიან, პარტიის დისციპლინას დაიცავენ და, რადაც უნდა დაჯდეს, ერთსულოვანი, პრაქტიკული, საქმიანი, ფრთხილი მუშაობით ასწევენ წარმოებას და სრულ გამარჯვებას მოგვანიჭებენ (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

დაიბეჭდა 1921 წ. 25 იანვარს «მთამადნის მუშათა სრულიად რუსეთის მე-2 ყრილობის ბიულეტენში» № 1

იბეჭდება «ბიულეტენის» ტექსტის მიხედვით

2

საბოლოო სიტყვა პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების შესახებ მოხსენების გამო ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე

24 იანვარი

მე, ამხანაგებო, მინდოდა ჩემი სიტყვა დამეწყო სწორედ იმის გამო, თუ ვინ ვის აშინებს, და ამხ. შლიაპნიკოვის გამო, რომელმაც ჩვენ ძალიან შეგვაშინა. აქ ყველა ამბობდა, ლენინი სინდიკალიზმით გვაშინებსო. იმის თქმა, რომ ლენინს სურს შეგვაშინოსო, ნიშნავს იმას, რომ სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, რადგან აზრი სინდიკალიზმზე, როგორც საფრთხობელაზე, ეს აზრი სასაცილოა. ვფიქრობ, რომ ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დავიწყოთ ჩვენი პროგრამებიდან, წავიკითხოთ კომუნისტური პარტიის პროგრამა და ვნახოთ, თუ რას ამბობს ეს პროგრამა. ამხ. ტროცკი და შლიაპნიკოვი ახსენებენ კომუნისტური პროგრამის ერთსა და იმავე ადგილს, და ეს ადგილი პროგრამის სწორედ მე-5 პუნქტშია. ამ ადგილს ახლა მთლიანად წაგიკითხავთ:

«5. განსაზოგადოებული მრეწველობის საორგანიზაციო აპარატი პირველ რიგში უნდა ეყრდნობოდეს პროფესიულ კავშირებს. ისინი სულ უფრო და უფრო უნდა განთავისუფლდნენ ვიწრო ამქრული ფარგლებისაგან და გადაიქცნენ მსხვილ საწარმოო გაერთიანებებად, რომლებიც მოიცავენ წარმოების ამა თუ იმ დარგის მშრომელთა უმრავლესობას, ხოლო შემდეგ თანდათან გამოუკლებლივ ყველა მშრომელსაც».

ეს მოიყვანა თავის სიტყვაში ამხ. შლიაპნიკოვმა. მაგრამ თუ ციფრები სწორი იყო, მაშინ ხომ ორგანიზაციების მმართველნი 60% შეადგენდნენ, და ეს 60% მუშები იყვნენ. შემდეგ თუ პროგრამას დავიმოწმებთ, მაშინ საჭიროა იგი ჯეროვნად დავიმოწმოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიის

წევრებმა იგი მთლიანად იციან, მარტო ნაწყვეტი კი არ უნდა წაიკითხოთ და ამით კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ, როგორც ტროცკი და შლიაპნიკოვი იქცევიან. ამხანაგებო, ისტორიულად დამტკიცებულია, რომ მუშებს არ შეუძლიათ სხვანაირად გაერთიანდნენ, თუ არა წარმოებათა მიხედვით. ამიტომ მთელ მსოფლიოში ყველა მივიდა საწარმოო კავშირების იდეამდე. რასაკვირველია, ეს ჯერჯერობით. ამბობენ, რომ აუცილებელია ამქრული შეზღუდულობისაგან განვთავისუფლდეთო. მერე, განთავისუფლდნენ თუ არა მისგან თუნდაც ერთი მეათედით? ყველა, ვისაც სურს გულწრფელი იყოს, იტყვის, რომ, რასაკვირველია, არ განთავისუფლებულან. რატომ უნდა დავივიწყოთ ეს?

ვინ ეუბნება კავშირებს: «თქვენ ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულხართ ამქრული შეზღუდულობისაგან, მაგრამ უნდა განთავისუფლდეთო»? ეუბნება რკპ თავის პროგრამაში. წაიკითხეთ ეს პროგრამა. ამისაგან დაშორება იმას ნიშნავს, რომ დაშორდე პროგრამას და სინდიკალიზმისაკენ გადაიხარო. რაც უნდა აქნიონ თავი, ლენინს სურს ვიღაცა დააშინოსო, პროგრამა მაინც არსებობს. პირველი ნაწილის მოყვანა და მეორის დავიწყება დაშორებას ნიშნავს. რა მიმართულებით? — სინდიკალისტური მიმართულებით. მე განვაგრძობ კითხვას:

«პროფესიული კავშირები, რომლებიც, თანახმად საბჭოთა რესპუბლიკის კანონებისა და დამყარებული პრაქტიკისა, უკვე მონაწილენი არიან მრეწველობის მართვა-გამგეობის ყველა ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოსი, უნდა მივიდნენ იქამდე, რომ მათ ფაქტიურად მოაქციონ თავიანთ ხელში მთელი მართვა-გამგეობა მთელი სახალხო მეურნეობისა, როგორც ერთი მთლიანი მეურნეობისა».

ამას ყველა იმოწმებს. რა არის იქ ნათქვამი? სრულიად უდავო რამ: «უნდა მივიდნენ». არ არის ნათქვამი, რომ ახლა მიდიან. არ არის ის გადაჭარბება, რომელიც საკმარისია დაუშვა, რომ სისულელე გამოვიდეს. იქ ნათქვამია: «უნდა მივიდნენ». სად? მართვა-გამგეობამდე და ფაქტიურ მოქცევამდე. როდის უნდა მიხვიდეთ თქვენ იქამდე? ამისათვის საჭიროა

აღზრდა. აღზრდა ისე, რომ უკლებლივ ყველას შეეძლოს მართვა და რომ ყველამ იცოდეს, როგორ უნდა გაკეთდეს ეს. შეგიძლიათ თუ არა თქვენ ახლა, გულწრფელად თუ ილაპარაკებთ, თქვათ, რომ პროფკავშირებს მმართველთა თანამდებობაზე ყოველთვის და რამდენიც გნებავთ შეუძლიათ წამოაყენონ გამოსადეგი მმართველები? სამმართველო თანამდებობებზე ხომ საჭიროა არა ექვსი მილიონი, არამედ, იქნებ, სამოცი ათასი, ან, ვთქვათ, ასი ათასი. შეუძლიათ კი მათ წამოაყენონ? ყველა იტყვის, თუ ის არ გამოეკიდება ფორმულებს, თეზისებს და იმათ, ვინც ყველაზე ხმამაღლა გაყვირის, იტყვის, არა, არ შეუძლიათ, ეს ჯერ კიდევ არ არისო. პარტიამ წლების განმავლობაში უნდა აწარმოოს აღმზრდელობითი მუშაობა, დაწყებული წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციით და გათავებული პარტიის მთელი მრავალნაირი მუშაობით პროფკავშირებში. პროფკავშირებში უამრავი სამუშაოა, რომ აქეთ ჯეროვანი გზით წავიდეთ. იქ სწორედ ასეა ნათქვამი: «უნდა მივიდნენ იქამდე, რომ ფაქტიურად მოაქციონ თავიანთ ხელში მთელი მართვა-გამგეობა მთელი სახალხო მეურნეობისა». არ არის ნათქვამი: მრეწველობის დარგებისა, როგორც იმავე ტროცკის აქვს ნათქვამი თავის თეზისებში. ერთ-ერთ პირველ თეზისში ზუსტად არის ციტირებული. მეორეში კი ნათქვამია — მრეწველობის ორგანიზაცია. უკაცრავად, ასე ციტირება არ არის მიღებული. თუ თქვენ თეზისებს წერთ, თუ თქვენ გინდათ პროგრამა დაიმოწმოთ, ბოლომდე წაიკითხეთ. და ყველა, ვინც ამ მე-5 პარაგრაფს თავიდან ბოლომდე წაიკითხავს, ცოტათი ჩაფიქრდება, ათ წუთს მოანდომებს ამას, ის დაინახავს, რომ შლიაპნიკოვმა პროგრამას გადაუხვია, ტროცკი კი გადაახტა. ბოლომდე წაიკითხეთ ეს მე-5 პარაგრაფი:

«პროფესიულმა კავშირებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამგვარად განუყრელ კავშირს ცენტრალურ სახელმწიფო მართვა-გამგეობასა, სახალხო მეურნეობასა და მშრომელთა ფართო მასებს შორის, უაღრესად ფართოდ უნდა ჩააბან ეს უკანასკნელნი უშუალო მუშაობაში მეურნეობის წარმართვის ხაზით. პროფესიული კავშირების მონაწილეობა მეურნეობის წარმარ-

თვაში და მათ მიერ ამ საქმეში ფართო მასების მიზიდვა ამასთან ერთად წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური აპარატის ბიუროკრატიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებას და შესაძლებელს ხდის ნამდვილად სახალხო კონტროლის დაწესებას წარმოების შედეგებზე».

შეხედეთ, ჯერ უნდა მიხვიდეთ იქამდე, რომ ფაქტიურად მოაქციოთ. ახლა კი რას უზრუნველყოფთ თქვენ? — კავშირს ცენტრალურ სახელმწიფო მართვა-გამგეობას შორის — ეს ერთი: ეს ვეება რამ არის. თქვენ არ გისწავლებიათ ჩვენთვის მისი დაძლევა. ამრიგად, უზრუნველყოფილ იქნეს კავშირი ცენტრალურ მართვა-გამგეობასა — ეს ერთი, სახალხო მეურნეობასა — ეს ორი და მასას შორის — ეს სამი. უზრუნველვყავით ჩვენ ეს კავშირი? რაო — კავშირებს შეუძლიათ მართონ? ხომ ხარხარს დაიწყებენ ისინი, ვინც ოცდაათი წლის ასაკს გადააბიჯა და ვისაც საბჭოთა მშენებლობის რაიმე ცხოვრებითი გამოცდილება აქვს. წაიკითხეთ:

«პროფესიული კავშირების მონაწილეობა მეურნეობის წარმართვაში და მათ მიერ ამ საქმეში ფართო მასების მიზიდვა ამასთან ერთად წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური აპარატის ბიუროკრატიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებას და შესაძლებელს ხდის ნამდვილად სახალხო კონტროლის დაწესებას წარმოების შედეგებზე».

პირველი — უზრუნველყოფილ იქნეს კავშირი ცენტრალურ სახელმწიფო აპარატებს შორის. ჩვენ ამ სენს არ ვჩქმალავთ, ხოლო პროგრამაში აღვნიშნეთ — უზრუნველყავით კავშირი მასებთანო, მეორეც, პროფკავშირთა მონაწილეობა მეურნეობის წარმართვაში. აქ მაღალფარდოვანი სიტყვები არ არის. როდესაც თქვენ ამას ისე გააკეთებთ, რომ გაცდენას შეამცირებთ არა 30%-ით, არამედ თუნდაც 3%-ით, მაშინ ჩვენ ვიტყვით: საუცხოო, სასარგებლო და ძვირფასი საქმეა. «პროფესიული კავშირების მონაწილეობა მეურნეობის წარმართვაში და მათ მიერ ამ საქმეში ფართო მასების მიზიდვა». აი რა არის ნათქვამი დღევანდელი დღის პროგრამაში. არც ერთი დაპირების სიტყვა, არაფერი მაღალფარდოვანი, არაფერი იმის მსგავსი, რასაც თქვენ თვითონ ირჩევთ — პროგრამას არ უთქვამს. იგი დემაგოგიას არ ეწევა

და ამბობს, რომ არსებობენ გონებაბნელი, განუვითარებელი მასები, არსებობენ პროფკავშირები, რომლებიც იმდენად ძლიერნი არიან, რომ მთელ გლეხობას მიუძღვებიან, თვითონაც მიდიან პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც ოცი წლის მანძილზე იწრთობოდა ცარიზმთან ბრძოლაში. არც ერთ ქვეყანას არ განუცდია იმდენი, რამდენიც რუსეთმა განიცადა. აი მთელი მექანიკა, თუ რატომ ვძლებთ ჩვენ. რატომ მიაჩნიათ ეს სასწაულად? იმიტომ, რომ გლეხურ ქვეყანაში მხოლოდ პროფკავშირებს შეუძლიათ ეკონომიურად გააერთიანონ მილიონობით დაქსაქსული მეურნეობანი, თუ თვით ექვსმილიონიანი მასა უჯერის თავის პარტიას, მიჰყვება თავის პარტიას ისე, როგორც დღემდე მიჰყვებოდა. აი ის მექანიკა, რომლის წყალობითაც ჩვენ ვძლებთ. ეს პოლიტიკური საკითხია, თუ როგორ მუშაობს ეს მექანიკა. რატომ შეუძლია უმცირესობას მართოს უზარმაზარ გლეხურ ქვეყანაში და რატომ ვართ ჩვენ გულდამშვიდებულნი? სამი წლის გამოცდილების შემდეგ ქვეყნად არავის — არც გარეშე ძალებს, არც შინაური ძალებს — არ შეუძლია ჩვენი გატეხა; თუ ჩვენ არ ჩავიდენთ ზებუნებრივ სისულელეს, რომელიც გათიშვებს გამოიწვევს, ჩვენ შევინარჩუნებთ ჩვენს მდგომარეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჯანაბას გადავიჩეხებით. ამიტომ, როდესაც ამხ. შლიაპნიკოვი თავის პლატფორმაში ამბობს და წერს:

«მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობა ირჩევს სახალხო მეურნეობის მართვა-გამგეობასო»,

მე თქვენ გეუბნებით: წაიკითხეთ მთლიანი მე-5 პარაგრაფი, რომელიც მე თქვენ წაგიკითხეთ ჩვენი პროგრამიდან, და დაინახავთ, რომ არც ლენინი და არც სხვა ვინმე არავის აშინებს.

შლიაპნიკოვმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: «ბოლო მოვუღოთ სახელმწიფოს ბიუროკრატიზმს და სახალხო მეურნეობის ბიუროკრატიზმსო». მე ვამტკიცებ, რომ ეს დემაგოგიაა. ბიუროკრატიზმს ჩვენ ვაყენებთ დღის წესრიგში, და-

წყებული გასული წლის ივლისიდან. გასული წლის ივლისში, რკპ IX ყრილობის შემდეგ, პრეობრაჟენსკიც აყენებს საკითხს, — ხომ არ არის ჩვენში ბიუროკრატიზმის უკიდურესობანიო. ოთხი თვალი გამოიბი. აგვისტოში ცენტრალური კომიტეტი ამტკიცებს ზინოვიევის წერილს — იბრძოლეთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგო. სექტემბერში პარტიული კონფერენცია შეიკრიბა და დაამტკიცა ეს. მაშასადამე, ლენინს კი არ გამოუგონია ახალი გზა, როგორც ტროცკი აღნიშნავდა, არამედ პარტიამ თქვა: «გაჩნდა ახალი მუწუკი, ოთხი თვალი გამოიბიო». ივლისში პრეობრაჟენსკი აყენებს ამ საკითხს, აგვისტოში — ზინოვიევის წერილი, სექტემბერში — პარტიული კონფერენცია, დეკემბერში — საბჭოების ყრილობაზე — ისმება დიდი მოხსენება ბიუროკრატიზმის შესახებ. მაშასადამე, გაჩნდა მუწუკი. ჩვენ პროგრამაში ჩავწერეთ 1919 წელს, რომ ჩვენში ბიუროკრატიზმი არის. ვინც წინადადებას გაძლევთ, ბიუროკრატიზმს ბოლო მოვუღოთო, ის დემაგოგია. თუ თქვენს წინაშე გამოდიან და ამბობენ — «ბოლო მოვუღოთ ბიუროკრატიზმსო», ეს დემაგოგიაა. ეს ჩმახვაა. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ვიბრძოლებთ, და, ვინც სხვანაირად ფიქრობს, ის შარლატანობს და დემაგოგობს, რადგან, იმისათვის, რომ ბიუროკრატიზმი დაძლიო, საჭიროა ასობით ლონისძიება, საჭიროა საყოველთაო წიგნიერება, საყოველთაო კულტურულობა, საყოველთაო მონაწილეობა მუშურ-გლეხურ ინსპექციაში[23]. შლიაპნიკოვი იყო შრომის სახალხო კომისარი, იყო ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისარი. და მერე, ბოლო მოუღო მან ბიუროკრატიზმს? კისელიოვი იყო საფეიქრო მრეწველობის მთავარ სამმართველოში. და მერე, ბოლო მოუღო მან ბიუროკრატიზმს?

ერთხელ კიდევ ვიტყვი, რომ, როდესაც ჩვენი ყრილობები ყველანი დაიყოფიან სექციებად და შეკრებენ შეხორცების ფაქტებს მეწისქვილეებსა და დონბასელებში, მაშინ ჩვენ მოწიფულნი ვიქნებით. ხოლო თუ ჩვენ დავწერეთ მთელი რიგი უვარგისი პლატფორმები, ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ

პატრონები არ ვყოფილვართ. ვიმეორებ, რომ ჩვენ ვერავინ გაგვტეხს, ვერც საგარეო, ვერც საშინაო ძალა, თუ ჩვენ საქმეს გათიშვამდე არ მივიყვანთ. მე ვამბობ, რომ ცეკტრანი არა მარტო ჯოხია, მაგრამ ამ გადაჭარბებამ გათიშვამდე მიგვიყვანა. ბიუროკრატიზმს ყველა აჭარბებს ხოლმე, და ცენტრალურმა კომიტეტმა ეს იცის და ის ამისათვის პასუხს აგებს. და ამ მხრივ ამხ. ტროცკის შეცდომა ის არის, რომ მას ყველა თეზისი შებრუნებულად აქვს დაწერილი. ყველა ეს თეზისი შებერტყვის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი და ყველა ამ თეზისმა კავშირი გათიშვამდე მიიყვანა. და საქმე ის კი არ არის, რომ ამხ. ტროცკის ერთი დავუსვათ, ჩვენ მოწაფენი არა ვართ, და საჭირო არ არის ჩვენთვის ნიშნების დასმა, არამედ საჭიროა ითქვას, რომ ამხ. ტროცკის თეზისები მთელი თავიანთი შინაარსით მცდარია და ამიტომ უნდა უკუვაგდოთ.

დაიბეჭდა 1921 წ. 26 იანვარს
«მთამადნის მუშათა სრულიად
რუსეთის მე-2 ყრილობის ბიულეტენში» № 2

იბეჭდება «ბიულეტენის»
ტექსტის მიხედვით

აკადემიკოს ი. პ. პავლოვისა და მისი თანამშრომლების მეცნიერული მუშაობის უზრუნველმყოფელი პირობების შესახებ

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

მიიღო რა მხედველობაში აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სრულიად განსაკუთრებული მეცნიერული დამსახურება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. შეიქმნას პეტროგრადის საბჭოს წარდგინების საფუძველზე ფართო რწმუნებებით აღჭურვილი სპეციალური კომისია ამხ. მ. გორკის, პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებელთა გამგის ამხ. კრისტის და პეტროგრადის საბჭოს სამმართველოს განყოფილების კოლეგიის წევრის ამხ. კაპლუნის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს უმოკლეს ვადაში შექმნას რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელი პირობები აკადემიკოს პავლოვისა და მისი თანამშრომლების მეცნიერული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

2. დაევალოს სახელმწიფო გამომცემლობას დაბეჭდოს რესპუბლიკის საუკეთესო სტამბაში მდიდრულ გამოცემად აკადემიკოს პავლოვის მიერ გამზადებული მეცნიერული შრომა, რომელიც აჯამებს მისი უკანასკნელი 20 წლის მეცნიერული მუშაობის შედეგებს, ამასთან შეუნარჩუნოს აკადემიკოს ი. პ. პავლოვს ამ თხზულების საკუთრების უფლება როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

3. დაევალოს მუშათა მომარაგების კომისიას მისცეს აკადემიკოს პავლოვს და მის ცოლს სპეციალური ულუფა, რომელიც კალორიულობით ორ აკადემიურ ულუფას შეედრება.

4. დაევალოს პეტროგრადის საბჭოს უზრუნველყოს პროფესორ პავლოვისა და მისი ცოლისათვის მათ მიერ დაკავებული ბინით სამუდამოდ სარგებლობა და მაქსიმალურად მოაწყოს ეს ბინა და აკადემიკოს პავლოვის ლაბორატორია.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

მოსკოვი, კრემლი
1921 წლის 24 იანვარი

დაბეჭდილია 1921 წ. 11 თებერვალს
სრ. რუსეთის ცაკის
გაზეთ «იზვესტიაში» № 30

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ
ხელმოწერილი დედნის
მიხედვით

ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკისა და ბუხარინის შეცდომებზე[24]

პარტიული დისკუსია და ფრაქციული ბრძოლა ყრილობისწინა ხასიათისა, ე. ი. რკპ X ყრილობისათვის დელეგატების არჩევნების წინ და მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, — გაჩაღებულია. პირველ ფრაქციულ გამოსვლას, სახელდობრ ამხ. ტროცკის «მთელ რიგ პასუხისმგებელ მუშაკთა» სახელით გამოსვლას «ბროშურა-პლატფორმით» («პროფკავშირთა როლი და ამოცანები», წინასიტყვაობას 1920 წ. 25 დეკემბრის თარიღი უზის) მოჰყვა მკაცრი (მკითხველი შემდეგ დაინახავს, რომ იგი დამსახურებულად იყო მკაცრი) გამოსვლა რკპ პეტროგრადის ორგანიზაციისა («მიმართვა პარტიისადმი», გამოქვეყნდა 1921 წ. 6 იანვარს «პეტროგრადსკაია პრავდაში»[25] და მერე 1921 წ. 13 იანვარს პარტიის ცენტრალურ ორგანოში, მოსკოვის «პრავდაში»). შემდეგ პეტროგრადის ორგანიზაციის წინაალმდეგ გამოვიდა მოსკოვის კომიტეტი (იმავე რიცხვის «პრავდაში»). მერე გამოქვეყნდა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს რკპ ფრაქციის ბიუროს მიერ გამოცემული სტენოგრაფიული ანგარიში 1920 წ. 30 დეკემბრის დისკუსიისა, რომელიც წარმოებდა მეტად დიდ და ფრიად პასუხსაგებ პარტიულ კრებაზე, სახელდობრ საბჭოების VIII ყრილობის რკპ ფრაქციის კრებაზე. ამ სტენოგრაფიულ ანგარიშს სათაურად აქვს: «პროფესიულ კავშირთა როლის შესახებ წარმოებაში» (წინასიტყვაობა დათარიღებულია 1921 წ. 6 იანვრით). რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ წარმოადგენს მთელ სადისკუსიო მასალას. ხოლო პარტიული კრებები,

რომლებიც სადავო საკითხებს იხილავენ, უკვე თითქმის ყველგან იმართება. 1920 წ. 30 დეკემბერს მე მომიხდა გამოსვლა ისეთ პირობებში, რომლებიც «არღვევენ წესრიგს», როგორც მაშინ ვთქვი, სახელდობრ: ისეთ პირობებში, როდესაც არ შემეძლო კამათში მონაწილეობის მიღება, არ შემეძლო არც წინათ და არც შემდეგ გამოსული ორატორების მოსმენა. შევეცდები ახლა აღვადგინო დარღვეული წესრიგი და უფრო «მოწესრიგებულად» გამოვთქვა ჩემი აზრი.

ფრაქციული გამოსვლების პარტიული საშიშროება

წარმოადგენს თუ არა ამხ. ტროცკის ბროშურა: «პროფკავშირთა როლი და ამოცანები» ფრაქციულ გამოსვლას? არის თუ არა ამგვარ გამოსვლაში, დამოუკიდებლად მისი შინაარსისა, რაიმე პარტიულად საშიში? ამ საკითხის მიჩქმალვა განსაკუთრებით უყვართ (გარდა, რასაკვირველია, ამხ. ტროცკისა) მოსკოვის კომიტეტის წევრებს, რომლებიც პიტერელთა ფრაქციულობას ხედავენ, და ამხ. ბუხარინს, რომელიც, მიუხედავად ამისა, გამოვიდა რა 1920 წ. 30 დეკემბერს «ბუფერული ფრაქციის» სახელით, იძულებული იყო განეცხადებინა:

...«როდესაც მატარებელს აქვს ერთგვარი გადახრა იმისაკენ, რომ დაიმსხვრეს, მაშინ ბუფერები არცთუ ისეთი ცუდი რამ არისო» (1920 წ. 30 დეკემბრის დისკუსიის ანგარიში, გვ. 45).

მაშასადამე, ყოფილა ერთგვარი გადახრა დამსხვრევისაკენ. მერე და, განა წარმოსადგენია პარტიის ისეთი შეგნებული წევრები, რომლებიც უდარდელობას იჩენენ იმ საკითხში, თუ სახელდობრ სად გაჩნდა, სახელდობრ რით გამოიხატა, სახელდობრ როგორ დაიწყო ეს გადახრა?

ტროცკის ბროშურა იწყება განცხადებით, რომ «იგი ნაყოფია კოლექტიური მუშაობისა»; რომ მის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ «მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები, განსაკუთრებით პროფესიონალისტები (პროფკავშირთა სრ. რუსეთის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის, მელიორა-

ნეთა ც. კ.-ის, ცენტრანის წევრები და სხვ.)»; რომ ეს «ბროშურა-პლატფორმაა». ხოლო № 4 თეზისის ბოლოში ვკითხულობთ, რომ «მომავალმა პარტიულმა ყრილობამ უნდა ა ი რ ჩ ი ო ს (ხაზგასმა ტროცკისაა) პროფესიული მოძრაობის დარგში არსებული ორი ტენდენციიდან ერთ-ერთიო».

თუ ეს ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრის მიერ ფრაქციის დაარსება არ არის, თუ ეს «დამსხვრევისაკენ ერთგვარი გადახრა» არ არის, დაე ამხ. ბუხარინმა ან რომელიმე მისმა თანამოაზრემ სცადოს და აუხსნას პარტიას, თუ სხვა რანაირი-ღა აზრი აქვთ სიტყვებს: «ფრაქციულობა» და პარტიის «დამსხვრევისაკენ გადახრა»?? განა წარმოსადგენია იმაზე უფრო საოცარი დაბრმავება, ვიდრე დაბრმავება იმ ადამიანებისა, რომელთაც სურთ «ბუფერობა» გასწიონ და თ ვ ა ლ ს ხ უ ჭ ა ვ ე ნ «დამსხვრევისაკენ» **ასეთი** «გადახრის» წინაშე??

აბა ერთი დააკვირდით: ც. კ-ის ორი პლენუმის (ნოემბრის 9 და დეკემბრის 7) შემდეგ, რომლებმაც არაჩვეულებრივად დაწვრილებით, ხანგრძლივად, ცხარედ იმსჯელეს ამხ. ტროცკის თეზისების პირვანდელ მონასახზე და მთელ იმ პოლიტიკაზე, რომელსაც პარტია, მისი აზრით, პროფკავშირებში უნდა ატარებდეს, — ც. კ-ის ერთი წევრი რჩება 19-დ ა ნ ე რ თ ა დ ე რ თ ი, რომელიც ადგენს თავის ჯგუფს ც. კ-ის გარეთ, გამოდის ამ ჯგუფის «კოლექტიური» «ნაშრომით», როგორც «პლატფორმით», და წინადადებას აძლევს პარტყრილობას «მოახდინოს არჩევანი ო რ ტენდენციას შორის»!! მე აღარას ვამბობ იმაზე, რომ ამხ. ტროცკის მიერ 1920 წ. 25 დეკემბერს სწორედ ორი და მარტოოდენ ორი ტენდენციის გამოცხადება, თუმცა ბუხარინი უკვე 9 ნოემბერს გამოვიდა როგორც «მებუფერე», ნათლად ამხელს ბუხარინის ჯგუფის როგორც ფრიად ცუდი და ფრიად მავნებელი ფრაქციულობის ხელშემწყობის ნამდვილ როლს. ეს სხვათა შორის. მაგრამ მე ვეკითხები პარტიის რომელსაც გნებავთ წევრს: განა არ გაოცებთ თავისი თავბრუდამხვევობით, რომ ამგვარად ეცნენ და ჩააფრინდნენ მოძრაობის დარგში არსებული

ორი ტენდენციიდან ერთ-ერთის «არჩევას»? განა ხელებს გაშლა-და არ გვმართებს, როდესაც პროლეტარული დიქტატურის სამი წლის შემდეგ პარტიაში აღმოჩნდა მისი თუნდაც ერთი ისეთი წევრი, რომელსაც შეუძლია ამგვარად «ჩააფრინდეს» პროფმოძრაობის დარგში არსებული ორი ტენდენციის საკითხს?

ეს ცოტაა. ერთი შეხედეთ, ფრაქციული გამოლაშქრების რა მარგალიტებით არის ეს ბროშურა შემკობილი. 1-ლ თეზისშივე გვხვდება მრისხანე «მუშტის მოღერება» «პროფმოძრაობის ზოგიერთ მუშაკზე», რომელთაც გადაისვრიან «უკან, ტრედუნიონისტულ პოზიციებზე, რის პრინციპული ლიკვიდაციაც პარტიამ დიდი ხანია მოახდინა» (ალბათ, ც. კ-ის 19 წევრში მხოლოდ ერთი წარმოადგენს პარტიას). მე-8 თეზისში ენაწყლიანად დაგმობილია პროფმუშაკთა ხელმძღვანელი ფენის «პროფესიონალისტური კონსერვატიზმი» (დაიხსომეთ, ეს არის ყურადღების ჭეშმარიტად ბიუროკრატიული მიპყრობა «ხელმძღვანელი ფენისადმი»!). მე-11 თეზისის დასაწყისში საკვირველად ტაქტიანი, საბუთიანი, საქმიანი... როგორ ვთქვა უფრო ზრდილობიანად?.. «გადაკვრაა» იმაზე, რომ «პროფესიონალისტთა უმრავლესობა» «ფორმალურად», ე. ი. სიტყვით, აღიარებს რკპ IX ყრილობის რეზოლუციებს.

აი ჩვენს წინაშე როგორი ავტორიტეტული მსაჯულნი არიან იმისა, რომ პროფესიონალისტთა უმრავლესობა (!!) სიტყვით აღიარებს პარტიულ გადაწყვეტილებებს!

მე-12 თეზისში წერია:

«...მრავალი პროფესიონალისტი სულ უფრო და უფრო მკვეთრად და შეურიგებლად ილაშქრებს შეხორცების პერსპექტივის წინააღმდეგ... ამ პროფესიონალისტთა რიცხვში ვხედავთ ამხ. ტომსკის და ლოზოვსკის. ესეც ცოტაა. მრავალი პროფესიონალისტი, გაურბის რა ახალ ამოცანებსა და მეთოდებს, თავის წრეში ავითარებს კორპორატიული კარჩაკეტილობის, მეურნეობის ამა თუ იმ დარგში ჩაბმული ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებას და ამრიგად ფაქტიურად მხარს უჭერს პროფესიულად შეკავშირებულ მუშათა შორის ამჭრელობის გადმონაშთებს».

დაე, მკითხველმა ყურადღებით გადაიკითხოს ეს მსჯელობა და კარგად ჩაუკვირდეს მას. «მარგალიტების» სიმრავლე აქ საოცარია. ჯერ ერთი, შეაფასეთ ეს გამოსვლა მისი ფრაქციულობის თვალსაზრისით! წარმოიდგინეთ, რას იტყოდა და როგორ გამოვიდოდა ტროცკი, ტომსკის რომ პლატფორმა გამოექვეყნებინა და ტროცკისა და «მრავალი» სამხედრო მუშაკისათვის ბრალი დაედო: ბიუროკრატიზმის სულისკვეთებას ავითარებენ, ველურობის გადმონაშთებს ხელს უწყობენო და სხვ.? როგორია «როლი» ბუხარინის, პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვის და სხვათა, რომელნიც ვერ ხედავენ — დიახ, პირდაპირ ვერ ამჩნევენ, სრულებით ვერ ამჩნევენ — აქ უკმეხობას და ფრაქციულობას, ვერ ხედავენ, რამდენად უფრო ფრაქციულია ეს, ვიდრე პიტერელთა გამოსვლა?

მეორე. ჩაუკვირდით, როგორია საქმისადმი მიდგომა: მრავალი პროფესიონალისტი «ავითარებს თავის წრეში სულისკვეთებას»... მიდგომა სულერთიანად ბიუროკრატიულია. თურმე, მთელი საქმე ის ყოფილა, თუ რა «სულისკვეთებას» ავითარებენ «თავიანთ წრეში» ტომსკი და ლოზოვსკი, და სრულიადაც არა ის, თუ როგორია მასის, მილიონების განვითარების დონე და ცხოვრების პირობები.

მესამე. ამხ. ტროცკიმ აქ უცაბედად გამოხატა მთელი დავის ა რ ს ი, რასაც ასე გულმოდგინედ გვერდს უვლის და აფუჩეჩებს როგორც ის, ისე «მებუფერე» ბუხარინი და კომპ.

განა ის არის მთელი დავის არსი და პრძოლის წყარო, რომ მრავალი პროფესიონალისტი გაურბის ახალ ამოცანებსა და მეთოდებს და ავითარებს თავის წრეში ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებას?

თუ ის, რომ პროფესიულად შეკავშირებული მუშათა მასები კანონიერად პროტესტს აცხადებენ და აუცილებლივ მზად არიან უკუაგდონ ის ახალი მუშაკები, რომლებსაც არ სურთ ბიუროკრატიზმის უმაქნისო და მავნე უკიდურესობათა გამოსწორება?

განა ის არის დავის არსი, რომ ვიღაცას არ სურს გაიგოს «ახალი ამოცანები და მეთოდები»?

თუ ის, რომ ვიღაცა ახალი ამოცანებისა და მეთოდების შესახებ ყბედობით უხეიროდ ჩქმალავს ბიუროკრატიზმის ზოგიერთი უმაქნისო და მავნე უკიდურესობის დაცვას?

დაე, მკითხველმა დაიხსომოს მთელი დავის ეს ა რ ს ი.

ფორმალური დემოკრატიზმი და რევოლუციური მიზანშეწონილობა

«მუშათა დემოკრატიამ არ იცის ფეტიშები», — წერს ამხ. ტროცკი თავის თეზისებში, რომლებიც წარმოადგენენ «კოლექტიური მუშაობის ნაყოფს». «მან იცის მხოლოდ რევოლუციური მიზანშეწონილობა» (თეზისი 23).

ამხ. ტროცკის ამ თეზისებს არასასიამოვნო ისტორია შეემთხვა. ის, რაც მათში სწორია, არათუ ახალი არ არის, არამედ ტროცკის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა ც არის მიმართული. ხოლო ის, რაც მათში ახალია, თავიდან ბოლომდე მცდარია.

მე ამოვიწერე ამხ. ტროცკის სწორი დებულებანი. ეს დებულებანი მის წინააღმდეგ მეტყველებენ არა მარტო იმ საკითხში («გლავპოლიტპუტისა»), რომელზედაც 23-ე თეზისშია ლაპარაკი, არამედ სხვა საკითხებშიც.

ფორმალურ-დემოკრატიულად ტროცკის უ ფ ლ ე ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა ფრაქციული პლატფორმით გამოსულიყო თუნდაც მთელი ც. კ-ის წინააღმდეგ. ეს უდავოა. უდავოა ისიც, რომ ეს ფორმალური უფლება ც. კ-მა დაადასტურა თავისი 1920 წ. 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით დისკუსიის თავისუფლების შესახებ. ამ ფორმალურ უფლებას ბუფერული ბუხარინი სცნობს ტროცკისათვის, მაგრამ არ სცნობს პიტერის ორგანიზაციისათვის — ალბათ, იმიტომ, რომ 1920 წ. 30 დეკემბერს ბუხარინი მივიდა «მუშათა დემოკრატიის საღმრთო ლოზუნგამდე» (სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 45)...

მერე, რევოლუციური მიზანშეწონილობა?

განა გამოინახება თუნდაც ერთი სერიოზული ადამიანი, რომელიც, თუ იგი «ცენტრანული» ან «ბუფერული» ფრაქციის ფრაქციული თავმოყვარეობით არ დაბრმავებულა და თუ მას საღი გონება და მტკიცე მეხსიერება შერჩენია, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ა დ მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ა დ მიიჩნევს პროფ-მოძრაობის საკითხების შესახებ **ასეთ** გამოსვლას **ისეთი** ავტორიტეტული ბელადის მხრივ, როგორიც ტროცკია?

განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ტროცკი, თუნდაც იგი «ახალ ამოცანებსა და მეთოდებზე» ისევე უაღრესად სწორად მიგვითითებდეს, რამდენადაც იგი ნამდვილად თავი-დან ბოლომდე არასწორად მიგვითითებს (ამაზე ქვემოთ), საქმისადმი მარტოოდენ ასეთი მიდგომით ზიანს მოუტანდა თავის თავსაც, პარტიასაც, პროფმოძრაობასაც, პროფკავში-რების მრავალი მილიონი წევრის აღზრდასაც და რესპუბლი-კასაც??

კეთილი ბუხარინი და მისი ჯგუფი თავიანთ თავს, ალბათ, იმიტომ უწოდებენ «ბუფერულს», რომ მათ მტკიცედ გადა-უწყვეტიათ ა რ დ ა უ ფ ი ქ რ დ ნ ე ნ იმას, თუ რა მოვა-ლეობას აკისრებს მათ ეს სახელწოდება.

პროფმოძრაობის გათიშვის პოლიტიკური საშიშროება

ყველამ იცის, რომ დიდი უთანხმოებანი ხანდახან აზრის სულ პატარა — თავდაპირველად სრულიად უმნიშვნელო — სხვადასხვაობიდან წარმოსდგება. ყველამ იცის, რომ სულ უმნიშვნელო ჭრილობა ან განაკაწრიც კი, რაც თვითეულ ადამიანს მრავალჯერ განუცდია თავის ცხოვრებაში, შეიძლება გადაიქცეს ფრიად საშიშარ, ზოგჯერ კი, უეჭველად, მომაკვდინებელ ავადმყოფობად, თ უ ჭრილობამ დაჩირქება იწყო, თ უ კაცს სისხლი მოეწამლა. ასე ხდება ხოლმე ყოველ-გვარი, თვით წმინდა პირადი, კონფლიქტების დროსაც კი. ასე ხდება პოლიტიკაშიც.

აზრის ყოველი სხვადასხვაობა, სულ უმნიშვნელოც კი, შეიძლება პოლიტიკურად საშიშ მოვლენად იქცეს, თუ არის შესაძლებლობა იმისა, რომ იგი გათიშვად გაიზარდოს, ამასთან სწორედ ისეთნაირ გათიშვად, რომელსაც შეუძლია შეარყიოს და დაანგრიოს მთელი პოლიტიკური შენობა, მიგვიყვანოს — თუ ამხ. ბუხარინის შედარებას ვიხმართ — მატარებლის დამსხვრევამდე.

ცხადია, ისეთ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატის დიქტატურაა, გათიშვა პროლეტარიატში ანდა პროლეტარულ პარტიასა და პროლეტარიატის მასას შორის უკვე არა მარტო საშიშარია, არამედ უაღრესად საშიშარიც, განსაკუთრებით თუ ამ ქვეყანაში პროლეტარიატი მოსახლეობის პატარა უმცირესობას წარმოადგენს. ხოლო გათიშვა პროფმოძრაობისა (რომელიც, როგორც მე ვცდილობდი მთელი ძალ-ღონით ხაზი გამესვა ჩემს 1920 წ. 30 დეკემბრის სიტყვაში, არის პროფკავშირებში თითქმის მთლად ორგანიზებული პროლეტარიატის მოძრაობა) ნიშნავს სწორედ პროლეტარიატის მასის გათიშვას.

აი რატომ იყო, რომ, როდესაც პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციაზე 1920 წ. 2—6 ნოემბერს «ალიაქოთი ატყდა» (ის კი სწორედ ამ კონფერენციაზე ატყდა), როდესაც მყისვე ამ კონფერენციის შემდეგ... არა, ვცდები, — ამ კონფერენციის დ რ ო ს ვ ე პოლიტბიუროში შემოვიდა საოცრად აღელვებული ამხ. ტომსკი და, ფრიად დინჯი ამხ. რუძუტაკის სრული მხარდაჭერით, მოგვიყვა, თუ როგორ ლაპარაკობდა ამხ. ტროცკი ხსენებულ კონფერენციაზე პროფკავშირთა «შებერტყვის» შესახებ და თუ იგი, ტომსკი, როგორ ეკამათებოდა მას ამის გამო, — როდესაც ეს მოხდა, მე ერთბაშად და საბოლოოდ გადავწყვიტე ჩემდათავად, რომ დავის არსი სწორედ პოლიტიკაა (ე. ი. პროფკავშირების მიმართ პარტიის პოლიტიკა) და რომ ამ დავაში ამხ. ტომსკისთან ამხ. ტროცკი თავისი «შებერტყვის» პოლიტიკით ძირფესვიანად შემცდარია, ვინაიდან «შებერტყვის» პოლიტიკა, ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ა დ კ ი დ ე ც

რომ მართლდებოდეს იგი «ახალი ამოცანებით და მეთოდებით» (ტროცკის მე-12 თეზისი), ახლანდელ მომენტში და ახლანდელ ვითარებაში არის პოლიტიკა ყოვლად შეუწყნარებელი, როგორც ისეთი პოლიტიკა, რომელიც გათიშვით იმუქრება.

ამხ. ტროცკის ახლა ჰგონია, რომ მისთვის «ზემოდან შებერტყვის» პოლიტიკის მიწერა «პირდაპირ კარიკატურას წარმოადგენს» (ლ. ტროცკი: «პასუხი პეტროგრადელ ამხანაგებს», «პრავდა» № 9, 1921 წ. 15 იანვარი). მაგრამ სიტყვა «შებერტყვა» ნამდვილი «მოსწრებული სიტყვაა» არა მარტო იმ აზრით, რომ ამ სიტყვამ, ამხ. ტროცკის მიერ პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციაზე თქმულმა, ასე ვთქვათ, უკვე «მოიარა» პარტიაც და პროფკავშირებიც. არა. სამწუხაროდ, იგი მართალი რჩება დღესაც გაცილებით უფრო ღრმა მნიშვნელობით. სახელდობრ: ერთი ეს სიტყვა მეტად სხარტი ფორმით გამოხატავს ბროშურა-პლატფორმის — «პროფკავშირთა როლი და ამოცანები»-ს — მთელ სულს, მთელ ტენდენციას. ამხ. ტროცკის მთელი ეს ბროშურა-პლატფორმა თავიდან ბოლომდე სულერთიანად გაჟღენთილია სწორედ «ზემოდან შებერტყვის» პოლიტიკის სულისკვეთებით. საკმარისია გავიხსენოთ ამხ. ტომსკის ან «მრავალი პროფესიონალისტის» წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, რომ ისინი «თავიანთ წრეში ავითარებენ ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებასო»!

მაგრამ თუ პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციაზე (1920 წ. 2 — 6 ნოემბერი) მხოლოდ იწყებოდა გათიშვის საფრთხის მომასწავებელი ატმოსფეროს შექმნა, 1920 წ. დეკემბრის დამდეგს ცეკტრანის გათიშვა უკვე ფაქტად იქცა.

ეს მოვლენა ძირითადი, უმთავრესი და უპირველესია ჩვენი დავის პოლიტიკური არსის შესაფასებლად; და ტყუილად ფიქრობენ ამხ. ამხ. ტროცკი და ბუხარინი, რომ მიჩქმალვა აქ რასმე გვიშველის. მიჩქმალვა კი არ «აბუფერებს»,

არამედ ამ შემთხვევაში აღვივებს დავას, ვინაიდან საკითხი არა მარტო დასმულია ცხოვრების მიერ დღის წესრიგში, არამედ ხაზგასმულიცაა ამხ. ტროცკის მიერ მის ბროშურა-პლატ-ფორმაში. ვინაიდან სწორედ ამ ბროშურის ჩემ მიერ მრავალჯერ მოყვანილი ადგილები, განსაკუთრებით მე-12 თეზისი, აყენებს საკითხს: რა შეადგენს საქმის არსს, — ის, **რომ** «მრავალი პროფესიონალისტი ავითარებს თავის წრეში ახალი მუშაკებისადმი მტრობის სულისკვეთებას», თუ ის, რომ მ ა ს ე ბ ი ს «მტრობა» კანონიერია ბიუროკრატიზმის ზოგიერთი უმაქნისო და მავნე უკიდურესობის გამო, მაგალითად, ცეკტრანში?

ამხ. ზინოვიევმაც თავის 1920 წ. 30 დეკემბრის პირველსავე სიტყვაში სავსებით საფუძვლიანად დასვა ეს საკითხი პირდაპირ, როცა თქვა, რომ გათიშვამდე მიგვიყვანეს «ამხ. ტროცკის არაზომიერმა მომხრეებმაო». იქნებ, სწორედ ამიტომ ამხ. ბუხარინმა ამხ. ზინოვიევის სიტყვას ლანძღვით უწოდა «წყლის ნაყვა»? მაგრამ ამგვარი საყვედურის უსამართლობაში ახლა დარწმუნდება პარტიის ყოველი წევრი, რომელიც წაიკითხავს 1920 წ. 30 დეკემბრის დისკუსიის სტენოგრაფიულ ანგარიშს და დაინახავს, რომ ზუსტ ფაქტებს ასახელებს და ზუსტ ფაქტებს ემყარება სწორედ ამხ. ზინოვიევი, ხოლო სრულიად უფაქტებო ინტელიგენტური «სიტყვიერება» სჭარბობს სწორედ ტროცკისა და ბუხარინის გამოსვლებში.

როდესაც ამხ. ზინოვიევმა თქვა: «ცეკტრანი თიხის ფეხებზე დგას, იგი უკვე სამ ნაწილად გაიყოო», ამხ. სოსნოვსკიმ გააწყვეტინა მას სიტყვა წამოძახილით:

«თქვენ კი ამას აქეზებდითო» (სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 15).

ეს მართლაც სერიოზული ბრალდებაა. ეს რომ დამტკიცებულიყო, მაშინ, რასაკვირველია, თუნდაც მარტო ერთი პროფკავშირის **გათიშვის** წ ა ქ ე ზ ე ბ ა შ ი დამნაშავეებს ადგილი არ ექნებოდათ არც ც. კ-ში, არც რკპ პარტიაში, არც ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირებში. საბედნიეროდ, სერი-

ოზული ბრალდება არასერიოზული ფორმით წამოაყენა ამხანაგმა, რომელსაც, სამწუხაროდ, არაერთხელ უჩვენებია თავისი არასერიოზული პოლემიკური «გატაცების» მაგალითები. ამხ. სოსნოვსკი თავის საუცხოო სტატიებსაც კი, ვთქვათ, საწარმოო პროპაგანდის დარგიდან, ზოგჯერ შეაზავებდა ხოლმე ისეთი «კოვზი კუპრით», რომელიც ბევრად სჭარბობდა თვით საწარმოო პროპაგანდის ყველა პლუსს. არიან ისეთი ბედნიერი ბუნების ადამიანები (როგორიცაა, მაგალითად, ბუხარინი), რომელთაც ბრძოლის უდიდესი გამწვავების დროსაც კი ძალიან ნაკლებად შეუძლიათ თავიანთი გამოლაშქრება შხამით შეაზავონ; არიან ისეთი ადამიანები, მაინცდამაინც არცთუ ბედნიერი ბუნებისა, რომლებიც ძალიან ხშირად ავსებენ შხამით თავიანთ გამოლაშქრებას. სასარგებლო იქნება ამხ. სოსნოვსკისათვის, რომ ამ მხრივ თავის თავს თვალი ადევნოს და თავის მეგობრებსაც კი სთხოვოს, რომ მას თვალი ადევნონ.

მაგრამ — შეუძლიათ თქვან — ბრალდება ხომ მაინც წამოყენებულია. დაე არასერიოზული, უხეირო, აშკარად «ფრაქციული» ფორმით. მაგრამ უმჯობესია უხეიროდ ითქვას სიმართლე, ვიდრე ვდუმდეთ მის შესახებ, თუ კი საქმე სერიოზულიაო.

საქმე, უეჭველად, სერიოზულია, ვინაიდან, ვიმეორებ, აქ არის უფრო მეტად, ვიდრე ჰგონიათ, მთელი დავის თ ა ვ ი დ ა ბ ო ლ ო. და ჩვენ, საბედნიეროდ, მოგვეპოვება საკმარისად დამარწმუნებელი და საკმარისად ობიექტური მონაცემები, რათა ამხ. სოსნოვსკის მიერ წამოყენებულ საკითხს ა რ ს ე ბ ი თ ა დ გავცეთ პასუხი.

ჯერ ერთი, სტენოგრაფიული ანგარიშის იმავე გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ ამხ. ზინოვიევის განცხადებას, რომელშიც მან არათუ უპასუხა ამხ. სოსნოვსკის — «ტყუილიაო!», არამედ ზუსტადაც დაიმოწმა გადამწყვეტი ფაქტები. ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა: ამხ. ტროცკი ცდილობდა წამოეყენებინა (როდესაც იგი აშკარად გატაცებული იყო ფრაქციულობით, — დავუმატებ ჩემი მხრით) სრულიადაც არა ისეთი

ბრალდება, როგორიც წამოაყენა ამხ. სოსნოვსკიმ, არა-მედ ბრალდება ამხ. ზინოვიევის წინააღმდეგ, რომ მან, ზინოვიევმა, თავისი გამოსვლით რკპ სექტემბ-რის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ხელი შეუწყო გათიშვას ან გამოიწვია გათიშვაო. (ეს ბრალ-დება, შევნიშნავ ფრჩხილებში, უსაფუძვლოა თუნდაც იმი-ტომ, რომ ზინოვიევის სექტემბრის გამოსვლა არსებითად მოიწონა ცენტრალურმა კომიტეტმაც და პარტიამაც და არა-ვის მის წინააღმდეგ არც ერთხელ ფორმალურად პროტესტი არ განუცხადებია).

ამხ. ზინოვიევმაც მიუგო: ამხ. რუძუტაკმა ც. კ-ის სხდომა-ზე ოქმებით ხელში დაამტკიცა, რომ «ეს საკითხი (საკითხი ცეკტრანში ზოგიერთ უმაქნისო და მავნე ბიუროკრატიულ უკიდურესობათა შესახებ) განხილული იყო ციმბირშიც, ვოლგაზედაც, ჩრდილოეთშიც, სამხრეთშიც ბევრად უფ-რო ადრე ჩემს (ე. ი. ზინოვიევის) რაიმე გამოსვლამდე და ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სრულიად რუსეთის კონფე-რენცია შედგებოდაო».

ეს სავსებით ნათელი, ზუსტი, ფაქტიური განცხადებაა. ეს განცხადება ამხ. ზინოვიევმა გააკეთა თავის პირველ სი-ტყვაში რკპ ათასობით ფრიად პასუხისმგებელ წევრთა წინა-შე, ამასთან არც ამხ. ტროცკის, რომელმაც ზინოვიევის ამ სიტყვის შემდეგ ორჯერ ილაპარაკა, არც ამხ. ბუხა-რინს, რომელმაც ილაპარაკა აგრეთვე ზინოვიევის ამ სიტყვის შემდეგ, არ გაუბათილებიათ ზინოვიევის ფაქ-ტიური მითითებანი.

მეორეც. ამხ. სოსნოვსკის ბრალდებას კიდევ უფრო ზუს-ტად და ოფიციალურად აბათილებს იმავე სტენოგრაფიულ ანგარიშში მოთავსებული, 1920 წ. 7 დეკემბერს მიღებული რეზოლუცია რკპ ც. კ-ის პლენუმისა იმ კონ-ფლიქტის საკითხზე, რომელიც მოხდა წყალტრანსპორტის მუშაკ კომუნისტებსა და ცეკტრანის თათბირის კომუნისტურ

ფრაქციას შორის. რეზოლუციის იმ ნაწილში, რომელიც ცეკტრანს ეხება, ვკითხულობთ:

«ცეკტრანსა და წყალტრანსპორტის მუშაკთა შორის მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით ც. კ-მა დაადგინა: 1) შეიქმნას გაერთიანებულ ცეკტრანში წყალტრანსპორტის მუშაკთა სექცია. 2) მოწვეულ იქნეს თებერვალში რკინიგზელთა და წყალტრანსპორტის მუშაკთა ყრილობა, რომელზედაც ჩატარდეს ნორმალური არჩევნები ახალი ცეკტრანისა. 3) მანამდე სამუშაოდ დატოვებულ იქნეს ცეკტრანის ძველი შემადგენლობა. 4) დაუყოვნებლივ გაუქმდეს «გლავპოლიტვოდი» და «გლავპოლიტპუტი»; მათი მთელი ძალები და სახსრები გადაეცეს პროფესიულ ორგანიზაციას ნორმალური დემოკრატიზმის საფუძველზე».

მკითხველი აქედან ხედავს, რომ აქ არათუ არაფერია ნათქვამი წყლის ტრანსპორტის მუშაკთა დაგმობის შესახებ, არამედ, პირიქით, ყველაფერ არსებითში აღიარებულია მათი სიმართლე. ამავე დროს კი ამ რეზოლუციისათვის ხმა არ მიუცია არც ერთს (გარდა კამენევისა) იმ ცეკისტებიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1921 წ. 14 იანვრის საერთო პლატფორმას («პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ». რკპ X ყრილობის დადგენილების პროექტი, შემოტანილი ც. კ-ში ც. კ-ის წევრთა და პროფესიული კომისიის წევრთა ჯგუფის მიერ. არა როგორც ც. კ-ის წევრი, არამედ როგორც პროფკომისიის წევრი, მას ხელს აწერს ლოზოვსკი, დანარჩენნი იყვნენ: ტომსკი, კალინინი, რუძუტაკი, ზინოვიევი, სტალინი, ლენინი, კამენევი, პეტროვსკი, არტემ სერგეევი).

ეს რეზოლუცია გატარებულია დასახელებული ცეკისტების წინააღმდეგ, ე. ი. ჩვენი ჯგუფის წინააღმდეგ. ვინაიდან ჩვენ ხმას მივცემდით ძველი ცეკტრანის დროებით დატოვების წინააღმდეგ. და ჩვენი ჯგუფის გამარჯვების აუცილებლობამ აიძულა ტროცკი ხმა მიეცა ბუხარინის რეზოლუციისათვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი გადაწყვეტილება გავიდოდა. ამხ. რიკოვი, რომელიც ნოემბერში ტროცკის მხარეზე იყო, დეკემბერში მონაწილეობდა ცეკტრანსა და წყალტრანსპორტელთა შორის წამოჭრილი

კონფლიქტის განმხილველი პროფკომისიის მუშაობაში და დარწმუნდა წყალტრანსპორტელთა სიმართლეში.

დასკვნა: ც. კ-ის დეკემბრის (7 დეკემბრის) უმრავლესობა შედგებოდა ამხ. ტროცკისა, ბუხარინისა, პრეობრაჟენსკისა, სერებრიაკოვისა და სხვებისაგან, ე. ი. ისეთი ცეკისტებისაგან, რომლებსაც ცეკტრანის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მიკერძოებას ვერავინ დასწამებს. და ამ უმრავლესობამ, თავისი გადაწყვეტილების არსით, დაგმო არა წყალტრანსპორტელები, არამედ ცეკტრანი, ოღონდ უარი თქვა მის დაუყოვნებლივ გადაყენებაზე. მაშასადამე, სოსნოვსკის ბრალდების უსაფუძვლობა დამტკიცებულია.

რათა ადგილი არ დაურჩეს ბუნდოვანობას, უნდა შევეხოთ ერთ პუნქტსაც. რაში მდგომარეობდა «ბიუროკრატიზმის ზოგიერთი უმაქნისო და მავნე უკიდურესობა», რომელიც მე არაერთხელ ვახსენე? ე ს ბრალდება ლიტონი სიტყვა ან გაზვიადება ხომ არ იყო და არ არის?

ამის პასუხსაც კვლავ ამხ. ზინოვიევი იძლევა თავის 1920 წ. 30 დეკემბრის პირველსავე სიტყვაში, და ეს პასუხი ისეთია, რომ სიზუსტის მხრივ უკეთესს კაცი ვერ ინატრებს. ამხ. ზინოვიევმა მოიყვანა ამონაწერი ამხ. ზოფის დაბეჭდილი ბრძანებიდან წყლის ტრანსპორტის მიმართ (1920 წ. 3 მაისის თარიღით), სადაც ნათქვამია: «კომიტეტობანა უკუგდებულია». ამხ. ზინოვიევმა მართებულად უწოდა ამას ძირითადი შეცდომა. აი სწორედ ეს არის ნიმუში ბიუროკრატიზმის და «დანიშვნების» სისტემის უმაქნისო და მავნე უკიდურესობისა. ამასთანავე ამხ. ზინოვიევმა იქვე დასძინა, რომ არიან «გაცილებით უფრო ნაკლებ გამობრძმედილი და ნაკლებ გამოცდილი ამხანაგები» — დანიშნულები, ვიდრე ამხ. ზოფიაო. მე გამიგონია ც. კ-ში ზოფის შეფასება, როგორც უძვირფასესი მუშაკისა, და ჩემი დაკვირვებაც თავდაცვის საბჭოში სავსებით ადასტურებს ამ შეფასებას. არავის უფიქრია ასეთი ამხანაგების არც ავტორიტეტის შებღალვა, არც მათი «განტევების ვაცებად» ქცევა (როგორც ამის ეჭვი გამოთქვა თავის მოხსენებაში ამხ. ტროცკიმ, გვ. 25, თუმცა საამისოდ

საბუთის ნატამალიც არა ჰქონია). «დანიშნულთა» ავტორიტეტს ძირს უთხრის არა ის, ვინც მათ შეცდომებს ასწორებს, არამედ ის, ვინც განიზრახავდა მათ დაცვას მაშინაც კი, როდესაც ისინი შეცდომებს სჩადიან.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ პროფმოძრაობის გათიშვის საშიშროება გამოგონილი კი არა, რეალური იყო. ნათლად ვხედავთ აგრეთვე, სახელდობრ რაში მდგომარეობდა უთანხმოებათა გაუზვიადებელი არსი: ეს იყო ბრძოლა იმისათვის, რომ ბიუროკრატიზმისა და დანიშვნების სისტემის ზოგიერთ უმაქნისო და მავნე უკიდურესობას კი არ ვიცავდეთ, კი არ ვამართლებდეთ, არამედ ვასწორებდეთ. ეს არის და ეს.

პრინციპულ უთანხმოებათა შესახებ

მაგრამ შეიძლება გვითხრან: თუკი არსებობს ძირითადი და ღრმა პრინციპული უთანხმოებანი, განა ეს არ ამართლებს უაღრესად მკაცრ და ფრაქციულ გამოსვლებსაც კი? თუ საჭიროა ითქვას ახალი და ისეთი რამ, რაც ვერ გაუგიათ, განა ეს ხანდახან გათიშვასაც არ ამართლებს?

რასაკვირველია, ამართლებს, თუ უთანხმოებანი მართლაც უკიდურესად ღრმაა და თუ პარტიის ან მუშათა კლასის პოლიტიკის არასწორი მიმართულების გამოსწორების მიღწევა სხვანაირად არ შეიძლება.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ასეთი უთანხმოებანი არ არსებობს. ამხ. ტროცკი ცდილობდა დაესახელებინა ისინი, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. და თუ მისი ბროშურის გ ა მ ო ს ვ ლ ა მ დ ე (დეკემბრის 25) შეიძლებოდა — და უნდა — გველაპარაკნა კიდეც პირობითად ან შემარიგებლურად («არ შეიძლება საკითხისადმი ასე მიდგომა იმ შემთხვევაშიც კი, რომ არსებობდეს შეუცნობელი ახალი ამოცანები, არსებობდეს უთანხმოებანი»), სამაგიეროდ ამ ბროშურის გამოსვლის შ ე მ დ ე გ იძულებული გავხდით გვეთქვა: რაც კი რამ

ახალი აქვს ამხ. ტროცკის, იმაში ის არსებითად მართალი არაა.

ყველაზე ნათლად ეს გამოჩნდება, თუ ჩვენ ერთმანეთს შევადარებთ ამხ. ტროცკის თეზისებს და რუძუტაკის იმ თეზისებს, რომლებიც მიიღო პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციამ (2 — 6 ნოემბერს). მე ეს თეზისები მოვიყვანე 30 დეკემბრის სიტყვაში და 21 იანვრის «პრავდაში». ეს თეზისები ტროცკის თეზისებზე უფრო სწორიც არის და უფრო სრულიც. ის კი, რითაც ტროცკის თეზისები განსხვავდება რუძუტაკის თეზისებისაგან, — ტროცკის თეზისებში სწორი არაა.

ავიღოთ დასაწყისისთვის ყბადაღებული «საწარმოო დემოკრატია», რომელიც ამხ. ბუხარინმა სასწრაფოდ ჩაურთო ც. კ-ის 7 დეკემბრის რეზოლუციაში. რასაკვირველია, სასაცილო იქნებოდა გამოვკიდებოდით ამ მოუხეშავ და ინტელიგენტურ-ხელოვნურ («მაღალფარდოვან») ტერმინს, იგი რომ სიტყვაში ან სტატიაში ეხმარათ. მაგრამ ხომ სწორედ ტროცკიმ და ბუხარინმა ჩაიგდეს თავი ისეთ სასაცილო მდგომარეობაში, რომ ისინი თ ე ზ ი ს ებ ში დ ა ჟ ი ნ ებ ი თ ი ც ა ვ ე ნ სახელდობრ ამ ტერმინს, რომელიც მათ «პლატფორმებს» განასხვავებს პროფკავშირთა მიერ მიღებულ რუძუტაკის თეზისებისაგან!

ეს ტერმინი თეორიულად სწორი არ არის. ყოველი დემოკრატია, როგორც საზოგადოდ ყოველი პოლიტიკური ზედნაშენი (აუცილებელი, ვიდრე კლასების მოსპობა არ დამთავრებულა, ვიდრე არ შექმნილა უკლასო საზოგადოება), ემსახურება, საბოლოო ანგარიშით, წარმოებას და განისაზღვრება, საბოლოო ანგარიშით, არსებული საზოგადოების საწარმოო ურთიერთობით. ამიტომ «საწარმოო დემოკრატიის» გამოყოფა ყოველგვარი სხვა დემოკრატიიდან არაფერს არ გვეუბნება. ეს დომხალი და ლათაიაა. ეს ერთი.

მეორე. დააკვირდით ამ ტერმინის განმარტებას თვით ბუხარინის მიერ ც. კ-ის 7 დეკემბრის პლენუმის რეზოლუ-

ციაში, რომელიც მის მიერ არის დაწერილი. «ამიტომ, — წერდა იქ ბუხარინი, — მუშათა დემოკრატიის მეთოდები უნდა იყოს საწარმოო დემოკრატიის მეთოდები. ეს იმას ნიშნავს» — დაიხსომეთ: «ეს იმას ნიშნავს»! ბუხარინი მასებისადმი მიმართვას იწყებს ისეთი თავსატეხი ტერმინით, რომელსაც ცალკე განმარტება ესაჭიროება: მე მგონია, დემოკრატიზმის თვალსაზრისით, ეს არადემოკრატიულია; მასებისათვის უნდა ვწერდეთ ისე, რომ არ ვიხმაროთ ისეთი ახალი ტერმინები, რომლებიც ცალკე განმარტებას მოითხოვენ; «საწარმოო» თვალსაზრისით ეს მავნებელია, ვინაიდან ტყუილუბრალოდ დროს გვაკარგვინებს უსარგებლო ტერმინის განმარტებაზე — «ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი არჩევნები, კანდიდატების წამოყენება, მათი მხარდაჭერა და ა. შ. უნდა ხდებოდეს არა მარტო პოლიტიკური სიმტკიცის, არამედ სამეურნეო უნარიანობის, ადმინისტრაციული სტაჟის, ორგანიზატორული თვისებებისა და მშრომელთა მასების მატერიალური და სულიერი ინტერესებისათვის საქმით შემოწმებული ზრუნვის თვალსაზრისითაც».

ეს მსჯელობა ყურით მოთრეულია და არასწორი. დემოკრატია როდი ნიშნავს მარტოოდენ «არჩევნებს, კანდიდატების წამოყენებას, მათს მხარდაჭერას და სხვ.». ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ კი, არც ყოველგვარი არჩევნები უნდა ხდებოდეს პოლიტიკური სიმტკიცისა და სამეურნეო უნარიანობის თვალსაზრისით. საჭიროა აგრეთვე, წინააღმდეგ ტროცკის აზრისა, მილიონიან ორგანიზაციაში გვყავდეს განსაზღვრული პროცენტი შუამავლებისა, ბიუროკრატებისა (კარგი ბიუროკრატების გარეშე ჩვენ კიდევ მრავალ წელს ვერ წავალთ იოლად). მაგრამ ჩვენ არ ვლაპარაკობთ «საშუამავლო» ანდა «ბიუროკრატიულ» დემოკრატიაზე.

მესამე. უმართებულო იქნება შევყურებდეთ მხოლოდ არჩეულებს, მხოლოდ ორგანიზატორებს, ადმინისტრატორებს და სხვ.. ესენი მაინც გამოჩენილ ადამიანთა მხოლოდ უმცირესობას შეადგენენ. უნდა შევყურებდეთ უბრალო მუშაკებს,

მასას. რუძუტაკს ეს აზრი გამოთქმული აქვს არა მარტო უფრო მარტივად, უფრო გასაგებად, არამედ თეორიულად უფრო სწორადაც (თეზისი მე-6):

...«საჭიროა, რათა წარმოების ყოველმა მონაწილემ შეიგნოს მის მიერ შესასრულებელი საწარმოო ამოცანების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა; რათა წარმოების ყოველი მონაწილე არა მარტო მონაწილეობდეს ზემოდან მოცემულ დავალებათა შესრულებაში, არამედ შეგნებულადაც იღებდეს მონაწილეობას წარმოების დარგში არსებული ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული ნაკლის გამოსწორებაში».

მეოთხე. «საწარმოო დემოკრატია» ისეთი ტერმინია, რომელმაც შეიძლება მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს. შეიძლება იგი გაიგონ დიქტატურისა და ერთმმართველობის უარყოფის აზრით. შეიძლება იგი განმარტონ, როგორც ჩვეულებრივი დემოკრატიის გადავადება ან როგორც მისგან თავის არიდება. ორივე ეს განმარტება მავნებელია, ხოლო ისინი რომ თავიდან ავიცილოთ, ვერ ავცდებით განსაკუთრებულ და გრძელ-გრძელ კომენტარებს.

იმავე აზრების მარტივი გადმოცემა რუძუტაკის მიერ უფრო სწორიცაა და ყველა ამ უხერხულობასაც თავიდან გვაცილებს. ტროცკიც 11 იანვრის «პრავდაში» მოთავსებულ თავის სტატიაში «საწარმოო დემოკრატია» არათუ არ უარყოფს იმას, რომ ასეთი უსწორობა და უხერხულობა არის (იგი გვერდს უვლის მთელ ამ საკითხს, არ ადარებს თავის თეზისებს რუძუტაკისას), არამედ, პირიქით, არაპირდაპირ ადასტურებს თავისი ტერმინის უხერხულობას და უსწორობას, ადასტურებს სახელდობრ იმით, რომ მოჰყავს მის საპარალელოდ: «სამხედრო დემოკრატია». საბედნიეროდ, რამდენადაც გვახსოვს, ჩვენ არასოდეს არ აგვიტეხია ფრაქციული დავა მსგავსი ტერმინის გამო.

ამაზე უფრო უხეიროა ტროცკის ისეთი ტერმინი, როგორიცაა «საწარმოო ატმოსფერო». ზინოვიევმა სამართლიანად აიგდო ეს ტერმინი სასაცილოდ. ტროცკი ძალიან გაჯავრდა და უპასუხებდა: «სამხედრო ატმოსფერო ჩვენში არსებობდა... ახლა

მუშათა მასაში, მის ღრმა ფენებში, და არა მარტო ზედაპირზე, უნდა შეიქმნას საწარმოო ატმოსფერო, ე. ი. ისეთივე დაძაბულობა, საქმიანი ინტერესი, წარმოებისადმი ყურადღება, როგორიც არსებობდა ფრონტებისადმი»... საქმეც სწორედ ისაა, რომ «მუშათა მასას, მის ღრმა ფენებს» უნდა ველაპარაკოთ ისე, როგორც ნათქვამია რუძუტაკის თეზისებში, და არ უნდა ვხმარობდეთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: «საწარმოო ატმოსფერო», რაც გაუგებრობას ანდა ღიმილს გამოიწვევს. ამხ. ტროცკი, ხმარობს რა გამოთქმას «საწარმოო ატმოსფერო», არსებითად, იმავე აზრს გამოხატავს, რასაც გამოხატავს საწარმოო პროპაგანდის ცნება. მაგრამ სწორედ მუშათა მასისათვის, მისი ღრმა ფენებისათვის, საწარმოო პროპაგანდა ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ ამგვარ გამოთქმებს ვერიდოთ. ეს გამოთქმა იმის ნიმუშად გამოდგება, თუ როგორ არ უნდა ვაწარმოებდეთ საწარმოო პროპაგანდას მასებში.

პოლიტიკა და ეკონომიკა. დიალექტიკა და ეკლექტიციზმი

უცნაურია, რომ ხელახლა გვიხდება ესოდენ ელემენტარული, საანბანო საკითხის დასმა. სამწუხაროდ, ტროცკი და ბუხარინი მაიძულებენ ამას. ორივენი მისაყვედურებენ, რომ მე «ვცვლი» საკითხს, ან რომ მე მას «პოლიტიკურად» ვუდგები, ჩვენ კი «მეურნეობრივად» ვუდგებითო. ბუხარინმა ეს თავის თეზისებშიც კი შეიტანა; იგი ცდილობდა ორივე მოკამათე მხარეზე «მაღლა დამდგარიყო»: აი, მე ერთსაც და მეორესაც ვაერთებო.

აშკარა თეორიული შეცდომაა. პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა — გავიმეორე მე ჩემს სიტყვაში, ვინაიდან წინათაც გამეგონა ეს ყოვლად შეუსაბამო, მარქსისტის პირში სრულიად დაუშვებელი საყვედური ჩემ მიერ საკითხისადმი «პოლიტიკური» მიდგომის გამო.

პოლიტიკას ეკონომიკასთან შედარებით არ შეიძლება პირველობა არ ეკუთვნოდეს. სხვანაირად მსჯელობა ნიშნავს მარქსიზმის ანბანის დავიწყებას.

იქნებ, ჩემი პოლიტიკური შეფასება მცდარია? თქვით და დაამტკიცეთ ეს. მაგრამ თქმა იმისა (ან თუნდაც არაპირდაპირ დაშვება იმ აზრისა), რომ პოლიტიკური მიდგომა უდრის «მეურნეობრივსაო», რომ შეიძლება «ესეც» ავიღოთ «და ისიცაო», ეს ნიშნავს მარქსიზმის ანბანის დავიწყებას.

სხვა სიტყვებით. პოლიტიკური მიდგომა ნიშნავს: თუ პროფკავშირებს სწორად არ მივუდგებით, ეს დაღუპავს საბჭოთა ხელისუფლებას, პროლეტარიატის დიქტატურას. (პარტიის გათიშვა პროფკავშირებთან იმ შემთხვევაში, როდესაც პარტია მართალი არ არის, უეჭველია, დაამხობდა საბჭოთა ხელისუფლებას ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია). შეიძლება (და საჭიროც არის) ამ მოსაზრების არსებითად შემოწმება, ე. ი. გარკვევა, დაკვირვება, გადაწყვეტა, სწორია თუ სწორი არაა ხსენებული მიდგომა. იმის თქმა კი: მე «ვაფასებ» თქვენს პოლიტიკურ მიდგომას, «მ ა გ რ ა მ» ეს მარტოოდენ პოლიტიკური მიდგომაა, ჩვენ კი «მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ც» გვჭირდებაო, — ეს იგივეა, რომ თქვა: მე «ვაფასებ» თქვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, სდგამთ რა ამა და ამ ნაბიჯს, თქვენ კისერს იტეხთ, მ ა გ რ ა მ ასწონ-დასწონეთ აგრეთვე ისიც, რომ მაძღრად და შემოსილად ყოფნა სჯობია შიმშილსა და სიტიტვლესო.

ბუხარინი თეორიულად ე კ ლ ე ქ ტ ი კ ა მ დ ე დაეშვა, როდესაც ქადაგებს პოლიტიკური და მეურნეობრივი მიდგომის შეერთებას.

ტროცკი და ბუხარინი საქმეს ასე გვიხატავენ: აი, ჩვენ ვზრუნავთ წარმოების ზრდისთვის, თქვენ კი მხოლოდ ფორმალური დემოკრატიისთვისო. მდგომარეობის ასე დახატვა სწორი არ არის, ვინაიდან საკითხი დგას (და, მარქსისტულად, შ ე ი ძ ლ ე ბ ა იდგეს) მ ხ ო ლ ო დ ასე: თუ მოცემული კლასი საქმეს პოლიტიკურად სწორად არ მიუდგა, ისე იგი ვერ

შეინარჩუნებს თავის ბატონობას და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ვერ შეძლებს ვერც თ ა ვ ი ს ი ს ა წ ა რ მ ო ო ა მ ო ც ა ნ ი ს გადაწყვეტას.

უფრო კონკრეტულად. ზინოვიევი ამბობს: «თქვენ პოლიტიკურ შეცდომას სჩადიხართ, როდესაც პროფკავშირებში საქმე გათიშვებამდე მიგყავთ. წარმოების ზრდაზე კი მე ვლაპარაკობდი და ვწერდი ჯერ კიდევ 1920 წ. იანვარში, მომყავდა რა აბანოს აშენების მაგალითიო». ტროცკი უპასუხებს: «დიდი საქმე კია, თქვენმა მზემ (გვ. 29), ბროშურის დაწერა აბანოს მაგალითის ჩართვით, ხოლო «კრინტსაც არა სძრავთ», «ერთ სიტყვასაც არ ამბობთ» (გვ. 22) იმაზე, თუ რა უნდა აკეთონ პროფკავშირებმაო».

მართალი არ არის. აბანოს მაგალითი ღირს — მაპატიეთ ჯალამბური — ათ «საწარმოო ატმოსფეროდ» რამდენიმე «საწარმოო დემოკრატიითურთ». აბანოს მაგალითი სწორედ მასისათვის, სწორედ მისი «ღრმა ფენებისათვის» ნათლად, მარტივად გვეუბნება იმას, თუ რა უნდა აკეთონ პროფკავშირებმა, ხოლო «საწარმოო ატმოსფეროები» და «დემოკრატიები» ნაგავია, რომელიც მუშათა მასებს თვალს უბნელებს, უ ძ ნ ე ლ ე ბ ს მათს გაგებას.

ამხ. ტროცკი აგრეთვე მისაყვედურებდა, რომ «ლენინს კრინტი არ დაუძრავს» (გვ. 66) იმის შესახებ, თუ «რა როლს ასრულებენ და რა როლს უნდა ასრულებდნენ ის ბერკეტები, რომლებსაც პროფკავშირთა აპარატი ეწოდებაო».

უკაცრავად, ამხ. ტროცკი: როცა მთლიანად წავიკითხე რუძუტაკის თეზისები და გავიზიარე ისინი, მე ამის შესახებ ვთქვი უ ფ რ ო მ ე ტ ი, უ ფ რ ო ს რ უ ლ ა დ, უ ფ რ ო ს წ ო რ ა დ, უ ფ რ ო მ ა რ ტ ი ვ ა დ, უ ფ რ ო ნ ა თ ლ ა დ, ვიდრე მთელმა თქვენმა თეზისებმა და მთელმა თქვენმა მოხსენებამ თუ თანამოხსენებამ და საბოლოო სიტყვამ. ვინაიდან, ვიმეორებ, ნატურპრემიები და დისციპლინარული საამხანაგო სასამართლოები ასკეცად უფრო მნიშვნელოვანია მეურნეობის დაუფლებისთვის, მრეწველობის

გამგებლობისათვის, პროფკავშირების საწარმოო როლის გადიდებისათვის, ვიდრე სრულიად აბსტრაქტული (და ამიტომაც ლიტონი) სიტყვები «საწარმოო დემოკრატიაზე», «შეხორცებაზე» და სხვ.

«საწარმოო» თვალსაზრისის წამოყენების საბაბით (ტროცკიმ) ანდა პოლიტიკური მიდგომის ცალმხრივობის დაძლევისა და ამ მიდგომის მეურნეობრივ მიდგომასთან შეერთების (ბუხარინმა) საბაბით ჩვენ მოგვაწოდეს:

1) მარქსიზმის დავიწყება, რაც გამოიხატა პოლიტიკისა და ეკონომიკის დამოკიდებულების თეორიულად არასწორი ეკლექტიკური განსაზღვრით;

2) დაცვა ან მიჩქმალვა იმ პოლიტიკური შეცდომისა, რაც გამოხატულია შებერტყვის პოლიტიკით, რომლითაც სულერთიანად გაჟღენთილია ტროცკის მ თ ე ლ ი ბროშურა-პლატფორმა. ეს შეცდომა კი, თუ იგი ვერ შეიგენით და არ გამოასწორეთ, გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს პროლეტარიატის დიქტატურის დამხობას;

3) ნაბიჯის უკან გადადგმა წმინდა საწარმოო, სამეურნეო საკითხების დარგში, იმ საკითხების დარგში, თუ როგორ უნდა გავადიდოთ წარმოება; ნაბიჯის სწორედ უკან გადადგმა რუძუტაკის ს ა ქ მ ი ა ნ ი თეზისებიდან, რომლებშიც დასმულია კონკრეტული, პრაქტიკული, სასიცოცხლო, ცოცხალი ამოცანები (განავითარეთ საწარმოო პროპაგანდა, ისწავლეთ ნატურპრემიების ხეირიანად განაწილება და იძულების უფრო სწორად მოხმარება საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოების სახით), აბსტრაქტული, განყენებული, «არადმაქნისი», თეორიულად მცდარი, ინტელიგენტურად ფორმულირებული ზოგადი თ ე ზ ი ს ე ბ ი ს კ ე ნ და იმის დ ა ვ ი წ ყ ე ბ ა, რაც ყველაზე უფრო საქმიანი და პრაქტიკულია.

აი, ნამდვილად, როგორია პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხში თანაფარდობა, ერთი მხრივ, ზინოვიევსა და ჩემსა, ხოლო მეორე მხრივ — ტროცკისა და ბუხარინს შორის.

ამიტომ მე არ შემეძლო გაუღიმებლად წამეკითხა ჩემს წინააღმდეგ მომართული პასუხი, რომელიც ამხ. ტროცკიმ 30 დეკემბერს გამოაქვეყნა: «ამხ. ლენინი საბჭოების VIII ყრილობაზე თავის საბოლოო სიტყვაში ჩვენი მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო ამბობდა: ჩვენ გვჭირდება ნაკლებად პოლიტიკა, უფრო მეტად მეურნეობრივობაო, პროფკავშირების საკითხში კი იგი პირველ ადგილზე საქმის პოლიტიკურ მხარეს აყენებდაო» (გვ. 65). ამხ. ტროცკის ეს სიტყვები «ფრიად მოსწრებული» ეჩვენა. ნამდვილად კი ეს არის გამოხატულება ცნებათა უაღრესი არევ-დარევისა, ჭეშმარიტად უსაზღვრო «იდეური დომხალისა». რასაკვირველია, მე ყოველთვის გამოვთქვამდი, გამოვთქვამ ახლაც და მომავალშიც სურვილს, რომ ჩვენ ნაკლებად გაგვიტაცოს პოლიტიკამ და უფრო მეტად — მეურნეობამ. მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ სურვილის განსახორციელებლად საჭიროა, რათა არ იყოს პოლიტიკური საშიშროება და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი შ ე ც დ ო მ ე ბ ი. პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც ამხ. ტროცკიმ ჩაიდინა, ხოლო ამხ. ბუხარინმა გააღრმავა და გააძლიერა, ა შ ო რ ე ბ ე ნ ჩვენი პარტიის გულისყურს სამეურნეო ამოცანებისაგან, «საწარმოო» მუშაობისაგან, გ ვ ა ი ძ უ ლ ე ბ ე ნ, ს ა მ წ უ ხ ა რ ო დ, დ რ ო დ ა ვ კ ა რ გ ო თ ამ შეცდომების გამოსწორებაზე, იმაზე, რომ ვეკამათოთ სინდიკალისტურ გადახრას (რომელსაც პროლეტარიატის დიქტატურის დამხობისაკენ მივყავართ), ვიკამათოთ პროფმოძრაობისადმი არასწორი მიდგომის წინააღმდეგ (მიდგომისა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მივყავართ), ვიკამათოთ ზოგად «თეზისებზე» ნაცვლად საქმიანი, პრაქტიკული, «მეურნეობრივი» კამათისა იმის შესახებ, თუ ვინ უფრო უკეთესად და უფრო წარმატებით იძლეოდა ნატურპრემიებს, ვინ უფრო კარგად აწყობდა სასამართლოებს, ახორციელებდა შეხორცებას რუძუტაკის იმ თეზისების საფუძველზე, რომლებიც პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციამ 2 — 6 ნოემბერს მიიღო: სარატოვის

მეწისქვილეები, დონბასის მაღაროელები, პიტერის მელითონეები და ა. შ.

აიღეთ «ფართო დისკუსიის» სარგებლობის საკითხი. აქაც დავინახავთ, თუ როგორ გვაშორებენ პოლიტიკური შეცდომები სამეურნეო ამოცანებს. მე წინააღმდეგი ვიყავი ეგრეთწოდებული «ფართო» დისკუსიისა და ამხ. ტროცკის შეცდომად, პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნდა და მიმაჩნია მის მიერ პროფკომისიის ჩაშლა, — კომისიისა, სადაც უნდა წარმოებულიყო საქმიანი დისკუსია. ბუხარინის მეთაურობით შექმნილი ბუფერული ჯგუფის პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია ის, რომ მათ ვერ გაიგეს ბუფერის ამოცანები (აქაც დიალექტიკა ეკლექტიციზმით შესცვალეს); ისინი სწორედ «ბუფერის» თვალსაზრისით უნდა გამოსულიყვნენ გაშმაგებული ენერგიით ფართო დისკუსიის წინააღმდეგ იმისათვის, რომ დისკუსია პროფკომისიაში ყოფილიყო გადატანილი. აბა შეხედეთ, რა გამოვიდა.

30 დეკემბერს ბუხარინი იქამდე მივიდა, რომ თქვა: «ჩვენ გამოვაცხადეთ ახალი საღმრთო ლოზუნგი მუშათა დემოკრატიისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საკითხი უნდა ირჩეოდეს არა ვიწრო კოლეგიებში, არა პატარა კრებებზე, არა რომელიმე საკუთარ კორპორაციაში, არამედ ყოველი საკითხი ფართო კრებებზე უნდა გამოგვქონდეს. და აი, მე ვამტკიცებ, რომ, გამოგვაქვს რა პროფკავშირთა როლის საკითხი ისეთ უდიდეს კრებაზე, როგორიც დღევანდელი კრებაა, ამით ჩვენ ნაბიჯს ვდგამთ არა უკან, არამედ წინ» (გვ. 45). და ეს ადამიანი აბრალებდა ზინოვიევს წყლის ნაყვას და დემოკრატიის გაზვიადებას! ეს სულერთიანად წყლის ნაყვა და «ლაყბობაა», სრული გაუგებლობაა იმისა, რომ ფორმალური დემოკრატიზმი უნდა დაექვემდებაროს რევოლუციურ მიზანშეწონილობას!

არც ტროცკი მოქცეულა უკეთესად. იგი გამოდის ბრალდებით: «ლენინს სურს მოხსნას, ჩაშალოს დისკუსია საკითხის არსებით მხარეზე, რადაც უნდა დაჯდესო» (გვ. 65). იგი აცხადებს: «თუ რატომ არ შევდიოდი კომისიაში, ამის შესა-

ხებ ც. კ-ში ნათლად ვთქვი: მანამდე, სანამ მე, ყველა სხვა ამხანაგის თანაბრად, ნება არ მომეცემა ეს საკითხები სრული მოცულობით დავსვა პარტიულ პრესაში, მანამდე მე ამ საკითხების შინაურულად განხილვისაგან და, მაშასადამე, აგრეთვე კომისიაში მუშაობისაგან, არავითარ სარგებლობას არ მოველი» (გვ. 69).

შედეგი? თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც 25 დეკემბერს ტროცკიმ «ფართო დისკუსია» დაიწყო, და, ალბათ, 100 პასუხისმგებელ პარტმუშაკში ერთიც არ აღმოჩნდება ისეთი, ვისაც ეს დისკუსია არ მობეზრებოდეს, ვისაც არ ჰქონდეს შეგნებული მისი უსარგებლობა (თუ მეტი არა). ვინაიდან ტროცკიმ პარტია მოაცდინა სიტყვებზე, უვარგის თეზისებზე დავით, «შინაურულის» შერქმევით გააქიაქა რა სწორედ ს ა ქ მ ი ა ნ ი მეურნეობრივი განხილვა საკითხისა იმ კომისიაში, რომელსაც ამოცანად უნდა დაესახა პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და შემოწმება, რათა ამ გამოცდილების შესწავლით წ ა ვ ს უ ლ ი ყ ა ვ ი თ წ ი ნ ნამდვილი «საწარმოო» მუშაობისაკენ დ ა ა რ ა უ კ ა ნ, ცოცხალი საქმიდან ყოველგვარ «საწარმოო ატმოსფეროთა» მკვდარი სქოლასტიკისაკენ.

აიღეთ ყბადაღებული «შეხორცება». 30 დეკემბერს მე მის შესახებ ყველას გაჩუმებას ვურჩევდი, ვინაიდან ჩვენ ჯერ ა რ შ ე გ ვ ი ს წ ა ვ ლ ი ა ჩვენი საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, ხოლო უამპირობოდ კამათი შეხორცების შესახებ აუცილებლად წყლის ნაყვად, პარტიის ძალების ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ უ შ ა ო ბ ი ს ა გ ა ნ ფუჭ მოცდენად იქცევა. მე ბიუროკრატიული პროექტორობა ვუწოდე ტროცკის თეზისებს ამ პუნქტის გამო, რომელშიც იგი წინადადებას იძლეოდა სახალხო მეურნეობის საბჭოების შემადგენლობაში შეგვეყვანა პროფკავშირთა წარმომადგენელნი 1/3-დან 1/2-მდე და 1/2-დან 2/3-მდე.

ამის გამო ძალიან გაჯავრდა ჩემზე ბუხარინი, რომელიც, როგორც ანგარიშის 49-ე გვერდიდან ვხედავ, ვრცლად და დაწვრილებით მიმტკიცებდა, «რომ როდესაც ადამიანები

იკრიბებიან და ლაპარაკობენ რამეზე, ისინი ყრუმუნჯებად კი არ უნდა გადაიქცნენო» (სიტყვასიტყვით სწორედ ასეა დაბეჭდილი ხსენებულ გვერდზე!). გაჯავრდა ტროცკიც, რომელმაც წამოიძახა:

«მე ყოველ თქვენგანს ვთხოვ უბის წიგნაკში ჩაიწეროს, რომ ამხ. ლენინმა ამას ბიუროკრატიზმი უწოდა ამა და ამ რიცხვში, მე კი ვბედავ ვიწინასწარმეტყველო, რომ ეს რამდენიმე თვის შემდეგ მიღებული იქნება ცნობადაც და სახელმძღვანელოდაც, რათა პროფკავშირთა სრ. რუსეთის ცენტრალური საბჭოსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, მელიორონეთა ც. კ-ში, ლითონის განყოფილებაში და სხვაგან გვყავდეს საერთო მუშაკები ერთი მესამედიდან ნახევრამდე...» (გვ. 68).

ეს რომ წავიკითხე, ვთხოვე ამხ. მილიუტინს (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს) გამოეგზავნა ჩემთვის არსებული დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ანგარიშები შეხორცების საკითხის შესახებ. გულში ვფიქრობ: მოდი, ცოტ-ცოტათი მაინც დავიწყებ ჩ ვ ე ნ ი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა ს, იმიტომ რომ აუტანლად მოსაბეზრებელია «საერთო-პარტიული ლაყბობა» (ბუხარინის გამოთქმა, გვ. 47; იგი, ალბათ, ისეთივე «მოსწრებულ სიტყვად» გადაიქცევა, როგორც ცნობილი «შებერტყვა») — ფუჭად, უმასალოდ, უფაქტებოდ, როდესაც თითიდან უნდა გამოსწოვო უთანხმოებანი, დეფინიციები, «საწარმოო დემოკრატიები».

ამხ. მილიუტინმა რამდენიმე წიგნი გამომიგზავნა, მათ შორის «სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ანგარიში საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობას» (მ., 1920 წ.; წინასიტყვაობა დათარიღებულია 1920 წ. დეკემბრის 19-ით). აქ მე-14 გვერდზე მოთავსებულია ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად იღებენ მუშები მონაწილეობას მმართველ ორგანოებში. მომყავს ეს ცხრილი (რომელიც მოიცავს სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭოებისა და საწარმოების მხოლოდ ნაწილს):

მმართველი აპარატი	საერთო რიცხვი	მათ შორის: მუშები	% %	სპეცები	% %	მოსამსახ. და სხვ.	% %
სახ. მეურნ. უმაღ. საბჭ. და საგუბ. სახ. მეურნ. საბჭოების პრეზიდიუმი.....	187	107	57,2	22	11,8	58	31,0
მთავარ სამმართველოთა, განყოფილებათა, ცენტრებისა და მთავარკომიტეტების კოლეგიები.....	140	72	51,4	31	22,2	37	26,4
კოლეგიური და ერთპიროვნული საქ.-საფაბრიკო სამმართველოები.....	1 143	726	63,5	398	34,8	19	1,7
სულ	1 470	905	61,6	451	30,7	114	7,7

ამრიგად, უკვე ახლაც კი მუშათა მონაწილეობა საშუალოდ შეადგენს 61,6%-ს, ე. ი. $^2/_3$-ს უფრო უახლოვდება, ვიდრე ნახევარს! ბიუროკრატიულ-პროექტორული ხასიათი იმისა, რაც ამის შესახებ თავის თეზისებში ამხ. ტროცკის დაუწერია, უკვე დამტკიცებულია. ლაპარაკი, კამათი, წერა პლატფორმებისა «$^1/_3$-დან $^1/_2$-მდე», ან «$^1/_2$-დან $^2/_3$-მდე», ყველაფერი ეს სრულიად უშინაარსო «საერთოპარტიული ლაყბობაა», ძალების, საშუალებების, ყურადღების, დროის დაკარგვა და საწარმოო მუშაობისაგან მოცდენაა, მარტოოდენ პოლიტიკანობაა, სერიოზულ შინაარსს მოკლებული. კომისიაში კი, სადაც აღმოჩნდებოდნენ გამოცდილი ადამიანები, სადაც არ დასთანხმდებოდნენ თეზისების წერას, ვიდრე ფაქტებს არ შეისწავლიდნენ, იქ შევძლებდით საქმისთვის სასარგებლოდ ხელი მოგვეკიდა გამოცდილების შემოწმებისათვის, — ვთქვათ, ორიოდე ათეულს (ათასი «საერთო მუშაკიდან») მაინც გამოვკითხავდით საქმის ვითარებას, შევადარებდით მათს შთაბეჭდილებებს და დასკვნებს სტატისტიკის ობიექტურ მონაცემებთან, შევეცდებოდით მომავლისათვის საქმიანი, პრაქტიკული მითითებანი მიგვეღო: საჭიროა თუ არა, გამოცდილების ამა და ამ შედეგებისას, მყისვე წინ გავწიოთ იმავე მიმართულებით, თუ რამდენიმედ უნდა

შევცვალოთ და სახელდობრ რანაირად შევცვალოთ მიმართულება, ხერხები, მიდგომა, ან, საქმის ინტერესებისათვის, შევჩერდეთ, გამოცდილება კიდევ და კიდევ შევამოწმოთ, შეიძლება ზოგი რამის გადაკეთება იყოს საჭირო და სხვ. და სხვ.

ნამდვილმა «სამეურნეო მუშაკმა», ამხანაგებო (ნება მომეცით მეც ცოტაოდენი «საწარმოო პროპაგანდა» გავწიო!), იცის, რომ კაპიტალისტები და ტრესტების ორგანიზატორები თვით უაღრესად მოწინავე ქვეყნებშიც კი, მრავალი წლის მანძილზე, ხანდახან ათეული წლობით და მეტ ხანსაც, სწავლობდნენ, ამოწმებდნენ თავიანთ (და სხვათა) პრაქტიკულ გამოცდილებას, ასწორებდნენ, გადააკეთებდნენ ხოლმე დაწყებულს, ბრუნდებოდნენ უკან, ასწორებდნენ მრავალჯერ, რათა გამოენახათ ამა თუ იმ საქმისათვის სავსებით შესაფერი სისტემა გამგებლობისა, შეერჩიათ უმაღლესი და დაბალი ადმინისტრატორები და სხვ.. ასე იყო კაპიტალიზმის დროს, რომელიც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში ემყარებოდა თავის სამეურნეო მუშაობაში ს ა უ კ უ ნ ე თ ა გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა ს და ზ ნ ე-ჩ ვ ე უ ლ ე ბ ე ბ ს. ჩვენ კი ვაშენებთ ახალ ნიადაგზე, რაც მოითხოვს მეტად ხანგრძლივ, შეუპოვარ და ბეჯით მუშაობას იმ ზნე-ჩვეულებათა გარდასაქმნელად, რომელნიც კაპიტალიზმს დაუტოვებია ჩვენთვის მემკვიდრეობად და რომელთა გარდაქმნა მხოლოდ მეტისმეტი თანდათანობით შეიძლება. ამ საკითხისადმი ისე მიდგომა, როგორც ტროცკი მას უდგება, ძირფესვიანად მცდარია. «აქვთ თუ არა — გაიძახოდა ტროცკი 30 დეკემბერს თავის სიტყვაში — აქვთ თუ არა ჩვენს მუშებს, პარტიისა და პროფკავშირების მუშაკებს საწარმოო აღზრდა? ჰო თუ არა? ვუპასუხებ: არა» (ტვ. 29). ამგვარი საკითხისადმი ასე მიდგომა სასაცილოა. თითქოს იმას ვკითხულობდეთ: არის თუ არა ამა თუ იმ დივიზიაში საკმაო რაოდენობით ჩუთები? ჰო თუ არა?

ჩვენ ათი წლის შემდეგაც უსათუოდ იძულებულნი ვიქნებით ვთქვათ, რომ პარტიისა და პროფკავშირების ყველა

მუშაკს საკმარისი საწარმოო აღზრდა არა აქვს-თქო. ისევე, როგორც ათი წლის შემდეგ პარტიის, პროფკავშირების, სამხედრო უწყების ყველა მუშაკს არ ექნება საკმარისი სამხედრო აღზრდა. მაგრამ საწარმოო აღზრდის დ ა ს ა წ ყ ი ს ი ჩვენში შექმნილია იმით, რომ ათასამდე მუშა, წევრი და დელეგატი პროფკავშირებისა, მონაწილეობს მმართველობაში და უძღვება საწარმოებს, მთავარ კომიტეტებს და უფრო მაღლაც. ძირითადი პრინციპი «საწარმოო აღზრდისა», თ ვ ი თ ჩ ვ ე ნ ი, ძველი არალეგალური მუშაკების და პროფესიონალი ჟურნალისტების აღზრდისა, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თვითონ მოვკიდოთ ხელი და სხვებსაც ვასწავლოთ მოჰკიდონ ხელი ჩვენი საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების უაღრესად დაკვირვებით და დაწვრილებით შესწავლას, თანახმად წესისა: «შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერი». მტკიცე, ნელი, ფრთხილი, საქმიანი, საფუძვლიანი შემოწმება იმისა, რაც ამ ათასს გაუკეთებია, კიდევ უფრო ფრთხილი და საქმიანი გამოსწორება მათი ნამუშევრისა და წინსვლა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სავსებით დამტკიცდება მოცემული ხერხის, გამგებლობის მოცემული სისტემის, მოცემული პროპორციის, პიროვნებათა მოცემული შერჩევის სარგებლიანობა და სხვ.. აი მთავარი, ძირითადი, აუცილებელი პირობა «საწარმოო აღზრდისა», და სწორედ ამ პირობას არღვევს ამხ. ტროცკი მთელი თავისი თეზისებით, საკითხისადმი მთელი თავისი მიდგომით. ამხ. ტროცკის მთელი თეზისები, მთელი ბროშურა-პლატფორმა სწორედ ისეთია, რომ თავისი შეცდომებით მან პარტიის ყურადღება და ძალები ჩამოაშორა საქმიან «საწარმოო» მუშაობას და გააცდინა ცარიელი, უშინაარსო ყბედობით.

დიალექტიკა და ეკლექტიციზმი. «სკოლა» და «აპარატი»

ამხ. ბუხარინის მრავალ უძვირფასეს თვისებათა რიცხვს ეკუთვნის მისი თეორიული უნარი და ინტერესი იმისადმი, რომ მიაგნოს ყოველი საკითხის თეორიულ ფესვებს. ეს

ფრიად ძვირფასი თვისებაა, ვინაიდან შეუძლებელია სავსებით ნათელვყოთ რომელიმე შეცდომა, მათ შორის, პოლიტიკურიც, თუ არ მივაგნებთ იმის შეცდომის თეორიულ ფესვებს, ვინც ამ შეცდომას სჩადის, გამოდის რა გარკვეულ, მის მიერ შეგნებულად მიღებულ, დებულებათაგან.

თანახმად ამ თავისი მისწრაფებისა, რომ თეორიულად გააღრმაოს საკითხი, ამხ. ბუხარინს, დაწყებული 30 დეკემბრის დისკუსიიდან, თუ უფრო ადრე არა, კამათი სწორედ ხსენებულ დარგში გადააქვს.

«მე აბსოლუტურად აუცილებლად ვთვლი» — ამბობდა ამხ. ბუხარინი 30 დეკემბერს — «ეს არის თეორიული არსი იმისა, რასაც აქ «ბუფერულ» ფრაქციას ანუ მის იდეოლოგიას უწოდებენ, — და სავსებით უდავოდ მიმაჩნია ის, რომ არ შეიძლება არც ამ პოლიტიკური და არც ამ სამეურნეო მომენტის უკუგდება...» (გვ. 47).

თეორიული არსი იმ შეცდომისა, რომელსაც აქ ამხ. ბუხარინი სჩადის, არის ის, რომ იგი დიალექტიკურ თანაფარდობას პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის (რასაც ჩვენ მარქსიზმი გვასწავლის) ეკლექტიციზმით სცვლის. «ესეც და ისიც», «ერთი მხრივ, მეორე მხრივ» — აი თეორიული პოზიცია ბუხარინისა. სწორედ ეს არის ეკლექტიციზმი. დიალექტიკა მოითხოვს თანაფარდობათა ყოველმხრივ გათვალისწინებას მათ კონკრეტულ განვითარებაში და არა ერთი ნაკუწის აქედან ამოგლეჯას, მეორისას — იქიდან. პოლიტიკისა და ეკონომიკის მაგალითით მე ეს უკვე ცხადვყავი.

«ბუფერის» მაგალითიც უეჭველად ამას ადასტურებს. ბუფერი სასარგებლო და საჭიროა, თუ პარტიული მატარებელი დალმართზე მიექანება დამსხვრევისაკენ. ეს უდავოა. ბუხარინმა «ბუფერული» ამოცანა ეკლექტიკურად დააყენა, აიღო რა ნაკუწი ზინოვიევისაგან, ნაკუწი — ტროცკისაგან. ბუხარინს, როგორც «ბუფერისტს», დამოუკიდებლად უნდა განესაზღვრა, სად, როდის, რაში ცდება ერთი ან მეორე, ერთნი ან მეორენი, განესაზღვრა თეორიული შეცდომა ან შეცდომა პოლიტიკური უტაქტობისა ანდა შეცდომა ფრაქ-

ციულობისა გამოსვლის დროს ან შეცდომა გაზვიადებისა და სხვ., და მთელი ძალ-ღონით უნდა გაელაშქრნა თვითეული ასეთი შეცდომის წინააღმდეგ. ბუხარინმა ვერ გაიგო ეს თავისი, როგორც «ბუფერის», ამოცანა. ამის ერთ-ერთი ცხადი დამამტკიცებელია შემდეგი გარემოება:

ცეკტრანის (რკინიგზელთა და წყალტრანსპორტელთა კავშირის ც. კ.) პეტროგრადის ბიუროს კომუნისტთა ფრაქციამ — ორგანიზაციამ, რომელიც ტროცკის თანაუგრძნობს და პირდაპირ აცხადებს: ჩვენი აზრით, «ძირითად საკითხში, პროფკავშირთა საწარმოო როლის საკითხში, ამხ. ტროცკისა და ბუხარინის პოზიციები ერთი და იგივე თვალსაზრისის ნაირსახეობებს წარმოადგენენო», — პეტროგრადში გამოსცა ბროშურად ამხ. ბუხარინის თანამოხსენება, რომლითაც ის გამოვიდა 1921 წ. 3 იანვარს პეტროგრადში (ნ. ბუხარინი: «პროფესიულ კავშირთა ამოცანების შესახებ». პ., 1921). ამ თანამოხსენებაში ვკითხულობთ:

«თავდაპირველად ამხ. ტროცკიმ თავისი აზრი ჩამოაყალიბა ისე, რომ პროფკავშირთა ხელმძღვანელი შემადგენლობა უნდა შევცვალოთ, უნდა შევარჩიოთ სათანადო ამხანაგებიო და სხვ., უფრო ადრე კი იგი «შებერტყვის» თვალსაზრისზედაც იდგა, მაგრამ ახლა ეს მან უარყო; ამიტომ სრული უაზრობაა «შებერტყვის» წამოყენება, როგორც არგუმენტისა, ამხ. ტროცკის წინააღმდეგ» (გვ. 5).

მე არ შევჩერდები აქ თქმულის მრავალ ფაქტიურ უსწორობაზე. (სიტყვა «შებერტყვა» ტროცკიმ იხმარა პროფკავშირების სრულიად რუსეთის V კონფერენციაზე, რომელიც შედგა 2 — 6 ნოემბერს. «ხელმძღვანელი პერსონალის შერჩევის» შესახებ ტროცკი ლაპარაკობდა თავისი თეზისების § 5-ში, რომლებიც მან ც. კ-ში შემოიტანა 8 ნოემბერს და რომლებიც, სხვათა შორის, დაბეჭდილ ფურცლად გამოსცა ტროცკის რომელიღაც მომხრემ. ტროცკის მთელი ბროშურა: «პროფესიულ კავშირთა როლი და ამოცანები», — 25 დეკემბერი, — თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია იგივე აზრთა წყობით, იგივე სულისკვეთებით, რაც მე წინათაც აღვნიშნე. სად და რაში გამოიხატა «უარყოფა»,

სრულიად არ ვიცით). ჩემი თემა დღეს სულ სხვაა. თუ «ბუფერი» ეკლექტიკურია, იგი გვერდს უვლის ზოგიერთ შეცდომას, იხსენიებს სხვა შეცდომებს, სდუმს იმ შეცდომათა შესახებ, რაც ჩადენილი იყო მოსკოვში 1920 წ. 30 დეკემბერს, მთელი რუსეთის რკპ მრავალი ათასი მუშაკის წინაშე; ლაპარაკობს 1921 წ. 3 იანვარს პიტერში ჩადენილ შეცდომათა შესახებ. თუ «ბუფერი» დიალექტიკურია, იგი მთელი თავისი ძალ-ღონით ილაშქრებს თვითეული შეცდომის წინააღმდეგ, რომელსაც კი შეამჩნევს ორივე მხარეს ან ყველა მხარეს. სწორედ ასე არ იქცევა ბუხარინი. იგი არც კი ცდილობს ტროცკის ბროშურა შებერტყვის პოლიტიკის თვალსაზრისით გაარჩიოს. ი გ ი მ ხ ო ლ ო დ ს დ უ მ ს მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. საკვირველი როდია, რომ ბუფერის მიერ თავისი როლის ასეთი შესრულება ყველას სიცილს იწვევს.

შემდეგ. ბუხარინის იმავე, პეტროგრადში წარმოთქმული, სიტყვის მე-7 გვერდზე ვკითხულობთ:

«ამხ. ტროცკის შეცდომას შეადგენს ის, რომ იგი საკმარისად არ იცავს კომუნიზმის სკოლის მომენტს».

30 დეკემბრის დისკუსიაზე ბუხარინი ასე მსჯელობს:

«ამხ. ზინოვიევი ამბობდა: პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა, ხოლო ტროცკი ამბობდა: ეს არის წარმოების გამგებლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური აპარატი. მე ვერ ვხედავ ვერავითარ ლოგიკურ საფუძველს, რაც ამტკიცებდეს, რომ სწორია არა პირველი და არა მეორე: სწორია ორივე ეს დებულება და შეერთება ორივე ამ დებულებისა» (გვ. 48).

იგივე აზრია გამოთქმული ბუხარინისა და მისი «ჯგუფის» თუ «ფრაქციის» მე-6 თეზისში: ...«ერთი მხრივ, ისინი (პროფკავშირები) კომუნიზმის სკოლას წარმოადგენენ, ...მეორე მხრივ, ისინი წარმოადგენენ — და ამასთან მზარდი ხარისხით — სამეურნეო აპარატისა და საზოგადოდ სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის შემადგენელ ნაწილს»... («პრავდა», 16 იანვარი).

აი სწორედ აქ არის ამხ. ბუხარინის ძირითადი თეორიული შეცდომა, მარქსიზმის დიალექტიკის შეცვლა ეკლექტიციზმით (რაც განსაკუთრებით გავრცელებულია სხვადასხვა

«მოდურ» და რეაქციულ ფილოსოფიურ სისტემათა ავტორებს შორის).

ამხ. ბუხარინი ლაპარაკობს «ლოგიკურ» საფუძველთა შესახებ. მთელი მისი მსჯელობა ნათელყოფს, რომ იგი აქ — შეიძლება შეუგნებლადაც — დგას ფორმალური ანუ სქოლასტიკური ლოგიკის თვალსაზრისზე და არა დიალექტიკური ანუ მარქსისტული ლოგიკის თვალსაზრისზე. რათა ცხადვყო ეს, დავიწყებ უმარტივესი მაგალითით, რომელიც თვით ამხ. ბუხარინს მოჰყავს. 30 დეკემბრის დისკუსიაზე ის ამბობდა:

«ამხანაგებო, ბევრს თქვენგანზე კამათი, აქ რომ სწარმოებს, დაახლოებით ასეთი ხასიათის შთაბეჭდილებას ახდენს: მოდის ორი კაცი და ერთმანეთს ეკითხება: რა არის ჭიქა, კათედრაზე რომ დგასო. ერთი ამბობს: «ეს შუშის ცილინდრია, და ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ეს ასე არაააო». მეორე ამბობს: «ჭიქა — ეს სასმისი ჭურჭელია, და ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ეს ასე არაააო» (გვ. 46).

ამ მაგალითით, როგორც მკითხველი ხედავს, ბუხარინს სურდა ჩემთვის პოპულარულად აეხსნა ცალმხრიობის მავნებლობა. მე ამ განმარტებას ვღებულობ მადლობით და, რათა საქმით დავუმტკიცო ჩემი მადლობა, ვუპასუხებ მას პოპულარული განმარტებით იმისა, თუ რა არის ეკლექტიციზმი დიალექტიკისაგან განსხვავებით.

ჭიქა, ეჭვს გარეშეა, შუშის ცილინდრიც არის და სასმისი ჭურჭელიც. მაგრამ ჭიქას აქვს არა მარტო ეს ორი თვისება ანუ ნიშანი ანუ მხარე, არამედ აქვს უამრავი სხვა თვისება, ნიშანი, მხარე, ურთიერთდამოკიდებულება და «გამეშვეება» მთელ დანარჩენ მსოფლიოსთან. ჭიქა არის მძიმე საგანი, რომელიც შეიძლება სატყორცნ იარაღადაც გამოდგეს. ჭიქა შეიძლება იხმაროთ, როგორც პრესპაპიე, როგორც დაჭერილი პეპელას დასამწყვდევი, ჭიქას შეიძლება ღირებულება ჰქონდეს, როგორც მხატვრულ საგანს, ჩუქურთმით ან ნახატით შემკულს, სრულიად დამოუკიდებლად იმისა, ვარგა თუ არა იგი სასმისად, შუშისაგანაა გაკეთებული თუ არა, ცილინდრული ფორმა აქვს თუ არა საკვსებით ცილინდრული, და ასე შემდეგ და მისთანანი.

შემდეგ. თუ მე ჭიქა მჭირდება ამჟამად, როგორც სასმისი ჭურჭელი, ჩემთვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმის ცოდნას, სავსებით ცილინდრულია მისი ფორმა, ნამდვილად შუშისაგან არის იგი გაკეთებული თუ არა, სამაგიეროდ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძირი გაბზარული არა ჰქონდეს, რომ ამ ჭიქის ხმარების დროს არ შეიძლებოდეს ტუჩების გაკაწვრა და სხვ.. ხოლო თუ ჭიქა მჭირდება არა სასმისად, არამედ ისეთ სახმარებელ საგნად, რისთვისაც გამოსადეგია შუშის ყოველი ცილინდრი, მაშინ გამომადგება ძირგაბზარული ან სრულიად უძირო ჭიქაც და სხვ.

ფორმალური ლოგიკა, რითაც კმაყოფილდებიან სკოლებში (და უნდა კმაყოფილდებოდნენ კიდეც — ზოგიერთი შესწორებით — სკოლის დაბალი კლასებისათვის), იღებს ფორმალურ განსაზღვრებს, ხელმძღვანელობს რა იმით, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია ანდა რაც ყველაზე ხშირად გვეცემა თვალში, და ამას სჯერდება. თუ ამასთანავე აიღებენ ორს ან მეტს სხვადასხვა განსაზღვრას და აერთებენ მათ სრულიად შემთხვევით (შუშის ცილინდრიც და სასმისი ჭურჭელიცო), ჩვენ მივიღებთ ეკლექტიკურ განსაზღვრას, რომელიც საგნის სხვადასხვა მხარეს აღნიშნავს და სხვას არაფერს.

დიალექტიკური ლოგიკა ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს. რათა ნამდვილად გაიცნოთ საგანი, საჭიროა მოიცვათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და «გამეშვევება». ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ ამას სავსებით, მაგრამ ყოველმხრივობის მოთხოვნა უზრუნველგვყოფს შეცდომებისა და გახევებისაგან. ეს ერთი. მეორეც, დიალექტიკური ლოგიკა მოითხოვს, რომ საგანი განვიხილოთ მის განვითარებაში, «თვითმოძრაობაში» (როგორც ხანდახან ჰეგელი ამბობს), ცვალებადობაში. ჭიქის შესახებ ეს მყისვე ცხადი არ არის, მაგრამ არც ჭიქა რჩება უცვლელი, განსაკუთრებით კი იცვლება ჭიქის დანიშნულება, მისი ხმარება, მისი კავშირი გარემომცველ სამყაროსთან. მესამე, ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შევიდეს საგნის

სრულ «განსაზღვრაში», როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმიც და როგორც პრაქტიკული განმსაზღვრელიც საგნის კავშირისა იმასთან, რაც ადამიანს სჭირდება. მეოთხე, დიალექტიკური ლოგიკა გვასწავლის, რომ «აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია», როგორც ამის თქმა უყვარდა, ჰეგელის შემდგომ, განსვენებულ პლეხანოვს. (ფრჩხილებში უადგილო არ იქნება, მგონია, აღვნიშნოთ პარტიის ახალგაზრდა წევრთა საყურადღებოდ, რომ შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა შეგნებულ, ნ ა მ დ ვ ი ლ კომუნისტად იქცეთ უიმისოდ, თუ არ შეისწავლეთ — დიახ, თუ არ შ ე ი ს წ ა ვ ლ ე თ — ყველაფერი, რაც კი ფილოსოფიის შესახებ პლეხანოვს დაუწერია, ვინაიდან ეს ყველაზე უკეთესია მარქსიზმის მთელ საერთაშორისო ლიტერატურაში*).

რასაკვირველია, მე არ ამომიწურავს დიალექტიკური ლოგიკის ცნება. მაგრამ ჯერჯერობით ესეც კმარა. უკვე შეიძლება ჭიქიდან პროფკავშირებზე და ტროცკის პლატფორმაზე გადავიდეთ.

«ერთი მხრივ, სკოლა, მეორე მხრივ, აპარატიო» — ამბობს ბუხარინი და წერს თავის თეზისებში. ტროცკის შეცდომა ისაა, რომ იგი «არასაკმარისად იცავს სკოლის მომენტს»... ზინოვიევს კი — აკლია აპარატის «მომენტიო».

რატომ არის ბუხარინის ეს მსჯელობა მკვდარი და უშინაარსო ეკლექტიციზმი? იმიტომ, რომ ბუხარინი ოდნავაც არ ცდილობს დამოუკიდებლად, თავისი თვალსაზრისით,

---

* აქვე უნდა ითქვას, რომ კარგი იქნება, ჯერ ერთი, პლეხანოვის თხზულებათა გამოცემიდან, რომელიც ახლა გამოდის, გამოიყოს ყველა სტატია ფილოსოფიის შესახებ ცალკე ტომად ან ტომებად, დაერთოს დაწვრილებითი საძიებელი და სხვ.. ვინაიდან ეს კომუნიზმის სავალდებულო სასწავლო წიგნთა სერიაში უნდა შევიდეს. მეორეც, ჩემი აზრით, მუშათა სახელმწიფომ ფილოსოფიის პროფესორებს უნდა მოსთხოვოს, რომ მათ იცოდნენ მარქსისტული ფილოსოფიის გადმოცემა პლეხანოვის მიერ და შეეძლოთ მოსწავლეებისათვის ამ ცოდნის გადაცემა. მაგრამ ყველაფერი ეს უკვე «პროპაგანდიდან» «ადმინისტრირებისაკენ» გადახვევაა.

გაუკეთოს ანალიზი როგორც ამ დავის მთელ ისტორიას (მარქსიზმი, ეს ე-ი გ ი დიალექტიკური ლოგიკა, ამას უსათუოდ მოითხოვს), ისე საკითხისადმი მთელ მიდგომას, საკითხის მთელ დაყენებას — ან, თუ გნებავთ, მისი დაყენების მთელ მიმართულებას — ამჟამად, ახლანდელ კონკრეტულ გარემოებებში. ოდნავადაც კი არ ცდილობს ამას ბუხარინი! იგი საქმეს უდგება ყოველგვარი კონკრეტული შესწავლის გარეშე, ცარიელი აბსტრაქციებით, ერთ ნაკუწს ზინოვიევისაგან იღებს, მეორეს — ტროცკისაგან. ეს არის ეკლექტიციზმი.

რათა უფრო ნათლად განვმარტო ეს, ავიღებ მაგალითს. მე სრულიად არაფერი ვიცი სამხრეთ ჩინეთის აჯანყებულთა და რევოლუციონერთა შესახებ (გარდა სუნ იატ-სენის 2 — 3 სტატიისა და რამდენიმე წიგნისა და საგაზეთო სტატიისა, რომლებიც მრავალი წლის წინათ წამიკითხავს). რაკი იქ აჯანყებები ხდება, ალბათ, არის კამათიც № 1 ჩინელსა, რომელიც ამბობს: აჯანყება უაღრესად გამწვავებული და მთელ ერში მოდებული კლასობრივი ბრძოლის პროდუქტიაო, და № 2 ჩინელს შორის, რომელიც ამბობს — აჯანყება ხელოვნებაა. ბუხარინის თეზისების მსგავსი თეზისები მე შემიძლია დავწერო, მეტიც რომ არაფერი ვიცოდე: «ერთი მხრივ... მეორე მხრივ». ერთმა საკმარისი ანგარიში ვერ გაუწია ხელოვნების «მომენტს», მეორემ — «გამწვავების მომენტსო» და ა. შ.. ეს იქნება მკვდარი და უშინაარსო ეკლექტიციზმი, ვინაიდან კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ არ შეგვისწავლია გარკვეული დავა, გარკვეული საკითხი, გარკვეული მიდგომა მისდამი და ა. შ.

პროფკავშირები, ერთი მხრივ, სკოლაა; მეორე მხრივ — აპარატი; მესამე მხრივ — მშრომელთა ორგანიზაცია; მეოთხე მხრივ — ორგანიზაცია თითქმის მარტოოდენ მრეწველობის მუშებისა; მეხუთე მხრივ — ორგანიზაცია წარმოებათა მიხედვით * და ა. შ. და ა. შ.. არავითარი დასაბუ-

* სხვათა შორის, ტროცკის აქაც შეცდომა აქვს. მას ჰგონია, საწარმოო კავშირი არის ისეთი კავშირი, რომელიც წარმოებას უნდა დაეუფ-

თების, არავითარი დამოუკიდებელი ანალიზის ნატამალიც კი არ მოეპოვება ბუხარინს იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ უნდა ავიღოთ საკითხის ან საგნის პირველი ორი «მხარე» და არა მესამე, მეოთხე, მეხუთე და ა. შ.. ამიტომ არის, რომ ბუხარინის ჯგუფის თეზისებიც მთლად ეკლექტიკური ყბედობაა. ბუხარინი სრულებით არასწორად, ეკლექტიკურად აყენებს «სკოლისა» და «აპარატის» თანაფარდობის მთელ საკითხს.

რათა ეს საკითხი სწორად დაისვას, საჭიროა ცარიელი აბსტრაქციებიდან კონკრეტულ, ე. ი. წარმოებულ დავაზე გადავიდეთ. აიღეთ ეს დავა, როგორც გნებავთ: გნებავთ ისე, როგორც მან თავი იჩინა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენციაზე, ან ისე, როგორც იგი დასვა და წარმართა თვითონ ტროცკიმ თავისი ბროშურა-პლატფორმით 25 დეკემბერს, — თქვენ დაინახავთ, რომ საკითხისადმი ტროცკის მთელი მიდგომა, მთელი მისი მიმართულება მცდარია. იგი ვერ მიმხვდარა, რომ საჭიროა და შესაძლებელიც პროფკავშირებს მიუდგე, როგორც სკოლას, მაშინაც, როდესაც აყენებ «საბჭოთა ტრედუნიონიზმის» თემას, მაშინაც, როდესაც ლაპარაკობ საწარმოო პროპაგანდაზე საზოგადოდ, და მაშინაც, როდესაც ისე აყენებ საკითხს, როგორც ტროცკი აყენებს, «შეხორცების», წარმოების გამგებლობაში პროფკავშირთა მონაწილეობის შესახებ. და ამ უკანასკნელ საკითხში, ისე, როგორც იგი დაყენებულია ტროცკის მთელ ბროშურა-პლატფორმაში, შეცდომას შეადგენს იმის გაუგებლობა, რომ პროფკავშირები წარმოადგენენ წარმოების ტექნიკურ-ადმინისტრაციული გამგებლობის **სკოლას.** არა «ერთი მხრივ — სკოლა, მეორე მხრივ — კიდევ რაღაცა», არამედ ყოველ მხრივ — ამ დავის, ტროცკის მიერ

ლოსო. ეს სწორი არაა. საწარმოო კავშირი იმას ნიშნავს, რომ ასეთი კავშირი მუშებს აკავშირებს წარმოებათა მიხედვით, რაც აუცილებელია ტექნიკისა და კულტურის დღევანდელი დონის დროს (რუსეთშიც და მთელ მსოფლიოშიც).

საკითხის ასე დაყენების დროს — პროფკავშირები სკოლაა, სკოლა გაერთიანებისა, სკოლა სოლიდარობისა, სკოლა საკუთარი ინტერესების დაცვისა, სკოლა მეურნეობის გაძღოლისა, სკოლა მმართველობისა. იმის მაგიერ, რომ ამხ. ტროცკის მიერ ჩადენილი ეს ძირითადი შეცდომა გაეგო და გამოესწორებინა, ამხ. ბუხარინმა მოგვაწოდა სასაცილო შესწორება: «ერთი მხრივ, მეორე მხრივ».

მივუახლოვდეთ საკითხს უფრო კონკრეტულად. ვნახოთ, რას წარმოადგენენ ახლანდელი პროფკავშირები, როგორც წარმოების მართვის «აპარატი». ჩვენ დავინახეთ: არასრული ცნობების მიხედვით 900-მდე მუშა, წევრი და დელეგატი პროფკავშირისა, მართავს წარმოებას. გაადიდეთ ეს რიცხვი, თუ გნებავთ, თუნდ ერთიათად, თუნდ ერთიასად; თქვენდამი დასათმობად და თქვენი ძირითადი შეცდომის განსამარტებლად ვთქვათ, რომ ასეთი არაჩვეულებრივი სისწრაფით «წავალთ წინ» უახლოეს დროში, — მაინც ჩვენ მივიღებთ უმნიშვნელო წილს უშუალოდ მმართველი მუშებისას პროფკავშირების წევრთა 6-მილიონიან საერთო მასასთან შედარებით. და აქედან კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ მთელი ყურადღების მიპყრობა «ხელმძღვანელი ფენისადმი», როგორც ამას ტროცკი სჩადის, ლაპარაკი პროფკავშირთა საწარმოო როლზე და წარმოების მართვაზე, იმის ანგარიშგაუწევლად, რომ 98½% სწავლობს (6 000 000 — — 90 000 = 5 910 000 = 98½% ყველა წევრთა) და კიდევ დიდხანს უნდა სწავლობდეს, ძირითადი შეცდომის ჩადენას ნიშნავს. არა სკოლა და მმართველობა, არამედ მმართველობის **სკოლა**.

ამხ. ტროცკის, რომელიც 30 დეკემბერს ზინოვიევს ეკამათებოდა და სრულიად უსაბუთოდ და უმართებულოდ აბრალებდა მას «დანიშვნების» სისტემის უარყოფას, ე. ი. ც. კ-ისათვის დანიშვნის უფლებისა და მოვალეობის უარყოფას, უნებლიეთ წამოსცდა ფრიად დამახასიათებელი დაპირისპირება:

...«ზინოვიევიო — თქვა მან — მეტად პროპაგანდისტულად უდგება თვითეულ პრაქტიკულ საქმიან საკითხს, ივიწყებს რა, რომ აქ არის არა მარტო სააგიტაციო მასალა, არამედ ისეთი საკითხიც, რომელიც ადმინისტრაციულად უნდა გადაწყდეს» (გვ. 27).

მე ახლავე განვმარტავ დაწვრილებით, თუ როგორი შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა ყოფილიყო ამ საკითხისადმი ადმინისტრატორული მიდგომა. მაგრამ ამხ. ტროცკის ძირითადი შეცდომა სწორედ ის არის, რომ ი მ ს ა კ ი თ ხ ებ ს, რომლებიც თვითონ მან დააყენა თავის ბროშურა-პლატფორმაში, იგი მიუდგა (უფრო სწორად რომ ვთქვათ, დააფრინდა), როგორც ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ტ ო რ ი, მაშინ როდესაც მას შეეძლო ა მ საკითხებს მისდგომოდა და უნდა მისდგომოდა კიდეც მ ხ ო ლ ო დ რ ო გ ო რ ც პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს ტ ი.

მართლაც. რა აქვს კარგი ტროცკის? თავის თეზისებში კი არა, არამედ ს ი ტ ყ ვ ე ბ ში — განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ივიწყებს თავის უხეირო პოლემიკას პროფესიონალისტთა ვითომდა «კონსერვატიულ» ფრთასთან — უეჭველად კარგი და სასარგებლოა ს ა წ ა რ მ ო ო პ რ ო პ ა გ ა ნ დ ა. პროფკომისიაში საქმიანი, «მეურნეობრივი» მუშაობის დროს, საორატორო და სალიტერატურო გამოსვლების დროს, როგორც საწარმოო პროპაგანდის სრულიად რუსეთის ბიუროს მონაწილე და მუშაკი, ამხ. ტროცკი უეჭველად არამცირე სარგებლობას მოუტანდა საქმეს (და უეჭველად მოუტანს კიდეც). შეცდომას «თეზისები-პლატფორმა» წარმოადგენს. იქ წითელ ზოლად არის გავლებული ადმინისტრატორის მიდგომა პროფორგანიზაციის «კრიზისისადმი», პროფკავშირებში არსებული ორი «ტენდენციისადმი», რკპ პროგრამის განმარტებისადმი, «საბჭოთა ტრედუნიონიზმისადმი», «საწარმოო აღზრდისადმი», «შეხორცებისადმი». მე ახლა დავასახელე ტროცკის «პლატფორმის» ყველა მთავარი თემა, და სწორედ ასეთი თემებისადმი სწორი მიდგომა ამჟამად, იმ მასალის მიხედვით, რომელიც ტროცკის მოეპოვება, შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტული.

სახელმწიფო, ეს იძულების სფეროა. სიგიჟე იქნებოდა იძულებაზე ხელის აღება, განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში. «ადმინისტრირება» და საქმისადმი ადმინისტრატორული მიდგომა აქ აუცილებელია. პარტია, ესაა უშუალოდ მმართველი ავანგარდი პროლეტარიატისა, ესაა ხელმძღვანელი. პარტიიდან გარიცხვა, და არა იძულება, — აი ზემოქმედების სპეციფიკური საშუალება, საშუალება ავანგარდის გაწმენდისა და გამოწრთობისა. პროფკავშირები სახელმწიფო ხელისუფლების რეზერვუარია, კომუნიზმის სკოლაა, მეურნეობის გაძღოლის სკოლაა. ამ დარგში სპეციფიკური და მთავარია არა მართვა, არამედ **«კავშირი»** «ცენტრალურ» (რასაკვირველია, აგრეთვე ადგილობრივ) «სახელმწიფო მართვა-გამგეობასა, სახალხო მეურნეობასა და მშრომელთა ფართო მასებს შორის». (როგორც ამას ამბობს ჩვენი პარტიის პროგრამა, ეკონომიური ნაწილის § 5, მიძღვნილი პროფკავშირებისადმი).

წითელ ზოლად არის გავლებული ტროცკის მთელ ბროშურა-პლატფორმაში ამ საკითხის მთელი დაყენების უმართებულობა, ასეთი თანაფარდობის გაუგებლობა.

წარმოიდგინეთ, რომ თვით ეს ყბადაღებული «შეხორცება», თავისი პლატფორმის დანარჩენ თემებთან დაკავშირებით, ტროცკის ისე დაემუშავებინა, რომ მთელ ამ საკითხს მეორე მხრით მისდგომოდა. წარმოიდგინეთ, რომ მისი ბროშურა მთლად მიძღვნოდა, ვთქვათ, «შეხორცების» 900 შემთხვევიდან 90 შემთხვევის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მრეწველობის მართვის თანამდებობათა და პროფკავშირების არჩევით თანამდებობათა შეთავსების, პროფკავშირთა წევრებისა და პროფმოძრაობის მუდმივ მუშაკთა მიერ შეთავსების დეტალური გამოკვლევის ამოცანას. წარმოიდგინეთ, რომ მას ამ 90 შემთხვევისათვის ანალიზი გაეკეთებინა ამორჩევითი სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემებთან, მუშგლეხინის რევიზორთა და ინსტრუქტორთა და სათანადო სახკომატების მოხსენებებთან და ანგარიშებთან ერთად, ე. ი. ანალიზი გაეკეთებინა ადმინისტრაციულ დაწე-

სებულებათა მონაცემების მიხედვით, ანალიზი გაეკეთებინა მუშაობის ჯამისა და შედეგების, წარმოების წარმატების და სხვა თვალსაზრისით. საქმისადმი ასეთი მიდგომა იქნებოდა სწორი ადმინისტრატორული მიდგომა, და იგი სავსებით გაამართლებდა «შებერტყვის» ხაზს, ე. ი. ყურადღების მიქცევას იმაზე, თუ ვისი გადაყენებაა საჭირო, ვისი კიდევ გადაყვანა, ვისი დანიშვნა, რანაირი მოთხოვნები უნდა წარედგინოს «ხელმძღვანელ ფენას» ახლავე. თუ ბუხარინმა ცეკ-ტრანელების მიერ გამოცემულ თავის სიტყვაში, რომელიც მან პიტერში 3 იანვარს წარმოთქვა, აღნიშნა: ტროცკი წინათ «შებერტყვის» თვალსაზრისზე იდგა, ახლა კი მასზე ხელი იიღოო, — ამით ბუხარინი აქაც ვარდება პრაქტიკულად სასაცილო, თეორიულად მარქსისტისათვის ყოვლად დაუშვებელ ეკლექტიკაში. ბუხარინი საკითხს აბსტრაქტულად იღებს და ვერ მოუხერხებია (თუ არ სურს) კონკრეტულად მიუდგეს მას. ვიდრე ჩვენ, პარტიის ც. კ-ი და მთელი პარტია, ადმინისტრირებას ვეწევით, ე. ი. სახელმწიფოს ვმართავთ, ჩვენ არასოდეს არ ავიღებთ და არც შეგვიძლია ავიღოთ ხელი «შებერტყვაზე», ე. ი. გადაყენებაზე, გადაყვან-გადმოყვანაზე, დანიშვნაზე, დათხოვნაზე და სხვ.. მაგრამ ტროცკის ბროშურა-პლატფორმაში სრულებით არაა აღებული ეს მასალა, სრულებით არაა დასმული «პრაქტიკული საქმიანი საკითხი». «პრაქტიკულ საქმიან საკითხზე» კი არ დავობდნენ ზინოვიევი და ტროცკი, ამაზე კი არ ვედავებით ჩვენ ბუხარინს, ამის გამო კი არ დავობს მთელი პარტია, არამედ «პროფმოძრაობის დარგში არსებული **ტენდენციების»** საკითხზე (ტროცკის მე-4 თეზისი, ბოლო).

ეს საკითხი, არსებითად, პოლიტიკური საკითხია. ტროცკის შეცდომის გამოსწორება ეკლექტიკური შესწორებებით და დამატებებით, როგორც ეს სურს, რასაკვირველია, ფრიად ჰუმანური გრძნობებით და განზრახვებით აღსავსე ბუხარინს, შეუძლებელია თვით საქმის — მოცემული, კონკრეტული «საქმის» — არსის გამო.

აქ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება იყოს ერთი და მხოლოდ ერთი.

სწორად გადავწყვიტოთ პოლიტიკური საკითხი «პროფ-მოძრაობის დარგში არსებული ტენდენციებისა», კლასთა თანაფარდობისა, პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობისა, სახელმწიფოს, პარტიის, პროფკავშირების სპეციფიკური როლებისა, — «სკოლისა» და აპარატისა და სხვ.. ეს ერთი.

მეორე: საჭიროა სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე გავწიოთ — უფრო სწორად: ვეწეოდეთ — ხანგრძლივ, სისტემატურ, მედგარ, გულდადებულ, მრავალფეროვან, განმეორებით საწარმოო პროპაგანდას, ვეწეოდეთ მას სახელმწიფო მასშტაბით, სახელმწიფო დაწესებულების სახელით და მისი ხელმძღვანელობით.

მესამე: ერთმანეთში კი არ უნდა ავურიოთ «პრაქტიკული საქმიანი საკითხები» და ის დავა ტენდენციების შესახებ, რომელიც (დავა) «საერთო-პარტიული ლაყბობისა» და ფართო დისკუსიების კანონიერ კუთვნილებას შეადგენს, არამედ ეს საკითხები უნდა დავსვათ საქმიანად, საქმიან კომისიებში, მოწმეთა დაკითხვით, მოხსენებების, ანგარიშების, სტატისტიკის შესწავლით, და ყოველივე ამის საფუძველზე — მხოლოდ ყოველივე ამის საფუძველზე, მხოლოდ ასეთ პირობებში — მხოლოდ სათანადო საბჭოთა ან პარტიული ორგანოს ან ორივე ასეთი ორგანოს გადაწყვეტილებით ვახდენდეთ «შებერტყვას».

ტროცკისა და ბუხარინს კი გამოუვიდათ დომხალი, სადაც შეზავებულია პოლიტიკური შეცდომები მიდგომაში, გადამცემი კავშირის, ამძრავი ღვედების შუაზე გაწყვეტა, «ადმინისტრირებაზე» ამაო, ფუჭი გამოლაშქრება თუ თავდასხმა. შეცდომის «თეორიული» წყარო, — რაკი ბუხარინმა თავისი «ჭიქით» დასვა თეორიული წყაროს საკითხი, — ცხადია. ბუხარინის თეორიული — ამ შემთხვევაში გნოსეოლოგიური — შეცდომა ის არის, რომ მან დიალექტიკა ეკლექტიკით შესცვალა. საკითხის ეკლექტიკურად დაყენებით ბუხარინი მთლად დაიბნა და სინდიკალიზმამდე მივიდა. ტროცკის

შეცდომა კი არის ცალმხრიობა, გატაცება, გაზვიადება, ჯიუტობა. ტროცკის პლატფორმა შედგება იმისაგან, რომ ჭიქა სასმისი ჭურჭელიაო, მაშინ როდესაც ამ ჭიქას ძირი გავარდნილი ჰქონია.

დასკვნა

მე დამრჩენია კიდევ მხოლოდ ის, რომ მოკლედ შევეხო ზოგიერთ პუნქტს, რის შესახებ გაჩუმება შეიძლება გაუგებრობის საბაბად გადაქცეულიყო.

ამხ. ტროცკიმ თავისი «პლატფორმის» მე-6 თეზისში გაიმეორა რკპ პროგრამის ეკონომიური ნაწილის § 5, რომელიც პროფკავშირებს ეხება. ორი გვერდის შემდეგ, მე-8 თეზისში, ამხ. ტროცკიმ განაცხადა:

...«დაკარგეს რა თავიანთი არსებობის ძველი საფუძველი, კლასობრივი ეკონომიური ბრძოლა, კავშირებმა»... — (ეს მართალი არაა, ეს ნაჩქარევი გაზვიადებაა: კავშირებმა დაკარგეს ისეთი საფუძველი, როგორიცაა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ეკონომიური ბრძოლა, მაგრამ ჯერ სრულიადაც არ დაუკარგავთ და, სამწუხაროდ, მრავალი წლის განმავლობაში ვერც დაკარგავენ ისეთ საფუძველს, როგორიცაა ა რ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი «ეკონომიური ბრძოლა» იმ აზრით, რომ მათ უნდა ებრძოლონ საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებას, იმ აზრით, რომ მათ უნდა დაიცვან მშრომელთა მასის მატერიალური და სულიერი ინტერესები იმ გზებითა და საშუალებებით, რაც მიუწვდომელია ამ აპარატისათვის, და სხვ.)... — «კავშირებმა, მთელი რიგი პირობების გამო, ვერ მოასწრეს თავიანთ რიგებში თავი მოეყარათ საჭირო ძალებისათვის და შეემუშავებინათ აუცილებელი მეთოდები იმისათვის, რომ შეძლებოდათ იმ ახალი ამოცანის შესრულება, რომელიც პროლეტარულმა რევოლუციამ მათს წინაშე დააყენა და რომელიც ჩვენს პროგრამაში ასეა ჩამოყალიბებული: მ ო ვ ა წ ყ ო თ წ ა რ მ ო ე ბ ა» (ხაზგასმა ტროცკისაა, გვ. 9, თეზისი 8).

ესეც ისევ ნაჩქარევი გაზვიადებაა, რომელიც დიდი შეცდომის ჩანასახს შეიცავს. პროგრამა არ იძლევა ასეთ ფორმულას და არ ავალებს კავშირებს ისეთ ამოცანას, როგორიცაა «წარმოების მოწყობა». თვალი გავადევნოთ კვალდაკვალ ჩვენი პარტიული პროგრამის თვითეულ აზრს, თვითეულ დებულებას იმავე თანმიმდევრობით, როგორადაც ეს დებულებები მოთავსებულია პროგრამის ტექსტში:

(1) «განსაზოგადოებული მრეწველობის საორგანიზაციო» (არა ყოველგვარი) «აპარატი პირველ რიგში» (და არა მარტოოდენ) «უნდა ეყრდნობოდეს პროფესიულ კავშირებს». (2) «ისინი სულ უფრო და უფრო უნდა თავისუფლდებოდნენ ამქრული შეზღუდულობისაგან» (როგორ უნდა თავისუფლდებოდნენ? პარტიის ხელმძღვანელობით და არაპროლეტარულ მშრომელ მასაზე პროლეტარიატის აღმზრდელობითი და ყოველგვარი სხვა ზემოქმედების დროს) «და გადაიქცნენ მსხვილ საწარმოო გაერთიანებებად, რომლებიც მოიცავენ წარმოების ამა თუ იმ დარგის მშრომელთა უმრავლესობას, ხოლო შემდეგ თანდათან — გამოუკლებლივ ყველა მშრომელსაც»...

ეს არის პირველი ნაწილი იმ განყოფილებისა, რომელიც პარტიულ პროგრამაში პროფკავშირებს ეხება. როგორც ხედავთ, ეს ნაწილი ერთბაშად აყენებს ძალიან «ს ა ს ტ ი კ ს ა» და ძალიან ხანგრძლივი მუშაობის მომთხოვნ «პირობებს» შემდგომისათვის. შემდეგ კი აი რას ვკითხულობთ:

...«პროფესიული კავშირები, რომლებიც, თანახმად საბჭოთა რესპუბლიკის კანონებისა და დამყარებული პრაქტიკისა, უკვე მონაწილენი არიან»... (როგორც ხედავთ, ნახმარია ძალიან ფრთხილი სიტყვა: მხოლოდ მონაწილენიო) ...«მრეწველობის მართვა-გამგეობის ყველა ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოსი, უნდა მივიდნენ იქამდე, რომ მათ ფაქტიურად მოაქციონ თავიანთ ხელში მთელი მართვა-გამგეობა მთელი სახალხო მეურნეობისა, როგორც ერთი მთლიანი მეურნეობისა»... (ყურადღება მიაქციეთ: უნდა მივიდნენ იქამდე, რომ მათ ფაქტიურად მოაქციონ თავიანთ ხელში

მართვა-გამგეობა არა მრეწველობის დარგებისა და არა მრეწველობისა, არამედ მთელი სახალხო მეურნეობისა და ამასთან როგორც მთლიანი სამეურნეო ერთეულისა: ეს პირობა, როგორც ეკონომიური პირობა, ნამდვილად შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც ჩაბმული წვრილი მწარმოებელნი ნახევარზე ნაკლებნი იქნებიან მოსახლეობასა და სახალხო მეურნეობაში) ...«პროფესიულმა კავშირებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამგვარად»... (სწორედ «ამგვარად», რაც ყველა ზემოაღნიშნულ პირობას თანდათან განახორციელებს) ...«განუყრელ კავშირს ცენტრალურ სახელმწიფო მართვა-გამგეობასა, სახალხო მეურნეობასა და მშრომელთა ფართო მასებს შორის, უაღრესად ფართოდ უნდა ჩააბან ეს უკანასკნელნი»... (ე. ი. მასები, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობა) ...«უშუალო მუშაობაში მეურნეობის წარმართვის ხაზით. პროფესიული კავშირების მონაწილეობა მეურნეობის წარმართვაში და მათ მიერ ამ საქმეში ფართო მასების მიზიდვა ამასთან ერთად წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური აპარატის ბიუროკრატიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებას და შესაძლებელს ხდის ნამდვილად სახალხო კონტროლის დაწესებას წარმოების შედეგებზე».

მაშასადამე, უკანასკნელ ფრაზაშიც კვლავ ძალიან ფრთხილად არის ნათქვამი: «მონაწილეობა მეურნეობის წარმართვაში»; კვლავ აღნიშნულია ფართო მასების მიზიდვა, როგორც მთავარი (მაგრამ არა ერთადერთი) საშუალება ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა; და დასასრულ, უაღრესად ფრთხილი მითითება: «შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ს ხ დ ი ს» დავაწესოთ «ს ა ხ ა ლ ხ ო», ე. ი. მუშურ-გლეხური, და არა მარტოოდენ პროლეტარული, «კ ო ნ ტ რ ო ლ ი ო».

ყოველივე აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ჩვენმა პარტ-პროგრამამ პროფკავშირების ამოცანად «ჩამოაყალიბა» «წარმოების ორგანიზაცია» — აშკარად შემცდარია. და თუ ამ შეცდომას დაჟინებით დაიცავთ, თუ მას თეზის-პლატფორმებში

შეიტანთ, აქედან ანტიკომუნისტური, სინდიკალისტური გადახრის გარდა არა გამოვა რა.

სხვათა შორის. ამხ. ტროცკი თავის თეზისებში წერს: «ჩვენ უკანასკნელ პერიოდში არათუ არ მივუახლოვდით პროგრამაში დასახულ მიზანს, არამედ დავშორდით მასთ» (გვ. 7, თეზისი მე-6). ეს ლიტონი სიტყვაა და, ვფიქრობ, არაა მართალი. შეუძლებელია ამის მტკიცება, — როგორც ამას ტროცკი სჩადიოდა დისკუსიებში, — იმაზე მითითებით, რომ ამ ფაქტს «თვითონ» პროფკავშირები აღიარებენო. პარტიისათვის ეს საბოლოო ინსტანცია როდია. და საერთოდ ამის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ ფაქტების დიდი რაოდენობის უაღრესად სერიოზული ობიექტური შესწავლით. ეს ერთი. მეორე: თუნდაც ეს დამტკიცებულიყო, მაინც კვლავ ღიად დარჩებოდა საკითხი: რას დავშორდით? იმას, რომ «მრავალი პროფესიონალისტი» «გაურბის ახალ ამოცანებსა და მეთოდებს», როგორც ტროცკი ფიქრობს, თუ იმას, რომ «ჩვენ» «ვერ მოვასწარით ჩვენს რიგებში თავი მოგვეყარა საჭირო ძალებისათვის და შეგვემუშავებინა აუცილებელი მეთოდები, რათა» აღგვეკვეთა და გამოგვესწორებინა ბიუროკრატიზმის ზოგიერთი უმაქნისო და მავნე უკიდურესობა.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება შევეხოთ იმ საყვედურს, რომლითაც მოგვმართა ამხ. ბუხარინმა 30 დეკემბერს (ხოლო ტროცკიმ გაიმეორა გუშინ, 24 იანვარს, მთამადნის მუშათა II ყრილობის კომუნისტურ ფრაქციაში ჩვენი დისკუსიის დროს); სახელდობრ, მან გვისაყვედურა «იმ ხაზისაგან განდგომა, რომელიც IX პარტიულმა ყრილობამ დასახაო» (30 დეკემბრის დისკუსიის ანგარიში, გვ. 46). დახეთ, ლენინი IX ყრილობაზე იცავდა შრომის მილიტარიზაციას და სასაცილოდ იგდებდა დემოკრატიაზე მითითებას, ახლა კი ამას «განუდგაო». 30 დეკემბერს წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში ამხ. ტროცკიმ ამ საყვედურს საგანგებოდ, ასე ვთქვათ, პილპილიც მოაყარა: «ლენინი ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ პროფკავშირებში ხდება... ოპოზიციურად განწყობილ ამხანაგთა დაჯგუფება» (გვ. 65); ლენინი საკითხს

უდგება «დიპლომატიური თვალსაზრისით» (გვ. 69); «პარტიის შიგნით არსებულ დაჯგუფებებს შორის გაძრომ-გამოძრომაო» (გვ. 70) და სხვ.. საქმის ვითარების ასე დასახვა ამხ. ტროცკის მიერ, რასაკვირველია, ფრიად სასიამოვნოა ამხ. ტროცკისთვის და ფრიად და ფრიად არასასიამოვნოა ჩემთვის. მაგრამ გავიხსენოთ ფაქტები:

იმავე 30 დეკემბრის დისკუსიაზე ტროცკიმ და კრესტინსკიმ დაადგინეს ფაქტი, რომ «ამხ. პრეობრაჟენსკიმ ჯერ კიდევ ივლისში (1920) შეიტანა ც. კ-ში საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი მუშათა ორგანიზაციების შინაგანი ცხოვრების მიმართ ჩვენ ახალ რელსებზე უნდა გადავიდეთ» (გვ. 25). აგვისტოში ამხ. ზინოვიევი წერს წერილის პროექტს, და ც. კ.-ი ამტკიცებს ც. კ-ის წ ე რ ი ლ ს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაზე და დემოკრატიზმის გაფართოების შესახებ. სექტემბერში საკითხი ისმება პარტიულ კონფერენციაზე, და მის გადაწყვეტილებას ამტკიცებს ც. კ-ი. დეკემბერში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხი დაისვა საბჭოების VIII ყრილობაზე. მაშასადამე, მთელმა ც. კ-მა, მთელმა პარტიამ და მთელმა მუშურ-გლეხურმა რესპუბლიკამ საჭიროდ აღიარეს დღის წესრიგში დაესვათ ბიუროკრატიზმისა და მასთან ბრძოლის საკითხი. გამომდინარეობს თუ არა აქედან რკპ IX ყრილობისაგან «განდგომა»? არა. არავითარ განდგომას აქ ადგილი არა აქვს. უდავოა გადაწყვეტილებანი შრომის მილიტარიზაციის შესახებ და ა. შ., და მე ოდნავადაც არ მჭირდება უკან წავიღო დაცინვა დემოკრატიზმის მითითებაზე იმათ მხრით, ვინც ამ გადაწყვეტილებებს სადავოდ ხდიდა. აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ჩვენ გავაფართოებთ დემოკრატიზმს მუშათა ორგანიზაციებში, მაგრამ სრულიად არ გავიხდით მას ფეტიშად; — რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეს ჩვენ უაღრეს ყურადღებას მივაქცევთ; — რომ ჩვენ განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოვასწორებთ ბიუროკრატიზმის ყოველგვარ უმაქნისო და მავნე უკიდურესობას, ვინც არ უნდა მიგვითითოს მასზე.

კიდევ ერთი უკანასკნელი შენიშვნა პატარა საკითხის — დამკვრელობისა და გამთანაბრებლობის საკითხის გამო. 30 დეკემბრის დისკუსიაზე მე ვთქვი, რომ ამხ. ტროცკის 41-ე თეზისის ფორმულირება ამ პუნქტის თაობაზე თეორიულად სწორი არაა, ვინაიდან მას გამოუვიდა, რომ მოხმარებაში გამთანაბრებლობა, ხოლო წარმოებაში — დამკვრელობა. დამკვრელობა არის უპირატესობა-მეთქი, ვუპასუხე-დი მე, ხოლო უპირატესობა მოხმარების გარეშე არაფერს არ წარმოადგენს. ამხ. ტროცკი საყვედურს მეუბნება ამის გამო, აგრეთვე «უდიდესი გულმავიწყობის» და «ტერორიზირების» გამო (გვ. 67 და 68), — მიკვირს კიდევ, რატომ არ არის საყვედური გაძრომ-გამოძრომის, დიპლომატობისა და სხვ. გამო. იგი, ტროცკი, დათმობის გზაზე იდგა ჩემი გათანაბრებითი ხაზის სასარგებლოდ, მე კი თურმე იმავე ტროცკის თავს ვესხმი.

ნამდვილად კი მკითხველს, რომელსაც აინტერესებს პარტიის საქმეები, თვალწინ აქვს ზუსტი პარტიული დოკუმენტები: ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის რეზოლუცია, პ. 4 და ტროცკის თეზისები-პლატფორმა, თეზისი 41-ე. რა «გულმავიწყიც» უნდა ვიყო მე და რა კარგი მეხსიერებაც უნდა ჰქონდეს ამხ. ტროცკის, რჩება ფაქტი, რომ 41-ე თეზისი თეორიულ შეცდომას შეიცავს, რაც ც. კ-ის 9 ნოემბრის რეზოლუციაში არ მოიპოვება. ეს რეზოლუცია ამბობს: «საჭიროდ ცნობს რა სამეურნეო გეგმის განხორციელების საქმეში დამკვრელობის პრინციპის შენარჩუნებას, ც. კ-ი, სრულიად რუსეთის უკანასკნელი (ე. ი. სექტემბრის) კონფერენციის გადაწყვეტილებასთან სრული სოლიდარობით, აუცილებლად თვლის თანდათანობითს, მაგრამ განუხრელ გადასვლას გათანაბრებაზე მუშათა სხვადასხვა ჯგუფებისა და სათანადო პროფკავშირების მდგომარეობაში და ამასთან საერთო-საკავშირო ორგანიზაციის მუდმივად გაძლიერებას». ცხადია, რომ ეს მიმართულია ცეკტრანის წინააღმდეგ, და ამ რეზოლუციის ზუსტი აზრის სხვანაირად განმარტება ყოვლად შეუძლებელია. დამკვრელობა არ უქმდება. დამკვრელი (სა-

მეურნეო გეგმის განხორციელებაში) საწარმოს, პროფკავშირის, ტრესტის, უწყების უპირატესობა რჩება, მაგრამ ამასთან ერთად «გათანაბრებითი ხაზი», რომელსაც იცავდა არა «ამხ. ლენინი», არამედ რომელიც დაამტკიცა პარტკონფერენციამ და ც. კ-მა, ე. ი. მთელმა პარტიამ, ცხადად მოითხოვს: **გადადი** გათანაბრებაზე, თანდათანობით, მაგრამ განუხრელადო. ცეკტრანს რომ ც. კ-ის ნოემბრის ეს რეზოლუცია არ შეუსრულებია, ეს ჩანს ც. კ-ის დეკემბრის გადაწყვეტილებიდან (რომელიც ტროცკიმ და ბუხარინმა გაატარეს), სადაც ჩვენ ერთხელ კიდევ ვკითხულობთ გახსენებას «ნორმალური დემოკრატიზმის საწყისების» შესახებ. 41-ე თეზისის თეორიული შეცდომა ისაა, რომ იქ ნათქვამია: მოხმარების დარგში — გათანაბრება, წარმოების დარგში — დამკვრელობაო. ეს ეკონომიური აბსურდია, ვინაიდან ეს გათიშვაა მოხმარებასა და წარმოებას შორის. არაფერი ამის მსგავსი მე არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა. საჭირო არაა ქარხანა — დაკეტეთ იგი, დაკეტეთ ყველა ქარხანა, რომელიც კი აბსოლუტურად საჭირო არაა. აბსოლუტურად საჭიროთაგან უპირატესობა მიანიჭეთ დამკვრელ ქარხანას. ვთქვათ, ეს უპირატესობა ერგო ტრანსპორტს. ეს უდავოა. მაგრამ რათა ეს უპირატესობა გადამეტებული არ იყოს, და იმის გამო, რომ ცეკტრანის მხრივ იგი გადამეტებული იყო, პარტიის (და არა ლენინის) დირექტივაა: გადადი თანდათანობით, მაგრამ განუხრელად, გათანაბრებაზე. თუ ტროცკი ნოემბრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც ზუსტი და თეორიულად სწორი გადაწყვეტილება მოგვცა, გამოდის ფრაქციული ბროშურით «ორი ტენდენციის» შესახებ და 41-ე თეზისში თავის ფორმულირებას გვაწვდის, რომელიც ეკონომიურად სწორი არაა, — დაე ეს ტროცკიმ თავის თავსვე დააყვედროს.

დღეს, 25 იანვარს, სწორედ ერთი თვე გავიდა ამხ. ტროცკის ფრაქციული გამოსვლის დღიდან. ახლა უკვე ცხადზე უცხადესია ის, რომ ამ ფორმით მიზანშეუწონელმა და

არსებითად მცდარმა გამოსვლამ პარტია მოაცდინა საქმიან, პრაქტიკულ, სამეურნეო, საწარმოო მუშაობას, რომ პარტია მოუნდა პოლიტიკური და თეორიული შეცდომების გამოსწორებას. მაგრამ ძველი ანდაზა ტყუილად როდი ამბობს: «ზოგი ჭირი მარგებელიაო».

ც. კ-ის შიგნით არსებულ უთანხმოებათა შესახებ, როგორც ხმებია, ათასგვარ გასაოცარ რამეებს ამბობდნენ. ოპოზიციის ახლოს მოკალათდნენ (და, უეჭველია, ახლაც მოკალათებული არიან) მენშევიკები და ესერები, რომლებიც აზვიადებენ ხმებს, აძლევენ მათ მეტად ბოროტ ფორმულირებას, თხზავენ ჭორებს, რათა ყოველნაირად სახელი გაგვიტეხონ, ბინძურად განმარტონ, გაამწვავონ კონფლიქტები, ჩაშალონ პარტიის მუშაობა. ეს პოლიტიკური ფანდია ბურჟუაზიისა, მათ შორის წვრილბურჟუაზიული დემოკრატებისა, მენშევიკებისა და ესერებისა, რომლებიც გაცოფებულნი არიან ბოლშევიკებზე და არც შეიძლება გაცოფებულნი არ იყვნენ სრულიად გასაგებ მიზეზთა გამო. პარტიის ყოველი შეგნებული წევრი იცნობს ბურჟუაზიის ამ პოლიტიკურ ფანდს და იცის მისი ფასი.

ც. კ-ის შიგნით არსებულმა უთანხმოებებმა გვაიძულა პარტიისათვის მიგვემართა. დისკუსიამ ნათლად გვიჩვენა ამ უთანხმოებათა არსი და ზომა. ხმებსა და ცილისწამებას ბოლო მოეღო. პარტია სწავლობს და იწრთობა ახალ ავადმყოფობასთან (იმ აზრით, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ჩვენ დაგვავიწყდა კიდეც იგი), ფრაქციულობასთან ბრძოლაში. ნამდვილად რომ ითქვას, ეს — ძველი ავადმყოფობაა, რომლის რეციდივები, ალბათ, აუცილებელია რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ რომლისაგან განკურნება ახლა უფრო სწრაფად და უფრო ადვილად შეიძლება და კიდევაც უნდა სწარმოებდეს.

პარტია სწავლობს იმას, რომ უთანხმოებანი არ გააზვიადოს. აქ კარგი იქნება გავიმეოროთ მართებული შენიშვნები ამხ. ტროცკისა ამხ. ტომსკის მისამართით: «ამხ. ტომსკისთან მეტად ცხარე პოლემიკის დროსაც კი მე ყოველთვის ვამბობ-

დი: ჩემთვის აბსოლუტურად ცხადია, რომ ჩვენს პროფკავშირებში ხელმძღვანელებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ გამოცდილი და ავტორიტეტიანი ადამიანები, როგორიც არის ამხ. ტომსკი. მე ეს ვთქვი პროფკავშირთა V კონფერენციის ფრაქციაში, ეს ვთქვი ამას წინათ ზიმინის თეატრშიც. პარტიაში იდეური ბრძოლა არ ნიშნავს ურთიერთ უკუგდებას, არამედ ნიშნავს ურთიერთზე ზეგავლენას» (30 დეკემბრის დისკუსიის ანგარიში, გვ. 34). თავისთავად იგულისხმება, რომ პარტია ამ სწორი მსჯელობით მიუდგება ამხ. ტროცკისაც.

დისკუსიის დროს სინდიკალისტური გადახრა დაეტყო განსაკუთრებით ამხ. შლიაპნიკოვს და მის ჯგუფს, ეგრეთწოდებულ «მუშათა ოპოზიციას». რადგან ეს არის აშკარა გადახრა პარტიიდან, კომუნიზმიდან, ამიტომ ამ გადახრას ცალკე უნდა გავუსწოროთ ანგარიში, მასზე ცალკე უნდა ვილაპარაკოთ, ამ შეხედულებათა მცდარობისა და ასეთი შეცდომის საშიშროების პროპაგანდასა და განმარტებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამხ. ბუხარინი, რომელიც მივიდა სინდიკალისტურ ფრაზამდე — «სავალდებულო კანდიდატურები» (პროფკავშირებისა მმართველობის ორგანოებისათვის), დღევანდელ «პრავდაში» ძალიან უხეიროდ, აშკარად უმართებულოდ იცავს თავს. თურმე ნუ იტყვით, იგი სხვა პუნქტებში ლაპარაკობს პარტიის როლზე! რაღა თქმა უნდა! ასე რომ არ იყოს, ეს პარტიიდან გასვლა იქნებოდა. ასე რომ არ იყოს, ეს უკვე აღარ იქნებოდა მარტოოდენ შ ე ც დ ო მ ა, რომელიც გამოსწორებას მოითხოვს და შეიძლება ადვილადაც გამოსწორდეს. თუ ლაპარაკობთ «სავალდებულო კანდიდატურებზე» და იქვე არ დაუმატებთ, **რომ** ისინი სავალდებულონი არიან ა რ ა პარტიისათვის, ეს არის სინდიკალისტური გადახრა, ეს შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ ი ა კომუნიზმთან, შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ ი ა რკპ პარტიულ პროგრამასთან. თუ დასძენთ: «სავალდებულონი ა რ ა პარტიისათვისო», ეს ხომ უპარტიო მუშათა მოტყუება გამოვა მათი უფლებების რაღაც გადიდების მოჩვენებით, მაშინ როდესაც

ნამდვილად დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით არავითარი ცვლილება არ მოხდება. რაც უფრო მეტად დაიცავს ამხ. ბუხარინი თავის თეორიულად აშკარად შემცდარ და პოლიტიკურად მომატყუებელ გადახრას კომუნიზმიდან, მით უფრო სამწუხარო იქნება ამ ჯიუტობის ნაყოფი. მაგრამ დაცვა იმისა, რის დაცვაც შეუძლებელია, ვერ მოხერხდება. პარტია უპარტიო მუშების უფლებათა ყოველგვარი გაფართოების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ სულ ცოტა დაფიქრებაა საკმარისი, რათა მივხვდეთ, თუ რა გზით შეიძლება წავიდეთ ამ შემთხვევაში და რა გზით არა.

მთამადნის მუშათა სრულიად რუსეთის II ყრილობის კომუნისტური ფრაქციის დისკუსიაზე შლიაპნიკოვის პლატფორმა დამარცხდა, მიუხედავად იმისა, რომ მას იცავდა ამ კავშირში განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე ამხ. კისელიოვი: ჩვენმა პლატფორმამ მიიღო 137 ხმა, შლიაპნიკოვისამ — 62, ტროცკისამ — 8. სინდიკალისტური გადახრა უნდა განიკურნოს და კიდეც იქნება განკურნებული.

პიტერმაც, მოსკოვმაც და პროვინციის მთელმა რიგმა ქალაქებმაც ერთი თვის განმავლობაში უკვე ცხადყვეს, რომ პარტია გამოეხმაურა დისკუსიას და რომ მან უდიდესი უმრავლესობით უარყო ამხ. ტროცკის შემცდარი ხაზი. თუ «ზედაფენებში» და «პერიფერიაში», კომიტეტებში, დაწესებულებებში, უეჭველია, იყო მერყეობა, სამაგიეროდ პარტიის რიგითი წევრების მასამ, მუშათა პარტიულმა მასამ სწორედ უდიდესი უმრავლესობით გაილაშქრა ამ შემცდარი ხაზის წინააღმდეგ.

ამხ. კამენევმა შემატყობინა: ქალაქ მოსკოვის ზამოსკვორეჩიეს რაიონის დისკუსიაზე, 23 იანვარს, ამხ. ტროცკიმ განაცხადა, ჩემს პლატფორმას ვხსნი და ვუერთდები ბუხარინის ჯგუფს ახალი პლატფორმის ნიადაგზეო. სამწუხაროდ, მე არც 23 იანვარს და არც 24 იანვარს ერთი სიტყვაც არ გამიგონია ამის შესახებ ამხ. ტროცკისაგან, რომელიც მთამადნის მუშათა ყრილობის კომუნისტურ ფრაქციაში ჩემს წინააღმდეგ გამოდიოდა. ისევ შეიცვალა ამხ. ტროცკის განზრახვები და

პლატფორმები, თუ საქმე როგორმე სწვანაირად აიხსნება, — არ ვიცი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამხ. ტროცკის 23 იანვრის განცხადება მოწმობს, რომ პარტიამ, რომელსაც ჯერ არც კი მოუსწრია მთელი თავისი ძალების მობილიზება, რომელმაც მოასწრო მხოლოდ პიტერის, მოსკოვისა და პროვინციული ცენტრების უმცირესობის აზრის გამომჟღავნება, მაინც ერთბაშად, მტკიცედ, მედგრად, სწრაფად, შეურყევლად გამოასწორა ამხ. ტროცკის შეცდომა.

პარტიის მტრები ტყუილად ზეიმობდნენ. მათ ვერ მოახერხეს და ვერც მოახერხებენ, რომ პარტიის შიგნით ხანდახან აუცილებელი უთანხმოებანი გამოიყენონ პარტიის საზიანოდ და რუსეთის პროლეტარიატის დიქტატურის საზიანოდ.

1921 წ. 25 იანვარი.

დაიბეჭდა 1921 წ. იანვარში ცალკე ბროშურად; მოსკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამოცემა

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

სიტყვა მოსკოვის მელითონეთა ფართო კონფერენციაზე
1921 წ. 4 თებერვალი [26]

ბოდიშს ვიხდი, რომ არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო კონფერენციის მუშაობაში, არამედ მხოლოდ გადმოგცემთ ჩემს შეხედულებას.

აქ გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გავიგე, რომ თქვენ ძალიან გაინტერესებთ თესვის კამპანია. ძალიან ბევრი ფიქრობს, თითქოს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაში გლეხების მიმართ რაღაც ეშმაკობა იყოს. პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ ამ დარგში, ისეთია, რომ ჩვენ ყოველთვის აშკარად ვაშუქებთ მას მთელი მასის წინაშე. საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი საკითხი ის არის, რომ ჩვენი გამარჯვებების შემდეგ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გამარჯვებანი სხვა ქვეყნებში. თუ ყურადღებით წაიკითხავთ ჩვენს კონსტიტუციას, დაინახავთ, რომ ჩვენ კი არ ვმიეთ-მოეთობთ, არამედ ვლაპარაკობთ დიქტატურის აუცილებლობაზე, ვინაიდან ჩვენს წინააღმდეგ მთელი ბურჟუაზიული მსოფლიო დგას.

ჩვენ გვეუბნებიან: გლეხები მუშების თანაბარ პირობებში არ იმყოფებიან, აქ თქვენ ეშმაკობთო. მაგრამ ამავე ეშმაკობას ჩვენ აშკარად ვაცხადებთ.

ვისაც რამდენადმე მაინც გულდამშვიდებით უფიქრია ბურჟუაზიის მიმართ ძალთა თანაფარდობის შესახებ, იმან იცის, რომ ბურჟუაზია ჩვენზე უფრო ძლიერია, ამავე დროს კი სამი წლის განმავლობაში იგი ვერ ახერხებს ჩვენს გასრესას. ეს სასწაული არ არის, სასწაული ჩვენ არა გვწამს. საქმე

მხოლოდ ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ გაერთიანდნენ, ისინი ნადავლის გამო დავობენ. ჩაგრული ქვეყნების მეტი ნაწილი კოლონიებია, ნაკლები ნაწილი ამ კოლონიების შრომით ცხოვრობს, როგორც ვულკანზე.

ისინი ჩვენზე უფრო ძლიერნი არიან, მაგრამ ეჭაც იზრდება მოძრაობა. კაპიტალისტების სამხედრო ძალა უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენი, მაგრამ მათ საქმე ჩაეშალათ, და ჩვენ ვამბობთ: ყველაზე მძიმე დრო უკან მოვიტოვეთ, მაგრამ მტერი ისევ განაახლებს თავის ცდებს. არც ერთი ევროპელი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უნახავს, არ ამბობს, რომ იქ ჩამოფლეთილ-ჩამოგლეჯილი ხალხი და «კუდები» არ იქნებოდა, რომ ინგლისიც ექვსი წლის ომის შემდეგ ასეთსავე მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა.

მთელი ძალ-ღონე იქით უნდა მივმართოთ, რომ მუშათა და გლეხთა ურთიერთობა მოვაგვაროთ. გლეხები — ეს სხვა კლასია; სოციალიზმი მაშინ იქნება, როდესაც კლასები არ იქნებიან, როდესაც წარმოების ყველა იარაღი მშრომელთა ხელში იქნება. ჩვენში ჯერ კიდევ დარჩენილი არიან კლასები. მათ მოსპობას მრავალი, მრავალი წელი დასჭირდება, და ვინც გპირდებათ ამის ჩქარა გაკეთებას — შარლატანია. გლეხი ცალკე ცხოვრობს, და ზის იგი, როგორც მეპატრონე. ცალ-ცალკე, მას პური აქვს; ამით მას შეუძლია ყველანი დაგვჯაბნოს. ჩვენ შეიარაღებული მტერი გვითვალთვალებს, და, მან რომ ჩვენ არ დაგვამხოს, უნდა მოვაგვაროთ მუშათა და გლეხთა სწორი ურთიერთდამოკიდებულება.

თუ ავიღებთ მუშებსა და გლეხებს, დავინახავთ, რომ გლეხები მეტნი არიან. ბურჟუაზია ამბობს, ჩვენ დემოკრატია გვაქვს, მუშები და გლეხები თანაბარი უფლებებით სარგებლობენო. სანამ გლეხები ბურჟუაზიას მიჰყვებიან და სანამ მუშები მარტონი არიან, ისინი ყოველთვის დამარცხდებიან. თუ ჩვენ ამას დავივიწყებთ, კაპიტალი დაგვამარცხებს. ჩვენ არ გპირდებით თანასწორობას, იგი ჩვენში არ არის. იგი არ შეიძლება იყოს, ვიდრე ერთს პური ბლომად აქვს, ხოლო მეორეს არაფერი არ გააჩნია.

კაპიტალისტებმა სწორად გაითვალისწინეს, რომ არ შეიძლება ფაბრიკის გაყოფა, მაგრამ შეიძლება მიწის გაყოფა. ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურაა, ეს სიტყვა აფრთხობს გლეხებს, მაგრამ ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ გავაერთიანოთ გლეხები და ვაიძულოთ ისინი მუშების ხელმძღვანელობით იარონ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, მუშათა კლასი გააერთიანებს გლეხებს. მხოლოდ მაშინ გაიხსნება შემდგომი გზა, მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ გავწიოთ კლასების მოსპობისაკენ.

რა პოლიტიკას ეწევიან კაპიტალისტები ამერიკაში? ისინი ეფასოდ არიგებენ მიწას, და გლეხები მიჰყვებიან მათ, და კაპიტალისტები ამშვიდებენ მათ სიტყვებით თანასწორობის შესახებ[27]. ან უნდა აყვე ამ მატყუარობას, ან უნდა გაიგო ეგი და გაერთიანდე მუშებთან და განდევნო კაპიტალისტები.

აი ჩვენი პოლიტიკა, და თქვენ მას იპოვნით ჩვენს კონსტიტუციაში. აქ მე მითხრეს: გადაისინჯოს თესვის კამპანიაო. მე ვიცი, რომ გლეხთა მდგომარეობა ამ გაზაფხულზე ძალიან მძიმეა. მუშებისათვის ყველაზე მძიმე დრო განვლილია. ჩვენ არავის შევპირებივართ თანასწორობას: თუ გსურს მუშებთან იყო, იარე ჩვენთან, გადმოდი სოციალისტებთან, თუ არ გსურს — წადი თეთრებთან. ჩვენ არავის არ შევპირებივართ ეოლ ძალაუფლებას: მაგრამ ამ ძალაუფლებამ ჩვენ თავი დაგვალწევინა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობისაგან. მუშები ამ სამი წლის განმავლობაში შიმშილობდნენ და ეყინებოდნენ, მათ გაჩერებული ფაბრიკები მიიღეს. მაგრამ მათ ძალაუფლება მოიპოვეს. პურისმოსავლიანი ადგილების გლეხებიც კი მიხვდნენ, თუ რა განსხვავებაა მუშების ძალაუფლებასა და დენიკინის ძალაუფლებას შორის, და მათ თავიანთი არჩევანი მოახდინეს. თუ ჩვენ დენიკინი დავამარცხეთ, ეს არა სასწაულის წყალობით, არამედ იმიტომ, რომ მდიდარმა გლეხებმაც კი დაინახეს, თუ რა გამოვიდა სინამდვილეში დამფუძნებელი კრებიდან; და გლეხმა იწყო განსჯა და გამოცდილებით შემოწმება.

გლეხები მიხვდნენ, რომ რაც უფრო მეტ მიწას იგდებ-დნენ ხელთ თეთრები, მით უფრო იწვევდნენ გლეხებს არ-მიაში, და როგორც კი გლეხები იქ ბლომად მოგროვდნენ, მათ გადმოაგდეს დენიკინი.

ჩვენ არავის ვპირდებით რძის მდინარეებს, იქ კი, თანა-სწორობას რომ ჰპირდებიან, მემამულეს დასვამენ ხოლმე. აი რატომ გავიმარჯვეთ ჩვენ.

ჩვენ გვეუბნებიან: გადაისინჯოს თესვის კამპანიაო. მე ვამბობ: არავინ ისე არ იტანჯებოდა, როგორც მუშა. გლეხმა ამ ხნის განმავლობაში მიიღო მიწა, და მას შეეძლო პური აღება. გლეხები ამ ზამთარს გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, და მათი უკმაყოფილება გასაგებია.

მოდით, გადავსინჯოთ მუშების ურთიერთობა გლეხებთან. ჩვენ ვთქვით, რომ მუშებმა გაუგონარი მსხვერპლი გაიღეს, ახლა დადგა წელი, როდესაც უაღრესად მძიმე მდგომარეო-ბაში აღმოჩნდნენ გლეხები, და ჩვენ ვიცით ეს მდგომარეობა. ჩვენ ამ ურთიერთობის გადასინჯვის წინააღმდეგი არა ვართ. რა შეადგენს თესვის კამპანიის ძირითად ამოცანას? — ის, რომ მთელი მიწის ფართობი დაითესოს, თორემ ჩვენი და-ღუპვა გარდუვალია. თქვენ იცით, თუ რამდენი პური ავიღეთ მათგან ამ წელს? სამას მილიონამდე; თუ არა ეს, რას იზამდა მუშათა კლასი? ისედაც დამშეული ცხოვრობდა! ჩვენ ვიცით, რომ გლეხთა მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვა გზა არ არის. ახლა ჩვენ 13 გუბერ-ნიაში სრულიად ვწყვეტთ გაწერას. შარშან ჩვენ სათესლედ რვა მილიონი ფუთი გავეცით და მოსავლიდან უკან მივიღეთ ექვსი მილიონი, ახლა კი დამატებით გავეცით დაახლოებით თხუთმეტი მილიონი. თესვის კამპანიის გაუქმება მეხუთე სართულიდან გადახტომას ნიშნავს. ჩვენ ვერ შევპირდებით გლეხებს გაჭირვებიდან ერთბაშად დახსნას, ამისათვის საჭი-როა ფაბრიკებში ასჯერ მეტს ამზადებდე.

მუშებს რომ არ მივშველებოდით თუნდაც ამ მცირე ულუფით, ჩვენ მთელ მრეწველობას გავაჩერებდით.

მართალია, მუშებს სამი წლის განმავლობაში არაფერი არ მიუღიათ. მაგრამ მხსნელი საშუალების ერთბაშად გამონახვა შეუძლებელია, და იგი არ არსებობს.

მუშათა კლასი სამი წლის განმავლობაში დაუძლურდა, გლეხებისათვის კი მეტისმეტად მძიმე გაზაფხული დადგა. მაგრამ დაგვეხმარეთ, რომ ჩავატაროთ თესვის კამპანია, დავთესოთ ყველა ყანა, მაშინ ჩვენ შევძლებთ სიძნელისაგან თავის დაღწევას.

უნგრეთში გლეხები არ დაეხმარნენ უნგრელ მუშებს და მემამულეთა ბატონობის ქვეშ მოხვდნენ.

აი რა არჩევანია თქვენს წინაშე. როგორ დავაღწიოთ თავი ამ გაჭირვებულ მდგომარეობას? — მთელი ძალები თესვის კამპანიის დასახმარებლად, მივუთითოთ ყველა შეცდომაზე და შევიტანოთ შესწორებანი, თორემ ჩვენ გასაჭირს თავს ვერ დავაღწევთ.

პირველად დაიბეჭდა მთლიანად
1927 წელს

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
მანქანაზე დაბეჭდილი
ასლის მიხედვით

სიტყვა სამკერვალო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის IV ყრილობაზე 1921 წ. 6 თებერვალი[28]

ამხანაგებო, მე ძალიან მიხარია, რომ შემიძლია მივესალმო ყრილობას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და სახალხო კომისართა საბჭოსაგან. და კიდევ უფრო მიხარია, რომ არამცირე მუშაობის შემდეგ, რომლის ცოტაოდენი ნაწილი წილად ხვდა გუშინ ჩვენს პარტიასაც, და დიდი მუშაობის შემდეგ, რაც თქვენ ყველამ გასწიეთ, ჩვენ, როგორც იქნა, მოვახერხეთ მშვიდობიანი შერიგებით და თქვენი გუშინდელი ერთხმივი გადაწყვეტილებით დაგვემთავრებინა ის კონფლიქტი, ის შეხლა-შემოხლა და უთანხმოება, რაც ჩვენ გვქონდა. დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რომ ეს მცირე შეხლა-შემოხლა და მისი წარმატებით გადაწყვეტა ახლა ჩვენთვის საწინდარი იქნება იმისა, რომ შემდგომ მუშაობაში თქვენ, როგორც კავშირის წევრებიც და როგორც პარტიის წევრებიც, შეძლებთ გადაწყვიტოთ ყველა ის არამცირე სიძნელე და ამოცანა, რომლებიც ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ დგას.

ამხანაგებო, თუ ვილაპარაკებთ ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობაზე საერთოდ, საბჭოთა ხელისუფლების როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობაზე, მაშინ, რასაკვირველია, ყველაზე დიდი სიძნელენი იყო ჩვენი რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობის თვალსაზრისით. რუსეთის მთელი პროლეტარული რევოლუციის ყველაზე დიდი სიძნელენი იმაში მდგომარეობდნენ, რომ, იმპერიალისტური ომის მსვლელობის ძალით და პირველი, 1905 წლის რევოლუციის წინანდელი

განვითარების ძალით, ჩვენ თავთ უნდა გვედო სოციალისტური რევოლუციის თაოსნობა, და ამ თაოსნობამ ჩვენ და ჩვენს ქვეყანას გაუგონარი და უნახავი სიძნელენი დაგვაკისრა. თქვენ ყველამ, რა თქმა უნდა, იცით, — მრეწველობის თქვენს დარგში, ვფიქრობ, ეს თქვენთვის, ალბათ, კიდევ უფრო ჩანს, ვიდრე მრეწველობის სხვა დარგების მუშებისათვის, — თქვენ ყველამ იცით, თუ რამდენად წარმოადგენს კაპიტალი საერთაშორისო ძალას, რამდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან უდიდესი კაპიტალისტური ფაბრიკები, საწარმოები, მაღაზიები მთელ მსოფლიოში, და აქედან, რა თქმა უნდა, ცხადია, რომ თვით საქმის არსის გამო ერთ ქვეყანაში კაპიტალის საბოლოოდ დამარცხება შეუძლებელია. ეს საერთაშორისო ძალაა, და, რომ იგი საბოლოოდ დაამარცხო, საჭიროა მუშების ერთობლივი მოქმედება საერთაშორისო მასშტაბითვე. და ჩვენ ყოველთვის, მას შემდეგ, რაც ვიბრძოდით რუსეთის ბურჟუაზიულ-რესპუბლიკურ მთავრობათა წინააღმდეგ 1917 წელს, მას შემდეგ, რაც განვახორციელეთ საბჭოების ძალაუფლება 1917 წლის დამლევიდან, ჩვენ ყოველთვის და არაერთხელ მივუთითებდით მუშებს, რომ ჩვენი გამარჯვების ძირითადი, მთავარი ამოცანა და ძირითადი პირობა არის რევოლუციის განვრცობა რამდენიმე ყველაზე მოწინავე ქვეყანაზე მაინც. და უმთავრესი სიძნელენი, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგა ოთხი წლის მანძილზე, იმაში მდგომარეობდნენ, რომ დასავლეთ-ევროპელმა კაპიტალისტებმა მოახერხეს ომის დამთავრება და ამით რევოლუციის გადადება.

ჩვენ რუსეთში ყველანი განსაკუთრებით ნათლად ვხედავდით, რომ იმპერიალისტური ომის დროს ბურჟუაზიის მდგომარეობა ყველაზე უფრო მერყევი იყო; ჩვენ, შემდეგ, გაგონილი გვქონდა, რომ ყველა სხვა ქვეყანაში სწორედ ომის დასასრული მოასწავებდა ყველაზე მეტ პოლიტიკურ კრიზისს ამ სახელმწიფოებში, როდესაც ხალხი შეიარაღებული იყო, და სწორედ ამ მომენტში შეეძლო პროლეტარიატს ერთი დაკვრით გადაეწყვიტა საქმე კაპიტალისტების წინააღ-

მდეგ. მთელი რიგი მიზეზების გამო დასავლეთ-ევროპელმა მუშებმა ეს ვერ მოახერხეს, და აი უკვე მეოთხე წელია ჩვენ გვიხდება ჩვენი მდგომარეობის მარტოდ დაცვა.

სიძნელენი, რაც ამის გამო მხრებზე დააწვა საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკას, უზარმაზარი იყო, რადგან მსოფლიოს კაპიტალისტთა სამხედრო ძალებმა ყველაფერი, რის გაკეთებაც კი მათ შეეძლოთ, გააკეთეს ჩვენი მემამულეების მხარის დასაჭერად და, რა თქმა უნდა, მათი სამხედრო ძალა ბევრად და ბევრად აღემატება ჩვენსას. და თუ ჩვენ ახლა, სამ წელზე მეტი ხნის შემდეგ, დავძლიეთ რა ყველა მათი სამხედრო შემოსევა და დაბრკოლებანი, წელში ვიმართებით, ჩვენ უფლება გვაქვს სრულიად გაუზვიადებლად ვთქვათ, თუმცა კარგად ვიცით, რა გაუგონარი სიძნელენი, სიმძიმე, გაჭირვება და უბედურება დაატყდა თავს რუსეთის მუშათა კლასს ამ ხნის განმავლობაში, — ჩვენ მაინც უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ უმთავრესი სიძნელენი უკვე უკან მოვიტოვეთ. თუ მსოფლიო ბურჟუაზიამ სამი წლის განმავლობაში, როცა მას უდიდესი სამხედრო უპირატესობა ჰქონდა, ვერ შეძლო გაეტეხა სუსტი და ჩამორჩენილი ქვეყანა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ქვეყანა პროლეტარიატის დიქტატურაზე გადავიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნისათვის უზრუნველყოფილი იყო მშრომელი მასების თანაგრძნობა მთელ მსოფლიოში, შეიძლება ითქვას, გამოუკლებლივ ყველა ქვეყანაში. თუ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებმა ვერ შეძლეს გადაეჭრათ ეს ამოცანა, რომელიც მათთვის ძნელი არ იყო, ვინაიდან მათ გიგანტური სამხედრო უპირატესობა ჰქონდათ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ, საერთაშორისო თვალსაზრისით, მთელი საბჭოთა რევოლუციის ამ ყველაზე სახიფათო პუნქტში, ვიმეორებ, უმთავრესი სიძნელე უკან გვაქვს მოტოვებული.

რა თქმა უნდა, საშიშროება ჯერ კიდევ არ არის განვლილი, ახლაც ისევ ჭიანურდება მოლაპარაკება საბოლოო ზავის შესახებ, სწორედ ახლა ზოგიერთი ნიშნის მიხედვით დგება ამ მოლაპარაკების საკმაოდ ძნელი მომენტი, ვინაიდან განსაკუთრებით ფრანგი იმპერიალისტები ისევ განაგრძობენ

პოლონეთის ჩაბმას ახალ ომში და ყოველნაირად ავრცელებენ ცრუ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა რუსეთს ზავი არ სურდეს.

ნამდვილად კი, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენ გვსურს ზავი: ჩვენ რამდენიმე თვის წინათ ხელი მოვაწერეთ წინასწარ პირობებს, ისეთი შინაარსის პირობებს, რომ ჩვენმა დამთმობლობამ ყველანი გააკვირვა. ჩვენ ამ პირობებს არაფერში არ ვუხვევთ, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია დავთანხმდეთ, რომ იმ ქონების გაყოფის საბაბით, რაც ცარიზმის დროს ეკუთვნოდა პოლონელ ხალხსაც და რუს ხალხსაც, რომელიც მაშინ ცარიზმის უღელქვეშ იმყოფებოდა, ჩვენ დავუშვათ, რომ ქონების გაყოფა ჩვენზე ახალი ხარკის დადებად გადაიქცეს. ამას ჩვენ ვერასგზით ვერ დავუშვებთ. იმ ქონების სამართლიანი გაყოფა, რაც საერთო ქონებად უნდა ჩაითვალოს, და ნაწილობრივ სარკინიგზო ქონებისა, და პოლონელი ხალხისათვის ყველა იმ კულტურული ღირებულების დაბრუნება, რასაც მისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და რაც ცარიზმის დროს მოტაცებული და რუსეთში წამოღებული იყო, ეს დაბრუნება ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია. ჩვენ ყოველთვის მოველოდით, რომ ამ საქმის მოგვარებისას ძნელი საკითხები წამოიჭრებოდა; მაგრამ თუ ფრანგი იმპერიალისტების ზემოქმედებით პოლონელები მოინდომებენ შექმნან კონფლიქტი და რადაც უნდა დაჯდეს ჩაშალონ ზავი, აქ ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. იმისათვის, რომ შერიგება მოხდეს, საჭიროა არა მარტო ერთი მხარის, არამედ ორივე მხარის ნებაყოფლობითი თანხმობა. სულ ერთია, იქნება ეს ძალიან დიდი კონფლიქტი ცალკეული კავშირის შიგნით თუ ძალიან დიდი კონფლიქტი და შეხლა-შემოხლა ორ სახელმწიფოს შორის. თუ პოლონელები ერთხელ კიდევ დაემორჩილებიან ფრანგი იმპერიალისტების მოწოლას, მაშინ მშვიდობის საქმე, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, შეიძლება ჩაიშალოს. რა თქმა უნდა, თქვენ ყველამ იცით, თუ კიდევ რა ახალი სიძნელეები დაგვატყდება თავს, ფრანგმა იმპერიალისტებმა ამ ზავის ჩაშლა

რომ მოახერხონ, ჩვენ კი კარგად ვიცით მთელი რიგი ცნობებიდან და წყაროებიდან, რომ ასეთ ცდებს მიმართავენ და ამ მხრივ უდიდეს ღონისძიებებს ხმარობენ, რომ უცხოელი კაპიტალისტები კვლავ და კვლავ მილიონებს და მილიონებს ჰყრიან ახლა კიდევ იმისათვის, რომ გაზაფხულისათვის მოაწყონ ახალი თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე. სამ წელზე მეტი ხნის გამოვლის შემდეგ ჩვენ ახლა უკვე გვაქვს გამოცდილება, თუ როგორ ეწყობა ეს თავდასხმები. ჩვენ ვიცით, რომ მეზობელი სახელმწიფოს დაუხმარებლად უცხოელ კაპიტალისტებს არ ძალუძთ მოაწყონ რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი ლაშქრობა, ასე რომ რამდენიმე მილიონი, რასაც ისინი გადაუყრიან ხოლმე სხვადასხვა ჯგუფს, რომელთა სათავეში დგას სავინკოვი, ან ესერების ჯგუფს, რომლებიც პრაღაში სცემენ თავიანთ გაზეთს და ზოგჯერ გამოდიან დამფუძნებელი კრების სახელით, — ჩვენ ვიცით, რომ ეს რამდენიმე მილიონი ამაოდ იქნება გადაყრილი, და არაფერი გამოვა, გარდა ქაღალდის გათითხნისა სტამბის საღებავით პრაღის სხვადასხვა სტამბაში.

მაგრამ დარჩენილია ისეთი სახელმწიფოები, როგორიც არის რუმინეთი, რომელსაც არ უცდია რუსეთთან ომი, და ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა პოლონეთი, სადაც არის ავანტიურისტების გაბატონებული სამხედრო ხროვა და გაბატონებული ექსპლოატატორული კლასი. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს წინააღმდეგ ისინი დიდ ძალებს ვერ შეაგროვებენ, და ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ჩვენთვის ყველაზე უფრო ძვირფასია მშვიდობის შენარჩუნება და სრული შესაძლებლობა — მოვანდომოთ მთელი ძალები მეურნეობის აღდგენას, და ჩვენ უაღრესად და უაღრესად ფრთხილნი უნდა ვიყოთ. ჩვენ უფლება გვაქვს ვუთხრათ საკუთარ თავს, რომ საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი სიძნელენი უკან გვაქვს მოტოვებული, მაგრამ ჩვენ ძალიან ქარაფშუტები ვიქნებოდით, თუ თვალს დავხუჭავდით კიდევ ახალი ცდების შესაძლებლობის წინაშე. რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ სავსებით ლიკვიდირებული გვაქვს ვრანგელის ფრონტი, როდესაც

რუმინეთმა მისთვის ხელსაყრელ მომენტში ომი ვერ გაბ'ედა, ახლა ნაკლებ შესაძლებელი ხდება, რომ იგი ომს გაბ'ედავს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუმინეთსა და პოლონეთში მმართველი კლასი ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც უახლოვდება იმას, რასაც შეიძლება სრულიად სასოწარკვეთილი მდგომარეობა ეწოდოს. ორივე ქვეყანა ბითუმად და ნაჭრობით მიჰყიდეს უცხოელ კაპიტალისტებს. ყელამდე ვალებში არიან ჩაფლულნი და ამ ვალების გასტუმრება არ ძალუძთ. გაკოტრება გარდუვალია. მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა უფრო და უფრო იზრდება. არაერთხელ მომხდარა, რომ ამგვარ მდგომარეობაში ბურჟუაზიული მთავრობა განუსჯელად გადაშვებულა მეტისმეტად გიჟურ და უგუნურ ავანტიურებში, რომელთა ახსნა მხოლოდ მათი სასოწარკვეთილი და გამოუვალი მდგომარეობით თუ შეიძლება. აი რატომ უნდა გავუწიოთ ახლაც ანგარიში სამხედრო თავდასხმის ახალი ცდების შესაძლებლობას.

მთავარი, რაც ჩვენ გვინერგავს რწმენას, რომ არა მარტო ეს ცდები გაცამტვერდება, არამედ რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მდგომარეობა, საერთოდ რომ ითქვას, მთელ მსოფლიოში არ არის მტკიცე, — ეს არის ეკონომიური კრიზისის ზრდა ყველა ქვეყანაში და კომუნისტური მუშათა მოძრაობის ზრდა. რევოლუცია ევროპაში ისე არ წარმართულა, როგორც ჩვენი რევოლუცია. როგორც უკვე აღვნიშნე, ვერ მოხერხდა, რომ ომის მიწურული, როდესაც შეიარაღებული ძალები მუშებისა და გლეხების ხელში იყო, გამოეყენებინათ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სწრაფი და რაც შეიძლება უფრო უმტკივნეულო რევოლუციისათვის, მაგრამ იმპერიალისტურმა ომმა ისე შეარყია ამ სახელმწიფოთა მდგომარეობა, რომ კრიზისი იქ არათუ არ დამთავრებულა დღემდე, არამედ, პირიქით, კარსმომდგარი გაზაფხულისათვის ყველგან გამოუკლებლივ, ყველაზე მდიდარ მოწინავე ქვეყნებშიც, ეკონომიური კრიზისი სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ძლიერდება. კაპიტალი საერთაშორისო ბოროტებაა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი საერთაშო-

რისო ბოროტებაა, ყველა ქვეყანა უკვე ისე აღმოჩნდა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთთა დაღუპვა ყველა დანარჩენსაც გადაჩეხს უფსკრულში.

მდიდარი ქვეყნები, რა თქმა უნდა, უფრო გამდიდრდნენ, მათი კაპიტალისტები გამდიდრდნენ ომის განმავლობაში, მაგრამ არა მარტო რუსეთის, არამედ აგრეთვე ისეთი ქვეყნის სრული გაჩანაგების გამო, როგორიც არის გერმანია, დაბეჩავებულობის გამო, ფულის გაუფასურების გამო, ევროპული ქვეყნების დიდ უმრავლესობაში. ყოველივეს მიუხედავად, სავაჭრო ურთიერთობა ძირგამოთხრილია, დარღვეულია; უმდიდრეს ქვეყნებს სული ეხუთებათ, რაკი მათ შესაძლებლობა არა აქვთ გაჰყიდონ თავიანთი მრეწველობის პროდუქტები, რადგან ფული გაუფასურებულია, უმუშევრობა ყველა ქვეყანაში გაუგონრად იზრდება, მთელ მსოფლიოში იზრდება უნახავი ეკონომიური კრიზისი.

ამავე დროს მუშათა კლასი, მოსყიდული რომ იყო თავისი ბურჟუაზიის მიერ, რომელიც თავისი მოგების მნიშვნელოვან რაოდენობას აძლევდა მუშათა კლასის ზედაფენურ წარმომადგენლებს, რათა ეს კლასი რევოლუციისაგან ჩამოეცილებინა, — მუშათა კლასი, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის სამ-ნახევარი წლის მანძილზე, ყველა ქვეყანაში ფხიზლდება და თავს აღწევს დაბრმავებულობას, და კომუნისტური მოძრაობა არა მარტო პარტიებში, არამედ პროფესიულ კავშირებშიც მედგრად, მტკიცედ და ღრმად ვითარდება მთელ მსოფლიოში, თუმცა არა ისე სწრაფად, როგორც ეს ჩვენ გვსურს. განსაკუთრებით ეშინიათ მთელი მსოფლიოს მმართველ კლასებს იმ ცვლილებებისა, რაც პროფესიულ მოძრაობაში ხდება. ისეთი პარტია, რომელიც შეძლებდა ხელმძღვანელობა გაეწია რევოლუციური პროლეტარიატისათვის, როგორც ეს იყო რუსეთის რევოლუციაში, როდესაც პარტია არალეგალურიდან რამდენიმე თვეში ან რამდენიმე კვირაში საყოველთაო-სახალხო ძალების მფლობელად გადაიქცა, ისეთი პარტია, რომელსაც მილიონები მიჰყვებიან, ევროპაში ათეული წლებია არ უნახავთ და არც ეშინიათ მისი. მაგრამ

პროფესიულ კავშირებს ყოველი კაპიტალისტი ხედავს, მან იცის, რომ ეს კავშირები მილიონებს აერთიანებენ, რომ პროფესიული კავშირების გარეშე, თუ კაპიტალისტებს ხელთ არ ჰყავთ ისინი ჩაჭერილი ბელადების მეშვეობით, რომლებიც სოციალისტებად იწოდებიან, მაგრამ რომლებიც კაპიტალისტების პოლიტიკას ეწევიან, რომ პროფესიული კავშირების გარეშე კაპიტალიზმის მთელი მანქანა ინგრევა. ეს მათ იციან, ამას ისინი გრძნობენ და განიცდიან. მაგალითად, გერმანიაში, იქნებ, ყველაზე დამახასიათებელია ის, რომ განსაკუთრებული გაცოფება მთელი ბურჟუაზიული პრესისა, სოციალ-გამცემლების მთელი პრესისა, იმ სოციალ-გამცემლების პრესისა, რომლებიც II ინტერნაციონალში სხედან და თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ, ნამდვილად კი ყოველნაირად ემსახურებიან კაპიტალისტებს, — რომ იქ განსაკუთრებული გაცოფება გამოიწვია არა იმდენად ზინოვიევის გამგზავრებამ, რამდენადაც რუსი პროფესიონალისტების გამგზავრებამ გერმანიაში, რადგან ისე არავის არ დაუშლია გერმანიის პროფესიული კავშირები, როგორც რუსმა მუშა პროფესიონალისტებმა დაშალეს, როდესაც მათ, ერთი შეხედვით, ძალიან მცირე მგზავრობა მოახდინეს გერმანიაში; და ეს ველური ბრაზი ყველა ბურჟუაზიული გერმანული გაზეთისა, ყველა კაპიტალისტისა, რომლებსაც სძულთ კომუნისტები, გვიჩვენებს, თუ რამდენად შერყეული და არამტკიცეა მათი მდგომარეობა. საერთაშორისო მასშტაბით გაჩაღდა მთელ მსოფლიოში ბრძოლა პროფესიულ კავშირებზე გავლენისათვის, რომლებიც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ამჟამად აერთიანებენ მილიონობით მუშებს, და მათზეა დამოკიდებული მთელი ეს შინაგანი, ერთი შეხედვით, უჩინარი მუშაობა; მზარდ ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით გარდუვალად წყდება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბედი.

გერმანიის მონარქისტული პარტიის ცდა, რომ მოეხდინა გადატრიალება, გააცამტვერა გერმანელ მუშათა პროფესიული კავშირების წინააღმდეგობამ, როდესაც მუშები, რომ-

ლებიც დღემდე მიჰყვებოდნენ შეიდემანებს, ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის მკვლელებს, ყველანი აღდგნენ და დაამსხვრიეს სამხედრო ძალები. იგივე ახლა ინგლისში და საგრძნობლად ამერიკაშიც მით უფრო სწრაფად ხდება, რაც უფრო სწრაფად იზრდება ეკონომიური კრიზისი. აი რატომ არის, რომ ყველაზე მეტად სწორედ საერთაშორისო მდგომარეობა გვინერგავს ჩვენ არა მარტო იმედებს, არამედ რწმენასაც, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საშინაო მდგომარეობა საბოლოოდ ძირს უთხრის მათ ძალებს და რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც გუშინ მძიმე იყო და დღესაც, უდიდეს წარმატებათა მიუხედავად, ისევ მძიმე რჩება, რომ იგი, უეჭველია, ჩვენთვის გაუმჯობესდება, და ჩვენ შევძლებთ მთელი ძალები მოვახმაროთ ჩვენი საშინაო ამოცანების გადაწყვეტას. მე ამ ამოცანებზე ბევრს არ ვილაპარაკებ, რადგან ყველა თქვენგანისათვის, რომლებიც წარმოებას იცნობთ, რა თქმა უნდა, მშენებლობის ეს ამოცანები გაცილებით უფრო ახლობელი და უფრო გასაგებია, ვიდრე ჩემთვის, და ამაზე სიტყვის განგრძობა ზედმეტი იქნებოდა.

მე ახლა მოვისმინე შენიშვნა, რომელიც თავისი სიტყვის დასასრულს გამოთქვა წინანდელმა ორატორმა, და შემიძლია მხოლოდ სავსებით დავეთანხმო ამ ორატორს, რომ ახლა ყველაზე მეტად მოეთხოვება თვითეულ წევრს მიაქციოს ყურადღება წარმოების, სამეურნეო მშენებლობის იმ პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. პროფესიული კავშირები ახლა თითქმის გამოუკლებლივ აერთიანებენ მრეწველობის ყველა მუშას, ისინი აერთიანებენ იმ კლასს, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ყველაზე მეტად დააწვა მხრებზე სიმძიმე. მუშათა კლასი რუსეთში ახორციელებს დიქტატურას, იგი წარმოადგენს მმართველ კლასს ისეთ ქვეყანაში, სადაც მუშები უმცირესობას შეადგენენ, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მართავს მუშათა კლასი, იმიტომ, რომ მუშამ კაპიტალისტური ექსპლოატაციის სიმძიმე თვითონ განიცადა და აიტანა, სწორედ ამიტომ მუშათა კლასისათვის უზრუნველყოფილია გლეხობის მთელი მშრომელი

ბასის, ყველა იმათი თანაგრძნობა და მხარდაჭერა, ვინც სხვისი შრომით არ ცხოვრობს. სწორედ ამიტომ მოხდა ის, რაც ვერ გაუგია არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ ვერ გაუგიათ სოციალისტებსაც, რომლებიც III ინტერნაციონალის მტრებად დარჩნენ, რაც მათ ჩვენი მთავრობის ფანდად ეჩვენებათ, მათ არ ესმით, თუ რანაირად შეეძლო მუშათა კლასს სამი წლის განმავლობაში ასეთი გაჭირვებით ებრძოლნა და დაეძლია ისინი. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ისტორიაში პირველად მოხდა ასეთი შემთხვევა, რომ მშრომელნი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ, რომ ყველაზე ექსპლოატირებულმა კლასმა ხელთ აიღო ძალაუფლება, სწორედ ამიტომ გლეხთა უმრავლესობას არ შეუძლია მხარი არ დაუჭიროს მუშათა კლასს, რადგან იგი ხედავს ამ კლასის უფლებას და არ თანაუგრძნობს ბურჟუაზიას. ეს სიტყვა — ბურჟუაზია მათ სამარცხვინოდ მიაჩნიათ; მე შემთხვევა მქონდა გამეგონა გლეხისაგან, რომელიც უჩივოდა ახლანდელ წესებს, აშკარად არ თანაუგრძნობდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას სურსათისა და მთელი რიგი სხვა საკითხების დარგში, რომელიც ნაწყენი დარჩა, რომ სოფლის ღარიბნი მის შესახებ ამბობენ «ბურჟუა�ა». — მე არ შემიძლია შევურიგდე იმას, რომ ასეთი სამარცხვინო სიტყვა მომაკერესო; და ის გარემოება, რომ ეს სიტყვა გლეხებს, — უფრო მსხვილ საშუალო გლეხებსაც კი, თუ ისინი თვითონ მუშაობენ და იციან, რას ნიშნავს ლუკმა-პურის შოვნა საკუთარი შრომით, და თუ უნახავთ, რა ექსპლოატაციას ეწეოდნენ მემამულე და კაპიტალისტი, — ეს კი ყველას უნახავს, — ეს სიტყვა არ შეუძლიათ სამარცხვინოდ არ მიიჩნიონ, ეს სიტყვა ყველაფერს ნიშნავს: მასზეა დაფუძნებული ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია, მუშათა კლასის სახელმწიფოებრივი ზემოქმედება. და გლეხთა მასების სწორედ ეს მხარდაჭერა, მიუხედავად შეძლებული და სპეკულანტური მასის წინააღმდეგობისა, უზრუნველყოფილია მუშათა კლასისათვის. სწორედ ამიტომ გვევლინებიან ჩვენში პროფესიული კავშირები არა მარტო მშრომელთა კავშირებად, არა მარტო ჩვენი მეურნეობის

მშენებლებად, — ეს მათი მთავარი ამოცანაა, — არამედ ისინი გვევლინებიან სახელმწიფოებრივ ძალებად, რომლებიც აშენებენ ახალ სახელმწიფოს უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ და რომლებსაც, თუმცა ისინი უმცირესობას შეადგენენ, შეუძლიათ ააშენონ ახალი კომუნისტური საზოგადოება და რომლებიც კიდეც ააშენებენ მას იმიტომ, რომ ჩვენთვის უზრუნველყოფილია მთელი იმ ათეული მილიონების მხარდაჭერა, რომლებიც თავიანთი შრომით ცხოვრობდნენ. აი რატომ არის, რომ, მივესალმები რა თქვენს ყრილობას, გამოვთქვამ რწმენას, რომ ჩვენს ამოცანებს, ჩვენს წინაშე აღმართული ყოველგვარი სიძნელის მიუხედავად, გადავწყვეტთ წარმატებით (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

პირველად დაიბეჭდა 1922 წელს წიგნში: «სამკერვალო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის მეოთხე ყრილობა (1921 წ. 1 — 6 თებერვალი) (სტენოგრაფიული ანგარიში)». პეტროგრადი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

ცენტრალური კომიტეტის დირექტივები განსახკომის მუშაკ კომუნისტებს

1. უთუოდ დგას რა იმ პოზიციაზე, რომელიც რკპ პროგრამით არის განსაზღვრული პოლიტექნიკური განათლების მიმართ (იხ. განსაკუთრებით §§ 1 და 8 პროგრამის იმ განყოფილებისა, რომელიც მიძღვნილია სახალხო განათლებისადმი), პარტია უნდა უყურებდეს ასაკობრივი ნორმის შემცირებას საერთო და პოლიტიკური განათლებისათვის 17-დან 15 წლამდე მხოლოდ და მხოლოდ როგორც დროებით პრაქტიკულ აუცილებლობას, რომელიც გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის სიღატაკით და მისი გაჩანაგებით იმ ომების შედეგად, რაც ანტანტამ ჩვენ თავს მოგვახვია.

15 წლის და მეტი ასაკის პირთათვის პროფესიული განათლების «კავშირის» განხორციელება «საერთო პოლიტექნიკურ ცოდნასთან» (§ 8 რკპ პროგრამის ხსენებული განყოფილებისა) სავალდებულოა უთუოდ და საყოველთაოდ, როგორც კი საამისოდ ოდნავი შესაძლებლობა შეიქმნება.

2. განსახკომის ძირითადი ნაკლია საქმიანობისა და პრაქტიკულობის ნაკლებობა, პრაქტიკული გამოცდილების არასაკმაოდ გათვალისწინება და შემოწმება, სისტემატურობის უქონლობა ამ გამოცდილების მითითებათა გამოყენებაში, ზოგადი მსჯელობისა და აბსტრაქტული ლოზუნგების სიჭარბე. სახალხო კომისრისა და კოლეგიის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ნაკლოვანებებთან ბრძოლას.

3. განსახკომში საერთოდ და პროფგანათლების მთავარ სამმართველოში კერძოდ არასწორად არის დაყენებული

ცენტრში სპეცების სამუშაოდ მოზიდვის საქმე, ე. ი. თეორიული და ხანგრძლივი პრაქტიკული მომზადების მქონე პედაგოგებისა და იმ პირებისა, რომლებსაც ასეთი მომზადება აქვთ პროფესიულ-ტექნიკური (მათ შორის. აგრონომიული) განათლების დარგში.

აუცილებელია დაუყოვნებლივ მოეწყოს ასეთი მუშაკების აღრიცხვა, მათი სტაჟის შესწავლა, მათი მუშაობის შედეგების შემოწმება და მათი სისტემატური მოზიდვა პასუხსაგებ პოსტებზე ადგილობრივ და განსაკუთრებით ცენტრში სამუშაოდ. არც ერთი სერიოზული ღონისძიება არ უნდა ტარდებოდეს ასეთი სპეცების დასკვნისა და მუდმივი მონაწილეობის გარეშე.

იგულისხმება, სპეცების მოზიდვა უნდა ხორციელდებოდეს 2 აუცილებელი პირობით: ჯერ ერთი, არა კომუნისტი სპეცები უნდა მუშაობდნენ კომუნისტების კონტროლქვეშ. მეორეც, სწავლების შინაარსი, რამდენადაც საქმე ეხება ზოგად-საგანმანათლებლო საგნებს, განსაკუთრებით კი ფილოსოფიას, საზოგადოებრივ მეცნიერებებს და კომუნისტურ აღზრდას, უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ კომუნისტების მიერ.

4. უნდა შემუშავდეს და კოლეგიისა და სახალხო კომისრის მიერ დამტკიცებულ იქნეს ძირითადი ტიპების სასწავლებელთა პროგრამები, ხოლო შემდეგ — კურსების, ლექციების, კითხვა-საღამოების, საუბრებისა და პრაქტიკული მეცადინეობისა.

5. ერთიანი შრომითი სკოლის განყოფილებამ და შემდეგ განსაკუთრებით პროფესიული განათლების მთავარმა სამმართველომ გაძლიერებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა შესაფერისი ტექნიკური და აგრონომიული ძალების უფრო ფართოდ და სისტემატურად ჩაბმას პროფესიულ-ტექნიკურ და პოლიტექნიკურ განათლებაში ყოველი ცოტათი მაინც რიგიანად დაყენებული საფაბრიკო-საქარხნო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გამოყენებასთან დაკავშირებით (საბჭოთა მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო საცდელი

სადგური, კარგი მეურნეობა და სხვ., ელექტროსადგურები და ა. შ.).

პოლიტექნიკური განათლებისათვის სამეურნეო საწარმოთა და დაწესებულებათა გამოყენების ფორმები და წესი დადგენილ უნდა იქნეს სათანადო სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით ისე, რომ ამან წარმოების ნორმალური მსვლელობა არ დაარღვიოს.

6. უნდა შემუშავდეს ანგარიშგების პრაქტიკული, მეტად მოკლე, მაგრამ ნათელი და ზუსტი ფორმები, რათა შესაძლებელი იყოს მუშაობის სიდიდისა და შედეგების აღრიცხვა და შემოწმება. ამ მხრივ საქმის დაყენება განსახკომში მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელია.

7. მეტისმეტად არადამაკმაყოფილებლადაა აგრეთვე დაყენებული გაზეთების, ბროშურების, ჟურნალებისა და წიგნების განაწილება ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მიხედვით, როგორც სკოლებთან, ისე არა სკოლებთან. აქედან გამომდინარეობს ის, რომ გაზეთი და წიგნი ხელთ უვარდება საბჭოთა მოსამსახურეების მცირე ფენას და მეტისმეტად მცირე რაოდენობით აღწევს მუშებამდე და გლეხებამდე. აუცილებელია მთელი ამ საქმის ძირფესვიანად რეორგანიზაცია.

«პრავდა» № 25, 1921 წ.
5 თებერვალი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

განსახკომის მუშაობის შესახებ

5 თებერვლის «პრავდაში» № 25 დაბეჭდილია «რკპ ცენტრალური კომიტეტის დირექტივები განსახკომის მუშაკ კომუნისტებს (კომისარიატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით)».

სამწუხაროდ, პირველ პუნქტშივე აღმოჩნდა სამჯერ განმეორებული, აზრის დამამახინჯებელი ბეჭდვითი შეცდომა: ნაცვლად «პოლიტექნიკური» განათლებისა დაბეჭდილია: პოლიტიკური!!

მე მინდა მივაქციო ამხანაგების ყურადღება ამ დირექტივებზე და გამოვიწვიო აზრთა ურთიერთგაზიარება ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პუნქტის გამო.

1920 წლის დეკემბერში შედგა პარტიული თათბირი სახალხო განათლების საკითხებზე. თათბირში მონაწილეობდა 134 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 29 დელეგატი სათათბირო ხმით. ხუთ დღეს თათბირობდნენ. ამ თათბირის ანგარიშს იძლევა «საბჭოების VIII ყრილობის ბიულეტენის დამატება, მიძღვნილი სახალხო განათლების საკითხებზე მოწვეული პარტიული თათბირისადმი» (გამოცემა სრ. რუსეთის ცაკისა, 1921 წლის 10 იანვარი). თათბირის რეზოლუციებიდან, მისი ანგარიშიდან, ხსენებულ «ბიულეტენის დამატებაში» მოთავსებული ყველა სტატიიდან — გარდა ამხ. ლუნაჩარსკის შესავალი სტატიისა და ამხ. გრინკოს სტატიისა — ჩანს პოლიტექნიკური განათლების საკითხის არასწორად დაყენება, ჩანს ის ნაკლი, რომელთან ბრძოლისაკენაც მიაქცევს ცენტრალური კომიტეტის დირექტივები სახალხო კომისრისა და კოლეგიის «მთავარ ყურადღებას», სახელდობრ:

ზოგადი მსჯელობითა და აბსტრაქტული ლოზუნგებით «გატაცება».

პოლიტექნიკური განათლების საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია ჩვენი პარტიის პროგრამით, პროგრამის იმ განყოფილების 1 და 8 §§-ში, რომელიც მიძღვნილია სახალხო განათლებისადმი. ცენტრალური კომიტეტის დირექტივაც პროგრამის სწორედ ამ პუნქტებზე მიგვითითებს. § 1-ში ლაპარაკია პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი კ უ რ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ზ ე 17 წლამდე, § 8-ში კი ნათქვამია: «ფართო განვითარება პროფესიული განათლებისა ყველასათვის, დაწყებული 17 წლის ასაკიდან და ზევით, ზ ო გ ა დ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ც ო დ ნ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ».

ამრიგად, საკითხი პარტიის პროგრამით სავსებით ნათლად არის დასმული. მსჯელობა იმაზე, «პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი თ უ მ ო ნ ო ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი განათლება» (სწორედ ამ ფრჩხილებში აღებულ და ჩემ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს, მთელი მათი საოცარი უაზრობით, ვხვდებით ჩვენ დასახელებული «ბიულეტენის დამატების» მე-4 გვერდზე!) — ეს მსჯელობა ძირიანად მცდარია, კომუნისტისათვის პირდაპირ შეუწყნარებელია და გვიჩვენებს პროგრამის არცოდნასაც და აბსტრაქტული ლოზუნგებით ყოვლად ფუჭ «გატაცებასაც». თუ ჩვენ იძულებულნი ვართ დ რ ო ე ბ ი თ შევამციროთ ასაკი (ზოგადი პოლიტექნიკურიდან პროფესიულ-პოლიტექნიკურ განათლებაზე გადასვლისა) 17-დან 15 წლამდე, «პ ა რ ტ ი ა უ ნ დ ა უ ყ უ რ ე ბ დ ე ს» ასაკობრივი ნორმის ამ შემცირებას «მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ» (პუნქტი 1-ლი ც. კ-ის დირექტივებისა) როგორც პრაქტიკულ აუცილებლობას, როგორც დროებით ღონისძიებას, რომელიც გამოწვეულია «ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ს ი ღ ა ტ ა კ ი თ ა დ ა გ ა ჩ ა ნ ა გ ე ბ ი თ».

ზოგადი მსჯელობა, როცა ჯახირობენ «დაასაბუთონ» ამგვარი შემცირება, სულერთიანად სისულელეს წარმოადგენს. კმარა ზოგადი მსჯელობანას თამაში და ვითომდა თეორეტიკოსობა! მუშაობის სიმძიმის მთელი ცენტრი უნდა გადა-

ვიტანოთ «პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გამოცდილების გათვალისწინებისა და შემოწმების» საქმეზე, «ამ გამოცდილების მ ი თ ი თ ე ბ ა თ ა სისტემატურად გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს» საქმეზე.

რაც უნდა ცოტანი გვყავდეს ჩვენ გაგებული, მცოდნე და პედაგოგიურ პ რ ა ქ ტ ი კ ა შ ი გამოცდილი ადამიანები, ისინი, უეჭველია, მაინც მოიპოვებიან. ჩვენ ის ნაკლი გვაქვს, რომ უნარი არ შეგვწევს მოვნახოთ ისინი, დავაყენოთ ისინი სათანადო ხელმძღვანელ ადგილზე, უნარი არ შეგვწევს შ ე ვ ი ს წ ა ვ ლ ო თ მათთან ერთად საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილება. სწორედ ეს არ ჩანს 1920 წლის დეკემბრის პარტიულ თათბირზე, ხოლო თუ ეს არა ჩანს სახალხო განათლების 163 — ას სამოცდასამი! — მოღვაწის თათბირზე, მაშინ სავსებით უეჭველი ხდება, რომ არის ერთგვარი საერთო, ძირითადი ნაკლი საქმის დაყენებაში, ნაკლი, რომელმაც გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული დირექტივის აუცილებლობა.

განათლების კომისარიატში არის ორი — და მხოლოდ ორი — ამხანაგი, რომლებსაც განსაკუთრებული თვისების დავალებები აქვთ. ეს არის სახალხო კომისარი, ამხ. ლუნაჩარსკი, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს, და მოადგილე, ამხ. პოკროვსკი, რომელიც ხელმძღვანელობას ახორციელებს, ჯერ ერთი, როგორც სახალხო კომისრის მოადგილე, მეორეც, როგორც აუცილებელი მრჩეველი (და ხელმძღვანელი) სამეცნიერო საკითხებში, საერთოდ მარქსიზმის საკითხებში. მთელ პარტიას, რომელიც კარგად იცნობს ამხ. ლუნაჩარსკისაც და ამხ. პოკროვსკისაც, რა თქმა უნდა, ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ისინი ორივენი, ამ მხრივ, თავისებურ «სპეცებს» წარმოადგენენ განსახკომში. ყველა დანარჩენი მუშაკისათვის ასეთი «ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ა» არ შეიძლება იყოს. ყველა დანარჩენი მუშაკის «სპეციალობა» უნდა იყოს იმის უნარი, რომ მოაგვარონ სპეც-პედაგოგების მუშაობაში ჩაბმის საქმე, განახორციელონ მათი მუშაობის სწორად დაყენება, სისტემატურად გამოიყენონ პრაქტიკული გამოცდილების მითითებანი. სწორედ

ამაზეა ლაპარაკი ცენტრალური კომიტეტის დირექტივების § 2-შიც, § 3-შიც და § 5-შიც.

პარტმუშაკთა თათბირზე უნდა მოგვესმინა სპეცები, პედაგოგები, რომლებიც ათიოდე წელია პრაქტიკულად მუშაობენ და რომლებსაც შეუძლიათ ჩვენ ყველას გვითხრან, თუ რა გაკეთდა და რა კეთდება ამა და ამ დარგში, მაგალითად, პროფესიული განათლების დარგში, და როგორ ართმევს ამას თავს საბჭოთა მშენებლობა, რა არის მიღწეული კარგი, როგორია ამ კარგის ნიმუშები (ასეთი ნიმუშები, ალბათ, მოიპოვება, თუნდაც სულ მცირე რაოდენობით), როგორია კონკრეტული მითითებანი მთავარ ნაკლოვანებებზე და როგორია ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საშუალებანი.

პარტმუშაკთა თათბირზე არ გ ა უ თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ი ა თ ეს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გამოცდილება, იქ არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი იმ პედაგოგებს, რომლებიც ამ გამოცდილებას ასე და ასე იყენებდნენ, არამედ იქ არის უხეირო ცდები «ზოგადი მსჯელობისა» და «აბსტრაქტული ლოზუნგების» შეფასებისა. საჭიროა, რათა მთელმა პარტიამ, განსახკომის ყველა მუშაკმა შეიგნოს ეს ნაკლი და რათა ჩვენ საერთო ძალ-ღონით მოვკიდოთ ხელი მის აღმოფხვრას. საჭიროა, რათა ადგილობრივმა მუშაკებმა გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება ამ მხრივ და დაეხმარონ პარტიას წამოსწიოს სანიმუშო გუბერნიები ან მაზრები, ან რაიონები, ან სასწავლებლები, ან სანიმუშო პედაგოგები, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს შედარებით ვიწრო, ადგილობრივი თუ სპეციალური მასშტაბით. ამ, პრაქტიკით უკვე შემოწმებულ, მიღწევებზე დაყრდნობით ჩვენ წინ უნდა დავძრათ საქმე, — გავაფართოოთ — სათანადო შემოწმების შემდეგ — ადგილობრივი გამოცდილება სრულიად რუსეთის ფარგლებამდე, გადავიყვანოთ ნიჭიერი ან თუნდაც ასე თუ ისე უნარიანი პედაგოგები უფრო პასუხსაგებ, უფრო ფართო მოღვაწეობის პოსტებზე და ა. შ.

სახალხო განათლების დარგში (და დაწესებულებებში) მოქმედი კომუნისტის მუშაობის წარმატება უნდა განიზომე-

ბოდეს უწინარეს ყოვლისა იმით, როგორ არის დაყენებული ეს საქმე სპეცების მოზიდვისა, იჩენენ თუ არა იმის უნარს, რომ გამონახონ ისინი, იმის უნარს, რომ გამოიყენონ ისინი, იმის უნარს, რომ განახორციელონ სპეც-პედაგოგისა და კომუნისტ-ხელმძღვანელის თანამშრომლობა, იმის უნარს, რომ შეამოწმონ, სახელდობრ რა და რამდენად ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა ცხ ო ვ რ ე ბ ა შ ი, იმის უნარს, რომ გასწიონ წინ — თუნდაც უაღრესად ნელა, უაღრესად მცირე მასშტაბით, ოღონდ კ ი ს ა ქ მ ი ა ნ ნიადაგზე, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გამოცდილების ნიადაგზე. ხოლო თუ განსახკომში შემდგომაც ბლომად გვეყოლებიან «კომუნისტური ხელმძღვანელობის» პრეტენდენტები და ამავე დროს სიცარიელე იქნება პრაქტიკულ დარგში, თუ საკმაოდ ან სულაც არ გვეყოლებიან სპეც-პრაქტიკოსები, თუ ვერ გამოვიჩენთ მათი წამოყენების, მათი მოსმენის, მათი გამოცდილების გათვალისწინების უნარს, — მაშინ საქმე ვერ წარიმართება. კომუნისტმა ხელმძღვანელმა იმით და მხოლოდ იმით უნდა დაამტკიცოს თავისი უფლება ხელმძღვანელობისა, რომ ის პ ო უ ლ ო ბ ს მ რ ა ვ ა ლ, სულ უფრო და უფრო მეტ თანაშემწეს პედაგოგ-პრაქტიკოსებს შორის, რომ მას უ ნ ა რ ი შ ე ს წ ე ვ ს დაეხმაროს მ ა თ მუშაობაში, წამოაყენოს ი ს ი ნ ი, გვიჩვენოს და გაითვალისწინოს მ ა თ ი გამოცდილება.

ა მ აზრით ჩვენი უთუო ლოზუნგი უნდა იყოს: ნ ა კ ლ ე ბ ი «ხელმძღვანელობა», მეტი პრაქტიკული საქმე, ესე იგი ნაკლები ზოგადი მსჯელობა, მეტი ფაქტები და შემოწმებული ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რა მხრივ, რა პირობებში, რამდენად მივდივართ ჩვენ წინ ან ვდგავართ ერთ ადგილზე ან უკან ვიხევთ. კომუნისტი ხელმძღვანელი, რომელმაც შეასწორა პედაგოგ-პრაქტიკოსთა სწავლის პროგრამები, შეადგინა ხეირიანი სახელმძღვანელო, მიაღწია ა თ ი, ა ს ი, ა თ ა ს ი პედაგოგ-სპეციის მუშაობის შინაარსის, მუშაობის პირობების თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ ისეთ გაუმჯობესებას, რაც პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა, — აი ეს ნამდვილი ხელმძღვანელია. ის კომუნისტი კი,

რომელიც მსჯელობს «ხელმძღვანელობაზე» და რომელსაც უნარი არ შესწევს შეუგუოს სპეციები პრაქტიკულ საქმეს, უნარი არ შესწევს მიაღწიოს მათ წარმატებას პრაქტიკულად, უნარი არ შესწევს გამოიყენოს ასობით და ასობით მასწავლებლის პრაქტიკული გამოცდილება, — ასეთი კომუნისტი არაფრად არ ვარგა.

საკმარისია გაკვრით გადავავლოთ თვალი ძალიან კარგად შედგენილ წიგნაკს: «განათლების სახალხო კომისარიატი. 1917 — ოქტომბერი — 1920. მოკლე ანგარიში», — რათა დავინახოთ, რომ განსახკომის მთელ მუშაობას ყველაზე მეტად სწორედ ზემოაღნიშნული ნაკლი ახასიათებს. ამხ. ლუნაჩარსკის ეს შეგნებული აქვს, როცა ის წინასიტყვაობაში (გვ. 5) «უეჭველ არაპრაქტიკულობაზე» ლაპარაკობს. მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი და შეუპოვარი მუშაობაა საჭირო, რომ ეს შეიგნოს განსახკომში მომუშავე ყველა კომუნისტმა და რომ მათ მიაღწიონ შეცნობილ ჭეშმარიტებათა ნამდვილად განხორციელებას. ხსენებული წიგნაკი გვიჩვენებს, რომ ფაქტებს ჩვენ ცოტას ვიცნობთ, უზომოდ ცოტას; მათ შეკრებას ჩვენ ვერ ვახერხებთ; არ ვიცით იმ საკითხების რაოდენობა, რომლებიც უნდა დავსვათ და რომლებზეც პასუხის გაცემას შეგვიძლია მოველოდეთ (ჩვენი კულტურის დონის, ჩვენი ზნე-ჩვეულების, ჩვენი მიმოსვლის საშუალებების დროს); ვერ ვიჩენთ უნარს თავი მოვუყაროთ პრაქტიკული გამოცდილების მითითებებს და განვაზოგადოთ ისინი; გართულნი ვართ «ზოგადი მსჯელობით და აბსტრაქტული ლოზუნგებით», იმის უნარი კი არა გვაქვს, რომ გამოვიყენოთ საქმიანი მასწავლებლები საერთოდ, საქმიანი ინჟინრები და აგრონომები ტექნიკური განათლებისათვის განსაკუთრებით, გამოვიყენოთ ქარხნები, საბჭოთა მეურნეობები, რიგიანად დაყენებული მეურნეობანი და ელექტროსადგურები პოლიტექნიკური განათლებისათვის.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, საბჭოთა რესპუბლიკა წინ მიდის სახალხო განათლების საქმეში, ეს უეჭველია.

«ქვემოდან», ე. ი. მშრომელთა იმ მასიდან, რომელსაც კაპიტალიზმი გზას უხშობდა — როგორც აშკარად, ძალადატანებით, ისე თვალთმაქცობისა და მოტყუების საშუალებით — გზას უხშობდა განათლებისაკენ, მომდინარეობს მძლავრი აღმავლობა სინათლისა და ცოდნისაკენ. ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ ვეხმარებით ამ აღმავლობას და ვემსახურებით მას. მაგრამ თვალის დახუჭვა ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებზე, იმაზე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვისწავლია სახელმწიფო-საგანმანათლებლო აპარატის სწორად დ ა ყ ე ნ ებ ა, პირდაპირ დანაშაული იქნებოდა.

ავიღოთ კიდევ გაზეთებისა და წიგნების განაწილების საკითხი, — საკითხი, რომელსაც ეხება ცენტრალური კომიტეტის დირექტივების უკანასკნელი, მე-7 პუნქტი.

1920 წლის 3 ნოემბერს გამოიცა სახკომსაბჭოს დეკრეტი «საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ» (მუხ. 439 კანონთა კრებულისა, 1920, № 87), რ ს ფ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ე რ თ ი ა ნ ი ს ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ო ქ ს ე ლ ი ს შექმნის შესახებ.

აი ზოგიერთი ფაქტიური მონაცემი, რომლის მიღებაც მე შევძელი ამ საკითხზე ამხ. მალკინისაგან, «ცენტროპეჩატიდან», და ამხ. მოდესტოვისაგან, «მონოს» (სახალხო განათლების მოსკოვის განყოფილების) საბიბლიოთეკო სექციიდან. 38 გუბერნიაში, 305 მაზრაში, ბიბლიოთეკების რაოდენობა ცენტრალურ საბჭოთა რუსეთში (ციმბირისა და ჩრდილო კავკასიის გამოკლებით) იყო შემდეგი:

ცენტრალური ბიბლიოთეკები	342
რაიონული საქალაქო ბიბლიოთეკები	521
სათემო ბიბლიოთეკები	4 474
მოძრავი ბიბლიოთეკები	1 661
ქოხ-სამკითხველოები	14 739
დანარჩენები («სასოფლო, საბავშვო, საცნობარო, სხვადასხვა დაწესებულებისა, სხვადასხვა ორგანიზაციისა»)	12 203
ს უ ლ	33 940

ამხ. მოდესტოვი თავისი გამოცდილების საფუძველზე ფიქრობს, რომ ამ ბიბლიოთეკების ¾-მდე ნამდვილად არსებობს, დანარჩენი მხოლოდ ქაღალდზეა. მოსკოვის გუბერნიაში, «ცენტროპეჩატის» მონაცემთა მიხედვით, არის 1223 ბიბლიოთეკა, ამხ. მოდესტოვის მონაცემთა მიხედვით — 1018; აქედან 204 ბიბლიოთეკა — ქალაქად და 814 — გუბერნიაში; ამაში არ შედის პროფკავშირების ბიბლიოთეკები (ალბათ, 16-მდე) და სამხედრო ბიბლიოთეკები (დაახლოებით 125).

რამდენადაც შეგვიძლია დავასკვნათ გუბერნიების შესახები მონაცემების შედარებიდან, ეს ციფრები არცთუ ძალიან სანდოა — ვაი თუ იგი სინამდვილეში 75%-ზე ნაკლებიც კი აღმოჩნდეს! ვიატკის გუბერნიაში, მაგალითად, არის 1703 ქოხ-სამკითხველო, ვლადიმირის გუბერნიაში — 37, პეტროგრადისაში — 98, ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიაში — 75, და სხვ.. «დანარჩენი» ბიბლიოთეკები პეტროგრადის გუბერნიაში არის 36, ვორონეჟისაში — 378, უფისაში — 525, ფსკოვის გუბერნიაში — 31, და ა. შ.

ეტყობა, ეს მონაცემები სწორედ იმას მოწმობენ, რომ მუშათა და გლეხთა მასები უაღრესად ეტანებიან ცოდნას, რომ მძლავრია, «სახალხოა» ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მისწრაფება განათლებისაკენ და ბიბლიოთეკების შექმნისაკენ. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ სრულიადაც, სრულიადაც ვერ ვიჩენთ საკმაო უნარს მოვაწყოთ, მოვაწესრიგოთ, ჩამოვაყალიბოთ ხალხის ეს მისწრაფება, სწორად დავაკმაყოფილოთ ეს მისწრაფება. ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან დიდი და მონდომებული მუშაობა დაგვჭირდება მართლაც ე რ თ ი ა ნ ი საბიბლიოთეკო ქ ს ე ლ ი ს შესაქმნელად.

როგორ ვანაწილებთ ჩვენ გაზეთებსა და წიგნებს? «ცენტროპეჩატის» მონაცემების მიხედვით, 1920 წლის განმავლობაში გავრცელებულია 401 მილიონი ეგზემპლარი გაზეთი და 14 მილიონი წიგნი (11 თვის განმავლობაში). აი მონაცემები სამი გაზეთის გავრცელების შესახებ (1921 წ. 12. I), ეს განაწილება დაწესებულია «ცურკის»[29] პერიოდული ბეჭდ-

ვითი სიტყვის სექციის მიერ (ციფრები ნიშნავს ათასობით ეგზემპლარს):

	«იზვესტია»	«პრავდა»	«ბედნოტა»
«ცენტროპეჩატის» სააგენტოები	191	139	183
სამხედრო ბიურო ლიტექსპედთათვის	50	40	85
რკინიგზის ორგანიზაცია, «ცენტროპეჩატის» რკინიგზის განყოფილება, აგიტპუნქტები	30	25	16
ქ. მოსკოვის დაწესებულებანი და ორგანიზაციები	65	35	8
ქალაქ მოსკოვის სამხედრო კომისარიატი	8	7	6
კომპლექტები სამგზავრო მატარებლებისათვის	1	1	1
გასაკრავი და კომპლექტები	5	3	1
სულ	350	250	300

გასაოცრად ცოტაა გასაკრავად, ე. ი. ყველაზე უფრო ფართო მასებისათვის. გასაოცრად ბევრია დედაქალაქის «დაწესებულებებისათვის» და სხვ. — ეტყობა, საბჭოთა ბიუროკრატების («სოვბურების») — როგორც სამხედროების, ისე სამოქალაქოების მიერ დასატაცებლად და ბიუროკრატიული გამოყენებისათვის.

აი კიდევ რამდენიმე ციფრი «ცენტროპეჩატის» ადგილობრივ ქვეგანყოფილებათა ანგარიშებიდან. «ცენტროპეჩატის» ვორონეჟის საგუბერნიო სააგენტოს 1920 წ. სექტემბრის განმავლობაში გაზეთები მიუღია 12-ჯერ (ე. ი. სექტემბრის 30 დღიდან 18 დღეს გაზეთები არ ყოფილა მიღებული). მიღებული გაზეთები ასე ნაწილდებოდა: «იზვესტია» «ცენტროპეჩატის» სააგენტოებს: სამაზრო სააგენტოებს 4 986 ეგზ. (4 020; 4 310) *; რაიონულ სააგენტოებს — 7 216 (5 860; 10 064); სათემო სააგენტოებს — 3 370 (3 200; 4 285); პარტორგანიზაციებს — 447 (569; 3 880); საბჭოთა დაწესებულებებს — 1 765 (1 641; 509), — დაიხსომეთ, რომ «პრავდა»

* ფრჩხილებში პირველი ციფრი ეხება «პრავდას», მეორე — «ბედნოტას».

საბჭოთა ორგანიზაციებს თითქმის ერთისამად მეტი ხვდა, ვიდრე პარტორგანიზაციებს! შემდეგ: სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 5 532 (5 793; 12 332), აგიტპუნქტებს — 352 (400; 593); ქოხ-სამკითხველოებს — ნ ო ლ ი. ხელისმომწერლებს — 7 167 (3 080; 764). მაშასადამე, «ხელისმომწერლებს», ე. ი. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, საბჭოთა ბიუროკრატებს, ძალიან მსუქნად გამოუდით. გასაკრავად — 460 (508; 500). სულ 32 517 (25 104; 37 237).

უფის გუბერნიაში 1920 წლის ნოემბრის განმავლობაში მიუღიათ 25-ჯერ, ე. ი. გაზეთები მხოლოდ ხუთ დღეს არ ყოფილა. განაწილება: პარტორგანიზაციებს — 113 (1 572; 153); საბჭოთა დაწესებულებებს — 2 763 (1 296; 1 267); სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 687 (470; 6 500); სათემო აღმასკომებს — 903 (308; 3 511); ქოხ-სამკითხველოებს — 36 (8 — «პრავდა» 8 ეგზემპლარი! — 2 538); ხელისმომწერლებს — ნ ო ლ ი; «სხვადასხვა სამაზრო ორგანიზაციას» — 1 044 (219; 991). სულ 5 841 (4 069; 15 429).

ბოლოს, ვლადიმირის გუბერნიის სუდოგდის მაზრის პუსტოშენსკის სათემო სააგენტოს 1920 წ. დეკემბრის ანგარიში. პარტორგანიზაციებს — 1 (1; 2); საბჭოთა დაწესებულებებს — 2 (1; 3); სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 2 (1; 2); სათემო აღმასკომებს — 2 (1; 3); ფოსტის დაწესებულებებს — 1 (1; 1); ურშელის ქარხკომს — 1 (1; 2); სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას — 1 (0; 3). სულ 10 (6; 16).

როგორია ამ ნაწყვეტი მონაცემების დასკვნა? ჩემი აზრით, ის დასკვნაა, რომელიც ჩვენმა პარტიულმა პროგრამამ გამოხატა სიტყვებით: «ამჟამად... იდგმება მხოლოდ პირველი ნაბიჯები კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად» [30].

კაპიტალიზმი გაზეთებს აქცევდა კაპიტალისტურ საწარმოებად, მდიდრების გამორჩომის, მათი ინფორმაციისა და

თავის შექცევის იარაღად, მშრომელთა მასის მოტყუებისა და გაბრიყვების იარაღად. ჩვენ დავამსხვრიეთ გამდიდრებისა და მოტყუების იარაღები. ჩვენ დ ა ვ ი წ ყ ე თ გაზეთის გადაქცევა იმის იარაღად, რომ გავანათლოთ მასები და ვასწავლოთ მათ ცხოვრება და თავიანთი მეურნეობის შენება უ მ ე მ ა - მ უ ლ ე ე ბ ო დ და უ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ო დ. მაგრამ ჩვენ ეს არის მხოლოდ დავიწყეთ ამის კეთება. სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცოტა გავაკეთეთ. ამავე დროს საჭიროა კიდევ ძალიან ბევრი გავაკეთოთ, კიდევ ძალიან დიდი გზა გავიაროთ. ნაკლები პოლიტიკური რახარუხი, ნაკლები ზოგადი მსჯელობა და აბსტრაქტული ლოზუნგები, რომლებითაც ტკბებიან გამოუცდელი კომუნისტები, რომლებსაც თავიანთი ამოცანები ვერ შეუგნიათ, მეტი საწარმოო პროპაგანდა, ყველაზე მეტად კი — პრაქტიკული გამოცდილების საქმიანი, უნარიანი, მასის განვითარების დონესთან შეგუებული გათვალისწინება.

გაზეთების განაწილებაში (წიგნების შესახებ მონაცემები არა მაქვს; ალბათ, იქ საქმე უფრო ცუდადაა) ჩვენ გავაუქმეთ ხელისმოწერა. ეს წინგადადგმული ნაბიჯია კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ. მაგრამ კაპიტალიზმის ერთბაშად მოსპობა შეუძლებელია. იგი ცოცხლდება საბჭოთა ბიუროკრატების, საბჭოთა ბიუროკრატიის სახით, რომელიც სხვადასხვა საბაბით ხელთ იგდებს გაზეთებს. იმის დათვლა, თუ რამდენ გაზეთს იგდებს იგი ხელთ, შეუძლებელია, მაგრამ, ეტყობა, ბევრს. საჭიროა მონდომებით და სისტემატურად ვიმუშაოთ იმაზე, რომ «დავცხოთ» ბიუროკრატიას, საშუალება არ მივცეთ მას ხელთ იგდოს გაზეთები და წიგნები, შევამციროთ მისი წილი, განუხრელად შევამციროთ თვით საბჭოთა ბიუროკრატების რიცხვი. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ძალგვიძს ერთბაშად შევამციროთ ეს რიცხვი ერთიათად, ერთიასად, — ჩვენი კულტურის ახლანდელი დონის დროს ამის დაპირება შარლატანობა იქნებოდა — მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა შევამციროთ ეს რიცხვი მუდმივად და განუხრელად.

ის კომუნისტი, რომელიც ამას არ აკეთებს, მხოლოდ სიტყვით არის კომუნისტი.

უნდა ვეცადოთ და ვეცადოთ, რათა გაზეთები და წიგნები, როგორც წესი, ნაწილდებოდეს მუქთად მ ხ ო ლ ო დ ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში, მათ ქ ს ე ლ შ ი, რომელიც წესიერად უნდა ემსახურებოდეს მთელ ჩვენს ქვეყანას, მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა მთელ მასას. მაშინ ხალხი ასკეცად უფრო ძლიერად, უფრო სწრაფად, უფრო წარმატებით დაეწაფება წიგნიერებას, სინათლეს, ცოდნას, მაშინ განათლების საქმე ბუმბერაზული ნაბიჯებით წავა წინ.

მოკლე გაანგარიშება თვალსაჩინოობისათვის, მაგალითის სახით, 350 ათასი «იზვესტია» და 250 ათასი «პრავდა» მთელი რუსეთისათვის. ჩვენ ღატაკნი ვართ. ქაღალდი არა გვაქვს. მუშები იყინებიან, მშიერნი, შიშველ-ტიტველნი არიან. მანქანები გაცვეთილია. შენობები ინგრევა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, 10 000-ზე მეტი თემისათვის, გვაქვს 50 000 ბიბლიოთეკა და სამკითხველო, მაგრამ არა ქაღალდზე, არამედ ნამდვილად. არანაკლებ სამისა თვითეულ თემში და აუცილებლად თითო-თითო ყოველ ქარხანასა თუ ფაბრიკაში, ყოველ სამხედრო ნაწილში. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ არა მარტო «პირველი ნაბიჯის გადადგმა კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ», არამედ აგრეთვე მეორე და მესამე ნაბიჯის გადადგმაც. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ სამ-სამი ცალი გაზეთის სწორად განაწილება თვითეულ ბიბლიოთეკასა და სამკითხველოზე, მათგან 2 გაზეთი, ვთქვათ, საჭიროა «გასაკრავად» (ვგულისხმობ რა, რომ ჩვენ მეოთხე ნაბიჯი გადავდგით კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ, მე ვფიქრობ, ვბედავ ვიფიქრო, რომ ბარბაროსული «დაწებების» ნაცვლად, რომელიც გაზეთს აფუჭებს, ჩვენ მას ხის ლურსმნებით — რკინისა არა გვაქვს, რკინა «მეოთხე ნაბიჯის» დროსაც ცოტა გვექნება! — გავაკრავთ სწორ დაფაზე, რათა შეიძლებოდეს მოხერხებულად წაკითხვა და რათა გაზეთი არ დაიხეს). ამრიგად, 2 ცალი 50 000 ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსათვის «გასაკრავად»,

1 ცალი სამარაგოდ. შემდეგ წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ გაზეთის ტყუილუბრალოდ მიცემა საბჭოთა ბიუროკრატებისათვის ზ ო მ ი ე რ ი რაოდენობით, ვთქვათ, არაუმეტეს რამდენიმე ათასი ცალისა მთელი საბჭოთა რესპუბლიკის განებივრებულ «წარჩინებულთათვის».

ესოდენ თამამი ვარაუდის დროს 160 ათასი, ვთქვათ, 175 ათასი ცალი საკმარისი იქნება მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ერთიხუთად უფრო უკეთ, ვიდრე ახლა. ყველას ექნება შესაძლებლობა გაეცნოს მდგომარეობას გაზეთის საშუალებით (თუ სათანადოდ მოეწყობა მოძრავი ბიბლიოთეკები, რომლებსაც, ჩემი აზრით, ესოდენ წარმატებით იცავდა ამას წინათ «პრავდაში» ამხანაგი ფ. დობლერი). 350 ათასი ცალი ორივე გაზეთი. ახლა კი გვაქვს 600 ათასი, რომლებიც დატაცებულია საბჭოთა ბიუროკრატების მიერ, მხოლოდ კაპიტალისტურ ჩვეულებათა გამო მიაქვთ ტყუილუბრალოდ, «თამბაქოს გასახვევად» და სხვ.. გვექნებოდა 250 ათასი ცალის ეკონომია. სხვა სიტყვებით: მოვიზოგავდით, ჩვენი სიღატაკის მიუხედავად, ო რ ყოველდღიურ გაზეთს, 125 ათას ცალს თვითეულს. და თვითეულ ასეთ გაზეთში ყოველდღე შეიძლებოდა მიგვეწოდებინა ხალხისათვის სერიოზული და ძვირფასი ლიტერატურული მასალა, საუკეთესო და კლასიკური ბელეტრისტიკა, საერთო-საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები, სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელოები, მრეწველობის სახელმძღვანელოები. თუ ფრანგმა ბურჟუებმა ჯერ კიდევ ომამდე ისწავლეს, როგორ იშოვნონ ფული, როგორ გამოსცენ რომანები ხალხისათვის არა 3½ ფრანკად ბატონკაცობისათვის განკუთვნილი წიგნაკის სახით, არამედ 10 სანტიმად (ე. ი. 35-ჯერ უფრო იაფად, 4 კაპიკად ომამდელი კურსით) პროლეტარული გაზეთის სახით, მაშინ რატომ არ უნდა ვისწავლოთ ჩვენ — კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ მეორე ნაბიჯის გადადგმის დროს — ასევე მოვიქცეთ? რატომ არ უნდა ვისწავლოთ ჩვენ, ასე რომ მოვიქცევით, მივაღწიოთ იმას, რომ ერთ წელიწადში — ჩვენი ახლანდელი სიღატაკის პირობებშიც კი — მივცეთ ხალხს, 50 000 ბიბლიოთეკიდან

და სამკითხველოდან თვითეულზე ორ-ორი ცალი, — ყველა საჭირო სახელმძღვანელო და მსოფლიო ლიტერატურის, თანამედროვე მეცნიერების, თანამედროვე ტექნიკის ყველა საჭირო კლასიკოსი?

ვისწავლით.

1921 წ. 7 თებერვალი

«პრავდა» № 28, 1921 წ. 9 თებერვალი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

წინასწარი, შავად დაწერილი მოწასახი თეზისებისა გლეხთა შესახებ[31]

1. დაკმაყოფილდეს უპარტიო გლეხობის სურვილი გაწერის (ნაჭარბის ჩამორთმევის აზრით) შეცვლისა პურის გადასახადით.

2. შემცირდეს ამ გადასახადის ოდენობა შარშანდელ გაწერასთან შედარებით.

3. მოწონებულ იქნეს პრინციპი გადასახადის ოდენობის შეფარდებისა მიწათმოქმედის ბეჯითობასთან იმ აზრით, რომ შემცირდეს გადასახადის % მიწათმოქმედის ბეჯითობის ამაღლებისას.

4. გაფართოვდეს თავისუფლება მიწათმოქმედის მიერ გადასახადის გადამეტებით თავისი ნაჭარბის გამოყენებისა ადგილობრივ სამეურნეო ბრუნვაში იმ პირობით, თუ გადასახადი სწრაფად და სრულად იქნება შეტანილი.

დაწერილია 1921 წ. 8 თებერვალს.
პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ბარათი ი. ბ. სტალინს
და პოლიტბიუროს სხვა წევრებს

მიღებულია პასუხი პოლიტბიუროს შეკითხვაზე ნავთის კონცესიების შესახებ როგორც კრასინისაგან (და ბოგდატიანისაგან), ისე ნავთის მრეწველობის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარე დოსერისა და მისი 4 სპეციისაგან.

ამ პასუხს, იმ ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ეხება «ნავთის მრეწველობის მდგომარეობას 1920 წლის დამლევისათვის» (ბაქო, 1920), მე ვუგზავნი ამხ. სტალინს და ვთხოვ პოლიტბიუროს ყველა წევრს ტელეფონით გამოელაპარაკონ მას, რომ დროზე მიიღონ მისგან და წაიკითხონ ეს მასალები. (დაბეჭდილ ანგარიშში საკმარისია თუნდაც გადაათვალიეროთ ჩემ მიერ ლურჯი ფანქრით აღნიშნული ადგილები იმ გვერდებზე, რომლებიც ჩამოთვლილია გარეკანზე, ე. ი. ტექსტის წინა გვერდზე).

ეს მასალები სასწრაფოდ უნდა იქნეს წაკითხული, რადგან პოლიტბიუროს სხდომაზე (14 თებერვალი, ორშაბათი, საღამოს 8 საათი) სასურველია მივიღოთ გადაწყვეტილება.

ეს მასალები სავსებით ამტკიცებენ,

(ა) რომ კატასტროფა გვემუქრება და მ ო ა ხ ლ ო ე ბ უ ლ ი ა;

(ბ) რომ აუცილებელია მთელი ძალ-ღონით ვეცადოთ გავცეთ კონცესიები (ე. ი. გამოვნახოთ კონცესიონერები) ბაქოში;

(გ) რომ ნავთის მრეწველობის მთავარი სამმართველოს თავმჯდომარე მეტისმეტად სულელია. ასეთი მაღალი თანამდებობის პირის სისულელე სახიფათოა.

მოკლედ ამ სამივე პუნქტის გამო:

(ა) კატასტროფა გვიახლოვდება. ეს განსაკუთრებით ნათლად დამტკიცებულია **ნავთის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სპეცების მიერ.** სულელი დოსერი თავის «მოხსენებითს ბარათში» ცდილობს ნ ა კ ლ ე ბ ა დ მოგვაჩვენოს საფრთხე. ეს განსაკუთრებით სისულელეა. უნდა წავიკითხოთ ნავთის მრეწველობის მთავარი სამმართველოს ყ ვ ე ლ ა ს პ ე ც ი ს მიერ გამოთქმული აზრები და შევადაროთ ისინი დოსერის შერბილებულ დასკვნას.

(ბ) «კონცესიონერის მოზიდვის სარგებლობა პრობლემატურიაო», — ასე აყალიბებს თავის დასკვნას დოსერი. ეტყობა, მას დაუშინებია თავისი სპეცები, როგორც ნამდვილ კეთილგანმზრახ რეგვენს, აქაო და «საბჭოთა» ადამიანს მხოლოდ ეს შეეფერება, რომ კონცესიების წინააღმდეგი იყოსო!! ჭეშმარიტად დათვური სამსახურია!!

ნამდვილად კი, ნავთის მრეწველობის მთავარი სამმართველოს სპეცების მოხსენებებიდან (საქმიანი მოხსენებებიდან, რომლებსაც უაღრესად ადასტურებს დაბეჭდილი ანგარიში, «1920 წლის დამლევამდე») ცხადზე უცხადესად ჩანს, თუ **რა პირობები** უნდა წავუყენოთ ჩვენ კონცესიონერს.

გამოიძებნება თუ არა კონცესიონერი, რომელიც ამ პირობებს დათანხმდება, ეს, რა თქმა უნდა, «პრობლემატურია». მაგრამ ამას არც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც ჭკუაზე არ შეშლილა, არ შეეკითხებოდა არც დოსერს და არც სპეცებს.

ჩვენი საქმეა ყოველივე ვიღონოთ, რათა ასეთი კონცესიონერები გამოიძებნოს.

თუ არ გამოიძებნებიან, მით უარესი ჩვენთვის.

თუ ვერ შევძლებთ ვიღონოთ ყოველივე, რათა კონცესიონერი გამოვძებნოთ, ჩვენ ბანკროტები აღმოვჩნდებით.

უნდა დავაჩქაროთ პირობების შემუშავების საქმე.

დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ბრძოლა ფრიად მავნე ცრურწმენასთან, რომელსაც ადვილად შეიძლება აჰყვეს მუშების ნაწილი და რომელიც რადაც უნდა დაჯდეს დაძლეულ უნდა იქნეს. ამ ცრურწმენას შეადგენს «იდეა»: «არ გვსურს ვიმუშაოთ კაპიტალისტებისათვისო», ან ვარიანტი: «არ გვსურს ვიმუშაოთ კაპიტალისტებისათვის, თუ გვერდით მუშები არა კაპიტალისტებისათვის მუშაობენო».

მავნეობა ამ ცრურწმენისა (რასაც აქარწყლებს ჩვენი რკპ პროგრამაც და მარქსიზმიც საერთოდ) ცხადია ასეთი დაახლოებითი გაანგარიშებიდან, რომელიც ნათლად აჯამებს სპეცების მოხსენებებს.

ჩვენ ამოგვაქვს 100ა ნავთი.

ამოღება ეცემა.

წყლით გავსება კატასტროფას იმუქრება.

თუ ჩვენ მოვიზიდავთ კონცესიონერს, რომელიც დაგვეხმარება ამოვიღოთ ნავთი 100ა + 100ბ და თუ ჩვენ ამაში მას გადავუხდით 98ბ, მაშინ ამოღება ჩვენში თუმცა ნელა, მაგრამ მაინც გაიზრდება (100ა + 2ბ), ნაცვლად იმისა, რომ დაეცეს.

კითხვა ისმება, «კაპიტალისტებისათვის» მუშაობენ მუშები, რომლებიც 100ბ-დან კონცესიონერს 98ბ-ს აძლევენ, თუ საბჭოთა ხელისუფლებისათვის?

პასუხის გაცემა ძნელი არ არის.

ძალიან გთხოვთ რაც შეიძლება მალე გადაათვალიეროთ თანდართული მასალები და ანგარიშები, რათა შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების რაც შეიძლება მალე გამოტანა. დაყოვნება მეტისმეტად სახიფათოა.

1921. 12. II

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1945 წელს
ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ

მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს სტატიები და ლაპარაკი ამ თემაზე. შეხედეთ ლ. კრიცმანის სტატიებს, რომლებიც მოთავსებულია «ეკონომიჩესკაია ჟიზნში» (I — 1920 წ. 14 დეკემბერს; II — 23 დეკემბერს; III — 9 თებერვალს; IV — 16 თებერვალს; V — 20 თებერვალს). ყოვლად ფუჭი ლაყბობაა. ლიტერატურობანაა. არ ჩანს სურვილი — ანგარიში გაუწიონ იმას, რაც კი საქმიანი რამ შექმნილა ამ დარგში, და შეისწავლონ ეს. მსჯელობა — გრძელ ხუთ სტატიაში! — იმაზე, როგორ უნდა მივუდგეთ შესწავლას, ნაცვლად მონაცემების და ფაქტების შესწავლისა.

აიღეთ თეზისები მილიუტინისა («ეკონომიჩესკაია ჟიზნ», 19 თებერვალი), ლარინისა («ეკონომიჩესკაია ჟიზნ», 20 თებერვალი), დააკვირდით «პასუხისმგებელი» ამხანაგების სიტყვებს. იგივე ძირითადი ნაკლოვანებანია, რაც კრიცმანს აქვს. ყოვლად მომაბეზრებელი სქოლასტიკაა, რომელიც იქამდე მიდის, რომ ლაყბობენ ჯაჭვური კავშირის კანონზე და სხვ., სქოლასტიკა ხან ლიტერატურული, ხან ბიუროკრატიული, ცოცხალი საქმე კი არ ჩანს.

ამაზე უარესიც. ჩვენ ვხედავთ ქედმაღლურ-ბიუროკრატიულ უყურადღებობას იმ ცოცხალი საქმისადმი, რომელიც უკვე გაკეთებულია და რომელიც უნდა განვაგრძოთ. ისევ და ისევ ყოვლად ფუჭი «წარმოება თეზისებისა» ან თითიდან გამოწოვა ლოზუნგებისა და პროექტებისა ნაცვლად იმისა, რომ ყურადღებით და გულდასმით გაეცნონ ჩვენს საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას.

ერთადერთი სერიოზული ნაშრომი ერთიანი სამეურნეო გეგმის საკითხზე არის «რსფსრ ელექტრიფიკაციის გეგმა», «გოელროს» (რუსეთის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისია) მოხსენება საბჭოების VIII ყრილობაზე, გამოცემული 1920 წ. დეკემბერში და დარიგებული VIII ყრილობაზე. ამ წიგნში გადმოცემულია ერთიანი სამეურნეო გეგმა, რომელიც დამუშავებულია — რა თქმა უნდა, მხოლოდ პირველი მიახლოების წესით — ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მეცნიერთა ძალების მიერ რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების დავალებით. და ბრძოლა მაღალი ხარისხის მოხელეთა უმეცრულ ამპარტავნობასთან, კომუნისტი ლიტერატორების ინტელიგენტურ ამპარტავნობასთან უნდა დავიწყოთ სულ პატარა საქმიდან, უბრალო მოთხრობიდან ამ წიგნის ისტორიის, მისი შინაარსის, მისი მნიშვნელობის შესახებ.

1920 წლის 2 — 7 თებერვალს, ე. ი. ერთ წელზე მეტი ხნის წინათ, შედგა სრულიად რუსეთის ცაკის სესია, რომელმაც მიიღო რეზოლუცია ელექტრიფიკაციის შესახებ. ამ რეზოლუციაში ვკითხულობთ:

...«ტრანსპორტის მოწყობის, სათბობის და სურსათის დარგში კრიზისების მოსპობის, ეპიდემიებთან ბრძოლის, შრომის სადისციპლინო არმიების შექმნის უახლოეს, ფრიად არსებით, გადაუდებელ და პირველი რიგის ამოცანებთან ერთად — საბჭოთა რუსეთისათვის პირველად იქმნება შესაძლებლობა შეუდგეს უფრო გეგმაშეწონილ სამეურნეო მშენებლობას, მთელი სახალხო მეურნეობის სახელმწიფო გეგმის მეცნიერულ დამუშავებასა და თანმიმდევრულად განხორციელებას. იღებს რა მხედველობაში ელექტრიფიკაციის უპირველეს მნიშვნელობას... აფასებს რა ელექტრიფიკაციის მნიშვნელობას მრეწველობისათვის, მიწათმოქმედებისათვის, ტრანსპორტისათვის... და ა. შ. და ა. შ..., სრულიად რუსეთის ცაკი ადგენს: დაეკისროს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, დაამუშაოს ელექტროსადგურთა ქსელის აგების პროექტი...».

მგონი, ნათელია? «მთელი სახალხო მეურნეობის სახელმწიფო გეგმის მეცნიერული დამუშავება», — განა შეიძლება ვერ გაიგო ეს სიტყვები, ჩვენი უმაღლესი ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება? თუ «სპეცების» წინაშე თავიანთი

კომუნიზმით მოტრაბახე ლიტერატორები და მაღალი ხარისხის მოხელენი ამ გადაწყვეტილებას არ იცნობენ, ის-ღა დაგვრჩენია, მოვაგონოთ მათ, რომ ჩვენივე კანონების არცოდნა არგუმენტი როდია.

სრ. რუსეთის ცაკის გადაწყვეტილების შესასრულებლად, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1920 წ. 21 თებერვალს დაამტკიცა ელექტროგანყოფილებასთან შექმნილი საელექტრიფიკაციო კომისია, ხოლო შემდეგ თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა დებულება «გოელროს» შესახებ, რომლის შემადგენლობის განსაზღვრა და დამტკიცება დაევალა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიწსახკომთან შეთანხმებით[32]. «გოელრომ» უკვე 1920 წ. 24 აპრილს გამოუშვა თავისი «ბიულეტენის» № 1, სადაც გადმოცემულია სამუშაოთა ფრიად დეტალური პროგრამა, ჩამოთვლილი არიან პასუხისმგებელი პირნი, მეცნიერნი, ინჟინრები, აგრონომები, სტატისტიკოსები, რომლებიც შედიან სხვადასხვა ქვეკომისიაში, ხელმძღვანელობენ მუშაობას ცალკეული რაიონების მიხედვით და რომლებმაც იკისრეს სხვადასხვა, ზუსტად განსაზღვრული დავალებანი. მარტოოდენ ამ სამუშაოთა ნუსხას და იმ პირთა სიას, რომლებმაც ეს სამუშაოები იკისრეს, № 1 «ბიულეტენში» ათი ნაბეჭდი გვერდი უკავია. მუშაობაში ჩაბმულ იქნენ მთელი საუკეთესო ძალები, რომლებსაც კი იცნობდნენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მიწსახკომი, აგრეთვე გზათა სახალხო კომისარიატი.

«გოელროს» მუშაობის შედეგად მივიღეთ ზემოდასახელებული ვრცელი — და საუცხოო — მეცნიერული ნაშრომი. მასში მონაწილეობდა 180-ზე მეტი თანამშრომელი-სპეციალისტი. «გოელროში» მათ მიერ მიტანილ ნაშრომთა ნუსხა 200-ზე მეტ ნომერს შეიცავს. ჩვენ გვაქვს, ჯერ ერთი, ამ ნაშრომთა შენაჯამი (ხსენებული ტომის პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს 200 გვერდზე მეტს): ა) ელექტრიფიკაცია და სახელმწიფო მეურნეობის გეგმა; შემდეგ ბ) სათბობით მომარაგება (დაწვრილებით დამუშავებულია რუსეთის სფს

რესპუბლიკის «სათბობის ბიუჯეტი» უახლოესი ათი წლის ფარგლებში, გამოანგარიშებულია მუშების საჭირო რაოდენობა); გ) წყლის ენერგია; დ) სოფლის მეურნეობა; ე) ტრანსპორტი და ვ) მრეწველობა.

გეგმა გაანგარიშებულია დაახლოებით ათი წლისათვის, ამასთან აღნიშნულია მუშების რიცხვი და სიმძლავრე (ათასობით ცხენძალით). რა თქმა უნდა, ეს არის მხოლოდ დაახლოებითი, თავდაპირველი, სახელდახელო, შეცდომების შემცველი გეგმა, გეგმა «პირველი მიახლოების წესით», მაგრამ ეს ნამდვილი მეცნიერული გეგმაა. ჩვენ გვაქვს სპეცების ზუსტი გაანგარიშებანი ყველა ძირითად საკითხზე. ჩვენ გვაქვს მათი გაანგარიშებანი მრეწველობის ყველა დარგისათვის. ჩვენ გვაქვს — ერთი პატარა მაგალითი — ტყავეულის წარმოების ოდენობის, სულზე ორი წყვილი ფეხსაცმლის (300 მილიონი წყვილი) დამზადების გაანგარშება და ა. შ.. შედეგად ჩვენ გვაქვს ელექტრიფიკაციის როგორც მატერიალური, ისე ფინანსური (ოქროს მანეთობით) ბალანსი (დაახლოებით 370 მილიონი სამუშაო დღე, ამდენი და ამდენი კასრი ცემენტი, ამდენი და ამდენი ცალი აგური, ამდენი და ამდენი ფუთი რკინა, სპილენძი და სხვ., ტურბოგენერატორების ამდენი და ამდენი სიმძლავრე და ა. შ.). ბალანსი ისეა გაანგარიშებული, რომ დამმუშავებელი მრეწველობა უნდა გადიდდეს («მეტად სახელდახელო ვარაუდით») 10 წლის განმავლობაში 80%-ით, ხოლო მომპოვებელი მრეწველობა— 80 — 100%-ით. ოქროს ბალანსის დეფიციტი (+ 11 მილიარდი — 17, დეფიციტი სულ 6 მილიარდამდე) «შეიძლება დაიფაროს კონცესიებისა და საკრედიტო ოპერაციების გზით».

ნაჩვენებია პირველი რიგის 20 ორთქლის და 10 ჰიდროელექტრონული რაიონული სადგურის ადგილმდებარეობა, ამასთან დაწვრილებით აწერილია თვითეული სადგურის სამეურნეო მნიშვნელობა.

საერთო შენაჯამის შემდეგ იმავე ტომში, გვერდების ცალკე ნუმერაციით, შედის ნაშრომები, თვითეული რაიონის

შესახებ: ჩრდილოეთის, ცენტრალურ-სამრეწველო რაიონის (ორივე ეს ნაშრომი განსაკუთრებით კარგი, ზუსტი და დეტალურია, ემყარება უმდიდრეს მეცნიერულ მასალას), სამხრეთის, ვოლგისპირეთის, ურალის, კავკასიის (კავკასია აღებულია მთლიანად, სხვადასხვა რესპუბლიკის ეკონომიური შეთანხმების ვარაუდით), დასავლეთ ციმბირის და თურქესტანის შესახებ. თვითეული რაიონისათვის გვაქვს არა მარტო პირველი რიგის ელექტროსადგურების გაანგარიშება; შემდეგ გვაქვს ეგრეთწოდებული «გოელროს ა პროგრამა», ე. ი. ა რ ს ე ბ უ ლ ი ელექტროსადგურების რაც შეიძლება უფრო რაციონალურად და ეკონომიურად გამოყენების გეგმა. კიდევ ერთი პატარა მაგალითი: ჩრდილოეთის (პეტროგრადის) რაიონისათვის გაანგარიშებულია, რომ პეტროგრადის სადგურების შეერთების შედეგად შესაძლებელი იქნება მივიღოთ ეკონომია, რომელიც შემდეგნაირად ისაზღვრება. შეიძლება ნახევრამდე სიმძლავრე (ანგარიში ჩრდილოეთის რაიონის შესახებ, გვ. 69) მივმართოთ ხე-ტყის დაცურების ადგილებისაკენ — ჩრდილოეთი, მურმანსკი, არხანგელსკი და ა. შ.. ხე-ტყის დამზადებისა და მისი საზღვარგარეთ გაზიდვის გადიდებას შეეძლება მოგვცეს ასეთ პირობებში «ნ ა ხ ე ვ ა რ მ ი ლ ი ა რ დ ა მ დ ე ს ა ვ ა ლ უ ტ ო მ ა ნ ე თ ი წ ლ ი უ რ ა დ უ ა ხ ლ ო ე ს ვ ე დ რ ო ს».

«ჩრდილოეთის ხე-ტყის გაყიდვის ყოველწლიურმა ამონაგებმა უახლოესვე წლებში შეიძლება მიაღწიოს ჩვენი ოქროს მარაგის სიდიდეს» (გვ. 70, იქვე), თუ ჩვენ, რა თქმა უნდა, შევძლებთ გეგმის შესახებ ბაასიდან გადავიდეთ მეცნიერთა მიერ ნამდვილად დამუშავებული გეგმის შესწავლასა და გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ზ ე!

კიდევ უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ საკითხებზე (რასაკვირველია, სრულიადაც არა ყველა საკითხზე) ჩვენ გვაქვს დასაწყისი კალენდარული პროგრამისა, ე. ი. არა მარტო გეგმისა საერთოდ, არამედ გაანგარიშებისა თვითეული წლისათვის, 1921-დან 1930 წლამდე, თუ რამდენი სადგური შე-

გვიძლია ავამუშაოთ და რამდენად შეგვიძლია გავაფართოოთ არსებული სადგურები (ისევ და ისევ აღნიშნული პირობით, რომლის განხორციელება არც ისე ადვილია ჩვენი ინტელიგენტურ-ლიტერატურული და დიდკაცურ-ბიუროკრატიული ზნე-ჩვეულებების დროს).

რათა შეაფასოთ «გოელროს» მიერ შესრულებული შრომის მთელი სიდიდე და მთელი ღირებულება, თვალი გადავავლოთ გერმანიას. იქ ანალოგიური სამუშაო შეასრულა ერთმა მეცნიერმა — ბალოდმა. მან შეადგინა გერმანიის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მეცნიერული გეგმა. კაპიტალისტურ გერმანიაში გეგმა ჰაერში ჩამოკიდებული დარჩა, ლიტერატურულობანად, ერთეულის ნაშრომად დარჩა. ჩვენ კი მივეცით სახელმწიფო დავალება, მოვახდინეთ ასობით სპეციალისტის მობილიზაცია, ათ თვეში მივიღეთ (რასაკვირველია, არა ორ თვეში, როგორც თავდაპირველად დავსახეთ) მეცნიერულად აგებული ერთიანი სამეურნეო გეგმა. ჩვენ კანონიერი უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამ ნაშრომით; ოღონდ უნდა გავიგოთ, თუ როგორ ვისარგებლოთ მით, და სწორედ ამის გაუგებლობასთან გვიხდება ახლა ბრძოლა.

საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუცია ამბობს: ...«ყრილობა... იწონებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მუშაობას და ა. შ. და განსაკუთრებით «გოელროს» მუშაობას რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმის დამუშავების დარგში... აფასებს ამ გეგმას როგორც დიადი სამეურნეო წამოწყების პირველ ნაბიჯს, ავალებს სრ. რუსეთის ცაკს და ა. შ. დაამთავროს ამ გეგმის დამუშავება და დაამტკიცოს იგი, ამასთან აუცილებლად უმოკლეს ხანში... ავალებს მიიღოს ყოველი ღონისძიება ამ გეგმის უაღრესად ფართო პროპაგანდისათვის... ამ გეგმის შესწავლა შემოღებულ უნდა იქნეს რესპუბლიკის ყველა სასწავლებელში უკლებლივ[33] და ა. შ.

ჩვენს აპარატს, განსაკუთრებით ზედაფენურ აპარატს რომ მოდებული აქვს სენი, ბიუროკრატიულიცა და ინტელიგენტურიც, ამას ისე ნათლად არაფერი ახასიათებს, როგორც მოსკოვში არსებული დამოკიდებულება ამ რეზოლუციისადმი, ცდები — უკუღმართად «განმარტონ» იგი და იქამდეც კი მიდიან, რომ თავიდან მოიშორონ. ლიტერატორები შემუშავებული გეგმის პროპაგანდას კი არ ეწევიან, არამედ წერენ თეზისებს და გართული არიან ფუჭი მსჯელობით იმის შესახებ, თუ როგორ მივუდგეთ გეგმის შემუშავებას! წარჩინებული მოხელენი წმინდა ბიუროკრატიულად ხაზს უსვამენ გეგმის «დამტკიცების» აუცილებლობას და ამაში გულისხმობენ არა კონკრეტულ დავალებათა მიღებას (აიგოს ესა და ეს და მაშინ და მაშინ, შეძენილ იქნეს საზღვარგარეთ ესა და ეს და სხვ.), არამედ სრულიად დაბნეულ რამეს, როგორიცაა ა ხ ა ლ ი გეგმის შემუშავება! გამოდის საქმის გასაოცარი გაუგებლობა, გაისმის სიტყვები: ჯერ თუნდაც ნაწილობრივ აღვადგინოთ ძველი, ვიდრე ახლის შენებას შევუდგებოდეთ; ელექტრიფიკაცია ჰგავს ელექტრიფიქციას; რატომ გაზიფიკაცია არა; «გოელროში» ბურჟუაზიული სპეცები სხედან, ცოტანი არიან კომუნისტები; «გოელრომ» უნდა მოგვცეს ექსპერტების კადრები და არა საერთო-საგეგმო კომისიაო და სხვ.

აი სწორედ აზრების ეს დაბნეულობაა საშიში, ვინაიდან გვიჩვენებს მუშაობის უუნარობას, ინტელიგენტური და ბიუროკრატიული ამპარტავნობის ბატონობას ნამდვილ საქმეზე. გეგმის ფანტასტიკურობაზე დაცინვა, საკითხები გაზიფიკაციის შესახებ და სხვ. უმეცრების ამპარტავნობას ააშკარავებენ. ასობით საუკეთესო სპეციალისტის მუშაობის განუსჯელად გასწორება, უხამსი ოხუნჯობით თავის დაძვრენა, იმით ყოყოჩობა, რომ უფლება მაქვს «არ დავამტკიცოო», — განა ეს სამარცხვინო არ არის?

ხომ უნდა ვისწავლოთ მეცნიერების დაფასება, დილეტანტებისა და ბიუროკრატების «კომუნისტური» ყოყოჩობის

უკუგდება, ხომ უნდა ვისწავლოთ სისტემატურად მუშაობა, ამასთან საკუთარივე გამოცდილების, საკუთარივე პრაქტიკის გამოყენება!

რა თქმა უნდა, «გეგმები» თავისი არსებით ისეთი რამეა, რომ დაუსრულებლივ შეიძლება ლაპარაკი და დავა. მაგრამ არ უნდა იქნეს დაშვებული ზოგადი ლაყბობა და დავა «პრინციპებზე» (გეგმის შედგენისა), როდესაც ხელი უნდა მოვკიდოთ არსებული, ერთადერთი მეცნიერული, გეგმის შესწავლას და პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გამოცდილების მითითებათა საფუძველზე და უფრო დეტალური შესწავლის საფუძველზე მის გასწორებას. რა თქმა უნდა, უფლება «დაამტკიცოს» და «არ დაამტკიცოს» ყოველთვის რჩება წარჩინებულ მოხელეს თუ მოხელეებს. თუ გონივრულად გავიგეთ ეს უფლება და გონივრულად განვმარტეთ VIII ყრილობის გადაწყვეტილებანი მის მიერ მოწონებული და უაღრესად ფართო პროპაგანდისათვის გამოტანილი გეგმის დამტკიცების შესახებ, დამტკიცებად უნდა გვესმოდეს მთელი რიგი დაკვეთები და ბრძანებები: ესა და ეს, მაშინ და მაშინ და იქა და იქ იყიდეთ, დაიწყეთ ამის და ამის შენება, შეაგროვეთ ესა და ეს მასალა და მოიტანეთ და სხვ.. ხოლო თუ ბიუროკრატიულად განმარტე, მაშინ «დამტკიცება» ნიშნავს წარჩინებულ მოხელეთა თვითნებობას, საქმის კანცელარულ გაჯანჯლებას, შემმოწმებელი კომისიების თამაშს, ერთი სიტყვით, ცოცხალი საქმის წმინდა მოხელურ ჩაკვლას.

კიდევ ერთი მხრით შევხედოთ საქმეს. აუცილებელია დავუკავშიროთ ელექტრიფიკაციის მეცნიერული გეგმა მიმდინარე პრაქტიკულ გეგმებს და მათ ნამდვილ განხორციელებას. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად უდავოა. სახელდობრ როგორ დავუკავშიროთ? ეს რომ ვიცოდეთ, საჭიროა, რათა ეკონომისტებმა, ლიტერატორებმა, სტატისტიკოსებმა კი არ ილაყბონ გეგმაზე საერთოდ, არამედ დეტალურად შეისწავლონ ჩვენი გეგმების შესრულება, ჩვენი შეცდომები ამ პრაქტიკულ საქმეში, ამ შეცდომათა გამოსწორების საშუალებანი. ამის შეუსწავლელად ჩვენ ბრმები ვიქნებით. ასეთი

შესწავლისას, მასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილების შესწავლის პირობით, — რჩება სულ პატარა საკითხი — ადმინისტრაციული ტექნიკის საკითხი. საგეგმო კომისიები ჩვენში უამრავზე უამრავია. ავიღოთ გასაერთიანებლად: ორი — ივან ივანიჩისათვის ჩაბარებული უწყებიდან, ერთი — პალ პალიჩისათვის ჩაბარებული უწყებიდან, ან პირიქით. შევაერთოთ ისინი საერთო-საგეგმო კომისიის ქვეკომისიასთან. ცხადია, რომ ეს სწორედ ადმინისტრაციული ტექნიკაა და მეტი არაფერი. გამოვცადოთ ასეც და ისეც, ავირჩიოთ უკეთესი — ამაზე სასაცილოც კია ლაპარაკი.

თავიდათავი ის არის, რომ ჩვენში არ იციან საკითხის დაყენება და ცოცხალ მუშაობას ცვლიან ინტელიგენტური და ბიუროკრატიული პროექტორობით. ჩვენ გვქონდა და გვაქვს სურსათისა და სათბობის მიმდინარე გეგმები. ჩვენ აშკარა შეცდომა ჩავიდინეთ ერთშიც და მეორეშიც. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. საქმიანი ეკონომისტი, ფუჭი თეზისების ნაცვლად, ხელს მოჰკიდებდა ფაქტების, ციფრების, მონაცემების გულმოდგინედ შესწავლას, ანალიზს გაუკეთებდა ჩვენს საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას და იტყოდა: აქა და იქ შეცდომაა, ეს შეცდომა ასე და ასე უნდა გამოსწორდესო. საქმიანი ადმინისტრატორი, ამგვარი შესწავლის საფუძველზე, მოითხოვს ან თვითონ განახორციელებს პირთა გადაყვან-გადმოყვანას, ანგარიშების შეცვლას, აპარატის გარდაქმნას და სხვ.. არც ერთ ასეთ საქმიან და პრაქტიკულ მიდგომას ერთიანი სამეურნეო გეგმისადმი ჩვენში ვერ ხედავ.

სენი სწორედ ის არის, რომ არასწორად აყენებენ ამ საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს კომუნისტის დამოკიდებულება სპეცებთან, ადმინისტრატორისა — სწავლულებთან და ლიტერატორებთან. ერთიანი სამეურნეო გეგმის საკითხში, ისევე როგორც ყოველ სხვა საკითხში, არის ისეთი მხარეები, — და ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს ისეთი ახალი მხარეები, — რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას მხოლოდ კომუნისტების მიერ ან მოითხოვენ მხოლოდ ადმინისტრა-

ტორულ მიდგომას. ეს უდავოა. მაგრამ ეს ცარიელი აბსტრაქციაა. ახლა კი ჩვენში ხსენებულ საკითხს მცდარად უდგებიან სწორედ კომუნისტი ლიტერატორები და კომუნისტი ადმინისტრატორები, რომლებსაც ვერ გაუგიათ, რომ აქ საჭიროა რაც შეიძლება მეტი ვისწავლოთ ბურჟუაზიული სპეციებისა და სწავლულებისაგან, რაც შეიძლება ნაკლებად ვითამაშოთ ადმინისტრირება. არავითარი სხვა ერთიანი საშეურნეო გეგმა, გარდა იმისა, რომელიც უკვე შემუშავებულია «გოელროს» მიერ, არ არის და არც შეიძლება იყოს. იგი უნდა შევავსოთ, შემდგომ გავავითაროთ, შევასწოროთ და შევუფარდოთ ცხოვრებას გულდასმით შესწავლილი პრაქტიკული გამოცდილების მითითებათა საფუძველზე. ამის საწინააღმდეგო აზრი არის მხოლოდ «ვითომდა-რადიკალური, ნამდვილად კი უმეცრული ამპარტავნობა», პარტიული პროგრამის სიტყვებით რომ ვთქვათ [34]. არანაკლებ უმეცრული ამპარტავნობაა ის აზრი, თითქოს რუსეთის სფს რესპუბლიკაში შესაძლებელი იყოს სხვა საერთო-საგეგმო კომისია, გარდა «გოელროსი», რითაც, რასაკვირველია, არ არის უარყოფილი მისი შემადგენლობის ნაწილობრივ, საქმიან შესწორებათა შესაძლებელი სარგებლობა. რაიმე სერიოზულის შენება, ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო გეგმის გაუმჯობესების აზრით, მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება, მხოლოდ იმ გზით შეიძლება, რომ განვაგრძოთ დაწყებული საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება ადმინისტრირების თამაში, ანუ, უფრო მარტივად, თვითნებობა. «გოელროს» შიგნით მომუშავე კომუნისტების ამოცანაა ნაკლებად იმბრძანებლონ, უფრო სწორად — სულაც არ იმბრძანებლონ, არამედ უაღრესად ფრთხილად და უნარიანად მიუდგნენ მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტებს («ისინი უმეტეს შემთხვევაში აუცილებლად გამსჭვალული არიან ბურჟუაზიული მსოფლმხედველობით და ჩვევებით», როგორც რკპ პროგრამა ამბობს), არამედ ვისწავლოთ მათგან და დავეხმაროთ მათ გაიფართოვონ თავიანთი თვალთახედვა, უნდა დავემყაროთ სათანადო მეცნიერების მონაპოვრებსა და მონაცემებს და

გვახსოვდეს, რომ ინჟინერი კომუნიზმის აღიარებამდე მივა არა ისე, როგორც მივიდა იატაკქვეშელი-პროპაგანდისტი, ლიტერატორი, არამედ თავისი მეცნიერების მონაცემთა საშუალებით, რომ თავისებურად მივა კომუნიზმის აღიარებამდე აგრონომი, თავისებურად — მეტყველი და ა. შ.. კომუნისტს, რომელმაც ვერ დაამტკიცა თავისი უნარი — გააერთიანოს და თავმდაბლად წარმართოს სპეციალისტების მუშაობა იმ გზით, რომ ჩაწვდეს საქმეს, შეისწავლოს იგი დეტალურად, — ასეთ კომუნისტს ხშირად ვნება მოაქვს. ასეთი კომუნისტი ჩვენში ბევრია, და მე მათ დუქინობით გადავცვლიდი ერთ, თავისი საქმის კეთილსინდისიერად შემსწავლელ და მცოდნე ბურჟუაზიულ სპეცზე.

«გოელროს» გარეთ მყოფ კომუნისტებს ორნაირად შეუძლიათ დაგვეხმარონ ერთიანი სახელმწიფო გეგმის შექმნისა და განხორციელების საქმეში. თუ ისინი ეკონომისტები, სტატისტიკოსები, ლიტერატორები არიან, მათ ჯერ უნდა შეისწავლონ ჩვენი საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება და მხოლოდ სათანადო ფაქტების დეტალური შესწავლის საფუძველზე გვირჩიონ შეცდომების გამოსწორება, მუშაობის გაუმჯობესება. შესწავლა მეცნიერის საქმეა, და აქ, რამდენადაც ჩვენში საქმე უკვე დიდი ხანია ეხება არა ზოგად პრინციპებს, არამედ სწორედ პრაქტიკულ გამოცდილებას, ჩვენთვის ისევე ათკეცად უფრო ძვირფასია თუნდაც ბურჟუაზიული, მაგრამ საქმის მცოდნე «მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტი», ვიდრე ყოყოჩა კომუნისტი, რომელიც მზად არის დღისით თუ ღამით ყოველ წუთს დაწეროს «თეზისები», წამოაყენოს «ლოზუნგები», შემოგვთავაზოს ცარიელი აბსტრაქციები. მეტი ცოდნა ფაქტებისა, ნაკლები ყბედობა, რომელიც კომუნისტურ პრინციპულობას ჩემულობს.

მეორე მხრივ, თუ კომუნისტი ადმინისტრატორია, მისი პირველი მოვალეობაა მოერიდოს ბრძანებლობით გატაცებას, შეეძლოს ჯერ ანგარიში გაუწიოს იმას, რაც მეცნიერებამ უკვე გამოიმუშავა, ჯერ იკითხოს, შემოწმებულია თუ არა

ფაქტები, ჯერ მიაღწიოს შესწავლას (მოხსენებებში, პრესაში, კრებებზე და სხვ.) — იმის შესწავლას, თუ სახელდობრ სად ჩავიდინეთ ჩვენ შეცდომა, და მხოლოდ ამ საფუძველზე გაასწოროს ის, რაც კეთდება. ნაკლები ხერხები ტიტ ტიტიჩისა («მე შემიძლია დავამტკიცო, შემიძლია არ დავამტკიცო»), მეტი შესწავლა ჩვენი პრაქტიკული შეცდომებისა.

უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ადამიანთა ნაკლოვანებანი მეტწილად დაკავშირებულია მათ ღირსებებთან. ასეთია ბევრი ხელმძღვანელი კომუნისტის ნაკლოვანებანი. ათეული წლობით ვაკეთებდით ჩვენ დიად საქმეს, ვქადაგებდით ბურჟუაზიის დამხობას, ვნერგავდით ბურჟუაზიული სპეციებისადმი უნდობლობას, ვამხილებდით მათ, ვართმევდით მათ ძალაუფლებას, ვთრგუნავდით მათ წინააღმდეგობას. დიადი, მსოფლიო-ისტორიული საქმეა. მაგრამ საკმარისია ცოტათი გადაამლაშო, და მივიღებთ იმ ჭეშმარიტების დადასტურებას, რომ დიადიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ჩვენ რუსეთი დავარწმუნეთ, ჩვენ რუსეთი ხელიდან გამოვგლიჯეთ ექსპლოატატორებს მშრომელებისათვის, ჩვენ ექსპლოატატორები დავთრგუნეთ — ჩვენ უნდა ვისწავლოთ რუსეთის მართვა. ამისათვის უნდა ვისწავლოთ თავმდაბლობა და «მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტების» საქმიანი მუშაობის პატივისცემა, ამისათვის უნდა ვისწავლოთ ჩვენი მრავალრიცხოვანი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი შეცდომების საქმიანი და დაკვირვებული ანალიზი და მათი თანდათან, მაგრამ განუხრელად გამოსწორება. ნაკლები ინტელიგენტური და ბიუროკრატიული ამპარტავნობა, მეტი შესწავლა იმისა, რასაც ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, ცენტრისა და ადგილების გამოცდილება, იძლევა, და იმისა, რაც მეცნიერებას ჩვენთვის უკვე მოუცია.

1921 წ. 21 თებერვალი

«პრავდა» № 39, 1921 წ.
22 თებერვალი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებულ სვეტებთან

მისალმება საბჭოეების სრულიად უკრაინის V ყრილობას[35]

ამხანაგებო! მთელი სულითა და გულით მივესალმები საბჭოების სრულიად უკრაინის V ყრილობას. გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ უკრაინელ ღარიბ გლეხთა და მუშათა კავშირი, ყოველგვარი დაბრკოლებისა და მტრების ოინების მიუხედავად, განამტკიცებს საბჭოთა უკრაინას და გააძლიერებს უკრაინის რესპუბლიკას.

ვთხოვ ამხ. პეტროვსკის მოახსენოს ყრილობას ჩემი სინანული, რომ არასგზით არ შემიძლია მივიღო ყრილობის წინადადება და პირადად ჩამოვიდე. მაინც იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში შევძლებ ვეწვიო საბჭოთა უკრაინას. ვუსურვებ ყრილობას წარმატებას მუშათა და გლეხთა ძალაუფლების განმტკიცებაში და მეურნეობის აღდგენაში.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

«კომმუნისტი» (ხარკოვი) № 45,
1921 წ. 27 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «კომმუნისტის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს კლენუმის სხდომაზე 1921 წ. 28 თებერვალი[36]

(ხანგრძლივი ტაში). ვიდრე გადავიდოდე საშინაო მდგომარეობის საკითხზე, რომელიც, ბუნებრივია, დიდ ინტერესსაც იწვევს და დიდ შეშფოთებასაც, — ნება მომეცით მოკლედ შევეხო მხოლოდ მთავარ ახალ მოვლენებს საერთაშორისო სფეროდან. ასეთ ახალ მოვლენას, მოკლედ რომ ვილაპარაკო, მხოლოდ სამს აღვნიშნავ: პირველი ის არის, რომ დაიწყო კონფერენცია თურქეთის დელეგატებთან აქ, მოსკოვში. ამ ფაქტს განსაკუთრებით უნდა მივესალმოთ, იმიტომ რომ ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა ჩვენსა და თურქეთის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკების უშუალოდ წარმოებას, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლა, როდესაც აქ შეთანხმების შესაძლებლობა იქმნება, დაახლოებასა და მეგობრობას უაღრესად მკვიდრად ჩაეყრება საფუძველი, და ეს მიღწეული იქნება, რა თქმა უნდა, არა დიპლომატიური ხრიკებით (ამ მხრივ ჩვენი მოწინააღმდეგენი ჩვენზე გაცილებით უფრო ძლიერნი არიან, და ჩვენ არ გვეშინია ამაში გამოვტყდეთ), არამედ იმით, რომ ორივე ხალხმა იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან ამ უკანასკნელ წლებში წარმოუდგენლად და უმაგალითოდ ბევრი რამ განიცადა. ერთ-ერთმა წინა ორატორმა აქ ილაპარაკა იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან იზოლირების (განცალკევების) მავნებლობაზე. მაგრამ როდესაც მგელი ცხვარს თავს ეცემა, ცხვარს ვერ ეტყვი, მგლისაგან ნუ განცალკევდებიო (სიცილი და ტაში). და თუ აღმოსავლეთის ხალხები

დღემდე მხოლოდ ცხვრები იყვნენ იმპერიალისტური მგლის წინაშე, საბჭოთა რუსეთმა პირველმა ცხადყო, რომ, მთელი მისი უმაგალითო სამხედრო სისუსტის მიუხედავად, მისთვის კლანჭებისა და კბილების წატანება არც ისე ადვილია. საბჭოთა რუსეთის ეს მაგალითი გადაედო ძალიან ბევრ ხალხს, იმის დამოუკიდებლადაც კი, თანაუგრძნობენ ისინი თუ არ თანაუგრძნობენ «ბოლშევიკურ მოჩურჩულეებს». ამ «მოჩურჩულეთა» შესახებ მთელ ქვეყნიერებაზე ბევრს ლაპარაკობენ, და ჩვენ თურქეთის მიმართ მავნე მოჩურჩულეებსაც კი გვიწოდებენ. რაღა თქმა უნდა, ჩვენ ამ მხრივ დღემდე ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელით, და მაინც თურქმა მუშებმა და გლეხებმა მოახერხეს ცხადეყოთ, რომ თანამედროვე ხალხთა მიერ მტაცებლობისადმი წინააღმდეგობის გაწევა ისეთი რამ არის, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს, და იმ ძარცვა-გლეჯამ, რასაც იმპერიალისტური მთავრობები თურქეთის მიმართ ეწეოდნენ, ისეთი წინაალმდეგობა გამოიწვია, რომელმაც აიძულა ყველაზე ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფოები ხელები შორს დაეჭირათ. აი ის გარემოება, რომელიც გვაიძულებს მეტად დიდ მიღწევად მივიჩნიოთ ეს მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასთან. არავითარ ხრიკებს ჩვენ არ მივმართავთ. ჩვენ ვიცით, რომ ეს მოლაპარაკება ძალიან მცირე ფარგლებში ჩაივლის, მაგრამ იგი დიდმნიშვნელოვანია იმით, რომ ყველა ხალხის მუშათა და გლეხთა მშრომელი მასების დაახლოება, საშინელ დაბრკოლებათა მიუხედავად, წინ და წინ მიდის, და ეს არ უნდა დავივიწყოთ იმ სიძნელეთა შეფასებისას, რომლებსაც ახლა განვიცდით.

მეორე მოვლენა, რომელიც უნდა მოვიხსენიოთ, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, არის რიგაში წარმოებული საზავო მოლაპარაკების ვითარება. თქვენ მოგეხსენებათ, რომ რამდენადმე მაინც მტკიცე ზავის დასადებად ჩვენ რაც შეიძლება მეტ დათმობას ვთანხმდებოდით ყველა იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელნიც წინათ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. ეს გასაგებია, რადგან ერთ-ერთ მთავარ ძალას, რომელიც იმპერია-

ლისტებისადმი სიძულვილს იწვევს და რაზმავს ხალხებს მათ წინააღმდეგ, წარმოადგენს ეროვნების ჩაგვრა, და ცოტანი აღმოჩნდებიან ქვეყნად ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც იმდენი ცოდვა მიუძღოდეთ ამ მხრივ, რამდენიც მიუძღვით ძველ რუსეთის იმპერიას და ბურჟუაზიასთან შეკავშირებული კერენსკის, მენშევიკების და ესერების ბურჟუაზიულ რესპუბლიკას. აი რატომ არის, რომ სწორედ ამ სახელმწიფოთა მიმართ ვიჩენთ ჩვენ ყველაზე მეტ დამთმობლობას, როცა ვთანხმდებით ისეთ საზავო პირობებს, რომლებისათვის ჩვენ ზოგიერთი ესერი გვლანძღავდა და თითქმის ტოლსტოველებს გვიწოდებდა. ჩვენ ამ საყვედურებს ძალიან გულგრილად ვეკიდებით, რადგან ამ სახელმწიფოთა მიმართ ჩვენ ყველაზე მეტი დამთმობლობა უნდა გამოვიჩინოთ, რათა იქ გავფანტოთ წინანდელი ჩაგვრით წარმოშობილი საუკუნეობრივი უნდობლობა და დასაბამი მივცეთ ხხვადასხვა ერის მუშათა და გლეხთა კავშირს, რომელნიც ოდესღაც ერთად იტანჯებოდნენ ცარიზმისა და რუსი მემამულეებისაგან და ახლა იტანჯებიან იმპერიალიზმისაგან. პოლონეთის მიმართ ამ პოლიტიკას ყველაზე მეტად ფუშავდნენ რუსი თეთრგვარდიელები, ესერები და მენშევიკები, რომლებსაც აქვთ «პრესის თავისუფლება», «სიტყვის თავისუფლება» და სხვა საუცხოო «თავისუფლებანი», ფრანგი და სხვა კაპიტალისტების უაღრესი თავისუფლების გვერდით, რომლებმაც თავისუფლად შეისყიდეს პოლონეთის მეტი ნაწილი და რომლებიც მეტისმეტად თავისუფლად ავითარებდნენ იქ თავიანთ აგიტაციას, რათა პოლონეთი ჩვენს წინააღმდეგ ომში ჩაებათ. ახლა კაპიტალისტების მთელი ღონისძიებანი იქითკენაა მიმართული, რომ ჩაშალონ დადებული ზავი. ერთ-ერთი პირობა, რომელიც ხსნის, თუ რატომ არ შეგვიძლია ჩვენ მოვახდინოთ ჩვენი არმიის დემობილიზაცია ისე, როგორც ეს ჩვენ გვინდა, არის ის, რომ ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ გაცილებით უფრო მეტი მასშტაბის ომს, ვიდრე ამას ზოგიერთი ფიქრობს. ცდებიან ისინი, ვინც ამბობს, რომ შეგვეძლო არც ისე დიდი ძალ-

ლონე მოგვენდომებინა სამხედრო საქმისათვისო. ცდებიან იმიტომ, რომ ჩვენი მტრები ახლა ყოველგვარ ხრიკსა და ინტრიგას მიმართავენ, რათა ჩაშალონ საბოლოო ზავი პოლონეთთან, რომელთანაც წინასწარი ზავი უკვე ხელმოწერილია. ამ ბოლო დროს ეს მოლაპარაკება გაჭიანურდა, და თუმცა რამდენიმე კვირის წინათ საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ მოლაპარაკებაში სერიოზული კრიზისი იყო მოსალოდნელი, ამ ბოლო დროს ჩვენ გადავწყვიტეთ კიდევ ზოგი რამ დაგვეთმო, არა იმიტომ, რომ ეს სამართლიანად მიგვაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ დიდმნიშვნელოვან საქმედ ვთვლიდით ჩაგვეშალა ინტრიგები ვარშავაში მოკალათებული რუსი თეთრგვარდიელებისა, ესერებისა და მენშევიკებისა, ანტანტის იმპერიალისტებისა, რომლებიც ყველაზე მეტად ცდილობენ არ დაუშვან ზავი. ზავი ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ძალიან ოპტიმისტურად ვიყოთ განწყობილნი იმ მხრივ, რომ უახლოეს დროში ზავი ხელმოწერილი იქნება, და ჩვენ მოვახერხებთ მისი დადების წინააღმდეგ მიმართული ინტრიგების ჩაშლას. ვფიქრობ, რომ ყველას გაგვახარებს ეს გარემოება, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. მაგრამ არ უნდა შეაქო დილა, ვიდრე საღამო არ დამდგარა. და ამიტომ ჩვენ ერთი წუთითაც და იოტისოდენადაც არ შევამცირებთ და არ შევასუსტებთ ჩვენს სამხედრო ძალებს და ამავე დროს არ გვეშინია იმისა, რომ რამდენადმე მეტი დავუთმოთ ბურჟუაზიულ პოლონეთს, ოღონდ ჩამოვაცილოთ პოლონეთის მუშები და გლეხები ანტანტას და დავუმტკიცოთ მათ, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება ეროვნულ კინკლაობას არ ეწევა. ამ ზავს ჩვენ დავიცავთ არა ყოველთვის იოლი მსხვერპლის გაღების გზითაც კი.

მესამე საერთაშორისო საკითხია კავკასიის ამბები. იქ ამ ბოლო დროს დიდი მასშტაბის ამბები მოხდა, რომლებიც დაწვრილებით ჯერ არ ვიცით, მაგრამ რომელთა აზრი ის არის, რომ ჩვენ დიდი ომის მიჯნაზე ვიმყოფებით. სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ აფეღელვებინეთ,

და ამ ამბებმა გამოიწვიეს ის, რომ სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა, რომელშიც რუსეთის ჯარების გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა. და ეს იმით გათავდა, რომ სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა ჩვენს წინააღმდეგ, დღემდე მაინც, მის წინააღმდეგვე შებრუნდა და შებრუნდა ისე, რომ თბილისში, უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა. (ტ ა შ ი). ჩვენ ვიცით, რომ აჯანყება დაიწყო სომხეთში, სწორედ იმ ნეიტრალურ ზონაში, რომელიც საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარეობს და რომელიც საქართველომ ანტანტის იმპერიალისტების ნებართვით დაიკავა. მენშევიკები შეეჩვივნენ, კერძოდ კი ქართველი მენშევიკები, როდესაც ისინი მსჯელობენ დასავლეთის ქვეყნებისაგან განცალკევებულობის მავნებლობაზე, ესმოდეთ ეს ანტანტის იმპერიალისტებისადმი ნდობის აზრით, ვინაიდან ისინი ყველაზე ძლიერნი არიანო. იმას კი, რომ მოწინავე კაპიტალისტები ყველაზე მეტად ატყუებენ ყველას, ამას ზოგიერთი თეთრგვარდიელი ივიწყებს, ვინაიდან ისინი ფიქრობენ: რა არის სომხეთი, სომეხი გლეხები და სხვ., რა არის გაჩანაგებული საბჭოთა რესპუბლიკა მსოფლიოს ყველა შეერთებული იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგო. მოწინავე კაპიტალისტები — ეს მთელი მსოფლიოს კულტურული ძალები არიან: პირი ვიბრუნოთ მათკენო. ასე ამართლებენ კაპიტალისტების დაცვის ბინძურ საქმეს ქართველი მენშევიკები. ქართველი მენშევიკების ხელში იყო სომეხი გლეხობის სურსათის გასაღები — საერთო რკინიგზა.

არავის არ ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები, განცხადებანი და პროტესტები, რომლებითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო. ჩვენ რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონოდა, ჩვენ რაც შეიძლება უფრო მეტ ხანს უნდა გაგვეჭიანურებინა საქმე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სომეხი გლეხობა ასე როდი უყურებდა ხელშეკრულებას, და საქმე იმით გათავდა, რომ თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც საოცარი

სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც. ცნობები იქიდან ძლივსღა მოდიოდა, და უკანასკნელმა ცნობამ, რომელიც ჩვენ გვქონდა, გაამართლა ის, რასაც მოველოდით. ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართველი მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს, ეს კაპიტალისტები კი შარს ეძებენ, რათა საომარი მოქმედება დაიწყონ, მაგრამ ჩვენ სამი წელია ერთი ვარაუდით ვცხოვრობთ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვექნება ეს ვარაუდი, — ესაა ვარაუდი მშრომელი მასებისა, თუნდაც ჩამორჩენილი და ჩაგრული ქვეყნის მშრომელი მასებისა. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა ფრთხილნი ვიყოთ, რაც უნდა დავძაბოთ ჩვენი ძალები წითელი არმიის განსამტკიცებლად, ჩვენ მთელ ღონეს ვიხმართ, რათა ჩავაქროთ ხანძარი, რომელმაც კავკასიაში იფეთქა. და იმას, რაც ჩვენ შევძელით დასავლეთისათვის გვეჩვენებინა — სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა, იქ ეროვნულ ჩაგვრას ადგილი არა აქვს, — ამას ჩვენ ვუჩვენებთ აღმოსავლეთსაც. უკანასკნელი ანგარიშით ამაზეა დამოკიდებული მთელი ბრძოლა და, ბოლოს და ბოლოს, მუშათა და გლეხთა ძალა კაპიტალისტურზე უფრო მაღალი და მეტი აღმოჩნდება, რადგან მუშები და გლეხები კაპიტალისტებზე გაცილებით მეტნი არიან.

ამ შენიშვნების შემდეგ, რომლებიც საგარეო პოლიტიკას ეხება, გადავალ საშინაო პოლიტიკაზე. სამწუხაროდ, მე ვერ შევძელი მთლიანად მომესმინა მოხსენება, რომელიც აქ ამხ. ბრიუხანოვმა გააკეთა. თქვენ მისგან დაწვრილებით მოისმინეთ ყოველივე და მიიღეთ ზუსტი ცნობები, და, ახლა, ცხადია, ჩემთვის საჭირო არ არის მათი განმეორება. მე მინდა შევჩერდე უმთავრესზე, იმაზე, რაც, იქნებ, გვიჩვენებს ჩვენი საშინელი კრიზისის მიზეზებს. ჩვენ უნდა დავისახოთ ამოცანა, რომლის გადასაწყვეტადაც ჩვენ ავირჩევთ გზას. ეს გზა არის, ჩვენ იგი მოვნახეთ, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ღონე ვიაროთ ამ გზით ისე შეუპოვრად, ისე

სისტემატურად, როგორც ამას მოითხოვენ შექმნილი მძიმე პირობები, რომლებიც ომის შემდეგ მემკვიდრეობად დაგვრჩა. ჩვენ დიდ სიღატაკეს განვიცდით ყველაფერში, მაგრამ მაინც უფრო მეტად არა ვართ გაჩანაგებულნი, ვიდრე ვენის მუშები არიან გაჩანაგებულნი. ვენის მუშები იხოცებიან, შიმშილობენ, მათი ბავშვებიც იხოცებიან, შიმშილობენ, მაგრამ მათ არა აქვთ უმთავრესი, რაც ჩვენ გვაქვს: მათ არა აქვთ იმედი. ისინი იხოცებიან, კაპიტალიზმის მიერ დათრგუნვილნი, ისინი ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ მსხვერპლი მიაქვთ, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ მიგვაქვს. ჩვენ მსხვერპლი მიგვაქვს ომის გულისათვის, რომელიც ჩვენ მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს გამოვუცხადეთ. აი იმ მდგომარეობის განსხვავება, რომელშიც პეტროგრადისა და მოსკოვის მუშები იმყოფებიან, ვენის მუშების მდგომარეობისაგან. ახლა, გაზაფხულზე, ჩვენი სასურსათო ტანჯვა-წამება ისევ გამწვავდა, თუმცა ცოტათი უფრო ადრე ჩვენ სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებას ვხედავდით. აქ ისე გამოვიდა, რომ ჩვენ ვერ გავიანგარიშეთ. როდესაც შედგენილ იქნა გაწერის გეგმა, წარმატებამ გვიჩვენა გაუმჯობესების შესაძლებლობა. ხალხი ისე დაიმშა, რომ ყოველ მიზეზს გარეშე საჭირო იყო მისი მდგომარეობის გაუმჯობესება. საჭირო იყო არა მარტო დახმარება, არამედ სწორედ გაუმჯობესება. ჩვენ ვერ გავიანგარიშეთ, რომ თუ ჩვენ ახლა კარგს ვიზამთ, მძიმე მდგომარეობა შეიქმნება ბოლოს, და ეს იყო ის შეცდომა, რომლის გამოც ჩვენ ახლა სასურსათო კრიზისის წინაშე ვდგავართ. სწორედ ასეთივე შეცდომა ჩავიდინეთ ჩვენ სხვა დარგშიც. ჩვენ ასეთივე შეცდომა ჩავიდინეთ პოლონეთთან ომში და იგივე შეცდომა ჩავიდინეთ სათბობის საქმეშიც. სასურსათო მუშაობა, სათბობი, ნახშირი, ნავთი, შეშა — ყოველივე ეს სხვადასხვანაირი სამუშაოა, და სამივე დარგში ჩვენ ერთნაირი შეცდომები ჩავიდინეთ. შიმშილის, სიცივის პირობებში ჩვენ ვაზვიადებდით ჩვენს ძალებს და ვერ გავიანგარიშეთ ეს ძალები. ჩვენ ვერ გავიანგარიშეთ ის, რომ ერთბაშად დავხარჯეთ ჩვენი რესურსები,

ჩვენ ვერ გავიანგარიშეთ ის რესურსები, რომლებიც მარაგად გვქონდა, და არაფერი არ დავიტოვეთ შავი დღისათვის. ეს საერთოდ მარტივი წესია, და ეს წესი გასაგებია ყოველი გლეხისათვის მის არართულ, ჩვეულებრივ მეურნეობაში. მაგრამ სახელმწიფო მასშტაბით ჩვენ ყოველთვის ვიმყოფებოდით ასეთ მდგომარეობაში: რის მარაგი, ოღონდ დღეს გავძლოთო, და აი პირველად, როდესაც ამ მარაგს შევეჩეხეთ, და პრაქტიკული თვალსაზრისით მივუდექით მას, ჩვენ ვერ შევძელით საქმე ისე მოგვეწყო, რომ ეს მარაგი შავი დღისათვის დაგვეტოვებინა.

პოლონეთთან წარმოებულ ომში ჩვენ ენერგიული, გაბედული წითელი არმია გვყავდა, მაგრამ ცოტათი უფრო შორს წავედით, ვიდრე საჭირო იყო — ვარშავის კარიბჭეებისაკენ, შემდეგ კი უკან დავიხიეთ თითქმის თვით მინსკამდე. აი ასეთი გარემოება მოხდა სურსათის საქმეშიც. მართალია, ომიდან ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით. ჩვენ 1920 წელს პოლონეთის მემამულეებსა და ბურჟუაზიას ზავი შევთავაზეთ მათთვის უფრო ხელსაყრელი პირობების საფუძველზე, ვიდრე ის პირობებია, რომლებიც მათ ახლა აქვთ. აქ მათ გაკვეთილი მიიღეს, და მთელმა მსოფლიომაც მიიღო ისეთი გაკვეთილი, როგორსაც წინათ არავინ მოელოდა. როდესაც ჩვენს მდგომარეობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სიმართლეს ვამბობთ, ჩვენ ცოტათი კიდეც ვაზვიადებთ უარესისაკენ. ჩვენ 1920 წლის აპრილში ვამბობდით: ტრანსპორტი ეცემა, სურსათი არ გვაქვსო. აშკარად ვწერდით ამას ჩვენს გაზეთებში, ვამბობდით ათასობით ხალხის კრებებზე მოსკოვისა და პეტროგრადის საუკეთესო დარბაზებში. ევროპის ჯაშუშები ამას საჩქაროდ გადასცემდნენ ტელეგრაფით, და იქ ხელებს იფშვნეტდნენ: «დაჰკათ, პოლონელებო, ხომ ხედავთ, რა ცუდადაა მათი საქმე, ჩვენ მათ ახლა გავსრესთო», ჩვენ კი სიმართლეს ვამბობდით, თან ზოგჯერ ვაზვიადებდით უარესისაკენ. დაე, მუშებმა და გლეხებმა იცოდნენ, რომ სიძნელენი არ დამთავრებულა. და როდესაც პოლონეთის არმია ფრანგი, ინგლისელი და სხვა სპეციალისტ-ინსტრუქტორების მეთვალყურეობით,

მათი კაპიტალით, მათი ამუნიციით დაიძრა, ის დამარცხებულ იქნა. და ახლა, როდესაც ჩვენ ვამბობთ, ჩვენ ცუდად გვაქვს საქმე-თქო, როდესაც ჩვენი ელჩები გვიგზავნიან ცნობებს, რომ მთელ ბურჟუაზიულ პრესაში იბეჭდება: «საბჭოთა ხელისუფლების აღსასრულიო», როდესაც ჩერნოვმაც კი თქვა, იგი უეჭველად დაემხობაო, — მაშინ ჩვენ ვამბობთ: «იყვირეთ, რამდენიც შეგიძლიათ, ამიტომაც არსებობს პრესის თავისუფლება კაპიტალისტების ფულით; ეს თავისუფლება თქვენ რამდენიც გნებავთ გაქვთ, ჩვენ კი ოდნავადაც არ შეგვეშინდება ვთქვათ სამწუხარო სიმართლე». დიახ, ამ გაზაფხულზე მდგომარეობა ისევ გაუარესდა, და ახლა ჩვენი გაზეთები აღსავსეა იმის აღიარებით, რომ ჩვენი მდგომარეობა ცუდია. აბა სინჯეთ, იქაურო კაპიტალისტებო, მენშევიკებო, ესერებო, სემიონოველებო და ვინ იცის კიდევ ვინცა ხართ, აბა სინჯეთ ამაზე ხელი მოითბოთ, გადიჩეხებით უფრო ცუდად, უფრო შორს და უფრო ღრმად. (ტ ა შ ი). აშკარაა, ძნელია გადასვლა სრული სიღატაკის მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით 1918 — 1919 წლებში, როდესაც არავის შეეძლო ეფიქრნა მარაგზე ან ერთი წლით განაწილებაზე, არამედ შეგვეძლო გვეფიქრნა მხოლოდ სამი თუ ორი კვირით განაწილებაზე, როდესაც ვამბობდით, მესამე კვირას კი «ვნახავთ, რა იქნებაო». აშკარაა, ძნელია ამ მდგომარეობიდან გადასვლა 1920 წლის მდგომარეობაზე, როდესაც ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენ არმია პოლონელებზე მეტი გვყავს, პური შარშანდელთან შედარებით ერთიორად მეტი გვაქვს, სათბობიც — დონეცისა და ციმბირის ქვანახშირი — ერთნახევარჯერ მეტი გვაქვს. ჩვენ ვერ შევძელით ამის გაყოფა საერთო-სახელმწიფო მასშტაბით. უნდა გვახსოვდეს, რომ წლისათვის გაანგარიშება განსაკუთრებულ მიდგომას, განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. გაზაფხულზე რომ უარესი მდგომარეობა გვექნებოდა, ვიდრე შემოდგომაზე, ეს ჩვენ ვიცოდით, მაგრამ რამდენად უარესი მდგომარეობა გვექნებოდა, ჩვენ ამის ცოდნა არ შეგვეძლო. საქმე ციფრები როდია, საქმე განაწილება როდია, არამედ

საქმე ის არის, თუ რამდენად დაიმშნენ მუშები და გლეხები, თუ რამდენი მსხვერპლის გაღება ძალუძთ მათ ყველა მუშისა და გლეხის საერთო საქმისათვის. ვინ გაიანგარიშებს ამას? დაე იმან, ვინც ჩვენ ამისათვის გვამტყუნებს, და სამართლიანადაც გვამტყუნებს — რადგან აქ არის ჩვენი შეცდომა, და არავის არ მოუვა აზრად დამალოს ეს, ისე როგორც პოლონეთთან წარმოებული ომის დროს ჩადენილი შეცდომა, — დაე იმან, ვინც ამ შეცდომაზე მიგვითითებს, წარმოგვიდგინოს ისეთი გაანგარიშება, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო მასშტაბით შეგვეძლება წინდაწინ განვსაზღვროთ, თუ წლის პირველი ნახევრისათვის არსებული პურის მარაგიდან რამდენი უნდა შემოვინახოთ, რომ წლის მეორე ნახევარში გვექნეს შავი დღისათვის. ასეთი გაანგარიშება არ ყოფილა. ასეთი გაანგარიშება ჩვენ პირველად 1920 წელს მოვახდინეთ, და მოვტყუვდით. რევოლუცია გარკვეულ შემთხვევებში სასწაულს ნიშნავს. ჩვენთვის რომ 1917 წელს ეთქვათ, სამ წელს აიტანთ ომს მთელ მსოფლიოსთან, ომის შედეგად ორი მილიონი რუსი მემამულე, კაპიტალისტი და მათი შვილები საზღვარგარეთ აღმოჩნდებიან, თქვენ კი გამარჯვებულნი გამოხვალთო, არავინ ჩვენგანი ამას არ დაიჯერებდა. მოხდა სასწაული, რადგან მუშებიდან და გლეხებიდან ისეთი ძალა აღიმართა მემამულეთა და კაპიტალისტთა შემოსევის წინააღმდეგ, რომ მძლავრ კაპიტალიზმსაც კი საფრთხე ემუქრებოდა. სწორედ იმიტომ, რომ აქ სასწაული იყო, ამან გადაგვაჩვია ჩვენ დიდი ხნისათვის გაანგარიშებას. ამიტომ ჩვენ ყველანი ძალიან, ძალიან ვკოჭლობთ. მომავალი პარტიული ყრილობა უფრო ჩქარა იქნება მოწვეული, რადგან ეს ახალი გამოცდილება ჩვენ ფრიად სერიოზულად უნდა შევაჯამოთ. მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დაცვაში აქ სასწაული მოხდა, მაგრამ არა ზეციური სასწაულის აზრით, არა იმ აზრით, თითქოს საიდანღაც ციდან რაიმე ჩამოცვივდა, არამედ სასწაული იმ აზრით, რომ მუშებსა და გლეხებში, რაც უნდა მეტისმეტად გაქელილნი, დაბეჩავებულნი, გაჩანაგებულნი და გაწამებულნი იყვნენ ისინი, — სწორედ იმიტომ, რომ რევოლუცია

მუშების მხარეზე დადგა, — ამ რევოლუციამ ასკეცად მეტი ძალები აღმოაჩინა, ვიდრე რომელიც გნებავთ მდიდარ, განათლებულ და მოწინავე სახელმწიფოში მოიპოვება. მაგრამ ასეთი ჩვეულებით სამეურნეო მუშაობას ვერ შეუდგები. სამეურნეო სამუშაოზე საჭიროა — თუმცა ეს არცთუ სავსებით შესაფერი სიტყვაა — ერთგვარი «ხელმოჭერილობა». და აი «ხელმოჭერილობა» ჩვენ ჯერ ვერ ვისწავლეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზია ჩვენ დავამარცხეთ, მაგრამ ბურჟუაზია ჩვენში დარჩა, და ბრძოლაც დარჩა. და ჩვენს წინააღმდეგ მისი ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა პანიკის თესვა. ამ მხრივ ისინი ოსტატები არიან, და ეს არ უნდა დავივიწყოთ. მათი გაზეთები, თუმცა არა ნაბეჭდი, ჩინებულად ვრცელდება, ამასთან ისინი ბუზს სპილოზე მეტადაც კი მოაჩვენებენ კაცს... მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივეცეთ პანიკას. ჩვენში მდგომარეობა იმით გამწვავდა, რომ ჩვენ ყოველი სახის მუშაობაში ჩავიდინეთ შეცდომა. ნუ შეგვეშინდება ამ შეცდომებისა, ნუ შეგვეშინდება მათი აღიარებისა, ნუ წავუყენებთ ერთმანეთს ბრალდებას; იმისათვის კი, რომ ყოველი სახის მუშაობაში შევძლოთ მთელი ძალ-ღონის გამოყენება და ენერგიის უაღრესად დაძაბვა, უნდა შეგვეძლოს გაანგარიშება, საჭიროა იგი ისე ვაწარმოოთ, რომ მთელი ჩვენი რესპუბლიკის პატრონი გავხდეთ, რადგან მხოლოდ ასეთი გაანგარიშებისას შეიძლება აღვრიცხოთ პურისა და სათბობის დიდი რაოდენობა. ჯანსაღი ადამიანის თვალსაზრისით პური ცოტა გვექნება, მაგრამ მისი ერთბაშად გადიდება შეუძლებელია. იგი არ გვეყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარაგს არ გავიჩენთ, მაგრამ თუ სწორად გავიანგარიშეთ, რომ მივცეთ იმას, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება, და გამოვართვათ იმას, ვისაც დიდი ნაჭარბი აქვს, და არა იმას, ვინც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, იქნებ, უკანასკნელ ლუკმას იძლეოდა. გაიგეს თუ არა ეს გაანგარიშება ციმბირისა და უკრაინის გლეხებმა? ჯერ კიდევ ვერა. მათ აქვთ და ჰქონდათ ისეთი ნაჭარბი, როგორიც შუა რუსეთში არასოდეს არ ყოფილა. ისინი ასეთ

მდგომარეობაში ჯერ კიდევ არ ჩავარდნილან. ისეთი გაჭირვება, როგორსაც ჩვენში, მოსკოვისა და პეტროგრადის გუბერნიებში, გლეხები სამი წლის განმავლობაში განიცდიდნენ (იღებდნენ კი უკრაინელ გლეხზე გაცილებით ნაკლებს), ასეთი გაჭირვება და შიმშილი მათ, არც უკრაინელ და არც ციმბირელ გლეხს, არც ჩრდილო კავკასიის გლეხს, არასოდეს, არასოდეს არ უნახავთ. მათ ჩვეულებრივ ასეული ფუთობით ჰქონდათ ნაჭარბი, და ისინი შეეჩვივნენ იმის ფიქრს, რომ ასეთ ნაჭარბში მათ ახლავე საქონელი უნდა მიეცეს. ამ საქონელს კი ვერსად გაარჩენ, როდესაც ფაბრიკები დგას. ეს ფაბრიკები რომ ავამუშაოთ, ხომ საჭიროა დრო, მომზადება, საჭირონი არიან მუშები. არა სასოწარკვეთილების გამო გვიხდება ჩვენ გაუგონარი მსხვერპლის გაღება, არამედ ბრძოლის გამო, რომელიც გამარჯვებებს აღწევს. ეს განსხვავება ყველაფერს განსაზღვრავს.

აი მთავარი, რისთვისაც მინდოდა ხაზი გამესვა აქ თქვენს წინაშე არა ზუსტი მონაცემების თვალსაზრისით, რომლებიც თქვენ მოგახსენათ სურსათის საქმეში მომუშავე ამხანაგმა და სათბობის დარგში მომუშავე ამხანაგმა, არამედ სამეურნეო და პოლიტიკური თვალსაზრისით, რათა გავიგოთ, თუ რით განსხვავდება უკანასკნელი წლის შეცდომები წინა წლების შეცდომებისაგან, და, თუმცა ეს შეცდომები სხვა ხასიათისაა, მაგრამ მათში მაინც საერთოა ის, რომ ჩვენ, რაკი შესაძლებლობა გვქონდა ერთი საფეხურით მაღლა ავსულიყავით, ვცადეთ ორ საფეხურზე ახტომა. მაინც ჩვენ უფრო მაღლა ვიმყოფებით. ეს კარგია. მაინც სათბობის ბალანსს ჩვენ წელს შარშანდელზე ბევრად უკეთ მოვაგვარებთ. ხოლო სურსათის შესახებ, — რათა სიტყვა დავამთავრო, — კიდევ მოვიყვან მხოლოდ უკანასკნელ ცნობას — ციმბირში მოქმედი ჩვენი რესპუბლიკის მთელი ძალების მთავარსარდლის თანაშემწის დეპეშას, რომელიც მე გადმომცეს. ის დეპეშით იტყობინება, რომ მიმოსვლა აღდგენილია, და მოსკოვისაკენ მოემართება პურით დატვირთული 7 მარშრუტი. ერთ დროს იყო მღელვარება და კულაკთა აჯანყებანი. აქ, რა თქმა უნდა, შეიძლება

ვიოხუნჯოთ მოჩურჩულეთა შესახებ, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ კლასობრივ ბრძოლაში, რაც უნდა იყოს, ზოგი რამ ვისწავლეთ. ჩვენ ვიცით, რომ მეფის მთავრობა ჩვენ მოჩურჩულეებს გვიწოდებდა, ხოლო როდესაც ჩვენ მოჩურჩულე ესერებსა და მენშევიკებზე ვლაპარაკობთ, მაშინ ჩვენ ვლაპარაკობთ სხვა კლასზე, ვლაპარაკობთ იმათზე, ვინც ბურჟუაზიას მიჰყვება, იმათზე, ვინც ყოველგვარი მძიმე მდგომარეობით სარგებლობს, ფურცლებს უშვებს და ამბობს: «შეხედეთ, თქვენ გართმევენ სამას ფუთ ნაჭარბს, მიეცით ყველაფერი, მიიღებთ კი ფერად-ფერად ქაღალდებსო». მერე, ჩვენ არ ვიცნობთ ასეთ მოჩურჩულეებს? რა კლასიდან არიან ისინი? ისინი იგივე მემამულეები არიან, როგორადაც არ უნდა ნათლავდნენ ისინი თავიანთ თავს, ესერებად, თუ თავისუფლების, ხალხის ბატონობის, დამფუძნებელი კრების და სხვათა მომხრეებად. ჩვენ ყველა მათი სიტყვა მოსმენილი გვაქვს და ვისწავლეთ მათი გაგება. ეს აჯანყებანი იმას მოასწავებენ, რომ გლეხთა წრეში არიან ფენები, რომლებსაც არ სურთ არც სასურსათო გაწერას შეურიგდნენ და არც გადასახადს. აქ ერთი ორატორი გადასახადზე ლაპარაკობდა. ამაში ბევრი საღი აზრია, მაგრამ ტყუილად დაივიწყა მან დაემატებინა, რომ გაზეთ «პრავდაში», რომელიც რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს, უფრო ადრეც, ვიდრე ჩვენ ამ ტრიბუნიდან ვიტყოდით, «პრავდის» ფურცლებზე, არა მარტო შემთხვევითი, არამედ პასუხისმგებელი თანამშრომლების ხელმოწერითაც იყო წინადადებანი გადასახადების გამო. როდესაც უპარტიო გლეხი გვეუბნება: «მოდით, შევუფარდოთ გაანგარიშება იმას, რაც წვრილ გლეხს სჭირდება; მას სჭირდება რწმენა: ამდენს მოგცემ, შემდეგ კი მე ვარ ბატონ-პატრონიო», ჩვენ ვეუბნებით: დიახ, ამას თქვენ მართალს ამბობთ, ეს საღი აზრია, რომელიც სავსებით შეესაბამება ადგილობრივ პირობებს, და, ვიდრე ჩვენ მანქანები არ მოგვეპოვება, ვიდრე გლეხი თვითონ არ მოისურვებს წვრილი მეურნეობიდან მსხვილ მეურნეობაზე გადასვლას, ჩვენ მზად ვართ ამ აზრს

ანგარიში გავუწიოთ და პარტიის ყრილობაზე ერთი კვირის შემდეგ ამ საკითხს დავსვამთ, გავარჩევთ და გამოვიტანთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც დააკმაყოფილებს უპარტიო გლეხს, დააკმაყოფილებს ფართო მასებსაც. რა თქმა უნდა, ჩვენს აპარატში ბევრი ნაკლი და უმსგავსოებაა, რადგან იქ ბლომად შეაღწია ბიუროკრატიზმმა, ბლომად, ძალიან ბლომად. და განა ასეთი შეცდომები და ნაკლოვანებანი ჩვენს წითელ არმიაში არ იყო? მათგან თავის დაღწევა ერთბაშად არ შეიძლებოდა, მაგრამ მუშათა და გლეხთა დახმარების წყალობით წითელმა არმიამ მაინც გაიმარჯვა. ის, რაც იყო წითელ არმიაში, თუმცა სხვანაირად, მაგრამ მაინც განხორციელდება ყველა დარგში, და ამ ბიუროკრატიულ უმსგავსოებათაგან, რომელთა შესახებ ყველა ყვირის და რომლებსაც ძალიან ხშირად აგინებენ, რადგან ისინი ჩვენს შეცდომებსა და უბედურებას მოასწავებენ, — მათგან ჩვენ განვიკურნებით მედგარი მუშაობით, ამასთან არ მივეცემით პანიკას და თვალს არ დავხუჭავთ იმათზე, ვინც ცდილობს გამოიყენოს ეს შეცდომები და გაიმეოროს კოლჩაკისა და დენიკინის ისტორია. უკრაინაში ბევრი უმსგავსოებაა ქვანახშირის მარაგის დატაცების სახით, იმ ქვანახშირისა, რომლის ნაკლებობის გამო ჩვენ აქ ესოდენ ვიტანჯებით. იქ 120 მთავრობა იყო, და შეძლებული გლეხობა იქ გარყვნილია. მას ვერ შეუგნია, რომ არის მუშურ-გლეხური მთავრობა და რაკი ის პურს იღებს, იმისათვის იღებს, რათა მუშათა და გლეხთა მდგომარეობა შეამსუბუქოს. სანამ ჩვენ ვერ მივაღწევთ იქ ყველა ამ საკითხის სავსებით გაშუქებას, მანამდე ჩვენ ისევ და ისევ მოგვივა ცნობები არეულობის, ბანდების, აჯანყებების შესახებ. ეს გარდუვალია, რადგან გარდუვალია სიბნელე, დაქსაქსულობა და გაბოროტება ცალკეული გლეხებისა, რომლებიც ჩვენ მემკვიდრეობად დაგვრჩა კაპიტალიზმისაგან, რომლებიც ჩვენ უნდა გარდავქმნათ წლების განმავლობაში. ამას ჩვენ ყოველ გაზაფხულზე ვხედავთ და შემდეგშიც კიდევ დავინახავთ ყოველ გაზაფხულზე.

სხვა მდგომარეობაა სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზებზე. ჩვენ ხომ ამ წელს, უმთავრესად, იმ რესურსებით ვცხოვრობდით, რომლებსაც ციმბირი და ჩრდილო კავკასია იძლეოდნენ. აი მე ხელთ მაქვს ხუთდღიური. 1-ლი თებერვლიდან 8 ვაგონი დღე-ღამეში. მეორე ხუთდღიური — 32, მესამე — 60, მეოთხე — 109, ჩვენ კი უნდა მივიღოთ 200 ვაგონი დღე-ღამეში და მხოლოდ უკანასკნელ ხუთ დღეში — 20-დან 24 თებერვლამდე მივაღწიეთ 120 ვაგონს. ეს სამი მარშრუტია. დღეს კი ამხ. ფომინი იუწყება, რომ უკანასკნელ ორ დღეში ჩვენ უკვე 4 მარშრუტი მივიღეთ. დონბასში გამოდის ისე, როგორც ერთი ამხანაგი აღნიშნავდა: პური არ არის, იმიტომ რომ ნახშირი არ არის, ნახშირი არ არის, იმიტომ რომ პური არ არის. აქ სადმე უნდა გავარღვიოთ ეს წყეული წრე ჩვენი ენერგიით, მიწოლით, მშრომელთა გმირობით, რათა ყველა მანქანა დატრიალდეს. აქ ჩვენ განვიცადეთ უდიდესი სიძნელენი, რომლებსაც უკვე თავს ვაღწევთ. სინათლე გამოკრთა. მე, ამხანაგებო, სრულიადაც არ მინდა დაგამშვიდოთ დაპირებებით და არ ვფიქრობ განვაცხადო, რომ მძიმე ხანამ განვლო. არაფერი ამის მსგავსი! გაუმჯობესების ნიშნები არის, მაგრამ გაუგონრად მძიმე ხანა მაინც დარჩა, ხოლო შარშანდელ შემოდგომასთან შედარებით იგი შეიძლებოდა არც ისე მძიმე ყოფილიყო, როგორც ახლაა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოწყვეტილი ვართ დასავლეთ ევროპას. მისგან რომ მოწყვეტილი არ ვყოფილიყავით, ჩვენ კონცესიების გაცემას უნდა დავთანხმებულიყავით: აი თქვენ 500 პროცენტი მოგება, ჩვენ კი მოგვიმატეთ პური, ნავთი და ა. შ.. და ჩვენ ამას ვთანხმდებით, დავთანხმდებით. და ეს იქნება ახალი ბრძოლა, იმიტომ რომ 500 პროცენტს და, იქნებ, უფრო მეტს ჩვენ ისე იოლად არ მივცემთ, ხოლო ამ ბრძოლაზე გადასვლა იმას ნიშნავს, რომ ყველა მატარებელი ახალ რელსებზე გადავიყვანოთ.

ამისათვის საჭიროა, რათა კაპიტალისტები დარწმუნდნენ, რომ ჩვენთან ომით ვერაფერს გააწყობენ. კონცესიების ეს პოლიტიკა ჩვენ საბოლოოდ მივიღეთ. თქვენ იცით, რომ ცოტა დავა როდი გვქონდა ამის გამო გლეხებთან და მუშებთან,

თქვენ იცით, რომ მუშები ამბობდნენ: «ჩვენი ბურჟუაზია გავაგდეთ და განა სხვები უნდა შემოვუშვათო». და ჩვენ მათ განვუმარტეთ, რომ ისეთი მდგომარეობიდან, როდესაც არაფერი არ გვქონდა, ჩვენ არ შეგვიძლია ერთბაშად ისეთ მდგომარეობაზე გადავიდეთ, როდესაც ყველაფერი გვექნება, და, რათა ეს გადასვლა გავიადვილოთ, რათა საჭირო რაოდენობით მივიღოთ პური, მანუფაქტურა, ამისათვის უნდა შეგვეძლოს ყოველგვარი მსხვერპლის გაღება. დაე, კაპიტალისტებმა ისარგებლონ თავიანთი სიხარბით, ოღონდ კი ჩვენ გავაუმჯობესოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობა. მაგრამ კონცესიების საქმის განხორციელება ძნელი საქმეა. ჩვენ ამის შესახებ ჯერ კიდევ დეკემბერში გამოვეცით დეკრეტი, მაგრამ დღემდე კიდევ არც ერთი კონცესია არ არის დადებული. რა თქმა უნდა, აქ არის თეთრგვარდიული და მენშევიკური პრესის გავლენა. მსოფლიოში ხომ არ არის არც ერთი ქვეყანა, სადაც ახლა რუსული გაზეთი არ იყოს, და ყველა ამ გაზეთში მენშევიკები გაყვირიან კონცესიების წინააღმდეგ, მიუთითებენ, რომ მოსკოვში მღელვარებაა, რომ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაეცემა, და თქვენ, ბატონო კაპიტალისტებო, არ დაუჯეროთ მათ და არ დასდოთ მათთან გარიგებაო. მაგრამ ჩვენ ამ ბრძოლაზე ხელს არ ავიღებთ, ჩვენ კაპიტალისტები დავამარცხეთ, მაგრამ არ მოგვისპია, ისინი სხვა სკამზე გადასხდნენ და სხედან ვარშავაში, რომელიც ოდესღაც რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი იყო, ახლა კი აერთიანებს თეთრგვარდიელებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, და ჩვენ მათ წინააღმდეგ ვიბრძოლებთ ყველგან, გარეშე ფრონტზეც და შინაურ ფრონტზეც.

აი ამხ. ზინოვიევისაგან პეტროგრადიდან მივიღე დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ, იქ ჩატარებულ დაპატიმრებებთან დაკავშირებით, ერთ შეპყრობილს აღმოაჩნდა ფურცელი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ის საზღვარგარეთელი კაპიტალისტების მზვერავია. შემდეგ არის კონტრრევოლუციური შინაარსის ფურცელი, სათაურით: «ერთგულთადმი». მერე ამხ. ზინოვიევი იუწყება, რომ პეტროგრადში გაკრულია მენშევიკების

ფურცლები, სადაც ისინი გაფიცვებისაკენ მოუწოდებდნენო, ხოლო აქ, მოსკოვში, გაავრცელეს ხმები რაღაც დემონსტრაციის შესახებ. ნამდვილად კი, იყო პროვოკაციული გასროლა, რომლითაც მოკლულ იქნა ერთი კომუნისტი. ეს ერთადერთი მსხვერპლია ამ უბედური დღეებისა. როდესაც დენიკინი ორიოლთან იდგა, თეთრგვარდიული გაზეთები წერდნენ, რომ ის კინაღამ 100 ვერსს გამორბოდა საათში. ჩვენ ეს გაზეთები ვერ გაგვაკვირვებენ. ჩვენ მდგომარეობას ფხიზლად ვუყურებთ, ჩვენ, ამხანაგებო, მჭიდროდ უნდა შევკავშირდეთ, სხვაფრივ რაღა უნდა ვქნათ? ვსინჯოთ კვლავ კერენსკის, კოლჩაკის «კოალიციური» მთავრობა? ვთქვათ, კოლჩაკი უკვე არ არის, მაგრამ თუ კოლჩაკი არ არის, სხვა გამოჩნდება. რუსი გენერლები რამდენიც გნებავთ იმდენია, ეყოფა უზარმაზარ არმიას. ჩვენ პირდაპირ უნდა ვილაპარაკოთ და არ გვეშინოდეს გაზეთებისა, რომლებიც მსოფლიოს ყველა ქალაქში გამოდის. ეს უმნიშვნელო რამ არის, ამის გამო ჩვენ ვერ გავჩუმდებით ჩვენი მძიმე მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ვიტყვით, რომ ჩვენ, ამხანაგებო, ვაწარმოებთ მთელ ამ მძიმე, სისხლისმღვრელ ბრძოლას და, თუ ჩვენს წინააღმდეგ არ ძალუძთ ახლა იარაღით ხელში გამოილაშქრონ, სამაგიეროდ ილაშქრებენ სიცრუისა და ცილისწამების იარაღით, სარგებლობენ გაჭირვებისა და სიღარიბის ყოველი შემთხვევით, რათა ამით დაეხმარონ ჩვენს მტრებს. ყოველივე ეს, ვიმეორებ, ჩვენ გამოვცადეთ და გამოვიარეთ. ჩვენ გაცილებით უფრო მეტი სიძნელენი გადავიტანეთ, ჩვენ მშვენივრად ვიცნობთ ამ მტერს და ამავე გზაფხულზე დავამარცხებთ ამ მტერს, დავამარცხებთ მას იმით, რომ უფრო წარმატებით, უფრო ანგარიშიანად ვიმუშავებთ (ტ ა შ ი).

«პრავდა» № 46, 1921 წ. 2 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის წერილისა
გ. კ. ორჯონიკიძისადმი. —
1921 წ. 2 მარტი

დაპატარავებულია

წერილი გ. კ. ორჯონიკიძეს[37]

სტალინს. გთხოვთ გაგზავნოთ, ხოლო თუ რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, მომელაპარაკოთ ტელეფონით.

ლ ე ნ ი ნ ი

1921 წ. 2. III.

ბაქო. ორჯონიკიძეს

გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვ მათ მაცნობონ — არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა სამ საკითხში:

პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია.

მეორე: აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ არათუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც კი გავიღოთ, ოღონდ გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დავუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა.

მესამე: უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც

РОССІЙСКАЯ
ФЕДЕРАТИВНАЯ
СОЦІАЛИСТИЧЕСКАЯ
СОВѢТСКАЯ РЕСПУБЛИКА

ПРЕДСѢДАТЕЛЬ
СОВѢТА
НАРОДНЫХЪ КОМИССАРОВЪ.

Москва. Кремль.
9 III 1921 г.
№

Сталину. Прошу управить, а лучше вопрос, с кем говорить по этому. Ленин

Бенг. Серг. Орджоникидзе

Предсѣдателю грузинского Коммунистического и специально всем членам грузинского ревкома мой горячий привет советской Грузии. Почти особенно прошу не сооб. щать мне сведѣнія у нас с вами полное согласіе по трем вопросам первое надо немедленно вооружить рабочих и беднейших крестьян создавая грузинскую красную армию. Для всех необходима особая кладовка. Грузия по отношенію к грузинской интервенціи и меньшевикам надо помнить что их не двое не раскаровано контрреволюціонеры, а надо найти на их сторона двоих вождей вместо двух. Их изгнание и отставка их вероятность вызовет новую революцію. Кроме гигантских вопросов нужно сильнее Коммунистическая фракція с Жордания и его единомышленниками грузин-

ჯერ კიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული.

გთხოვთ პასუხს.

ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა გრუზიი» № 5,
1921 წ. 6 მარტი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მუშა ქალთა საერთაშორისო დღე

ბოლშევიზმში და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციაში მთავარია, ძირითადია სწორედ იმათი ჩაბმა პოლიტიკაში, ვინც ყველაზე მეტად დაჩაგრული იყო კაპიტალიზმის დროს. მათ აბეჩავებდნენ, მათ ატყუებდნენ, მათ ძარცვავდნენ კაპიტალისტები მონარქიის დროსაც და დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც. ეს ჩაგვრა, ეს მოტყუება, ხალხის შრომის ეს ძარცვა კაპიტალისტების მიერ გარდუვალი იყო, ვიდრე მიწის, ფაბრიკების, ქარხნების კერძო საკუთრება არსებობდა.

ბოლშევიზმის არსი, საბჭოთა ხელისუფლების არსი ის არის, რომ ამხილოს ბურჟუაზიული დემოკრატიზმის სიცრუე და თვალთმაქცობა, გააუქმოს მიწის, ფაბრიკების, ქარხნების კერძო საკუთრება და მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მოაქციოს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ხელში. თვითონ ისინი, ეს მასები, თავიანთ საკუთარ ხელში იღებენ პოლიტიკას, ესე იგი ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეს. ძნელი საქმეა, მასები დაბეჩავებულნი და დაჩაგრულნი არიან კაპიტალიზმის მიერ, მაგრამ სხვა გამოსავალი დაქირავებული მონობიდან, კაპიტალისტებისადმი მონობიდან არ არის და არც შეიძლება იყოს.

პოლიტიკაში მასების ჩაბმა კი არ შეიძლება ისე, თუ პოლიტიკაში ქალები არ ჩავაბით. ვინაიდან ადამიანთა მოდგმის ნახევარი — ქალები კაპიტალიზმის დროს ორმაგად არიან დაჩაგრულნი. მუშა და გლეხი ქალები დაჩაგრული არიან

კაპიტალის მიერ და, გარდა ამისა, ისინი ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი რჩებიან, ჯერ ერთი, არასრულთანასწორუფლებიანნი, ვინაიდან მამაკაცთან თანასწორობას კანონი მათ არ ანიჭებს, მეორეც, — და ეს მთავარია — ისინი რჩებიან «ოჯახურ მონობაში», «ოჯახის მონებად», რამდენადაც დაბეჩავებულნი არიან მეურნეობის ყოვლად წვრილმანი, ყოვლად შავი, ყოვლად მძიმე, ადამიანის ყოვლად გამომაყეყეჩებელი მუშაობით სამზარეულოში და საერთოდ ცალკეულ საშინაო-საოჯახო მეურნეობაში.

ბოლშევიკური, საბჭოთა რევოლუცია ისე ღრმად სჭრის ქალთა ჩაგვრისა და უთანასწორობის ფესვებს, როგორც ამ ფესვების მოჭრა ქვეყნად არც ერთ პარტიას და არც ერთ რევოლუციას არ გაუბედნია. მამაკაცთან ქალის უთანასწორობიდან კანონით ჩვენში, საბჭოთა რუსეთში, კვალიც არ დარჩენილა. განსაკუთრებით საძაგელი, საზიზღარი, თვალთმაქცური უთანასწორობა ქორწინებითი და ოჯახური სამართლის მხრივ, უთანასწორობა ბავშვის მიმართ მთლიანად მოსპობილია საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ქალის განთავისუფლებისაკენ. მაგრამ არც ერთ ბურჟუაზიულ, თუნდაც ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გაუბედნია ამ პირველი ნაბიჯის გადადგმაც კი. არ გაუბედნია «წმიდათა წმიდა კერძო საკუთრების» წინაშე შიშის გამო.

მეორე და მთავარი ნაბიჯია მიწის, ფაბრიკების, ქარხნების კერძო საკუთრების გაუქმება. ამით და მხოლოდ ამით იხსნება გზა ქალის სრული და ნამდვილი განთავისუფლებისა, მისი განთავისუფლებისა «ოჯახური მონობისაგან» წვრილი ცალკეული საშინაო მეურნეობიდან მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობაზე გადასვლის გზით.

ეს გადასვლა ძნელია, რადგან აქ საქმე ეხება ყველაზე უფრო დამკვიდრებული, ჩვეული, დახავსებული, გახევებული «წესების» (სიმართლე რომ ითქვას, უმსგავსოების, ველურობის და არა «წესების») გარდაქმნას. მაგრამ ეს გადასვლა და-

წყებულია, საქმე დაძრულია ადგილიდან, ჩვენ დავადექით ახალ გზას.

და მუშა ქალთა საერთაშორისო დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუშა ქალთა უთვალავ კრებებზე მოვისმენთ მისალმებებს საბჭოთა რუსეთისადმი, რომელმაც დაიწყო გაუგონრად ძნელი და მძიმე, მაგრამ დიადი, საქვეყნოდ დიადი და მართლაც განმათავისუფლებელი საქმე. გაისმება მხნე მოწოდებანი — არ დაეცნენ სულით მძვინვარე და ხშირად მხეცური ბურჟუაზიული რეაქციის წინაშე. რაც «უფრო თავისუფალია» ან «უფრო დემოკრატიულია» ბურჟუაზიული ქვეყანა, მით უფრო მძვინვარებს და მხეცობს კაპიტალისტების ბანდა მუშების რევოლუციის წინააღმდეგ; ამის მაგალითია ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ მუშამ საერთოდ უკვე გამოიღვიძა. იმპერიალისტურმა ომმა საბოლოოდ გამოაფხიზლა მძინარე, მთვლემარე, უძრავი მასები ამერიკაშიც, ევროპაშიც, ჩამორჩენილ აზიაშიც.

ყინული გალხობილია მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ხალხთა განთავისუფლება იმპერიალიზმის უღლისაგან, მუშების და მუშა ქალების განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან შეუკავებლად მიდის წინ. ეს საქმე წინ წასწიეს ათეული და ასეული მილიონობით მუშებმა და მუშა ქალებმა, გლეხებმა და გლეხმა ქალებმა. და ამიტომ კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ეს საქმე გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში.

1921 წ. 4. III.

დაიბეჭდა 1921 წ. 8 მარტს
გაზეთ «პრავდის» № 51-ის
«დამატებაში»
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება დამატების
ტექსტის მიხედვით

რკპ(ბ) X ყრილობა[38]

1921 წ. 8 — 16 მარტი

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1921 წელს წიგნში: «რუსეთის კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში (1921 წ. 8 — 16 მარტი)». მოსკოვი

•ბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია სტენოგრამასთან

1

სიტყვა ყრილობის გახსნისას
8 მარტი

(ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი). ამხანაგებო, ნება მომეცით რუსეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა გახსნილად გამოვაცხადო. ჩვენ გამოვიარეთ ერთი წელიწადი, რომელიც ძალიან მდიდარია ამბებით როგორც საერთაშორისო, ისე ჩვენს საშინაო ისტორიაში. რათა დავიწყო საერთაშორისო მდგომარეობიდან, მე უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ახლა პირველად ვიკრიბებით ისეთ პირობებში, როდესაც კომუნისტური ინტერნაციონალი უკვე აღარ არის მარტოოდენ ლოზუნგი, არამედ ნამდვილად გადაიქცა მძლავრ ორგანიზაციულ შენობად, რომელსაც აქვს თავისი საძირკველი, ნამდვილი საძირკველი, უდიდეს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. გასული წლის მანძილზე მოხერხდა იმის განხორციელება, რაც კომინტერნის II კონგრესზე მხოლოდ რეზოლუციები იყო, და ამან თავისი გამოხატულება, დადასტურება და განმტკიცება ჰპოვა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, იტალია. საკმარისია დავასახელოთ ეს სამი ქვეყანა, რათა დაინახოთ, რომ ყველა მოწინავე უდიდეს ევროპულ ქვეყანაში კომუნისტური ინტერნაციონალი II კონგრესის შემდეგ, რომელიც გასულ ზაფხულს შედგა მოსკოვში, მუშათა მოძრაობის საქმედ იქცა თვითეულ ამ ქვეყანაში, — ეს კიდევ ცოტაა, იგი საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად ფაქტორად იქცა. ეს ისეთი გიგანტური მონაპოვარია, ამხანაგებო, რომ, რაც უნდა ძნელი და მძიმე იყოს სხვადასხვა განსაცდელი, რომელიც ჩვენ მოგველის, — ჩვენ კი არასოდეს არ შეგვიძლია და არც უნდა გავუშვათ ეს მხედველობიდან, — ამ მონაპოვარს ჩვენ ვერავინ ვერ წაგვართმევს!

შემდეგ, ამხანაგებო, ჩვენ პირველად ვიკრიბებით ყრილობაზე ისეთ პირობებში, როდესაც მტრის ჯარები, რომლებსაც ეხმარებოდნენ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები და იმპერიალისტები, საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ არიან. პირველად ხდება, რომ, ამ წლის განმავლობაში წითელი არმიის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა წყალობით, ჩვენ ასეთ პირობებში ვხსნით პარტიულ ყრილობას. სამნახევარი წლის გაუგონრად მძიმე ბრძოლა, მაგრამ მტრის არმიების არარსებობა ჩვენს ტერიტორიაზე, — ეს ჩვენ მოვიპოვეთ! რასაკვირველია, ამით ჩვენ ჯერ კიდევ სრულიადაც არ მოგვიპოვებია ყოველივე, და არავითარ შემთხვევაში არ მოგვიპოვებია ამით ის, რაც ჩვენ უნდა მოვიპოვოთ — ნამდვილი განთავისუფლება იმპერიალისტების შემოსევისა და ჩარევისაგან. პირიქით, მათმა სამხედრო მოქმედებამ ჩვენს წინააღმდეგ ნაკლებად სამხედრო, მაგრამ ზოგიერთი მხრივ ჩვენთვის უფრო მძიმე და უფრო საშიში ხასიათი მიიღო. ომიდან მშვიდობაზე გადასვლა, — ის გადასვლა, რომელსაც ჩვენ მივესალმეთ პარტიის წარსულ ყრილობაზე და რომლის განხორციელებას ჩვენ უკვე ვცდილობდით, ვცდილობდით მოგვეგვარებინა მუშაობა ამ მხრივ, — ეს გადასვლა ახლაც არ არის დამთავრებული. ახლაც დგას ჩვენი პარტიის წინაშე არაჩვეულებრივი სიძნელის ამოცანები, რომლებიც ეხება არა მარტო სამეურნეო გეგმას, — აქ ჩვენ ცოტა შეცდომა როდი ჩავიდინეთ, — რომლებიც ეხება არა მარტო სამეურნეო მშენებლობის საფუძვლებს, არამედ თვით კლასებს შორის ურთიერთობის საფუძვლებს, — კლასებისა, რომლებიც დარჩენილია ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში. თვით ამ კლასებს შორის ურთიერთობამ ცვლილება განიცადა, და ეს საკითხი უნდა იყოს, — ვფიქრობ, ყველა დაეთანხმებით ამას, — ერთი იმ მთავარი საკითხთაგანი, რომელიც ჩვენ აქ უნდა განვიხილოთ და გადავწყვიტოთ.

ამხანაგებო, ჩვენ განსაკუთრებული წელი გამოვიარეთ, ჩვენ ისეთი ფუფუნება დავუშვით, როგორიცაა დისკუსიები და დავა ჩვენი პარტიის შიგნით. პარტიისათვის, რომელიც

გარემოცულია მტრებით, უმძლავრესი და უძლიერესი მტრებით, რომლებიც მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს აერთიანებენ, პარტიისათვის, რომელსაც უმაგალითო ტვირთი აწევს, ეს ფუფუნება ჭეშმარიტად გასაოცარი იყო!

მე არ ვიცი, თუ როგორ შეაფასებთ თქვენ ახლა ამას. თქვენი აზრით, სავსებით შეეფერებოდა თუ არა ეს ფუფუნება ჩვენს სიმდიდრეს, როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სიმდიდრეს? ამის შეფასება თქვენზეა დამოკიდებული. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უნდა ვთქვა, რაც აქ, ამ ყრილობაზე, უნდა დავისახოთ ჩვენს ლოზუნგად, ჩვენს მთავარ მიზნად და ამოცანად, რომელიც ჩვენ რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა განვახორციელოთ, ეს ისაა, რომ ამ დისკუსიიდან და დავიდან უფრო მტკიცენი უნდა გამოვიდეთ, ვიდრე მაშინ ვიყავით, როდესაც ეს დისკუსია და დავა დავიწყეთ (ტ ა შ ი). თქვენ, ამხანაგებო, არ შეიძლება არ იცოდეთ, რომ ყველა ჩვენი მტერი, — მათი სახელი კი ლეგიონია, — ყველა თავის ურიცხვ საზღვარგარეთულ ორგანოში იმეორებს და ავითარებს იმავე ასნაირ და ათასნაირ ხმას, რომელსაც ჩვენი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მტრები ავრცელებენ აქ, საბჭოთა რესპუბლიკის შიგნით, სახელდობრ: თუ დისკუსიაა — მაშასადამე დავაა, თუ დავაა — მაშასადამე უთანხმოებაა, თუ უთანხმოებაა—მაშასადამე კომუნისტები დასუსტებულან: დაჰკა, დრო იხელთე, ისარგებლე მათი დასუსტებით! ეს ჩვენდამი მტრულად განწყობილი სამყაროს ლოზუნგად იქცა. ეს ჩვენ ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ. ახლა ჩვენი ამოცანაა ცხადვყოთ, რომ, თუმცა ჩვენ წარსულში, მართებულად თუ უმართებულოდ, ამ ფუფუნებას ვუშვებდით, მაგრამ ამ მდგომარეობიდან იმგვარად უნდა გამოვიდეთ, რომ ჩამოყალიბებულ, დისკუსიაგამოვლილ პლატფორმათა, ნაირსახეობათა, პატარა ნაირსახეობათა, თითქმის რომ პაწაწა ნაირსახეობათა უაღრესი სიუხვიდან, ჩვენს პარტიულ ყრილობაზე მათი სათანადო განხილვის შემდეგ, ვუთხრათ ჩვენს თავს: ყოველ შემთხვევაში, როგორადაც არ უნდა ეჩინა თავი დისკუსიას დღემდე, როგორადაც არ უნდა გვედავნა ერთმანეთს შორის, — ჩვენს

წინაშე კი ამდენი მტერია, — პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანა გლეხურ ქვეყანაში ისე უზარმაზარი და ძნელია, რომ ჩვენთვის ცოტაა, რათა მხოლოდ ფორმალურად — უკვე თქვენი აქ, ამ ყრილობაზე ყოფნა ამტკიცებს, რომ ეს ასეა — არამედ რათა არა მხოლოდ ფორმალურად იყოს მუშაობა უფრო ერთსულოვანი, უფრო შეთანხმებული, ვიდრე წინათ იყო, რათა არ იყოს ფრაქციულობის სულ მცირედი კვალიც კი, — სადაც და როგორადაც არ ეჩინოს მას თავი დღემდე, — რათა ეს კვალი არასგზით არ დარჩეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევასრულებთ ჩვენ იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშეა დასმული. და მე დარწმუნებული ვარ, რომ გამოვხატავ ყველა თქვენგანის განზრახვასა და მტკიცე გადაწყვეტილებას, თუ ვიტყვი: კიდევ უფრო მტკიცე, კიდევ უფრო შეთანხმებული და გულწრფელი პარტიული ერთიანობის სულისკვეთებით უნდა გამოვიდეთ ჩვენ ამ ყრილობიდან! (ტ ა შ ი).

2

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში
8 მარტი

ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მუშაობის საკითხი, როგორც თქვენ, ცხადია, მოგეხსენებათ, ისე მჭიდროდაა გადახლართული პარტიის მთელ მუშაობასთანაც, საბჭოთა დაწესებულებების მთელ მუშაობასთანაც და რევოლუციის მთელ მსვლელობასთანაც, რომ, ჩემი აზრით მაინც, ანგარიშის შესახებ, ამ სიტყვის ზუსტი პირდაპირი მნიშვნელობით, ლაპარაკიც არ შეიძლება. მეც ჩემი ამოცანა ისე მესმის, რომ შევეცადო გამოვყო ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, — ის, რაც, ჩემი შეხედულებით, ამა წლის ჩვენი მუშაობისა და საბჭოთა პოლიტიკის, ასე ვთქვათ, საკვანძო პუნქტებს წარმოადგენს, ის, რაც ყველაზე უფრო დამახასიათებელია განვლილიდან და რაც ყველაზე მეტ მასალას იძლევა იმისათვის, რომ ჩავუფიქრდეთ რევოლუციის მსვლელობის მიზეზებს, ჩადენილი შეცდომების მნიშვნელობას, — შეცდომა კი ცოტა როდი იყო, — და სამერმისო გაკვეთილებს. ვინაიდან, რაც უნდა ბუნებრივი იყოს გასული წლის ანგარიშის ჩაბარების ამოცანა, რაც უნდა სავალდებულო იყოს იგი ცენტრალური კომიტეტისათვის, რაც უნდა საინტერესო იყოს იგი თავისთავად პარტიისათვის, — იმ ბრძოლის ამოცანები, რომელიც ჩვენ მოგველის და ჩვენს წინაშე ჩაღდება, ისე გადაუდებელი, მძიმე და ძნელია, ისე გვაწვება ჩვენ მთელი თავისი სიმძიმით, რომ მთელი ყურადღება უნებლიეთ მიმართულია იქითკენ, თუ როგორ გამოვიყვანოთ განცდილიდან სათანადო დასკვნები და როგორ გადავწყვიტოთ

უკეთესად ახლანდელი და უახლოესი დროის ამოცანები, რომლებიც მთელ ჩვენს ყურადღებას იპყრობს.

ჩვენი მუშაობის იმ საკვანძო პუნქტებიდან, რომლებიც ამ წლის განმავლობაში ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობენ და რომლებთანაც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად დაკავშირებულია ჩვენი შეცდომები, პირველია ომიდან მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლა. ალბათ, ყველა თქვენგანს, ან უმრავლესობას მაინც ახსოვს, რომ სამ-ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ ეს გადასვლა უკვე რამდენიმეჯერ ვცადეთ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ განვახორციელეთ იგი და ახლაც, ეტყობა, ვერ განვახორციელებთ მას, რადგან საერთაშორისო კაპიტალიზმის სასიცოცხლო ინტერესები მეტად ღრმადაა დაკავშირებული იმასთან, რომ ეს გადასვლა არ იქნეს დაშვებული. მახსოვს, ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილში, ე. ი. სამი წლის წინათ, მე მომიხდა ლაპარაკი სრულიად რუსეთის ცაკის წინაშე ჩვენი ამოცანების შესახებ, რომლებსაც მაშინ ისე აყალიბებდნენ, რომ რაც კი მთავარია სამოქალაქო ომში, გათავებულია, მაშინ როდესაც ეს ომი ნამდვილად მხოლოდ ის იყო იწყებოდა. თქვენ ყველას გახსოვთ, რომ წინა პარტიულ ყრილობაზე ჩვენ მთელ ჩვენს ვარაუდებს ვამყარებდით ამ გადასვლაზე, იმაზე, რომ მშვიდობიან მშენებლობას შევუდგებოდით, რადგან გვეგონა, რომ, რაკი მაშინ ბევრ რამეს ვუთმობდით პოლონეთს, ჩვენთვის ზავი უზრუნველყოფილი იქნებოდა. მაგრამ უკვე აპრილში დაიწყო შემოტევა პოლონეთის ბურჟუაზიამ, რომელმაც კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტებთან ერთად ჩვენი მშვიდობისმოყვარეობა ისე გაიგო, როგორც ჩვენი სისუსტე, — რისთვისაც სასტიკად დაისაჯა, რამდენადაც უფრო ნაკლებ ხელსაყრელი ზავი მიიღო. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გადავედით მშვიდობიან მშენებლობაზე, და კვლავ იძულებული გავხდით მთავარი ყურადღება მიგვექცია პოლონეთთან ომისათვის და შემდეგ — ვრანგელის ლიკვიდაციისათვის. აი რა განსაზღვრავდა საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენი მუშაობის შინაარსს. მთელი ჩვენი მუშაობა ისევ სამხედრო ამოცანებისაკენ გადაიხარა.

შემდეგ დაიწყო ომიდან მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლა, როდესაც ჩვენ შევძელით იმის მიღწევა, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მტრის არმიების არც ერთი ჯარისკაცი აღარ დარჩენილა.

ამ გადასვლამ ისეთი გარდატეხა მოითხოვა, რომელიც ჩვენ ძალიან ნაკლებად გვქონდა გათვალისწინებული. უეჭველია, აქ არის მთელ იმ შეცდომათა და უსწორობათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომლებიც ამ საანგარიშო ხნის მანძილზე ჩავიდინეთ ჩვენს პოლიტიკაში და რომლებისგანაც ახლაც ზიანი მოგვდის. არმიის დემობილიზაციამ, არმიისა, რომლის შექმნა მოგვიხდა ისეთ ქვეყანაში, რომელმაც გაუგონარი სიმძიმის დაძაბვა გადაიტანა, არმიისა, რომლის შექმნა გვიხდებოდა რამდენიმე წლის იმპერიალისტური ომის შემდეგ, — არმიის დემობილიზაციამ, როცა მისი გადაყვანგადმოყვანა, ჩვენს სატრანსპორტო საშუალებათა პირობებში, არაჩვეულებრივ სიძნელეებს წარმოადგენდა, ისიც მაშინ, როდესაც ამას დაერთო მოუსავლობით გამოწვეული შიმშილობა და სათბობის ნაკლებობა, რამაც საგრძნობლად შეაჩერა ტრანსპორტი, — ამ დემობილიზაციამ ჩვენ, როგორც ახლა ვხედავთ, ისეთი ამოცანების წინაშე დაგვაყენა, რომლებიც ძალიან ნაკლებად გვქონდა შეფასებული. მნიშვნელოვნად აქ არის ჩამარხული მთელი რიგი კრიზისების სათავე — სამეურნეო, სოციალური და პოლიტიკური კრიზისებისა. ჯერ კიდევ გასული წლის დამლევს მე შემთხვევა მქონდა აღმენიშნა, რომ მომავალი გაზაფხულის ერთ-ერთი მთავარი სიძნელე არმიის დემობილიზაციასთან დაკავშირებული სიძნელე იქნება-მეთქი. ეს მე აღვნიშნე 30 დეკემბრის დიდი დისკუსიის დროსაც[39], რომლის მონაწილეც, ალბათ, ბევრი თქვენთაგანი იყო. უნდა ვთქვა, ვეჭვობ, რომ ჩვენ მაშინ ამ სიძნელეთა სიდიდე წარმოდგენილი გვქონოდეს; ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვხედავდით, თუ რამდენად დიდი იქნებოდა არა მარტო ტექნიკური სიძნელენი, არამედ ვერ ვხედავდით იმასაც, თუ რამდენად გამწვავდებოდა სწორედ დემობილიზაციის დროს ყველა ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა წინანდელი

იმპერიალისტური ომითაც და ახალი სამოქალაქო ომითაც განაწამებ საბჭოთა რესპუბლიკას. რამდენადმე სიმართლე იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ დემობილიზაციის დროს უფრო მეტად იჩენს თავს ეს უბედურებანი. ქვეყანა რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ამოცანებისათვის იკრებდა ძალ-ღონეს, ყველაფრით მხარს უჭერდა ამ ამოცანებს, არაფერს იშურებდა თავისი უკანასკნელი ნარჩენებიდან, მცირე მარაგიდან და რესურსებიდან ამ მიზნისათვის, — და მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ დავინახეთ ჩვენ მთელი ის გაჩანაგება და სიღატაკე, რომელთა გამო დიდხანს მოგვიხდება მარტოოდენ ჭრილობების განკურნება. მაგრამ სავსებით ვერც ამ ჭრილობათა განკურნებას შევუდგებით. არმიის დემობილიზაციის ტექნიკური სიძნელენი საკმაოდ ნათლად გვიჩვენებენ იმ უაღრეს გაჩანაგებას, საიდანაც გამომდინარეობს, ყოველივე დანარჩენის გარდა, ეკონომიური და სოციალური ხასიათის მთელი რიგი გარდუვალი კრიზისები.

უეჭველია, ცენტრალური კომიტეტის შეცდომა იყო ის, რომ დემობილიზაციასთან დაკავშირებულ სიძნელეთა სიდიდე არ ყოფილა გათვალისწინებული. რასაკვირველია, უნდა ითქვას, რომ ამის გასათვალისწინებლად შეუძლებელი იყო დასაყრდენი პუნქტები გვქონოდა, რადგან სამოქალაქო ომი ისეთ სიძნელეს წარმოადგენდა, რომ აქ ერთადერთი წესი იყო: ყველაფერი სამოქალაქო ომის ფრონტზე გამარჯვებისათვის — და სხვა არაფერი. მხოლოდ ამ წესის დაცვით და ძალთა იმ გაუგონარი დაძაბვით, რაც წითელმა არმიამ კოლჩაკის, იუდენიჩის და სხვების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა, შევძელით ჩვენ საბჭოთა რუსეთში შემოსეულ იმპერიალისტებზე გამარჯვების მოპოვება.

ამ ძირითადი გარემოებიდან, რომელიც მთელ რიგ შეცდომებს განსაზღვრავს და კრიზისს ამწვავებს, მინდა გადავიდე იმაზე, თუ როგორ გამოაშკარავდა პარტიის მუშაობაში და მთელი პროლეტარიატის ბრძოლაში აღრიცხვის თუ გეგმის მთელი რიგი კიდევ უფრო ღრმა შეუსაბამობანი და უსწორო-

ბანი, — არა მარტო გეგმის უსწორობანი, არამედ უსწორობანი ჩვენი კლასისა და იმ კლასების ძალთა თანაფარდობის განსაზღვრაში, რომლებთან თანამშრომლობითაც, ზოგჯერ კი ბრძოლითაც, უნდა გადაწყვიტოს მან რესპუბლიკის ბედი. ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ჩვენ მიერ განცდილის შედეგებს, პოლიტიკურ გამოცდილებას, იმას, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა, რამდენადაც იგი ხელმძღვანელობდა პოლიტიკას, თავისთვის უნდა გამოარკვიოს და ეცადოს მთელ პარტიას გაურკვიოს. ეს ისეთი სხვადასხვაგვარი მოვლენებია, როგორიცაა პოლონეთთან ჩვენი ომის მსვლელობა, სურსათისა და სათბობის საკითხები. ჩვენი შეტევის დროს, თითქმის რომ ვარშავამდე ერთობ სწრაფად წინწაწევის დროს, უეჭველია, შეცდომა იქნა ჩადენილი. მე ახლა არ შევუდგები იმის გარჩევას, სტრატეგიული შეცდომა იყო ეს თუ პოლიტიკური, რადგან ეს ძალიან შორს წამიყვანდა, — ვფიქრობ, ეს მომავალი ისტორიკოსების საქმეს უნდა შეადგენდეს, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც ისევ უხდებათ მძიმე ბრძოლით ყველა მტრის მოგერიება, იმისათვის არა სცალიათ, რომ ისტორიულ კვლევას მიჰყონ ხელი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეცდომა იყო, და ეს შეცდომა იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენი ძალების უპირატესობა გადამეტებულად შევაფასეთ. თუ რამდენად იყო ძალთა ეს უპირატესობა დამოკიდებული ეკონომიურ პირობებზე, რამდენად იყო იგი დამოკიდებული იმაზე, რომ პოლონეთთან ომმა გამოაღვიძა პატრიოტული გრძნობები წვრილბურჟუაზიულ, სრულიადაც არა პროლეტარულ ელემენტებშიც კი, რომლებიც სრულიადაც არ თანაუგრძნობენ კომუნიზმს, რომლებიც უთუოდ არ უჭერენ მხარს პროლეტარიატის დიქტატურას, ზოგჯერ კი, უნდა ითქვას, საერთოდაც არ უჭერენ მას მხარს, — ამის გარკვევა ძალიან რთული საქმე იქნებოდა. მაგრამ ეს ფაქტია: პოლონეთთან ომში ჩვენ ერთგვარი შეცდომა ჩავიდინეთ.

ხოლო თუ ავიღებთ მუშაობის ისეთ დარგს, როგორიცაა სასურსათო მუშაობა, ჩვენ ანალოგიურ შეცდომას დავინახავთ.

სასურსათო გაწერისა და მისი შესრულების მხრივ საანგარიშო წელიწადი წინა წელზე შეუდარებლად უფრო ხელსაყრელი იყო. წელს შეგროვებული პურის რაოდენობა 250 მილიონ ფუთს აღემატება. 1 თებერვლისათვის შეგროვებული იყო 235 მილიონი ფუთი პური, მაშინ როდესაც მთელ გასულ წელს 210 მილიონი ფუთი შეგროვდა. მაშასადამე, ერთ წელზე გაცილებით ნაკლებ დროში შეგროვებული პურის რაოდენობამ წინა წლისას სავსებით გადააჭარბა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ 235 მილიონიდან, რაც 1 თებერვლისათვის შეგროვდა, წლის პირველ ნახევარში 155 მილიონ ფუთამდე დავხარჯეთ, ე. ი. საშუალოდ 25 მილიონი ფუთი თვეში და უფრო მეტიც კი. რა თქმა უნდა, საერთოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვერ შევძელით სწორად გაგვენაწილებინა ჩვენი რესურსები, როდესაც ეს რესურსები წარსული წლისაზე უკეთესი აღმოჩნდა. ჩვენ ვერ შევძელით სწორად შეგვეფასებინა გაზაფხულზე მოსალოდნელი კრიზისის მთელი საშიშროება და ავყევით ბუნებრივ მისწრაფებას, რომ დამშეული მუშებისათვის ულუფა გაგვედიდებინა. რასაკვირველია, აქაც უნდა ითქვას, რომ გაანგარიშებისათვის დასაყრდენი პუნქტი არ გვქონდა. ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, მიუხედავად ანარქიისა, მიუხედავად ქაოსისა, რომელიც კაპიტალიზმს ახასიათებს, სამეურნეო გეგმის გაანგარიშების დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენს ათეული წლების გამოცდილება, — გამოცდილება, რის შედარებაც შეუძლიათ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთი ეკონომიური წყობით ერთგვაროვანნი არიან და მხოლოდ წვრილმანებში განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ამ შედარებიდან შეიძლება გამოყვანილ იქნეს ნამდვილად მეცნიერული კანონი, ერთგვარი კანონზომიერება და სისწორე. ასეთი გამოანგარიშებისათვის ჩვენ ამ გამოცდილების მსგავსი რამ არა გვქონდა რა და არც შეიძლებოდა გვქონოდა; და სავსებით ბუნებრივია, რომ, როდესაც, ბოლოს, ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა შესაძლებლობა უფრო მეტი მიგვეცა დამშეული მოსახლეობისათვის, ჩვენ ერთბაშად ვერ შევძელით მართებული ზომის დადგენა. ცხა-

დია, ჩვენ უნდა შეგვეზღუდა ულუფის გადიდება და ამ შეზღუდვის გზით შეგვექმნა ერთგვარი სამარაგო ფონდი შავი დღისათვის, რომელიც გაზაფხულზე უნდა დამდგარიყო და დადგა კიდეც. ეს ჩვენ არ გვიქნია. აქაც ისევ შეცდომა ჩავიდინეთ, ამასთან ისეთი შეცდომა, რომელიც მთელ ჩვენს მუშაობას სჩვეოდა, — შეცდომა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ომიდან მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლამ ჩვენ წამოგვიყენა მთელი რიგი ისეთი ამოცანები და სიძნელენი, რომელთა გადასალახავად არ გაგვაჩნდა არც გამოცდილება, არც მომზადება, არც საჭირო მასალა, და ამრიგად მივიღეთ ის, რომ კრიზისი უაღრესად გაძლიერდა, გამწვავდა და გაღრმავდა.

რაღაც ამის ანალოგიური, უეჭველია, იყო სათბობის საქმეშიც. ეს სამეურნეო მშენებლობის ძირითადი საკითხია. მთელი გადასვლა ომიდან მშვიდობიან მდგომარეობაზე, მთელი გადასვლა სამეურნეო მშენებლობაზე, — რაზედაც ლაპარაკი იყო პარტიის წინა ყრილობაზე და რაც საანგარიშო წლის განმავლობაში მთელი პოლიტიკის მთავარ საზრუნავსა და ყურადღების მთავარ საგანს შეადგენდა, — ყოველივე ეს, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა დამყარებული და დაფუძნებული არ ყოფილიყო სათბობის მოპოვების აღრიცხვაზე და მის სწორ განაწილებაზე. უამისოდ ლაპარაკიც კი არ შეიძლება არც სიძნელეთა გადალახვაზე და არც მრეწველობის აღდგენაზე. ჩვენ რომ ამ მხრივ ახლა უკეთეს პირობებში ვართ, ვიდრე გასულ წელს ვიყავით, ეს ცხადია. წინათ ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ქვანახშირისა და ნავთის რაიონებს. წითელი არმიის გამარჯვებათა შემდეგ ჩვენ ქვანახშირი და ნავთი მივიღეთ. ყოველ შემთხვევაში, სათბობის რესურსები გავადიდეთ. ჩვენ ვიცით, რომ სათბობის ის რესურსები, რომლებითაც ჩვენ ფეხი შევდგით საანგარიშო წელიწადში, წინანდელზე მეტი იყო. აქაც, სათბობის რესურსების გადიდების ნიადაგზედაც, ჩვენ შეცდომა ჩავიდინეთ, როცა ერთბაშად დავუშვით სათბობის ისე ფართოდ განაწილება, რომელმაც ამოწურა ეს სათბობი რესურსები, და ჩვენ უფრო ადრე აღმოვჩნდით სათბობის კრიზისის წინაშე, ვიდრე ყველაფერს

წესიერ მუშაობაზე გადავიყვანდით. ყველა ამ საკითხზე აქ თქვენ სპეციალურ მოხსენებებს მოისმენთ, და მე ახლა არ შემიძლია დაახლოებითაც კი წარმოგიდგინოთ ის მონაცემები, რომლებიც ამ საკითხის შესახებ მოგვეპოვება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თუ წარსულის გამოცდილებას გავითვალისწინებთ, უნდა ვთქვათ, რომ ეს შეცდომა დაკავშირებულია საქმის ვითარების არასწორ წარმოდგენასთან და ომიდან მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლის სისწრაფესთან. აღმოჩნდა, რომ ეს გადასვლა შესაძლებელია, მხოლოდ გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი. საჭიროა გაცილებით უფრო ხანგრძლივი მომზადება, უფრო ნელი ტემპი, — აი გაკვეთილი, რომელიც ჩვენ ამ წლის განმავლობაში მივიღეთ, გაკვეთილი, რომელიც მთელმა პარტიამ უაღრესად გულდასმით უნდა შეითვისოს, რათა მომავალი წლისათვის განსაზღვროს ჩვენი ძირითადი ამოცანები და რათა აღნიშნული შეცდომები შემდეგში თავიდან აიცილოს.

უეჭველია, ამასთან უნდა ითქვას, რომ ეს შეცდომები გამწვავდა და განსაკუთრებით გამწვავდა მათგან გამომდინარე კრიზისები მოუსავლობის გამო. თუ აღვნიშნე, რომ სასურსათო მუშაობამ საანგარიშო წელს გაცილებით უკეთესი სასურსათო რესურსები მოგვცა, უნდა ითქვას, რომ ესეც იყო კრიზისების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო, რადგან მოუსავლობის გამო, რამაც გამოიწვია დიდი უსაკვებობა, პირუტყვის დაცემა და გლეხური მეურნეობის გაჩანაგება, ამ სასურსათო გაწერათა ცენტრი იმ ადგილებში მოექცა, სადაც ნაჭარბი პური არც ისე დიდი იყო. ნაჭარბი გაცილებით უფრო მეტია რესპუბლიკის სხვადასხვა განაპირა მხარეში, — ციმბირში, ჩრდილო კავკასიაში, — მაგრამ საბჭოთა აპარატი სწორედ იქ იყო ყველაზე ნაკლებად მოწყობილი, საბჭოთა ხელისუფლება სწორედ იქ იყო ყველაზე ნაკლებად მტკიცე, და იქიდან ტრანსპორტიც ძალიან გაძნელებული იყო. ამიტომაც გამოვიდა, რომ გადიდებული სასურსათო რესურსები ჩვენ ყველაზე ნაკლებ მოსავლიან გუბერნიებში შევაგროვეთ, და ამით გლეხური მეურნეობის კრიზისი უაღრესად გამწვავდა.

აქაც ისევ და ისევ ცხადად ვხედავთ, რომ აღრიცხვის მხრივ სათანადო სისწორე არა გვქონდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიყავით, რომ არავითარი არჩევანი არ გვქონდა. ქვეყანა, რომელმაც გამაჩანაგებელი იმპერიალისტური ომის შემდეგ ისეთი რამ გადაიტანა, როგორიცაა მრავალი წლის სამოქალაქო ომი, რასაკვირველია, ვერ იარსებებდა, თუ მთელ თავის ძალებს ფრონტს არ მოანდომებდა. და, რასაკვირველია, გაჩანაგებულ ქვეყანას სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ სასურსათო ნაჭარბი აეღო გლეხობისაგან, თუნდაც არავითარი სხვა საშუალებით არ აენაზღაურებინა იგი. ეს აუცილებელი იყო, რათა გვეხსნა ჩვენი ქვეყანა, არმია და მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ჩვენ ვეუბნებოდით გლეხებს: «რასაკვირველია, თქვენ პურს სესხად აძლევთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, მაგრამ სხვანაირად ვერ იხსნით თქვენს სახელმწიფოს მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან». ჩვენ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით იმ პირობებში, რომლებსაც ჩვენ თავს გვახვევდნენ იმპერიალისტები და კაპიტალისტები თავიანთი ომით. ჩვენ სხვა არჩევანი არ გვქონდა. მაგრამ ამ გარემოებებმა ჩვენ იქამდე მიგვიყვანეს, რომ გლეხური მეურნეობა ომის შემდეგ, რომელიც ასე დიდხანს გრძელდებოდა, ისე დასუსტდა, რომ მოუსავლობის მიზეზი შეიქნა ნათესის შემცირებაც, წარმოების საშუალებათა გაუარესებაც, მოსავლიანობის დაკლებაც, მუშახელის ნაკლებობაც და ა. შ.. მოუსავლობა უდიდესი აღმოჩნდა, და თუმცა იმაზე მეტი სასურსათო ნაჭარბი შევაგროვეთ, ვიდრე მოველოდით, მაგრამ ამას თან ახლდა კრიზისის ისეთი გამწვავება, რომელიც, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტ სიძნელეებსა და უბედურებას გვიმზადებს მომავალ თვეებში. ეს გარემოება ყურადღებით უნდა გავითვალისწინოთ იმის ანალიზის დროს, თუ რა განვიცადეთ პოლიტიკაში საანგარიშო წელს და რა პოლიტიკური ამოცანები უნდა დავისახოთ ახალი წლისათვის. საანგარიშო წელმა მომავალ წელს ისევ ის გადაუდებელი ამოცანები დაუტოვა.

ახლა გადავალ ჯერ მეორე პუნქტზე, სულ სხვა სფეროდან — პროფკავშირების შესახებ გამართულ დისკუსიაზე, რომელმაც პარტიას ესოდენ ბევრი დრო წაართვა. დღეს უკვე მომიხდა ამაზე ლაპარაკი და, რასაკვირველია, მხოლოდ ფრთხილად შემეძლო მეთქვა, რომ, ვეჭვობ, ბევრმა თქვენგანმა არ შეაფასოს ეს დისკუსია, როგორც უზომო ფუფუნება. პირადად არ შემიძლია არ დავძინო, რომ, ჩემი შეხედულებით, ეს ფუფუნება მართლაც სრულიად შეუწყნარებელი იყო და რომ ამ დისკუსიის დაშვებით ჩვენ, უეჭველია, შეცდომა ჩავიდინეთ, როცა ვერ შევამჩნიეთ, რომ ჩვენ ამ დისკუსიის დროს პირველ ადგილზე წამოვჭიმეთ ისეთი საკითხი, რომელიც ობიექტური პირობების გამო არ შეიძლება პირველ ადგილზე იდგეს; ჩვენ ფუფუნებას მივეცით თავი და ვერ შევამჩნიეთ, თუ რამდენად ჩამოვაშორეთ ყურადღება იმას, რაც საარსებო და მრისხანეა, რაც ასე ახლოსაა ჩვენთან, — იმავე კრიზისის საკითხს. მერე როგორია ნამდვილი შედეგები ამ დისკუსიისა, რომელმაც ესოდენ ბევრი თვე წაგვართვა და, ალბათ, აქ დამსწრეთა უმრავლესობასაც თავი მოაბეზრა? ამაზე თქვენ სპეციალურ მოხსენებებს მოისმენთ, მაგრამ მე მინდა ჩემს ანგარიშში ყურადღება მივაქციო საქმის ერთ მხარეს, — სახელდობრ იმას, რომ აქ, უეჭველია, გამართლდა ერთი ანდაზა: «ზოგი ჭირი მარგებელიაო».

სამწუხაროდ, ჭირი ცოტა მეტი აღმოჩნდა, მარგებელი კი — ცოტა ნაკლები (ს ი ც ი ლ ი). მაგრამ მარგებელი რამ მაინც იყო: ეს ის არის, რომ, თუმცა დრო დავკარგეთ, თუმცა ჩვენი პარტიული ამხანაგების ყურადღება ჩამოვაშორეთ ჩვენი გარემომცველი წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლის საარსებო ამოცანებს, მაინც ვისწავლეთ გამოცნობა ზოგიერთი ურთიერთდამოკიდებულებისა, რომელსაც წინათ ვერ ვხედავდით. მარგებელი ის აღმოჩნდა, რომ პარტიას არ შეეძლო ამ ბრძოლაში ზოგი რამ არ ესწავლა. თუმცა ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენ, როგორც მმართველ პარტიას, არ შეგვეძლო არ შეგვეერთებინა პარტიულ «ზედა-

ფენებთან» საბჭოთა «ზედაფენები», — ისინი ჩვენში შეერთებული არიან და ასეთნი დარჩებიან, — მაგრამ პარტიამ ამ დისკუსიაში მიიღო გარკვეული გაკვეთილი, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ზოგ პლატფორმას უმთავრესად პარტიის «ზედაფენები» აძლევდნენ ხმას. აღმოჩნდა, რომ პლატფორმები, რომლებსაც ზოგჯერ ««მუშათა ოპოზიციის» პლატფორმებს» უწოდებდნენ, ზოგჯერ კიდევ სხვა რამეს, აშკარა სინდიკალისტურ გადახრას წარმოადგენდნენ. და ეს არის არა ჩემი პირადი აზრი, არამედ აქ დამსწრეთა დიდი უმრავლესობის აზრი (ხ მ ე ბ ი: «მართალია»).

პარტია ამ დისკუსიაში იმდენად მომწიფებული აღმოჩნდა, რომ, როცა დაინახა «ზედაფენების» ერთგვარი მერყეობა, როცა დაინახა, რომ «ზედაფენები» ამბობენ: «ჩვენ ვერ შევთანხმდით, გაგვსაჯეთო», — იგი ამ ამოცანისათვის სწრაფად დაირაზმა, და ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიული ორგანიზაციების უდიდესმა უმრავლესობამ სწრაფადვე გვიპასუხა: «ჩვენ გვაქვს ჩვენი აზრი და გაგიზიარებთ კიდეც ამ აზრსაო».

ამ დისკუსიაში ჩვენ მთელი რიგი პლატფორმები მივიღეთ. ისე ბევრი პლატფორმა იყო, რომ მე, მაგალითად, თუმცა თანამდებობის მიხედვით ვალდებულიც ვიყავი ისინი წამეკითხა, მაგრამ, ვშიშობ, რომ შევცოდე და ყველა ვერ წავიკითხე (ს ი ც ი ლ ი). მე არ ვიცი, იყო თუ არა ყველა აქ დამსწრე იმდენად მოცლილი, რომ ეს პლატფორმები წაეკითხა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ეს სინდიკალისტური გადახრა და, რამდენადმე, ნახევრადანარქისტული გადახრაც კი, რომელიც გამოაშკარავდა, ბევრ მასალას იძლევა იმისათვის, რომ მას ჩავუფიქრდეთ. რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ ისეთ ფუფუნებას ვეძლეოდით, რომ გვიტაცებდა აზრების ნაირსახეობათა შესწავლა. ამავე დროს კი არმიის დემობილიზაცია წარმოშობდა ბანდიტიზმს, ამწვავებდა ეკონომიურ კრიზისს. ამ დისკუსიას ჩვენთვის ხელი უნდა შეეწყო იმის გაგებაში, რომ ჩვენი პარტია, როგორც პარტია, რომლის წევრთა რიცხვი, დაახლოებით, ნახევარ მილიონზე ნაკლები არ არის და გადასცილდა კიდეც ნახევარ მილიონს, გადაიქცა,

ჯერ ერთი, მასობრივ პარტიად, მეორეც — მთავრობის პარტიად, და რომ, როგორც მასობრივი პარტია, იგი ნაწილობრივ ზოგ ისეთ რამეს ასახავს, რაც მისი რიგების გარეთ ხდება. ამის გაგება ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია.

საშიში არ იქნებოდა მცირე სინდიკალისტური თუ ნახევრადანარქისტული გადახრა: პარტია სწრაფად და გაბედულად შეიგნებდა მას და შეუდგებოდა მის გამოსწორებას. მაგრამ თუ იგი დაკავშირებულია გლეხობის უზარმაზარ სიჭარბესთან ჩვენს ქვეყანაში, თუ ამ გლეხობის უკმაყოფილება პროლეტარული დიქტატურის გამო იზრდება, თუ გლეხური მეურნეობის კრიზისი უკიდურესობამდე მიდის, თუ გლეხური არმიის დემობილიზაცია კალაპოტიდან აგდებს ასობით და ათასობით თავგზააბნეულ ადამიანებს, რომლებიც საქმეს ვეღარ ნახულობენ, მხოლოდ ომის წარმოებას არიან შეჩვეულნი, როგორც ხელობას, და წარმოშობენ ბანდიტიზმს, — მაშინ თეორიულ გადახრებზე კამათის დრო აღარ არის. და ჩვენ ყრილობაზე პირდაპირ უნდა ვთქვათ: კამათს გადახრებზე ჩვენ არ დავუშვებთ, ჩვენ ამ მხრივ წერტილი უნდა დავსვათ. ეს შეუძლია და უნდა ქნას პარტიულმა ყრილობამ, აქედან მან სათანადო გაკვეთილი უნდა გამოიტანოს, და ეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშს უნდა დაუმატოს, განამტკიცოს, დაადასტუროს და პარტიისათვის სავალდებულოდ, კანონად გადააქციოს. კამათის ვითარება უაღრესად საშიში ხდება, პირდაპირ მუქარა ხდება პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ზოგიერთი ამხანაგი, რომლებთანაც მე მიხდებოდა შეხვედრა და კამათი დისკუსიის დროს, როდესაც მე რამდენიმე თვის წინათ ვამბობდი: «ფრთხილად, აქ არის ისეთი რამ, რაც ემუქრება მუშათა კლასის ბატონობას და მუშათა კლასის დიქტატურას-მეთქი!», — მიპასუხებდნენ: «ეგ დაშინების ხერხია, თქვენ ჩვენ ტერორქვეშ გვაყენებთო». რამდენჯერმე უნდა მომესმინა ჩემი შენიშვნებისათვის ასეთი კუდის გამობმა, — ვითომც მე ვიღაცას ტერორქვეშ ვაყენებდე, — და ამაზე ვუპასუხებდი ხოლმე, რომ ჩემი მხრით სასაცილო იქნებოდა

ძველი რევოლუციონერების ტერორიზება, რომლებსაც ვინ იცის რა არ გადახდომიათ. მაგრამ როდესაც თქვენ ხედავთ, თუ რა სიძნელეებს გვიქმნის დემობილიზაცია, ახლა სადავო არ შეიძლება იყოს, რომ აქ არათუ არ ყოფილა ტერორიზება, კამათში აუცილებელი გატაცებაც კი, არამედ სავსებით ზუსტად იყო აღნიშნული ის, რაც კარს მოგვადგა, ის, რომ გვესაჭიროება დარაზმულობა, სიმტკიცე და დისციპლინა, — არა მარტო იმიტომ, რომ უამისოდ პროლეტარული პარტია ერთსულოვნად ვერ იმუშავებს, არამედ იმიტომაც, რომ გაზაფხულმა მოგვიტანა ისეთი მძიმე პირობები და იგი კიდევ მოგვიტანს ისეთ მძიმე პირობებს, როცა შეუძლებელია ვიმოქმედოთ ისე, თუ მაქსიმალურად დარაზმულნი არ ვიქნებით. მე ვფიქრობ, რომ დისკუსიიდან ამ ორი მთავარი გაკვეთილის გამოტანას მაინც შევძლებთ. და ამიტომ, მგონია, უნდა ითქვას: თუ ჩვენ ფუფუნებას მივეცით თავი და ქვეყნიერებას ვაჩვენეთ გასაოცარი ნიმუში იმისა, რომ პარტია, თავგანწირული ბრძოლის უძნელეს პირობებში ჩაყენებული, იჩენს გაუგონარ ყურადღებას პლატფორმების ცალკეულ წვრილმანთა. დეტალების გამორკვევისადმი, — და ეს მოუსავლობისა და კრიზისის პირობებში, გაჩანაგებისა და დემობილიზაციის პირობებში, რომლებშიც ჩვენ აღმოვჩნდით, — სამაგიეროდ ამ გაკვეთილებიდან ახლა ჩვენ გამოვიტანთ პოლიტიკურ დასკვნას, არა მარტო იმ დასკვნას, რომელიც ამა თუ იმ შეცდომაზე მიგვითითებს, არამედ პოლიტიკურ დასკვნას, რომელიც შეეხება კლასების ურთიერთობას, მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობას. ეს ურთიერთობა ისეთი აღარ არის, როგორიც ჩვენ გვეგონა. ეს ურთიერთობა პროლეტარიატისაგან მოითხოვს განუზომლად უფრო მეტ დარაზმულობასა და ძალთა მოკრებას; ეს ურთიერთობა პროლეტარიატის დიქტატურის დროს ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე ერთად აღებული ყველა დენიკინის, კოლჩაკისა და იუდენიჩის საშიშროება. ამ მხრივ არავინ არ უნდა შეცდეს, რადგან ეს ყველაზე საბედისწერო იქნებოდა! დიდია ის სიძნელენი, რომელნიც ამ წვრილბურჟუაზიული სტიქიიდან გამომდინარეობენ, და მათ

დასაძლევად საჭიროა დიდი დარაზმულობა, — არა მარტო ფორმალური დარაზმულობა, — საჭიროა ერთსულოვანი, შეთანხმებული მუშაობა, ერთიანი ნებისყოფა, რადგან პროლეტარული მასის მხოლოდ ასეთი ნებისყოფით შეუძლია პროლეტარიატს განახორციელოს გლეხურ ქვეყანაში თავისი დიქტატურისა და ხელმძღვანელობის უზარმაზარი ამოცანები.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან დახმარება მოდის, მაგრამ ეს დახმარება ასე ჩქარა არ მოდის. იგი მოდის და იზრდება.

დილის სხდომაზე მე უკვე ვთქვი, რომ საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორს — ესეც მჭიდროდ დაკავშირებულია ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობასთან — წარმოადგენს კომინტერნის II კონგრესის მოწყობა. რა თქმა უნდა, საერთაშორისო რევოლუციამ ახლა, გასულ წელთან შედარებით, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. რა თქმა უნდა, კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც შარშანდელი კონგრესის დროს მხოლოდ პროკლამაციების სახით არსებობდა, ახლა ყველა ქვეყანაში უკვე არსებობს როგორც დამოუკიდებელი პარტია, და არა მარტო როგორც დამოუკიდებელი პარტია, — კომუნიზმი საერთოდ მთელი მუშათა მოძრაობის ცენტრალურ საკითხად გადაიქცა. გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში კომუნისტური ინტერნაციონალი გადაიქცა არა მარტო მუშათა მოძრაობის ცენტრად, არამედ ამ ქვეყნების მთელი პოლიტიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრადაც. შეუძლებელი იყო შემოდგომაზე ხელში აგეღოთ გერმანული ან ფრანგული გაზეთი და არ დაგენახათ, თუ როგორ აგინებდნენ იქ მოსკოვსა და ბოლშევიკებს, როგორი ზედსართავი სახელებით გვამკობდნენ, როგორ ქმნიდნენ ბოლშევიკებიდან და III ინტერნაციონალში მიღების 21 პირობიდან[40] მთელი თავიანთი საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალურ საკითხს. ეს ჩვენი მონაპოვარია, და ამას ჩვენ ვერავინ წაგვართმევს! ეს გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება საერთაშორისო რევოლუცია და, პარალელურად, როგორ მწვავდება ევროპაში ეკონომიური კრიზისი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თუ აქედან ჩვენ იმ

ვარაუდს დავუშვებდით, რომ საზოგადოდ მოკლე ხანში მოგვივა იქიდან დახმარება მკვიდრი პროლეტარული რევოლუციის სახით, მაშინ ჩვენ პირდაპირ გიჟები ვიქნებოდით, ამ დარბაზში კი, მე დარწმუნებული ვარ, ასეთი ხალხი არ მოიპოვება. სამი წლის განმავლობაში ჩვენ ვისწავლეთ იმის გაგება, რომ საერთაშორისო რევოლუციის მოლოდინი არ ნიშნავს განსაზღვრული ვადის ვარაუდს, და რომ განვითარების ტემპს, რომელიც სულ უფრო და უფრო სწრაფი ხდება, შესაძლებელია გაზაფხულისათვის მოჰყვეს რევოლუცია და შესაძლებელია არც მოჰყვეს. და ამიტომ ჩვენ უნდა შეგვწევდეს უნარი ისე შევუფარდოთ ჩვენი მოქმედება ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების შიგნით არსებულ კლასობრივ თანაფარდობას, რომ დიდი ხნით შევძლოთ პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება და, თუნდაც თანდათანობით, ყველა იმ უბედურებიდან და კრიზისებიდან თავის დაღწევა, რომლებიც თავს გვატყდება. საკითხის მხოლოდ ასეთი დაყენება იქნება სწორი და საღი.

ახლა გადავალ ერთ პუნქტზე, რომელიც ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მოღვაწეობას ეხება და უახლოვდება ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს. ეს არის საზღვარგარეთთან ურთიერთობის საკითხი.

პარტიის IX ყრილობამდე ჩვენი ყურადღება და მთელი ჩვენი ძალ-ღონე იქით იყო მიმართული, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ომის ურთიერთობის ნაცვლად მშვიდობიანი და სავაჭრო ურთიერთობა დაგვემყარებინა. ამისათვის ჩვენ ყოველგვარი დიპლომატიური ნაბიჯები გადავდგით და გამარჯვებულნი გამოვედით, უეჭველად, დიდი დიპლომატების წინააღმდეგ. როდესაც, მაგალითად, ამერიკის წარმომადგენლები ან ერთა ლიგის წარმომადგენლები წინადადებას გვაძლევდნენ განსაზღვრული პირობებით შეგვეწყვიტა საომარი მოქმედება დენიკინისა და კოლჩაკის წინააღმდეგ, ისინი ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მძიმე პირობებში ჩავვარდებოდით. ნამდვილად კი ისინი აღმოჩნდნენ მძიმე პირობებში, ხოლო ჩვენ დიპლომატიურად დიდი გამარჯვება

მოვიპოვეთ. ისინი გაბრიყვებულნი დარჩნენ და იძულებულნი გახდნენ უკან წაეღოთ თავიანთი პირობები, რაც შემდეგ გამომჟღავნებულ იქნა მთელი მსოფლიოს მთელ დიპლომატიურ ლიტერატურასა და პრესაში. მაგრამ ჩვენ დიპლომატიური გამარჯვებით ვერ დავკმაყოფილდებით, — ეს ჩვენთვის ძალიან ცოტაა. ჩვენ გვჭირდება ნამდვილი სავაჭრო ურთიერთობა და არა მარტო დიპლომატიური გამარჯვებანი. მაგრამ მხოლოდ წელს მივიდა საქმე იქამდე, რომ სავაჭრო ურთიერთობა რამდენადმე უკვე ვითარდება. დადგა საკითხი ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობისა. გასული წლის ზაფხულიდან დაწყებული, ეს ცენტრალურ პუნქტად იქცა. პოლონეთთან წარმოებულმა ომმა ამ მხრივ დიდად დაგვწია უკან. ინგლისი უკვე მზად იყო ხელი მოეწერა სავაჭრო შეთანხმებისათვის. ინგლისის ბურჟუაზიას უნდოდა ეს შეთანხმება, ინგლისის სამეფო კარის წრეებს ეს არ სურდათ, ისინი საქმეს ფუშავდნენ, პოლონეთთან წარმოებულმა ომმა გააჭიანურა შეთანხმების დადება. მოხდა ისე, რომ საქმე დღემდეც არ არის გადაწყვეტილი.

დღეს, მგონი, გაზეთებში იყო ცნობა: კრასინმა ლონდონში პრესას აუწყა, იმედი მაქვს, რომ სავაჭრო ხელშეკრულებას მალე მოვაწერ ხელსო[41]. მე არ ვიცი, სავსებით უზრუნველყოფილია თუ არა ამ იმედის განხორციელება. მე არ შემიძლია ვთქვა, მოხდება თუ არა ეს ნამდვილად, მაგრამ, ჩემი მხრით, უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხს დიდ ადგილს ვუთმობდით და ჩვენი მხრით სწორად მიგვაჩნდა დათმობათა ტაქტიკა, რათა მიგვეღწია ინგლისთან სავაჭრო შეთანხმებისათვის.

ამასთან დაკავშირებულია კონცესიების საკითხი. გასული წლის განმავლობაში ჩვენ ამ საკითხს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევდით, ვიდრე წინათ. 23 ნოემბერს გამოვიდა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი, რომელშიც კონცესიების საკითხი განმარტებულია იმ სახით, რა სახითაც იგი ყველაზე უფრო მისაღებია საზღვარგარეთელი კაპიტალისტებისათვის. როდესაც პარტიულ წრეებში ამ საკითხის გამო თავი იჩინა

ერთგვარმა გაუგებრობამ, ან იგი ვერ იქნა სავსებით გაგებული, გაიმართა პასუხისმგებელ მუშაკთა მთელი რიგი კრებები, რომლებზედაც ამ საკითხის გამო დისკუსია წარმოებდა. საერთოდ და მთლიანად მას აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია, თუმცა მუშებისა და გლეხების მხრივ საკმაო პროტესტები მოვისმინეთ. ამბობდნენ: «თავიანთი კაპიტალისტები გააძევეს, ახლა კი უნდათ უცხოელი კაპიტალისტები მოიწვიონო». თუ რამდენად შეუგნებელი იყო ეს პროტესტები, რამდენად აქ ისმოდა უპარტიოთა კულაკური ან პირდაპირ კაპიტალისტური ნაწილის ვარაუდი, — იმ უპარტიოთა ნაწილისა, რომელთაც ჰგონიათ, რომ მათ აქვთ კანონიერი უფლება კაპიტალისტებად იყვნენ რუსეთში, ამასთან ძალაუფლების მქონე კაპიტალისტებად, და არა ისე, რომ უცხოეთის კაპიტალი მოზიდულ იქნეს უძალაუფლებოდ, — რამდენად ესა თუ ის გარემოება თამაშობდა აქ როლს, ამის შესახებ ცენტრალურ კომიტეტში, რა თქმა უნდა, არავითარი სტატისტიკური მონაცემები არ მოიპოვებოდა, და საერთოდაც საეჭვოა, რომ ქვეყნად რომელიმე სტატისტიკას შეეძლოს ამის აღრიცხვა და გამორკვევა. მაგრამ ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ამ დეკრეტით ნაბიჯს ვდგამდით იქითკენ, რომ საკონცესიო ურთიერთობა გაგვება. უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში — და ეს არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ — ჩვენ არც ერთი კონცესია არ მიგვიღია. დავა ჩვენს შორის წარმოებს იმის გამო, უნდა ვცდილობდეთ თუ არა მათ მიღებას რადაც უნდა დაგვიჯდეს. მივიღებთ თუ არა მათ, — ეს დამოკიდებულია არა ჩვენს დავასა და გადაწყვეტილებაზე, არამედ საერთაშორისო კაპიტალზე. მიმდინარე წლის 1 თებერვალს სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა სხვა დადგენილება კონცესიების საკითხზე. ამ დადგენილების პირველი პუნქტი ამბობს: «მოწონებულ იქნეს პრინციპულად ნავთის კონცესიების გაცემა გროზნოსა და ბაქოში და სხვა მოქმედ სარეწებზე და დაიწყოს მოლაპარაკება, რომელიც დაჩქარებით უნდა წარმოებდეს».

ამ საკითხის გამო ერთგვარი დავა ატყდა. კონცესიების გაცემა სახელდობრ ვროზნოსა და ბაქოში ამხანაგებს ეჩვენე-

ბოდათ არასწორად, ისეთ რამედ, რასაც შეეძლო გამოეწვია ოპოზიცია მუშებში. ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა და პირადად მე იმ თვალსაზრისზე დავდექით, რომ, იქნებ, ჩივილი აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა და პირადად მე ამ კონცესიების აუცილებლობის თვალსაზრისს დავადექით, და ჩვენ გვინდა გთხოვოთ, რომ ეს თვალსაზრისი განამტკიცოთ თქვენი ავტორიტეტით. ეს კავშირი სხვა მოწინავე ქვეყნების სახელმწიფო ტრესტებთან სრულიად აუცილებელია ჩვენთვის, რადგან ჩვენი ეკონომიური კრიზისი იმდენად ღრმაა, რომ დანგრეული მეურნეობის აღდგენას ჩვენი ძალებით, თუ საზღვარგარეთიდან არ მივიღეთ მოწყობილობა და ტექნიკური დახმარება, ვერ შევძლებთ. ამ მოწყობილობის მარტოოდენ ჩამოტანა საკმარისი არ არის. შეიძლება კონცესიები მივცეთ უფრო ფართო საფუძველზე, იქნებ, უდიდეს იმპერიალისტურ სინდიკატებს: მეოთხედი ბაქო, მეოთხედი გროზნო, ჩვენი საუკეთესო ტყის მარაგის მეოთხედი, რომ ამნაირად უზრუნველვყოთ ჩვენთვის აუცილებელი საფუძველი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის შესაფერი მოწყობილობის გამართვით; მეორე მხრივ, ჩვენ ამაში ვიღებთ მეორე ნაწილისათვის მოწყობილობას, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. ამრიგად, ჩვენ შევძლებთ ცოტაოდენ მაინც, თუნდაც მეოთხედით ან ნახევრად, დავეწიოთ სხვა ქვეყნების თანამედროვე მოწინავე სინდიკატებს. ჩვენ რომ უამისოდ მეტად მძიმე მდგომარეობაში ვიქნებით და მთელი ჩვენი ძალ-ღონის კოლოსალური დაძაბვის გარეშე ვერ დავეწევით მათ, — ამაში ვერავინ შეიტანს ეჭვს, ვინც კი ცოტათი მაინც ფხიზლად უყურებს არსებულ მდგომარეობას. მოლაპარაკება ზოგიერთ უდიდეს მსოფლიო ტრესტთან უკვე დაწყებულია. რასაკვირველია, იმათი მხრით ეს ჩვენთვის უბრალო სამსახური არ არის: ამას ისინი მხოლოდ აურაცხელი მოგების გულისათვის სჩადიან. თანამედროვე კაპიტალიზმი, თუ მშვიდი დიპლომატების ენით ვიტყვით, ეს არის ავაზაკი, ავაზაკური ტრესტი, ეს წინანდელი, ნორმალური დროის ეპოქის კაპიტალიზმი

როდია: ის, სარგებლობს რა მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობით, ასეული პროცენტობით იღებს მოგებას.

1921 წ. პირველ თებერვალს სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საზღვარგარეთ შეძენილი ყოფილიყო 18 500 000 ფუთი ქვანახშირი, რადგან მაშინ უკვე თვალსაჩინო გახდა ჩვენი სათბობის კრიზისი. მაშინ უკვე გამოირკვა, რომ ჩვენ მოგვიხდება ჩვენი ოქროს ფონდის დახარჯვა არა მარტო მოწყობილობის საშუალებათა შესაძენად. ეს უკანასკნელი ასწევდა ჩვენს ქვანახშირის წარმოებას, და ჩვენ უკეთ გავუძღვებოდით მეურნეობას, საზღვარგარეთიდან რომ ქვანახშირი კი არ გამოგვეწერა, არამედ მანქანები ქვანახშირის მრეწველობის გასავითარებლად; მაგრამ კრიზისი ისეთი მწვავე აღმოჩნდა, რომ იძულებული გავხდით ამ, ეკონომიურად უკეთესი, მოქმედებიდან უარეს მოქმედებაზე გადავსულიყავით და სახსრები დაგვეხარჯა ქვანახშირის შესაძენად, რომელიც შინ შეგვეძლო გვქონოდა. ჩვენ კიდევ უფრო მეტ დათმობებზე მოგვიხდება დათანხმება გლეხებისა და მუშებისათვის მოხმარების საგნების შესაძენად.

ახლა მე მინდა კრონშტადტის ამბებზე შევჩერდე [42]. ჯერ კიდევ არ მიმიღია კრონშტადტიდან უკანასკნელი ცნობები, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ეს აჯანყება, რომელმაც ასე მალე გამოავლინა ნაცნობი ფიგურა თეთრგვარდიელი გენერლებისა, ლიკვიდირებული იქნება უახლოეს დღეებში, თუ უახლოეს საათებში არა. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ამ მოვლენის პოლიტიკური და ეკონომიური გაკვეთილები.

რას ნიშნავს ეს? ბოლშევიკების ხელიდან პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლას რომელიღაც გაურკვეველი კონგლომერატის ანუ სხვადასხვა ჯურის ელემენტების კავშირის ხელში, რომლებიც თითქოს ბოლშევიკებზე მხოლოდ ცოტათი უფრო მარჯვნივ დგანან და, იქნებ, ცოტა უფრო «მარცხნივაც» კი, — იმდენად გაურკვეველია პოლიტიკურ დაჯგუფებათა ის გროვა, რომელმაც კრონშტადტში სცადა ძალაუფლება აეღო თავის ხელში. უეჭველია, რომ ამავე დროს ოეთრი

ენერლები, — თქვენ ეს ყველამ იცით, — აქ დიდ როლს თამაშობდნენ. ეს სავსებით დამტკიცებულია. კრონშტადტის ამბებამდე ორი კვირით ადრე პარიზის გაზეთებში უკვე იბეჭდებოდა, რომ კრონშტადტში აჯანყებაა. სავსებით ცხადია, რომ აქ ესერები და საზღვარგარეთელი თეთრგვარდიელები მუშაობდნენ, და ამასთან ერთად ეს მოძრაობა წვრილბურჟუაზიულ კონტრრევოლუციად, წვრილბურჟუაზიულ, ანარქიულ სტიქიად იქცა. ეს უკვე რაღაც ახალია. ეს გარემოება, ყველა კრიზისთან დაკავშირებით აღებული, ძალიან ყურადღებით უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკურად და ძალიან საფუძვლიანად განვიხილოთ. აქ თავი იჩინა წვრილბურჟუაზიულმა, ანარქიულმა სტიქიამ, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის ლოზუნგებს აყენებს და ყოველთვის პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ არის მიმართული. და ეს სულისკვეთება ძალიან ფართოდ დაეტყო პროლეტარიატს. დაეტყო მოსკოვის საწარმოებს, დაეტყო პროვინციის მთელი რიგი პუნქტების საწარმოებს. ეს წვრილბურჟუაზიული კონტრრევოლუცია, უეჭველია, უფრო საშიშია, ვიდრე დენიკინი, იუდენიჩი და კოლჩაკი ერთად აღებული, იმიტომ რომ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ქვეყანასთან, სადაც პროლეტარიატი უმცირესობას შეადგენს, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ქვეყანასთან, სადაც გაჩანაგება გლეხურ საკუთრებას დაეტყო, გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს კიდევ ისეთი რამ, როგორიცაა არმიის დემობილიზაცია, რომელიც წარმოუდგენელი რაოდენობით იძლევა საჯანყებო ელემენტს. რაც უნდა მცირე ან არცთუ ისე დიდი იყოს დასაწყისში, როგორ ვთქვათ, ხელისუფლების გადაწევა, რომელიც კრონშტადტელმა მეზღვაურებმა და მუშებმა მოითხოვეს, — მათ უნდოდათ გაესწორებინათ ბოლშევიკების ხაზი ვაჭრობის თავისუფლების საქმეში, — თითქოს გადაწევა მცირეა, თითქოს ლოზუნგები იგივეა: «საბჭოთა ხელისუფლება», ცოტაოდენი ცვლილებით, ან მხოლოდ შესწორებული, — ნამდვილად კი უპარტიო ელემენტები წარმოადგენენ მხოლოდ ფეხშესადგამს, საფეხურს, ბოგირს, რომლითაც თეთრგვარდიელები მოგვევლინენ. პოლიტიკურად ეს გარდუ-

ვალია. ჩვენ ვხედავდით წვრილბურჟუაზიულ, ანარქიულ ელემენტებს რუსეთის რევოლუციაში, ჩვენ მათ ვებრძოდით ითეული წლების განმავლობაში. 1917 წლის თებერვლიდან ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ მოქმედებდნენ ეს წვრილბურჟუაზიული ელემენტები დიდი რევოლუციის დროს, დავინახეთ, თუ როგორ ცდილობდნენ წვრილბურჟუაზიული პარტიები განეცხადებინათ, რომ ისინი თავიანთი პროგრამით ცოტათი განსხვავდებიან ბოლშევიკებისაგან, ოღონდ მას სხვა მეთოდებით ახორციელებენ. ჩვენ ეს ვიცით არა მარტო ოქტომბრის გადატრიალების გამოცდილებიდან, ჩვენ ეს ვიცით წინანდელი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი იმ განაპირა მხარეების, სხვადასხვა ნაწილების გამოცდილებიდან, სადაც საბჭოთა ხელისუფლებას ცვლიდნენ სხვა ხელისუფლების წარმომადგენელნი. გავიხსენოთ სამარის დემოკრატიული კომიტეტი [43]! ესენი ყველანი თანასწორობის, თავისუფლების, დამფუძნებელი კრების ლოზუნგებით მოდიოდნენ, და ისინი ერთხელ კი არა, მრავალჯერ გამხდარან უბრალო საფეხურად, ბოგირად თეთრგვარდიელთა ხელისუფლებაზე გადასვლისათვის.

მთელი ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს საქმით, თუ რით თავდება ორ სკამს შუა ჯდომის ცდა. ამიტომაც სწორედ ამის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ აქ პოლიტიკური შეხლა-შემოხლა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ამ წვრილბურჟუაზიულ კონტრრევოლუციას, რომელიც ვაჭრობის თავისუფლების ლოზუნგებს აყენებს.

ეს საფრთხე გვიჩვენებს იმას, რასაც მე ვამბობდი, როდესაც ვეხებოდი ჩვენს დავას პლატფორმებზე; ამ საფრთხის წინაშე უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ არა მარტო ფორმალურად უნდა შევწყვიტოთ პარტიული დავა, — ამას ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიზამთ, — მაგრამ ეს ცოტაა! ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საკითხს უფრო სერიოზულად უნდა მივუდგეთ.

ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გლეხური მეურნეობის კრიზისის პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია სხვანაირად არსებობა, თუ

ამ გლეხურ მეურნეობას ქალაქისა და სოფლის დასახმარებლად არ მივმართეთ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზია ცდილობს აამხედროს გლეხობა მუშების წინააღმდეგ, ცდილობს მუშათა ლოზუნგების საფარით აამხედროს მათ წინააღმდეგ წვრილბურჟუაზიული ანარქიული სტიქია, რაც უშუალოდ გამოიწვევდა პროლეტარიატის დიქტატურის დამხობას და, მაშასადამე, კაპიტალიზმის, ძველი მემამულურ-კაპიტალისტური ძალაუფლების აღდგენას. აქ პოლიტიკური საფრთხე თვალწინ გვიდგას. ეს გზა მთელმა რიგმა რევოლუციებმა ფრიად მკაფიოდ გაიარეს, ამ გზაზე ჩვენ ყოველთვის მივუთითებდით. ეს გზა ჩვენს წინაშე ნათლად გამოისახა. იგი კომუნისტების მმართველი პარტიისაგან, პროლეტარიატის ხელმძღვანელი რევოლუციური ელემენტებისაგან, უეჭველია, მოითხოვს არა ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც ამ წლის განმავლობაში ჩვენ ძალიან ხშირად გამოგვიჩენია. ეს საფრთხე, უეჭველად, მეტ დარაზმულობას, უეჭველად, მეტ დისციპლინას, უეჭველად, მეტ ერთსულოვან მუშაობას მოითხოვს! უამისოდ შეუძლებელია დავძლიოთ ის საშიშროებანი, რომელნიც ბედმა გვარგუნა.

შემდეგ კი ეკონომიური საკითხები დგას. რას ნიშნავს ვაჭრობის თავისუფლების ეს ლოზუნგი, რომელსაც წვრილბურჟუაზიული სტიქია აყენებს? იგი გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატისა და წვრილ მიწათმოქმედთა ურთიერთობაში არის ისეთი ძნელი პრობლემები, არის ისეთი ამოცანები, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გადაგვიწყვეტია. მე ვლაპარაკობ ძლევამოსილი პროლეტარიატის ურთიერთობაზე წვრილ მეურნეებთან, როდესაც პროლეტარული რევოლუცია ვითარდება ისეთ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი უმცირესობას შეადგენს, სადაც უმრავლესობა წვრილბურჟუაზიულია. პროლეტარიატის როლი ასეთ ქვეყანაში ის არის, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ წვრილ მეურნეთა გადასვლას განსაზოგადოებულ, კოლექტიურ, თემურ შრომაზე. თეორიულად ეს უეჭველია. ამ გადასვლას ჩვენ შევეხეთ

მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქმე საკანონმდებლო აქტები როდია, არამედ მათი პრაქტიკული განხორციელებაა, და ჩვენ ვიცით, რომ ეს მაშინ შეიძლება უზრუნველვყოთ, როდესაც გვექნება უძლიერესი მსხვილი მრეწველობა, რომელსაც შეეძლება ისეთი სიკეთენი მისცეს წვრილ მწარმოებელს, რომ ის პრაქტიკულად დაინახავს ამ მსხვილი მეურნეობის უპირატესობას.

თეორიულად ყოველთვის ასე აყენებდნენ საკითხს მარქსისტები და ყველა სოციალისტი, როდესაც სოციალურ რევოლუციაზე და მის ამოცანებზე ფიქრობდნენ. ჩვენში კი პირველი თავისებურება სწორედ ის თავისებურებაა, რომელზედაც მე ვილაპარაკე და რომელიც რუსეთს უაღრესად ახასიათებს: ჩვენში პროლეტარიატი უბრალო უმცირესობას კი არა, საგრძნობ უმცირესობას შეადგენს, ხოლო გლეხობა დიდი უმრავლესობაა. იმ პირობებმა კი, რომლებშიც ჩვენ რევოლუციის დაცვა მოგვიხდა, ის ქნეს, რომ ჩვენი ამოცანების გადაწყვეტა გაუგონრად ძნელი აღმოჩნდა. ჩვენ არ შეგვეძლო პრაქტიკულად გვეჩვენებინა მსხვილი წარმოების ყველა უპირატესობა, ვინაიდან ეს მსხვილი წარმოება დანგრეულია, ვინაიდან თვითონ იგი მეტად საცოდავად ბოგინობს, მისი აღდგენა კი შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ მსხვერპლის გაღებას სწორედ ამავე წვრილ მიწათმოქმედთ დავაკისრებთ. საჭიროა მრეწველობის აღდგენა, ამისათვის კი სათბობია საჭირო, ხოლო რაკი სათბობია საჭირო, შეშის იმედი უნდა იქონიო, შეშას კი ვერ გაიჩენ, თუ გლეხი და მისი ცხენი არ მოიშველიე. კრიზისის, უსაკვებობისა და პირუტყვის დაცემის პირობებში გლეხმა საბჭოთა ხელისუფლებას კრედიტი უნდა მისცეს — მსხვილი მრეწველობისათვის, რომლისაგანაც ის ჯერჯერობით ვერაფერს ვერ ღებულობს. აი ის ეკონომიური ვითარება, რომელიც უდიდეს სიძნელეებს ქმნის, აი ის ეკონომიური ვითარება, რომელიც გვაიძულებს უფრო ღრმა თვალსაზრისით ჩავუკვირდეთ ომიდან მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლის პირობებს. ჩვენ ომის დროს მეურნეობას ვერ გავუძღვებით ისე, თუ

გლეხებს არ ვუთხარით: «საჭიროა სესხი მისცეთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, რომ მან მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესძლოს». როდესაც მთელი ჩვენი ყურადღება მეურნეობის აღდგენისაკენ არის მიპყრობილი, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენს წინაშეა წვრილი მიწათმოქმედი, წვრილი მეურნე, წვრილი მწარმოებელი, რომელიც სასაქონლო ბრუნვისათვის მუშაობს, ვიდრე მსხვილი წარმოება სრულ გამარჯვებას არ მიაღწევს, ვიდრე იგი არ იქნება აღდგენილი. ეს აღდგენა კი შეუძლებელია ძველ საფუძველზე: ეს მრავალი წლის საქმეა, არა ნაკლებ ათეული წლებისა, ხოლო ჩვენი გაჩანაგების პირობებში, ალბათ, მეტი ხნისაც. მანამდე კი, მრავალი წლის განმავლობაში, ჩვენ საქმე უნდა ვიქონიოთ ამ წვრილ მწარმოებელთან, როგორც ასეთთან, და თავისუფალი ვაჭრობის ლოზუნგი გარდუვალი იქნება. ამ ლოზუნგის საშიშროება ის კი არ არის, რომ იგი თეთრგვარდიულ და მენშევიკურ მისწრაფებებს ჰფარავს, არამედ ის, რომ ეს ლოზუნგი შეიძლება გავრცელდეს, მიუხედავად იმისა, რომ იმავე გლეხურ მასას თეთრგვარდიელები სძულს. სწორედ იმიტომ გავრცელდება ეს ლოზუნგი, რომ იგი წვრილი მწარმოებლის არსებობის ეკონომიურ პირობებს შეეფერება. სწორედ ასეთ მოსაზრებათა გამო ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება და გახსნა დისკუსია გაწერის გადასახადით შეცვლის საკითხზე, დღეს კი პირდაპირ დასვა ეს საკითხი ყრილობაზე, რაც თქვენ კიდევაც მოიწონეთ თქვენი დღევანდელი გადაწყვეტილებით. გადასახადისა და გაწერის საკითხი ჩვენს კანონმდებლობაში დიდი ხანია დაისვა, ჯერ კიდევ 1918 წლის დამლევიდან. გადასახადის კანონი დათარიღებულია 1918 წლის 30 ოქტომბრით. ეს კანონი, რომლითაც წესდება ნატურალური გადასახადი მიწათმოქმედთა მიმართ, მიღებულ იქნა, მაგრამ არ განხორციელებულა. მის გამოქვეყნებას რამდენიმე თვის განმავლობაში რამდენიმე ინსტრუქცია მოჰყვა, და ეს კანონი გამოუყენებელი დარჩა. მეორე მხრივ, გლეხური მეურნეობებიდან ნაჭარბის აღება ისეთ ღონისძიებას ნიშნავდა, რომელიც

სამხედრო გარემოებებმა აბსოლუტური აუცილებლობით მოგვახვიეს თავს, მაგრამ რომელიც გლეხური მეურნეობის არსებობის ცოტაოდნად მაინც მშვიდობიან პირობებს სრულებით არ შეეფერება. გლეხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამდენსა და ამდენს იძლევა, ხოლო ამდენი და ამდენი შეუძლია მოიხმაროს თავისი ადგილობრივი ბრუნვისათვის.

მთელი ჩვენი მეურნეობა, როგორც მთლიანად, ისე ცალკეულ ნაწილებში, სულ ერთიანად გაეღენთილი იყო ომის დროის პირობებით. ანგარიშს ვუწევდით რა ამ პირობებს, ჩვენ ამოცანად უნდა დაგვესახა აგვეკრიფა სურსათის განსაზღვრული რაოდენობა, ამასთან სრულიად არ გაგვეწია ანგარიში იმისათვის, თუ რა ადგილს დაიჭერდა ეს საზოგადოებრივ ბრუნვაში. ახლა, როდესაც ომის საკითხებიდან მშვიდობის საკითხებზე გადავდივართ, ნატურალურ გადასახადს უკვე სხვანაირად ვუყურებთ: ჩვენ მას ვუყურებთ არა მარტო სახელმწიფოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ წვრილ სამიწათმოქმედო მეურნეობათა უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. ჩვენ უნდა შევიგნოთ ის ეკონომიური ფორმები პროლეტარიატის წინააღმდეგ წვრილი სასოფლო-სამეურნეო სტიქიის აღშფოთებისა, რომლებმაც თავი იჩინეს და რომლებიც მწვავდება ახლანდელი კრიზისის დროს. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ამ მხრივ შესაძლებელის მაქსიმუმი გავაკეთოთ. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეა ჩვენთვის. უნდა მივცეთ გლეხს ადგილობრივ ბრუნვაში ერთგვარი თავისუფლების შესაძლებლობა, გაწერის ნაცვლად შემოვიღოთ გადასახადი, რათა წვრილ მეურნეს შეეძლოს უკეთესად ივარაუდოს თავისი წარმოება და გადასახადის შესაბამისად დაადგინოს თავისი წარმოების ფარგლები. რასაკვირველია, ჩვენ ვიცით, რომ იმ ვითარებაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ეს მეტად ძნელად განსახორციელებელი საქმეა. ნათესის ფართობი, მოსავლიანობა, წარმოების საშუალებანი, — ყოველივე ეს შემცირდა, ნაჭარბმაც, უეჭველია, იკლო, და ძალიან ბევრ შემთხვევაში იგი სულაც არ არის. ამ პირობებს ანგარიში უნდა გავუწიოთ,

როგორც ფაქტს. გლეხმა ცოტათი უნდა იშიმშილოს, რომ ამით სრული შიმშილისაგან იხსნას ფაბრიკები და ქალაქები. საერთო-სახელმწიფო მასშტაბით ეს სავსებით გასაგები რამ არის, მაგრამ ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ ამას გაიგებს დაქსაქსული, გალატაკებული მეურნე გლეხი; და ჩვენ ვიცით, რომ იძულების გარეშე აქ ბევრს ვერაფერს გახდები,— იძულება კი გაჩანაგებულ გლეხობაში მეტად ძლიერ წინააღმდეგობას იწვევს. არ უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ ეს ღონისძიება კრიზისისაგან გვიხსნის. მაგრამ ჩვენ ამავე დროს ამოცანად ვისახავთ დავთმოთ მაქსიმუმი, რათა წვრილ მწარმოებელს თავისი ძალების გამოსაჩენად საუკეთესო პირობები შევუქმნათ. დღემდე ჩვენ ომის ამოცანებს ვეგუებოდით, ახლა მშვიდობიანი დროის პირობებს უნდა შევეგუოთ. ეს ამოცანა დადგა ცენტრალური კომიტეტის წინაშე, ეს არის ამოცანა ნატურალურ გადასახადზე გადასვლისა პროლეტარული ხელისუფლების არსებობის პირობით, და იგი მჭიდროდ დაკავშირებულია კონცესიებთან. ამ ამოცანაზე თქვენ სპეციალურად იმსჯელებთ, და იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. პროლეტარულ ხელისუფლებას კონცესიების საშუალებით შეუძლია უზრუნველყოს თავისთვის შეთანხმება მოწინავე ქვეყნების კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, და ამ შეთანხმებაზეა დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის გაძლიერება, ურომლისოდაც ფეხს ვერ გადავდგამთ წინ — კომუნისტური წყობილებისაკენ; მეორე მხრივ, ამ გარდამავალ პერიოდში, იმ ქვეყანაში, სადაც გლეხობა სჭარბობს, ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ გადავიდეთ გლეხობის ეკონომიური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე, მისი ეკონომიური მდგომარეობის შემსუბუქების ღონისძიებათა მაქსიმუმზე. ვიდრე გლეხობა ჩვენ არ გარდაგვიქმნია, ვიდრე მსხვილ მანქანას იგი არ გარდაუქმნია, უნდა უზრუნველვყოთ მისთვის თავისუფალი სამეურნეო საქმიანობის შესაძლებლობა. მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ახლა განვიცდით, მერყევია, ჩვენი რევოლუცია კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვაში არსებობს. ვიდრე ჩვენ ასეთ მერყევ

მდგომარეობაში ვიმყოფებით, იძულებულნი ვართ ვეძებოთ ურთიერთდამოკიდებულების უაღრესად რთული ფორმები. ჩვენ, ომით წელში გატეხილთ, არ შეგვეძლო მთელი ჩვენი ყურადღება მიგვეპყრო იმაზე, თუ როგორ მოგვეგვარებინა ეკონომიური ურთიერთდამოკიდებულება პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელსაც ხელთ აქვს გაუგონრად გაჩანაგებული მსხვილი წარმოება, და როგორ გამოგვენახა ფორმები თანაცხოვრებისა წვრილ მიწათმოქმედთან, რომელსაც, ვიდრე იგი წვრილ მიწათმოქმედად რჩება, არ შეუძლია იცხოვროს, თუ წვრილი მეურნეობა უზრუნველყოფილი არ იქნება ბრუნვის ერთგვარი სისტემით. ეს საკითხი ამჟამად საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი პოლიტიკურად აჯამებს ჩვენს მუშაობას, როდესაც ჩვენ სამხედრო პერიოდი დავამთავრეთ და საანგარიშო წელს მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლას შევუდექით.

ეს გადასვლა დაკავშირებულია ისეთ სიძნელეებთან, მან ისე ნათლად დაგვიხატა ეს წვრილბურჟუაზიული სტიქია, რომ მას ფხიზლად უნდა შევხედოთ. ამ მოვლენათა რიგს ჩვენ კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით ვუყურებთ და არასოდეს არ ვცდებოდით იმის გამო, რომ პროლეტარიატის დამოკიდებულება წვრილ ბურჟუაზიასთან ძნელი საკითხია, რომელიც პროლეტარული ხელისუფლების გამარჯვებისათვის მოითხოვს რთულ ღონისძიებებს ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რთულ გარდამავალ ღონისძიებათა მთელ სისტემას. იქიდან, რომ ჩვენ 1918 წლის დამლევს გამოვეცით დეკრეტი ნატურალური გადასახადის შესახებ, ჩანს, რომ ეს საკითხი კომუნისტების შეგნების წინაშე იდგა, მაგრამ რომ ჩვენ, სამხედრო გარემოებათა წყალობით, ვერ შევძელით მისი განხორციელება. ჩვენ სამოქალაქო ომის მდგომარეობაში მოგვიხდა ომის დროის ზომებზე გადასვლა. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, თუ ჩვენ აქედან იმ დასკვნას გამოვიტანდით, რომ თითქოს მხოლოდ ამგვარი ზომები და ურთიერთობაა

შესაძლებელი. ეს, უეჭველად, საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის კრახის მომასწავებელი იქნებოდა. როდესაც მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლა ეკონომიური კრიზისის პირობებში ხორციელდება, უნდა გავიხსენოთ, რომ პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობის განხორციელება მსხვილი წარმოების ქვეყანაში უფრო ადვილია, ვიდრე ისეთ ქვეყანაში, სადაც წვრილი წარმოება სჭარბობს. ეს ამოცანა მრავალნაირ მიდგომას მოითხოვს, და ჩვენ სრულიადაც არ ვხუჭავთ თვალს ამ სიძნელეებზე და არ გვავიწყდება, რომ ერთი საქმეა პროლეტარიატი და სხვა საქმეა წვრილი წარმოება. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ არის სხვადასხვა კლასი, რომ წვრილბურჟუაზიული ანარქიული კონტრრევოლუცია პოლიტიკური საფეხურია თეთრგვარდიელობისაკენ. ჩვენ ამას პირდაპირ, ფხიზლად უნდა შევხედოთ და შეგნებული უნდა გვქონდეს, რომ აქ აუცილებელია, ერთი მხრივ, მაქსიმალური დარაზმულობა, სიმტკიცე და დისციპლინა პროლეტარული პარტიის შიგნით, ხოლო მეორე მხრივ, აუცილებელია მთელი რიგი ეკონომიური ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება, სამხედრო გარემოებათა გამო, ჩვენ ჯერ არ შეგვეძლო. ჩვენ აუცილებელ საქმედ უნდა მივიჩნიოთ კონცესიები, მანქანებისა და იარაღების შესყიდვა სოფლის მეურნეობის დასაკმაყოფილებლად, რათა ეს მანქანები და იარაღები პურზე გადავცვალოთ და ამნაირად პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ისეთი ურთიერთობა აღვადგინოთ, რომელიც უზრუნველყოფს მის არსებობას მშვიდობიანი დროის ვითარებაში. იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამას კიდევ დავუბრუნდებით, და ვიმეორებ, რომ, ჩემი შეხედულებით, აქ ჩვენ მნიშვნელოვან საკითხთან გვაქვს საქმე, და გასული წელი, რომელიც უნდა დახასიათდეს, როგორც ომიდან მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლა, ჩვენ უაღრესად ძნელი ამოცანების წინაშე გვაყენებს.

დასასრულ, ვიტყვი მხოლოდ ორიოდე სიტყვას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხზე, რომელმაც ასე დიდი დრო წაგვართვა. ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში დაისვა

ეს საკითხი ცენტრალურ კომიტეტში, აგვისტოში ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა იგი ყველა ორგანიზაციისადმი მიმართულ წერილში, სექტემბერში იგი პარტიულ კონფერენციაზე დაისვა, ბოლოს, საბჭოების დეკემბრის ყრილობაზე ეს საკითხი უფრო ფართო მასშტაბით იქნა დასმული. უეჭველია, ბიუროკრატიული წყლული არსებობს; ეს აღიარებულია, და საჭიროა ნამდვილი ბრძოლა მის წინააღმდეგ. რასაკვირველია, იმ დისკუსიაში, რომლის მოწმენიც ჩვენ ვიყავით, ზოგიერთ პლატფორმაში ეს საკითხი, მეტი რომ არა ვთქვათ, მოუფიქრებლად იყო დასმული, და ძალიან ხშირად მას წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით განიხილავდნენ. უეჭველია, ამ ბოლო დროს გამოაშკარავდა დრტვინვა და უკმაყოფილება უპარტიო მუშებს შორის. როდესაც მოსკოვში უპარტიოთა კრებები გაიმართა, ცხადი იყო, რომ დემოკრატიას, თავისუფლებას ისინი აქცევენ ისეთ ლოზუნგად, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მივყავართ. «მუშათა ოპოზიციის» ბევრი ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი წარმომადგენელი იბრძოდა ამ ბოროტების წინააღმდეგ, ამ წვრილბურჟუაზიული კონტრრევოლუციურობის წინააღმდეგ, და ამბობდა: «ჩვენ ამის წინააღმდეგ დავირაზმებითო». და მართლაც, შეძლეს გამოეჩინათ მაქსიმალური დარაზმულობა. მე არ ვიცი, «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის და ნახევრადსინდიკალისტური პლატფორმის მქონე სხვა ჯგუფების მომხრეთაგან ყველანი ასეთები არიან თუ არა. საჭიროა, რათა ჩვენ ეს ამ ყრილობაზე გავიგოთ უკეთესად, საჭიროა, რათა შევიგნოთ, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა აბსოლუტურად აუცილებელია და რომ ეს ბრძოლა ისევე რთულია, როგორც წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან ბრძოლის ამოცანა. ბიუროკრატიზმი ჩვენს სახელმწიფო წყობილებაში ისეთ სენად გადაიქცა, რომ მასზე ჩვენი პარტიული პროგრამაც ლაპარაკობს, და ეს იმიტომ, რომ ბიუროკრატიზმი დაკავშირებულია ამ წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან და მის დაქსაქსულობასთან. ამ სნეულებათა დაძლევა შეიძლება მხოლოდ მშრომელთა გაერთიანებით, რათა მათ მარტო

მუშურ-გლეხური ინსპექციის დეკრეტების მისალმება კი არ იცოდნენ, — განა ცოტაა ჩვენში ისეთი დეკრეტი, რომელსაც მიესალმებიან? — არამედ, რათა იცოდნენ მუშურ-გლეხური ინსპექციის საშუალებით თავიანთი უფლების განხორციელება, რაც ამჟამად არ არის არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქადაც, თვით დედაქალაქებშიც კი! ხშირად ამას ვერ ახორციელებენ იქაც კი, სადაც ყველაზე მეტს ყვირიან ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ამ გარემოებას ძალიან, ძალიან უნდა მიექცეს ყურადღება.

აქ ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ზოგიერთნი, ებრძვიან რა ამ ბოროტებას, მოწადინებული არიან, იქნებ, გულწრფელადაც კი, დაეხმარონ პროლეტარულ პარტიას, პროლეტარულ დიქტატურას, პროლეტარულ მოძრაობას, ნამდვილად კი ეხმარებიან წვრილბურჟუაზიულ ანარქიულ სტიქიას, რომელმაც რევოლუციის განმავლობაში არაერთხელ დაგვანახვა თავი, როგორც პროლეტარული დიქტატურის ყველაზე საშიშარმა მტერმა. ახლა კი — და ეს მიმდინარე წლის ძირითადი დასკვნა და გაკვეთილია — მან ერთხელ კიდევ დაგვანახვა თავი, როგორც ყველაზე საშიშარმა მტერმა, რომელსაც შეუძლია ყველაზე მეტი მომხრე და მხარდაჭერა ჰპოვოს ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, შეუძლია შეცვალოს ფართო მასების სულიერი განწყობილება და უპარტიო მუშათა ნაწილსაც მოედოს. მაშინ პროლეტარული სახელმწიფოს მდგომარეობა მეტად მძიმე ხდება. თუ ჩვენ ამას ვერ შევიგნებთ, თუ ჩვენ ამ გაკვეთილს არ გამოვიტანთ და ამ ყრილობას არ გადავაქცევთ შემობრუნების პუნქტად ეკონომიურ პოლიტიკაშიც და პროლეტარიატის მაქსიმალური დარაზმვის აზრითაც, — მაშინ ჩვენზე ზედგამოჭრილი იქნება სამწუხარო სიტყვები, რომ ჩვენ არაფერი დაგვივიწყუნია იმ ზოგჯერ ამაო და წვრილმანი რამეებიდან, რაც დავიწყებული უნდა ყოფილიყო, და არაფერი გვისწავლია იმ სერიოზულიდან, რაც რევოლუციის ამ წლის განმავლობაში უნდა გვესწავლა. მე იმედი მაქვს, რომ ეს არ იქნება! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

3

საბოლოო სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო 9 მარტი

(ხანგრძლივი ტაში). ამხანაგებო, ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, რომ მოხსენების გამო, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოღვაწეობას შეეხებოდა, კრიტიკაც, შენიშვნებიც, დამატებებიც, შესწორებებიც და ა. შ. ყველაზე მეტად წარიმართებოდა პოლიტიკური მუშაობისაკენ, პოლიტიკური შეცდომებისაკენ და მოცემული იქნებოდა პოლიტიკური მითითებანი.

სამწუხაროდ, როდესაც აქ გაშლილ კამათს აკვირდები, როდესაც ერთხელ კიდევ კითხულობ ამ კამათში წამოყენებულ მთავარ პუნქტებს, თავს ვერ იკავებ, რომ თავის თავს არ შეეკითხო: იმიტომ ხომ არ შეუწყვეტია ყრილობას ასე სწრაფად კამათი, რომ გასაოცრად უშინაარსოდ ლაპარაკობდნენ, და ისიც თითქმის მხოლოდ «მუშათა ოპოზიციის» წარმომადგენლები? მართლაც, რა მოვისმინეთ ჩვენ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მუშაობაზე და მომენტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ? მოლაპარაკეთა უმრავლესობა თავის თავს «მუშათა ოპოზიციას» უწოდებდა, — სახუმრო სახელწოდება როდია!... და სახუმრო საქმე არ არის — შეადგენდე ოპოზიციას ასეთ მომენტში, ასეთ პარტიაში!

ამხ. კოლონტაი, მაგალითად, პირდაპირ ამბობდა: «ლენინის მოხსენებამ გვერდი აუხვია კრონშტადტსო». ეს რომ გავიგონე, ხელები-ღა გავშალე. ყრილობის ყველა დამსწრემ მშვენივრად იცის, — რასაკვირველია, საგაზეთო ანგარიშებში

ნაკლებ გულახდილად მოგვიხდება ლაპარაკი, ვიდრე აქ, — რომ სწორედ აქ, ჩემ მიერ გაკეთებულ მოხსენებაში, მე ყველაფერი, ყველაფერი თავიდან ბოლომდე, კრონშტადტის გაკვეთილებს შევუფარდე; და, იქნებ, უფრო ის საყვედური დავიმსახურე, რომ მოხსენების მეტი ნაწილი მოვანდომე მომავლის გაკვეთილებს, რომლებიც კრონშტადტის ამბებიდან გამომდინარეობენ, და ნაკლები ნაწილი — წარსულის შეცდომებს, პოლიტიკურ ფაქტებს და ჩვენი მუშაობის იმ საკვანძო პუნქტებს, რომლებიც, ჩემი შეხედულებით, განსაზღვრავენ ჩვენს პოლიტიკურ ამოცანებს და ხელს გვიწყობენ, რომ თავიდან ავიცილოთ ჩადენილი შეცდომები.

რა მოვისმინეთ ჩვენ აქ კრონშტადტის გაკვეთილების შესახებ?

თუ ადამიანები ოპოზიციის სახელით გამოდიან და ამ ოპოზიციას «მუშურს» უწოდებენ და ამბობენ, რომ ცენტრალური კომიტეტი პარტიის პოლიტიკას არასწორად ხელმძღვანელობდაო, ასეთ ადამიანებს უნდა ვუთხრათ: საჭიროა მითითებანი ამ უსწორობაზე ძირითად საკითხებში და იმის მითითებანი, თუ როგორ გამოვასწოროთ იგი. სამწუხაროდ, ჩვენ აბსოლუტურად არაფერი, არც ერთი ხმა, არც ერთი სიტყვა არ გვსმენია თანამედროვე მომენტისა და მისი გაკვეთილების შესახებ. აქ არც კი შეხებიან იმ დასკვნას, რომელიც მე გავაკეთე. ძალიან შესაძლებელია, რომ ეს დასკვნა სწორი არ იყოს, მაგრამ სწორედ იმისათვის კეთდება ანგარიში ყრილობაზე, რომ ეს უსწორობანი გამოვასწოროთ. პარტიის დარაზმვა, ოპოზიციის დაუშვებლობა პარტიაში — ასეთია პოლიტიკური დასკვნა თანამედროვე მომენტიდან; ხოლო ეკონომიური დასკვნაა არ დავჯერდეთ იმას, რაც გაკეთებულია გლეხობასთან მუშათა კლასის შეთანხმების პოლიტიკაში, ვეძებოთ ახალი გზები, გამოვიყენოთ, გამოვცადოთ ეს ახალი. მე კონკრეტულად აღვნიშნე, თუ რა არის საჭირო. იქნებ, ეს სწორი არ იყოს, მაგრამ არავის კრინტიც არ დაუძრავს ამის შესახებ. რომელიღაც ორატორმა, მგონი, რიაზანოვმა, მისაყვედურა მხოლოდ ის, რომ გადასახადი

ჩემს სიტყვაში თითქოს ერთბაშად გაჩნდა საიდანღაც და საკითხის განხილვით არ ყოფილა მომზადებული. ეს მართალი არ არის. მიკვირს მხოლოდ, თუ როგორ გამოდიან პასუხისმგებელი ამხანაგები ასეთი განცხადებებით პარტიული ყრილობის წინაშე. დისკუსია გადასახადის შესახებ რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო «პრავდაში». თუ ამ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება არ მოისურვეს იმ ამხანაგებმა, რომლებსაც უყვართ ოპოზიციის თამაში და საყვედურების თქმა, ფართო დისკუსიის შესაძლებლობას არ იძლევიანო, — ეს მათი ბრალია. «პრავდის» რედაქციასთან ჩვენ დაკავშირებული ვართ არა მარტო იმით, რომ ამხ. ბუხარინი ცენტრალური კომიტეტის წევრია, არამედ იმითაც, რომ უმნიშვნელოვანეს თემებს და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ხაზებს ყოველთვის განიხილავს ცენტრალური კომიტეტი, — უამისოდ პოლიტიკური მუშაობა შეუძლებელია. გადასახადის საკითხი ცენტრალური კომიტეტის მიერ სადისკუსიოდ იყო დასმული. «პრავდაში» სტატიები იყო. მათზე პასუხი არავის გაუცია. იმათ, ვინც პასუხი არ გასცა, ამით ცხადყვეს, რომ მათ არ სურდათ ამ საკითხზე მუშაობა. ხოლო როცა უკვე ამ სტატიების შემდეგ მოსკოვის საბჭოს კრებაზე გამოვიდა კრების წევრი — არ მახსოვს, უპარტიო თუ მენშევიკი — და იწყო ლაპარაკი გადასახადზე, მე ვუთხარი: თქვენ არ გცოდნიათ ის, რასაც «პრავდა» წერს-მეთქი. უპარტიოს მიმართ ასეთი საყვედურის თქმა უფრო ბუნებრივი იყო, ვიდრე პარტიის წევრის მიმართ. «პრავდაში» დისკუსია შემთხვევით კი არ გამართულა, და ყრილობაზე ჩვენ მოგვიხდება ამ საკითხის განხილვა. ორატორებმა კრიტიკაში აბსოლუტური არასაქმიანობა გამოიჩინეს. საკითხი სადისკუსიოდ იყო დასმული, და დისკუსიაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, — სხვანაირად მთელი ეს კრიტიკა უნიადაგო ხდება. სწორედ ესევე ითქმის პოლიტიკურ საკითხზე. მე ვიმეორებ: მთელი ჩემი ყურადღება ოქით იყო მიპყრობილი, რომ ჩვენ სწორი დასკვნა გამოგვეყვანა უკანასკნელი ამბებიდან.

ჩვენ ისეთ დროს განვიცდით, როდესაც ჩვენს წინაშე სერიოზული მუქარა დგება: წვრილბურჟუაზიული კონტრრევოლუცია, როგორც მე უკვე ვთქვი, დენიკინზე უფრო საშიშია. ამას არ უარყოფდნენ ამხანაგები. ეს კონტრრევოლუცია იმით არის თავისებური, რომ იგი წვრილბურჟუაზიულია, ანარქიულია. მე ვამტკიცებ, რომ ამ წვრილბურჟუაზიული, ანარქიული კონტრრევოლუციის იდეებსა და ლოზუნგებს და «მუშათა ოპოზიციის» ლოზუნგებს შორის კავშირი არსებობს. არც ერთ აქ მოლაპარაკეს, — თუმცა ყველაზე მეტად «მუშათა ოპოზიციის» წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ, — სწორედ ამაზე არ გაუცია პასუხი. «მუშათა ოპოზიციის» ბროშურა კი, რომელიც ყრილობის დროისათვის ამხ. კოლონტაიმ გამოუშვა, ამას უაღრესად ნათლად ადასტურებს. და მე, ალბათ, ყველაზე მეტად ამ ბროშურაზე მომიხდება შეჩერება, რათა გავარკვიო თქვენს წინაშე, რატომ იღებს ანარქიულ, წვრილბურჟუაზიულ ფორმას კონტრრევოლუცია, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობდი, რატომ ასე დიდი და საშიშია იგი და რატომ სრულიად არ ესმით ეს საშიშროება «მუშათა ოპოზიციის» წარმომადგენლებს, რომლებიც აქ გამოდიან.

მაგრამ ვიდრე «მუშათა ოპოზიციის» აქ გამოსულ წარმომადგენლებს პასუხს გავცემდე, რომ არ დამავიწყდეს, ვიტყვი ორიოდე სიტყვას სხვა თემაზე, ოსინსკის შესახებ. აქ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო კრიტიკით გამოვიდა ამხანაგი, რომელსაც საკმაოდ ბევრი უწერია და რომელიც საკმაოდ ბევრჯერ გამოსულა საკუთარი პლატფორმით. მოსალოდნელი იყო, რომ ყრილობაზე იგი მოგვცემდა ძირითად ლონისძიებათა კრიტიკას, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. ასეთი კრიტიკის ნაცვლად მან თქვა, რომ თითქოს «გააგდეს» საპრონოვი, და რომ აქედან აშკარაა, სიტყვები დარაზმულობის აუცილებლობის შესახებ საქმეს შორდებაო, და ხაზს უსვამდა, «მუშათა ოპოზიციისაგან» პრეზიდიუმში ორი კაცი აირჩიესო. მე გაოცებული ვარ, თუ როგორ შეიძლება ასეთი წვრილმანებით, რასაც მეათეხარის-

ხოვანი მნიშვნელობა აქვს, გამოვიდეს მეტისმეტად თვალსაჩინო პარტიული ლიტერატორი და მუშაკი, რომელსაც პასუხსაგები პოსტი უკავია! ოსინსკის სპეციფიკური თავისებურებაა ყველაფერში პოლიტიკანობა დაინახოს. ამ პოლიტიკანობას ხედავს ის იმაშიც, რომ პრეზიდიუმში ორი ადგილი მიეცა «მუშათა ოპოზიციას».

მოსკოვში შემდგარ ერთ პარტიულ კრებაზე აღვნიშნე და, სამწუხაროდ, მიხდება ამ პარტიულ ყრილობაზედაც გავიმეორო, — რომ გაჩნდა «მუშათა ოპოზიცია», რომელმაც ოქტომბერსა და ნოემბერში თავი იმით იჩინა, რომ მივიდა ორი ოთახის სისტემამდე, ფრაქციის შექმნამდე.

არაერთხელ გვითქვამს, კერძოდ მეც მითქვამს, — და ამის თაობაზე ცენტრალურ კომიტეტში უთანხმოება არ ყოფილა, — რომ ჩვენი ამოცანაა ჩამოვაშოროთ «მუშათა ოპოზიციაში» საღი არასაღს სწორედ იმიტომ, რომ მან ერთგვარი გავრცელება ჰპოვა, მოსკოვში კი მუშაობასაც ავნო. ნოემბერში, როდესაც იყო ოროთახიანი კონფერენცია, — როდესაც აქ ერთნი ისხდნენ, ხოლო ამავე სართულის მეორე სადგომში — სხვები, როდესაც მეც დამადგა გასაჭირი და, როგორც შიკრიკს, მომიხდა ერთი ოთახიდან მეორეში სიარული, — ეს იყო მუშაობის გაფუჭება, ფრაქციულობისა და გათიშვის დასაწყისი.

ჯერ კიდევ სექტემბერში, პარტიული კონფერენციის დროს, ჩვენს ამოცანად ის მიგვაჩნდა, რომ საღი ჩამოგვეშორებინა არასაღისაგან, — ვინაიდან არ შეიძლება ამ ჯგუფს შევეხოთ როგორც საღ ჯგუფს. როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, დემოკრატიზმი არასაკმაოდაა გატარებულიო, ჩვენ ვუპასუხებთ: ეს აბსოლუტურად მართალია. დიახ, იგი ჩვენთან არასაკმაოდაა გატარებული. ამ მხრივ საჭიროა დახმარება და იმის მითითება, თუ როგორ გავატაროთ. საჭიროა ნამდვილად გატარება და არა მასლაათი. ჩვენ ვიღებთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც თავიანთ თავს «მუშათა ოპოზიციას» უწოდებენ, და უფრო ცუდი სახელწოდების მატარებლებსაც კი, თუმცა ვფიქრობ, რომ კომუნისტური პარტიის წევრებისათვის არ

არსებობს ამაზე უფრო ცუდი და არასაკადრისი სახელწოდება. მაგრამ, მათ კიდეც რომ გამოეგონებინათ გაცილებით უარესი სახელწოდება, ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: რაკი ეს ავადმყოფობაა, რომელიც მუშების ნაწილს ედება, საჭიროა ამ ავადმყოფობას უაღრესი ყურადღება მიექცეს. და ის, რასაც ამხ. ოსინსკი რატომღაც ბრალად გვითვლიდა, დამსახურებად უნდა ჩაგვეთვალოს.

ახლა გადავდივარ «მუშათა ოპოზიციაზე». თქვენ აღიარეთ, რომ ოპოზიციაში დარჩით. თქვენ პარტიულ ყრილობაზე გამოცხადდით ამხ. კოლონტაის ბროშურით, — ბროშურით, რომელსაც აწერია: «მუშათა ოპოზიცია». თქვენ უკანასკნელ კორექტურას აბარებდით, როდესაც იცოდით კრონშტადტის ამბები, იცოდით, რომ თავს ჰყოფდა წვრილბურჟუაზიული კონტრრევოლუცია. და ამ მომენტში თქვენ მოდიხართ «მუშათა ოპოზიციის» სახელწოდებით! თქვენ არ გესმით, რა პასუხისმგებლობას კისრულობთ და როგორ არღვევთ ერთიანობას! რისთვის? ჩვენ აქ დაგკითხავთ, გამოცდას მოგიწყობთ.

ამხ. ოსინსკიმ იხმარა ეს გამოთქმა, როგორც პოლემიკური, ის რაღაც ბრალს თუ შეცდომას ხედავდა ჩვენი მხრივ; სწორედ ისევე, როგორც რიაზანოვი, ის ჩვენს პოლიტიკაში «მუშათა ოპოზიციის» მიმართ პოლიტიკანობას ხედავდა. აქ პოლიტიკანობა კი არ არის, არამედ არის ის პოლიტიკა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი აწარმოებდა და შემდეგშიც აწარმოებს. როდესაც არიან არასაღი ჯგუფები, არასაღი მიმდინარეობანი, — მოდით და სამმაგი ყურადღება მივაქციოთ მათ.

თუკი რამე საღი არის ამ ოპოზიციაში — მთელი ძალღონე უნდა ვიხმაროთ, რათა საღი ჩამოვაშოროთ არასაღს. ჩვენ ვერ შევძლებთ ბიუროკრატიზმთან სავსებით წარმატებით ბრძოლას, თანმიმდევრული დემოკრატიზმის გატარებას, იმიტომ რომ ჩვენ სუსტნი ვართ, ძალები არა გვყავს; და ვინც ამაში დაგვეხმარება, ის უნდა მოვიზიდოთ, ხოლო ვინც დახმარების სახით აი ასეთ ბროშურებს გვაწვდის, ის უნდა ვამხილოთ და ჩამოვიშოროთ!

და ეს ჩამოშორება ახლა პარტიული ყრილობის წინაშე ადვილდება. აქ პრეზიდიუმში ირჩევენ იმათ, ვინც ავადმყოფ ჯგუფს წარმოადგენს, და ახლა უკვე ვეღარ გაბედავენ ჩივილს, მოთქმას, ეს «საცოდავნი», «დაჩაგრულნი», «გადასასახლებლად განწირულნი»... გამობრძანდით ახლა ტრიბუნაზე, გაისარჯეთ პასუხი აგოთ! თქვენ ყველაზე მეტი ილაპარაკეთ, ვიდრე სხვა ვინმემ... მოდით და გავარჩიოთ ახლა, თუ რას გვაწვდით ასეთ მომენტში, როდესაც ჩვენ საფრთხე გვიახლოვდება, რომელიც თქვენ თვითონ მიგაჩნიათ დენიკინზე უფრო დიდ საფრთხედ? რას გვთავაზობთ თქვენ? რანაირ კრიტიკას იძლევით? ეს გამოცდა ახლა უნდა მოეწყოს, და, ვფიქრობ, რომ იგი საბოლოო იქნება. კმარა, ასე არ შეიძლება პარტიით თამაში! ვინც ამგვარი ბროშურით ცხადდება ყრილობაზე, ის პარტიით თამაშობს. არ შეიძლება ასეთი თამაში ისეთ მომენტში, როდესაც ასეული ათასობით გახრწნილი მებრძოლი აჩანაგებს, ღუპავს მეურნეობას, — არ შეიძლება ასე მოეპყრა პარტიას, არ შეიძლება ასე იმოქმედო. ეს უნდა შევიგნოთ, ამას ბოლო უნდა მოვუღოთ!

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ, რომლებიც ეხება პრეზიდიუმის არჩევნებს და «მუშათა ოპოზიციის» ხასიათს, თქვენს ყურადღებას მივაქცევ ამხ. კოლონტაის ბროშურაზე. ეს ბროშურა მართლაც ღირსია თქვენი ყურადღებისა და აჯამებს იმ მუშაობის შედეგს, რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებდა ეს ოპოზიცია, ანუ იმ რღვევის შედეგს, რომელიც მან უკვე მოახდინა. აქ უკვე აღნიშნა, მგონი, სამარელმა ამხანაგმა, რომ მე ვითომ «ადმინისტრაციულად» მივაწებე სინდიკალიზმის იარლიყი «მუშათა ოპოზიციას». ადმინისტრატორობის ხსენება აქ უეჭველად უადგილოა, და აქ უნდა შევხედოთ, თუ რა საკითხი მოითხოვს ადმინისტრატორულ გადაწყვეტას. ამხ. მილონოვს უნდოდა თავი მოეწონებინა ამ რაც შეიძლება უფრო საშინელი სიტყვით, გამოუვიდა კი შეუსაბამობა: თითქოს მე «ადმინისტრაციულად» ვაწებებ იარლიყს. არაერთხელ მითქვამს, თუ როგორ მისაყვედურებდნენ მე კრებებზე ამხ. შლიაპნიკოვი და

სხვები, რომ მე «ტერორქვეშ ვამყოფებ» ვისმე სიტყვა «სინდიკალიზმით». და რომელიღაც დისკუსიის დროს, მგონი, სამთამადნო მუშათა ყრილობაზე, ამის ხსენებისას მე ვუპასუხე ამხ. შლიაპნიკოვს: «რომელი მოზრდილი ადამიანი გინდათ თქვენ მოატყუოთ?». მე და ამხ. შლიაპნიკოვი ხომ მრავალი, მრავალი წელია ერთმანეთს ვიცნობთ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც იატაკქვეშეთსა და ემიგრაციაში ვმუშაობდით, — და როგორ შეიძლება განაცხადოთ, რომ ცალკეულ გადახრათა დახასიათებით მე ვიღაცას ტერორქვეშ ვაყენებდი! და რა შუაშია აქ ადმინისტრატორობა, როდესაც მე «მუშათა ოპოზიციის» დებულებათა შესახებ ვამბობ, რომ ეს სწორი არ არის, რომ ეს სინდიკალიზმია?! და რატომ წერს ამხ. კოლონტაი, რომ მე მოუფიქრებლად ვისვრი სიტყვა «სინდიკალიზმს»? ასე რომ ილაპარაკო, საჭიროა ეს ცოტათი მაინც დაამტკიცო. მე მზად ვარ კრედიტად მივიღო, რომ ჩემი საბუთი სწორი არ არის, ხოლო ამხ. კოლონტაის მტკიცება უფრო საფუძვლიანია, — მე მზად ვარ ეს დავიჯერო. მაგრამ საჭიროა თუნდაც მცირედი საბუთი — არა სიტყვები ტერორიზების ან ადმინისტრირების შესახებ (რომლითაც მე, სამწუხაროდ, თანამდებობის გამო დიდად ვარ დატვირთული), არამედ ზუსტი პასუხი სინდიკალიზმისაკენ გადახრის ბრალდების გასაბათილებლად, რომელსაც მე ვუყენებ «მუშათა ოპოზიციას».

ეს ბრალდება მე წამოვაყენე მთელი პარტიის წინაშე — წამოვაყენე პასუხისმგებლობის შეგნებით, და ეს დაბეჭდილია 250 ათას ცალად გამოცემულ ბროშურაში, და ეს ყველას აქვს წაკითხული". აშკარაა, ყველა ამხანაგი ემზადებოდა ამ ყრილობისათვის და ყველამ უნდა იცოდეს, რომ სინდიკალისტური გადახრა — ეს არის სწორედ ანარქისტული გადახრა, და რომ «მუშათა ოპოზიცია», რომელიც პროლეტარულ ზურგს ამოფარებია, სწორედ წვრილბურჟუაზიული, ანარქიული სტიქიაა.

ეს სტიქია რომ ფართო მასებში ატანს, ეს აშკარაა, და პარტიულმა ყრილობამ ეს გააშუქა. ეს სტიქია რომ ცხოვრე-

ბაში ტარდება, ეს დამტკიცებულია ამხ. კოლონტაის ბროშურებით და ამხ. შლიაპნიკოვის თეზისებით. და აქ არ შეიძლება თავის დაძვრენა მხოლოდ იმით, რომ, როგორც ყოველთვის, ამხ. შლიაპნიკოვი თავის ჭეშმარიტად პროლეტარულ ხასიათზე ლაპარაკობს.

ამხ. კოლონტაი თავის ბროშურას ასე იწყებს: «ოპოზიციაში», — ვკითხულობთ ჩვენ პირველ გვერდზე, — «შედის კლასობრივად ორგანიზებული პროლეტარების, კომუნისტების მოწინავე ნაწილი». სამთამადნო მუშათა ყრილობაზე ციმბირის დელეგატი უკვე აღნიშნავდა, რომ იქაც წამოიჭრა ისეთივე საკითხები, როგორც მოსკოვში, და ამხ კოლონტაი ამაზე მიუთითებს თავის ბროშურაში:

«ჩვენში წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, რომ მოსკოვში უთანხმოება და დისკუსიაა პროფკავშირთა როლის შესახებ», — ამბობდა დელეგატი სამთამადნო მუშათა ყრილობაზე, — «ჩვენ კი უკვე გვაღელვებდა იგივე საკითხები, რომლებიც თქვენს წინაშე დგას».

და შემდეგ:

«მუშათა ოპოზიციის ზურგს უკან დგანან პროლეტარული მასები ან უფრო ზუსტად: მუშათა ოპოზიცია — ეს კლასობრივად შედუღებული, კლასობრივად შეგნებული და კლასობრივად მტკიცე ნაწილია ჩვენი სამრეწველო პროლეტარიატისა».

ოჰო, მადლობა ღმერთს, ასე გვეცოდინება, რომ ამხ. კოლონტაი და ამხ. შლიაპნიკოვი «კლასობრივად შედუღებულნი, კლასობრივად შეგნებულნი» არიან. მაგრამ, ამხანაგებო, როდესაც ასე ლაპარაკობ და ასე წერ, საჭიროა ცოტაოდენი ზომაც იცოდე! ამ ბროშურის 25-ე გვერდზე ამხ. კოლონტაი წერს — და ეს «მუშათა ოპოზიციის» თეზისების ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტია:

«სახალხო მეურნეობის გამგებლობის ორგანიზაცია ეკუთვნის პროფესიულ და საწარმოო კავშირებად გაერთიანებულ მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობას; ეს კავშირები ირჩევენ ცენტრალურ ორგანოს, რომელიც მთელ სახალხო მეურნეობას განაგებს».

ეს «მუშათა ოპოზიციის» სწორედ ის თეზისია, რომელიც მე ყველა შემთხვევაში — დისკუსიის დროსაც და პრესაშიც მომყავდა. და უნდა ვთქვა, ეს თეზისი რომ წავიკითხე, სხვა თეზისების კითხვას უკვე არ შევდგომივარ, იმიტომ რომ ეს დროის დაკარგვა იქნებოდა, რადგან ამ თეზისის შემდეგ ცხადია, რომ უკვე ყველაფერი ითქვა, რომ ეს არის წვრილ-ბურჟუაზიული, ანარქიული სტიქია და რომ ახლა, კრონშტადტის ამბებთან დაკავშირებით, მით უფრო უცნაურია ამ თეზისის მოსმენა.

მე ზაფხულში კომინტერნის II კონგრესზე აღვნიშნავდი, თუ რა მნიშვნელობა აქვს რეზოლუციას კომუნისტური პარტიის როლის შესახებ. ეს რეზოლუცია ისეთი რეზოლუციაა, რომელიც აერთიანებს მთელი მსოფლიოს კომუნისტ მუშებს, კომუნისტურ პარტიებს. ეს რეზოლუცია ყველაფერს გვიხსნის. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ პარტიას ვმიჯნავთ მთელი მუშათა კლასისაგან, რომელიც გარკვეულად ახორციელებს დიქტატურას? ასე უყურებს საქმეს ზოგიერთი «მემარცხენე» და ძალიან ბევრი სინდიკალისტი, და ეს შეხედულება ახლა ყველგან გავრცელებულია. ეს შეხედულება არის სწორედ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმონაშობი. «მუშათა ოპოზიციის» თეზისები ხომ აშკარად ეწინააღმდეგება კომინტერნის II კონგრესის გადაწყვეტილებას პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებაში კომუნისტური პარტიის როლის შესახებ. სწორედ ეს არის სინდიკალიზმი, რადგან, აბა ერთი იფიქრეთ, ცხადია, რომ ჩვენი პროლეტარიატი მეტწილად დეკლასირებულია, რომ გაუგონარმა კრიზისებმა, ფაბრიკების დახურვამ გამოიწვიეს ის, რომ ხალხი გარბოდა შიმშილის გამო, მუშები პირდაპირ ტოვებდნენ ფაბრიკებს, იძულებული ხდებოდნენ მოწყოპილიყვნენ სოფლად და აღარ წარმოადგენდნენ მუშებს. განა ჩვენ ეს არ ვიცით და არ ვხედავთ, რომ გაუგონარი კრიზისები, სამოქალაქო ომი, ქალაქსა და სოფელს შორის სწორი ურთიერთდამოკიდებულების შეწყვეტა, პურის მიზიდვის შეწყვეტა იწვევდნენ დიდ ქარხნებში დამზადებული რაღაც წვრილმანი

პროდუქტების, რაღაც სანთიების გადაცვლას პურზე, როდესაც მუშები შიმშილობენ და როდესაც პური არ შემოაქვთ? განა ჩვენ ეს არ გვინახავს უკრაინაში, არ გვინახავს რუსეთში? სწორედ ყოველივე ეს არის ის, რაც ეკონომიურად წარმოშობს პროლეტარიატის დეკლასირებას, რაც აქაც გარდუვალად იწვევს და აუცილებლად გამოავლენს ბურჟუაზიულ-ანარქიულ ტენდენციებს.

მას შემდეგ, რაც მთელი ეს უბედურება განვიცადეთ, რაც ყოველივე ეს პრაქტიკულად ვნახეთ, ჩვენ ვიცით, თუ რა საშინლად ძნელია ამასთან ბრძოლა. ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ორ-ნახევარი წლის შემდეგ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოვედით და ვთქვით კომუნისტურ ინტერნაციონალში, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელია სხვანაირად, თუ არა კომუნისტური პარტიის მეშვეობით. და მაშინ ჩვენ ცოფმორეულნი გვლანძღავდნენ ანარქისტები და სინდიკალისტები, რომლებიც ამბობდნენ: «აი რას ფიქრობენ ისინი, — პროლეტარული დიქტატურის გასახორციელებლად აუცილებელია კომუნისტური პარტიაო». მაგრამ ეს ჩვენ მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე ვთქვით. და ამის შემდეგ ჩვენთან მოდიან «კლასობრივად შეგნებული და კლასობრივად შედუღებული» ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ «სახალხო მეურნეობის გამგებლობის ორგანიზაცია ეკუთვნის მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობას» (ამხ. კოლონტაის ბროშურა). «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობა» — რა არის ეს? ნუთუ კიდევ უნდა დავკარგოთ დრო ასეთი ოპოზიციებისათვის პარტიაში? მგონია, რომ კმარა ამაზე დისკუსია! მთელი ეს მსჯელობა სიტყვის თავისუფლებაზე და კრიტიკის თავისუფლებაზე, — მსჯელობა, რითაც აჭრელებულია მთელი ეს ბროშურა და რაც გამოსჭვივის «მუშათა ოპოზიციის» ყველა სიტყვაში, — მთელი ეს მსჯელობა შეადგენს იმ სიტყვების აზრის ცხრა მეათედს, რომლებიც რაიმე განსაკუთრებულ აზრს არ შეიცავენ, — ყოველივე ეს იმავე ხასიათის სიტყვებია. ხომ საჭიროა, ამხანაგებო, არა მარტო

სიტყვებზე ვილაპარაკოთ, არამედ მათ შინაარსზედაც. ჩვენ სიტყვებით, როგორიცაა «კრიტიკის თავისუფლება», ვერ მოგვატყუებენ. როდესაც თქვეს, რომ პარტიაში ავადმყოფობის ნიშნებიაო, ჩვენ ვამბობდით, რომ ეს მითითება სამმაგი ყურადღების ღირსია: უეჭველია, ეს ავადმყოფობა არის. მოდით და დაგვეხმარეთ ამ ავადმყოფობის განკურნებაში. გვითხარით, როგორ შეგიძლიათ თქვენ მისი განკურნება-თქო. ჩვენ საკმაოდ დიდი დრო მოვანდომეთ დისკუსიას, და უნდა ვთქვა, რომ ახლა «შაშხანებით დისკუსია» გაცილებით სჯობია, ვიდრე დისკუსია იმ თეზისებთან, რომლებსაც ოპოზიცია გვაწვდის. ახლა, ამხანაგებო, საჭირო არ არის ოპოზიცია, ახლა სხვა დროა! ან აქ, ან იქ, შაშხანით და არა ოპოზიციით. ეს ობიექტური მდგომარეობიდან გამომდინარეობს, ნუ დაგვემდურებით. ახლა საჭირო არ არის ოპოზიცია, ამხანაგებო! და მე ვფიქრობ, რომ პარტიულ ყრილობას მოუხდება ამ დასკვნის გაკეთება, მოუხდება იმ დასკვნის გაკეთება, რომ ოპოზიციას ახლა აღსასრული დაუდგა, სამარე გაეთხარა, ახლა კმარა ოპოზიცია! (ტ ა შ ი).

ამ ჯგუფს უკვე დიდი ხანია უფლება ჰქონდა თავისუფლად გაეწია კრიტიკა. და ახლა, პარტიულ ყრილობაზე, გეკითხებით: როგორია შედეგები, როგორია შინაარსი თქვენი კრიტიკისა, რა ასწავლეთ თქვენ პარტიას თქვენი კრიტიკით? თქვენთაგან ისინი, რომლებიც უფრო ახლოს დგანან მასებთან, მართლაც კლასობრივად შედუღებულ და კლასობრივად მომწიფებულ მასებთან, ჩვენ მზად ვართ — მუშაობაში ჩავაბათ. თუ ამხ. ოსინსკი ამას პოლიტიკანობად მიიჩნევს, ის მარტო დარჩება, დანარჩენები კი ამას პარტიის წევრებისათვის მიზანშეწონილი დახმარების გაწევად მიიჩნევენ. ჩვენ მართლაც უნდა დავეხმაროთ იმათ, ვინც მართლაც ცხოვრობს მუშათა მასაში, უფრო ახლოს იცნობს მას, ვისაც აქვს გამოცდილება და შეუძლია შემოიტანოს ცენტრალურ კომიტეტში თავისი მითითებანი. და დაე იმათ თავიანთ თავს უწოდონ, რაც ნებავთ, — ეს სულ ერთია, — თუკი ისინი მუშაობაში დაგვეხმარებიან, თუ ისინი ოპოზიციობას არ თამაშობენ და რადაც

უნდა დაუჯდეთ არ იცავენ ჯგუფებსა და ფრაქციებს, არამედ მხოლოდ დაგვეხმარებიან. ხოლო თუ ისინი განაგრძობენ ოპოზიციობის თამაშს, მაშინ პარტიამ ისინი პარტიიდან უნდა გარიცხოს.

და როდესაც თავისი ბროშურის იმავე გვერდზე ამხანაგი კოლონტაი მსხვილი შრიფტით წერს «მუშათა კლასისადმი უნდობლობის» შესახებ,—ეს იმ თემაზეა, რომ აი ჩვენ ნამდვილი «მუშათა» ოპოზიცია ვართო. იმავე ბროშურის 36-ე გვერდზე ეს აზრი კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული:

««მუშათა ოპოზიცია» არ უნდა წავიდეს, და მას არც შეუძლია წავიდეს, დათმობებზე. ეს არ ნიშნავს გათიშვისაკენ მოწოდებას...». «არა, მისი ამოცანა სხვაა. ყრილობაზე დამარცხების შემთხვევაშიც კი — დარჩეს პარტიის შიგნით და ნაბიჯ-ნაბიჯ მტკიცედ დაიცვას თავისი თვალსაზრისი, ამნაირად იხსნას პარტია და გამოასწოროს მისი ხაზი».

«ყრილობაზე დამარცხების შემთხვევაშიც კი»,—ერთი ბრძანეთ, რა წინდახედულობაა! (ს ი ც ი ლ ი). უკაცრავად, მაგრამ ჩემდა თავად ნებას მივცემ თავს სრული რწმენით განვაცხადო, რომ ამას პარტიული ყრილობა არ დაუშვებს! (ტ ა შ ი). პარტიის ხაზის გამოსწორების უფლება ყველას აქვს. თქვენ ამისათვის ყველა შესაძლებლობა გქონდათ მოცემული.

პარტიულ ყრილობაზე წამოყენებულ იქნა პირობა, რომ ეჭვის ნიტამალიც არ იყოს იმის დაბრალებაში, რომ ჩვენ ვინმეს გარიცხვა გვინდა. ჩვენ მივესალმებით ყოველგვარ დახმარებას დემოკრატიზმის გატარების საქმეში. მაგრამ მარტოოდენ ფრაზებით მას ვერ გაატარებ, როდესაც ხალხი გატანჯულია. ყველას, ვისაც სურს დაეხმაროს საქმეს, უნდა მივესალმოთ, ხოლო როცა ამბობენ, «დათმობებზე არ წაკალთ», მაგრამ პარტიაში დავრჩებით, რათა ვიხსნათ პარტიაო, — დიახ, თუ თქვენ პარტიაში დაგტოვებენ! (ტ ა შ ი).

ჩვენ აქ უფლება არა გვაქვს რაიმე ორაზროვნობა დავტოვოთ. მუშაობა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში დასახმარებლად, მუშაობა დემოკრატიზმის დაცვაში დასახმარებლად, — დახმარება მართლაც მუშათა მასებთან უფრო მეტად

დაკავშირების საქმეში — უსათუოდ აუცილებელია. ამ მხრივ «დათმობებზე» ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა წავიდეთ. და რაც უნდა გველაპარაკონ, დათმობებზე არ მივდივართო, ჩვენ გავიმეორებთ: ჩვენ მივდივართ დათმობებზე. ეს სრულიადაც არ არის დათმობანი, ეს დახმარებაა მუშათა პარტიისადმი. ამით ჩვენ ყოველივეს, რაც კი საღი და პროლეტარული არის «მუშათა ოპოზიციაში», ყოველივეს გადმოვიყვანთ პარტიულ მხარეზე, დარჩებიან კი სინდიკალისტური სიტყვების «კლასობრივად შეგნებული» ავტორები (ტ ა შ ი). მოსკოვში ამ გზას დაადგნენ. მოსკოვის ნოემბრის საგუბერნიო კონფერენცია ორი ოთახით დამთავრდა: აქ ისხდნენ ერთნი, იქ — მეორენი. ეს გათიშვის წინადღეა. მოსკოვის უკანასკნელმა კონფერენციამ თქვა: «ჩვენ «მუშათა ოპოზიციიდან» ავიყვანთ იმას, ვინც ჩვენ გვსურს, და არა იმას, ვინც მათ სურთო», — რადგან ჩვენ გვჭირდება ისეთ ადამიანთა დახმარება, რომელნიც დაკავშირებული არიან მუშათა მასებთან და რომელნიც პრაქტიკულად გვასწავლიან ჩვენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლასო. ეს ძნელი ამოცანაა. მე მგონია, პარტიულმა ყრილობამ უნდა გაითვალისწინოს მოსკოველთა ეს გამოცდილება და ისიც უნდა შეუდგეს გამოცდას, და არა მხოლოდ ამ პუნქტში, არამედ გამოცდას დღის წესრიგის ყველა პუნქტში. შედეგად იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ — «დათმობებზე არ მივდივართო», უნდა ვუთხრათ: «პარტია კი დათმობებზე მიდის», — საჭიროა, რათა მუშაობა ერთსულოვანი იყოს. ამ პოლიტიკით ჩვენ ჩამოვაშორებთ საღს არასაღისაგან «მუშათა ოპოზიციაში» და მივიღებთ პარტიის განმტკიცებას.

შეხედეთ, აქ ამბობდნენ, წარმოებას უნდა განაგებდეს «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობაო». მე მიძნელდება, თუ კიდევ რა სიტყვებით უნდა დახასიათდეს ეს უაზრობა, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ აქ ყველა პარტიული მუშაკი ამავე დროს საბჭოთა მუშაკები არიან, რომლებიც უკვე ერთი, ორი, სამი წელიწადია რევოლუციურ მუშაობას ეწევიან. მათ წინაშე არც კი ღირს ამის

გაკრიტიკება. ისინი სწორედ იმიტომ წყვეტენ კამათს, როდესაც ასეთი სიტყვები ესმით, რომ ეს მოსაწყენია, არასერიოზულია — ილაპარაკო «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობის» შესახებ, რომელიც სახალხო მეურნეობას განაგებს. იქნებ, ასეთი წინადადების წამოყენება შეიძლება ისეთ ქვეყანაში, სადაც მუშაობა სრულიად არ დაუწყიათ, თუმცა პოლიტიკური ძალაუფლება უკვე აღებული აქვთ. ჩვენში ეს მუშაობა დაწყებულია. და საგულისხმოა, რომ იმავე ბროშურის 33-ე გვერდზე ჩვენ ვპოულობთ შემდეგს:

««მუშათა ოპოზიცია» იმდენად უმეცარი როდია, რომ არ გაითვალისწინოს ტექნიკისა და ტექნიკურად გაწაფული ძალების დიდი როლი...». «მას საქმე ისე კი არა აქვს წარმოდგენილი, რომ შექმნას სახალხო მეურნეობის გამგებლობის თავისი ორგანოები, არჩეული მწარმოებელთა ყრილობაზე, ხოლო შემდეგ დაშალოს სახალხო მეურნეობის საბჭოები, მთავარი კომიტეტები, ცენტრები. არა, მას საქმე სხვანაირად აქვს წარმოდგენილი: დაუმორჩილოს გამგებლობის ეს აუცილებელი, ტექნიკურად ძვირფასი ცენტრები თავის ხელმძღვანელობას, მისცეს მათ თეორიული დავალებანი, გამოიყენოს ისინი ისე, როგორც თავის დროზე მეფაბრიკეები და მექარხნენი იყენებდნენ სპეციალისტ-ტექნიკოსთა ძალებს».

ამრიგად, ამხ. კოლონტაი და ამხ. შლიაპნიკოვი და მათი მიმყოლი «კლასობრივად შედუღებული» ადამიანები... თავიანთ აუცილებელ ხელმძღვანელობას უმორჩილებენ სახალხო მეურნეობის საბჭოებს, მთავარ კომიტეტებსა და ცენტრებს, — ყოველგვარ რიკოვებს, ნოგინებს და სხვა «არარაობათ», — და მისცემენ მათ თეორიულ დავალებებს! და მერე, ამხანაგებო, განა შეიძლება ეს სერიოზულ რამედ მივიჩნიოთ? თუ თქვენ რაიმე «თეორიული დავალებანი» გქონდათ, რატომ არ იძლეოდით მათ? რატომ ვაცხადებდით ჩვენ დისკუსიების თავისუფლებას? ვაცხადებდით არა მარტო სიტყვების გაცვლა-გამოცვლისათვის. ომის დროს ჩვენ ვამბობდით: «ჩვენ კრიტიკისათვის არა გვცხელა, ჩვენ გველოდება ვრანგელი, თუ შეცდომებს ჩავდივართ, — ჩვენ შეცდომას ვასწორებთ იმით, რომ ვურტყამთ ვრანგელსო». როდესაც ჩვენ ომი დავამთავრეთ, ჩვენ გვიყვირიან: «მოგვეცით

დისკუსიების თავისუფლებაო!» როდესაც ვეკითხებით: «გვითხარით, რა შეცდომები ჩავიდინეთ ჩვენ?» — გვეუბნებიან: «არ უნდა დავშალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოები და მთავარი კომიტეტები, მათ თეორიული დავალებანი უნდა მივცეთო». რატომ ამხ. კისელიოვმა, რომელიც სამთამადნო მუშათა ყრილობაზე, როგორც «კლასობრივად შედუღებული» «მუშათა ოპოზიციის» წარმომადგენელი, სრულიად უმნიშვნელო უმცირესობაში დარჩა, — რატომ არ გვასწავლა ბიუროკრატიასთან ბრძოლა, როდესაც ის ტექსტილის მთავარი სამმართველოს სათავეში იდგა? რატომ ამხ. შლიაპნიკოვმა, როდესაც ის სახალხო კომისარი იყო, რატომ ამხ. კოლონტაიმ, როდესაც ისიც სახალხო კომისარი იყო, არ გვასწავლეს ჩვენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა? ჩვენ თვითონ ვიცით, რომ ჩვენში ბიუროკრატიული ელფერი არის, და ჩვენ, რომლებსაც ყველაზე ახლო გვაქვს საქმე ამ ბიუროკრატიულ აპარატთან — ჩვენ ამის გამო ვიტანჯებით. ხელს ვაწერთ ქაღალდს, — ხოლო როგორ იქცევა იგი საქმედ? როგორ შევამოწმოთ ეს, როდესაც ბიუროკრატიული აპარატი ესოდენ უზარმაზარია? თუ თქვენ იცით, როგორ შევამციროთ იგი, — გთხოვთ, ძვირფასო ამხანაგებო, გაგვიზიაროთ თქვენი ცოდნა! თქვენ გაქვთ დისკუსიის გამართვის სურვილი, მაგრამ, გარდა ზოგადი განცხადებებისა, თქვენ არაფერს არ იძლევით. ამის ნაცვლად თქვენ წმინდა წყლის დემაგოგიით ხართ გართულნი. თქვენ ამბობთ: «სპეციები ჩაგრავენ მუშებს, მუშები კატორღულად ცხოვრობენ შრომის რესპუბლიკაშიო». ეს წმინდა წყლის დემაგოგიაა!

წაიკითხეთ ყველამ, ამხანაგებო, ეს ბროშურა, დაბეჯითებით გთხოვთ! უკეთესი მასალა «მუშათა ოპოზიციის» წინააღმდეგ, ვიდრე არის ამხ. კოლონტაის ბროშურა «მუშათა ოპოზიცია», — არ შეიძლება იყოს. თქვენ დაინახავთ, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა მართლაც შეუძლებელია. ბიუროკრატიზმი რომ მტკივნეული საკითხია, — ამას ჩვენ ყველა ვაღიარებთ, ეს ჩვენს პარტიულ პროგრამაშიც კი არის აღნიშნული. მთავარი კომიტეტებისა და სახალხო მეურნეობის

საბჭოების კრიტიკა ძალიან ადვილია, მაგრამ როდესაც თქვენ ასე აკრიტიკებთ, უპარტიო მუშათა მასებს ასე ესმით — დაიშალოსო! ამას ხელს სჭიდებენ ესერებიც. უკრაინელმა ამხანაგებმა მითხრეს, რომ მათ კონფერენციაზე[45] მემარცხენე ესერებმა თავიანთი წინადადებანი სიტყვა-სიტყვით სწორედ ამგვარად ჩამოაყალიბეს. ხოლო რა არის კრონშტადტის რეზოლუციები? ისინი ყველას არა გაქვთ წაკითხული? გიჩვენებთ: ეს რეზოლუციებიც ამასვე ლაპარაკობენ. იმიტომაც გავუსვი ხაზი კრონშტადტის საშიშროებას, რომ ეს საშიშროება სწორედ ის არის, თითქოს ხელისუფლების მხოლოდ მცირეოდენი გადაწევა იყოს საჭირო: «დაე ბოლშევიკები წავიდნენ», «ჩვენ ხელისუფლებას ცოტათი შევასწორებთო», — აი რა უნდათ კრონშტადტელებს. მოხდა კი ის, რომ სავინკოვი ჩამოვიდა რეველში, რომ პარიზის გაზეთები ორი კვირით ადრე წერდნენ ამ ამბებზე, რომ გამოჩნდა თეთრი გენერალი. აი, რა მოხდა. ასე, ამის მსგავსად მიმდინარეობდა ყველა რევოლუცია. ამიტომაც ჩვენ ვამბობთ: რაკი ჩვენ ამას ვუახლოვდებით, უნდა დავირაზმოთ იმისათვის, რომ ასეთ რამეს შაშხანით ვუპასუხოთ, რაც უნდა უწყინრად გამოიყურებოდეს ეს, — როგორც პირველ სიტყვაში კიდეც აღვნიშნე. ამაზე «მუშათა ოპოზიცია» პასუხს არ იძლევა, არამედ ამბობს: «ჩვენ სახალხო მეურნეობის საბჭოებს კი არ დავითხოვთ, არამედ «ჩვენს ხელმძღვანელობას დავუმორჩილებთო»». «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობა» თავის ხელმძღვანელობას დაუმორჩილებს სახალხო მეურნეობის 71 მთავარ კომიტეტს! მე გეკითხებით, ხომ არ დაგვცინიან ისინი, და განა შეიძლება ასეთ ადამიანებს სერიოზულად გაეწიოთ ანგარიში? სწორედ ეს არის წვრილბურჟუაზიული, ანარქიული სტიქია არა მარტო მუშათა მასაში, არამედ პარტიის შიგნითაც, და ამას ჩვენ ვერასგზით ვერ მოვითმენთ. ჩვენ ფუფუნება დავუშვით: შესაძლებლობა მივეცით ადამიანებს უაღრესად დაწვრილებით გამოეთქვათ თავიანთი აზრი, მოვუსმინეთ მათ რამდენიმეჯერ. როდესაც მე სამთამადნო მუშების II ყრილობაზე მომიხდა დავა ამხ-

ტროცკისთან და კისელიოვთან, ორი თვალსაზრისი გამოვ-ლინდა აშკარად. «მუშათა ოპოზიცია» ამბობდა: «ლენინი და ტროცკი შეერთდებიანო». ტროცკი გამოვიდა და ამბობდა: «ვისაც არ ესმის, რომ საჭიროა შეერთება, ის პარტიის წინა-აღმდეგ მიდის: რა თქმა უნდა, ჩვენ შეერთდებით, რადგან ჩვენ პარტიის ხალხი ვართო». მე მას მხარი დავუჭირე. რა თქმა უნდა, მე და ამხ. ტროცკი სხვადასხვა აზრისა ვიყავით, და, როდესაც, ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნება ცოტად თუ ბევრად თანასწორი ჯგუფები, პარტია განსჯის და განსჯის ისე, რომ ჩვენ გავერთიანდებით პარტიის ნებისა და მითი-თებათა თანახმად. აი რა განცხადებებით მივდიოდით მე და ამხ. ტროცკი სამთამადნო მუშების ყრილობაზე და მოვედით აქაც, «მუშათა ოპოზიცია» კი ამბობს: «ჩვენ დათმობებზე არ წავალთ, მაგრამ პარტიაში დავრჩებითო». არა, ეს ნომერი არ გაგივათ! (ტ ა შ ი). ერთხელ კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენთვის ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში უაღრესად სასურველია მუ-შის ყოველგვარი დახმარება, რასაც უნდა უწოდებდეს ეს მუშა თავის თავს, თუკი მას სურს გულწრფელად დაგვეხმა-როს. ამ აზრით ჩვენ წავალთ «დათმობებზე» (თუ ამ სიტყვას ბრჭყალებში ვიხმართ), რაც უნდა გამომწვევი განცხა-დებებით გამოვიდნენ, ჩვენ «დათმობებზე» წავალთ, რადგან ვიცით, თუ რა ძნელია მუშაობა. სახალხო მეურნეობის სა-ბჭოებსა და მთავარ კომიტეტებს ჩვენ ვერ დავშლით. როდე-საც გვეუბნებიან, მუშათა კლასისადმი უნდობლობას იჩენთ, მუშებს ხელმძღვანელ ორგანოებში არ უშვებთო, — ეს მთლად სიცრუეა. ყოველ ცოტათი მაინც რიგიან ადმინი-სტრატორს მუშათა წრიდან ჩვენ ვეძებთ და სიხარულით ავი-ყვანთ, ჩვენ მას გამოვცდით. თუ პარტია მუშათა კლასს არ ენდობა და მუშებს პასუხსაგებ პოსტებზე არ უშვებს, ასეთი პარტია ხომ შორს უნდა იქნეს გადასროლილი, — ბარემ ბოლომდე თქვით, რაც გინდათ! მე აღვნიშნე, რომ ეს მართალი არ არის, ჩვენ ძალთა ნაკლებობის გამო წელში ვწყდე-ბით, რამდენადმე მაინც საქმიანი კაცის სულ მცირედ და-ხმარებას, განსაკუთრებით კი მუშებისას, — ჩვენ ორივე ხელს

ჩავჭიდებთ. მაგრამ ასეთები ჩვენ არ გვყავს. ამ ნიადაგზე იქმნება ანარქია. აქ უნდა დაგვეხმარონ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, — ამისათვის კი ასეული ათასობით ხალხია საჭირო.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანა ჩვენს პროგრამაში დასმულია, როგორც უაღრესად ხანგრძლივი სამუშაო. რაც უფრო დაქუცმაცებულია გლეხობა, მით უფრო გარდუვალია ბიუროკრატიზმი ცენტრში.

ადვილია დაწერო ასეთი რამე: «ჩვენს პარტიაში მდგომარეობა რიგზე ვერ არისო». თქვენ თვითონ გესმით, თუ რას ნიშნავს საბჭოთა აპარატის მოდუნება, როდესაც ორი მილიონი რუსი ემიგრანტი საზღვარგარეთ იმყოფება. ისინი გააძევა სამოქალაქო ომმა. მათ ჩვენ გაგვაბედნიერეს იმით, რომ ახლა მოკალათებულან ბერლინში, პარიზში, ლონდონში და ყველა დედაქალაქში, გარდა ჩვენი დედაქალაქისა. ისინი ზურგს უმაგრებენ იმავე სტიქიას, რომელსაც წვრილი მწარმოებელი, წვრილბურჟუაზიული სტიქია ეწოდება.

ყოველივეს, რისი გაკეთებაც კი შეიძლება იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი ქვემოდან მუშების დაწინაურების გზით, — ჩვენ გავაკეთებთ, ამ მხრივ ყოველ პრაქტიკულ მითითებას მივიღებთ. ამას კიდევაც რომ ეწოდოს შეუფერებელი სიტყვა «დათმობანი», როგორც აქ უწოდებენ, ეჭვი არ არის, რომ ყრილობის 99 პროცენტი იტყვის ამ ბროშურის საწინააღმდეგოდ: «ჩვენ კი ამის საწინააღმდეგოდ წავალთ «დათმობებზე» და მივიმხრობთ ყოველივეს, რაც კი საღია». დადექით მუშებთან ერთად და ასწავლეთ, როგორ ებრძოლონ ბიუროკრატიზმს, თუ ჩვენზე უკეთ იცით, და ნუ გამოდიხართ ისე, როგორც შლიაპნიკოვი გამოვიდა. ეს ისეთი რამ არის, რასაც თავს ვერ ააარიდებ. მე არ ვეხები მისი სიტყვის თეორიულ ნაწილს, რადგან ესევე ნათქვამი აქვს კოლონტაის. მე ვიტყვი იმ ფაქტების გამო, რომლებიც მან მოიყვანა. ის ამბობდა, რომ კარტოფილს ალპობენ, და კითხულობდა, რატომ ციურუპას სამართალში არ აძლევთო.

მე კი გეკითხებით: რატომ არ აძლევენ სამართალში შლიაპნიკოვს ასეთი გამოსვლებისათვის? ჩვენ ორგანიზებულ

პარტიაში დისციპლინის, ერთიანობის შესახებ სერიოზულად ვლაპარაკობთ თუ კრონშტადტული ტიპის კრებაზე ვიმყოფებით? ეს კი კრონშტადტული ფრაზაა, ანარქიული სულისკვეთებით გაჟღენთილი ფრაზაა, რომელსაც შაშხანით უპასუხებენ. ჩვენ პარტიის ორგანიზებული წევრები ვართ, ჩვენ აქ მოვედით ჩვენი შეცდომების გამოსასწორებლად. თუკი, ამხ. შლიაპნიკოვის აზრით, საჭირო იყო ციურუპას სამართალში მიცემა, რატომ არ გაასაჩივრა ეს შლიაპნიკოვმა, როგორც პარტიის ორგანიზებულმა წევრმა, საკონტროლო კომისიაში? როდესაც ჩვენ საკონტროლო კომისიას ვქმნიდით, სწორედ ასე ვამბობდით: ცენტრალური კომიტეტი დატვირთულია ადმინისტრაციული მუშაობით, მოდით ავირჩიოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც მუშების ნდობით სარგებლობენ, რომლებიც ისე არ იქნებიან დატვირთულნი ადმინისტრაციული მუშაობით და გაარჩევენ საჩივრებს ცენტრალური კომიტეტის მაგიერო. ეს იძლეოდა კრიტიკის განვითარების, შეცდომათა გამოსწორების საშუალებას. თუკი ციურუპა ასე უმართებულოდ იქცეოდა, რატომ არ იქნა ეს გასაჩივრებული საკონტროლო კომისიაში, ხოლო შლიაპნიკოვი მოდის აქ, ყრილობაზე, და პარტიისა და რესპუბლიკის ფრიად საპასუხისმგებლო კრების წინაშე წამოისვრის ბრალდებას იმის გამო, რომ კარტოფილი დაალპეს, და კითხულობს, რატომ სამართალში არ მისცეს ციურუპა? მე კი გეკითხებით, განა სამხედრო უწყებაში არ სჩადიან ხოლმე შეცდომებს, არ აგებენ ბრძოლებს, არ ტოვებენ საზიდრებს, ქონებას? მერე — სამართალში მივცეთ ასეთი სამხედრო მუშაკები? ამხ. შლიაპნიკოვმა აქ წამოისროლა ისეთი სიტყვები, რომლებიც თვითონ არ სჯერა, სიტყვები, რომლებსაც ის ვერ დაამტკიცებს. ჩვენ გვილპება კარტოფილი. რასაკვირველია, ბევრი შეცდომა იქნება, ჩვენში მოგვარებული არ არის აპარატი, მოგვარებული არ არის ტრანსპორტი. მაგრამ როდესაც ასეთ ბრალდებებს, შეცდომების გამოსწორების ნაცვლად, განუსჯელად წამოისვრიან, და ისიც კიდევ, როგორც აქ უკვე აღნიშნა ზოგიერთმა ამხანაგმა, ნიშნის მოგების კილოთი, როდესაც

პასუხს მოითხოვენ, რატომ არ მიეცით სამართალში ციურუ-პაო, მაშინ სამართალში მიგვეცით ჩვენ, — ცენტრალური კომიტეტი. ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი გამოსვლა დემაგოგიაა. სამართალში უნდა მიგვცეთ ან ციურუპა და ჩვენ, ან შლიაპ-ნიკოვი, მაგრამ ასე მუშაობა არ შეიძლება. როდესაც პარ-ტიული ამხანაგები ისე გამოდიან, როგორც აქ შლიაპნიკოვი გამოვიდა, — ის კი სხვა კრებებზეც ყოველთვის ასე გამო-დის, — და თუ ამხ. კოლონტაის ბროშურაში მოხსენებული არ არის სახელები, მთელი ბროშურა მაინც ასეთივე სულის-კვეთებითაა გაჟღენთილი, — ჩვენ ვამბობთ: ასე მუშაობა არ შეიძლება, რადგან ეს დემაგოგიაა, რომელსაც ეყრდნობიან ანარქისტულ-მახნოველი და კრონშტადტელი ელემენტები. ჩვენ ორივენი აქ პარტიის წევრები ვართ, ორივენი პასუხის-მგებელი სამსჯავროს წინაშე ვიმყოფებით, და თუ ციურუ-პამ უკანონობა ჩაიდინა, და ჩვენ, ცენტრალური კომიტეტი, ხელს ვაფარებთ ამას, — მაშინ ინებეთ და გამოდით გარკვე-ული ბრალდებით, ხოლო ნუ ისვრით ისეთ სიტყვებს, რომ-ლებიც ხვალ აქ, მოსკოვში, გავრცელდება და უმავთულო ჭორით დაუყოვნებლივ გადაეცემა ბურჟუაზიას; ხვალ საბჭოთა დაწესებულებების ყველა ჭორიკანა ხელზე თავის დაყრდნობით, ნიშნის მოგებით გაიმეორებს თქვენს სიტყვებს. თუკი ციურუ-პა ისეთია, როგორც მას ბრალს სდებს შლიაპნიკოვი, თუკი, როგორც ის მოითხოვს, ციურუპა სამართალში უნდა იქნეს მიცემული, მაშინ მე ვამტკიცებ, რომ ამ სიტყვებს სერიო-ზულად უნდა ჩავუფიქრდეთ; ასეთ ბრალდებებს ტყუილად კი არ წამოისვრიან ხოლმე. იმათ, ვინც ასეთ ბრალდებებს აყენებს, ან აგდებენ პარტიიდან, ან ეუბნებიან: შენ კარტო-ფილისათვის გგზავნით, ამა და ამ გუბერნიაში, — ვნახავთ, ნაკ-ლები კარტოფილი დალპება თუ არა, ვიდრე იმ გუბერნიებ-ში, რომლებსაც ციურუპა ხელმძღვანელობდა.

4

პირვანდელი პროექტი რეზოლუციისა მუშათა და გაჭირვებულ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ[46]

დაუძლურება, გამოწვეული შვიდი წლის ომთან და გაჩანაგებასთან დაკავშირებული გაჭირვებითა და უბედურებით, და მეტისმეტი დაღლილობა ძალთა იმ თითქმის ზეადამიანური დაძაბვის ნიადაგზე, რაც გამოიჩინა რუსეთის მუშათა კლასმა უკანასკნელი სამ-ნახევარი წლის განმავლობაში, იმდენად გამწვავდა ამჟამად, რომ საგანგებო ღონისძიებებს მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

ამიტომ რკპ X ყრილობა მოითხოვს მთელი პარტიისაგან, ყველა პარტიული და საბჭოთა დაწესებულებისაგან მიაქციონ ამ საკითხს ფრიად გაძლიერებული ყურადღება და დაუყოვნებლივ შეიმუშაონ მთელი რიგი ღონისძიებანი მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი გაჭირვების რადაც უნდა დაჯდეს შესამსუბუქებლად.

იწონებს რა ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას მუშათა მოხმარების საგნების შესასყიდად ოქროს ფონდის ნაწილის გაცემის შესახებ, ყრილობა მოითხოვს ამ ღონისძიების გაფართოებას და ჩვენი საიმპორტო (საქონლის შემოტანის) გეგმის დაუყოვნებლივ სათანადოდ შეცვლას.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შექმნას განსაკუთრებული ცენტრალური კომისია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების დაუყოვნებლივ ღონისძიებათა განსახორციელებლად და ისე მოაწყოს ეს კომისია, რომ იგი თავისი მუშაობით უშუალოდ დაკავშირებული იყოს, ერთი მხრივ, რკპ ცენტრალურ კომიტეტთან და პროფკავშირთა სრულიად

რუსეთის ცენტრალურ საბჭოსთან, ხოლო მეორე მხრივ, — სახკომსაბჭოსთან და შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან დასახულ ღონისძიებათა უსწრაფესად გასატარებლად და თვითონ მუშების მიერ ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის კონტროლის გასაწევად. ამ კომისიამ უნდა შექმნას ქვეკომისიები იმ უწყებებთან, რომლებსაც შეუძლიათ და რომლებმაც განსაკუთრებით უნდა გააკეთონ ის, რომ მათი აპარატის ნაწილი და საშუალებანი დაუყოვნებლივ მოხმარდეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს (საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, სასურსათო სახალხო კომისარიატი, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატი, სახნაგებობათა კომიტეტი[47], ჯანსახკომი და ა. შ.). აუცილებელია აგრეთვე ქვეკომისიები იმ გუბერნიებში, სადაც უმთავრესად თავმოყრილნი არიან მრეწველობის მუშები. ამ კომისიათა დებულების დაუყოვნებლივ შემუშავებას ყრილობა აკისრებს ცენტრალურ კომიტეტს და სათანადო უწყებათა პარტმუშაკებს.

საშინელი უბედურების გამო, რაც მოუსავლობამ თავს დაატეხა გლეხობას და რაც ძალიან ბევრ შემთხვევაში არმიის დემობილიზაციით ძლიერდება, X ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს გაატაროს სახკომსაბჭოს და სრულიად რუსეთის ცაკის საშუალებით ზემოაღნიშნულის მსგავსი ღონისძიებანი გაჭირვებულ გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ამასთან არ დასჯერდეს საამისოდ სრულიად რუსეთის ცაკთან უკვე შექმნილ კომისიას.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

5

სიტყვა პროფესიული კავშირების შესახებ
14 მარტი [48]

ამხანაგებო, დღეს ამხ. ტროცკი განსაკუთრებით თავაზიანად მეკამათებოდა და მისაყვედურებდა ან მიწოდებდა არქიფრთხილს. მე მადლობა უნდა მოვახსენო მას ამ კომპლიმენტისათვის და მწუხარება გამოვთქვა, რომ საშუალება არა მაქვს უკანვე დავუბრუნო იგი. პირიქით, მე მომიხდება ლაპარაკი ჩემს არაფრთხილ მეგობარზე, რათა გამოვხატო მიდგომა იმ შეცდომისადმი, რომლის გამოც ესოდენ ბევრი ზედმეტი დრო დავკარგე და რომლის გამოც ახლა იძულებული ვხდებით უფრო აქტუალურ საკითხზე კი არ გადავიდეთ, არამედ განვაგრძოთ კამათი პროფკავშირების საკითხების შესახებ. ამხ. ტროცკიმ თავისი საბოლოო სიტყვა პროფდისკუსიის საკითხის გამო თქვა 1921 წ. 29 იანვრის «პრავდაში». თავის სტატიაში «არის უთანხმოებანი, მაგრამ რა შუაშია არევ-დარევა?» ის მისაყვედურებდა, რომ ამ არევ-დარევაში მე მიმიძღვის ბრალი, რომ მე ვაყენებ საკითხს: ვინ თქვა პირველმა: «ჰე». ეს ბრალდება მთლიანად ტროცკისვე უბრუნდება: სწორედ ის აბრალებს სხვას თავის დანაშაულს. მთელი მისი ფელეტონი იმაზე იყო აგებული, რომ ის პროფკავშირთა საწარმოო როლს წინ აყენებდა, და რომ ამაზე უნდა ვილაპარაკოთო. არ არის მართალი, ამას კი არ წარმოუშვია უთანხმოებანი, ამას კი არ გაუხდია ისინი მტკივნეულად. და, თუმცა დისკუსიის შემდეგ, — რომელშიც, მართალია, მხოლოდ ერთ თვეს ვმონაწილეობდი, — მეტად მოსაწყენია განმეორება, დაუსრულებლად განმეორება, მაგრამ მაინც უნდა გავიმეორო, რომ ამოსავალი პუნქტი ეს კი არ იყო, არამედ «შებერტყვის» ის

ლოზუნგი, რომელიც წამოსროლილ იქნა 2 — 6 ნოემბერს პროფკავშირთა სრულიად რუსეთის მეხუთე კონფერენციაზე. და ყველას, ვისაც კი რუძუტაკის რეზოლუცია არ გამოპარვია, — ასეთთა რიცხვს კი ვეკუთვნოდით ცეკისტებიც, მათ შორის მეც, — ჯერ კიდევ მაშინ გვეგონა, რომ პროფკავშირთა საწარმოო როლის საკითხში უთანხმოებებს ვერ აღმოაჩენენო, სამი თვის დისკუსიამ კი ისინი აღმოაჩინა; ეს უთანხმოებანი იყო, და ისინი პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენენ. ამხ. ტროცკი მისაყვედურებდა დიდ თეატრში გამართული დისკუსიის დროს, პასუხისმგებელ მუშაკთა წინაშე, რომ მე დისკუსიას ვფუშავდი. ამას მე კომპლიმენტად მივიჩნევ. მე ვცდილობდი ჩამეშალა იმ სახის დისკუსია, როგორიც მან მიიღო, რადგან ასეთი გამოსვლა მძიმე გაზაფხულის წინ საზიანო იყო. ამას მხოლოდ ბრმები ვერ ხედავდნენ.

ამხ. ტროცკი იცინის ახლა, რომ მე ვაყენებ საკითხს, თუ პირველმა ვინ თქვა: «ჰე», და გაკვირვებულია, რატომ ვუსაყვედურებ მას, რომ იგი კომისიაში არ შევიდა. იმიტომ, ამხ. ტროცკი, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, — ძალიან დიდი მნიშვნელობა, რადგან პროფკომისიაში შეუსვლელობა ცენტრალური კომიტეტის დისციპლინის ჩაშლა იყო. და როდესაც ამაზე ლაპარაკობს ტროცკი, აქედან კამათი კი არ გამოდის, არამედ პარტიის შენჯღრევა და გაბოროტება, არის ხოლმე უკიდურესობანი, — ამხ. ტროცკიმ იხმარა გამოთქმა — «გასატანება». მე მაგონდება ამხ. გოლცმანის ერთი გამოთქმა, — მე არ მოვიყვან აქ მას, რადგან სიტყვა «სატანა» რაღაც საშინელს მოგვაგონებს, გოლცმანი კი თვითონ საამურ რამეს მოგვაგონებს, — ამიტომ აქ «გასატანება» არ არის, მაგრამ ის, რომ არის ხოლმე უკიდურესობანი ორივე მხრიდან და, რაც გაცილებით უფრო საოცარია, — იყო ზოგიერთი უკიდურესობა ზოგიერთი ფრიად საამური ამხანაგისა, — ეს არ უნდა დავივიწყოთ. მაგრამ როდესაც ამას ამხ. ტროცკის ავტორიტეტიც ემატება და როდესაც ის 25 დეკემბერს საჯაროდ გამოდის და ამბობს, რომ ყრილობამ ორი ტენდენციიდან ერთი უნდა აირჩიოსო, — ეს სიტყვები მიუტევებელია! ეს

სიტყვები წარმოადგენენ პოლიტიკურ შეცდომას, რომლის გამოც ჩვენ ვიბრძვით. და როდესაც აქ ოხუნჯობენ იმის გამო, ხდება ხოლმე თათბირები ორ ოთახშია, — ეს გულუბრყვილობაა. მინდა ერთი ვნახო ის ხუმარა, რომელიც იტყვის, აკრძალულია ყრილობაზე დელეგატების თათბირები, რათა მათი ხმები არ გაიყოსო. ეს მეტისმეტი გაზვიადება იქნებოდა. ამხ. ტროცკიმ და ცენტრანმა პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინეს იმით, რომ «შებერტყვის» საკითხი იყო დასმული და სრულიად არასწორად იყო დასმული. ეს პოლიტიკური შეცდომაა, და იგი დღემდე არ არის გამოსწორებული. ტრანსპორტის შესახებ არის რეზოლუცია[49].

ჩვენ კი ვლაპარაკობთ პროფესიულ მოძრაობაზე, მუშათა კლასის ავანგარდის დამოკიდებულებაზე პროლეტარიატთან. თუ ჩვენ მალალი თანამდებობიდან ვინმეს ვხსნით, ამაში ცუდი არაფერია. ეს არავის არ სცხებს ჩირქს. თუ თქვენ შეცდომა ჩაიდინეთ, ყრილობა აღიარებს მას და აღადგენს ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთნდობას მუშათა კლასის ავანგარდსა და მუშათა მასას შორის. აი «ათის პლატფორმის» მნიშვნელობა. თუ პლატფორმაში არის ისეთი რამ, რაც შეიძლება შეიცვალოს, თუ ამას ხაზგასმით აღნიშნავს ტროცკი და ავითარებს რიაზანოვი, — ეს წვრილმანია. თუ სიტყვაში ამბობენ, რომ პლატფორმას არ ეტყობა ლენინის ხელი, მისი ესა თუ ის მონაწილეობაო, — ამაზე მოგახსენებთ: ყოველივე იმაში, რასაც ხელი უნდა მოვაწერო, მონაწილეობას რომ ვიღებდე ხელით ან ტელეფონში ლაპარაკით, დიდი ხანია ჭკუაზე შევიშლებოდი. მე ვამბობ, რომ თუ ცენტრანმა შეცდომა ჩაიდინა, — ვინ არ ეძლევა ხოლმე გატაცებას, — მაშინ ეს შეცდომა უნდა გამოსწორებულიყო, რათა მუშათა კლასის ავანგარდსა და მუშათა მასას შორის ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთნდობა დამყარებულიყო. მაგრამ როდესაც იწყებენ ამ შეცდომის დაცვას, ეს პოლიტიკური საშიშროების წყაროდ იქცევა. თუკი დემოკრატიის აზრით მაქსიმალურად შესაძლებელს ვერ გავაკეთებდით იმ განწყობილებიდან, რომელსაც აქ კუტუზოვი გამო-

ხატავს, ჩვენ პოლიტიკურ კრახამდე მივიდოდით. უწინარეს ყოვლისა უნდა დავარწმუნოთ, ხოლო შემდეგ ვაიძულოთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჯერ უნდა დავარწმუნოთ, ხოლო შემდეგ ვაიძულოთ. ჩვენ ვერ შევძელით ფართო მასების დარწმუნება და დავარღვიეთ ავანგარდის სწორი თანაფარ დობა მასებთან.

როდესაც კუტუზოვისთანა ადამიანები თავიანთი საქმიანი სიტყვის ნაწილს ჩვენი აპარატის ბიუროკრატიულ უმსგავ-სოებებზე მითითებას ანდომებენ, ჩვენ ვუპასუხებთ: ეს მართალია, ჩვენი სახელმწიფო არის სახელმწიფო ბიურო-კრატიული დამახინჯებით. უპარტიო მუშებსაც მოვუხმობთ ამის წინააღმდეგ საბრძოლველად. და აქ უნდა ვთქვა, რომ ისეთი ტიპის ამხანაგები, როგორიც კუტუზოვია, უფრო ახლო უნდა ჩავაბათ ამ მუშაობაში და უფრო მაღალ თანამდებო-ბაზეც დავაყენოთ. აი გაკვეთილი, რომელიც ჩვენი გამო-ცდილებიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება სინდიკალისტურ გადახრას, საკმარისია ორი-ოდე სიტყვა მოვახსენოთ შლიაპნიკოვს: სასაცილოა, როდე-საც ის მიგვითითებს, თითქოს ენგელსის დამოწმებით შეი-ძლებოდეს დაცვა «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრი-ლობისა», რის შესახებაც მათ პლატფორმაში თეთრზე შავად წერია და რასაც კოლონტაიც ადასტურებს. ენგელსი კომუნისტურ საზოგადოებაზე ლაპარაკობს. იქ კლასები აღარ დარჩებიან, — იქ მწარმოებელნი იქნებიან[50]. ახლა კი ჩვენში არიან თუ არა კლასები? არიან. ახლა ჩვენში არის თუ არა კლასთა ბრძოლა? არის და მეტისმეტად გააფთრებულიც! და აი, კლასთა მეტისმეტად გააფთრებული ბრძოლის მომენტში მოსვლა და ლაპარაკი: «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობაო», — განა ეს სინდიკალისტური გადახრა არ არის, რომელიც გადაჭრით და სამუდამოდ უნდა დავგმოთ? პლატ-ფორმების ამ ოთურმაში, რომელიც გამართული იყო, ჩვენ ვნახეთ, რომ ბუხარინმაც კი წაიბორძიკა ერთი მესამედის კანდიდატურებზე. ამხანაგებო, პარტიის ისტორიაში ასეთი ქანაობა არ უნდა დაგვავიწყდეს.

და ახლა, რამდენადაც «მუშათა ოპოზიცია» დემოკრატიას იცავდა, რამდენადაც იგი საღ მოთხოვნებს აყენებდა, ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ მასთან დასაახლოებლად, და ყრილობამ, როგორც ყრილობამ, გარკვეული შერჩევა უნდა მოახდინოს. თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩვენ სუსტად ვებრძვით ბიუროკრატიზმს, — მოდით და დაგვეხმარეთ, უფრო ახლოს მოდით, დაგვეხმარეთ ბრძოლაში, მაგრამ თუ თქვენ «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობას» გვთავაზობთ, ეს არ არის მარქსისტული, არ არის კომუნისტური თვალსაზრისი. «მუშათა ოპოზიცია» რიაზანოვის მეცადინეობით ყალბად განმარტავს პროგრამას. პროგრამაში ნათქვამია: «პროფკავშირები უნდა მივიდნენ იქამდე, რომ მათ ფაქტიურად მოაქცინონ თავიანთ ხელში მთელი მართვა-გამგეობა მთელი სახალხო მეურნეობისა, როგორც ერთი მთლიანი მეურნეობისა» [51]. შლიაპნიკოვი, როგორც ყოველთვის, აქაც აზვიადებს და ფიქრობს, თითქოს, ჩვენი აზრით, ეს 25 საუკუნის შემდეგ მოხდება. პროგრამა ამბობს: პროფკავშირები «უნდა მივიდნენ», და, როდესაც ყრილობა იტყვის, რომ ისინი მივიდნენო, მაშინ ეს მოთხოვნა განხორციელებული იქნება.

ამხანაგებო, როდესაც ახლა ყრილობა მთელი რუსეთის პროლეტარიატის წინაშე, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის წინაშე განაცხადებს, რომ «მუშათა ოპოზიციის» მიერ წამოყენებული წინადადებანი მას სინდიკალისტურ ნახევარგადახრად მიაჩნია, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე, რაც კი ჭეშმარიტად პროლეტარული და საღია ოპოზიციაში, ჩვენ გამოგვყვება, დაგვეხმარება ჩვენდამი მასების ნდობის, პატარა ცენტრანისტული შეცდომის მეოხებით შერყეული ნდობის აღდგენაში, და საერთო ძალ-ღონით შევძლებთ განვამტკიცოთ, შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები და გაერთიანებულნი გამოვიდეთ იმ მძიმე ბრძოლისათვის, რომელიც მოგველის. და თუ მას ერთსულოვნად, გაბედულად, მტკიცედ გავაჩაღებთ, ჩვენ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ (ტაში).

6

მოხსენება გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ

15 მარტი

ამხანაგებო, გაწერის გადასახადით შეცვლის საკითხი უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად პოლიტიკური საკითხია, ვინაიდან ამ საკითხის დედაარსს შეადგენს მუშათა კლასის დამოკიდებულება გლეხობასთან. ამ საკითხის დასმა იმას ნიშნავს, რომ ხელახლა, ანუ, მე ვიტყოდი, დამატებით უფრო ფრთხილად და სწორად განვიხილოთ, ერთგვარად გადავსინჯოთ იმ ორი მთავარი კლასის ურთიერთობა, რომელთა შორის ბრძოლა ან შეთანხმება მთელი ჩვენი რევოლუციის ბედს განსაზღვრავს. საჭირო არაა დაწვრილებით შევჩერდე საკითხებზე, თუ რა მიზეზები იწვევენ ამ გადასინჯვას. რა თქმა უნდა, თქვენ ყველამ მშვენივრად იცით, თუ რა მოვლენებმა, განსაკუთრებით ომით, გაჩანაგებით, დემობილიზაციით და მეტად მძიმე მოუსავლობით გამოწვეული გაჭირვების უკიდურესი გამწვავების ნიადაგზე, თუ რა გარემოებებმა ჩააყენეს გლეხობა განსაკუთრებით მძიმე, მწვავე მდგომარეობაში და აუცილებლად გააძლიერეს მისი გადახრა პროლეტარიატიდან ბურჟუაზიისაკენ.

ორიოდე სიტყვა ამ საკითხის თეორიული მნიშვნელობის ანუ თეორიული მიდგომის შესახებ. ეჭვი არაა, იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წვრილ მიწათმოქმედ-მწარმოებელთ ეკუთვნის, სოციალისტური რევოლუცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მთელ რიგ განსაკუთრებულ, გარდამავალ ღონისძიებათა მეოხებით,

რომლებიც სრულიად არ იქნებოდა საჭირო განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში, სადაც მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში დიდ უმრავლესობას დაქირავებული მუშები შეადგენენ. განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში არსებობს სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშების კლასი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა. სოციალიზმზე უშუალო გადასვლის დასაყრდენი სოციალურად, ეკონომიურად და პოლიტიკურად მხოლოდ ასეთი კლასი შეიძლება იყოს. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე უშუალო გადასვლა მხოლოდ ისეთ ქვეყნებშია შესაძლებელი და არ მოითხოვს განსაკუთრებულ გარდამავალ საერთო-სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს, სადაც ეს კლასი საკმაოდ განვითარებულია. მთელ რიგ ნაწარმოებებში, ყოველ ჩვენს გამოსვლაში, მთელ პრესაში ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ რუსეთში საქმე ასე არ არის, რომ რუსეთში მრეწველობის მუშები უმცირესობას შეადგენენ, ხოლო დიდი უმრავლესობა წვრილი მიწათმოქმედია. ასეთ ქვეყანაში სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია საბოლოო წარმატებას მხოლოდ ორი პირობით მიაღწიოს. ჯერ ერთი, იმ პირობით, თუ მას დროულად დაუჭერს მხარს ერთი ან რამდენიმე მოწინავე ქვეყანა თავისი სოციალისტური რევოლუციით. როგორც მოგეხსენებათ, წინანდელთან შედარებით ამ პირობისათვის ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ, მაგრამ სრულიადაც არა იმდენი, რომ ეს სინამდვილედ გადაქცეულიყო.

მეორე პირობა, — ეს არის შეთანხმება პროლეტარიატსა, რომელიც თავის დიქტატურას ახორციელებს ანუ რომელსაც სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ უპყრია, და გლეხი მოსახლეობის უმრავლესობას შორის. შეთანხმება — ეს ფრიად ფართო ცნებაა, რომელიც მთელ რიგ ღონისძიებებსა და გარდამავალ საფეხურებს შეიცავს. აქ უნდა ითქვას, რომ მთელი ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის საქმე აშკარად უნდა დავაყენოთ. ის ხალხი, რომელიც პოლიტიკად თვლის წვრილმან ფანდებს, რაც ზოგჯერ თითქმის მატყუარობაა, ჩვენს წრეში ფრიად გადაჭრით უნდა იქნეს გაკიცხული.

საჭიროა მათი შეცდომების გამოსწორება. კლასების მოტყუება შეუძლებელია. სამი წლის განმავლობაში ჩვენ ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ იმისთვის, რომ მასების პოლიტიკური შეგნება აგვემაღლებინა. მასები მწვავე ბრძოლით ყველაზე მეტად სწავლობდნენ. ჩვენ, — ჩვენი მსოფლმხედველობის, ათეული წლების რევოლუციური გამოცდილების, ჩვენი რევოლუციის გაკვეთილების თანახმად, — საკითხი პირდაპირ უნდა დავაყენოთ: ამ ორი კლასის ინტერესები სხვადასხვაა, წვრილ მიწათმოქმედს არა სურს ის, რაც მუშას უნდა.

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ხსნა მხოლოდ გლეხობასთან შეთანხმებას შეუძლია, ვიდრე სხვა ქვეყნებში რევოლუცია არ მომხდარა. აი ასე, გულახდილად, უნდა ვილაპარაკოთ ყველა კრებაზე, მთელს პრესაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ რაიმეს დაფარვას კი არ უნდა ვცდილობდეთ, არამედ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ გლეხობა უკმაყოფილოა ურთიერთობათა იმ ფორმით, რომელიც ჩვენსა და მას შორის დამყარდა, რომ მას არ სურს ურთიერთობათა ეს ფორმა და რომ იგი შემდგომ ასე ვერ იარსებებს. ეს უდავოა. ეს მისი ნება აშკარად გამოიხატა. ეს არის მშრომელი მოსახლეობის დიდი მასების ნება. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, და ჩვენ საკმაოდ ფხიზელი პოლიტიკოსები ვართ საიმისოდ, რომ პირდაპირ ვთქვათ: მოდით გადავსინჯოთ ჩვენი პოლიტიკა გლეხობის მიმართ. ისე, როგორც აქამდე იყო, — ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება აღარ შეიძლება.

ჩვენ უნდა ვუთხრათ გლეხებს: «თქვენ გინდათ უკან დაბრუნება, გინდათ საესებით აღადგინოთ კერძო საკუთრება და თავისუფალი ვაჭრობა, — მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად, გარდუვალად მოექცეთ მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის ქვეშ. ამას მთელი რიგი ისტორიული მაგალითები და რევოლუციების მაგალითები მოწმობს. ამის აუცილებლობას დაადასტურებს სულ მცირე მსჯელობაც კი კომუნიზმის ანბანიდან, პოლიტიკური ეკონომიის ანბანიდან. მოდით და გავარჩიოთ, სახეიროა თუ არა

გლეხობისათვის დაშორდეს პროლეტარიატს ისე, რომ უკანვე დაგორდეს და ქვეყანასაც უკან დაახევინოს — კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლებამდე? სახეიროა თუ არა ეს? იანგარიშეთ და მოდით ერთად ვიანგარიშოთ».

და ჩვენ გვგონია, თუ სწორად ვიანგარიშებთ, მიუხედავად პროლეტარიატის და წვრილი მიწათმოქმედის ეკონომიურ ინტერესთა მთელი შეცნობილი ღრმა სხვაობისა, ანგარიში მაინც ჩვენთვის სასარგებლო გამოვა.

რაც უნდა მძიმე იყოს ჩვენი მდგომარეობა რესურსების მხრივ, მაინც საშუალო გლეხობის დაკმაყოფილების ამოცანა უნდა გადაწყდეს. გლეხობა წინანდელზე გაცილებით უფრო საშუალო გახდა, წინააღმდეგობანი შენელდა, მიწით სარგებლობა გაცილებით უფრო გათანაბრებულია, კულაკს ფრთები შეეჭრა და იგი მეტწილად ექსპროპრიირებულია, — რუსეთში უფრო მეტად, ვიდრე უკრაინაში, ციმბირში ნაკლებად. მაგრამ საერთოდ და მთლიანად, სტატისტიკის მონაცემები სრულიად უდავოდ მოწმობენ, რომ მოხდა სოფლის განიელირება, გათანასწორება, ე. ი. შენელდა მკვეთრი დაყოფა კულაკად და უყანო გლეხად. ყველაფერი უფრო თანაბარი შეიქნა, გლეხობა საერთოდ საშუალო გლეხის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავაკმაყოფილოთ ეს საშუალო გლეხობა, როგორც ასეთი, მისი ეკონომიური თავისებურებებით, მისი ეკონომიური ფესვებით? თუ რომელიმე კომუნისტი ოცნებობდა, რომ სამ წელიწადში შესაძლებელი იქნებოდა წვრილი მიწათმოქმედების ეკონომიური ბაზის, ეკონომიური ფესვების გარდაქმნა, ის, რასაკვირველია, ფანტაზიორი ყოფილა. და — ცოდვა გატეხილი სჯობია — ასეთი ფანტაზიორები ჩვენს წრეში ცოტანი როდი იყვნენ. აქ მაინცდამაინც ცუდი არაფერია. განა ასეთს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის დაწყება უფანტაზიორებოდ შეიძლებოდა? რა თქმა უნდა, პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ რა უდიდესი როლის თამაში შეძლებია ყოველგვარ ცდასა და წამოწყებას სამიწათმოქმედო მეურნეობის კოლექტიურად

წარმოების დარგში. მაგრამ პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ამ ცდებმა, როგორც ასეთებმა, აგრეთვე უარყოფითი როლიც შეასრულეს, როდესაც მეტად კეთილი განზრახვებითა და სურვილებით გატაცებული ხალხი სოფლად კომუნებისა და კოლექტივების შესაქმნელად მიდიოდა, მეურნეობის წარმართვისა კი არა გაეგებოდათ რა, ვინაიდან კოლექტიური გამოცდილება მათ არ ჰქონდათ.

თქვენ მშვენივრად იცით, რამდენი იყო ასეთი მაგალითი. ვიმეორებ, ეს გასაკვირი არაა, რადგან წვრილი მიწათმოქმედის გარდაქმნის, მთელი მისი ფსიქოლოგიის და ჩვევათა გადამუშავების საქმე მთელ თაობათა საქმეა. წვრილი მიწათმოქმედის მიმართ ამ საკითხის გადაწყვეტა, მთელი მისი ფსიქოლოგიის, ასე ვთქვათ, გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების მასობრივი მასშტაბით გამოყენებას, მასობრივი მასშტაბით მოწყობილ ელექტრიფიკაციას. აი რა გარდაქმნიდა ძირიან-ფესვიანად და უდიდესი სისწრაფით წვრილ მიწათმოქმედს. თუ ვამბობ, რომ ამ საქმისათვის მთელი თაობებია საჭირო, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საუკუნეები დასჭირდეს ამას. თქვენ მშვენივრად გესმით, რომ უზარმაზარი ქვეყნისთვის ტრაქტორებისა და მანქანების შოვნა, ამ ქვეყნის ელექტრიფიკაცია ისეთი საქმეა, რომელიც, სულ მცირე, ათეულ წლებს მაინც მოითხოვს. აი როგორია ობიექტური ვითარება.

ჩვენ უნდა ვეცადოთ დავაკმაყოფილოთ მოთხოვნები გლეხებისა, რომელნიც არ არიან დაკმაყოფილებულნი, რომელნიც უკმაყოფილონი არიან, სამართლიანადაც არიან უკმაყოფილონი და არც შეიძლება კმაყოფილნი იყვნენ. ჩვენ მათ უნდა ეუთხრათ: «დიახ, ასეთი მდგომარეობა ვეღარ გაგრძელდება». მაგრამ როგორ დავაკმაყოფილოთ გლეხი და რას ნიშნავს მისი დაკმაყოფილება? საიდან შეგვიძლია მივიღოთ იმ კითხვის პასუხი, თუ როგორ დავაკმაყოფილოთ იგი? რასაკვირველია, გლეხობის იგივე მოთხოვნებიდან. ჩვენ ვიცნობთ ამ მოთხოვნებს. მაგრამ ეს მოთხოვნები უნდა

შევამოწმოთ, გავსინჯოთ ეკონომიური მეცნიერების თვალსაზრისით ყოველივე ის, რაც მიწათმოქმედის ეკონომიური მოთხოვნების შესახებ ვიცით. როდესაც ამ საკითხს ჩავუკვირდებით, ჩვენს თავს უმალვე ვეტყვით: წვრილი მიწათმოქმედის დაკმაყოფილება, არსებითად, ორი რამეთი შეიძლება: ჯერ-ერთი, საჭიროა ბრუნვის ერთგვარი თავისუფლება, თავისუფლება წვრილი კერძო მეურნისათვის, და მეორეც, საჭიროა ვიშოვნოთ საქონელი და პროდუქტები. სადაური ბრუნვის თავისუფლებაა, თუ არაფერი გაბადია საბრუნავი, და სადაური ვაჭრობის თავისუფლებაა, თუ სავაჭრო არა გაგაჩნია რა! ეს ფარატინა ქაღალდად დარჩება, კლასები კი ქაღალდებით როდი კმაყოფილდებიან, მათ მატერიალური საგნები უნდათ. ეს ორი პირობა კარგად უნდა გავიგოთ. მეორე პირობაზე, — თუ როგორ ვიშოვნოთ საქონელი და ვიშოვნით თუ არა მას — ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი. პირველი პირობა კი, — ბრუნვის თავისუფლება, — ამაზე უნდა შევჩერდეთ.

რა არის ბრუნვის თავისუფლება? ბრუნვის თავისუფლება ვაჭრობის თავისუფლებაა, ვაჭრობის თავისუფლება კი კაპიტალიზმისაკენ უკან დახევას ნიშნავს. ბრუნვის თავისუფლება და ვაჭრობის თავისუფლება — ეს ცალკეულ წვრილ მეურნეთა შორის საქონლის გაცვლას ნიშნავს. ვისაც კი მარქსიზმის ანბანი მაინც გვისწავლია, ყველამ ვიცით, რომ ამ ბრუნვიდან და ვაჭრობის თავისუფლებიდან აუცილებლად გამომდინარეობს საქონელმწარმოებელთა დაყოფა კაპიტალის მფლობელად და მუშახელის მფლობელად, დაყოფა კაპიტალისტად და დაქირავებულ მუშად, ე. ი. კვლავ აღდგენა კაპიტალისტური დაქირავებული მონობისა, რაც ციდან კი არ ვარდება, არამედ მთელ ქვეყნიერებაზე სწორედ ამ სასაქონლო სამიწათმოქმედო მეურნეობიდან წარმოსდგება. ეს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით თეორიულად, და ვინც კი რუსეთში ცხოვრებას და წვრილ მიწათმოქმედის მეურნეობის პირობებს დაკვირვებია, არ შეიძლება ამას ვერ ხედავდეს.

იბადება კითხვა: ეს რაღა გამოვიდა, განა კომუნისტურ პარტიას შეუძლია ვაჭრობის თავისუფლება აღიაროს, გადავიდეს მასზე? ხომ არ არის აქ შეურიგებელი წინააღმდეგობა? ამაზე უნდა გიპასუხოთ, რომ ეს საკითხი პრაქტიკულად, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი გადასაწყვეტია. მე წინდაწინვე ვგრძნობ და ამხანაგებთან გამართული საუბრებიდანაც ვიცი, რომ გაწერის გადასახადით შეცვლის წინასწარი პროექტი, თქვენ რომ დაგირიგდათ, ყველაზე მეტად კითხვებს, კანონიერ და აუცილებელ კითხვებს იმის გამო იწვევს, რომ გაცვლა ნებადართულია ადგილობრივი სამეურნეო ბრუნვის ფარგლებში. ეს ნათქვამია მე-8 პარაგრაფის ბოლოში. რას ნიშნავს ეს, რა საზღვრები უდევს ამას, როგორ უნდა განხორციელდეს ეს? ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ასეთი კითხვის პასუხს ამ ყრილობაზე მიიღებს. ამ კითხვის პასუხს ჩვენი კანონმდებლობა მოგვცემს, ჩვენი ამოცანაა მხოლოდ პრინციპული ხაზის დადგენა, ლოზუნგის წამოყენება. ჩვენი პარტია მთავრობის პარტიაა, და ის დადგენილება, რომელსაც პარტიული ყრილობა გამოიტანს, მთელი რესპუბლიკისათვის იქნება სავალდებულო, აქ კი ჩვენ პრინციპულად უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი. ჩვენ პრინციპულად უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი და შევატყობინოთ ეს გლეხობას, ვინაიდან თესვის დრო ცხვირწინ არის. ამის შემდეგ კი უნდა ავამუშაოთ მთელი ჩვენი აპარატი, მთელი ჩვენი თეორიული ძალები, მთელი ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება, რათა ვნახოთ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს საქმე. შეიძლება თუ არა ამის გაკეთება, თეორიულად რომ ვთქვათ, შეიძლება თუ არა წვრილ მიწათმოქმედთათვის რამდენადმე აღვადგინოთ ვაჭრობის თავისუფლება, კაპიტალიზმის თავისუფლება ისე, რომ ამით პროლეტარიატის პოლიტიკურ ძალაუფლებას ფესვები არ გამოეთხაროს? შესაძლებელია ეს თუ არა? შესაძლებელია, იმიტომ რომ საქმე ზომაზე არის დამოკიდებული. ჩვენ რომ თუნდ ცოტაოდენი საქონლის მიღება მოვახერხოთ და სახელმწიფოს ხელში, პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პროლეტარიატის ხელში ვიქონიოთ და შევძლოთ

ამ საქონლის საბრუნავად გამოშვება, — ამით ჩვენ, როგორც სახელმწიფო, პოლიტიკურ ძალაუფლებას ეკონომიურ ძალაუფლებასაც შევმატებდით. ამ საქონლის საბრუნავად გამოშვება გამოაცოცხლებს წვრილ მიწათმოქმედებას, რომელიც ახლა საშინლად ჩამკვდარია ომის მძიმე პირობების, გაპარტახების გამო და წვრილი მიწათმოქმედების გაშლის შეუძლებლობის გამო. წვრილ მიწათმოქმედს, სანამ იგი წვრილი რჩება, უნდა ჰქონდეს მისი ეკონომიური ბაზის, ე. ი. წვრილი ცალკეული მეურნეობის შესაფერისი სტიმული, ბიძგი, აღმძვრელი. აქ ბრუნვის ადგილობრივ თავისუფლებას ვერსად წაუხვალ, თუ ეს ბრუნვა მრეწველობის პროდუქტების გაცვლის მეოხებით სახელმწიფოს მისცემს პურის გარკვეულ მინიმალურ რაოდენობას, რომელიც საკმარისი იქნება ქალაქის, ფაბრიკების, მრეწველობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეკონომიური ბრუნვა ისე იქნება აღდგენილი, რომ სახელმწიფო ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში დარჩება და განმტკიცდება. გლეხობა მოითხოვს პრაქტიკულად დავანახვოთ, რომ მუშას, რომელსაც ხელთ უპყრია ფაბრიკები, ქარხნები, მრეწველობა, შეუძლია მოაწყოს ბრუნვა გლეხობასთან. მეორე მხრივ, უზარმაზარი მიწათმოქმედი ქვეყანა თავისი უხეირო გზებით, თვალუწვდენელი სივრცით, სხვადასხვა ჰავით, სოფლის მეურნეობის განსხვავებული პირობებითა და სხვ. აუცილებლად გულისხმობს ადგილობრივი მიწათმოქმედებისა და ადგილობრივი მრეწველობის ბრუნვის ერთგვარ თავისუფლებას ადგილობრივი მასშტაბით. ჩვენ ამ მხრივ მეტად ბევრი შევცოდეთ, რადგან ძალიან შორს წავედით: ჩვენ ძალიან შორს წავედით ვაჭრობისა და მრეწველობის ნაციონალიზაციის გზაზე, ადგილობრივი ბრუნვის შეწყვეტის გზაზე. იყო თუ არა ეს შეცდომა? უეჭველად იყო.

ამ მხრივ მრავალი აშკარა შეცდომა ჩავიდინეთ, და უდიდესი დანაშაული იქნებოდა აქ არ დაგვენახა და არ შეგვეგნო რომ ჩვენ ზომა ვერ დავიცავით, არ ვიცოდით, როგორ დაგვეცვა იგი. მაგრამ აქ იყო აგრეთვე იძულებითი

აუცილებლობაც: ჩვენ დღემდე ისეთი გააფთრებული, ისეთი გაუგონრად მძიმე ომის პირობებში ვიმყოფებოდით, როცა ეკონომიურ სფეროშიც მარტო სამხედრო წესით მოქმედებაღა დაგვრჩენოდა. და სასწაული იყო, რომ ასეთ ომს გაჩანაგებულმა ქვეყანამ გაუძლო, და ეს სასწაული ციდან კი არ მოგვევლინა, არამედ იგი წარმოიშვა მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური ინტერესებიდან, რომლებმაც თავიანთი მასობრივი აღმავლობით შექმნეს ეს სასწაული; ამ სასწაულით იქნენ უკუგდებულნი მემამულეები და კაპიტალისტები. მაგრამ, ამავე დროს, უდავოა ის ფაქტი, და ეს ჩვენ არ უნდა დავმალოთ აგიტაციისა და პროპაგანდის დროს, — რომ ჩვენ უფრო შორს წავედით, ვიდრე ეს თეორიულად და პოლიტიკურად იყო აუცილებელი. ჩვენ შეგვიძლია საკმაოდ ფართო ფარგლებში დავუშვათ თავისუფალი ადგილობრივი ბრუნვა ისე, რომ ამით კი არ დავანგრიოთ, არამედ განვამტკიცოთ პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლება. თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს — პრაქტიკის საქმეა. ჩემი საქმეა დაგიმტკიცოთ, რომ თეორიულად ეს შესაძლებელია. პროლეტარიატს, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, თუკი მას რაიმე რესურსები გააჩნია, სავსებით შეუძლია ბრუნვაში გაუშვას ისინი და ამით რამდენადმე დააკმაყოფილოს საშუალო გლეხი, დააკმაყოფილოს ადგილობრივი სამეურნეო ბრუნვის საფუძველზე.

ახლა რამდენიმე სიტყვა ადგილობრივი სამეურნეო ბრუნვის შესახებ. წინასწარ კი კოოპერაციის საკითხს უნდა შევეხო. რასაკვირველია, ადგილობრივი სამეურნეო ბრუნვის დროს დაგვჭირდება კოოპერაცია, რომელიც ჩვენში მეტისმეტად ჩახშობილია. ჩვენს პროგრამაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საუკეთესო განმანაწილებელი აპარატი არის კაპიტალიზმისაგან დარჩენილი კოოპერაცია, რომ ეს აპარატი უნდა შევინარჩუნოთ. ამას გვეუბნება პროგრამა. შევასრულეთ თუ არა ეს ჩვენ? ძალიან ნაკლებად, ნაწილობრივ კი სულაც არ შეგვისრულებია, აქაც ნაწილობრივ შეცდომით, ნაწილობრივ კი სამხედრო გაჭირვების გამო. კოოპერაცია,

რომელიც იძლეოდა უფრო ყაირათიან, ეკონომიურად უფრო მაღალ ელემენტებს, ამით პოლიტიკაში მენშევიკებსა და ესერებს გამოჰყოფდა. ეს ქიმიური კანონია, — და აქ ვერაფერს გახდები! (ს ი ც ი ლ ი.) მენშევიკები და ესერები — ეს ისეთი ხალხია, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად აღადგენს კაპიტალიზმს და ეხმარება იუდენიჩებს. ესეც კანონია. ჩვენ უნდა ვიომოთ მათ წინააღმდეგ. თუ ომია — ომი იყოს: ჩვენ უნდა დაგვეცვა ჩვენი თავი, და დავიცავით კიდეც. მაგრამ შეიძლება თუ არა უეჭველად ახლანდელ მდგომარეობაში დავრჩეთ? არ შეიძლება. ამით ხელ-ფეხის შეკვრა უსათუოდ შეცდომა იქნება. აი რატომ შემომაქვს კოოპერაციის საკითხზე რეზოლუცია, რომელიც ძალიან მოკლეა, და მას წაგიკითხავთ:

«ვინაიდან რკპ IX ყრილობის რეზოლუცია კოოპერაციასთან დამოკიდებულების შესახებ მთლიანად აგებულია გაწერის პრინციპის აღიარებაზე, რაც ახლა ნატურალური გადასახადით იცვლება, რკპ X ყრილობა ადგენს:

აღნიშნული რეზოლუცია გაუქმდეს.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს და გაატაროს პარტიული და საბჭოთა წესით დადგენილებანი, რომელნიც გააუმჯობესებდნენ და გაავითარებდნენ კოოპერატივების აგებულებასა და საქმიანობას რკპ პროგრამის მიხედვით და გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლასთან შეფარდებით» [52].

თქვენ იტყვით, ეს გაურკვეველიაო. დიახ, და საჭიროცაა, რომ ეს ერთგვარად გაურკვეველი იყოს. რატომაა ეს საჭირო? იმიტომ რომ, რათა სავსებით გარკვეული იყოს, საჭიროა ბოლომდე ვიცოდეთ, თუ რას გავაკეთებთ მთელ წელიწადში. ვინ იცის ეს? არავინ არ იცის და არც არავის შეუძლია იცოდეს.

მაგრამ IX ყრილობის რეზოლუცია ხელ-ფეხს გვიკრავს, ის ამბობს: «დაექვემდებაროს სასურსათო კომისარიატს». სასურსათო კომისარიატი მშვენიერი დაწესებულებაა, მაგრამ კოოპერაციის აუცილებლად მისთვის დაქვემდებარება და

ამით ხელ-ფეხის შეკვრა, როდესაც წვრილ მიწათმოქმედთა მიმართ დამოკიდებულების გადასინჯვას ახდენ, ეს პოლიტიკურად აშკარა შეცდომაა. ჩვენ უნდა მივანდოთ ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს და დააწესოს გარკვეული ზომები და ცვლილებები, შეამოწმოს ნაბიჯები წინ და უკან, რომელთაც ჩვენ გადავდგამთ, — რა ფარგლებში გავაკეთოთ ეს, როგორ დავიცვათ პოლიტიკური ინტერესები, რამდენად მივუშვათ, რომ უფრო ადვილი იყოს, როგორ შევამოწმოთ გამოცდილების შედეგები. ამ მხრივ, თეორიულად რომ ვთქვათ, მთელი რიგი გარდამავალი საფეხურების, გარდამავალი ზომების წინაშე ვიმყოფებით. ჩვენთვის ერთია ცხადი: IX ყრილობის რეზოლუცია გულისხმობდა, რომ ჩვენი მოძრაობა პირდაპირი ხაზით წარიმართებოდა. აღმოჩნდა კი, როგორც ყოველთვის რევოლუციების მთელს ისტორიაში ხდებოდა ხოლმე, რომ მოძრაობა მიხვეულ-მოხვეული გზით წავიდა. ასეთი რეზოლუციით ხელ-ფეხის შეკვრა პოლიტიკური შეცდომაა. ვაუქმებთ რა მას, ვამბობთ, რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ პროგრამით, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს კოოპერაციული აპარატის მნიშვნელობას.

რეზოლუციას რომ ვაუქმებთ, ვამბობთ: შეეგუეთ გაწერის გადასახადით შეცვლას. მაგრამ როდის გავატარებთ ამას? არაუადრეს მოსავლის აღებისა, ე. ი. რამდენიმე თვის შემდეგ. ერთნაირად გატარდება ეს სხვადასხვა ადგილას? არავითარ შემთხვევაში. უდიდესი სისულელე იქნება, რომ ცენტრალური რუსეთი, უკრაინა და ციმბირი გავაშაბლონოთ, გარკვეულ შაბლონს დავუქვემდებაროთ. მე წინადადებას ვიძლევი, რომ ეს ძირითადი აზრი ადგილობრივი ბრუნვის თავისუფლების შესახებ ყრილობის დადგენილების სახით გამოვიტანოთ. ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ სულ უახლოეს დღეებში აუცილებლად იქნება ცენტრალური კომიტეტის წერილი, სადაც იგი იტყვის, და იტყვის, რასაკვირველია, უკეთესად, ვიდრე მე ახლა ვამბობ: ნურაფერს დაანგრევთ, ნუ აჩქარდებით, ნაუცბათევად ჭკუას ძალას ნუ დაატანთ, ისე მოიქეცით, რომ საშუალო გლეხობაც დააკმაყოფილოთ

მაქსიმალურად და პროლეტარიატის ინტერესებიც არ დაარღვიოთ. სინჯეთ ერთი, სინჯეთ მეორე, შეისწავლეთ პრაქტიკულად, გამოცდილებით, შემდეგ გაგვიზიარეთ და გვითხარით, რას მიაღწიეთ, ჩვენ კი შევქმნით სპეციალურ კომისიას ან რამდენიმე კომისიასაც კი, რომლებიც დაგროვილ გამოცდილებას გაითვალისწინებენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, იმიტომ რომ ფულის ბრუნვა ეს ისეთი რამეა, რაც მშვენივრად ამოწმებს ქვეყნის ბრუნვის დამაკმაყოფილებლობას, და როცა ეს ბრუნვა სწორი არ არის, მაშინ ფული იქცევა უბრალო ქაღალდად. შემდეგ რომ გამოცდილების მიხედვით ვიაროთ, ამისათვის დაგვჭირდება ათჯერ შევამოწმოთ მიღებული ზომები.

ჩვენ შეგვეკითხებიან და მოისურვებენ გაიგონ: სად ვიშოვოთ საქონელი? ვაჭრობის თავისუფლება ხომ საქონელს მოითხოვს, ხოლო გლეხები ძალიან ჭკვიანი ხალხია და დაცინვაც დიდებულად იციან. შეგვიძლია ჩვენ ახლა ვიშოვოთ საქონელი? ახლა შეგვიძლია, იმიტომ რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა საერთაშორისო მასშტაბით დიდად გაუმჯობესდა. ჩვენ ვიბრძვით საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ, რომელმაც, დაინახა რა ჩვენი რესპუბლიკა, თქვა: «ეს ყაჩაღები, ნიანგები არიანო» (ეს სიტყვები პირდაპირ გადმომცა ერთმა ინგლისელმა მხატვარმა ქალმა, რომელსაც ეს გამოთქმა გაუგონია ერთი დიდად გავლენიანი პოლიტიკოსისაგან). ხოლო რაკი ნიანგები არიან, მაშ ისინი მხოლოდ უნდა გვეზიზღებოდნენო. და ეს იყო საერთაშორისო კაპიტალის ხმა. ეს იყო კლასობრივი მტრის ხმა და მისი თვალსაზრისით სწორი ხმაც. მაგრამ ასეთი დასკვნების სისწორე მოითხოვს საქმით შემოწმებას. თუ შენ — მსოფლიო, ძლიერი ძალა, მსოფლიო კაპიტალი ამბობ: «ნიანგიო», შენ კი ხელთ გაქვს მთელი ტექნიკა, — სცადე და მოგვკალი! ხოლო როცა მან სცადა, გამოვიდა, რომ ამით მასვე უფრო ეტკინა. მაშინ კაპიტალი, რომელიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს რეალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას, ამბობს: «უნდა ვივაჭროთო». ესაა ჩვენი უდიდესი გამარჯ-

ვება. ახლა გეტყვით, რომ ჩვენ გვაქვს სესხის ორი წინადადება დაახლოებით ასი მილიონი ოქროს მანეთის თანხისა. ოქრო ჩვენ კი გვაქვს, მაგრამ ოქროს გაყიდვა არ შეიძლება, იმიტომ რომ ეს ისეთი რამაა, რისი ჭამაც არ შეიძლება. ყველანი ისე არიან გაჩანაგებულნი, ყველა ქვეყანაში სავალუტო ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის წარმოუდგენლად გადაყირავებულია ომით. გარდა ამისა, ევროპასთან ურთიერთობისათვის საჭიროა გვყავდეს ფლოტი, ეს კი ჩვენ არ გვყავს. ფლოტი მტრების ხელშია. საფრანგეთთან ჩვენ არავითარი ხელშეკრულება არ დაგვიდვია, ის ფიქრობს, რომ ჩვენ ვალი გვმართებს მისი, მაშასადამე, ყოველი გემი — «მოიტათ, ეს ჩემიაო». მათ ჰყავთ სამხედრო ფლოტი, ჩვენ არა. აი მდგომარეობა, რომლის დროსაც ჩვენ დღევანდლამდე შევძელით ოქროს განაღდება მხოლოდ მცირე, სულ უმნიშვნელო, სასაცილოდ უმნიშვნელო რაოდენობით. ახლა გვაქვს ორი წინადადება კაპიტალისტ-ბანკირებისაგან — მოგვცენ ასი მილიონი სესხი. რასაკვირველია, ეს კაპიტალი მძარცველურ პროცენტებს წაიღებს. მაგრამ აქამდე ისინი საზოგადოდ არაფერს ამბობდნენ ამაზე, აქამდე ისინი ამბობდნენ: «მოგკლავ და მუქთად წავიღებო». ახლა, რადგან ჩვენი მოკვლა არ შეუძლიათ, მზად არიან ივაჭრონ. სავაჭრო ხელშეკრულება ამერიკასა და ინგლისთან ახლა, შეიძლება ითქვას, მზადაა; აგრეთვე კონცესიებიც. მე გუშინ კიდევ მივიღე წერილი მისტერ ვანდერლიპისაგან, რომელიც აქ არის და რომელიც, მრავალ საჩივართან ერთად, გვაცნობს მრავალ გეგმას კონცესიების და სესხის შესახებ. ეს ყველაზე საქმოსანი ხასიათის ფინანსური კაპიტალის წარმომადგენელია, იგი დაკავშირებულია ჩრდილო ამერიკის დასავლეთ შტატებთან, რომლებიც უფრო მტრულად არიან განწყობილნი იაპონიისადმი. ასე რომ ჩვენ გვაქვს ეკონომიური შესაძლებლობა ვიშოვოთ საქონელი. რამდენად მოვახერხებთ ამას, — ეს სხვა საკითხია, მაგრამ ერთგვარი შესაძლებლობა კი არის.

ვიმეორებ, ეკონომიურ ურთიერთობათა ტიპი, რომელსაც ზემოთ აქვს უცხოეთის კაპიტალიზმთან ბლოკის სახე, საშუალებას მისცემს პროლეტარულ სახელმწიფო ხელისუფლებას თავისუფალი ბრუნვა აწარმოოს ქვემოთ გლეხობასთან. მე ვიცი, — და ამის შესახებ უკვე შემთხვევა მქონდა მელაპარაკნა, — რომ ეს ერთგვარ დაცინვას იწვევდა. მოსკოვში არსებობს მთელი ინტელიგენტურ-ბიუროკრატიული ფენა, რომელიც ცდილობს შექმნას «საზოგადოებრივი აზრი». ამ ფენამ იწყო მასხრობა: «ესეც შენი კომუნიზმი! ეს ხომ იმ კაცსა ჰგავს, რომელიც ყავარჯენზე დგას და პირისახეც მთლად შეხვეული აქვს, და კომუნიზმიდან რჩება რაღაც უცნაური სურათიო». ამგვარი ოხუნჯობა საკმაოდ ბევრი გამიგონია, მაგრამ ასეთი ოხუნჯობა ან ბიუროკრატიული იერისაა, ან კიდევ არა სერიოზულია! რუსეთი ომიდან ისეთ მდგომარეობაში გამოვიდა, რომ იგი ყველაზე მეტად ცემით სიკვდილის პირას მიყვანილი ადამიანის მდგომარეობას ჰგავდა: შვიდ წელიწადს ურტყამდნენ მას და, მადლობა ღმერთს, თუ ყავარჯნებით სიარული მაინც შეუძლია! აი რა მდგომარეობაში ვიმყოფებით! ვინც ფიქრობს, რომ აქ უყავარჯნოდაც შეიძლება გამობობღვაო, იმას, ჩანს, არაფერი გაეგება! ვიდრე სხვა ქვეყნებში რევოლუცია არ მომხდარა, ჩვენ ათეული წლობით უნდა გვეღოღიალა, და აქ ჩვენ არ დავიშურებთ ასეულ მილიონებს და მილიარდებსაც კი ჩვენი აურაცხელი სიმდიდრიდან, ჩვენი ნედლეულის მდიდარი წყაროებიდან, ოღონდ კი დიდი მოწინავე კაპიტალიზმის დახმარება მივიღოთ. ამ დანახარჯს შემდეგში ერთიორად დავიბრუნებთ. პროლეტარული ძალაუფლების შენარჩუნება წარმოუდგენლად გაჩანაგებულ ქვეყანაში, სადაც უდიდეს უმრავლესობას აგრეთვე გაჩანაგებული გლეხობა შეადგენს, შეუძლებელია კაპიტალის დაუხმარებლად, — თუმცა ამ დახმარებისათვის იგი, რასაკვირველია, ასეულ პროცენტებს აგვაძრობს. ეს უნდა შევიგნოთ. და ამიტომ — ან ეკონომიურ ურთიერთობათა ეს ტიპი, ან არაფერი. ვინც სხვანაირად აყენებს საკითხს, მას პრაქტიკული ეკონომიკისა სრულიად არაფერი

ესმის და ამა თუ იმ ოხუნჯობით სურს ფონს გავიდეს. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ მასები ძალზე დაქანცული და დაუძლურებული არიან. შვიდი წლის ომს როგორი კვალი უნდა დაეტოვებინა აქ, ჩვენში, თუ მოწინავე ქვეყნებში წარმოებული ოთხი წლის ომი დღემდე იგრძნობა იქ?!

ჩვენში კი, ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში, შვიდი წლის ომის შემდეგ ეს პირდაპირ დაუძლურების მდგომარეობაა მუშებში, რომლებმაც გაუგონარი მსხვერპლი გაიღეს, და გლეხთა მასაში. ეს ისეთი დაუძლურებაა, ისეთი მდგომარეობაა, რომელიც მუშაობის სრულ შეუძლებლობას უახლოვდება. აქ საჭიროა ეკონომიურად მოვითქვათ სული. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ოქროს ფონდს წარმოების საშუალებებს მოვახმარდით. ყველას სჯობია მანქანების კეთება, თუმცა, კიდეც რომ გვეყიდნა ისინი, ამით ავაშენებდით ჩვენს წარმოებას. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ იყოს მუშა, იყოს გლეხი, რომელსაც შეეძლება მუშაობა; მაგრამ მას უმეტეს შემთხვევაში არ შეუძლია მუშაობა: ის დაუძლურებულია, ძალზე დაღლილია. საჭიროა დავეხმაროთ მას, ოქროს ფონდი გადავისროლოთ მოხმარების საგნების შესაძენად, წინააღმდეგ ჩვენი წინანდელი პროგრამისა. წინანდელი ჩვენი პროგრამა თეორიულად სწორი იყო, მაგრამ პრაქტიკულად უსაფუძვლო გამოდგა. მე გამოვაქვეყნებ ცნობას, რომელიც ამხ. ლეჟავამ გადმომცა. ამ ცნობიდან ჩანს, რომ რამდენიმე ასი ათასი ფუთი სხვადასხვა სურსათი უკვე შეძენილია და ფრიად სასწრაფო წესით მოდის ლიტვიდან, ფინეთიდან და ლატვიიდან. დღეს მიღებულია ცნობა, რომ ლონდონში ხელმოწერილია გარიგება 18½ მილიონი ფუთი ქვანახშირის შესახებ, რომლის შეძენაც ჩვენ გადავწყვიტეთ პეტროგრადის მრეწველობის და საფეიქრო მრეწველობის გამოსაცოცხლებლად. თუ ჩვენ მივიღებთ საქონელს გლეხისთვის, ეს, რასაკვირველია, პროგრამის დარღვევა იქნება, ეს უსწორობა იქნება, მაგრამ საჭიროა სული მოვითქვათ, თორემ ხალხი ისეა მოქანცული, რომ სხვანაირად მას მუშაობა აღარ შეუძლია.

უნდა ვთქვა კიდევ ინდივიდუალური საქონელცვლის შესახებ. როდესაც ბრუნვის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ეს ნიშნავს ინდივიდუალურ საქონელცვლას, ე. ი. ნიშნავს კულაკების წაქეზებას. როგორღა მოვიქცეთ? ნუ დავხუჭავთ თვალს: გაწერის გადასახადით შეცვლა იმას ნიშნავს, რომ ამ წყობილებიდან კულაკობა უფრო მეტად გაიზრდება, ,ვიდრე აქამდე იყო. ის იქაც კი დაიწყებს ზრდას, სადაც წინათ ვერ გაიზრდებოდა. მაგრამ ამას აკრძალვითი ზომებით კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ სახელმწიფოებრივი გაერთიანებითა და სახელმწიფოებრივი ზომებით ზევიდან. თუ შეგიძლია მანქანები მისცე გლეხს, ამით მას მოალონიერებ, და როდესაც მანქანებს ან ელექტრიფიკაციას მისცემ, მაშინ ათეული და ასეული ათასი წვრილი კულაკი ჩაკვდება. თუ ჯერჯერობით ამის მიცემა არ შეგიძლია, საქონლის განსაზღვრული რაოდენობა მაინც მიეცი. თუ საქონელი ხელთა გაქვს — ძალაუფლებაც შენს ხელშია, მაგრამ ასეთი შესაძლებლობის შეფერხება, ჩაკვლა, უკუგდება — ეს იმას ნიშნავს, რომ ბრუნვის ყოველგვარი შესაძლებლობა მოსპო, საშუალო გლეხობა არ დააკმაყოფილო, მას ვეღარ შეეწყო. რუსეთში გლეხობა უფრო საშუალო გახდა, და ამაოა იმის შიში, რომ გაცვლა ინდივიდუალური გახდება. ყველას შეეძლება სანაცვლოდ რამე მისცეს სახელმწიფოს. ერთი ნაჭარბპურს მისცემს, მეორე — ბოსტნეულს, მესამე შრომითს ბეგარას. ძირითადად მდგომარეობა ასეთია: ჩვენ ეკონომიურად უნდა დავაკმაყოფილოთ საშუალო გლეხობა და დავთანხმდეთ ბრუნვის თავისუფლებას, თორემ სხვაფრივ რუსეთში პროლეტარიატის ძალაუფლების შენარჩუნება, საერთაშორისო რევოლუციის დაყოვნებისას, შეუძლებელია, ეკონომიურად შეუძლებელია. ეს ნათლად უნდა შევიგნოთ და ამაზე ლაპარაკისა სრულიადაც არ უნდა გვეშინოდეს. დადგენილების პროექტში გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ (ტექსტი თქვენ დაგირიგდათ) ბევრ შეუთანხმებლობას ნახავთ, არის წინააღმდეგობანი, ამიტომაც მივაწერეთ ბოლოში: «ყრილობა, ძირითადად (მეტად მრავალმეტყველი

და მრავალმნიშვნელოვანი სიტყვაა) იწონებს რა გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ ც. კ-ის მიერ შემოტანილ დებულებებს, ავალებს პარტიის ც. კ-ს ფრიად ხასწრაფო წესით შეათანხმოს ეს დებულებანი». ჩვენ ვიცით, რომ ეს დებულებები შეთანხმებული არ იყო, ამის გაკეთება ვერ მოვასწარით, ამ დეტალური სამუშაოსათვის ხელი არ გვიხლია. გადასახადის განხორციელების ფორმებს დეტალურად დაამუშავებენ და შესაფერ კანონს გაატარებენ სრულიად რუსეთის ცაკი და სახალხო კომისართა საბჭო. წესი ასეთი იყო დასახული: თუ თქვენ ამ პროექტს დღეს მიიღებთ, მაშინ ეს დადგენილ იქნება სრულიად რუსეთის ცაკის პირველსავე სესიაზე, რომელიც აგრეთვე გამოსცემს არა კანონს, არამედ მხოლოდ შეცვლილ დებულებას, შემდეგ სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო კანონად გადააქცევენ მას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პრაქტიკულ ინსტრუქციებს გამოსცემენ. ფრიად საჭიროა, რომ ადგილებზე შეიგნონ ამის მნიშვნელობა და ხელი გაგვიმართონ.

რად დაგვჭირდა გაწერის გადასახადით შეცვლა? გაწერა გულისხმობდა: მთელი ნაჭარბის ამოღებას, სავალდებულო სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებას. ჩვენ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით, ვინაიდან უკიდურეს გაჭირვებას განვიცდიდით. თეორიულად სავალდებულო არაა მივიღოთ, რომ სახელმწიფო მონოპოლია სოციალიზმის თვალსაზრისით საუკეთესო ღონისძიებაა. როგორც გარდამავალი ღონისძიება გლეხურ ქვეყანაში, რომელსაც მრეწველობა აქვს, — ხოლო მრეწველობა მუშაობს, — და თუკი საქონლის ერთგვარი რაოდენობა მოიპოვება, შესაძლებელია გადასახადისა და თავისუფალი ბრუნვის სისტემის გამოყენება.

სწორედ ეს ბრუნვაა გლეხის სტიმული, წამხალისებელი, ბიძგი. მეურნეს შეუძლია სიბეჯითე გამოიჩინოს და უნდა გამოიჩინოს კიდეც თავისი საკუთარი ინტერესისთვის, ვინაიდან მას მთელ ნაჭარბს კი არ გამოართმევენ, არამედ მხოლოდ გადასახადს, რომელიც, შეძლებისდაგვარად, წინდაწინვე

უნდა განისაზღვროს. ძირითადი ის არის, რომ წვრილ მიწათმოქმედს ჰქონდეს სტიმული, წამხალისებელი გარემოება, ბიძგი თავის სამეურნეო საქმიანობაში. ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკა უნდა ვაშენოთ საშუალო გლეხის ეკონომიკასთან შეფარდებით, რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერ გარდავქმენით და კიდევ ათ წელიწადშიც ვერ გარდავქმნით.

სახელმწიფოს გარკვეული სასურსათო მოვალეობა ჰქონდა. ამიტომ გასულ წელს ჩვენი გაწერა გადიდებული იყო. გადასახადი ნაკლები უნდა იყოს. ციფრები ზუსტად არაა განსაზღვრული და არც შეიძლება განისაზღვროს. პოპოვის ბროშურაში «საბჭოთა რესპუბლიკის და მასთან ფედერირებულ რესპუბლიკათა პურის პროდუქცია» მოყვანილია ჩვენი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალები, რომლებიც იძლევა ზუსტ ციფრებს და გვიჩვენებს, თუ რა მიზეზებით დაიკლო სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ.

თუ მოუსავლობა იქნება, ნაჭარბის აღებას ვერ შევძლებთ, რადგან ეს ნაჭარბი არ იქნება. მისი აღება გლეხის პირიდან ლუკმის გამოგლეჯა იქნებოდა. თუ მოსავალი იქნება, მაშინ ყველა ცოტაოდნად იშიმშილებს, და სახელმწიფო გადარჩება, — ანდა, თუ ვერაფერს გამოვართმევთ იმ ხალხს, რომელიც მაძღრისად ვერა ჭამს, სახელმწიფო დაიღუპება. ასეთია გლეხთა შორის ჩვენი პროპაგანდის ამოცანა. თუ მოსავალი გვარიანი აღმოჩნდა, მაშინ ნაჭარბი ნახევარ მილიარდამდე გვექნება. ეს ნაჭარბი მოხმარებასაც დაფარავს და განსაზღვრულ ფონდსაც შექმნის. მთელი საქმე ისაა, რომ გლეხებს სტიმული, წამხალისებელი ფაქტორი შევუქმნათ ეკონომიკის თვალსაზრისით. წვრილ მეურნეს უნდა ვუთხრათ: «შენ, მეურნევ, პროდუქტები დაამზადე, სახელმწიფო კი მინიმალურ გადასახადს აიღებს».

ჩემი დრო გადის, უნდა დავამთავრო. ვიმეორებ: ჩვენ ახლა არ შეგვიძლია კანონი გამოვცეთ. ჩვენი რეზოლუციის ნაკლი ისაა, რომ იგი არც თუ ძალიან საკანონმდებლო ხასიათისაა, — პარტიის ყრილობაზე კანონებს არ წერენ. ამიტომ

წინადადებას ვიძლევი ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია საფუძვლად მივიღოთ და ამ რეზოლუციის დებულებათა შეთანხმება მასვე მივანდოთ. ჩვენ ამ რეზოლუციის ტექსტს დავბეჭდავთ, და ადგილობრივი მუშაკები შეეცდებიან შეათანხმონ და შეასწორონ იგი. საესებით შეთანხმებას ვერ შევძლებთ, ეს გადაუჭრელი ამოცანაა, იმიტომ რომ ცხოვრება მეტად ჭრელია. გარდამავალ ღონისძიებათა მოძებნა ფრიად ძნელი ამოცანაა. თუ სწრაფად, პირდაპირი გზით ვერ მოვახერხეთ ამის შესრულება — სულით არ დავეცემით, ჩვენსას მაინც გავიტანთ. შეუძლებელია ცოტათი მაინც შეგნებულმა გლეხმა ვერ გაიგოს, რომ ჩვენ, როგორც მთავრობა, წარმოვადგენთ მუშათა კლასს და იმ მშრომელებს, რომლებთანაც მშრომელ გლეხებს (ესენი კი ცხრა მეათედს შეადგენენ) შეთანხმება შეუძლიათ; შეუძლებელია ვერ შეიგნოს მან, რომ ყოველი უკან შემობრუნება ძველი, მეფის მთავრობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს. ამას გვიჩვენებს კრონშტადტის გამოცდილება. იქ თეთრგვარდიელები არ უნდათ, არ უნდათ ჩვენი ხელისუფლებაც, — სხვა ხელისუფლება კი არ არის, — და ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ და ყოველგვარი სხვა ახალი მთავრობის წინააღმდეგ საუკეთესო აგიტაციას წარმოადგენს.

ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს გლეხებს შევუთანხმდეთ, და ეს პრაქტიკულად, მოხერხებულად, საზრიანად, მოქნილად უნდა განვახორციელოთ. ჩვენ ვიცნობთ სასურსათო კომისარიატის აპარატს, ვიცით, რომ ეს ერთი ჩვენი საუკეთესო აპარატთაგანია. სხვებს რომ ვადარებთ, ვხედავთ, რომ ეს საუკეთესო აპარატია, და იგი უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ აპარატი პოლიტიკას უნდა ემორჩილებოდეს. რის მაქნისია სასურსათო კომისარიატის ეს საუცხოო აპარატი, თუკი ჩვენ გლეხებთან ურთიერთობას ვერ მოვაწესრიგებთ. მაშინ ეს საუცხოო აპარატი ჩვენს კლასს კი არა, დენიკინსა და კოლჩაკს გაუწევს სამსახურს. რაკი პოლიტიკა გაბედულ ცვლილებას, მოქნილობას, მოხერხებულ გადასვლას მოითხოვს, — ხელმძღვანელებმა ეს უნდა შეიგნონ. მტკიცე

აპარატი ყოველგვარი მანევრისათვის უნდა იყოს გამოსადეგი. თუკი აპარატის სიმტკიცე დახავსებად გადაიქცევა, თუკი მიბრუნ-მობრუნებაში ხელს შეგვიშლის, მაშინ ბრძოლა ოუცილებელია. ამიტომ მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა უსათუოდ გავიტანოთ ჩვენი, რათა სავსებით დავუმორჩილოთ აპარატი პოლიტიკას. პოლიტიკა კლასების ურთიერთობაა — ეს წყვეტს რესპუბლიკის ბედს. აპარატი, როგორც დამხმარე საშუალება, რაც უფრო მტკიცეა, მით უკეთესი და უფრო გამოსადეგია მანევრებისათვის, ხოლო თუ აპარატს ამის შესრულება არ შეუძლია, იგი არაფრად ვარგებულა.

მოგიწოდებთ მხედველობაში იქონიოთ ძირითადი: დეტალებისა და განმარტებათა მხრივ დამუშავება — ეს რამდენიმე თვის საქმეა. ახლა კი მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ძირითადი: საჭიროა, რათა მიღებული გადაწყვეტილება ამ საღამოსვე რადიოთი ეცნობოს მთელ ქვეყნიერებას, რომ მთავრობის პარტიის ყრილობა გაწერას ძირითადად ცვლის გადასახადით და ამით მრავალ სტიმულს აძლევს წვრილ მიწათმოქმედს გააფართოოს მეურნეობა, გაადიდოს ნათესი, რომ ყრილობა, ამ გზას რომ ადგება, ასწორებს პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის სისტემას და გამოთქვამს რწმენას, რომ ამ გზით მიღწეული იქნება მტკიცე ურთიერთობა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

7

საბოლოო სიტყვა გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ მოხსენების გამო

15 მარტი

ამხანაგებო, მე მინდა ამთავითვე ვთქვა რამდენიმე სიტყვა კოოპერაციის საკითხზე. ამხ. ციურუპას მოხსენება, — როგორც მან თვითონ განაცხადა და როგორც ჩვენ ყველამ აქ მოვისმინეთ, — არ იყო თანამოხსენება იმ აზრით, რომ მომხსენებლისათვის დაპირისპირებული ყოფილიყოს პრინციპულად სხვა თვალსაზრისი. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება გაწერის გადასახადით შეცვლის შესახებ იმდენად ერთსულოვნად იყო მიღებული და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ ყრილობის მუშაობის დაწყებამდე ჩვენ ერთბაშად დავინახეთ, რომ ადგილებზე სხვადასხვა ამხანაგი ამის დამოუკიდებლად, პრაქტიკული გამოცდილების მითითებათა საფუძველზე, იმავე დასკვნებამდე მივიდა, — რომ ასეთი ღონისძიების მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაში ეჭვის შეტანა არსებითად შეუძლებელია. და ამხ. ციურუპას მოხსენება განისაზღვრებოდა დამატებებით და გაფრთხილებით მთელი რიგი საკითხების გამო, მაგრამ არ შეიცავდა სხვა პოლიტიკის წინადადებას.

ამ საერთო ხაზიდან გადახვევას ამხ. ციურუპას მოხსენებაში მხოლოდ კოოპერაციის საკითხი წარმოადგენდა. აქ ამხ. ციურუპა ილაშქრებდა ჩემ მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის წინააღმდეგ, მაგრამ მგონია, რომ მისი მოსაზრებანი დამაჯერებლად ვერ ჩაითვლება. თუ როგორ განვითარდება ადგილობრივი თავისუფალი სამეურნეო ბრუნვის ურთიერთობა მისი ფონდის აზრით, — კოოპერაციის მეშვეობით

თუ წვრილი კერძო ვაჭრობის აღდგენის გზით, — არა გვგონია ამის საბოლოოდ დადგენა ახლა შეიძლებოდეს. ეს საკითხი უნდა განვიხილოთ, — ეს უეჭველია, — და ამ მხრივ ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ადგილობრივ გამოცდილებას; ჩვენ ყველანი, რა თქმა უნდა, ამის თანახმა ვიქნებით. მაგრამ ვფიქრობ, რომ კოოპერაციას ერთგვარი უპირატესობა რჩება. თუ კოოპერაცია პოლიტიკურად, როგორც უკვე აღვნიშნე, წარმოადგენს იმ ელემენტების ორგანიზაციის, ცენტრალიზაციის, გაერთიანების ადგილს, რომლებიც ჩვენდამი მტრულად არიან განწყობილნი და არსებითად კოლჩაკისა და დენიკინის პოლიტიკას ატარებენ, — მაშინ, რასაკვირველია, კოოპერაცია წვრილ მეურნეობებთან, წვრილ ვაჭრობასთან შედარებით მხოლოდ საქმის ფორმას ცვლის. რასაკვირველია, რომ კულაკობის ყოველგვარი გამოყოფა და წვრილბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება წარმოშობენ სათანადო პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც რუსეთში ათეული წლობით იქმნებოდნენ და რომლებსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ. აქ ჩვენ უნდა მოვახდინოთ არა იმის არჩევანი, მივცეთ თუ არ მივცეთ ამ პარტიებს გასაქანი, — მათ გარდუვალად წარმოშობს წვრილბურჟუაზიული ეკონომიური ურთიერთობა, — არამედ უნდა მოვახდინოთ არჩევანი, ისიც მხოლოდ რამდენადმე, მარტოოდენ იმ ფორმებს შორის, რომლებშიც ხდება ამ პარტიების მოქმედების კონცენტრაცია, გაერთიანება. არასგზით არ შეიძლება დამტკიცდეს, რომ კოოპერაცია ამ მხრივ უფრო ცუდი იყოს. პირიქით, კოოპერაციის მიმართ სისტემატური ზემოქმედებისა და კონტროლის საშუალებანი კომუნისტებს, რაც უნდა იყოს, ცოტათი მაინც მეტი ექნებათ.

IX ყრილობის რეზოლუციას კოოპერაციის შესახებ აქ გადაჭრით იცავდა ამხ. ციურუპა და მის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებდა ამხ. მილიუტინი.

ამხ. ციურუპამ, სხვათა შორის, თქვა, რომ თვითონ მე ვიყავი იმ ბრძოლის მოწმე, რომელიც წარმოებდა კოოპერაციის საკითხის გამო, ვიდრე ყრილობა ამ საკითხს გადაწყვეტდა.

ეს ფაქტი მე უნდა დავადასტურო. მართლაც, ბრძოლა იყო, და IX ყრილობის რეზოლუციამ მას ბოლო მოუღო იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოფილიყო სურსათის უწყების მეტი უპირატესობა, ან, უფრო სწორად რომ ითქვას, სრული უპირატესობა. მაგრამ ამ მოსაზრების გამო ახლა კოოპერაციის მიმართ მოქმედების მეტ თავისუფლებაზე და პოლიტიკურ ლონისძიებათა არჩევის თავისუფლებაზე უარისთქმა, უეჭველია, უკვე პოლიტიკურად არასწორი იქნებოდა. ჩემთვის, რასაკვირველია, გაცილებით უფრო არასასიამოვნოა, ვთქვათ, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თვალსაზრისით, ის, რომ წილად მხვდეს ათეულ სხდომებზე ვუყურებდე წვრილმან ბრძოლას და კინკლაობასაც კი, ვიდრე საფუძვლად მქონდეს ყრილობის რეზოლუცია, — ყველასათვის სავალდებულო რეზოლუცია, რომელიც ბოლოს უღებს ამ ბრძოლას. მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს არა ამგვარ მოხერხებულობას, არამედ გარკვეული ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების ინტერესებსაც. აქ თქვენ ყველამ დაინახეთ, და ბარათების დიდმა რაოდენობამ, — ბარათების მთელმა გროვამ, — რაც მე მივიღე, ეს კიდევ უფრო ნათლად დაადასტურა, რომ ამ კონკრეტულ საკითხში ჩვენი პოლიტიკის ამ ცვლილების განხორციელებისას უამრავი დეტალური სიძნელე იქმნება. ეს არის თავიდათავი. და სრულიად უეჭველია, რომ ამ სიძნელეებს ჩვენ ერთბაშად ვერ გადავწყვეტთ. თუ დავტოვებთ IX ყრილობის რეზოლუციას კოოპერაციის შესახებ, ჩვენ ამით ხელ-ფეხს შევიკრავთ. ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ჩავიგდებთ თავს, რომ, რაკი სავსებით ანგარიშვალდებულნი ვართ ყრილობის წინაშე და ვალდებულნი ვართ გავატაროთ მისი პოლიტიკა, ჩვენ ამ რეზოლუციის ანბან-სიტყვებს ვერ გადავუხვევთ. რეზოლუცია მუდამ მოგვაგონებს გაწერას, თქვენ კი მას გადასახადით ცვლით.

თუ რა ფარგლებში დავტოვებთ სამეურნეო ბრუნვის თავისუფლებას, ეს ჩვენ არ ვიცით.

ჩვენ რომ რამდენადმე უნდა დავტოვოთ სამეურნეო ბრუნვის თავისუფლება, ეს უეჭველია. ამის ეკონომიური

პირობები უნდა გავითვალისწინოთ და შევამოწმოთ. ამიტომ, რა თქმა უნდა, IX ყრილობის რეზოლუციის გაუქმებას ჩვენ კვლავ მივყავართ ისეთ მდგომარეობამდე, რომ თითქოს რამდენადმე გადაწყვეტილი საკითხი გადასაწყვეტ საკითხად იქცევა. მაგრამ ეს სრულიად აუცილებელია. ამის გვერდის ავლა იმას ნიშნავს, რომ საფუძველშივე წავახდინოთ ჩვენ მიერ დასახული ეკონომიური პოლიტიკის ურთიერთობა, რომელიც, უეჭველად, უფრო მისაღებია გლეხებისათვის.

გაწერის გადასახადით შეცვლა რომ ისეთი ეკონომიური პოლიტიკაა, რომელიც უფრო მისაღებია გლეხებისათვის, ამის გამო, როგორც ეტყობა, ორი აზრი არ არსებობს ამ ყრილობაზე, და საერთოდ არ არსებობს ორი აზრი კომუნისტებს შორის. ამაზევე მთელი რიგი განცხადებები გვაქვს უპარტიო გლეხობისგანაც. ეს სავსებით გამორკვეულია. მარტოოდენ ამის გულისთვისაც საჭიროა ასეთი ცვლილება მივიღოთ. ამიტომ ერთხელ კიდევ ვაქვეყნებ რეზოლუციას კოოპერაციის შესახებ: «ვინაიდან რკპ IX ყრილობის რეზოლუცია კოოპერაციასთან დამოკიდებულების შესახებ მთლიანად აგებულია გაწერის პრინციპის აღიარებაზე, რაც ახლა ნატურალური გადასახადით იცვლება, რკპ X ყრილობა ადგენს:

აღნიშნული რეზოლუცია გაუქმდეს.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს და გაატაროს პარტიული და საბჭოთა წესით დადგენილებანი, რომელნიც გააუმჯობესებდნენ და განავითარებდნენ კოოპერატივების აგებულებასა და საქმიანობას რკპ პროგრამის მიხედვით და გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლასთან შეფარდებით».

მე ცენტრალური კომიტეტის სახელით წინადადებას მივცემ ყრილობას მიიღოს პირველი რეზოლუცია — წინასწარი პროექტი გაწერის გადასახადით შეცვლის შესახებ, — მოიწონოს იგი ძირითადად და დაავალოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეათანხმოს, დაამუშაოს და სრულიად რუსეთის

ცაკში შეიტანოს, აგრეთვე მეორე რეზოლუციაც — კოოპერაციის შესახებ.

ახლა გადავდივარ შენიშვნებზე, რომლებიც აქ გამოითქვა. უნდა ითქვას, რომ ჩემ მიერ მიღებულ ბარათებში დასმული კითხვები ისე ბევრია, ბარათები ისეთ გროვას წარმოადგენენ, რომ არათუ არ შემიძლია იმ საკითხების ჩამოთვლა, რომლებსაც ისინი ეხებიან, არამედ იძულებულიც ვარ საკუთარი ვთქვა ყველა იმათი მთლიანად ისე დაჯგუფების ამოცანაზე, რომ შეიძლებოდეს მათ გამო ახლა საუბრის კიდევ განგრძობა. სამწუხაროდ, იძულებული ვარ უარი ვთქვა ამაზე, და ბარათებს შევინახავ, როგორც მასალას საკითხის შემდგომი განხილვისათვის.

იქნებ, მოხერხდეს მათი უფრო დეტალურად გამოყენება პრესისათვის ან, ყოველ შემთხვევაში, მოხერხდეს მათი შეგროვება და ისე დაჯგუფება, რომ მივცეთ დეტალური და მართლაც სრული შენაჯამი ყველა იმ ამხანაგ ეკონომისტებს, ადმინისტრატორებსა და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, რომლებმაც უშუალოდ უნდა იმუშაონ გაწერის გადასახადით შეცვლის კანონის მომზადების საქმეზე. ახლა კი შემიძლია გამოვყო მხოლოდ ორი ძირითადი ნაკადი და ვთქვა რამდენიმე სიტყვა ორ ძირითად საწინააღმდეგო მოსაზრებაზე ან შენიშვნაზე, ამ ბარათებში აღძრული საკითხების ორ ძირითად ტიპზე თუ ჯგუფზე.

პირველი — ესაა მითითება ტექნიკაზე: მრავალრიცხოვანი და დეტალური მითითებანი იმაზე, თუ რა ძნელი იქნება და რა ბევრი გადაუწყვეტელი საკითხი წამოიჭრება ამ ღონისძიებათა კონკრეტული განხორციელებისას. უკვე ჩემს პირველ მოხსენებაში შევნიშნე, რომ ამგვარი მითითებანი საკუთებით აუცილებელია და რომ ახლა სრულიად შეუძლებელია ერთბაშად იმის ცოდნა, თუ სახელდობრ როგორ შევუდგებით ჩვენ ამ სიძნელეთა გადაწყვეტას.

მეორე — ზოგადი — მითითება უკვე ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებს ეხება. და ის, რასაც აქ გამოსული

ორატორებიდან ბევრი და უმრავლესობაც კი ამბობდა თავის სიტყვებში და რაზედაც მიუთითებენ მოწოდებულ ბარათებში — ეს არის წვრილი ბურჟუაზიის, ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის გარდუვალი გაძლიერება. «თქვენ ამრიგად, — წერდნენ ზოგიერთნი თავიანთ ბარათებში,—ფართოდ უხსნით კარს ბურჟუაზიის, წვრილი მრეწველობის განვითარებას და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასო». ამის გამო, ამხანაგებო, რამდენადმე უნდა გავიმეორო ის, რაც ჩემს პირველ მოხსენებაში აღვნიშნე, და ვთქვა: არავითარი ეჭვი არ არის, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, იმის მიხედვით, უკვე სჭარბობს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ურთიერთობა თუ იქ წვრილი მეურნეობა სჭარბობს. და ამ მხრივ უნდა შევნიშნო, რომ აკრიტიკებდნენ ჩემი სიტყვის ზოგიერთ დასკვნას, აკრიტიკებდნენ სახელმწიფო კაპიტალიზმისა და წვრილი თავისუფალი ბრუნვის თანაფარდობას, მაგრამ ორატორებიდან არავის გაუკრიტიკებია, ჩემთვისაც არც ერთი ბარათი არ გადმოუციათ (მე მაინც წავიკითხე მათი უმეტესობა, ბარათი კი რამდენიმე ათეული იყო), მე არ მინახავს არც ერთი ბარათი, რომელშიც გაკრიტიკებული ყოფილიყოს აღნიშნული დებულებანი. ჩვენ რომ გვქონდეს ისეთი სახელმწიფო, რომელშიც სჭარბობდეს მსხვილი მრეწველობა, ანდა, ვთქვათ კიდეც, კი არ სჭარბობდეს, არამედ მეტად ძლიერ იყოს განვითარებული, და ძალიან იყოს განვითარებული მსხვილი წარმოება მიწათმოქმედებაში, მაშინ პირდაპირი გადასვლა კომუნიზმზე შესაძლებელია. უამისოდ კომუნიზმზე გადასვლა ეკონომიურად შეუძლებელია. ამხ. მილიუტინმა აქ ილაპარაკა იმაზე, რომ ჩვენ მწყობრი სისტემა გვქონდა, რომ ჩვენი კანონმდებლობა, როგორც მან თქვა, რამდენადმე წარმოადგენდა ამგვარი გადასვლის მწყობრ სისტემას, რომელიც, მაინც, არ ითვალისწინებდა წვრილი ბურჟუაზიის მიმართ მთელ რიგ დათმობათა აუცილებლობასო. ეს რომ თქვა, ამხ. მილიუტინმა ის დასკვნა კი არ გამოიყვანა, რომელიც მე გამომყავს. ის მწყობრი სისტემა, რომელიც იქმნებოდა,

ნაკარნახევი იყო არა ეკონომიური, არამედ სამხედრო მოთხოვნილებებით, მოსაზრებებითა და პირობებით. იმ გაუგონარი გაჩანაგების პირობებში, რომლებშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, როდესაც ჩვენ იძულებული ვიყავით დიდი ომის შემდეგ გადაგვეტანა მთელი რიგი სამოქალაქო ომები, სხვა გამოსავალი არ იყო. ალბათ, გარკვეული პოლიტიკის გამოყენებისას იყო შეცდომები, იყო მთელი რიგი გადაჭარბებანი, — ეს სრულიად გარკვევით უნდა ითქვას. მაგრამ ომის იმ პირობებში, რომლებშიც ჩვენ ჩაყენებული ვიყავით, ეს პოლიტიკა თავის საფუძველში სწორი იყო. ჩვენ არავითარი სხვა შესაძლებლობა არა გვქონდა, გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად და დაუყოვნებლივ გამოგვეყენებინა მონოპოლია, მთელი ნაჭარბიც კი აგვეღო, თუნდაც სრულიად უკომპენსაციოდ. და ჩვენ არ შეგვეძლო ამ ამოცანას სხვანაირად მივდგომოდით. ეს არ ნიშნავდა მწყობრ ეკონომიურ სისტემას. ეს იყო არა ეკონომიური პირობებით გამოწვეული, არამედ მნიშვნელოვნად სამხედრო პირობებით ნაკარნახევი ღონისძიება. რაც შეეხება ეკონომიურ მოსაზრებებს, აქ ახლა ძირითადი მოსაზრებაა პროდუქტთა რაოდენობის გადიდება. ჩვენ მთავარი მწარმოებელი ძალების, გლეხებისა და მუშების, ისეთი გაღატაკების, გაჩანაგების, მეტისმეტი დაღლილობისა და დაუძლურების პირობებში ვიმყოფებით, რომ იძულებული ვართ დროებით ყველაფერი დავუმორჩილოთ ამ ძირითად მოსაზრებას — რადაც უნდა დაგვიჯდეს გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობა.

მეკითხებიან: რა დამოკიდებულებაშია გაწერის გადასახადით შეცვლა იმ თესვის კამპანიასთან, რომელიც ახლა წარმოებს, და ამხანაგები თავიანთ ბარათებში ცდილობენ გამოააშკარაონ აქ მთელი რიგი წინააღმდეგობანი. ვფიქრობ, რომ ძირითადად აქ არის ეკონომიური შეთანხმებულობა და არა წინააღმდეგობა. თესვის კამპანია გულისხმობს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მაქსიმალურად გამოიყენებდნენ ყველა ეკონომიურ შესაძლებლობას ნათესის რაოდენობის

გასადიდებლად. ამისათვის საჭიროა ხელახლა გავანაწილოთ თესლი, შევინახოთ, გადავიტანოთ იგი. მაგრამ ჩვენ, თუმცა სათესლე ფონდის ესოდენ მცირე მარაგი გვაქვს, არ შეგვიძლია მისი გადატანა; ძალიან ხშირად იძულებული ვართ მივმართოთ ურთიერთდახმარების მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა ინვენტარის გასაოცარი ნაკლებობის პირობებში შევამციროთ ნაკლნათესობა, თავიდან ავიცილოთ იგი. ამაზე მთელი რიგი გუბერნიებისათვის ფიქრიც კი არ შეიძლება. თუ უპარტიო გლეხს, რომელმაც ძალიან ბევრ შემთხვევაში უკვე თვითონ წამოაყენა გაწერის გადასახადით შეცვლის მოთხოვნა, რადგან ეს მას სტიმულს აძლევს განავითაროს თავისი მეურნეობა მოცემულ ეკონომიურ საფუძველზე, თუ მას გაზაფხულის კამპანიამდე აქვს სახელმწიფო ხელისუფლების განცხადება, რომ ამ ღონისძიების მიღება გადაწყვეტილია და რომ იგი განხორციელებული იქნებაო, — განა ეს ეწინააღმდეგება თესვის კამპანიის საერთო პოლიტიკას? არა, არ ეწინააღმდეგება, არამედ ეს არის ისეთი ღონისძიება, რომელსაც საქმეში წახალისების ელემენტი შეაქვს. მე ვიცი, იტყვიან, რომ ეს წახალისების ძალიან მცირე ელემენტიაო. საკითხი ასე არ დგას. ჩვენ რომ შეგვეძლოს დაუყოვნებლივ დავანახვოთ გლეხებს, რომ ინგლისიდან მოდის საქონლით დატვირთული ათობით გემი, რათა ეს საქონელი გადაცვლილ იქნეს იმაზე, რასაც გლეხები ახალი მოსავლის აღებისას მიიღებენ, ეს, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო რეალური იქნებოდა. მაგრამ სასაცილო იქნებოდა ვცდილიყავით ამგვარად მოგვეტყუებინა ის ხალხი, რომელიც პრაქტიკულად იცნობს ჩვენი ვაჭრობის პირობებს. ქვანახშირით, სურსათის მცირე რაოდენობით დატვირთული გემები რომ ინგლისიდან გამოდის, ეს ჩვენ ვიცით, ამის შესახებ ცნობები გვაქვს ამხ. კრასინისაგან; ვიცით, რომ სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდე, რაც ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი, ვაჭრობა ნახევრადარალეგალურად მიმდინარეობს ცალკეულ ვაჭრებთან, რომლებსაც ბურჟუაზიული მთავრობა, ცხადია, ამას ვერ აუკრძალავს. ეკონომი-

ეტი ბლოკადის იმ რკალის შენგრევა, რომლითაც ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ, — ძნელი საქმეა, და დიდ რამეს ჩვენ, რასაკვირველია, ვერავის შევპირდებით. ყოველ შემთხვევაში, იმას, რის გაკეთებაც კი შესაძლებელია, ჩვენ ვაკეთებთ, ამ მხრივ ჩვენ ვცვლით საიმპორტო გეგმას.

წვრილი მეპატრონის, წვრილი მიწათმოქმედის თვალსაზრისით გადასახადი, რომელიც განისაზღვრება გაწერაზე ნაკლები რაოდენობით, განისაზღვრება უფრო მეტი სიზუსტით და მას შესაძლებლობას მისცემს მეტი დათესოს, შესაძლებლობას მისცემს დარწმუნებული იყოს, რომ ნაჭარბი მეურნეობის გაუმჯობესებას მოხმარდება, — ეს არის ბეჯითი მეურნის მაქსიმალური მხარდაჭერის ხაზი, რაც წამოყენებული იყო თესვის კამპანიაშიც. ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება ბოლოს და ბოლოს ასეთი საკითხით გამოიხატება: უფრო მოიგებს თუ არა კომუნიზმისადმი ეკონომიურად მტრული წვრილი ბურჟუაზია, თუ უფრო მოიგებს მსხვილი მრეწველობა, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმზე გადასვლის საფუძველს და რომელიც საწარმოო ძალთა მდგომარეობის თვალსაზრისით, ე. ი. მთელი საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით, წარმოადგენს სოციალისტური სამეურნეო ორგანიზაციის საფუძველს, რამდენადაც აერთიანებს მოწინავე სამრეწველო მუშებს, აერთიანებს კლასს, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურას ახორციელებს.

აქ ზოგიერთი ცდილობდა ეთქვა, ან ეკონომიურად გამოეყვანა, რომ, უეჭველად, მეტს მოიგებს წვრილი ბურჟუაზია, კუსტარული სასაქონლო წარმოებაო, და განსაკუთრებით ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ეს იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ მსხვილი მრეწველობა, კონცესიების მეოხებით, სოციალისტური არ იქნებაო. ვფიქრობ, რომ ეს მსჯელობა ძირითად ეკონომიურ შეცდომას შეიცავს. კიდეც რომ სავსებით ზუსტად იყოს დამტკიცებული, რომ პროპორციულად, ვთქვათ, აბსოლუტურადაც კი გაცილებით მეტს მოიგებს წვრილი მრეწველობა, ეს სრულიადაც არ აბათილებს არც თეორიულად, არც

პრაქტიკულად ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯების სისწორეს. დასკვნა ისეთია, რომ მთელი ჩვენი საქმის — სოციალიზმის მშენებლობის საქმის ეკონომიურად განმტკიცებისათვის სხვა დასაყრდენი არ შეიძლება იყოს. დავუშვათ ახლა, მარტოოდენ მაგალითისათვის, — ამას ვიღებ თვალსაჩინოდ განმარტებისათვის, — რომ წვრილი მრეწველობა გამოიხატება სიდიდით 100 (იქნება ეს 100 მილიონი შრომითი ერთეული თუ 100 სხვა რაიმე ერთეული, — ეს სულ ერთია), ხოლო მსხვილი მრეწველობა — ციფრით 200. მაგალითისათვის დავუშვათ, რომ წვრილი მრეწველობა კაპიტალისტურ საფუძველზე იზრდება 175 სიდიდით, მსხვილი მრეწველობა კი რჩება მხოლოდ 200. ვიგულისხმოთ მსხვილი მრეწველობის შეფერხება და წვრილი მრეწველობის დიდი განვითარება. ვფიქრობ, ეს, ჩემ მიერ ნაგულისხმევი, ცუდი ვარაუდიც კი ჩვენთვის უეჭველად სასარგებლო იქნებოდა, რადგან ახლა, როგორც გვიჩვენა მიმდინარე წელმა, როგორც გვიჩვენეს ჩვენმა სათბობისა და ტრანსპორტის პიროებებმა, როგორც გვიჩვენებს სურსათის განაწილება, რომელიც ძალიან დროულად გაგვახსენა ამხ. მილიუტინმა, — ჩვენ ძლივძლივობით ვიტანთ თავს.

აქ ამბობდნენ და ბარათებით მეკითხებოდნენ: «როგორ შეინარჩუნებთ მუშათა სახელმწიფოს სოფლად კაპიტალიზმის განვითარების დროს?». ეს მოვლენა, რომელიც ჩვენ გვემუქრება, — წვრილი წარმოებისა და წვრილი ბურჟუაზიის განვითარება სოფლად, — ეს მოვლენა ყველაზე დიდ მუქარას წარმოადგენს.

გადავიდეთ კონცესიებზე. კონცესიები — ეს არის ბლოკი მოწინავე ქვეყნების კაპიტალიზმთან. კონცესიების ბუნება ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი. ეს არის ეკონომიური კავშირი, ბლოკი, ხელშეკრულება მოწინავე ფინანსურ კაპიტალთან, მოწინავე ქვეყნებში, ხელშეკრულება, რომელიც მოგვცემს პროდუქტების მცირეოდენ გადიდებას, მაგრამ იძლევა კონტრაგენტების პროდუქტების გადიდებასაც. თუ ჩვენ კონცესიონერს მივცემთ მადანს ან ხე-ტყეს, ის ამ

პროდუქტის დიდ წილს წაიღებს, ჩვენ კი მცირეოდენ წილობრივ ანარიცხს მოგვცემს. მაგრამ ჩვენთვის ისე დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქტების რაოდენობის გადიდებას, რომ მცირეოდენი ანარიცხიც კი დიდი პლუსია ჩვენთვის. ქალაქის მუშების მდგომარეობის მცირეოდენი გაუმჯობესება, რაც კონცესიების საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება ხელშეკრულებით და რაც საზღვარგარეთული კაპიტალისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, — ეს მცირეოდენი გაუმჯობესებაც კი არის პლუსი, არის ჩვენი მსხვილი მრეწველობის განმტკიცება. და ეს, ეკონომიური გავლენის წყალობით, ხელს შეუწყობს პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესებას, იმ კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება.

და იმის შიში, რომ წვრილი მიწათმოქმედება და წვრილი მრეწველობა ისეთი ოდენობით გაძლიერდება, რომელიც შეიძლება საშიში აღმოჩნდეს ჩვენი მსხვილი მრეწველობისთვისაო, — ეს შიში უსაფუძვლოა. მრეწველობა რომ გაძლიერდეს, ამისათვის საჭიროა ზოგიერთი ნიშნის გამოვლინება.

თუ ჩვენში მოუსავლობა იქნება (მე უკვე მიგითითეთ პოპოვის ბროშურაზე), თუ ჩვენ მოუსავლობა გვექნება და ისეთივე მცირე საშუალებანი, როგორც შარშან გვქონდა, მაშინ კრიზისის რაიმე შემცირებაზე და წვრილი მრეწველობის განვითარებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება: კაპიტალისტური ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ ჭარბად მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის პროდუქტებს. ეს შესაძლებელია, და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ეს არსებითს პლუსს იძლევა. ის საკითხი, წვრილი თუ მსხვილი წარმოება მოიგებს უფრო მეტად, არის საკითხი, თუ რამდენად შევაერთებთ და შევახამებთ ჩვენი ფონდისა და ბაზრის განვითარების იმ გამოყენებას, რომელსაც ჩვენ ვაღწევთ კაპიტალიზმთან შეთანხმებით კონცესიებთან დაკავშირებით, და ეს ჩვენ

მოგვცემს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებას. ვინ უკეთ გამოიყენებს ჩვენგან ამ საშუალებებს, ამაზეა დამოკიდებული შედეგებიც. ვფიქრობ, თუ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია მსხვილი მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები, მთელ ყურადღებას მიაქცევს ამათგან ყველაზე მნიშვნელოვან დარგებს, მაშინ ის მეტს მოიგებს, ვიდრე მოიგებს წვრილი მრეწველობა, თუნდაც პროპორციულად იგი უფრო სწრაფადაც გაიზარდოს. საფეიქრო მრეწველობაში ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვქონდა, რომ 1920 წლის მიწურულისათვის, უეჭველია, ხდებოდა გაუმჯობესება, მაგრამ არ გვეყო სათბობი, ხოლო სათბობი რომ საკმაო გვქონოდა, ჩვენ 800 მილიონამდე არშინ ქსოვილს მივიღებდით და გლეხის პროდუქტებზე გადასაცვლელად საკუთარი წარმოების მასალები გვექნებოდა.

მაგრამ სათბობის კრიზისთან დაკავშირებით წარმოება გიგანტურად დაეცა. თუ ახლა კიდეც ვყიდულობთ საზღვარგარეთ ქვანახშირს, და ჩვენ ერთი თუ ორი კვირის შემდეგ მივიღებთ ამ ქვანახშირით დატვირთულ გემებს, სულ ერთია უკვე დავკარგეთ რამდენიმე კვირა და თვეებიც კი.

მსხვილი წარმოების მდგომარეობის ყოველი გაუმჯობესება, ზოგიერთი მსხვილი ფაბრიკის ამუშავების შესაძლებლობა — იმდენად განამტკიცებს პროლეტარიატის მდგომარეობას, რომ წვრილი ბურჟუაზიის სტიქიისა, თუნდაც მზარდი სტიქიისა, ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს. იმისა კი არ უნდა გვეშინოდეს, რომ წვრილი ბურჟუაზია და წვრილი კაპიტალი გაიზრდება. უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ძალიან დიდხანს გრძელდება უკიდურესი შიმშილობის, გაჭირვების, პროდუქტთა ნაკლებობის მდგომარეობა, საიდანაც გამომდინარეობს პროლეტარიატის უკვე სრული დაუძლურება, იმის შეუძლებლობა, რომ იგი წინააღუდგეს წვრილბურჟუაზიული მერყეობისა და სასოწარკვეთილების სტიქიას. ეს უფრო საშიშია. პროდუქტების რაოდენობის გადიდებისას წვრილი ბურჟუაზიის არავითარი განვითარება არ იქნება დიდი მინუსი, რამდენადაც ეს მსხვილი მრეწველობის განვითარებას

იძლევა, და ჩვენ უნდა წავახალისოთ წვრილი სასოფლო მეურნეობა. ყოველივე, რის გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია **მის** წასახალისებლად, ჩვენ ვალდებული ვართ გავაკეთოთ. გადასახადი ერთ-ერთი მცირე ღონისძიებაა ამ მხრივ, მაგრამ უეჭველი ღონისძიება, რომელიც ამ წახალისებას გამოიწვევს და რომელიც უსათუოდ უნდა მივიღოთ (ტ ა შ ი).

8

პირვანდელი პროექტი რკპ X ყრილობის რეზოლუციისა პარტიის ერთიანობის შესახებ[53]

1. ყრილობა პარტიის ყველა წევრის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ პარტიის რიგების ერთიანობა და დარაზმულობა, უზრუნველყოფა პარტიის წევრთა შორის სრული ნდობისა და ნამდვილად ერთსულოვანი მუშაობისა, რომელიც ნამდვილად განასახიერებს პროლეტარიატის ავანგარდის ნების ერთიანობას, განსაკუთრებით აუცილებელია ახლანდელ მომენტში, როდესაც მთელი რიგი გარემოებანი აძლიერებენ მერყეობას ჩვენი ქვეყნის წვრილბურჟუაზიულ მოსახლეობაში.

2. ამავე დროს ჯერ კიდევ პროფკავშირების შესახებ გამართულ საერთო-პარტიულ დისკუსიამდე პარტიაში გამოაშკარავდა ზოგიერთი ნიშანი ფრაქციულობისა, ე. ი. ისეთი ჯგუფების წარმოშობისა, რომლებსაც განსაკუთრებული პლატფორმა აქვთ და რომლებიც ისწრაფვიან რამდენადმე კარი ჩაიკეტონ და შექმნან თავიანთი ჯგუფური დისციპლინა. ფრაქციულობის ასეთი ნიშნები იყო, მაგალითად, მოსკოვის (1920 წ. ნოემბერში) და ხარკოვის ერთ-ერთ პარტკონფერენციაზე, როგორც ეგრეთწოდებული «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის მხრივ, ისე, ნაწილობრივ, ეგრეთწოდებული «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფის მხრივაც.

აუცილებელია, რათა ყველა შეგნებულმა მუშამ ნათლად შეიგნოს მავნებლობა და დაუშვებლობა ყოველგვარი ფრაქციულობისა, რომელიც, რაც უნდა მოწადინებულნი იყვნენ

(1

Первоначальный проект
резолюции X съезда РКП о единстве партии.

1. Съезд обращает внимание всех членов партии на то, что единство и сплоченность ее рядов, обеспечение полного доверия между членами партии и работой руководящей партийной, действительно выполняющей единую волю авангарда пролетариата, является особенно необходимым в настоящий момент, когда ряду оппозиций угрожают колебания в среде мелкобуржуазного ~~[illegible]~~ населения страны.

2. Наряду с этим еще до общепартийной дискуссии в профсоюзах в партии обнаружились некоторые признаки фракционности т.е. возникновения групп с особой платформой и с отношением до центральной группировки и создания своих групповых дисциплин. Такие признаки фракционности имеются на Кавказе, например, на одной из партконференций Москвы (сентябрь 1920 г.) и Харькова, как со стороны группы т. так. „Рабочая Оппозиция", так и со стороны группы т. так. „Демократического Централизма".

Необходимо, чтобы все сознательные рабочие как с

Пирвели გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«პირვანდელი პროექტი რკპ X ყრილობის რეზოლუციისა
პარტიის ერთიანობის შესახებ». — 1921 წ. მარტი
დაპატარავებულია

ცალკეულ ჯგუფთა წარმომადგენელნი დაიცვან პარტიული ერთიანობა, სინამდვილეში გარდუვალად იწვევს ერთსულოვანი მუშაობის შესუსტებას და მთავრობის პარტიისადმი მიტმასნებული მისი მტრების გაძლიერებულ განმეორებითს ცდებს — გააღრმაონ დაყოფა და გამოიყენონ იგი კონტრრევოლუციის მიზნებისათვის.

პროლეტარიატის მტრების მიერ უაღრესად მტკიცე კომუნისტური ხაზიდან ყოველგვარი გადახვევის გამოყენება თითქმის ყველაზე ნათლად გამოაშკარავდა კრონშტადტის ამბოხების მაგალითზე, როდესაც ბურჟუაზიულმა კონტრრევოლუციამ და თეთრგვარდიელებმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთბაშად გამოამქღავნეს თავიანთი მზადყოფნა — მიეღოთ საბჭოთა წყობილების ლოზუნგებიც კი, ოღონდ დაემხოთ პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში, როდესაც ესერებმა და საერთოდ ბურჟუაზიულმა კონტრრევოლუციამ გამოიყენეს კრონშტადტში ვითომდა საბჭოთა ხელისუფლების გულისათვის აჯანყების ლოზუნგები რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ასეთი ფაქტები სავსებით ამტკიცებენ, რომ თეთრგვარდიელები ისწრაფვიან და მათ შეუძლიათ შეფერადდნენ კომუნისტებად, ყველაზე მემარცხენე კომუნისტებადაც კი, ოღონდ შეასუსტონ და დაამხონ პროლეტარული რევოლუციის საყრდენი რუსეთში. კრონშტადტის ამბოხების წინადღით პეტროგრადში გამოშვებული მენშევიკური ფურცლები გვიჩვენებენ აგრეთვე, თუ როგორ გამოიყენეს მენშევიკებმა რკპ შიგნით არსებული უთანხმოებანი და ფრაქციულობის ზოგიერთი ჩანასახი, რათა ფაქტიურად წაებიძგებინათ და მხარი დაეჭირათ კრონშტადტელი მეამბოხეებისა, ესერებისა და თეთრგვარდიელებისათვის, ამავე დროს კი სიტყვიერად თავი მოეჩვენებინათ ამბოხებათა მოწინააღმდეგეებად და საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებად ვითომდა სულ მცირეოდენი შესწორებებით.

3. პროპაგანდა ამ საკითხის გამო უნდა მდგომარეობდეს ერთი მხრივ, იმაში, რომ საფუძვლიანად განვმარტოთ

ფრაქციულობის მავნებლობა და საშიშროება პარტიის ერთიანობისა და პროლეტარიატის ავანგარდის ნების ერთიანობის განხორციელების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის წარმატების ძირითადი პირობის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი იმაში, რომ განვმარტოთ საბჭოთა ხელისუფლების მტრების უახლესი ტაქტიკური ხერხების თავისებურება. ეს მტრები, რაკი დარწმუნდნენ, რომ კონტრრევოლუცია აშკარად თეთრგვარდიული დროშით უიმედო საქმეა, ახლა მთელ ძალ-ღონეს იკრებენ, რათა ჩაებღაუჭონ რკპ შიგნით არსებულ უთანხმოებებს და ასე თუ ისე დასძრან კონტრრევოლუცია ძალაუფლების იმ პოლიტიკური მიმდინარეობისათვის გადაცემის გზით, რომელიც გარეგნულად ყველაზე უფრო ახლოსაა საბჭოთა ხელისუფლების აღიარებასთან.

პროპაგანდამ უნდა ცხადყოს აგრეთვე წინანდელი რევოლუციების გამოცდილება, როდესაც კონტრრევოლუცია ზურგს უმაგრებდა უკიდურეს რევოლუციურ პარტიასთან ყველაზე ახლო მდგომ ოპოზიციას, რათა შეერყია და დაემხო რევოლუციური დიქტატურა და ამით გზა გაეხსნა კონტრრევოლუციის, კაპიტალისტებისა და მემამულეების შემდგომი სრული გამარჯვებისათვის.

4. ფრაქციულობასთან პრაქტიკულ ბრძოლაში აუცილებელია, რომ პარტიის თვითეულმა ორგანიზაციამ უსასტიკესად ადევნოს თვალყური, რათა არავითარი ფრაქციული გამოსვლა არ იქნეს დაშვებული. პარტიის ნაკლოვანებათა აუცილებლად საჭირო კრიტიკა ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ყოველი პრაქტიკული წინადადება, რაც შეიძლება უფრო მკაფიო ფორმით გამოხატული, დაუყოვნებლივ, სრულიად გაუჭიანურებლად, გაეგზავნოს განსახილველად და გადასაწყვეტად პარტიის ხელმძღვანელ, ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს. გარდა ამისა, ყველამ, ვინც კრიტიკით გამოდის, კრიტიკის ფორმის მხრივ, ანგარიში უნდა გაუწიოს პარტიის მდგომარეობას გარემომცველ მტრებს. შორის, ხოლო კრიტიკის შინაარსის მხრივ საბჭოთა და პარტიულ მუშაობაში თავისი უშუალო მონაწილეობით უნდა

გამოსცადოს პრაქტიკულად პარტიის ან მის ცალკეულ წევრთა შეცდომების გამოსწორება. პარტიის საერთო ხაზის ყოველი ანალიზი ამ მისი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინება, მის გადაწყვეტილებათა შემოწმება, შეცდომათა გამოსწორების მეთოდების შესწავლა და სხვ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მიმართული რაიმე «პლატფორმის» და სხვათა მიხედვით ჩამოყალიბებული ჯგუფების წინასწარ განსახილველად, არამედ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ყველა წევრის უშუალოდ განსახილველად. ამისათვის ყრილობა წინადადებას იძლევა უფრო რეგულარულად გამოიცეს «სადისკუსიო ფურცელი» [54] და განსაკუთრებული კრებულები, ამასთან დაუღალავად უნდა ვეცადოთ, რათა კრიტიკა არსებითი ხასიათისა იყოს და არასგზით არ ღებულობდეს ისეთ ფორმებს, რომლებსაც შეეძლებათ დახმარება გაუწიონ პროლეტარიატის კლასობრივ მტრებს.

5. ყრილობა უარყოფს პრინციპულად იმ გადახრას სინდიკალიზმისა და ანარქიზმისაკენ, რომლის გარჩევისადმი მიძღვნილია ცალკე რეზოლუცია, ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განახორციელოს ყოველგვარი ფრაქციულობის სრული მოსპობა და ამავე დროს აცხადებს, რომ იმ საკითხებზე, რომლებიც იპყრობდნენ, მაგალითად, ეგრეთწოდებული «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის განსაკუთრებულ ყურადღებას, პარტიის არაპროლეტარული და არასაიმედო ელემენტებისაგან გაწმენდის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, დემოკრატიზმისა და მუშათა თვითმოქმედების განვითარების და სხვა საკითხებზე, ყოველგვარი საქმიანი წინადადება უდიდესი ყურადღებით უნდა იქნეს განხილული და პრაქტიკული მუშაობით შემოწმებული. პარტიამ უნდა იცოდეს, რომ ამ საკითხებში ჩვენ ვერ ვახორციელებთ ყველა აუცილებელ ღონისძიებას მთელ რიგ სხვადასხვაგვარ დაბრკოლებათა გამო და რომ, ულმობლად უარყოფს რა არასაქმიან და ფრაქციულ ვითომდა კრიტიკას, პარტია გამოცდის ახალ ხერხებსა და დაუღალავად განაგრძობს ბრძოლას ყოველი

საშუალებით ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიზმის, თვითმოქმედების გასაფართოებლად, პარტიისადმი მიტმასნებულთა გამოსააშკარავებლად, სამხილებლად და განსადევნად და ა. შ.

6. ყრილობა ამიტომ დაშლილად აცხადებს გამოუკლებლივ ყველა ამა თუ იმ პლატფორმაზე აღმოცენებულ ჯგუფს და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ დაშლილ იქნენ ეს ჯგუფები (როგორიცაა: «მუშათა ოპოზიციის», «დემოკრატიული ცენტრალიზმის» და სხვ. ჯგუფები). ყრილობის ამ დადგენილების შეუსრულებლობას უნდა მოჰყვეს აუცილებლად და დაუყოვნებლივ გარიცხვა პარტიიდან.

7. რათა განხორციელდეს მკაცრი დისციპლინა პარტიის შიგნით და მთელ საბჭოთა მუშაობაში და მიღწეულ იქნეს რაც შეიძლება უფრო მეტი ერთიანობა ყოველგვარი ფრაქციულობის მოსპობის პირობებში, ყრილობა რწმუნებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს — დისციპლინის დარღვევის ან ფრაქციულობის აღორძინების თუ დაშვების შემთხვევაში გამოიყენოს პარტიული სასჯელის ყოველი ღონისძიება თვით პარტიიდან გარიცხვამდე, ხოლო ც. კ-ის წევრების მიმართ — მათი გადაყვანა კანდიდატებად და, როგორც უკიდურესი ღონისძიება, პარტიიდან გარიცხვაც კი. ც. კ-ის წევრების, ც. კ-ის წევრობის კანდიდატებისა და საკონტროლო კომისიის წევრების მიმართ ასეთი უკიდურესი ღონისძიების გამოყენების პირობა უნდა იყოს ც. კ-ის პლენუმის მოწვევა, ც. კ-ის წევრობის ყველა კანდიდატისა და საკონტროლო კომისიის ყველა წევრის დასწრებით. თუ პარტიის ყველაზე უფრო პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა ასეთი საერთო კრება ხმების ორი მესამედით აუცილებლად მიიჩნევს ც. კ-ის წევრის გადაყვანას კანდიდატად ან პარტიიდან გარიცხვას, ასეთი ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხორციელებული.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

9

პირველადელი პროექტი რკპ X ყრილოგბის რეზოლუციისა სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში

1. უკანასკნელი თვეების მანძილზე პარტიის რიგებში აშკარად გამომჟღავნდა სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრა, რომელიც მოითხოვს იდეური ბრძოლის უაღრესად გადამწყვეტ ზომებს, აგრეთვე პარტიის გაწმენდასა და გაჯანსაღებას.

2. აღნიშნული გადახრა გამოწვეულია ნაწილობრივ იმით, რომ პარტიის რიგებში შემოვიდნენ ყოფილი მენშევიკები, აგრეთვე ისეთი მუშები და გლეხები, რომლებსაც ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეუთვისებიათ კომუნისტური მსოფლმხედველობა, უმთავრესად კი ეს გადახრა გამოწვეულია წვრილბურჟუაზიული სტიქიის ზემოქმედებით პროლეტარიატზე და რკპ-ზე, — წვრილბურჟუაზიული სტიქიისა, რომელიც განსაკუთრებით ძლიერია ჩვენს ქვეყანაში და რომელიც გარდუვალად წარმოშობს მერყეობას ანარქიზმისაკენ, განსაკუთრებით ისეთ მომენტებში, როდესაც მასების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა მოუსავლობისა და ოვის მეტისმეტად გამჩანაგებელი შედეგების გამო და როდესაც მილიონიანი არმიის დემობილიზაცია უსაქმოდ ტოვებს ასეული ათასობით გლეხსა და მუშას, რომლებსაც არ შეუძლიათ ერთბაშად იპოვნონ ცხოვრების საშუალებათა წესიერი წყაროები.

3. ამ გადახრის თეორიულად ყველაზე უფრო დამთავრებულსა და ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულ გამოხატულებას (ვ ა რ ი ა ნ ტ ი: ამ გადახრის ერთ-ერთ ყველაზე უფრო

დამთავრებულ და ა. შ. გამოხატულებას) წარმოადგენენ ეგრეთწოდებული «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის თეზისები და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებნი. საკმაოდ მაჩვენებელია, მაგალითად, შემდეგი მისი თეზისი: «სახალხო მეურნეობის გამგებლობის ორგანიზაცია ეკუთვნის პროფესიულ საწარმოო კავშირებად გაერთიანებულ მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობას; ეს კავშირები ირჩევენ ცენტრალურ ორგანოს, რომელიც რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობას განაგებს».

იდეები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ და მრავალ მსგავს განცხადებას, სრულიად მცდარია თეორიულად და წარმოადგენენ კავშირის სავსებით გაწყვეტას მარქსიზმთან და კომუნიზმთან, აგრეთვე ყველა ნახევრადპროლეტარული და ნამდვილი პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკული გამოცდილების შედეგებთან.

ჯერ ერთი, ცნება «მწარმოებელი» აერთიანებს პროლეტარს ნახევრადპროლეტართან და წვრილ საქონელმწარმოებელთან და, ამრიგად, გადაჭრით უხვევს კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ცნებიდან და კლასების ზუსტად განსხვავების ძირითადი მოთხოვნიდან.

მეორეც, გეზის აღება უპარტიო მასებზე ან მათთან ლაქუცი, რაც გამოხატულია მოყვანილ თეზისში, წარმოადგენს არა ნაკლებ გადაჭრით გადახვევას მარქსიზმისაგან.

მარქსიზმი გვასწავლის — და ეს მოძღვრება არა მარტო ფორმალურადაა დადასტურებული მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ კომინტერნის II კონგრესის (1920 წელი) გადაწყვეტილებით პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის როლის შესახებ, არამედ პრაქტიკულადაც დადასტურებულია ჩვენი რევოლუციით, — რომ მხოლოდ მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას, ე. ი. კომუნისტურ პარტიას, ძალუძს გააერთიანოს, აღზარდოს, დარაზმოს პროლეტარიატისა და მთელი მშრომელი მასის ისეთი ავანგარდი, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია წინააღუდგეს ამ მასის გარდუვალ წვრილბურჟუაზიულ მერყეობას, პროფესიონალისტური

შეზღუდულობის ან პროფესიონალისტურ ცრურწმენათა გარდუვალ ტრადიციებსა და რეციდივებს პროლეტარიატში და უხელმძღვანელოს მთელი პროლეტარიატის მთელ გაერთიანებულ საქმიანობას, ე. ი. უხელმძღვანელოს მას პოლიტიკურად, მისი მეშვეობით კი უხელმძღვანელოს მთელ მშრომელ მასებს. უამისოდ პროლეტარიატის დიქტატურა განუხორციელებელია.

არასწორი გაგება კომუნისტური პარტიის როლისა უპარტიო პროლეტარიატისადმი მის დამოკიდებულებაში და შემდეგ მშრომელთა მთელი მასისადმი პირველი და მეორე ფაქტორის დამოკიდებულებაში წარმოადგენს ძირითად თეორიულ გადახვევას კომუნიზმიდან და გადახრას სინდიკალიზმისა და ანარქიზმისაკენ, რა გადახრითაც გაჟღენთილია «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის მთელი შეხედულება.

4. რკპ X ყრილობა აცხადებს, რომ მას სრულიად არასწორად მიაჩნია აგრეთვე აღნიშნული ჯგუფის და სხვა პირთა ყოველი ცდა — დაიცვან თავიანთი მცდარი შეხედულებანი რკპ პროგრამის ეკონომიური ნაწილის მე-5 პარაგრაფის დამოწმებით, რომელიც პროფკავშირთა როლს ეძღვნება. ეს პარაგრაფი ამბობს, რომ «პროფკავშირები... უნდა მივიდნენ იქამდე, რომ მათ ფაქტიურად მოაქციონ თავიანთ ხელში მთელი მართვა-გამგეობა მთელი სახალხო მეურნეობისა, როგორც ერთი მთლიანი მეურნეობისა», და რომ ისინი «უზრუნველყოფენ ამგვარად განუხრელ კავშირს ცენტრალურ სახელმწიფო მართვა-გამგეობასა, სახალხო მეურნეობასა და მშრომელთა ფართო მასებს შორის», «აბამენ რა» ამ მასებს «უშუალო მუშაობაში მეურნეობის წარმართვის ხაზით».

ასეთი მდგომარეობის წინასწარ პირობად, სადამდეც «უნდა მივიდნენ» პროფკავშირები, რკპ პროგრამა სწორედ იმავე პარაგრაფში ცნობს იმ პროცესს, რომ პროფკავშირები «სულ უფრო და უფრო განთავისუფლდნენ ვიწრო ამქრული ფარგლებისაგან» და რომ მათ მოიცვან მშრომელთა

უმრავლესობა, «ხოლო შემდეგ თანდათან გამოუკლებლივ ყველა» მშრომელიც.

ბოლოს, სწორედ იმავე პარაგრაფში რკპ პროგრამა ხაზს უსვამს, რომ პროფკავშირები, «თანახმად რსფსრ კანონებისა და დამყარებული პრაქტიკისა, უკვე მონაწილენი არიან მრეწველობის მართვა-გამგეობის ყველა ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოსი».

ნაცვლად იმისა, რომ გაითვალისწინონ მართვა-გამგეობაში მონაწილეობის სწორედ ეს პრაქტიკული გამოცდილება, ნაცვლად იმისა, რომ შემდგომ გასავითარონ ეს გამოცდილება მიღწეულ წარმატებებთან და გამოსწორებულ შეცდომებთან მტკიცედ შეფარდებით, სინდიკალისტები და ანარქისტები აყენებენ უშუალო ლოზუნგს — «ყრილობები ან ყრილობა მწარმოებლებისა», «რომლებიც ირჩევენ» მეურნეობის მართვა-გამგეობის ორგანოებს. ამრიგად, სრულიად გვერდს უვლიან და განზე სტოვებენ პარტიის ხელმძღვანელ, აღმზრდელობით, დამრაზმავ როლს პროლეტარიატის პროფკავშირების მიმართ, ხოლო პროლეტარიატისა — მშრომელთა ნახევრადმეშჩანური და პირდაპირ წვრილბურჟუაზიული მასების მიმართ, და ნაცვლად იმისა, რომ განგრძობილ და გამოსწორებულ იქნეს მეურნეობის ახალ ფორმების მშენებლობის დარგში საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკვე დაწყებული პრაქტიკული მუშაობა, გამოდის ამ მუშაობის წვრილბურჟუაზიულ-ანარქისტული დანგრევა, რასაც მხოლოდ ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის გამარჯვება შეიძლება მოჰყვეს.

5. გარდა თეორიული მცდარობისა და სრულიად არასწორი დამოკიდებულებისა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილებისადმი, რკპ ყრილობა აღნიშნული ჯგუფის და ანალოგიური ჯგუფებისა და პირების შეხედულებებში ხედავს უდიდეს პოლიტიკურ უსწორობას და უშუალო პოლიტიკურ საფრთხეს თვით პროლეტარიატის დიქტატურის არსებობისათვის.

ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, წვრილბურჟუაზიული სტიქიის დიდი სიჭარბე, ხალხის გაჭირვებისა და უბედურების უკიდურესი გამწვავება, რაც ომის, გაჩანაგების, გაღატაკების, ეპიდემიისა და მოუსავლობის გარდუვალი შედეგია, წარმოშობენ მერყეობის განსაკუთრებით მკვეთრ გამოვლინებას წვრილბურჟუაზიული და ნახევრადპროლეტარული მასის განწყობილებაში. ეს მერყეობა ვითარდება ამ მასების ხან პროლეტარიატთან კავშირის განმტკიცების მიმართულებით, ხან კი ბურჟუაზიული რესტავრაციის მიმართულებით, და XVIII, XIX და XX საუკუნეთა ყველა რევოლუციის მთელი გამოცდილება სრულიად უეჭველი სიცხადითა და დამაჯერებლობით გვიჩვენებს, რომ თუ სულ ცოტათი მაინც შესუსტდა პროლეტარიატის რევოლუციური ავანგარდის ერთიანობა, ძალა და გავლენა, ამ მერყეობიდან გარდა კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლების და საკუთრების რესტავრაციისა (აღდგენისა) არაფერი სხვა რამ არ შეიძლება გამოვიდეს.

ამიტომ «მუშათა ოპოზიციისა» და მისი მსგავსი ელემენტების შეხედულებანი არათუ თეორიულად მცდარია, არამედ პრაქტიკულადაც წარმოადგენენ წვრილბურჟუაზიულ და ანარქიულ ქანაობათა გამოხატულებას, პრაქტიკულად ასუსტებენ კომუნისტური პარტიის მტკიცე ხელმძღვანელ ნაზს, პრაქტიკულად ეხმარებიან პროლეტარული რევოლუციის კლასობრივ მტრებს.

6. ყოველივე ამის გამო რკპ ყრილობა, გადაჭრით უკუაგდებს რა აღნიშნულ იდეებს, რომლებიც სინდიკალისტურ და ანარქისტულ გადახრას გამოხატავენ, აუცილებლად ცნობს

ჯერ ერთი, მედგარ და სისტემატურ იდეურ ბრძოლას ამ იდეებთან;

მეორეც, ყრილობა შეუთავსებლად ცნობს ამ იდეების პროპაგანდას რკპ წევრობასთან.

ავალებს რა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უსასტიკესად განახორციელოს თავისი ეს გადაწყვეტილებანი, ყრილობა

ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ სპეციალურ გამოცემებში, კრებულებში და სხვ. შეიძლება და უნდა დაეთმოს კიდეც ადგილი პარტიის წევრთა აზრების რაც შეიძლება უფრო საფუძვლიან ურთიერთგაზიარებას ყველა აღნიშნულ საკითხზე.

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

10

მოხსენება პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის შესახებ 16 მარტი[35]

ამხანაგებო, მგონია, ამ საკითხზე ბევრი ლაპარაკი არ იქნება საჭირო, რადგანაც მთელი ჩვენი ყრილობა ყველა საკითხში უკვე შეეხო იმ თემებს, რომლებზეც ახლა ოფიციალურად უნდა ვილაპარაკოთ პარტიის ყრილობის სახელით, მაშასადამე, მთელი პარტიის სახელით. რაც შეეხება რეზოლუციას «ერთიანობის შესახებ», ის თავის მნიშვნელოვან ნაწილში პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათებას შეიცავს. თქვენ, რასაკვირველია, ყველას გაქვთ წაკითხული ამ რეზოლუციის დარიგებული ნაბეჭდი ტექსტი. არ უნდა გამოქვეყნდეს მეშვიდე პუნქტი, რომელსაც შემოაქვს განსაკუთრებული ზომა — ც. კ-დან გარიცხვის უფლება იმ პირობით, თუ ამ გარიცხვას აუცილებლად მიიჩნევს ც. კ-ის წევრთა, კანდიდატთა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრთა საერთო კრება ორი მესამედის უმრავლესობით. კერძო თათბირებზე, სადაც ყველა ნაირსახეობის წარმომადგენელნი გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს, ეს ზომა არაერთხელ ყოფილა განხილული. იმედი ვიქონიოთ, ამხანაგებო, რომ ამ პუნქტის გამოყენება არ დაგვჭირდება, მაგრამ იგი აუცილებელია იმ ახალი მდგომარეობის დროს, როცა ჩვენ აქ საკმაოდ მძაფრი მობრუნების წინაშე ვდგავართ და გვინდა მოვსპოთ განკერძოებულობის კვალი.

გადავდივარ რეზოლუციაზე სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრების შესახებ. აქ ჩვენს წინაშე ის საკითხია, რომელსაც ყრილობის დღის წესრიგის მეოთხე პუნქტი

ეხებოდა. მთელი რეზოლუციის არსი ის არის, რომ განსაზღვროს ჩვენი დამოკიდებულება აზრის ზოგიერთი მიმდინარეობისა და გადახრისადმი: როდესაც სიტყვა «გადახრას» ვხმარობთ, ამით ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჯერჯერობით აქ ვერ ვხედავთ ვერაფერს ისეთს, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბებული იყოს, ვერაფერს ისეთს, რაც უეჭველი და სავსებით გარკვეული იყოს, არამედ არის მხოლოდ ისეთი პოლიტიკური მიმართულების დასაწყისი, რომელიც პარტიამ აუცილებლად უნდა შეაფასოს. სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ რეზოლუციის მესამე პუნქტში, რომელიც თქვენ, ალბათ, ყველას გაქვთ, ცხადია, ბეჭდვითი შეცდომაა (როგორც ჩანს შენიშვნებიდან, ეს შეცდომა შემჩნეულია). უნდა იკითხებოდეს: «მაჩვენებელია, მაგალითად, მისი», ე. ი. «მუშათა ოპოზიციის» — «შემდეგი თეზისი: «სახალხო მეურნეობის გამგებლობის ორგანიზაცია ეკუთვნის პროფესიულ საწარმოო კავშირებად გაერთიანებულ მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობას; ეს კავშირები ირჩევენ ცენტრალურ ორგანოებს, რომლებიც რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობას განაგებენ». ამ პუნქტის შესახებ ყრილობაზე უკვე არაერთხელ გვილაპარაკნია როგორც კერძო თათბირებზე, ისე ყრილობის საერთო ღია სხდომებზე. მგონია, ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ პუნქტის დაცვა იმაზე მითითებით, რომ ენგელსი მწარმოებელთა გაერთიანებაზე მსჯელობსო, ვინაიდან სრულიად ცხადია, და აღნიშნული ადგილის ზუსტი შემოწმებაც ადასტურებს, რომ ენგელსი აქ ლაპარაკობს კომუნისტურ საზოგადოებაზე, სადაც კლასები აღარ იქნებიან. ეს ყველა ჩვენგანისთვის უდავოა. როდესაც საზოგადოებაში კლასები აღარ იარსებებენ, მაშინ საზოგადოებაში მხოლოდ მწარმოებელი მუშაკები დარჩებიან, მუშები და გლეხები აღარ იქნებიან. და ჩვენ მშვენივრად ვიცით მარქსისა და ენგელსის ყველა ნაწარმოებიდან, რომ ისინი უზუსტესად განარჩევენ ერთმანეთისაგან იმ პერიოდს, როდესაც კლასები ჯერ კიდევ არსებობენ, და იმ პერიოდს,

როდესაც ისინი აღარ იქნებიან. იმ აზრებს, სიტყვებსა და ვარაუდებს, რომ კომუნიზმის დამყარებამდე კლასები გაქრებიანო, მარქსი და ენგელსი დაუნდობლად დასცინოდნენ და ამბობდნენ, კლასების მოსპობას მხოლოდ კომუნიზმი წარმოადგენსო[56].

ჩვენ ისეთ მდგომარეობამდე მივედით, როდესაც პირველებმა დავაყენეთ პრაქტიკულად კლასების მოსპობის საკითხი, და გლეხურ ქვეყანაში ამჟამად დარჩა ორი ძირითადი კლასი — მუშათა კლასი და გლეხობა. მათ გვერდით არიან კაპიტალიზმის ნარჩენთა და ნაშთთა მთელი ჯგუფები.

ჩვენი პროგრამა გარკვევით ამბობს, რომ ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, რომ მთელი რიგი გარდამავალი საფეხურები გვექნება. მაგრამ ჩვენი საბჭოთა მუშაობის და რევოლუციის მთელი ისტორიის პრაქტიკაში მუდამ ფრიად ნათლად ვხედავდით, რომ ისეთ თეორიულ განსაზღვრათა მოცემა, როგორსაც იძლევა ამ შემთხვევაში ოპოზიცია, სწორი არაა. ჩინებულად ვიცით, რომ ჩვენში კლასები დარჩნენ და დიდხანსაც დარჩებიან, რომ იმ ქვეყანაში, სადაც გლეხი მოსახლეობა სჭარბობს, ეს კლასები დიდხანს, მრავალ წელს დარჩებიან. მინიმალური ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლებოდა ისე გაგვემართა მსხვილი მრეწველობა, რომ მასი სოფლის მეურნეობის დასამორჩილებლად ფონდი შეექმნა, ათი წლით განისაზღვრება. ეს მინიმალური ვადაა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ წარმოუდგენლად ხელსაყრელი ტექნიკური პირობები გვექნება. ჩვენ კი ვიცით, რომ ამ მხრივ წარმოუდგენლად არახელსაყრელ პირობებში ვიმყოფებით. ჩვენ გვაქვს გეგმა რუსეთის აშენებისა თანამედროვე მსხვილი მრეწველობის საფუძველზე, — ეს არის მეცნიერთა ძალების მიერ შემუშავებული ელექტრიფიკაციის გეგმა. იქ მინიმალურ ვადად ათი წელიწადია აღებული, თუ საფუძვლად გვექნება ისეთი პირობები, რომლებიც რამდენადმე მაინც მიუახლოვდება ნორმალურ პირობებს. მაგრამ ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ასეთი პირობები არ მოგვეპოვება. მაშასადამე, ათი წელიწადი ჩვენთვის ძალიან მოკლე ვადაა, —

ამაზე ზედმეტიცაა ლაპარაკი. ჩვენ შევედით საკითხის შუაგულში: შესაძლებელია ისეთი მდგომარეობა, რომ რჩებიან პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი კლასები, ამიტომ პრაქტიკულად ჩვენ ამჟამად ვერც შევქმნით იმას, რაზედაც ლაპარაკობს ენგელსი. იქნება პროლეტარიატის დიქტატურა. მერე იქნება უკლასო საზოგადოება.

ამრიგად, შესაძლებლია ისეთი მდგომარეობა, რომ პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი კლასები დარჩნენ. შემდეგ უკლასო საზოგადოება იქნება. მარქსი და ენგელსი დაუნდობლად ებრძოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც კლასების განსხვავებას ივიწყებდნენ, ლაპარაკობდნენ მწარმოებლებზე, ხალხზე ან მშრომელებზე საერთოდ. ვინც ცოტათი მაინც იცნობს მარქსის და ენგელსის ნაწარმოებებს, ის ვერ დაივიწყებს, რომ ყველა ამ ნაწარმოებში სასაცილოდ არიან აგდებულნი ისინი, ვინც საერთოდ მწარმოებლებზე, ხალხზე, მშრომელებზე ლაპარაკობს. არ არიან საერთოდ მშრომელები, ანდა საერთოდ მომუშავენი, არამედ არის ან წარმოების საშუალებათა მფლობელი წვრილი მეპატრონე, რომლის მთელი ფსიქოლოგია და ცხოვრების მთელი ჩვევები კაპიტალისტურია და არც შეიძლება სხვანაირი იყოს, — ან დაქირავებული მუშა, სრულიად სხვა ფსიქოლოგიით, დაქირავებული მუშა მსხვილ მრეწველობაში, მუშა, რომელიც ანტაგონიზმში, წინააღმდეგობაში, ბრძოლაშია კაპიტალისტებთან.

თუ ამ საკითხს მივადექით ჩვენი სამი წლის ბრძოლის შემდეგ, როდესაც გამოვცადეთ პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენება, როდესაც ვიცით, თუ რა უდიდესი სიძნელენი არსებობენ კლასთა შორის თანაფარდობაში, ვიდრე ჯერ კიდევ დარჩენილან ეს კლასები, ვიდრე ჯერ კიდევ გვხვდება ბურჟუაზიის ნაშთები ჩვენი ცხოვრების ყველა ჭუჭრუტანაში, საბჭოთა დაწესებულებების შიგნით, — აი ასეთ პირობებში ჩემ მიერ წაკითხული თეზისების შემცველი პლატფორმის წარმოშობა აშკარა და ცხად სინდიკალისტურ-ანარქისტულ გადახრას წარმოადგენს. ეს

სიტყვები გადამეტებული არაა, მოფიქრებითაა ნათქვამი. გადახრა ჯერ კიდევ არაა მზა მიმდინარეობა. გადახრა არის ის, რის გასწორებაც შესაძლებელია. ადამიანებს ცოტა გზა აერიათ ანდა ახლა ერევათ გზა, მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება საქმის გამოსწორება. ჩემი შეხედულებით, რუსული სიტყვა «უკლონ» სწორედ ამას გამოხატავს. ამით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ აქ ჯერ საბოლოო არაფერია, რომ საქმის გამოსწორება ადვილია, — ეს არის სურვილი გაფრთხილებისა და იმისა, რომ საკითხი მთელი სისრულით და პრინციპულად დაისვას. თუ ვინმე გამოძებნის სხვა რუსულ სიტყვას, რომელიც ამ აზრს უფრო გამოხატავს, — ბრძანოს. იმედი მაქვს, სიტყვების გამო დავას არ დავიწყებთ, არსებითად კი ამ თეზისს აქ განვიხილავთ, როგორც ძირითადს, რათა არ გამოვუდგეთ მრავალ ამგვარსავე იდეას, რომლებიც «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფს ძალიან ბლომად მოეპოვება. ამის გარჩევა მივანდოთ ჩვენს ლიტერატორებს, აგრეთვე ამ მიმდინარეობის ხელმძღვანელებს, ვინაიდან რეზოლუციის ბოლოში ჩვენ საგანგებოდ ვამბობთ, რომ სპეციალურ გამოცემებში, კრებულებში შეიძლება და საჭიროც არის ადგილი დაეთმოს პარტიის წევრთა აზრების უფრო საფუძვლიან ურთიერთგაზიარებას ყველა აღნიშნულ საკითხზე. ახლა ჩვენ ამ საკითხის გადადება არ შეგვიძლია. ჩვენ ვართ პარტია, რომელსაც გამწვავებულ სიძნელეთა პირობებში უხდება ბრძოლა. ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს თავს: ერთიანობა რომ მტკიცე იყოს, უნდა დავგმოთ გარკვეული გადახრა. რაკი ეს გადახრა დაისახა, იგი უნდა გამოვავლინოთ და განვიხილოთ. მაგრამ თუ საფუძვლიანი დისკუსიაა საჭირო, — ინებეთ, ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ხალხი, რომელიც დაწვრილებით მოიყვანს მთელს ლიტერატურას, და, თუ საჭირო და შესაფერი იქნება, ამ საკითხს ინტერნაციონალური მასშტაბითაც დავაყენებთ, რადგან თქვენ ახლა მოისმინეთ კომინტერნის წარმომადგენლის მოხსენებიდან, და თქვენ ყველამ იცით, რომ მუშათა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის რიგებში არის ერთგვარი გადახრა მარცხნივ. ეს გადახრა, რომელზედაც

ახლა ვლაპარაკობთ, იგივეა, რაც ანარქისტული გადახრა გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიაში, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც კომინტერნის წინა კონგრესზე აშკარად გამოვლინდა[57]. ის სიტყვები, რომლებიც ნახმარი იყო ხსენებულ კონგრესზე მის შესაფასებლად, ხშირად უფრო მკვეთრი იყო, ვიდრე სიტყვა «გადახრა». თქვენ იცით, რომ ეს ინტერნაციონალური საკითხია. ამიტომ მისი თავიდან მოშორება იმ აზრით, რომ თავი გაანებე დისკუსიას და მორჩა და გათავდაო, — სწორი არ იქნებოდა. მაგრამ ერთი საქმეა თეორიული დისკუსია და სულ სხვაა პარტიის პოლიტიკური ხაზი, პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენ სადისკუსიო კლუბს არ წარმოვადგენთ. რასაკვირველია, კრებულების, სპეციალური გამოცემების გამოშვება ჩვენ შეგვიძლია და ამას ვიზამთ კიდეც, მაგრამ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიბრძოლოთ მეტისმეტად მძიმე პირობებში და ამიტომ მჭიდროდ უნდა გავერთიანდეთ. თუ ამავე დროს პოლიტიკურ დისკუსიაში, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩარეული იქნება წინადადებები, როგორიცაა «მწარმოებელთა სრულიად რუსეთის ყრილობის» ორგანიზაცია, მაშინ ჩვენ ერთსულოვნად და დარაზმულად ვერ ვივლით; ეს ის პოლიტიკა არ არის, რომელიც ჩვენ რამდენიმე წლისათვის დავისახეთ. ეს ისეთი პოლიტიკაა, რომელიც ჩაშლიდა პარტიის ერთსულოვან მუშაობას, და ეს პოლიტიკა არათუ თეორიულად არ არის სწორი, იგი სწორი არ არის იმიტომაც, რომ სწორად არ განსაზღვრავს კლასთა თანაფარდობას, — იმ მთავარსა და ძირითადს, ურომლისოდაც არ არსებობს მარქსიზმი და რომლის შესახებაც გამოიტანა რეზოლუცია კომინტერნის II კონგრესმა. ახლა ისეთი მომენტია, როცა უპარტიო სტიქია ემორჩილება იმ წვრილბურჟუაზიულ მერყეობას, რომელიც რუსეთის ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობისას აუცილებელია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ შინაური საფრთხე ერთგვარად უფრო დიდია, ვიდრე დენიკინისა და იუდენიჩის საფრთხე, და ჩვენ მარტო ფორმალური დარაზმულობა კი არ უნდა გამოვიჩინოთ, არამედ ისეთი დარაზმულობა, რომელიც ბევ-

რად უფრო ღრმაა. ასეთი დარაზმულობის შესაქმნელად ჩვენთვის აუცილებელია ამგვარი რეზოლუციის მიღება.

შემდეგ ფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ რეზოლუციის მეოთხე პარაგრაფი, რომელიც იძლევა ჩვენი პროგრამის განმარტებას, ავთენტიკურ განმარტებას, ე. ი. ისეთ განმარტებას, რომელიც თვით ავტორისაგან გამომდინარეობს. მისი ავტორი ყრილობაა, ამიტომ ყრილობამ უნდა მოგვცეს ისეთი განმარტება, რომ ბოლო მოეღოს ქანაობას და ზოგჯერ თამაშსაც კი, რომლითაც ჩვენს პროგრამას ეპყრობიან: თითქოს პროგრამაში პროფკავშირების შესახებ ის იყოს ნათქვამი, რის დანახვაც იქ ზოგ ვინმეს სურს. თქვენ მოისმინეთ ამ ტრიბუნიდან ამხ. რიაზანოვის მიერ მოცემული კრიტიკა ამ პროგრამისა, — მადლობა მოვახსენოთ ამ კრიტიკის ავტორს თეორიული კვლევა-ძიებისათვის! თქვენ მოისმინეთ ამხ. შლიაპნიკოვის მიერ მოცემული კრიტიკაც. ამას დუმილით ვერ ავუქცევთ გვერდს. მე მგონია, აქ, ამ რეზოლუციაში, ჩვენ გვაქვს ის, რაც ახლა გვჭირდება. ყრილობის სახელით, რომელიც ამტკიცებს პროგრამას და რომელიც პარტიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს, ჩვენ უნდა ვთქვათ: აი როგორ გვესმის ჩვენ ეს პროგრამა. ვიმეორებ, რომ თეორიული კამათი ამით არ მოისპობა. პროგრამის შეცვლის წინადადებანი შეიძლება წამოყენებულ იქნეს, ჩვენ ამას სრულიად არ ვკრძალავთ. ჩვენ პროგრამა როდი მიგვაჩნია ისეთ საუცხოო რამედ, რომ იქ არაფრის შეცვლა არ იყოს საჭირო, მაგრამ ამჟამად ჩვენ არა გვაქვს ფორმალური წინადადებანი, ჩვენ არ მოგვინდომებია დრო ამ საკითხის განხილვისათვის. ამ პროგრამას თუ ყურადღებით წავიკითხავთ, აქ ვნახავთ შემდეგს: «პროფესიული კავშირები უნდა მივიდნენ იქამდე, რომ ფაქტიურად თავიანთ ხელში მოაქციონ და ა. შ.», «უნდა მივიდნენ იქამდე, რომ ფაქტიურად თავიანთ ხელში მოაქციონ» — ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. ზემოთ კი ვკითხულობთ, რომ «კანონის თანახმად პროფესიული კავშირები წარმოების მართვა-გამგეობის ყველა ადგილობრივი

და ცენტრალური ორგანოს მონაწილენი არიან». ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური წარმოება, მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყნის დახმარებით, ათეული წლების განმავლობაში შენდებოდა. ნუთუ ჩვენ ბავშვებად გადავიქეცით, რომ ვიფიქროთ: ასეთი უდიდესი გაჭირვებისა და გაღატაკების დროს იმ ქვეყანაში, სადაც მუშები უმცირესობას შეადგენენ, ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატის ავანგარდი გაწამებულია და სისხლისაგან იცლება, სადაც უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, ასე ჩქარა შევძლებთ ამ პროცესის დამთავრებას?! ჩვენ ჯერ მთავარი საძირკველიც კი არ ჩაგვიყრია, ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ ცდების საშუალებით დასახვა იმისა, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ წარმოების მართვა-გამგეობა პროფკავშირების მონაწილეობით. ჩვენ ვიცით, რომ მთავარი დაბრკოლება გაჭირვებაა. მართალი არ არის, თითქოს მასებს არ ვიზიდავდეთ; პირიქით, მუშათა მასიდან გამოსული ყოველი ცოტათი მაინც შესამჩნევი ტალანტი, სულ მცირეოდენი ნიჭისა და უნარის პატრონი უგულწრფელეს დახმარებას ჰპოვებს ხოლმე ჩვენის მხრივ. საჭიროა მხოლოდ, რომ მდგომარეობა ცოტაოდნად მაინც შემსუბუქდეს. ჩვენთვის საჭიროა შიმშილისაგან სულ ცოტა ერთ ან ორ წელს მოვითქვათ სული. ისტორიის თვალსაზრისით ეს სრულიად უმნიშვნელო ვადაა, მაგრამ ჩვენს პირობებში ეს დიდი ვადაა. ერთი თუ ორი წლით სულისმოთქმა შიმშილისაგან, ერთი თუ ორი წლის განმავლობაში სათბობი მასალის წესიერი მომარაგება, რათა ფაბრიკები მუშაობდნენ, — და ჩვენ მუშათა კლასი ასკეცად მეტ დახმარებას გაგვიწევს, და მისი რიგებიდან გაცილებით მეტი ტალანტი გამოვა, ვიდრე დღესაა. ამაში ეჭვი არავის შეაქვს, არც არავის შეუძლია შეიტანოს ეჭვი. ახლა ჩვენ ვერ ვღებულობთ ამ დახმარებას არა იმიტომ, რომ არ გვინდა. რის გაკეთებაც კი შეიძლება, ყველაფერს ვაკეთებთ ამისათვის. არავის არ შეუძლია მიგვითითოს, რომ მთავრობას, პროფკავშირებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამ მხრივ თუნდაც ერთი შესაძლებლობა გამორჩენოდეთ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ

ხაშინელი გაჭირვებაა, რომ ყველგან შიმშილი და სიღატაკეა, და ძალიან ხშირად ამ ნიადაგზე პასივობა ჩნდება. ნუ შეგვეშინდება თავისი ნამდვილი სახელი ვუწოდოთ ბოროტებასა და უბედურებას. აი რა აფერხებს მასების ენერგიის ამოძრავებას. ასეთ მდგომარეობაში, როდესაც სტატისტიკიდან ვიცით, რომ სამმართველოებში მუშები 60% შეადგენენ, აბსოლუტურად შეუძლებელია სცადო და შლიაპნიკოვისებურად ახსნა პროგრამის სიტყვები: «პროფკავშირები უნდა მივიდნენ იქამდე, რომ ფაქტიურად თავიანთ ხელში მოაქციონ» და ა. შ.

პროგრამის ავთენტიკური განმარტება შესაძლებლობას მოგვცემს შევაერთოთ აუცილებელი ტაქტიკური დარაზმულობა და ერთიანობა დისკუსიის აუცილებელ თავისუფლებასთან, რაც რეზოლუციის ბოლოში კიდეც ხაზგასმით არის აღნიშნული. რას გვეუბნება რეზოლუცია? წავიკითხოთ მეექვსე პუნქტი:

«ყოველივე ამის გამო რკპ ყრილობა, გადაჭრით უკუაგდებს რა აღნიშნულ იდეებს, რომლებიც სინდიკალისტურ და ანარქისტულ გადახრას გამოხატავენ, აუცილებლად ცნობს, ჯერ ერთი, მედგარ და სისტემატურ ბრძოლას ამ იდეებთან; მეორეც, ყრილობა შეუთავსებლად ცნობს ამ იდეების პროპაგანდას რკპ წევრობასთან.

ავალებს რა ჰარტიის ც. კ-ს უსასტიკესად განახორციელოს თავისი ეს გადაწყვეტილებანი, ყრილობა ამასთან აღნიშნავს, რომ სპეციალურ გამოცემებში, კრებულებში და სხვ. შეიძლება და უნდა დაეთმოს კიდეც ადგილი პარტიის წევრთა აზრების რაც შეიძლება უფრო საფუძვლიან ურთიერთგაზიარებას ყველა აღნიშნულ საკითხზე».

ნუთუ ვერ ხედავთ, — თქვენ ყველანი ამა თუ იმ სახით აგიტატორები და პროპაგანდისტები ხართ, — ნუთუ ვერ ხედავთ განსხვავებას მებრძოლი პოლიტიკური პარტიების შიგნით იდეათა პროპაგანდასა და სპეციალურ გამოცემებსა და კრებულებში აზრთა ურთიერთგაზიარებას შორის? დარწმუნებული ვარ, რომ ამ განსხვავებას ხედავს ყოველი

ადამიანი, რომელსაც კი სურს ჩაუკვირდეს ამ რეზოლუციას. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ცენტრალურ კომიტეტში, რომელშიც შეგვყავს ამ გადახრის წარმომადგენლები, ეს წარმომადგენლები ისე შეხედავენ პარტული ყრილობის გადაწყვეტილებას, როგორც პარტიის ყოველი შეგნებული დისციპლინებული წევრი; იმედი გვაქვს, რომ მათი შემწეობით ჩვენ გამოვარკვევთ ც. კ-'ში ამ მიჯნას რაიმე განსაკუთრებული ოდგოიაოეოაის შეუქმნელად; ჩვენ გამოვარკვევთ, რა ხდება პარტიის შიგნით: იდეათა პროპაგანდა მებრძოლი პოლიტიკური პარტიის შიგნით თუ სპეციალურ გამოცემებსა და კრებულებში აზრთა ურთიერთგაზიარება. ვისაც აინტერესებს ენგელსის ციტატების დაწვრილებით შესწავლა — ინებეთ! ჩვენ გვყავს ისეთი თეორეტიკოსები, რომლებიც ყოველთვის მისცემენ პარტიას სასარგებლო რჩევას. ეს საჭიროა. ჩვენ გამოვცემთ ორ-სამ დიდ კრებულს, — ეს სასარგებლო და აბსოლუტურად აუცილებელია. მაგრამ განა ეს პლატფორმათა ბრძოლას ჰგავს, განა შეიძლება ამის ერთმანეთში არევა? არავინ, ვისაც კი სურს ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას ჩაუკვირდეს, ამას ერთმანეთში არ აურევს.

ნუ აფერხებ ჩვენს პოლიტიკურ მუშაობას, მეტადრე ასეთ მძიმე მომენტში, მაგრამ ნურც სამეცნიერო კვლევას დაანებებ თავს. თუ ამხ. შლიაპნიკოვი, მაგალითისთვის ვთქვათ, თავის ერთ ტომს, რომელიც მან ახლახან გამოსცა მის მიერ ჯერ კიდევ არალეგალური მდგომარეობის ეპოქაში წარმოებული რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების შესახებ, მიუმატებს უახლოეს თვეებში, თავისი მოცლილობის გამო, მეორე ტომს, სადაც მოცემული იქნება ცნება «მწარმოებლის» ანალიზი, — კეთილი! ეს რეზოლუცია კი ჩვენ ნიშანსვეტად გამოგვადგება. ჩვენ უაღრესად ფართო, უაღრესად თავისუფალი დისკუსია გავმართეთ. «მუშათა ოპოზიციის» პლატფორმა პარტიის ცენტრალურ ორგანოში 250 000 ცალად დაიბეჭდა. ჩვენ ყოველმხრივ და ყოველგვარად ავწონ-დავწონეთ ეს პლატფორმა, მის საფუძველზე მოვახდინეთ არჩევნები და, ბოლოს, მოვიწვიეთ ყრილობა,

რომელიც აჯამებს პოლიტიკურ დისკუსიას და ამბობს: გადახრა გამოირკვა, კეკემალულობას ნუ ვითამაშებთ, პირდაპირ ვთქვათ: გადახრა არის გადახრა, ის უნდა გამოვასწოროთ; მას გამოვასწორებთ, დისკუსია კი თეორიული დისკუსია იქნებაო.

აი რად განვაახლე და რად ვუჭერ მხარს წინადადებას, რომ ორივე ეს რეზოლუცია მივიღოთ, პარტიის ერთიანობა განვამტკიცოთ და სწორად განვსაზღვროთ ის, თუ რა უნდა აკეთონ პარტიულმა კრებებმა და რის კეთება შეუძლიათ თავისუფალ დროს ცალკეულ პირებს — მარქსისტებს, კომუნისტებს, რომლებსაც უნდათ პარტიას დაეხმარონ და თეორიის ესა თუ ის საკითხი შეისწავლონ (ტ ა შ ი).

11

საბოლოო სიტყვა პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის შესახებ მოხსენებების გამო

16 მარტი

ამხანაგებო, ჩვენ აქ გავიგონეთ არაჩვეულებრივად მკვახე გამოთქმები, რომელთაგან, მგონია, ყველაზე მკვახე იყო ჩვენი რეზოლუციისათვის ცილისმწამებლობის დაბრალება. მაგრამ არის ხოლმე ისეთი სიმკვახე, რომელიც თავის თავს თვითონ ამხელს. თქვენ რეზოლუცია გაქვთ. იცით, რომ ჩვენ «მუშათა ოპოზიციის» ორი წარმომადგენელი შევიყვანეთ ცენტრალურ კომიტეტში, რომ ჩვენ ვიხმარეთ გამოთქმა «გადახრა». მე ხაზს ვუსვამ მის მნიშვნელობას. არც შლიაპნიკოვს, არც მედვედევს სხვა სიტყვა არ შემოუთავაზებიათ. ჩვენ აქ ვაკრიტიკებდით თეზისებს, რომლებსაც ყველა ნაირსახეობის წარმომადგენლებიც აკრიტიკებდნენ. როგორ შეიძლება ამის შემდეგ ცილისწამებაზე ლაპარაკი? ადამიანებისათვის რომ მიეწერათ ის, რაც ფაქტიურად ბათილდება, მაშინ ამ მკვახე სიტყვას აზრი ექნებოდა. ახლა ეს მხოლოდ გამოხატულებაა ერთგვარი გაგულისებისა! ეს არასერიოზული შემოკამათებაა!

ახლა გადავდივარ იმ პუნქტებზე, რომლებიც აქ აღინიშნა. იყო მითითება, რომ «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფის მიმართ უსამართლობა გამოიჩინესო. თქვენ თვალყურს ადევნებდით იმას, თუ როგორ ვითარდებოდა შეთანხმება ჯგუფებს შორის და აზრთა ურთიერთგაზიარება ცენტრალური კომიტეტის არჩევის საკითხზე, რომელსაც აქ შეეხნენ «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფის წარმომადგენლები. თქვენ მოგეხსენებათ, რომ, დაწყებული კერძო

თათბირით, რომელსაც დაესწრნენ «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფი მთელი შემადგენლობით და მთელი რიგი ფრიად თვალსაჩინო ამხანაგები, ყველა ნაირსახეობის წარმომადგენლები, მაგალითად, პირადად მე აშკარად გამოვსულვარ იმის სასარგებლოდ, რომ «მუშათა ოპოზიციისა» და «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფების წარმომადგენელნი ჩვენთვის სასურველი არიან ცენტრალურ კომიტეტში. ეს არავის არ უარუყვია თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ «მუშათა ოპოზიციაში» მყოფი ყველა ამხანაგი და ყველა ნაირსახეობის წარმომადგენლები. სავსებით ცხადია, რომ, თუ «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფიდან ბოლოს და ბოლოს არჩეულ იქნა არა ცენტრალური კომიტეტის წევრი, არამედ კანდიდატი, — ეს იყო აზრთა ხანგრძლივი ურთიერთგაზიარების, ჯგუფებს შორის შეთანხმების შედეგი. და ამაში «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფისადმი რაიმე უნდობლობის ან უსამართლობის დანახვა პირდაპირ შარის მოდებაა. ჩვენ ყოველივე გავაკეთეთ ცენტრალურ კომიტეტში, რაც კი საჭირო იყო, რათა ხაზი გაგვესვა, რომ ჩვენ გვსურს სამართლიანი ვიყოთ. ეს ფაქტია, რომელსაც ვერ ამოშლი. და დასკვნის გაკეთება, რომ უსამართლობა გამოიჩინესო — ეს შარის მოდებაა! ან, მაგალითად, «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფში მყოფი ამხანაგი ამბობდა, რომ რეზოლუციის მე-7 პარაგრაფი საჭირო არ არის: ცენტრალურ კომიტეტს ისედაც აქვს ამის უფლებაო. ჩვენ წინადადებას ვიძლევით, რომ მე-7 პარაგრაფი არ გამოქვეყნდეს, რადგან იმედი გვაქვს, რომ მისი გამოყენება საჭირო არ გახდება ეს — უკიდურესი ღონისძიებაა. მაგრამ როდესაც «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფში მყოფი ამხანაგი ამბობს: «თქვენ წესდებით გქონდათ ამის უფლებაო», — ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ იცნობს წესდებას, არ იცნობს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს, არ იცნობს ცენტრალიზმის პრინციპებს. ყრილობაზე არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს რომ უფლება ჰქონდეს გარიცხოს ვინმე ცენტრალური კომიტეტიდან — ამას არავითარი დემოკრატია,

არავითარი ცენტრალიზმი არ დაუშვებს. (ხმა: «პარტიის მეშვეობით»). მეტადრე პარტიის მეშვეობით. ცენტრალურ კომიტეტს ყრილობა ირჩევს, ამით ის უაღრეს ნდობას გამოხატავს, ამით ის ხელმძღვანელობას აბარებს მას. და რომ ცენტრალურ კომიტეტს თავისი წევრის მიმართ ასეთი უფლება ჰქონდეს, — ამის მსგავსი ჩვენს პარტიას არსად და არასოდეს არ დაუშვია. ეს უკიდურესი ღონისძიებაა, რომელსაც ვიღებთ სპეციალურად ვითარების საშიშროების შეგნებით. მოიწვევა განსაკუთრებული კრება: ცენტრალური კომიტეტი, პლუს კანდიდატები, პლუს საკონტროლო კომისია ხმის თანაბარი უფლებით. ასეთი დაწესებულება, ასეთი პლენუმი 47 კაცის შემადგენლობით ჩვენს წესდებაში არ ყოფილა, და ჩვენს პრაქტიკას არასოდეს არ მიუმართავს ამისათვის. ამიტომ ვიმეორებ, რომ «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფში მყოფი ამხანაგები არ იცნობენ .არც წესდებას, არც დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს, არც ცენტრალიზმს. ეს უკიდურესი ღონისძიებაა. იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამ ღონისძიების გამოყენება არ დაგვჭირდება. იგი მხოლოდ გვიჩვენებს, რომ პარტია იყენებს იმას, რაც თქვენ მოისმინეთ, ისეთ უთანხმოებათა არსებობისას, რომელნიც ერთ-ერთი მხრივ მიადგნენ შესაძლებელ გათიშვას. ჩვენ კი ბავშვები არა ვართ, გვინახავს მძიმე დრო, გვინახავს და გამოგვიცდია გათიშვები, და ვიცით, თუ რა მძიმეა ეს გათიშვები, და ჩვენ არ გვეშინია იმისა, რომ საფრთხეს თავისი სახელი ეუწოდოთ.

ყოფილა თუ არა წინა ყრილობებზე უაღრესად მძაფრ უთანხმოებათა დროს ისეთი მომენტები, რომლებიც ერთი მხრივ გათიშვას ეხებიან? არ ყოფილა. არის თუ არა ახლა? არის. ყოველივე ეს არაერთხელ ყოფილა აღნიშნული. აი ამ უთანხმოებებთან ბრძოლა, ვფიქრობ, შესაძლებელია.

შემდეგ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ერთიანობა ასეთი რეზოლუციებით არ იქმნება, რომ თითქოს კრიტიკა რეზოლუციის თანახმად უნდა წარიმართებოდეს უსათუოდ მხოლოდ საგუბერნიო კომიტეტების მეშვეობით, რომ თითქოს

რაღაც უნდობლობას უცხადებდნენ «მუშათა ოპოზიციაში» მყოფ ამხანაგებს, რაც აძნელებს მათ ყოფნას ცენტრალურ კომიტეტშიო. მაგრამ ესეც სრულიადაც არ არის მართალი! მე იმთავითვე აღვნიშნე, თუ რატომ არის არჩეული სიტყვა «გადახრა». თუ ეს სიტყვა არ მოგწონთ, მიიღეთ ეს რეზოლუცია საფუძვლად და გადაეცით იგი პრეზიდიუმს შესაძლო შერბილების მიზნით. თუ ჩვენ უფრო რბილ სიტყვას ვიპოვნით, მე წინადადებას წამოვაყენებდი, რომ დაგვესვა იგი სიტყვა «გადახრის» ნაცვლად, აგრეთვე სხვა ადგილებიც შეგვერბილებინა. ამის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვექნება. ახლა აქ, რასაკვირველია, დრო არ არის, რომ ასეთ დეტალებს გამოვეკიდოთ. გადაეცით რეზოლუცია პრეზიდიუმს სარედაქციოდ, შესარბილებლად. გაძლიერება აქ წარმოუდგენელია, — ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნება. მაგრამ როდესაც ამბობენ, რომ ეს რეზოლუცია ნიშნავს პარტიის ერთი ნაწილის მეორის წინააღმდეგ წასისიანებასო, — ეს ისევ არ არის მართალი.

მე არ ვიცი, როგორია «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის შემადგენლობა სამარაში, იქ არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ: თუ ცენტრალური კომიტეტის წევრი როგორიც უნდა იყოს ელფერისა, ან ყრილობის წევრი როგორიც უნდა იყოს ელფერისა, გარდა «მუშათა ოპოზიციისა», დაიწყებდა სამარის ორგანიზაციის კრებაზე იმის მტკიცებას, რომ რეზოლუციაში არ არის წასისიანება, არამედ მოწოდებაა ერთიანობისაკენო, ის შეძლებდა ამის დამტკიცებას. როდესაც აქ ხმარობენ ისეთ გამოთქმას, როგორიცაა «წასისიანება», ავიწყდებათ მეხუთე პუნქტი რეზოლუციისა ერთიანობის შესახებ, სადაც აღიარებულია «მუშათა ოპოზიციის» დამსახურება. განა იქ ეს გვერდით არ არის დასმული? ერთი მხრივ, «იჩენენ გადახრას», ხოლო მეორე მხრივ, წაიკითხეთ მეხუთე პარაგრაფი: «ყრილობა... ამავე დროს აცხადებს, რომ იმ საკითხებზე, რომლებიც იპყრობენ, მაგალითად, ეგრეთწოდებული «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის განსაკუთრებულ ყურადღებას, არაპროლეტარული

და არასაიმედო ელემენტებისაგან პარტიის გაწმენდის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის, დემოკრატიზმისა და მუშათა თვითმოქმედების განვითარების და სხვა საკითხებზე, ყოველგვარი საქმიანი წინადადება უდიდესი ყურადღებით უნდა იქნეს განხილული», და ა. შ.. განა ეს წასისიანებაა? ეს დამსახურებათა აღიარებაა. ჩვენ ვამბობთ: ერთი მხრივ, თქვენ დისკუსიაში გამოიჩინეთ გადახრა, რომელიც პოლიტიკურად საშიშია, ამხ. მედვედევის რეზოლუციაც კი ამას აღიარებს სხვა სიტყვებით, ხოლო შემდეგ ნათქვამია: რაც შეეხება ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, თანახმანი ვართ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია. ეს არის დამსახურებათა აღიარება და არა წასისიანება!

როდესაც ცენტრალურ კომიტეტში შეგვყავს ამხანაგი «მუშათა ოპოზიციიდან», ეს არის ამხანაგური ნდობის გამოცხადება. და ამის შემდეგ, როდესაც ვინმე წავა ისეთ კრებაზე, რომელიც ფრაქციული ბრძოლით არ არის აღგზნებული, ეს კრება იტყვის, რომ აქ წასისიანება კი არ არის, არამედ ამხანაგური ნდობის გამოცხადებაა. რაც შეეხება უკიდურეს ღონისძიებას, ახლა ჩვენ ამას არ მივმართავთ და ამჟამად ამხანაგურ ნდობას გიცხადებთ. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ თეორიულად მართალნი არა ვართ, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გამოვცეთ ათობით კრებული, და თუ მოიპოვებიან ისეთი ახალგაზრდა ამხანაგები, მაგალითად, სამარის ორგანიზაციაში, რომლებსაც რაღაც ახალი რამ აქვთ სათქმელი ამ საკითხზე, — კეთილი, ამხანაგო სამარელებო! ჩვენ დავბეჭდავთ თქვენს რამდენიმე სტატიას. ხომ არ მოიძებნება არც ერთი ისეთი კაცი, რომელსაც არ ესმოდეს განსხვავება იმასა, რასაც ყრილობაზე ამბობენ, და იმას შორის, რასაც ყრილობის გარეთ წამოისვრიან ხოლმე. თუ თქვენ შეადარებთ რეზოლუციის ზუსტ ტექსტს, დაინახავთ, რომ აქ მოცემულია თეორიული, პრინციპული მითითება, რომ აქ არაფერია შეურაცხმყოფელი, ამის გვერდით კი არის ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში დამსახურების აღიარება, გამოთქმულია დახმარების მიღების სურვილი, და, გარდა ამი-

სა, ამ ჯგუფის წარმომადგენელნი შეყვანილი არიან ცენტრალურ კომიტეტში, ეს კი გამოხატულებაა უმაღლესი ნდობისა, რომელზე მეტიც პარტიაში არ შეიძლება არსებობდეს. აი რატომ ვიძლევი წინადადებას, ამხანაგებო, მივიღოთ ორივე ეს რეზოლუცია, ამასთან მივიღოთ სახელდებითი ხმის მიცემით, შემდეგ პრეზიდიუმს გადავცეთ სარედაქციოდ, ფორმულირების შესარბილებლად, და რადგან პრეზიდიუმში შედის ამხ. შლიაპნიკოვი, მან, იქნებ, გამონახოს უფრო შესაფერისი გამოთქმა სიტყვა «გადახრის» ნაცვლად.

ხოლო გადადგომის გამო, რომლის შესახებაც განცხადებით გამოვიდნენ, წინადადებას ვიძლევი მიღებულ იქნეს შემდეგი რეზოლუცია: «ყრილობა მოუწოდებს დაშლილი «მუშათა ოპოზიციის» ჯგუფის ყველა წევრს დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას, დაევალოთ მათ დარჩნენ მათთვის მინდობილ ადგილებზე და არ იღებს ამხ. შლიაპნიკოვის გადადგომას და არც რაიმე სხვა გადადგომას».

12

შენიშვნები რიაზანოვის მიერ პარტიის ერთიანობის შესახებ რეზოლუციისათვის წარმოდგენილი შესწორებების გამო

16 მარტი

ვფიქრობ, რომ ამხ. რიაზანოვის სურვილი, რაც უნდა სამწუხარო იყოს ეს, განუხორციელებელია. ჩვენ არ შეგვიძლია პარტიას და ცენტრალური კომიტეტის წევრებს წავართვათ უფლება მიმართონ პარტიას, თუ ძირითადი საკითხი უთანხმოებას იწვევს. ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენ ეს ვქნათ! ახლანდელ ყრილობას არ შეუძლია რითიმე შებოჭოს მომავალი ყრილობის არჩევნები: ხოლო თუ იქნება ისეთი საკითხი, როგორიცაა, ვთქვათ, ბრესტის ზავის დადება? განა შეგიძლიათ დანამდვილებით თქვათ, რომ ასეთი საკითხები არ შეიძლება იყოს? ამის დანამდვილებით თქმა არ შეიძლება. შესაძლოა, რომ მაშინ მოგვიხდეს არჩევა პლატფორმების მიხედვით (რ ი ა ზ ა ნ ო ვ ი: «ერთი საკითხის შესახებ?»). რა თქმა უნდა. მაგრამ თქვენს რეზოლუციაში წერია: არავითარი არჩევნები პლატფორმების მიხედვითო. ვფიქრობ, რომ ამის აკრძალვა ჩვენ არ ძალგვიძს. თუ ჩვენი რეზოლუცია ერთიანობის შესახებ და, ცხადია, რევოლუციის განვითარება ჩვენ შეგვამჭიდროვებს, მაშინ პლატფორმების მიხედვით არჩევნები არ განმეორდება. გაკვეთილი, რომელიც ჩვენ ამ ყრილობაზე მივიღეთ, არ იქნება დავიწყებული. ხოლო თუ გარემოებანი ძირითად უთანხმოებებს გამოიწვევენ, განა შეიძლება აიკრძალოს მათი მთელი პარტიის სამსჯავროდ გამოტანა? არ შეიძლება! ეს მეტიხმეტი სურვილია, რომელიც არ შეიძლება შესრულდეს, და მე წინადადებას ვიძლევი იგი უარყოფილ იქნეს[58].

13

სიტყვა სათბობის საკითხზე
16 მარტი

ნება მომეცით ავიღო სიტყვა იმისათვის, რომ სათბობის საკითხი კომისიას გადაეცეს. ეჭვი არ არის, რომ სათბობის კრიზისი მთელი ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არა.- მაგრამ ვეკითხები ჩემს თავს: ის მოხსენება და თანამოხსენება, — ერთი, რომელიც გადმოგვცემს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თვალსაზრისს და რომელსაც გააკეთებს ამხ. რიკოვი, მეორე — რომელიც გადმოგვცემს ამ პოლიტიკის კრიტიკას — ამხ. ლარინის თვალსაზრისი, — მოგვცემენ თუ არა ჩვენ ისინი საბოლოო გადაწყვეტილებას ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე ისე, თუ იგი არ გადავიტანეთ კომისიაში, თუ არ შევისწავლეთ დოკუმენტები, რომლებიც განმარტავდნენ, რა არის აქ მთავარი, — აპარატის ნაკლოვანებანი, უმსგავსობა, დანაშაული თუ სისუსტე გლეხური მეურნეობისა, გლეხის ცხენისა, ურომლისოდაც შეშის მოტანა შეუძლებელია? ვეკითხები ჩემს თავს: შეგვიძლია თუ არა ჩვენ უკომისიოდ გამოვიტანოთ გადაწყვეტილება? — და ვამტკიცებ, რომ არ შეგვიძლია. ამიტომ გაცილებით უფრო პრაქტიკული იქნება ავირჩიოთ კომისია გაფართოებული შემადგენლობით, სადაც უმთავრესად უნდა შევიდნენ ადგილობრივი ამხანაგები, რომლებიც იცნობენ სათბობის და, კერძოდ, შეშის საქმეს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ რომლებსაც უმუშავნიათ ამ დარგში, რომლებიც საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით

იცნობენ ამ საქმეს. ეს კომისია მოუსმენს არა მარტო მომხსენებლებს, არამედ მოიხმობს აგრეთვე მთელ რიგ პირებს და დოკუმენტებით შეამოწმებს მომხსენებლისა და თანამომხსენებლის განცხადებებს. შემდეგ ეს კომისია ცენტრალურ კომიტეტში გააკეთებს მოხსენებას, რომლის საფუძველზედაც ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა მიიღოს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი ამ დარგში. ასეთი წესი უფრო ნაყოფიერ და სასარგებლო შედეგებამდე მიგვიყვანს, ვიდრე ყრილობაზე დისკუსიის გამართვა, რასაც შეუძლია მთელი დღე წაგვართვას და რის შედეგადაც ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, მაინც იძულებული ვიქნებით საკითხი კომისიას გადავცეთ.

14

წინადადება სათბობის საკითხზე
16 მარტი

წინადადებას ვიძლევი დაევალოს ხე-ტყის მრეწველობის მთავარ კომიტეტს დაუყოვნებლივ მოაწყოს თათბირი ყრილობის იმ დელეგატებთან, რომლებიც პრაქტიკულად იცნობენ სათბობისა და შეშის დაწესებულებათა მუშაობას, რათა დაუყოვნებლივ შემუშავდეს გადაუდებელი ღონისძიებანი, განსაკუთრებით ხე-ტყის დაცურების დარგში.

15
სიტყვა ყრილობის დახურვისას
16 მარტი

ამხანაგებო, ჩვენ დავამთავრეთ მუშაობა პარტიული ყრილობისა, რომელიც შეიკრიბა ჩვენი რევოლუციის ბედისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტში. იმპერიალისტური ომის ამოდენი წლების შემდეგ სამოქალაქო ომის წარმოებამ ისე გატანჯა და არივ-დარია ჩვენი ქვეყანა, რომ მისი გამოცოცხლება, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, ახლა არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში ხდება. ამიტომ ჩვენ ვერ გაგვაკვირვებს, რომ დაშლის თუ რღვევის ელემენტები, წვრილბურჟუაზიული და ანარქიული სტიქია თავს ჰყოფენ. ამის ერთ-ერთი ძირითადი პირობა ხომ უკიდურესი, უნახავი და გაუგონარი გამწვავებაა გაჭირვებისა და სასოწარკვეთილებისა, რომელიც ახლა ეუფლება ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანს, ზოგჯერ კი, იქნებ, უფრო მეტ ხალხსაც, რომელიც მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავს. მაგრამ ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ ჩვენს ქვეყანას გაცილებით უფრო მძიმე მომენტები გადაუტანია. ჩვენ სრულიადაც არ ვხუჭავთ თვალს საფრთხის წინაშე, ოდნავადაც არ ვეძლევით რაიმე ოპტიმიზმს, პირდაპირ ვეუბნებით ჩვენს თავსაც და ჩვენს ამხანაგებსაც, რომ საფრთხე დიდია, მაგრამ ამავე დროს მტკიცე და ურყევი იმედი გვაქვს პროლეტარიატის ავანგარდის დარაზმულობისა. ჩვენ ვიცით, რომ სხვა ძალა, რომელსაც ძალუძს გააერთიანოს მილიონობით დაქსაქსული წვრილი მიწათმოქმედი, რომელნიც ძალიან ხშირად განიცდიან გაუგონარ გაჭირვებას, სხვა ძალა, რომელსაც შეეძლოს ეკონომიურად და პოლიტიკურად გააერთიანოს ისინი ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, — სხვა ძალა,

გარდა შეგნებული პროლეტარიატისა, არ არსებობს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბრძოლის გამოცდილებიდან, რევოლუციის მძიმე გამოცდილებიდან ეს ძალა საკმაოდ გამოწრთობილი გამოვიდა, რათა წინააღუდგეს ყველა მძიმე განსაცდელს და ახალ სიძნელეებს.

ამხანაგებო, ამ აზრით მიღებულ გადაწყვეტილებათა გარდა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილებას გლეხობასთან ურთიერთობის საკითხზე. ჩვენ აქ უაღრესად ფხიზლად ვითვალისწინებთ კლასთა შორის ურთიერთობას და არ გვეშინია აშკარად ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს უძნელეს ამოცანასთან, იმ ამოცანასთან, რომ დავამყაროთ პროლეტარიატის სწორი ურთიერთობა მასზე უფრო მრავალრიცხოვან გლეხობასთან ისეთ პირობებში, როცა ჩვენ ახლა არ შეგვიძლია ნორმალურ ურთიერთობას მივაღწიოთ. ნორმალური ურთიერთობა ისეთია, და მხოლოდ ისეთია, რომ პროლეტარიატს ხელთ ჰქონდეს მსხვილი მრეწველობა, მისი პროდუქტებითურთ, და არა მარტო სავსებით აკმაყოფილებდეს გლეხობას, არამედ, მისცემს რა მას საარსებო საშუალებებს, ისე შეამსუბუქოს მისი მდგომარეობა, რომ განსხვავება კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით აშკარა და საგრძნობი იყოს. ეს და მხოლოდ ეს შექმნის ნორმალური სოციალისტური საზოგადოების ბაზას. ჩვენ ახლა ამის განხორციელება არ შეგვიძლია — იმდენად დაგვაბეჩავა გაჩანაგებამ, გაჭირვებამ, გაღატაკებამ და სასოწარკვეთილებამ. მაგრამ, რათა ეს წყეული მემკვიდრეობა უფრო ადვილად აღმოვფხვრათ, ჩვენ, საშინლად მძიმე ომის განმავლობაში დამყარებული ურთიერთობის მიუხედავად, ამ ურთიერთობას გარკვეულად ვეხმაურებით. ჩვენ არ დავმალავთ, რომ გლეხობას უღრმესი საფუძველი აქვს უკმაყოფილო იყოს. ჩვენ უფრო დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას მივმართავთ და ვიტყვით, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი ძალგვიძს, რათა ეს მდგომარეობა მოვსპოთ, რათა უფრო მეტად გავუწიოთ ანგარიში წვრილი მეურნის ცხოვრების პირობებს.

ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი საჭიროა, რათა ამ მეურნის მდგომარეობა შევამსუბუქოთ, რათა მეტი მივცეთ წვრილ მიწათმოქმედს, რათა მას შევუქმნათ უფრო მტკიცე სამეურნეო საქმიანობის პირობები. ჩვენ არ გვეშინია იმისა, რომ ეს ღონისძიება განავითარებს კომუნიზმისადმი მტრულ ტენდენციებს, ეს კი, უეჭველია, იქნება.

აი, ამხანაგებო, რა მიმართულებით — ამ ურთიერთობის ფხიზლად გათვალისწინებისა და ჩვენი პოლიტიკის გადასინჯვის სრული მზადყოფნის მიმართულებით უნდა შევცვალოთ კიდეც ეს პოლიტიკა, ვინაიდან ჩვენ ისტორიაში პირველად რამდენიმე წლის მანძილზე ხელი მოვკიდეთ სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების, პროლეტარული სახელმწიფოს საფუძვლების შექმნის საქმეს. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენი ყრილობის მუშაობის შედეგებს მით უფრო მეტი წარმატება ექნება, რომ ამ ძირითად საკითხში ჩვენ თავიდანვე მივაღწიეთ აბსოლუტურ ერთიანობას. ორი ძირითადი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ერთსულოვნად, და ჩვენ შორის იმ საკითხზე, როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის ავანგარდის ურთიერთობა მის მასასთან და პროლეტარიატის ურთიერთობა გლეხობასთან — უთანხმოება არ ყოფილა. ამაში ჩვენ უფრო მეტი ერთიანობა გამოვიჩინეთ, ვიდრე როდისმე გვქონია, მიუხედავად იმისა, რომ საკითხების გადაწყვეტა ჩვენ მეტად მძიმე პოლიტიკურ პირობებში გვიხდება.

ნება მომეცით გადავიდე ახლა ორ პუნქტზე, ოღონდ გთხოვთ ნუ ჩაიწერთ მათ. პირველი — ესაა ბაქოსა და გროზნოს კონცესიების საკითხი. ამ საკითხს ყრილობაზე მხოლოდ გაკვრით შეეხნენ. მე ვერ შევძელი იმ სხდომას დავსწრებოდი, მაგრამ მითხრეს, რომ ამხანაგების ერთ ნაწილში უკმაყოფილების თუ უნდობლობის გრძნობა დარჩაო. ვფიქრობ, რომ ამის საფუძველი არ უნდა იყოს. ცენტრალურმა კომიტეტმა გროზნოსა და ბაქოს კონცესიების გაცემის საკითხი საფუძვლიანად გაარჩია. რამდენიმეჯერ შეიქმნა სპეციალური კომისიები, მოთხოვილი იყო სპეციალური ანგარიშები დაინტერესებული უწყებებისაგან. უთანხმოება იყო,

რამდენიმეჯერ მოხდა კენჭისყრა, უკანასკნელი კენჭისყრის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრთა არც ერთ ჯგუფს და ცენტრალური კომიტეტის არც ერთ წევრს არ მოუსურვებია გამოეყენებინა თავისი უდავო უფლება ყრილობისადმი აპელაციისა. ვფიქრობ, რომ ახალ ცენტრალურ კომიტეტს სრული უფლება აქვს, ფორმალურიც და არსებითადაც, ყრილობის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, გადაჭრას ეს დიდი საკითხი. უკონცესიებოდ ჩვენ არ შეგვიძლია კარგად მოწყობილი თანამედროვე კაპიტალისტური ტექნიკის დახმარების იმედი გვქონდეს. ამ ტექნიკის გამოუყენებლად ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს ჯეროვანი საფუძველი შევუქმნათ ჩვენს მსხვილ წარმოებას ისეთ დარგებში, როგორიცაა ნავთის მოპოვება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიო მეურნეობისათვის. ჩვენ კონცესიების შესახებ ჯერ არც ერთი ხელშეკრულება არ დაგვიდვია, მაგრამ ყველაფერს ვიზამთ იმისათვის, რომ ეს ხელშეკრულებები დავდოთ. წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო — თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ. საქმე ის არის, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, გავაძლიეროთ ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკური მოწყობილობა, გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობა, სურსათისა და მოხმარების საგნების რაოდენობა ჩვენი მუშებისათვის. ამ მხრივ ყოველგვარ შემსუბუქებას ჩვენთვის გიგანტური მნიშვნელობა აქვს. აი რატომ არ გვეშინია ჩვენ გროზნოს და ბაქოს ნაწილის კონცესიად გაცემისა; კონცესიად რომ გავცემთ გროზნოს ერთ მეოთხედს და ბაქოს ერთ მეოთხედს, ამას ჩვენ გამოვიყენებთ, — თუ კონცესიების გაცემა მოვახერხეთ, — რათა დანარჩენ სამ მეოთხედ ნაწილში დავეწიოთ მოწინავე კაპიტალიზმის მოწინავე ტექნიკას. ახლა ჩვენ ამის გაკეთება სხვანაირად არ ძალგვიძს. ის, ვინც ჩვენი მეურნეობის მდგომარეობას იცნობს, მიხვდება ამას. მაგრამ, თუ გვექნება დასაყრდენი, თუნდაც ეს ასეულ მილიონობით ოქროს მანე-

თად დაგვიჯდეს, ჩვენ მთელ საშუალებებს მოვახმართ იმას, რომ ეს დანარჩენ სამ მეოთხედ ნაწილში გავაკეთოთ.

მეორე საკითხი, — გთხოვთ ამასაც ნუ გამოაქვეყნებთ, — ეს არის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება, რომელიც სპეციალურად განხილულია და მოხსენებათა წესს ეხება. თქვენ იცით, რომ ამ ყრილობაზე ჩვენ ისეთ ატმოსფეროში მოგვიხდა მუშაობა, რომელიც ხშირად ძალიან ნერვული იყო და ყრილობისაგან წყვეტდა მუშაკთა ისეთ რაოდენობას, როგორიც წინათ არასოდეს არ ყოფილა მოწყვეტილი. ამიტომ საჭიროა უფრო გულდამშვიდებით და უფრო მოფიქრებულად შევადგინოთ იმის გეგმა, თუ როგორ გაკეთდეს მოხსენებები ადგილებზე, საჭიროა ამ მხრივ გარკვეული გადაწყვეტილებით ვიხელმძღვანელოთ. ერთმა ამხანაგმა მოხაზა პროექტი პრეზიდიუმის დირექტივისა ადგილებზე მიმავალი ამხანაგებისათვის; ნებას მივცემ თავს წაგიკითხოთ ეს პროექტი (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს)[59]. მე ორიოდე სიტყვა ვთქვი ამის შესახებ. ვფიქრობ, საკმარისი იქნება რამდენიმე წაკითხული სტრიქონი, რომ ყოველმა დელეგატმა მოისაზროს საკითხი და მოხსენებებში გამოიჩინოს საჭირო სიფრთხილე, არ გააზვიადოს მდგომარეობის საშიშროება და არავითარ შემთხვევაში თვითონაც არ მიეცეს პანიკას და გარშემო მყოფნიც არ ჩააგდოს პანიკაში.

ჩვენ მით უფრო არ შეგვფერის და სულ მცირე საფუძველიც კი არა გვაქვს მივეცეთ პანიკას, რომ ახლა ჩვენს წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალიზმმა უმაგალითოდ ნერვული, ისტერიული კამპანია გააჩაღა. მე გუშინ, ამხ. ჩიჩერინთან შეთანხმებით, მივიღე შენაჯამი ცნობა ამ საკითხზე და ვფიქრობ, რომ მისი მოსმენა ყველასათვის სასარგებლო იქნება. ეს არის შენაჯამი ცნობა რუსეთის საშინაო მდგომარეობის გამო გაჩაღებული სიცრუის კამპანიის საკითხზე. არასოდეს, — წერს ამხანაგი, რომელიც აჯამებს ამ ცნობას, — არასდროს დასავლეთ ევროპის პრესაში არ ყოფილა საბჭოთა რუსეთის შესახებ სიცრუის ისეთი ბაკქანალია და ფანტასტიკური ჭორების ისეთი მასობრივი წარმოება, როგორც ამ

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში. მარტის დამდეგიდან მთელი დასავლეთ ევროპის პრესა ღვარად ანთხევს ფანტასტიკურ ცნობებს აჯანყებებზე რუსეთში, კონტრრევოლუციის გამარჯვებაზე, ლენინისა და ტროცკის ყირიმს გაქცევაზე, კრემლში თეთრი ბაირაღის აღმართვაზე, სისხლის ნიაღვარზე პეტროგრადისა და მოსკოვის ქუჩებში, ბარიკადებზე იქვე, მუშების მრავალრიცხოვან ჯგუფებზე, რომლებიც ვითომ ეშვებიან გორაკებიდან მოსკოვისაკენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, ბუდიონის გადასვლაზე მეამბოხეთა მხარეზე, კონტრრევოლუციის გამარჯვებაზე რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში, ამასთან ასახელებენ ხან ერთ, ხან მეორე ქალაქს, საერთოდ კი ჩამოთვლილია რუსეთის საგუბერნიო ქალაქების თითქმის უმრავლესობა. ამ კამპანიის უნივერსალობა და გეგმაზომიერება გვიჩვენებს, რომ აქ ვლინდება ყველა ხელმძღვანელი მთავრობის რაღაც ფართოდ მოსაზრებული გეგმა. 2 მარტს **Foreign Office***-მ **«Press Association»****-ის მეშვეობით განაცხადა, რომ გამოქვეყნებული ცნობები დაუჯერებლად მიაჩნია, ამის უმალვე კი **Foreign Office**-მ თავის მხრივ გამოაქვეყნა ცნობა აჯანყებაზე პეტროგრადში, პეტროგრადისათვის ყუმბარების დაშენაზე კრონშტადტის ფლოტის მიერ და ბრძოლებზე მოსკოვის ქუჩებში.

2 მარტს ყველა ინგლისურმა გაზეთმა გამოაქვეყნა დეპეშები აჯანყებებზე პეტროგრადსა და მოსკოვში: ლენინი და ტროცკი ყირიმს გაიქცნენ, 14 000 მუშა მოსკოვში მოითხოვს დამფუძნებელ კრებას, მოსკოვის არსენალი და მოსკოვ-კურსკის ვაგზალი აჯანყებული მუშების ხელშია, პეტროგრადში ვასილის კუნძული მთლიანად აჯანყებულთა ხელშიაო.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს შემდგომი დღეების რადიოდან და დეპეშებიდან: 3 მარტს კლიშკო დეპეშით

* — საგარეო საქმეთა სამინისტრო (ინგლისისა). რ ე დ.
** — პრესის ასოციაცია. რ ე დ.

იტყობინება ლონდონიდან, რომ «Reuter»-ი[60] ჩაებღაუჭა უაზრო ხმებს აჯანყებაზე პიტერში და გაძლიერებით ავრცელებს მათ.

6 მარტი: ბერლინელი კორესპონდენტი მეისონი დეპეშით აუწყებს ნიუ-იორკს, რომ ამერიკიდან ჩამოსული მუშები დიდ როლს ასრულებენ პეტროგრადის რევოლუციაში, და ჩიჩერინმა რადიოთი ბრძანება გაუგზავნა გენერალ განეცკის, რომ ამერიკის ემიგრანტებს საზღვარი დაუკეტოსო.

6 მარტი: ზინოვიევი ორანიენბაუმს გაიქცა. მოსკოვში წითელი არტილერია ყუმბარებს უშენს მუშათა უბნებს. პეტროგრადი ყოველი მხრიდან მოწყვეტილია (ვიგანდის რადიო).

7 მარტი: კლიშკო დეპეშით იუწყება, რომ რეველიდან მიღებული ცნობებით მოსკოვის ქუჩებში აგებულია ბარიკადები; გაზეთები აქვეყნებენ ჰელსინგფორსიდან მიღებულ ცნობას, რომ ჩერნიგოვი ანტიბოლშევიკურმა ჯარებმა აიღეს.

7 მარტი: პეტროგრადიც და მოსკოვიც აჯანყებულთა ხელშია. აჯანყებაა ოდესაში. სემიონოვი 25 000 კაზაკითურთ ციმბირში მოქმედებს. პეტროგრადის რევოლუციური კომიტეტის ძალაუფლებას ემორჩილება ფორტიფიკაციები და ფლოტი (ინგლისის რადიოსადგურის პოლდიუს ცნობები).

ნაუენი, 7 მარტი: პეტროგრადის საფაბრიკო უბნები აჯანყდნენ. ანტიბოლშევიკური აჯანყება მოედო ვოლინს.

პარიზი, 7 მარტი: პეტროგრადი რევოლუციური კომიტეტის ხელშია. «Matin»-ი[61] იუწყება, რომ ლონდონში მიღებული ცნობებით თეთრი ბაირაღი ფრიალებს კრემლზე.

პარიზი, 8 მარტი: მეამბოხენი დაეუფლნენ კრასნაია გორკას. წითელარმიელთა პოლკებმა ამბოხება მოაწყვეს ფსკოვის გუბერნიაში. ბოლშევიკები ბაშკირებს გზავნიან პეტროგრადის წინააღმდეგ.

10 მარტს კლიშკო დეპეშით იუწყება: გაზეთები ეკითხებიან თავიანთ თავს, დაეცა თუ არა პეტროგრადი? ჰელსინგფორსიდან მიღებული ცნობებით, პეტროგრადის სამი მეოთხედი მეამბოხეთა ხელშია; ტროცკი, ან — სხვა ცნობებით —

ზინოვიევი, სარდლობს ოპერაციებს ტოსნაში ანდა პეტრეპავლეს ციხე-სიმაგრეში; სხვა ცნობებით — მთავარსარდლად დანიშნულია ბრუსილოვი; რიგიდან მიღებული ცნობებით, პეტროგრადი აღებულია 9 რიცხვს რკინიგზის ვაგზლების გამოკლებით, წითელმა არმიამ უკან დაიხია გატჩინისაკენ; პეტროგრადელი გაფიცულნი აყენებენ ლოზუნგს: «ძირს საბჭოები და კომუნისტები». ინგლისის სამხედრო სამინისტრომ განაცხადა, რომ ჯერ არ ვიცით, შეუერთდნენ თუ არა კრონშტადტელი მეამბოხენი პეტროგრადელ მეამბოხეებს, მაგრამ, ჩვენი ცნობებით, ზინოვიევი პეტრეპავლეს ციხე-სიმაგრეში იმყოფება, სადაც საბჭოთა ჯარებს სარდლობსო.

ამ დროის ცრუ ხმების დიდძალი რაოდენობიდან ვირჩევ მაგალითებს: სარატოვი დამოუკიდებელ ანტიბოლშევიკურ რესპუბლიკად გადაიქცა (ნაუენი, 11 მარტი). ვოლგისპირა ქალაქებში სასტიკად არბევენ კომუნისტებს (იქვე). მინსკის გუბერნიაში ბელორუსთა სამხედრო რაზმები იბრძვიან წითელი არმიის წინააღმდეგ (იქვე).

პარიზი, 15 მარტი: «Matin»-ი იუწყება, რომ ყუბანელნი და დონელი კაზაკების დიდი მასები აჯანყდნენ.

ნაუენმა 14 მარტს გამოაცხადა, რომ ბუდიონის კავალერია ორიოლის ახლოს შეუერთდა მეამბოხეებს. სხვადასხვა დროს იუწყებოდნენ აჯანყებებზე ფსკოვში, ოდესაში და სხვა ქალაქებში.

9 მარტს კრასინი დეპეშით იუწყება, «Times»-ის [62] ვაშინგტონელი კორესპონდენტი ამბობს, რომ საბჭოთა რეჟიმი აღსასრულს უახლოვდება, და ამიტომ ამერიკა გადასდებს განაპირა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას. სხვადასხვა დროს იყო ცნობები ამერიკის საბანკო სფეროებიდან, რომ ახლანდელ პირობებში რუსეთთან ვაჭრობა აზარტული თამაში იქნებოდაო.

«Daily Chronicle»-ის [63] ნიუ-იორკელი კორესპონდენტი ჯერ კიდევ 4 მარტს ამბობდა, რომ ამერიკის საქმიან წრეებს და რესპუბლიკურ პარტიას რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა ამჟამად აზარტულ თამაშად მიაჩნიათ.

უეჭველია, სიცრუის კამპანიას მხედველობაში აქვს არა მარტო ამერიკა, არამედ ლონდონში მყოფი თურქეთის დელეგაციაც და სილეზიის პლებისციტიც.

ამხანაგებო, სურათი სავსებით ნათელია. პრესის მსოფლიო სინდიკატმა — იქ პრესის თავისუფლებაა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი 99%-ით შესყიდულია ფინანსური მაგნატების მიერ, რომლებიც ასეულ მილიონობით მანეთს ატრიალებენ, — აი ამ სინდიკატმა გააჩაღა იმპერიალისტების მსოფლიო ლაშქრობა, რომლის მიზანია ჩაშალოს უწინარეს ყოვლისა სავაჭრო შეთანხმება ინგლისთან, რის შესახებ მოლაპარაკება კრასინმა დაიწყო, და მომავალი სავაჭრო შეთანხმება ამერიკასთან, რის შესახებაც ჩვენ აქ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, როგორც მე უკვე აღვნიშნე, და რაზედაც მითითებული იყო ყრილობის მუშაობის განმავლობაში. ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენს გარემომცველ მტრებს, რომლებმაც ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობა დაკარგეს, ამბოხების იმედი აქვთ. კრონშტადტის ამბებმაც გვიჩვენეს, რომ ამ ამბებს კავშირი აქვთ საერთაშორისო ბურჟუაზიასთან. გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ახლა მათ საერთაშორისო კაპიტალის პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე მეტად აშინებთ სავაჭრო ურთიერთობის სწორი აღდგენა. მაგრამ მის ჩაშლას ისინი ვერ მოახერხებენ. ჩვენში აქ, მოსკოვში, არიან მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები, რომლებმაც მთელი ამ ხმების რწმენა დაკარგეს, და მათ აღნიშნეს, თუ როგორ გამოიყენა ამერიკაში მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ აგიტაციის უმაგალითო ხერხი.

ამ ჯგუფმა რამდენიმე თვის სულ სხვადასხვანაირი გაზეთებიდან შეაგროვა ყოველივე ის, რასაც ამბობდნენ რუსეთზე, ლენინისა და ტროცკის გაქცევაზე, ტროცკის მიერ ლენინის დახვრეტაზე და პირუკუ, შეაგროვა ყოველივე ეს ერთ ბროშურაში. საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ უკეთეს აგიტაციას ვერც კი წარმოიდგენ. დღითი დღე აგროვებდნენ ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენჯერ დახვრიტეს,

მოკლეს ლენინი და ტროცკი, ეს ცნობები ყოველთვე მეორდებოდა, და მერე, ბოლოს და ბოლოს, მათ აგროვებენ ერთ კრებულში და აქვეყნებენ. თანამედროვე ამერიკულმა ბურჟუაზიულმა პრესამ სავსებით შეარყია თავისადმი ნდობა. აი ის მტერი, რომელსაც ემსახურება მემამულეთა და კაპიტალისტთა წრის ორი მილიონი რუსი ემიგრანტი საზღვარგარეთ, აი ბურჟუაზიის ის არმია, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ დგას. დაე ეცადონ მათ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკულ წარმატებას და ჩაშალონ სავაჭრო ურთიერთობა. ჩვენ ვიცით, რომ ამას ისინი ვერ მოახერხებენ. და მთელი ეს ინფორმაცია საერთაშორისო პრესისა, იმ პრესისა, რომელსაც ხელთ უპყრია ასეულ ათასობით გაზეთი და ცნობებს აწვდის მთელ მსოფლიოს, — ეს ინფორმაცია ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რამდენად გარშემორტყმულნი ვართ ჩვენ მტრებით და რამდენად დაუძლურებულნი არიან ეს მტრები გასულ წელთან შედარებით. და ეს უნდა შევიგნოთ ჩვენ, ამხანაგებო! ვფიქრობ, რომ ყრილობის აქ დამსწრე წევრთა უმრავლესობამ შეიგნო, თუ რა ზომა უნდა დავუწესოთ ჩვენს უთანხმოებას. ბუნებრივია, რომ საყრილობო ბრძოლაში ამ ზომას ვერ დავიცავდით. არ შეიძლება მოსთხოვო იმ ადამიანებს, რომლებიც ეს-ეს არის ბრძოლას ეწეოდნენ, რომ მათ აქვე შეიგნონ ეს ზომა. მაგრამ, როდესაც ჩვენ შევხედავთ ჩვენს პარტიას, როგორც მსოფლიო რევოლუციის კერას, და იმ კამპანიას, რომელსაც ახლა აწარმოებს მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა სინდიკატი ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ ეჭვი არ უნდა გვქონდეს. დაე მათ აწარმოონ თავიანთი კამპანია, ჩვენ თვალი გადავავლეთ ამ კამპანიას და ზუსტად ვიცით ჩვენი უთანხმოების ზომა, და ჩვენ ვიცით, რომ, შევმჭიდროვდით რა ამ ყრილობაზე, ნამდვილად გამოვალთ ჩვენი უთანხმოებებიდან აბსოლუტურად ერთიანნი და უფრო გამოწრთობილი პარტიით, რომელიც გასწევს წინ — სულ უფრო და უფრო გადამწყვეტი საერთაშორისო გამარჯვებებისაკენ! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

სიტყვა ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის ყრილობაზე

1921 წ. 27 მარტი[64]

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ მოსალმებისთვის და მეც ჩემი მხრივ აგრეთვე მივესალმო თქვენს ყრილობას (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი). ვიდრე გადავიდოდე იმ თემაზე, რომელიც პირდაპირ ეხება თქვენი ყრილობის, თქვენი მუშაობის ამოცანებს და იმას, თუ რას მოელის მთელი საბჭოთა ხელისუფლება თქვენი ყრილობისაგან, ნება მიბოძეთ ცოტა შორიდან დავიწყო.

აი ახლა, როცა თქვენს დარბაზში გამოვიარე, ვნახე პლაკატი წარწერით: «მუშათა და გლეხთა მეუფებას დასასრული არ ექნება». და როცა წავიკითხე ეს უცნაური პლაკატი, რომელიც, მართალია, ჩვეულებრივ ადგილას კი არ ეკიდა, არამედ კუთხეში იყო მიყუდებული, —შეიძლება, ვინმე მიხვდა, რომ პლაკატი უხეირო იყო და განზე მისწია, — როცა ეს უცნაური პლაკატი წავიკითხე, გავიფიქრე: აი რა საანბანო და ძირითადი რამეების შესახებ არსებობს ჩვენში გაუგებრობა და მცდარი წარმოდგენა-მეთქი. მართლაც, თუ მუშათა და გლეხთა მეუფებას დასასრული არ მიეცა, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ არასოდეს არ დამყარდება სოციალიზმი, ვინაიდან სოციალიზმი კლასების მოსპობას ნიშნავს, ხოლო ვიდრე რჩებიან მუშები და გლეხები, მანამდე დარჩება სხვადასხვა კლასი, და, მაშასადამე, შეუძლებელი იქნება სრული სოციალიზმი. და აი, როცა იმაზე ვფიქრობ, რომ ოქტომბრის გადატრიალებიდან სამ-ნახევარი წლის შემდეგაც ჩვენში კიდევ შესაძლებელია ესოდენ უცნაური, თუმცა ცოტათი განზე მიგდებული, პლაკატები, მე ფიქრს

ვეძლევი იმის შესახებაც, რომ, შესაძლოა, ჩვენში ყველაზე უფრო გავრცელებული და საყოველთაოდ ხმარებული ლოზუნგების მიმართაც არსებობდეს კიდევ უდიდესი გაუგებრობა. ჩვენ ყველანი ვმღერით, რომ ახლა ჩვენს უკანასკნელსა და გადამწყვეტ ბრძოლას ვაწარმოებთ, — აი, მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ლოზუნგი, რომელსაც ჩვენ ყველგან და ყოველთვის ვიმეორებთ. მაგრამ ვშიშობ, კომუნისტების უმეტესობას რომ ვკითხოთ, ვის წინააღმდეგ აწარმოებთ თქვენ ახლა, — არა, უკანასკნელს, რა თქმა უნდა, ეს ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ ერთ-ერთს თქვენს უკანასკნელსა და გადამწყვეტ ბრძოლასო, — ვშიშობ, ბევრი ვერ მოგვცემს ამ კითხვაზე სწორ პასუხს, ვერ გამოიჩენს იმის ნათელ შეგნებას, თუ რის წინააღმდეგ ან ვის წინააღმდეგ ვაწარმოებთ ამჟამად ერთ-ერთს ჩვენს უკანასკნელსა და გადამწყვეტ ბრძოლას. და მგონია, რომ ამ გაზაფხულზე, იმ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებმაც მუშებისა და გლეხების ფართო მასების ყურადღება მიიქციეს, ვფიქრობ, ამ მოვლენებთან დაკავშირებით საჭიროა ერთხელ კიდევ განვიხილოთ ან ვცადოთ მაინც განვიხილოთ ის საკითხი, თუ ვის წინააღმდეგ ვაწარმოებთ ამ გაზაფხულზე, აი ახლა, ერთ-ერთ ჩვენს უკანასკნელსა და გადამწყვეტ ბრძოლას. ნება მიბოძეთ ამ საკითხზე შევჩერდე.

ამ საკითხში რომ გავერკვეთ, ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა რაც შეიძლება უფრო ზუსტად, რაც შეიძლება უფრო ფხიზლად ერთხელ კიდევ გადავხედოთ იმ ძალებს, რომლებიც ერთიმეორის წინააღმდეგ დგანან და რომელთა ბრძოლაც განსაზღვრავს საბჭოთა ხელისუფლების ბედსაც და, საერთოდ რომ ითქვას, პროლეტარული რევოლუციის მსვლელობასა და განვითარებასაც, რევოლუციისა კაპიტალის დასამხობად როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნებშიც. როგორია ეს ძალები? როგორ ჯგუფდებიან ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ? როგორ არიან ამჟამად ეს ძალები განლაგებულნი? მდგომარეობის ყოველი რამდენადმე მაინც სერიოზული პოლიტიკური გამწვავება, პოლიტიკური

ამბების ყოველი ახალი, თუნდაც არც ისე დიდი შეტრიალება ყოველ მოაზროვნე მუშას და ყოველ მოაზროვნე გლეხს მუდამ უნდა აღუძრავდეს ამ კითხვას, იმ კითხვას, თუ რა ძალები არსებობენ დღეს და როგორ ჯგუფდებიან ისინი. და მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ, მიუხედავად ჩვენი სიმპათიებისა და სურვილებისა, მოვახერხებთ სწორად და სავსებით ფხიზლად ავწონ-დავწონოთ ეს ძალები, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება გამოვიტანოთ სწორი დასკვნებიც ჩვენი პოლიტიკის შესახებ საერთოდ და ჩვენი უახლოესი ამოცანების შესახებაც. და აი, ნება მიბოძეთ ახლა მოკლედ ავწერო ეს ძალები.

ეს ძალა უმთავრესად, საერთოდ და ძირითადად სამია. დავიწყებ იმ ძალიდან, რომელიც ყველაზე უფრო ახლოსაა ჩვენთან, დავიწყებ პროლეტარიატიდან. ეს პირველი ძალაა. ეს პირველი განსაკუთრებული კლასია. ყველა თქვენგანმა ეს კარგად იცით, თქვენ თვითონ ამ კლასის შუაგულში ცხოვრობთ. როგორია ახლა მისი მდგომარეობა? საბჭოთა რესპუბლიკაში ეს ის კლასია, რომელმაც სამ-ნახევარი წლის წინათ ხელთ აიღო ძალაუფლება, ამ ხნის მანძილზე განახორციელა ბატონობა, დიქტატურა და რომელიც ამ სამ-ნახევარი წლის განმავლობაში ყველა სხვა კლასზე მეტად დაზარალდა, გაიტანჯა, ეწვალა, რომელმაც ყველაზე მეტი გაჭირვება და უბედურება განიცადა. ეს სამ-ნახევარი წელიწადი, რომლის უმეტესმა ნაწილმა განვლო საბჭოთა ხელისუფლების თავგანწირულ სამოქალაქო ომში მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს წინააღმდეგ, მუშათა კლასისთვის, პროლეტარიატისთვის წარმოადგენდა ისეთ უბედურებას, ისეთ გაჩანაგებას, ისეთ მსხვერპლს, ყოველგვარი გაჭირვების ისეთ გამწვავებას, რომლის მსგავსიც ქვეყნიერებას არ უნახავს. და საოცარი რამ მოხდა. იმ კლასს, რომელმაც ხელთ აიღო პოლიტიკური ბატონობა, შეგნებული ჰქონდა, რომ მარტოდმარტო იღებდა მას. ეს იგულისხმება პროლეტარიატის დიქტატურის ცნებაში. ამ ცნებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ერთმა კლასმა იცის, რომ ის მარტოდმარტო იღებს ხელთ პოლიტიკურ ძალაუფლებას და არ ატყუებს არც თავისთავს, არც

სხვებს «საყოველთაო-სახალხო, ყველას მიერ არჩეულ, მთელი ხალხის მიერ ნაკურთხ» ხელისუფლებაზე ლაპარაკით. ასეთი ყბედობის მოყვარული, როგორც თქვენც მშვენივრად იცით, ძალიან ბევრია და ბევრზე ბევრიც, მაგრამ ისინი, ყოველ შემთხვევაში, პროლეტართა რიგებიდან არ არიან, ვინაიდან პროლეტარებმა შეიგნეს და კონსტიტუციაში, რესპუბლიკის ძირითად კანონებში, ჩასწერეს, რომ საქმე ეხება პროლეტარიატის დიქტატურას. ამ კლასს ესმოდა, რომ იგი იღებდა ძალაუფლებას მარტოდმარტო განსაკუთრებით მძიმე პირობებში. ამ ძალაუფლებას იგი ისეთი გზით ახორციელებდა, როგორითაც ხორციელდება ყოველი დიქტატურა, ე. ი. უაღრესი სიმტკიცით, უაღრესი შეუდრეკლობით ახორციელებდა იგი თავის პოლიტიკურ ბატონობას. და ამ სამ-ნახევარი წლის პოლიტიკური ბატონობის განმავლობაში მან განიცადა ისეთი უბედურება, გაჭირვება, შიმშილი, თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება, როგორიც ისტორიაში არც ერთ კლასს არ განუცდია. და გასაგებია, რომ ასეთი ზეადამიანური დაძაბულობის შედეგად ეს კლასი ესოდენ დაღლილი და ქანცგაწყვეტილია, ესოდენ მოშლილია.

როგორ მოხდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი ასე მცირერიცხოვანია მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით, ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც სამხედრო ძალით ხელოვნურად იყო მოწყვეტილი იმ ქვეყნებს, სადაც უფრო მრავალრიცხოვანი, შეგნებული, დისციპლინიანი და ორგანიზებული პროლეტარიატია, როგორ მოხდა, რომ ასეთ ქვეყანაში, მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობის, შემოტევის დროს, ერთმა კლასმა შეძლო თავისი ძალაუფლების განხორციელება? როგორ ხერხდებოდა ამის განხორციელება სამ-ნახევარი წლის განმავლობაში? საიდან იყო დახმარება? ჩვენ ვიცით, რომ დახმარება იყო ჩვენი ქვეყნის შიგნითვე, გლეხთა მასაში. მე ახლა გადავალ ამ მეორე ძალაზე, მაგრამ ჯერ უნდა დავამთავრო პირველი ძალის განხილვა. მე ვთქვი, და ყოველ თქვენგანს უნახავს, თუ როგორ ცხოვრობენ უახლოესი ამხანაგები ფაბრიკებში, ქარხნებში,

დეპოებში, სახელოსნოებში, და ყოველმა თქვენგანმა იცის, რომ ამ კლასის გაჭირვება არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი და მწვავე, როგორც მისი დიქტატურის ეპოქაში. არასოდეს ჩვენი ქვეყანა არ მისულა ისეთ დაღლილობამდე, ისეთ გაცვეთილობამდე, როგორიც ახლაა. რა აძლევდა ამ კლასს მორალურ ძალას, რომ ესოდენი გაჭირვება გადაეტანა? აშკარაა, ცხადზე უცხადესია, რომ მას საიდანმე უნდა მიეღო მორალური ძალა, რათა ეს მატერიალური გაჭირვება დაეძლია. მორალური ძალის, მორალური დახმარების საკითხი, როგორც იცით, გაურკვეველი საკითხია, ყველაფერი შეიძლება ვიგულისხმოთ მორალურ ძალად, ყველაფერი შეიძლება მოვაქციოთ მასში. რათა თავიდან ავიცდინოთ ეს საშიშროება,— რომ მორალური ძალის ცნებაში რაიმე გაურკვეველი ან ფანტასტიკური არ მოვაქციოთ, — მე ვეკითხები ჩემს თავს: შეიძლება თუ არა მოვნახოთ ნიშნები იმის ზუსტად განსაზღვრისა, რაც პროლეტარიატს მორალურ ძალას აძლევდა გადაეტანა ის წარმოუდგენელი მატერიალური გაჭირვება, რომელიც დაკავშირებული იყო მის პოლიტიკურ ბატონობასთან? ვფიქრობ, თუ საკითხს ასე დავაყენებთ, შევძლებთ მასზე ზუსტი პასუხის მონახვას. შეეკითხეთ თქვენს თავს, შეეძლო თუ არა საბჭოთა რესპუბლიკას გადაეტანა ის, რაც მან გადაიტანა სამ-ნახევარი წლის განმავლობაში, და ასე წარმატებით დაეცვა თავი თეთრგვარდიელთა შემოტევისაგან, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის კაპიტალისტები, ამ რესპუბლიკის გვერდით რომ მდგარიყვნენ ჩამორჩენილი და არა მოწინავე ქვეყნები? საკმარისია დაისვას ეს კითხვა, რომ მასზე სრულიად უყოყმანო პასუხი მივიღოთ.

თქვენ იცით, რომ ჩვენს წინააღმდეგ სამ-ნახევარი წლის განმავლობაში ომობდა მსოფლიოს ყველა უმდიდრესი სახელმწიფო. ის სამხედრო ძალა, რომელიც იდგა ჩვენს წინააღმდეგ და ეხმარებოდა კოლჩაკს, იუდენიჩს, დენიკინსა, და ვრანგელს, — თქვენ მშვენივრად იცით, ყველა თქვენგანი მონაწილეობას იღებდა ამ ომში, — ბევრად, უზომოდ და

უეჭველად აღემატებოდა ჩვენს სამხედრო ძალებს. თქვენ მშვენივრად იცით, რომ ამ სახელმწიფოთა ძლიერება დღესაც უზომოდ დიდია ჩვენს ძალებთან შედარებით. როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ისინი ამოცანად ისახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას და ვერ დაამარცხეს? როგორ უნდა მომხდარიყო ეს? ამაზე ჩვენ ზუსტი პასუხი გვაქვს. ეს შესაძლებელი იყო და ეს მოხდა იმიტომ, რომ პროლეტარიატი ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ჩვენს მხარეზე იყო. იმ შემთხვევებშიც კი, როცა იგი აშკარად მენშევიკებისა და ესერების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, — ევროპის ქვეყნებში ისინი სხვანაირად იწოდებიან, — იმ შემთხვევებშიც კი იგი მხარს არ უჭერდა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას. ბოლოს და ბოლოს, წინამძღოლნიც კი იძულებული გახდნენ მუშათა მასებისთვის დაეთმოთ, და მუშებმა ეს ომი ჩაშალეს. ჩვენ კი არ გაგვიმარჯვნია, ვინაიდან ჩვენი სამხედრო ძალები სრულიად უმნიშვნელოა, არამედ გაიმარჯვა იმან, რომ სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს ჩვენს წინააღმდეგ მთელი თავიანთი სამხედრო ძალის გამოყვანა. მოწინავე ქვეყნების მუშები იმდენად განსაზღვრავენ ომის მსვლელობას, რომ მათი სურვილის წინააღმდეგ შეუძლებელია ომის წარმოება, და საბოლოო ანგარიშით მათ თავიანთი პასიური და ნახევრადპასიური წინააღმდეგობით ჩაშალეს ომი ჩვენს წინააღმდეგ. ეს უდავო ფაქტი ზუსტად იძლევა იმ კითხვის პასუხს, თუ საიდან იღებდა რუსეთის პროლეტარიატი მორალურ ძალას, რომ სამ-ნახევარი წლის განმავლობაში გაეძლო და გაემარჯვნა. რუსი მუშის მორალური ძალა იყო ის, რომ მან იცოდა, იგი გრძნობდა, განიცდიდა იმ დახმარებას, მხარდაჭერას, რომელიც მას ამ ბრძოლაში აღმოუჩინა ევროპის ყველა მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატმა. თუ რა მიმართულებით მიმდინარეობს იქ მუშათა მოძრაობის განვითარება, გვიჩვენებს ის, რომ ამ ბოლო დროს ევროპის მუშათა მოძრაობაში არ ყოფილა იმაზე უფრო დიდი მოვლენა, როგორიც იყო სოციალისტური პარტიების გათიშვა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში,

როგორც დამარცხებულ, ისე გამარჯვებულ ქვეყნებში, სხვადასხვა კულტურის, ეკონომიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ქვეყნებში. ყველა ქვეყანაში ამა წლის მთავარი მოვლენა ის იყო, რომ სოციალისტების და სოციალ-დემოკრატების, — ჩვენებურად მენშევიკებისა და ესერების, — დარღვეული, სრულიად დანგრეული პარტიებიდან შეიქმნა კომუნისტების პარტია, რომელიც ეყრდნობა ყოველივე იმის მხარდაჭერას, რაც კი მოწინავეა მუშათა კლასში. და, რა თქმა უნდა, სრულიად უეჭველია, ჩვენს წინააღმდეგ რომ მოწინავე ქვეყნების მაგიერ ბრძოლა ეწარმოებინათ ჩამორჩენილ ქვეყნებს, სადაც არ არიან ასეთი მძლავრი პროლეტარული მასები, ჩვენ ვერ გავძლებდით არათუ სამ-ნახევარ წელს, არამედ სამ-ნახევარ თვესაც კი. ექნებოდა თუ არა ჩვენს პროლეტარიატს მორალური ძალა, ის რომ მოწინავე ქვეყნების მუშების თანაგრძნობას არ დაყრდნობოდა, მუშებისა, რომლებიც მხარს გვიჭერდნენ, მიუხედავად იმ სიცრუისა, რომელსაც მილიონობით ეგზემპლარებში ავრცელებდნენ იმპერიალისტები საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, მიუხედავად «მუშათა ბელადების», მენშევიკების და ესერების, მონდომებისა, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ და შლიდნენ მუშების მიერ ჩვენს დასაცავად წარმოებულ ბრძოლას. ამ მხარდაჭერაზე დაყრდნობით ჩვენმა, თავისი მცირერიცხოვნობით სუსტმა, უბედურებით, გაჭირვებით განაწამებმა პროლეტარიატმა გაიმარჯვა, რადგან იგი ძლიერია თავისი მორალური ძალით.

აი პირველი ძალა.

მეორე ძალა — ეს ის ძალაა, რომელიც დგას განვითარებულ კაპიტალსა და პროლეტარიატს შუა. ეს არის წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონეები, ეს არის ის, რაც რუსეთში შეადგენს მოსახლეობის დიდ უმეტესობას — გლეხობა. ესენი, უმთავრესად, წვრილი მეპატრონენი და წვრილი მიწათმოქმედებაა. ასეთია მათი ცხრა მეათედი და სხვანაირი არც შეიძლება იყოს. კაპიტალისა და შრომის მწვავე ბრძოლაში ისინი ყოველდღიურად არ მონაწილეობენ, სკოლა მათ

არ გაუვლიათ, ცხოვრების ეკონომიური და პოლიტიკური პირობები მათ ერთმანეთთან კი არ აახლოებენ, არამედ აცალკევებენ, აშორებენ ერთიმეორეს, მილიონობით აქცევენ განმარტოებულ წვრილ მეპატრონეებად. ასეთია ფაქტები, რომლებიც თქვენ ყველამ მშვენივრად იცით. ვერავითარი კოლექტივები, კოლმეურნეობები, კომუნები მრავალ და მრავალ წელზე ადრე ვერ გარდაქმნიან ამას. თავის მტრებს მარჯვნიდან, მემამულეთა კლასს, ამ ძალამ, პროლეტარული დიქტატურის რევოლუციური ენერგიისა და თავდადების მეოხებით, ისე მალე მოუღო ბოლო, როგორც არასოდეს არ მომხდარა, ძირიან-ფესვიანად აღგავა იგი, წარმოუდგენელი სისწრაფით მოსპო მისი ბატონობა. მაგრამ რაც უფრო ჩქარა მოსპო მან მემამულეთა კლასის ბატონობა, რაც უფრო ჩქარა ჰკიდებდა ხელს იგი თავის საკუთარ მეურნეობას საერთო-სახალხო მიწაზე, რაც უფრო გადაჭრით უსწორდებოდა კულაკების მცირერიცხოვან უმცირესობას, მით უფრო ჩქარა ხდებოდა იგი წვრილ მეპატრონედ. თქვენ იცით, რომ რუსეთის სოფელი ამ ხნის განმავლობაში გათანასწორდა. შემცირდა მსხვილ მხვნელ-მთესველთა და სრულიად უყანოთა რიცხვი, გამრავლდა საშუალო გლეხთა მეურნეობის რიცხვი. ჩვენი სოფელი ამ ხნის განმავლობაში უფრო წვრილბურჟუაზიული გახდა. ეს არის დამოუკიდებელი კლასი, ის კლასი, რომელიც, მემამულეებისა და კაპიტალისტების მოსპობის, განდევნის შემდეგ, რჩება ერთადერთ კლასად, რომელსაც შეუძლია დაუპირისპირდეს პროლეტარიატს. და ამიტომ უაზრობაა პლაკატებზე იმის წერა, რომ მუშათა და გლეხთა მეუფებას დასასრული აღარ ექნებაო.

თქვენ იცით, თუ როგორია ეს ძალა თავისი პოლიტიკური განწყობილების თვალსაზრისით. ეს მერყევი ძალაა. ეს დავინახეთ ჩვენი რევოლუციის დროს ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში — რუსეთში თავისებურად, ციმბირში თავისებურად, უკრაინაში კიდევ თავისებურად, მაგრამ შედეგი ყველგან ერთი და იგივე იყო: ეს მერყევი ძალაა. მას დიდხანს ხელით მიათრევდნენ ესერები და მენშევიკები, კერენსკის

დახმარებითაც, კოლჩაკის დროსაც, მაშინაც, როცა სამარაში დამფუძნებელი კრება არსებობდა, მაშინაც, როცა კოლჩაკს ან მის წინამოადგილეებს მინისტრად ჰყავდათ მენშევიკი მაისკი და ა. შ.. ეს ძალა მერყეობდა პროლეტარიატის ხელმძღვანელობასა და ბურჟუაზიის ხელმძღვანელობას შორის. რატომ თავის თავს თვითონ არ უწევდა ხელმძღვანელობას ეს ძალა, რომელიც დიდ უმრავლესობას შეადგენს? იმიტომ რომ ამ მასის ცხოვრების ეკონომიური პირობები ისეთია, რომ მას თვითონ არ შეუძლია გაერთიანდეს, თვითონ არ შეუძლია შეკავშირდეს. ეს ცხადია ყველა იმათთვის, ვინც თავს არ იტყუებს ფუჭი სიტყვებით «საერთო-სახალხო კენჭისყრაზე», დამფუძნებელ კრებასა და სხვა ამგვარ «დემოკრატიაზე», რაც ასეული წლების განმავლობაში ასულელებდა ხალხს ყველა ქვეყანაში და რასაც ჩვენში ასეულ კვირაობით ეწეოდნენ ესერები და მენშევიკები, რომლებსაც «ყოველთვის სწორედ ამ ადგილას» მოსდიოდათ მარცხი (ტ ა შ ი). ჩვენი საკუთარი გამოცდილებით ვიცით — და ამას ადასტურებს ყველა რევოლუციის განვითარება, თუ ავიღებთ ახალ ეპოქას, ვთქვათ, ას ორმოცდაათ წელს, მთელ მსოფლიოში, — რომ ყველგან და ყოველთვის სწორედ ასეთი შედეგი იყო: ყოველი ცდა წვრილი ბურჟუაზიისა საერთოდ, გლეხებისა კერძოდ, შეეგნოთ თავიანთი ძალა, თავისებურად წარემართათ ეკონომიკა და პოლიტიკა, კრახით თავდებოდა. ან პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ან კაპიტალისტების ხელმძღვანელობით — საშუალო რამ არ არსებობს. ყველა, ვინც ამაზე ოცნებობს, ფუჭი მეოცნებეა, ფანტაზიორია. მათ აცამტვერებს პოლიტიკა, ეკონომიკა და ისტორია. მარქსის მთელი მოძღვრება გვიჩვენებს, რომ რაკი წვრილ მეპატრონეს წარმოების საშუალებათა და მიწის მესაკუთრედ წარმოვიდგენთ, მათ შორის გაცვლა-გამოცვლიდან აუცილებლად წარმოიშობა კაპიტალი და მასთან ერთად წინააღმდეგობანიც კაპიტალსა და შრომას შორის. კაპიტალის ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ — ეს აუცილებლობაა, ეს კანონია, რომელმაც მთელ მსოფლიოში იჩინა

თავი, და ვისაც არა სურს თავი მოიტყუოს, არ შეუძლია ეს არ დაინახოს.

სწორედ ამ ძირითადი ეკონომიური ფაქტებიდან გამომდინარეობს ის, თუ რატომ არ შეუძლია ამ ძალას თვითონ იჩინოს თავი და რატომ თავდებოდა მუდამ კრახით ამის ცდა ყველა რევოლუციის ისტორიაში. რამდენადაც პროლეტარიატი ვერ ახერხებს ხელმძღვანელობა გაუწიოს რევოლუციას, ეს ძალა ყოველთვის ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ დგება. ასე იყო ყველა რევოლუციაში და, რა თქმა უნდა, არც რუსეთის ხალხია სხვა მირონით ცხებული, და, თუ იგი წმიდანობას მოისურვებს, აქედან მხოლოდ სასაცილო რამ შეიძლება გამოვიდეს. თავისთავად ცხადია, რომ ისტორია ჩვენც ისე გვეპყრობა, როგორც სხვებს. ყველა ჩვენგანისთვის ეს იმიტომაა განსაკუთრებით ცხადი, რომ ჩვენ ყველამ განვიცადეთ კერენშჩინა. მაშინ პოლიტიკური ხაზის ხელმძღვანელი, ჭკვიანი, განათლებული, პოლიტიკაში და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები მთავრობას მხარდასაჭერად ასჯერ მეტი ჰყავდა, ვიდრე ბოლშევიკებს ჰყავთ. რომ ჩამოვთვალოთ ყველა ის თანამდებობის პირნი, რომლებიც ჩვენ საბოტაჟს გვიწევდნენ და რომლებიც არ ისახავდნენ ამოცანად საბოტაჟი გაეწიათ კერენსკის მთავრობისათვის, რომელიც მენშევიკებს და ესერებს ეყრდნობოდა, ასეთი პირები დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ. და მაინც ამ მთავრობამ კრახი განიცადა. მაშასადამე, იყო მიზეზები, რამაც დაძლია დიდი სიჭარბე იმ ინტელიგენტური, განათლებული ძალებისა, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას, რომლებსაც შესწავლილი ჰქონდათ ეს ხელოვნება ათეული წლებით ადრე, ვიდრე ისინი ხელში აიღებდნენ სახელმწიფო ძალაუფლებას. ეს ცდა სხვა ვარიანტებით მოახდინეს უკრაინამ, დონმა, ყუბანმა, და ყველა ერთ შედეგამდე მივიდა. აქ შემთხვევითობა შეუძლებელია იყოს. ასეთია მეორე ძალის ეკონომიური და პოლიტიკური კანონი: ან პროლეტარიატის ხელმძღვანელობით — გზა მეტად მძიმეა, მაგრამ ისეთი გზაა,

რომელსაც შეუძლია გაათავისუფლოს იგი მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობისაგან, — ან კაპიტალისტების ხელმძღვანელობით, როგორც მოწინავე დემოკრატიულ რესპუბლიკებშია, ამერიკაშიც კი, სადაც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მიწების მუქთად დარიგება (ყველა ახლადჩასულს ეძლეოდა 60 დესეტინა მუქთად; უკეთესი პირობა ძნელი წარმოსადგენია!) და სადაც ამას კაპიტალის სრული ბატონობა მოჰყვა.

აი მეორე ძალა.

ჩვენში ეს მეორე ძალა მერყეობს, ის განსაკუთრებით დაიღალა. მას აწვება რევოლუციის სიმძიმე, ხოლო უკანასკნელ წლებში თავს ატყდება უფრო და უფრო მეტი უბედურება: მოუსავლობის წელი, სასურსათო გაწერის შესრულება, რასაც თან ახლავს პირუტყვის დაცემა, უსაკვებობა და სხვ.. ასეთ მდგომარეობაში გასაგებია, რომ ეს მეორე ძალა, გლეხობის მასა, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრი მას არ შეეძლო, მიუხედავად იმისა, რომ მემამულეთა მოსპობიდან უკვე სამ-ნახევარი წელი გავიდა, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესება აუცილებელი ხდება. დაშლილი არმია ვერ პოულობს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი შრომა სწორად გამოიყენოს. და აი ეს წვრილბურჟუაზიული ძალა იქცევა ანარქიულ ელემენტად, რომელიც თავის მოთხოვნებს მღელვარებით გამოხატავს.

მესამე ძალას ყველა იცნობს, ეს — მემამულეები და კაპიტალისტები არიან. ახლა ჩვენში ეს ძალა აღარა ჩანს. მაგრამ აი ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენა, ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გაკვეთილი უკანასკნელი კვირეებისა — კრონშტადტის ამბები, რაც თითქოს ელვასავით მოგვეელინა და რამაც ისე მკაფიოდ გაანათა სინამდვილე, როგორც სხვას არაფერს გაუნათებია.

ახლა არ არის ევროპაში ისეთი ქვეყანა, სადაც თეთრგვარდიელთა ელემენტი არ იყოს. რუსი ემიგრანტი შვიდას ათასამდე ითვლება. ესენი არიან გაქცეული კაპიტალისტები და მოსამსახურეთა ის მასა, რომელიც ვერ შეეგუა საბჭოთა ხელის-

უფლებას. ჩვენ ვერ ვხედავთ ამ მესამე ძალას, ის საზღვარგარეთ გაიხიზნა, მაგრამ ის ცოცხლობს და მოქმედებს მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებთან შეკავშირებულად, რომლებიც ეხმარებიან მას ისევე, როგორც ეხმარებოდნენ კოლჩაკს, იუდენიჩს, ვრანგელს, ეხმარებიან ფულით, ეხმარებიან სხვა საშუალებებით, იმიტომ რომ მათ თავიანთი საერთაშორისო კავშირურთიერთობა აქვთ. ეს ხალხი ყველას ახსოვს. ამ უკანასკნელ დღეებში თქვენ, ალბათ, მიაქციეთ ყურადღება გაზეთებში მოყვანილ მრავალ ციტატს, ამონაწერებს თეთრგვარდიელთა პრესიდან, სადაც განმარტებულია კრონშტადტის ამბები. ამ ბოლო დროს კრონშტადტის ამბები აღწერა ბურცევმა, რომელიც გაზეთს სცემს პარიზში, ეს ამბები შეაფასა მილიუკოვმა, — თქვენ, ალბათ, ყოველივე ამას წაიკითხავდით. რად მიაქციეს ამას ასეთი დიდი ყურადღება ჩვენმა გაზეთებმა? სწორია თუ არა ეს? სწორია. იმიტომ, რომ ცხადად უნდა იცნობდე შენს მტერს. ის ისე კარგად აღარ ჩანს მას შემდეგ, რაც საზღვარს გასცილდა, მაგრამ შეხედეთ, — ის არც ისე შორს წასულა, სულ დიდი-დიდი — რამდენიმე ათას ვერსზე, ხოლო, გაიარა რა ეს მანძილი, მიიმალა. ის ცოცხალია, ჯანსაღად არის, ელოდება. აი რატომ არის საჭირო მისი თვალყურის დევნება, მით უმეტეს, რომ ეს მხოლოდ ლტოლვილები როდი არიან. არა, ისინი პირდაპირი თანაშემწენი არიან მსოფლიო კაპიტალისა, მის ხარჯზე ცხოვრობენ და მასთან ერთად მოქმედებენ.

თქვენ ყველამ, ალბათ, ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ უმშვენებდნენ მხარს თეთრგვარდიელების საზღვარგარეთული გაზეთებიდან მოყვანილი ციტატები საფრანგეთისა და ინგლისის გაზეთებიდან მოყვანილ ციტატებს. ეს ერთი გუნდია, ერთი ორკესტრია. მართალია, ასეთ ორკესტრებს არა ჰყავთ ხოლმე ერთი დირიჟორი, რომელიც ნოტებით ასრულებდეს პიესას. იქ დირიჟორობს საერთაშორისო კაპიტალი ისეთი წესით, რომელიც უფრო ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე დირიჟორის ჯოხი, მაგრამ ეს რომ ერთი ორკესტრია — ეს თქვენთვის ყოველი ციტატიდან ცხადი უნდა იყოს. ისინი აღიარებდნენ, რომ

თუ ლოზუნგად ხდება: «საბჭოთა ხელისუფლება უბოლშევიკებოდ» — ჩვენ თანახმანი ვართო. და მილიუკოვი ამას განსაკუთრებით ნათლად განმარტავს. ის ყურადღებით სწავლობდა ისტორიას და მთელი თავისი ცოდნა მან გადაახალისა რუსეთის ისტორიის თავის საკუთარ ტყავზე შესწავლით. 20 წლის პროფესორული კვლევის შედეგი მან განამტკიცა 20 თვის საკუთარი თავის შესწავლით. ის აცხადებს, რომ თუ ლოზუნგად ხდება საბჭოთა ხელისუფლება უბოლშევიკებოდ, მე მას ვემხრობიო. იქნება ეს გადაწევა ცოტა მარჯვნივ, თუ ცოტა მარცხნივ ანარქისტებისაკენ, საზღვარგარეთ, პარიზში, ეს არა ჩანს. იქ არა ჩანს, რა ხდება კრონშტადტში, მაგრამ ის ამბობს: «ბატონო მონარქისტებო, ნუ აჩქარდებით, ხელს ნუ უშლით იმით, რომ ამაზე ყვირითო». და ის აცხადებს, თუ გადაწევაა მარცხნივ, მე მზად ვარ მივემხრო საბჭოთა ხელისუფლებას ბოლშევიკების წინააღმდეგო.

აი რას წერს მილიუკოვი და რა არის აბსოლუტურად სწორი. მან ცოტა რამ ისწავლა რუსეთის ისტორიიდან და მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან, როცა ამტკიცებს, რომ სულ ერთია, კრონშტადტის ამბები მისწრაფებაა შეიქმნას საბჭოთა ხელისუფლება უბოლშევიკებოდო; ცოტაოდნად მარჯვნივ, ცოტაოდნად თავისუფალი ვაჭრობა; ცოტაოდნად დამფუძნებელი კრება. მოუსმინეთ რომელიც გნებავთ მენშევიკს, და თქვენ ყოველივე ამას გაიგონებთ, იქნებ, ამ დარბაზიდან გაუსვლელადაც კი. თუ კრონშტადტის ამბების ლოზუნგი ცოტა მარცხნივ გადახრაა — საბჭოთა ხელისუფლება ანარქისტებთან ერთად, რომლებიც წარმოშობილნი არიან გაჭირვების, ომიანობის, არმიის დემობილიზაციის ნიადაგზე, — მაშინ რად ემხრობა მას მილიუკოვი? იმიტომ, რომ მან იცის: გადახრა შეიძლება იყოს ან პროლეტარული დიქტატურისაკენ, ან კაპიტალისტებისაკენ.

სხვანაირად პოლიტიკური ხელისუფლება ვერ იარსებებდა. თუმცა ჩვენ ვაწარმოებთ არა უკანასკნელს, არამედ ერთ-ერთ უკანასკნელსა და გადამწყვეტ ბრძოლას, ერთადერთი სწორი პასუხი კითხვაზე: ვის გამოვუცხადებთ დღეს ერთ-ერთ გადა-

მწყვეტ ბრძოლას, არის: წვრილბურჟუაზიულ სტიქიას თვითონ ჩვენს სახლში (ტ ა შ ი). რაც შეეხება მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ისინი ჩვენ დავამარცხეთ პირველ კამპანიაში, მაგრამ მხოლოდ პირველ კამპანიაში, მეორე კამპანია კი უკვე საერთაშორისო მასშტაბით იწარმოებს. ჩვენს წინააღმდეგ ომის წარმოება თანამედროვე კაპიტალიზმს არ შეუძლია, თუნდაც იგი ასჯერ უფრო ძლიერიც იყოს, იმიტომ, რომ იქ, მოწინავე ქვეყნებში, მუშებმა ჩაუშალეს მას ომი გუშინ და დღეს კიდევ უფრო კარგად, უფრო უტყუარად ჩაუშლიან, იმიტომ, რომ იქ ომის შედეგები თანდათან უფრო და უფრო იჩენს თავს. წვრილბურჟუაზიული სტიქია კი შინ ჩვენ უკვე დავამარცხეთ, მაგრამ ის კიდევ იჩენს თავს, და სწორედ ამას ითვალისწინებენ კაპიტალისტები და მემამულეები, განსაკუთრებით ისინი, ვინც უფრო ჭკვიანია, როგორც მილიუკოვი, რომელმაც მონარქისტებს უთხრა: ერთ ხანს ისხედით თქვენთვის, ერთხანს იყავით ჩუმად, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას განამტკიცებთო. ეს დაგვანახვა იმ რევოლუციების საერთო მსვლელობამ, როცა ადგილი ჰქონდა მშრომელთა ხანმოკლე დიქტატურას, რომელსაც სოფელი დროებით უჭერდა მხარს, მაგრამ არ ყოფილა მშრომელთა მკვიდრი ხელისუფლება; სულ მოკლე ხანში ყველაფერი უკანვე ქანდებოდა. უკან ქანდებოდა სწორედ იმიტომ, რომ გლეხებს, მშრომელებს, წვრილ მეპატრონეებს, არ შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი პოლიტიკა, და დიდი ყოყმანის შემდეგ მათ უხდებათ უკან დახევა. ასე იყო საფრანგეთის დიდ რევოლუციაშიც, ასე იყო უფრო მცირე მასშტაბით ყველა სხვა რევოლუციაშიც. და გასაგებია, რომ ეს გაკვეთილი ყველამ შეითვისა. ჩვენი თეთრგვარდიელობა საზღვარს გასცილდა, სამოდე დღის სავალზე წავიდა, ზის იქ და გვითვალთვალებს, დასავლეთ ევროპის კაპიტალით ზურგგამაგრებული და მასზე დაყრდნობილი. აი როგორია მდგომარეობა. აქედან ცხადია პროლეტარიატის ამოცანები და მოვალეობა.

დაღლილობისა და დაუძლურების ნიადაგზე ჩნდება გარკვეული სულიერი განწყობილება, ხანდახან სასოწარკვეთილებაც.

როგორც ყოველთვის, რევოლუციურ ელემენტებს შორის ასეთი სულიერი განწყობილება და სასოწარკვეთილება ანარქიზმით გამოიხატება. ასე იყო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, ასევე ხდება ჩვენშიც. წვრილბურჟუაზიული სტიქია კრიზისს განიცდის, რადგანაც უკანასკნელ წლებში მას ძალიან გაუჭირდა, თუმცა იმდენად არა, როგორც გაუჭირდა პროლეტარიატს 1919 წელს, მაგრამ მაინც გაუჭირდა. გლეხობას უნდა ეხსნა სახელმწიფო, ის უნდა დათანხმებულიყო გაწერაზე აუნაზღაურებლად, მაგრამ ის ვეღარ უძლებს ასეთ დაძაბულობას, და ამიტომაც წარმოიშვა მასში სულიერი დაბნეულობა, მერყეობა, ყოყმანი, და ამას ითვალისწინებს მტერი-კაპიტალისტი, რომელიც ამბობს: ოღონდ შეირყეს, შეტორტმანდეს, მერე კი დაგორდებაო. აი რას ნიშნავს კრონშტადტის ამბები, კლასობრივ ძალთა გათვალისწინების თვალსაზრისით გაშუქებული სრულიად რუსეთისა და საერთაშორისო მასშტაბით. აი რას ნიშნავს ერთ-ერთი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, იმიტომ რომ ეს წვრილბურჟუაზიულ-ანარქიული სტიქია ჩვენ არ დაგვიმარცხებია და მის დამარცხებაზეა დამოკიდებული ახლა რევოლუციის უახლოესი ბედი. თუ ჩვენ ის ვერ დავამარცხეთ, დავქანდებით უკან ისე, როგორც საფრანგეთის რევოლუცია დაქანდა. ეს გარდუვალია, ამას პირდაპირ უნდა შევხედოთ, აქ არც თვალის დახუჭვა შეიძლება და არც ფრაზებით თავის მოტყუება. უნდა გავაკეთოთ ყოველივე, რაც კი შესაძლებელია, ამ მასის მდგომარეობის შესამსუბუქებლად და შევინარჩუნოთ პროლეტარული ხელმძღვანელობა, და ეს ახალი დახმარება იქნება კომუნისტური რევოლუციის მოძრაობისთვის, რომელიც ევროპაში იზრდება. ის, რაც არ მომხდარა იქ დღეს, შეიძლება მოხდეს ხვალ, ის, რაც არ მოხდება ხვალ, შეიძლება მოხდეს ზეგ, მაგრამ ისეთი პერიოდები, როგორიც არის ხვალ და ზეგ, მსოფლიო ისტორიისათვის სულ ცოტა რამდენიმე წელს ნიშნავს.

აი ჩემი პასუხი იმ კითხვაზე, თუ რისთვის ვიბრძვით ახლა ჩვენ და რისთვის ვაწარმოებთ ერთ-ერთს ჩვენს უკანასკნელს

და გადამწყვეტ ბრძოლას, თუ როგორია აზრი უკანასკნელი ომბებისა, თუ რა აზრი აქვს კლასების ბრძოლას რუსეთში. ახლა გასაგებია, თუ რატომ ასე გამწვავდა ეს ბრძოლა, თუ რატომ შეიქნა ჩვენთვის ძნელი იმის გაგება, რომ ჩვენი მთავარი მტერია არა იუდენიჩი, კოლჩაკი ან დენიკინი, არამედ ჩვენივე ვითარება, ჩვენივე საკუთარი გარემო.

აქ მე შემიძლია გადავიდე ჩემი მეტად გაჭიანურებული სიტყვის დასკვნითს ნაწილზე, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მდგომარეობაზე და რკინიგზელთა და წყალტრანსპორტელთა ყრილობის ამოცანებზე. მე ვფიქრობ, რომ ის, რაც მე აქ დავასურათე, მეტად მჭიდროდ, განუწყვეტლად არის დაკავშირებული ამ ამოცანებთან. არა მგონია არსებობდეს პროლეტარიატის სხვა ისეთი ნაწილი, რომელიც თავისი ყოველდღიური ეკონომიური საქმიანობით ისე მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მრეწველობასა და მიწათმოქმედებასთან, როგორც რკინიგზელები და წყალტრანსპორტელები არიან. თქვენ უნდა მისცეთ ქალაქებს პროდუქტები, ტრანსპორტის საშუალებით უნდა გამოაცოცხლოთ სოფელი მრეწველობის პროდუქტთა მიწოდებით. ეს ყველასთვის ცხადია, ეს კიდევ უფრო ცხადია რკინიგზელებისა და წყალტრანსპორტელებისათვის, ვიდრე სხვებისთვის, რადგან ეს მათი ყოველდღიური მუშაობის საგანს შეადგენს. და აქედან, მე მგონია, თავისთავად გამომდინარეობს, თუ რა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანები, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამჟამად რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მშრომელთ.

ყველა თქვენგანმა იცის, რომ თქვენი ყრილობა შეიკრიბა ისეთ პირობებში, როცა კავშირის ზედა და ქვედა ფენებს შორის წარმოებდა შეხლა-შემოხლა. როცა ეს საკითხი გადატანილ იქნა უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე, გამოტანილ იქნა ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელთაც უნდა შეეთანხმებინათ ზედა და ქვედა ფენები იმ გზით, რომ ზედა ფენები ქვედა ფენებს დამორჩილებოდნენ, გამოსწორებულიყო, ჩემი აზრით, კერძო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისეთი შეცდომები, რომლებიც ჩაიდინეს ზედა ფენებმა და აუცილებლად

მოითხოვდა გამოსწორებას. თქვენ იცით, რომ ასეთი გამოსწორება პარტიულ ყრილობაზე უკვე მოხდა, რომ ამ ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა უფრო მეტი შეკავშირებით და მეტი ერთიანობით კომუნისტური პარტიის რიგებში, ვიდრე დღემდე იყო. ეს არის კანონიერი, აუცილებელი და ერთადერთი სწორი პასუხი ავანგარდისა, ე. ი. პროლეტარიატის ხელმძღვანელი ნაწილისა, წვრილბურჟუაზიულ-ანარქიული სტიქიის მოძრაობაზე. თუ ჩვენ, გათვითცნობიერებული მუშები, შევიგნებთ ამ მოძრაობის საშიშროებას, შევმჭიდროვდებით, ვიმუშავებთ ათჯერ უფრო ერთსულოვნად, ასჯერ უფრო შეკავშირებულად, ეს გააათკეცებს ჩვენს ძალებს, და მაშინ ჩვენ, სამხედრო შემოტევაზე გამარჯვების შემდეგ, გავიმარჯვებთ იმ სტიქიის მერყეობასა და ქანაობაზეც, რომელიც აფორიაქებს მთელ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და რომელიც ამიტომ, ვიმეორებ, საშიშიცაა. გადაწყვეტილება პარტიული ყრილობისა, რომელმაც გამოასწორა ის, რაზეც იყო მიქცეული მისი ყურადღება, ნიშნავს დიდ ნაბიჯს პროლეტარული არმიის შემჭიდროებისა და შეკავშირების საქმეში. ახლა თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ თქვენს ყრილობაზე და განახორციელოთ პარტიული ყრილობის გადაწყვეტილება.

ვიმეორებ, პროლეტარიატის ამ ნაწილის მუშაობაზე უფროა უშუალოდ დამოკიდებული რევოლუციის ბედი, ვიდრე მის სხვა ნაწილებზე. ჩვენ უნდა აღვადგინოთ მიწათმოქმედებისა და მრეწველობის ბრუნვა, ხოლო მისი აღდგენისათვის საჭიროა მატერიალური დასაყრდენი. რა არის მატერიალური დასაყრდენი მრეწველობისა და მიწათმოქმედების ერთმანეთთან დასაკავშირებლად? ეს არის რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტი. აი რატომ გეკისრებათ თქვენ მოვალეობა — განსაკუთრებით სერიოზულად მოეპყრათ თქვენს მუშაობას, და ეს მოვალეობა ეკისრება თქვენს შორის არა მარტო იმათ, ვინც კომუნისტური პარტიის წევრია და, მაშასადამე, პროლეტარული დიქტატურის შეგნებული გამტარებელია, არამედ იმათაც, ვინც არ ეკუთვნის პარტიას, მაგრამ არის მუშაკი პრო-

ფესიული კავშირისა, რომელიც აერთიანებს ტრანსპორტის მილიონ-ნახევარ მუშაკს. ყველა თქვენგანი, სწავლობთ რა ჩვენი რევოლუციისა და ყველა წინანდელი რევოლუციის გაკვეთილებზე, უნდა მიხვდეს არსებული მდგომარეობის ძთელ სიმძიმეს და სრულიადაც არ უნდა მოიტყუოთ თავი სხვადასხვა ლოზუნგებით, ეხებიან ისინი «თავისუფლებას», დამფუძნებელ კრებას, თუ «თავისუფალ საბჭოებს», — ისე ადვილია ეტიკეტების გადაკეთება, რომ მილიუკოვმაც კი კრონშტადტის რესპუბლიკის საბჭოების მომხრედ გაასაღა თავი, — არ უნდა დახუჭოთ თვალი კლასობრივ ძალთა თანაფარდობაზე და მაშინ თქვენ მოიპოვებთ ფხიზელ და მკვიდრ ბაზას, საძირკველს ყველა თქვენი პოლიტიკური დასკვნისათვის. თქვენთვის ცხადი გახდება, რომ ჩვენ განვიცდით კრიზისის პერიოდს, როდესაც ჩვენზეა დამოკიდებული — წარიმართება თუ არა პროლეტარული რევოლუცია გამარჯვებისაკენ ისევე შეუდრეკლად, როგორც მიდიოდა იგი უკანასკნელ დროს, თუ რყევითა და ყოყმანით გამოიწვევს თეთრგვარდიელების გამარჯვებას, რომელიც ვერ შეამსუბუქებს მდგომარეობის სიმძიმეს, რუსეთს კი მრავალი ათეული წლით დააშორებს რევოლუციას. თქვენთვის, რკინიგზელთა და წყალტრანსპორტელთა წარმომადგენლებისათვის, შეიძლება და უნდა იყოს მხოლოდ ერთი დასკვნა: ასწილად მეტი პროლეტარული დარაზმულობა და პროლეტარული დისციპლინა. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ამხანაგებო, ჩვენ ეს უნდა განვახორციელოთ და გამარჯვება მოვიპოვოთ (მ. ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

«პრავდა» №№ 67 და 68;
1921 წ. 29 და 30 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

1-ლი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის ქარხკომს და ყველა მუშას[65]

დიდად პატივცემულო ამხანაგებო! მე მივიღე თქვენი ქარხკომის თავმჯდომარისაგან ამხ. სმირნოვისაგან ცნობა ძრავების გამოშვების შესახებ და მოწვევა 7 აპრილის დღესასწაულზე.

მოგილოცავთ, ამხანაგებო, მუშაობის წარმატებას და ავტომობილის მექანიკოსთა კურსების წლისთავს. მთელი სულითა და გულით გისურვებთ მხნე მუშაობას, რომელიც, უეჭველია, შემდგომ წარმატებებს მოგვიტანს. განსაკუთრებით დიდია თქვენი წარმატებების მნიშვნელობა მუშათა და გლეხთა მთელი მასის თვალსაზრისით, რადგან ძრავების წარმოების განვითარება, რუსეთში ნავთის სიუხვის დროს, შესაძლებელს ხდის მოვაწყოთ იაფი და პრაქტიკული ძრავებით გლეხური მეურნეობის მომარაგების საქმე. რადაც უნდა დაჯდეს უნდა მივაღწიოთ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს ძრავების წარმოების საქმეში.

საუკეთესო სურვილები და კომუნისტური სალამი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 7 აპრილს
პირველად დაიბეჭდა 1940 წ.
21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 21

ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ რკპ(ბ) ქ. მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის უჯრედების მდივნებისა და პასუხისმგებელ წარმომადგენელთა კრებაზე 1921 წლის 9 აპრილი[66]

ამხანაგებო, სასურსათო გადასახადზე და სასურსათო პოლიტიკის შეცვლის საკითხზე, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკაზე გვესმის სრულიად სხვადასხვა აზრი, რაც ბევრ გაუგებრობას ბადებს. ნება მიბოძეთ, ამხ. კამენევთან შეთანხმებით, ისე გავანაწილოთ ჩვენი თემები, რომ ამხ. კამენევს წილად ხვდეს დაწვრილებით გაგაცნოთ ახლახან გამოცემული კანონები. ეს მით უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ ამხ. კამენევი თავმჯდომარე იყო იმ კომისიისა, რომელიც დანიშნა ჯერ ჩვენი პარტიის ც. კ-მა, შემდეგ კი დაადასტურა სახკომსაბჭომ, და რომელმაც მთელ რიგ თათბირებზე დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა ყველა ის კანონი, რაც ამ ბოლო დროს გამოიცა. ამ კანონებიდან სულ უკანასკნელი გამოიცა გუშინ, და დღეს ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გაზეთებში წაგვეკითხა იგი. ეჭვს გარეშეა, რომ თვითეული ამ კანონთაგანი აყენებს მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს, და მცირე მუშაობა როდი იქნება საჭირო იმისათვის, რომ პარტიის და საბჭოთა დაწესებულებების ყველა ადგილობრივ მუშაკს შეეძლოს ამ კანონების საკმაოდ გაცნობა და სინამდვილეში მათი ადგილობრივად გამოყენებისთვის სწორი პრაქტიკის შემუშავება.

მე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ყველა აღნიშნულ ღონისძიებათა საერთო ანუ პრინციპულ მნიშვნელობაზე. როგორ უნდა ავხსნათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა დგებიან ამდენად თუ იმდენად

თავისუფალი ვაჭრობის ცნობის გზაზე? რამდენად არის დასაშვები თავისუფალი ვაჭრობა და ინდივიდუალური მეურნეობა სოციალისტურ მეურნეობასთან ერთად? რამდენად არის დასაშვები კაპიტალიზმის ეს აღორძინება, რომელიც შეიძლება აუცილებელ რამედ მოგვეჩვენოს თავისუფალი ვაჭრობის ყოველი, თუნდაც შეზღუდული, დაშვებისას? რით არის გამოწვეული ასეთი ცვლილება, როგორია მისი ნამდვილი აზრი, ხასიათი და მნიშვნელობა, და როგორ უნდა გაიგონ ეს ცვლილება კომუნისტური პარტიის წევრებმა? როგორ უნდა ავხსნათ იგი და როგორ უნდა შევხედოთ ცხოვრებაში მისი გამოყენების ფარგლებს? აი, დაახლოებით, ის ამოცანა, რომელსაც მე ვისახავ.

პირველი საკითხი ის არის, თუ რამ გამოიწვია ეს ცვლილება, რომელიც ბევრს მეტისმეტად მძაფრი და არასაკმაოდ დასაბუთებული ეჩვენება?

ამ ცვლილების ძირითადი და უმთავრესი მიზეზი არის გლეხური მეურნეობის არაჩვეულებრივად გამწვავებული კრიზისი, მისი მეტად მძიმე მდგომარეობა, რაც 1921 წლის გაზაფხულზე გაცილებით უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ამის წინასწარ გათვალისწინება შეიძლებოდა; მეორე მხრივ კი, ასეთი მდგომარეობის შედეგები დაეტყო როგორც ჩვენი ტრანსპორტის აღდგენას, ისე ჩვენი მრეწველობის აღდგენას. მე მინდა აღვნიშნო, რომ როცა ლაპარაკობენ გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლაზე, როცა მსჯელობენ ამ შეცვლის მნიშვნელობაზე, ყველაზე მეტ შეცდომებს სჩადიან იმის გამო, რომ არ ეკითხებიან თავიანთ თავს, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს გადასვლა, საიდან და საით მივყავართ ამ გადასვლას? არაჩვეულებრივად მძიმე კრიზისი გლეხური მეურნეობისა, რომელიც ომით გამოწვეული ყოველგვარი გაჩანაგების შემდეგ კიდევ უფრო გაანადგურა არაჩვეულებრივად მძიმე მოუსავლობამ და ამასთან დაკავშირებულმა უსაკვებობამ, — რადგან ბალახის მოუსავლობაც იყო, — და პირუტყვის დაცემამ; გლეხური მეურნეობის საწარმოო ძალთა შესუსტება, რამაც მრავალ ადგილას გამოიწვია მისი სრული

გაჩანაგება, — აი გლეხური მეურნეობის სურათი 1921 წლის გაზაფხულისათვის. და აქ დგება საკითხი: რა კავშირი აქვს გლეხური მეურნეობის ამ არაჩვეულებრივად გამწვავებულ კრიზისს სასურსათო გაწერის იმ შეცვლასთან, რომელიც განახორციელა საბჭოთა ხელისუფლებამ? მე ვამბობ, ამ ღონისძიების მნიშვნელობა რომ გავიგოთ, უწინარეს ყოვლისა უნდა შევეკითხოთ ჩვენს თავს: საიდან და რაზე გადავდივართ ამ შემთხვევაში?

თუ იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, ხდება მუშათა რევოლუცია, და ფაბრიკები, ქარხნები, რკინიგზები მუშათა კლასის ხელში გადადის, რა უნდა შეადგენდეს მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური ურთიერთობის არსს? ცხადია, ის, რომ მუშები, რომლებიც ამიერიდან მათ კუთვნილ ფაბრიკებსა და ქარხნებში ამზადებენ ყველა საჭირო პროდუქტებს ჩვენი ქვეყნისთვის და, მაშასადამე, გლეხობისთვისაც, როგორც მოსახლეობის უმრავლესობისთვის, ეზიდებიან ამ პროდუქტებს თავიანთი რკინიგზებით, თავიანთი სამდინარო გემებით, აწვდიან მათ გლეხობას და იღებენ მისგან სოფლის მეურნეობის პროდუქტთა მთელ ნაჭარბს. ეს სავსებით აშკარაა, და არა მგონია ახსნა-განმარტებას საჭიროებდეს. მაგრამ, როცა სასურსათო გადასახადზე მსჯელობენ, ამას მუდამ ივიწყებენ. საჭირო კია ყოველთვის გვახსოვდეს ეს, რადგან, თუ გვინდა გამოვარკვიოთ მნიშვნელობა სასურსათო გადასახადისა, რომელიც მხოლოდ გარდამავალ ღონისძიებას წარმოადგენს, ცხადად უნდა შევიგნოთ, თუ რა მდგომარეობამდე გვსურს მივიდეთ. და აი ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილიდან აშკარაა, რომ ჩვენ გვსურს მივიდეთ და უნდა მივიდეთ კიდეც იქამდე, რომ მუშათა სახელმწიფო გლეხის პროდუქტებს იღებდეს არა როგორც ნაჭარბს გაწერით, და არა როგორც გადასახადს, არამედ იღებდეს ყველა იმ აუცილებელი პროდუქტის გადაცვლით, რომელსაც ის ტრანსპორტის საშუალებით მიაწვდის გლეხობას. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება აშენდეს სოციალიზმზე გადასული ქვეყნის მეურნეობა. თუ გლეხურ

მეურნეობას შეუძლია შემდგომ განვითარდეს, საჭიროა მტკიცედ უზრუნველყოთ შემდგომი გადასვლაც, ხოლო შემდგომი გადასვლა აუცილებლად იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელი და ყველაზე მეტად ჩამორჩენილი, წვრილი, განცალკევებული გლეხური მეურნეობა თანდათან გაერთიანდეს და გადაიქცეს საზოგადოებრივ, მსხვილ სამიწათმოქმედო მეურნეობად. ასე ჰქონდათ მუდამ წარმოდგენილი ყოველივე ეს სოციალისტებს. სწორედ ასევე უყურებს საქმეს ჩვენი კომუნისტური პარტიაც. ვიმეორებ, შეცდომათა და გაუგებრობათა ყველაზე დიდი წყარო ის არის, რომ სასურსათო გადასახადის შეფასების დროს ანგარიშს არ უწევენ იმ გარდამავალ ღონისძიებათა თავისებურებას, რაც აუცილებლად საჭიროა, რათა შევძლოთ იქამდე მისვლა, სადამდეც შეგვიძლია და უნდა მივიდეთ კიდეც.

რა არის სასურსათო გადასახადი? სასურსათო გადასახადი წარმოადგენს ისეთ ღონისძიებას, რომელშიც ჩვენ ვხედავთ ზოგ რამეს წარსულიდანაც და ზოგ რამეს მომავლიდანაც. გადასახადი ნიშნავს იმას, რასაც სახელმწიფო იღებს მოსახლეობისაგან სრულიად აუნაზღაურებლად. თუ ეს გადასახადი განსაზღვრულია დაახლოებით იმის ნახევრით, როგორც შარშან განსაზღვრული იყო სასურსათო გაწერა, მაშინ მუშათა სახელმწიფო წითელი არმიის, მთელი მრეწველობის, მთელი არამიწათმოქმედი მოსახლეობის შესანახად, წარმოების გასავითარებლად, საზღვარგარეთთან ურთიერთობის გასავითარებლად, რომლის დახმარებაც ჩვენ გვესაჭიროება მანქანების და მოწყობილობის მისაღებად, — მუშათა სახელმწიფო ვერ დაკმაყოფილდება მარტო გადასახადით. ერთი მხრივ, მას სურს დაეყრდნოს გადასახადს, რომელსაც იგი განსაზღვრავს დაახლოებით ორჯერ ნაკლები რაოდენობით წინათ არსებულ გაწერასთან შედარებით, მეორე მხრივ, სურს დაეყრდნოს მრეწველობის პროდუქტთა გაცვლას გლეხთა წარმოების ამა თუ იმ ნაჭარბზე, მაშასადამე, გადასახადში არის წინანდელი გაწერის ნაწილი და არის ნაწილი იმ წესისა, რომელიც ერთადერთია სწორი, სახელდობრ:

მსხვილი სოციალისტური ფაბრიკების პროდუქტთა გაცვლა გლეხური მეურნეობის პროდუქტებზე მუშათა კლასის კუთვნილი სახელმწიფო ხელისუფლების სასურსათო ორგანოების საშუალებით, მუშათა და გლეხთა კოოპერაციის საშუალებით.

იბადება კითხვა, რატომ ვართ იძულებულნი მივმართოთ ისეთ ღონისძიებას, რომლის ნაწილი ეკუთვნის წარსულს, და მხოლოდ ნაწილი დგება სწორ გზაზე, და ამასთან სრულიადაც არა ვართ დარწმუნებულნი, შევძლებთ თუ არა ერთბაშად მის სწორ გზაზე დაყენებას და იქნება თუ არა მნიშვნელოვანი ის ნაწილი, რომელსაც ჩვენ სწორ გზაზე დავაყენებთ? რატომ ვართ იძულებულნი მივმართოთ ესოდენ ნახევრულ ღონისძიებას, რატომ უნდა ვიქონიოთ ასეთ ღონისძიებათა იმედი ჩვენს სასურსათო და ეკონომიურ პოლიტიკაში? რით არის გამოწვეული ეს ღონისძიება? რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ იგი გამოწვეულია არა იმ გარემოებით, რომ საბჭოთა ხელისუფლება რაიმე უპირატესობას აძლევდეს ამა თუ იმ პოლიტიკას. იგი გამოწვეულია უკიდურესი გაჭირვებით, გამოუვალი მდგომარეობით. თქვენ იცით, რომ რუსეთში მუშათა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში, იმპერიალისტური ომის შემდეგ, იძულებული ვიყავით გვეწარმოებინა სამოქალაქო ომი, და ახლა გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველა იმ ქვეყანას შორის, რომლებიც იმპერიალისტურ ომში იყვნენ ჩაბმულნი, იმათ შორისაც კი, რომლებიც ყველაზე უფრო დაზარალდნენ ამ ომისაგან, რადგანაც იგი მათს ტერიტორიაზე წარმოებდა, მაინც არ მოიპოვება არც ერთი ქვეყანა, რომელიც ისე დაზარალებულიყოს, როგორც რუსეთი დაზარალდა, იმიტომ რომ, ოთხი წლის იმპერიალისტური ომის შემდეგ, ჩვენ გადავიტანეთ სამი წლის სამოქალაქო ომი, რომელიც, წარმოების გაჩანაგების, მოსპობის, მისი პირობების გაუარესების მხრივ, გაცილებით უფრო უარესი იყო, ვიდრე საგარეო ომი, ვინაიდან ეს სამოქალაქო ომი სახელმწიფოს ცენტრში წარმოებდა. ეს საშინელი გაჩანაგება წარმოადგენს ძირითად მიზეზს იმისას, თუ რატომ არ შეგვეძლო ჩვენ თავდაპირველად, ომის ეპოქაში,

განსაკუთრებით მაშინ, როცა სამოქალაქო ომმა მოგვწყვიტა პურის რაიონებს, როგორიც არის ციმბირი, კავკასია და მთელი უკრაინა, აგრეთვე მოგვისპო ნავთისა და ნახშირის მიღების საშუალება, შეგვიმცირა დანარჩენი სათბობის მოზიდვის შესაძლებლობა, — რატომ არ შეგვეძლო ჩვენ, ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში მყოფთ, თავი გაგვეტანა სხვანაირად, თუ არა გაწერის საშუალებით, ესე იგი, რატომ არ შეგვეძლო გლეხებისათვის არ ჩამოგვერთმია მთელი ნაჭარბი, რაც კი მას გააჩნდა, და ზოგჯერ არა მარტო ნაჭარბი, არამედ ზოგი რამ ისიც, რაც გლეხისთვის აუცილებელი იყო, ოღონდ კი შეგვენახა ბრძოლისუნარიანი არმია და გადაგვერჩინა მრეწველობა სრული დაშლისაგან. სამოქალაქო ომის განმავლობაში ეს ამოცანა არაჩვეულებრივად ძნელი იყო, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა პარტიების მიერ მის შეფასებას, ის ყველასაგან მიჩნეული იყო გადაუწყვეტელ ამოცანად. ავიღოთ მენშევიკები და ესერები, ე. ი. წვრილი ბურჟუაზია და კულაკების პარტია. ეს პარტიები სამოქალაქო ომის ყველაზე უფრო მწვავე მომენტების განმავლობაში ყველაზე მეტად ყვიროდნენ, რომ ბოლშევიკებმა გიჟური საქმე წამოიწყეს, რომ შეუძლებელია სამოქალაქო ომში გაძლება, როცა ყველა სახელმწიფო თეთრგვარდიელებს ეხმარებაო. მართლაც, უაღრესად ძნელი ამოცანა იყო, რომელიც მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვდა, და იგი წარმატებით იქნა შესრულებული მხოლოდ იმიტომ, რომ ის მსხვერპლი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მუშათა კლასმა და გლეხობამ გაიღეს, შეიძლება ითქვას, ზებუნებრივი იყო. მუშათა კლასს არასოდეს არ განუცდია ისეთი ულუკმაპურობა, ისეთი შიმშილი, როგორიც მან განიცადა თავისი დიქტატურის პირველი წლების განმავლობაში. და გასაგებია, რომ ამ ამოცანის გადასაწყვეტად არ იყო არავითარი სხვა საშუალება, გარდა გაწერისა, გლეხისაგან მთელი ნაჭარბის და მისთვის აუცილებელი სურსათის ნაწილის ჩამორთმევის აზრით. «შენც იშიმშილე, მაგრამ ყველანი ერთად დავიცავთ ჩვენს საქმეს

და განვდევნით დენიკინსა და ვრანგელს», — სხვა რაიმე გამოსავალი მაშინ წარმოუდგენელი იყო.

საქმე ის კი არ არის, რომ არსებობდა ეკონომიური სისტემა, პოლიტიკის ეკონომიური გეგმა, რომ ის მიღებულ იქნა, როცა შესაძლებელი იყო ამა თუ იმ სისტემის არჩევა. ასეთი რამე არ ყოფილა. მრეწველობის აღდგენაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო მაშინ, როცა მინიმალურადაც კი არ იყო უზრუნველყოფილი არც სურსათი, არც სათბობი. მხოლოდ შეგვენარჩუნებინა მრეწველობის ნაშთები, რომ მუშები სულ არ გაფანტულიყვნენ, და გვყოლოდა არმია — აი ამოცანა, რომელსაც ჩვენ ვისახავდით, და მისი გადაწყვეტა ყოვლად შეუძლებელი იყო სხვაგვარად, თუ არა აუნაზღაურებლად გაწერის გზით, რადგანაც ქალალდის ფული, რა თქმა უნდა, საზღაურს არ შეადგენს. არავითარი სხვა გამოსავალი არა გვქონდა. აი, როგორც უკვე გითხარით, საიდან გამოვედით და რაზე გადავდივართ. თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ეს გადასვლა — აი ამისთვის არის საჭირო ისეთი ღონისძიება, როგორიც გადასახადია. ჩვენი მრეწველობის აღდგენა რომ უფრო ჩქარა მოხერხდებოდეს, მაშინ, თუ კარგი მოსავალი გვექნებოდა, შესაძლოა, უფრო ჩქარა გადავსულიყავით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლაზე.

ალბათ, მრავალ თქვენგანს ახსოვს, რომ პარტიის IX ყრილობაზე ჩვენ ვაყენებდით სამეურნეო ფრონტზე გადასვლის საკითხს. მთელი ყურადღება მაშინ ამ საკითხზე იყო მიპყრობილი. მაშინ ჩვენ ვფიქრობდით, რომ ომს უკვე თავი დავაღწიეთ: ჩვენ ხომ ბურჟუაზიულ პოლონეთს მაშინ შევთავაზეთ მისთვის წარმოუდგენლად ხელსაყრელი საზავო პირობები. როგორც იცით, ზავი ჩაიშალა, ამას მოჰყვა პოლონეთთან ომი და მისი გაგრძელება — ვრანგელი და სხვ.. პერიოდი IX-დან X ყრილობამდე თითქმის სულ ომის პერიოდი იყო; თქვენ იცით, რომ ჩვენ მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს მოვაწერეთ ხელი საბოლოო ზავს პოლონელებთან და მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ — საზავო

შეთანხმებას თურქებთან, რაც ერთადერთი ხსნაა ჩვენთვის კავკასიაში მუდმივი ომებისაგან. მხოლოდ ახლა დავდეთ სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან, რასაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ახლა გახდა ინგლისი იძულებული გაება ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობა; ამერიკა, მაგალითად, დღემდე უარს ამბობს ამაზე. აი აქედან შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა დიდი გაჭირვებით დავაღწიეთ თავი ამ ომს. ჩვენ რომ IX ყრილობის განზრახვათა განხორციელება მაშინვე მოგვეხერხებინა, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი პროდუქტების დამზადებას შევძლებდით.

დღეს ჩემთან იყო ამხ. კოროლევი ივანოვო-ვოზნესენსკიდან, ჩვენი ყველაზე უფრო სამრეწველო, პროლეტარული, წითელი გუბერნიიდან. მან მოიყვანა ციფრები და ფაქტები. პირველ წელს მუშაობდა არაუმეტეს 6 ფაბრიკისა და იმათში არც ერთი არ ყოფილა ისეთი, რომელსაც ერთი თვის განმავლობაშიც კი განუწყვეტლივ ემუშაოს. ეს იყო მრეწველობის სრული შეჩერება. ამავე გასული წლის განმავლობაში პირველად ამუშავდა ოცდაორი ფაბრიკა, რომლებიც რამდენიმე თვეს მუშაობდნენ · შეუწყვეტლად, ზოგიერთი კი — ნახევარი წლის განმავლობაშიც. დავალება-გეგმა ითვალისწინებდა 150 მილიონი არშინის დამზადებას; იმ ციფრების მიხედვით, რომლებიც შეეხება სულ უკანასკნელ დროს, მათ დაამზადეს 117 მილიონი არშინი; სათბობი კი მიიღეს მხოლოდ იმის ნახევარი, რაც უნდა მიეღოთ. აი როგორ ჩაგვეფუშა საქმე, და ეს არა მარტო ივანოვო-ვოზნესენსკის მასშტაბით, არამედ მთელი რუსეთის მასშტაბითაც. ეს საგრძნობლად დაკავშირებული იყო გლეხური მეურნეობის დაქვეითებასთან, პირუტყვის დაცემასთან, რკინიგზის სადგურებსა და ნავმისადგომებზე საკმაო შეშის მიზიდვის შეუძლებლობასთან. ივანოვო-ვოზნესენსკელებმა ამის გამო მიიღეს ნაკლები შეშა, ნაკლები ტორფი, ნაკლები ნავთი. და სასწაულად უნდა ჩაითვალოს, რომ, თუმცა მათ სათბობი მიიღეს მხოლოდ იმის ნახევარი, რაც აუცილებლად საჭირო იყო, პროგრამა კი 150 მილიონის ნაცვლად 117 მილიონით შეასრულეს.

მათ გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და გადაიყვანეს მუშები საუკეთესო ფაბრიკებში, რის მეოხებითაც გამოსავლის დიდი პროცენტი მიიღეს. აი მახლობელი და ზუსტი მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მდგომარეობაში ჩავვარდით. მანუფაქტურის მთელი პროგრამა პარტიის IX ყრილობაზე განსაზღვრული იყო 600 მილიონზე მეტით, ჩვენ ახლა ამის მესამედიც არ შეგვისრულებია, იმიტომ რომ ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნია საუკეთესო აღმოჩნდა, მაგრამ იგიც მხოლოდ 117 მილიონ არშინს იძლევა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მრავალმილიონიანი რუსეთი და ეს 117 მილიონი არშინი მანუფაქტურა. ეს სიღატაკეა. მრეწველობის აღდგენა ისე დიდად შეფერხდა, რომ 1921 წლის გაზაფხულისთვის მისი აღდგენა სრულიად შეუძლებელი ჩანდა. ჩვენთვის საჭირო იყო დიდი არმია, და ის ავიყვანეთ მრავალმილიონიან შემადგენლობამდე; მისი ჩქარი დემობილიზაცია ზამთარში, ტრანსპორტის მოშლის გამო, მეტისმეტად ძნელი იყო. ყოველივე ეს ჩვენ შევძელით ძალების გაუგონარი დაძაბვით.

აი ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა. და სხვა რა გამოსავალი გვქონდა, გარდა იმისა, რომ გაწერა შეგვემცირებინა უკანასკნელ ფარგლებამდე, აგვეღო 240 მილიონი ფუთი პური, 423 მილიონის ნაცვლად. ეს ის მინიმუმია, რომელიც აუცილებლად უნდა შევაგროვოთ საშუალო მოსავლის დროს და რომლის საშუალებითაც ჩვენ ძლივძლივობით შეგვიძლია გავიტანოთ თავი. რომ ამით არ დავკმაყოფილდეთ, საჭიროა გლეხურ მეურნეობას ფეხზე წამოდგომის საშუალება მივცეთ. ახლა საჭიროა ღონისძიებები. საუკეთესო ღონისძიება, რა თქმა უნდა, მსხვილი მრეწველობის აღდგენა იქნებოდა. ცხადია, ეს იქნებოდა საუკეთესო, ერთადერთი ეკონომიურად სწორი ღონისძიება — გავაძლიეროთ ფაბრიკების წარმოება და გამოვუშვათ მეტი პროდუქტი, რომელიც აუცილებელია გლეხისთვის, არა მარტო მანუფაქტურა, რაც ესაჭიროება მომუშავესა და მის ოჯახს, არამედ მანქანებიც, იარაღებიც, თუნდაც უმარტივესი იარაღები, რომლებიც ესოდენ ესაჭიროება გლეხს. მაგრამ რაც მოხდა მანუფაქტურის

მხრივ, იგივე მოუვიდა ლითონის მრეწველობასაც. ასეთი აღმოჩნდა ჩვენი მდგომარეობა. ვერ შევძელით IX ყრილობის შემდეგ მრეწველობის აღდგენა, იმიტომ რომ თავს დაგვატყდა ომიანობის წელიწადი, გვაკლდა სათბობი, გვაკლდა ტრანსპორტი, და გლეხური მეურნეობაც უაღრესად დასუსტდა. რა ზომები შეგვიძლია მივიღოთ, რომ გლეხურ მეურნეობას მაქსიმალური დახმარება გავუწიოთ? არ არსებობს სხვა ღონისძიება, გარდა იმისა, რომ შევამციროთ გაწერა, შემოვიღოთ მის ნაცვლად გადასახადი, რომელიც საშუალო მოსავლის დროს განსაზღვრულია 240 მილიონი ფუთით, ხოლო მოუსავლობის დროს, იქნებ, უფრო ნაკლები იყოს, რათა გლეხმა იცოდეს, რომ მან უნდა მოგვცეს განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ძალიან მცირედ არის ნავარაუდევი, რომ მას შეეძლოს უაღრესი გულმოდგინებით მიმართოს მთელი შრომა წარმოებაზე, რომ მთელმა დანარჩენმა პროდუქტმა მისცეს მას ყოველივე, რაც მისთვის საჭიროა, რომ მისცეს მას საშუალება გააუმჯობესოს თავისი გლეხური მეურნეობა არა მარტო მრეწველობის ხარჯზე — ეს ყველაზე უფრო სწორი, ყველაზე უფრო რაციონალური იქნებოდა, მაგრამ ამისთვის ძალა არ გვეყოფა. გადასახადი განსაზღვრულია უმცირესი რაოდენობით, და მისი ადგილობრივ გატარება უკვე გამოიწვევს წვრილი მრეწველობის აღდგენას, რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია მოვაგვაროთ მსხვილი მრეწველობა ისეთ ვადაში, როგორც ეს ჩვენთვის სასურველია. ეს უკვე დამტკიცებულია ივანოვო-ვოზნესენსკის პროგრამით, რომელმაც მოგვცა საუკეთესო წილი იმისა, რაც ჩვენ დავსახეთ. უნდა ვიცადოთ კიდევ ერთი წელიწადი, ვიდრე სათბობის მარაგი იმდენად საკმაო აღმოჩნდება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს წარმოება ყველა ფაბრიკაში. კარგი იქნება, თუ ეს მოვახერხეთ ერთ წელიწადს, შეიძლება ამას ორი წელიც დასჭირდეს. შეგვიძლია თუ არა გლეხის უზრუნველყოფა? თუ კარგი მოსავალი გვექნება, ეს შესაძლებელი გახდება.

პარტიის ყრილობაზე, როცა წყდებოდა სასურსათო გადასახადის საკითხი, დარიგებულ იქნა ჩვენი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ხელმძღვანელის, ამხ. პოპოვის ბროშურა რუსეთში პურის წარმოების შესახებ. ეს ბროშურა ამ დღეებში გამოვა შევსებული სახით, და ყველა უნდა გაეცნოს მას. ის წარმოდგენას იძლევა პურის წარმოებაზე, ის ეყრდნობა იმ აღწერის მონაცემებს, რომელიც ჩვენ მოვახდინეთ და რომელმაც მოგვცა ზუსტი ციფრები მთელი მოსახლეობის შესახებ და დაახლოებით განსაზღვრა მეურნეობათა სიდიდე. ამ ბროშურაში აღნიშნულია, რომ თუ დესეტინაზე 40 ფუთი მოსავალი იქნება, გლეხურ მეურნეობას საბჭოთა რუსეთის ახლანდელი ტერიტორიის ფარგლებში შეეძლო მოეცა 500 მილიონი ფუთი ნაჭარბი. მაშინ ჩვენ სავსებით დავაკმაყოფილებდით ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას — 350 მილიონი ფუთის რაოდენობით — და მარაგიც გვექნებოდა საზღვარგარეთთან ვაჭრობისათვის. და გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად. მოუსავლობა იმდენად დიდი იყო, რომ დესეტინაზე საშუალოდ ოცდარვა ფუთზე მეტი არ მოსულა. მივიღეთ დეფიციტი. თუ ისევ ვიანგარიშებთ, როგორც სტატისტიკა ანგარიშობს, რომ თითო სულის გამოსაკვებად 18 ფუთი პურია საჭირო, მაშინ, არმიისა და მრეწველობის მუშების ნახევრად მშიერი არსებობის უზრუნველსაყოფად, თვითეულ სულს უნდა გამოვართვათ სამი ფუთი პური და ამით რამდენადმე დავამშოთ ყოველი გლეხი. აი ასეთ მდგომარეობაში სხვა გამოსავალი არ აღმოჩნდა, გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად შეგვემცირებინა გაწერა და გადაგვექცია იგი გადასახადად. მთელი ძალ-ღონე და მზრუნველობა უნდა მოვანდომოთ წვრილი გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებას. მისთვის მანუფაქტურის, მანქანების და მსხვილი ფაბრიკების სხვა ნაწარმოებიცემა, ამ ამოცანის გადაწყვეტა ჩვენ ვერ შევძელით, მაგ. გადაწყვეტა კი საჭიროა დაუყოვნებლივ, და იძულებულ ვართ იგი გადავწყვიტოთ წვრილი მრეწველობის დახმარებით.

ახალი ღონისძიების გატარების პირველმავე წელმა უნდა მოგვცეს შედეგები.

ახლა იმაზე, თუ რატომ ექცევა ყველაზე მეტი ყურადღება გლეხურ მეურნეობას? იმიტომ, რომ მხოლოდ იქიდან შეგვიძლია მივიღოთ ჩვენთვის აუცილებლად საჭირო სურსათი და სათბობი. მუშათა კლასმა, თუ მას სურს სწორად წარმართოს მეურნეობა, როგორც გაბატონებულმა კლასმა, როგორც კლასმა, რომელიც ახორციელებს თავის დიქტატურას, უნდა თქვას: აი სად აღმოჩნდა ყველაზე უფრო სუსტი ადგილი, — გლეხური მეურნეობის კრიზისში; ეს უნდა გამოვასწოროთ, რომ ერთხელ კიდევ შევუდგეთ მსხვილი მრეწველობის აღდგენას და მივაღწიოთ იმას, რომ იმავე ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონში მუშაობდეს არა ოცდაორი ფაბრიკა, არამედ სამოცდაათივე. მაშინ ეს მსხვილი საფაბრიკო მანუფაქტურა დააკმაყოფილებს მთელი მოსახლეობის მოთხოვნილებას, და მაშინ გლეხურ მოსახლეობას პროდუქტები გამოერთმევა არა გადასახადის სახით, არამედ მრეწველობის იმ პროდუქტებზე გადაცვლის სახით, რომლებსაც მას მისცემს მუშათა კლასი. აი ის გადასვლა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, როცა ყველამ უნდა გავინაწილოთ გაჭირვება და შიმშილი, რომ ყველას რამდენადმე დამშევის ფასად გადავარჩინოთ ისინი, ურომლებისოდაც ვერ შევინარჩუნებთ ვერც დარჩენილ ფაბრიკებს, ვერც რკინიგზებს, ვერც არმიას, რათა წინააღმდეგობა გავუწიოთ თეთრგვარდიელებს.

ჩვენს სასურსათო გაწერას ისე აძაგებდნენ მენშევიკები, რომლებიც ამბობდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გაწერისა, გაჭირვებისა და ნგრევის მეტი ვერაფერი მისცა მოსახლეობასო, რომ მშვიდობიანობის ნაწილობრივად აღდგენის შემდეგ, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ შეუძლებელი აღმოჩნდა ჩვენი მრეწველობის მოკლე ხანში აღდგენა. მაგრამ ყველაზე მდიდარ ქვეყნებშიც კი ხომ წლობით იანგარიშება ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეიძლება მრეწველობის აღდგენა. ისეთი მდიდარი ქვეყანაც კი, როგორიც საფრანგეთია, იძულებულია დიდი დრო მოანდომოს თავისი

მრეწველობის აღდგენას, საფრანგეთი კი ხომ ისე არ დაზარალებულა ამ ომისაგან, როგორც ჩვენ დავზარალდით, ვინაიდან იქ ნგრევა შეეხო ქვეყნის მხოლოდ პატარა ნაწილს. საკვირველია, რომ ჩვენ არასრული მშვიდობიანობის პირველ წელსვე შევძელით, მაგალითად, ის, რომ ივანოვო-ვოზნესენსკში სამოცდაათი ფაბრიკიდან ოცდაორი ავამუშავეთ და 117 მილიონი არშინი მანუფაქტურა დავამზადეთ 150 მილიონიდან. სასურსათო გაწერა გარდუვალი იყო თავის დროზე, ახლა კი ჩვენთვის აუცილებელი შეიქნა შევცვალოთ სასურსათო პოლიტიკა, ე. ი. გაწერიდან გადავიდეთ გადასახადზე. ეს, უეჭველია, გააუმჯობესებს გლეხის მდგომარეობას, ეს, უეჭველია, მისცემს მას შესაძლებლობას უფრო ზუსტად, უფრო გარკვეულად და უფრო გულდაჯერებულად ივარაუდოს, რომ პურის მთელი თავისუფალი ნაჭარბი, რაც მას ექნება, შეუძლია გადაცვალოს თუნდაც ადგილობრივი შინამრეწველობის საგნებზე. აი რატომ არის აუცილებელი საბჭოთა ხელისუფლების ასეთი ეკონომიური პოლიტიკა.

ახლა, დასასრულ, მინდა შევჩერდე იმ საკითხზე, თუ რამდენად მისაღებია ეს პოლიტიკა კომუნიზმის თვალსაზრისით და როგორ ხდება, რომ კომუნისტური საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობს თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. კარგია თუ არა ეს კომუნიზმის თვალსაზრისით? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა ყურადღებით დავაკვირდეთ იმ ცვლილებებს, რომლებიც გლეხურ მეურნეობაში მოხდა. ჯერ მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მთელი გლეხობა მემამულეთა ძალაუფლების წინააღმდეგ ილაშქრებდა. მემამულეთა წინააღმდეგ ერთნაირად გამოდიოდნენ ღარიბი გლეხებიც და კულაკებიც, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა განზრახვით: კულაკები მიზნად ისახავდნენ მემამულისთვის ჩამოერთმიათ მიწა და იქ თავიანთი მეურნეობა მოეწყოთ. აი სწორედ მაშინ გამოაშკარავდა კულაკების და ღარიბების ინტერესთა და მისწრაფებათა სხვადასხვაობა. უკრაინაში ინტერესების ეს სხვადასხვაობა ახლაც გაცილებით მეტი სიცხადით ჩანს, ვიდრე ჩვენში. ღარიბმა გლეხობამ უშუალოდ

ძალიან ნაკლებად გამოიყენა მემამულეებისაგან მიწის ჩამორთმევა, რადგანაც მას საამისოდ არ მოეპოვებოდა არც მასალა და არც იარაღები. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ღარიბი გლეხობა ირაზმება, რათა კულაკებს არ მისცეს ჩამორთმეული მიწების დაუფლების საშუალება. საბჭოთა ხელისუფლება ეხმარება ჩვენში შექმნილ ღარიბთა კომიტეტებს და «კომნეზამოჟებს» უკრაინაში[67]. რა შედეგი მოჰყვა ამას? ის შედეგი, რომ სოფელში უმეტესობა საშუალო გლეხი აღმოჩნდა. ჩვენ ეს ვიცით სტატისტიკიდან, ხოლო ყველამ, ვინც სოფლად ცხოვრობს, ეს იცის საკუთარი დაკვირვებით. შეჰცირდა უკიდურესობანი — იკლო კულაკობამ, იკლო აგრეთვე ღარიბმა გლეხობამაც, და მოსახლეობის უმრავლესობა მიუახლოვდა საშუალო გლეხის ტიპს. თუ გვსურს ჩვენი გლეხური მეურნეობის ნაყოფიერების ამაღლება, უწინარეს ყოვლისა ანგარიში უნდა გავუწიოთ საშუალო გლეხს. სწორედ ამის შესაბამისად მოუხდა თავისი პოლიტიკის შენება კომუნისტურ პარტიას.

რაკი სოფელი საშუალო-გლეხური შეიქნა, უნდა დავეხმაროთ ამ საშუალო გლეხს მეურნეობის ამაღლებაში, ამასთან ერთად მას უნდა წავუყენოთ იგივე მოთხოვნები, რასაც ვუყენებთ მუშას. პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე მთავარი საკითხი იყო სასურსათო პროპაგანდა: მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ სამეურნეო ფრონტს, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობა. ამ ამოცანების შეუსრულებლად არავითარი წინსვლა არ არის შესაძლებელი. თუ ჩვენ ამას ვამბობთ მუშების მიმართ, იგივე უნდა ვთქვათ გლეხობის მიმართაც. გლეხს სახელმწიფო გამოართმევს განსაზღვრულ გადასახადს, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვს, რომ გადასახადის გაღების შემდეგ მან გააფართოოს თავისი მეურნეობა, რაკი მან იცის, რომ მას მეტს არაფერს გადაახდევინებენ და რომ მას მეურნეობის გასავითარებლად დარჩება მთელი ნაჭარბი. მაშასადამე, გლეხობის მიმართ პოლიტიკის შეცვლა იმით აიხსნება, რომ შეიცვალა თვითონ გლეხობის მდგომარეობა. სოფელი

უფრო საშუალო-გლეხური გახდა, და საწარმოო ძალთა ასამაღლებლად ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

გარდა ამისა, მოგაგონებთ, რომ 1918 წელს, ბრესტის ზავის დადების შემდეგ, მე მიხდებოდა კამათი ეგრეთწოდებულ «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფთან [6ბ]. ვინც იმ დროს პარტიაში იყო, ეხსომება, თუ როგორ ეშინოდა ზოგიერთ კომუნისტს, რომ ბრესტის ზავის დადება ძირს გამოუთხრის ყოველგვარ კომუნისტურ პოლიტიკასო. სხვათა შორის, ამ ამხანაგებთან კამათის დროს მე ვამბობდი: სახელმწიფო კაპიტალიზმი ჩვენში, რუსეთში, საშიში არ არის, იგი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა-მეთქი. ეს მეტისმეტად უცნაური მოეჩვენათ: როგორ, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახელმწიფო კაპიტალიზმი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა? მე კი ამაზე ვუპასუხებდი: კარგად დააკვირდით, თუ რას ვხედავთ რუსეთში ნამდვილი ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით? ჩვენ ვხედავთ სულ ცოტა ხუთ სხვადასხვა სისტემას ანუ წყობას, ანუ ეკონომიურ წესწყობილებას. და, თუ ქვევიდან ზევით ავყვებით, ისინი აღმოჩნდებიან შემდეგი: პირველი — პატრიარქალური მეურნეობა. ეს როცა გლეხური მეურნეობა მუშაობს მხოლოდ თავისთვის, ანუ თუ იგი მომთაბარე, ან ნახევრადმომთაბარე მდგომარეობაშია. ასეთები კი ჩვენში რამდენიც გნებავთ, იმდენია; მეორე — წვრილი სასაქონლო მეურნეობა, როცა ის თავის პროდუქტს ბაზარზე ასაღებს; მესამე — კაპიტალისტური, — ეს არის გაჩენა კაპიტალისტებისა, პატარა კერძო-სამეურნეო კაპიტალისა; მეოთხე — სახელმწიფო კაპიტალიზმი, მეხუთე კი — სოციალიზმი. და, თუ დავუკვირდებით, უნდა ვთქვათ, რომ ახლაც რუსეთის ეკონომიურ სისტემაში, ეკონომიურ წყობაში ყველა ამ ურთიერთობასა ვხედავთ. ჩვენ ვერასგზით ვერ დავივიწყებთ იმას, რასაც ხშირად ვამჩნევთ — მუშათა სოციალისტურ ურთიერთობას სახელმწიფოს კუთვნილ ფაბრიკებში, სადაც მუშები თვითონ აგროვებენ სათბობს, ნედლეულს და პროდუქტებს, ან როცა მუშები ცდილობენ წესიერად გაანაწილონ გლეხობაში მრეწველობის პროდუქტები და ეზიდებიან

მათ ტრანსპორტის საშუალებებით. ეს არის სოციალიზმი. მაგრამ მის გვერდით არის წვრილი მეურნეობა, რომელიც ძალიან ხშირად მისგან დამოუკიდებლად არსებობს. რატომ შეუძლია მას იარსებოს მისგან დამოუკიდებლად? იმიტომ, რომ მსხვილი მრეწველობა არ არის აღდგენილი, იმიტომ, რომ სოციალისტურ ფაბრიკებს შეუძლიათ მიიღონ, იქნებ, მხოლოდ იმის მეათედი ნაწილი, რასაც ისინი უნდა იღებდნენ; და, რამდენადაც სოციალისტური ფაბრიკები ვერ იღებენ ამას, წვრილი მეურნეობა მათგან დამოუკიდებელი რჩება. ქვეყნის ასე წარმოუდგენელი გაჩანაგება, სათბობის, ნედლეულისა და ტრანსპორტის ნაკლებობა იმას იწვევს, რომ წვრილი წარმოება სოციალიზმისაგან განცალკევებით არსებობს. და მე ვამბობ: ასეთ პირობებში რაღა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი? — ეს იქნება წვრილი წარმოების გაერთიანება. კაპიტალი აერთიანებს წვრილ წარმოებას, კაპიტალი იზრდება წვრილი წარმოებიდან. ამაზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ. რა თქმა უნდა, ვაჭრობის თავისუფლება კაპიტალიზმის ზრდას ნიშნავს; ამას ვერსად გავექცევით, და ვინც განიზრახავს თავის დაძვრენას და ამის ხელის ჩაქნევით აცილებას, ის მხოლოდ სიტყვებით ინუგეშებს თავს. თუ არსებობს წვრილი მეურნეობა, თუ არსებობს გაცვლა-გამოცვლის თავისუფლება — ჩნდება კაპიტალიზმი. მაგრამ საშიშია თუ არა ჩვენთვის ეს კაპიტალიზმი, თუ ჩვენ ხელთა გვაქვს ფაბრიკები, ქარხნები, ტრანსპორტი და საგარეო ვაჭრობა? და აი მე მაშინ ვამბობდი, ახლაც გავიმეორებ და ვფიქრობ, ეს უდავოა, რომ ეს კაპიტალიზმი ჩვენთვის საშიში არ არის. ასეთ კაპიტალიზმს წარმოადგენს კონცესიები.

ჩვენ ძალიან ვცდილობთ კონცესიების დადებას, მაგრამ, სამწუხაროდ, აქამდე არც ერთი კონცესია არ დაგვიდვია. მაინც, ახლა უფრო ახლოს ვართ ამასთან, ვიდრე რამდენიმე თვის წინათ ვიყავით, როცა უკანასკნელად ვსაუბრობდით კონცესიებზე. რა არის კონცესია ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით? ეს არის სახელმწიფო კაპიტალიზმი. საბჭოთა ხელისუფლება ხელშეკრულებას სდებს კაპიტალისტთან.

ამ ხელშეკრულებით მას ეძლევა საგნების განსაზღვრული რაოდენობა: ნედლეული, სამადნოები, სარეწები, მთის მადანი, ან, როგორც კონცესიების ერთ უკანასკნელ პროექტშია, განსაკუთრებული ქარხანაც კი (პროექტი კონცესიისა შვეიცის საწარმოსთან საკისრების შესახებ). სოციალისტური სახელმწიფო ხელისუფლება კაპიტალისტს აძლევს თავის წარმოების საშუალებებს: ქარხნებს, მასალებს, სამადნოებს; კაპიტალისტი მუშაობს, როგორც კონტრაგენტი, როგორც წარმოების სოციალისტურ საშუალებათა მოიჯარადრე, და თავის კაპიტალზე იღებს მოგებას, სოციალისტურ სახელმწიფოს კი აძლევს პროდუქტების ნაწილს.

რატომ გვინდა ჩვენ ეს? იმიტომ, რომ ჩვენ ახლავე ვადიდებთ პროდუქტთა რაოდენობას, ეს კი ჩვენ გვესაჭიროება, თვითონ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ. და აი გამოდის სახელმწიფო კაპიტალიზმი. საშიშია იგი ჩვენთვის? არაა საშიში, რადგან ჩვენ თვითონ განვსაზღვრავთ, რა ფარგლებში ვიძლევით კონცესიებს. ავიღოთ ნავთის კონცესია. ეს ჩვენ ერთბაშად მოგვცემს მილიონობით ფუთ ნავთს, უფრო მეტს, ვიდრე ჩვენ თვითონ მოვიპოვებდით. ეს ჩვენთვის ხელსაყრელია, რადგანაც გლეხი თავის ნაჭარბ პურს მოგვცემს ამ ნავთის სანაცვლოდ და არა ქაღალდის ფულზე. და ჩვენ ამით შეძლება მოგვეცემა ახლავე გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. აი რატომ არის, რომ ის კაპიტალიზმი, რომელიც აუცილებლად წარმოიშობა თავისუფალი ვაჭრობიდან, ჩვენთვის საშიში არ არის. ის იქნება შედეგი ბრუნვის განვითარებისა, შედეგი სამრეწველო პროდუქტების, თუნდაც წვრილი მრეწველობის პროდუქტების გადაცვლისა სამიწათმოქმედო პროდუქტებზე.

დღევანდელი კანონიდან თქვენ გაიგებთ, რომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში მუშებს, ნატურალური პრემიის სახით, ეძლევათ პურზე გადასაცვლელად განსაზღვრული ნაწილი მათი ფაბრიკების პროდუქტებისა. ასე, მაგალითად, ფეიქარი მუშები, იმ პირობით, თუ სახელმწიფო მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნება, მიიღებენ მანუფაქტურის ნაწილს -

და თვითონ გადაცვლიან პურზე. ეს საჭიროა იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო სწრაფად გავაუმჯობესოთ მუშების მდგომარეობა და გლეხების მდგომარეობა. საერთო-სახელმწიფო მასშტაბით ჩვენ ამას ვერ შევძლებდით, მაგრამ რადაც უნდა დაგვიჯდეს ეს უნდა შევძლოთ. ამიტომაც ჩვენ სრულებითაც არ ვხუჭავთ თვალს იმაზე, რომ ვაჭრობის თავისუფლება ნიშნავს ერთგვარად კაპიტალიზმის განვითარებას, და ვამბობთ: ეს კაპიტალიზმი იქნება სახელმწიფოს კონტროლქვეშ, მეთვალყურეობის ქვეშ. რაკი მუშათა სახელმწიფომ თავის ხელში აიღო ფაბრიკები, ქარხნები და რკინიგზები, ჩვენთვის საშიში აღარ არის ეს კაპიტალიზმი. ეს გააუმჯობესებს სამეურნეო ბრუნვას გლეხის პროდუქტებსა და მეზობელ შინამრეწველებს შორის, რომლებიც, მართალია, ისე დიდად ვერ დაფარავენ გლეხის მოთხოვნილებას მრეწველობის პროდუქტებზე, მაგრამ რამდენიმედ მაინც დაფარავენ; ყოველ შემთხვევაში, გლეხური მეურნეობა გაუმჯობესდება წინანდელთან შედარებით. ჩვენ კი ეს მეურნეობა აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ. დაე რამდენადმე განვითარდეს წვრილი მრეწველობა, დაე განვითარდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი — ეს საშიში არ არის საბჭოთა ხელისუფლებისათვის; ის პირდაპირ უნდა უყურებდეს მოვლენებს, თავის სახელს უნდა უწოდებდეს მათ, მაგრამ კონტროლს უნდა უწევდეს ამას, ზომას უნდა უდებდეს ამას.

კონცესიები არ არის საშიში, თუ ჩვენ კონცესიონერებს ვაძლევთ რამდენიმე ქარხანას და თვითონ კი ვიტოვებთ ქარხნების უმეტესობას; ეს საშიში არაა. რა თქმა უნდა, სრული უაზრობა იქნებოდა, თუ საბჭოთა ხელისუფლება კონცესიებად დაარიგებდა იმის დიდ ნაწილს, რაც მას ეკუთვნის; მაშინ კონცესია კი არ გამოვიდოდა, არამედ კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება. კონცესიები საშიში არ არის, ვიდრე ჩვენს ხელთ არის ყველა სახელმწიფო საწარმო და ზუსტად და ლაკონიკურად ვეწონ-დავწონით, თუ რომელი კონცესია, რა პირობით და რა ფარგლებში შეგვიძლია გავცეთ. კაპიტალიზმი, რომელიც ამგვარად იზრდება, კონტროლქვეშ, აღრიცხვის-

ქვეშ იმყოფება, სახელმწიფო ხელისუფლება კი მუშათა კლასის და მუშათა სახელმწიფოს ხელში რჩება. ჩვენთვის საშიში არ არის არც ის კაპიტალი, რომელიც კონცესიების სახით იქნება, და არც ის კაპიტალი, რომელიც აუცილებლად გაიზრდება კოოპერატივების მეშვეობით, ვაჭრობის თავისუფლების მეშვეობით; ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ, რომ განვითარდეს და გაუმჯობესდეს გლეხობის მდგომარეობა: ჩვენ უნდა დავძაბოთ მთელი ძალ-ღონე, რომ ეს მუშათა კლასისათვის სასარგებლო იყოს. უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი შეიძლება გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად, ადგილობრივი ბრუნვის გასავითარებლად, ამასთან საერთო-სახელმწიფო მეურნეობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ მსხვილი სოციალისტური მრეწველობა უფრო სწრაფად იქნეს აღდგენილი, ვიდრე აქამდე, — ყოველივე ამას უფრო ადრე შევძლებთ კონცესიების საშუალებით, ვიდრე უკონცესიებოდ; დასვენებული და წელში გამართული გლეხური მეურნეობის დახმარებით ჩვენ ამას შევძლებთ უფრო ადრე, ვიდრე აბსოლუტური გაჭირვების დროს, რაც დღემდე იყო გლეხურ მეურნეობაში.

აი ის, რაც მინდოდა მეთქვა იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა ვაფასებდეთ ამ პოლიტიკას კომუნისტური თვალსაზრისით, რატომ იყო იგი აუცილებელი, რატომ მოგვცემს იგი სწორად გამოყენების დროს დაუყოვნებელ და ყოველ შემთხვევაში, უფრო სწრაფ გაუმჯობესებას, ვიდრე მაშინ, იგი რომ არ გამოგვეყენებინა.

«პრავდა» №№ 81, 82 და 83;
1921 წ. 15, 16 და 17 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

მისალმება საბჭოთა ოლქებისა და რესპუბლიკების აღმოსავლეთის ხალხების ქალთა გარუოფილ'ებების წარმომადგენელთა თათბირისადმი [69]

დიდად სამწუხაროდ, გადაუდებელი სამუშაო ნებას არ მაძლევს დავესწრო თქვენს თათბირს. მხურვალედ მოგესალმებით და სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას მუშაობაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქალთა სრულიად რუსეთის პირველი მომავალი უპარტიო ყრილობის მომზადების საქმეში, — ყრილობისა, რომელიც, თუ მართებულად იქნება მომზადებული და ჩატარებული, უეჭველია, დიდ როლს შეასრულებს აღმოსავლეთის ქალთა შეგნების გაღვიძებისა და ორგანიზაციული გაერთიანების საქმეში.

ლენინი

«პრავდა» № 77, 1921 წ.
10 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილ დედანთან

მოხსენება კონცესიების შესახებ პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე 1921 წ. 11 აპრილი

ამხანაგებო! კონცესიების საკითხმა ჩვენში საკმაოდ მოულოდნელი უთანხმოება გამოიწვია, მოულოდნელი, რადგან პრინციპულად ისე ჩანდა, ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომისათვის, რომ ეს საკითხი უდავოდ გადაწყვეტილია, და როდესაც გასული წლის 23 ნოემბერს გამოიცა სახკომსაბჭოს დეკრეტი კონცესიების შესახებ, პარტიულ წრეებში, პასუხისმგებელ მუშაკთა შორის მაინც, არავითარი პროტესტი არ ყოფილა და არ ჩანდა, რომ რაიმე უთანხმოება წამოჭრილიყოს. თქვენ, რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, რომ პარტიულ ყრილობაზე საჭირო გახდა მიგვეღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დეკრეტს კონცესიების შესახებ და სპეციალურად განავრცობს მას ბაქოსა და გროზნოში კონცესიების გაცემაზედაც [70]. პარტიულ ყრილობაზე ამის გატარება საჭირო გახდა იმისათვის, რომ მერყეობა არ ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკაში, რადგან ცენტრალურ კომიტეტში გაყოფა სწორედ ამ საკითხის გამო რამდენადმე ისეთი აღმოჩნდა, რომელიც სრულიად არ შეესაბამება წინანდელ ფრაქციულ დაყოფებს, არამედ საგრძნობლად დაკავშირებულია ბაქოსთან. ზოგიერთი ბაქელი ამხანაგი ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ კონცესიები აუცილებელია ბაქოსთვისაც და, შესაძლოა, განსაკუთრებით ბაქოსთვის, და რომ სასურველია ბაქოს სარეწების მეტი ნაწილი კონცესიებად გაიცეს. საბუთები უაღრესად სხვადასხვანაირი იყო, დაწყებული იმ საბუთით, რომ ჩვენ თვითონ «გამოვიკვლევთო», რა

საჭიროა უცხოელები მოვიწვიოთო, და განგრძობილი იმით, რომ ძველი, კაპიტალისტებთან ბრძოლაში ნაცადი მუშები ვერ მოითმენენ უკან დაიხიონ და კაპიტალისტის უღელქვეშ მოექცნენო. და სხვა.

ახლა ვერ განვსჯი იმას, თუ ასეთ საბუთებში რამდენად იყო ზოგადი პრინციპულობა ან, ასე ვთქვათ, ბაქოური «პატრიოტიზმი», ბაქოური კუთხურობა. ჩემდა თავად უნდა ვთქვა, რომ ამ შეხედულებას მე უაღრესად გადაჭრით ვებრძოდი, რადგან ვფიქრობდი, რომ თუ ჩვენ ვერ შევძლებდით კონცესიების პოლიტიკის განხორციელებას და კონცესიებისათვის უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას, ისე ამაო იქნებოდა ლაპარაკი სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროო სერიოზულ პრაქტიკულ ღონისძიებებზე. არ შეიძლება სერიოზულად დასვა სამეურნეო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესების საკითხი, თუ არ გამოიყენე კონცესიების პოლიტიკა, თუ უარი არ თქვი ცრურწმენაზე, ადგილობრივ პატრიოტიზმზე, ნაწილობრივ ამჭრულ პატრიოტიზმზე, ნაწილობრივ იმაზე, რომ ჩვენ თვითონ «გამოვიკვლევთო». აუცილებელია მზად ვიყოთ იმისათვის, რომ გავიღოთ მთელი რიგი მსხვერპლი, ავიტანოთ გაჭირვება და უხერხულობა, უკუვაგდოთ ჩვეულებანი, იქნებ, სნეულებანიც კი, ოღონდ მოვახდინოთ ეკონომიური მდგომარეობის სერიოზული ძვრა და გაუმჯობესება მრეწველობის მთავარ დარგებში. ამას ყოველ მიზეზს გარეშე უნდა მივაღწიოთ.

პარტიის ყრილობაზე მთელი ყურადღება მიქცეული იყო იმაზე, თუ როგორი პოლიტიკა გვეწარმოებინა გლეხობის შიმართ, და სასურსათო გადასახადის საკითხზე, რომელსაც პირველი ადგილი უკავია კანონმდებლობაში საერთოდ და რომელმაც მიიპყრო პარტიული ყურადღება, როგორც ცენტრალურმა პოლიტიკურმა საკითხმა. სასურსათო გადასახადის და გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხის გამო ჩვენ შევიგნეთ, რომ ჩვენ არ ძალგვიძს მსხვილი მრეწველობის ნაყოფიერების ისე სწრაფად გადიდება, როგორც ეს საჭიროა გლეხების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, თუ

არ გამოვიყენეთ ისეთი ყავარჯნები, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის, თავისუფალი მრეწველობის აღორძინება. და ახლა საჭირო ხდება, თუნდაც ამ ყავარჯნების დახმარებით, ფეხზე წამოვდგეთ, ვინაიდან ყოველი ჭკუათამყოფელი კაცისათვის აშკარაა, რომ უამყავარჯნებოდ ჩვენ ვერ დავეწევით ცხოვრების მოთხოვნებს, ვინაიდან მდგომარეობა ისევ მწვავდება — თუნდაც იმის გამო, რომ ამ გაზაფხულს ხე-ტყის დაცურება მთელი რიგი მიზეზების გამო, უწინარეს ყოვლისა ბუნებრივი მიზეზების გამო, უმეტეს წილად ჩაიშალა. სათბობის კრიზისი ახლოვდება. შემდეგ გაზაფხული გვემუქრება ახალ მოუსავლობას, ისევ და ისევ კლიმატური პირობების გამო, გვემუქრება უსაკვებობას, რასაც შეუძლია კიდევ უფრო შეამციროს სათბობის შემოზიდვა. და თუ კიდევ თავს დაგვატყდება გვალვა, კრიზისმა შეიძლება სრულიად არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღოს. უნდა შევიგნოთ, რომ ასეთ პირობებში ჩვენი პროგრამის მთელი სიტყვები, რომლებიც უწინარეს ყოვლისა იმაზე ლაპარაკობენ, რომ რადაც უნდა დაჯდეს გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობაო, — დაწერილია არა იმისათვის, რომ ამ სიტყვებით ვტკბებოდეთ და გატაცებულნი ვიყოთ სხვადასხვა რეზოლუციით, რითაც კომუნისტები მეტისმეტად გულმოდგინედ არიან გართულნი, არამედ იმისათვის, რომ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობა. ამას კი ჩვენ თვითონ, უცხოეთის კაპიტალის დაუხმარებლად, ვერ ვიზამთ. ყველასათვის, ვინც კი სინამდვილეს ფხიზლად უყურებს, ეს აშკარა უნდა იყოს. აი რატომ მოიპოვა კონცესიების საკითხმა ისეთი მნიშვნელობა, რომ პარტიულ ყრილობას მოუხდა ამ საკითხის განხილვა.

ცოტაოდენი კამათის შემდეგ სახკომსაბჭომ მიიღო საკონცესიო ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები. მე ახლა წაგიკითხავთ მათ და აღვნიშნავ ყველა პრინციპს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, ან რომლებიც უთანხმოებას იწვევენ. თუ პარტიის ყველა წევრნი, მეტადრე პროფმოძრაობის, ე. ი. პროლეტარიატის ორგანიზებული

მასების, პროლეტარიატის ორგანიზებული უმრავლესობის ხელმძღვანელნი, თუ ისინი ნამდვილ მდგომარეობას ვერ შეიგნებენ, აქედან სათანადო დასკვნებს ვერ გააკეთებენ, მაშინ, რასაკვირველია, რაიმე სამეურნეო მშენებლობაზე სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება. მე პუნქტობრივ წავიკითხავ საკონცესიო ხელშეკრულების ძირითად პრინციპებს, როგორც ისინი მიღებულია სახკომსაბჭოს მიერ. უნდა დავძინო, რომ დღემდე ჩვენ არც ერთი კონცესია არ დაგვიდვია. პრინციპულ უთანხმოებათა გამოხატვა ჩვენ მოვასწარით — ამ მხრივ ჩვენ დიდი ოსტატები ვართ, — მაგრამ არც ერთი კონცესია არ დაგვიდვია. შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ეს გაუხარდებათ. თუ აღმოჩნდებიან, ეს სამწუხარო იქნება, ვინაიდან, თუ ჩვენ კონცესიებისათვის კაპიტალს ვერ მოვიზიდავთ, ცხადია, არავითარი სამეურნეო საქმიანობა ჩვენ არ გვქონია. მაგრამ კომუნისტისათვის რეზოლუციებში დიდი გასაქანი რჩება. რეზოლუციებით რამდენიც გნებავთ შეგიძლიათ შეავსოთ ქაღალდის ნარჩენები. პირველი პუნქტი:

«1. კონცესიონერს ევალება გააუმჯობესოს საკონცესიო საწარმოებში დაბანდებული მუშების მდგომარეობა (იმავე ადგილის ანალოგიურ საწარმოებში დაბანდებულ სხვა მუშებთან შედარებით) საშუალოსაზღვარგარეთულ ნორმამდე».

ხელშეკრულებაში ჩვენ შეგვაქვს ეს ძირითადი დებულება იმისათვის, რომ კომუნისტები და ჩვენი სამეურნეო დაწესებულებების ხელმძღვანელები ერთბაშად შევიყვანოთ საკითხის ცენტრში. რა არის ჩვენთვის კონცესიებში ყველაზე მნიშვნელოვანი? რა თქმა უნდა, პროდუქტთა რაოდენობის გადიდება. ეს თავისთავად გასაგებია. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე, თუ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი არა, ის, რომ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ საკონცესიო სარეწებში დაბანდებული მუშების მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას. საკონცესიო ხელშეკრულების ეს დებულებანი მიღებულია საკითხის მრავალგზის განხილვის შემდეგ, კერძოდ, მრავალგზის მოლაპარაკების საფუძველზე,

რასაც საზღვარგარეთ აწარმოებდა რუსეთის სფს რესპუბ-ლიკის ზოგიერთი რწმუნებული, განსაკუთრებით ამხ. კრა-სინი, თანამედროვე კაპიტალიზმის ზოგიერთ ფინანსურ მეფესთან. უნდა ითქვას, რომ ჩვენში, იგულისხმება, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, კომუნისტების დიდმა უმრავლესობამ წიგნაკებით იცის, თუ რა არის კაპიტალიზმი და ფინანსური კაპიტალი, იქნებ ბროშურებიც კი დაუწერიათ ამაზე, მაგრამ ფინანსური კაპიტალის წარმომადგენლებთან საქმიანად მოლა-პარაკება 100-დან 99 კომუნისტს არ შეუძლია, და ისინი ამას ვერასოდეს ვერ ისწავლიან.

ამ მხრივ ამხ. კრასინს განსაკუთრებული მომზადება აქვს, რადგან გერმანიაშიც და რუსეთშიც ის პრაქტიკულადაც და ორგანიზაციულადაც სწავლობდა მრეწველობის პირობებს. ამხ. კრასინს ეუწყა ეს პირობები, და მან გვიპასუხა: «საერთოდ მისაღებიაო». უწინარეს ყოვლისა, კონცესიონერს ევალება გააუმჯობესოს მუშების მდგომარეობა. კრასინის წინასწარ მოლაპარაკებაში ნავთის ერთ-ერთ მეფესთან საკითხი ეხებოდა სწორედ ამ გარემოებას, ამასთან დასავ-ლეთ-ევროპელი კაპიტალისტებისათვის ცხადი იყო, რომ ნაყოფიერების გადიდების ვარაუდი მუშების ახლანდელი მდგომარეობის დროს სრულიად შეუძლებელია. კონცესიო-ნერისათვის იმ ვალდებულების დაკისრება, რომ მან მუშების მდგომარეობა გააუმჯობესოს, რაიმე ჰუმანური მისწრაფება კი არ არის, არამედ საკითხის წმინდა საქმიან მხარეს წარ-მოადგენს. მეორე პუნქტი:

«2. ამასთან მხედველობაშია მიღებული რუსი მუშის შრომის დაბალი ნაყოფიერება, გათვალისწინებულია რუსი მუშის შრომის ნაყოფიერების ნორმის შეძლებისამებრ გადასინჯვა მის მიერ ცხოვრების უკეთესი პირობების მიღწევის კვალო-ბაზე».

ეს შენიშვნა აუცილებელი იყო პუნქტის ცალმხრივი გან-მარტების თავიდან ასაცილებლად. ყველა ეს პუნქტი არის წესები და დირექტივები საბჭოთა ხელისუფლების ყველა წარმომადგენლისათვის, რომლებსაც კი საქმე ექნებათ

კონცესიებთან, და წარმოადგენენ სახელმძღვანელო მითითებებს, რომელთა საფუძველზედაც შემუშავდება ხელშეკრულებანი. ჩვენ გვაქვს პროექტი ნავთის ხელშეკრულებისა, საკისრების მწარმოებელი ქარხნების ხელშეკრულებისა, გვაქვს ხე-ტყის კონცესიების პროექტი და გვაქვს ხელშეკრულება კამჩატკის შესახებ, რომლის გამოც დიდი ხანია ლაპარაკია, მაგრამ რომელიც მრავალი პირობის გამო ვერ ხორციელდება. მეორე პუნქტი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ პირველი პუნქტი პირდაპირი აზრით არ ყოფილიყო მიღებული. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შრომის ნაყოფიერება მანამდე არ გადიდდება, სანამ მუშების მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. ამის გათვალისწინებაზე უარისთქმა იმას ნიშნავს, რომ კონცესიების ყველა საკითხი ერთბაშად დავაყენოთ ისეთ არასაქმიან ნიადაგზე, როცა კაპიტალისტი ლაპარაკსაც კი არ მოისურვებს. მესამე პუნქტი:

«3. კონცესიონერი ვალდებულია საზღვარგარეთიდან ჩამოუტანოს საკონცესიო საწარმოებში დაბანდებულ მუშებს მათი ცხოვრებისათვის საჭირო საგნები და მიჰყიდოს მუშებს არაუძვირეს თვითღირებულებისა, პლუს ზედნადები ხარჯების განსაზღვრული პროცენტი».

აქ განზრახული იყო 10%-ის დაწესება, მაგრამ საბოლოო განხილვისას ჩვენ პროცენტის ოდენობა ამოვაგდეთ. აქ საგულისხმოა ის, რომ ჩვენ საფუძვლად ვიღებთ მუშების ცხოვრებისათვის საჭირო საგნების საზღვარგარეთიდან ჩამოტანას. ჩვენ ვიცით, რომ იმ პირობებში, რომლებშიც გლეხური მეურნეობა და სათბობის საკითხია, უახლოეს წლებში ვერ შევძლებთ მუშათა მდგომარეობის ძირეულად გაუმჯობესებას და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების გადიდებასაც. მაშასადამე, საჭიროა, რათა კონცესიონერმა ამ ხელშეკრულებაში აღნიშნოს, რომ აუცილებელია მოხმარების ყველა საშუალების ჩამოტანა საზღვარგარეთიდან, რის განხორციელებაც მისთვის სავსებით შესაძლებელია. ამ მხრივ ჩვენ უძვე გვაქვს კაპიტალიზმის ზოგიერთი ონავრის წინასწარი თანხმობა. კონცესიონერები დათანხმდებიან ამ პირო-

ბებს, ვინაიდან მათთვის მეტისმეტად აუცილებელია მიიღონ ნედლეული, რომელიც უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს. ნედლეულის ჩამოტანა მათთვის უაღრესად აუცილებელია. დაბანდებული იქნება თუ არა ამ დაკვრითს საწარმოებში ათი, ოცი თუ ოცდაათი ათასი მუშა, კონცესიონერებს სრულიადაც არ გაუძნელდებათ იშოვონ მუშებისათვის საჭირო საგნები იმ კავშირურთიერთობის დროს, რომელიც აქვთ თანამედროვე სინდიკატებს და ტრესტებს, რადგან ისეთი კაპიტალისტები, რომლებიც სინდიკატებად და ტრესტებად არ იყვნენ გაერთიანებულნი, თითქმის არ დარჩენილან, ხოლო ყველა მსხვილი საწარმო აგებულია მონოპოლიაზე, არა თავისუფალ ბაზარზე, მაშასადამე, მათ ძალუძთ აღკვეთონ ნედლეულისა და პროდუქტების მიღება სხვა კაპიტალისტებისათვის, თვითონ კი შესაძლებლობა აქვთ მიიღონ იმდენი პროდუქტი, რამდენიც საჭირო იქნება ყოველგვარი წინასწარი ხელშეკრულებებით. ეს სინდიკატები ასეულ მილიონებს ატრიალებენ. მათ შესაძლებლობა ექნებათ თავიანთ განკარგულებაში იქონიონ სურსათის უზარმაზარი მარაგი, მაშასადამე, ისინი შეძლებენ იშოვონ ეს სურსათი და სხვა საჭირო საგნები რამდენიმე ათეული ათასი მუშისათვის და გადმოისროლონ რუსეთში.

მათთვის ეს არავითარ სამეურნეო სიძნელეს არ შეადგენს. ისინი ამ საწარმოებს შეხედავენ როგორც დაკვრით საწარმოებს, მიიღებენ 100% მოგებას, თუ 1 000% არა, და მოამარაგებენ ამ საწარმოებს სურსათით. ვიმეორებ, მათთვის ეს ეკონომიურ სიძნელეს არ წარმოადგენს. ჩვენს საკონცესიო პოლიტიკას საფუძვლად უნდა დავუდოთ პირველი რიგის საწარმოების და შემდეგ უკვე დანარჩენი საწარმოების მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანა. შემდეგი, მეოთხე პუნქტი:

«4. ამასთან კონცესიონერი ვალდებულია, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სფს რესპუბლიკის მთავრობა ამას მოითხოვს, ჩამოიტანოს საკონცესიო საწარმოებში დაბანდებული მუშებისათვის ჩამოსატანის გადამეტებით კიდევ 50 — 100%

ამ რაოდენობისა და მისცეს ეს რსფს რესპუბლიკის მთავრობას იმავე ფასად (თვითღირებულება პლუს ზედნადები ხარჯების განსაზღვრული პროცენტი). რსფს რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს გადაიხადოს ეს ფასი კონცესიონერის მიერ მოპოვებული პროდუქტის წილით (ე. ი. გამოქვითოს თავისი წილობრივი ანარიცხიდან)».

ეს პირობაც ფინანსურ მეფეებთან წარმოებული წინასწარი მოლაპარაკების დროს მათ მიერ შესაძლებლად იქნა ცნობილი, რადგან საკონცესიო საწარმოები მათთვის დაკვრითი საწარმოებია.

თუ ავიღებთ ისეთ საგნებს, როგორიცაა ნავთი, რომელიც მათ შეუძლიათ ჩვენგან მიიღონ, მათ საშუალება ექნებათ გაყიდონ იგი საზღვარგარეთ როგორც მონოპოლისტებმა. ამიტომ ისინი შეძლებენ მოგვცენ სურსათი არა მარტო იმ მუშებისათვის, რომლებიც საწარმოში არიან დაბანდებულნი, არამედ გარკვეული პროცენტი ამის გადამეტებითაც. თუ ამ პუნქტსა და პირველ პუნქტს ერთმანეთს შეადარებთ, დაინახავთ, თუ რა შეადგენს საკონცესიო პოლიტიკის ძირითად ღერძს: ეს არის მუშების, უწინარეს ყოვლისა საკონცესიო საწარმოებში დაბანდებული მუშების, შემდეგ კი, ცოტათი ნაკლებად, აგრეთვე სხვა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება და ამისათვის მოხმარების გარკვეული საგნების მიღება საზღვარგარეთიდან. ამ საგნებს ჩვენ ახლა, როგორც საერთაშორისო ბაზარზე შემყიდველნი, ვერ ვიღებთ, თუნდაც მათი ანაზღაურება შეგვეძლოს. როცა გამოდიხართ ვალუტით, მაგალითად, ოქროთი, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ თავისუფალი ბაზარი არ არსებობს, რომ მთელი, ან თითქმის მთელი, ბაზარი დაკავებული აქვთ სინდიკატებს, კარტელებსა და ტრესტებს, რომლებიც თავიანთი იმპერიალისტური მოგებით ხელმძღვანელობენ და მომარაგების საგნებს მუშებს მისცემენ მხოლოდ თავიანთი საწარმოებისათვის და არა სხვებისათვის, იმიტომ რომ ძველი კაპიტალიზმი — თავისუფალი ბაზრის აზრით — აღარ არსებობს. აქ თქვენ ხედავთ საკონცესიო პოლიტიკის არსს ფინანსური კაპიტალის

ახლანდელ პირობებთან შეფარდებით, ხედავთ ტრესტების უდიდესი ბრძოლის, ერთი ტრესტის მეორის წინააღმდეგ ბრძოლის არსს. საკონცესიო პოლიტიკა არის კავშირი, რომელსაც ერთი მხარე დებს მეორე მხარის წინააღმდეგ, და, ვიდრე ჩვენ არასაკმაოდ ძლიერნი ვართ, ჩვენ, რათა საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებამდე თავი გავიტანოთ, უნდა გამოვიყენოთ მათი მტრობა ერთმანეთთან. მათთვის მუშების მდგომარეობის უზრუნველყოფა შესაძლებელია იმიტომ, რომ ზედმეტი ოცი-ოცდაათი ათასი მუშის უზრუნველყოფა არაფერს არ წარმოადგენს თანამედროვე მსხვილი საწარმოსათვის. ჩვენ კი ეს მოგვცემდა შესაძლებლობას დაგვეფარა ხარჯი ნედლეულით, — მაგალითად, ნავთით. ჩვენ რომ შევძლებდეთ ხე-ტყის, მადნის — ამ ჩვენი მთავარი ფასეულობის — დამატებითი რაოდენობით ავანაზღაუროთ მუშების ცხოვრებისათვის საჭირო საგნების ეს დამატებითი რაოდენობა, ჩვენ საშუალება გვექნებოდა პირველ რიგში გაგვეუმჯობესებინა იმ მუშების მდგომარეობა, რომლებიც საკონცესიო საწარმოებში არიან დაბანდებულნი, ხოლო ნაჭარბი მოხმარდებოდა სხვა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას — ნაკლები ოდენობით. პუნქტი მეხუთე:

«5. კონცესიონერი ვალდებულია დაიცვას რსფს რესპუბლიკის კანონები და, კერძოდ, შრომის პირობების, ხელფასის გაცემის ვადების და სხვათა შესახებ, დადოს შეთანხმება პროფკავშირებთან (იმ შემთხვევაში, თუ კონცესიონერი მოითხოვს, ჩვენ თანახმანი ვართ დავძინოთ, რომ ასეთი შეთანხმების დროს ორივე მხარისათვის სავალდებულოა საშუალო ამერიკელი ან დასავლეთ-ევროპელი მუშის ნორმა)».

ეს შენიშვნა მიღებულია იმისათვის, რომ საფუძველი არ ექნეს კაპიტალის შიშს ჩვენი პროფკავშირების მიმართ. თუ ჩვენ ვამბობთ: უნდა დადონ შეთანხმება კავშირებთანო, ეს იმიტომ, რომ მთელ კანონმდებლობას წითელ ზოლად გასდევს პროფკავშირების მონაწილეობა; იმიტომ რომ ყველა კანონში, რომელსაც კი ამგვარი ხასიათის არსებითი

მნიშვნელობა აქვს, შემოღებულია პროფკავშირების მონაწილეობა და კავშირების მდგომარეობა, რომელიც სოციალისტურ პრინციპებს შეესაბამება, უზრუნველყოფილია კანონით. ჩვენ რომ გვეთქვა: კაპიტალისტი უნდა შეუთანხმდეს პროფკავშირებსო, მაშინ კაპიტალისტს, რომელიც საქმეს კარგად იცნობს, რომელმაც იცის, რომ პროფკავშირებს ხელმძღვანელობენ კომუნისტური ფრაქციები და მათი მეშვეობით ხელმძღვანელობს პარტია, შეეძლო შიში დაბადებოდა, რომ ამ კომუნისტებისაგან ყოველგვარი სისულელეა მოსალოდნელია, და შეეძლო სრულიად წარმოუდგენელი პირობები წამოეყენებინა. კაპიტალისტის თვალსაზრისით, ასეთი შიში სავსებით ბუნებრივია. ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ საქმიანი შეთანხმების ნიადაგზე ვდგავართ — წინააღმდეგ შემთხვევაში სალაპარაკოც არაფერი გვექნება. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ თანახმანი ვართ ასეთი დამატება შევიტანოთ. თანახმანი ვართ ჩვენთვის და ჩვენი პროფკავშირებისათვის მივიღოთ, რომ ეს ნორმა უდრის საშუალო ამერიკულ თუ დასავლეთ-ევროპულ სამუშაო ნორმას. სხვანაირად, ვიმეორებ, ლაპარაკიც კი არ შეიძლება კაპიტალისტურ ურთიერთობასთან შეგუებულ რაიმე ხელშეკრულებაზე. პუნქტი მეექვსე:

«6. კონცესიონერი ვალდებულია მტკიცედ დაიცვას მეცნიერულ-ტექნიკური წესები, რომლებიც შეესაბამებიან რუსეთისა და საზღვარგარეთის კანონმდებლობას (დაწვრილებით თვითეულ ხელშეკრულებაში)».

ეს პუნქტი ხელშეკრულებაში განსაკუთრებით დაწვრილებით იქნება განვითარებული. მაგალითად, ნავთის ხელშეკრულება შეიცავს 10 მუხლს, რომლებშიც დაწვრილებით გადმოცემული და აწერილია მეცნიერული წესები. კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი თვისებაა მისი უუნარობა იზრუნოს როგორც მიწის, ისე მუშახელის მეცნიერულად სწორი ექსპლოატაციისათვის. ამის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას მეცნიერულ-ტექნიკური წესები წარმოადგენენ. ჩვენ ვიცით, რომ, მაგალითად, ნავთის სარეწები, რამდე-

ნადმე არასწორი ან არასაკმაოდ სწორი ექსპლოატაციის დროს, გაწყლიანდება ხოლმე. ცხადია, რომ ჩვენთვის ტექნიკური მოწყობილობის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ მოგაგონებთ, რომ დაახლოებითი გამოანგარიშება იმისა, თუ რა გვესაჭიროება ჩვენ ამ მოწყობილობიდან, მოცემულია წიგნაკში «რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმა». აბსოლუტურად ზუსტი ციფრები არ მახსოვს, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ელექტრიფიკაციის ხარჯები განსაზღვრულია 17 მილიარდი ოქროს მანეთით, ამასთან პირველი რიგის სამუშაოები შეიძლება შესრულდეს დაახლოებით ათი წლის ვადაში. ჩვენ ვვარაუდობთ ამ თანხიდან 11 მილიარდი მანეთი დავფაროთ ჩვენი ფონდით, როგორც ოქროს ფონდით, ისე ექსპორტით; და, მაშასადამე, დაუფარავი რჩება 6 მილიარდი მანეთი. ამასთან დაკავშირებით, ამ ნაშრომის ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ საჭირო გახდება ან სასესხო ვალდებულებანი გავცეთ, ანდა კონცესიები. ეს დეფიციტი უნდა დავფაროთ. გეგმა დამუშავებულია საუკეთესო სპეციალისტების მიერ მთელი რესპუბლიკისათვის — მრეწველობის ყველა დარგის გეგმაზომიერი განვითარების თვალსაზრისით. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება მრეწველობის ყველა უმთავრესი დარგისათვის საჭირო სათბობს და ამ სათბობის რაც შეიძლება უფრო მომჭირნეობით, რაციონალურად და უნაკლოდ გამოყენებას. ჩვენ ამ ამოცანას ვერ გადავწყვეტდით, საკონცესიო და სასესხო რესურსები რომ არა გვქონდეს. ეს პირობები, რასაკვირველია, ზოგიერთ, უაღრესად სასურველ, მომენტში, არარსებული აღმოჩნდება. განსაკუთრებით დიდი გაფიცვის შემდეგ, როგორიცაა ის გაფიცვა, რომელიც ახლა ინგლისში ხდება, ან როგორიცაა ის გაფიცვა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მარცხით დამთავრდა გერმანიაში[71]. მაგრამ წარუმატებელ გაფიცვას მოჰყვება წარმატებითი გაფიცვა და წარმატებითი რევოლუცია, და მაშინ ჩვენ აღმოვჩნდებით არა კაპიტალისტურ, არამედ სოციალისტურ ურთიერთობაში.

ნავთის მოპოვების დროებით შეწყვეტის საფრთხეს კატასტროფული ხასიათი ეძლევა. კაპიტალისტებმა ვერ მიაღწიეს იმ ნორმას, რომელიც 1905 წლამდე იყო ბაქოში. თურმე, ნავთის საზღვარგარეთულ საბადოებშიც, მაგალითად, კალიფორნიასა და რუმინეთში, არსებობს სარეწების გაწყლიანების საფრთხე. წყლის არასაკმაოდ ამოტუმბვა უფრო და უფრო მეტ გაწყლიანებას იწვევს.

საზღვარგარეთისა და რუსეთის კანონმდებლობაში ამის შესახებ დაწვრილებითი წესები მოიპოვება. როდესაც ბაქოში ამ საქმეს ვიკვლევდით, ვეკითხებოდით ჩვენს სპეცებს, თუ როგორია რუმინეთისა და კალიფორნიის კანონმდებლობა. ჩვენი ნედლეულის წყაროები რომ შევინარჩუნოთ, უნდა მივაღწიოთ მეცნიერულ-ტექნიკური წესების შესრულებასა და დაცვას. მაგალითად, თუ საკითხი ეხება ტყის გაცემას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სატყეო მეურნეობა მართებულად წარმოებდეს. თუ საკითხი ეხება ნავთის კონცესიის გაცემას, უნდა გავითვალისწინოთ გაწყლიანებასთან ბრძოლა. ამრიგად, აქ საჭიროა მეცნიერულ-ტექნიკური წესების დაცვა და რაციონალური ექსპლოატაცია. საიდანღა ვიღებთ ამ ცნებებს? მათ ვიღებთ რუსეთის და საზღვარგარეთის კანონმდებლობიდან. ამით თავიდან ვიცილებთ იმ შიშს, თითქოს ეს წესები თვითონ ჩვენი გამოგონილი იყოს, რადგან მაშინ არც ერთი კაპიტალისტი არ მოისურვებს ჩვენთან მოლაპარაკებას. ჩვენ ვიღებთ იმას, რაც რუსეთისა და საზღვარგარეთულ კანონმდებლობაში მოიპოვება. თუ ჩვენ ავიღებთ უკეთესს, რაც არის რუსეთის და ყოველ საზღვარგარეთულ კანონმდებლობაში, მაშინ ამ საფუძველზე ჩვენ გვექნება შესაძლებლობა უზრუნველვყოთ ის ნორმა, რომელსაც ახლა მოწინავე კაპიტალისტი აღწევს. ეს არის გარკვეული საქმიანი ნორმა, და ეს ნორმა აღებულია არა კომუნისტური ფანტაზიიდან, რისაც ყველაზე მეტად ეშინიათ კაპიტალისტებს, არამედ აღებულია კაპიტალისტური პრაქტიკიდან. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ამ ხელშეკრულებებში იმაზე შორს არ წავალთ, რაც არის კაპიტალისტურ კანონმდებლობაში

ყველა პირობისას და ყოველ მხრივ, საკონცესიო ხელშეკრულების ყველა პუნქტში. აი ეს ძირითადი დებულება ერთ წუთსაც კი არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენ კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნიადაგზე უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს პირობები მისაღებია კაპიტალისტებისათვის, რომ ეს პირობები ხელსაყრელია მათთვის და ამასთან ერთად ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ეს ჩვენთვისაც ხელსაყრელი გამოდგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი ლაპარაკი კონცესიების შესახებ ლიტონსიტყვაობა იქნება. მაშ, ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რაც აღიარებულია კაპიტალისტურ კანონმდებლობაში. ყველამ იცის, რომ მოწინავე კაპიტალიზმი საქმის ტექნიკურ გაუმჯობესებათა, საქმის ტექნიკური დაყენების თვალსაზრისით შეუდარებლად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩვენი ახლანდელი მრეწველობა. ამრიგად, ჩვენ მარტო რუსეთის კანონმდებლობით არ ვიზღუდავთ თავს. მაგალითად, ნავთის შესახებ ჩვენ მასალები ავიღეთ რუსეთის, რუმინეთისა და კალიფორნიის კანონმდებლობიდან. ჩვენ უფლება გვაქვს ავიღოთ ყოველი კანონი, და ამით თავიდან ვიცილებთ ყოველგვარ ეჭვს, თითქოს აქ რაღაცა გამონაგონი და თვითნებობა იყოს. თანამედროვე მოწინავე კაპიტალისტისათვის, ფინანსური მეფეებისა და თანამედროვე ფინანსური კაპიტალისათვის ეს გასაგებია. ისინი ეგუებიან საზღვარგარეთულ პირობებსა და საზღვარგარეთულ ნორმას. ჩვენ ამ ნორმას ვაყენებთ კაპიტალიზმის საქმიან მოთხოვნათა გათვალისწინების საფუძველზე. ჩვენ არ გამოვდივართ რაღაც ფანტაზიების ნიადაგზე და ამავე დროს ვისახავთ პრაქტიკულ მიზანს — გავაუმჯობესოთ ჩვენი მრეწველობა იმდენად, რომ იგი მოწინავე თანამედროვე კაპიტალიზმს შეესაბამებოდეს. ყველას, ვინც კი ჩვენი მრეწველობის მდგომარეობას იცნობს, ესმის, რომ ეს გაუმჯობესება უდიდესია. ჩვენ რომ ამ დებულებებს განვახორციელებდეთ მრეწველობის განსაზღვრული ნაწილის მიმართ, თუნდაც მეათედი ნაწილის მიმართ, ეს იქნებოდა უზარმაზარი ნაბიჯის გადადგმა წინ, რაც შესაძლებელია

მათთვის და უაღრესად სასურველია ჩვენთვის. მეშვიდე პუნქტი:

«7. მე-4 პარაგრაფის ანალოგიური წესი მყარდება იმ მოწყობილობის მიმართ, რომელსაც კონცესიონერი ხაზღვარგარეთიდან ჩამოიტანს».

მეოთხე პუნქტი ამბობს, რომ, გარდა იმისა, რასაც კონცესიონერი თავისი სამუშაოებისათვის ჩამოიტანს, მან განსაკუთრებულ ფასად უნდა ჩამოიტანოს ამის გადამეტებით ერთგვარი რაოდენობა გასაყიდად, თუ ამას ხელშეკრულებაში შევიტანთ. თუ კაპიტალისტი თავისთვის ჩამოიტანს გაუმჯობესებულ ბურღებსა და ინსტრუმენტებს, ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ მისთვის საჭირო ბურღების გადამეტებით მან, ვთქვათ, 25%, ჩამოიტანოს ჩვენთვის და ამას ჩვენ ავანაზღაურებთ ისევე, როგორც მე-4 პარაგრაფის მიხედვით, ე. ი. გადავიხდით თვითღირებულებას პლუს ზედნადები ხარჯების განსაზღვრული პროცენტი.

მომავალი ძალიან ხელსაყრელია. მაგრამ არასგზით არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ეს ორი საქმიანობა: ერთი მხრივ, სააგიტაციო საქმიანობა, რომელიც გვიახლოებს ამ მომავალს, ხოლო მეორე მხრივ — უნარი მოვეწყოთ ახლა ისე, რომ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიარსებოთ. თუ ამას ვერ შევძლებთ, მაშინ ჩვენზე ზედგამოჭრილი იქნება იმ ანდაზის არასასიამოვნო მხარეები, რომელიც ამბობს: «ვიდრე მზე ამოვიდოდეს, ცვარმა თვალები დამივსოო». ჩვენ უნდა შევძლოთ და დავეყრდნოთ კაპიტალისტური მსოფლიოს თავისებურებებს, გამოვიყენოთ ნედლეულისადმი კაპიტალისტების სიხარბე და აქედან მივიღოთ ისეთი სარგებლობა, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა — რაც უნდა უცნაური იყოს ეს — კაპიტალისტებს შორის. ამოცანა თითქოს უცნაურია: რანაირად შეუძლია სოციალისტურ რესპუბლიკას გაიუმჯობესოს მდგომარეობა კაპიტალიზმზე დაყრდნობით? მაგრამ ჩვენ ამას ვხედავდით ომის დროს. ჩვენ გავიმარჯვეთ ომში არა იმიტომ, რომ უფრო ძლიერნი ვიყავით, არამედ იმიტომ, რომ, ვიყავით რა უფრო სუსტნი, გამოვიყე-

ნეთ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებული მტრობა. ახლა ჩვენ ან გამოვიყენებთ ტრესტების ურთიერთ-მტრობას, ან კაპიტალისტურ თავისებურებებთან შეუგუებელნი აღმოვჩნდებით და კაპიტალისტური გარემოცვის სისტემაში არსებობას ვერ შევძლებთ. პუნქტი მერვე:

«8. საკითხი, თუ როგორ მიეცეს ხელფასი საკონცესიო საწარმოებში დაბანდებულ მუშებს — უცხოეთის ვალუტით, განსაკუთრებული ბონებით თუ საბჭოთა ფულით და სხვ., თვითეულ ხელშეკრულებაში განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით».

აქ, როგორც ხედავთ, ჩვენ ვიღებთ ყოველგვარ საზღაურს: უცხო ვალუტით, ბონებით, საბჭოთა ფულით, და წინასწარ ვთანხმდებით კეთილსასურველად განვიხილოთ ყველა წინადადება, რომლითაც კი საქმიანი ხალხი ჩვენ მოგვმართავს. კონკრეტული წინადადებებიდან ჩვენს წარმომადგენლებს მოუსმენიათ წინადადება ვანდერლიპისა, რომელიც ამბობდა: «ჩემი სურვილი იქნებოდა მუშებისთვის საშუალო ხელფასი მიმეცა, ვთქვათ, ერთ-ნახევარი დოლარი დღეში. შემდეგ, ჩემს საკონცესიო ტერიტორიაზე დუქნებს მოვაწყობდი; ამ დუქნებში მექნება მუშებისათვის საჭირო ყველა საგანი, ხოლო დუქნებიდან საქონლის მიღება შეეძლება იმას, ვინც განსაზღვრულ ბონებს მიიღებს, ბონებს კი მხოლოდ იმ მუშებს მივცემ, რომლებიც ჩემს საკონცესიო საწარმოებში იქნებიან დაბანდებულნიო». ასე იქნება თუ ისე, მაგრამ პრინციპულად ჩვენ ეს სავსებით მისაღებად მიგვაჩნია. რასაკვირველია, აქ ბევრი სიძნელე იქმნება. კონცესია, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას ითვალისწინებს, საბჭოთა თვალსაზრისს რომ შეუხამო — ეს, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე როდია, და ყოველი ასეთი ცდა, როგორც ვთქვი, განგრძობაა კაპიტალიზმის ბრძოლისა სოციალიზმთან. ამ ბრძოლამ ფორმები შეიცვალა, მაგრამ იგი ბრძოლად დარჩა. ყოველი კონცესიონერი კაპიტალისტად რჩება, და იგ შეეცდება ძირი გამოუთხაროს საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენ კი უნდა ვეცადოთ, რომ მისი სიხარბე გამოვიყენოთ. ჩვენ

ვამბობთ: «150%-საც არ დავიშურებთ, თუ ჩვენი მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას მივაღწევთ». აი რის გამო იწარმოებს ბრძოლა. აქ, რასაკვირველია, კიდევ უფრო მეტი სიმარჯვეა საჭირო, ვიდრე ყოველი სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისათვის ბრძოლის დროს. ყოველი სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისას ბრძოლა ხდება, ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც ზურგსუკან დგანან. თუ ჩვენ ხელს ვაწერდით სამშვიდობო ხელშეკრულებას ლატვიასთან, ფინეთთან და პოლონეთთან, თვითეული ამ სახელმწიფოს ზურგსუკან იდგნენ უცხოეთის სახელმწიფოები, რომლებიც მათ თავიანთ ნებაზე ატარებდნენ. და ჩვენ ეს ხელშეკრულებანი ისე უნდა დაგვედო, რომ მათ, ერთი მხრივ, ბურჟუაზიული რესპუბლიკებისათვის არსებობის შესაძლებლობა მიეცათ, ხოლო მეორე მხრივ — უზრუნველეყოთ სარგებლობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მსოფლიო დიპლომატიის თვალსაზრისით. ყოველი სამშვიდობო ხელშეკრულება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან არის ხელშეკრულება, რომელიც აღბეჭდავს ომის გარკვეულ პუნქტებს. სწორედ ასევე საკონცესიო ხელშეკრულების თვითეული პუნქტი არის სამხედრო ხელშეკრულება იმ აზრით, რომ თვითეული პუნქტის გამო ომი იყო. და უნდა შეგვეძლოს ისე დავაყენოთ საქმე, რომ ჩვენი ინტერესები დავიცვათ ამ ომში. ამის გაკეთება შეიძლება იმიტომ, რომ კაპიტალისტი დიდ მოგებას იღებს საკონცესიო საწარმოდან, ჩვენ კი ერთგვარად ვაუმჯობესებთ ჩვენი მუშების მდგომარეობას, პროდუქტების ერთგვარ წანამატს ვიღებთ წილობრივი ანარიცხის საშუალებით. თუ ანაზღაურება უცხო ვალუტით მოხდება, იბადება მთელი რიგი რთული საკითხები: როგორ გადავცვალოთ ეს ვალუტა საბჭოთა ფულზე? როგორ ვებრძოლოთ სპეკულაციას? და ა. შ.. ჩვენ წინასწარ ვამბობთ, რომ ანაზღაურების ყოველგვარი წესის წინააღმდეგ ჩვენ ბრძოლას შევძლებთ, და არავითარი ასეთი წესი ჩვენთვის საშიში არ არის. გამოიგონეთ, ბატონო კაპიტალისტებო, ყოველივე, რაც გნებავთ, — აი რას ამბობს ეს

პუნქტი. ჩამოიტანთ საქონელს და გაყიდით მას განსაკუთრებულ ბონებზე, გაიყიდება იგი განსაკუთრებული პირობებით, თუ მხოლოდ კონცესიაში მომუშავე მუშების სახელობითი მოწმობით, — ჩვენთვის ეს სულ ერთია. ჩვენ შევძლებთ ყოველგვარ პირობას ისე შევეგუოთ, რომ ვიომოთ თქვენთან ამ პირობების ნიადაგზე და ბრძოლით მოვიპოვოთ ჩვენი მუშების მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება. აი ამოცანა, რომელსაც ჩვენ ვისახავთ. თუ როგორ გადაწყდება ეს ამოცანა საკონცესიო ხელშეკრულებაში — ამის თქმა შეუძლებელია. სადღაც კამჩატკაში არ შეიძლება ანაზღაურების იგივე პირობები წამოაყენო, როგორც ჩვენში ან ბაქოში. თუ კონცესია დონეცის აუზში იქნება, ანაზღაურების ფორმები არ შეიძლება იგივე იყოს, რაც შორეულ ჩრდილოეთში იქნება. ჩვენ აქ ანაზღაურების ფორმის მხრივ კაპიტალისტები არაფრით არ შეგვიბოჭავს. ხელშეკრულების თვითეულ პუნქტში იქნება კაპიტალისტების ბრძოლა სოციალისტებთან. ჩვენ ამ ბრძოლისა არ გვეშინია და წინასწარ დარწმუნებული ვართ, რომ მოვახერხებთ კონცესიებიდან შესაძლო სარგებლობის მიღებას. პუნქტი მეცხრე:

«9. უცხოელ კვალიფიციურ მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავების, მატერიალური ყოფაცხოვრებისა და ანაზღაურების პირობები წესდება კონცესიონერის თავისუფალი შეთანხმებით მოსამსახურეთა და მუშათა აღნიშნულ კატეგორიასთან.

პროფკავშირებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ ასეთი მუშების მიმართ რუსეთის სატარიფო განაკვეთების, აგრეთვე დაქირავების შესახებ რუსეთის წესების შეფარდება».

მეცხრე პუნქტი ჩვენ სრულიად აუცილებლად მიგვაჩნდა, რადგან კაპიტალისტების მხრივ კომუნისტებისადმი ნდობის კარაუდი უაღრესი სისულელე იქნებოდა. ეს ცხადია — პრინციპულადაც და მით უფრო «საქმოსნური» თვალსაზრისითაც. და თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ჩვენთვის საეალდებულოა დაქირავების ამ პირობების დადასტურება პროფესიული კავშირების მიერო, თუ ჩვენ კაპიტალისტებს

ვეტყვით, რომ ჩვენ მივიღებთ ყოველ საზღვარგარეთელ ტექნიკოსს თუ სპეციალისტს, მაგრამ კეთილინებეთ გაიაროთ რსფს რესპუბლიკის შრომის კოდექსიო, მაშინ, გასაგებია, რომ ვერც ერთი საზღვარგარეთელი ტექნიკოსი ამ კოდექსს ვერ გაივლის და არც მოისურვებს, ასე რომ ეს უბრალო ფორმალობა იქნებოდა. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მთავრობა ერთს ამბობს, პროფკავშირები კი სხვას იტყვიან, რადგან მთავრობა პროფკავშირები არ არის, ხოლო პროფკავშირები მთავრობა არ არისო, და აქ იურიდიული «ხრიკის» მოწყობა შეიძლება. მაგრამ ჩვენ ამას ვწერდით არა ადვოკატებისათვის, არა ვექილებისათვის, არამედ კომუნისტებისათვის. ვწერდით პარტიის X ყრილობის იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ საკონცესიო პოლიტიკა. მთელი ჩვენი ლიტერატურიდან, რომელიც ევროპელისათვის მისაწვდომია, ცნობილია, რომ საკონცესიო პოლიტიკას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელიც მთავრობის პარტიაა. ეს ცბიერი ფანდი როდია, იგი ყველა ენაზეა გადათარგმნილი. და თუ ჩვენ, როგორც ხელმძღვანელი პოლიტიკოსები, არ ვიტყოდით, რომ ჩვენ აქ არ შეგვიძლია და არც გვინდა გამოვიყენოთ ჩვენი გავლენა პროფკავშირებზეო, მაშინ არავითარ საკონცესიო პოლიტიკაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ჩვენ მათ, კაპიტალისტებს, კომუნიზმს ვერ ვასწავლით. ჩვენ ჩინებული კომუნისტები ვართ, მაგრამ კონცესიების გზით როდი დავამყარებთ კომუნისტურ წესწყობილებას. კონცესია არის ხელშეკრულება ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან. და როგორც ჩვენ საგიუეთში ჩავსვამდით ისეთ კომუნისტს, რომელიც წავიდოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დასადებად კომუნისტური პრინციპების საფუძველზე, და ვეტყოდით მას: «შენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში დიპლომატად არ ვარგიხარ, თუმცა საუცხოო კომუნისტი ხარო», ისევე საგიუეთიდან არც ისე შორს იქნებოდა ის კომუნისტიც, რომელიც საკონცესიო პოლიტიკის მიმართ მოისურვებდა გამოევლინა თავისი კომუნიზმი ხელშეკრულებაში. აქ უნდა

გვესმოდეს კაპიტალისტური ვაჭრობა, ხოლო თუ არ გესმის, მაშასადამე, არ ვარგიხარ. ან არ უნდა დადო კონცესიები, ანდა უნდა გაიგო, რომ ეს კაპიტალისტური პირობები ჩვენდა სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ, ამასთან სრული თავისუფლება მივცეთ საზღვარგარეთელ მუშებსა და ტექნიკოსებს. ამ დარგში ჩვენ, რა თქმა უნდა, შეზღუდვებს ვერ შევიტანთ.

შეზღუდვა არის შემდეგ, მეცხრე პუნქტის მესამე ნაწილში:

«უცხოელ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის პროცენტული თანაფარდობა რუს მუშა-მოსამსახურეთა მიმართ როგორც საერთო რაოდენობით, ისე ცალკეული კატეგორიების ფარგლებში, ცალკე წესდება მხარეთა შეთანხმებით თვითეული საკონცესიო ხელშეკრულების დადებისას».

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ საზღვარგარეთელი მუშების ჩამოყვანა იმ ადგილას, სადაც ჩვენ რუს მუშებს ვერ მივაწვდით, როგორც, მაგალითად, კამჩატკაში, სატყეო მრეწველობისათვის. იმ მრეწველობაში, მაგალითად, სამადნოებში, სადაც სასმელი წყალი ან სურსათი არ არის, თუ კაპიტალისტები მოისურვებენ იქ რაიმეს შენებას, მათ მუშები უნდა ჩამოიყვანონ, და ჩვენ ნებას დავრთავთ მათ დიდი წილობრივი რაოდენობით ჩამოიყვანონ ეს მუშები. პირიქით, იქ, სადაც არიან რუსი მუშები, ჩვენ ვაწესებთ პროცენტულ თანაფარდობას, რათა ჩვენს მუშებს შესაძლებლობა მივცეთ, ერთი მხრივ, ისწავლონ, ხოლო მეორე მხრივ — გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა, რადგან გვინდა კონცესიებიდან მივიღოთ სარგებლობა ჩვენი მუშებისათვის იმ აზრით, რომ გავაუმჯობესოთ საწარმოები კაპიტალისტური ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ყოველივე ეს პრინციპულ წინააღმდეგობას არ ხვდება კაპიტალისტების მხრივ. უკანასკნელი პუნქტი — მეათე:

«10. კონცესიონერს, რუსეთის სფს რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოებთან შეთანხმებით, შეიძლება უფლება მიენიჭოს მოიწვიოს მაღალკვალიფიციური სპეცია-

ლისტები რუს მოქალაქეთა რიცხვიდან; დაქირავების პირობები ყოველ ცალკე შემთხვევაში შეთანხმებულ უნდა იქნეს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან».

გასაგებია, რომ ამ მხრივ ჩვენ არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ სრული გასაქანი, როგორც საზღვარგარეთელი ტექნიკოსებისა და მუშების მიმართ. იქ ჩვენ საქმეში არ ვერევით, იქ ისინი სავსებით ემორჩილებიან კაპიტალისტურ ურთიერთობას. ჩვენი სპეციალისტებისა და ტექნიკოსებისათვის კი ასეთ თავისუფლებას ვერ შევპირდებით. ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ჩვენი საუკეთესო სპეციალისტები გამოყენებულ იქნენ საკონცესიო საწარმოებში. ჩვენ არ გვსურს, რომ მათთვის იქ კარები სავსებით დახშული იყოს, მაგრამ საჭიროა, რათა ხელშეკრულების შესრულებას ზემოდანაც და ქვემოდანაც ეწეოდეს მეთვალყურეობა. მეთვალყურეობა უნდა იყოს მუშების, კომუნისტური პარტიის წევრების მხრივ, რომლებიც იმუშავებენ საწარმოებში, — ხელშეკრულების პირობათა შესრულების მეთვალყურეობა, აგრეთვე მეთვალყურეობა საკუთარი პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიმართ, ისევე როგორც კანონმდებლობის დაცვის მეთვალყურეობა. თანამედროვე კაპიტალის ზოგიერთ მეფესთან გამართული წინასწარი მოლაპარაკების დროს ეს პუნქტი პრინციპულ წინააღმდეგობას არ შეხვედრია.

აი ყველა პუნქტი, რაც დაადასტურა სახკომსაბჭომ. იმედი მაქვს, რომ ამ პუნქტებიდან ცხადი ხდება, თუ რანაირი საკონცესიო პოლიტიკის წარმოება გვსურს ჩვენ.

ეჭვი არაა, რომ ყოველი კონცესია ახალი, თავისებური, ომი იქნება ეკონომიური ომის აზრით, იქნება ომის გადატანა სხვა სფეროში. აუცილებელია ამას შევეგუოთ, მაგრამ უნდა შევძლოთ ამის გაკეთება პარტიული ყრილობის თვალსაზრისით. აუცილებელია მოვითქვათ სული, გავიღოთ მსხვერპლი და ავიტანოთ გაჭირვება, თორემ ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ, მიზანი კი ერთია: კაპიტალისტურ გარემოცვაში ჩვენ გამოვიყენებთ კაპიტალისტების მხრივ მოგების დახარბებას და ერთი ტრესტის მტრობას მეორისადმი, რათა შევქმნათ

პირობები სოციალისტური რესპუბლიკის არსებობისათვის, რომელიც მსოფლიო კავშირურთიერთობის გარეშე ვერ იარსებებს და რომელმაც ახლანდელ პირობებში თავისი არსებობა კაპიტალისტურ ურთიერთობას უნდა დაუკავშიროს. იბადება კითხვა, როგორი იქნება კონკრეტული პირობები. მაგალითად, ნავთის ხელშეკრულებათა მიმართ ეს კონკრეტული პირობები ასეთია: მთელი გროზნოს და მთელი ბაქოს $^1/_3$ — $^1/_4$. დამუშავებულია წილობრივი ანარიცხების ოდენობა: ჩვენ დავიტოვებთ მოპოვებული ნავთის 30 — 40%-ს. ჩვენ ვაწესებთ ვალდებულებას — გარკვეულ ვადაში აყვანილ იქნეს ნავთის მოპოვება, მაგალითად, 100 მილიონამდე, ვალდებულებას — გაყვანილ იქნეს ნავთსადენი გროზნოდან და პეტროვსკიდან მოსკოვამდე. საჭირო გახდება თუ არა გარკვეული სართის გაღება — ეს საკითხი გათვალისწინებულია ყოველ ცალკეულ ხელშეკრულებაში. მაგრამ ხელშეკრულების ტიპი ამ პირობებიდან ცხადი უნდა იყოს. პროფკავშირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელმა პარტიულმა ელემენტებმა შეიგნონ ამ პოლიტიკის თავისებურება და ამოცანად დაისახონ: პარტიული ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალისტური წყობილების ამოცანებთან შეფარდებით, რადაც უნდა დაჯდეს მიაღწიონ ასეთ კონცესიებს. ყოველი კონცესია მოგება იქნება, მუშათა და გლეხთა ნაწილის მდგომარეობის დაუყოვნებლივი გაუმჯობესება იქნება. გლეხებისათვის იმიტომ, რომ ყოველი კონცესია გულისხმობს ერთგვარ დამატებით პროდუქტს, რომლის წარმოებაც ჩვენ არ ძალგვიძს, მაგრამ რომელსაც ჩვენ გადასახადის საშუალებით კი არ ავიღებთ, არამედ გადავუცვლით გლეხებს.

საკმაოდ ძნელი ოპერაციაა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისათვის მეტად ძნელიც კი. ამ ძირითად პოზიციაზე დაყრდნობით საჭიროა ამოცანად დავისახოთ მივაღწიოთ კონცესიებს და ამასთან გვერდი ავუხვიოთ ამის თაობაზე არსებულ ყველა ცრურწმენას, გადაჯგუფების

სურვილის უქონლობას, ძველ ზნე-ჩვეულებათა დათმობის სურვილის უქონლობას, იმ უხერხულობას, რომ მუშათა ერთი ნაწილი უფრო კარგად მიიღებს, მეორე კი უფრო ცუდად. ასეთი უხერხულობანი და ასეთი პრეტენზიები, რომლებითაც ჩვენ შეგვიძლია ყოველი საქმიანი გაუმჯობესება ჩავშალოთ, შეიძლება კიდევ მილიონობით გამოიგონო. ამ ჩაშლაზე ეწევა სპეკულაციას საზღვარგარეთული კაპიტალი. მე არ ვიცი სხვა ისეთი პუნქტი, რის წინააღმდეგაც ასე მხედრდებოდნენ რუსული თეთრგვარდიული პრესის ფრიად ჭკვიანი წარმომადგენელნი, რომლებმაც კრონშტადტის ამბების ისტორიით დაამტკიცეს, თუ რამდენად უფრო მაღლა დგანან ისინი ხუთჯერ გამრავლებულ ჩერნოვსა და მარტოვზე. მათ მშვენივრად იციან, რომ თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენ ცრურწმენათა გამო გავაუმჯობესოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობა, ამით შევიქმნით კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს და საბოლოოდ შევარყევთ საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟს. თქვენ იცით, რომ ჩვენ რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ ამ გაუმჯობესებას. ჩვენ არ გვენანება მივცეთ უცხოელ კაპიტალისტს 2 000% მოგებაც კი, ოღონდ გავაუმჯობესოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობა, — და ეს რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა განვახორციელოთ.

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს

იბეჭდება სტენოგრამის მიხედვით

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს

მხურვალედ მივესალმები რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.

მაგრამ რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და გლეხებს შორის ეროვნულ მშვიდობიანობას, კიდევ უფრო შეუდარებლად მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და გავავითაროთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური. ძნელი, მაგრამ სავსებით შესასრულებელი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას არსად არა ჰქონია პოლიტიკური და სამხედრო დახმარება. პირიქით, იგი მთელი წლობით იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდასხმებისა და ბლოკადის წინააღმდეგ.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს პოლიტიკური და ცოტაოდენი სამხედრო დახმარება ჰქონდათ რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან. ეს ძირეული განსხვავებაა.

მეორე: ახლა აღარ უნდა გეშინოდეთ იმისა, რომ ანტანტა თავს დაგესხმით და სამხედრო დახმარებას გაუწევს ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ, დაღისტნელ და მთიელ თეთრგვარდიელებს. ანტანტამ «ხელები მოიწვა» რუსეთზე, და ეს აიძულებს მას ერთხანს, ალბათ, უფრო ფრთხილი იყოს.

მესამე: კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლეხური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი.

მეოთხე: ეკონომიურად რუსეთი მოწყვეტილი იყო და მნიშვნელოვნად ახლაც მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან; კავკასიას შეუძლია უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოაგვაროს «თანაცხოვრება» და საქონელცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან.

ეს არაა ყველა განსხვავება. მაგრამ აღნიშნული განსხვავებანიც საკმარისია იმის გასაგებად, რომ აუცილებელია სხვაგვარი ტაქტიკა.

მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ. ეკონომიური მხრივ ყოველნაირად, გაძლიერებით, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელცვლის პოლიტიკაში. ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია. არის სრული შესაძლებლობა, რომ ფართოდ გაიშალოს კონცესიების პოლიტიკა და საქონელცვლა საზღვარგარეთთან.

ეს უნდა გაკეთდეს ფართოდ, მტკიცედ, მოხერხებულად, წინდახედულად, ამასთან ეს ყოველნაირად უნდა გამოიყენოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მეურნეობის მშენებლობაში ინტელიგენციის ჩასაბმელად. მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა და ამისთვის გამოიყენეთ

საქონელცვლა იტალიასთან, ამერიკასთან და სხვა ქვეყნებთან. მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა რადაც უნდა დაჯდეს.

უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით. აი რა უნდა შეიგნოთ და რის განხორციელება უნდა შეძლოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით.

ჩვენ პირველად შევანგრიეთ მსოფლიო კაპიტალიზმის კედელი. იგი შენგრეულია. ჩვენ დავიცავით თავი გააფთრებულ, ზებუნებრივ, მძიმე და ძნელ, მწვავე და მძაფრ ომში თეთრების, ესერების, მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა მთელი ანტანტა, მის მიერ მოწყობილი ბლოკადა, მისი სამხედრო დახმარება.

თქვენ, კავკასიელო ამხანაგო კომუნისტებო, კაპიტალიზმის კედლის შენგრევა აღარ გჭირდებათ, უნდა შეძლოთ მეტი სიფრთხილითა და სისტემატურობით შექმნათ ახალი და საამისოდ გამოიყენოთ თქვენთვის ხელსაყრელი 1921 წლის საერთაშორისო ვითარება. ევროპაც და მთელი მსოფლიოც 1921 წელს ის აღარაა, რაც 1917 და 1918 წლებში იყო.

ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917 — 1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკვეთილები. ეკონომიურად ერთბაშად დაეყრდენით კაპიტალისტურ საზღვარგარეთთან საქონელცვლას და არ იძუნწოთ: დაე ათეულ მილიონობით უძვირფასესი სამთო პროდუქტი ხვდეს მას.

ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე

უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას.

ბოდიშს ვიხდი, რომ ეს წერილი ასე დაუდევრად არის შედგენილი, მაგრამ იძულებული ვიყავი ნაჩქარევად დამეწერა, რათა ამხ. მიასნიკოვისათვის გამომეტანებინა, და ერთხელ კიდევ მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებს.

მოსკოვი, 1921 წლის 14 აპრილი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

«პრავდა გრუზიი» № 55,
1921 წ. 8 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდა
გრუზიის» ტექსტის
მიხედვით

პეტროგრადის უპარტიო მუშათა საერთო-საქალაქო კრებას[72]

ამხანაგებო! ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი ჩამოვსულიყავი პეტროგრადში თქვენი მოწვევით. მთელი სულითა და გულით მივესალმები უპარტიო თათბირს და თქვენს მუშაობას. სწორედ ახლა, როდესაც მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია გაუგონარ სიცრუის კამპანიას აწარმოებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ცდილობს ჩაშალოს ჩვენი სავაჭრო შეთანხმებანი საზღვარგარეთთან, სწორედ ახლა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია უპარტიო მასების დახმარება, მათთან თანამშრომლობა. მუშებმა და გლეხებმა კრონშტადტის ამბების შემდეგ წინანდელზე უკეთ შეიგნეს, რომ ხელისუფლების ყოველგვარი გადაწევა რუსეთში თეთრგვარდიელებისათვის არის სასარგებლო; ტყუილად კი არ მიესალმნენ მილიუკოვი და ბურჟუაზიის ყველა ჭკვიანი ბელადი კრონშტადტის ლოზუნგს — «საბჭოები უბოლშევიკებოდ».

ერთხელ კიდევ მივესალმები უპარტიო თათბირს, ვუსურვებ ყოველგვარ წარმატებას მუშაობაში და განსაკუთრებით ვთხოვ მიაქციოს ყურადღება იმას, რომ ახლა აუცილებელია რაც შეიძლება მეტი უპარტიო მუშისა და გლეხის გამოყოფა და მუდმივად დაწინაურება სამეურნეო მშენებლობის საქმეში ჩასაბმელად. პეტროგრადში შექმნილია საოლქო სამეურნეო ცენტრი. საჭიროა უფრო ძლიერად დავაწვეთ

მუშაობას. ადგილობრივ მუშაკებს მეტი უფლებები, მეტი ინიციატივა ეძლევათ. უპარტიოებმა ხელი უნდა მოჰკიდონ საქმეს და მოგვცენ რაც შეიძლება მეტი და მეტი ხალხი.

სალამი.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1921 წ. 14 აპრილს

გამოქვეყნდა 1921 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გეგმა ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ»

I

Etwa*:

1. გადასახადის საერთო მნიშვნელობა.
   - უკან? წინ? (საქონელცვლისაკენ).
   - განა «ბრესტი»?
   - გაწერიდან (**ნაჭარბის გადახდევინებიდან**) საქონელცვლაზე გადასვლა.
   - «სამხედრო» კომუნიზმი versus** სწორი სამეურნეო ურთიერთობა.
2. გადასახადი და თავისუფალი ვაჭრობა.
   - გადასახადი და თავისუფალი ვაჭრობა.
   - ვაჭრობის თავისუფლება versus წვრილი მეურნეობის ეკონომიური ბაზა («ადგილობრივი ბრუნვა»).
   - » » versus პროლეტარიატის სახელმწიფო ხელისუფლება.
   - » » versus კონცესიები.
   - ვაჭრობის თავისუფლების ფარგლები და პირობები.
3. საშუალო გლეხი. (ნიველირება).
   - კულაკზე გეზის აღება?
   - თუ საშუალო გლეხი.
   - ნიველირება.
   - მუყაითი გლეხი.
   - პროდუქტების გადიდება.

---

* — **დაახლოებით. რედ.**

** — **წინააღმდეგ. რედ.**

4. სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის გზები.
   - წვრილი გლეხი
   - კოლმეურნეობანი
   - ელექტრიფიკაცია.
5. კოოპერაცია.
6. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან
   (ამ ბრძოლის ეკონომიური საფუძვლები).
7. საერთაშორისო მდგომარეობა და საშინაო ურთიერთობა.
8. პარტიული და პოლიტიკური კრიზისები (1920—1921).
   მენშევიკები + სოციალისტ-რევოლუციონერები + ანარქისტები (კრონშტადტი).
9. «შეთანხმება» გლეხობასთან? თუ დიქტატურა?
10. უპარტიო კონფერენციები.

II

ბროშურის გეგმა:

	უფრო ზუსტად გადმოგვცემდა შინაარსს: გაწერის გადასახადით შეცვლაზე საერთო ამოცანებთან და ახლანდელი პოლიტიკური მომენტის პირობებთან დაკავშირებით.
მძიმეა!	
	გაწერის შეცვლა გადასახადით ახლანდელი პოლიტიკური მომენტის განსაკუთრებულ პირობებთან დაკავშირებით.

გაწერის გადასახადით შეცვლისა და გლეხობასთან შეთანხმების შესახებ (თუ მუშათა მთავრობის ამოცანებზე გლეხურ ქვეყანაში) და მუშათა კლასის ამოცანებზე გლეხობის მიმართ.

გაწერის შეცვლა გადასახადით, მისი პრინციპული მნიშვნელობა: «სამხედრო» კომუნიზმიდან ს წ ო რ ი სოციალისტური საძირკვლისაკენ.

არც გაწერა, არც გადასახადი, არამედ მსხვილი («სოციალიზებული») მრეწველობის პროდუქტების გაცვლა გლეხის პროდუქტებზე, ასეთია სოციალიზმის ეკონომიური ა რ ს ი, მისი ბაზა.

გაწერა «იდეალი» კი არ არის, არამედ მწარე და სავალალო აუცილებლობაა. ამის საწინააღმდეგო შეხედულება სახიფათო შეცდომაა.

გაწერა და «აპარატი». «უაპარატოდ» ჩვენ დიდი ხანია დავიღუპებოდით. თუ არ ვაწარმოეთ სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლა აპარატის გაუმჯობესებისათვის, ჩვენ დავიღუპებით სოციალიზმის ბაზის შექმნამდე.

მუშების კავშირი გლეხობასთან = საბჭოთა ხელისუფლების α და ω*. საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის «აუცილებელი და საკმარისი» პირობა.

ეს კავშირი დენიკინისა და კომპ. წინააღმდეგ ი ს რ ო დ ი ა, რაც არის კავშირი (ესევე) ე კ ო ნ ო მ ი უ რ მშენებლობაში.

პირველი = ბურჟუაზიულ რევოლუციას.
მეორე = სოციალისტურ რევოლუციას.

ომიდან მშენებლობაზე გადასვლა.

IX ყრილობა 1920 (cf.** IV. 1918) versus X ყრილობა (III. 1921).

გაწერიდან სწორ საქონელცვლაზე გადასვლა.

გადასახადს პრინციპულად შევათანხმებთ, შევათავსებთ პურის და სხვა პროდუქტების თავისუფალ ვაჭრობასთან.

ფორმალური დემოკრატიზმი versus რეალობა კლასობრივი ურთიერთობისა გადასახადის საკითხში და სხვა ამგვარ საკითხებში.

---

* — α (ალფა) და ω (ომეგა) — ბერძნული ანბანის პირველი და უკანასკნელი ასოები. რ ე დ.

** — confer — შეადარე. რ ე დ.

იძულება + დარწმუნება (გაწერაში) — გადასახადში — «საქონელცვლაში».

«ვაჭრობის თავისუფლება» რამდენად? გადასახადის გაღების **შემდეგ.**

გასაქანი გამოცდილებას, პრაქტიკას. წვრილი ვაჭრობა...	ადგილობრივ მუშაკთა ამოცანა. ადგილობრივი ხელისუფლების ამოცანა.

ტიპი ეკონომიური ურთიერთობისა ანუ ეკონომიური სისტემისა, ვიდრე მოხდებოდეს პროლეტარული რევოლუცია მთელ რიგ დიდ ქვეყნებში=კონცენტრაცია ზემოთ

გლეხური ვაჭრობის თავისუფლება ქვემოთ...

თავისებური სახელმწიფო კაპიტალიზმი (cf. IV. 1918).

«გეზის აღება» საშუალო გლეხზე? კულაკზე? ბურჟუაზიული ურთიერთობის აღდგენა?

სოფლის ნიველირებამ

«ღარიბებს»
- მისცა გათანაბრებითი გადაყოფა
- » მემამულის მიწა
- » ჩამოერთვას კულაკს
- » სახელმწიფოს ექსტრაორდინარული დახმარება.

ახლა თავიდათავი, მთავარი ხდება (გახდა) პროდუქტების გადიდება (cf. რკპ პროგრამა)[73]. Inde*: «გეზის აღება» საშუალო გლეხზე მიწათმოქმედებაში.

მუყაითი გლეხი როგორც ჩვენი სამეურნეო აღმავლობის «ცენტრალური ფიგურა».

ინდივიდუალური საქონელცვლა.

კოლმეურნეობათა როლი: ბევრი სისულელე ჩავიდინეთ. სამართალში — კანონის შეუსრულებლობისა და უუნარობისათვის (სამი წელი).

საშიშია თუ არა სოციალიზმისათვის გლეხის «ინდივიდუალიზმი»? მისი «თავისუფალი ვაჭრობა»? არა.

ელექტრიფიკაცია: საზომი. შორეული გეგმა, მაგრამ გეგ-

* — მაშასადამე. რედ.

მ ა და (ergo*) კრიტერიუმი. (ყოველი გეგმა არის საზომი, კრიტერიუმი, შუქურა, ნიშანსვეტი etc.**)

თუ ელექტრიფიკაცია 10—20 წლის შემდეგ, ოდნავადაც არ არის საშიში წვრილი მიწათმოქმედის ინდივიდუალიზმი და **მისი** თავისუფალი ვაჭრობა ადგილობრივ ბრუნვაში. **თუ** ელექტრიფიკაცია არა, სულ ერთია კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება გარდუვალია.

საერთაშორისო მდგომარეობა ხელსაყრელი შეიქმნა: ახალი წონასწორობა.

მათი დაშლა ჩვენი შეკავშირებაა.	ანტანტა versus გერმანია. ამერიკა versus იაპონია (და ინგლისი). ამერიკა versus ევროპა. იმპერიალისტური მსოფლიო versus «აზია» ($^1/_7$) ($^4/_7$) (0,250 × 7 = 1,75) (1.000 მილიარდი 1,750-დან)[74]

10—20 წლის სწორი ურთიერთობა გლეხობასთან და მსოფლიო მასშტაბით გამარჯვება უზრუნველყოფილია (მაშინაც კი, თუ დაიგვიანა პროლეტარულმა რევოლუციებმა, რომლებიც იზრდება), წინააღმდეგ შემთხვევაში თეთრგვარდიული ტერორით გამოწვეული 20—40 წლის ტანჯვა-წამება.

Aut — aut. Tertium non datur ***.

		NB:
«შეთანხმება» გლეხობასთან? დამფუძნებელი კრება (პირდაპირ და შენიღბულად), ხმისმიცემა, კონსტიტუციის შეცვლა, სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკები + ანარქისტები.	**კოოპერაცია**. მისი ეკონომიური და პოლიტიკური (მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები) მხარე.	«შეთანხმების» ცნების ორაზროვნობა განსაკუთრებით versus «დიქტატურა».

* — ამიტომ. რ ე დ.
** — და ასე შემდეგ. რ ე დ.
*** — ან — ან. მესამე რამ არ არის. რ ე დ.

კრონშტადტის გამოცდილება და გაკვეთილი (ახალი რამ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ ისტორიაში).	შეურიგებელი ბრძოლა მენშევიკების, სოციალისტ-რევოლუციონერების, ანარქისტების წინააღმდეგ.

Quid est «politica»? *

(1) პროლეტარიატის ავანგარდი **შესი** მასის მიმართ.

(2) პროლეტარიატი **გლეხობის** მიმართ.

(3) პროლეტარიატი (და გლეხობა) **ბურჟუაზიის** მიმართ.

NB:

დაღლილობა, დაუძლურება, სასოწარკვეთილება... ღონე არ არის... «შესვენება»... **ბიუროკრატიზმი** (Gegenstück ** გლეხობისა).	**როგორც** მუშათა კლასში, **ისე** გლეხობაში.	«ზედაფენების» მოშლილობა და ახალ ადამიანთა დაწინაურება «ქვედაფენებიდან» = (α) ახალგაზრდობისა; (β) უპარტიოებისა.

NB NB:

ანარქიზმი და «მარქსისტული» ბრძოლა მასთან. «სასოწარკვეთილება»?

არა ის ტემპი (სამხედრო და მშვიდობიანი მშენებლობისა).

1918 წ. აპრილშიც და 1920 წ. აპრილშიც ომიდან მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა როგორც უბრალო გადასვლა პოლიტიკის იმავე რელსებით.

რთული გადასვლაა: სხვანაირი ურთიერთობა გლეხობასთან, სხვანაირი ტემპი, სხვანაირი ვითარება.

არმიის დემობილიზაცია.

* — რა არის «პოლიტიკა»? რედ.

** — მსგავსება, ასახულობა. რედ.

ბანდიტიზმი. (გაჩანაგება. 7 წლის ომი).

ან თეთრგვარდიული ტერორი ან პროლეტარიატის ხელმძღვანელობა (სულ უფრო და უფრო რბილი), მისი დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა.

რით არის **საშინელი** სიტყვა «დიქტატურა»?

NB:

უპარტიო გლეხი, როგორც საზომი, როგორც მაჩვენებელი, როგორც მრჩეველი — და როგორც პოლიტიკური ლოზუნგი (= სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკები). ხმის მიცემა? ხელისუფლების დამხობა? თუ **მასთან** შეთანხმების ძებნა?

უპარტიო კონფერენციები **არა** აბსოლუტური პოლიტიკური იარაღია მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერებისა +ანარქისტები. Caveant consules! *

ჩვეულებრივი ბურჟუაზიული პარტიულობისა და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ჩვეულებრივი ფანდი: დათმობებზე «ვ ი ჭ ე რ თ». მაგრამ ჩვენ არ ვცნობთ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის, «ჩვეულებრივი (ბურჟუაზიული) პარტიულობის» თ ვ ი თ ნ ი ა დ ა გ ს!!

NB

NB: NB:

«სახელმწიფოს კვდომის ეკონომიური საფუძვლები» («სახელმწიფო და რევოლუცია»): ა ქ ა ც «ეკონომიური **საფუძვლები**» ბიუროკრატიზმის კ ვ დ ო მ ი ს ა, ზედა და ქვედა ფენების კვდომისა, უთანასწორობის კვდომისა (cf. «პირველი ნაბიჯები კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ»). **ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმის საშეურნეო** ბ ა ზ ა. რა შეადგენს ამ ბაზას? **გ ლ ე ხ ობ ა ს თ ა ნ ს ა ქ ო ნ ლ ი ს გ ა ც ვ ლ ა!!**

NB

ბიუროკრატიზმთან ბრძოლისათვის

NB

* — დაე ფხიზლად იყვნენ კონსულები! რ ე დ.

NB

+ **შენიშვნა.** მნიშვნელობა 1921 წ. გაზაფხულის (II—III) პოლიტიკური კრიზისისა («გადასვლები») და პარტკრიზისისა (1920. XI ან IX. — 1921. III). შევუგუოთ პარტიის ზედაფენები მის მასას თუ vice versa*? პარტია მასას (პროლეტარიატისა + შემდეგ გლეხობისა) თუ vice versa.

II

სახელმწიფო კაპიტალიზმი საშიში კი არ არის, არამედ სასურველია.

ვისწავლოთ სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან.

მაგალითები:

1) კონცესიები.
2) კოოპერაცია.
3) კომისიონერები.
4) იჯარა.

4. არაორგანიზებული კაპიტალიზმი.

«სტიქია» c'est le mot** 1794 versus 1921.

ყველაფერი ზომაზე და გარკვეულ პირობებში.

როგორია ეს ზომა?

გამოცდილება გვიჩვენებს.

¼ etwa.

«ბრუნვა»

უმთავრესად და უწინარეს ყოვლისა

სასურსათო გადასახადი და ბრუნვა.

ბრძოლა სპეკულაციასთან.

Quid est? ***

დირექტივები სურსათის დარგის მუშაკებს:

100 + 100 = 200 %

? Σ 100 + 25

60 + 60

* — პირიქით. რედ.

** — აი სიტყვა. რედ.

*** — რა არის ეს? რედ.

ეს (3 და 4) სახეები სუსტია, ვინაიდან ჩვენ **სუსტნი** **და** **სულელები** ვართ. Cf. ბიუროკრატიზმი...

ვაჭრობის თავისუფლება α) გლეხური მეურნეობის საწარმოო ძალთა გასავითარებლად β) წვრილი მრეწველობის გასავითარებლად γ) ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად.

ზომა? პირობები?

პრაქტიკამ უნდა გვიჩვენოს.

სურსათის დარგის მუშაკ: შეაგროვე 100%

$$100 + 100 = 200$$

$$\text{Etwa:} \left\{ \begin{array}{l} 100 + 25 = 125 \\ 60 + 60 = 120 \end{array} \right\}$$

სპეკულაციათან ბრძოლა?

Quid est?

პოლიტიკური მხარე:

დაცხრება წვრილბურჟუაზიული სტიქია (1918 წ. 5.V).

«ნიმუშია» საფრანგეთის რევოლუცია cf. 1918 წ. 10.XI.

Anti-Kautsky * [75].

პესიმიზმი თუ ოპტიმიზმი?

ძალთა გათვალისწინება. სიფხიზლე და გაშმაგებული მგზნებარება.

IV

დახკვნა Etwa:

პოლიტიკაზე გადასვლა.

1921 წ. გაზაფხულის ეკონომიკა პოლიტიკად გადაიქცა: «კრონშტადტი».

როლი სოციალისტ-რევოლუციონერებისა + მენშევიკები (დანი, როჟკოვი და კომპ., მარტოვი და კომპ.). «მცირეოდენი გადაწევა» სულ ერთია მარჯვნივ თუ მარცხნივ.

მილიუკოვი ჩერნოვზე და მარტოვზე უფრო ჭკვიანია: ძნელი არ არის იყო ამ თავშეყვარებულ ბრიყვებზე, ფრაზის

* — კაუცკის წინააღმდეგ. **რედ.**

გმირებზე, წვრილბურჟუაზიული დოქტრინის რაინდებზე უფრო ჭკვიანი (1789—1848—1920).

მათი ადგილი საპატიმროშია და არა უპარტიო კონ-ფერენციაზე.

1794 versus 1921.

«სტიქიის» მერყეობა. (Quid est სტიქია)

და სიმტკიცე.

ადამიანთა შერჩევა და

დაწინაურება.

პესიმიზმი თუ ოპტიმიზმი? ბოროტებისა და სიძნელის ფრიად ფხიზელი შეფასება.

თავდადება ბრძოლაში. ΣΣ =

დასკვნები:

1) «ბრუნვა». Quid est?

2) წვრილი მრეწველობა. სადაა ნედლეული?

3) გაცვლა-გამოცვლა.

4) კაპიტალიზმი.

5) სახელმწიფო კაპიტალიზმი.

6) ადგილების ინიციატივა.

7) მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები + უპარ-ტიონი.

დაწერილია 1921 წ. მარტის
დამლევს — აპრილის დამდეგს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სასურსათო გადასახადის შესახებ

(ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა და მისი პირობები)

შესავლის მაგიერ

სასურსათო გადასახადის საკითხი ამჟამად განსაკუთრებით დიდ ყურადღებას, მსჯელობასა და დავას იწვევს. სავსებით გასაგებიცაა, ვინაიდან ეს ახლანდელ პირობებში მართლაც პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

მსჯელობას ამ საგანზე ცოტა არ იყოს აურზაურის ხასიათი აქვს. ამ ცოდვით, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ყველა ჩვენგანია შეპყრობილი. მით უფრო სასარგებლო იქნება ცდა — მივუდგეთ ამ საკითხს არა მისი «საჭირბოროტო», არამედ ზოგად-პრინციპული მხრით. სხვანაირად რომ ვთქვათ: გადავხედოთ იმ სურათის საერთო, ძირითად ფონს, რომელზედაც ახლა ჩვენ ვხატავთ დღევანდელი დღის პოლიტიკის განსაზღვრულ პრაქტიკულ ღონისძიებათა სახეებს.

ასეთი ცდის მოსახდენად ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო გრძელი ამონაწერი ჩემი ბროშურიდან: «ჩვენი დროის მთავარი ამოცანა. — «მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილ-ბურჟუაზიულობის შესახებ»[76]. ეს ბროშურა გამოცემულია პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მიერ 1918 წელს და შეიცავს, ჯერ ერთი, 1918 წლის 11 მარტის საგაზეთო სტატიას ბრესტის ზავის გამო, მეორეც, პოლემიკას მემარცხენე კომუნისტების იმდროინდელ ჯგუფთან, დათარიღებულს 1918 წლის 5 მაისით. ეს პოლემიკა ახლა საჭირო აღარ არის, ამიტომ მას ამოვაგდებ. ვტოვებ იმას, რაც ეხება მსჯელობას «სახელმწიფო კაპიტალიზმზე» და კაპიტალიზმიდან

სოციალიზმზე გარდამავალი ჩვენი თანამედროვე ეკონომიკის ძირითად ელემენტებზე.

აი რას ვწერდი მაშინ:

რუსეთის თანამედროვე ეკონომიკის შესახებ

(1918 წლის ბრაშურიდან)

...«ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში საქმის ახლანდელ ვითარებასთან შედარებით სახელმწიფო კაპიტალიზმი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ჩვენში რომ, დაახლოებით, ნახევარი წლის შემდეგ დამკვიდრდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი, ეს უდიდესი წარმატება და უეჭველი გარანტია იქნებოდა იმისა, რომ ერთი წლის შემდეგ ჩვენში საბოლოოდ განმტკიცდება და უძლეველი გახდება სოციალიზმი.

წარმოდგენილი მაქვს, რა კეთილშობილური აღშფოთებით უკუაგდებს ზოგი ვინმე ამ სიტყვებს... როგორ? საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახელმწიფო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ზ ე გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა?.. განა ეს სოციალიზმის ღალატი არ არის?

სწორედ ამ პუნქტზე საჭიროა უფრო დაწვრილებით შეჩერება.

ჯერ ერთი, უნდა გავარჩიოთ, თუ სახელდობრ რანაირია ის გ ა დ ა ს ვ ლ ა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, რომელიც გვაძლევს ჩვენ უფლებასა და საფუძველს ვიწოდებოდეთ საბჭოების სოციალისტურ რესპუბლიკად.

მეორე, უნდა გამოვამჟღავნოთ იმათი შეცდომა, ვინც ვერ ხედავს წვრილბურჟუაზიულ ეკონომიურ პირობებს და წვრილბურჟუაზიულ სტიქიას, როგორც სოციალიზმის მ თ ა ვ ა რ მტერს ჩვენში.

მესამე, კარგად უნდა გვესმოდეს ს ა ბ ჭ ო თ ა სახელმწიფოს მნიშვნელობა, მისი ეკონომიური განსხვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოსაგან.

განვიხილოთ სამივე ეს გარემოება.

მგონი, ჯერ არ ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელიც რუსეთის ეკონომიკის საკითხს დაკვირვებოდეს და უარეყოს ამ ეკონომიკის გარდამავალი ხასიათი. მგონი, არც ერთ კომუნისტს არ უარუყვია არც ის, რომ გამოთქმა — «საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა» ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებას — განახორციელოს სოციალიზმზე გადასვლა, და სულაც არა — ახლანდელი ეკონომიური წესწყობილების აღიარებას სოციალისტურ წესწყობილებად.

მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა გადასვლა? განა ეკონომიკისადმი შეფარდებით ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ წყობილებაში მოიპოვება როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის ელემენტები, ნაწილაკები, ნაჭრები? ყველა აღიარებს, რომ მოიპოვება. მაგრამ ამ აღიარების დროს ყველა როდი უფიქრდება იმას, თუ სახელდობრ როგორია სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობათა ელემენტები, რომლებიც რუსეთში არსებობენ. საკითხის მთელი დედააზრი კი ამაშია.

ჩამოვთვალოთ ეს ელემენტები:

1) პატრიარქალური, ე. ი. მნიშვნელოვანწილად ნატურალური, გლეხური მეურნეობა;

2) წვრილი სასაქონლო წარმოება (ამას მიეკუთვნება იმ გლეხების უმრავლესობა, რომელნიც პურს ყიდიან);

3) კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმი;

4) სახელმწიფო კაპიტალიზმი;

5) სოციალიზმი.

რუსეთი ისე დიდი და ისე ჭრელია, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობის ყველა ეს სხვადასხვა ტიპი გადახლართულია მასში. მდგომარეობის თავისებურებაც სწორედ ეს არის.

იბადება კითხვა: რომელი ელემენტები სჭარბობენ? ცხადია, რომ წვრილგლეხურ ქვეყანაში სჭარბობს, და არც შეიძლება არ სჭარბობდეს, წვრილბურჟუაზიული სტიქია: მიწათმოქმედთა უმრავლესობა, და დიდი უმრავლესობა, წვრილი

საქონელმწარმოებელია. სახელმწიფო კაპიტალიზმის (პურის მონოპოლია, კონტროლქვეშ მყოფი მეწარმენი და ვაჭრები, ბურჟუაზიული კოოპერატორები) გარსს ჩვენში ხან აქ და ხან იქ არღვევენ სპეკულანტები, და სპეკულაციის მთავარ საგანს პური წარმოადგენს.

მთავარი ბრძოლა სწორედ ამ დარგში ჩაღდება. ვისა და ვის შორის წარმოებს ეს ბრძოლა, თუ ვილაპარაკებთ ეკონომიური კატეგორიების ისეთი ტერმინებით, როგორიცაა «სახელმწიფო კაპიტალიზმი»? განა მეოთხე და მეხუთე საფეხურებს შორის, რა რიგითაც ჩამოვთვალე ზემოთ ისინი ახლა? რა თქმა უნდა, არა. აქ სახელმწიფო კაპიტალიზმი კი არ ებრძვის სოციალიზმს, არამედ სახელმწიფო კაპიტალიზმის წინააღმდეგაც და სოციალიზმის წინააღმდეგაც იბრძვიან ერთად, გაერთიანებულად, წვრილი ბურჟუაზია პლუს კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმი. წვრილი ბურჟუაზია წინააღმდეგობას უწევს ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ჩარევას, აღრიცხვასა და კონტროლს, როგორც სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურს, ისე სახელმწიფოებრივ-სოციალისტურს. ეს არის სინამდვილის სრულიად უდავო ფაქტი, რომლის გაუგებლობაშიც მარხია კიდეც მთელი რიგი ეკონომიური შეცდომების ფესვი. სპეკულანტი, ვაჭრობის მოთარეშე, მონოპოლიის ჩამშლელი — აი ჩვენი მთავარი «შინაური» მტერი, საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ ღონისძიებათა მტერი. თუკი 125 წლის წინათ საფრანგეთის წვრილ ბურჟუებს უაღრესად თვალსაჩინო და უაღრესად გულწრფელ რევოლუციონერებს, კიდევ ეპატიებოდათ მისწრაფება — დაემარცხებინათ სპეკულანტი ცალკეულ, მცირეოდენ «რჩეულთა» სიკვდილით დასჯით და დეკლარაციების ჭექა-ქუხილით, ახლა ვიღაც მემარცხენე ესერების წმინდა-ფრანგული მიდგომა საკითხისადმი ყოველ შეგნებულ რევოლუციონერში მხოლოდ ზიზღს ან გულისრევას იწვევს. ჩვენ მშვენიერად ვიცით, რომ სპეკულაციის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს წვრილმესაკუთრული ფენა, რომელიც რუსეთში არაჩვეულებრივად დიდია, და კერძო სამეურნეო კაპიტალიზმი,

რომლის აგენტიც არის თვითეული წვრილი ბურჟუა. ჩვენ ვიცით, რომ ამ წვრილბურჟუაზიული გველეშაპის მილიონობით ბრჭყალები ხან აქ და ხან იქ ედება მუშათა ცალკეულ ფენებს, რომ სპეკულაცია სახელმწიფო მონოპოლიის ნაცვლად იჭრება ჩვენი საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ყველა ნასვრეტში.

ვინც ამას ვერ ხედავს, ის სწორედ თავისი სიბრმავით ააშკარავებს, რომ იგი წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენებს შეუპყრია...

წვრილ ბურჟუას აქვს ცოტაოდენი ფულის მარაგი, რამდენიმე ათასი, დაგროვილი «სიმართლით» და უმეტესად კი არასიმართლით ომის დროს. ასეთია ეკონომიური ტიპი, დამახასიათებელი, როგორც სპეკულაციისა და კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმის საფუძველი. ფული — ეს არის მოწმობა საზოგადოებრივი სიმდიდრის მისაღებად, და წვრილ მესაკუთრეთა მრავალმილიონიანი ფენა, მაგრად რომ ჩაბღაუჭებია ამ მოწმობას, უმალავს მას «სახელმწიფოს», არ სწამს არავითარი სოციალიზმი და კომუნიზმი და «ელოდება» პროლეტარული ქარიშხლის ჩადგომას. ან ჩვენ დავუმორჩილებთ ამ წვრილ ბურჟუას ჩვენს კონტროლსა და აღრიცხვას (ჩვენ ამას შევძლებთ, თუ შეგნებული პროლეტარული ავანგარდის ირგვლივ დავრაზმავთ ღარიბებს, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობას ანუ ნახევრადპროლეტარებს), ანდა იგი აუცილებლად და უსათუოდ დაამხობს ჩვენს, მუშურ, ხელისუფლებას, როგორც ამხობდნენ რევოლუციას ნაპოლეონები და კავენიაკები, რომელნიც სწორედ ამ წვრილმესაკუთრულ ნიადაგზე იზრდებიან. ასე დგას საკითხი. მხოლოდ ასე დგას საკითხი...

წვრილი ბურჟუა, რომელიც ათასებს ინახავს, სახელმწიფო კაპიტალიზმის მტერია, და მას სურს ეს ათასები გაანაღდოს აუცილებლად თავის სასარგებლოდ, ღარიბთა წინააღმდეგ, ყოველგვარი საერთო-სახელმწიფოებრივი კონტროლის წინააღმდეგ, ათასების ჯამი კი მრავალმილიარდიან ბაზას უქმნის სპეკულაციას, რომელიც ჰფუშავს ჩვენს სოციალისტურ

მშენებლობას. დავუშვათ, რომ მუშათა განსაზღვრული რიცხვი რამდენიმე დღის განმავლობაში იძლევა ფასეულობათა ჯამს, რომელიც გამოიხატება ციფრით 1 000. დავუშვათ, შემდეგ, რომ ამ ჯამიდან ჩვენ ვკარგავთ 200-ს წვრილი სპეკულაციის, ყოველგვარი მტაცებლობის და საბჭოთა დეკრეტებისა და საბჭოთა წესებისათვის წვრილმესაკუთრული «გვერდის ახვევის» გამო. ყოველი შეგნებული მუშა იტყვის: მე რომ შემეძლოს ათასიდან 300-ის მიცემა, უფრო მეტი წესრიგისა და ორგანიზაციის შექმნის ფასად, ხალისით მივცემდი ორასის მაგივრად სამასს, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების ღროს ამ «ხარკის» შემდეგში შემცირება, ვთქვათ, ასამდე ან ორმოცდაათამდე, სულ იოლი ამოცანა იქნება, რაკი მოგვარებული იქნება წესრიგი და ორგანიზაცია, რაკი ყოველგვარი სახელმწიფო მონოპოლიის წვრილმესაკუთრული ჩაშლა საბოლოოდ გატეხილი იქნება.

ამ უბრალო ციფრობრივი მაგალითით,— რომელიც განზრახ უკიდურესად გამარტივებულია პოპულარული გადმოცემის მიზნით, — ნათელი ხდება სახელმწიფო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ახლანდელი მდგომარეობის თანაფარდობა. სახელმწიფოში ძალაუფლება მუშების ხელთაა, მათ სრული იურიდიული შესაძლებლობა აქვთ მთლიანად «აიღონ» ეს ათასი, ე. ი. ერთი კაპიკიც კი არ გასცენ, თუკი მას სოციალისტური დანიშნულება არა აქვს. ეს იურიდიული შესაძლებლობა, რომელიც დამყარებულია მუშათა ხელში ძალაუფლების ფაქტიურ გადასვლაზე, სოციალიზმის ელემენტს წარმოადგენს. მაგრამ წვრილმესაკუთრული და კერძო-კაპიტალისტური სტიქია მრავალნაირი გზით ძირს უთხრის ამ იურიდიულ მდგომარეობას, აპარებს სპეკულაციას, ჰფუშავს საბჭოთა დეკრეტების შესრულებას. სახელმწიფო კაპიტალიზმი იქნებოდა გიგანტური ნაბიჯი წინ, კიდეც რომ (და მე განგებ მოვიყვანე ასეთი ციფრობრივი მაგალითი, რათა მკვეთრად მეჩვენებინა ეს) იმაზე მეტი გადაგვეხადა, ვიდრე ახლა ვიხდით, ვინაიდან «სწავლებისათვის» ღირს გადახდა, ვინაიდან ეს სასარგებლოა მუშებისათვის,

ვინაიდან უწესრიგობაზე, ნგრევაზე, დაუდევრობაზე გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა, ვინაიდან წვრილმესაკუთრული ანარქიის განგრძობა ყველაზე დიდი, ყველაზე მრისხანე საფრთხეა, რომელიც ჩვენ დაგვღუპავს აუცილებლად (თუ ის ვერ დავამარცხეთ), მაშინ როდესაც სახელმწიფო კაპიტალიზმისათვის მეტი ხარკის მიცემა არათუ არ დაგვღუპავს, არამედ ყველაზე საიმედო გზით გაგვიყვანს სოციალიზმისაკენ. მუშათა კლასს, რომელმაც შეისწავლა, თუ როგორ დაიცვას სახელმწიფოებრივი წესრიგი წვრილმესაკუთრული ანარქიულობის წინააღმდეგ, შეისწავლა, თუ როგორ მოაგვაროს წარმოების მსხვილი, საერთო-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია სახელმწიფო-კაპიტალისტურ საფუძვლებზე, მაშინ ხელთ ექნება, — უკაცრავად ამ გამოთქმისათვის, — ყველა კოზირი, და სოციალიზმის განმტკიცება უზრუნველყოფილი იქნება.

სახელმწიფო კაპიტალიზმი ეკონომიურად შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე ახლანდელი ჩვენი ეკონომიკა, ეს — ერთი.

ხოლო მეორე ისაა, რომ მასში საბჭოთა ხელისუფლებისათვის საშიში არაფერია, რადგან საბჭოთა სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომელშიც მუშათა და ღარიბთა ხელისუფლება უზრუნველყოფილია...

* * *

კიდევ უფრო მეტად რომ განვმარტოთ საკითხი, უწინარეს ყოვლისა მოვიყვანთ სახელმწიფო კაპიტალიზმის ყველაზე უფრო კონკრეტულ მაგალითს. ყველამ იცის, თუ რომელი მაგალითია ეს: გერმანია. აქ ჩვენ გვაქვს «უკანასკნელი სიტყვა» თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური ტექნიკისა და იმ გეგმაშეწონილი ორგანიზაციისა, რომელიც ექვემდებარება იუნკრულ-ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს. მოშალეთ ხაზგასმული სიტყვები, სამხედრო, იუნკრული, ბურჟუაზიული, იმპერიალისტური სახელმწიფოს ადგილზე დასვით ისევ სახელმწიფო, ოღონდ სხვა სოციალური ტიპის, სხვა კლასობრივი შინაარსის სახელმწიფო —

საბჭოთა, ე. ი. პროლეტარული სახელმწიფო, და თქვენ მიიღებთ პირობათა მთელ იმ ჯამს, რომელსაც სოციალიზმი იძლევა.

სოციალიზმი წარმოუდგენელია ისე, თუ არ არის მსხვილი კაპიტალისტური ტექნიკა, რომელიც აგებულია უახლესი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, თუ არ არის გეგმაშეზომილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანს უმორჩილებს ერთიანი ნორმის უმკაცრესად დაცვას პროდუქტთა წარმოებისა და განაწილების საქმეში. ამის შესახებ ჩვენ, მარქსისტები, ყოველთვის ვლაპარაკობდით, და არ ღირს ორიოდე წამიც კი დახარჯო ლაპარაკში ისეთ ადამიანებთან, რომელთაც ესეც კი ვერ გაუგიათ (ანარქისტები და მემარცხენე ესერების ნახევარზე მეტი).

ამასთან ერთად სოციალიზმი წარმოუდგენელია სახელმწიფოში პროლეტარიატის ბატონობის გარეშე: ესეც ანბანია. და ისტორია (რომლისაგანაც, პირველი რანგის ყეყეჩა მენშევიკებს გარდა, არავინ მოელოდა, რომ იგი «მთლიან» სოციალიზმს მოგვცემდა მშვიდად, წყნარად, იოლად და უბრალოდ) ისე თავისებურად წარიმართა, რომ 1918 წლისათვის წარმოშვა ერთმანეთისაგან განცალკევებული ორი ნახევარი სოციალიზმისა, ერთიმეორის გვერდით, თითქოს ორი მომავალი წიწილა საერთაშორისო იმპერიალიზმის ერთ ნაჭუჭს ქვეშ. გერმანიამ და რუსეთმა 1918 წელს ყველაზე თვალსაჩინოდ განასახიერეს მატერიალური განხორციელება სოციალიზმის ეკონომიური, საწარმოო, საზოგადოებრივ-სამეურნეო პირობებისა, ერთი მხრივ, და პოლიტიკური პირობებისა, მეორე მხრივ.

ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია გერმანიაში ერთბაშად, უდიდესი სიადვილით, დაამსხვრევდა იმპერიალიზმის ყოველნაირ ნაჭუჭს (რომელიც, სამწუხაროდ, საუკეთესო ფოლადისაგან არის გაკეთებული და რომელიც ამიტომ არ ტყდება ყოველგვარი წიწილის ძალ-ღონისაგან), აუცილებლად განახორციელებდა მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვე-

ბას, სიძნელეთა გარეშე ან სრულიად უმნიშვნელო სიძნელეებით, — რასაკვირველია, თუ ავიღებთ «ძნელის» მსოფლიო ისტორიულ და არა ობივატელურ-ჯგუფურ მასშტაბს.

რაკი გერმანიაში რევოლუცია ჯერ კიდევ აგვიანებს «წარმოშობას», ჩვენი ამოცანაა ვისწავლოთ გერმანელების სახელმწიფო კაპიტალიზმისაგან, მთელი ძალღონით გადმოვიღოთ იგი, არ დავიშუროთ დიქტატორული საშუალებანი იმისათვის, რომ დავაჩქაროთ დასავლეთის წესების ეს გადმოღება ბარბაროსული რუსეთის მიერ და ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში არ დავერიდოთ ბარბაროსულ საშუალებებს. თუკი ანარქისტებსა და მემარცხენე ესერებს შორის მოიპოვებიან ისეთი ადამიანები (მე უცაბედად გამახსენდა კარელინისა და გეს სიტყვები ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში), რომელთაც კარელინისებურად შეუძლიათ მსჯელობა, რომ აქაო-და ჩვენ, რევოლუციონერებს, არ შეგვფერის გერმანიის იმპერიალიზმისაგან «სწავლაო», მაშინ ერთი რამ უნდა ითქვას: საბოლოოდ (და სავსებით დამსახურებულად) დაიღუპებოდა რევოლუცია, მას რომ ასეთი ადამიანებისათვის სერიოზული ანგარიში გაეწია.

რუსეთში ახლა სჭარბობს სწორედ წვრილბურჟუაზიული კაპიტალიზმი, რომლისგანაც როგორც მსხვილი სახელმწიფო კაპიტალიზმისაკენ, ისე სოციალიზმისაკენ მივყავართ ერთსა და იმავე გზას, ერთი და იმავე შუათანა საფეხურის გავლით, რომელსაც ეწოდება პროდუქტთა წარმოებისა და განაწილების «საყოველთაო-სახალხო აღრიცხვა და კონტროლი». ვისაც ეს არ ესმის, ის მიუტევებელ ეკონომიურ შეცდომას სჩადის, ან იმიტომ, რომ არ იცნობს სინამდვილის ფაქტებს, ვერ ხედავს იმას, რაც არის, უნარი არ შესწევს სახეში უცქიროს სიმართლეს, ანდა იმიტომ, რომ კმაყოფილდება «კაპიტალიზმის» აბსტრაქტული დაპირისპირებით «სოციალიზმისადმი» და არ უკვირდება ჩვენში ამ გადასვლის კონკრეტულ ფორმებსა და საფეხურებს ამჟამად.

ფრჩხილებში შევნიშნავთ: ეს იგივე თეორიული შეცდომაა, რომელმაც თავგზა აუბნია «ნოვაია ჟიზნის» და «ვპერიოდის»[77] ბანაკის საუკეთესო ადამიანებს: მათ შორის უცუდესნი და საშუალონი, თავიანთი გონების სიჩლუნგისა და უნებისყოფობის გამო კუდში მიჩანჩალებენ ბურჟუაზიას, მისგან დაშინებულნი; ხოლო უკეთესებმა ვერ გაიგეს, რომ სოციალიზმის მასწავლებლები ტყუილ-უბრალოდ კი არ ლაპარაკობდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მთელ პერიოდზე და ტყუილად კი არ აღნიშნავდნენ ხაზგასმით ახალი საზოგადოების «მშობიარობის ხანგრძლივ ტკივილებს»[78], ამასთან ეს ახალი საზოგადოებაც აბსტრაქციაა, რომელიც ხორცს ვერ შეისხამს ისე, თუ არ განვლო მთელი რიგი სხვადასხვანაირი, არასრულყოფილი კონკრეტული ცდები ამა თუ იმ სახის სოციალისტური სახელმწიფოს შესაქმნელად.

სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობიდან წინსვლა არ შეიძლება ისე, თუ არ გავივლით იმას, რ ა ც ს ა ე რ თ ო ა სახელმწიფო კაპიტალიზმისთვისაც და სოციალიზმისთვისაც (საყოველთაოსახალხო აღრიცხვა და კონტროლი), თავით ბოლომდე თეორიული უაზრობაა სხვებისა და საკუთარი თავის დაშინება «ევოლუციით სახელმწიფო კაპიტალიზმის მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ». ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ «ევოლუციის» ნამდვილ გზას «გადაუხვიო» აზრით, ვერ გაიგო ეს გზა; პრაქტიკაში კი ეს იმას უდრის, რომ ე წ ე ო დ ე უ კ ა ნ წ ვ რ ი ლ მესაკუთრული კაპიტალიზმისაკენ.

რათა მკითხველი დარწმუნდეს, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმის «მაღალ» შეფასებას მე ვიძლევი არა მარტო ახლა, არამედ ვიძლეოდი მ ა ნ ა მ დ ე ც, ვიდრე ბოლშევიკები ძალაუფლებას აიღებდნენ, ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო შემდეგი ციტატი ჩემი ბროშურიდან: «კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას», რომელიც დაწერილია 1917 წ. სექტემბერში:

...«სცადეთ და იუნკრულ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ნაცვლად, მემამულურ-კაპიტალისტური სახელმწიფოს ნაცვლად, იგულისხმეთ რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფო, ე. ი. ისეთი სახელმწიფო, რომელიც რევოლუციურად ამსხვრევს ყოველგვარ პრივილეგიებს, რომელსაც არ ეშინია იმისა, რომ რევოლუციურად განახორციელოს უაღრესად სრული დემოკრატიზმი? თქვენ დაინახავთ, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი ნამდვილად რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში აუცილებლად, გარდუვალად ნიშნავს სოციალიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს.

...«ვინაიდან სოციალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტური მონოპოლიიდან წინგადადგმული უახლოესი ნაბიჯი.

...«სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სოციალიზმის უაღრესად სრული მატერიალური მომზადებაა, მისი კარიბჭეა, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომელს შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა არავითარი შუათანა საფეხური არ არის» (გვ. 27 და 28)[79].

დაიხსომეთ, რომ ეს დაწერილია კერენსკის დროს, რომ აქ ლაპარაკია ა რ ა პროლეტარიატის დიქტატურაზე, ა რ ა სოციალისტურ სახელმწიფოზე, არამედ «რევოლუციურ-დემოკრატიულზე». ნუთუ ცხადი არაა, რომ, რ ა ც უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა ავედით ამ პოლიტიკურ საფეხურთან შედარებით, რ ა ც უ ფ რ ო ს რ უ ლ ა დ განვახორციელეთ ჩვენ საბჭოებში სოციალისტური სახელმწიფო და პროლეტარიატის დიქტატურა, მ ი თ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ა დ გვეპატიება გვეშინოდეს «სახელმწიფო კაპიტალიზმისა»? ნუთუ ცხადი არაა, რომ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი, ეკონომიური, საწარმოო აზრით ჩვენ ჯერ კიდევ სოციალიზმის «კარიბჭეში» არ ვიმყოფებით? და რომ სოციალიზმის კარში ვერ შეხვალ ისე, თუ არ განვლე ეს «კარიბჭე», რომელიც ჩვენ მიერ ჯერ მიღწეული არ არის?..

* * *

უაღრესად ჭკუის სასწავლია კიდევ შემდეგი გარემოება.

როდესაც ჩვენ ცაკში ამხანაგ ბუხარინს ვედავებოდით, მან სხვათა შორის შენიშნა: სპეციალისტების დიდი ჯამაგირების საკითხში «ჩვენ» «ლენინზე მემარჯვენეები» ვართო, რადგან ამაში პრინციპებიდან არავითარ გადახვევას არა ვხედავთ, გვახსოვს რა მარქსის სიტყვები, რომ განსაზღვრულ პირობებში მუშათა კლასისთვის ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა «თავი გამოისყიდოს ამ ბანდისაგან»[80] (სახელდობრ კაპიტალისტების ბანდისაგან, ე. ი. ბურჟუაზიისაგან გ ა მ ო ი ს ყ ი დ ო ს მიწა, ფაბრიკები, ქარხნები და სხვა საწარმოო საშუალებანი).

ეს მეტისმეტად საინტერესო შენიშვნაა...

...ჩაუფიქრდით მარქსის აზრს.

საქმე შეეხებოდა გასული საუკუნის 70-იანი წლების ინგლისს, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის კულმინაციურ პერიოდს, იმ ქვეყანას, რომელშიც მაშინ ყველაზე ნაკლებად იყო სამხედრო ხროვა და ბიუროკრატია, იმ ქვეყანას, რომელშიც მაშინ ყველაზე მეტად იყო სოციალიზმის «მშვიდობიანი» გამარჯვების შესაძლებლობანი მუშების მიერ ბურჟუაზიის «გამოსყიდვის» აზრით. და მარქსი ამბობდა: განსაზღვრულ პირობებში მუშები სრულიადაც არ იტყვიან უარს იმაზე, რომ ბურჟუაზია გამოისყიდონო, მარქსი არც თვითონ იბორკავდა — და არც სოციალისტური რევოლუციის მომავალ მოღვაწეებს უბორკავდა — ხელებს გადატრიალების ფორმების, საშუალებების, ხერხების საქმეში, რადგანაც მშვენივრად ესმოდა, თუ რა აუარებელი ახალი პრობლემა წამოიჭრება მაშინ, თუ როგორ შეიცვლება მთელი ვითარება გადატრიალების მსვლელობაში, რა ხშირად, რა ძლიერად შეიცვლება იგი გადატრიალების მსვლელობაში.

კარგი, მაგრამ საბჭოთა რუსეთში მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც პროლეტარიატმა ძალაუფლება აიღო, მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც დათრგუნვილ იქნა ექსპლოატატორების სამხედრო და საბო-

ტაქტური წინააღმდეგობა, ნუთუ ცხადი არ არის, რომ ზ ო გ ი-ე რ თ ი პირობა შეიქმნა იმ პირობათა ტიპის მსგავსად, რომ-ლებიც შეიძლებოდა ნახევარი საუკუნის წინ შექმნილიყო ინგლისში, მას რომ დაეწყო მაშინ მშვიდობიანი გადასვლა სოციალიზმზე? ინგლისში კაპიტალისტების დამორჩილება მუშებისადმი მაშინ შეიძლებოდა უზრუნველყოფილიყო შემდეგი გარემოებებით: 1) მოსახლეობაში მუშების, პრო-ლეტარების სრული სიჭარბით, რადგანაც გლეხობა არ იყო (ინგლისში 70-იან წლებში იყო ნიშნები, რომლებიც ნებას იძლეოდნენ გვქონოდა იმედი, რომ სოციალიზმი მეტად სწრაფ წარმატებას მოიპოვებდა სოფლის მუშებს შორის); 2) პროლეტარიატის საუცხოო ორგანიზებულობით პროფე-სიულ კავშირებში (ამ მხრივ ინგლისი მაშინ პირველი ქვეყა-ნა იყო მსოფლიოში); 3) შედარებით მაღალი კულტურულო-ბით პროლეტარიატისა, რომელიც გაწაფული იყო პოლიტი-კური თავისუფლების საუკუნეობრივი განვითარებით; 4) ინგლისის მშვენივრად ორგანიზებული კაპიტალისტების — მაშინ ისინი მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის ყველაზე უკეთ ორგანიზებული კაპიტალისტები იყვნენ (ახლა ეს პირ-ველობა გერმანიის ხელში გადავიდა) დიდი ხნის ჩვეულე-ბით — კომპრომისით გადაეწყვიტათ პოლიტიკური და ეკო-ნომიური საკითხები. აი რა გარემოებათა გამო შეიძლებოდა მაშინ დაბადებულიყო ის აზრი, რომ შესაძლებელი იყო ინგ-ლისის კაპიტალისტების მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ა დ დამორჩილე-ბა ინგლისის მუშებისადმი.

ჩვენში ამჟამად ეს დამორჩილება უზრუნველყოფილია განსაზღვრული კონკრეტული წინაპირობებით (ოქტომბრის გამარჯვებით და კაპიტალისტების სამხედრო და საბოტაჟური წინააღმდეგობის დათრგუნვით ოქტომბრიდან თებერვლამ-დე). ჩვენში, ნ ა ც ვ ლ ა დ მუშების, პროლეტარების სრული სიჭარბისა მოსახლეობაში და მათი მაღალი ორგანიზებულო-ბისა, გამარჯვების ფაქტორად ის გახდა, რომ პროლეტა-რებს მხარი დაუჭირა უღარიბესმა და სწრაფად გაპარტახე-ბულმა გლეხობამ. ბოლოს, ჩვენ ახლა გვაქვს არც მაღალი

კულტურულობა და არც კომპრომისებს ვართ ჩვეული. თუ ჩავუფიქრდებით ამ კონკრეტულ პირობებს, ცხადი გახდება, რომ ამჟამად ჩვენ შეგვიძლია და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იმ უკულტურო კაპიტალისტებთან ულმობლად გასწორების ხერხები, რომელნიც გაურბიან ყოველგვარ «სახელმწიფო კაპიტალიზმს», არავითარ კომპრომისზე წასვლას არ ფიქრობენ, განაგრძობენ საბჭოთა ღონისძიებების ჩაშლას სპეკულაციით, ღარიბთა მოსყიდვით და სხვ., შეევუერთოთ კომპრომისის ან გამოსყიდვის ხერხებს იმ კულტურული კაპიტალისტების მიმართ, რომელნიც «სახელმწიფო კაპიტალიზმზე» თანხმდებიან, უნარი აქვთ გაატარონ ის ცხოვრებაში, სასარგებლონი არიან პროლეტარიატისათვის როგორც ჭკვიანი და გამოცდილი ორგანიზატორები უმსხვილესი საწარმოებისა, რომლებიც ნამდვილად მოიცავენ ათეულ მილიონობით ადამიანთა მომარაგებას პროდუქტებით.

ბუხარინი საუცხოოდ განათლებული მარქსისტი-ეკონომისტია. ამიტომ მას გაახსენდა, რომ მარქსი უაღრესად მართალი იყო, როდესაც მუშებს ასწავლიდა სწორედ სოციალიზმზე გადასვლის გაადვილების ინტერესებისათვის უმსხვილესი წარმოების ორგანიზაციის შენარჩუნების დიდ მნიშვნელობას და იმ აზრის სრული დაშვების შესაძლებლობას, რომ კარგი ფასი მიეცათ კაპიტალისტებისათვის, გამოესყიდათ ისინი, თუკი (გამონაკლისის სახით: ინგლისი მაშინ გამონაკლისს წარმოადგენდა) გარემოებანი ისე შეიქმნება, რომ აიძულებს კაპიტალისტებს მშვიდობიანად დამორჩილდნენ და კულტურულად, ორგანიზებულად გადავიდნენ სოციალიზმზე გამოსყიდვის პირობით.

მაგრამ ბუხარინს შეცდომა მოუვიდა, რადგანაც იგი არ ჩაუფიქრდა რუსეთში ახლა არსებული მომენტის, სწორედ განსაკუთრებული მომენტის კონკრეტულ თავისებურებას, როდესაც ჩვენ, რუსეთის პროლეტარიატი, ყოველ ინგლისსა და ყოველ გერმანიაზე წინა ვართ ჩვენი პოლიტიკური

წყობილებით, მუშების პოლიტიკური ხელისუფლების ძლიერებით და იმავე დროს დასავლეთ ევროპის ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოზე უკანა ვართ კეთილწესიერი სახელმწიფო კაპიტალიზმის ორგანიზაციით, კულტურის სიმაღლით, სოციალიზძის მატერიალურ-საწარმოო «შემოღების» მომზადების დონით. განა ცხადი არაა, რომ ამ თავისებური მდგომარეობიდან ახლანდელი მომენტისათვის გამომდინარეობს სწორედ აუცილებლობა თავისებური «გამოსყიდვისა», რომელიც მუშებმა უნდა შესთავაზონ უაღრესად კულტურულ, უაღრესად ტალანტიან, ორგანიზატორული მხრით ყველაზე უნარიან კაპიტალისტებს, რომელნიც მზად არიან ემსახურონ საბჭოთა ხელისუფლებას და კეთილწესიერად დაეხმარონ მსხვილი და უმსხვილესი «სახელმწიფო» წარმოების მოწყობის საქმეს? განა ცხადი არაა, რომ ამნაირი თავისებური მდგომარეობის დროს უნდა ვცდილობდეთ თავიდან ავიშოროთ ორნაირი შეცდომა, რომელთაგან თვითეული თავისებურად წვრილბურჟუაზიულია? ერთი მხრივ, გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა გაგვეცხადებინა, რომ რაკი აღიარებულია ჩვენი ეკონომიური «ძალებისა» და ჩვენი პოლიტიკური ძალის შეუსაბამობა, «მაშასადამე», ძალაუფლებაც არ უნდა აგვეღოო. ასე მსჯელობენ «ფუტლარის ადამიანები», რომელთაც ავიწყდებათ, რომ «შესაბამისობა» არასოდეს არ იქნება, რომ იგი არ შეიძლება იყოს საზოგადოების განვითარებაში, ისევე როგორც ბუნების განვითარებაში, რომ მხოლოდ მთელ რიგ ცდათა საშუალებით, რომელთაგან თვითეული, ცალ-ცალკე აღებული, ცალმხრივი, ერთგვარი შეუსაბამობის მატარებელი იქნება, — ყველა ქვეყნის პროლეტართა რევოლუციური თანამშრომლობით შეიქმნება ძლევამოსილი სოციალიზმი.

მეორე მხრივ, აშკარა შეცდომა იქნებოდა თავისუფლება მიგვეცა მყვირალებისა და ფრაზიორებისათვის, რომელნიც თავს ნებას აძლევენ, რომ ისინი გაიტაცოს «ბრჭყვიალა» რევოლუციურობამ, მაგრამ უნარი კი არ შესწევთ აწარმოონ მტკიცე, მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი რევოლუციური

მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე უძნელეს გადასვლებს.

საბედნიეროდ, რევოლუციური პარტიების განვითარებისა და მათთან ბოლშევიზმის ბრძოლის ისტორიამ მემკვიდრეობად დაგვიტოვა მკვეთრად მოხაზული ტიპები, რომელთაგანაც მემარცხენე ესერები და ანარქისტები უხეირო რევოლუციონერების ტიპის საკმაოდ თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენენ. ისინი ახლა გაჰკივიან — ისტერიულად და სულმოუთქმელად, მთელი ძალით გაჰკივიან «მემარჯვენე ბოლშევიკების» «შემთანხმებლობის» წინააღმდეგ. მაგრამ მათ უნარი არ შესწევთ იფიქრონ, თუ რ ი თ იყო ცუდი და რ ა ტ ო მ გაკიცხა სამართლიანად ისტორიამ და რევოლუციის მსვლელობამ «შემთანხმებლობა».

კერენსკის დროის შემთანხმებლობა ძალაუფლებას იმპერიალისტურ ბურჟუაზიას აძლევდა, ხოლო ძალაუფლების საკითხი ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხია. ბოლშევიკთა ნაწილის შემთანხმებლობას 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ან ეშინოდა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებისა, ანდა სურდა ძალაუფლება თანაბრად გ ა ე ყ ო არა მარტო ისეთ «არასაიმედო თანამგზავრებთან», როგორიც მემარცხენე ესერები არიან, არამედ მტრებთანაც — ჩერნოველებთან, მენშევიკებთან, რომელნიც აუცილებლივ ხელს შეგვიშლიდნენ ჩვენ ძირითადში: დამფუძნებელი კრების გარეკვაში, ბოგაევსკების ულმობელ განადგურებაში, საბჭოთა დაწესებულებების ღონისძიებათა სრულ განხორციელებაში, ყოველ კონფისკაციაში.

ახლა ძალაუფლება დაპყრობილია, შენარჩუნებულია, განმტკიცებულია ერთი პარტიის, პროლეტარიატის პარტიის ხელში, «არასაიმედო თანამგზავრების» გარეშეც კი. ახლა ლაპარაკი შემთანხმებლობის შესახებ, როდესაც ძ ა ლ ა უ ფ ლ ებ ი ს განაწილებაზე, ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარების დიქტატურის უარყოფაზე ლაპარაკიც კი აღარაა და არც შეიძლება იყოს, — იმას ნიშნავს, რომ კაჭკაჭივით იმეორებდე გაზეპირებულ, მაგრამ შეუცნობელ სიტყვებს. «შემ-

თანხმებლობა» უწოდო იმას, რომ, მივაღწიეთ რა ისეთ მდგომარეობას, როდესაც ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვმართოთ ქვეყანა, ვცდილობთ მოვიზიდოთ კაპიტალიზმის მიერ განსწავლული ყველაზე კულტურული ელემენტები, და ამისათვის არ ვზოგავთ ფულს ვცდილობთ ავიყვანოთ ისინი სამსახურში წვრილმესაკუთრული რღვევის წინააღმდეგ, — ეს იმას ნიშნავს, რომ სრულიად არ შეგეძლოს ფიქრი სოციალიზმის მშენებლობის ეკონომიურ ამოცანებზე»[31].

სასურსათო გადასახადის, ვაჭრობის თავისუფლებისა და კონცესიების შესახებ

1918 წლის ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში მთელი რიგი შეცდომებია ვადების შესახებ. ვადები იმაზე უფრო გრძელი გამოდგა, ვიდრე მაშინ ვვარაუდობდით. ეს არაა გასაკვირი. მაგრამ ჩვენი ეკონომიკის ძირითადი ელემენტები იგივე დარჩა. «ღარიბი» გლეხები (პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები) ძალიან ბევრ შემთხვევაში საშუალო გლეხებად გადაიქცნენ. ამით გაძლიერდა წვრილმესაკუთრული, წვრილბურჟუაზიული «სტიქია». 1918 — 1920 წლების სამოქალაქო ომმა კი მეტისმეტად გააძლიერა ქვეყნის გაპარტახება, შეაფერხა მის საწარმოო ძალთა აღდგენა, ყველაზე მეტად სწორედ პროლეტარიატი დასცალა სისხლისაგან. ამას დაერთო 1920 წლის მოუსავლობა, უსაკვებობა, პირუტყვის დაცემა, რამაც უფრო მეტად შეაფერხა ტრანსპორტის და მრეწველობის აღდგენა, ეს კი დაეტყო, მაგალითად, ჩვენი მთავარი სათბობი მასალის — შეშის მოზიდვას გლეხის ცხენებით.

შედეგად 1921 წლის გაზაფხულისათვის ისეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რომ გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მის საწარმოო ძალთა ასამაღლებლად სასწრაფოდ აუცილებელი გახდა დაუყოვნებლივი, უაღრესად გადამწყვეტი, უაღრესად საგანგებო ზომების მიღება.

რატომ სახელდობრ გლეხობის და არა მუშებისა?

იმიტომ, რომ მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა პური და სათბობი. ამჟამად — მთელი სახელმწიფოებრივი მეურნეობის თვალსაზრისით — ყველაზე დიდი «დაბრკოლება» სწორედ ამის გამოა. ხოლო პურის მოწევისა და აღების, სათბობის დამზადებისა და მოზიდვის გადიდება შეუძლებელია ისე, თუ არ გაუმჯობესდა გლეხობის მდგომარეობა, თუ არ გაიზარდა მისი საწარმოო ძალები. უნდა დავიწყოთ გლეხობიდან. ვისაც ეს ვერ შეუგნია, ვინც გლეხების პირველ ადგილზე წამოყენებაში ხედავს პროლეტარიატის დიქტატურის «უარყოფას» ან მისი უარყოფის მსგავს რაიმეს, ის სრულიად არ უფიქრდება საქმეს და ფრაზას ემონება. პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატის მხრით პოლიტიკის ხელმძღვანელობა. პროლეტარიატს, როგორც ხელმძღვანელ, როგორც გაბატონებულ კლასს, უნდა შეეძლოს პოლიტიკის ისე წარმართვა, რომ პირველ რიგში გადაწყვიტოს ყველაზე უფრო გადაუდებელი, ყველაზე უფრო «მტკივნეული» ამოცანა. ახლა ყველაზე უფრო გადაუდებელია ისეთი ზომების მიღება, რომელთა მეოხებით შესაძლებელი იქნება გლეხური მეურნეობის საწარმოო ძალების დაუყოვნებლივ ამაღლება. მხოლოდ ა მ გ ზ ი თ შეგვიძლია მივაღწიოთ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებასაც, მუშებისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებასაც, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას ის პროლეტარი ან პროლეტარიატის წარმომადგენელი, რომელიც მოინდომებდა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ა რ ა ა მ გ ზ ი თ წასვლას, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ბ ი თეთრგვარდიელებისა და კაპიტალისტების დამხმარე აღმოჩნდებოდა. ვინაიდან არა ამ გზით წასვლა ნიშნავს: მუშათა ამჟრული ინტერესები დააყენო კლასობრივ ინტერესებზე მაღლა, ნიშნავს: მუშათა უშუალო, წუთიერი, ნაწილობრივი სარგებლობის ინტერესებს მსხვერპლად შესწირო ინტერესები მთელი მუშათა კლასისა, მისი დიქტატურისა, მისი კავშირისა გლეხობასთან მემამულეებისა და კაპიტალისტე-

ბის წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელი როლისა ბრძოლაში კაპიტალის უღლისაგან შრომის გასათავისუფლებლად.

ამრიგად: უწინარეს ყოვლისა საჭიროა დაუყოვნებლივი და სერიოზული ღონისძიებანი გლეხობის საწარმოო ძალების ასამაღლებლად.

ამის გაკეთება შეუძლებელია, თუ სერიოზულად არ შევცვალეთ სასურსათო პოლიტიკა. ასეთ შეცვლას წარმოადგენს გაწერის ნაცვლად სასურსათო გადასახადის შემოღება, რომელიც დაკავშირებულია ვაჭრობის თავისუფლებასთან გადასახადის გაღების შემდეგ ადგილობრივ სამეურნეო ბრუნვაში მაინც.

რა შეადგენს გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის არსს?

ამის შესახებ ძალიან გავრცელებულია მცდარი წარმოდგენა. შეცდომა მეტწილად იქიდან წარმოსდგება, რომ არ უკვირდებიან გადასვლის არსს, არ ეკითხებიან თავიანთ თავს, საიდან სად მივყავართ ამ გადასვლას. საქმე ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქოს გადასვლა ხდებოდეს საერთოდ კომუნიზმიდან საერთოდ ბურჟუაზიულობისაკენ. ამ შეცდომის საწინააღმდეგოდ აუცილებლად უნდა მივუთითოთ იმაზე, რაც 1918 წლის მაისში იყო ნათქვამი.

სასურსათო გადასახადი არის ერთ-ერთი ფორმა უკიდურესი გაჭირვებით, გაჩანაგებითა და ომით ნაკარნახევი თავისებური «სამხედრო კომუნიზმიდან» გადასვლისა სწორ სოციალისტურ პროდუქტცვლაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, არის ერთ-ერთი ფორმა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისა იმ თავისებურებებით, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობაში წვრილი გლეხობის სიჭარბით.

თავისებური «სამხედრო კომუნიზმი» იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხებისაგან ფაქტიურად მიგვქონდა სურსათის მთელი ნაჭარბი და ზოგჯერ არათუ ნაჭარბი, არამედ გლეხისთვის აუცილებელი ნაწილიც კი, მიგვქონდა არმიის შესანახი ხარჯების დასაფარავად და მუშების სარჩენად. მიგვქონდა მეტწილად ვალად, ქაღალდის ფულზე. სხვანაირად

ჩვენ ვერ დავამარცხებდით მემამულეებსა და კაპიტალისტებს გაჩანაგებულ წვრილგლეხურ ქვეყანაში. და ის ფაქტი, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ექსპლოატატორებს ზურგს უმაგრებდნენ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები), გვიჩვენებს არა მარტო იმას, თუ გმირობის რა სასწაულების ჩადენა შეძლებიათ თავიანთი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მუშებსა და გლეხებს. ეს ფაქტი გვიჩვენებს აგრეთვე, თუ ბურჟუაზიის ლაქიების რა როლს ასრულებდნენ სინამდვილეში მენშევიკები, ესერები, კაუცკი და კომპ., როცა ჩვენ დანაშაულად გვითვლიდნენ ამ «სამხედრო კომუნიზმს». ეს ჩვენ დამსახურებად უნდა ჩაგვეთვალოს.

მაგრამ არანაკლებ აუცილებელია ამ დამსახურების ნამდვილი ზომის ცოდნა. «სამხედრო კომუნიზმი» ნაკარნახევი იყო ომითა და გაჩანაგებით. იგი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პროლეტარიატის სამეურნეო ამოცანების შესაფერისი პოლიტიკა. ის იყო დროებითი ღონისძიება. სწორი პოლიტიკა პროლეტარიატისა, რომელიც თავის დიქტატურას წვრილგლეხურ ქვეყანაში ახორციელებს, არის გლეხისათვის საჭირო სამრეწველო პროდუქტების გადაცვლა პურზე. მხოლოდ ასეთი სასურსათო პოლიტიკა შეეფერება პროლეტარიატის ამოცანებს, მხოლოდ ამ პოლიტიკას შეუძლია განამტკიცოს სოციალიზმის საფუძვლები და მიგვიყვანოს მის სრულ გამარჯვებამდე.

სასურსათო გადასახადი აქეთკენ გადასვლაა. ჩვენ ჯერ კიდევ ისე ვართ გაჩანაგებულნი, ისე ვართ გასრესილნი ომის სიმძიმით (ომისა, რომელიც გუშინ იყო და რომელმაც, კაპიტალისტების გაუმაძღრობისა და გაბოროტების წყალობით, შეიძლება ხვალაც იფეთქოს), რომ არ შეგვიძლია მრეწველობის პროდუქტები მივცეთ გლეხს მთელ იმ პურში, რაც ჩვენთვის საჭიროა. რაკი ეს ვიცით, ჩვენ ვაწესებთ სასურსათო გადასახადს, ე. ი. მინიმალურად აუცილებელი (არმიისა და მუშებისათვის აუცილებელი) პურის რაოდენობა

მიგვაქვს გადასახადის სახით, დანარჩენს კი გადავცვლით მრეწველობის პროდუქტებზე.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ კიდევ შემდეგი. გაჭირვება და გაჩანაგება ისეთია, რომ მსხვილი, საფაბრიკო, სახელმწიფო, სოციალისტური წარმოების ერთბაშად აღდგენა ჩვენ არ შეგვიძლია. ამისათვის საჭიროა მსხვილი მრეწველობის ცენტრებში გვქონდეს პურისა და სათბობის დიდი მარაგი, საჭიროა გაცვეთილი მანქანების შეცვლა ახალი მანქანებით და სხვ.. ჩვენ გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ერთბაშად ამის გაკეთება შეუძლებელია, და ჩვენ ვიცით, რომ გამაჩანაგებელი იმპერიალისტური ომის შემდეგ თვით ყველაზე მდიდარი და მოწინავე ქვეყნებიც კი მხოლოდ განსაზღვრული, საკმაოდ დიდი დროის, მთელი რიგი წლების განმავლობაში შეძლებენ ამ ამოცანის გადაჭრას. მაშასადამე, საჭიროა რამდენადმე ხელი შევუწყოთ წვრილი მრეწველობის აღდგენას, რომელსაც არ სჭირდება მანქანები, არ სჭირდება ნედლეულის, სათბობის, სურსათის არც სახელმწიფო და არც სხვა დიდი მარაგი, — რომელსაც ახლავე შეუძლია გაუწიოს ერთგვარი დახმარება გლეხის მეურნეობას და აამაღლოს მისი საწარმოო ძალები.

რა გამომდინარეობს აქედან?

ვაჭრობის ერთგვარი (თუგინდ მხოლოდ ადგილობრივი) თავისუფლების ნიადაგზე ხდება წვრილი ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის აღორძინება. ეს უეჭველია. სასაცილოა ამაზე თვალის დახუჭვა.

იბადება კითხვა: აუცილებელი კია ეს? შეიძლება კი ამის გამართლება? ხომ არ არის ეს საშიში?

ამგვარი კითხვა ბევრი გვესმის, და მეტწილად ისინი მხოლოდ იმათ გულუბრყვილობას (რბილად რომ ვთქვათ) ამჟღავნებენ, ვინც ასეთ კითხვებს იძლევა.

გაიხსენეთ ის, თუ როგორ განვსაზღვრავდი მე 1918 წლის მაისში ჩვენს ეკონომიკაში არსებულ ელემენტებს (შემადგენელ ნაწილებს) სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობისას. ვერავინ ვერ შეძლებს იმის უარყოფას, რომ ჩვენში

არსებობს ყველა ეს ხუთი საფეხური (ანუ შემადგენელი ნაწილი) ამ ხუთივე წყობისა, დაწყებული პატრიარქალური, ე. ი. ნახევრადველური წყობით და გათავებული სოციალისტური წყობით. წვრილგლეხურ ქვეყანაში რომ სჭარბობს წვრილგლეხური «წყობა», ესე იგი ნაწილობრივ პატრიარქალური, ნაწილობრივ წვრილბურჟუაზიული წყობა, ეს თავისთავად აშკარაა. წვრილი მეურნეობის განვითარება არის წვრილბურჟუაზიული განვითარება, არის კაპიტალისტური განვითარება, რაკი არსებობს გაცვლა; ეს უდავო ჭეშმარიტებაა, პოლიტიკური ეკონომიის ანბანური ჭეშმარიტებაა, რომელიც დასტურდება ამასთანავე ყოველდღიური გამოცდილებით და ობივატელური დაკვირვებითაც კი.

რანაირი პოლიტიკის წარმოება შეუძლია სოციალისტურ პროლეტარიატს ასეთი ეკონომიური სინამდვილის პირობებში? მივცეთ წვრილ გლეხს მისთვის საჭირო ყ ვ ე ლ ა პროდუქტი მსხვილი სოციალისტური ფაბრიკის წარმოებიდან პურსა და ნედლეულზე გადაცვლით? ეს იქნებოდა ყველაზე სასურველი, ყველაზე «სწორი» პოლიტიკა, — ჩვენც სწორედ ასეთ პოლიტიკას დავადექით. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ყ ვ ე ლ ა პროდუქტის მიცემა, ძალიან ნაკლებად შეგვიძლია და ვერც ისე მალე მოვახერხებთ ამას, — ვერ მოვახერხებთ იმ დრომდე მაინც, ვიდრე არ დავამთავრებთ მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაციის თუნდაც პირველი რიგის სამუშაოებს. მაშ როგორ მოვიქცეთ? ან უნდა შევეცადოთ ავკრძალოთ, ჩავახშოთ სრულიად კერძო, არასახელმწიფოებრივი გაცვლა-გამოცვლის, ე. ი. ვაჭრობის, ე. ი. კაპიტალიზმის ყოველი განვითარება, რომელიც აუცილებელია წვრილ მწარმოებელთა მილიონობით არსებობის დროს. ასეთი პოლიტიკა სისულელე და თვითმკვლელობა იქნებოდა იმ პარტიისთვის, რომელიც შეეცდებოდა მის გატარებას. სისულელე იქნებოდა, ვინაიდან ასეთი პოლიტიკა ეკონომიურად შეუძლებელია; თვითმკვლელობა იქნებოდა, ვინაიდან პარტიებს, რომლებიც ამგვარ პოლიტიკას მიმართავენ, აუცილებლად კრახი მოსდით. ცოდვა გატეხილი სჯობია, ზოგიერთი კომუნისტი

«ზრახვით, სიტყვით და საქმით» სცოდავდა, რადგან სწორედ ა ს ე თ პოლიტიკას ადგებოდა. შევეცადოთ თავიდან მოვიშოროთ ეს შეცდომები. აუცილებლად უნდა მოვიშოროთ თავიდან ეს შეცდომები, თორემ ძალიან ცუდად წავა საქმე.

ან (უკანასკნელი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი და ერთადერთი გონიერი პოლიტიკა) არ ვეცადოთ ავკრძალოთ თუ ჩავახშოთ კაპიტალიზმის განვითარება, არამედ ვეცადოთ წარვმართოთ იგი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს კალაპოტით. ეკონომიურად ეს შესაძლებელია, ვინაიდან სახელმწიფო კაპიტალიზმი — ამა თუ იმ ფორმით, ცოტად თუ ბევრად — არსებობს ყველგან, სადაც კი ვაჭრობის თავისუფლების და ხაერთოდ კაპიტალიზმის ელემენტები მოიპოვება.

შესაძლებელია თუ არა საბჭოთა სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურის შეხამება, შეერთება, შეთავსება სახელმწიფო კაპიტალიზმთან?

რა თქმა უნდა, შესაძლებელია. სწორედ ამას ვამტკიცებდი მე 1918 წლის მაისში. ეს, ვიმედოვნებ, დავამტკიცე კიდეც 1918 წლის მაისში. ეს კიდევ ცოტაა: მაშინ მე დავამტკიცე აგრეთვე, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი წინგადადგმული ნაბიჯია წვრილმესაკუთრულ (როგორც წვრილპატრიარქალურ, ისე წვრილბურჟუაზიულ) სტიქიასთან შედარებით. უამრავ შეცდომას სჩადიან, როცა სახელმწიფო კაპიტალიზმს უპირისპირებენ თუ ადარებენ მხოლოდ სოციალიზმს, მაშინ როდესაც ახლანდელ პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებაში აუცილებლად უნდა შევადაროთ სახელმწიფო კაპიტალიზმი წვრილბურჟუაზიულ წარმოებასაც.

მთელი საკითხი — როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული — ის არის, რომ გამოიძებნოს სწორი საშუალებანი იმისა, თუ როგორ წარიმართოს კაპიტალიზმის აუცილებელი (რამდენადმე და გარკვეული ვადით) განვითარება სახელმწიფო კაპიტალიზმის კალაპოტით, რა პირობებით განისაზღვროს ეს, როგორ იქნეს უზრუნველყოფილი ახლო მომავალში სახელმწიფო კაპიტალიზმის სოციალიზმად გადაქცევა.

ამ საკითხის გადაწყვეტას რომ მივუდგეთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, რაც შეიძლება უფრო გარკვევით წარმოვიდგინოთ, თუ რა იქნება და შეიძლება იქნეს პრაქტიკაში ჩვენი საბჭოთა სისტემის შიგნით, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებში სახელმწიფო კაპიტალიზმი.

ყველაზე უფრო მარტივი შემთხვევა ანუ მაგალითი იმისა, თუ როგორ წარმართავს საბჭოთა ხელისუფლება კაპიტალიზმის განვითარებას სახელმწიფო კაპიტალიზმის კალაპოტით, თუ როგორ «ნერგავს» იგი სახელმწიფო კაპიტალიზმს, — ეს არის კონცესიები. ახლა ჩვენში ყველა თანახმაა, რომ კონცესიები აუცილებელია, მაგრამ ყველას როდი მოუსაზრებია, თუ რა მნიშვნელობა აქვთ კონცესიებს. რა არის კონცესიები საბჭოთა სისტემის დროს, საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობათა და მათი თანაფარდობის თვალსაზრისით? ეს არის ხელშეკრულება, ბლოკი, კავშირი საბჭოთა, ე. ი. პროლეტარული, სახელმწიფო ხელისუფლებისა სახელმწიფო კაპიტალიზმთან წვრილმესაკუთრული (პატრიარქალური და წვრილბურჟუაზიული) სტიქიის წინააღმდეგ. კონცესიონერი — ეს კაპიტალისტია. ის საქმეს უძღვება კაპიტალისტურად, მოგების გულისათვის, ის თანხმდება ხელშეკრულება დასდოს პროლეტარულ ხელისუფლებასთან, ოღონდ მიიღოს საგანგებო, ჩვეულებრივზე მეტი მოგება, ან ისეთი ნედლეული, რომელიც მას სხვანაირად არ შეუძლია ან ძალიან ძნელად შეუძლია იშოვოს. საბჭოთა ხელისუფლება სარგებლობას ღებულობს საწარმოო ძალთა განვითარების სახით, პროდუქტების რაოდენობის დაუყოვნებლივ ან უმოკლეს ვადაში გადიდების სახით. ვთქვათ, ჩვენ გვაქვს ასობით ესა და ეს სარეწი, სამადნო, ტყის ნაკვეთი. ყველას დამუშავება ჩვენ არ შეგვიძლია — არ გვყოფნის მანქანები, სურსათი, ტრანსპორტი. ამავე მიზეზების გამო ცუდად ვამუშავებთ დანარჩენ უბნებსაც. მსხვილ საწარმოთა უხეირო და არასაკმაო დამუშავების გამო ძლიერდება წვრილმესაკუთრული სტიქია ყველა მისი გამოვლინებით: ხდება მის გარშემო მდებარე (და შემდეგ მთელი) გლეხური მეურნეობის

დასუსტება, მისი საწარმოო ძალების შერყევა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მისი ნდობის დაცემა, მტაცებლობა და მასობრივი წვრილი (ყველაზე უფრო საშიში) სპეკულაცია და სხვ.. «ნერგავს» რა სახელმწიფო კაპიტალიზმს კონცესიების სახით, საბჭოთა ხელისუფლება აძლიერებს მსხვილ წარმოებას წვრილი წარმოების საწინააღმდეგოდ, მოწინავე წარმოებას — ჩამორჩენილი წარმოების საწინააღმდეგოდ, მანქანურ წარმოებას — ხელწარმოების საწინააღმდეგოდ, აგროვებს თავის ხელში მსხვილი ინდუსტრიის პროდუქტების მეტ რაოდენობას (წილობრივი ანარიცხი), წვრილბურჟუაზიულ-ანარქიული ეკონომიური ურთიერთობის საპირდაპიროდ აძლიერებს სახელმწიფოებრივად მოწესრიგებულ ეკონომიურ ურთიერთობას. ზომაზე და ფრთხილად გატარებული საკონცესიო პოლიტიკა, უეჭველია, დაგვეხმარება სწრაფად (რამდენადმე, ცოტაოდნად მაინც) გავაუმჯობესოთ წარმოების მდგომარეობა, მუშათა და გლეხთა მდგომარეობა, — რა თქმა უნდა, ერთგვარი მსხვერპლის გაღებით, კაპიტალისტისთვის ათეული და ათეული მილიონობით ფუთი უძვირფასესი პროდუქტის მიცემით. იმ ზომისა და იმ პირობების განსაზღვრა, როცა კონცესიები ჩვენთვის ხელსაყრელია და საშიში არ იქნება, დამოკიდებულია ძალთა განწყობილებაზე, წყდება ბრძოლით, ვინაიდან კონცესიაც ბრძოლის სახეა, კლასობრივი ბრძოლის განგრძობაა სხვა ფორმით, იგი არავითარ შემთხვევაში არ არის კლასობრივი ბრძოლის შეცვლა კლასობრივი ზავით. ბრძოლის საშუალებებს პრაქტიკა დაგვანახვებს.

სახელმწიფო კაპიტალიზმი კონცესიების სახით, საბჭოთა სისტემის შიგნით სახელმწიფო კაპიტალიზმის სხვა ფორმებთან შედარებით, წარმოადგენს თითქმის ყველაზე უფრო მარტივ, ნათელ, აშკარა, ზუსტად ჩამოყალიბებულ ფორმას. აქ ჩვენ გვაქვს პირდაპირ ფორმალური, წერილობითი ხელშეკრულება ყველაზე უფრო კულტურულ, მოწინავე, დასავლეთ-ევროპულ კაპიტალიზმთან. ჩვენ ზუსტად ვიცით ჩვენი სარგებლობა და ზარალიც, ჩვენი უფლებანი და ვალდებულებანი, ჩვენ ზუსტად ვიცით ის ვადა, რომლითაც ვიძლევით

კონცესიას, ვიცით ვადამდე გამოყიდვის პირობები, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ვადამდე გამოყიდვის უფლებას. ჩვენ განსაზღვრულ «ხარკს» ვუხდით მსოფლიო კაპიტალიზმს, «თავს ვიხსნით» მისგან ამა და ამ მხრივ და ამით განსაზღვრული ზომით დაუყოვნებლივ განვამტკიცებთ საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობას, გავაუმჯობესებთ ჩვენი სამეურნეო საქმიანობის პირობებს. ამოცანის მთელი ხიძნელე კონცესიების მიმართ ის არის, რომ საკონცესიო ხელშეკრულების დადების დროს ყველაფერი მოვიფიქროთ და ავწონ-დავწონოთ, შემდეგ კი შევძლოთ თვალყურის დევნება მისი შესრულებისათვის. სიძნელენი აქ, უეჭველია, არიან, ალბათ, აუცილებელი იქნება პირველ ხანებში შეცდომებიც, მაგრამ ეს სიძნელენი უმცირესია სოციალური რევოლუციის სხვა ამოცანებთან შედარებით, კერძოდ, სახელმწიფო კაპიტალიზმის განვითარების, დაშვების, დანერგვის სხვა ფორმებთან შედარებით.

ყველა პარტიული და საბჭოთა მუშაკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, სასურსათო გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით, არის ის, რომ მათ შეძლონ «საკონცესიო» (ე. ი. «ხაკონცესიო» სახელმწიფო კაპიტალიზმის მსგავსი) პოლიტიკის პრინციპების, საწყისების, საფუძვლების შეფარდება კაპიტალიზმის, თავისუფალი ვაჭრობის, ადგილობრივი ბრუნვის და სხვა დანარჩენ ფორმებთან.

ავიღოთ კოოპერაცია. სასურსათო გადასახადის შესახებ გამოცემულმა დეკრეტმა ტყვილად კი არ გამოიწვია კოოპერაციის დებულების დაუყოვნებლივ გადასინჯვა და მისი «თავისუფლებისა» და მისი უფლებების ერთგვარი გაფართოება. კოოპერაციაც სახელმწიფო კაპიტალიზმის სახეობაა, ოღონდ უფრო ნაკლებ მარტივი, უფრო ნაკლებ მკაფიოდ გამოსახული, უფრო მეტად დახლართული, რის გამოც იგი პრაქტიკაში ჩვენს ხელისუფლებას უფრო მეტ სიძნელეებს უქმნის. წვრილ საქონელმწარმოებელთა კოოპერაცია (ეჭ ლაპარაკია სწორედ ასეთ კოოპერაციაზე, როგორც გაბატონებულზე, ტიპიურზე, წვრილგლეხურ ქვეყანაში და არა

მუშათა კოოპერაციაზე) გარდუვალად წარმოშობს წვრილ-ბურჟუაზიულ, კაპიტალისტურ ურთიერთობას, ხელს უწყობს მის განვითარებას, პირველ რიგში აყენებს პატარა კაპიტალისტებს, მათ აძლევს ყველაზე მეტ სარგებლობას. ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, რაკი წვრილი მეპატრონენი სჭარბობენ და არის შესაძლებლობა, აგრეთვე აუცილებლობა გაცვლა-გამოცვლისა. რუსეთის დღევანდელ პირობებში კოოპერაციის თავისუფლება და უფლებანი ნიშნავს კაპიტალიზმის თავისუფლებას და უფლებებს. ამ აშკარა ჭეშმარიტების წინაშე თვალის დახუჭვა სისულელე ან დანაშაული იქნებოდა.

მაგრამ «კოოპერაციული» კაპიტალიზმი, კერძოსამეურნეო კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, საბჭოთა ხელისუფლების დროს, წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალიზმის ნაირსახეობას და, როგორც ასეთი, ამჟამად ჩვენთვის ხელსაყრელი და სასარგებლოა, — რა თქმა უნდა, განსაზღვრული ზომით. რამდენადაც სასურსათო გადასახადი ნიშნავს დანარჩენი ნაჭარბის (რომელიც გადასახადის სახით არ იკრიფება) გაყიდვის თავისუფლებას, იმდენად ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ კაპიტალიზმის ე ს განვითარება — ვინაიდან გაყიდვის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება ა რ ი ს კაპიტალიზმის განვითარება — კოოპერაციული კაპიტალიზმის კალაპოტით წარვმართოთ. კოოპერაციული კაპიტალიზმი იმ მხრივ ჰგავს სახელმწიფო კაპიტალიზმს, რომ ის აადვილებს აღრიცხვას, კონტროლს, მეთვალყურეობას, სახელშეკრულებო ურთიერთობას სახელმწიფოსა (ამ შემთხვევაში საბჭოთა სახელმწიფოსა) და კაპიტალისტს შორის. კოოპერაცია, როგორც ვაჭრობის ფორმა, კერძო ვაჭრობაზე უფრო ხელსაყრელი და უფრო სასარგებლოა არა მარტო აღნიშნული მიზეზების გამო, არამედ იმიტომაც, რომ იგი აადვილებს მილიონობით მოსახლეობის, ხოლო შემდეგ უკლებლივ მთელი მოსახლეობის გაერთიანებას, ორგანიზებას, ეს გარემოება კი, თავის მხრივ, უზარმაზარი პლუსია სახელმწიფო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე შემდგომი გადასვლის თვალსაზრისით.

შევადაროთ ერთმანეთს კონცესიები და კოოპერაცია, როგორც სახელმწიფო კაპიტალიზმის ფორმები. კონცესია ემყარება მსხვილ მანქანურ მრეწველობას, კოოპერაცია — წვრილ, ხელის მრეწველობას, ნაწილობრივ პატრიარქალურსაც კი. კონცესია თვითეულ ცალკე საკონცესიო ხელშეკრულებაში ეხება ერთ კაპიტალისტს ან ერთ ფირმას, ერთ სინდიკატს, კარტელს, ტრესტს. კოოპერაცია კი მოიცავს მრავალ ათას, თვით მილიონობით წვრილ მეპატრონეს. კონცესია შესაძლებლად თვლის და გულისხმობს კიდეც ზუსტ ხელშეკრულებას და ზუსტ ვადას. კოოპერაცია კი შესაძლებლად არ თვლის არც სავსებით ზუსტ ხელშეკრულებას, არც სავსებით ზუსტ ვადას. კოოპერაციის შესახებ კანონის გაუქმება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე კონცესიის შესახებ ხელშეკრულების დარღვევა, მაგრამ ხელშეკრულების დარღვევა ნიშნავს კაპიტალისტთან ეკონომიური კავშირის ანუ ეკონომიური «თანაცხოვრების» ფაქტიურ ურთიერთობათა ერთბაშად, უბრალოდ, დაუყოვნებლივ გაწყვეტას, მაშინ როცა კოოპერაციის შესახებ კანონის ვერავითარი გაუქმება, ვერავითარი კანონი საერთოდ არათუ ერთბაშად ვერ გაწყვეტს საბჭოთა ხელისუფლების ფაქტიურ «თანაცხოვრებას» წვრილ კაპიტალისტუნებთან, არამედ საერთოდაც ვერ გაწყვეტს ფაქტიურ ეკონომიურ ურთიერთობას. კონცესიონერის «თვალყურის დევნა» ადვილია, კოოპერატორებისა კი — ძნელი. კონცესიებიდან სოციალიზმზე გადასვლა არის მსხვილი წარმოების ერთი ფორმიდან მსხვილი წარმოების მეორე ფორმაზე გადასვლა. წვრილ მეპატრონეთა კოოპერაციიდან სოციალიზმზე გადასვლა კი არის წვრილი წარმოებიდან მსხვილზე გადასვლა, ე. ი. უფრო რთული, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი გადასვლა, რომელსაც, წარმატების შემთხვევაში, შეუძლია მოიცვას მოსახლეობის უფრო ფართო მასები, შეუძლია აღმოფხვრას უფრო ღრმა და უფრო გამძლე ფესვები იმ ძველი, წინასოციალისტური და თვით წინაკაპიტალისტური ურთიერთობისა, რომელიც ყველაზე უფრო მედგრად ეწინააღმდეგება ყოველგვარ «სიახლეს».

კონცესიების პოლიტიკა, წარმატების შემთხვევაში, მოგვცემს ჩვენს საწარმოებთან შედარებით სანიმუშო მსხვილ საწარმოთა მცირე რიცხვს, რომლებიც თანამედროვე მოწინავე კაპიტალიზმის დონეზე იდგებიან; რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ეს საწარმონი მთლიანად ჩვენს ხელში გადმოვა. კოოპერაციული პოლიტიკა, წარმატების შემთხვევაში, აამაღლებს წვრილ მეურნეობას და გააადვილებს, განუსაზღვრელ ვადაში, მის მსხვილ წარმოებაზე გადასვლას ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძვლებზე.

ავიღოთ სახელმწიფო კაპიტალიზმის მესამე სახე. სახელმწიფო იზიდავს კაპიტალისტს, როგორც ვაჭარს, და სახელმწიფოს პროდუქტების გაყიდვისა და წვრილი მწარმოებლის პროდუქტების შეყიდვისათვის აძლევს მას განსაზღვრულ საკომისიო პროცენტს. მეოთხე სახე: სახელმწიფო აძლევს მეწარმე-კაპიტალისტს იჯარით სახელმწიფოს კუთვნილ საწარმოს ან სარეწს, ან ტყის, მიწის ნაკვეთს და სხვ., ამასთან საიჯარო ხელშეკრულება ყველაზე უფრო საკონცესიო ხელშეკრულებას ჰგავს. სახელმწიფო კაპიტალიზმის ამ ორი უკანასკნელი სახის შესახებ ჩვენში სულ არ ლაპარაკობენ, სულ არ ფიქრობენ, სრულიად ვერ ამჩნევენ მათ. მაგრამ ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ჩვენ ძლიერნი და ჭკვიანნი ვართ, არამედ იმიტომ, რომ უძლურნი და ბრიყვნი ვართ. ჩვენ გვეშინია თვალი გავუსწოროთ «მდაბალ ჭეშმარიტებას» და ძალიან ხშირად ვემორჩილებით «ჩვენს ამამაღლებელ მატყუარობას». ჩვენ მუდამ მხარი გვექცევა იქითკენ, რომ «ჩვენ» კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადავდივართ, და გვავიწყდება ზუსტად, გარკვევით წარმოვიდგინოთ, სახელდობრ ვინაა ეს «ჩვენ». ჩვენი ეკონომიკის საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა — უსათუოდ და გამოუკლებლივ ყველა, — შემადგენელი ნაწილი, ყველა სხვადასხვაგვარი წყობა, რაც მე ჩემს 1918 წლის 5 მაისის სტატიაში ჩამოვთვალე, აუცილებლად თვალწინ უნდა გვედგას, რომ ეს ნათელი წარმოდგენა არ დაგვავიწყდეს. «ჩვენ», პროლეტარიატის ავანგარდი, მოწინავე რაზმი, უშუალოდ გადავდივართ

სოციალიზმზე, მაგრამ მოწინავე რაზმი არის მთელი პროლეტარიატის მხოლოდ მცირე ნაწილი, პროლეტარიატი კი, თავის მხრივ, მოსახლეობის მთელი მასის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. და იმისთვის, რომ «ჩვენ» შევძლოთ წარმატებით გადავწყვიტოთ სოციალიზმზე ჩვენი უშუალოდ გადასვლის ამოცანა, უნდა შევიგნოთ, თუ რა გამეშვეებული გზები, ხერხები, საშუალებები, ხელშემწყობი პირობებია საჭირო წინაკაპიტალისტურ ურთიერთობათა გადასასვლელად სოციალიზმზე. ეს არის თავიდათავი.

შეხედეთ რუსეთის სფს რესპუბლიკის რუკას. ვოლოგდის ჩრდილოეთით, დონის როსტოვისა და სარატოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორენბურგისა და ომსკის სამხრეთით, ტომსკის ჩრდილოეთით გადაჭიმულია თვალუწვდენელი სივრცე, რომელზედაც მოთავსდებოდა რამდენიმე ათეული დიდი კულტურული სახელმწიფო. და მთელ ამ სივრცეზე გამეფებულია პატრიარქალობა, ნახევრადველურობა და ნამდვილი ველურობაც კი. ხოლო მთელი დანარჩენი რუსეთის გლეხურ მივარდნილ კუთხეებში? ყველგან, სადაც მრავალი ათეული ვერსი სასოფლო გზა — უფრო სწორად: მრავალი ათეული ვერსი უგზოობა — აშორებს სოფელს რკინიგზებს, ესე იგი მატერიალურ კავშირს კულტურასთან, კაპიტალიზმთან, მსხვილ მრეწველობასთან, დიდ ქალაქთან. განა ყველგან ამ ადგილებში იგივე პატრიარქალობა, ობლომოვშჩინა, ნახევრადველურობა არ არის გაბატონებული?

განა წარმოსადგენია ამ, რუსეთში გაბატონებული, მდგომარეობიდან სოციალიზმზე უშუალოდ გადასვლის განხორციელება? დიახ, რამდენიმედ წარმოსადგენია, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, რომელიც ჩვენ ახლა ზუსტად ვიცით, ერთი დიდი და დამთავრებული მეცნიერული ნაშრომის წყალობით. ეს პირობაა ელექტრიფიკაცია. თუ ჩვენ ათობით ავაგებთ რაიონულ ელექტროსადგურებს (ჩვენ ვიცით ახლა, სად და როგორ შეიძლება ავაგოთ და უნდა ავაგოთ ისინი), თუ ამ სადგურებიდან ენერგიას მივაწოდებთ თვითეულ სოფელს, თუ ვიშოვით ელექტრომოტორებისა და სხვა მან-

ქანების საკმაო რაოდენობას, მაშინ სრულიად ან თითქმის სრულიად საჭირო არ იქნება გარდამავალი საფეხურები, გამეშვეებული რგოლები პატრიარქალობიდან სოციალიზმზე გადასასვლელად. მაგრამ ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ მარტო ეს «ერთი» პირობა მოითხოვს, სულ ცოტა, ათ წელს მხოლოდ პირველი რიგის სამუშაოებისთვის, ამ ვადის შემცირება კი, თავის მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებს ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, გერმანია, ამერიკა.

უახლოესი წლებისათვის კი უნდა შეგვეძლოს ვიფიქროთ გამეშვეებულ რგოლებზე, რომლებიც გაგვიადვილებდნენ პატრიარქალობიდან, წვრილი წარმოებიდან სოციალიზმზე გადასვლას. «ჩვენ» ჯერ კიდევ ხშირად ვმსჯელობთ ასე: «კაპიტალიზმი ბოროტებაა, სოციალიზმი სიკეთეა». მაგრამ ასეთი მსჯელობა უმართებულოა, ვინაიდან იგი ივიწყებს არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობათა მთელ ერთობლიობას და მათგან გამოჰყოფს მხოლოდ ორს.

კაპიტალიზმი ბოროტებაა სოციალიზმის მიმართ. კაპიტალიზმი სიკეთეა შუასაუკუნეობრიობის მიმართ, წვრილი წარმოების მიმართ, წვრილ მწარმოებელთა დაქსაქსულობასთან დაკავშირებული ბიუროკრატიზმის მიმართ. რამდენადაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ძალგვიძს განვახორციელოთ უშუალო გადასვლა წვრილი წარმოებიდან სოციალიზმზე, იმდენად კაპიტალიზმი ერთგვარად აუცილებელია, როგორც წვრილი წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლის სტიქიური პროდუქტი, და იმდენადვე ჩვენ უნდა გამოვიყენოთ კაპიტალიზმი (განსაკუთრებით მისი სახელმწიფო კაპიტალიზმის კალაპოტისაკენ წარმართვით), როგორც გამეშვეებული რგოლი წვრილ წარმოებასა და სოციალიზმს შორის, როგორც საშუალება, გზა, ხერხი, წესი საწარმოო ძალთა ამაღლებისა.

აიღეთ ბიუროკრატიზმის საკითხი და შეხედეთ მას ეკონომიური მხრივ. 1918 წლის 5 მაისს ბიუროკრატიზმი ჯერ კიდევ არ დგას ჩვენი თვალთახედვის არეში. ოქტომბრის რევოლუციის ნახევარი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩვენ

ძველი ბიუროკრატიული აპარატი თავიდან ბოლომდე დავლეწეთ, ამ ბოროტებას ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ.

გადის კიდევ ერთი წელიწადი. რკპ VIII ყრილობაზე, 1919 წლის 18—23 მარტს, ვღებულობთ პარტიის ახალ პროგრამას და ამ პროგრამაში ჩვენ პირდაპირ ვლაპარაკობთ, ისე რომ არ გვეშინია ვაღიაროთ ბოროტება, არამედ გვსურს გამოვამჟღავნოთ იგი, ვამხილოთ, სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ, აღვძრათ აზრი და ნებისყოფა, ენერგია, მოქმედება ბოროტებასთან საბრძოლველად — ვლაპარაკობთ «საბჭოთა წყობილების შიგნით ბიუროკრატიზმის ნაწილობრივ აღორძინებაზე».

გავიდა კიდევ ორი წელიწადი. 1921 წლის გაზაფხულზე, საბჭოების VIII ყრილობის შემდეგ, რომელმაც განიხილა (1920 წ. დეკემბერი) ბიუროკრატიზმის საკითხი, რკპ X ყრილობის შემდეგ (1921 წ. მარტი), რომელმაც შეაჯამა ბიუროკრატიზმის ანალიზთან უმჭიდროესად დაკავშირებული დავა, ეს ბოროტება უფრო ნათლად, უფრო გარკვევით, უფრო მრისხანედ გადაიშალა ჩვენს თვალწინ. როგორია ბიუროკრატიზმის ეკონომიური ფესვები? უმთავრესად ეს ფესვები ორნაირია: ერთი მხრივ, განვითარებულ ბურჟუაზიას სწორედ მუშების (ნაწილობრივ აგრეთვე გლეხების) რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ესაჭიროება ბიუროკრატიული აპარატი, პირველ რიგში სამხედრო, შემდეგ სამოსამართლო და სხვ.. ეს ჩვენ არა გვაქვს. ჩვენი სასამართლოები კლასობრივია, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული. ჩვენი არმია კლასობრივია, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული. ბიუროკრატიზმი არმიაში კი არ არის, არამედ მის მომსახურე დაწესებულებებშია. ჩვენში ბიუროკრატიზმს სხვა ეკონომიური ფესვი აქვს: ეს არის წვრილი მწარმოებლის დაქუცმაცებულობა, დაქსაქსულობა, მისი სიღატაკე, უკულტურობა, უგზოობა, წერა-კითხვის უცოდინარობა, მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის უქონლობა, მათ შორის კავშირისა და ურთიერთმოქმედების უქონლობა. უმეტეს ნაწილად ეს სამოქალაქო ომის

შედეგია. როცა ჩვენ ბლოკადა მოგვიწყვეს, ყოველი მხრით ალყა შემოგვარტყეს, მოგვწყვიტეს მთელ ქვეყნიერებას, შემდეგ პურიან სამხრეთს, ციმბირს, ქვანახშირს, ჩვენ არ შეგვეძლო მრეწველობის აღდგენა. ჩვენ არ უნდა დავრიდებოდით «სამხედრო კომუნიზმის» შემოღებას, არ უნდა შეგვშინებოდა ფრიად სახიფათო უკიდურესობისა: უნდა გადაგვეტანა ნახევრადმშიერი და ნახევრადმშიერზე უარესი არსებობა, მაგრამ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, დაგვეცვა მუშურ-გლეხური ხელისუფლება, მიუხედავად წარმოუდგენელი გაჩანაგებისა და ბრუნვის უქონლობისა. და ჩვენ არ შევუშინდით იმას, რითაც დაშინებულნი იყვნენ ესერები და მენშევიკები (რომლებიც ფაქტიურად მიჰყვებოდნენ ბურჟუაზიას მეტწილად შიშის გამო, დამფრთხალობის გამო). მაგრამ იმან, რაც ბლოკირებულ ქვეყანაში, ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში, გამარჯვების პირობას წარმოადგენდა, თავისი უარყოფითი მხარე გამოააშკარავა სწორედ 1921 წლის გაზაფხულზე, როცა რუსეთის სფს რესპუბლიკის ტერიტორიიდან საბოლოოდ განდევნილ იქნენ თეთრგვარდიელთა უკანასკნელი ჯარები. ყოველგვარი ბრუნვის «ჩახშობა» ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში შესაძლებელია და აუცილებელიცაა; მასების განსაკუთრებული გმირობის დროს ამის გადატანა შესაძლებელია სამი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ წვრილი მწარმოებლის გაპარტახება უფრო გაძლიერდა, მსხვილი მრეწველობის აღდგენა უფრო გაჭიანურდა, გახანგრძლივდა. ბიუროკრატიზმმა, როგორც «ალყის» ნაშთმა, როგორც წვრილი მწარმოებლის დაქსაქსულობისა და დაბეჩავების ზედნაშენმა, სავსებით იჩინა თავი.

უშიშრად უნდა შეგვეძლოს ბოროტების აღიარება, რათა მის წინააღმდეგ უფრო მტკიცედ ვაწარმოოთ ბრძოლა, რათა კიდევ და კიდევ დავიწყოთ თავიდან — ჩვენ ჯერ კიდევ ბევრჯერ მოგვიხდება ჩვენი მშენებლობის ყველა დარგში თავიდან განმეორებით დაწყება, მოუთავებელის შესწორება, სხვადასხვა გზის არჩევა ამოცანისადმი მისადგომად. გამოირკვა, რომ მსხვილი მრეწველობის აღდგენა გადაიდო,

გამოირკვა, რომ «დახშული» ბრუნვა მრეწველობასა და მიწათ-მოქმედებას შორის აუტანელია,—მაშასადამე, უნდა დავაწვეთ უფრო ხელმისაწვდომს: წვრილი მრეწველობის აღდგენას. დავეხმაროთ საქმეს ამ მხრიდან, შევამაგროთ ომითა და ბლოკადით ნახევრადდანგრეული შენობის ეს კედელი. ყოველნაირად და რადაც უნდა დაგვიჯდეს გავავითაროთ ბრუნვა, არ უნდა შეგვეშინდეს კაპიტალიზმისა, ვინაიდან ფარგლები მისთვის ჩვენში (მემამულეებისა და ბურჟუაზიის ექსპროპრიაციით ეკონომიკაში, მუშურ-გლეხური ხელისუფლებით პოლიტიკაში) საკმაოდ ვიწროდ, საკმაოდ «ზომიერადაა» შემოზღუდული. ასეთია სასურსათო გადასახადის ძირითადი აზრი, ასეთია მისი ეკონომიური მნიშვნელობა.

ყველა მუშაკმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა, მთელი ძალ-ღონე, მთელი ყურადღება იქითკენ უნდა მიმართოს, რომ შექმნან, გამოიწვიონ მეტი ინიციატივა ადგილებისა — გუბერნიებისა: უფრო მეტად — მაზრებისა; კიდევ უფრო მეტად — თემებისა და სოფლებისა; — სამეურნეო მშენებლობის საქმეში სწორედ გლეხური მეურნეობის დაუყოვნებლივ, თუგინდ «მცირე» საშუალებებით, მცირე ფარგლებში, ამაღლების თვალსაზრისით, მისთვის წვრილი, გარეშემო არსებული მრეწველობის განვითარებით ხელისშეწყობის თვალსაზრისით. საერთო-სახელმწიფოებრივი ერთიანი სამეურნეო გეგმა მოითხოვს, რომ ყურადღებისა და ზრუნვის ცენტრად, «დაკვრითი» მუშაობის ცენტრად სწორედ ეს შეიქნეს. აქ, უაღრესად ფართო და უაღრესად ღრმა «საძირკველთან» ყველაზე უფრო ახლოს მიღწეული ერთგვარი გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს უმოკლეს ვადაში გადავიდეთ მსხვილი მრეწველობის უფრო ენერგიულად და უფრო წარმატებით აღდგენაზე.

სასურსათო დარგის მუშაკმა დღემდე იცოდა მხოლოდ ერთი ძირითადი დირექტივა: შეაგროვე გაწერილის 100%. ახლა დირექტივა სხვანაირია: უმოკლეს ვადაში შეაგროვე გადასახადის 100%, შემდგომ კიდევ შეაგროვე მსხვილი **და წვრილი** მრეწველობის პროდუქტებზე გადაცვლით 100%.

ის, ვინც გადასახადის 75%-ს შეაგროვებს და 75%-ს (მეორე ასეულიდან) შეაგროვებს მსხვილი და წვრილი მრეწველობის პროდუქტებზე გადაცვლით, უფრო სასარგებლო სახელმწიფოებრივ საქმეს გააკეთებს, ვიდრე ის, ვინც შეაგროვებს გადასახადის 100%-ს, ხოლო გადაცვლით 55%-ს (მეორე ასეულიდან). სასურსათო დარგის მუშაკის ამოცანა რთულდება. ერთი მხრივ, ეს ამოცანა ფისკალურია. შეაგროვე გადასახადი რაც შეიძლება უფრო სწრაფად, რაც შეიძლება უფრო რაციონალურად. მეორე მხრივ, ეს ამოცანა საერთო-ეკონომიური ხასიათისაა. ეცადე იმგვარად მიმართო კოოპერაცია, ისე შეუწყო ხელი წვრილ მრეწველობას, ისე განავითარო ინიციატივა, თაოსნობა ადგილებზე, რომ გადიდდეს და განმტკიცდეს მიწათმოქმედების და მრეწველობის ბრუნვა. ჩვენ ჯერ კიდევ მეტისმეტად ცუდად ვიცით ამ საქმის გაკეთება; ამის დამამტკიცებელია ბიუროკრატიზმი. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს იმის აღიარებისა, რომ აქ კაპიტალისტისაგან ჯერ კიდევ ბევრი შეგვიძლია და უნდა ვისწავლოთ კიდეც. შევადაროთ გუბერნიების, მაზრების, თემების, სოფლების მიხედვით პრაქტიკული გამოცდილების შედეგები; ერთ ადგილას კერძო კაპიტალისტებმა და კაპიტალისტუნებმა მიაღწიეს ამასა და ამას. მათი მოგება, დაახლოებით, ამდენი და ამდენია. ეს ის ხარკია, ის სასყიდელია, რომელიც ჩვენ გავიღეთ «სწავლებისათვის». სწავლებისთვის გადახდა დასანანი არ არის, ოღონდ ხეირიანად ვისწავლოთ რამე. აი მეზობლად კოოპერაციული გზით მივაღწიეთ ამასა და ამას. კოოპერატივების მოგება ამდენი და ამდენია. ხოლო მესამე ადგილას წმინდა სახელმწიფოებრივი, წმინდა კომუნისტური გზით მივაღწიეთ ამასა და ამას (ეს მესამე შემთხვევა ამჟამად იშვიათი გამონაკლისი იქნება).

ამოცანას ის უნდა შეადგენდეს, რომ თვითეულმა საოლქო სამეურნეო ცენტრმა, აღმასკომთან არსებულმა თვითეულმა საგუბერნიო ეკონომიურმა თათბირმა დაუყოვნებლივ, ახლავე მოაწყოს, როგორც პირველი რიგის საქმე,

«ბრუნვის» სხვადასხვაგვარი ცდის ან სისტემის ორგანიზაცია იმ ნაჭარბის ხარჯზე, რაც სასურსათო გადასახადის შეტანის შემდეგ რჩება. რამდენიმე თვის შემდეგ უნდა მოგვეპოვებოდეს პრაქტიკული შედეგები, რომ შევადაროთ და შევისწავლოთ ისინი. ადგილობრივი ან შემოტანილი მარილი; ცენტრიდან მიღებული ნავთი; ხისდამმუშავებელი შინამრეწველობა; ხელოსნობა, რომელიც ადგილობრივი ნედლეულით ამზადებს ზოგიერთ, თუმცა არა ძალიან მნიშვნელოვანს, მაგრამ გლეხისთვის საჭირო და სასარგებლო პროდუქტს; «მწვანე ნახშირი» (ადგილობრივი მცირე მნიშვნელობის მდინარეთა ძალის გამოყენება ელექტრიფიკაციისთვის) და ასე შემდეგ და ამგვარად, — ყოველივე უნდა იქნეს გამოყენებული იმისთვის, რომ რადაც უნდა დაჯდეს გავაცხოველოთ ბრუნვა მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის. ვინც ამ დარგში უფრო დიდ შედეგებს მიაღწევს, თუნდაც კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმის გზით, თუნდაც უკოოპერაციოდაც, ამ კაპიტალიზმის პირდაპირ გარდაუქმნელად სახელმწიფო კაპიტალიზმად, ის მეტ სარგებლობას მოუტანს სრულიად რუსეთის სოციალისტური მშენებლობის საქმეს, ვიდრე ის, ვინც დაიწყებს «ფიქრს» კომუნიზმის სიწმინდეზე, ხელს მიჰყოფს რეგლამენტების, წესების, ინსტრუქციების წერას სახელმწიფო კაპიტალიზმისა და კოოპერაციისათვის, მაგრამ პრაქტიკულად ბრუნვას ვერ განავითარებს.

ეს შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ: კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმი სოციალიზმის ხელშემწყობის როლში?

მაგრამ ეს ოდნავადაც არ არის პარადოქსი, არამედ ეკონომიურად სრულიად უდავო ფაქტია. რაკი ჩვენი ქვეყანა წვრილგლეხური ქვეყანაა, მეტად განადგურებული ტრანსპორტის მქონე ქვეყანა, რომელიც თავს აღწევს ომსა და ბლოკადას და რომელსაც პოლიტიკურად ხელმძღვანელობს პროლეტარიატი, რომელსაც ხელთ უპყრია ტრანსპორტი და მსხვილი მრეწველობა, — ამ წანამძღვრებიდან სრულიად გარდუვალად გამომდინარეობს, ჯერ ერთი, ადგილობრივი ბრუნვის

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ამჟამად და, მეორეც, შესაძლებლობა იმისა, რომ კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმის (სახელმწიფო კაპიტალიზმზე რომ არ ვილაპარაკოთ) საშუალებით ხელი შეეწყოს სოციალიზმს.

რაც შეიძლება ნაკლები დავა სიტყვების გამო. ამ მხრივ ჩვენ დღემდე ჯერ კიდევ ძალიან ბევრს ვცოდავთ. რაც შეიძლება მეტი სხვადასხვაობა პრაქტიკული გამოცდილებისა და მისი რაც შეიძლება მეტად შესწავლა. არის ხოლმე ისეთი პირობები, როცა ადგილობრივი მუშაობის სანიმუშოდ მოწყობას, თუნდაც სრულიად მცირე მასშტაბით, უფრო დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ცენტრალური სახელმწიფოებრივი მუშაობის ბევრ დარგს. და ჩვენში სწორედ ამჟამად სწორედ ასეთი პირობებია, თუ ავიღებთ გლეხურ მეურნეობას საზოგადოდ და კერძოდ მრეწველობის პროდუქტებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაჭარბის გადაცვლას. ამ მხრივ საქმის სანიმუშოდ დაყენებას, თუნდაც ერთ თემში, უფრო მეტი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამა თუ იმ სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის «სანიმუშოდ» გაუმჯობესებას. ვინაიდან ჩვენში სამ-ნახევარი წლის მანძილზე ცენტრალური აპარატი იმდენად ჩამოყალიბდა, რომ უკვე მოასწრო შეეძინა ერთგვარი მავნე უძრაობა; ჩვენ არ შეგვიძლია მისი საგრძნობლად და სწრაფად გაუმჯობესება, არც ვიცით, როგორ ვქნათ ეს. დახმარება მისი უფრო რადიკალურად გაუმჯობესებისთვის, ახალი ძალების კვლავ მისაზიდად, ბიუროკრატიზმთან წარმატებით საბრძოლველად, მავნე უძრაობის გადასალახავად უნდა მომდინარეობდეს ადგილებიდან, ქვევიდან, პატარა «მთელის» სანიმუშო დაყენებიდან, მაგრამ სწორედ «მთელისა», ე. ი. არა ერთი მეურნეობისა, მეურნეობის არა ერთი დარგისა, არა ერთი საწარმოსი, არამედ თუნდაც ერთი პატარა ადგილის მ თ ე ლ ი სამეურნეო ურთიერთობის ჯ ა მ ი ს ა, მ თ ე ლ ი სამეურნეო ბრუნვის ჯ ა მ ი ს ა.

ყოველი ჩვენგანი, ვისაც კი წილად ხვდა ცენტრალურ სამუშაოზე დარჩენა, განაგრძობს აპარატის გაუმჯობესების და ბიუროკრატიზმისაგან მისი გაწმენდის საქმეს, თუნდაც მცირე, უშუალოდ ხელმისაწვდომ ფარგლებში. მაგრამ მთავარი დახმარება ამ მხრივ მოდის და მოვა კიდეც ადგილებიდან. რამდენადაც შემიძლია თვალი გავადევნო, ადგილებზე საქმე ჩვენში, საერთოდ, უკეთ არის მოწყობილი, ვიდრე ცენტრში, და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ბიუროკრატიზმის ბოროტება, ბუნებრივად, თავს იყრის ცენტრში; ამ მხრივ მოსკოვი არ შეიძლება არ იყოს ყველაზე ცუდი ქალაქი და საერთოდ უცუდესი «ადგილი» რესპუბლიკაში. ადგილებზე საშუალოდან გადახრა ორივე მხრისაკენ ხდება; უარესი მხრისაკენ გადახრა უფრო იშვიათია, ვიდრე უკეთესისკენ. უარესი მხრისაკენ გადახრა, ესაა ბოროტმოქმედებანი კომუნისტებისადმი მიტმასნებული იმ ძველი მოხელეების, მემამულეების, ბურჟუების და სხვა არამზადებისა, რომლებიც გლეხობის მიმართ ზოგჯერ ათასგვარ საზიზღარ უწესობას და უმსგავსოებას სჩადიან, აბუჩად იგდებენ მას. აქ საჭიროა ტერორისტული გაწმენდა: ადგილობრივ გასამართლება და უყოყმანოდ დახვრეტა. დაე მარტოვებმა, ჩერნოვებმა და მათმა მსგავსმა უპარტიო მეშჩანებმა მკერდზე ხელის ცემით იძახონ: «გაქებ და გადიდებ შენ, უფალო, იმისთვის, რომ მე არა ვგავარ «მათ», რომ მე არ ვცნობდი და არ ვცნობ ტერორსო». ეს ბრიყვები «არა ცნობენ ტერორს», ვინაიდან მათ თეთრგვარდიელობის ლაქია ხელშემწყობთა როლი იკისრეს მუშათა და გლეხთა გაბრიყვების საქმეში. ესერები და მენშევიკები «არა ცნობენ ტერორს», ვინაიდან ისინი ასრულებენ თავიანთ როლს — მ ო ა ქ ც ი ო ნ მასები «სოციალიზმის» დროშით თ ე თ რ გ ვ ა რ დ ი ე ლ თ ა ტ ე რ ო რ ქ ვ ე შ. ეს დაამტკიცა რუსეთში კერენშჩინამ და კორნილოვშჩინამ, ციმბირში — კოლჩაკოვშჩინამ, საქართველოში მენშევიზმმა; ეს დაამტკიცეს მეორე ინტერნაციონალისა და «ორ-ნახევარი» ინტერნაციონალის[82] გმირებმა ფინეთში, უნგრეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, იტალიაში, ინგლისში და

ა. შ.. დაე თეთრგვარდიული ტერორის ლაქია ხელშემწყობებმა თავი იქონ იმით, რომ ისინი ყოველგვარ ტერორს უარყოფენ. ჩვენ კი ვიტყვით მწარე, მაგრამ უეჭველ სიმართლეს: იმ ქვეყნებში, რომლებიც 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომის შემდეგ განიცდიან გაუგონარ კრიზისს, ძველი კავშირურთიერთობის დარღვევას, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, — ასეთია მსოფლიოს ყველა ქვეყანა, — უტერორად ვერაფერს გახდებიან, წინააღმდეგ პირმოთნეთა და მოლაყბეთა მტკიცებისა. ან თეთრგვარდიული, ბურჟუაზიული ტერორი ამერიკული, ინგლისური (ირლანდია), იტალიური (ფაშისტები), გერმანული, უნგრული და სხვა ყაიდისა, ან წითელი, პროლეტარული ტერორი. საშუალო გზა არ არის, «მესამე» გზა არ არის და არც შეიძლება იყოს.

უკეთესისკენ გადახრაა: წარმატებით ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, უდიდესი ყურადღების მიპყრობა მუშებისა და გლეხების საჭიროებათადმი, უაღრესი მზრუნველობით მეურნეობის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ადგილობრივი ბრუნვის განვითარება. თუმცა ასეთი გადახრა უკეთესისაკენ უფრო ხშირია, ვიდრე უარესისაკენ გადახრა, მაგრამ იგი მაინც იშვიათია. ყოველ შემთხვევაში, უკეთესისაკენ გადახრა არის. ყველგან ადგილებზე წარმოებს სამოქალაქო ომითა და გაჭირვებით გამოწრთობილი ახალი, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე კომუნისტური ძალების გამოწრთობა. ჩვენ ჯერ კიდევ ცოტას, ძალიან ცოტას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ძალები სისტემატურად და განუხრელად გადაგვყავდეს დაბლიდან მაღლა. ეს შესაძლებელია და საჭიროა გავაკეთოთ უფრო ფართოდ და უფრო მტკიცედ. ზოგიერთი მუშაკი შეიძლება და უნდა გავათავისუფლოთ ცენტრალური სამუშაოდან და დავაყენოთ ადგილობრივ სამუშაოზე: მაზრებისა და თ ე მ ე ბ ი ს ხელმძღვანელებად, სადაც ისინი ს ა ნ ი მ უ შ ო დ დააყენებენ ს ა ე რ თ ო დ მ თ ე ლ სამეურნეო მუშაობას, ამით დიდ სარგებლობას მოგვიტანენ და გააკეთებენ უფრო მნიშვნელოვან ს ა ე რ თ ო-ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ

საქმეს, ვიდრე ზოგიერთი ცენტრალური ფუნქციაა. ვინაიდან საქმის სანიმუშოდ დაყენება გადაიქცევა მუშაკთა კერად და მისაბაძ მაგალითად, რომლის გადაღებაც შედარებით არც ისე ძნელი იქნება, ჩვენ კი შევძლებთ ცენტრიდან დახმარება გავუწიოთ იმას, რომ სანიმუშო მაგალითის «გადაღება» ყველგან ფართოდ მიმდინარეობდეს და სავალდებულო ხდებოდეს.

მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის «ბრუნვის» განვითარება, სასურსათო გადასახადის გაღების შემდეგ დარჩენილი ნაჭარბის და წვრილი მრეწველობის, უმთავრესად შინამრეწველობის ხარჯზე, მოითხოვს ადგილების არსებითად დამოუკიდებელ, საქმის ცოდნაზე დამყარებულ, გონიერ ინიციატივას, ამიტომ სამაზრო და სათემო სამუშაოს სანიმუშოდ დაყენებას ამჟამად სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. სამხედრო საქმეში, მაგალითად, პოლონეთთან უკანასკნელი ომის დროს, ჩვენ არ შეგვშინებია გადაგვეხვია ბიუროკრატიული იერარქიის გზიდან, არ შეგვშინებია რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრების «ხარისხით დაქვეითებისა», მათი გადაყვანისა დაბალ ადგილებზე (ამ უმაღლეს, ცენტრალურ თანამდებობაზე დატოვებით). რატომ ახლა არ უნდა გადავიყვანოთ სრულიად რუსეთის ცაკის ზოგიერთი წევრი ან კოლეგიათა წევრები ან მაღალი თანამდებობის სხვა ამხანაგები თუნდაც სამაზრო, თუნდაც სათემო სამუშაოზე? ჩვენ ხომ მართლაც არც იმდენად «გავბიუროკრატებულვართ», რომ ამ გარემოებამ «შეგვაშფოთოს». და ჩვენში ათობით გამოინახებიან ცენტრის მუშაკები, რომლებიც ხალისით დათანხმდებიან ამას. მთელი რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობის საქმე კი მეტისმეტად მოიგებს ამით, და სანიმუშო თემები ან სანიმუშო მაზრები არათუ დიდს, არამედ პირდაპირ გადამწყვეტ, ისტორიულ როლს შეასრულებენ.

სხვათა შორის. უნდა აღინიშნოს ერთი წვრილმანი, მაგრამ მაინც მნიშვნელობის მქონე გარემოება, — ესაა •უცი-

ლებელი ცვლილების შეტანა სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის პრინციპულ დასმაში. «წესიერ» ვაჭრობას, რომელიც სახელმწიფო კონტროლს არ გაურბის, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ, ჩვენთვის ხელსაყრელია მისი განვითარება. სპეკულაციას კი ვ ე რ გავარჩევთ «წესიერი» ვაჭრობისაგან, თუ სპეკულაციას პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით გავიგებთ. ვაჭრობის თავისუფლება არის კაპიტალიზმი, კაპიტალიზმი არის სპეკულაცია, ამის წინაშე თვალების დახუჭვა სასაცილოა.

მაშ როგორ მოვიქცეთ? გამოვაცხადოთ სპეკულაციის დაუსჯელობა?

არა. უნდა გადავსინჯოთ და გადავამუშაოთ სპეკულაციის შესახები ყველა კანონი, გამოვაცხადოთ, რომ ისჯება (და იდევნება ფაქტიურად წინანდელთან შედარებით სამკეცი სისასტიკით) ყოველგვარი მ ტ ა ც ე ბ ლ ო ბ ა და ყოველგვარი თ ა ვ ი ს ა რ ი დ ე ბ ა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, აშკარა თუ ფარული, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს ა, ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი ს ა დ ა ა ღ რ ი ც ხ ვ ი ს ა გ ა ნ. საკითხის სწორედ ასე დაყენებით (სახკომსაბჭოში უკვე დაწყებულია მუშაობა, ე. ი. სახკომსაბჭოს მიერ უკვე გაცემულია განკარგულება — დაწყებულ იქნეს მუშაობა სპეკულაციის შესახებ არსებული კანონების გადასასინჯად) ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ კაპიტალიზმის განვითარება, რაც რამდენადმე გარდუვალია და საჭიროც არის ჩვენთვის, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კაპიტალიზმის კალაპოტით წარვმართოთ.

პოლიტიკური შედეგები და დასკვნები

მე დამრჩენია კიდევ შევეხო, თუნდაც მოკლედ, პოლიტიკურ ვითარებას, როგორც იგი შეიქმნა და შეიცვალა ზემოთ დასურათებულ ეკონომიკასთან დაკავშირებით.

უკვე ითქვა, რომ ჩვენი ეკონომიკის ძირითადი ნიშნები 1921 წელს იგივეა, რაც 1918 წელს იყო. 1921 წლის გაზაფხულმა — უმთავრესად მოუსავლობისა და პირუტყვის დაცემის გამო—უკიდურესად გაამწვავა გლეხობის მდგომარეობა,

რომელიც ისედაც მეტად მძიმე იყო ომისა და ბლოკადის გამო. ამ გამწვავების შედეგი იყო პოლიტიკური მერყეობა, რაც, საერთოდ რომ ითქვას, წვრილ. მწარმოებლის თვით «ბუნებას» შეადგენს. ამ მერყეობის ყველაზე აშკარა გამოხატულება იყო კრონშტადტის ამბოხება.

კრონშტადტის ამბებში ყველაზე უფრო დამახასიათებელი სწორედ წვრილბურჟუაზიული სტიქიის მერყეობაა. სავსებით ჩამოყალიბებული, აშკარა და გარკვეული აქ ძალიან ცოტაა. იყო ბუნდოვანი ლოზუნგები «თავისუფლებისა», «ვაჭრობის თავისუფლებისა», «თავის დახსნისა», «საბჭოებისა უბოლშევიკებოდ», ან საბჭოების ხელახალი არჩევისა, ან «პარტიული დიქტატურისაგან» თავის დაღწევისა და ასე შემდეგ და სხვა ამგვარი. მენშევიკებიც და ესერებიც კრონშტადტის მოძრაობას «თავისად» აცხადებენ. ვიქტორ ჩერნოვი შიკრიკს გზავნის კრონშტადტში: ამ შიკრიკის წინადადებით «დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი კ რ ე ბ ი ს» სასარგებლოდ ხმას აძლევს კრონშტადტში მენშევიკი ვალკი, ერთ-ერთი კრონშტადტელი ბელადი. მყისვე, შეიძლება ითქვას, რადიოტელეგრაფული სისწრაფით, ირაზმება მთელი თეთრგვარდიელობა «კ რ ო ნ შ ტ ა დ ტ ი ს თ ვ ი ს». თეთრგვარდიელთა სამხედრო სპეცები კრონშტადტში, მთელი რიგი სპეცები, და არა მარტო კოზლოვსკი, ამუშავებენ ორანიენბაუმში დესანტის გადმოსხმის გეგმას, გეგმას, რომელმაც მერყევი მენშევიკურ-ესერული უპარტიო მასა დააფრთხო. ნახევარ ასეულზე მეტი თეთრგვარდიული საზღვარგარეთული რუსული გაზეთი ენერგიის მხრივ გააფთრებულ კამპანიას ავითარებს «კ რ ო ნ შ ტ ა დ ტ ი ს ა თ ვ ი ს». მსხვილი ბანკები, ფინანსური კაპიტალის მთელი ძალები კრონშტადტის დასახმარებლად ფულის შეგროვებას იწყებენ. ბურჟუაზიისა და მემამულეების ჭკვიანი ბელადი, კადეტი მილიუკოვი, მოთმინებით განუმარტავს სულელ ვიქტორ ჩერნოვს პირდაპირ (ხოლო არაპირდაპირ — კრონშტადტთან კავშირის გამო პიტერის საპყრობილეში მჯდომ მენშევიკებს დანს და როჟკოვს), რომ საშური არ არის დამფუძნებელი კრების მოთხოვნა, რომ

შესაძლებელია და საჭიროც არის მხარის-დაჭერა საბჭოთა ხელისუფლებისათვის — ოღონდ უბოლშევიკებოდ.

რასაკვირველია, ძნელი არაა ისეთ თავშეყვარებულ სულელებზე უფრო ჭკვიანი იყო, როგორიცაა ჩერნოვი, წვრილბურჟუაზიული ფრაზის გმირი, ან როგორიცაა მარტოვი, «მარქსიზმისებურად» შეფერადებული მეშჩანური რეფორმიზმის რაინდი. ნამდვილად საქმე ის კი არ არის, რომ მილიუკოვი, როგორც პიროვნება, უფრო ჭკვიანია, არამედ ის, რომ მსხვილი ბურჟუაზიის პარტიული ბელადი, თავისი კლასობრივი მდგომარეობის გამო, უფრო ცხადად ხედავს, რომ მას უკეთ ესმის საქმის კლასობრივი არსი და პოლიტიკური ურთიერთობა, ვიდრე წვრილი ბურჟუაზიის ბელადებს — ჩერნოვებსა და მარტოვებს. ვინაიდან ბურჟუაზია ნამდვილად კლასობრივი ძალაა, რომელიც კაპიტალიზმის დროს გარდუვალად ბატონობს მონარქიაშიც და თვით უაღრესად დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც, სარგებლობს რა აგრეთვე გარდუვალად მსოფლიო ბურჟუაზიის დახმარებით. წვრილი ბურჟუაზია კი, ესე იგი მეორე ინტერნაციონალის და «ორ-ნახევარი» ინტერნაციონალის ყველა გმირი, საქმის ეკონომიური არსის გამო, არ შეიძლება წარმოადგენდეს სხვა რამეს, თუ არა კლასობრივი უძლურების გამოხატულებას, — აქედანაა მისი მერყეობა, ყბედობა, უმწეობა. 1789 წელს წვრილ ბურჟუებს ჯერ კიდევ შეეძლოთ ყოფილიყვნენ დიდი რევოლუციონერები; 1848 წელს ისინი სასაცილონი და საცოდავნი იყვნენ; 1917 — 1921 წლებში ისინი რეაქციის საზიზღარი ხელისშემწყობნი, მისი პირდაპირი ლაქიები არიან, თავიანთი ნამდვილი როლის მიხედვით, სულ ერთია, ჩერნოვები და მარტოვები ეწოდებათ მათ თუ კაუცკები, მაკდონალდები და ასე შემდეგ და სხვა ამგვარი.

როდესაც მარტოვი თავის ბერლინურ ჟურნალში აცხადებს, ვითომ კრონშტადტი არა მარტო მენშევიკურ ლოზუნგებს ატარებდა, არამედ იმის დამამტკიცებელი საბუთიც მოგვცა, რომ შესაძლებელია ანტიბოლშევიკური მოძრაობა,

რომელიც მთლიანად არ ემსახურება თეთრგვარდიელობას, კაპიტალისტებსა და მემამულეებსო, — ეს არის სწორედ ნიმუში თავშეყვარებული მეშჩანური ნარცისისა. მოდით, პირდაპირ დავხუჭოთ თვალი იმ ფაქტის წინაშე, რომ ყველა ნამდვილი თეთრგვარდიელი მიესალმა კრონშტადტელებს და ბანკების საშუალებით ფონდებს აგროვებდა კრონშტადტის დასახმარებლად! მილიუკოვი მართალია ჩერნოვებისა და მარტოვების წინააღმდეგ, ვინაიდან ამხელს ნ ა მ დ ვ ი ლ ი თეთრგვარდიული ძალის, კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალის ნ ა მ დ ვ ი ლ ტაქტიკას: დავუჭიროთ მხარი, ვისაც გინდათ, ანარქისტებსაც კი, როგორსაც გნებავთ საბჭოთა ხელისუფლებას, ო ღ ო ნ დ კ ი დავამხოთ ბოლშევიკები, ო ღ ო ნ დ კ ი განვახორციელოთ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა დ ა წ ე ვ ა! სულ ერთია, მარჯვნივ თუ მარცხნივ, მენშევიკებისაკენ თუ ანარქისტებისაკენ, ოღონდ ხელისუფლების გადაწევა ბოლშევიკებისაგან; დანარჩენს კი, — დანარჩენს «ჩვენ», მილიუკოვები, «ჩვენ», კაპიტალისტები და მემამულეები, «თვითონ» გავაკეთებთ: ანარქისტებს, ჩერნოვებს, მარტოვებს კინწისკვრით გავაგდებთ, როგორც მოვექეცით ციმბირში ჩერნოვსა და მაისკის, როგორც მოვექეცით უნგრეთში უნგრელ ჩერნოვებსა და მარტოვებს, როგორც მოვექეცით გერმანიაში კაუცკის, ვენაში — ფრ. ადლერებსა და კრმპანიასო. ეს მეშჩანური ნარცისები — მენშევიკები, ესერები, უპარტიოები — ნამდვილ საქმიან ბურჟუაზიას ასობით გაუსულელებია და მრავალჯერ გაურეკია ყველა რევოლუციის დროს ყველა ქვეყანაში. ეს დამტკიცებულია ისტორიით. ეს შემოწმებულია ფაქტებით. ნარცისები იყბედებენ, მილიუკოვები და თეთრგვარდიელები კი საქმეს გააკეთებენ.

«ოღონდ ხელისუფლების გადაწევა ბოლშევიკებისაგან, სულ ერთია, ცოტათი მარჯვნივ თუ ცოტათი მარცხნივ, დანარჩენი კი თავისთავად მოგვარდებაო», — ამაში მილიუკოვი სავსებით მართალია. ეს კლასობრივი ჭეშმარიტებაა, რომელიც დადასტურებულია ყველა ქვეყნის რევოლუციე-

ბის მთელი ისტორიით, ახალი ისტორიის მთელი მრავალსაუკუნოვანი ეპოქით შუა საუკუნეების შემდეგ. დაქსაქსულ წვრილ მწარმოებელს, გლეხს, აერთიანებს ეკონომიურად და პოლიტიკურად ან ბურჟუაზია (ასე იყო ყოველთვის კაპიტალიზმის დროს, ყველა ქვეყანაში, ახალი დროის ყველა რევოლუციაში, ასე იქნება ყოველთვის კაპიტალიზმის დროს), ან პროლეტარიატი (ასე იყო, ჩანასახი ფორმით, სულ მოკლე ხნით, ზოგიერთი ყველაზე დიდი რევოლუციის უმაღლესი განვითარების დროს ახალ ისტორიაში; ასე იყო რუსეთში 1917—1921 წლებში უფრო განვითარებული ფორმით). «მესამე» გზის, «მესამე ძალის» შესახებ ლაყბობა და ოცნება მხოლოდ თავშეყვარებულ ნარცისებს შეუძლიათ.

უდიდესი შრომით, თავგანწირული ბრძოლით შექმნეს ბოლშევიკებმა მართვის უნარის მქონე ავანგარდი პროლეტარიატისა, შექმნეს და შეინარჩუნეს პროლეტარიატის დიქტატურა, და კლასობრივ ძალთა თანაფარდობა რუსეთში აშკარაზე აშკარა გახდა, ოთხი წლის გამოცდილებით, პრაქტიკით შემოწმების შემდეგ. ერთადერთი რევოლუციური კლასის ფოლადისებური და გამოწრთობილი ავანგარდი, წვრილბურჟუაზიული მერყევი სტიქია, საზღვარგარეთ მიმალული და მსოფლიო ბურჟუაზიის დახმარებით ზურგგამაგრებული მილიუკოვები, კაპიტალისტები, მემამულეები. საქმე ცხადზე უცხადესია. მხოლოდ ეს უკანასკნელნი გამოიყენებდნენ «ხელისუფლების» ყოველგვარ «გადაწევას», მხოლოდ მათ შეუძლიათ ამის გამოყენება.

1918 წლის ზემოთ დასახელებულ ბროშურაში ამის შესახებ პირდაპირ იყო ნათქვამი: «მთავარი მტერი» «წვრილბურჟუაზიული სტიქიაა». «ან ჩვენ დავუმორჩილებთ მას ჩვენს კონტროლსა და აღრიცხვას, ანდა იგი აუცილებლად და უსათუოდ დაამხობს მუშათა ხელისუფლებას, როგორც ამხობდნენ რევოლუციას ნაპოლეონები და კავენიაკები, რომელნიც სწორედ ამ წვრილმესაკუთრულ ნიადაგზე იზრდებიან. ასე დგას საკითხი. მხოლოდ ასე დგას საკითხი» (1918 წ. 5 მაისის ბროშურიდან, იხ. ზემოთ [31]).

ჩვენს ძალას შეადგენს ის, რომ შეგვიძლია სავსებით ცხადად და ფხიზლად აღვრიცხოთ ყ ვ ე ლ ა არსებული კლასობრივი სიდიდე რუსეთისაც და საერთაშორისოც, და შემდეგ აქედან წარმომდგარი რკინისებური ენერგია, სიმტკიცე, გამბედაობა და თავდადება ბრძოლაში. მტერი ბევრი გვყავს, მაგრამ ისინი განცალკევებულნი არიან, ან მათ არ იციან, რა სურთ (როგორც ყველა წვრილ ბურჟუას, ყველა მარტოვსა და ჩერნოვს, ყველა უპარტიოს, ყველა ანარქისტს). ჩვენ კი გაერთიანებულნი ვართ — პირდაპირ ურთიერთშორის და არაპირდაპირ ყველა ქვეყნის პროლეტარებთან; ჩვენ ვიცით, რა გვსურს. ამიტომაც ჩვენ დაუძლეველნი ვართ მსოფლიო მასშტაბით, თუმცა ამით სრულიადაც არაა გამორიცხული შესაძლებლობა ცალკეული პროლეტარული რევოლუციების ამა თუ იმ ხნით დამარცხებისა.

წვრილბურჟუაზიულ სტიქიას ტყუილად კი არ ეწოდება სტიქია, ვინაიდან ეს მართლაც რაღაც მეტად უფორმო, გაურკვეველი და შეუგნებელია. წვრილი ბურჟუაზიის ნარცისები ფიქრობენ, რომ «საყოველთაო ხმისმიცემა» კაპიტალიზმის დროს სპობს წვრილი მწარმოებლის ბუნებას, ნამდვილად კი ის ბურჟუაზიას ე ხ მ ა რ ე ბ ა, ეკლესიის, პრესის, მასწავლებლობის, პოლიციის, სამხედრო ხროვის შემწეობით, ათასნაირი ეკონომიური ჩაგვრით, ეხმარება მას დ ა ი მ ო რ ჩ ი ლ ო ს დაქსაქსული წვრილი მწარმოებელნი. გაჩანაგება, გაჭირვება, მდგომარეობის სიმძიმე იწვევს მერყეობას: დღეს ბურჟუაზიისათვის, ხვალ პროლეტარიატისათვის. მხოლოდ პროლეტარიატის გამოწრთობილ ავანგარდს შესწევს უნარი გაუმაგრდეს და წინააღუდგეს მერყეობას.

1921 წლის გაზაფხულის ამბებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს ესერებისა და მენშევიკების როლი: ისინი ეხმარებიან მერყევ წვრილბურჟუაზიულ სტიქიას — ჩამოშორდეს ბოლშევიკებს, მოახდინოს «ხელისუფლების გადაწევა» კაპიტალისტებისა და მემამულეების სასარგებლოდ. ა ხ ლ ა მ ე ნ შ ე ვ ი კ ებ მ ა დ ა ე ს ე რ ებ მ ა ი ს წ ა ვ ლ ე ს «უ პ ა რ ტ ი ო ებ ა დ» შ ე ფ ე რ ა დ ე ბ ა. ეს სავსებით დამტკიცებუ-

ლია. და ახლა მხოლოდ სულელებს შეუძლიათ ეს ვერ დაინახონ, ვერ გაიგონ, რომ ჩვენ თავი არავის არ უნდა გავასულელებინოთ. უპარტიოთა კონფერენციები ფეტიში არ არის. ისინი ძვირფასნი არიან, თუკი მათი საშუალებით დავუახლოვდებით ჯერ კიდევ ხელუხლებელ მასას, პოლიტიკის გარეშე მდგომ მშრომელთა მილიონიან ფენებს, მაგრამ ისინი მავნე არიან, თუ პლატფორმას გაუჩენენ მენშევიკებს და ესერებს, რომლებიც «უპარტიოებად» შეფერადებულან. ასეთი ადამიანები ხელს უწყობენ ამბოხებებს, ეხმარებიან თეთრგვარდიელობას. როგორც აშკარა, ისე უპარტიოებად შეფერადებული მენშევიკებისა და ესერების ადგილი საპყრობილეშია (ან საზღვარგარეთულ ჟურნალებში, თეთრგვარდიელების გვერდით; ჩვენ სიამოვნებით გავუშვით მარტოვი საზღვარგარეთ) და არა უპარტიოთა კონფერენციაზე. შეიძლება და უნდა გამოვნახოთ კიდევაც მასების სულისკვეთების შემოწმების, მათთან დაახლოების სხვა საშუალებები. დაე წავიდეს საზღვარგარეთ ის, ვისაც სურს პარლამენტარიზმის, დამფუძნებელი კრების, უპარტიოთა კონფერენციების თამაშობანას მოწყობა; მიბრძანდით იქ, მარტოვთან, მოიღეთ მოწყალება, გამოსცადეთ «დემოკრატიის» მშვენიერება, გამოკითხეთ ამ მშვენიერების შესახებ ვრანგელის ჯარისკაცებს, კეთილინებეთ. ჩვენ კი არ გვცალია იმისათვის, რომ «კონფერენციებზე» «ოპოზიციობანა» ვითამაშოთ. ჩვენ გარშემორტყმული ვართ მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ, რომელიც უდარაჯებს მერყეობის თვითეულ წუთს, რომ დააბრუნოს «თავისიანები», რომ აღადგინოს მემამულეები და ბურჟუაზია. ჩვენ მენშევიკებსა და ესერებს, როგორც აშკარად მოქმედთ, ისე «უპარტიოებად» შეფერადებულთ, საპყრობილეში ვიყოლიებთ.

ჩვენ ყოველი საშუალებით ვეცდებით უფრო მჭიდრო კავშირი გავაბათ პოლიტიკაში გამოუცდელ მშრომელ მასასთან — გარდა იმ საშუალებებისა, რომლებიც გასაქანს აძლევენ მენშევიკებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს, გასაქანს აძლევენ მილიუკოვისთვის ხელსაყრელ მერყეობას. ჩვენ განსაკუთრებით გულმოდგინედ

ჩავაბამთ საბჭოთა მუშაობაში, ჩავაბამთ უწინარეს ყოვლისა სამეურნეო მუშაობაში ასობით და ასობით უპარტიოებს, მასიდან, უბრალო მუშებიდან და გლეხებიდან გამოსულ ნამდვილ უპარტიოებს და არა იმათ, ვინც უპარტიოებად «შეფერადებულნი», რათა იკითხონ მენშევიკური და ესერული წინასწარ დამზადებული განაწესები, რომლებიც ესოდენ ხელსაყრელია მილიუკოვისათვის. ასობით და ათასობით მუშაობენ ჩვენთან უპარტიონი, მათგან ბევრს მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები თანამდებობა უკავია. საჭიროა მათი მუშაობის უფრო მეტად შემოწმება. უფრო მეტად უნდა დავაწინაუროთ ხელახალი შემოწმებისათვის ათასობით და ათასობით რიგითი მშრომელნი, გამოვცადოთ ისინი, სისტემატურად და განუხრელად, ასობით გადავიყვანოთ უმაღლეს თანამდებობებზე, გამოცდილებით შემოწმების შემდეგ.

კომუნისტებს ჩვენში დღემდე ჯერ კიდევ ნაკლებად აქვთ შეგნებული თავიანთი ნამდვილი ამოცანა მართვა-გამგეობის დარგში: «თვითონ» კი არ უნდა ცდილობდე «ყველაფერი» გააკეთო, თავი შეაკლა და ვერაფერი მოასწრო, 20 საქმე დაიწყო და ვერც ერთი ვერ დაამთავრო, არამედ უნდა ამოწმებდე ათეული და ასეული თანაშემწის მუშაობას, უნდა მოაგვარო მათი მუშაობის შემოწმება ქვემოდან, ე. ი. ნამდვილი მასის მიერ; წ ა რ მ ა რ თ ო მუშაობა და ი ს წ ა ვ ლ ო იმათგან, ვისაც აქვს ცოდნა (სპეცები) და მსხვილი მეურნეობის მოწყობის გამოცდილება (კაპიტალისტები). ჭკვიან კომუნისტს არ ეშინია ისწავლოს სამხედრო სპეციისაგან, თუმცა სამხედრო სპეცების 9/10 ყოველთვის მზად არის გვიღალატოს. ჭკვიან კომუნისტს არ შეეშინდება ისწავლოს კაპიტალისტისაგან (სულ ერთია, იქნება ეს კაპიტალისტი მსხვილი კაპიტალისტი-კონცესიონერი, თუ ვაჭარი-კომისიონერი, ან წვრილი კაპიტალისტი-კოოპერატორი და სხვ.), თუმცა კაპიტალისტი სამხედრო სპეცზე უკეთესი არ არის. ხომ ისწავლეს წითელ არმიაში მოღალატე სამხედრო სპეცების დაჭერა, პატიოსანთა და სინდისიერთა გამოყოფა, საერთოდ და მთლიანად ათასობით და ათიათასობით სამხედრო სპეცების გამოყენება. ვსწავლობთ

(თავისებური ფორმით) ასევე მოვექცეთ ინჟინრებს, მასწავლებლებს, — თუმცა ამ საქმეს ბევრად უფრო ცუდად ვაკეთებთ, ვიდრე წითელ არმიაში (იქ დენიკინი და კოლჩაკი კარგად გვაჩქარებდნენ, გვაიძულებდნენ უფრო სწრაფად, უფრო გულმოდგინედ, უფრო საზრიანად გვესწავლა). ვისწავლით ასევე მოვექცეთ (ისევ და ისევ თავისებური ფორმით) ვაჭარ-კომისიონერებს, სახელმწიფოსათვის მომუშავე შემყიდველებს, კოოპერატორ-კაპიტალისტუნებს, კონცესიონერ-მეწარმეებს და სხვ.

საჭიროა მუშათა და გლეხთა მასების მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუმჯობესება. სასარგებლო სამუშაოზე ახალი ძალების, მათ შორის უპარტიოების, დაყენებით ჩვენ ამას მივაღწევთ. ამას ხელს შეუწყობს სასურსათო გადასახადი და მთელი რიგი მასთან დაკავშირებული ღონისძიებანი. წვრილი მწარმოებლის აუცილებელი მერყეობის ეკონომიურ ფესვს ჩვენ ამით მოვკვეთთ. ისეთ პოლიტიკურ მერყეობას კი, რომელიც სასარგებლოა მხოლოდ მილიუკოვისათვის, ჩვენ დაუნდობლად შევებრძოლებით. მერყევთა რიცხვი დიდია. ჩვენ ცოტანი ვართ. მერყევნი განცალკევებულნი არიან. ჩვენ გაერთიანებულნი ვართ. მერყევნი ეკონომიურად დამოუკიდებელნი არ არიან. პროლეტარიატი ეკონომიურად დამოუკიდებელია. მერყევთ არ იციან, რა სურთ: გვსურს კიდეც, იკბინება კიდეც, თან მილიუკოვიც ნებას არ გვაძლევსო. ჩვენ კი ვიცით, რა გვინდა.

და ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ.

დასკვნა

შევაჯამოთ.

სასურსათო გადასახადი არის სამხედრო კომუნიზმიდან სწორ სოციალისტურ პროდუქტცვლაზე გადასვლა.

1920 წლის მოუსავლობით გამწვავებულმა უკიდურესმა გაჩანაგებამ ასეთი გადასვლა ყოვლად აუცილებელი გახადა, ვინაიდან მსხვილი მრეწველობის სწრაფად აღდგენა შეუძლებელია.

აქედან: უწინარეს ყოვლისა საჭიროა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება. საშუალება: სასურსათო გადასახადი, მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის განვითარება, წვრილი მრეწველობის განვითარება.

ბრუნვა არის ვაჭრობის თავისუფლება, არის კაპიტალიზმი. ჩვენთვის ის იმდენადაა სასარგებლო, რამდენადაც დაგვეხმარება ვებრძოლოთ წვრილი მწარმოებლის დაქსაქსულობას და რამდენადმე ბიუროკრატიზმსაც. საზომს მოგვცემს პრაქტიკა, გამოცდილება. საშიში აქ პროლეტარული ხელისუფლებისათვის არაფერია, სანამ პროლეტარიატს მტკიცედ უპყრია ხელთ ძალაუფლება, მტკიცედ უპყრია ხელთ ტრანსპორტი და მსხვილი მრეწველობა.

სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გადავაქციოთ მტაცებლობასთან ბრძოლად, სახელმწიფო მეთვალყურეობისა, აღრიცხვისა და კონტროლისაგან თავის არიდებასთან ბრძოლად. ასეთი კონტროლით რამდენადმე გარდუვალს და ჩვენთვის აუცილებელ კაპიტალიზმს, სახელმწიფო კაპიტალიზმის კალაპოტით წარვმართავთ.

მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის წახალისების საქმეში ადგილების ინიციატივის, თაოსნობის, დამოუკიდებლობის ყოველმხრივი, ყოველგვარი განვითარება რადაც უნდა დაჯდეს. ამ მხრივ პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა. მისი რაც შეიძლება მეტი მრავალფეროვნება.

დახმარების გაწევა წვრილი მრეწველობისათვის, რომელიც მომსახურებას უწევს გლეხურ მიწათმოქმედებას და ხელს უწყობს მის ფეხზე დაყენებას; დახმარების გაწევა მისთვის, რამდენიმედ, სახელმწიფო ნედლეულის მიცემითაც. ყველაზე დიდი დანაშაულია ნედლეულის გადაუმუშავებლად დატოვება.

კომუნისტებს არ უნდა ეშინოდეთ ბურჟუაზიული სპეციებისაგან «სწავლისა», მათ შორის ვაჭრებისაგან, კაპიტალისტუნა კოოპერატორებისა და კაპიტალისტებისაგან «სწავლისა». ვისწავლოთ მათგან ფორმით სხვანაირად, არსებითად კი იმგვარადვე, როგორც ვსწავლობდით და ვისწავლეთ სამხედრო

სპეციებისაგან. «სწავლის» შედეგები უნდა შემოწმებულ იქნეს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებით: გააკეთე უკეთ, ვიდრე შენ გვერდით ბურჟუაზიულმა სპეციებმა გააკეთეს, მოახერხე მიაღწიო ასეც და ისეც მიწათმოქმედების აღმავლობას, მრეწველობის აღმავლობას, მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის განვითარებას. ნუ იძუნწებ «სწავლისათვის» სასყიდლის გაღებაში: სწავლისათვის დიდი ფასი არ უნდა დაიშურო, ოღონდ კი სწავლება აზრიანად წარმოებდეს.

ყოველნაირად დავეხმაროთ მშრომელთა მასას, დავუახლოვდეთ მას, ასობით და ათასობით უპარტიო მუშაკი წამოვწიოთ იქიდან სამეურნეო სამუშაოზე. ხოლო «უპარტიონი», რომელნიც ნამდვილად სხვას არას წარმოადგენენ რა, თუ არა მოდურ, კრონშტადტულ-უპარტიო სამოსელში გახვეულ მენშევიკებსა და ესერებს, — ფრთხილად ვიყოლიოთ საპყრობილეში ან გავგზავნოთ ბერლინში მარტოვთან, რათა თავისუფლად გამოიყენონ წმინდა დემოკრატიის ყველა მშვენიერებანი, რათა აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა იქონიონ ჩერნოვთან, მილიუკოვთან, ქართველ მენშევიკებთან.

1921 წ. 21 აპრილი

დაიბეჭდა 1921 წ. მაისში ცალკე ბროშურად	იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი სიტყვები"

1

სასურსათო გადასახადის შესახებ

სასურსათო გაწერა შეცვლილია სასურსათო გადასახადით. ამის თაობაზე გამოცემულია დეკრეტი სრულიად რუსეთის ცაკის მიერ. დეკრეტის შესასრულებლად სახკომსაბჭომ უკვე გამოაქვეყნა კანონი სასურსათო გადასახადის შესახებ. ახლა ყველა საბჭოთა დაწესებულება ვალდებულია რაც შეიძლება უფრო ფართოდ გააცნოს გლეხებს კანონი სასურსათო გადასახადის შესახებ და აუხსნას მათ ამ კანონის მნიშვნელობა.

რატომ იყო აუცილებელი გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით? იმიტომ, რომ გაწერა უზომოდ მძიმე და უხერხული აღმოჩნდა გლეხებისათვის, ხოლო 1920 წლის მოუსავლობამ კიდევ უფრო გააძლიერა გლეხთა გაჭირვება და გაჩანაგება. გარდა ამისა, უსაკვებობის გამო გაძლიერდა პირუტყვის დაცემა, შესუსტდა ტყეებიდან შეშის მოზიდვა, შესუსტდა იმ ფაბრიკების მუშაობა, რომლებიც პროდუქტებს იძლევიან გლეხის პურზე გადასაცვლელად. საჭირო გახდა ისეთი ღონისძიებანი მუშურ-გლეხური ხელისუფლებისაგან, რომელნიც დაუყოვნებლივ უშველიდნენ გლეხთა მძიმე მდგომარეობას.

სასურსათო გადასახადი თითქმის ერთიორად ნაკლებია გაწერაზე: მაგალითად, 240 მილიონი ფუთი პური 423 მილიონის ნაცვლად. გადასახადის ოდენობა ყოველი გლეხისათვის ზუსტად არის ცნობილი წინასწარ, ესე იგი ჯერ კიდევ გაზაფხულიდან. ამის გამო ნაკლები ბოროტმოქმედება იქნება

გადასახადის გადახდევინებისას. ამის გამო გლეხი უფრო მეტად იქნება დაინტერესებული გააფართოოს ნათესები, გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა, ეცადოს მოსავლის გადიდებას.

ჩვენი ქვეყანა გაუგონრად გაჩანაგებულია ჯერ მეფის ომით, შემდეგ სამოქალაქო ომით, ესე იგი მემამულეთა და კაპიტალისტთა გამოლაშქრებით მუშებისა და გლეხების საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რადაც უნდა დაჯდეს საჭიროა აღვადგინოთ მეურნეობა. უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღვადგინოთ და განვამტკიცოთ, გავაუმჯობესოთ გლეხური მეურნეობა.

სასურსათო გადასახადი ხელს შეუწყობს გლეხური მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს. გლეხები ახლა მეტი რწმენითა და მეტი მონდომებით მოჰკიდებენ ხელს თავიანთ მეურნეობას, ეს კი უმთავრესია.

1921. 25. IV.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

კონცესიებზე და კაპიტალიზმის განვითარების შესახებ

საბჭოთა ხელისუფლება იწვევს საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს, რომლებსაც კი სურთ მიიღონ კონცესიები რუსეთში.

რა არის კონცესიები? სახელმწიფოს ხელშეკრულება კაპიტალისტთან, რომელიც კისრულობს მოაწყოს ან გააუმჯობესოს წარმოება (მაგალითად, ხე-ტყის მოპოვება და დაცურება, ქვანახშირის, ნავთის, მადნის და სხვათა მოპოვება) და ამაში უხდის სახელმწიფოს მოპოვებული პროდუქტის ნაწილს, ხოლო მეორე ნაწილს იღებს მოგების სახით.

სწორად იქცევა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც განდევნა რუსი მემამულეები და კაპიტალისტები, ახლა კი იწვევს საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს? სწორად იქცევა, ვინაიდან, თუ მუშათა რევოლუცია სხვა ქვეყნებში დაყოვნდა, ჩვენ იძულებულნი ვხდებით ერთგვარი მსხვერპლი გავიღოთ, ოღონდ მივაღწიოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობის სწრაფად, დაუყოვნებლივადაც კი გაუმჯობესებას. მსხვერპლს ის შეადგენს, რომ ჩვენ ათეულ მილიონობით ძვირფას პროდუქტს მივცემთ კაპიტალისტს მთელი რიგი წლების განმავლობაში, ხოლო მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება ის არის, რომ ჩვენ მაშინვე მივიღებთ დამატებითი რაოდენობით ნავთობს, ნავთს, მარილს, ქვანახშირს, სამიწათმოქმედო იარაღებს და სხვ.. ჩვენ უფლება არა გვაქვს უარი ვთქვათ მუშათა და გლეხთა მდგომარეობის

დაუყოვნებლივ გაუმჯობესებაზე, ვინაიდან ეს აუცილებელია ჩვენი გაჩანაგების პირობებში, ხოლო აღნიშნული მსხვერპლი ჩვენ არ დაგვღუპავს.

საშიში ხომ არ არის კაპიტალისტების მოწვევა, ხომ არ ნიშნავს ეს კაპიტალიზმის განვითარებას? — დიახ, ეს ნიშნავს კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ ეს საშიში არ არის, ვინაიდან ძალაუფლება მუშათა და გლეხთა ხელში რჩება, ხოლო მემამულეთა და კაპიტალისტთა საკუთრება არ იქნება აღდგენილი. კონცესია თავისებური საიჯარო ხელშეკრულებაა. კაპიტალისტი სახელმწიფო საკუთრების ნაწილის მოიჯარადრე ხდება, ხელშეკრულებით, განსაზღვრული ვადით, მაგრამ მეესაკუთრედ არ იქცევა. საკუთრება სახელმწიფოს რჩება.

საბჭოთა ხელისუფლება თვალყურს ადევნებს იმას, რომ კაპიტალისტმა მოიჯარადრემ დაიცვას ხელშეკრულება, რომ ხელშეკრულება ხელსაყრელი იყოს ჩვენთვის, რომ გაუმჯობესდეს მუშათა და გლეხთა მდგომარეობა. ასეთ პირობებში კაპიტალიზმის განვითარება საშიში არ არის. ხოლო მუშებისა და გლეხებისათვის სარგებლობა ის არის, რომ ხდება პროდუქტების გადიდება.

1921. 25. IV.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

3

სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის შესახებ

სამომხმარებლო კოოპერაცია ეწოდება მუშათა და გლეხთა გაერთიანებას მათთვის საჭირო პროდუქტების მიწოდებისა და განაწილების მიზნით. სარეწაო კოოპერაცია ეწოდება წვრილ მიწათმოქმედთა ან შინამრეწველთა გაერთიანებას იმ მიზნით, რომ აწარმოონ და გაასაღონ სხვადასხვა პროდუქტი, როგორც სამიწათმოქმედო (მაგალითად, ბოსტნეული, რძის პროდუქტები და სხვა ამგვარი), ისე არასამიწათმოქმედო (მრეწველობის ყოველგვარი პროდუქტი, ხის, რკინის, ტყავეულის ნაკეთობა და ა. შ.).

გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის წყალობით, გლეხები თავიანთ განკარგულებაში მიიღებენ ნაჭარბ პურს და თავისუფლად გადაცვლიან ამ ნაჭარბს ყოველგვარ პროდუქტზე.

სარეწაო კოოპერაცია ხელს შეუწყობს წვრილი მრეწველობის განვითარებას; ეს მრეწველობა გაადიდებს გლეხებისათვის აუცილებელი ისეთი პროდუქტების რაოდენობას, რომლებიც მეტწილად არც რკინიგზებით შორიდან მოზიდვას საჭიროებენ, არც მსხვილ საფაბრიკო საწარმოებს. ყოველი ღონისძიებით უნდა დავეხმაროთ სარეწაო კოოპერაციას და გავავითაროთ იგი, ყოველნაირად შევუწყოთ მას ხელი, — ეს პარტიული და საბჭოთა მუშაკების მოვალეობაა, ვინაიდან ეს ერთბაშად სულს მოათქმევინებს გლეხობას და გააუმჯობესებს მის მდგომარეობას. გლეხთა ცხოვრებისა და მეურნეობის

გაუმჯობესებაზე კი ახლა ყველაზე მეტად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის აღმავლობა და აღდგენა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში.

სამომხმარებლო კოოპერაციასაც უნდა დავეხმაროთ, ისიც უნდა გავავითაროთ, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს პროდუქტების სწრაფად, წესიერად და იაფად განაწილებას. საბჭოთა ხელისუფლებმა მხოლოდ უნდა შეამოწმონ კოოპერაციის საქმიანობა, რათა არ იყოს მოტყუება, არ იყოს სახელმწიფოსაგან საქონლის გადამალვა, არ იყოს ბოროტმოქმედება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეავიწროონ კოოპერაცია, პირიქით, ყოველნაირად დაეხმარონ და ხელი შეუწყონ მას.

დაწერილია 1921 წ. 25 აპრილს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება გრამოფონის ფირფიტაზე ჩანაწერის ასლის მიხედვით

ამხ. კრჟიჟანოვსკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს

მეურნეობის ერთიანი სახელმწიფო გეგმა ჩვენში ჯერ �dev თითქმის არ იგრძნობა. სჭარბობს მისწრაფება — «ფეხზე დავაყენოთ» ყოველივე და ყველაფერი, მეურნეობის ყველა დარგი, ყველა ის საწარმოც კი, რომელიც მემკვიდრეობით დაგვრჩა კაპიტალიზმისაგან.

სახელმწიფო საგეგმო კომისიას მართებს ისე დააყენოს მუშაობა, რომ შეიმუშაოს, თუნდაც მოსავლის აღების დროისათვის, უახლოესი პერიოდის, ერთი თუ ორი წლის საერთო-სახელმწიფო სამეურნეო გეგმის საფუძვლები.

ამოსავალ პუნქტად უნდა ავიღოთ სურსათი, ვინაიდან სწორედ ეს შეადგენს უამრავ სიძნელეთა სათავეს. უნდა შეეცადოთ, რომ საერთო-სახელმწიფო სამეურნეო გეგმა გავიანგარიშოთ სამი შემთხვევისათვის: (1) 200; (2) 250 და (3) 300 მილიონი ფუთი პური სახელმწიფოს ხელში წლიურად (1921. 1. IX — 1922. 1. IX). იქნებ, თუ სიძნელენი სავსებით გავითვალისწინეთ, მთელი გაანგარიშება სამი შემთხვევისათვის დიდი აღმოჩნდეს, და უფრო რაციონალური იყოს დავკმაყოფილდეთ ერთი დაწვრილებითი გაანგარიშებით 250 მილიონი ფუთის მიღების შემთხვევისათვის იმ ვარაუდით, რომ ნაჭარბი (300 — 250) მარაგად მივიჩნიოთ შავი დღისათვის, პურის სრული ნაკლებობის შემთხვევა კი (200 მილიონი ფუთი) მხოლოდ დაახლოებით დავამუშაოთ (დამატებით ამდენი და ამდენი ვიყიდოთ საზღვარგარეთ; საერთოდ, ასე და

ასე «შევიზღუდოთ თავი» მრეწველობის, ტრანსპორტის, არმიის და სხვათა მხრივ).

ვთქვათ, პურის სახელმწიფო ფონდი ამდენია. გამოქვითვა-მარაგი ომის შემთხვევისათვის, სარკინიგზო მიმოსვლის შეფერხების შემთხვევისათვის და სხვ.

შემდეგ დგება სათბობის საკითხი. პერსპექტივა ასეთი და ასეთი: აქედან — აქამდე. საამისოდ საჭირო სურსათის მინიმუმი და მაქსიმუმი. იმის შესაძლებლობა, რომ სათბობის მომარაგება აყვანილ იქნეს ასეთ და ასეთ ფარგლებამდე პურის მარაგის ამდენად და ამდენად გადიდების დროს.

სათბობის ეკონომიის შესაძლებლობა, წარმოების რამდენიმე საუკეთესო საწარმოში კონცენტრაციის გზით, ასეთი და ასეთია. ამის გაანგარიშება აუცილებელია. ამასთან დაკავშირებით გაანგარიშებულ იქნეს, თუ რამდენად შესაძლებელია სურსათის ეკონომია არა აუცილებელი ან არა უთუოდ აუცილებელი საწარმოების დახურვისა და მუშების გადაყვანის გზით (სად გადაყვანით? შეიძლება თუ არა გადაყვანა? თუ არა, ამოცანად დაისვას ასეთი მუშების მინიმალური გამოყოფა და გადაყვანა შემცირებულ ულუფაზე).

სათბობის ეკონომია მისი დაზოგვისათვის პრემიების გაცემის გზით და მის ხარჯვაზე მეთვალყურეობის გაძლიერების გზით. ასეთი ეკონომიის დაახლოებითი გაანგარიშება, თუ საამისოდ მოიპოვება ესა თუ ის დასაყრდენი პუნქტი.

არმია (ცალკე ფლოტი, — ცალკე გაანგარიშება ფლოტისა და მისი ხარჯების მაქსიმალური შემცირებისა, თითქმის მოსპობისა), გაანგარიშება 1,6 მილიონით 1921 წ. 1 სექტემბრისათვის, შემდეგ პირობითი გაანგარიშება ამის ნახევარი ოდენობით.

საბჭოთა მოსამსახურენი. რამდენია. შესაძლო შემცირება 25%-ით, 50%-ით. პრემიები ერთ მეოთხედს (არსებული რიცხვისას, უთუოდ აუცილებელ მეოთხედს) მთელი რიცხვის შემცირების გამო. ეს საკითხი დარჩენილი მეოთხედის (ან მესამედის ან ნახევრის) პრემიებისა მჭამელთა რიცხვის შემცირების განხორციელებისათვის (და დასახარჯი სათბობის

რაოდენობის შემცირებისათვის, თუნდაც, მაგალითად, სამი ცვლის შემოღებით და სამიდან ორი დაწესებულების დახურვით), მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ცალკე უნდა იქნეს განხილული.

მრეწველობა, დაყოფილი რამდენიმე ჯგუფად. ძირითადი ჯგუფების რაც შეიძლება ნაკლები რიცხვი. წყალი და სინათლე. მოთხოვნილების მინიმუმის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი მინიმუმი: (α) წარმოებითი მოხმარებისა; (β) პირადი მოთხოვნილებისა. გაანგარიშება ძირითადი ჯგუფების გარკვეული რიცხვისათვის (იქნებ, სადეტალო სამუშაოს დარიგებით მრეწველობის ცალკეული დარგებისა, ცალკეული რაიონებისა და ქალაქებისათვის სპეციალურ ქვეკომისიებში, ან სპეციალური რწმუნებულებისათვის ადგილებზე, ან საგუბერნიო სტატბიუროებში და სხვ.) — გაანგარიშება იმისა, თუ რამდენ მსხვილ საწარმოში შეიძლება მოვუყაროთ თავი მთელ წარმოებას და რამდენი შეიძლება დავხუროთ. ეს, ეტყობა, უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც განსაკუთრებით გულმოდგინე შესწავლას საჭიროებს: ჯერ ერთი, წმინდა სტატისტიკურ შესწავლას (1920 წლის მონაცემები, შეძლებისდაგვარად 1918 — 1919 წლებისაც; ზოგჯერ გამონაკლისის სახით დამხმარე მნიშვნელობა ექნება ომამდელი სტატისტიკის მონაცემებსაც); მეორეც, ეკონომიურ შესწავლას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს შემდეგი სპეციალური ამოცანა:

ხომ არ შეიძლება, რომ ქალაქისა და მრეწველობის განთავისუფლებული მუშებისათვის, რომლებიც სახელმწიფომ არ უნდა კვებოს და რომელთა სხვა სამუშაოზე მოწყობა ქალაქად შეუძლებელია, გამოიძებნოს სამუშაო დროებით, ერთი-ორი წლით, პურიან ადგილებში, იმ პირობით, რომ მუშებმა დააკმაყოფილონ გარშემო მცხოვრები მიწათმოქმედი მოსახლეობის საჭიროებანი?

შემდეგ, მრეწველობას, სამშენებლო მრეწველობის აუცილებელი გამოყოფით, მოსდევს ტრანსპორტი (იქნებ, საჭირო

გახდეს მისი მოქცევა მრეწველობის წინ?) და სპეციალურად ელექტრიფიკაცია.

და ა. შ.

გაანგარიშება მოცემულ უნდა იქნეს თავდაპირველად, თუნდაც ზოგად ხაზებში, პირველი მიახლოების წესით, მაგრამ აუცილებლად მოკლე ვადაში, ერთ, მაქსიმუმ ორ თვეში, — სახელდობრ, გაანგარიშება ზოგადი სურათისა, ერთი წლის განმავლობაში სურსათის მთელი რაოდენობის და სათბობის მთელი რაოდენობის ხარჯვისა. შემდეგ ამ ზოგად გეგმას დავაზუსტებთ, შევასწორებთ, შევცვლით, მაგრამ აუცილებელია აღნიშნულ უმოკლეს ვადაში გვქონდეს ერთი წლის თუნდაც ძირითადი, თუნდაც მეტად ზოგადი გეგმა (ან, იქნებ, ცალ-ცალკე წლის ოთხი მეოთხედისა, ან სამი მესამედისა 1921 წ. 1. IX — 1922 წ. 1. I; 1. I — 1. V; 1922 წ. 1. V — 1. IX).

მუდმივი შედარება 1920 წელთან აუცილებელია. იქნებ, მთელი რიგი გაანგარიშებანი შესაძლებელია და კიდევაც უნდა მოვახდინოთ 1920 წლის მონაცემების და 1921 — 1922 წლების «ვარაუდების» შედარებითი სტატისტიკური და ეკონომიური შესწავლის აზრით.

ვთხოვ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს, ვიდრე ჩემს წინადადებას სახელმწიფო საგეგმო კომისიის პლენუმზე შეიტანდეს, მაცნობოს თავისი დასკვნა ამ წერილის გამო — პრეზიდიუმის როგორც უმრავლესობისა, ისე მისი ცალკეული წევრებისა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1921. 14/V.

P. S. 1) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მრეწველობას, რომელიც იძლევა პურზე გადასაცვლელად გამოსადეგ საგნებს, რათა მათი გადაცვლით მიღებულ იქნეს პური ქვეყნის შიგნით. პურის მისაღებად ეს მრეწველობა ყოველ შემთხვევაში ცალკე უნდა გამოვყოთ,

რათა შესაძლებლობა გვქონდეს ზუსტად ვუპასუხოთ კითხვაზე: ხომ არ შეიძლება, პურის ნაკლებობისას საერთოდ, თუ სურსათის გარკვეულ რაოდენობას და სათბობს გამოვყოფთ მრეწველობის ამა და ამ დარგისათვის ან ამა და ამ დაწესებულებისათვის, მივიღოთ პროდუქტების გარკვეული რაოდენობა და მათზე გადაცვლით ამდენი და ამდენი პური. ეს პირობითი გაანგარიშება წინასწარ უნდა გაკეთდეს, რომ იგი, გარკვეულ შემთხვევებში, გამოვიყენოთ მოსავლის შემდეგ.

2) უნდა შევეცადოთ გამოვყოთ და აღვრიცხოთ: (ა) საწარმოები (მუშების რიცხვით), რომლებიც უთუოდ აუცილებელია სახელმწიფოსათვის, და (ბ) საწარმოები — იქ დაბანდებულ მუშათა რიცხვით — რომლებიც არსებობენ ტრადიციით, რუტინით, იმის გამო, რომ მუშებს არ სურთ გამოიცვალონ პროფესია და ადგილსამყოფელი და სხვ. და რომლებიც უნდა დაგვეხურა იმ თვალსაზრისით, რომ რაციონალური სამეურნეო მუშაობა გვეწარმოებინა და მრეწველობა რამდენიმე ცვლად მომუშავე ცოტაოდენ საუკეთესო საწარმოებში გადაგვეტანა. როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორიის საერთო ჯამი. მეორე კატეგორიისათვის ულუფის შემცირების გაანგარიშება, რათა ამით შეიქმნას ამ საწარმოთა ლიკვიდაციის სტიმული.

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის *

პროექტი

საბჭოთა რესპუბლიკის პირველი რიგის ამოცანაა საწარმოო ძალების აღდგენა, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის აღმავლობა. ის გაჩანაგება და გაღატაკება, რაც ყველგან გამოიწვია იმპერიალისტურმა ომმა, ისე უსაზღვროდ დიდია, რომ მთელ მსოფლიოში მძვინვარებს ეკონომიური კრიზისი, და მოწინავე ქვეყნებშიც კი, რომლებიც ომამდე რუსეთზე ძალიან წინ იყვნენ თავიანთი განვითარებით და რომლებიც შეუდარებლად უფრო ნაკლებ დაზარალდნენ ომისაგან, მეურნეობის აღდგენა არაჩვეულებრივი სიძნელეებით მიმდინარეობს და მრავალ წელს გაჭიანურდება. ასეთი მდგომარეობაა ბევრ «გამარჯვებულ» ქვეყანაშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მათ კავშირი აქვთ შეკრული უმდიდრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან და იღებენ უზარმაზარ ხარკს, რომელიც დაეკისრა დამარცხებულ, დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებს.

გასაგებია, რომ ჩამორჩენილ რუსეთს, რომელმაც გამოიარა არა მარტო იმპერიალისტური ომი, არამედ სამ წელზე მეტი ხნის სამოქალაქო ომიც, რაც მუშებსა და გლეხებს თავს მოახვიეს მემამულეებმა და კაპიტალისტებმა მსოფლიო ბურჟუაზიის დახმარებით, წარმოუდგენლად უფრო მეტი სიძნელეებით უხდება თავისი მეურნეობის აღდგენა. 1920 წლის საშინელმა მოუსავლობამ, უსაკვებობამ და პირუტყვის

დაცემამ გლეხური მეურნეობის მდგომარეობა აუტანლად მძიმე გახადეს.

სრულიად რუსეთის ცაკის მიერ გამოცემული კანონით გაწერა შეცვლილია სასურსათო გადასახადით [86]. შემოღებულია ყოველგვარი პროდუქტის იმ ნაჭარბის გაცვლის თავისუფლება, რომელიც გლეხს რჩება. სახკომსაბჭოს დადგენილებით გამოქვეყნებულია გადასახადის განაკვეთები. გადასახადის ოდენობა, დაახლოებით, ერთიორად ნაკლებია გაწერაზე. სახკომსაბჭოს მიერ გამოცემულია ახალი კანონი კოოპერაციის შესახებ, რომელიც აფართოებს მის უფლებებს მიწათმოქმედების პროდუქტთა ნაჭარბის გაცვლის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

ამ კანონებით ბევრი რამ არის გაკეთებული გლეხური მეურნეობის მდგომარეობის დაუყოვნებლივი გაუმჯობესებისათვის, ხვნა-თესვის გაფართოებისა და მიწათმოქმედების და მესაქონლეობის გაუმჯობესებისადმი გლეხთა ინტერესის გაძლიერებისათვის, ამასთან ერთად იმ წვრილი, ადგილობრივი მრეწველობის აღმავლობისა და განვითარებისათვის, რომელიც არ საჭიროებს სურსათის, ნედლეულისა და სათბობის დიდი სახელმწიფო მარაგის დამზადებასა და მოზიდვას.

გლეხური მეურნეობის გაუმჯობესების, მრეწველობის განვითარების, მიწათმოქმედებას და მრეწველობას შორის ბრუნვის დამყარების საქმეში დამოუკიდებელ ადგილობრივ თაოსნობას ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იქმნება დიდი შესაძლებლობანი, რომ გამოყენებულ იქნეს ახალი ძალები, ახალი ენერგია სახალხო მეურნეობის აღსადგენად.

შრომისა და თავდაცვის საბჭო, რომელიც საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის დადგენილების ძალით ვალდებულია გააერთიანოს ეკონომიური სახალხო კომისარიატების საქმიანობა და წარმართოს იგი, მიმართავს ყველა ადგილობრივ დაწესებულებას დაჟინებითი მოთხოვნით — დაძაბონ მთელი ძალები და, რადაც უნდა დაჯდეს, გაშალონ ფართო საქმიანობა გლეხური მეურნეობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისა და მრეწველობის აღმავლობისათვის, ამასთან მათ

Проект

Приказ от СНК (Совета Труда и Обороны)
единым советским гражданам.

Первоочередной задачей Северной Республики является восстановление производительных сил, подъем сельского хозяйства, промышленности и транспорта. Разорение и обнищание, принесенные всему интернациональной войной, так колоссальны, что во всем мире современную экономическую кризис, а еще в передовых странах, которые до войны были довольно богаты, восстановление хозяйства идет с колоссальными трудностями и разбросами на долгий ряд лет. И даже обычно для ~~[illegible]~~ даже во многих странах победившихся", несмотря на то, что они вышли с богатыми капиталистическими державами и получают огромную дань, обогащаясь на чужом побоище, давно уже и изобилевали.

Поэтому, что ценной всем, которая выпала на долю интервентов войну, но и тут с белыми шла трудовой войны, кавказской работы и эксплуатации и капиталистами при помощи внешней буржуазии, приходится с неимоверно большими трудностями восстанавливать свое хозяйство. Тем более, что каждый кусок хлеба, каждый и тем сам дорога потерпела существенно хозяйства разрыва.

По закону, который орган Республики, руководит этим государственным делом. Установлено своего общего хозяйственного руководства на всем пространстве. Постановление Совнар.

Пирველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი' საბჭოთა დაწესებულებებისათვის. პროექტი». — 1921 წ. მაისი.

დაპატარავებულია

მტკიცედ უნდა შეასრულონ ახალი კანონები და იხელმძღვანელონ ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი დებულებებითა და მითითებებით.

საერთო-სახელმწიფო მასშტაბით ჩვენი სამეურნეო მშენებლობის წარმატებათა პრაქტიკული საზომი ჩვენ უწინარეს ყოვლისა ორნაირი გვაქვს: ჯერ ერთი, სასურსათო გადასახადის სწრაფი, სრული, სახელმწიფოებრივად სწორი შეგროვების წარმატება; მეორეც — და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — საქონელცვლისა და მრეწველობის პროდუქტებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაცვლის წარმატება, მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის წარმატება.

ეს ყველაზე საარსებო, დაუყოვნებლივი და, რადაც უნდა დაჯდეს, აუცილებელია. ეს არის მთელი მუშაობის შემოწმება და საძირკვლის ჩაყრა ელექტრიფიკაციის დიადი გეგმის განხორციელებისათვის, — ელექტრიფიკაციისა, რომელიც აღადგენს მსხვილ მრეწველობასა და ტრანსპორტს ისეთ ფარგლებში და ისეთ ტექნიკურ საფუძველზე, რომ საბოლოოდ და სამუდამოდ დავამარცხოთ შიმშილი და სიღატაკე.

უნდა შევაგროვოთ სასურსათო გადასახადი 100%-ით და შემდეგ შევაგროვოთ კიდევ ამდენივე სასურსათო პროდუქტები იმ გზით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაჭარბი თავისუფლად იქნეს გადაცვლილი სამრეწველო ნაწარმზე. რა თქმა უნდა, ეს ყველგან ერთბაშად ვერ მოხერხდება, მაგრამ ეს უახლოესი ამოცანა ჩვენ ყველამ უნდა დავიხახოთ და ჩვენ შევძლებთ მის განხორციელებას უმოკლეს ვადაში, თუ სწორად გავიგებთ ჩვენი მეურნეობის მდგომარეობას და მთელი ენერგიით დავადგებით მისი აღმავლობის სწორ გზას. მთელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, თვითეული გუბერნიის, თვითეული მაზრის, თვითეული საოლქო ცენტრის, თვითეული ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ადგილობრივმა დაწესებულებამ გაერთიანებულად და შეთანხმებით უნდა გაშალონ საქმე ისე, რომ განავითარონ ნაჭარბის გაცვლა. დაე გამოცდილებამ გვიჩვენოს, თუ რამდენად

მოხერხდება ამ გაცვლის განვითარება წარმოების გადიდების და მსხვილ სოციალისტურ საწარმოთა სახელმწიფო პროდუქტების მიტანის საშუალებით; — რამდენად მოხერხდება წვრილი ადგილობრივი მრეწველობის წახალისება და განვითარება; — რა როლს შეასრულებენ კოოპერაცია და კერძო ვაჭრობა, სახელმწიფო აღრიცხვაზე მყოფი მეწარმენი, კაპიტალისტები, — უნდა გამოვცადოთ ყველა და ყოველგვარი ხერხი, ისე რომ რაც შეიძლება უფრო გავავითაროთ ადგილობრივი ინიციატივა. ჩვენ ვდგავართ ახალი ამოცანის წინაშე, რომელიც ქვეყნად ჯერ კიდევ არსად უცდიათ; ჩვენ ამ ამოცანას ისეთ პირობებში ვწყვეტთ, როდესაც ომისშემდგომი გაჩანაგება არც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ზუსტად გავიანგარიშოთ რესურსები, არც იმისა, რომ წინდაწინ განვსაზღვროთ, თუ რა დაძაბულობას აიტანენ მუშები და გლეხები, რომლებმაც გაუგონრად მძიმე მსხვერპლი გაიღეს მემამულეებსა და კაპიტალისტებზე გამარჯვების გულისათვის. ჩვენ უფრო გაბედულად და უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვანაირი ხერხები, საქმისადმი სხვადასხვა მხრიდან მიდგომა, კაპიტალისა და კერძო ვაჭრობის დაშვების სხვადასხვა დონე, არ შეგვეშინდეს კაპიტალიზმის ერთგვარი დანერგვისა, ოღონდ დაუყოვნებლივ გავადიდოთ ბრუნვა, გამოვაცოცხლოთ ამით მიწათმოქმედებაც და მრეწველობაც, გამოვიანგარიშოთ, პრაქტიკული გამოცდილების შედეგების მიხედვით, თუ რა რესურსები გააჩნია ჩვენს ქვეყანას და ყველაზე უფრო უტყუარად რა გზით შეიძლება მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება სამეურნეო მშენებლობისათვის საჭირო შემდგომი უფრო ფართო და მტკიცე მუშაობისათვის, ელექტრიფიკაციის გეგმის განხორციელებისათვის.

გადასახადის გადამეტებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რამდენი ნაჭარბი გადაცვალეს გლეხებმა წვრილი მრეწველობის პროდუქტებზე და კერძო ვაჭრობის ხაზით და რამდენი — სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ პროდუქტებზე? — აი ორი საკითხი, რამაც უწინარეს ყოვლისა უნდა დააინტერესოს სამეურნეო მშენებლობის საქმით გართული

ყოველი საბჭოთა მუშაკი. აი მთავარი უახლოესი მიმართულებანი, რომლებითაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ ყველაზე მეტ წარმატებებს და რომელთა მიხედვითაც ჩვენ გავზომავთ მუშაობის წარმატებულობის დონეს, მერე კი განვსჯით, თუ სახელდობრ როგორ გავწიოთ შემდგომი ამოცანებისაკენ. ამ ორ უახლოეს საკითხთან შეთანხმებულად უნდა დაისვას საერთოდ სამეურნეო მშენებლობის ყველა საკითხი.

ეს შეთანხმება რომ გავახორციელოთ, რაც შეიძლება უფრო ფართო მასშტაბით რომ წავახალისოთ მუშაობის თაოსნობა, დამოუკიდებლობა, გაქანება ადგილებზე, აგრეთვე კონტროლი რომ გავუწიოთ ადგილობრივი გამოცდილებით და ადგილობრივი მეთვალყურეობით ცენტრალური აპარატის მუშაობას და პირიქით და ამით მივაღწიოთ საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას, შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა (იხ. ცალკე დადგენილების ტექსტი):

ჯერ ერთი, შემოღებულ იქნეს ყველგან ეკონომიური თათბირები ყველა ეკონომიური სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესათანხმებლად.

და, მეორეც, დაწესდეს ადგილობრივი ეკონომიური თათბირების სწორი ანგარიშგება იმ მიზნით, რომ მოხდეს გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მოეწყოს შეჯიბრება და, რაც მთავარია, შემოწმდეს ადგილობრივი მუშაობით და მისი შედეგებით ცენტრალურ დაწესებულებათა საქმიანობის ხერხებისა და ამ დაწესებულებათა აგების წესის სისწორე.

ადგილობრივი ეკონომიური თათბირები უნდა შეიქმნას შრომისა და თავდაცვის საბჭოს ტიპის მიხედვით და ისეთსავე ურთიერთობაში უნდა იყოს ადგილობრივ აღმასკომებთან, რა ურთიერთობაშიც არის შრომისა და თავდაცვის საბჭო სახკომსაბჭოსთან. შრომისა და თავდაცვის საბჭო მუშაობს სახკომსაბჭოს კომისიის უფლებებით; შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრების სახკომსაბჭოს წევრებიდან შერჩევისას ორივე დაწესებულების მუშაობა სრულიად შეთანხმებულია, თავიდან აცილებულია მათ შორის შეხლა-შემოხლის

ყოველგვარი შესაძლებლობა, უზრუნველყოფილია მუშაობის სისწრაფე, აპარატის სიმარტივე, რადგან შრომისა და თავდაცვის საბჭო არავითარ აპარატს არ ქმნის, არამედ უწყებათა აპარატების მეშვეობით მუშაობს, ამასთან ცდილობს გაამარტივოს ეს აპარატები და შეათანხმოს ისინი ერთმანეთთან.

საგუბერნიო ეკონომიური საბჭოები ასეთსავე ურთიერთობაში უნდა იყვნენ საგუბერნიო აღმასკომებთან; პრაქტიკულად საქმე სწორედ ასე ეწყობა. ამასთან შრომისა და თავდაცვის საბჭო, როდესაც ამტკიცებს საოლქო და სამხარეო ეკონომიური საბჭოების წევრებსა და თავმჯდომარეს, ცდილობს გაითვალისწინოს ადგილობრივ მუშაკთა გამოცდილება და მათთან მოუთათბირებლად არ დაამტკიცოს ვინმე. უეჭველია, რომ საოლქო ეკონომიური საბჭოები უნდა ცდილობდნენ და ეცდებიან კიდევაც შეათანხმონ თავიანთი მუშაობა საგუბერნიო ეკონომიურ საბჭოებთან, მათ უნდა უზრუნველყონ ამ უკანასკნელთა სრული მონაწილეობა, მათთვის საქმის გაცნობა, მათი დაინტერესებულობა. არა გვგონია დროული იყოს ახლავე ვეცადოთ მთელი ამ ურთიერთობის რეგლამენტირებას: გამოცდილება ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს, ასეთი რეგლამენტაციის ცდებიდან შეიძლება წმინდა ბურჟუაზიული შემოქმედება გამოვიდეს. უფრო მიზანშეწონილია ჯერ პრაქტიკას მივანდოთ შეიმუშაოს ურთიერთობის შესაფერი ფორმები (შრომისა და თავდაცვის საბჭო დაახლოებით ერთ წელს მუშაობდა სახკომსაბჭოს გვერდით ისე, რომ არსებითად არავითარი კონსტიტუცია არა ჰქონია). დაე ეს ფორმები თავდაპირველად მაინცდამაინც აბსოლუტურად მტკიცე არ იყოს: სხვადასხვანაირობა სასურველია, სასარგებლოა, აუცილებელიც კია, რათა უფრო ზუსტად შევისწავლოთ, უფრო სრულად შევადაროთ ერთმანეთს ურთიერთდამოკიდებულებათა სხვადასხვა სისტემა.

სამაზრო და სათემო ეკონომიური საბჭოებიც ამავე საფუძველზე უნდა შეიქმნას — რასაკვირველია, ამასთან დაიშვება ძირითადი ტიპის ყოველგვარი ცვლილება, ე. ი. აღმასკომებს შეუძლიათ მთლიანად იკისრონ ეკონომიური თათბირე-

ბის ამოცანები და მოვალეობანი, შეუძლიათ თავიანთივე «განმკარგულებელი» თუ «ეკონომიური» სხდომები გაუთანაბრონ ეკონომიურ თათბირებს, შეუძლიათ გამოჰყონ (მაგალითად, თემებში, ზოგჯერ მაზრებშიც კი) სპეციალური კომისიები ან სპეციალურად დანიშნული ცალკე პირნიც კი ეკონომიური თათბირების ყველა ან ზოგიერთი ამოცანის შესასრულებლად და ასე შემდეგ და მისთანანი. ქვედა უჯრედს უნდა წარმოადგენდნენ სოფლკომები, ისინი უნდა გახდნენ შრომისა და თავდაცვის საბჭოს ქვედა ორგანოები სოფლად. კანონი სოფლკომების უფლებათა სათანადოდ გაფართოებისა და სოფლის დეპუტატთა საბჭოებთან მათი ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის შესახებ უკვე დამტკიცებულია სახკომსაბჭოს მიერ და გამოქვეყნებულია 1921 წლის 28 მაისს. საგუბერნიო აღმასკომების მოვალეობას შეადგენს ამა თუ იმ ადგილისათვის ყველაზე უფრო შესაფერი წესების ასეთი თუ ისეთი წინასწარი დადგენა, ამასთან კი არ უნდა შეიკვეცოს, «რამედ აუცილებლად უნდა გაფართოვდეს საერთოდ «ადგილების», განსაკუთრებით კი ქვედა უჯრედების დამოუკიდებლობის თაოსნობა.

სამრეწველო მაზრებსა და დაბებში შრომისა და თავდაცვის საბჭოს ქვედა ორგანოებს უნდა წარმოადგენდნენ რაიკომები და ფაბკომები ან ფაბრიკა-ქარხნების გამგეობანი — იმის მიხედვით, მრეწველობის ერთ დარგთან გვაქვს საქმე თუ რამდენიმე დარგთან. ყოველ შემთხვევაში მუშაობის გაერთიანება სამაზრო აღმასკომებთან, სათემო აღმასკომებთან, სოფლკომებთან მთელი ადგილობრივი სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობის ღონისძიებებისათვის ამა თუ იმ ფორმით უთუოდ აუცილებელია.

შემდეგ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე ადგილობრივი ორგანოების სწორი ანგარიშგების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ერთ-ერთი მთავარი ბოროტება, რომელიც ჩვენ თავიდან ვერ მოგვიცილებია, ის არის, რომ საკმაოდ არ წარმოებს პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება,

ურთიერთკონტროლი — ცენტრის განკარგულებებისა ადგილების პრაქტიკით და ადგილების პრაქტიკისა ცენტრის ხელმძღვანელობით. ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება უნდა იყოს შემოწმება ცენტრის კანონების და განკარგულებების შესრულებისა ადგილების მიერ, ამისათვის საჭიროა ანგარიშები, რომლებიც უნდა იბეჭდებოდეს საყოველთაო ცნობისათვის, ამასთან აუცილებელია უპარტიოთა და არა-უწყების მუშაკთა მონაწილეობის გაფართოება. ისეთი ჟურნალი, როგორიცაა «ნაშე ხოზიაისტვო», «ტვერის საგუბერნიო ეკონომიური საბჭოს ორკვირეული ორგანო» (№ 1, 1921 წ. 15. IV; № 2, 1921 წ. 30. IV), გვიჩვენებს, რომ ადგილებზე შეგნებული აქვთ ჩვენი სამეურნეო გამოცდილების შედეგთა შესწავლის, გაშუქების, გამოქვეყნების საჭიროება და სწორ გზებსაც პოულობენ მის დასაკმაყოფილებლად. რა თქმა უნდა, ყოველ გუბერნიაში როდი შეძლებენ, უახლოეს თვეებში მაინც, გამოსცენ ჟურნალი, ყველგან როდი შეძლებენ ბეჭდონ თვეში ორჯერ სამ-სამი ათასი ეგზემპლარი, როგორც ტვერი ბეჭდავს. მაგრამ არა მარტო ყოველ გუბერნიაში, არამედ ყოველ მაზრაშიც შეუძლიათ შეადგინონ — და კიდევაც უნდა შეადგინონ — ორ თვეში ერთხელ (დასაწყისისათვის შესაძლებელია დავუშვათ, გამონაკლისის სახით, უფრო ხანგრძლივი ინტერვალებიც) ადგილობრივი ეკონომიური მუშაობის ანგარიში და დაბეჭდონ იგი, ვთქვათ, 100 — 300 ეგზემპლარად. ქაღალდი და სტამბა ასეთი მცირე სამუშაოსათვის უეჭველად ყველგან აღმოჩნდება, თუ ჩვენ შევიგნებთ ასეთი სამუშაოს დიდ მნიშვნელობას და გადაუდებელ საჭიროებას, იმას, რომ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ჩამოერთვას ქაღალდი ბევრ ისეთ უწყებას, რომლებიც აუარებელ არასაჭირო, ან პირველ რიგში სრულიადაც არასაჭირო რამეებს ბეჭდავენ. თუ წვრილი შრიფტით ავაწყობთ; თუ 2 სვეტად დავბეჭდავთ (როგორც იქცევიან ამხანაგები ტვერში); თუ შევიგნებთ იმ

უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ასეული ეგზემპლარიც კი, როცა თვითეულ ეგზემპლარს მივაწვდით ყოველ საგუბერნიო ბიბლიოთეკას და ყოველ უდიდეს საერთო-სახელმწიფოებრივ ბიბლიოთეკას, უკვე იძლევა, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც უ ე ჭ ვ ე ლ შესაძლებლობას, რომ გამოცდილება ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს მასშტაბით იქნეს გაცნობილი და გათვალისწინებული, — მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ საქმის განხორციელება შესაძლებელია და რომ იგი გადაუდებელია.

გამოცდილების ნამდვილი გათვალისწინება, გამოცდილების ნამდვილი ურთიერთგაზიარება, უპარტიოთაგან ყველა გამოჩენილი უნარიანი ორგანიზატორის მოზიდვა, ყოველივე ეს შეუძლებელია ისე, თუ წესიერად არ დაიბეჭდა ანგარიშები, თუნდაც ეგზემპლარების მეტად მინიმალური რაოდენობით. ამის მიღწევა შეიძლება და ამას კიდევაც უნდა მივაღწიოთ დაუყოვნებლივ.

ანგარიშების შედგენისას აუცილებელია შევაერთოთ რაც შეიძლება მეტი სიმოკლე დასმულ კითხვებზე პასუხის სიზუსტესთან. კითხვები ოთხ ჯგუფად იყოფა: კითხვების პირველი ჯგუფი — ეს ის კითხვებია, რომლებიც ამჟამად განსაკუთრებით დგება პირველ ადგილას. მათზე პასუხის გაცემა სავალდებულოა ყოველ ანგარიშში, ამასთან პასუხი რაც შეიძლება უფრო ზუსტი და დაწვრილებითი უნდა იყოს. ეს აუცილებელია განსაკუთრებით იმიტომ, რომ კითხვების ამ ჯგუფს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის უაღრესად საარსებო, საჭირბოროტო მნიშვნელობა აქვს სწორედ ახლანდელ მომენტში. მაზრებისა და რაიონების უმცირესობისათვის, სახელდობრ, წმინდა სამრეწველო მაზრებისა და რაიონებისათვის, პირველ რიგში სხვა კითხვები დადგება. კითხვების მეორე ჯგუფი — ეს ისეთი კითხვებია, რომლებზეც პასუხის გაცემა აგრეთვე სავალდებულოა ყოველ ანგარიშში, მაგრამ პასუხი ძალიან ხშირად შეიძლება და უნდა გაცემულ იქნეს იმ ანგარიშების მოკლე შეჯამების სახით,

რომლებიც უკვე წარდგენილია სათანადო უწყებებში. ყველა ასეთ შემთხვევაში შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის განკუთვნილ ანგარიშში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული: ანგარიშები გაგზავნილია ამა და ამ დროს, ამა და ამ დაწესებულებაში, შესრულებული სამუშაოს მოკლე შენაჯამი ამ ანგარიშებში გამოიხატება ასეთი და ასეთი ციფრებით. ამგვარი პასუხი აუცილებელია შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის განკუთვნილ ანგარიშში როგორც ცალკეულ უწყებათა შესამოწმებლად, ისე შენაჯამი ციფრების მისაღებად, რომლებიც იძლევიან სურსათის, სათბობის, მრეწველობის და სხვა დარგებში მიღწეულ შედეგებს. კითხვების მესამე ჯგუფი — ეს ისეთი კითხვებია, რომლებზე პასუხის გაცემა სავალდებულოა ა რ ა ყოველ ანგარიშში. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სავალდებულოა თავდაპირველად, ე. ი. პირველ ანგარიშში, შემდგომ ანგარიშებში კი აღინიშნება მხოლოდ დამატებითი და ახალი რამ ახალი მასალის დაგროვების მიხედვით. ყოველ ორ თვეში ამ კითხვებზე ბევრ შემთხვევაში პასუხის გაცემა აღარ იქნება საჭირო. მეოთხე ჯგუფი — ეს არის ყველა და ყოველგვარი დამატებითი კითხვა, რომელიც წინასწარ არ არის აღნიშნული, ცენტრის მიერ არ არის დასმული, არამედ ადგილებზე წამოიჭრება. ამ ჯგუფს ადგენენ თვით ადგილობრივი დაწესებულებები და იგი არაფრით არ არის შეზღუდული. თავისთავად იგულისხმება, რომ კითხვები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენენ (სამხედრო კითხვები ან სამხედრო ოპერაციებთან და სახელმწიფოს დაცვასთან დაკავშირებული კითხვები და სხვ.), უნდა გამოიყოს ცალკე ანგარიშში, რომელიც არ შეიძლება გამოქვეყნდეს, არამედ განკუთვნილი იქნება მხოლოდ და მხოლოდ შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის, როგორც საიდუმლო ანგარიში.

გადავიდეთ კითხვების ჩამოთვლაზე:

კითხვების პირველი ჯგუფი

1. საქონელცვლა გლეხობასთან

ეს ამჟამად პირველი საკითხია თავისი მნიშვნელობისა და საჭირბოროტო ხასიათის მხრივ. ჯერ ერთი, თუ არმია და ქალაქის მუშები სრულად და სწორად არ იქნებიან სურსათით მომარაგებულნი, ისე სახელმწიფოს არ შეუძლია აწარმოოს სამეურნეო მშენებლობა საერთოდ, ხოლო საქონელცვლა სურსათის შეგროვების მთავარი საშუალება უნდა გახდეს. მეორეც, საქონელცვლა არის მრეწველობისა და მიწათმოქმედების სწორი ურთიერთდამოკიდებულების შემოწმება, აგრეთვე საძირკველი მთელი მუშაობის რამდენადმე მაინც სწორად მოქმედი ფულის სისტემის შესაქმნელად. საქონელცვლის საკითხს (აქ შედის პროდუქტების გაცვლაც, რადგან სახელმწიფო პროდუქტი — სოციალისტური ფაბრიკის პროდუქტი, რომელიც გლეხის სურსათზე გადაიცვლება, არ არის საქონელი პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით, ყოველ შემთხვევაში არა მარტო საქონელია, უკვე აღარ არის საქონელი, კარგავს საქონლის ხასიათს), საქონელცვლის საკითხს ახლა უნდა მიექცეს ყველა ეკონომიური საბჭოს, სამეურნეო მშენებლობის ყველა ორგანოს მთავარი ყურადღება.

საქონელცვლისათვის მზადება? სახელდობრ რა არის გაკეთებული ამ მზადებისათვის? — სასურსათო კომისარიატის მიერ? — კოოპერაციის მიერ? კოოპერაციული დუქნების რიცხვი ამისათვის? არის თუ არა ყოველ თემში? რამდენ სოფელში? საქონელცვლის ფონდი? ფასები «თავისუფალ» ბაზარზე? ნაჭარბი პური და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები? არის თუ არა საქონელცვლის გამოცდილება და სახელდობრ როგორი? ჯამი და შედეგები? ბრძოლა საქონელცვლის ფონდის და სურსათის მტაცებლობასთან? (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც მოითხოვს მტაცებლობის თვითეული შემთხვევის გარჩევას).

მარილი და ნავთი, როგორც საქონელცვლის საგნები? ფართლეული? სხვა პროდუქტები? რის საჭიროებაა ყველაზე მეტად? რა აკლია გლეხობას ყველაზე მეტად? რის მოცემას შეძლებდა ადგილობრივი, წვრილი, კუსტარული წარმოება? ან ადგილობრივი მრეწველობის განვითარება?

ციფრებსა და ფაქტებს, რომლებიც ეხება საქონელცვლის მოწყობას და მის შედეგებს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმის განსახორციელებლად.

სწორია თუ არა თანაფარდობა სასურსათო კომისარიატისა, როგორც საქონელცვლის კონტროლისა და მეთვალყურეობის ორგანოსი, და კოოპერაციისა, როგორც საქონელცვლის განმახორციელებელი ორგანოსი? როგორია სახელდობრ ეს ურთიერთდამოკიდებულება პრაქტიკულად? მისი ადგილობრივად განხორციელების მხრივ?

კერძო ვაჭრობის როლი საქონელცვლაში? სახელდობრ რამდენად განვითარდა ან ვითარდება კერძო ვაჭრობა? ვაჭართა რიცხვი, მათი ბრუნვა მთავარი პროდუქტების მხრივ? განსაკუთრებით, სასურსათო პროდუქტების მხრივ?

2. სახელმწიფოს დამოკიდებულება კაპიტალისტებისადმი

საქონელცვლა და ვაჭრობის თავისუფლება ნიშნავს კაპიტალისტებისა და კაპიტალისტური ურთიერთობის უსათუოდ გაჩენას. ამისა არ უნდა გვეშინოდეს. მუშათა სახელმწიფოს თავის ხელში საკმაოდ აქვს საშუალებანი, რომ მ ხ ო ლ ო დ ზ ო მ ა ზ ე დაუშვას განვითარება ამ ურთიერთობისა, რომელიც სასარგებლო და აუცილებელია წვრილი წარმოების პირობებში, და რომ კონტროლი გაუწიოს ამ ურთიერთობას. მთელი საქმე ახლა სწორედ ის არის, რომ ზუსტად შევისწავლოთ მოვლენის ფარგლები და გამოვნახოთ სახელმწიფოს მხრივ კონტროლისა და აღრიცხვის შესაფერი (არა შემავიწროებელი, უფრო სწორად: არა ამკრძალავი) ხერხები.

სახელდობრ რამდენად ვითარდება კერძო ვაჭრობა გაწერის გადასახადით შეცვლასთან დაკავშირებით? შეიძლება

თუ არა მისი აღრიცხვა? მხოლოდ მეტომრეობა თუ წესიერი ვაჭრობაც? მისი რეგისტრაცია და რეგისტრაციის შედეგები?

მეწარმეობა: არის თუ არა შემთხვევები, რომ კაპიტალისტები და მეწარმენი წინადადებას გვაძლევენ იჯარით აიღონ ესა თუ ის საწარმო ან დაწესებულება? ან სავაჭრო სადგომები? ამ შემთხვევების ზუსტი აღრიცხვა და მათი გარჩევა? როგორ არის დაყენებული სავაჭრო ოპერაციების შედეგების თუნდაც დაახლოებითი განსაზღვრა? ასევე — მოიჯარადრეების, კონცესიონერების ანგარიშგება, თუ ასეთები არიან?

იყო თუ არა საკომისიო ხასიათის წინადადებანი? პროდუქტების შეგროვება, მათი შეყიდვა სახელმწიფოს სასარგებლოდ პროცენტის გაცემით? ან გაყიდვა და განაწილება? ან სამრეწველო საწარმოთა მოწყობა?

კუსტარული მრეწველობა, რა მხრივ შეიცვალა მისი მდგომარეობა სასურსათო გადასახადის შემოღების შემდეგ? მისი განვითარების დონე საერთოდ? მონაცემების წყარო?

3. დამოუკიდებელი თაოსნობის წახალისება საქონელცვლისა და საერთოდ სამეურნეო მშენებლობის საქმეში

ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული წინანდელთან. თაოსნობის წახალისება ხშირად შეიძლება. არ აღმოჩნდეს კაპიტალისტურ ურთიერთობასთან დაკავშირებული. როგორ გავახორციელოთ ეს წახალისება? — ასეთი საკითხი უნდა იდგეს ეკონომიური საბჭოებისა და საერთოდ სამეურნეო მშენებლობის ყველა ორგანოს წინაშე. ამ ამოცანის სიახლის გამო, არა გვგონია შესაძლებელი იყოს ამჟამად სავსებით გარკვეულ მითითებათა მიცემა. მთელი საქმე ის არის, რომ უდიდესი ყურადღება დავუთმოთ ამ საკითხს, წავახალისოთ ყოველგვარი სამეურნეო თაოსნობა, გულდასმით შევისწავლოთ პრაქტიკული გამოცდილება, გავაცნოთ ეს გამოცდილება მთელ სახელმწიფოს.

წვრილი მიწათმოქმედი, რომელიც გადასახადს აძლევს სახელმწიფოს და საქონლის გაცვლას აწარმოებს მასთან,

სოციალისტურ ფაბრიკასთან, — ეს ისეთი სამეურნეო ვითარებაა, რომელიც უეჭველად მოითხოვს სახელმწიფოსაგან, და სახელდობრ მისი ადგილობრივი ორგანოებისაგან, თაოსნობის, ინიციატივის ყოველმხრივ წახალისებას. ადგილობრივ დაწესებულებათა დაკვირვებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება საშუალებას მოგვცემს შევკრიბოთ მასალები და შემდეგში, იქნებ, შევავსოთ ეს ზოგადი და არასაკმაოდ გარკვეული საკითხი მთელი რიგი მაგალითებით და დეტალური მითითებებით.

4. სხვადასხვა უწყების სამეურნეო მუშაობის შეთანხმება ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების — თემების, მაზრების, გუბერნიების შიგნით

ადგილებზე სხვადასხვა უწყების შეუთანხმებლად მუშაობა ერთ-ერთი დიდი ბოროტებაა, რომელიც ხელს უშლის სამეურნეო მშენებლობას. ამ საკითხს უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს. ეკონომიური საბჭოების ამოცანაა აღმოფხვრან ეს შეუთანხმებლობა, განავითარონ ადგილობრივ დაწესებულებათა დამოუკიდებლობა. უნდა შევკრიბოთ პრაქტიკული მაგალითები, რათა საქმის უკეთ დაყენებას მივაღწიოთ და წარმატების მაგალითები ყველასათვის ნიმუშად გადავაქციოთ. მაგალითად, სურსათის უკიდურესი საჭიროებისას, ბუნებრივი და გარდუვალი იყო ადგილების დამოუკიდებლობის უაღრესად შეზღუდვა შეგროვილი პურის მოხმარებაში. სათანადო კონტროლის გაწევით და პურის მარაგის გადიდების კვალობაზე უნდა გავადიდოთ ეს დამოუკიდებლობა. ამით შეიძლება და კიდევაც უნდა მივაღწიოთ ბიუროკრატიზმის შესუსტებას, გადაზიდვა-გადმოზიდვის შემცირებას, წარმოების წახალისებას, გლეხთა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. სურსათი — წვრილი ადგილობრივი მრეწველობა — სათბობი — მსხვილი საერთო-სახელმწიფოებრივი მრეწველობა და ა. შ., ყველა ეს დარგი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, და მათ «უწყებრივ» დაყოფას, რაც აუცილებელია სახელმწიფოს

მართვისათვის, ზიანი მოაქვს, თუ არ ვაწარმოეთ მუდმივი მუშაობა შეთანხმების მისაღწევად, შეხლა-შემოხლის, საქმის გაჭიანურების, უწყებრივი შეზღუდულობის, კაზიონურობის თავიდან ასაცილებლად. ადგილებზე, მუშათა და გლეხთა მასებთან უფრო ახლოს, ეს ნაკლოვანებანი უფრო ჩანს, და ადგილებმავე უნდა შეიმუშაონ — გამოცდილების ურთიერთგაზიარების გზით — ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ხერხები.

სახელდობრ რით, სახელდობრ როგორ გამოიხატა მუშაობა ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობების, სატყეო კომიტეტების, მაზრის საადგილმამულო განყოფილებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების და სხვათა საქმიანობის შესათანხმებლად? — აი ამ კითხვაზე უთუოდ აუცილებელია გაიცეს ზუსტი, ზედმიწევნითი და ვრცელი პასუხი.

როგორ არიან დასჯილნი ის მუშაკნი, რომლებიც ადგილებს აკმაყოფილებდნენ ცენტრის საზიანოდ და ცენტრის ბრძანების წინააღმდეგ? მსჯავრდადებულთა ვინაობა? კლებულობს თუ არა ასეთ დარღვევათა შემთხვევები? გადიდებულია თუ არა სასჯელის ღონისძიება და სახელდობრ როგორ?

5. მუშათა და 6. გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება

სამეურნეო მშენებლობის ყოველი წარმატება აუმჯობესებს მუშათა და გლეხთა მდგომარეობას. მაგრამ, ჯერ ერთი, აქაც უწყებრიობას და შეუთანხმებლობას ბევრი ზიანი მოაქვს. მეორეც, აუცილებელია ცალკე გამოვყოთ ეს საკითხები, რათა ყურადღებით ვადევნოთ თვალყური ამ დარგში მიღწეულ შედეგებს. სახელდობრ რა არის მიღწეული? სახელდობრ როგორ არის მიღწეული? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია.

მრავალი წლის ომის, ჯერ იმპერიალისტური ომის, მერე კი სამოქალაქო ომის შედეგებით გამოწვეული დაღლილობა, ძალიან ხშირად კი პირდაპირ დაუძლურებაც ისე დიდია,

რომ უთუოდ აუცილებელია განსაკუთრებული ღონისძიებანი მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბევრი, ძალიან ბევრი რამ არ კეთდება იქიდან, რაც შეიძლება და კიდეც უნდა გაკეთდეს ჩვენი საშუალებების სიმცირის დროსაც კი. ყველა უწყება და დაწესებულება როდი აქცევს ამას მთელ ყურადღებას. ამიტომ ამ მხრივ არსებული ადგილობრივი გამოცდილების შეგროვება და შესწავლა სრულიად გადაუდებელი აუცილებლობაა. ანგარიშები ამ საკითხზე უაღრესად ზუსტი, უაღრესად სრული და წესიერი უნდა იყოს: მაშინ ერთბაშად გამოჩნდება, სად ან რომელი უწყება ჩამორჩება ყველაზე მეტად. მაშინ საერთო ძალღონით შევძლებთ უფრო სწრაფად მივაღწიოთ გაუმჯობესებას.

7. სამეურნეო მშენებლობის სახელმწიფო მუშაკთა წრის გაფართოება

ეს გაფართოება ჩვენ განსაკუთრებით გვესაჭიროება, და ამავე დროს ძალიან ნაკლებად ვხედავთ სისტემატურობას ასეთი გაფართოების მიღწევის ღონისძიებებში. კაპიტალიზმის დროს ცალკეული «მეპატრონენი» ცდილობდნენ სხვებისაგან მალულად და მათთვის კვანტის გამოდების გზით მოენახათ კარგი ნოქრები, მმართველები, დირექტორები; ასე იქცეოდნენ ათეულ წლობით, და მხოლოდ მცირეოდენი საუკეთესოდ დაყენებული «ფირმები» აღწევდნენ კარგ შედეგებს. ახლა «მეპატრონეა» მუშურ-გლეხური სახელმწიფო, და მან ფართოდ, გეგმაზომიერად, სისტემატურად და ა შ კ ა რ ა დ უნდა დააყენოს სამეურნეო მშენებლობის დარგში საუკეთესო მუშაკების, სპეციალური და საერთო, ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის ადმინისტრატორთა და ორგანიზატორთა შერჩევის საქმე. ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ხშირად ვხედავთ საბჭოთა ხელისუფლების პირველი პერიოდის, სახელდობრ — მეტად გააფთრებული სამოქალაქო ომისა და გაშმაგებული საბოტაჟის პერიოდის მემკვიდრეობას, — მემკვიდრეობას, რაც იმით

გამოიხატება, რომ კომუნისტები მმართველთა ვიწრო წრეში ჩაიკეტებიან ხოლმე, რადგან მათ ეშინიათ ან არ შეუძლიათ ჩააბან საქმეში უპარტიონი საკმაო რაოდენობით.

ამ ნაკლის გამოსწორებას სწრაფად და მთელი ძალ-ღონით უნდა შევუდგეთ. მუშათა, გლეხთა, ინტელიგენტთა მასიდან ცოტანი როდი გამოდიან ნიჭიერი და პატიოსანი უპარტიო ადამიანები, რომლებიც სამეურნეო მშენებლობის ხაზით უფრო დიდ პოსტებზე უნდა დავაყენოთ, ამასთან კომუნისტებს უნდა შევუნარჩუნოთ საჭირო კონტროლი და საქმის წარმართვა. მეორე მხრივ, საჭიროა უპარტიოთა კონტროლიც კომუნისტების მიმართ; ამისათვის თავიანთი პატიოსნებით ნაცადი უპარტიო მუშებისა და გლეხების ჯგუფი უნდა ჩავაბათ მუშურ-გლეხურ ინსპექციაშიც, და ყოველგვარი თანამდებობის გარეშე არაფორმალურად მივაღებინოთ მათ მონაწილეობა მუშაობის შემოწმებასა და შეფასებაში.

ადგილობრივი დაწესებულებანი, განსაკუთრებით თემები, მაზრები, რაიონები, რომლებიც ყველაზე უკეთ იცნობენ მუშათა და გლეხთა მასის შემადგენლობას, შრომისა და თავდაცვის საბჭოსათვის განკუთვნილ თავიანთ ანგარიშებში უნდა იძლეოდნენ იმ უპარტიოთა ს ი ე ბ ს, რომლებმაც თავიანთი პატიოსნება დაამტკიცეს სამუშაოზე ან პირდაპირ დაწინაურდნენ უპარტიო კონფერენციებზე ანდა სარგებლობენ ქარხნის, სოფლის, თემის და სხვათა უდავო პატივისცემით, — და შემდეგ აღნიშნონ, თუ სამეურნეო მშენებლობის დარგში რა სამუშაოსათვის იქნებიან ეს პირნი მოზიდულნი. «სამუშაოდ» უნდა ვიგულისხმოთ თანამდებობათა დაკავებაც, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე კ ო ნ ტ რ ო ლ ს ა თ უ შ ე მ ო წ მ ე ბ ა შ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ც, რეგულარული არაფორმალური თათბირებიც და სხვ.

სავალდებულოა, რომ ამ კითხვებზე რეგულარულად გაიცეს პასუხი. უამისოდ სოციალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია სწორად დააყენოს სამეურნეო მშენებლობაში

მასების ჩაბმის საქმე. ახალი მუშაკები, პატიოსანი და ერთგული მუშაკები, მოიპოვებიან. ისინი ბლომად არიან უპარტიოთა შორის. ჩვენ მათ არ ვიცნობთ. მხოლოდ ადგილობრივი ანგარიშები დაგვეხმარებიან გავეცნოთ მათ, გამოვცადოთ ისინი უფრო ფართო, თანდათან გაფართოებულ სამუშაოზე, დაგვეხმარებიან აღმოვფხვრათ ისეთი ბოროტება, როგორიცაა კომუჯრედების მოწყვეტა მასისაგან, ამ ბოროტებას კი ბევრ ადგილას ვხედავთ.

8. ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის ხერხები და შედეგები

ალბათ, პირველ ხანებში ამ კითხვის პასუხთა უმეტესობა ძალიან მარტივი იქნება: არავითარი ხერხები და არავითარი შედეგები. საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის გადაწყვეტილებანი წაკითხულია და დავიწყებული.

მაგრამ თუ ამ მხრივ საქმე სავალალო მდგომარეობაშია, ჩვენ ვერასგზით ვერ წავბაძავთ იმათ მაგალითს, ვინც სასოწარკვეთილებას ეძლევა და ხელს იქნევს. ჩვენ ვიცით, რომ ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება რუსეთში ყველაზე მეტად დაკავშირებულია კულტურის დონესთან და ომით გამოწვეული უკიდურესი გაჩანაგებისა და გაღატაკების შედეგებთან. ასეთ ბოროტებასთან ბრძოლას მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატება ხვდეს, თუ უდიდეს შეუპოვრობას გამოვიჩენთ მთელი რიგი წლების განმავლობაში. ამიტომ სასოწარკვეთილებას კი არ უნდა მივეცეთ, არამედ კვლავ და კვლავ უნდა დავიწყოთ მუშაობა, განვაახლოთ შეწყვეტილი მუშაობა, გამოვცადოთ მიზნის მიღწევის სხვადასხვანაირი ხერხები.

მუშურ-გლეხური ინსპექციის რეორგანიზაცია; უპარტიოთა მოზიდვა როგორც ამ ინსპექციის მეშვეობით, ისე მის გარეშეც; სასამართლოს წესით დევნა; მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება და მათი შერჩევა; უწყებათა მუშაობის შემოწმება და შეთანხმება და ასე შემდეგ და მისთანანი. ყველა ეს ღონისძიება, ყოველივე ის, რაც მითითებულია

საბჭოების VIII ყრილობის გადაწყვეტილებაში; პრესაში აღნიშნული ყველა ღონისძიება და ხერხი უნდა სისტემატურად, განუხრელად, განმეორებით და მრავალგზის გამოცადოთ, ერთმანეთს შევადაროთ, შევისწავლოთ.

საგუბერნიო ეკონომიურმა საბჭოებმა და ყოველგვარმა სხვა ორგანოებმა, რომლებიც ადგილებზე სამეურნეო მშენებლობის ხაზით წარმოებულ მუშაობას აერთიანებენ და წარმართავენ, უნდა მოითხოვონ კანონით დადგენილ და პრაქტიკული გამოცდილებით ნაკარნახევ ღონისძიებათა შესრულება. თავი უნდა მოვუყაროთ ადგილობრივ გამოცდილებას. ხსენებული კითხვის პასუხი, რაც უნდა ძნელი იყოს პირველხანად იმის შეჩვევა, რომ პასუხი გაიცეს ზუსტი, სრული და თავის დროზე, — ეს პასუხი უნდა წარედგინოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს. შრომისა და თავდაცვის საბჭო ამას მიაღწევს. და ეს მუშაობა, უეჭველია, კარგ შედეგებს მოგვცემს, თუმცა არც ისე მალე, როგორც ამის მოლოდინი. შეიძლება ჰქონდეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც «ბიუროკრატიზმთან ბრძოლას» ძალიან ხშირად აქცევენ ფრაზად (ან თეთრგვარდიულ-ესერული და აგრეთვე მენშევიკური ჭორის განმეორებად), ნაცვლად იმისა, რომ დაჟინებით და შეუპოვრად იმუშაონ კონკრეტულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

კითხვების მეორე ჯგუფი

9. სოფლის მეურნეობის აღმავლობა: ა) გლეხური მეურნეობა; ბ) საბჭოთა მეურნეობანი; გ) კომუნები; დ) არტელები; ე) ამხანაგობანი; ვ) საზოგადოებრივი მეურნეობის სხვა სახეობანი

სულ მოკლე შენაჯამები უწყების ხაზით გაგზავნილი ანგარიშების ციფრებით, ამასთან აღნიშნული უნდა იყოს თვითეული ანგარიშის გაგზავნის დრო.

უფრო დაწვრილებითი ცნობები — არა თვითეულ ანგარიშში, არამედ პერიოდულად 4 — 6 თვის შემდეგ და სხვ. — ადგილობრივი მეურნეობის უმნიშვნელოვანეს

მხარეებზე, გამოკვლევათა შედეგებზე, უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებზე, ამასთან აუცილებლად შემოწმებული უნდა იყოს ამ ღონისძიებათა შედეგები.

წელიწადში სულ ცოტა 2-ჯერ მაინც სავალდებულოა წარდგენილ იქნეს ზუსტი ცნობები ყველა სახის კოლმეურნეობათა (კოლექტიურ მეურნეობათა, ბ — ვ) რიცხვის შესახებ, ამასთან ისინი დაყოფილ უნდა იქნენ უდავოდ კარგად, გვარიანად და არადამაკმაყოფილებლად დაყენებულ კოლმეურნეობებად. თვითეული ამ უკანასკნელი სამი ჯგუფიდან ერთი ტიპიური მეურნეობა დაწვრილებით უნდა იქნეს აწერილი წელიწადში ორჯერ მაინც, ამასთან ზუსტად აღინიშნოს ყველა მონაცემი, რომელიც ეხება აწერილ მეურნეობას, — მის სიდიდეს, ადგილსამყოფელს, წარმოების შედეგებს, მის მიერ გლეხური მეურნეობისათვის გაწეულ დახმარებას და ა. შ.

10. მრეწველობის აღმავლობა: ა) მარტოოდენ ცენტრის გამგებლობაში მყოფი მსხვილი მრეწველობისა; ბ) ნაწილობრივ ან მთლიანად ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი მსხვილი მრეწველობისა; გ) წვრილი, კუსტარული, საშინაო და ა. შ. მრეწველობისა

პასუხი იმგვარივე უნდა იყოს, როგორც წინანდელი პუნქტის გამო. ა კატეგორიის შესახებ ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებიც ახლოს, უშუალოდ აკვირდებიან მსხვილი საერთო-სახელმწიფოებრივი საწარმოს ცხოვრებასა და მუშაობას, მის გავლენას გარშემო მყოფ მოსახლეობაზე, მოსახლეობის დამოკიდებულებას მისდამი, თვითეულ ანგარიშში აუცილებლად უნდა მოიყვანონ ცნობები ამ საწარმოთა შესახებ, იმის შესახებ, თუ რით ეხმარებიან მას ადგილობრივი ორგანოები, როგორია ამ დახმარების შედეგები, როგორია ის დახმარება, რომელსაც ასეთი საწარმოები ადგილობრივ მოსახლეობას უწევენ, როგორია ასეთ საწარმოთა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საჭიროებანი, მათი დაყენების ნაკლოვანებანი და ა. შ.

11. სათბობი: ა) შეშა; ბ) ქვანახშირი; გ) ნავთი; დ) ფიქალი; ე) სხვა სახის სათბობი (ნაჟარი სათბობი მასალა და ა. შ.)

იგივე, რაც ორი წინანდელი კითხვის გამო: სულ მოკლე შენაჯამები, უწყების ხაზით წარდგენილი ანგარიშების ციფრებით, ამასთან სავალდებულოა ამ ანგარიშების წარდგენის დროის აღნიშვნა.

დაწვრილებითი ცნობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანზე, იმაზე, რაც უწყების ფარგლებს სცილდება, მუშაობის ადგილობრივ შეთანხმებაზე და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სათბობის მომჭირნეობას. რა ზომებს იღებენ? როგორია მათი შედეგები?

12. სურსათი

სასურსათო კომისარიატისათვის წარდგენილი ანგარიშების საერთო შენაჯამები ზემოაღნიშნული პირობების დაცვით.

მებოსტნეობა და საგარეუბნო (ფაბრიკის, ქარხნის) მიწათმოქმედება. მისი შედეგები.

ადგილობრივი გამოცდილება იმისა, თუ როგორ არის მოწყობილი სასკოლო და საბავშვო კვება, სასადილოები, საერთოდ საზოგადოებრივი კვება და ა. შ.

სავალდებულოა მონაცემთა შენაჯამი ორ ციფრად: იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც სურსათი ეძლეოდათ, და ყოველ ორ თვეში გაცემული სურსათის რაოდენობა.

ყოველ მსხვილ მომხმარებელ ცენტრში (დიდი ქალაქი, საშუალო ქალაქი, განსაკუთრებული დაბის სამხედრო დაწესებულებანი და სხვ.) ჩვენ ვკვებავთ ბევრ ზედმეტ ხალხს, მიტმასნებულ მოხელეებს, მიმალულ ბურჟუებს და სპეკულანტებს და ა. შ.. საჭიროა სისტემატურად «ვიჭერდეთ» ასეთ «ზედმეტ» მჭამელებს, რომლებიც არღვევენ ძირითად კანონს: «ვინც არ შრომობს, ის არც უნდა სჭამდეს». ამისათვის ყოველ ამგვარ ადგილას უნდა დაინიშნოს პასუხისმგებელი სტატისტიკოსი, რომელიც ვალდებული

იქნება შეისწავლოს 1920 წლის 28 აგვისტოს აღწერის მონაცემები და მიმდინარე სტატისტიკის მონაცემები და ყოველ ორ თვეში წარმოადგინოს ანგარიშები თავისი ხელმოწერით ზედმეტ მჭამელთა შესახებ.

13. სამშენებლო მრეწველობა

პასუხი იმავე ტიპისა, როგორიც წინანდელია. ამ დარგში ადგილების თაოსნობა და დამოუკიდებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და უაღრესად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული. სავალდებულოა დაწვრილებითი ცნობები ამ დარგში მიღებულ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა და მათი შედეგების შესახებ.

14. სანიმუშო და უიმედო საწარმოები და დაწესებულებანი

სავალდებულოა აწერილ იქნეს თვითეული საწარმო, სავაჭრო და დაწესებულება, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო მშენებლობასთან და ღირსია იმისა, რომ სანიმუშოდ იწოდებოდეს ან თუნდაც თვალსაჩინოდ ან წარმატებით მუშაობს (თუ არ არის არც ერთი სანიმუშო და არც ერთი თვალსაჩინო). ასეთ დაწესებულებათა გამგეობის შემადგენლობა (სახელები). მათი მუშაობის ხერხები. შედეგები. მუშებისა და მოსახლეობის ურთიერთობა.

იგივე უიმედო და უსარგებლო საწარმოთა შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საწარმოთა დახურვის საკითხი, რომლებიც მაინცდამაინც აუცილებელნი არ არიან (უიმედონი: ისეთები, რომლებიც შეიძლებოდა დახურულიყო და სამუშაო გადასცემოდა უფრო მსხვილ საწარმოთა ნაკლებ რიცხვს და სხვ.). ასეთ, «ზედმეტ» საწარმოთა სტატისტიკური აღრიცხვა, მათი რიცხვი, მათგან რესპუბლიკის განთავისუფლების თანდათანობითობა.

15. გაუმჯობესებანი სამეურნეო მუშაობაში

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საგულისხმო, რასაც ახორციელებენ ცალკეული გამომგონებლები, გამოჩენილი

მუშაკები, მათი ვინაობის აღნიშვნით. ცდები, რომლებსაც ადგილობრივი ორგანოები მნიშვნელობას აკუთვნებენ, და ასე შემდეგ.

16. ნატურპრემირება

ეს ისეთი წამოწყებაა, რომელიც სოციალისტურ მშენებლობაში თავისი როლის მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან წამოწყებათა რიცხვს ეკუთვნის. შრომაში ჩაბმა სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი და უძნელესი პრობლემაა.

აუცილებელია პრაქტიკული გამოცდილების სისტემატური აღრიცხვა, მისი შეგროვება და შესწავლა.

სავალდებულოა ყოველ ორ თვეში წარმოდგენილ იქნეს ფაქტიური ანგარიშები: რამდენია გაცემული ნატურპრემია? რა პროდუქტები? სამუშაოს რა დარგში? (ცალკე: ტყის სამუშაოები და ყველა სხვა სახის სამუშაოები). მუშაობის შედეგების, მისი ნაყოფის, პროდუქტების რაოდენობის შედარება გაცემული ნატურპრემიის ოდენობასთან?

ნატურპრემიის ხელფასის რეზერვად გადაქცევის შემთხვევები? ცალკე აღინიშნოს თვითეული შემთხვევა.

ნატურპრემიის მიცემა განსაკუთრებულად წარმატებით მომუშავე საწარმოებისათვის? და ცალკეული მუშებისათვის? თვითეული შემთხვევის ზუსტად აღწერა.

გაანგარიშება: ხომ არ არის ისეთი ადგილობრივი პროდუქტი, რომლის მიღებაც შეიძლებოდეს (საზღვარგარეთთან საქონლის გაცვლისთვისაც და რუსეთში განსაკუთრებით საჭირო მოხმარებისთვისაც) ნატურპრემიების ამდენად და ამდენად გადიდების გზით? ეს გაანგარიშება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი სწორად და ყველგან გატარებისას ჩვენ აღმოვაჩენთ ბევრ ძვირფას პროდუქტს, რომლითაც შევძლებთ ჩვენთვის ხელსაყრელად, მოგებით მოვამარაგოთ საზღვარგარეთი, მაშინაც კი, ნატურპრემიის გარკვეული რაოდენობა იმავე საზღვარგარეთიდან რომ ჩამოვიტანოთ.

17. პროფკავშირები, მათი მონაწილეობა წარმოებაში

ადგილობრივი საგუბერნიო პროფსაბჭოები და პროფკავშირთა სამაზრო ორგანოები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ დანიშნონ მომხსენებელნი და მათი მოადგილენი, რომელნიც თვითონაც და ადგილობრივი სტატისტიკოსის დახმარებითაც ვალდებული არიან ორ თვეში ერთხელ დაამზადონ მოხსენება ამ საკითხზე.

საწარმოო პროპაგანდის შესახებ საჭიროა ზუსტად აღინიშნოს ლექციების, მიტინგების, დემონსტრაციების რიცხვი, მომწყობთა დასახელებით და სხვ.

მაგრამ საწარმოო პროპაგანდაზე შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია მონაცემები წარმოებაში ფაბკომებისა და საერთოდ პროფკავშირების ნამდვილი მონაწილეობის შესახებ. ამ მონაწილეობის ფორმები? თვითეული ტიპიური შემთხვევის აღწერა. პრაქტიკული შედეგები. იმ დაწესებულებათა შედარება, სადაც კარგად ან რიგიანად არის დაყენებული წარმოებაში პროფკავშირის მონაწილეობა, იმ დაწესებულებასთან, სადაც ეს მონაწილეობა არ არის დაყენებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომითი დისციპლინის საკითხი. სავალდებულოა ანგარიშები გაცდენათა რაოდენობის შესახებ. იმ საწარმოთა შედარება, სადაც დაბალი და მაღალი შრომითი დისციპლინაა.

შრომითი დისციპლინის ამაღლების ხერხები.

საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოები. რამდენი და როდისაა შემოღებული? რამდენ საქმეს არჩევენ თვეში? შედეგები?

18. მტაცებლობა

ისეთ დაწესებულებებთან ერთად, რომლებიც ხედავენ ამ ბოროტების გავრცელებას და ებრძვიან მას, არის ისეთი დაწესებულებებიც, რომლებიც გვიპასუხებენ, რომ «რწმუნებულ უწყებაში, ან დაწესებულებაში, ან საწარმოში მტაცებლობა არ ხდება», «ყველაფერი რიგზეაო».

სავალდებულოა ზუსტი ანგარიშების შედგენა ყოველ ორ თვეში. რამდენი დაწესებულება, საწარმო და სხვ. ადგენს ცნობებს? რამდენი არა?

ამ ცნობების მოკლე შენაჯამი.

მტაცებლობასთან ბრძოლის ღონისძიებანი.

პასუხისმგებლობაში აძლევენ თუ არა მმართველებს? გამგეობებს? ფაბკომებს? (მტაცებლობასთან ბრძოლის არასაკმარისობისთვის).

ახდენენ თუ არა გაჩხრეკას? იყენებენ თუ არა კონტროლის სხვა ზომებს და სახელდობრ რა ზომებს?

გავლენას ახდენს თუ არა მტაცებლობის შემცირებაზე ახალი კანონი საქონელცვლისა და ამ მიზნით მუშებისათვის მათი პროდუქტის ნაწილის მიცემის შესახებ? ზუსტი მონაცემები ამის შესახებ.

ადგილობრივი, ე. ი. ამა თუ იმ ადგილას არსებული, საწყობები, როგორც სახელმწიფოს კუთვნილნი, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კუთვნილნი. საწყობთა შესახები ანგარიშების მოკლე შენაჯამები, თვითეული ანგარიშის წარდგენის დროის აღნიშვნით.

ადგილობრივ ხელისუფალთა ცნობები საერთო-სახელმწიფოებრივ საწყობთა შესახებ. მათი დაცვის ხერხები. მტაცებლობა. საწყობების მოსამსახურეთა რიცხვი და ა. შ.

19. მეტომრეობა

რამდენად გავრცელებულია ეს მოვლენა ადგილობრივ მონაცემთა მიხედვით? მეტომრეთა შემადგენლობა (სჭარბობენ): მუშები? გლეხები? რკინიგზის მოსამსახურენი? სხვა საბჭოთა მოსამსახურენი? და სხვ.

რკინიგზებისა და წყლის ტრანსპორტის მდგომარეობა.

მეტომრეობასთან ბრძოლის ღონისძიებანი და ამ ღონისძიებათა შედეგები?

როგორ არის დაყენებული მეტომრეთა და მეტომრეობის აღრიცხვის საქმე?

20. ჯარის ნაწილების გამოყენება შრომითი მიზნებისათვის

შრომის არმიები. მათი შემადგენლობა, რიცხვი, მათი მუშაობა. როგორ არის დაყენებული ანგარიშგება? ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება?

ჯარის ნაწილების გამოყენების სხვა ფორმები, — იგივე: საყოველთაო სამხედრო სწავლების ნაწილებისა — შრომითი მიზნებისათვის.

ადგილობრივი ჯარის ნაწილების რიცხობრივი შემადგენლობა, — იგივე: საყოველთაო სამხედრო სწავლების ადგილობრივი დაწესებულებებისა და იმ ახალგაზრდობისა, რომელიც მის დაწესებულებებში აღირიცხება.

პრაქტიკული ცდები საყოველთაო სამხედრო სწავლებაში ჩაბმული ახალგაზრდობის და წითელარმიელების გამოყენებისა კონტროლის ცალკეული სამუშაოებისათვის, — სანიტარიაში, — ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების მონაწილეობაში, — ამა თუ იმ სამეურნეო ოპერაციაში. თვითეული ცდის ან, თუ ასეთი ცდა რამდენიმეა, ორი ტიპიური ცდის — ყველაზე უფრო წარმატებითისა და ყველაზე უფრო წარუმატებლის — დაწვრილებითი აღწერა.

21. შრომითი ბეგარა და შრომითი მობილიზაცია

როგორ არის შედგენილი შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი განყოფილებანი? მათი მუშაობა?

მათ მიერ შრომის სახალხო კომისარიატში გაგზავნილი ანგარიშების მოკლე შენაჯამები, ამასთან აუცილებელია აღინიშნოს თვითეული ანგარიშის გაგზავნის დრო.

შრომითი მობილიზაციის ორი, ყველაზე უფრო წარმატებითი და ყველაზე უფრო წარუმატებელი ტიპიური შემთხვევის აღწერა უსათუოდ ოთხ თვეში ერთხელ მაინც.

გამოყენებულ შრომითი ბეგარათა ჩამოთვლა. შენაჯამი მონაცემები შრომითი ბეგარაში ჩაბმულთა რიცხვისა და მუშაობის შედეგების შესახებ.

რით გამოიხატება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივ დაწესებულებათა მონაწილეობა შრომითი ბეგარისა და შრომითი მობილიზაციის გატარების საქმეში.

კითხვების მესამე ჯგუფი

22. საოლქო და ადგილობრივი ეკონომიური საბჭოები

როდის და როგორ შეადგინეს ეკონომიური საბჭოები ადგილობრივ ოლქში? გუბერნიაში? მაზრაში? თემში? მუშაობის თანაფარდობა მათსა და სოფლკომებს შორის? მათსა და ფაბკომებს შორის?

დიდი ქალაქების რაიონულ საბჭოებთან არსებული ეკონომიური საბჭოები? მათი შემადგენლობა და მუშაობა, ამ მუშაობის დაყენება, დამოკიდებულება საერთო-საქალაქო დეპუტატთა საბჭოსთან?

არის თუ არა რაიკომები და რაიეკონომსაბჭოები? არიან თუ არა ისინი საჭირონი? საჭიროა თუ არა გამოყოფა ყველაზე უფრო საფაბრიკო ან სამრეწველო დაბებისა მათი მიდამოებითურთ და სხვ.?

23. სახელმწიფო საგეგმო კომისია (შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საერთო-საგეგმო კომისია) და მისი დამოკიდებულება ადგილობრივ ეკონომიურ ორგანოებთან

არსებობს თუ არა სახელმწიფო საგეგმო კომისიის საოლქო ორგანოები? ან საგანგებო რწმუნებულნი? ან სპეციების ჯგუფები ასეთ როლში?

დამყარებულია თუ არა როგორმე (და სახელდობრ როგორ?) დამოკიდებულება სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან? არის თუ არა საჭირო ასეთი დამოკიდებულების დამყარება?

24. ელექტრიფიკაცია

არის თუ არა ადგილობრივ საგუბერნიო და სამაზრო ბიბლიოთეკაში «რსფსრ ელექტრიფიკაციის გეგმა», მოხსენება საბჭოების VIII ყრილობაზე? რამდენი ცალი? თუ არ

არის, მაშასადამე, საბჭოების VIII ყრილობის ადგილობრივი დელეგატები ან უპატიოსნო ადამიანები ყოფილან, რომლებიც უნდა განიდევნონ პარტიიდან და მოიხსნან ყველა პასუხსაგები პოსტიდან, ან ისეთი უსაქმურები ყოფილან, რომლებსაც საპყრობილეში მოთავსებით უნდა ვასწავლოთ თავიანთი მოვალეობის შესრულება (საბჭოების VIII ყრილობაზე დარიგდა 1 500 — 2 000 ეგზემპლარი ადგილობრივი ბიბლიოთეკებისათვის).

რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ შესრულდეს საბჭოების VIII ყრილობის დადგენილება ელექტრიფიკაციის გეგმის ფართო პროპაგანდის შესახებ? რამდენი სტატია მოთავსდა ამის შესახებ ადგილობრივ გაზეთებში? რამდენი მოხსენებაა წაკითხული? ამ მოხსენებების მსმენელთა რიცხვი?

მობილიზებულია თუ არა ასეთი მოხსენებებისა და სწავლებისათვის ყველა ადგილობრივი მუშაკი, რომელსაც კი აქვს თეორიული ან პრაქტიკული ცოდნა ელექტრობაში? რამდენია ასეთი მუშაკი? როგორ წარმოებს მათი მუშაობა? გამოყენებულია თუ არა ლექციებისა და მეცადინეობისათვის ადგილობრივი ან უახლოესი ელექტროსადგურები? ამ სადგურების რიცხვი?

რამდენ სასწავლებელშია შემოღებული, საბჭოების VIII ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, ელექტრიფიკაციის გეგმის სწავლება?

გაკეთებულია თუ არა რაიმე პრაქტიკული და სახელდობრ რა არის გაკეთებული ამ გეგმის განხორციელების საქმეში? ან ელექტრიფიკაციის დარგში გეგმის გარეშე დასახული სამუშაოებისა?

არის თუ არა ადგილობრივი გეგმა და სამუშაოთა რიგი ელექტრიფიკაციაში?

25. საქონელცვლა საზღვარგარეთთან

ამ კითხვაზე უეჭველად სავალდებულოა პასუხი ყველა საზღვრისპირა ადგილისა, მაგრამ არა მარტო მათი. საზღვრის-

პირა ადგილების ახლოს მდებარე მაზრებსა და გუბერნიებში არის იმის შესაძლებლობა, რომ აწარმოონ საქონელცვლა და თვალი ადევნონ მის დაყენებას. შემდეგ შესაძლებელია, როგორც ზემოთ არის აღნიშნული (§ 16: ნატურპრემირება), საზღვრიდან მეტად დაშორებული ადგილების მონაწილეობაც საზღვარგარეთთან საქონელცვლაში.

ნავსადგურების მდგომარეობა? საზღვრების დაცვა? საგარეო ვაჭრო ურთიერთობის მოცულობა და ფორმები? საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის ამის შესახებ წარდგენილ მოხსენებათა მოკლე შენაჯამები იმის აღნიშვნით, თუ როდის იყო წარდგენილი თვითეული მოხსენება.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობის შემოწმება ადგილობრივი ეკონომიური საბჭოების მიერ? მათი მოსაზრებანი საქმის პრაქტიკული დაყენებისა და შედეგების შესახებ?

26. რკინიგზის, წყლისა და ადგილობრივი ტრანსპორტი

უწყების ხაზით წარდგენილი ანგარიშების მოკლე შენაჯამები, თვითეული ანგარიშის წარდგენის დროის აღნიშვნით.

საქმის მდგომარეობის შეფასება ადგილობრივი თვალსაზრისით.

ტრანსპორტის ნაკლოვანებანი. გაუმჯობესების ღონისძიებანი და ამ ღონისძიებათა შედეგები?

ადგილობრივი ტრანსპორტის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

27. ეკონომიური მუშაობის მომსახურება პრესის მიერ

ბეჭდვითი სიტყვის ადგილობრივი ორგანოები და «ეკონომიჩესკაია ჟიზნ». როგორ არის დაყენებული სამეურნეო მუშაობის გაშუქება? უპარტიოთა მონაწილეობა? პრაქტიკული გამოცდილების შემოწმება და შეფასება?

ბეჭდვითი სიტყვის ადგილობრივი ორგანოებისა და «ეკონომიჩესკაია ჟიზნის» გავრცელება? მათი შენახვა ბიბლიოთეკებში და მოსახლეობისათვის მისაწვდომობა?

სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე ბროშურებისა და წიგნების გამოცემა. გამოსულ გამოცემათა სია.

საზღვარგარეთული ლიტერატურის საჭიროება და მისი დაკმაყოფილება. მოდიოდა თუ არა «ბინტის» (უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის ბიურო) გამოცემები და მათი შეფასება? სხვა საზღვარგარეთული გამოცემები რუსულ და სხვა ენებზე?

კითხვების მეოთხე ჯგუფი

ამ ჯგუფში უნდა შევიდეს კითხვები თვით ადგილობრივ დაწესებულებათა და ცალკეულ პირთა არჩევით და მითითებით, — ამასთან კითხვები შეიძლება პირდაპირადაც და არაპირდაპირადაც, ახლოსაც და შორეულადაც იყოს დაკავშირებული სამეურნეო მშენებლობასთან.

ანგარიშების შედგენაში აუცილებლად ჩაბმულ უნდა იქნენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივი მუშაკები. პირდაპირ მათ თუ სხვა პირებს უნდა მიენდოთ ანგარიშის შედგენა, ეს ადგილობრივი ეკონომიური საბჭოების საქმეა, მაგრამ საგუბერნიო სტატისტიკური ბიუროს და მაზრის სტატისტიკოსების მონაწილეობა სავალდებულოა. თვითეული ანგარიში ან კითხვის თვითეული პასუხი, თუ ეს პასუხი სხვადასხვა პირს აქვს დაწერილი, ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის მიერ მისი თანამდებობის აღნიშვნით, თუ ის თანამდებობის პირია. ანგარიშისათვის პასუხისმგებელია ანგარიშის ავტორიც და ადგილობრივი ეკონომიური საბჭოების მთელი შემადგენლობაც, რომელთა მოვალეობაა წესიერად და დროზე წარადგინონ მართალი ანგარიშები.

ადგილობრივი ძალების ნაკლებობისას სტატისტიკოსების და საგანგებოდ დანიშნული ამხანაგების (მუშგლეხინიდან და სხვა დაწესებულებებიდან) პასუხისმგებლობით უნდა მოეწყოს ანგარიშის შედგენის ინსტრუქტირების კურსები, ამასთან უნდა გამოქვეყნდეს კურსების გაძღოლისათვის პასუხისმგებელ პირთა ვინაობა და კურსების მუშაობის კალენდარული პროგრამა.

1921 წ. 21 მაისი

ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1921 წელს
ცალკე ბროშურად

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
ხელნაწერთან

რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენცია [87]

1921 წ. 26 — 28 მაისი

დაიბეჭდა 1921 წ. 27 და 28 მაისს «რკპ (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის კონფერენციის ბიულეტენში» №№ 1 და 2

33 ტ. 32

იბეჭდება «ბიულეტენის» ტექსტის მიხედვით

I

სიტყვა კონფერენციის გახსნისას
26 მაისი

ამხანაგებო, ნება მომეცით რკპ სრულიად რუსეთის კონ-ფერენცია გახსნილად გამოვაცხადო.

თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ ეს კონფერენცია უფრო ადრეა მოწვეული, ვიდრე წესდებით არის გათვალის-წინებული. მაშასადამე, იგი მორიგი ან, ყოველ შემთხვევაში, მთლად მორიგი კონფერენცია არ არის. შემდეგ, მოგეხსე-ნებათ, რომ დღის წესრიგის მთავარი პუნქტი, მთავარი სა-კითხი, რომელმაც გვაიძულა მოგვეწვია კონფერენცია ჩვენ მიერ განზრახულ ვადაზე ადრე, ეს არის ეკონომიური პო-ლიტიკის — სასურსათო გადასახადის საკითხი. ეს საკითხი მთავარია ამჟამად.

წინადადებას ვიძლევი შევუდგეთ კონფერენციის პრეზი-დიუმის არჩევას.

———

2

მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ
26 მაისი

ამხანაგებო, სასურსათო გადასახადის საკითხის გარკვევა პარტიისათვის მე მომიხდა ბროშურაში, რომელსაც, ვფიქრობ, აქ დამსწრეთა უმრავლესობა იცნობს[88]. ჩემთვის პირადად ამ საკითხის დასმა პარტიული კონფერენციის განსახილველად მოულოდნელი იყო იმ აზრით, რომ მასალა საკითხის ასეთი დაყენების აუცილებლობის შესახებ პირადად არ მქონია, მაგრამ ძალიან ბევრმა ამხანაგმა, რომლებიც ადგილებზე იყვნენ, კერძოდ კი ამხ. ოსინსკიმ, მას შემდეგ, რაც მან რამდენიმე გუბერნია შემოიარა, ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, — ამას კიდევ რამდენიმე ამხანაგმაც დაუჭირა მხარი, — რომ ადგილებზე პოლიტიკა, რომელიც გამოირკვა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით, უმეტესწილად განუმარტებელი, ნაწილობრივ კი გაუგებარიც რჩებაო. ხოლო ვინაიდან ამ პოლიტიკას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი დამატებითი განხილვა პარტიულ კონფერენციაზე იმდენად აუცილებელი ჩანდა, რომ გადავწყვიტეთ კონფერენცია დანიშნულ დროზე ადრე მოგვეწვია. მე წილად მხვდა შესავალი სიტყვა ვთქვა ამ პოლიტიკის საერთო მნიშვნელობის საკითხზე, და მინდა დავკმაყოფილდე მხოლოდ ცოტაოდენი დამატებით ბმისადმი, რაც უკვე ბროშურაში მაქვს ნათქვამი. მე უშუალოდ არა ვარ გაცნობილი იმას, თუ როგორ ისმება ამჟამად ეს საკითხი ადგილობრივ, ყველაზე მეტად რა ნაკლოვანებანი, დეფექტები ან გაურკვევლობა

იგრძნობა ადგილებზე. ალბათ, კიდევ დამჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტების მიცემა, როდესაც კონფერენციაზე დასმული კითხვებიდან, ან შემდგომი კამათიდან გამოირკვევა, თუ საითკენ უნდა იყოს მიმართული ამჟამად ადგილობრივი მუშაკებისა და პარტიის ყურადღება.

რამდენადაც მე ვხედავ, სასურსათო გადასახადთან და ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გაუგებრობანი და პოლიტიკური ამოცანების არასაკმაო სიცხადით გაგება, იქნებ, გამოწვეული იყოს საქმის ამა თუ იმ მხარის გაზვიადებით. მაგრამ ამგვარი გაზვიადება სრულიად აუცილებელია, ვიდრე საქმე პრაქტიკულად არ დაგვიყენებია, და საეჭვოა, რომ შესაძლებელი იყოს რამდენადმე ზუსტად განვსაზღვროთ ამ პოლიტიკის ამა თუ იმ განსაკუთრებული თავისებურების გამოყენების ნამდვილი ფარგლები, ვიდრე ერთი სასურსათო კამპანია მაინც არ ჩაგვიტარებია ახალ საფუძველზე. მე მხოლოდ ზოგადად შევეხები ზოგიერთ წინააღმდეგობას, რაც, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო ზოგიერთი ბარათის მიხედვით, რომლებიც კრებაზე შემოჰქონდათ, ყველაზე მეტ გაუგებრობას იწვევდა. სასურსათო გადასახადსა და მასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ჩვენს პოლიტიკაში ზოგჯერ განმარტავენ როგორც ამ პოლიტიკის ძირეულ გარდატეხას. საკვირველი როდია, რომ ასეთ განმარტებას გულმოდგინედ აზვიადებს უცხოეთის თეთრგვარდიული, უმთავრესად კი ესერული და მენშევიკური პრესა. მაგრამ არ ვიცი, ანალოგიურ მოქმედებათა ერთგვარი გავლენის გამო, რომელიც თავს იჩენს რსფს რესპუბლიკის ტერიტორიაზედაც, თუ იმ გამწვავებული უკმაყოფილების გამო, რაიც განსაზღვრულ წრეებში იგრძნობოდა და, იქნებ, ახლაც კიდევ იგრძნობა სასურსათო მდგომარეობის განსაკუთრებული გაუარესების წყალობით, — შესაძლოა, ამგვარი გაუგებრობა რამდენადმე ჩვენშიც ვრცელდებოდა და ქმნიდა საგრძნობწილად არასწორ წარმოდგენას მომხდარი ცვლილების მნიშვნელობისა და ახალი პოლიტიკის ხასიათის შესახებ.

ბუნებრივია, რომ გლეხური მოსახლეობის დიდი სიჭარბის დროს ჩვენი მთავარი ამოცანაა — პოლიტიკისა საერთოდ და ეკონომიური პოლიტიკისა კერძოდ — მუშათა კლასსა და გლეხობას შორის განსაზღვრული ურთიერთობის დამყარება. უახლეს ისტორიაში პირველადაა, რომ საქმე გვაქვს ისეთ საზოგადოებრივ წესწყობილებასთან, როდესაც ექსპლოატატორთა კლასი განდევნილია, მაგრამ როდესაც გვყავს ორი სხვადასხვა კლასი — მუშათა კლასი და გლეხობა. გლეხობის დიდი სიჭარბის დროს ამ სიჭარბეს შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა ეკონომიურ პოლიტიკაზე და საერთოდ მთელ პოლიტიკაზეც. ჩვენთვის მთავარ საკითხად რჩება, — და მრავალი წლის განმავლობაში აუცილებლად დარჩება, — ამ ორ კლასს შორის სწორი ურთიერთობის დამყარება, — სწორისა კლასთა მოსპობის თვალსაზრისით. მუშათა კლასისა და გლეხობის შეთანხმების ფორმულაზე ძალიან ხშირად ჩერდებიან და ძალიან ხშირად იყენებენ მას ჩვენს წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების მტრები, ვინაიდან ეს ფორმულა თავისთავად სრულიად გაურკვეველია. მუშათა კლასსა და გლეხობას შორის შეთანხმებად შეგიძლიათ რაც გნებავთ ის იგულისხმოთ. თუ მხედველობაში არ გვექნება, რომ შეთანხმება, მუშათა კლასის თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, სწორი და პრინციპულად შესაძლებელი, როდესაც იგი ზურგს უმაგრებს მუშათა კლასის დიქტატურას და წარმოადგენს კლასების მოსპობისაკენ მიმართულ ერთ-ერთ ღონისძიებას, მაშინ მუშათა კლასისა და გლეხობის შეთანხმების ფორმულა, რა თქმა უნდა, ისეთ ფორმულად რჩება, რომელსაც სწორედ საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტერი და დიქტატურის ყველა მტერი ატარებს თავის შეხედულებებში. რანაირად უნდა განხორციელდეს ეს შეთანხმება ჩვენი რევოლუციის პირველ პერიოდში, ესე იგი იმ პერიოდში, რომელიც ახლა შეიძლება დაახლოებით მივიჩნიოთ განხორციელების პროცესში მყოფ პერიოდად? რანაირად მოხდა, რომ გლეხური მოსახლეობის დიდი სიჭარბის დროს პროლეტარიატის დიქტატურა ძლებდა და განმტკიც-

და კიდევაც? ჩვენი შეთანხმების მთავარი მიზეზი, მთავარი მამოძრავებელი და მთავარი განმსაზღვრელი იყო სამოქალაქო ომი. სამოქალაქო ომი თუმცა ძალიან ხშირად ისე იწყებოდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ შეკავშირებულად გამოდიოდნენ თეთრგვარდიელებიც, ესერებიცა და მენშევიკებიც, მაგრამ ყოველთვის საქმე აუცილებლად იმით თავდებოდა, რომ მთელი ესერული დამფუძნებლური, მენშევიკური ელემენტები, სახელმწიფო გადატრიალების გზით თუ უმისოდ, უკანა რიგში მიჭყლეტილნი აღმოჩნდებოდნენ, და თეთრგვარდიელობის სათავეში გვევლინებოდნენ მთლად კაპიტალისტური და მემამულური ელემენტები. ეს იყო კოლჩაკისა და დენიკინის მმართველობის დროსაც, ყველა მრავალრიცხოვან უფრო წვრილ მმართველობათა და ჩვენზე შემოსევათა დროსაც. და ეს იყო მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის ფორმას. ეს გარემოება ჩვენ ორმაგ, წარმოუდგენელ სიძნელეებს გვიქმნიდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ეს თავიდან გვაცილებდა მძიმე ფიქრებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ფორმულა, რადგან ამ ფორმულასა და პირობებს აბსოლუტური კატეგორიულობით, გვიკარნახებდნენ სამხედრო გარემოებანი, რომლებიც არავითარი არჩევანის საშუალებას არ გვიტოვებდნენ.

მარტოოდენ მუშათა კლასს შეეძლო განეხორციელებინა დიქტატურა იმ ფორმით, რომელსაც ომი და ამ სამოქალაქო ომის პირობები მოითხოვდნენ. ამ უკანასკნელ ომში მემამულეთა მონაწილეობამ გააერთიანა მუშათა კლასი და გლეხები უეჭველად, უყოყმანოდ და საბოლოოდ. ამ მხრივ არავითარი შინაგანი პოლიტიკური მერყეობა არ ყოფილა. იმ გიგანტურ სიძნელეთა დროს, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგა იმის გამო, რომ რუსეთი მოწყვეტილი იყო თავის მთავარ პურიან რაიონებს, იმის გამო, რომ სასურსათო გაჭირვება უკიდურესად იყო გამწვავებული, — ჩვენი სასურსათო პოლიტიკა გაწერის გარეშე პრაქტიკულად ვერ

განხორციელდებოდა. ეს გაწერა არ ნიშნავდა მხოლოდ ნაჭარ-ბის ჩამორთმევას; ეს ნაჭარბი წესიერი განაწილების დროსაც კი საჭვოა გვყოფნოდა. მე არ შემიძლია აქ დაწვრილებით შევჩერდე იმაზე, თუ რა უმართებულობანი სდევდა თან გაწერას. ყოველ შემთხვევაში გაწერამ შეასრულა თავისი ამოცანა — შეგვინარჩუნა მრეწველობა ისეთ პირობებშიც, როდესაც ყველაზე მეტად მოწყვეტილი ვიყავით პურიან რაიონებს. და მხოლოდ ომიანობის ვითარებაში შეიძლებოდა ეს ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო. როგორც კი ჩვენ მართლაც მტკიცედ მოვუღეთ ბოლო გარეშე მტერს, — ეს კი მხოლოდ 1921 წლისათვის იქცა ფაქტად, — ჩვენს წინ წამოიჭრა სხვა ამოცანა, — მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური კავშირის ამოცანა. მხოლოდ 1921 წლის გაზაფხულისათვის დავაყენეთ გადაჭრით ჩვენ ეს ამოცანა, და ეს მოხდა მაშინ, როდესაც 1920 წლის მოუსავლობამ გლეხობის მდგომარეობა არაჩვეულებრივად გააუარესა, როდესაც ჩვენ პირველად რამდენადმე განვიცადეთ შინაგანი პოლიტიკური მერყეობა, რომელიც დაკავშირებული იყო არა გარედან მტრების შემოტევასთან, არამედ მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობასთან. ჩვენ რომ 1920 წელს ფრიად კარგი მოსავალი გვქონოდა, ან თუნდ მხოლოდ კარგი მოსავალი, ანდა გაწერილი 420 მილიონი ფუთიდან 400 მილიონი ფუთი აგვეკრიფა, ჩვენ შევძლებდით ჩვენი სამრეწველო პროგრამის მეტწილად განხორციელებას, მაშინ ჩვენ გვექნებოდა განსაზღვრული ფონდი ქალაქის სამრეწველო პროდუქტების სამიწათმოქმედო პროდუქტებზე გადასაცვლელად. ჩვენში კი პირიქით მოხდა. ზოგიერთ ადგილას შეიქმნა კიდევ უფრო მწვავე კრიზისი, ვიდრე სასურსათო კრიზისი იყო, — სათბობის კრიზისი, ყოვლად შეუძლებელი გახდა გლეხის მეურნეობის დაკმაყოფილება ქალაქის პროდუქტებით. წარმოუდგენლად მწვავე კრიზისი დაატყდა თავს გლეხურ მეურნეობას. აი რა გარემოებებიდან გამომდინარეობდა ის, რომ არასგზით არ შეგვეძლო ძველი სასურსათო პოლიტიკა შეგვენარჩუნებინა.

ჩვენ დღის წესრიგში უნდა დაგვეყენებინა საკითხი, თუ რა ეკონომიური საფუძვლებია საჭირო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის დაუყოვნებლივ შესაქმნელად, როგორც შემდგომ ღონისძიებებზე გადასვლა.

შემდგომზე გადასვლის ღონისძიება ის არის, რომ მოვამზადოთ მრეწველობის პროდუქტების გადაცვლა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, რომ ისეთი წესი შეიქმნას, როცა გლეხს არ მოუხდება პროდუქტების გაცემა სხვაგვარად, თუ არა ქალაქის და საფაბრიკო პროდუქტებზე გადაცვლით, ამასთან იგი არ უნდა დავუმორჩილოთ ყველა იმ ფორმას, რაც კაპიტალისტური წყობილების დროს არსებობდა. მაგრამ, ეკონომიური პირობების გამო, ჩვენ ამაზე ფიქრიც არ შეგვეძლო. აი რატომ მივიღეთ ჩვენ ის გარდამავალი ფორმა, რომელზედაც გელაპარაკეთ, სახელდობრ: სრულიად უეკვივალენტოდ ავიღოთ გადასახადის სახით პროდუქტები და მივიღოთ დამატებითი პროდუქტები საქონელცვლის სახით; მაგრამ ამისათვის საჭიროა გვქონდეს სათანადო ფონდი, — ჩვენი ფონდი კი ფრიად უმნიშვნელოა, და მისი შევსება უცხოეთთან საქონელცვლის გზით მხოლოდ ამ წელს ხდება შესაძლებელი კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან დადებულ მთელ რიგ ხელშეკრულებათა გამო. მართალია, ეს ხელშეკრულებანი ჯერჯერობით მხოლოდ შესავალია, წინასიტყვაობაა; ნამდვილი საქონელცვლა აქამდისაც არ დაწყებულა. ამ შეთანხმებათა საბოტაჟი და მათი ჩაშლის ყოველგვარი ცდა კაპიტალისტთა წრეების უმრავლესობის თუ დიდი ნაწილის მხრივ განუწყვეტლივ გრძელდება, და ყველაზე დამახასიათებელია ის, რომ თეთრგვარდიული რუსული პრესა, მათ შორის ესერულიც და მენშევიკურიც, არა მგონია სხვა რამეზე კიდევ ამდენ ძალას ხარჯავდეს უფრო ენერგიულად და უფრო მედგრად, როგორც ამ შეთანხმების წინააღმდეგ ბრძოლაზე. სრულიად ცხადია, რომ ბურჟუაზია უკეთესად არის მომზადებული ბრძოლისათვის, რომ იგი უფრო მეტადაა განვითარებული, ვიდრე პროლეტარიატი, და

რომ მისი კლასობრივი თვითშეგნება კიდევ უფრო გამახვილდა ყველა იმ «უსიამოვნებათა» გამო, რაც მას გადახდა, და იგი ნორმალურზე გაცილებით უფრო მეტ ალღოს იჩენს. საკმარისია ჩაუკვირდეთ თეთრგვარდიელთა პრესას, რათა დაინახოთ, რომ იგი ურტყამს სწორედ იმ პუნქტს, რომელიც ჩვენი პოლიტიკის ცენტრს, კვანძს წარმოადგენს.

მთელი თეთრგვარდიული რუსული პრესა, მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა სამხედრო შემოსევა, რომელიც აშკარად ჩაიშალა, თუმცა ბრძოლა ისევ გრძელდება, — განუხორციელებელ მიზანს ისახავს: ჩაშალოს სავაჭრო შეთანხმებანი. ის კამპანია, რომელიც ფრიად გაძლიერებული მასშტაბით დაიწყეს ჩვენს წინააღმდეგ ამ გაზაფხულზე, ამასთან ესერებმა და მენშევიკებმა კონტრრევოლუციურ ძალთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს, ეს ბრძოლა განსაზღვრული მიზნით წარმოებდა: ჩაეშალათ გაზაფხულისთვის ეკონომიური შეთანხმებანი რუსეთსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის. და ამ მიზანს მათ საგრძნობლად მიაღწიეს კიდეც. მართალია, ჩვენ ძირითადი ხელშეკრულებანი დავდეთ, ამ ხელშეკრულებათა რიცხვი იზრდება, და წინაალმდეგობას, რომელიც ამ მხრივ გაძლიერდა, ჩვენ ვძლევთ, მაგრამ დაყოვნება ძალიან საშიში გამოვიდა ჩვენთვის, ვინაიდან უცხოეთიდან განსაზღვრული დახმარების მიუღებლად მსხვილი მრეწველობის აღდგენა და წესიერი საქონელცვლის აღდგენა ან შეუძლებელია, ან ისეთ დაყოვნებას ნიშნავს, რომელიც ჩვენთვის ფრიად სახიფათოა. აი ის პირობები, რომლებშიც გვიხდება მოქმედება, და აი ის პირობები, რომლებმაც პირველ რიგში დააყენეს გლეხებისთვის ვაჭრობის აღდგენის საკითხი. მე არ შევეხები კონცესიების საკითხს, ვინაიდან ამ საკითხის გამო ყველაზე მეტად კამათობდნენ ჩვენს პარტიულ კრებებზე, და იგი ამ უკანასკნელ დროს არავითარ გაუგებრობას არ იწვევს. საქმე წინანდებურად ისეა, რომ ჩვენ გულმოდგინედ ვთავაზობთ კონცესიებს, მაგრამ არც ერთი ასე თუ ისე სერიოზული კონცესია

უცხოელ კაპიტალისტებს დღემდე არ მიუღიათ, არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკონცესიო ხელშეკრულება დღემდე ჩვენ არ დაგვიდვია. მთელი სიძნელე ისაა, რომ გამოინახოს პრაქტიკულად შემოწმებული საშუალება დასავლეთ ევროპის კაპიტალის მოსაზიდად.

თეორიულად ჩვენთვის სავსებით უდავოა, — და ყველას, მგონი, გაეფანტა ამ მხრივ ეჭვები, — თეორიულად, ვამბობ, სავსებით ცხადია, რომ ჩვენთვის ხელსაყრელია თავი გამოვისყიდოთ ევროპის კაპიტალისაგან რამდენიმე ათეული ან ასეული მილიონით, რაც ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია მას მივცეთ, იმისათვის რომ უმოკლეს ვადაში გავადიდოთ მოწყობილობის, მასალების, ნედლეულის, მანქანების მარაგი ჩვენი მსხვილი მრეწველობის აღსადგენად.

რესურსების განსამტკიცებლად, სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად ნამდვილი და ერთადერთი ბაზა ერთია და მხოლოდ ერთი — ესაა მსხვილი მრეწველობა. თუ არ არის კაპიტალისტური მსხვილი ფაბრიკა, თუ არ არის კარგად დაყენებული მსხვილი მრეწველობა, ისე საერთოდ სოციალიზმზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, მით უმეტეს შეუძლებელია მასზე ლაპარაკი გლეხური ქვეყნის მიმართ, ჩვენ კი რუსეთში ეს გაცილებით უფრო კონკრეტულად ვიცით, ვიდრე ვიცოდით წინათ, და, მსხვილი მრეწველობის აღდგენის გაურკვეველი ან განყენებული ფორმის მაგივრად, ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ ელექტრიფიკაციის გარკვეულ, ზუსტად გაანგარიშებულ, კონკრეტულ გეგმაზე. ჩვენ გვაქვს სავსებით ზუსტად გაანგარიშებული გეგმა, შემუშავებული საუკეთესო რუს სპეციალისტთა და მეცნიერთა მუშაობის შემწეობით, გეგმა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რა რესურსებით შეგვიძლია, რუსეთის ბუნების თავისებურებათა გათვალისწინებისას, შევუქმნათ ჩვენს ეკონომიკას მსხვილი მრეწველობის ეს ბაზა, უნდა შევუქმნათ და შევუქმნით კიდევაც. უამისოდ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების რაიმე ნამდვილად სოციალისტურ საძირკველზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. ეს სავსებით უდავო რჩება და, თუ

უკანასკნელ დროს სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით ამაზე განყენებულად ლაპარაკობდნენ, ახლა საჭიროა კონკრეტულად ვთქვათ, რომ აუცილებელია უწინარეს ყოვლისა მსხვილი მრეწველობის აღდგენა. მე პირადად შემთხვევა მქონდა მომესმინა ამგვარი განცხადებანი ზოგიერთი ამხანაგისაგან და, რასაკვირველია, მათ მე მხოლოდ მხრების აჩეჩით ვუპასუხებდი. იმის დაშვება, რომ ჩვენ შეგვეძლო ეს ძირითადი მიზანი როდისმე დაგვიწყებოდა, — ეს, რასაკვირველია, მთლად სასაცილო და უაზრო რამ არის. აქ საკითხი მხოლოდ ისაა, თუ როგორ შეიძლებოდა დაბადებოდათ ამხანაგებს ასეთი ეჭვები და გაუგებრობანი, როგორ შეიძლებოდა მათ ეფიქრათ, რომ ეს ძირითადი, მთავარი ამოცანა, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალიზმის მატერიალური საწარმოო ბაზისი, — რომ ეს ამოცანა ჩვენში მეორე რიგის ამოცანად იქცა. ამ ამხანაგებს პირდაპირ არასწორად გაუგიათ თანაფარდობა ჩვენს სახელმწიფოსა და წვრილ მრეწველობას შორის. ჩვენი ძირითადი ამოცანაა მსხვილი მრეწველობის აღდგენა. ხოლო იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ ცოტად თუ ბევრად სერიოზულად და სისტემატურად გადავიდეთ ამ მსხვილი მრეწველობის აღდგენაზე, ჩვენ გვჭირდება წვრილი მრეწველობის აღდგენა. ჩვენ მიმდინარე 1921 წელს და გასულ წელსაც მსხვილი მრეწველობის აღდგენითი მუშაობა დიდი ხნით გვქონდა შეწყვეტილი.

1920 წლის შემოდგომაზე და ზამთარში ავამუშავეთ ჩვენი მსხვილი მრეწველობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგი, მაგრამ მერე იძულებული ვიყავით შეგვეწყვიტა მათი მუშაობა. რის გამო? რატომ? ბევრი ფაბრიკა იყო ისეთი, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა საკმარისად ჰყოლოდა მუშახელი, შესაძლებლობა ჰქონდა მომარაგებულიყო ნედლეულით; რატომღა შეწყდა ამ ფაბრიკების მუშაობა? იმიტომ, რომ ჩვენ არ აღმოგვაჩნდა სურსათისა და სათბობის საკმაო ფონდი. თუ არ გვექნება 400 მილიონი ფუთი პური (მე დაახლოებითს ციფრს ვასახელებ), როგორც სახელმწიფო მარაგი, უზრუნველყოფილი ყოველთვიური წესიერი განაწილებით, —

ისე რაიმე წესიერ სამეურნეო მშენებლობაზე, მსხვილი მრეწველობის აღდგენაზე ძნელია ლაპარაკი, ისე ჩვენ ისეთს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რომ მსხვილი მრეწველობის აღდგენის, უკვე დაწყებული მუშაობა რამდენიმე თვით ისევ შეწყდება. იმ საწარმოების უმნიშვნელო რიცხვიდან, რომლებიც ავამუშავეთ, დიდი უმრავლესობა ახლა გაჩერებულია. თუ არ გვექნა სავსებით უზრუნველყოფილი და საკმარისი სასურსათო ფონდი, ისე ლაპარაკიც კი შეუძლებელია იმაზე, რომ სახელმწიფომ შეძლოს მსხვილი მრეწველობის აღდგენას მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება, შეძლოს სისტემატურად აწარმოოს მისი აღდგენა, აწარმოოს ისე, რომ ეს აღდგენა მიმდინარეობდეს, თუნდაც მცირე ფარგლებში, მაგრამ განუწყვეტლივ.

რაც შეეხება სათბობს, დონბასის აღდგენამდე, მანამდე, სანამ ნავთს რეგულარულად არ მივიღებთ, ჩვენ კვლავ დაგვრჩენია ტყე, შეშის სათბობი, და, მაშასადამე, ისევ და ისევ დამოკიდებულნი ვიქნებით იმავე წვრილ მეურნეობაზე.

აი საიდან წარმოდგა იმ ამხანაგთა შეცდომა, გაუგებრობა, რომელნიც ვერ მიხვდნენ, თუ რატომ უნდა მივაქციოთ ამჟამად მთავარი ყურადღება გლეხს. ზოგიერთი მუშა ამბობს: გლეხებს ერთგვარ შეღავათს აძლევენ, ჩვენ კი არაფერს გვაძლევენო. ასეთი სიტყვები გვსმენია, და უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვები, ვფიქრობ, არცთუ ისე ფართოდ გავრცელებულია, ვინაიდან უნდა ვთქვათ, რომ ასეთი სიტყვები საშიშია, რადგან ეს ბანის მიცემაა ესერების მიერ საკითხის დაყენებისათვის; აქ აშკარა პოლიტიკური პროვოკაციაა; აქაა აგრეთვე ნაშთები მუშათა ამქრულ, არა კლასობრივ, არამედ პროფესიონალისტურ ცრურწმენათა, როცა მუშათა კლასი უყურებს თავის თავს, როგორც თანასწორუფლებიანი კაპიტალისტური საზოგადოების ერთ ნაწილს, და ვერ მიმხვდარა, რომ იგი განაგრძობს იმავე კაპიტალისტურ ბაზაზე დგომას: გლეხს შეღავათი მისცეს, იგი გაწერისაგან გაათავისუფლეს, ნაჭარბის თავისუფალი ნაწილი მას

დაუტოვეს გაცვლა-გამოცვლისთვის, ჩვენ კი, მუშები, დაზ-
გებთან ვდგავართ და გვინდა იგივე გვქონდესო.

რა უდევს საფუძვლად ასეთ თვალსაზრისს? არსებითად
იგივე წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია. რამდენადაც გლე-
ხები წარმოადგენენ კაპიტალისტური საზოგადოების შემად-
გენელ ნაწილს, მუშათა კლასიც რჩება ამ საზოგადოების
შემადგენელ ნაწილად. მაშასადამე, თუ გლეხი ვაჭრობს,
ჩვენც უნდა ვივაჭროთო. და აქ ძველი ცრურწმენა, რომე-
ლიც ძველი სამყაროს ტყვეობაში ამყოფებს მუშას, უთუოდ
ცოცხლდება. ძველი კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე
თავგამოდებული დამცველები და, შეიძლება ითქვას, ერთად-
ერთი გულწრფელი დამცველები — ეს ესერები და მენშე-
ვიკები არიან. დანარჩენ ბანაკებში ასიდან, ათასიდან და ასი
ათასიდანაც კი კაპიტალისტური სამყაროს გულწრფელ და-
მცველებს ვერ იპოვნით. მაგრამ ეგრეთწოდებული წმინდა
დემოკრატიის წრეში, რომელსაც წარმოადგენენ ესერები და
მენშევიკები, იქ ჯერ კიდევ დარჩენილან ამგვარი იშვიათი
ეგზემპლარები, კაპიტალიზმს გულწრფელად რომ იცავენ. და
რაც უფრო დაჟინებით იცავენ ისინი თავიანთ თვალსაზრისს,
მით უფრო საშიშია მათი გავლენა მუშათა კლასზე. ისინი მით
უფრო საშიშნი არიან იმ მომენტში, როდესაც მუშათა კლასს
უხდება წარმოების შეწყვეტის პერიოდების გადატანა. კლა-
სობრივი პროლეტარული თვითშეგნების განვითარების მთა-
ვარ მატერიალურ ბაზას წარმოადგენს მსხვილი მრეწველობა,
როდესაც მუშა ხედავს მოქმედ ფაბრიკებს, როდესაც იგი
ყოველდღე გრძნობს იმ ძალას, რომელიც მართლაც შეძლებს
კლასების მოსპობას.

როდესაც მუშებს ეს მატერიალური საწარმოო ბაზა ფეხ-
ქვეშ ეცლებათ, მაშინ მუშათა განსაზღვრულ ფენებს იპყრობს
უწონასწორობის, გაურკვევლობის, სასოწარკვეთილების,
ურწმენობის განწყობილება; ამას ემატება ჩვენი ბურ-
ჟუაზიული დემოკრატიის — ესერებისა და მენშევიკების —
პირდაპირი პროვოკაცია, და ეს განსაზღვრულ გავლენას
ახდენს. და აი აქ ჩნდება ისეთი ფსიქოლოგია, როცა კომუ-

ნისტური პარტიის რიგებშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ასე მსჯელობენ: გლეხებს ნამცეცი გადავუგდეთ, საჭიროა ამ ნიადაგზევე და ასეთივე საშუალებით მუშებსაც მივცეთ რამეო. ჩვენ მოგვიხდა ამისათვის განსაზღვრული ხარკის გაღება. რასაკვირველია, დეკრეტი მუშებისათვის საფაბრიკო პროდუქტთა ნაწილის პრემიად მიცემის შესახებ არის დათმობა იმ სულისკვეთებისადმი, რომელსაც წარსულში აქვს ფესვები, რომელიც დაკავშირებულია ურწმენობისა და სასოწარკვეთილების განწყობილებასთან. ამა თუ იმ მცირე საზღვრამდე ასეთი დათმობა აუცილებელი იყო. ეს დათმობა უკვე განხორციელებულია, მაგრამ ერთ წამსაც კი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ აქ ვთანხმდებოდით და ვთანხმდებით დათმობას, რომელიც აუცილებელია არა რაიმე სხვა თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ ეკონომიური თვალსაზრისით, პროლეტარიატის ინტერესების თვალსაზრისით. პროლეტარიატის ძირითადი და ფრიად არსებითი ინტერესია მსხვილი მრეწველობის აღდგენა და მასში მტკიცე ეკონომიური ბაზის შექმნა, მაშინ განამტკიცებს იგი თავის დიქტატურას, მაშინ იგი, მიუხედავად ყოველგვარი პოლიტიკური და სამხედრო სიძნელისა, უეჭველად ბოლომდე მიიყვანს თავის დიქტატურას. რატომ უნდა დავთანხმებულიყავით ჩვენ დათმობაზე და რატომაა ფრიად საშიში, რომ იგი იმაზე უფრო ფართოდ არ მიიჩნიონ, ვიდრე საჭიროა? სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ დროებითმა პირობებმა და სურსათისა და სათბობის მხრივ შექმნილმა სიძნელეებმა გვაიძულეს ამ გზას დავდგომოდით.

როდესაც ჩვენ ვამბობთ: საჭიროა გლეხობასთან ურთიერთობა დავამყაროთ არა გაწერის, არამედ გადასახადის ნიადაგზეო, რა წარმოადგენს ამ პოლიტიკის მთავარ ეკონომიურ განმსაზღვრელს? ის, რომ გაწერის დროს წვრილ გლეხურ მეურნეობებს არა აქვთ მართებული ეკონომიური ბაზა და ისინი განწირული არიან, მრავალ წელს მკვდარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, წვრილ მეურნეობას არსებობა და განვითარება არ შეუძლია, ვინაიდან წვრილ მეურნეს ეკარგება

ინტერესი თავისი საქმიანობის გამტკიცებისა და განვითარებისა და პროდუქტთა რაოდენობის გადიდებისა. რის გამოც ჩვენ ეკონომიური ბაზა არ გვექნება. სხვა ბაზა ჩვენ არ გაგვაჩნია, სხვა წყარო ჩვენ არ მოგვეპოვება, ხოლო თუ სახელმწიფოს ხელში არ დაგროვდა სურსათის დიდი მარაგი, ისე მსხვილი მრეწველობის რაიმე აღდგენაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ამიტომაც ვატარებთ ჩვენ პირველ რიგში სწორედ ამ პოლიტიკას, რომელიც ჩვენს სასურსათო ურთიერთობას ცვლის.

ჩვენ ამ პოლიტიკას ვატარებთ, რათა ვიქონიოთ ჩვენი ფონდი მსხვილი მრეწველობის აღსადგენად, რათა მუშათა კლასი ვიხსნათ მუშაობის მთელი იმ შეწყვეტისაგან, რასაც მსხვილი მრეწველობა — ჩვეხი უსუსური მსხვილი მრეწველობაც კი, თუ იგი მოწინავე ქვეყნების მრეწველობას შევადარეთ, — არ უნდა განიცდიდეს; ჩვენ უნდა ვიქონიოთ ეს ფონდი, რათა პროლეტარს თავიდან ავაცილოთ აუცილებლობა საშუალებათა გამოძებნისას მიმართოს არა პროლეტარულ ხერხებს, არამედ სპეკულანტურ, წვრილბურჟუაზიულ ხერხებს, რაც ჩვენთვის ყველაზე დიდ ეკონომიურ საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენი სინამდვილის სავალალო პირობების გამო პროლეტარები იძულებული არიან საშოვრის გულისათვის მიმართონ არა პროლეტარულ, არა მსხვილ მრეწველობასთან დაკავშირებულ საშუალებებს, არამედ წვრილბურჟუაზიულ, სპეკულანტურ საშუალებებს და ან მტაცებლობის, ანდა საზოგადოებრივ ფაბრიკაში კერძო წარმოების გზით მოიპოვონ პროდუქტები თავისთვის და ეს პროდუქტები გადაცვალონ სამიწათმოქმედო პროდუქტებზე, — ეს არის ჩვენთვის მთავარი ეკონომიური საფრთხე, საბჭოთა წყობილების მთელი არსებობის მთავარი საფრთხე. ახლა კი პროლეტარიატმა თავისი დიქტატურა უნდა განახორციელოს ისე, რომ იგი, როგორც კლასი, მტკიცედ გრძნობდეს თავს, რომ ნიადაგს გრძნობდეს ფეხქვეშ. მაგრამ ეს ნიადაგი ქრება. განუწყვეტლად მომუშავე მსხვილი მანქანური ფაბრიკის ნაცვლად პროლეტარი სულ სხვას ხედავს და იძულებულია

ეკონომიურ სფეროში გამოვიდეს, როგორც სპეკულანტი ან წვრილი მწარმოებელი.

იმისათვის, რომ იგი ამისაგან ვიხსნათ, ჩვენ გარდამავალი დროის პერიოდში არავითარი მსხვერპლი არ უნდა დავიშუროთ. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მსხვილი მრეწველობის განუწყვეტელი, თუნდაც ნელი, აღდგენა, ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ იმაზე, რომ გადავუგდოთ ლუკმა ამას დახარბებულ უცხოელ კაპიტალისტებს, რადგან ახლა, სოციალიზმის აშენების თვალსაზრისით, ჩვენთვის ხელსაყრელია ასეულ მილიონობით მეტი გადავუხადოთ უცხოელ კაპიტალისტებს, მაგრამ სამაგიეროდ მივიღოთ მსხვილი მრეწველობის აღსადგენად ის მანქანები და მასალები, რომლებიც ჩვენ აღგვიდგენენ პროლეტარიატის ეკონომიურ ბაზას, გადააქცევენ მას მტკიცე პროლეტარიატად და არა იმ პროლეტარიატად, რომელიც სპეკულანტური რჩება. მენშევიკებმა და ესერებმა ყურთასმენა წაიღეს ყვირილით: რადგან პროლეტარიატი დეკლასირებულია, ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებზე ხელი უნდა ავიღოთო. ისინი ამას გაყვიროდნენ 1917 წლიდან, და საკვირველია, რომ 1921 წლამდე ისინი არ დაღლილან ამის ჩიჩინით. მაგრამ, როდესაც ჩვენ ამ საყვედურებს ვისმენთ, ჩვენ როდი ვუპასუხებთ: არავითარი დეკლასირება არ მომხდარა, არავითარი მინუსი არა გვაქვსო. მაგრამ ვამბობთ: რუსეთისა და საერთაშორისო სინამდვილის პირობები ისეთია, რომ მაშინაც კი, როდესაც პროლეტარიატს დეკლასირების პერიოდის გადატანა უხდება, ამ მინუსების განცდა უხდება, მას, მიუხედავად ამ მინუსებისა, თავისი ამოცანის — ძალაუფლების დაპყრობისა და შენარჩუნების ამოცანის განხორციელება მაინც შეუძლია.

იმის უარყოფა, რომ პროლეტარიატის დეკლასირება არის მინუსი, — სასაცილო, სულელური და აბსურდული რამაა. 1921 წლისათვის ჩვენ ვხედავდით, რომ გარეშე მტრებთან ბრძოლის დამთავრების შემდეგ ჩვენი მთავარი საშიშროება, უდიდესი ბოროტება გახდა ის, რომ იმ მსხვილ საწარმოებში, რომლებიც ჩვენში მცირე რაოდენობით დარჩა, ვერ შევძელით

განუწყვეტელი საწარმოო მუშაობის უზრუნველყოფა. ეს არის ძირითადი. ასეთი ეკონომიური ბაზის გარეშე მუშათა კლასს მტკიცე პოლიტიკური ხელისუფლება შეუძლებელია ჰქონდეს. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მსხვილი მრეწველობის განუწყვეტლივ აღდგენა, საჭიროა სასურსათო საქმე ისე დავაყენოთ, რომ ფონდი, ვთქვათ, 400 მილიონი ფუთი, უზრუნველყოფილი გვქონდეს და მართებულად იყოს განაწილებული. ამდენის შეგროვებას ძველი გაწერის გზით უეჭველად ვერ შევძლებდით. ეს 1920 და 1921 წლებმა გვიჩვენეს. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ სასურსათო გადასახადის საშუალებით ეს ამოცანა, რომელიც უდიდეს სიძნელეებს წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში შეიძლება შევასრულოთ. ძველი ხერხებით ამ ამოცანას ჩვენ ვერ შევასრულებთ და ახალი ხერხები უნდა შევიმუშავოთ. სასურსათო გადასახადის საშუალებით და გლეხთან, როგორც წვრილ მწარმოებელთან, სწორი ურთიერთობის დამყარებით ჩვენ ამ ამოცანის გადაწყვეტა შეგვიძლია. ჩვენ აქამდე ცოტა ყურადღება არ მიგვიქცევია იმისათვის, რომ ეს თეორიულად დაგვემტკიცებინა.

მე მგონია, თუ პარტიული პრესის ან კრებებზე ნალაპარაკევის მიხედვით განვსჯით, თეორიულად სავსებით დამტკიცებულია, რომ ჩვენ ამ ამოცანის გადაწყვეტა შეგვიძლია, თუ პროლეტარიატის ხელში დარჩება ტრანსპორტი, მსხვილი ქარხნები, ეკონომიური ბაზა პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ერთად. გლეხობას, როგორც წვრილ მწარმოებელს, საკმარისი გასაქანი უნდა მივცეთ. გლეხის მეურნეობის აუმაღლებლად ჩვენ სასურსათო გაჭირვებას თავს ვერ დავაღწევთ.

აი რა ფარგლებში უნდა ვაყენებდეთ ჩვენ საკითხს, თუ როგორ განვითარდეს წვრილი მრეწველობა ვაჭრობის თავისუფლების, ბრუნვის თავისუფლების საფუძველზე. ბრუნვის ეს თავისუფლება ის საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ისეთი ურთიერთობა დავამყაროთ, რომელიც ეკონომიურად მტკიცე იქნებოდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოდენობის შესახებ ჩვენ ახლა სულ უფრო და უფრო ზუსტი მონაცემები გვაქვს.

პარტიის ყრილობაზე დარიგებულ იქნა ბროშურა პურის პროდუქციის შესახებ; იგი მაშინ ჯერ კიდევ კორექტურული ანაბეჭდის სახით დაურიგდა ყრილობის წევრებს. მას შემდეგ საამისო მასალა გროვდებოდა და ვრცელდებოდა. თუმცა ბროშურა საბოლოო სახით ასაწყობად უკვე გადაცემულია, მაგრამ კონფერენციისათვის იგი ჯერ მზად არაა, და მე არ შემიძლია გითხრათ, მოასწრებენ თუ არა მის გამოშვებას იმ დროისათვის, როდესაც კონფერენცია დაიშლება. ჩვენ ყოველ-გვარ ზომებს მივიღებთ ამისათვის, მაგრამ ვერ შეგპირ-დებით, რომ მისი გამოცემა მოხერხდება.

ეს არის მცირედი ნაწილი იმ სამუშაოებისა, რასაც ჩვენ ვეწეოდით, რათა რაც შეიძლება უფრო ზუსტად გამოგვერ-კვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობა და რე-სურსები, რაიც ჩვენ მოგვეპოვება.

მაინც შეიძლება ითქვას: გვაქვს მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტას ჩვენ სავსებით შევძლებთ, მეტადრე ამ წელს, როცა მოსავალს სულაც არ უჩანს ცუდი პირი ან არც ისეთი ცუდი პირი უჩანს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო გაზაფხულზე; ეს უზრუნველყოფს ჩვენს შესაძლებლობას, რომ შევაგროვოთ სასოფლო-სამეურნეო ფონდი, რათა მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოვანდომოთ მსხვილი მრეწველობის თუნდაც ნელ, მაგრამ განუწყვეტელ აღდგენას.

იმისათვის, რომ საწარმოო ფონდის შეგროვების ამოცანა გადაიჭრას, საჭიროა გამოვნახოთ გლეხთან, წვრილ მფლო-ბელთან ურთიერთობის ფორმა, და აქ სხვა ფორმა, გარდა სასურსათო გადასახადისა, არ არსებობს; სხვა ფორმა არავის წამოუყენებია და არც შეიძლება სხვა რამ წარმოვიდგინოთ. მაგრამ საჭიროა პრაქტიკულად გადავწყვიტოთ ეს ამოცანა, მართებულად გავანაწილოთ სასურსათო გადასახადი, ისე კი არ უნდა გავატაროთ იგი, როგორც წინათ, როცა ორ-სამ-ჯერ ახდევინებდნენ და გლეხს გაცილებით უფრო ცუდ პირობებში ტოვებდნენ, ისე რომ ყველაზე მუყაითი გლეხი ყველაზე მეტად ზარალდებოდა და ეკონომიურად მტკიცე

ურთიერთობის ყოველგვარი შესაძლებლობა იკარგებოდა. სასურსათო გადასახადი, რომელიც ყოველი გლეხისაგან გადასახადის აღების იგივე ღონისძიებაა, სხვანაირად უნდა იქნეს დაყენებული. წინათ შეკრებილი და გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში სასურსათო გადასახადი ახლა ფრიად დიდ, გადამწყვეტ ცვლილებას შეიტანს, მაგრამ რამდენად მოხერხდება ყოველივე ამის შეთავსება, ეს რამდენადმე ისევ კითხვად რჩება. მაგრამ ჩვენ გლეხის მდგომარეობა დაუყოვნებლივ რომ უნდა გავაუმჯობესოთ, — ეს უეჭველია.

ამოცანა ადგილობრივ მუშაკთა წინაშე ამნაირად ისმება: ერთი მხრივ, სავსებით გაატარონ სასურსათო გადასახადი და, მეორე მხრივ, რაც შეიძლება მოკლე ვადაში. სიძნელე მატულობს იმიტომ, რომ წელს მოსავალი არაჩვეულებრივად ადრეა მოსალოდნელი და, ჩვენ რომ ჩვეულებრივი ვადების თვალსაზრისით ვემზადოთ, შეიძლება დაგვიგვიანდეს. აი რატომ არის მნიშვნელოვანი და დროული პარტიული კონფერენციის ადრე მოწვევა. საჭიროა წინანდელზე უფრო მეტი სისწრაფით ვიმუშაოთ სასურსათო გადასახადის ამკრეფი მთელი აპარატის მოსამზადებლად. სასურსათო გადასახადის სწრაფ აკრეფაზეა დამოკიდებული როგორც სახელმწიფოს უზრუნველყოფა 240 მილიონი ფუთი მინიმალური ფონდით, ისე გლეხობის მდგომარეობის უზრუნველყოფა. ყოველი გაჭიანურება გადასახადის აკრეფის საქმეში გლეხისათვის ერთგვარ შევიწროებას წარმოადგენს. გადასახადის აკრეფა ნებაყოფლობით ვერ ჩაივლის, იძულებას თავიდან ვერ ავიცილებთ, გლეხურ მეურნეობას გადასახადის აკრეფა მთელ რიგ შევიწროებას უქმნის. თუ გადასახადის აკრეფის ეს ოპერაცია გავაგრძელეთ იმაზე უფრო მეტ ხანს, ვიდრე საჭიროა, გლეხი უკმაყოფილო დარჩება და იტყვის, რომ ნაჭარბის თავისუფლად გამოყენების ნებას არ მაძლევენო. რათა თავისუფლება პრაქტიკაში თავისუფლებას ჰგავდეს, საჭიროა, რომ გადასახადი სწრაფად აიკრიფოს, საჭიროა, რომ გადასახადის ამკრეფი დიდხანს არ ადგეს თავზე გლეხს, ამას

კი შევძლებთ, თუ შევამცირებთ პერიოდს მოსავლიდან გადასახადის სრულ აკრეფამდე.

ეს ერთი ამოცანაა, მეორე ამოცანა კი ისაა, რომ მაქსიმალურ ფარგლებში გავახორციელოთ გლეხისთვის ბრუნვის თავისუფლებაც და წვრილი მრეწველობის აღმავლობაც, რათა იმ კაპიტალიზმს, რომელიც იზრდება წვრილი საკუთრებისა და წვრილი ვაჭრობის ნიადაგზე, ერთგვარი თავისუფლება მივანიჭოთ და არ გვეშინოდეს მისი, რადგან იგი ჩვენთვის სრულიადაც არაა საშიში.

საერთო ეკონომიური და პოლიტიკური კონიუნქტურის გამო, რომელიც ახლა შეიქმნა, როდესაც პროლეტარიატს ხელთ უპყრია მსხვილი მრეწველობის ყველა წყარო, როდესაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე დენაციონალიზაციაზე, ჩვენ კაპიტალიზმისა არ უნდა გვეშინოდეს. და როდესაც ჩვენ ვიტანჯებით ყველაზე უფრო პროდუქტების სრული ნაკლებობის გამო, ჩვენი სრული გაღატაკების გამო, სასაცილოა იმის შიში, რომ კაპიტალიზმი, წვრილი სამრეწველო მიწათმოქმედების ნიადაგზე, საფრთხეს შეგვიქმნის. ამის შიში ნიშნავს იმას, რომ სრულიად არ მივიღოთ მხედველობაში ჩვენი ეკონომიკის ძალთა თანაფარდობა, ეს ნიშნავს სრულიად ვერ გავიგოთ ის, რომ გლეხური მეურნეობა, როგორც წვრილი გლეხური მეურნეობა, თუ არ იქნა ბრუნვის ერთგვარი თავისუფლება და მასთან დაკავშირებული კაპიტალისტური ურთიერთობა, არასგზით არ შეიძლება მტკიცე იყოს.

ეს, ამხანაგებო, მტკიცედ უნდა დაიხსომოთ, და ჩვენი უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ ადგილებს ყველგან მივცეთ ბიძგი, მივცეთ ინიციატივის მაქსიმუმი, გამოვიჩინოთ დამოუკიდებლობის მაქსიმუმი და გაბედულების მაქსიმუმი; ჩვენ ამ მხრივ აქამდე გვაკლია ის, რომ გვეშინოდა რამდენადმე ფართო გაქანებისა. ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი, ასე თუ ისე კონკრეტულად შემზადებული, ადგილებზე დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება იმ საკითხში, თუ როგორაა საქმე ადგილობრივ საქონელცვლისა და საქონელბრუნვის მხრივ,

რამდენად მოვახერხეთ აღგვედგინა და რამდენადმე გაგვევითარებინა წვრილი მრეწველობა, რომელსაც ძალუძს დაუყოვნებლივ შეუმსუბუქოს გლეხებს მდგომარეობა იმ დიდ სამუშაოთა გარეშე, რასაც მსხვილი მრეწველობა მოითხოვს და რაც სამრეწველო ცენტრებში სურსათისა და სათბობის დიდი მარაგის მოზიდვით გამოიხატება. საერთო-სამეურნეო თვალსაზრისით ამ მხრივ ადგილებზე საქმე საკმარისად არ კეთდება. ჩვენ არ მოგვეპოვება საამისო ცნობები ადგილებიდან, ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ არის საქმე მთელ რესპუბლიკაში, ჩვენ არ მოგვეპოვება მუშაობის მართლაც სწორად დაყენების მაგალითები, და მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება პროფკავშირთა ყრილობისგანაც და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ყრილობისგანაც [89].

ამ ყრილობათა მთავარი ნაკლი ისევ ის არის, რომ ჩვენ უფრო მეტ დროს ვანდომებთ ისეთ უხეირო რამეს, როგორიცაა თეზისები, ზოგადი პროგრამები და მსჯელობა, და არა იმას, რომ ყრილობაზე ადამიანებმა ნამდვილად გაუზიარონ ერთმანეთს ადგილობრივი გამოცდილება, რათა, ადგილებზე დაბრუნებისას, მათ შეეძლოთ თქვან: აი ათას მაგალითში ერთი ვიპოვეთ კარგი და მას მივბაძოთო. ასეთი კარგი მაგალითები ათასში ერთი კი არა, გაცილებით უფრო მეტი მოგვეპოვება. მაგრამ მუშაობის წარმართვის ასეთი წესი ფრიად იშვიათია ჩვენში.

მე არ მინდა წინასწარ ვთქვა რამე, მაგრამ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა მოგახსენოთ მუშათა კოლექტიური უზრუნველყოფის, ე. ი. საბარათო სისტემიდან ისეთ წესზე გადასვლის თაობაზე, როდესაც სურსათის განსაზღვრული რაოდენობით უზრუნველყოფილია განსაზღვრული საწარმო, რამდენადაც იგი ნამდვილად მუშაობს, უზრუნველყოფილია ნამუშევრის პროპორციულად. იდეა მშვენიერია, მაგრამ ჩვენში იგი რაღაც ნახევრადფანტასტიკურ რამედ გადაუქცევიათ. ნამდვილ მოსამზადებელ მუშაობას კი ამ მხრივ ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვხედავთ. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ისეთი მაგალითი, რომ აი ამა და ამ მაზრაში, ამა და ამ ფაბრიკაში,

თუნდაც იქ მუშების მცირე რიცხვი მუშაობდეს, ჩვენ ეს ღონისძიება გვეხმაროს და გვეთქვას: აი შედეგიო. ეს ჩვენში არ ხდება. და ეს მთელი ჩვენი მუშაობის უდიდესი ნაკლია. ჩვენ გამუდმებით უნდა ვიმეორებდეთ, რომ ზოგადი საკითხების მაგივრად, რაიც შესაფერისი იყო 1918 წელს, ე. ი. დიდი ხნის წინათ, 1921 წელს ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ საკითხის პრაქტიკულად დაყენებას. ყრილობებზე ჩვენ რომ უწინარეს ყოვლისა იმაზე ვილაპარაკოთ, თუ სად არის საქმე სანიმუშოდ დაყენებული, — ასეთი ნიმუშები კი ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება, — ამით ჩვენ სავალდებულოდ გავხდით დანარჩენთათვის სიბეჯითე გამოიჩინონ იმის მაგალითის მიხედვით, რაც პრაქტიკულად უკეთესი რამ არის მიღწეული რამდენიმე იშვიათ, გამონაკლის ადგილას. მე ამას პროფესიულ კავშირთა ყრილობის მუშაობის გამო მოგახსენებთ, მაგრამ იგივე ითქმის ყოველგვარ სასურსათო მუშაობაზეც.

სასურსათო გადასახადის შეგროვების, საქონელცვლის და სხვ. მოსამზადებლად მცირე რაოდენობით რამდენიმე ადგილას საკმარისად უმუშავნიათ. აი სწორედ ამის შესწავლა ვერ მოვახერხეთ ჩვენ, და ახლა დიდი ამოცანა ისაა, რომ ადგილთა უმეტესობამ წაბაძოს საუკეთესო ნიმუშს, რომელიც მოგვეპოვება. ჩვენ უნდა შევუდგეთ ამ მუშაობას, პრაქტიკულად შევისწავლოთ გამოცდილება, წინ წავწიოთ ჩვენი ჩამორჩენილი და საშუალო მაზრები, თემები, რომლებიც უეჭველად სრულიად არადამაკმაყოფილებელ დონეზე დგანან და რომელთა შორის ფრიად ცოტაა ძალიან დამაკმაყოფილებელი. ყრილობებზე ყურადღების მაქსიმუმი უნდა მივაქციოთ არა ზოგად თეზისებსა და კრებათა პროგრამებს, არამედ პრაქტიკული გამოცდილების, დამაკმაყოფილებელი და დამაკმაყოფილებელზე უკეთესი მაგალითების შესწავლას და იმას, რომ ასეთი ჩამორჩენილი და საშუალო ადგილები, რომლებიც უმეტესობას შეადგენს, გაუთანასწორდნენ ამ იშვიათ, მაგრამ მაინც არსებულ მაგალითებს.

აი ის შენიშვნები, რომლებსაც მე უნდა დავჯერდე (ტ ა შ ი).

3
საგულოო სიტყვა სასურსათო გადასახადის შესახებ მოხსენების გამო
27 მაისი

ამხანაგებო, მიუხედავად ადგილობრივ მომუშავე მრავალი ამხანაგის მიერ მოხსენებათა და კამათის გამო გამოთქმული უკმაყოფილებისა, ჩვენ, მგონია, მაინც მივაღწიეთ ერთ მიზანს: ჩვენ გავიგეთ, თუ როგორ ესმით ახალი პოლიტიკა ადგილებზე და როგორ ტარდება იგი. არა მგონია, რომ სხვა რაიმე მიზანი შეგვეძლო დაგვესახა კონფერენციისათვის, გარდა აზრთა ურთიერთგაზიარებისა, რათა ეს ახალი პოლიტიკა კარგად შეგვეთვისებინა და მის მართებულად გამოყენებას ერთსულოვნად შევდგომოდით. ამ მიზანს ჩვენ მივაღწიეთ. მართალია, იყო გაუგებრობანი და აზრთა მერყეობაც კი, რაც ზოგჯერ, სამწუხაროდ, ფრიად შორდებოდა მარტოოდენ პრაქტიკული გაუგებრობისა და იმის შესახებ მკითხაობის ფარგლებს, «სერიოზულია» ეს თუ «არა სერიოზული», დიდი ხნითაა თუ მცირე ხნით. ის, რასაც ამხ. ვარეიკისი ამბობდა, არსებითად კომუნისტური არ ყოფილა და თავისი შინაარსით მენშევიზმს მოგვაგონებდა. ეს პირდაპირ უნდა ითქვას. როგორ მოხდა, რომ იგი ჩაგვაცივდა და გვეკითხებოდა: «თქვენ ეს ბრძანეთ, გლეხობა კლასია თუ არა?». რასაკვირველია, კლასია. თუ აგრეა, — ამბობს ის, — მას ესაჭიროება პოლიტიკური დათმობანი, თუ არა, მაშინ საჭიროა ამ მიმართულებით განსაზღვრულ ღონისძიებათა მიღება, რომელნიც მაინც ზუბატოვობას მოგვაგონებენო.

აქ დაიმოწმეს მარტოვი, — იგიც მთლად ამას ამტკიცებდაო; ამხ. ვარეიკისი კი ამბობს: «რამდენადმე», «მეტად თუ ნაკლებად», «ნაწილობრივ». გამოდის ყოვლად დაუჯერებელი, ყოვლად საოცარი დომხალი. ეს ისეთივე დომხალია, როგორიც იყო მაშინ, როდესაც ჩვენ ძალდატანების გამოყენებას გვისაყვედურებდნენ. და კვლავ უნდა განვმარტოთ, რომ, როდესაც ჩვენ დიქტატურაზე ვლაპარაკობთ, ეს ნიშნავს ძალდატანების გამოყენებას. ყოველი სახელმწიფო ძალდატანების გამოყენებაა, მაგრამ მთელი განსხვავება ისაა, თუ ვის წინააღმდეგ არის გამოყენებული ძალდატანება: ექსპლოატირებულთა წინააღმდეგ თუ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, გამოყენებულია თუ არა იგი მშრომელთა და ექსპლოატირებულთა კლასის წინააღმდეგ? იგივე ითქმის ზუბატოვობასთან შედარების შესახებ. რა შეადგენდა ზუბატოვობის დედაარსს? ის, რომ ჩაგრული კლასებისადმი წვრილმან ეკონომიურ დათმობათა გზით ზურგს უმაგრებდნენ მჩაგვრელთა კლასს. აი რატომ იყო მაშინ შემდეგი პასუხი: ეკონომიური დათმობებით თქვენ ვერ აიძულებთ პროლეტარიატს, იმ კლასს, რომელიც ყველა ჩაგრულის გასათავისუფლებლად იბრძვის, ხელი აიღოს პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა და ჩაგვრის სისტემის მოსპობის იდეაზე. ახლა პროლეტარიატს ხელთ უპყრია ძალაუფლება და ხელმძღვანელობს მას. იგი ხელმძღვანელობს გლეხობას. რას ნიშნავს ეს — უხელმძღვანელო გლეხობას? ეს, ჯერ ერთი, ნიშნავს კლასთა მოსპობის გეზის აღებას და არა წვრილ მწარმოებელზე გეზის აღებას. ჩვენ რომ ამ ძირითადსა და უმთავრეს ხაზს ავცდენოდით, სოციალისტები აღარ ვიქნებოდით, ჩვენ თავს ამოვყოფდით იმ წვრილი ბურჟუების ბანაკში, ესერებისა და მენშევიკების ბანაკში, რომლებიც ახლა პროლეტარიატის ყველაზე უბოროტესი მტრები არიან. ამას წინათ ამხ. ბუხარინმა «პრავდაში» მოიყვანა ციტატი ისეთი სერიოზული პოლიტიკური მოაზროვნის ნაწერიდან, როგორიცაა მილიუკოვი (ეს ჩერნოვისა და მარტოვის ტოლი როდია); მილიუკოვი ასე მსჯელობს: «ამჟამად

რუსეთში ბრძოლის პოლიტიკურ სარბიელზე მხოლოდ სოციალისტური პარტიისათვის არის ადგილი. და რამდენადაც ამ «სოციალისტურ» პარტიებს, ესერებსა და მენშევიკებს, სურთ იკისრონ ბოლშევიკებთან ბრძოლის ტვირთი, იმდენად ჩვენ ვეტყვით მათ — ესერებსა და მენშევიკებს — «ჰა ბურთი და მოედანია». ასე ამბობს სიტყვასიტყვით მილიუკოვი; ეს იმას მოწმობს, რომ იგი მარტოვზე და ჩერნოვზე უფრო ჭკვიანია, ჯერ მარტოოდენ იმიტომაც, რომ იგი მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელია (თუნდაც პირადად იგი არც ისეთი ჭკვიანი იყოს, როგორც ჩერნოვი და მარტოვი). და მილიუკოვი მართალია. იგი სავსებით ფხიზლად ითვალისწინებს პოლიტიკური განვითარების საფეხურებს და ამბობს: უკან — კაპიტალიზმისაკენ დასაბრუნებლად აუცილებელი საფეხურია ესერობა და მენშევიზმიო. ბურჟუაზიას ასეთი საფეხური სჭირდება, და ვისაც ეს არ ესმის, იგი რეგვენია.

მილიუკოვი, ბურჟუაზიის ინტერესთა თვალსაზრისით, სავსებით და აბსოლუტურად მართალია. თუ ჩვენ, როგორც პროლეტარიატის პარტია, ვხელმძღვანელობთ გლეხობას, ჩვენ უნდა ვატარებდეთ მსხვილი მრეწველობის განმტკიცების ხაზს და ამიტომ უნდა დავთანხმდეთ ეკონომიურ დათმობებს. პროლეტარიატი ხელმძღვანელობდა გლეხობას და ისე ხელმძღვანელობდა მას, რომ სამოქალაქო ომის დროს გლეხობამ უფრო მეტი ეკონომიური სარგებლობა ნახა, ვიდრე იმავე პროლეტარიატმა. მარტოვის ენით თუ ვილაპარაკებთ, ეს ზუბატოვობა გამოდის. ეკონომიურ დათმობებს გლეხობისთვის ვატარებდით. ეს დათმობანი გავახორციელეთ მშრომელთა იმ ნაწილისათვის, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს. მერე, ეს არასწორი პოლიტიკაა? — არა, ეს ერთადერთი სწორი პოლიტიკაა! და, რანაირადაც უნდა ილაპარაკონ აქ მარტოვის სიტყვებზე, თქვენ კლასს ვერ მოატყუებთო, მე მაინც გეკითხებით: რით ვატყუებთ ჩვენ? ჩვენ ვამბობთ, რომ არის ორი გზა: ან მარტოვთან და ჩერნოვთან, მათი მეშვეობით კი — მილიუკოვისაკენ, ანდა კომუნისტებთან. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ

ვიბრძვით კაპიტალიზმის მოსასპობად და კომუნიზმის დასამყარებლად; ჩვენი გზა ფრიად მძიმეა, და ვინც ამ გზას ადგია, მათ შორის მრავლად მოიპოვებიან დაღლილნი და ურწმუნონი. გლეხობას არ სწამს. მაგრამ განა ჩვენ მას ვატყუებთ? სასაცილოა იმის თქმა, რომ ჩვენ კლასს ვატყუებდეთ და რომ ჩვენ დავიბენით სამ ნაძვს შუა, ხოლო აქ სამს კი არა, ორ ნაძვს შუა, ვინაიდან პროლეტარიატი და გლეხობა მხოლოდ ორი კლასია. პროლეტარიატი ხელმძღვანელობს გლეხობას, მაგრამ ეს კლასი შეუძლებელია ისე განვდევნოთ, როგორც განვდევნეთ და მოვსპეთ მემამულეები და კაპიტალისტები. საჭიროა მისი გარდაქმნა დიდი ხნის განმავლობაში, დიდი შრომით და დიდი გაჭირვებით. ჩვენზე, ხელმძღვანელ პარტიაზე, არის დამოკიდებული, თუ რამდენი უბედურება დაატყდება თავს პროლეტარიატს და რამდენი — გლეხობას. რითი უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ განაწილების დროს — გათანასწორებით, გათანაბრებით? მაგრამ ამაზე დაე ჩერნოვმა და მარტოვმა ილაპარაკონ, ჩვენ კი ვამბობთ, რომ საჭიროა ვიხელმძღვანელოთ პროლეტარიატის ინტერესებით, ე. ი. ვიხელმძღვანელოთ კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან უზრუნველყოფითა და კომუნიზმის გზის უზრუნველყოფით. თუ გლეხობა ახლა უფრო დაღლილია, უფრო დატანჯულია, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უფრო დაღლილად თვლის თავს, ჩვენ მას მეტსაც ვუთმობთ, რათა უზრუნველვყოთ თავი კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან და უზრუნველვყოთ კომუნიზმისაკენ მიმავალი გზები. ეს სწორი პოლიტიკაა, და ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი ანგარიშით ვხელმძღვანელობთ. ჩვენ აშკარად, პატიოსნად, სრულიად მოუტყუებლად, ვუცხადებთ გლეხებს: იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ სოციალიზმისაკენ მიმავალი გზა, ჩვენ თქვენ მიმართ, ამხანაგო გლეხებო, მთელ რიგ დათმობებს განვახორციელებთ, მაგრამ მხოლოდ ამა და ამ ფარგლებში, ამა და ამ ზომით, და, რასაკვირველია, ჩვენ თვითონ განვსჯით, თუ რანაირი იქნება ეს ზომა და ეს ფარგლები. თვით დათმობაც ხდება სიმძიმის განაწილების

თვალსაზრისით, სიმძიმისა, რომელიც აქამდე უმეტესწილად პროლეტარიატს უფრო აწვებოდა, ვიდრე გლეხობას. პროლეტარიატის დიქტატურის სამ-ნახევარი წლის განმავლობაში პროლეტარიატმა უფრო მეტი უბედურება გადაიტანა, ვიდრე გლეხობამ. ეს სრულიად აშკარა და უდავო ჭეშმარიტებაა. აი როგორ დგას პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხი, ე. ი. ან გლეხობა უნდა დაგვეთანხმოს ჩვენ, და ჩვენც მის მიმართ ეკონომიურ დათმობებს გავატარებთ, ანდა — ბრძოლა. აი რატომ წარმოადგენს ყოველი სხვაგვარი მოსაზრება ყოვლად საშინელ დომხალს. ნამდვილად ყოველგვარი სხვა გზა არის გზა მილიუკოვისაკენ, მემამულეთა და კაპიტალისტთა აღდგენისაკენ, ჩვენ კი ვამბობთ: ყოველგვარ დათმობაზე წავალთ იმის ფარგლებში, რაც ზურგს უმაგრებს და განამტკიცებს პროლეტარიატის ძალაუფლებას, პროლეტარიატისა, რომელიც, სიძნელეთა და დაბრკოლებათა მიუხედავად, განუხრელად მიიმართება კლასების მოსპობისა და კომუნიზმისაკენ.

შემდეგ, დიდი უმართებულობა იყო დაშვებული ამხ. სვიდერსკის სიტყვის გამო გამოთქმულ შენიშვნაში. მას მაშინვე თავს დაესხა ოპოზიციის ყველა წარმომადგენელი თავისებურ ბრწყინვალე პარლამენტურ სიტყვებში. «პარლამენტური ოპოზიციის» ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი გამოდგა ამხ. ლარინი. საბჭოთა წყობილებაში არც ისე ბევრი ადგილია პარლამენტური სიტყვების წარმოსათქმელად, მაგრამ მაინც ბუნებას თავისი გააქვს, და თუმცა ჩვენში პარლამენტური დაწესებულებები არ არსებობს, მაგრამ პარლამენტური ზნე-ჩვეულებანი დარჩენილია. ამხ. სვიდერსკის შესახებ ამბობდნენ, აი სასურსათო ინსპექცია, აი ის იქამდეც კი მივიდა, რომ სასურსათო დიქტატურა მოითხოვაო. იქნებ, ამხ. სვიდერსკიმ ლაპარაკში ზედმეტი რამეც თქვა. მაგრამ არსებითად ის მართალია. ჩვენ მომხსენებელთა როლი ისე გავანაწილეთ, რომ თვითეულს, ასე ვთქვათ, განსაზღვრული საკრავი დაეკრა. გაცვლა-გამოცვლის შესახებ მოხსენება გააკეთა «ცენტროსოიუზის» წარმომადგენელმა—კოოპერატორ-

მა ამხ. ხინჩუკმა. ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, «ცენტროსოიუზს» დადებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფოსთან. თუ ეს ხელშეკრულება ყველა ამხანაგს არ წაუკითხავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საქმიანად არ გასცნობიან მასალას. ჩვენში სახელმწიფო სდებს ხელშეკრულებას «ცენტროსოიუზის» წარმომადგენლებთან; სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ხელშეკრულებას სდებს კოოპერაციის წარმომადგენელთან, და საზღვარგარეთ მყოფმა კოოპერატორებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენს ხელშეკრულებას. ხელშეკრულებაში ჩვენ საქმეს ისე ვაყენებთ, რომ ყველა საქონელს კოოპერაცია ღებულობდეს, რომ კოოპერატორები ვაჭრობდნენ ჩვენთვის, ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის, მსხვილი ფაბრიკისათვის, პროლეტარიატისათვის, მაგრამ არა თავისთვის. ეს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი პირობაა. იმიტომ რომ სხვანაირად არ შეიძლება. პიტერში, მოსკოვში შიმშილობაა, და ამავე დროს ამხ. ბრიუხანოვი გვიჩვენებს ცხრილებს, რომელთა მიხედვითაც ადგილებზე, მაძღარ გუბერნიებში, ერთიორად მეტი შეუჭამიათ, ვიდრე მათ ეკუთვნოდათ, ჩვენ კი აქ ერთიორად ნაკლები მოგვცეს. როგორ ფიქრობთ: საჭიროა თუ არა ასეთ მდგომარეობაში სასურსათო დიქტატურა? ჩემი აზრით, საჭიროა და საჭიროა ერთიორად, ერთისამად მეტი, რადგან ასეთი თავაშვებულება ჩვენში რამდენიც გნებავთ იმდენია. უნდა ვიცოდეთ, რომ უიძულებოდ ჩვენ თავს ვერ გავიტანთ, და განაწილების საქმე «ცენტროსოიუზში» ჩვენი კონტროლით უნდა მიმდინარეობდეს.

ჩვენ ვეუბნებით «ცენტროსოიუზს»: თქვენ კარგად ვაჭრობდით, და განსაზღვრული პროცენტის სახით პრემიას გაძლევთო. ეს შეტანილია ხელშეკრულებაში, და ჩვენ უეჭველად ყოველგვარი პრემიული სისტემით წავახალისებთ ამ საკომისიო ვაჭრობას, გავცემთ პრემიებს სარფიანი ვაჭრობისათვის, მაგრამ მოვითხოვთ, რომ ეს ვაჭრობა სასარგებლო იყოს ჩვენთვის, სასარგებლო იყოს სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა მსხვილი მრეწველობის ცენტრალიზაცია

და რომელსაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობს. სარგებლობა ექნება თუ არა მსხვილ მრეწველობას? და ვინ ნახავს ამ სარგებლობას?

როგორ შეგიძლიათ თქვენ სურსათის მხრივ უზრუნველყოფილ იქნეთ უგადასახადოდ? არავითარ შემთხვევაში! რა მოგვცემს უფრო მეტს: გადასახადი თუ გაცვლა-გამოცვლა, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ გაცვლა-გამოცვლისათვის რომ საკმარისი ფონდი არა გვაქვს, ეს ფაქტია. ახლა, თუ არ იქნა იძულების აპარატი, ისე ვერ აიღებთ იმას, რაც საჭიროა. ვერასოდეს! ეს ყველასათვის აშკარაა. და ამ მხრივ სვიდერსკი, როგორც თავისი ხაზის წარმომადგენელი, სავსებით მართალია. ჩვენ სასურსათო ინსპექცია მოვიწონეთ, და სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი თქვენ უფრო მოგიჭერთ ხელს, რადგან თქვენ იცით, თუ ვინ უნდა დასვათ — ეს თქვენი საქმეა, მაგრამ რაკი თქვენ დასვით, თვალყური ადევნეთ, რომ მან შეასრულოს, რაც საჭიროა. ახლა, თუ ვერ უზრუნველვყავით სახელმწიფო, დაახლოებით, ოთხასი მილიონი ფუთი პურით, ისე ამაოა ლაპარაკი რაიმე მსხვილ მრეწველობაზე და სოციალისტურ მშენებლობაზე. ვისაც ეს ამ სამი წლის განმავლობაში ვერ უსწავლია, მასთან ლაპარაკიც არ ღირს. მაგრამ ჩვენ, უამრავი შეცდომების მიუხედავად, ამ ფონდს სულ ვადიდებდით და, თუმცა 1920 წელს, ამ ფონდს რომ ვადიდებდით, ვეებერთელა შეცდომა ჩავიდინეთ განაწილების მხრივ, მაინც უზარმაზარი პროგრესი გვქონდა. ჩვენ ფხიზლად უნდა მივუდგეთ საქმეს და ვთქვათ, რომ სასურსათო გადასახადის ასაკრეფად საჭიროა სწრაფად მოქმედი აპარატი, აქ უადგილოა ლიბერალური ყბედობა და თავის ქნევა, სასურსათო ინსპექცია ასეთი არასასიამოვნო რამ არისო.

ხოლო კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალ დროს, როცა გლეხობა მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს, გადასახადს რომ უიძულებოდ იძლეოდნენ, ასეთი «კომუნიზმი», რამდენადაც ვიცი, ჯერ კიდევ არ არსებობს. თუ გინდათ ხელი შეუწყოთ მსხვილ მრეწველობას, — პროლეტარული

დიქტატურის ბაზას, — თქვენ უნდა გინდოდეთ, რომ ეს აპარატი მოქმედებდეს. და აქ, რა თქმა უნდა, საჭიროა ცენტრალიზმი. გადახედეთ სტატისტიკას. სამწუხაროდ, თქვენთაგან ცოტანი თუ იცნობენ მას საკმაოდ. ნახეთ, თუ წინააღმდეგ ცენტრის განკარგულებათა, რამდენი აიღეს თავისთვის ადგილებმა. ჩვენთან კი, აქ, მოდიან ამხანაგები მოსკოვიდან და პიტერიდან და წარმოგვიდგენენ ხოლმე ცხრილებს ცენტრის განკარგულებათაგან გადახვევის შესახებ. თურმე, სამჯერ გაუფრთხილებიათ, ამდენჯერვე გამოუცხადებიათ საყვედური, და მერე? მერე დაპატიმრება, სამსახურიდან გადაყენება და ა. შ. (ხმა ადგილიდან: «რამდენი იყო ასეთი შემთხვევა?»). დარღვევა ბევრი იყო, გადაყენება კი ცოტა. აი რა მინდოდა მეთქვა ამ ხაზის დასაცავად.

წელს მოსავალი, ეტყობა, ბევრ ადგილას გვარიანი იქნება და უფრო ადრეც, ვიდრე ჩვენ მოველოდით. ასე რომ საჭიროა წინდაწინ მოვემზადოთ, ახლა კი მდგომარეობა ისეთია, რომ ძირითადი ფონდი სწრაფად უნდა შევაგროვოთ. მაშასადამე, სრულიად უმართებულოა ისე მოვეკიდოთ ამ საქმეს, როგორც აქ მას ბევრი ეკიდებოდა.

რაც შეეხება ამხ. ლარინს, მისი ტალანტი უფრო პარლამენტური ოპოზიციის და ჟურნალისტიკის სფეროს ეკუთვნის, ვიდრე საქმიანი მუშაობის სფეროს. პროექტების შეთხზვაში ის დაუღალავია. მან აქ მოიხსენია, ჯერ კიდევ 1920 წლის იანვარში ვაყენებდი კარგ პროექტსო. მაგრამ რომ შევაგროვოთ ამხ. ლარინის ყველა პროექტი და მათგან ავირჩიოთ კარგი პროექტები, ისინი, ალბათ, პრომილეს (ათასზე) ათეული წილადით უნდა განგვესაზღვრა.

10 მაისს მან ჩვენთან, ც. კ-ის პოლიტბიუროში, შემოიტანა კოლექტიურ მომარაგებაზე საერთო გადასვლის პროექტი. ძირითადი პრინციპი წარმტაცია, მაგრამ როდის არის ეს შემოტანილი? 1921 წ. 10 მაისს, როდესაც სურსათი სრულიად არ ჰყოფნით ისეთ ცენტრებს, როგორიცაა მოსკოვი და პეტროგრადი, როდესაც რუსეთის რესპუბლიკის ამ მნიშვნელოვან ცენტრებს წილად ხვდათ ნახევრადმშიერი,

სამეოთხედოდმშიერი არსებობა. სასაცილოა სასურსათო დაწესებულებათა გარდაქმნის წინადადების წამოყენება ისეთ მომენტში, როდესაც ადამიანებს არაქათი ეცლებათ, ციმბირთან, კავკასიასთან, უკრაინასთან დამაკავშირებელ პირდაპირ მავთულებთან სხედან, თვალყურს ადევნებენ ყოველ მარშრუტს, თითქმის ყოველ ვაგონსაც კი. რა ჯანაბად გვინდა ასეთ დროს საერთო-კოლექტიურ მომარაგებაზე გადასვლა? პოლიტბიურომ ასეთი რეზოლუცია მიიღო: «პროექტი ლარინისა და სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსი (ამ უკანასკნელმა, რა თქმა უნდა, მაშინვე მოაწერა ხელი ამ პროექტს) უარყოფილ იქნეს, დაევალოს პროექტის ავტორს გადასინჯოს საკითხი ხელმეორედ, უფრო საფუძვლიანად რეალური მომარაგების შესაძლებლობის თვალსაზრისით...». აი საფუძველი, რომელიც განმეორებულ იქნა (თუ თქვენ წაიკითხეთ ჩუბარისა და გოლცმანის თეზისები) პროფკავშირთა ყრილობაზე, ამასთან ჩუბარმა თავისი თეზისების ძირითადი ნაწილები შეათანხმა იმ ფრთხილ პოლიტიკასთან, რომელიც მოცემულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. გოლცმანი და ლარინი მოიქცნენ იმ წესის მიხედვით, რომლის შესახებაც ლარინმა, როდესაც პოლიტბიუროს სხდომა გათავდა, ნახევრადხუმრობით ყურში ჩამჩურჩულა. (ვფიქრობ, საჩოთიროს არაფერს ჩავდივარ, ამ საუბარს რომ გადმოგცემთ). ლარინმა, როცა დაინახა, რომ ეს რეზოლუცია მიღებულია, მითხრა: «თქვენ ნეკი გამოგვიწოდეთ, ჩვენ კი მთელ ხელს დავეუფლებითო». მაშინ გავიფიქრე, — თუმცა ეს წინათაც ვიცოდი, — ახლა ჩვენ გვეცოდინება, თუ როგორ უნდა ევაჭრო ლარინს. თუ ის მილიონს გთხოვს, ათშაურიანი უნდა შეაძლიო (ს ი ც ი ლ ი). აქ კამათში გამოირკვა, რომ, როდესაც ლარინს ჰკითხეს, სად არის მონაცემებიო, მან მოიყვანა მაგალითი, რომელსაც «ბრწყინვალე» უწოდა და რომელიც ყიზლარ-ძველი თერგის გზის გაყვანას ეხება. თუმცა აქ უკვე დაამტკიცეს, რომ ეს მაგალითი ახალს არაფერს შეიცავს, რომ ასეთი ცდები უკვე იყო ჩატარებული, მაგრამ ეს მაინც პროგრესია, როდესაც გვაწვდიან კონკრეტულ მაგალითს, გამო-

ცდილების შედეგს ნაცვლად ზოგადი მსჯელობისა, ნაცვლად ურიცხვი თეზისებისა. უბედურება იქნებოდა, ყველას რომ დაეწყო ამ თეზისების კითხვა და განხილვა, რომელთაგან ცხრა მეათედს ბოლომდე ვერ წაიკითხავ ისე, რომ თავი არ დაგიმძიმდეს.

თეზისები კი არ არის საჭირო, არამედ ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინება. მოდით შევისწავლოთ ეს გამოცდილება, თორემ რასა გავს, სისტემა სისტემაზე ვაშენოთ და კოლექტიური მომარაგების კანონპროექტები ვთხზათ, როდესაც რეალური მომარაგების მინიმუმი არა გვაქვს. ადგილობრივ პრაქტიკული მუშაობა წარმოებს. ჩვენ გვეუბნებოდნენ: ამაოდ უსაყვედურებთ ადგილებს, რომ ისინი ადგილობრივ გამოცდილებას არ გვიზიარებენო. აქ ცენტრალურ კომიტეტს უსაყვედურეს, რომ იგი ადგილობრივ გამოცდილებას არ იძლევაო. მაგრამ ჩვენ ხომ ასეთი გამოცდილება არა გვაქვს, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ დეკრეტებზე ვჯახირობთ. ჩვენგან უმრავლესობა ამ არასასიამოვნო მუშაობაშია ჩაფლული, ამიტომაც ვერ ვხედავთ ადგილობრივ გამოცდილებას. ეს გამოცდილება თქვენ უნდა მოგვცეთ. როდესაც ლარინი ყიზლარ-თერგის გზის ბრწყინვალე მაგალითს გადმოგვცემდა, ეს სწორი იყო, ვინაიდან ეს ადგილობრივი გამოცდილება იყო. მაგრამ მან აქაც შესტოპა, ჩუბარი და ოსინსკი იძულებული იყვნენ მისი ნათქვამი გაესწორებინათ. ეს ერთადერთი მაგალითი როდია. ის ამბობდა, რომ მუშა ღებულობდა 28 გირვანქას ძველი სისტემით და 4 ფუთს — ახალი სისტემითო. მე დავეჭვდი ამ მონაცემებში და ვეკითხები, საიდან იცით ეს-მეთქი. მან მიპასუხა, ეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ არის შემოწმებულიო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ლარინი არა მარტო პარლამენტის კაცია, არამედ კარიკატურის ხატვაც იცის. მან ჯერ დახატა კარიკატურა და ირწმუნებოდა, მუშგლეხინზე უარესი მხეცი არ მოიპოვებაო, ახლა კი ამბობს, 4 ფუთი 28 გირვანქის ნაცვლად — ეს მუშგლეხინის მიერ არის შემოწმებულიო. ჯერ ამგვარი ანეგდოტებით იგი არყევს ყოველგვარ რწმენას მუშგლეხინისადმი,

შემდეგ კი წარმოგვიდგენს მუშგლეხინის მოწმობას, როგორც ერთადერთ დამამტკიცებელ საბუთს. ჩუბარიც და ოსინსკიც ამბობენ, რომ სატყეო მრეწველობაში ეს სისტემა არაერთხელ გამოუყენებიათ. მთელი საქმე ის არის, რომ ერთი ადგილის გამოცდილება შევადაროთ მეორე ადგილის გამოცდილებას. ლარინის მითითებათა საუკეთესო ნაწილი ის იყო, სადაც ის ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ყიზლარ-თერგის გზის გასაყვანად. უკეთესად ხომ არ ყოფილა საქმე ტულაში ან ტამბოვში, — აი რა უნდა გავიგოთ. ამას ცენტრი თქვენ ვერ გეტყვით, რადგან ჩვენ ეს არ ვიცით, და თქვენ მოგვაწოდეთ ეს ადგილებიდან, გაგვაცანით ამ მონაცემებს, გვასწავლეთ, და ჩვენ ყველანი ვისწავლით, წავბაძავთ საუკეთესო ნიმუშს.

ჩვენში ათას ადგილობრივ ცენტრზე, მაზრის თუ რაიონის მასშტაბით, ასეთი გამოცდილება ორი თუ სამი მოიპოვება, იქნებ, მეტიც აღმოჩნდეს, მაგრამ ორი-სამი უეჭველად არის. ეს გამოცდილება კარგად უნდა შევისწავლოთ, უნდა შევისწავლოთ საქმიანად, მოვახდინოთ სასტიკი დაკითხვა, შევამოწმოთ ციფრები და არ დავენდოთ მარტოოდენ ოპოზიციის სიტყვებს. თუ ჩვენ საქმეს ასე დავაყენებთ, ცენტრი შეძლებს საქმის შესწავლას.

შემდეგ, ვფიქრობ, რომ მთავარი, რაც ჩვენ დისკუსიიდან მივიღეთ, ეს არის მთელი რიგი მითითებანი იმაზე, თუ როგორ განხორციელდა დაწყებული გაცვლა-გამოცვლა, ოღონდ ზუსტი მონაცემები გვაკლდა. დონბასიდან ამხანაგები გვიგზავნიდნენ დეპეშას, რომელშიც ამბობდნენ: ჩვენ 3 000 ფუთი ხორბალი გადავცვალეთო. ეს პატარა უბანს ეხებოდა, მაგრამ დეტალები არ ვიცით. ვფიქრობდი, რომ ამხანაგები აქ გამოვიდოდნენ და გვეტყოდნენ: რა ეკვივალენტებზე, რომელი ორგანიზაციის საშუალებით: სასურსათო კომისარიატის, მოიჯარადრის, კონცესიონერის თუ კერძო მეწარმის საშუალებით? ეს ჩვენ არ ვიცით, ეს კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი დეკრეტები. დეკრეტების წაკითხვა შეიძლება, და იმისათვის, რომ აქ

დეკრეტებზე ვისაუბროთ, ჩამოსვლა და თავმოყრა არ ღირს, ხოლო იმისათვის, რომ განვსაჯოთ, თუ როგორ მიიღეს 3 000 ფუთი ხორბალი დონბასში და უკეთ ხომ არ გააკეთეს ეს საქმე ამხანაგებმა ვოლინში ან ტამბოვში, ამისათვის ღირს თავმოყრა. ადგილებზე საკმაოდ ბევრია გაკეთებული. საჭიროა, რათა ადგილებმა აქ მოგვაწოდონ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილების შედეგები: მე ესა და ეს გავაკეთე, მაგრამ ხელს მიშლიდა ცენტრალური დაწესებულება, მე კი ისე მოვახერხე, რომ ცენტრალური დაწესებულება დავიმორჩილეო. ტამბოვის გუბერნიის შესახებ აქ სრულიად ყრუდ იყო ნათქვამი ამხანაგის მიერ, რომელიც პარლამენტურმა სიტყვამ გაიტაცა და რომელიც სასურსათო კომისარიატს ანიავებდა, რომ ჩვენ კოოპერაციული მთავარი კომიტეტები და დაწესებულებანი გვაქვსო. ამხანაგები ამ გზით წასულან. იქ არის უამრავი არახელსაყრელი მეორეხარისხოვანი პირობები, ნაკლნათესობა, საერთოდ მძიმე პირობები, იქ მინუსი მინუსს მოსდევს, და მაინც ამ ამხანაგის მონაცემებიდან ჩანდა, რომ გაცვლა დაიწყო და კოოპერაცია ამუშავებულია. პომადაც კი იყო ნახსენები. რამდენი პომადა წაიღეთ, რა პირობებში ნაწილდებოდა იგი? საჭიროა პომადაც გამოვიყენოთ სააღებმიცემოდ; ვაჭრობაში ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რისი მოთხოვნილებაცაა. პომადის მოთხოვნილება თუ არის, ჩვენ უნდა მივცეთ. ჩვენ პომადაზეც შეგვიძლია მსხვილი მრეწველობა ავაგოთ, თუ სათანადოდ წარვმართავთ სამეურნეო საქმიანობას. ოღონდ უნდა გამოვიანგარიშოთ, რამდენი უნდა ვიყიდოთ ან ვიშოვნოთ ეს პომადა, რათა 1 000 ფუთი პური ვიყიდოთ. ვფიქრობ, რომ, კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც ისეთი რამეებით ვაჭრობენ, როგორიცაა არაყი და სხვა გამაბრუებელი საშუალებანი, ჩვენ ამას არ დავუშვებთ, რადგან, რაც უნდა ხელსაყრელი იყოს ასეთი რამეები ვაჭრობისათვის, ისინი ჩვენ წაგვიყვანენ უკან — კაპიტალიზმისაკენ, და არა წინ — კომუნიზმისაკენ, მაშინ როდესაც პომადა ამას არ გვემუქრება. ვოლინის შესახებ ამბობდნენ, რომ იქ არის ისე-

თი ადგილები, სადაც 10 გირვანქა მარილში ერთ ფუთ პურს იძლევიანო. მაგრამ როგორ წარმოებდა ეს ვაჭრობა? გყავდათ თუ არა ნოქრები? როგორ ვაჭრობდით? ვინ ინახავდა საქონელს? ვინ ადებდა ბოქლომს? რამდენი მოიპარეს? — ამაზე არაფერი არ იყო ნათქვამი. მაგრამ სწორედ ეს არის თქვენთვის მნიშვნელოვანი. სამაგიეროდ ამბობდნენ, პოლონელები ფუთ პურში ფუთ მარილს იძლეოდნენო. ამხანაგთან საუბარში ვამბობდი, თუ პოლონელები ფუთ პურში ფუთ მარილს იძლევიან, თქვენ კი გლეხები 10 გირვანქაში გაძლევთ, შეგეძლოთ თქვენთვისაც გევაჭრათ-მეთქი. ვინ გიშლიდათ ხელს? თქვეს, ცენტრი გვიშლიდა ხელსო. ნება მომეცით არ დაგიჯეროთ, ოითქოს ცენტრი გიშლიდათ ხელს ერთ ფუთ პოლონურ მარილში ოთხი ფუთი პური მიგეღოთ. შეუძლებელია, რომ ჩვენ ამის წინააღმდეგი ვყოფილიყავით; ამას არასოდეს არ დავიჯერებ. წინათ, როცა არმია იყო, ამხანაგები ჩიოდნენ, ყველაფერი სამხედრო ხელისუფლების მეშვეობით კეთდებოდა, ახლა კი, როცა არმია არ არის, როცა ომი არ არის, ცენტრს უნდა შევეკითხოთო; ამხანაგი ამბობდა, რომ ახლა მათ აქვთ «იუჟბუმი», და რომ ისინი ომობენ ამ «იუჟბუმის» წინააღმდეგ, ხოლო როცა შევეკითხე, თუ რომელ დაწესებულებაში შეიტანეს საჩივარი «იუჟბუმის» წინააღმდეგ, მან მიპასუხა, არ ვიცი, ეს კი ხომ ძალიან მნიშვნელოვანია.

მათ არ ძალუძთ დაასახელონ ის დაწესებულება, სადაც «იუჟბუმზე» საჩივარი იყო შეტანილი. რა არის ეს «იუჟბუმი», მე არ ვიცი; ეს, ალბათ, იმგვარივე დაწესებულებაა, რომელსაც იგივე ბიუროკრატიული დამახინჯება ახასიათებს, როგორც ყველა ჩვენს სხვა საბჭოთა დაწესებულებას. ბურჟუაზია დღემდე ბრძოლას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ. ბევრი მათგანი ჩვენ საზღვარგარეთ გავაძევეთ მილიუკოვის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი ათასია აქ და ომს ეწევა ჩვენს წინააღმდეგ ბიუროკრატიული ხელოვნების ყველა წესის მიხედვით. თქვენ კი, ამხანაგებო, როგორ ომობთ ამის წინააღმდეგ? თქვენ ფიქრობთ, რომ ცარიელი

ხელებით შეგიძლიათ აიღოთ ეს «იუჟბუმი» და ა. შ.. როდესაც ჩვენ დენიკინთან ომს ვაწარმოებდით, მის წინააღმდეგ ჩვენ ცარიელი ხელებით კი არ მივდიოდით, არამედ კარგად ვიარაღდებოდით და არმიებს ვქმნიდით. აქ კი სხედან კანცელარიის საუცხოო მოხელეები, რომლებიც ახლა თავიანთი კლასის ინტერესებს იმაში ხედავენ, რომ ყოველგვარი სისაძაგლე მოგვიწყონ, ხელი შეგვიშალონ მუშაობაში, რომლებიც ფიქრობენ, რომ კულტურას იხსნიან, ბოლშევიკების დაცემას რომ ამზადებენ, და რომლებმაც კანცელარიის საქმე ჩვენზე 100-ჯერ უკეთ იციან. ვინაიდან როგორღა უნდა გვცოდნოდა ჩვენ ეს საქმე? მათ უნდა ვეომოთ ხელოვნების ყველა წესის მიხედვით და პასუხისგებაში მივცეთ ის პარტიული ამხანაგები, რომლებიც დადიან და ჩივიან ან ანეგდოტებს ამბობენ იმის შესახებ, რომ ამა და ამ დაწესებულებაში ესა და ეს სისაძაგლე ჩაიდინესო, დადიან მთელ მოსკოვში და ანეგდოტებს ამბობენ ბიუროკრატიულ შემთხვევათა გამო. თქვენ კი, ამხანაგებო, შეგნებულო კომუნისტებო, რა გააკეთეთ თქვენ ამასთან საბრძოლველად? — მე ვჩიოდი. — მერე რომელ დაწესებულებაში შეიტანეთ თქვენ ეს საჩივარი? თურმე, არც ერთში, ამავე დროს კი საჩივარი უნდა ეგზავნებოდეს სახკომსაბჭოსაც და სრულიად რუსეთის ცაკსაც, ე. ი. გამოყენებულ უნდა იქნეს ჩვენი კონსტიტუციით მონიჭებული ყველა უფლება. ეს ომია და, რასაკვირველია, ზოგჯერ დაკავშირებულია დამარცხებასთან. მაგრამ სად გაგონილა, რომ დამარცხებანი არ ყოფილიყოს ყველაზე ძლევამოსილი ომების დროსაც კი? ასე აქაც შესაძლებელია დამარცხებანი, მაგრამ საჭიროა ბრძოლა ვაწარმოოთ. ჩვენში კი საქმეს სერიოზულად არ ჰკიდებენ ხელს. საქმის გაჭიანურებისათვის სამართალში აძლევდით? სად არის სახალხო სასამართლოების განაჩენები იმისათვის, რომ მუშა ან გლეხი, რომელიც იძულებულია ოთხჯერ თუ ხუთჯერ მივიდეს დაწესებულებაში, ბოლოს, იღებს ფორმალურად რაღაც სწორს, მაგრამ არსებითად კი აბუჩად აგდება გამოდის? თქვენ ხომ კომუნისტები ხართ, რატომ არ უგებთ ხაფანგს ამ ვაჟბატონ

ბიუროკრატებს, მერე კი რატომ არ მიათრევთ მათ სახალხო სასამართლოში და საპყრობილეში საქმის ამ გაჭიანურებისათვის? რამდენი ჩასვით საპყრობილეში საქმის გაჭიანურებისათვის? რასაკვირველია, ეს სადავიდარაბო რამ არის, იტყვის ყველა. ალბათ, ესა თუ ის ნაწყენი დარჩება. ასე მსჯელობს ბევრი, იმის თავი კი აქვთ, რომ ვინმეს შესჩივლონ, ანეგდოტი თქვან. და ამ ანეგდოტებში, ბოლოს და ბოლოს, იკარგება ზღვარი ანეგდოტებსა და იმ ჭორებს შორის, რომლებიც მენშევიკებისა და ესერების საზღვარგარეთულ ჟურნალებში იბეჭდება. მენშევიკები აქვეყნებენ: «გვყავს საკუთარი კორესპონდენტები მოსკოვის ყველა საბჭოთა დაწესებულებაშიო» (ს ი ც ი ლ ი). ძალიან ხშირად ყველა ანეგდოტი, რომელსაც აქ ჰყვებიან, განსაკუთრებით ისეთი ანეგდოტები, რომლებსაც გასავალი აქვთ პარლამენტური ოპოზიციის სიტყვებში, რამდენიმე დღის შემდეგ გვხვდება მენშევიკურ ჟურნალებში. მაგრამ ხომ საჭიროა ვიცოდეთ ზღვარი, ხომ საჭიროა განვასხვაოთ სერიოზული ბრძოლა უბრალო მოყოლილი ანეგდოტისაგან. იქნებ, რა თქმა უნდა, როცა ხალხი დაღლილია, ესა თუ ის ნიჭიერი ორატორი, ანეგდოტს რომ მოჰყვება, ერთგვარ შესვენებას აძლევდეს ადამიანებს. ამ თვალსაზრისით მე, პირადი დაკვირვებით, საწინააღმდეგო არა მაქვს რა. მაგრამ არ შეიძლება ამით დავკმაყოფილდეთ, საჭიროა შევაჯამოთ გამოცდილება იმისა, თუ როგორ იჭერდით თქვენ, რამდენი სასამართლო პროცესი მოაწყვეთ და რა შედეგი მიიღეთ. თუ ჩვენ საქმეს ასე მივუდგებით, მაშინ გავუძლებთ ამ ომს, თუმცა ეს ომი ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე სამოქალაქო ომი.

კიდევ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ნიკოლაევის გუბერნიის შესახებ. ნიკოლაევის გუბერნიიდან ჩამოსულმა ამხანაგმა აქ მთელი რიგი ფრიად საგულისხმო მითითებანი მოგვცა. მაგრამ ეს მითითებანი, მეტწილად, დაუმუშავებელია. ის აცხობს: «მოდის ფართლეული და რკინა, მაგრამ არ მოდის პომადაო». სხვები კი აღნიშნავდნენ, ფართლეული არ მოდისო. ამხანაგი თავს დაესხა მეტომრეებს: რაკი იძულე-

ბულია ვაჭრობის თავისუფლება განახორციელოს, მას სურს იცოდეს, — თუ როგორ უნდა ებრძოლოს მეტომრეობას. ძველებურად ბრძოლა არ შეიძლება, ახლებურად კი ჩვენ მოწყობილი გვაქვს ტრანსპორტის დაცვა, მიღებულია მთელი რიგი ახალი დეკრეტები, მაგრამ, რასაკვირველია, შედეგების სწრაფად მიღება შეუძლებელია. მაგრამ სად არის ამ მხრივ თქვენი ადგილობრივი გამოცდილება? ჩვენ ახლა გვაქვს მთელი რიგი დეკრეტები იმის შესახებ, რომ დაცულ იქნეს ტრანსპორტი არა მეტომრეებისაგან, არამედ «მისი არასწორად გამოყენებისაგან». შექმნილია სპეციალური კომისიები, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და ტრანსპორტის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული სამეულები, აქ არის სამხედრო უწყებაც, გზათა სახალხო კომისარიატიც. თქვენთან კი ადგილებზე რა ორგანოები მოქმედებენ? როგორ უთანხმდებიან ისინი ერთმანეთს? რა კეთდება იმ საჩივრების გამო, რომ მეტომრეები მოგვერივნენო? როგორ მოქმედებენ ისინი? როგორ უთანხმდებიან ისინი ერთიმეორეს? აი რაზე უნდა ვილაპარაკოთ. აქ კი მოდიან და შემოგვჩივიან: «ჩვენ მეტომრეები მოგვერივნენო». ჩვენ დეკრეტული მითითებანი მივიღეთ. იქნებ, ეს მითითებანი სწორი არ არის, უნდა შევამოწმოთ ისინი, მაგრამ როგორ ვქნათ ეს? ჩვენ ვაქვეყნებთ დეკრეტებს. თქვენ მათ იცნობთ, თქვენ ჩამოდიხართ, რათა განიხილოთ ისინი და მათი პრაქტიკული გამოყენება. აი ამა და ამ ადგილას ესა და ეს სატრანსპორტო სამეული ასე და ასე მოქმედებდა. აქ წარმატებით, იქ წარუმატებლად. შესაძლოა, ეს ისეთი ბრწყინვალე გამოსვლა არ იქნეს, როგორც გამოსვლა სასურსათო დიქტატურის შესახებ. მაგრამ უამისოდ ჩვენ ვერ ვისწავლით იმას, რომ ნაკლები შეცდომები გვქონდეს ჩვენს სადეკრეტო მუშაობაში, ეს კი მთავარია.

დასასრულ გადავალ იმ დასკვნებზე, რომლებიც, მგონია, ძალიან სწორად არის დასახული ამხ. ოსინსკის მიერ და რომლებიც ჩვენი საქმიანობის საერთო შეჯამებას წარმოადგენენ. ოსინსკიმ სამი დასკვნა მოგვცა. პირველი დასკვნა — «სერიოზულად და დიდი ხნით». ვფიქრობ, რომ ის სავსებით

მართალია. «სერიოზულად და დიდი ხნით» — ეს მართლაც კარგად, მტკიცედ უნდა დავიხსომოთ, რადგან, ჭორიკანული ჩვეულების გამო, ავრცელებენ ხმებს, რომ წარმოებს პოლიტიკა ბრჭყალებში, ე. ი. პოლიტიკანობა, რომ ყველაფერი სადღეისოდ კეთდებაო. ეს მართალი არ არის. ჩვენ ვითვალისწინებთ კლასობრივ თანაფარდობას და მხედველობაში ვიღებთ იმას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს პროლეტარიატმა, რათა გაუძღვეს გლეხობას, ყოველივეს მიუხედავად, კომუნიზმის მიმართულებით. რა თქმა უნდა, გვიხდება უკანდახევა, მაგრამ ამას უაღრესად სერიოზულად, კლასობრივ ძალთა თვალსაზრისით უნდა მოვეკიდოთ. აქ რაიმე ეშმაკობის დანახვა იმას ნიშნავს, რომ მიჰბაძო ობივატელებს, წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც ცოცხლობს, ცხოველუნარიანობას იჩენს არა მარტო კომუნისტური პარტიის ფარგლებს გარეთ.

ჩვენ უნდა წინ წამოვწიოთ უპარტიო თაოსანი მუშაკები. კიდევ და კიდევ უნდა ვთქვათ, რომ კრებების, ყრილობების, კონფერენციებისა და თათბირების ხასიათი კომუნისტურ პარტიაში და საბჭოთა რუსეთში მაინც არ შეიძლება ისეთი იყოს, როგორიც იგი ძველ დროს იყო და როგორიც იგი ჯერ კიდევ რჩება ჩვენში, როდესაც პარლამენტური ოპოზიციის ყაიდაზე სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს და შემდეგ რეზოლუციას დასწერენ. რეზოლუციები ჩვენში იმდენი დაგროვდა, რომ მათ არათუ ვერავინ წაიკითხავს, არამედ ვერც შეაგროვებს. ჩვენ საქმით უნდა ვიყოთ გართულნი და არა რეზოლუციებით. ბურჟუაზიულ წყობილებაში საქმეს აკეთებდნენ მეპატრონენი და არა სახელმწიფო ორგანოები, ჩვენში კი სამეურნეო საქმე ჩვენი საერთო საქმეა. ეს ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო პოლიტიკაა. შეიძლება, რა თქმა უნდა, 999-ჯერ გამოლანძღო მენშევიკები, ეს საჭიროცაა, მაგრამ მაინც ეს უკვე განმეორებაა, რომლითაც ბევრი ჩვენგანი უკვე ოცდაათი წელია გართული. და უმრავლესობას ეს მობეზრდა.

აი საკითხი, თუ როგორ გადავცვალოთ სოციალისტურ სახელმწიფოში პურზე ფართლეული, პომადა და სხვა, როგორ

მოვიქცეთ, რომ პოლონურ მარილში ზედმეტი ფუთი ფქვილი მივიღოთ — აი ეს ასკეცად უფრო საინტერესოა. თუმცა ამას შეჩვეული არა ვართ, მაგრამ საჭიროა პარტიულ კრებებზე ასეთი თაოსნობის საკითხს განვიხილავდეთ. მთელი კაპიტალისტური მსოფლიო უაღრესად დამშეულია. რაც შეეხება მარილს, პომადას და სხვა წვრილმან საგნებს — ამით ისინი ძალიან მდიდარნი არიან, და, თუ ჩვენ სწორად გამოვიყენებთ ადგილობრივი ბრუნვისა და ინიციატივის ლოზუნგს, ჩვენ ცოტაოდენ ზედმეტ პურს ვიშოვნით.

ამხ. გუსევმა გადმომცა კომუნისტური საწარმოო კოოპერატივის დებულების პროექტი. პროექტის დედააზრი გადმოცემულია მეხუთე პუნქტში, სადაც კოოპერატივის წევრები ითხოვენ უზრუნველყოფილ იქნეს მათთვის «საღი ჰიგიენური ულუფა» (ს ი ც ი ლ ი). «საღი ჰიგიენური ულუფა» — აქეთკენ არის მიმართული მთელი ჩვენი სასურსათო პოლიტიკა. უნდა შევაგროვოთ 240 მილიონი ფუთი პური გადასახადით და 160 მილიონი ფუთი საქონლის გადაცვლის გზით, ე. ი. სულ 400 მილიონი ფუთი ისე, რომ გლეხობა გრძნობდეს აკრეფის ამ სისტემის სიმტკიცეს.

გაწერის განგრძობა შეუძლებელი იყო. ეს პოლიტიკა უნდა შეგვეცვალა. ამ მხრივ ჩვენ, იქნებ, ჩვენი მშენებლობის ყველაზე ძნელ ადგილას ვდგავართ. კომუნისტური პარტიის მთელი მუშაობა რომ შევადაროთ უმაღლეს მეცნიერებათა ოთხწლიან კურსს, ჩვენი მდგომარეობა შეიძლება ასე განისაზღვროს: ჩვენ ვაბარებთ მესამე კურსიდან მეოთხე კურსზე გადასასვლელ გამოცდას; ჯერ კიდევ არ ჩაგვიბარებია ეს გამოცდა, მაგრამ ყველა ნიშანია იმისა, რომ ჩავაბარებთ. თუ კურსების მიხედვით ვიანგარიშებთ, პირველი კურსი იყო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან 1903 წლამდე, პირვანდელი შესასვლელი პერიოდი ნაროდოვოლცობიდან, სოციალდემოკრატიიდან და II ინტერნაციონალიდან ბოლშევიზმისაკენ. ეს პირველი კურსია.

მეორე კურსი — 1903 წლიდან 1917 წლამდე, აქ არის სერიოზული მომზადება რევოლუციისათვის და 1905 წლის

რევოლუციის პირველი გამოცდილება. მესამე კურსი—1917 წლიდან 1921 წლამდე, აქაა ოთხი წელი, რომელიც თავისი შინაარსით უფრო მეტია, ვიდრე პირველი 40 წელი. ეს იყო მეტად საქმიანი გამოცდა, როდესაც პროლეტარიატი ხელისუფლების სათავეში ჩადგა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ყოფილა გადამწყვეტი გამოცდა. თუ ჩვენში მღერიან, რომ «ეს არის ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლაო», უნდა ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ეს არის არა უკანასკნელი, არამედ ერთ-ერთი მახლობელი ბრძოლა უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლის წინ, თუკი გვინდა სავსებით ზუსტნი ვიყოთ. ახლა კი ჩვენ ვაბარებთ მესამე კურსიდან მეოთხეზე გადასასვლელ გამოცდას; ხოლო შემდეგ ჩვენ კარგად უნდა გავიაროთ მთელი მეოთხე კურსი: მაშინ ჩვენ, მართლაც, უძლეველნი ვიქნებით. ჩვენ შეგვიძლია გამარჯვება მოვიპოვოთ სამეურნეო ფრონტზე. თუ ჩვენ გლეხობის მიმართ გამარჯვებას მოვიპოვებთ და წელს «საღ ჰიგიენურ ულუფას» შევაგროვებთ, ეს იქნება მესამე კურსიდან მეოთხეზე გადასასვლელი გამოცდა. ამის შემდეგ უფრო სერიოზული იქნება მთელი ის მშენებლობა, რომელსაც ჩვენ ვსახავთ.

აი როგორ დგას ამოცანა ჩვენს წინაშე. აი, ვათავებ რა, რატომ ვაძლევ ჩემს თავს ნებას ერთხელ კიდევ გამოვთქვა სურვილი, რომ ჩვენ, მიუხედავად სიძნელეებისა, მიუხედავად მთელი ძველი ტრადიციებისა, რომლებიც არ იწყნარებენ, რომ ყრილობებზე, კონფერენციებზე და კარგ პარლამენტურ კრებებზე წვრილმანი ეკონომიკის ადგილობრივ საკითხებს აქცევდნენ ყურადღებას, მაინც ვუთხრათ ჩვენს თავს: როგორც კომუნისტები, ჩვენ ამას უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას, ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ ქვემოთ წარმოებული სამეურნეო მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას, სადაც დეკრეტებს იყენებენ, სადაც მათ ამოწმებენ, სადაც საჭიროა მათი შეცდომების გამოსწორება, სადაც საქმე იმგვარად უნდა დავიწყოთ, რომ აქ კრებაზე იგი შევაჯამოთ. მაშინ ჩვენი მშენებლობა ნამდვილად და მტკიცედ წავა წინ (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

4

პროექტი რეზოლუციისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე

1. მომენტის ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა ის, რომ ყველა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა სავსებით შეითვისოს და ზუსტად გაატაროს ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

პარტია თვლის, რომ ეს პოლიტიკა დადგენილია დროის ხანგრძლივი, მთელი რიგი წლებით ნავარაუდევი, პერიოდისათვის, და მოითხოვს ყველასაგან მის უეჭველად გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად გატარებას.

2. პირველ ადგილას დგება საქონელცვლა, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი ბერკეტი. პროლეტარიატისა და გლეხობის სწორი ურთიერთდამოკიდებულება, ამ ორი კლასის ეკონომიური კავშირის სავსებით მტკიცე ფორმის შექმნა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდისათვის შეუძლებელია ისე, თუ არ დამყარდა სისტემატური საქონელცვლა ან პროდუქტგაცვლა მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის.

კერძოდ, საქონელცვლის განხორციელება აუცილებელია, როგორც გლეხთა ნათესების გაფართოებისა და გლეხური მიწათმოქმედების გაუმჯობესების სტიმული.

ადგილების თაოსნობა და თვითმოქმედება რადაც უნდა დაგვიჯდეს ყოველ მხრივ უნდა წავახალისოთ და გავავითაროთ.

ყველაზე მეტი ნაჭარბი პურის მქონე გუბერნიები დაკვრით გუბერნიებად უნდა ვცნოთ იქ საქონელცვლის პირველ რიგში გასატარებლად.

3. კოოპერაცია მიჩნეულ იქნეს საქონელცვლის გატარების ძირითად აპარატად და სწორად ჩაითვალოს სასურსათო კომისარიატის ორგანოების მიერ კოოპერაციის ორგანოებთან ხელშეკრულებათა დადების პოლიტიკა და პირველთა მიერ კოოპერაციისათვის საქონელცვლის ფონდების გადაცემა სახელმწიფო ხელისუფლების დავალებათა შესასრულებლად და მისი კონტროლით.

მიეცეს კოოპერაციას ფართო შესაძლებლობა — აწარმოოს დამზადება და ყოველნაირად განავითაროს ადგილობრივი მრეწველობა და აამაღლოს სამეურნეო ცხოვრება საერთოდ.

ხელი შეეწყოს კოოპერაციის საკრედიტო ოპერაციებს.

ბრძოლა გამოეცხადოს ანარქიულ საქონელცვლას (ე. ი. ისეთ საქონელცვლას, რომელიც გაურბის სახელმწიფოს ყოველგვარ კონტროლს და მეთვალყურეობას) მისი უმთავრესად კოოპერაციის ხელში თავმოყრით, ისე რომ სრულიადაც არ იქნეს შეზღუდული წესიერი თავისუფალი ვაჭრობა.

შესწავლილ იქნეს ბაზარი.

4. ხელი შეეწყოს წვრილ და საშუალო (კერძო და კოოპერაციულ) საწარმოებს, უმთავრესად ისეთებს, რომლებიც არ მოითხოვენ სახელმწიფო მარაგიდან ნედლეულით, სათბობითა და სურსათით მომარაგებას.

დაშვებულ იქნეს კერძო პირებისა, კოოპერატივებისა, არტელებისა და ამხანაგობებისათვის სახელმწიფო საწარმოთა იჯარით მიცემა. ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებს უფლება აქვთ დადონ ასეთი ხელშეკრულებანი უმაღლესი ორგანოების ნებადაურთველად. სავალდებულოა ეცნობოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს თვითეული ასეთი შემთხვევა.

5. გადაისინჯოს (გარკვეულ ნაწილში) მსხვილი მრეწველობის საწარმოო პროგრამები ფართო მოხმარების საგნებისა და საგლეხო ნივთების წარმოების გაძლიერების მიმართულებით.

გაფართოვდეს თვითეული მსხვილი საწარმოს დამოუკიდებლობა და ინიციატივა ფინანსური სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების საქმეში. შეტანილ იქნეს

სათანადო ზუსტი დადგენილება სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად.

6. განვითარდეს ნატურპრემირების სისტემა და დაწესდეს ცდის სახით კოლექტიური მომარაგება.

დაწესდეს სასურსათო პროდუქტების უფრო სწორი განაწილება შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით.

7. აუცილებელია შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ აპარატი სასურსათო გადასახადის სწრაფად, სრულად და ყველგან აკრეფისათვის. უზრუნველვყოთ ამ მიზნით საჭირო პარტიული ავტორიტეტი სასურსათო ორგანოებისათვის. შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ სასურსათო აპარატის ცენტრალიზაცია.

8. ყველა წინანდელი ღონისძიება წარიმართოს მიმდინარე წლის პრაქტიკული საბრძოლო ამოცანისაკენ: შეგროვდეს სულ ცოტა 400 000 000 ფუთი პურის ფონდი, როგორც მსხვილი მრეწველობის აღდგენისა და ელექტრიფიკაციის გეგმის განხორციელების ბაზა.

9. მიღებულ იქნეს პრინციპულად შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესის პროექტი და დაევალოს სრულიად რუსეთის ცაკის ფრაქციას გადააქციოს იგი კანონად.

პარტიის უთუო და პირველი რიგის ამოცანად ჩაითვალოს მიაღწიოს საერთოდ ამ განაწესის ფრიად სასტიკად შესრულებას და განსაკუთრებით უპარტიოთა წამოყენებას სამუშაოზე და მათ ჩაბმას მუშაობაში.

10. დაწესდეს ცენტრალურ დაწესებულებათა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ადგილობრივი ინიციატივის შეფერხებისათვის და მისი არასაკმაოდ ხელშეწყობისათვის. დაევალოს სრულიად რუსეთის ცაკის ფრაქციას შეიმუშაოს სათანადო დადგენილება და გაატაროს იგი უახლოეს სესიაზევე.

11. კონფერენცია ავალებს ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ყველა ორგანიზაციას სისტემატურად განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი აგიტაციისა და პროპაგანდის გასაძლიერებლად, აგრეთვე სათანადოდ გადააჯგუფონ პარტი-

ული ძალები, ყველა ზემოჩამოთვლილი ამოცანის სავსებით გარკვევისა და გეგმაზომიერად გატარების მიზნით.

12. დაისვას, როგორც პარტიის უთუოდ უმნიშვნელოვანესი ამოცანა, სამეურნეო მშენებლობის საქმეში ადგილებისა და ცენტრის პრაქტიკული გამოცდილების ყურადღებით და ყოველმხრივ გაშუქება და შესწავლა როგორც პრესაში, ისე პროფესიულ, საბჭოთა, პარტიულ და სხვა კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე.

მთლიანად იბეჭდება პირველად,
ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებული საკორექტურო ანაბეჭდის
ტექსტის მიხედვით

5

სიტყვა კონფერენციის დახურვისას
28 მაისი

ამხანაგებო, ვფიქრობ, რომ შემიძლია სულ მოკლე სიტყვით დავკმაყოფილდე. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ საგანგებოდ მოვიწვიეთ ეს კონფერენცია და მთავარ მიზნად დავისახეთ მიგვეღწია სრული სიცხადისათვის ცენტრსა და ადგილებს შორის, პარტიულ და ყველა საბჭოთა მუშაკებს შორის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. ვფიქრობ, რომ ეს ამოცანა კონფერენციამ უსათუოდ გადაწყვიტა. ამხანაგებს აქ არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ამხ. ოსინსკიმ სავსებით სწორად გამოხატა განწყობილება ძალიან ბევრი ადგილობრივი პარტიული მუშაკისა და, ალბათ, მათი უმრავლესობისაც კი, როდესაც თქვა: უნდა აღმოვფხვრათ ყოველგვარი ეჭვი, რომ პოლიტიკას, რაც X პარტიულმა ყრილობამ დასახა და რაც შემდგომ დეკრეტებითა და დადგენილებებით დადასტურდა, პარტია იღებს როგორც ისეთ პოლიტიკას, რომელიც სერიოზულად და დიდი ხნით უნდა ხორციელდებოდესო. სწორედ ეს გამოხატა კონფერენციამ მთელი სიმტკიცით და შეავსო მთელი რიგი პუნქტებით. მას შემდეგ, რაც ამხანაგები ადგილებზე დაბრუნდებიან, ოდნავი შესაძლებლობაც კი არ დარჩება საქმის არასწორი განმარტებისათვის. რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ ვსახავთ პოლიტიკას, რომელმაც მთელი რიგი წლების განმავლობაში უნდა იარსებოს, ერთი წუთითაც არ გვავიწყდება, რომ საერთაშორისო რევოლუციას, მისი განვითარების ტემპსა და პირობებს შეუძლიათ ყველაფერი შეცვალონ. ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობა

ისეთია, რომ რაღაც დროებითი, არამტკიცე, მაგრამ მაინც წონასწორობა დამყარდა; ისეთი ტიპის წონასწორობა, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, მიუხედავად მთელი თავიანთი სიძულვილისა საბჭოთა რუსეთისადმი და მასზე თავდასხმის სურვილისა, ხელი აიღეს ამ აზრზე, რადგან კაპიტალისტური მსოფლიოს გახრწნა პროგრესიულად მიდის წინ, ერთიანობა მცირდება და მცირდება, ხოლო ძალთა მოწოლა ჩაგრულ კოლონიურ ხალხთა მხრივ, რომლებიც მილიარდზე მეტ მოსახლეობას შეიცავენ, ყოველ წელს, ყოველ თვეს, ყოველ კვირასაც კი, უფრო ძლიერი ხდება. მაგრამ ამის გამო ვარაუდი ჩვენ არ შეგვიძლია. ახლა ჩვენ საერთაშორისო რევოლუციაზე მთავარ ზეგავლენას ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ. ყველანი საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკას შესცქერიან, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელნი სრულიად გამოუკლებლივ და სრულიად გაუზვიადებლად. ეს მიღწეულია. კაპიტალისტებს არაფრის მიჩქმალვა და დამალვა არ შეუძლიათ, ამიტომ ისინი ყველაზე მეტად ჩვენს სამეურნეო შეცდომებსა და ჩვენს სისუსტეს უთვალთვალებენ. ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით ამ სარბიელზეა გადატანილი. თუ ჩვენ ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით უცილობლად და საბოლოოდ მოვიგებთ. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ფრონტზე ჩვენ უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება ნელი, თანდათანი, — სწრაფად არ შეიძლება, — მაგრამ განუხრელი აღმავლობით და წინსვლით. და მე მგონია, რომ ჩვენი კონფერენციის მუშაობის შედეგად ჩვენ ამ მიზანს უეჭველად და ყოველ შემთხვევაში მივაღწიეთ (ტ ა შ ი).

დაიბეჭდა 1921 წ. 2 ივნისს
გაზეთ «პრავდაში» № 119

იბეჭდება გაზეთ «პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სიტყვა ადგილობრივი ეკონომიური ორგანოების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე 1921 წ. 30 მაისი [90]

ამხანაგებო, მე დამრჩენია ძალიან ცოტა რამ დავუმატო იმას, რაც ამხ. ოსინსკიმ თქვა, რადგან განაწესის პირვანდელი პროექტი, რომელიც თქვენ გაქვთ [91], და ამ კანონ-პროექტის ძირითადი აზრი უკვე გადმოცემულია. სწორედ იმიტომ, რომ ეს საკითხი შეიცავს დეტალებს, რომელთა გამორკვევაზეც, არსებითად, დამოკიდებულია საქმის მთელი დედააზრი, გადაწყდა არ დავკმაყოფილებულიყავით მისი შრომისა და თავდაცვის საბჭოში და სახკომსაბჭოში განხილვით და გადაგვეტანა ეს საკითხი პარტიულ კონფერენციაზე, სადაც პრინციპულად განაწესი მოწონებულ იქნა, და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — სრულიად რუსეთის ცაკის სესიაზე. საჭიროა, რათა ადგილობრივმა მუშაკებმა ყურადღებით შეამოწმონ ამ კანონის შესრულების საშუალებანი, და, იქნებ, დასაწყისში საჭირო გახდეს მთელი რიგი დამატებითი წესების დადგენა.

საჭიროა, რათა ეს ღონისძიება არავითარ შემთხვევაში არ გადაიქცეს ბიუროკრატიზმის გაძლიერების კიდევ ერთ-ერთ წყაროდ. ეს, შეიძლება ითქვას, არცთუ მთლად გამორიცხულია, თუ ჩვენ მივიღებდით ანგარიშების მეტისმეტ რაოდენობას, ან თუ ამ ანგარიშების შედგენის წესი შემოწმების შესაძლებლობის გარანტიას ვერ მოგვცემდა. აქ, ამხანაგებო, უნდა მოვისაზროთ ანგარიშების შედგენის წესი, და, იქნებ, მიზანშეწონილად მიიჩნიოთ სპეციალური კომისიის არჩევა; ეს კომისია იხელმძღვანელებდა აქ გამოთქმული შენიშვნებით,

თქვენ მიერ მოცემული ინსტრუქციებითა და დირექტივებით და საბოლოოდ განიხილავდა საკითხს. დღემდე საკმაოდ ბევრი მასალა მოიპოვება ამ საკითხზე. ბუნებრივია, რომ თუ ანგარიშები წარმოსადგენია, ეს უნდა ქნან არა მარტო ეკონომიურმა ორგანოებმა, არამედ სახალხო კომისარიატებმაც, ე. ი. იმ სახალხო კომისარიატებმაც, რომლებიც, თუმცა ეკონომიური ხასიათისა არ არიან, მაგრამ მაინც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ეკონომიურ მუშაობასთან. ანგარიშების ბეჭდვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მისაწვდომი გავხადოთ ისინი უპარტიო მასისათვის და საერთოდ მოსახლეობისათვის. ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ ამ ანგარიშების მასობრივად წარმოების, მასობრივად დაბეჭდვის გზით, არამედ მივაღწევთ მხოლოდ ბიბლიოთეკებში თავმოყრის გზით. რაკი ასეა, საჭიროა მუშაობის ისეთი წესის დადგენა, რომ ანგარიშების მოკლე დედააზრი, იმის დედააზრი, რაც მოსახლეობას ყველაზე მეტად აინტერესებს, აუცილებლად იბეჭდებოდეს. საამისოდ ტექნიკური შესაძლებლობა მოიპოვება. ვიდრე აქ გამოვიდოდი, მე ცნობები მივიღე ქაღალდის მრეწველობის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლისაგან. მან წარმომიდგინა ზუსტი ანგარიში 339 სამაზრო პუნქტის შესახებ; ეს ანგარიში ცხადყოფს, რომ თვითეულ სამაზრო პუნქტში არსებობს სასტამბო შესაძლებლობა, აგრეთვე მოიპოვება იმდენი ქაღალდი, რომ სულ მოკლე ანგარიში დაიბეჭდოს. ამასთან ის იმგვარად ანგარიშობდა, რომ ყველაზე პატარა სამაზრო ცენტრთაგანი ბეჭდავს ერთ ნაბეჭდ ფურცელს, რასაკვირველია, თვეში ერთხელ. თვეში ერთხელ — ეს ძალიან ხშირადაა. დაადგენთ თქვენ ორ თუ ოთხ თვეში ერთხელ ან, იქნებ, უფრო ხანგრძლივ ვადაში ბეჭდვას, — ეს გაკეთდება, ალბათ, ადგილების მითითებათა მიხედვით. ის ვარაუდობს ათას ეგზემპლარს და, ამრიგად, ანგარიშობს, რომ ქაღალდის საჭირო რაოდენობა ახლა მოიპოვება. ათასი ეგზემპლარი — ეს უზრუნველყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ ეს ანგარიშები მიეღო ყოველ სამაზრო ბიბლიოთეკას მაინც და, მაშასადამე, იმის შესაძლებლობასაც,

რომ ამ ანგარიშებს გასცნობოდა ყველა ამით დაინტერესებული და, კერძოდ, უპარტიო მასა. რა თქმა უნდა, ჯერ საქმე ცდის სახით უნდა დავაყენოთ; იმის დაბეჯითებით თქმა, რომ ეს საქმე ერთბაშად მოეწყობა და არავითარი ნაკლი არ იქნებაო, ცხადია, არ შეიძლება.

ჩემი მცირე დამატების დასასრულს მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ახლა არის უპარტიოთა ფართოდ ჩაბმა მუშაობაში და იმის მიღწევა, რომ, გარდა პარტიის წევრებისა და, ყოველ შემთხვევაში, გარდა თავისი უწყების წარმომადგენლებისა, მართლაც დავაინტერესოთ მუშაობით და ჩავაბათ მასში უპარტიოთა რაც შეიძლება უფრო ფართო მასა. ჩვენ გვეგონა, რომ ამის გაკეთება სხვაგვარად არ შეიძლებოდა, თუ არა ანგარიშების, ყოველ შემთხვევაში მათი ყველაზე არსებითი ნაწილის გამოქვეყნების გზით. არის დაწესებულებანი, რომელნიც უაღრესად სრულ ანგარიშებს იძლევიან. ყოველივე ის, რაც ჩვენ ამ საკითხზე დღემდე ვიცოდით, ამტკიცებს, რომ არის საუცხოოდ დაყენებული ადგილობრივი დაწესებულებანი. ყოველ შემთხვევაში, ადგილებზე წარმოებული მუშაობა მუდამ იძლევა ბევრ მასალას იმისათვის, რომ საკმაოდ მხნედ ვიყოთ განწყობილნი. რაც ჩვენ ნამდვილად გვაკლია, ეს ისაა, რომ უნარი არ შეგვწევს ფართოდ გამოვიყენოთ საუკეთესო ნიმუშები, — ასეთი ნიმუშები ჩვენ ცოტა გვაქვს, — რათა ისინი ყველასათვის სავალდებულო მაგალითებად გავხადოთ. ჩვენს ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში არ ხდება მართლაც სანიმუშო, პრაქტიკული გამოცდილების მქონე, ადგილობრივ დაწესებულებათა ჩვენება. ანგარიშების ამ ბეჭდვამ, მოსახლეობის ფართო მასებისათვის მისაწვდომად გადაქცევამ და თვითეულ სამაზრო ბიბლიოთეკაშიც კი თავმოყრამ ხელი უნდა შეგვიწყოს უპარტიო კონფერენციების მართებულად შეკრებისას, რომ უფრო ფართო მასები ჩავაბათ სამეურნეო მშენებლობის მუშაობაში. ამის შესახებ ცოტა რეზოლუციები კი არ ყოფილა მიღებული. აქა-იქ და ზოგი რამ გაკეთებულია. სრულიად

რუსეთის მასშტაბით კი, უეჭველია, ბევრი როდი კეთდება. ამავე დროს, ჩვენ ამ გზით წავახალისებთ დაწესებულებებს და მივაღწევთ იმას, რომ ადგილობრივი მშენებლობის ყოველ რამდენადმე მაინც პასუხისმგებელ მუშაკს შესაძლებლობა ექნება თავისი ხელმოწერით ზუსტად და გარკვევით აცნობოს ცენტრს თავისი გამოცდილება და დასახოს იგი, როგორც სანიმუშო. ეს კი ამჟამად, თითქოს, ყველაზე მეტად გვაკლია.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ დავაყენებთ ჩვენ შემდგომ ამ ანგარიშების შეჯამებასა და შესწავლას, მათ გამოყენებას კონფერენციებზე, ყრილობებზე და დაწესებულებათა მიერ, — ეს გამოცდილების შემდგომ მითითებებზე იქნება დამოკიდებული. ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანია, იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც ადგილობრივ მუშაკებს უკვე მოეპოვებათ, დავამტკიცოთ ეს დეკრეტი და ცდის სახით შესაძლებელი გავხადოთ შეამოწმონ იგი ისე, რომ სრულიად რუსეთის მომავალი ყრილობისათვის (რაც დაახლოებით ამა წლის დეკემბერში უნდა შედგეს) აუცილებლად გვქონდეს ზოგიერთი შედეგი, რომლებიც გვიჩვენებდნენ, თუ როგორ გავავითაროთ, გავაუმჯობესოთ, შევცვალოთ და შევავსოთ ეს ღონისძიება გამოცდილების საფუძველზე.

აი ის მოკლე დამატება, რომელსაც ჯერჯერობით მინდა დავჯერდე.

პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1922 წელს წიგნში: «სრულიად რუსეთის VIII მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის I — IV სესიები. სტენოგრაფიული ანგარიში». მოსკოვი

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

სიტყვა სრულიად რუსეთის III სასურსათო თათბირზე 1921 წ. 16 ივნისი[92]

ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ნება მომეცით მივესალმო თქვენს თათბირს სახკომსაბჭოს სახელითაც და რკპ ცენტრალური კომიტეტის სახელითაც.

ამხანაგებო, ყოველი ჩვენგანისათვის, რა თქმა უნდა, გასაგებია, თუ რატომ ესოდენ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თქვენს თათბირს არა მარტო სურსათის დარგის მუშაკები, არამედ ყველა საბჭოთა და პარტიული მუშაკიც, მთელი პარტიაც და საერთოდ ყველა, ვინც რამდენადმე მაინც შეგნებულად ეკიდება საბჭოთა რესპუბლიკის ბედს და მის წინაშე მდგარ ამოცანებს. თქვენი თათბირი სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მომენტში იკრიბება, და ამ მხრივ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეედაროს ჩვეულებრივ მიმდინარე სასურსათო-თათბირებს, რომლებიც თქვენ არაერთხელ გქონიათ და კიდევ არაერთხელ გექნებათ.

თქვენი ახლანდელი თათბირის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ორი გარემოებით აიხსნება. უწინარეს ყოვლისა ეს არის ის გაუთვალისწინებელი გარემოება, რომლისაც ჩვენ გვეშინოდა და რომელიც უკვე მეორე წელია ისევ უაღრესად საშიშ გასაჭირში აგდებს ჩვენს ქვეყანას: შეეედით თუ არა ჩვენ გვალვიანი წლების მთელ ხანაში, როგორც ამას მეორე წელია გვიწინასწარმეტყველებენ, ეს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, მაგრამ მეორე წელსაც რომ მნიშვნელოვან რაიონებში ისევ მეტად ძლიერი მოუსავლობა

გვექნება პურეულისაც და ბალახისაც, ეს უკვე გამოირკვა და უდიდესი საშიშროების სურათს გვიხატავს. არ შევჩერდები ახლა იმაზე, თუ რა დიდია ის რაიონი, სადაც, პურეულისა და ბალახის მოსავლის შესახებ არსებული ცნობებით, ახლა მოუსავლობაა. ყოველ შემთხვევაში, ეს რაიონი საკმაოდ დიდია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს თვალწინაა უკვე იმის სურათი, რომ მთელ რიგ გუბერნიებში სასურსათო გადასახადის დიდ ნაწილს ვერ ავიღებთ, რომ მთელ რიგ გუბერნიებში, გარდა ამისა, მოსახლეობა გამოუვალ, გაუგონრად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, და სურსათის დარგის მუშაკები, ნაცვლად იმისა, რომ მათ ამ გუბერნიებში გარკვეული ნაჭარბი აიღონ არმიის, მუშათა კლასისა და მრეწველობის შესანახად, იძულებული გახდებიან დაეხმარონ ამ გუბერნიებს, დაეხმარონ დამშეულებს. ის ამოცანები, რომლებიც ამრიგად ეკისრებათ სურსათის დარგის მუშაკებს, ყოველი ჩვენი გაანგარიშების გადამეტებით ადიდებენ იმ მუშაობის სიმძიმეს, რაც თქვენ გაწევთ. ეს პირველი გარემოებაა.

მეორე გარემოება, რომელიც ესოდენ მოულოდნელ მოვლენას არ წარმოადგენს, არის გარდამავალი, გარდამტეხი მომენტი მთელ სასურსათო პოლიტიკაში. ჩვენ ახლა პირველად ვიწყებთ სასურსათო კამპანიას, პირველად ვაპირებთ შევაჯამოთ ადგილობრივი მუშაკების გამოცდილება სასურსათო მუშაობაში და მოვემზადოთ სურსათის დარგის მუშაკებისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად — ისეთ პირობებში, როდესაც სასურსათო პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას უნდა შეეცვალა არა მარტო სასურსათო პოლიტიკა, არამედ ბევრი მხრივ თავისი ეკონომიური პოლიტიკის თვით საფუძვლები, როდესაც გლეხობის შარშანდელმა არაჩვეულებრივად მძიმე მდგომარეობამ და შემდეგ იმ გარემოებამ, რომ გამოირკვა მსხვილი მრეწველობის სწრაფი აღდგენის შეუძლებლობა, გვაიძულეს მთელი სახელმწიფოებრივი მუშაობა სხვა რელსებზე გადაგვეყვანა.

იმის გათვალისწინება, რომ აუცილებელია ანგარიში გავუწიოთ ჩვენი ქვეყნის მძიმე მდგომარეობას, მსხვილი მრეწველობის სწრაფად აღდგენის შეუძლებლობას, ნიშნავს მოვემზადოთ იმისათვის, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა რადაც უნდა დაგვიჯდეს, ყოველ მიზეზს გარეშე გამოვიყვანოთ კრიზისული მდგომარეობიდან და ჩავაყენოთ შედარებით რიგიან მდგომარეობაში, ფეხზე დავაყენოთ ამისათვის წვრილი მრეწველობა, ადგილობრივი მრეწველობა, მივიღოთ ამ მხრივ ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც, ახლავე განამტკიცებენ რა წვრილ მეურნეობას, მისცემენ მას ადგილობრივი ვაჭრობის შესაძლებლობას, ამით გააფართოებენ კაპიტალის გამოყენების სფეროს და ამითვე სხვა რელსებზე დააყენებენ მთელ საბჭოთა ხელისუფლებას, თვით მის საფუძვლებს და მთელ მის ეკონომიურ პოლიტიკას.

თქვენ მშვენივრად იცით, თუ რა გარჯა დაგვჭირდა სამი წლის განმავლობაში ჩვენ ყველას, უწინარეს ყოვლისა კი თქვენ, რათა რამდენადმე მაინც განგვემტკიცებინა სასურსათო აპარატი იმისათვის, რომ მოგვეწყო იგი თუნდაც მინიმალური, თუნდაც უაღრესად აუცილებელი ამოცანების შესასრულებლად. და ამიტომ თქვენთვის, ვინც უშუალოდ და ახლოს აკვირდებოდა და განიცდიდა ამას, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რას წარმოადგენს მთელი მუშაობის სწრაფად გარდაქმნისა და ახლებურად მოწყობის ამოცანა, თუ რას ნიშნავს დაირაზმო ისეთ ვითარებაში, რომელიც ჯერ კიდევ გამოსაცდელია, და ამავე დროს გადაწყვიტო სასურსათო პროდუქტების მეტი რაოდენობით მიღების ამოცანა. ყოველივე ეს თქვენ თვითონ იცით. წლითი წლობით, მიუხედავად სამოქალაქო ომის საშინელი, გაუგონარი, ზოგჯერ არაადამიანური სიძნელეებისა, წლითი წლობით სასურსათო პოლიტიკა იძლეოდა ყველასათვის თვალსაჩინო და აშკარა შედეგებს, რომლებიც გაცილებით უფრო სწრაფად უმჯობესდებოდა და მატულობდა, ვიდრე ამის დამტკიცება შეიძლებოდა საბჭოთა მუშაობის რომელიმე სხვა დარგის პრაქტიკულ მიღწევათა მიხედვით. მაგრამ თქვენ, ცხადია, იცით

აგრეთვე, რომ, თუმცა ჩვენ დამზადება, სასურსათო დარგის მუშაკთა ძალების დაძაბვის წყალობით, პირველი წლის 110 მილიონი ფუთიდან 280 მილიონამდე და უფრო მეტად გავადიდეთ, — თქვენ ყველამ მშვენივრად იცით, რომ ეს საკმარისი არ არის.

ახლა ჩვენ პირველად ვიწყებთ დიდ სასურსათო კამპანიას ისეთ პირობებში, როცა რუსეთის სფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე თეთრგვარდიელთა ჯარები და მტრის ურდოები არ მოიპოვებიან. მაგრამ ამასაც უნდა დავურთოთ ზოგიერთი შენიშვნა: იაპონელთა მიერ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაში დაწყებული ინტერვენციის გამოკლებით, ე. ი., ისევ და ისევ, პირველსავე წელს, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთოდ და მთლიანად სამოქალაქო ომს ბოლო მოვუღეთ, — აქ ყველასათვის მაშინვე ცხადი ხდება, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ საერთაშორისო ბურჟუაზიით, რომელმაც მეტად საგრძნობი გაკვეთილი მიიღო წითელი არმიისაგან, მაგრამ რომელსაც სრულიადაც არ შეუწყვეტია თავისი ცდები — განაახლოს შემოსევა, პირდაპირი თუ ფარული ფორმით, სისტემატურად თუ დროდადრო, პირველსავე მარჯვე შემთხვევაში. ასე რომ ამ მხრივაც ჩვენ არასგზით არა ვართ სავსებით უზრუნველყოფილი. მაგრამ, გარდა ამისა, თქვენ იცით, რომ თვით ომიდან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლამ, იმ გადასვლამ, რომელზეც ჩვენ ასე დიდხანს ვლაპარაკობდით, რომელსაც ჩვენ რამდენიმე პარტიული კონფერენცია და ყრილობა მივუძღვენით, ამ გადასვლამ უკვე თავისთავად, როგორც გადასვლამ, ახალი უზარმაზარი სიძნელენი შექმნა, რადგან დანგრეული აპარატის პირობებში, მოშლილი ტრანსპორტის პირობებში თვითონ გადასვლამ ძველი დიდი არმიიდან, რომელიც საზღვარზე საბრძოლო წესით იდგა, მშვიდობიანი დროის არმიაზე უზარმაზარი სიძნელენი შექმნა, რომლებსაც ჩვენ, როგორც ეტყობა, მეტწილად თავი გავართვით, და მაინც არავის, ვინც საქმეს იცნობს, ეჭვი არ შეეპარება, რომ საკმაოდ ბევრი სიძნელე კიდევ დარჩა.

აი რატომ ვამბობ, რომ ამ სასურსათო თათბირს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ მან უნდა გადაწყვიტოს სრულიადაც არა მარტო სპეციალურად სასურსათო საკითხები, რომ თქვენი ყურადღება, თქვენი ღონისძიებანი რესპუბლიკას ახლა სჭირდება არა მარტო როგორც სასურსათო დარგის მუშაკებისა, არა მარტო როგორც ისეთი ადამიანებისა, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლებისაგან დაკისრებული აქვთ უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა — მოსახლეობის სურსათით მომარაგება, — ეს ცოტაა. თქვენ, როგორც პარტიულ მუშაკებს, მოგეთხოვებათ ძალ-ღონის დაძაბვა იმისათვის, რომ შეასრულოთ მთელი რიგი დავალებანი, რომლებიც მხოლოდ დასახულია საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების და პარტიული ორგანიზაციის დირექტივების, გადაწყვეტილებების სახით. ხოლო თქვენ თვითონ იცით, თუ რა დიდი მანძილია ზოგადი გადაწყვეტილებიდან, ზოგადი დირექტივიდან რეალურ რამედ პრაქტიკულ განხორციელებამდე, რომ ეს ნიშნავს უზარმაზარ სიძნელეებს, რომლებიც უნდა იკისრონ მუშაკებმა, რათა წარმატებით შეასრულონ ეს პრინციპული მითითებანი, შეასრულონ ისე, რომ ისინი მარტო ქაღალდზე დაწერილნი არ დარჩნენ, რასაც, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათად ვხვდებით საბჭოთა რუსეთში.

მე მინდა მოგაგონოთ გადაწყვეტილება უკანასკნელი პარტიული კონფერენციისა, რომელიც სპეციალურად ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე მუშაობდა[93]. პარტიული კონფერენცია საგანგებოდ იყო შეკრებილი, რათა ყველა ამხანაგისათვის ჩაგვენერგა სრული რწმენა, რომ ეს პოლიტიკა, როგორც კონფერენციაზე ამბობდნენ, სერიოზულად და დიდი ხნითაა გადაწყვეტილი, რომ არავითარი მერყეობა ამის გამო შემდგომ არ იქნება. ხოლო მერყეობა, ეჭვი ცოტა როდი იყო. და აი პარტიული კონფერენცია, როგორც ხელმძღვანელი მმართველი პარტიის, მუშათა კლასის ხელისუფლების ხელმძღვანელი პარტიის უმაღლესი ორგანო, ხაზს უსვამს, თუ რა მნიშვნელობა აქვს დიდი სასურსათო ფონდის — 400 მილიონი ფუთის შეგროვებას. იგი ხაზს უსვამს, რომ

სასურსათო პოლიტიკის მთელი მნიშვნელობა, საგრძნობ ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის დაშვებაზე გადასვლა, ჩვენთვის იმით განისაზღვრება, რომ შევქმნათ დიდი სასურსათო ფონდი, დიდი სახელმწიფო მარაგი. უამისოდ არ შეიძლება არც მსხვილი მრეწველობის აღდგენა, არც ფულის ტრიალის აღდგენა, ხოლო ყოველ სოციალისტს ესმის, რომ მსხვილი მრეწველობის, ამ ერთადერთი რეალური საფუძვლის აღუდგენლად სოციალისტურ მშენებლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ჩვენი ქვეყანა უმაგალითოდ გაჩანაგებულია. წინათაც, იმპერიალისტურ ომამდე, იგი უფრო ჩამორჩენილი იყო, ომის შემდეგ უფრო მეტად გაჩანაგდა, ვიდრე სხვა ქვეყნები, და კიდევ სამ წელს იტანდა ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ ომის საშინელ სიმძიმეს. დამარცხებული ქვეყნები, რომლებსაც შეიძლება შევადაროთ რუსეთი, როგორიცაა სერბია და ავსტრია, სადაც მრეწველობა ნაკლებად კი არა, ზოგჯერ უფრო მეტადაცაა გაპარტახებული, ვიდრე რუსეთში, — ეს ქვეყნები სრულიად უიმედო, სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ ბურჟუაზიის დახმარების იმედი ჰქონდათ, რადგან მის წინააღმდეგ ომი არ გაუჩაღებიათ, ამიტომაც ისინი ორგვარად არიან დაბეჩავებულნი — შიმშილით, გაჩანაგებით, გაღატაკებით, როგორც ჩვენ, და იმის შეგნებით, რომ მათი მდგომარეობა უმწეოა, რომ ისინი ბურჟუაზიაზე ამყარებდნენ იმედს და იღუპებიან, რადგან მათ დახმარების შანსები არა აქვთ. ჩვენ კი, მთელი გაუგონარი სიძნელეების მიუხედავად, ვხედავთ და ნათლად გვაქვს შეგნებული, მუშათა და გლეხთა მასებიც ნათლად ხედავენ, რომ, გაუგონარ სიძნელეთა მიუხედავად, ახალი ძალები ჩნდებიან. ყოველი სიძნელე წამოსწევდა ხოლმე ახალ ძალებს, წარმოშობდა ენერგიის ახალ წყაროებს, გვისახავდა ახალ გზებს. ამ ძალების მუშაობა გვიმტკიცებდა, რომ, თუმცა საშინლად ნელა, მაგრამ მაინც წინ მივდივართ, რომ, თუმცა ზოგჯერ წარმოუდგენელი გაჭირვებით ვახერხებთ სიძნელეთა გადალახვას, ჩვენ მათ მაინც ვძლევთ.

იზრდება იმის შეგნება, რომ სრულიად სხვაგვარ საფუძველზე შენდება სამეურნეო ურთიერთობა, რომ მშრომელი კლასი, რაც უნდა დიდი იყოს მისი ტანჯვა, ყველა საკითხს წყვეტს კაპიტალისტების დაუხმარებლად, თანდათან, დღითი დღე, ილაშქრებს მათ წინააღმდეგ და პოზიციას პოზიციაზე იპყრობს.

აი, ამხანაგებო, რა წარმოადგენს, როგორც მე მგონია, პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა არსს, დედააზრს, შედეგს, და ამით მე განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა, თუ რამდენად არის ახლა ეს თათბირი არა მარტო სპეციალისტების თათბირი, არამედ პარტიული და საბჭოთა მოღვაწეებისა, რომლებსაც პრაქტიკულად უხდებათ ეკონომიური პოლიტიკის ახალი ფორმების, მთელი საბჭოთა შენობის საძირკვლის შენება უაღრესად ძნელ პირობებში.

გვიხდება ორგვარად შენება: ჯერ ერთი, გადასახადის საშუალებით და, მეორეც, საქონლის გაცვლის საშუალებით. გადასახადი, საშუალო მოსავლის ვარაუდისას, 240 მილიონი ფუთით არის განსაზღვრული, — ეს ისეთი რაოდენობაა, რომელიც საკმარისი არ არის აუცილებელი არმიისა და სრულიად აუცილებელი სამრეწველო საწარმოების ძლივძლივობით შესანახადაც კი, ისეთი რაოდენობაა, რომლის მთლიანად, 100%-ით, შეგროვება არათუ მოსალოდნელი მოუსავლობისას, არამედ საერთოდაც კი უაღრესად ძნელი ამოცანაა.

მე ხელთ არა მაქვს ზუსტი მონაცემები, თუ როგორ შეიცვალა რაიონებში ჩვენი სასურსათო გამოცდილების სამი წლის მანძილზე, სასურსათო მუშაობის დარგში ჩვენი გეგმებისა და ჩვენი დავალებების შესრულების პროცენტი. მაგრამ საერთო ძალ-ღონით შექმნილი აპარატი უკეთესი რომ იყო, ვიდრე მთელი რიგი სხვა ჩვენი სახალხო კომისარიატებისა, მუშაობის უნარიანობა რომ აქ მუდმივად მატულობს, — ეს ყველამ იცის. და მე უცილობლად მიმაჩნია, რომ წელს, როდესაც ამ მუშაობას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი, ჩვენ გავადიდებთ იმ დავალებათა შესრულების პროცენტს, რომლებსაც რესპუბლიკა ჩვენ გვაკისრებს. თუ 100%-ით არა,

თითქმის 100%-ით უნდა შევასრულოთ დავალება, და ჩვენ შეგვიძლია ეს შევასრულოთ, იმ სიძნელეთა დროსაც კი, რომლებიც ჩვენ შეგვიქმნა მოსალოდნელმა მოუსავლობამ. შესაძლოა, დანაკლისი ათეული მილიონობით ფუთი იქნეს, მაგრამ, შესაძლოა, ეს დანაკლისი ანაზღაურდეს სასურსათო გადასახადის იმ ნამატით, რის მოცემასაც გვპირდებიან ის ადგილები, სადაც განსაკუთრებით კარგი მოსავალი იყო.

ამხანაგებო, მოსავალი ოდნავადაც არ უწევს ანგარიშს სასურსათო აპარატის მდგომარეობას და მაინცდამაინც კარგი, სიამოვნების მომგვრელი არ ყოფილა იქ, სადაც განსაკუთრებით კარგი სასურსათო აპარატია. მოსავლის მდგომარეობის მაჩვენებელ რუკას რომ გადავხედოთ, აღმოჩნდება, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკისა და სხვა მეზობელი და მოძმე რესპუბლიკების ის ადგილები, სადაც მოსავალს განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს, ან სადაც იგი საშუალოზე მეტი შეიძლება იყოს, რომ სწორედ იქ სასურსათო აპარატი არასგზით არ არის საშუალოზე მაღალი და უფრო დაბალიც კია. განსაკუთრებით ენერგიულად უნდა დავსვათ სასურსათო აპარატის ძალთა გადასროლის ამოცანა, ხოლო ამ გადასროლისათვის ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც საკმაოდ მომზადებულნი, საკმაოდ გამოცდილნი იყვნენ, რომლებიც ახალ ადგილზე დასხდებოდნენ, მდგომარეობას ერთბაშად შეეგუებოდნენ და სწრაფად წასწევდნენ წინ მუშაობას. ეს ისეთი საქმეა, რომელიც კვლავ და კვლავ მოითხოვს ყურადღებას.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც პარტიულმა კონფერენციამ პირველ ადგილას დააყენა და უკანასკნელმა პარტიულმა ყრილობამ გადაწყვიტა — ეს არის საქონლის გაცვლის ამოცანა. უაღრეს ყურადღებას ყველა იმათი მხრივ, ვინც მოსკოვში, საბჭოთა და საერთო-პარტიული მუშაობის ცენტრში იმყოფება, ყველაზე მეტ ყურადღებას, ყველაზე მეტ ზრუნვას სწორედ ეს საკითხი იწვევს. თუ რამდენად მოვახერხეთ ჩვენ საამისოდ მომზადება, რა არის აქ პრაქტიკულად გაკეთებული, რა განხორციელდა ამ გეგმებიდან, — ეს ის

საკითხია, რომელიც თქვენ პირველად უნდა გადაწყვიტოთ უკვე საქმის ნამდვილად გაცნობის საფუძველზე. აქ განსაკუთრებით დიდი, განსაკუთრებით არსებითი მნიშვნელობა აქვს თქვენი პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, მის შეჯამებას.

ახალი საქმეა, იგი ძალების კიდევ უფრო მეტ გადასროლას მოითხოვს. ეს საქმე მოითხოვს არა იმას, რაც წინათ სასურსათო აპარატს მოეთხოვებოდა: ცოტად თუ ბევრად ერთნაირ, შეძლებისამებრ სწორად მომუშავე მანქანას, რომლის ამოცანა იყო სურსათის გარკვეული რაოდენობის შეგროვება, და მეტი არაფერი. არა, აქ უნდა გავითვალისწინოთ ადგილების სხვადასხვაობა, საქონლის მოთხოვნილებათა სხვადასხვაობა, ეკვივალენტის სხვადასხვაობა. უნდა შეეგუოთ არა იმას, რასაც საბჭოთა ხელისუფლება მოითხოვს და რის შესრულებაც საბჭოთა აპარატს შეუძლია. არა, თქვენ უნდა შეეგუოთ წვრილ მიწათმოქმედთა ცხოვრების სამეურნეო პირობებს, თქვენ უნდა გაითვალისწინოთ, რა სჭირდებათ მათ და რაშია მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული. თქვენ ებრძოდით მეტომრეობას, ვაჭრობას, რომელიც გვერდს უვლიდა სახელმწიფოს განკარგულებებს. თქვენ მის წინააღმდეგ ბრძოლა ახლაც უნდა აწარმოოთ. მაგრამ, საქონლის გაცვლა რომ განვახორციელოთ და თავისუფალმა ბაზარმა არ დაგვამარცხოს, — არ დაგვამარცხოს ამ თავისუფალმა ვაჭრობამ, ჩვენ მას კარგად უნდა ვიცნობდეთ, მას მეტოქეობა უნდა გავუწიოთ და დავამარცხოთ იგი მისივე საკუთარი კოზირით, მისივე საკუთარი იარაღით, — ამისათვის კი საჭიროა მას ვიცნობდეთ.

ჩვენ გვესაჭიროება არა ძველი ბიუროკრატიული საშუალებანი, არამედ გვესაჭიროება ვაჭრობის პირობების გათვალისწინება, ჩვენ გვესაჭიროება მათი ზუსტად ცოდნა, ყოველგვარი ცვლილების სწრაფად გათვალისწინების უნარი. ამისათვის საჭიროა, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის უზარმაზარ სივრცეზე სწრაფად გადავისროლოთ სურსათიც და გადასაცვლელი საქონელიც. ჩვენს წინაშე ძალიან დიდი

სიძნელეებია აღმართული. მაგრამ ეს საფუძველია მთელი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ჩვენ მთლიანად არ აღვადგენთ მსხვილ მრეწველობას, ეს დრო კი შეიძლება სულ ცოტა ათეულ წელს უდრიდეს, და ჩვენ ამ დროის მანძილზე მუშათა კლასისა და გლეხობის, ამ ორი ერთადერთი კლასის ურთიერთობის ისეთი ფორმები უნდა შევქმნათ, რომელთა საფუძველზეც უნდა ვაშენოთ ჩვენი ეკონომიკა, უნდა შევქმნათ ამ კლასების ისეთი კავშირი, რომელიც მეურნეობრივად ორივე მხარეს დააკმაყოფილებდა, ისეთი კავშირი, რომელიც ანგარიშს გაუწევდა წვრილ გლეხს, როგორც წვრილ გლეხს, ვიდრე ჩვენ არ შეგვიძლია მივცეთ მას მსხვილი მრეწველობის ყველა პროდუქტი.

უნდა გავუწიოთ ანგარიში წვრილ მეურნეს, რომელიც თავის ნაჭარბს ჰყიდის, უნდა გავუწიოთ ანგარიში იმასაც, რომ ქალაქის მოსახლეობამ, მუშებმა უნდა გაიუმჯობესონ მდგომარეობა. უამისოდ წარმატებას ვერ მივაღწევთ ჩვენს შემდგომ სამშენებლო მუშაობაში, რომელიც იმდენად განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელი იქნება. აი რატომ არის, რომ საქონლის გაცვლის ამოცანა ახლა მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ამაზე მოგიხდებათ თქვენ მუშაობა, როგორც სასურსათო საქმის მუშაკებსაც, როგორც სამეურნეო მუშაკებსაც და როგორც კოოპერაციის თანამშრომლებსაც. აი რას მოელის თქვენგან საბჭოთა ხელისუფლება, აი რას მოელის თქვენგან პარტია და მთელი რესპუბლიკა, რადგან თქვენს დამოკიდებულებაზე ამ მუშაობისადმი, თქვენს წარმატებაზეა დამყარებული ამჟამად მთელი საბჭოთა რესპუბლიკის, მთელი სოციალისტური მშენებლობის უმთავრესი იმედი.

ამხანაგებო, დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ თქვენს კონფერენციას ერთი სპეციალური ამოცანა ეკისრება: მხედველობაში მიიღოთ საკითხი, რომელიც დასმული იყო მაისში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინაშე

და ცენტრალურ კომიტეტში განხილვის შემდეგ გადაწყვეტილ იქნა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე. ეს ის საკითხია, რომ სათანადო სიფრთხილითა და თანდათანობით, მაგრამ მაინც დაუყოვნებლივ დავადგეთ კოლექტიური მომარაგების გამოცდის გზას. ჩვენ მიერ სურსათის განაწილებაში აღმოჩნდა ნაკლოვანებანი, და შემდგომ ასე არ შეიძლება დარჩეს. სურსათის ის განაწილება, რომელსაც ჩვენ გათანაბრების საფუძველზე ვამყარებდით, ქმნიდა გამთანაბრებლობას, ზოგჯერ წარმოების გადიდებისათვის მავნე გამთანაბრებლობას. საჭიროა, რათა რესპუბლიკა მის მიერ შეგროვილი ნაჭარბი პურით მხოლოდ იმას ამარაგებდეს, რაც აუცილებელია წარმოებისათვის. ჩვენი მრეწველობის ყველა საწარმოს ჩვენ ვერ მოვამარაგებთ, მაგრამ ჩვენთვის ეს არც არის საჭირო: ეს მეურნეობის მფლანგველურად გაძღოლა იქნებოდა. მსხვილი მრეწველობის მთლიანად აღდგენა ჩვენ არ შეგვიძლია; მაშასადამე, იქიდან უნდა გამოვყოთ ის, რაც უკეთ არის მოწყობილი, რაც მეტი ნაყოფიერების იმედს იძლევა, და მხოლოდ ეს უნდა მოვამარაგოთ.

სასურსათო საქმის მუშაკები ვერ დასჯერდებიან იმას, რომ იფიქრონ, ამდენ და ამდენ მილიონ ფუთს მივიღებთ, ასეთი და ასეთი ნორმით, თუნდაც იმავე ბარათებით, გავანაწილებთ, მორჩა და გათავდა; შემდგომ ჩემი საქმე არ არისო. დღის წესრიგში დგას ყველა ეკონომიური სახალხო კომისარიატის საქმიანობის გაერთიანება. არა მარტო ის, რაც უშუალოდ სასურსათო საქმის მუშაკებს ეხება, არამედ სამეურნეო საქმიანობის მთელი ერთობლიობა — აი რა უნდა აინტერესებდეს სასურსათო საქმის ყოველ შეგნებულ მუშაკს. მას მეტი მოთხოვნები წარედგინება.

მხოლოდ სასურსათო საქმის მუშაკი ვერ იქნები. უნდა იყო ეკონომისტი, რომელიც აფასებს მუშაობის თვითეულ სათანადო ნაბიჯს, ყველა ეკონომიური სახალხო კომისარიატის მუშაობასთან და ამ მუშაობის ყველა შედეგთან დაკავშირებით.

როდესაც ლაპარაკია სურსათის განაწილებაზე, შეუძლებელია იმაზე ფიქრობდე, რომ საჭიროა მხოლოდ სამართლიანად განაწილდეს, არამედ უნდა ფიქრობდე იმაზე, რომ ეს განაწილება არის წარმოების გადიდების მეთოდი, იარაღი, საშუალება. აუცილებელია მხოლოდ იმ მოსამსახურეთა სახელმწიფო მომარაგება სურსათით, რომლებიც მართლაც საჭირონი არიან შრომის რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერების პირობებში, და თუ გავანაწილეთ სასურსათო პროდუქტები, როგორც პოლიტიკის იარაღი, ეს უნდა ხდებოდეს იმათი რიცხვის შემცირების გზით, რომლებიც უსათუოდ საჭირონი არ არიან, და იმათი წახალისების გზით, ვინც მართლაც საჭიროა. თუ განაწილება იარაღია პოლიტიკისა, რომელიც ჩვენს მრეწველობას აღადგენს, მაშინ აუცილებელია მოვამარაგოთ ის სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ახლა მართლაც გვესაჭიროება, და უსათუოდ. არ მოვამარაგოთ ის საწარმოები, რომლებიც ახლა არ გვესაჭიროება, რათა ამით მივიღოთ სათბობის ეკონომია, სასურსათო პროდუქტების ეკონომია. ამ მხრივ ჩვენს სამეურნეო საქმიანობას მთელი რიგი წლების განმავლობაში დიდი ნაკლოვანებანი ჰქონდა. ახლა ეს ნაკლოვანებანი უნდა გამოვასწოროთ.

თქვენ ხედავთ, რომ, რაც უფრო აკვირდები საქმეს, მით უფრო და უფრო ფართოდ ვითარდება იმ ამოცანების ქსელი, რომლებიც ისმება თქვენი სასურსათო თათბირის წინაშე. მაგრამ იმედი მაქვს, რომ არც ერთი თქვენგანი არ იგრძნობს შიშს ამ ამოცანების სირთულის შეგნების გამო, რომ, პირიქით, ის არაჩვეულებრივი ამოცანები, რომლებიც თქვენს წინაშე დგას, როგორც საბჭოთა მუშაკებისა და როგორც პარტიული მუშაკების წინაშე, ახალ ენერგიას შეგმატებენ, რათა ეს ამოცანები გადაწყვიტოთ. სხვა სახალხო კომისარიატებში წინათ გაწეული მუშაობის გამოცდილებას შეუძლია ნათლად დაგვანახოს, რომ უსათუოდ საჭიროა საბჭოთა მუშაობისა და პარტიული მუშაობის კომბინირება. მთელი რიგი მორიგი საბრძოლო დავალებანი არაჩვეულებრივად ძნელ პირობებში სასურსათო საქმის მუშაკებს მხოლოდ იმის

წყალობით შეეძლოთ შეესრულებინათ, რომ ზოგჯერ გვიხდებოდა მოქმედება სრულიადაც არა საერთოდ მიღებული გზით, არამედ საგანგებო ღონისძიებათა გზით, დამკვრელობის მეთოდებისა და საბრძოლო წესის გამოყენების, როგორც საბჭოთა დაწესებულებების, ისე პარტიული ორგანოების უჩვეულო საქმიანობის გზით. ვიმეორებ, სწორედ ძირითადი საფუძველი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა შეადგენს თქვენი სასურსათო თათბირის მთავარ დავალებას. ამას უნდა მიაქციოთ მთელი თქვენი ყურადღება.

დასასრულ ნება მომეცით გამოვთქვა რწმენა, რომ ძალების იმ მიმართულებით გაერთიანების გზით, რა მიმართულებითაც ჩვენ მივდივართ, ჩვენ შეეძლებთ განვამტკიცოთ საფუძვლები წარმატებითი ეკონომიური პოლიტიკისა, რომელიც შექმნის მუშათა კლასისა და გლეხობის, ამ ორი ძირითადი კლასის კავშირს, რომლებსაც ეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება, იმ სამეურნეო კავშირს, რომელსაც მარტოოდენ ძალუძს უზრუნველყოს მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წარმატება (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

«პრავდა» №№ 133 და 134;
1921 წ. 22 და 23 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი[54]

1921 წ. 22 ივნისი — 12 ივლისი

მთლიანად პირველად დაიბეჭდა: «თეზისები მოხსენებისა რკპ ტაქტიკის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე» 1921 წელს ცალკე ბროშურად; სიტყვები და მოხსენება — 1922 წელს წიგნში: «კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე მსოფლიო კონგრესი. სტენოგრაფიული ანგარიში». პეტროგრადი

იბეჭდება: «თეზისები» ხელნაწერის მიხედვით; სიტყვა იტალიის საკითხზე, სიტყვა კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის დასაცავად და მოხსენება რკპ ტაქტიკის შესახებ წიგნის ტექსტის მიხედვით

1

თეზისები მოსახსენებისა რკპ ტაქტიკის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე

(პირვანდელი პროექტი)

1. რსფს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა

რსფს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა ამჟამად ხასიათდება ერთგვარი წონასწორობით, რომელმაც შექმნა მსოფლიო პოლიტიკის თავისებური კონიუნქტურა, მიუხედავად იმისა, რომ ეს წონასწორობა უაღრესად მერყევია. •

ეს თავისებურება შემდეგია: ერთი მხრივ, საერთაშორისო ბურჟუაზია აღსავსეა საბჭოთა რუსეთისადმი გაშმაგებული სიძულვილითა და მტრობით და ყოველ წუთს მზად არის ეკვეთოს მას დასახრჩობად. მეორე მხრივ, სამხედრო ჩარევის ყველა ცდა, რაც ამ ბურჟუაზიას მრავალი ასეული მილიონი ფრანკი დაუჯდა, სრული მარცხით დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საბჭოთა ხელისუფლება უფრო სუსტი იყო, ვიდრე ახლა არის, ხოლო რუს მემამულეებსა და კაპიტალისტებს მთელი არმიები ჰყავდათ რსფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ოპოზიცია საბჭოთა რუსეთთან ომის წინააღმდეგ უაღრესად გაძლიერდა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში; ის ასაზრდოებს პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას და ედება წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მეტად ფართო მასებს. სხვადასხვა იმპერიალისტური ქვეყნის ინტერესთა წინააღმდეგობა გამწვავდა და დღითი დღე სულ უფრო ღრმად მწვავდება. აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით ჩაგრულ ხალხთა შორის რევოლუციური მოძრაობა შესანიშნავი ძალით იზრდება. ყველა ამ პირობათა შედეგად საერთაშორისო იმპერიალიზმი უძლური აღმოჩნდა ჩაეხშო საბჭოთა რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ ის გაცილებით

უფრო ძლიერია მასზე, და იძულებული იყო დროებით ეცნო ან სანახევროდ ეცნო იგი, სავაჭრო ხელშეკრულებები დაედო მასთან.

შეიქმნა თუმცა უაღრესად არამტკიცე, უაღრესად მერყევი, მაგრამ მაინც ისეთი წონასწორობა, რომ სოციალისტურ რესპუბლიკას შეუძლია იარსებოს — რასაკვირველია, არა დიდი ხნით — კაპიტალისტურ გარემოცვაში.

2. კლასობრივ ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო მასშტაბით

საქმეთა ასეთი ვითარების საფუძველზე კლასობრივ ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო მასშტაბით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

• საერთაშორისო ბურჟუაზია, რაკი ის მოკლებულია საშუალებას აშკარა ომი აწარმოოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, დროს უცდის, უდარაჯებს ისეთ მომენტს, როცა გარემოებანი საშუალებას მისცემენ მას განაახლოს ეს ომი.

მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატმა უკვე ყველგან წამოაყენა თავისი ავანგარდი, კომუნისტური პარტიები, რომლებიც იზრდებიან და განუხრელად მიდიან პროლეტარიატის უმრავლესობის მიმხრობისაკენ ყოველ ქვეყანაში, აქარწყლებენ რა გავლენას ძველი ტრედუნიონისტული ბიუროკრატებისას და ამერიკისა და ევროპის მუშათა კლასის ზედაფენისას, რომელიც გარყვნილია იმპერიალისტური პრივილეგიებით.

კაპიტალისტური ქვეყნების წვრილბურჟუაზიული დემოკრატია, რომლის მოწინავე ნაწილი მეორე ინტერნაციონალით და 2½ ინტერნაციონალით არის წარმოდგენილი, ამჟამად არის კაპიტალიზმის მთავარი დასაყრდენი, რამდენადაც მისი გავლენის ქვეშ რჩება მრეწველობისა და ვაჭრობის იმ მუშამოსამსახურეთა უმრავლესობა ან მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც ეშინიათ იმისა, რომ რევოლუციის შემთხვევაში დაკარგავენ იმპერიალიზმის პრივილეგიებით შექმნილ თავიანთ შედარებით მეშჩანურ კეთილდღეობას. მაგრამ მზარდი ეკო-

ნომიური კრიზისი ყველგან აუარესებს ფართო მასების მდგომარეობას, და ეს გარემოება, კაპიტალიზმის შენარჩუნებისას ახალი იმპერიალისტური ომების სულ უფრო აშკარა გარდუვალობასთან ერთად, სულ უფრო მერყევს ხდის ხსენებულ დასაყრდენს.

კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მშრომელი მასები, შეადგენენ რა დედამიწის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, პოლიტიკური ცხოვრებისთვის გაღვიძებული არიან უკვე XX საუკუნის დამდეგიდან, განსაკუთრებით რუსეთის, თურქეთის, სპარსეთისა და ჩინეთის რევოლუციებით. 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომი და რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა საბოლოოდ აქცევენ ამ მასებს მსოფლიო პოლიტიკისა და იმპერიალიზმის რევოლუციური ნგრევის აქტიურ ფაქტორად, თუმცა ამის დანახვა ჯერ კიდევ დაჟინებით არ სურს ევროპისა და ამერიკის განათლებულ მეშჩანობას, მათ შორის მე-2 და 2½ ინტერნაციონალების ბელადებს. ამ ქვეყნების სათავეში დგას ბრიტანეთის ინდოეთი, და იქ რევოლუცია მით უფრო სწრაფად იზრდება, რაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება მასში, ერთი მხრივ, ინდუსტრიული და რკინიგზის პროლეტარიატი, ხოლო, მეორე მხრივ, რაც უფრო მხეცური ხდება ტერორი ინგლისელებისა, რომლებიც სულ უფრო ხშირად მიმართავენ მასობრივ მკვლელობასაც (ამრიტსარი) [95], საჯარო გაწკეპლვასაც და სხვ.

3. კლასობრივ ძალთა თანაფარდობა რუსეთში

საბჭოთა რუსეთის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა იმით ხასიათდება, რომ აქ ჩვენ მთელ მსოფლიო ისტორიაში პირველად ვხედავთ მთელი რიგი წლების მანძილზე მხოლოდ ორი კლასის არსებობას: პროლეტარიატისას, რომელიც აღზრდილია მეტად ნორჩი, მაგრამ მაინც თანამედროვე მსხვილი მანქანური მრეწველობის მიერ ათეული წლების მანძილზე, და წვრილი გლეხობისას, რომელიც შეადგენს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას.

მსხვილი მიწათმფლობელნი და კაპიტალისტები რუსეთში არ გამქრალან, მაგრამ მოხდა მათი სრული ექსპროპრიაცია, პოლიტიკურად ისინი სავსებით დამარცხებული არიან, როგორც კლასი, რომლის ნარჩენები მიიმალნენ საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფო მოსამსახურეთა შორის. კლასობრივი ორგანიზაცია მათ შეინარჩუნეს საზღვარგარეთ, როგორც ემიგრაციამ, რომელიც თავის რიგებში ითვლის, ალბათ, 1½-დან 2 მილიონამდე კაცს და რომელსაც გააჩნია ნახევარ ასეულზე მეტი ყოველდღიური გაზეთი ყველა ბურჟუაზიული და «სოციალისტური» (ე. ი. წვრილბურჟუაზიული) პარტიისა, არმიის ნარჩენები და უამრავი კავშირურთიერთობა საერთაშორისო ბურჟუაზიასთან. ეს ემიგრაცია მთელი ძალღონითა და საშუალებით მუშაობს საბჭოთა ხელისუფლების დანგრევისათვის და კაპიტალიზმის აღდგენისათვის რუსეთში.

4. პროლეტარიატი და გლეხობა რუსეთში

რუსეთის ასეთი საშინაო მდგომარეობის დროს მისი პროლეტარიატისთვის, როგორც გაბატონებული კლასისათვის, მომენტის მთავარ ამოცანას შეადგენს იმ ღონისძიებათა სწორად განსაზღვრა და განხორციელება, რომლებიც საჭიროა გლეხობის ხელმძღვანელობისათვის, მასთან მტკიცე კავშირისთვის, მრავალი წლის თანდათანი გადასვლებისთვის მსხვილ განსაზოგადოებულ მანქანურ მიწათმოქმედებაზე. ეს ამოცანა განსაკუთრებით ძნელია რუსეთში როგორც ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის გამო, ისე შვიდი წლის იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით მისი უკიდურესი გაპარტახების გამო. მაგრამ ასეთი თავისებურების მიუხედავადაც ეს ამოცანა ეკუთვნის სოციალისტური მშენებლობის იმ უძნელეს ამოცანათა რიცხვს, რომლებიც წამოიჭრება ყველა კაპიტალისტური ქვეყნის წინაშე, — შესაძლებელია, მარტოოდენ ინგლისის გამოკლებით. მაგრამ ინგლისის მიმართაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ თუ იქ განსაკუთრებით მცირერიცხოვანია წვრილ მიწათმოქმედ-მოიჯარადრეთა კლასი, სამაგიეროდ განსაკუთრებით მაღალია წვრილბურჟუაზიულად

მცხოვრებთა პროცენტი მუშათა და მოსამსახურეთა შორის იმის გამო, რომ ინგლისის «კუთვნილ» კოლონიებში ფაქტიურად მონობაში იმყოფება ასეული მილიონობით ადამიანი.

ამიტომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის, როგორც ერთიანი პროცესის, განვითარების თვალსაზრისით იმ ეპოქის მნიშვნელობა, რომელსაც რუსეთი განიცდის, იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკულად გამოვცადოთ და შევამოწმოთ სახელმწიფო ძალაუფლების მპყრობელი პროლეტარიატის პოლიტიკა წვრილბურჟუაზიული მასის მიმართ.

5. პროლეტარიატისა და გლეხობის სამხედრო კავშირი რსფს რესპუბლიკაში

საბჭოთა რუსეთში პროლეტარიატისა და გლეხობის სწორი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველი შექმნილია 1917 — 1921 წლების ეპოქით, როცა კაპიტალისტებისა და მემამულეების შემოსევამ, რომლებსაც მხარს უჭერდა მთელი მსოფლიო ბურჟუაზიაც და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა პარტიაც (ესერები და მენშევიკები), შექმნა, განამტკიცა და ჩამოაყალიბა პროლეტარიატისა და გლეხობის სამხედრო კავშირი საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. სამოქალაქო ომი კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მწვავე ფორმაა, ხოლო რაც უფრო მწვავეა ეს ბრძოლა, მით უფრო ჩქარა იფერფლება მის ცეცხლში ყველა წვრილბურჟუაზიული ილუზია და ცრურწმენა, მით უფრო ნათლად უჩვენებს თვით პრაქტიკა გლეხობის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებსაც კი, რომ მისი ხსნა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას, რომ ესერები და მენშევიკები ფაქტიურად მხოლოდ მემამულეებისა და კაპიტალისტების მსახურებს წარმოადგენენ.

მაგრამ თუ პროლეტარიატისა და გლეხობის სამხედრო კავშირი იყო — და არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო — მათი მტკიცე კავშირის პირველი ფორმა, იგი რამდენიმე კვირასაც ვერ გაძლებდა, ამ კლასებს რომ ერთმანეთთან განსაზღვრული ეკონომიური კავშირი არ ჰქონოდათ. გლეხი მუშათა

სახელმწიფოსგან იღებდა მთელ მიწას, იგივე იცავდა მას მემამულისგან, კულაკისგან; მუშები გლეხებისგან იღებდნენ სესხად სურსათს მსხვილი მრეწველობის აღდგენამდე.

6. პროლეტარიატისა და გლეხობის სწორ სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულებაზე გადასვლა

სოციალისტური თვალსაზრისით წვრილი გლეხებისა და პროლეტარიატის კავშირი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სავსებით სწორი და მტკიცე, როდესაც სავსებით აღდგენილი ტრანსპორტი და მსხვილი მრეწველობა შესაძლებლობას მისცემენ პროლეტარიატს აძლიოს გლეხებს სურსათზე გადაცვლით მათთვის და მათი მეურნეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ყველა პროდუქტი. ჩვენი ქვეყნის უდიდესი გაპარტახების გამო ამის ერთბაშად მიღწევა ყოვლად შეუძლებელი იყო. სასურსათო გაწერა ყველაზე ხელმისაწვდომი ღონისძიება იყო არასაკმაოდ ორგანიზებული სახელმწიფოსთვის, რათა თავი გაეტანა მემამულეების წინააღმდეგ გაუგონრად მძიმე ომში. 1920 წლის მოუსავლობამ და უსაკვებობამ განსაკუთრებით გაამწვავეს გლეხების ისედაც მძიმე გაჭირვება და სრულიად აუცილებელი გახადეს სასურსათო გადასახადზე დაუყოვნებლივ გადასვლა.

ზომიერი სასურსათო გადასახადი ერთბაშად იძლევა გლეხობის მდგომარეობის დიდ გაუმჯობესებას და ამავე დროს ინტერესს აღუძრავს მას ნათესის გაფართოებისა და მიწათმოქმედების გაუმჯობესებისადმი.

სასურსათო გადასახადი გადასვლაა გლეხის მთელი ნაჭარბი პურის რეკვიზიციიდან სწორ სოციალისტურ პროდუქტგაცვლაზე მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის.

7. საბჭოთა ხელისუფლების მიერ კაპიტალიზმისა და კონცესიების დაშვების მნიშვნელობა და პირობები

სასურსათო გადასახადი, ბუნებრივია, ნიშნავს გლეხის თავისუფლებას თავისი სურვილისამებრ მოიხმაროს ის ნაჭარბი, რაც მას რჩება გადასახადის გადახდის შემდეგ. რამდენა-

დაც სახელმწიფოს არ შეუძლია მიაწოდოს გლეხს სოციალისტური ფაბრიკის პროდუქტები მთელ ამ ნაჭარბზე გადასაცვლელად, იმდენად ნაჭარბით ვაჭრობის თავისუფლება აუცილებლად ნიშნავს კაპიტალიზმის განვითარების თავისუფლებას.

მაგრამ, აღნიშნულ ფარგლებში ეს სრულებით არ არის საშიში სოციალიზმისთვის, ვიდრე ტრანსპორტი და მსხვილი მრეწველობა პროლეტარიატის ხელში რჩება. პირიქით, კაპიტალიზმის განვითარება პროლეტარული სახელმწიფოს კონტროლითა და მოწესრიგებით (ე. ი. სიტყვის ამ მნიშვნელობით «სახელმწიფო» კაპიტალიზმის განვითარება), ხელსაყრელი და აუცილებლად საჭიროა უაღრესად გაჩანაგებულ, ჩამორჩენილ წვრილგლეხურ ქვეყანაში (რასაკვირველია, მხოლოდ განსაზღვრული ზომით), რამდენადაც მას შეუძლია დააჩქაროს გლეხური მიწათმოქმედების დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ი აღმავლობა. ეს კიდევ უფრო მეტად შეეხება კონცესიებს: რაიმე დენაციონალიზაციის მოუხდენლად მუშათა სახელმწიფო იჯარით აძლევს განსაზღვრულ სამადნეებს, ტყის ნაკვეთებს, ნავთის სარეწებს და სხვას უცხოელ კაპიტალისტებს, რათა მათგან მიიღოს დამატებითი მოწყობილობა და მანქანები, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ საბჭოთა მსხვილი მრეწველობის აღდგენა.

კონცესიონერებისთვის საფასურის გადახდა მეტად ძვირფასი პროდუქტების წილის სახით უეჭველად წარმოადგენს მუშათა სახელმწიფოს ხარკს მსოფლიო ბურჟუაზიისადმი; სრულიადაც არ ვჩქმალავთ რა ამას, ჩვენ ნათლად უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენთვის ხელსაყრელია ამ ხარკის გაღება, ოღონდ კი დავაჩქაროთ ჩვენი მსხვილი მრეწველობის აღდგენა და მუშებისა და გლეხების მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესება.

8. ჩვენი სასურსათო პოლიტიკის წარმატებანი

საბჭოთა რუსეთის სასურსათო პოლიტიკა 1917 — 1921 წლებში, უეჭველია, მეტად უხეში, არასრულყოფილი იყო, ბევრ ბოროტმოქმედებას ჰბადებდა. იყო მთელი რიგი შეცდომები

მისი განხორციელებისას. მაგრამ იმ პირობებში იგი, საერთოდ და მთლიანად, ერთადერთი შესაძლებელი პოლიტიკა იყო. და მან შეასრულა თავისი ისტორიული დავალება: იხსნა პროლეტარული დიქტატურა გაჩანაგებულ და ჩამორჩენილ ქვეყანაში. უდავო ფაქტია, რომ იგი თანდათან უმჯობესდებოდა. ჩვენი სრული ძალაუფლების პირველ წელს (1. VIII. 1918 — 1. VIII. 1919) სახელმწიფომ შეაგროვა 110 მილიონი ფუთი პური; მეორე წელს — 220; მესამე წელს — 285 მილიონ ფუთზე მეტი.

ახლა, როდესაც უკვე პრაქტიკული გამოცდილება გვაქვს, ჩვენ ამოცანად ვისახავთ შევაგროვოთ და იმედი გვაქვს შევაგროვოთ 400 მილიონი ფუთი (სასურსათო გადასახადის ოდენობა = 240 მილიონ ფუთს). მუშური სახელმწიფო მხოლოდ მაშინ შეძლებს ეკონომიურად მტკიცედ დადგეს საკუთარ ფეხებზე, უზრუნველყოს მსხვილი მრეწველობის თუნდაც ნელი, მაგრამ განუხრელი აღდგენა და შექმნას სწორი ფინანსური სისტემა, თუ ის საკმარისი სასურსათო ფონდის ფაქტიური მფლობელი გახდება.

9. სოციალიზმის მატერიალური საფუძველი და რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმა

სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნაც. მაგრამ არ შეიძლება ამ ზოგადი დებულებით დაკმაყოფილება. საჭიროა მისი დაკონკრეტება. უახლესი ტექნიკის დონის შესაფერისს და მიწათმოქმედების გარდაქმნის უნარმქონე მსხვილ მრეწველობას წარმოადგენს მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაცია. რსფს რესპუბლიკის ასეთი ელექტრიფიკაციის გეგმა მეცნიერულად უნდა დაგვემუშავებინა, და ჩვენ ის კიდეც დავამუშავეთ. რუსეთის 200-ზე მეტი საუკეთესო მეცნიერის, ინჟინრის და აგრონომიული დარგის მუშაკის მონაწილეობით ეს შრომა დამთავრებულია, დაბეჭდილია დიდტანიან ტომად და, საერთოდ, დამტკიცებულია საბჭო-

ების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის მიერ 1920 წ. დეკემბერში. ახლა უკვე ორგანიზებულია ელექტროტექნიკოსთა სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევა, და ის შეიკრიბება 1921 წლის აგვისტოში, დაწვრილებით განიხილავს ამ შრომას, და მაშინ ის საბოლოოდ იქნება დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ. პირველი რიგის ელექტრიფიკაციის სამუშაოები ნავარაუდევია 10 წლისათვის; ეს სამუშაოები მოითხოვენ 370 მილიონამდე სამუშაო დღეს.

თუ ჩვენ 1918 წელს გვქონდა 8 ახლად აგებული ელექტროსადგური (4 757 **kw** — კილოვატი), 1919 წელს ამ ციფრმა აიწია 36-მდე (1 648 **kw**), ხოლო 1920 წელს 100-მდე (8 699 **kw**).

რაც უნდა მცირე იყოს ეს დასაწყისი ჩვენი უზარმაზარი ქვეყნისთვის, საძირკველი მაინც ჩაყრილია, მუშაობა დაწყებულია და სულ უკეთ და უკეთ მიმდინარეობს. იმპერიალისტური ომის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მილიონი ტყვე გერმანიაში გაეცნო თანამედროვე მოწინავე ტექნიკას, სამი წლის სამოქალაქო ომის მძიმე, მაგრამ გამომწრთობი გამოცდილების შემდეგ — რუსი გლეხი უკვე ის აღარ არის, რაც იგი იყო ძველად. რაც თვე გადის, ის სულ უფრო ნათლად და უფრო თვალსაჩინოდ ხედავს, რომ მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობას ძალუძს გამოიყვანოს წვრილ მიწათმოქმედთა მასა კაპიტალისადმი მონობისაგან და მიიყვანოს სოციალიზმამდე.

10. «წმინდა დემოკრატიის», 2 და $2^1/_2$ ინტერნაციონალის, ესერების და მენშევიკების როლი, როგორც კაპიტალის მოკავშირეებისა

პროლეტარიატის დიქტატურა ნიშნავს არა კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტას, არამედ მის განგრძობას ახალი ფორმით და ახალი იარაღებით. ვიდრე რჩებიან კლასები, ვიდრე ერთ ქვეყანაში დამხობილი ბურჟუაზია აათკეცებს თავის იერიშებს სოციალიზმზე საერთაშორისო მასშტაბით, მანამდე ეს დიქტატურა აუცილებელია. წვრილ მიწათმოქმედთა კლასს

გარდამავალ ეპოქაში არ შეუძლია არ განიცადოს მთელი რიგი მერყეობა. გარდამავალი მდგომარეობის სიძნელეები, ბურჟუაზიის გავლენა აუცილებლად იწვევენ დროდადრო მერყეობას ამ მასის განწყობილებაში. პროლეტარიატს, რომელიც დასუსტებულია და რამდენადმე დეკლასირებულია მისი სასიცოცხლო საფუძვლის, მსხვილი მანქანური მრეწველობის დანგრევით, ეკისრება მეტად ძნელი და უაღრესად დიდი ისტორიული ამოცანა — გაძლოს მიუხედავად ამ მერყეობისა და ბოლომდე მიიყვანოს კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების საქმე.

წვრილი ბურჟუაზიის მერყეობის პოლიტიკურ გამოხატულებას წარმოადგენს პოლიტიკა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიებისა, ე. ი. 2 და 2½ ინტერნაციონალის პარტიებისა, როგორნიც რუსეთში არიან ესერებისა («სოციალისტ-რევოლუციონერების») და მენშევიკების პარტიები. ამ პარტიებს ახლა თავიანთი მთავარი შტაბები და გაზეთები საზღვარგარეთ აქვთ და ისინი ფაქტიურად ბლოკში იმყოფებიან მთელ ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციასთან და ერთგულად ემსახურებიან მას.

რუსეთის მსხვილი ბურჟუაზიის ჭკვიანმა ბელადებმა და მათმა მეთაურმა მილიუკოვმა, «კადეტების» («კონსტიტუციური დემოკრატების») პარტიის ბელადმა, სავსებით ნათლად, ზუსტად და აშკარად შეაფასეს წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის, ე. ი. ესერებისა და მენშევიკების, ეს როლი. კრონშტადტის აჯანყების გამო, რომელშიც გაერთიანებულნი აღმოჩნდნენ მენშევიკების, ესერებისა და თეთრგვარდიელების ძალები, მილიუკოვმა მხარი დაუჭირა ლოზუნგს «საბჭოები უბოლშევიკებოდ». ავითარებდა რა ამ აზრს, მილიუკოვი წერდა: «ჰა ბურთი და ჰა მოედანი» ესერებსა და მენშევიკებს («პრავდა» № 64, 1921 წ., ციტატი პარიზის «პოსლედნიე ნოვოსტიდან»[96]), ვინაიდან მათ ეკისრებათ ამოცანა ხელისუფლების პირველი გადაწევისა ბოლშევიკებისაგანო. მილიუკოვი, მსხვილი ბურჟუაზიის ბელადი, სწორად ითვალისწინებს ყველა რევოლუციის გაკვეთილებს,

რევოლუციებისა, რომლებმაც გვიჩვენეს, რომ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას არ ძალუძს ძალაუფლების შენარჩუნება და რომ იგი ყოველთვის წარმოადგენს მხოლოდ ბურჟუაზიის დიქტატურის საფარველს, მხოლოდ საფეხურს ბურჟუაზიის სრული ბატონობისაკენ.

რუსეთის პროლეტარული რევოლუცია კიდევ და კიდევ ადასტურებს 1789 — 1794 და 1848 — 1849 წლების ამ გამოცდილებას, ადასტურებს ფრ. ენგელსის სიტყვებს, რომელიც 1884 წლის 11 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ბებელისადმი წერდა:

...«წმინდა დემოკრატია რევოლუციის მომენტში მოკლე ხნით მოიპოვებს დროებით მნიშვნელობას... როგორც მთელი ბურჟუაზიული და თვით ფეოდალური მეურნეობის ხსნის უკანასკნელი იმედი... სწორედ ასევე 1848 წელს, მარტიდან სექტემბრამდე, მთელი ფეოდალურ-ბიუროკრატიული მასა ზურგს უმაგრებდა ლიბერალებს, რათა მორჩილებაში ჰყოლოდა რევოლუციური მასები... ყოველ შემთხვევაში, კრიზისის დროს და მის მეორე დღეს ჩვენი ერთადერთი მოწინააღმდეგე იქნება მთელი რეაქციული მასა, რომელიც წმინდა დემოკრატიის გარშემო ერთიანდება, და ეს გარემოება, ვფიქრობ, არასგზით არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან» (რუსულად გამოქვეყნდა გაზეთ «კომმუნისტიჩესკი ტრუდში» [97], 1921 წ., № 360, 1921. 9. VI, ამხ. ვ. ადორატსკის სტატიაში: «მარქსი და ენგელსი დემოკრატიის შესახებ». გერმანულად წიგნში: ფრიდრიხ ენგელსი: «პოლიტიკური ანდერძი», ბერლინი, 1920; «ახალგაზრდობის საერთაშორისო ბიბლიოთეკა» № 12, გვ. 19) [98].

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

მოსკოვი, კრემლი, 1921. 13. VI.

2

სიტყვა იტალიის საკითხის შესახებ
28 ივნისი

ამხანაგებო! მე მინდა ვუპასუხო, უმთავრესად, ამხ. ლაძარის. მან თქვა: «მოიყვანეთ კონკრეტული ფაქტები და არა სიტყვებიო». საუცხოოა. მაგრამ თუ ჩვენ თვალს გავადევნებთ რეფორმისტულ-ოპორტუნისტული ტენდენციის განვითარებას იტალიაში, ეს სიტყვები იქნება თუ ფაქტები? თქვენს სიტყვებსა და მთელ თქვენს პოლიტიკაში უყურადღებოდ ტოვებთ იტალიის სოციალისტური მოძრაობისთვის მრავალმნიშვნელოვან გარემოებას, რომ იქ უკვე დიდი ხანია არსებობს არათუ ეს ტენდენცია, არამედ ოპორტუნისტულ-რეფორმისტული ჯგუფიც. მე კიდევ კარგად მახსოვს ის დრო, როცა ბერნშტეინმა დაიწყო თავისი ოპორტუნისტული პროპაგანდა, რომელიც II ინტერნაციონალის სოციალ-პატრიოტიზმით, ღალატითა და გაკოტრებით დამთავრდა. ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობთ ტურატის არა მარტო სახელით, არამედ პროპაგანდითაც იტალიის პარტიაში და იტალიის მუშათა მოძრაობაში, რომლის დეზორგანიზატორიც იყო ის 20 წლის მანძილზე, რამაც მას შემდეგ განვლო. დროის სიმცირის გამო არ ძალმიძს საფუძვლიანად შევისწავლო ის მასალები, რომლებიც იტალიის პარტიას ეხება, მაგრამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად მიმაჩნია ერთ-ერთ ბურჟუაზიულ იტალიურ გაზეთში — აღარ მახსოვს, «Stampa»-ში * თუ «Corriere della Sera»-ში ** — მოთავსე-

* — «პრესა». რ ე დ.

** — «საღამოს კურიერი». რ ე დ.

ბული ანგარიში იმ კონფერენციისა, რომელიც ტურატის და მის მეგობრებს რეჯიო-ემილიაში ჰქონდათ[99]. ეს ანგარიში მე შევადარე იმას, რაც «Avanti!»-ში[100] გამოქვეყნდა. განა ეს საკმარის დამამტკიცებელ საბუთს არ წარმოადგენს? კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის შემდეგ, სერატისა და მის მეგობრებთან კამათის დროს, ჩვენ მათ აშკარად და გარკვევით ვუთხარით, თუ როგორია, ჩვენი აზრით, სიტუაცია. ჩვენ მათ განვუცხადეთ, რომ იტალიის პარტია კომუნისტური ვერ გახდება მანამდე, სანამ იგი თავის რიგებში ჯერ კიდევ ითმენს ისეთ ადამიანებს, როგორიც არის ტურატი.

რა არის ეს — პოლიტიკური ფაქტებია თუ ისევ მხოლოდ სიტყვები? ხოლო როცა ჩვენ, კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესის შემდეგ, იტალიის პროლეტარიატს აშკარად განვუცხადეთ: «ნუ დაამყარებთ ერთიანობას რეფორმისტებთან, ტურატისთანო», — და როცა სერატიმ იტალიურ პრესაში კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ მთელი რიგი სტატიების მოთავსება დაიწყო და რეფორმისტების საგანგებო თათბირი მოიწვია, — განა ეს სიტყვები იყო? ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე გათიშვა, ეს უკვე ახალი პარტიის შექმნა იყო. ბრმა უნდა იყო, რომ ეს ვერ დაინახო. ამ დოკუმენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხისთვის. ყველანი, ვინც მონაწილეობას იღებდა რეჯიო-ემილიას კონფერენციაში, გარიცხულ უნდა იქნენ პარტიიდან: ისინი მენშევიკები არიან, — არა რუსი, არამედ იტალიელი მენშევიკები. ლაძარიმ თქვა: «ჩვენ ვიცნობთ იტალიელი ხალხის ფსიქოლოგიასო». მე პირადად ვერ გავბედავდი ამის თქმას რუს ხალხზე, — მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. «იტალიელ სოციალისტებს კარგად ესმით იტალიელი ხალხის სულისკვეთებაო», — თქვა ლაძარიმ. ეს შესაძლებელია, არ ვდავობ. მაგრამ იტალიური მენშევიზმი მათთვის უცნობია, თუ მხედველობაში მივიღებთ კონკრეტულ მონაცემებს და იმას, რომ დაჟინებით არ სურთ მისი აღმოფხვრა. ჩვენ იძულებული ვართ ვთქვათ: რაც უნდა სამწუხარო იყოს ეს, მაგრამ

აუცილებელია ჩვენი აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუციის დადასტურება. შეუძლებელია, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის შემადგენლობაში შედიოდეს ისეთი პარტია, რომელიც თავის რიგებში ითმენს ტურატის მსგავს ოპორტუნისტებსა და რეფორმისტებს.

«რისთვის უნდა შეიცვალოს პარტიის სახელწოდება? — კითხულობს ამხ. ლაძარი. — ის ხომ სავსებით დამაკმაყოფილებელიაო». მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ასეთ შეხედულებას. ჩვენ ვიცით II ინტერნაციონალის ისტორია, მისი დაცემა და გაკოტრება. განა ჩვენთვის უცნობია გერმანიის პარტიის ისტორია? და განა ჩვენ არ ვიცით, რომ გერმანიის მუშათა მოძრაობის უდიდესი უბედურება ის არის, რომ მას ჯერ კიდევ ომამდე არ მოუხდენია გათიშვა? ეს მას 20 000 მუშის სიცოცხლედ დაუჯდა, რომელნიც შეიდემანელებმა და ცენტრისტებმა ხელში ჩაუგდეს გერმანიის მთავრობას, მათი პოლემიკისა და გერმანელი კომუნისტების მიმართ ჩივილის გამო.

და განა ახლა იტალიაში იმავე სურათს არ ვხედავთ? იტალიის პარტია არასოდეს არ ყოფილა ჭეშმარიტად რევოლუციური პარტია. მისი უდიდესი უბედურება ის არის, რომ მან ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე არ გაწყვიტა კავშირი მენშევიკებთან და რეფორმისტებთან და რომ ეს უკანასკნელნი ისევ პარტიაში რჩებოდნენ. ამხ. ლაძარი ამბობს: — «ჩვენ სავსებით ვცნობთ რეფორმისტებთან კავშირის გაწყვეტის აუცილებლობას; ერთადერთი უთანხმოება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნდა ეს ლივორნოს ყრილობაზე [101] მოგვეხდინა». მაგრამ ფაქტები სხვას მეტყველებენ. ჩვენ პირველად როდი განვიხილავთ იტალიური რეფორმიზმის საკითხს. შარშან, როცა ამის გამო სერატის ვეკამათებოდით, ვკითხეთ მას: «უკაცრავად, მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ იტალიის პარტიაში გათიშვა ახლავე მოახდინონ, რატომ უნდა გადაიდოს ეს?». რა გვიპასუხა სერატიმ ამაზე? — არაფერი. ამხ. ლაძარის ციტატი მოჰყავს ჟროსარის სტატიიდან, სადაც ნათქვამია, რომ «აუცილებელია მოხერხებული

და ჭკვიანი იყოო», და, როგორც ჩანს, ის აქ თავის სასარგებ-ლო და ჩვენს საწინააღმდეგო საბუთს ხედავს. მე კი მგონია, რომ ის ცდება. პირიქით, ეს საუცხოო საბუთია ჩვენს სასარ-გებლოდ და ამხ. ლაძარის საწინააღმდეგოდ. როცა ის იძუ-ლებული იქნება იტალიელ მუშებს თავისი ქცევა და თავისი წასვლა აუხსნას, რას იტყვიან ეს უკანასკნელნი? რას ეტყვით თქვენ მათ, თუ ისინი ცნობენ, რომ ჩვენი ტაქტიკა უფრო ჭკვიანი და მოხერხებულია, ვიდრე მიხვეულ-მოხვეული გზე-ბი ვითომდა კომუნისტური მემარცხენე ჯგუფისა — იმ მე-მარცხენე ჯგუფისა, რომელიც ყოველთვის როდია უბრალო კომუნისტურიც კი და უფრო ხშირად ანარქიზმს მოგვაგო-ნებს?

რას ნიშნავს სერატისა და მისი პარტიის მთელი ზღაპრები იმის შესახებ, თითქოს რუსებს მხოლოდ ის სურდეთ, რომ მათ ჰბაძავდნენ? ჩვენ სწორედ ამის საწინააღმდეგოს მოვი-თხოვთ. საკმაო არაა კომუნისტური რეზოლუციების ზეპირად ცოდნა და წარამარა რევოლუციური ფრაზების ხმარება. ეს ცოტაა, და ჩვენ ამთავითვე წინააღმდეგნი ვართ იმ კომუნისტე-ბისა, რომელთაც გაზეპირებული აქვთ ესა თუ ის რეზო-ლუცია. ნამდვილი კომუნიზმის პირველ პირობას წარმო-ადგენს ოპორტუნიზმთან კავშირის გაწყვეტა. იმ კომუნისტებ-თან, რომლებიც ამას ხელს აწერენ, ჩვენ სავსებით თავის-უფლად და გულახდილად ვილაპარაკებთ და მათ სრული უფლებით და გაბედულად ვეტყვით: «ნუ ჩაიდენთ ნურავითარ სისულელეს; იყავით ჭკვიანნი და მოხერხებულნი». მაგრამ ამას მხოლოდ იმ კომუნისტებს ვეტყვით, რომლებმაც კავში-რი გაწყვიტეს ოპორტუნისტებთან, თქვენზე კი ამის თქმა ჯერ არ შეიძლება. ამიტომ ვიმეორებ: მე იმედი მაქვს, რომ კონგრესი დაამტკიცებს აღმასრულებელი კომიტეტის რეზო-ლუციას. ამხ. ლაძარიმ თქვა: «ჩვენ მოსამზადებელ პერიოდ-ში ვიმყოფებითო». ეს სრული სიმართლეა. თქვენ მოსამზა-დებელ პერიოდში იმყოფებით. ამ პერიოდის პირველ ეტაპს წარმოადგენს კავშირის გაწყვეტა მენშევიკებთან, იმდაგვა-რად, როგორც ჩვენ თვითონ 1903 წელს გავწყვიტეთ კავშირი

ჩვენს მენშევიკებთან. იმ ფაქტის გამო, რომ გერმანიის პარტიას კავშირი არ გაუწყვეტია მენშევიკებთან, იტანჯება მთელი გერმანიის მუშათა კლასი ომის შემდეგდროინდელი გერმანიის რევოლუციის ისტორიის ხანგრძლივი და მომქანცავი პერიოდის განმავლობაში.

ამხ. ლაძარი ამბობს, რომ იტალიის პარტია მოსამზადებელ პერიოდს განიცდისო. მე სავსებით ვცნობ ამას. პირველ ეტაპს წარმოადგენს სერიოზულად, საბოლოოდ, არაორაზროვნად და გაბედულად კავშირის გაწყვეტა რეფორმიზმთან. და მაშინ მასა სავსებით კომუნიზმს დაუჭერს მხარს. მეორე ეტაპი სრულიადაც არ იქნება რევოლუციური ლოზუნგების განმეორება. ის იქნება იმ ჩვენ გონიერ და მოხერხებულ გადაწყვეტილებათა მიღება, რომელნიც მუდამ ასეთნი იქნებიან და მუდამ გაიმეორებენ: ძირითადი რევოლუციური პრინციპები სხვადასხვა ქვეყნის თავისებურებებს უნდა შევუგუოთ.

იტალიაში რევოლუცია სხვანაირად წარიმართება, ვიდრე რუსეთში. ის სხვაგვარად დაიწყება. სახელდობრ როგორ? ეს არც თქვენ იცით და არც ჩვენ. იტალიელი კომუნისტები ყოველთვის როდი არიან ნამდვილი კომუნისტები. განა თავი იჩინა თუნდ ერთმა კომუნისტმა ფაბრიკების დაკავების დროს იტალიაში? არა, მაშინ იტალიაში კომუნიზმი ჯერ კიდევ არ არსებობდა; შეიძლება ლაპარაკი ერთგვარ ანარქიზმზე, მაგრამ სრულიადაც არა მარქსისტული კომუნიზმის შესახებ. ეს უკანასკნელი ახლა უნდა შეიქმნას, ეს მუშათა მასებს უნდა ჩავუნერგოთ რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების გზით. და პირველი ნაბიჯი ამ გზაზე არის კავშირის საბოლოოდ გაწყვეტა მენშევიკებთან, რომლებიც 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდნენ და მუშაობდნენ ბურჟუაზიულ მთავრობასთან. ძალიან შესაძლებელია, რომ მოდილიანი, რომელსაც მე ცოტაოდნავ თვალს ვადევნებდი ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციებზე, საკმაოდ გაქნილი პოლიტიკოსია იმისათვის, რომ ბურჟუაზიულ მთავრობაში არ შევიდეს და სოციალისტური პარტიის ცენტრში დარჩეს, სადაც ის ბურჟუაზიას გაცილებით მეტ სარ-

გებლობას მოუტანს. მაგრამ ტურატის და მის მეგობართა ჯგუფის მთელი თეორიული პოზიცია, მთელი პროპაგანდა, მთელი აგიტაცია ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას წარმოადგენს. განა ეს დამტკიცებული არ არის მრავალი ციტატით, რომლებიც ჯენარიმ მოიყვანა თავის სიტყვაში? დიახ, ეს ის ერთიანი ფრონტია, რომელიც უკვე მოამზადა ტურატიმ. ამიტომ, მე ამხ. ლაძარის უნდა ვუთხრა: ისეთი სიტყვებით, როგორიც აქ თქვენ და ამხ. სერატიმ წარმოთქვით, რევოლუციის მომზადება კი არა, მისი დეზორგანიზაცია ხდება (ძახილი: «ვაშა!». ტ ა შ ი).

ლივორნოში თქვენ მნიშვნელოვანი უმრავლესობა გყავდათ. თქვენ გქონდათ 98 000 ხმა 14 000 რეფორმისტული და 58 000 კომუნისტური ხმის წინააღმდეგ. ისეთს ქვეყანაში, როგორიც იტალიაა, მისი გარკვეული ტრადიციებით, გათიშვის არასაკმაოდ მომზადების პირობებში, აღნიშნული ციფრები წმინდა კომუნისტური მოძრაობის დასაწყისისათვის კომუნისტების დიდ წარმატებას ნიშნავს.

ეს დიდი გამარჯვებაა, ეს მნიშვნელოვანი საბუთია, რომელიც ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ იტალიაში მუშათა მოძრაობა უფრო სწრაფად განვითარდება, ვიდრე ჩვენი მოძრაობა რუსეთში ვითარდებოდა, იმიტომ რომ, თუ თქვენ ჩვენი მოძრაობის ციფრებს იცნობთ, გეცოდინებათ, რომ 1917 წლის თებერვალში, ცარიზმის დამხობის შემდეგ და ბურჟუაზიული რესპუბლიკის დროს, ჩვენ ჯერ კიდევ უმცირესობას შევადგენდით მენშევიკებთან შედარებით. ასეთი მდგომარეობა იყო 15 წლის სასტიკი ბრძოლისა და გათიშვების შემდეგ. ჩვენში ვერ განვითარდა მემარჯვენე ფრთა, და ეს ისე უბრალოდ არ ყოფილა, როგორც თქვენ გგონიათ, როცა რუსეთის შესახებ ათვალწუნებული ტონით ლაპარაკობთ. უეჭველია, იტალიაში განვითარება სულ სხვანაირად წავა. მენშევიკებთან 15 წლის ბრძოლის შემდეგ და ცარიზმის დამხობის შემდეგ, ჩვენ მუშაობას ვიწყებდით გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი მომხრეებით. თქვენ გყავთ 58 ათასი კომუნისტურად განწყობილი მუშა 98 ათასი გაერთიანებული

ცენტრისტის წინააღმდეგ, რომელთაც გაურკვეველი პოზიცია უჭირავთ. ეს ისეთი საბუთია, ისეთი ფაქტია, რომელმაც უცილობლად უნდა დაარწმუნოს ყველა, ვისაც არ სურს თვალებდახუჭული უცქიროს იტალიელი მუშების მასობრივ მოძრაობას. ყოველივე ერთბაშად როდი მოდის. მაგრამ ეს უკვე იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ჩვენ გვემხრობიან მუშათა მასები — არა ძველი ბელადები, არა ბიუროკრატები, არა პროფესორები, არა ჟურნალისტები, — არამედ ნამდვილად ექსპლოატირებული კლასი, ექსპლოატირებულთა ავანგარდი. და ეს იმ დიდი შეცდომის მაჩვენებელია, რომელიც თქვენ ლივორნოში ჩაიდინეთ. ეს ფაქტია. თქვენ გქონდათ 98 ათასი ხმა, მაგრამ თქვენ ამჯობინეთ 14 ათას რეფორმისტთან ერთად ყოფილიყავით 58 ათასი კომუნისტის წინააღმდეგ. თუნდაც ეს კომუნისტები ნამდვილი კომუნისტები არ ყოფილიყვნენ, თუნდაც ისინი მხოლოდ ბორდიგას მომხრეები ყოფილიყვნენ, — რაც მართალი არ არის, რადგან II კონგრესის შემდეგ ბორდიგამ სრულიად ლოიალურად განაცხადა, უარვყოფ ყოველივე ანარქიზმსა და ანტიპარლამენტარიზმსო, — თქვენ მაინც მათთან ერთად უნდა გევლოთ. თქვენ კი რა ქენით? თქვენ ამჯობინეთ გაერთიანება 14 ათას რეფორმისტთან და კავშირის გაწყვეტა 58 ათას კომუნისტთან, — და ეს საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია, რომ სერატის პოლიტიკა უბედურება იყო იტალიისთვის. ჩვენ არასოდეს არ გვინდოდა, რომ სერატის იტალიაში რუსეთის რევოლუციისთვის წაებაძა. ეს სისულელე იქნებოდა. ჩვენ საკმაო ჭკუა და მოქნილობა გვაქვს, რომ ეს სისულელე თავიდან ავიცილოთ. მაგრამ სერატიმ დაამტკიცა, რომ მისი პოლიტიკა იტალიაში სწორი არ იყო. იქნებ, ის იძულებული იყო შემოვლითი გზით ევლო. ეს ის გამოთქმაა, რომელსაც იგი აქ ყველაზე ხშირად იმეორებდა ერთი წლის წინათ. ის ამბობდა: «ჩვენ ვიცით შემოვლითი გზით სვლა, ჩვენ არ გვსურს მონური წამბაძველობა. ეს იდიოტიზმი იქნებოდა. ჩვენ შემოვლითი გზით უნდა ვიაროთ, რათა გამოვიწვიოთ ჩამოშორება ოპორტუნიზმისაგან. თქვენ, რუსებს, ამის უნარი

არ შეგწევთ. ჩვენ, იტალიელებს, ამ მხრივ უფრო მეტი უნარი გვაქვს. დავიცადოთ და ვნახოთთო». მერე, რა ვნახეთ? სერატიმ საუცხოოდ შემოუარა. მან კავშირი გაწყვიტა 58 ათას კომუნისტთან. ახლა კი ამხანაგები აქ მოდიან და ამბობენ: «თუ თქვენ ხელს გვკრავთ, მასები დაიბნევიანო». არა, ამხანაგებო, თქვენ ცდებით. მუშათა მასები იტალიაში ახლა არიან დაბნეულნი, და მათ არგებთ, თუ ვეტყვით: «აირჩიეთ, ამხანაგებო, აირჩიეთ, იტალიელო მუშებო: კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც არასოდეს არ მოითხოვს, რომ თქვენ რუსებს მონურად წაბაძოთ, თუ მენშევიკები, რომლებსაც ჩვენ უკვე 20 წელია ვიცნობთ და რომლებსაც ვერასოდეს ვერ მოვითმენთ მეზობლებად ნამდვილ რევოლუციურ კომუნისტურ ინტერნაციონალში». აი რას ვეტყვით ჩვენ იტალიელ მუშებს. შედეგი უეჭველია. მუშათა მასები ჩვენ გამოგვყვებიან (მ ქ უ ხ ა რ ე მ ო წ ო ნ ე ბ ა).

3

სიტყვა კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის დასაცავად

1 ივლისი

ამხანაგებო, დიდად ვწუხვარ, რომ მე თავდაცვას უნდა დავჯერდე (ს ი ც ი ლ ი). მე ვამბობ: დიდად ვწუხვარ-მეთქი, იმიტომ რომ ამხ. ტერაჩინის სიტყვისა და სამი დელეგაციის მიერ შემოტანილი ძესწორებების გაცნობის შემდეგ ძალიან მინდოდა თავდასხმაზე გადავსულიყავი, ვინაიდან იმ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომელთაც ტერაჩინი და ეს 3 დელეგაცია იცავდნენ, აუცილებელია, კაცმა რომ თქვას, შეტევითი მოქმედება. თუ კონგრესმა ასეთი შეცდომების, ასეთი «მემარცხენე» სისულელეების წინააღმდეგ გაბედული შეტევა არ აწარმოვა, მთელი მოძრაობა დაიღუპება. ასეთია ჩემი ღრმა რწმენა. მაგრამ ჩვენ დარაზმული და დისციპლინიანი მარქსისტები ვართ. ჩვენ არ შეგვიძლია სიტყვებით დავკმაყოფილდეთ ცალკეული ამხანაგების წინააღმდეგ. ჩვენ, რუსებს, ეს მემარცხენე ფრაზები ისე მოგვწყინდა, რომ გულს გვირევს. ჩვენ ორგანიზაციის ადამიანები ვართ. ჩვენი გეგმების შემუშავების დროს ორგანიზებული გზით უნდა ვიაროთ და სწორი ხაზის გამონახვა ვცადოთ. რასაკვირველია, არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ ჩვენი თეზისები კომპრომისია. მაგრამ რატომაც არ უნდა იყოს ასე? კომუნისტებს შორის, რომლებიც უკვე მესამე კონგრესს იწვევენ და რომლებმაც განსაზღვრული ძირითადი დებულებანი შეიმუშავეს, გარკვეულ პირობებში კომპრომისები აუცილებელია. ჩვენი თეზისები, რომლებიც რუსეთის დელეგაციამ წამოაყენა, ფრიად ზედმიწევნით შესწავლილი და

მომზადებული იყო და ხანგრძლივი მოფიქრებისა და სხვადასხვა დელეგაციებთან თათბირის შედეგს წარმოადგენს. ამ თეზისების მიზანია კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი ხაზის გამორკვევა, და ისინი განსაკუთრებით ახლა არიან საჭირონი, როცა ჩვენ ნამდვილი ცენტრისტები არა მარტო ფორმალურად დავგმეთ, არამედ პარტიიდანაც გავრიცხეთ. ასეთია ფაქტები. მე ეს თეზისები უნდა დავიცვა. და როცა ახლა ტერაჩინი მოდის და ამბობს, ჩვენ ბრძოლა უნდა განვაგრძოთ ცენტრისტების წინააღმდეგო, და შემდეგ მოგვითხრობს, თუ როგორ აპირებენ ამ ბრძოლის წარმოებას, მე ვამბობ: თუ ეს შესწორებები გარკვეულ მიმართულებას წარძოადგენენ, მაშინ საჭიროა ულმობელი ბრძოლა ამ მიმართულების წინააღმდეგ, იმიტომ რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღარ ყოფილა არც კომუნიზმი და არც კომუნისტური ინტერნაციონალი. მე მაკვირვებს, რომ გერმანიის კომუნისტურ მუშათა პარტიას ხელი არ მოუწერია ამ შესწორებებისათვის (ს ი ც ი ლ ი). აბა მოისმინეთ, რას იცავს ტერაჩინი და რას შეიცავენ ეს შესწორებანი? შესწორებები ამგვაარად იწყება: «1-ლ გვერდზე, 1-ლ სვეტში, მე-19 სტრიქონში უნდა წაიშალოს: «უმრავლესობა...»». უმრავლესობა! ეს მეტისმეტად სახიფათოა! (ს ი ც ი ლ ი). შემდეგ: ნაცვლად სიტყვებისა «ძირითადი დებულებანი» უნდა დაისვას: «მიზნები». ძირითადი დებულებები და მიზნები ორი სხვადასხვა რამაა: მიზნებში ჩვენ ხომ ანარქისტებიც დაგვეთანხმებიან, იმიტომ რომ ისინიც მოითხოვენ ექსპლოატაციისა და კლასობრივ განსხვავებათა მოსპობას.

ჩემს სიცოცხლეში ბევრ ანარქისტს არ შევხვედრივარ, ბევრთან არ მქონია საუბარი, მაგრამ მაინც საკმაოდ მინახავს ისინი. მე ზოგჯერ ვახერხებდი მათთან შეთანხმებას მიზნების შესახებ, მაგრამ პრინციპების შესახებ არასოდეს. პრინციპები არც მიზანია, არც პროგრამა, არც ტაქტიკა და არც თეორია. ტაქტიკა და თეორია როდია პრინციპები. რით განვსხვავდებით ჩვენ ანარქისტებისაგან პრინციპების მხრივ? კომუნიზმის პრინციპებია პროლეტარიატის დიქტატურის

დამყარება და სახელმწიფოებრივი იძულების გამოყენება გარდამავალ პერიოდში. ასეთია კომუნიზმის პრინციპები, მაგრამ ეს მისი მიზანი როდია. და ამხანაგებმა, რომლებმაც ასეთი წინადადება შემოიტანეს, შეცდომა ჩაიდინეს.

მეორეც, იქ ნათქვამია: «უნდა წაიშალოს სიტყვა «უმრავლესობაო»». წაიკითხეთ მთელი წინადადება:

«კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი ტაქტიკის საკითხების გადასინჯვას იწყებს ისეთს პირობებში, როცა მთელ რიგ ქვეყნებში ობიექტური მდგომარეობა რევოლუციურად გამწვავდა და როცა შეიქმნა მთელი რიგი კომუნისტური მასობრივი პარტიები, თუმცა ჯერჯერობით არსად არ აუღიათ ხელში მუშათა კლასის უმრავლესობის ფაქტიური ხელმძღვანელობა მათ ნამდვილ რევოლუციურ ბრძოლაში».

და აი აქ უნდათ სიტყვა «უმრავლესობა» წაშალონ. თუ ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ უბრალო რამეზე შევთანხმდეთ, არ მესმის, როგორ შევძლებთ ერთად მუშაობას და პროლეტარიატის გაძღოლას გამარჯვებისაკენ. მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია პრინციპების საკითხშიც შევთანხმდეთ. მიჩვენეთ ისეთი პარტია, რომელიც უკვე დაუფლებოდეს მუშათა კლასის უმრავლესობას. ტერაჩინის აზრადაც არ მოსვლია მოეყვანა რაიმე მაგალითი. ასეთი მაგალითი არც არსებობს.

მაშ ასე: «პრინციპების» მაგივრად სიტყვა «მიზნები» დავსვათ, ხოლო სიტყვა «უმრავლესობა» წავშალოთ. დიდ მადლობას მოგახსენებთ! ამაზე ჩვენ არ დაგეთანხმებით. გერმანიის პარტიას — ერთ-ერთ საუკეთესო პარტიასაც კი — არ მისდევს მუშათა კლასის უმრავლესობა. ეს ფაქტია. ჩვენ, ვინც უმძიმესი ბრძოლის წინაშე ვდგავართ, არ გვეშინია ამ სიმართლის თქმისა, აქ კი არის სამი დელეგაცია, რომელთაც სურთ ტყუილით დაიწყონ, რადგან თუ კონგრესი სიტყვა «უმრავლესობას» წაშლის, ამით დაგვანახვებს, რომ მას ტყუილი სურვებია. ეს სავსებით ცხადია.

ამას მისდევს ასეთი შესწორება: «მე-4 გვერდზე, 1-ლ სვეტში, მე-10 სტრიქონში, სიტყვები «ღია წერილი» და სხვ. «უნდა წაიშალოს»». მე დღეს უკვე მოვისმინე ერთი

სიტყვა, რომელშიც იგივე აზრია გამოთქმული. მაგრამ იქ ეს სავსებით ბუნებრივი იყო. ეს იყო სიტყვა ამხ. გემპელისა, გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის წევრისა. მან თქვა: «ღია წერილი ოპორტუნიზმის აქტი იყოო». უაღრესად სამწუხარო და დიდად სამარცხვინოა, მაგრამ ამგვარი აზრები კერძო საუბარში უკვე მოვისმინე. მაინც, როცა კონგრესზე, ესოდენ ხანგრძლივი კამათის შემდეგ, «ღია წერილს» ოპორტუნისტულს უწოდებენ, ეს სამარცხვინო და სათაკილო ამბავია! და აი სამი დელეგაციის სახელით ამხ. ტერაჩინი გამოდის და მოითხოვს, რომ წაიშალოს სიტყვა «ღია წერილი». რაღა საჭიროა მაშინ ბრძოლა გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის წინააღმდეგ? «ღია წერილი» სანიმუშო პოლიტიკური ნაბიჯია. ასეა ნათქვამი ჩვენს თეზისებში. და ეს ჩვენ აუცილებლად უნდა დავიცვათ. ეს ნაბიჯი სანიმუშოა, როგორც მუშათა კლასის უმრავლესობის მიმხრობის პრაქტიკული მეთოდის პირველი აქტი. ვისაც არ ესმის, რომ ევროპაში, — სადაც თითქმის ყველა პროლეტარი შეკავშირებულია, — ჩვენ მუშათა კლასის უმრავლესობა უნდა მივიმხროთ, ის დაკარგულია კომუნისტური მოძრაობისთვის, ის ვერასოდეს ვერაფერს ვერ ისწავლის, თუკი მან დიდი რევოლუციის სამი წლის განმავლობაში ეს ვერ ისწავლა.

ტერაჩინი ამბობს, რუსეთში ჩვენ გავიმარჯვეთ, თუმცა პარტია ძალიან პატარა იყოო. იგი უკმაყოფილოა, რომ ჩეხოსლოვაკიის მიმართ ნათქვამია ის, რაც თეზისებში წერია. აქ 27 შესწორებაა, და, მე რომ, ზოგიერთი ორატორის მსგავსად, მათი გაკრიტიკება განმეზრახა, მაშინ სამ საათს მაინც უნდა მელაპარაკნა... აქ განაცხადეს, რომ ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტურ პარტიას 300-დან 400 ათასამდე წევრი ჰყავს, რომ საჭიროა მივიმხროთ უმრავლესობა, შევქმნათ დაუძლეველი ძალა და განვაგრძოთ მუშათა ახალი მასების მიმხრობაო. ტერაჩინი უკვე მზად არის თავდასხმისთვის. ის ამბობს: თუ პარტიაში უკვე 400 ათასი მუშაა, რაღა საჭიროა მეტი? წაიშალოს! (ს ი ც ი ლ ი). მას ეშინია სიტყვა

«მასებისა» და მისი წაშლა უნდა. ამბ. ტერაჩინის ძალიან ცოტა რამ გაუგია რუსეთის რევოლუციაში.

ჩვენ რუსეთში პატარა პარტიას წარმოვადგენდით, მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენთან იყო მთელი ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების უმრავლესობა (შეძახილი: «ძ ა რ თ ა ლ ი ა!»). სადაა ეს თქვენში? ჩვენთან იყო თითქმის ნახევარი არმია, რომელშიც მაშინ, სულ ცოტა, 10 მილიონი კაცი ითვლებოდა. განა თქვენს მხარეზე არის არმიის უმრავლესობა? მიჩვენეთ ასეთი ქვეყანა! თუ ამბ. ტერაჩინის ამ შეხედულებებს სამი დელეგაციაც იზიარებს, მაშინ ინტერნაციონალში ყველაფერი რიგზე არ ყოფილა! მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ: «შესდექ! გადამწყვეტი ბრძოლა! წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნისტური ინტერნაციონალი დაიღუპება».

ჩემი გამოცდილების მიხედვით უნდა ვთქვა, — თუმცა თავდაცვის პოზიციაზე ვდგავარ (ს ი ც ი ლ ი), — რომ ჩემი სიტყვის მიზანსა და პრინციპს ჩვენი დელეგაციის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციისა და თეზისების დაცვა შეადგენს. რასაკვირველია, პედანტიზმი იქნება იმის თქმა, რომ იქ არც ერთი ასოს შეცვლა არ შეიძლებაო. მე ბევრი რეზოლუცია წამიკითხავს და კარგად ვიცი, რომ ყოველ სტრიქონში შეიძლებოდა იქ მშვენიერ შესწორებათა შეტანა. მაგრამ ეს პედანტიზმი იქნებოდა. თუ ახლა მაინც ვაცხადებ, რომ პოლიტიკური მხრივ არც ერთი ასოს შეცვლა არ შეიძლება, ეს იმიტომ, რომ შესწორებებს, როგორც ვხედავ, სრულიად განსაზღვრული პოლიტიკური ხასიათი აქვთ, იმიტომ, რომ ისინი მავნე და სახიფათო გზაზე აყენებენ კომუნისტურ ინტერნაციონალს. ამიტომ მეც, ჩვენ ყველამ, რუსეთის დელეგაციამაც დაჟინებით უნდა მოვითხოვოთ, რომ თეზისებში არც ერთი ასო არ შეიცვალოს. ჩვენ არათუ გავკიცხეთ ჩვენი მემარჯვენე ელემენტები, ისინი განვდევნეთ კიდეც. მაგრამ თუ მემარჯვენეების საწინააღმდეგო ბრძოლას სპორტად აქცევენ, როგორც ტერაჩინი იქცევა, მაშინ უნდა ვთქვათ: «კმარა! წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე მეტად სერიოზული გახდება!».

ტერაჩინი შეტევითი ბრძოლის თეორიას იცავდა. ყბადასაღები შესწორებანი ამის გამო გრძელ, ორ-სამ გვერდზე გაჭიმულ ფორმულას გვაწვდიან. ჩვენთვის საჭირო არ არის მათი წაკითხვა. ვიცით, რა წერია იქ. ტერაჩინიმ სრულიად ნათლად თქვა, რის შესახებაც არის ლაპარაკი. ის იცავდა შეტევის თეორიას, აღნიშნავდა «დინამიკურ ტენდენციებს» და «პასიურობიდან აქტიურობაზე გადასვლას». ჩვენ, რუსეთში, უკვე საკმაო პოლიტიკური გამოცდილება გვაქვს ცენტრისტების წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ. ჯერ კიდევ 15 წლის წინათ ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებდით ჩვენი ოპორტუნისტებისა და ცენტრისტების წინააღმდეგ, აგრეთვე მენშევიკების წინააღმდეგ, და გავიმარჯვეთ არა მარტო მენშევიკებზე, არამედ ნახევრადანარქისტებზეც.

ჩვენ რომ ასე არ მოვქცეულიყავით, ძალაუფლებას ვერ შევინარჩუნებდით არათუ სამ-ნახევარი წლის, არამედ სამ-ნახევარი კვირის განმავლობაშიც, და აქ კომუნისტურ კონგრესებს ვერ მოვიწვევდით. «დინამიკური ტენდენციები», «პასიურობიდან აქტიურობაზე გადასვლა» — ყოველივე ეს ფრაზებია, რომლებსაც ჩვენს წინააღმდეგ მემარცხენე ესერები მიმართავდნენ. ახლა ისინი საპყრობილეებში სხედან, იქ «კომუნიზმის მიზნებს» იცავენ და «პასიურობიდან აქტიურობაზე გადასვლის» შესახებ ფიქრობენ (ს ი ც ი ლ ი). ასეთი დასაბუთება, როგორსაც წარმოდგენილი შესწორებანი შეიცავენ, შეუძლებელია, იმიტომ რომ აქ არ არის არც მარქსიზმი, არც პოლიტიკური გამოცდილება, არც დასაბუთება. განა ჩვენ, ჩვენს თეზისებში, რევოლუციური შეტევის ზოგად თეორიას ვავითარებდით? განა რადეკმა ან სხვა ვინმემ ჩვენგანმა ასეთი სისულელე ჩაიდინა? როდესაც ჩვენ შეტევის თეორიაზე ვლაპარაკობდით, მხედველობაში გვქონდა სავსებით განსაზღვრული ქვეყანა და სავსებით განსაზღვრული პერიოდი.

მენშევიკების წინააღმდეგ ჩვენ მიერ წარმოებული ბრძოლიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევები, რომ ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის წინ იყვნენ ისეთი პირნი,

რომლებსაც საეჭვოდ მიაჩნდათ, რომ რევოლუციურმა პარტიამ შეტევა უნდა აწარმოოს. თუ რომელიმე სოციალ-დემოკრატს, — მაშინ ჩვენ ყველას ეს სახელი გვერქვა, — ასეთი ეჭვები ებადებოდა, მის წინააღმდეგ ბრძოლას ვიწყებდით და ვამბობდით, რომ ოპორტუნისტია, რომ მას არაფერი გაეგება მარქსიზმისა და რევოლუციური პარტიის დიალექტიკისა. განა პარტიას შეუძლია კამათი იმის შესახებ — დასაშვებია თუ არა, საზოგადოდ, რევოლუციური შეტევა? ჩვენში ასეთი მაგალითები რომ ვნახოთ, თხუთმეტიოდე წლით უკან უნდა დავბრუნდეთ. თუ მოიპოვება ისეთი ცენტრისტი ან შენიღბული ცენტრისტი, რომელსაც სადავოდ მიაჩნია შეტევის თეორია, ასეთი ადამიანი დაუყოვნებლივ უნდა გაირიცხოს. ეს საკითხი არ შეიძლება სადავო იყოს. მაგრამ სათაკილო და სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ჩვენ ახლაც, კომუნისტური ინტერნაციონალის სამი წლის არსებობის შემდეგ, «დინამიკური ტენდენციებისა» და «პასიურობიდან აქტიურობაზე გადასვლის» შესახებ ვდავობთ.

ჩვენ ამის შესახებ სადავო არაფერი გვაქვს ამხ. რადეკთან, რომელმაც ჩვენთან ერთად შეიმუშავა ეს თეზისები. შეიძლება, სავსებით სწორი არ იყო გერმანიაში ლაპარაკის დაწყება რევოლუციური შეტევის თ ე ო რ ი ა ზ ე მას შემდეგ, რაც ნამდვილი შეტევა არ ყოფილა მომზადებული. მაინც მარტში მომხდარი გამოსვლა, მის ხელმძღვანელთა შეცდომების მიუხედავად, დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. მუშები ასიათასობით იბრძოდნენ გმირულად. რარიგ ვაჟკაცურიც არ უნდა ყოფილიყო გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ჩვენ მაინც ის უნდა ვთქვათ, რაც ამხ. რადეკმა ერთ თავის რუსულ სტატიაში ჰელციის შესახებ თქვა. თუ ვინმე, თუნდ იგი ანარქისტი იყოს, ბურჟუაზიას გმირულად ებრძვის, ეს, რასაკვირველია, დიდი საქმეა, მაგრამ თუ ასეული ათასები ებრძვიან სოციალ-

გამცემლების საზიზღარ პროვოკაციას და ბურჟუაზიას, ეს ნამდვილი წინგადადგმული ნაბიჯია.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი შეცდომების კრიტიკულად შეფასებას. ჩვენ ამით დავიწყეთ. თუ ვინმე ისეთი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ასეული ათასები მონაწილეობდნენ, ამ ბრძოლის წინააღმდეგ ილაშქრებს და ისე იქცევა, როგორც ლევი მოიქცა, ის გარიცხულ უნდა იქნეს. ეს ასეც მოხდა. მაგრამ აქედან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ გაკვეთილი: განა ჩვენ შეტევა მოვამზადეთ? (რ ა დ ე კ ი: «ჩვენ არც თავდაცვა მოგვიმზადებია»). დიახ, შეტევის შესახებ მხოლოდ საგაზეთო სტატიებში იყო ლაპარაკი. ეს თეორია გერმანიაში 1921 წლის მარტს მომხდარი გამოსვლის მიმართ შემცდარი იყო — ამაში უნდა გამოვტყდეთ; — მაგრამ, საერთოდ კი, რევოლუციური შეტევის თეორია სრულიადაც არ არის ყალბი.

ჩვენ რუსეთში გავიმარჯვეთ, ამასთან ასე იოლად გავიმარჯვეთ, იმიტომ, რომ ჩვენი რევოლუცია იმპერიალისტური ომის დროს მოვამზადეთ. ეს პირველი პირობაა. ჩვენში შეიარაღებული იყო ათი მილიონი მუშა და გლეხი, და ჩვენი ლოზუნგი იყო: დაუყოვნებლივი ზავი, რადაც უნდა დაგვიჯდესო. ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ გლეხობის უფართოესი მასები რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი მსხვილი მემამულეების წინააღმდეგ. სოციალისტ-რევოლუციონერები, მე-2 და 2½ ინტერნაციონალების მომხრენი, 1917 წლის ნოემბერში დიდ გლეხურ პარტიას წარმოადგენდნენ. ისინი რევოლუციურ საშუალებებს მოითხოვდნენ, მაგრამ, როგორც მე-2 და 2½ ინტერნაციონალების ნამდვილ გმირებს შეეფერება, მათ საკმაო ვაჟკაცობა არ შესწევდათ, რომ რევოლუციურად ემოქმედნათ. 1917 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ჩვენ ვამბობდით: «თეორიულად ჩვენ წინანდებურად ვებრძვით ესერებს, მაგრამ პრაქტიკულად მზად ვართ მათი პროგრამა მივიღოთ, იმიტომ რომ მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ეს პროგრამა განვახორციელოთ». ეს ვთქვით და გავაკეთეთ კიდეც. გლეხობა, რომელიც 1917 წლის ნოემბერში, ჩვენი გამარჯვების

შემდეგ, ჩვენს წინააღმდეგ იყო განწყობილი და რომელმაც დამფუძნებელ კრებაში სოციალისტ-რევოლუციონერების უმრავლესობა გამოგზავნა, მოვიმხრეთ, თუ რამდენიმე დღის განმავლობაში არა, — როგორც მე შეცდომით ვფიქრობდი და ვწინასწარმეტყველებდი, — რამდენიმე კვირის განმავლობაში მაინც. განსხვავება დიდი არ იყო. მიჩვენეთ ევროპაში ისეთი ქვეყანა, სადაც თქვენ გლეხობის უმრავლესობას მოიმხრობთ რამდენიმე კვირის განმავლობაში? იქნებ, იტალიაა ასეთი ქვეყანა? (ს ი ც ი ლ ი). თუ ამბობენ: რუსეთში ჩვენ გავიმარჯვეთ, თუმცა პატარა პარტია გვყავდაო, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ რუსეთის რევოლუცია ვერ გაუგიათ და რომ სრულიად არ ესმით, თუ როგორ უნდა მომზადდეს რევოლუცია.

ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო ნამდვილი კომუნისტური პარტიის შექმნა, რათა გვცოდნოდა, ვის ველაპარაკებით და ვის შეიძლება სავსებით დავენდოთ. I და II კონგრესის ლოზუნგი იყო: «ძირს ცენტრისტები!». თუ ჩვენ მთელი ხაზით და მთელ მსოფლიოში არ გავუსწორდით ცენტრისტებსა და ნახევრადცენტრისტებს, რომლებსაც რუსეთში მენშევიკებს ვუწოდებთ, მაშინ ჩვენთვის კომუნიზმის ანბანიც კი მიუწვდომელი ყოფილა. ჩვენი პირველი ამოცანაა ჭეშმარიტად რევოლუციური პარტიის შექმნა და მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტა. მაგრამ ეს მხოლოდ მოსამზადებელი სკოლაა. ჩვენ უკვე III კონგრესს ვიწვევთ, ამხ. ტერაჩინი კი წინანდებურად გაიძახის, მოსამზადებელი სკოლის ამოცანა ის არის, რომ ცენტრისტები და ნახევრადცენტრისტები გავრეკოთ, ვდევნოთ და ვამხილოთო. დიდად გმადლობთ! ჩვენ ამას უკვე საკმაოდ დიდხანს ვაკეთებდით. ჩვენ უკვე II კონგრესზე ვთქვით, რომ ცენტრისტები ჩვენი მტრები არიან. მაგრამ წინ ხომ უნდა წავიდეთ. მეორე საფეხური ის იქნება, რომ პარტიად დავირაზმოთ და რევოლუციის მომზადება ვისწავლოთ. ბევრ ქვეყანაში ისიც კი არ გვისწავლია, თუ როგორ უნდა დავეუფლოთ ხელმძღვანელობას. რუსეთში ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ ჩვენს მხარეზე იყო არა მარტო

მუშათა კლასის უცილობელი უმრავლესობა (1917 წლის არჩევნების დროს მხარს გვიჭერდა და მენშევიკების წინააღმდეგ იყო მუშების უდიდესი უმრავლესობა), არამედ იმიტომაც, რომ არმიის ნახევარი, უშუალოდ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ, და გლეხთა მასის 9/10, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ჩვენს მხარეზე გადმოვიდნენ; ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ მივიღეთ არა ჩვენი, არამედ ესერების აგრარული პროგრამა და პრაქტიკულადაც განვახორციელეთ იგი. ჩვენი გამარჯვებაც ის იყო, რომ ესერული პროგრამა განვახორციელეთ; აი ამიტომ იყო ეს გამარჯვება ასე იოლი. განა თქვენში, დასავლეთში, შესაძლებელია ასეთი ილუზიები? სასაცილოა! შეადარეთ კონკრეტული ეკონომიური პირობები, ამხ. ტერაჩინი და თქვენ ყველამ, ვინც ამ შესწორებათა წინადადებას ხელი მოაწერეთ! მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ასე ჩქარა აღმოჩნდა ჩვენს მხარეზე, სიძნელენი, რაც გამარჯვების შემდეგ ჩვენს წინაშე აღიმართა, ძალიან დიდი იყო. ჩვენ მაინც გზა გავიკაფეთ, იმიტომ რომ არათუ ჩვენს მიზნებს, არამედ ჩვენს პრინციპებსაც არ ვივიწყებდით და ჩვენს პარტიაში არ ვითმენდით ისეთ პირებს, რომელნიც პრინციპების შესახებ სდუმდნენ, ხოლო ლაპარაკობდნენ მიზნებისა, «დინამიკური ტენდენციებისა» და «პასიურობიდან აქტიურობაზე გადასვლის» შესახებ. შეიძლება, ჩვენ გაგვამტყუნონ იმისთვის, რომ ვამჯობინებთ ასეთი ვაჟბატონები საპყრობილეში ვიყოლიოთ. მაგრამ სხვაფრივ დიქტატურა შეუძლებელია. ჩვენ დიქტატურა უნდა მოვამზადოთ, ეს კი ბრძოლას მოითხოვს ამგვარი ფრაზებისა და ამგვარი შესწორებების წინააღმდეგ (ს ი ც ი ლ ი). ჩვენს თეზისებში ყველგან მასაზეა ლაპარაკი. მაგრამ, ამხანაგებო, ხომ საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა არის მასა. გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია, მარცხნივ მდგომი ამხანაგები, მეტად ბოროტად იყენებენ ამ სიტყვას. მაგრამ თუ რას ნიშნავს სიტყვა «მასა», ეს არც ამხ. ტერაჩინის სცოდნია და არც იმათ, ვინც ამ შესწორებებს ხელი მოაწერა.

მე ისედაც დიდხანს ვილაპარაკე; ამიტომ მინდა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვთქვა «მასის» ცნების შესახებ. «მასის» ცნება იცვლება ბრძოლის ხასიათის ცვლილების მიხედვით. ბრძოლის დასაწყისში საკმაო იყო რამდენიმე ათასი ნამდვილი რევოლუციონერი მუშა, რომ მასაზე ლაპარაკი შესაძლებელი ყოფილიყო. თუ პარტია ახერხებს ბრძოლაში ჩაბას არა მარტო თავისი წევრები, თუ იგი ახერხებს უპარტიონიც აამოძრაოს, ეს უკვე მასების დაპყრობის დასაწყისია. ჩვენი რევოლუციების დროს იყო შემთხვევები, როცა რამდენიმე ათასი მუშა მასას წარმოადგენდა. ჩვენი მოძრაობის ისტორიაში, მენშევიკების წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ისტორიაში, ბევრ ასეთ მაგალითს იპოვნით, როცა ერთ ქალაქში რამდენიმე ათასი მუშა იყო საკმაო, რომ მოძრაობას აშკარა მასობრივი ხასიათი მიეღო. თუ რამდენიმე ათასი უპარტიო მუშა, რომელნიც ჩვეულებრივ ობივატელურად ცხოვრობენ, ბეჩავ არსებობას ეწევიან და რომელთაც პოლიტიკისა არასოდეს არაფერი გაუგონიათ, რევოლუციურად მოქმედებას იწყებს, თქვენს წინაშე უკვე მასა არის. თუ მოძრაობა ფართოვდება და ძლიერდება, ის თანდათან ნამდვილ რევოლუციად იქცევა. ჩვენ ეს ვიხილეთ 1905 და 1917 წლებში, სამი რევოლუციის დროს, და თქვენც კიდევ დარწმუნდებით, რომ ეს ასეა. როცა რევოლუცია უკვე საკმაოდ მომზადებულია, «მასის» ცნება სხვანაირი ხდება: რამდენიმე ათასი მუშა უკვე აღარ შეადგენს მასას. ეს სიტყვა უკვე სხვა რამეს ნიშნავს. მასის ცნება იცვლება იმ აზრით, რომ ამით იგულისხმება უმრავლესობა, და არა მარტო მუშების უბრალო უმრავლესობა, არამედ ყველა ექსპლოატირებულის უმრავლესობა; სხვაგვარი გაგება მიუღებელია რევოლუციონერისთვის, ამ სიტყვის ყოველივე სხვაგვარი მნიშვნელობა გაუგებარი ხდება. შესაძლებელია, პატარა პარტიამაც, მაგალითად, ინგლისისა ან ამერიკისამ, როცა იგი კარგად შეისწავლის პოლიტიკური განვითარების მსვლელობას და გაეცნობა უპარტიო მასების ცხოვრებასა და ჩვეულებებს, ხელსაყრელ მომენტში რევოლუციური მოძრაობა გამოიწვიოს (ამხ. რადეკმა, როგორც კარგი მაგალითი,

აღნიშნა სამთამადნო მუშების გაფიცვა). თუ ასეთი პარტია ასეთ მომენტში თავისი ლოზუნგებით გამოვა და მიაღწევს იმას, რომ მას მილიონობით მუშა გაჰყვება, მაშინ ჩვენს წინაშე მასობრივი მოძრაობაა. მე უთუოდ არ უარვყოფ, რომ სულ პატარა პარტიასაც შეუძლია რევოლუცია დაიწყოს და გამარჯვებამდე მიიყვანოს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, თუ რა მეთოდებით უნდა მივიმხროთ მასები. ამისთვის საჭიროა რევოლუციის საფუძვლიანი მომზადება. მაგრამ აი ამხანაგები გამოდიან და აცხადებენ: დაუყოვნებლივ უარი ვთქვათ «დიდი» მასების მოთხოვნაზე. ასეთ ამხანაგებს აუცილებლად ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. თუ საფუძვლიანი მომზადება არ იქნება, თქვენ ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მიაღწევთ გამარჯვებას. საკმარისია სულ პატარა პარტია, რომ მასები გაიყოლიოს. განსაზღვრულ მომენტებში დიდი ორგანიზაციები აუცილებელი არ არის.

მაგრამ გამარჯვების მისაღწევად მასების თანაგრძნობაა საჭირო. აბსოლუტური უმრავლესობა ყოველთვის როდია აუცილებელი; მაგრამ გამარჯვების მისაღწევად, ძალაუფლების შესანარჩუნებლად, აუცილებელია არა მარტო მუშათა კლასის უმრავლესობა, — აქ ტერმინს «მუშათა კლასს» დასავლეთ-ევროპული მნიშვნელობით ვხმარობ, ე. ი. სამრეწველო პროლეტარიატის მნიშვნელობით, — არამედ სოფლის მოსახლეობის ექსპლოატირებულთა და მშრომელთა უმრავლესობაც. იფიქრეთ თუ არა თქვენ ამაზე? მოიპოვება თუ არა ტერაჩინის სიტყვაში ამგვარი აზრის თუნდაც ნატამალი? იქ ლაპარაკია მხოლოდ «დინამიკური ტენდენციის», «პასიურობიდან აქტიურობაზე გადასვლის» შესახებ. განა იგი თუნდ ერთი სიტყვით ეხება სასურსათო საკითხს? ამავე დროს კი მუშები საზრდოს მოითხოვენ, თუმცა მათ დიდი გაჭირვებისა და შიმშილის ატანა შეუძლიათ, როგორც ეს რამდენადმე რუსეთში დავინახეთ. ამიტომ უნდა მივიმხროთ არა მარტო მუშათა კლასის უმრავლესობა, არამედ სოფლის მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის უმრავლესობაც. განა თქვენ ეს მოამზადეთ? თითქმის არსად არ მოგიმზადებიათ.

მაშ, ვიმეორებ: მე აუცილებლად უნდა დავიცვა ჩვენი თეზისები, ეს დაცვა სავალდებულოდ მიმაჩნია. ჩვენ არათუ დავგმეთ ცენტრისტები, პარტიიდანაც განვდევნეთ ისინი. ახლა უნდა ავმხედრდეთ მეორე მხარის წინააღმდეგ, რომელსაც აგრეთვე საშიშრად ვთვლით. ამხანაგებს სიმართლე უნდა ვუთხრათ მეტად ზრდილობიანი ფორმით (ჩვენს თეზისებშიც ეს თავაზიანად და ზრდილობიანადაა ნათქვამი), ისე, რომ არავინ იგრძნოს თავი შეურაცყოფილად: ჩვენს წინაშე ახლა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხები დგას, ვიდრე ცენტრისტების დევნა. კმარა ამ საკითხზე ლაპარაკი. ის, ცოტა არ იყოს, კიდეც მოგვბეზრდა. ამის მაგივრად ამხანაგებს ნამდვილი რევოლუციური ბრძოლა უნდა ესწავლათ. გერმანელი მუშები უკვე შეუდგნენ ამას. პროლეტარები ასეული ათასობით იბრძოდნენ გმირულად ამ ქვეყანაში. ყველა, ვინც ამ ბრძოლის წინააღმდეგ გაილაშქრებს, დაუყოვნებლივ უნდა გავრიცხოთ. მაგრამ ამის შემდეგ ფუჭი ლაყბობით კი არ უნდა გავერთოთ, არამედ დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ სწავლა, უნდა ვისწავლოთ ჩადენილ შეცდომებზე, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთ ბრძოლა. ჩვენ არ უნდა ვმალავდეთ ჩვენს შეცდომებს მტრის წინაშე. ვისაც ამისი ეშინია, ის არ არის რევოლუციონერი. პირიქით, თუ ჩვენ მუშებს აშკარად ვეტყვით: «დიახ, ჩვენ შეცდომები ჩავიდინეთ», ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში შეცდომები არ განმეორდება, და რომ ჩვენ მომენტსაც უკეთ შევარჩევთ. ხოლო თუ თვით ბრძოლის დროს ჩვენს მხარეზე აღმოჩნდება მშრომელთა უმრავლესობა, — არა მარტო მუშების უმრავლესობა, არამედ ექსპლოატირებულთა და ჩაგრულთა უმრავლესობა, — მაშინ ჩვენ ნამდვილად გავიმარჯვებთ (ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

4

მოხსენება რკპ ტაქტიკის შესახებ
5 ივლისი

ამხანაგებო, სწორედ რომ ვთქვათ, მე შესაძლებლობა არ მქონდა სათანადოდ მოვმზადებულიყავი ამ მოხსენებისათვის. თარგმანი ჩემი ბროშურისა სასურსათო გადასახადის შესახებ და თეზისები რუსეთის კომუნისტური პარტიის ტაქტიკაზე, — აი ყოველივე ის, რაც მე შევძელი სისტემატურად მომემზადებინა. მინდა ამ მასალას მხოლოდ რამდენიმე განმარტება და შენიშვნა დავუმატო.

მე მგონია, რომ ჩვენი პარტიის ტაქტიკის დასასაბუთებლად უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო მდგომარეობა უნდა გავაშუქოთ. ჩვენ უკვე დაწვრილებით განვიხილეთ კაპიტალიზმის ეკონომიური მდგომარეობა საერთაშორისო მასშტაბით, და კონგრესმა ამის გამო უკვე მიიღო გარკვეული რეზოლუციები. ჩემს თეზისებში ამ საკითხს ძალიან მოკლედ, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით განვიხილავ. მე არ ვეხები ეკონომიურ საფუძველს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობაში პოლიტიკურად ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ ახლა უცილობლად დამყარდა ერთგვარი წონასწორობა იმ ძალებისა, რომლებიც იარაღით ხელში ეწეოდნენ ერთმანეთთან აშკარა ბრძოლას ამა თუ იმ ხელმძღვანელი კლასის ბატონობისათვის, — წონასწორობა, ერთი მხრივ, მთლიანად აღებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებასა, საერთაშორისო ბურჟუაზიასა და, მეორე მხრივ, საბჭოთა რუსეთს შორის. მაგრამ,

ცხადია, წონასწორობა მხოლოდ განსაზღვრული აზრით. მე მხოლოდ ამ სამხედრო ბრძოლას ვგულისხმობ, როცა ვამტკიცებ, რომ საერთაშორისო მდგომარეობაში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა-მეთქი. რა თქმა უნდა, ხაზი უნდა გაესვას, რომ ლაპარაკია მხოლოდ შედარებით წონასწორობაზე, მეტად მერყევ წონასწორობაზე. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ბევრი ფეთქებადი მასალა დაგროვდა, სწორედ ისევე, როგორც იმ ქვეყნებში, რომლებიც დღემდე მხოლოდ ისტორიის ობიექტებად ითვლებოდნენ და არა სუბიექტებად, — ე. ი. კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში; ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ქვეყნებში, ადრე თუ გვიან, და სრულიად მოულოდნელად, იფეთქოს აჯანყებებმა, დიდმა ბრძოლებმა და რევოლუციებმა. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენ ვხედავდით საერთაშორისო ბურჟუაზიის აშკარა ბრძოლას პირველი პროლეტარული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა მთელი მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობის ცენტრში იყო მოქცეული, და ახლა სწორედ აქ მოხდა ცვლილება. რამდენადაც საერთაშორისო ბურჟუაზიის ცდა, რომ დაეხრჩო ჩვენი რესპუბლიკა, მარცხით დამთავრდა, იმდენად დამყარდა წონასწორობა, — რასაკვირველია, მეტად მერყევი წონასწორობა.

რა თქმა უნდა, ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია ახლა ჩვენს რესპუბლიკაზე გაცილებით უფრო ძლიერია და რომ მხოლოდ პირობების თავისებური შეხამება უშლის მას ხელს განაგრძოს ომი ჩვენს წინააღმდეგ. უკვე უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ჩვენ კვლავ ვხედავდით შორეულ აღმოსავლეთში შემოსევის განახლების ცდას, და სრულიად უეჭველია, რომ ამგვარი ცდები შემდეგშიც გაგრძელდება. ამის შესახებ ჩვენს პარტიაში არავითარი ეჭვი არ არის. ჩვენთვის საგულისხმოა იმის დადგენა, რომ არსებობს მერყევი წონასწორობა, და რომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს შესვენება, ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ახლანდელი მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნები, შევუფარდოთ ჩვენი ტაქტიკა ამ მდგომარეობის თავისებუ-

რებებს და ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ, რომ უეცრად კვლავ შეიძლება წარმოიშვას შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობა. წითელი არმიის ორგანიზაცია, მისი გაძლიერება უწინდებურად რჩება ჩვენს ამოცანად. სასურსათო საკითხის მხრივაც ჩვენ უწინდებურად და პირველ რიგში ჩვენი წითელი არმიისათვის უნდა ვიზრუნოთ. ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობაში, როდესაც ჩვენ ისევ უნდა მოველოდეთ საერთაშორისო ბურჟუაზიის ახალ თავდასხმებს და შემოსევის ახალ ცდებს, ჩვენ არ შეგვიძლია სხვა გზას დავადგეთ. ჩვენი პრაქტიკული პოლიტიკისათვის კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო მდგომარეობაში ერთგვარი წონასწორობა დამყარდა, მაგრამ მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ: თუმცა რევოლუციურმა მოძრაობამ წინ წაიწია, მაგრამ საერთაშორისო რევოლუციის განვითარება წელს ისეთი პირდაპირი ხაზით არ მიმდინარეობდა, როგორც ჩვენ ამას მოველოდით.

როცა ჩვენ თავის დროზე საერთაშორისო რევოლუციას ვიწყებდით, ამას იმ რწმენით როდი ვაკეთებდით, თითქოს მისი განვითარების დასწრება შეგვეძლო, არამედ იმიტომ, რომ მთელი რიგი გარემოებანი გვაიძულებდნენ ეს რევოლუცია დაგვეწყო. ჩვენ ვფიქრობდით: ან საერთაშორისო რევოლუციის დახმარება მოგვისწრებს, და მაშინ ჩვენი გამარჯვებანი სავსებით უზრუნველყოფილია, ანდა ჩვენს მცირედს რევოლუციურ მუშაობას გავწევთ იმ შეგნებით, რომ, თუნდაც დავმარცხდეთ, რევოლუციის საქმეს მაინც გავუწევთ სამსახურს, და ჩვენი ცდა სარგებლობას მოუტანს სხვა რევოლუციებს. ჩვენთვის ნათელი იყო, რომ საერთაშორისო მსოფლიო რევოლუციის დაუხმარებლად პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, აგრეთვე შემდეგაც, ჩვენ ვფიქრობდით: ან ახლავე, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ჩქარა დაიწყება რევოლუცია დანარჩენ ქვეყნებში, რომელნიც კაპიტალისტურად უფრო განვითარებულნი არიან, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უნდა დავიღუპოთ. ამ შეგნების მიუხედავად, ჩვენ ყველაფერს

ვაკეთებდით, რომ ყოველი გარემოების დროს და რადაც უნდა დაგვჯდომოდა შეგვენარჩუნებინა საბჭოთა სისტემა, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენ ვმუშაობთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ საერთაშორისო რევოლუციისათვისაც. ჩვენ ეს ვიცოდით, ეს რწმენა არაერთხელ გამოგვითქვამს ოქტომბრის რევოლუციამდე, აგრეთვე უშუალოდ მის შემდეგაც და ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების დროსაც. და ეს, საერთოდ რომ ითქვას, მართალი იყო.

მაგრამ სინამდვილეში მოძრაობა ისეთი პირდაპირი ხაზით არ მიდიოდა, როგორც ჩვენ ამას მოველოდით. სხვა მსხვილ, კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში რევოლუცია ჯერ კიდევ არ დაწყებულა. მართალია, რევოლუცია მთელ მსოფლიოში ვითარდება, — ჩვენ შეგვიძლია ეს კმაყოფილებით აღვნიშნოთ, — და მხოლოდ ამ გარემოების წყალობით არის, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიას, თუმცა ის ეკონომიურად და სამხედრო მხრივ ჩვენზე ასჯერ უფრო ძლიერია, არ ძალუძს ჩვენი დახრჩობა (ტ ა შ ი).

თეზისების მეორე პარაგრაფში მე ვარკვევ იმას, თუ როგორ შეიქმნა ასეთი მდგომარეობა და რა დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ ჩვენ იქიდან. დავუმატებ კიდევ, რომ საბოლოო დასკვნა, რომელიც მე იქიდან გამომყავს, შემდეგია: განვითარება საერთაშორისო რევოლუციისა, რომელიც ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ, წინ მიდის. მაგრამ ეს წინსვლითი მოძრაობა ისეთი სწორხაზოვანი არ არის, როგორც მოველოდით. პირველი შეხედვითვე ცხადია, რომ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ზავის ჩამოგდების შემდეგ, რაგინდ ცუდი იყოს იგი, რევოლუციის გამოწვევა ვეღარ მოხერხდა, თუმცა რევოლუციური სიმპტომები, როგორც ვიცით, მეტად მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი იყო, — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანიცა და მრავალრიცხოვანიც კი, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. ახლა გამოდის ბროშურები, რომლებიც მოგვითხრობენ, რომ უკანასკნელ წლებსა და თვეებში ეს რევოლუციური სიმპტომები ევროპაში გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ვიდრე ჩვენ გვეგონა. რაღა უნდა ვქნათ ახლა?

ახლა საჭიროა საფუძვლიანად მოვამზადოთ რევოლუცია და ღრმად შევისწავლოთ მისი კონკრეტული განვითარება მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს პირველი გაკვეთილია, რომელიც ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობიდან უნდა გამოვიტანოთ. ჩვენი რუსეთის რესპუბლიკისთვის ეს ხანმოკლე შესვენება უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ჩვენი ტაქტიკა ისტორიის ამ მიხვეულ-მოხვეულ ხაზს შევუფარდოთ. პოლიტიკურად ეს წონასწორობა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ნათლად ვხედავთ, რომ სწორედ დასავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში, სადაც მუშათა კლასის ფართო მასები და, ძალიან შესაძლებელია, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობაც ორგანიზებულია, ბურჟუაზიის მთავარ დასაყრდენს შეადგენენ სწორედ მუშათა კლასის მტრული ორგანიზაციები, რომლებიც მე-2 და 2½ ინტერნაციონალებს ემხრობიან. ამაზე მე ვლაპარაკობ თეზისების მეორე პარაგრაფში და ვფიქრობ, რომ აქ უნდა შევეხო მხოლოდ ორ პუნქტს, რომელიც უკვე გაშუქებული იყო ჩვენს კამათში ტაქტიკის საკითხის შესახებ. ჯერ ერთი: პროლეტარიატის უმრავლესობის მიმხრობა. რაც უფრო ორგანიზებულია პროლეტარიატი კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყანაში, მით უფრო მეტ საფუძვლიანობას მოითხოვს ჩვენგან ისტორია რევოლუციის მომზადების საქმეში და მით უფრო საფუძვლიანად უნდა მივიმხროთ მუშათა კლასის უმრავლესობა. მეორე: კაპიტალიზმის მთავარ დასაყრდენს მრეწველობის მხრივ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სწორედ მუშათა კლასის ის ნაწილი წარმოადგენს, რომელიც მე-2 და 2½ ინტერნაციონალებშია ორგანიზებული. საერთაშორისო ბურჟუაზია სრულიად ვერ იარსებებდა, ის რომ მუშების ამ ნაწილს, მუშათა კლასის შიგნით არსებულ ამ კონტრრევოლუციურ ელემენტებს არ ეყრდნობოდეს.

მე მინდა აქ აგრეთვე ხაზი გავუსვა კოლონიების მოძრაობის მნიშვნელობას. ამ მხრივ ყველა ძველ პარტიაში, მე-2 და 2½ ინტერნაციონალების ყველა ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ მუშათა პარტიაში ძველი სანტიმენტალური

შეხედულებების ნაშთებს ვამჩნევთ: ღრმა თაწაგრძნობით ვეპყრობით ჩაგრულ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ხალხებსო. კოლონიური ქვეყნების მოძრაობას ჯერ კიდევ ისე უყურებენ, როგორც უმნიშვნელო ეროვნულ და სრულიად მშვიდობიან მოძრაობას. მაგრამ ეს ასე როდია. XX საუკუნის დასაწყისიდან ამ მხრივ დიდი ცვლილებანი მოხდა, სახელდობრ: მილიონები და ასეული მილიონები, — ფაქტიურად დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, — ახლა გამოდიან როგორც დამოუკიდებელი აქტიური რევოლუციური ფაქტორები. და სრულიად ცხადია, რომ მსოფლიო რევოლუციის მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის მოძრაობა, თავდაპირველად ეროვნული განთავისუფლებისკენ მიმართული, პირს იბრუნებს კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და, იქნებ, მან გაცილებით მეტი რევოლუციური როლი შეასრულოს, ვიდრე ჩვენ მოველით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ ჩვენ, პირველად ჩვენს ინტერნაციონალში, შევუდექით ამ ბრძოლის სამზადისს. რასაკვირველია, ამ უდიდეს დარგში გაცილებით მეტია სიძნელენი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მოძრაობა წინ მიდის, და კოლონიური ქვეყნების მშრომელთა მასები, გლეხები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ ჩამორჩენილნი არიან, მსოფლიო რევოლუციის შემდგომ ფაზებში ძალიან დიდ რევოლუციურ როლს შეასრულებენ (გ ა ც ხ ო ვ ე ლ ე ბ უ ლ ი მ ო წ ო ნ ე ბ ა).

რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის შინაურ პოლიტიკურ მდგომარეობას, მე, უწინარეს ყოვლისა, ზედმიწევნით უნდა განვიხილო კლასობრივი ურთიერთობა. უკანასკნელ თვეებში აქ ცვლილება მოხდა, ჩვენ ვხედავთ, რომ გაჩნდნენ ექსპლოატატორული კლასის ახალი ორგანიზაციები, რომელნიც ჩვენს წინააღმდეგ არიან მიმართულნი. სოციალიზმის ამოცანა ის არის, რომ კლასები მოსპოს. ექსპლოატატორთა კლასის პირველ რიგებში დგანან მსხვილი მიწათმფლობელები და კაპიტალისტ-მრეწველები. აქ ნგრევითი მუშაობა საკმაოდ

ადვილია, შეიძლება იგი რამდენიმე თვის განმავლობაში იქ-ნეს ბოლომდე მიყვანილი, ზოგჯერ რამდენიმე კვირის ან დღის განმავლობაშიც კი. რუსეთში ჩვენ ექსპროპრიაცია ვუყავით ჩვენს ექსპლოატატორებს, როგორც მსხვილ მიწათ-მფლობელებს, ისევე კაპიტალისტებს. ომის დროს მათ საკუ-თარი ორგანიზაცია არა ჰქონიათ, და ისინი მოქმედებდნენ მხოლოდ როგორც საერთაშორისო ბურჟუაზიის სამხედრო ძალების მაჩანჩალები. ახლა, მას შემდეგ, რაც ჩვენ საერთა-შორისო კონტრრევოლუციის შემოტევა უკუვაგდეთ, შეიქმნა რუსეთის ბურჟუაზიისა და რუსეთის ყველა კონტრრევოლუ-ციური პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია. რუსი ემიგრანტების რიცხვი, რომლებიც უცხოეთის ყველა ქვეყა-ნაში გაიფანტნენ, ერთ-ნახევარ ან ორ მილიონს უნდა უდრი-დეს. თითქმის ყოველ ქვეყანაში ისინი ყოველდღიურ გაზე-თებს სცემენ, და ყველა პარტია, როგორც მემამულური, ისე წვრილბურჟუაზიული, სოციალისტ-რევოლუციონერებისა და მენშევიკების გამოუკლებლად, მრავალნაირად არის დაკავში-რებული უცხოეთის ბურჟუაზიულ ელემენტებთან, ე. ი. საკ-მაო ფულს ღებულობს იმისთვის, რომ საკუთარი პრესა იქო-ნიოს; ჩვენ ვამჩნევთ, რომ საზღვარგარეთ ჩვენი ყველა ძვე-ლი პოლიტიკური პარტია გამოუკლებლივ ერთად მუშაობს, ვხედავთ, რომ «თავისუფალი» რუსული პრესა საზღვარ-გარეთ, მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების პრესით დაწყებული და უკიდურესი მონარქისტულით გათა-ვებული, მსხვილ მიწათმფლობელობას იცავს. ეს რამდენადმე აადვილებს ჩვენს ამოცანას, იმიტომ რომ ჩვენ შეგვიძლია უფრო ადვილად გადავავლოთ თვალი მტრის ძალებს, მის ორგანიზებულობას და მისი ბანაკის პოლიტიკურ მიმდინა-რეობებს. მეორე მხრივ, ეს, რასაკვირველია, აძნელებს ჩვენს მუშაობას, იმიტომ რომ ეს რუსი კონტრრევოლუციური ემი-გრანტები ყოველ საშუალებას ხმარობენ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის მოსამზადებლად. ეს ბრძოლა კვლავ გვიჩვენებს, რომ გაბატონებული კლასების კლასობრივი ინსტინქტი და კლასობრივი შეგნება საერთოდ და მთლიანად ჯერ კიდევ

უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩაგრული კლასების თვითშეგნება, თუმცა რუსეთის რევოლუციამ ამ მხრივ მეტი გააკეთა, ვიდრე ყველა წინანდელმა რევოლუციამ. რუსეთში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, სადაც ხალხი, სადაც ჩაგრულნი არ ამოძრავებულიყვნენ. ამისდა მიუხედავად, თუ ჩვენ გულდამშვიდებით შევაფასებთ უცხოეთში მცხოვრები რუსი კონტრრევოლუციური ემიგრაციის შეხედულებათა ორგანიზებულობასა და პოლიტიკურ სიცხადეს, დავრწმუნდებით, რომ ბურჟუაზიის კლასობრივი შეგნება ჯერ კიდევ უფრო მაღლა დგას, ვიდრე ექსპლოატირებულთა და ჩაგრულთა კლასობრივი შეგნება. ეს ადამიანები ყოველნაირად ცდილობენ, ყოველ შემთხვევას მარჯვედ იყენებენ, რომ ამა თუ იმ სახით თავს დაესხან საბჭოთა რუსეთს და დააქუცმაცონ იგი. მეტად საგულისხმო იქნება, რომ ამ რუსეთის კონტრრევოლუციის უმთავრეს მისწრაფებებს, უმთავრეს ტაქტიკურ მეთოდებს, უმთავრეს მიმდინარეობებს სისტემატურად ვადევნოთ თვალყური — და ვფიქრობ, რომ საზღვარგარეთელი ამხანაგები ამას გააკეთებენ. ეს კონტრრევოლუცია, უმთავრესად, საზღვარგარეთ მუშაობს და უცხოელი ამხანაგებისათვის მაინცდამაინც ძნელი არ იქნება თვალყური ადევნონ ამ მოძრაობას. ზოგიერთი მხრივ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ მტრისაგან. ეს კონტრრევოლუციური ემიგრანტები ძალიან კარგად იცნობენ საქმეთა ვითარებას, საუცხოოდ არიან ორგანიზებულნი, კარგი სტრატეგებიც არიან, და, ვფიქრობ, რომ სისტემატურ შედარებას, იძის სისტემატურად შესწავლას, თუ როგორ ირაზმებიან ისინი და როგორ სარგებლობენ ამა თუ იმ შემთხვევით, ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია მუშათა კლასზე პროპაგანდის თვალსაზრისით. ეს ზოგადი თეორია როდია, ეს პრაქტიკული პოლიტიკაა, და აქ ჩანს, თუ რა ისწავლა მტერმა. რუსეთის ბურჟუაზიამ უკანასკნელ წლებში საშინელი დამარცხება განიცადა. არსებობს ძველი მოსწრებული სიტყვა, რომ დამარცხებული არმია ბევრ რამეს სწავლობსო. დამარცხებულმა რეაქციულმა არმიამ ბევრი რამ ისწავლა, მშვენივრადაც ისწავლა. იგი სწავლობს უდიდესი

სიხარბით, და მან მართლაც დიდ წარმატებას მიაღწია. იმ დროს, როცა ჩვენ ძალაუფლება ერთის დაკვრით ავიღეთ, რუსეთის ბურჟუაზია არაორგანიზებული, პოლიტიკურად განუვითარებელი იყო. ახლა, ვფიქრობ, ის თანამედროვე დასავლეთ-ევროპული განვითარების სიმაღლეზე დგას. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, საკუთარი ორგანიზაციები და მეთოდები უნდა გავაუმჯობესოთ, და ამას ჩვენ მთელი ძალღონით შევეცდებით. ჩვენთვის შედარებით ადვილი იყო, და მგონია, რომ სხვა რევოლუციებისთვისაც აგრეთვე ადვილი იქნება ამ ორი ექსპლოატატორული კლასის ალაგმვა.

მაგრამ ამ ექსპლოატატორთა კლასის გარდა, თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, — შეიძლება, ინგლისის გამოკლებით, — არსებობს წვრილ მწარმოებელთა და წვრილ მიწათმოქმედთა კლასი. რევოლუციის მთავარ საკითხს ახლა წარმოადგენს ამ ორი უკანასკნელი კლასის წინააღმდეგ ბრძოლა. მათგან რომ გავთავისუფლდეთ, უნდა გამოვიყენოთ სხვა მეთოდები, ვიდრე მსხვილი მიწათმფლობელებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყო საჭირო. ჩვენ შეგვეძლო პირდაპირ მოგვეხდინა ორი უკანასკნელი კლასის ექსპროპრიაცია და გაგვეძევებინა ისინი, — და ჩვენ მართლაც ასე მოვიქეცით. მაგრამ ჩვენ ასე არ შეგვიძლია მოვექცეთ უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასებს, წვრილ მწარმოებლებს და წვრილ ბურჟუებს, რომლებიც ყველა ქვეყანაში არსებობენ. კაპიტალისტური ქვეყნების უმეტეს ნაწილში ეს კლასები მეტად ძლიერ უმცირესობას შეადგენენ, დაახლოებით მოსახლეობის 30 — 45%-ს. თუ მათ მუშათა კლასის წვრილბურჟუაზიულ ელემენტს მივუმატებთ, 50%-ზე მეტიც გამოვა. არ შეიძლება მათი ექსპროპრიაცია ან გაძევება, — აქ ბრძოლა სხვანაირად უნდა წარმოებდეს. იმ პერიოდის მნიშვნელობა, რომელიც ახლა რუსეთში იწყება, საერთაშორისო თვალსაზრისით, თუ საერთაშორისო რევოლუციას განვიხილავთ, როგორც ერთიან პროცესს, — არსებითად ის არის, რომ ჩვენ პრაქტიკულად უნდა გადავწყვიტოთ საკითხი პროლეტარიატის ურთიერთობისა რუსეთის უკანასკნელ

კაპიტალისტურ კლასთან. თეორიულად ამ საკითხს ყველა მარქსისტი კარგად და ადვილად წყვეტდა; მაგრამ თეორია და პრაქტიკა ორი სხვადასხვა საგანია და ამ საკითხის პრაქტიკულად თუ თეორიულად გადაწყვეტა სრულიადაც არ არის ერთი და იგივე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დიდ შეცდომებს ჩავდიოდით. საერთაშორისო თვალსაზრისით უდიდეს პროგრესს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენ ვცდილობთ გამოვარკვიოთ სახელმწიფო ხელისუფლების მპყრობელი პროლეტარიატის დამოკიდებულება უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასთან, კაპიტალიზმის ულრმეს საფუძველთან, წვრილ საკუთრებასთან, წვრილ მწარმოებელთან. ეს საკითხი ახლა პრაქტიკულად აღიმართა ჩვენს წინაშე. ვფიქრობ, რომ ჩვენ შევძლებთ ამ ამოცანის გადაწყვეტას. ყოველ შემთხვევაში, ის ცდა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, სასარგებლო იქნება მომავალი პროლეტარული რევოლუციებისთვის, და ისინი შეძლებენ ტექნიკურად უკეთ მოემზადონ ამ საკითხის გადაწყვეტად.

მე შევეცადე ჩემს თეზისებში ანალიზი გამეკეთებინა გლეხობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხისთვის. ისტორიაში პირველად არსებობს ისეთი სახელმწიფო, სადაც არის მხოლოდ ეს ორი კლასი, მხოლოდ პროლეტარიატი და გლეხობა. გლეხობა მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენს. ის, რასაკვირველია, ძალიან ჩამორჩენილია. როგორ გამოიხატება პრაქტიკულად ძალაუფლების მპყრობელი პროლეტარიატის დამოკიდებულება გლეხობისადმი რევოლუციის განვითარებაში? პირველი ფორმაა კავშირი, მჭიდრო კავშირი. ეს მეტად ძნელი ამოცანაა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იგი ეკონომიურად და პოლიტიკურად შესაძლებელია.

როგორ მივუდექით ჩვენ ამ საკითხს პრაქტიკულად? ჩვენ კავშირი შევკარით გლეხობასთან. ჩვენ ეს კავშირი ასე გვესმის: პროლეტარიატი გლეხობას ათავისუფლებს ბურჟუაზიის მხრივ ექსპლოატაციისაგან, მისი ხელმძღვანელობისა და

გავლენისაგან და იმხრობს მას, რათა ექსპლოატატორები საერთო ძალ-ღონით დაამარცხონ.

მენშევიკები ასე მსჯელობენ: გლეხობა უმრავლესობას შეადგენს, ჩვენ წმინდა დემოკრატები ვართ, ამიტომ უმრავლესობა უნდა წყვეტდეს საქმესო. მაგრამ რადგან გლეხობას არ ძალუძს დამოუკიდებელი იყოს, პრაქტიკულად ეს მხოლოდ კაპიტალიზმის აღდგენას ნიშნავს. ლოზუნგი იგივეა: კავშირი გლეხებთან. როცა ჩვენ ამაზე ვლაპარაკობთ, პროლეტარიატის გაძლიერებასა და განმტკიცებას ვგულისხმობთ. ჩვენ ვცდილობდით გაგვეხორციელებინა ეს კავშირი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ამასთან პირველი ეტაპი სამხედრო კავშირი იყო. სამი წლის სამოქალაქო ომმა უდიდესი სიძნელენი შექმნა, მაგრამ მან ერთგვარად გააადვილა ჩვენი ამოცანა. ეს აზრი, იქნებ, უცნაური გვეჩვენოს, მაგრამ ეს ასეა. ომი გლეხებისთვის არ იყო რაღაც ახალი; ომი ექსპლოატატორების წინააღმდეგ, მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ მათთვის სავსებით გასაგები იყო. გლეხთა უდიდესი მასები ჩვენს მხარეზე იყვნენ. უზარმაზარი მანძილის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ ჩვენი გლეხობის უმრავლესობამ არ იცის არც წერა, არც კითხვა, იგი ჩვენს პროპაგანდას ძალიან ადვილად ითვისებდა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ფართო მასები, — ისევე როგორც ყველაზე მოწინავე ქვეყნებში, — გაცილებით უფრო ადვილად სწავლობენ თავიანთი საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით, ვიდრე წიგნების შემწეობით. ჩვენში კი გლეხობისათვის პრაქტიკული გამოცდილება გაადვილებული იყო იმ გარემოებითაც, რომ რუსეთი ესოდენ უზარმაზარი ქვეყანაა და რომ მის სხვადასხვა ნაწილს შეეძლო ერთსა და იმავე დროს განვითარების სხვადასხვა სტადია განეცადა.

ციმბირსა და უკრაინაში კონტრრევოლუციას შეეძლო დროებით გაემარჯვნა, იმიტომ რომ ბურჟუაზიას იქ გლეხობა ემხრობოდა, იმიტომ რომ გლეხები ჩვენი წინააღმდეგი იყვნენ. გლეხები ხშირად აცხადებდნენ: «ჩვენ ბოლშევიკები ვართ, მაგრამ არა ვართ კომუნისტები. ჩვენ ბოლშევიკებს

ვემხრობით, იმიტომ რომ მათ მემამულეები გააძევეს, მაგრამ არ ვემხრობით კომუნისტებს, იმიტომ რომ ისინი ინდივიდუალური მეურნეობის წინააღმდეგნი არიანო». და ერთ ხანს კონტრრევოლუციას შეეძლო გამარჯვება მოეპოვებინა ციმბირსა და უკრაინაში, იმიტომ რომ ბურჟუაზიას წარმატება ჰქონდა გლეხთა შორის გავლენისათვის ბრძოლაში; მაგრამ საკმაო იყო მეტად ხანმოკლე პერიოდი, რომ გლეხებისათვის თვალები აგვეხილა. მოკლე ხნის განმავლობაში მათ პრაქტიკული გამოცდილება დააგროვეს და მალე თქვეს: «დიახ, ბოლშევიკები საკმაოდ არასასიამოვნო ადამიანები არიან; ჩვენ ისინი არ გვიყვარს, მაგრამ მაინც ისინი სჯობიან თეთრგვარდიელებსა და დამფუძნებელ კრებასო». დამფუძნებლობას ისინი სალანძღავ სიტყვად თვლიან. არა მარტო განვითარებული კომუნისტები, არამედ უბრალო გლეხებიც. მათ პრაქტიკული გამოცდილებით იციან, რომ დამფუძნებელი კრება და თეთრი გვარდია ერთსა და იმავეს ნიშნავს, რომ პირველის შემდეგ აუცილებლად მეორე მოდის. მენშევიკებიც იყენებენ გლეხობასთან სამხედრო კავშირის ფაქტს, მაგრამ არ უფიქრდებიან იმას, რომ მარტო ეს კავშირი საკმაო არ არის. სამხედრო კავშირის არსებობა შეუძლებელია, თუ ეკონომიური კავშირიც არ იქნა. ჩვენ ხომ მარტო ჰაერით არ ვცხოვრობთ; ჩვენი კავშირი გლეხებთან ვერავითარ შემთხვევაში ვერ იარსებებდა ხანგრძლივად, მას რომ ის ეკონომიური საძირკველი არა ჰქონოდა, რომელიც ბურჟუაზიის წინააღმდეგ ომში ჩვენი გამარჯვების საფუძველი იყო: ჩვენი ბურჟუაზია ხომ მთელ საერთაშორისო ბურჟუაზიასთან გაერთიანდა.

საფუძველი ამ ეკონომიური კავშირისა ჩვენსა და გლეხობას შორის, რასაკვირველია, მეტად უბრალო, ტლანქიც კი იყო. გლეხმა ჩვენგან მთელი მიწა მიიღო და ჩვენ მხარი დავუჭირეთ მას მსხვილი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. ამის სამაგიეროდ სურსათი უნდა მიგვეღო. ეს კავშირი სრულიად ახალი რამ იყო და საქონელმწარმოებელთა და მომხმარებელთა ჩვეულებრივ ურთიერთდამოკიდებულებას როდი ეყრდნობოდა. ჩვენს გლეხებს ეს გაცილებით უკეთ ესმოდათ,

ვიდრე მე-2 და 2 ½ ინტერნაციონალების გმირებს. გლეხები გულში ამბობდნენ: «ეს ბოლშევიკები მკაცრი ბელადები არიან, მაგრამ მაინც ჩვენი ხალხიაო». ასე თუ ისე, ჩვენ, ამრიგად, შევქმენით ახალი ეკონომიური კავშირის საფუძვლები. გლეხები წითელ არმიას თავიანთ პროდუქტებს აძლევდნენ და სამაგიეროდ დახმარებას ღებულობდნენ მისგან თავიანთი ადგილმამულის დაცვისას. ამას ყოველთვის ივიწყებენ მე-2 ინტერნაციონალის გმირები, რომლებსაც, ოტო ბაუერივით, სრულიად არ ესმით ნამდვილი ვითარება. ჩვენ ვაღიარებთ, რომ კავშირის პირვანდელი ფორმა მეტად პრიმიტიული იყო და რომ ჩვენ ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. მაგრამ ჩვენ რაც შეიძლება ჩქარა უნდა გვემოქმედნა, რადაც უნდა დაგვჯდომოდა ჯარის მომარაგება უნდა მოგვეწყო. სამოქალაქო ომის დროს ჩვენ მოწყვეტილნი ვიყავით რუსეთის ყველა პურიან რაიონს. ჩვენი მდგომარეობა საშინელი იყო, და თითქმის სასწაულად გვეჩვენება, რომ რუსმა ხალხმა და მუშათა კლასმა შეძლეს ამოდენა ტანჯვისა, გაჭირვებისა და უბედურების ატანა, რადგან მას არაფერი გააჩნდა, გარდა დაუცხრომელი მისწრაფებისა გამარჯვებისადმი (გ ა ც ხ ო ვ ე ლ ებ უ ლ ი მ ო წ ო ნ ებ ა დ ა ტ ა შ ი).

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ჩვენს წინაშე, ყოველ შემთხვევაში, სხვაგვარი ამოცანა დადგა. ჩვენი ქვეყანა რომ ესოდენ გაჩანაგებული არ ყოფილიყო, როგორც ეს იყო შვიდი წლის განუწყვეტელი ომის შემდეგ, თითქოს, შეიძლებოდა უფრო ადვილი გადასვლა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის კავშირის ახალ ფორმაზე. მაგრამ ისედაც მძიმე პირობებს ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო ართულებდა მოუსავლობა, ფურაჟის ნაკლებობა და სხვ.. ამის გამო გლეხის გაჭირვება აუტანელი გახდა. ჩვენ გლეხობის ფართო მასებისთვის დაუყოვნებლივ უნდა გვეჩვენებინა, რომ ჩვენ მზად ვართ, რევოლუციური გზიდან სრულიად გადაუხვევლად, შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა ისე, რომ გლეხებს შეეძლებათ თავიანთ თავს უთხრან: ბოლშევიკებს სურთ რადაც

უნდა დაჯდეს დაუყოვნებლივ გააუმჯობესონ ჩვენი აუტანელი მდგომარეობაო.

ამრიგად, მოხდა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა: რეკვიზიციის ნაცვლად შემოღებულ იქნა ნატურალური გადასახადი. ეს ერთბაშად როდი მოვიგონეთ. მთელი თვეების მანძილზე ბოლშევიკურ პრესაში მრავალ წინადადებას შეხვდებით, ხოლო ისეთი პროექტი, რომელიც ნამდვილ წარმატებას აღგვითქვამდა, არ ყოფილა გამოგონებული. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. საყურადღებოა თვით ფაქტი, რომ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა განვახორციელეთ, დავემორჩილეთ რა მხოლოდ პრაქტიკულ გარემოებებს და მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებლობას. მოუსავლობას, ფურაჟის ნაკლებობას, სათბობის ნაკლებობას, — ყოველივე ამას, რასაკვირველია, გადამწყვეტი გავლენა აქვს მთელ მეურნეობაზე მთლიანად, მათ შორის გლეხურ მეურნეობაზეც. თუ გლეხობა გაიფიცება, შეშას ვერ მივიღებთ. ხოლო თუ შეშა არ გვექნება, ფაბრიკები ძალაუნებურად გაჩერდება. ამრიგად, ეკონომიურმა კრიზისმა, უდიდესი მოუსავლობისა და ფურაჟის ნაკლებობის გამო, 1921 წლის გაზაფხულისთვის უზარმაზარ ფარგლებს მიაღწია. ყოველივე ეს სამი წლის სამოქალაქო ომის შედეგი იყო. საჭირო იყო გლეხობისთვის გვეჩვენებინა, რომ ჩვენ შეგვიძლია და სურვილიც გვაქვს საჩქაროდ შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა, რათა დაუყოვნებლივ შევამსუბუქოთ მისი გაჭირვება. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, — ამის შესახებ II კონგრესზეც იყო ლაპარაკი, — რომ რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს. მოიპოვებიან ამხანაგები, რომლებიც თავიანთ პროპაგანდას შემდეგნაირად ასაბუთებენ: ჩვენ მზად ვართ რევოლუცია მოვახდინოთ, მაგრამ ის მეტისმეტად მძიმე არ უნდა იყოსო. თუ არ ვცდები, ეს დებულება გამოთქვა ამხ. შმერალმა თავის სიტყვაში ჩეხოსლოვაკთა პარტიულ ყრილობაზე [102]. მე ამ ყრილობის ანგარიში რეიჰენბერგის «Vorwärts»-ში [103] წავიკითხე. იქ, ეტყობა, ოდნავ მემარცხენე ფრთა არსებობს. მაშასადამე, ეს წყარო არ შეიძლება სავსებით მიუდგომლად ჩაითვალოს. ყოველ

შემთხვევაში, უნდა განვაცხადო, რომ შმერალი ცდება, თუ მან მართლაც ეს თქვა. ზოგიერთმა ორატორმა, რომელიც აღნიშნულ ყრილობაზე შმერალის შემდეგ გამოვიდა, თქვა: «დიახ, ჩვენ შმერალს გავყვებით, რადგან ამით სამოქალაქო ომს თავიდან ავიცდენთო». თუ ყოველივე ეს მართალია, უნდა განვაცხადო, რომ ასეთი აგიტაცია არც კომუნისტურია და არც რევოლუციური. ცხადია, რომ ყოველი რევოლუცია უზარმაზარ მსხვერპლს მოითხოვს იმ კლასისაგან, რომელიც რევოლუციას ახდენს. რევოლუცია ჩვეულებრივი ბრძოლისაგან იმით განირჩევა, რომ მოძრაობაში ათჯერ და ასჯერ მეტი ხალხი იღებს მონაწილეობას, და ამ მხრივ ყოველი რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს არა მარტო ცალკეული პირებისაგან, არამედ მთელი კლასისგანაც. პროლეტარიატის დიქტატურამ რუსეთში გამოიწვია ისეთი მსხვერპლი, ისეთი გაჭირვება და უბედურება გაბატონებული კლასისათვის, პროლეტარიატისათვის, როგორიც ისტორიას არასოდეს არ სცოდნია, და, ძალიან შესაძლებელია, რომ ყოველ სხვა ქვეყანაშიც ესევე მოხდეს.

იბადება კითხვა, როგორ გავანაწილოთ ეს გაჭირვება? ჩვენ სახელმწიფო ხელისუფლებას წარმოვადგენთ. ჩვენ შეგვიძლია რამდენადმე გავანაწილოთ გაჭირვება, რამდენიმე კლასს დავაკისროთ იგი და, ამრიგად, მოსახლეობის ცალკე ფენების მდგომარეობა შედარებით შევამსუბუქოთ. რა პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ? სამართლიანობის თუ უმრავლესობის პრინციპის მიხედვით? არა. ჩვენ პრაქტიკულად უნდა ვიმოქმედოთ. განაწილება ისე უნდა მოვახდინოთ, რომ პროლეტარიატის ძალაუფლება შევინარჩუნოთ. ეს არის ჩვენი ერთადერთი პრინციპი. რევოლუციის დასაწყისში მუშათა კლასი იძულებული იყო წარმოუდგენელი გაჭირვება აეტანა. ახლა აღვნიშნავ, რომ ჩვენი სასურსათო პოლიტიკა წლითიწლობით სულ მეტ წარმატებას აღწევს. და საერთოდ მდგომარეობა, უეჭველია, გაუმჯობესებულია. მაგრამ გლეხებმა რუსეთში რევოლუციის წყალობით უცილობლად მეტი მოიგეს, ვიდრე მუშათა კლასმა. ეს სრულიად უეჭველია.

თეორიული თვალსაზრისით, რასაკვირველია, ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენი რევოლუცია რამდენადმე ბურჟუაზიული რევოლუცია იყო. როცა კაუცკი ჩვენს წინააღმდეგ ამ საბუთს აყენებდა, ჩვენ ვიცინოდით. ცხადია, რომ თუ მსხვილი მიწათმფლობელობის ექსპროპრიაცია არ მოხდა, მსხვილი მიწათმფლობელნი არ განიდევნენ და მიწა არ დანაწილდა, რევოლუცია მხოლოდ ბურჟუაზიული იქნება და არა სოციალისტური. მაგრამ ჩვენ ერთადერთი პარტია ვიყავით, რომელმაც შეძლო ბურჟუაზიული რევოლუცია ბოლომდე მიეყვანა და გაეადვილებინა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისთვის. საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა სისტემა სოციალისტური სახელმწიფოს ინსტიტუტებს წარმოადგენენ. ჩვენ უკვე შევქმენით ეს ინსტიტუტები, მაგრამ გლეხობისა და პროლეტარიატის ეკონომიური ურთიერთდამოკიდებულების ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. ბევრი რამ რჩება კიდევ გასაკეთებელი, და ამ ბრძოლის შედეგი იმაზე იქნება დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ამ ამოცანის გადაჭრას. ამრიგად, გაჭირვების განაწილება პრაქტიკულად ერთ-ერთ უძნელეს ამოცანას წარმოადგენს. საერთოდ, გლეხობის მდგომარეობა გაუმჯობესდა, მუშათა კლასს კი წილად ხვდა მძიმე ტანჯვა — და სწორედ იმიტომ, რომ ის თავის დიქტატურას ახორციელებს.

მე უკვე ვთქვი, რომ ფურაჟის ნაკლებობამ და მოუსავლობამ 1921 წლის გაზაფხულზე უსაშინელესი გაჭირვება გამოიწვია გლეხობაში, რომელიც ჩვენში უმრავლესობას შეადგენს. ჩვენ ვერ ვიარსებებთ, თუ გლეხთა მასებთან კარგი დამოკიდებულება არ გვექნა. ამიტომ, ჩვენი ამოცანა იყო დაუყოვნებლივ დავხმარებოდით მათ. მუშათა კლასის მდგომარეობა არაჩვეულებრივად მძიმეა. ის საშინლად იტანჯება. მაგრამ ყველაზე განვითარებულ პოლიტიკურ ელემენტებს ესმით, რომ მუშათა კლასის დიქტატურის ინტერესებისათვის ჩვენ უდიდესი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რათა დავეხმაროთ გლეხობას, რადაც უნდა დაგვიჯდეს. მუშათა კლასის ავანგარდმა ეს შეიგნო, მაგრამ ამ ავანგარდში არიან კიდევ ადა-

მიანები, რომლებიც ვერ ხვდებიან ამას, რომლებიც იმდენად დაქანცულნი არიან, რომ უჭირთ ამის გაგება. მათ ამაში შეცდომა დაინახეს, დაიწყეს სიტყვა ოპორტუნიზმის ხმარება. ამბობდნენ, რომ ბოლშევიკები გლეხებს ეხმარებიან. გლეხი, რომელიც ჩვენს ექსპლოატაციას ეწევა, ყველაფერს ღებულობს, ხოლო მუშა შიმშილობსო. მერე ეს ოპორტუნიზმია? ჩვენ გლეხებს ვეხმარებით იმიტომ, რომ, თუ მათთან კავშირი არ გვექნება, ისე შეუძლებელია პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლება, შეუძლებელია ამ ძალაუფლების შენარჩუნება. სწორედ ეს მიზანშეწონილობის მოტივი იყო ჩვენთვის გადამწყვეტი და არა სამართლიანი განაწილების მოტივი. ჩვენ გლეხებს ვეხმარებით, რადგან ეს აუცილებლად საჭიროა ჩვენ მიერ პოლიტიკური ძალაუფლების შესანარჩუნებლად. დიქტატურის უმაღლესი პრინციპია პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის დაცვა, რათა პროლეტარიატმა შეძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება.

ერთადერთი საშუალება, რომელიც ჩვენ ამისთვის ვიპოვნეთ, ნატურალურ გადასახადზე გადასვლა იყო, რაც ბრძოლის აუცილებელი შედეგია. უახლოეს წელს ჩვენ პირველად გამოვიყენებთ ამ გადასახადს. პრაქტიკულად ეს პრინციპი ჯერ კიდევ არ არის ნაცადი. სამხედრო კავშირიდან ეკონომიურ კავშირზე უნდა გადავიდეთ, და თეორიულად ამ ეკონომიური კავშირის ერთადერთი საფუძველი შეიძლება იყოს ნატურალური გადასახადის შემოღება. ეს არის ერთადერთი თეორიული შესაძლებლობა სოციალისტური საზოგადოების მართლაც მტკიცე ეკონომიური ბაზის შესაქმნელად. სოციალიზებული ფაბრიკა გლეხს თავის ნაწარმს აწვდის, სამაგიეროდ გლეხი პურს იძლევა. ეს ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა სოციალისტური საზოგადოების არსებობისა, ერთადერთი ფორმაა სოციალისტური მშენებლობისა იმ ქვეყანაში, სადაც წვრილი გლეხობა შეადგენს უმრავლესობას ან, ყოველ შემთხვევაში, მეტად მნიშვნელოვან უმცირესობას. ერთ ნაწილს გლეხი გადასახადის სახით მოგვცემს, ხოლო მეორეს

სოციალისტური ფაბრიკის ნაწარმზე გადაცვლით ან საქონელ-ცვლით.

აქ ჩვენ ყველაზე ძნელ საკითხს ვუახლოვდებით. თავისთავად იგულისხმება, რომ ნატურალური გადასახადი ვაჭრობის თავისუფლებას ნიშნავს. გლეხს უფლება აქვს, ნატურალური გადასახადის შეტანის შემდეგ, თავისუფლად გადაცვალოს თავისი დარჩენილი პური. გაცვლა-გამოცვლის ეს თავისუფლება კაპიტალიზმის თავისუფლებას ნიშნავს. ამას ჩვენ აშკარად ვამბობთ და ხაზგასმით აღვნიშნავთ. ჩვენ ამას სრულიადაც არ ვმალავთ. მეტად ცუდად იქნებოდა ჩვენი საქმეები, ამის დამალვა რომ განგვეზრახა. ვაჭრობის თავისუფლება კაპიტალიზმის თავისუფლებას ნიშნავს, მაგრამ, ამასთან ერთად — მის ახალ ფორმას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ რამდენადმე ხელახლა ვქმნით კაპიტალიზმს. ჩვენ ამას სრულიად აშკარად ვაკეთებთ. ეს სახელმწიფო კაპიტალიზმია. მაგრამ სახელმწიფო კაპიტალიზმი ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც ძალაუფლება კაპიტალს ეკუთვნის, და სახელმწიფო კაპიტალიზმი პროლეტარულ სახელმწიფოში — ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. კაპიტალისტურ სახელმწიფოში სახელმწიფო კაპიტალიზმი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ცნობს და კონტროლს უწევს მას ბურჟუაზიის სასარგებლოდ და პროლეტარიატის საწინააღმდეგოდ. პროლეტარულ სახელმწიფოში იგივე კეთდება მუშათა კლასის სასარგებლოდ, იმ მიზნით, რომ გავუმკლავდეთ ჯერ კიდევ ძლიერ ბურჟუაზიას და ვებრძოლოთ მას. თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენ უცხოეთის ბურჟუაზიას, საზღვარგარეთულ კაპიტალს კონცესიები უნდა მივცეთ. საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს ყოველგვარი დენაციონალიზაციის მოუხდენლად გადავცემთ სამადნოებს, ტყეებს, ნავთის წყაროებს, რათა მივიღოთ მათგან მრეწველობის პროდუქტები, მანქანები და სხვ. და, ამრიგად, აღვადგინოთ ჩვენი საკუთარი მრეწველობა.

სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხში ჩვენ ყველანი, რასაკვირველია, ერთბაშად არ შევთანხმებულვართ. მაგრამ ამის გამო შეგვეძლო დიდი სიხარულით აღგვენიშნა, რომ ჩვენი

გლეხობა ვითარდება, რომ მან საკუთარი თვალით შეიგნო იმ ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ახლა ვაწარმოებთ. მეტად შორეული ადგილებიდან მოდიოდნენ სრულიად უბრალო გლეხები და გვეუბნებოდნენ: «როგორ? ჩვენი კაპიტალისტები, რომლებიც რუსულად ლაპარაკობენ, გავრეკეთ და ახლა ჩვენთან უცხოელი კაპიტალისტები მოვლენ?». განა ეს ჩვენი გლეხების განვითარებას არ მოწმობს? ეკონომიურად გათვითცნობიერებულ მუშას არ სჭირდება იმის ახსნა, თუ რად არის ეს აუცილებელი. შვიდი წლის ომმა ჩვენ ისე გაგვაჩანაგა, რომ ჩვენი მრეწველობის აღდგენას მრავალი წელი დასჭირდება. ჩვენ უნდა ვზღოთ ჩვენი ჩამორჩენილობა, ჩვენი სისუსტე, ის, რასაც ახლა ვსწავლობთ, რაც უნდა ვისწავლოთ. ვისაც სწავლა უნდა, სწავლის საფასურიც უნდა გაიღოს. ჩვენ ეს უნდა განვუმარტოთ ყველას და თვითეულს, და თუ ამას პრაქტიკულად დავამტკიცებთ, გლეხებისა და მუშების უზარმაზარი მასები დაგვეთანხმებიან, რადგან ამ გზით მათი მდგომარეობა დაუყოვნებლივ გაუმჯობესდება, რადგან ეს უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობის აღდგენის შესაძლებლობას. რა გვაიძულებს ჩვენ, რომ ასე მოვიქცეთ? ჩვენ ქვეყნად მარტონი როდი ვართ. ჩვენ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სისტემაში ვარსებობთ... ერთ მხარეზე კოლონიური ქვეყნებია, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ჩვენ დაგვეხმარონ, ხოლო მეორეზეა კაპიტალისტური ქვეყნები, მაგრამ ისინი ჩვენი მტრები არიან. გამოდის ერთგვარი წონასწორობა, თუმცა ძალიან ცუდი წონასწორობა. მაგრამ ამ ფაქტს მაინც ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამ ფაქტის წინაშე თვალები არ უნდა დავხუჭოთ, თუ გვინდა რომ ვიარსებოთ. ან დაუყოვნებლივ გამარჯვება მთელ ბურჟუაზიაზე, ან ხარკის გადახდა.

ჩვენ სავსებით აშკარად ვაღიარებთ, ჩვენ არ ვმალავთ, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემაში კონცესიები ხარკს ნიშნავს კაპიტალიზმის სასარგებლოდ. მაგრამ ჩვენ დროს ვიგებთ, დროის მოგება კი ყველაფრის მოგებას ნიშნავს, განსაკუთრებით წონასწორობის ეპოქაში, როცა ჩვენი

უცხოელი ამხანაგები თავიანთ ქვეყნებში რევოლუციას საფუძვლიანად ამზადებენ. ხოლო რაც უფრო საფუძვლიანად იქნება იგი მომზადებული, მით უფრო საიმედო იქნება გამარჯვება. მანამდე კი ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ხარკი ვიხადოთ.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი სასურსათო პოლიტიკის შესახებ. ეს პოლიტიკა, უეჭველია, მეტად პრიმიტიულიც იყო და უხეიროც. მაგრამ შეგვიძლია აღვნიშნოთ წარმატებებიც. ამასთან დაკავშირებით, მე ერთხელ კიდევ ხაზი უნდა გავუსვა, რომ სოციალიზმის ერთადერთ შესაძლებელ ეკონომიურ საფუძველს მსხვილი მანქანური ინდუსტრია წარმოადგენს. ვინც ამას ივიწყებს, ის კომუნისტი არ არის. ეს საკითხი ჩვენ კონკრეტულად უნდა დავამუშაოთ. ჩვენ არ შეგვიძლია საკითხები ისე დავსვათ, როგორც ამას ძველი სოციალიზმის თეორეტიკოსები სჩადიან. ჩვენ საკითხები პრაქტიკულად უნდა დავსვათ. რას ნიშნავს თანამედროვე მსხვილი მრეწველობა? ეს ნიშნავს მთელი რუსეთის ელექტრიფიკაციას. შვეცია, გერმანია და ამერიკა უკვე მიუახლოვდნენ მის განხორციელებას, თუმცა ესენი ჯერ კიდევ ბურჟუაზიული ქვეყნები არიან. ერთმა შვედმა ამხანაგმა მიამბო, რომ შვეციაში მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე სოფლის მეურნეობის 30% ელექტრიფიცირებულია. გერმანიასა და ამერიკაში, როგორც კაპიტალისტურად კიდევ უფრო განვითარებულ ქვეყნებში, ამას ჩვენ კიდევ უფრო დიდი მასშტაბით ვხვდებით. მსხვილი მანქანური ინდუსტრია მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაციას ნიშნავს და სხვას არაფერს. ჩვენ უკვე დავნიშნეთ სპეციალური კომისია, რომელშიც საუკეთესო ეკონომისტები და ტექნიკური ძალები შედიან. მართალია, თითქმის ყველა ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არიან განწყობილნი. ყველა ეს სპეციალისტი მივა კომუნიზმთან, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ მიველით, არა ოცი წლის არალეგალური მუშაობის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ჩვენ განუწყვეტლივ ვსწავლობდით, ვიმეორებდით და ვღეჭდით კომუნიზმის ანბანს.

საბჭოთა ხელისუფლების თითქმის ყველა ორგანო იმ აზრისა იყო, რომ ჩვენ სპეციალისტებთან წავსულიყავით. სპეციალისტ-ინჟინრები ჩვენთან მოვლენ, როცა მათ პრაქტიკულად დავუმტკიცებთ, რომ ამ გზით ქვეყნის საწარმოო ძალები იზრდება. საკმაო არ არის ეს მათ თეორიულად დავუმტკიცოთ. ეს მათ პრაქტიკულად უნდა დავუმტკიცოთ. და ჩვენ ამ ადამიანებს მივიმხრობთ, თუ საკითხს სხვანაირად დავსვამთ, არა კომუნიზმის თეორიული პროპაგანდის ნიადაგზე. ჩვენ ვამბობთ: მსხვილი მრეწველობა ერთადერთი საშუალებაა გლეხობის ხსნისა გაჭირვებისა და შიმშილისაგან. ამას ყველა ეთანხმება. მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს ეს? მრეწველობის ძველ საფუძველზე აღდგენა ძალიან ბევრ შრომასა და დროს მოითხოვს. მრეწველობას უფრო თანამედროვე ფორმები უნდა მივცეთ, სახელდობრ — ელექტრიფიკაციაზე უნდა გადავიდეთ. ეს უკანასკნელი გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვს. ელექტრიფიკაციის გეგმები ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს. 200-ზე მეტი სპეციალისტი, — თითქმის ყველა, გაშოუკლებლივ, საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე, — ინტერესით მუშაობდა ამ საქმეზე, თუმცა ისინი კომუნისტები არ არიან. მაგრამ ტექნიკური მეცნიერების თვალსაზრისით იმათ უნდა ეღიარებინათ, რომ ეს ერთადერთი სწორი გზაა. რასაკვირველია, გეგმიდან მის განხორციელებამდე ჯერ კიდევ გრძელი გზაა. ფრთხილი სპეციალისტები ამბობენ, რომ პირველი რიგის სამუშაოები 10 წელიწადს მაინც მოითხოვს. პროფესორმა ბალოდმა გამოიანგარიშა, რომ გერმანიის ელექტრიფიკაციისთვის სამი-ოთხი წელიწადია საკმაო. ჩვენთვის ათი წელიწადიც მეტად მცირეა. ჩემს თეზისებში მე მომყავს ფაქტიური ციფრობრივი მონაცემები, რათა დაინახოთ, თუ რა მცირეს გაკეთება შევძელით ჩვენ დღემდე ამ დარგში. ჩემ მიერ მოყვანილი ციფრები იმდენად მცირეა, რომ მაშინვე ცხადი ხდება მათი უფრო პროპაგანდისტული, ვიდრე მეცნიერული მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენ პროპაგანდით უნდა დავიწყოთ. რუსმა გლეხმა, რომელმაც მსოფლიო ომში მონაწილეობა მიიღო და რამდენიმე წელი გერმანიაში

გაატარა, იქ ნახა, თუ როგორ უნდა წარმართო მეურნეობა თანამედროვე წესების მიხედვით, რათა შიმშილი დაძლიო. ჩვენ ფართო პროპაგანდა უნდა ვაწარმოოთ ამ მხრივ. ამ გეგმებს დღემდე, თავისთავად, მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ მათი სააგიტაციო მნიშვნელობა ძალიან დიდია.

გლეხი ხედავს, რომ რაღაც ახალი უნდა შეიქმნას. გლეხს ესმის, რომ ამ საქმეზე უნდა იმუშაოს არა თვითეულმა პირმა თავისთვის, არამედ მთელმა სახელმწიფომ მთლიანად. გერმანიის ტყვეობაში გლეხმა დაინახა და გაიგო, თუ რა არის ცხოვრების, კულტურული ცხოვრების რეალური საფუძველი. 12 ათასი კილოვატი მეტად მცირე დასაწყისია. შეიძლება, უცხოელმა, რომელიც ამერიკის, გერმანიის ან შვეიცის ელექტრიფიკაციას იცნობს, ამას დასცინოს კიდეც. მაგრამ კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. დაე ეს მცირე დასაწყისი იყოს. მაგრამ გლეხობა თანდათან იგნებს, რომ საჭიროა ახალი სამუშაოების დიდი მასშტაბით წარმოება, და ეს სამუშაოები უკვე იწყება. მოგველის უზარმაზარ სიძნელეთა დაძლევა. ჩვენ შევეცდებით დავამყაროთ ურთიერთობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. არ უნდა დავიშუროთ კაპიტალისტებისათვის რამდენიმე ასეული მილიონი კილოგრამი ნავთის მიცემა იმ პირობით, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიცირებაში დაგვეხმარებიან.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა «წმინდა დემოკრატიაზე». აი რას სწერდა ენგელსი ბებელს 1884 წლის 11 დეკემბრის წერილში:

«წმინდა დემოკრატია რევოლუციის მომენტში მოკლე ხნით მოიპოვებს დროებით მნიშვნელობას, როგორც უკიდურესი ბურჟუაზიული პარტია, რა სახითაც იგი უკვე გამოდიოდა ფრანკფურტში, მოიპოვებს დროებით მნიშვნელობას როგორც მთელი ბურჟუაზიული და თვით ფეოდალური მეურნეობის ხსნის უკანასკნელი იმედი... სწორედ ასევე 1848 წელს, მარტიდან სექტემბრამდე, მთელი ფეოდალურ-ბიუროკრატიული მასა ზურგს უმაგრებდა ლიბერალებს, რათა

მორჩილებაში ჰყოლოდა რევოლუციური მასები... ყოველ შემთხვევაში, კრიზისის დროს და მის მეორე დღეს ჩვენი ერთადერთი მოწინააღმდეგე იქნება მთელი რეაქციული მასა, რომელიც წმინდა დემოკრატიის გარშემო ერთიანდება, და ეს გარემოება, ვფიქრობ, არასგზით არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან».

ჩვენ არ შეგვიძლია საკითხები ისე დავსვათ, როგორც თეორეტიკოსები შვრებიან. მთელი რეაქცია საერთოდ, არა მარტო ბურჟუაზიული, არამედ ფეოდალურიც, «წმინდა დემოკრატიის» გარშემო იყრის თავს. გერმანელმა ამხანაგებმა სხვებზე უკეთ იციან, რას ნიშნავს «წმინდა დემოკრატია», რადგან კაუცკი და მე-2 და 2½ ინტერნაციონალების სხვა ბელადები ამ «წმინდა დემოკრატიას» იცავენ ბოროტი ბოლშევიკების წინააღმდეგ. თუ რუს სოციალისტ-რევოლუციონერებს და მენშევიკებს ჩვენ განვსჯით არა მათი სიტყვების, არამედ მათი საქმეების მიხედვით, აღმოჩნდება, რომ ისინი წვრილბურჟუაზიული «წმინდა დემოკრატიის» წარმომადგენელნი არიან და სხვა არაფერი. ჩვენს რევოლუციაში, უკანასკნელი კრიზისის დროსაც და კრონშტადტის აჯანყების დღეებშიც, მათ კლასიკური სიწმინდით გვიჩვენეს, თუ რას ნიშნავს წმინდა დემოკრატია. გლეხობა ძალიან ღელავდა, მუშებს შორისაც უკმაყოფილება იყო გაბატონებული. ისინი დაღლილნი და არაქათგამოლეულნი იყვნენ. ადამიანის ძალ-ღონესაც ხომ საზღვარი აქვს. ისინი სამ წელს შიმშილობდნენ, მაგრამ შეუძლებელია ოთხ თუ ხუთ წელიწადს იშიმშილო. შიმშილი, ბუნებრივია, დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ აქტივობაზე. როგორ მოიქცნენ სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკები? ისინი სულ მუდამ მერყეობდნენ და ამით აძლიერებდნენ ბურჟუაზიას. საზღვარგარეთ მყოფი ყველა რუსული პარტიის ორგანიზაციამ დაგვანახვა, თუ როგორი მდგომარეობაა ახლა. რუსეთის მსხვილი ბურჟუაზიის უფრო ჭკვიანმა ბელადებმა გულში თქვეს: «რუსეთში დაუყოვნებლივ ვერ გავიმარჯვებთ. ამიტომ ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს «საბჭოები უბოლშევიკებოდ»». კადეტების ბელადი მილიუკოვი

საბჭოთა ხელისუფლებას იცავდა სოციალისტ-რევოლუციონერების წინააღმდეგ. ეს მეტად უცნაურია. მაგრამ ასეთია პრაქტიკული დიალექტიკა, რომელსაც ჩვენს რევოლუციაში თავისებური გზით ვსწავლობთ: ჩვენი საკუთარი ბრძოლის და ჩვენი მოწინააღმდეგეების ბრძოლის პრაქტიკით. კადეტები იცავენ «საბჭოებს უბოლშევიკებოდ», რადგან მათ მდგომარეობა კარგად ესმით და რადგან მათ იმედი აქვთ, რომ ანკესზე წამოაგებენ მოსახლეობის ერთ ნაწილს. ასე ლაპარაკობენ ჭკვიანი კადეტები. რასაკვირველია, ყველა კადეტი როდია ჭკვიანი, მაგრამ მათი ნაწილი ჭკვიანია და საფრანგეთის რევოლუციის ერთგვარ გამოცდილებას იყენებს. ლოზუნგი ახლა ასეთია: ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ რადაც უნდა დაჯდეს, რაც უნდა მოხდეს. მთელი ბურჟუაზია ეხმარება ახლა მენშევიკებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს. ესერები და მენშევიკები ახლა მთელი რეაქციის ავანგარდს წარმოადგენენ. ამ გაზაფხულზე ჩვენ შემთხვევა გვქონდა ამ კონტრრევოლუციურ თანამეგობრობას გავცნობოდით.

ამიტომ ჩვენ ულმობელი ბრძოლა უნდა განვაგრძოთ ამ ელემენტების წინააღმდეგ. დიქტატურა გამძაფრებული ომის მდგომარეობაა. ჩვენ სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ამჟამად სამხედრო შემოსევას ადგილი არა აქვს. ჩვენ მაინც იზოლირებულნი ვართ. მაგრამ, მეორე მხრივ, არც სავსებით იზოლირებულნი ვართ, რამდენადაც მსოფლიოს მთელ საერთაშორისო ბურჟუაზიას არ ძალუძს ახლა აშკარად აწარმოოს ომი ჩვენს წინააღმდეგ, ვინაიდან მთელი მუშათა კლასი, — თუმცა მისი უმრავლესობა ჯერ კიდევ კომუნისტური არ არის, — მაინც იმდენად შეგნებულია, რომ ინტერვენციას არ დაუშვებს. ბურჟუაზია იძულებულია ანგარიში გაუწიოს მასების ამ სულიერ განწყობილებას, თუმცა ისინი კომუნიზმამდე ჯერ კიდევ მთლად არ მისულან. ამიტომ ბურჟუაზიას არ ძალუძს ახლა ჩვენს წინააღმდეგ შემოტევაზე გადმოვიდეს, თუმცა არც ეს არის გამორიცხული. სანამ საერთო საბოლოო შედეგისთვის არ მიგვიღწევია,

საშინელი ომის მდგომარეობა გაგრძელდება. და ჩვენ ვამბობთ: «ომში ჩვენ საომარი წესისამებრ ვიქცევით: არავის შევპირდებით არავითარ თავისუფლებას და არავითარ დემოკრატიას». ჩვენ გლეხებს სრულიად გულახდილად ვუცხადებთ, რომ მათ ორში ერთი უნდა აირჩიონ: ან ბოლშევიკების ხელისუფლება, — და ჩვენ მაშინ ყოველსავე დათმობაზე წავალთ იმ ფარგლებამდე, რომლებშიც შესაძლებელია ხელისუფლების შენარჩუნება, ხოლო შემდეგ სოციალიზმისკენ წავიყვანთ მათ, — ანდა ბურჟუაზიული ხელისუფლება. ყოველივე დანარჩენი მატყუარობაა, წმინდა წყლის დემაგოგიაა. ამ მატყუარობას, ამ დემაგოგიას უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ჩვენი თვალსაზრისი ასეთია: ჯერჯერობით დიდი დათმობა და უდიდესი სიფრთხილე, და სწორედ იმიტომ, რომ ერთგვარი წონასწორობა არსებობს, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ უფრო სუსტნი ვართ, ვიდრე ჩვენი გაერთიანებული მოწინააღმდეგენი, რადგან ჩვენი ეკონომიური საძირკველი მეტად სუსტია, და ჩვენ უფრო ძლიერი სამეურნეო საფუძველი გვჭირდება.

აი ის, რაც მინდოდა მეთქვა ამხანაგებისათვის ჩვენი ტაქტიკის შესახებ, რუსეთის კომუნისტური პარტიის ტაქტიკის შესახებ (ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

ფიქრები სახელმწიფო მეურნეობის «გეგმის» შესახებ

ყოველი ჩვენგანის მთავარი შეცდომა დღემდე ის იყო, რომ ჩვენ უკეთესს ვვარაუდობდით; და ამის გამო ბიუროკრატიულ უტოპიებს ვეძლეოდით. ჩვენი გეგმებიდან მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილი განხორციელდა. გეგმებს დასცინოდა ცხოვრება, დასცინოდა ყველა.

ეს ძირფესვიანად უნდა გადავაკეთოთ.

უარესი უნდა ვივარაუდოთ. გამოცდილება უკვე გვაქვს, თუმცა მცირე, მაგრამ პრაქტიკული.

სურსათი? ფრუმკინი ამბობს: იდეალია 150 მილიონი ფუთი გადასახადი + 50 მილიონი ფუთი გადაცვლის გზით + + 40 მილიონი ფუთი უკრაინიდან = 240 მილიონი ფუთი.

უნდა ვივარაუდოთ **სულ 200** მილიონი ფუთი წელიწადში.

რა ვუყოთ ამ სრულიად უმნიშვნელო, საშიმშილო ციფრს? 200:12 = 16⅔.

(α) ავიღოთ მინიმუმი არმიისათვის, ე. ი. ულტუფა გავიანგარიშოთ არმიის მინიმუმისათვის.

(β) მცირე, არქიმცირე ოდენობით შევიტანოთ გეგმაში არმიის სამეურნეო მუშაობა.

1 შაბათობა — არმიის 60% (მონაწილენი).

1 — 3 შაბათიდან 50% მონაწილე (50% არმიისა) და სხვ.

(γ) მოსამსახურეთათვის — სასტიკი შემცირება.

(δ) მუშები.

მაშინვე საუკეთესო **საწარმოთა** (აუცილებლად საწარმოთა) სია მრეწველობის დარგების მიხედვით.

დაიხუროს ახლანდელთა ½-დან ⅘-მდე.

დანარჩენები ამუშავდეს 2 ცვლად. მხოლოდ ის საწარმოები, რომლებსაც ეყოფათ **სათბობი** და **პური,** მთელი წლისათვის პურის (200 მილიონი ფუთი) და სათბობის (?) მინიმუმის შოვნის დროსაც კი.

გაკეთდეს ეს **შავად,** პირველი მიახლოების წესით, დაუყოვნებლივ, ერთ თვეში მაინც.

სათბობი გვაქვს.

გზათა სახალხო კომისარიატი არის.

ნუ გავაღრმავებთ, ნუ დავაზუსტებთ სურსათის საკითხს; ვივარაუდოთ 200 მილიონი ფუთი.

მრეწველობის დაყოფა დარგებისა და გუბერნიების მიხედვით («მთელამდე» გადაუდებლად) მოხდეს უაღრესად სწრაფად,

და, მთავარია,

დავსვათ სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრთა 70% საშუშაოდ 14 საათს დღე-ღამეში (დაე მეცნიერებამ მოითმინოს: კარგი ულუფა მივეცით, უნდა ვაიძულოთ იმუშაონ).

თვითეულის მიერ **ცალკეულ** საწარმოთა «საერთო მეთვალყურეობის» დარგში (მგონი, ასე იწოდება ეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებაში?) ინდივიდუალურ დავალებათა შესასრულებლად.

ვთქვათ, ჩვენ უნდა (და კიდეც შეიძლება უარესიდან უარეს შემთხვევაში: 200 მილიონი ფუთი პური წელიწადში) მოვაწყოთ და განუწყვეტლივ ვამუშაოთ 1921 წ. 1. X-დან 1922 წ. 1. X.-მდე **700** მსხვილი დაწესებულება, საწარმო, დეპო (რკინიგზები), საბჭოთა მეურნეობები და სხვ. და ა. შ.

700 : სახელმწიფო საგეგმო კომისიის 35 წევრი = **20.**

დაე იქნეს 30 (სახელმწიფო საგეგმო კომისიის ყველა წევრი როდი გასწევს მიმდინარე მუშაობას განუწყვეტლივ).

გაისარჯეთ და **შეუსუსტებლივ** ადევნეთ თვალყური **30**-ს. თქვენ პასუხს აგებთ ამისათვის.

და გარდა ამისა 30 — 70 არამნიშვნელოვანს დამატებით, გზადაგზა, ოდნავ, კი არ ადევნოთ თვალყური, არამედ ზოგჯერ, ხანდახან მ ი ა კ ი თ ხ ო თ.

შეუსუსტებლივ თვალყურის დევნება იმას ნიშნავს, რომ პ ა ს უ ხ ი ა გ ო საკუთარი თავით სათბობისა და პურის რაციონალური მოხმარებისათვის, ერთისა და მეორის დამზადების მაქსიმუმისათვის, მოზიდვის მაქსიმუმისათვის, სათბობის ეკონომიისათვის (მრეწველობაშიც, რკინიგზის ტრანსპორტზეც და ა. შ.), სურსათის ეკონომიისათვის (კვებეთ **მხოლოდ** კარგი მუშაკები), შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის და ს ხ ვ ა.

ყოველი დანარჩენი გაიცეს იჯარით ან მიეცეს ვისაც გნებავთ, ან დაიხუროს ან «მიგდებულ» და დავიწყებულ იქნეს მდგომარეობის **მტკიცე გაუმჯობესებამდე**, რომელიც საშუალებას მოგვცემს აბსოლუტურად ვივარაუდოთ არა 200 მილიონი ფუთი პური + **X** მილიონი ფუთი სათბობი, არამედ 300 მილიონი ფუთი პური + 150% **X** სათბობი.

აი ჩემი ფიქრები სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

დაუფიქრდით. მოვილაპარაკოთ.

4/VII

ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მისალმება «ცენტროსოიუზის» რწმუნებულთა ყრილობას

მივესალმები «ცენტროსოიუზის» რწმუნებულთა კრებას სახალხო კომისართა საბჭოსა და რკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით. ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია პირადად დავესწრო კრებას და გამოვთქვა ჩემი აზრი კოოპერაციის წინაშე წამოჭრილი ურთულესი ამოცანების გამო.

ეჭვი არ მეპარება, რომ უკვე გაწეული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს ამ ამოცანების გადაწყვეტას ქვეყნის საერთო სამეურნეო მშენებლობის გეგმასთან შეთანხმების მიხედვით. მომავალი პრაქტიკული მუშაობის წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული საქონელბრუნვაში ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თანაფარდობის სწორ განსაზღვრაზე, კოოპერაციის უნარზე — თანმიმდევრული და განუხრელი ბრძოლის გზით მოსპოს საქონელცვლის განვითარების ყველა დაბრკოლება და დაიკავოს ამ დარგში უპირატესი ადგილი, უნარზე — თავი მოუყაროს დაქსაქსულ საქონლის ფასეულობას და გამოავლინოს ახალი ფასეულობანი. ამ საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა საბოლოო ანგარიშით საუკეთესო საშუალებაა ჩვენი მიზნების მისაღწევად — სოფლის მეურნეობის აღსადგენად და მსხვილი მრეწველობის საფუძველზე მის განსამტკიცებლად და გასავითარებლად.

ეს ამოცანები უაღრესად გართულებულია მოუსავლობით, რამაც თავი იჩინა მთელ რიგ გუბერნიებში. კრებას მოუხდება

თავის მუშაობაში სპეციალური ყურადღება მიაქციოს ამ ახალ უბედურებას და მხედველობაში იქონიოს მისი შედეგები ყველა მიმდინარე საკითხის გადაწყვეტისას.

დარწმუნებული ვარ, რომ, რაც უნდა მცირე იყოს ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილება, საბჭოთა კოოპერაცია შეძლებს მჭიდროდ დაუკავშირდეს ნგრევის დასაძლევად წარმოებულ საერთო მუშაობას და მაქსიმალური ენერგია განავითაროს მასთან საბრძოლველად.

დაწერილია 1921 წ. 16 ივლისს

დაიბეჭდა 1921 წ. 19 ივლისს
გაზეთ «პრავდაში» № 156

იბეჭდება «პრავდის» ტექსტის
მიხედვით

მისალმება რევოლუციური პროფესიული და საწარმოო კავშირების I საერთაშორისო კონგრესს [104]

18/VII

ძალიან გთხოვთ გადასცეთ პროფკავშირთა საერთაშორისო კონგრესის დელეგატებს შემდეგი:

მე მთელი სულითა და გულით მადლობას მოვახსენებ მათ თქვენი მეშვეობით ჩემთვის გადმოცემული წინადადებისათვის, რომ დავესწრო ყრილობას. დიდად ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო ამას ვერ ვასრულებ, რადგან ექიმის რჩევით მოსკოვიდან ერთი თვით შვებულებაში უნდა წავსულიყავი.

გთხოვთ გადასცეთ დელეგატებს ჩემი მისალმება და მხურვალე სურვილი ყრილობის წარმატებისა. ძნელია გამოვნახო სიტყვები, რომ გამოვხატო პროფკავშირთა საერთაშორისო ყრილობის მთელი მნიშვნელობა. კომუნიზმის იდეებით პროფკავშირთა წევრების გამსჭვალვა შეუკავებლად მიდის წინ, ყველგან, ყველა ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში. მიდის არასწორად, არარეგულარულად, არათანაზომიერად, ათასი დაბრკოლების დაძლევის გზით, მაგრამ შეუკავებლად მიდის წინ. პროფკავშირთა საერთაშორისო ყრილობა დაეჩქარებს ამ მოძრაობას. კომუნიზმი გაიმარჯვებს პროფკავშირებში. ვერავითარი ძალა ქვეყნად ვერ შეაჩერებს კაპიტალიზმის კრახს და ბურჟუაზიაზე მუშათა კლასის გამარჯვებას.

მხურვალე სალამით და კომუნიზმის გარდუვალი გამარჯვების რწმენით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1921 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მიმართვა საერთაშორისო პროლეტარიატისადმი

რუსეთის რამდენიმე გუბერნიაში შიმშილობაა, რომელიც, ეტყობა, მხოლოდ ცოტათი ნაკლებია, ვიდრე 1891 წლის უბედურება.

ეს მძიმე შედეგია რუსეთის ჩამორჩენილობისა და შვიდი წლის ომისა, ჯერ იმპერიალისტური, შემდეგ სამოქალაქო ომისა, რომელიც მუშებსა და გლეხებს თავს მოახვიეს ყველა ქვეყნის მემამულეებმა და კაპიტალისტებმა.

საჭიროა დახმარება. მუშებისა და გლეხების საბჭოთა რესპუბლიკა მოელის ამ დახმარებას მშრომელებისაგან, მრეწველობის მუშებისა და წვრილ მიწათმოქმედთაგან.

მასები ერთისაც და მეორისაც თვითონ ყველგან დაჩაგრული არიან კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის მიერ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, მიუხედავად მათი საკუთარი მძიმე მდგომარეობისა, რაც გამოწვეულია უმუშევრობითა და სიძვირის ზრდით, ისინი გამოეხმაურებიან ჩვენს მოწოდებას.

ისინი, ვინც მთელ თავის სიცოცხლეში განიცდის კაპიტალის მხრივ ჩაგვრას, მიხვდებიან რუსეთის მუშათა და გლეხთა მდგომარეობას, — მიხვდებიან ან მშრომელი და ექსპლოატირებული კაცის ინსტინქტით იგრძნობენ, რომ აუცილებელია დახმარება გაეწიოს საბჭოთა რესპუბლიკას, რომელსაც მოუხდა პირველს ეკისრნა კაპიტალიზმის დამხობის მადლიანი, მაგრამ მძიმე ამოცანა. სწორედ ამისათვის იძიებენ შურს საბჭოთა რესპუბლიკაზე ყველა ქვეყნის კაპიტალისტები.

ამისათვის ამზადებენ ისინი მის წინააღმდეგ ლაშქრობის, ინტერვენციის, კონტრრევოლუციური შეთქმულებების ახალ გეგმებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მით უფრო მეტი ენერგიით, მით უფრო მეტი თავდადებით დაგვეხმარებიან ჩვენ ყველა ქვეყნის მუშები და წვრილი, თავიანთი შრომით მცხოვრები, მიწათმოქმედნი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1921 წ. 2. VIII.

«პრავდა» № 172, 1921 წ. 6 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

მიმართვა უკრაინის გლეხებისადმი

მარჯვენა ნაპირის უკრაინამ წელს საუცხოო მოსავალი აიღო. დამშეული ვოლგისპირეთის მუშები და გლეხები, რომლებიც განიცდიან ცოტათი უფრო ნაკლებ უბედურებას, როგორიც 1891 წლის საშინელი უბედურება იყო, მოელიან დახმარებას უკრაინელ მიწათმოქმედთაგან. საჭიროა სასწრაფო დახმარება. საჭიროა უხვი დახმარება. დაე, ნუ იქნება ნურც ერთი მიწათმოქმედი, რომელმაც თავისი ნაჭარბი არ გაუზიაროს ვოლგისპირელ დამშეულ გლეხებს, რომლებსაც თესლიც კი არა აქვთ ყანების დასათესად.

დაე, პურეულით უზრუნველყოფილი თვითეული მაზრიდან გაგზავნონ თუნდაც ორი-სამი არჩეული გლეხი ვოლგისპირეთში, რათა ჩაიტანონ იქ პური, რათა თავიანთი თვალით ნახონ, თუ რა დიდი უბედურება, გაჭირვება და შიმშილობაა იქ, რათა შინ დაბრუნებისას უამბონ თავიანთ თანამემამულეებს, რომ აუცილებელია სწრაფი დახმარება.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

1921 წ. 2. VIII.

«პრავდა» № 172, 1921 წ. 6 აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

წერილი გ. მიასნიკოვს

5/VIII 1921.

ამხ. მიასნიკოვ!

მხოლოდ დღეს წავიკითხე ორივე თქვენი სტატია. თუ როგორი იყო თქვენი გამოსვლები პერმის (მგონი, პერმის) ორგანიზაციაში და რით გამოიხატება მასთან კონფლიქტი, მე არ ვიცი. ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ამ საქმეს გაარჩევს ორგბიურო, რომელსაც, როგორც გადმომცეს, სპეციალური კომისია აურჩევია.

ჩემი ამოცანა სხვაა: შევაფასო თქვენი წერილები, როგორც ლიტერატურული და პოლიტიკური დოკუმენტები.

საინტერესო დოკუმენტებია!

სტატია «მტკივნეული საკითხები», ჩემი აზრით, განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს თქვენს ძირითად შეცდომას. და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ყოველივე მოვიმოქმედო, რომ შეევეცადო დაგარწმუნოთ.

სტატიის დასაწყისში თქვენ სწორად იყენებთ დიალექტიკას. დიახ, ვისაც არ ესმის «სამოქალაქო ომის» ლოზუნგის შეცვლა «სამოქალაქო ზავის» ლოზუნგით, ის სასაცილოა, თუ უარესი არა. დიახ, ამაში თქვენ მართალი ხართ.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ თქვენ ამაში მართალი ხართ, მაკვირვებს, როგორ დაგავიწყდათ თქვენ მიერვე სწორად გამოყენებული დიალექტიკა თქვენი დასკვნებისას.

...«ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მონარქისტებიდან ანარქისტებამდე ჩათვლით»... ძალიან კარგი! მაგრამ, უკაცრავად, ყველა მარქსისტი, აგრეთვე ყველა მუშა, რომელიც კი ჩაფიქრებია ჩვენი რევოლუციის ოთხი წლის გამოცდილებას, იტყვის: გავერკვეთ იმაში, თუ ბეჭდვითი სიტყვის რა თავისუფლება? ვისთვის? რომელი კლასისათვის?

ჩვენ «აბსოლუტები» არა გვწამს. ჩვენ «წმინდა დემოკრატიას» დავცინით.

«ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების» ლოზუნგი საქვეყნოდ დიადი გახდა შუა საუკუნეთა დამლევს თვით XIX საუკუნემდე. რატომ? იმიტომ, რომ იგი გამოხატავდა პროგრესულ ბურჟუაზიას, ე. ი. მის ბრძოლას ხუცებისა და მეფეების, ფეოდალების, მემამულეების წინააღმდეგ.

მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, რომელსაც ისე ბევრი გაეკეთებინოს და რომელიც ახლაც ისე ბევრს აკეთებდეს ხუცებისა და მემამულეების გავლენისაგან მასების გასათავისუფლებლად, როგორიც არის რუსეთის სფს რესპუბლიკა. «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების» ამ ამოცანას ჩვენ მსოფლიოში ყველაზე უკეთ ვასრულებდით და ვასრულებთ.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მთელ მსოფლიოში, სადაც არსებობენ კაპიტალისტები, არის თავისუფლება — იყიდონ გაზეთები, იყიდონ მწერლები, მოისყიდონ და იყიდონ და შეთხზან «საზოგადოებრივი აზრი» ბურჟუაზიის სასარგებლოდ.

ეს ფაქტია.

ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეძლებს მის უარყოფას.

ჩვენში კი? შეუძლია თუ არა ვინმეს იმის უარყოფა, რომ ბურჟუაზია დამარცხებულია, მაგრამ არ არის მოსპობილი? რომ იგი მიიმალა? ამის უარყოფა არ შეიძლება.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება რუსეთის სფს რესპუბლიკაში, რომელიც გარშემორტყმულია მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული მტრებით, არის ბურჟუაზიისა და მისი უერთ-

გულესი მსახურების, მენშევიკებისა და ესერების პ ო ლ ი ტ ი-კ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს თავისუფლება.

ეს უდავო ფაქტია.

ბურჟუაზია (მთელ მსოფლიოში) ჯერ კიდევ ჩვენზე უფრო ძლიერია და ბევრად უფრო ძლიერი. მისთვის კ ი დ ე ვ ისეთი იარაღის მიცემა, როგორიცაა პოლიტიკური ორგანიზაციის თავისუფლება (= ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ვინაიდან ბეჭდვითი სიტყვა პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრი და საფუძველია), იმას ნიშნავს, რომ გაუადვილო მტერს საქმე, დაეხმარო კლასობრივ მტერს.

ჩვენ არ გვსურს თვითმკვლელობა ჩავიდინოთ და ამიტომ ამას არ ვიზამთ.

ჩვენ ნათლად ვხედავთ ფ ა ქ ტ ს: «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» ს ა ქ მ ი თ ნიშნავს საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ ასობით და ათასობით კადეტი, ესერი და მენშევიკი მწერლის დაუყოვნებლივ შესყიდვას და ჩვენს წინააღმდეგ მათი პროპაგანდის, მათი ბრძოლის ორგანიზაციას.

ეს ფაქტია. «ისინი» ჩვენზე უფრო მდიდრები არიან და იყიდიან ათკეცად უფრო მეტ «ძალას» ჩვენს ახლანდელ ძალასთან შედარებით.

არა. ჩვენ ამას არ ვიზამთ, ჩვენ მსოფლიო ბურჟუაზიას არ დავეხმარებით.

როგორ შეგეძლოთ თქვენ ზოგადკლასობრივი შეფასების, ე. ი. ყ ვ ე ლ ა კლასის ურთიერთობის შეფასების თვალსაზრისით სენტიმენტალურად ობივატელურ შეფასებამდე დ ა-ქ ა ნ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ ი თ? ეს ჩემთვის გამოცანაა.

საკითხში: «სამოქალაქო ზავი თუ სამოქალაქო ომი», იმ საკითხში, თუ როგორ ვიმხრობდით ჩ ვ ე ნ გლეხობას და შემდგომაც გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო ბ თ მათ «მიმხრობას» (პროლეტარიატის მხარეზე), ამ ორ უმნიშვნელოვანეს, ძირითად, მსოფლიო (= მსოფლიო პოლიტიკის ა რ ს ს რომ ეხება) საკითხში (რომლისადმი მიძღვნილია ო რ ი ვ ე თქვენი სტატია) თქვენ შ ე ს ძ ე ლ ი თ დამდგარიყავით არა მეშჩანურ, არა სენტიმენტალურ, არამედ მარქსისტულ თვალსაზრისზე. თქვენ იქ

შესძელით ს ა ქ მ ი ა ნ ა დ, ფხიზლად **გაგეთვალისწინებინათ ყ ვ ე ლ ა** კლასის ურთიერთდამოკიდებულება.

აქ კი უეცრად სენტიმენტალიზმის უფსკრულში გადაიჩეხეთ.

...«ჩვენში უამრავი უმსგავსოება და ბოროტმოქმედება ხდება: ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ამას ამხელდაო»...

აი სად აგებნათ თქვენ თავგზა, რამდენადაც ამ ორი სტატიის მიხედვით შემიძლია განვსაჯო. თქვენ დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ი ხ ა რ თ სავალალო და მწარე ფ ა ქ ტ ე ბ ი ს გარკვეულ რიცხვს და დაგიკარგავთ ძალების ფ ხ ი ზ ლ ა დ გათვალისწინების უნარი.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება დაეხმარება მსოფლიო ბურჟუაზიის ძ ა ლ ა ს. ეს ფაქტია. «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» ხელს შეუწყობს ა რ ა იმას, რომ რუსეთის კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა გ ა ი წ მ ი ნ დ ო ს მთელი რიგი თავისი სისუსტისა, შეცდომისა, უბედურებისა და სენისაგან (სენი ბევრია, ეს უდავოა), რადგან ე ს არ სურს მსოფლიო ბურჟუაზიას, — არამედ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება იარაღი გახდება ა მ მ ს ო ფ ლ ი ო ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ხელში. ის არ მომკვდარა. ის ცოცხალია. ის აქვე, გვერდით დგას და გვითვალთვალებს. მან უკვე დ ა ი ქ ი რ ა ვ ა მილიუკოვი, რომელსაც ჩერნოვი და მარტოვი «ალალმართლად» ემსახურებიან (ნაწილობრივ სისულელის გამო, ნაწილობრივ ჩვენდამი ფრაქციული ღვარძლიანობის გამო, უმთავრესად კი თავიანთი წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოზიციის ობიექტური ლოგიკის გამო).

თქვენ «ერთ ოთახში შედიოდით, მეორეში კი მოხვდით».

თქვენ გინდოდათ გ ა ნ გ ე კ უ რ ნ ა თ კომუნისტური პარტია და ხელი სტაცეთ ისეთ წ ა მ ა ლ ს, რომელიც უეჭველ სიკვდილს გვიქადის — არა თქვენგან, რა თქმა უნდა, არამედ მსოფლიო ბურჟუაზიისაგან (+ მილიუკოვი + ჩერნოვი + + მარტოვი).

თქვენ დაგვიწყებიათ წვრილმანი, სრულიად პაწაწინა წვრილმანი, სახელდობრ: მსოფლიო ბურჟუაზია და მისი «თა-

ვისუფლება» — იყიდოს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს გაზეთები, იყიდოს თავისთვის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ც ე ნ ტ რ ე ბ ი.

არა. ამ გზით ჩვენ ვერ წავალთ. **ათასი** შეგნებული მუშიდან **ცხრაასი** ამ გზით ვერ წავა.

სენი ჩვენ ბევრი გვაქვს. ისეთმა შეცდომებმა (ჩვენმა **საერთო** შეცდომებმა, ყველა შეცდა, შ რ ო მ ი ს ა დ ა თ ა ვ დ ა ც ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ც, ს ა ხ კ ო მ ს ა ბ ჭ ო ც და ცენტრალური კომიტეტიც), როგორიც იყო ჩადენილი 1920 წლის შემოდგომასა და ზამთარში სათბობისა და **სურსათის** განაწილების მხრივ (უზარმაზარი შეცდომები!!), ბევრად უფრო გაამწვავეს ჩვენი მდგომარეობის სნეულებანი.

გასაჭირი და უბედურება დიდია.

1921 წლის შიმშილობამ ისინი საშინლად გ ა ა ძ ლ ი ე რ ა.

თავს დავაღწევთ უდიდესი გაჭირვებით, მაგრამ მაინც თავს დავაღწევთ. და უკვე ვაღწევთ თავს.

თავს დავაღწევთ, ვინაიდან ჩვენი პოლიტიკა ძირითადად სწორია, იგი ითვალისწინებს ყ ვ ე ლ ა კლასობრივ ძალას ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო მასშტაბით. თავს დავაღწევთ, ვინაიდან არ ვაფერადებთ ჩვენს მდგომარეობას. ვიცით ყველა სიძნელე. ვხედავთ **ყველა** სენს. ვკურნავთ მათ სისტემატურად, შეუპოვრად და არ ვეძლევით პანიკას.

თქვენ პანიკას მისცემიხართ და ამ მოლიპული გზით იქამდე დაქანებულხართ, რომ გამოდის თქვენ მიერ ახალი პარტიის დაარსების, ან თქვენი თვითმკვლელობის მსგავსი რამ.

არ შეიძლება პანიკას მიეცეთ.

კომუჯრედების მოწყვეტილობა პარტიისაგან? არის. ეს ბოროტებაა, უბედურებაა, სნეულებაა.

არის. მძიმე სნეულებაა.

ჩვენ მას ვხედავთ.

მას უნდა ვუმკურნალოთ არა «თავისუფლებით» **(ბურჟუაზიისათვის)**, არამედ პროლეტარული და პარტიული ღონისძიებებით.

ის, რასაც თქვენ ამბობთ მეურნეობის ამაღლების, «ავტონომიურ ეუთნის» და სხვათა შესახებ, გლეხობაზე «გავლენისათვის» ბრძოლის შესახებ და ა. შ., **ბევრ** სიმართლეს, ბევრ სასარგებლო რამეს შეიცავს.

რატომ არ უნდა **გ ა მ ო ჰ ყ ო თ** ეს? ჩვენ ერთმანეთს შევეთვისებით და შეწყობილად ვიმუშავებთ ერთ პარტიაში. ეს დიდ სარგებლობას მოგვიტანს, **მაგრამ არა ერთბაშად,** არამედ **ძალიან** ნელა.

საბჭოების გამოცოცხლება, უპარტიოთა მოზიდვა, **უპარტიოთა** საშუალებით პარტიულთა მუშაობის შემოწმება — აი ეს აბსოლუტურად სწორია. აი სად არის **უ ა მ რ ა ვ ი** სამუშაო. აი სამუშაოს ხელუხლები არე.

რატომ არ უნდა განავითაროთ **ეს** თქვენ **ს ა ქ მ ი ა ნ ა** დ? ბროშურაში ყრილობისათვის?

რატომ არ უნდა მოჰკიდოთ ხელი ამას?

რატომ უნდა გაურბოდეთ **შავ** მუშაობას (ცენტრალური საკონტროლო კომისიის მეშვეობით, პარტიული პრესის მეშვეობით, «პრავდის» მეშვეობით ბოროტმოქმედების **მ ხ ი ლ ე ბ ა-დ ე ვ ნ ა ს**?). შავი, ნელი, ძნელი, მძიმე მუშაობისადმი ურწმენობის გამო ადამიანები პანიკას ეძლევიან და «იოლ» გამოსავალს ეძებენ: «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» **(ბურჟუაზიისათვის).**

რატომ უნდა დაიჟინოთ თქვენი შეცდომა, აშკარა შეცდომა, «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების» არაპარტიული, **ა ნ ტ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი** ლოზუნგი? რატომ არ უნდა მოჰკიდოთ ხელი უფრო ნაკლებ «ბრწყინვალე» (ბურჟუაზიული ელვარებით ბრწყინვალე) შავ სამუშაოს — ბოროტმოქმედებათა საქმიან აღმოფხვრას, საქმიან ბრძოლას მათთან, საქმიან **დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ს** უპარტიოებისადმი?

სად მიუთითეთ თქვენ ცენტრალურ კომიტეტს **ა ს ე თ დ ა ა ს ე თ** ბოროტმოქმედებაზე? და მისი გამოსწორების, აღმოფხვრის ასეთ და ასეთ **საშუალებაზე?**

ერთხელაც არ მიგითითებიათ.

სრულიადაც არ მიგითითებიათ.

თქვენ დაგინახავთ უამრავი უბედურება და სნეულება, ჩავარდნილხართ სასოწარკვეთილებაში და ჩაკონებიხართ სხვას, ჩაკონებიხართ ბურჟუაზიას («ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ა თ ვ ი ს). ჩემი რჩევა კი არის ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებასა და პანიკას.

ჩვენ და ჩვენს თანამგრძნობთ, მუშებსა და გლეხებს, კიდევ უამრავი ძალა გვაქვს. კიდევ ბევრი ჯანი გვაქვს.

ჩვენ ცუდად ვმკურნალობთ სნეულებას.

ჩვენ ცუდად ვატარებთ ლოზუნგს: წამოსწიეთ უპარტიონი, შეამოწმეთ უპარტიოთა საშუალებით პარტიულთა მუშაობა.

მაგრამ ჩვენ ახლანდელზე ასკეცად მეტი შეგვიძლია გავაკეთოთ ამ დარგში და გავაკეთებთ კიდეც.

და იმედი მაქვს, რომ, როცა ფხიზლად დაფიქრდებით, თქვენ ყალბი თავმოყვარეობის გამო არ დაიჟინებთ აშკარა პოლიტიკურ შეცდომას («ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება»), არამედ დაიმშვიდებთ ნერვებს, დასძლევთ პანიკას და ხელს მოჰკიდებთ საქმიან მუშაობას: დაგვეხმარებით უპარტიოებთან კ ა ვ შ ი რ ი ს გაბმაში, დაგვეხმარებით უპარტიოთა საშუალებით პარტიულთა მუშაობის შ ე მ ო წ მ ე ბ ა შ ი.

ამ სამუშაოზე უამრავი საქმეა. და ამ სამუშაოზე სენს შეიძლება (და უნდა) ვუმკურნალოთ, ნელა, მაგრამ მართლაც ვ უ მ კ უ რ ნ ა ლ ო თ, და კი არ უნდა დავიბნელოთ გონება «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებით», ჭაობის ამ «მბრწყინავი» შუქით.

კომუნისტური სალამით ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა 1921 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ამხანაგ ტომას ბელს

ძვირფასო ამხანაგო!

დიდი მადლობა თქვენი 7 აგვისტოს წერილისათვის. ავადმყოფობისა და მუშაობით ძალზე დატვირთვის გამო ამ უკანასკნელ თვეებში არაფერი არ წამიკითხავს ინგლისში შიმდინარე მოძრაობის შესახებ.

თქვენ მიერ მოწოდებული ცნობა უაღრესად საინტერესოა. იქნებ, ეს დასაწყისი იყოს კომუნისტური აზრით ნამდვილი მასობრივი პროლეტარული მოძრაობისა დიდ ბრიტანეთში. ვშიშობ, რომ დღემდე ინგლისში არსებობდა მხოლოდ რამდენიმე სუსტი საზოგადოება კომუნიზმის საპროპაგანდოდ (მათ შორის ინგლისის კომპარტიაც), მაგრამ არ ყოფილა ნამდვილად მასობრივი კომუნისტური მოძრაობა.

თუ სამხრეთ უელსის მაღაროელთა ფედერაციამ 24 ივლისს გადაწყვიტა 120 ხმის უმრავლესობით 63 ხმის წინააღმდეგ მიემხროს III ინტერნაციონალს, შესაძლებელია, რომ ეს ახალი ხანის დასაწყისი იყოს (რამდენი მაღაროელია ინგლისში? 500 000-ზე მეტი? რამდენია სამხრეთ უელსში? 25 000? რამდენი მაღაროელი იყო ნამდვილად წარმოდგენილი კარდიფში 1921 წ. 24 ივლისს?).

თუ ეს მაღაროელნი არც ისე უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ, თუ ისინი უძმობილდებიან ჯარისკაცებს და იწყებენ ნამდვილ «კლასობრივ ომს», — ჩვენ ყოველივე

შესაძლებელი უნდა გავაკეთოთ ამ მოძრაობის გ ა ს ა ვ ი თ ა-
რ ე ბ ლ ა დ და განსამტკიცებლად.

ეკონომიური ღონისძიებანი (მსგავსად საზოგადოებრივი სამზარეულოებისა) კარგია, მაგრამ მათ არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვთ ა ხ ლ ა, ინგლისში პროლეტარული რევოლუციის გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ დ ე. ა ხ ლ ა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბრძოლა.

ინგლისელი კაპიტალისტები გაქნილნი, ჭკვიანნი, ვერაგნი არიან. ისინი მ ხ ა რ ს დ ა უ ჭ ე რ ე ნ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) საზოგადოებრივ სამზარეულოებს ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ ყურადღება ჩამოაშორონ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მ ი ზ-
ნ ე ბ ს.

მნიშვნელოვანია (თუ არ ვცდები) შემდეგი:

1) შექმნათ ინგლისის ამ ნაწილში ძალიან კარგი, ნამდვილი პროლეტარული, ნამდვილი მასობრივი კ ო მ პ ა რ ტ ი ა, ე. ი. ისეთი პარტია, რომელიც ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში იქნებოდა ინგლისის ამ ნაწილის მ თ ე ლ ი მუშათა მოძრაობის **ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი** ძალა (გამოიყენოთ თქვენი ქვეყნის ამ ნაწილში III კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია პარტიის ორგანიზაციისა და მუშაობის შესახებ).

2) დაიწყოთ ყოველდღიური მუშური გაზეთის გამოცემა ინგლისის ამ ნაწილის მუშათა კლასისათვის.

დაიწყოთ ეს საქმე, არა როგორც კომერციული წამოწყება (როგორც ჩვეულებრივ ეწყობა საგაზეთო საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში), არა დიდი კაპიტალით, არა ჩვეულებრივ, საერთოდ მიღებულ ყაიდაზე, არამედ როგორც მ ა ს ე ბ ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი იარაღი მათ ბრძოლაში.

ან ამ რაიონის მაღაროელებს შეუძლიათ იხადონ ნ ა ხ ე-
ვ ა რ პ ე ნ ს ი დღეში (თავდაპირველად, თუ გნებავთ, ე რ თ-
ხ ე ლ კ ვ ი რ ა ში) თავიანთი **საკუთარი** ყოველდღიური (ან ყოველკვირეული) გაზეთის შესანახად, — დაე იგი თუნდაც მეტად და მეტად პატარა იყოს — ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, — ანდა ნ ა მ დ ვ ი ლ ი მ ა ს ო ბ რ ი ვ ი

კომუნისტური მოძრაობა **არ დაწყებულა** ინგლისის ამ ნაწილში.

თუ კომპარტიას ამ რაიონში არ ძალუძს მოაგროვოს რამდენიმე გირვანქა სტერლინგი ყოველდღიურად პატარა ფურცლების გამოსაცემად, რომელთაგან შესაძლებელია ნამდვილი პროლეტარული კომუნისტური გაზეთი განვითარებულიყო, — თუ საქმე ასეა და არა ყოველი მაღაროელი გადაიხდის ამ ფურცელში თავის პენსს, მაშინ იქ არ არის სერიოზული, ნამდვილი შეერთება III ინტერნაციონალისადმი.

ინგლისის მთავრობა ფრიად ცბიერ საშუალებებს გამოიყენებს, რათა ყოველი ამგვარი წამოწყება ჩაახშოს. ამიტომ ჩვენ მეტად ფრთხილნი უნდა ვიყოთ (დასაწყისში). გაზეთი თავდაპირველად ძალიან რევოლუციური არ უნდა იყოს. თუ თქვენ გინდათ სამი რედაქტორი გყავდეთ, ერთი მათგანი მაინც არა კომუნისტი უნდა იყოს. ორი მაინც ნამდვილი მუშა უნდა იყოს. თუ მუშების $^{9}/_{10}$ არ იყიდის გაზეთს და $^{2}/_{3}$ $\left(\frac{120}{120+63}\right)$ არ შეიტანს სპეციალურ შესატანს (მაგალითად, ერთ პენსს კვირაში) თავისი გაზეთისათვის, ეს გაზეთი მუშური გაზეთი არ იქნება.

ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ამ საკითხზე ორიოდე სტრიქონს მომწერთ, და ბოდიშს ვიხდი ჩემი უხეირო ინგლისური ენისათვის.

კომუნისტური სალამით ლენინი

დაწერილია 1921 წ. 13 აგვისტოს

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 21 იანვარს «Workers' Weekly»-ში № 205 და რუსულ ენაზე 1927 წ. 27 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 21

თარგმანი ინგლისურიდან

წერილი გერმანელ კომუნისტებს

პატივცემულო ამხანაგებო!

მე განზრახული მქონდა ვრცელ სტატიაში გადმომეცა ჩემი შეხედულება კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის გაკვეთილებზე. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ვერ მოვახერხე დღემდე ხელი მომეკიდა ამ საქმისათვის. თქვენი პარტიის, «გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის» (V. k. P. D.)[105] ყრილობის 22 აგვისტოსთვის დანიშვნა მაიძულებს დავაჩქარო ეს წერილი, რომელიც უნდა დავამთავრო რამდენიმე საათში, რომ არ დავაგვიანო მისი გერმანიაში გამოგზავნა.

რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო, კომუნისტური პარტიის მდგომარეობა გერმანიაში განსაკუთრებით მძიმეა. ეს გასაგებია.

ჯერ ერთი და უმთავრესი, გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობამ უაღრესად სწრაფად და მძაფრად გაამწვავა, დაწყებული 1918 წლიდან, მისი შინაგანი რევოლუციური კრიზისი, რამდენადაც ეს მდგომარეობა უბიძგებდა პროლეტარიატის ავანგარდს ძალაუფლების დაუყოვნებლივი დაპყრობისაკენ. ამავე დროს, გერმანიის და მთელი საერთაშორისო ბურჟუაზიაც, საუცხოოდ შეიარაღებული და ორგანიზებული, «რუსული გამოცდილებით» განსწავლილი, გააფთრებული სიძულვილით დაესხა თავს გერმანიის რევოლუციურ პროლეტარიატს. გერმანიის ათეული ათასობით საუკეთესო ადამიანები, მისი რევოლუციური მუშები,

გაქლეტილი და წამებულია ბურჟუაზიის, მისი გმირების, ნოსკეს და კომპანიის, მისი პირდაპირი მსახურების, შეიდემანების და სხვათა მიერ, მისი არაპირდაპირი და «გაქნილი» (და ამიტომ მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი) დამქაშების, «2½ ინტერნაციონალის» რაინდების მიერ, მათი საზიზღარი უხასიათობით, მერყეობით, პედანტიზმით, მეშჩანობით. შეიარაღებული ბურჟუაზია მახეს უგებდა უიარაღო მუშებს, მასობრივად ქლეტდა მათ, კლავდა მათ ბელადებს, სისტემატურად უთვალთვალებდა თვითეულ მათგანს, საუცხოოდ იყენებდა ამასთან კონტრრევოლუციურ ღმუილს ორივე ჯურის, როგორც შეიდემანური, ისე კაუცკიანური ჯურის სოციალ-დემოკრატების წრიდან. ხოლო კრიზისის დროისათვის ნამდვილი რევოლუციური პარტია გერმანელ მუშებს არ აღმოაჩნდათ გათიშვის დაგვიანების გამო, კაპიტალის ლაქიების გათახსირებულ (შეიდემანები, ლეგინები, დავიდები და კომპ.) და უხასიათო (კაუცკები, ჰილფერდინგები და კომპ.) ბანდასთან «ერთიანობის» წყეული ტრადიციის ზეგავლენის გამო. თვითეულ პატიოსან, შეგნებულ მუშაში, რომელსაც ბაზელის 1912 წლის მანიფესტი მიაჩნდა ხალას ჭეშმარიტებად, და არა «მე-2» და «2½» თანრიგის არამზადების «ქაღალდის ნაგლეჯად», წარმოუდგენელი სიმწვავით იღვიძებდა სიძულვილი ძველი გერმანული სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნიზმისადმი, და ეს სიძულვილი — ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე დიადი გრძნობა საუკეთესო ადამიანებისა ჩაგრული და ექსპლოატირებული მასიდან — აბრმავებდა ადამიანებს, არ აძლევდა მათ საშუალებას ემსჯელნათ გულდამშვიდებით, შეემუშავებინათ თავიანთი სწორი სტრატეგია პასუხად ანტანტის კაპიტალისტების საუცხოო სტრატეგიისა, რომლებიც შეიარაღებული, ორგანიზებული და «რუსული გამოცდილებით» განსწავლილი იყვნენ და რომელთაც მხარს უჭერდნენ საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, ეს სიძულვილი მათ უბიძგებდა ნაადრევი აჯანყებებისაკენ.

აი რატომ იყო, რომ გერმანიაში მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარება, დაწყებული 1918 წლის დამლევი-

დან, განსაკუთრებით მძიმე და მტანჯველი გზით მიდიოდა. მაგრამ ის მიდიოდა და განუხრელად მიდის წინ. გერმანიის მუშათა მასის, როგორც ძველ, მენშევიკურ (ე. ი. ბურჟუაზიის მოსამსახურე) პროფესიულ კავშირებში ორგანიზებულ, ისე სრულიად ან თითქმის სრულიად არაორგანიზებულ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ნამდვილი უმრავლესობის თანდათანობით მარცხნივ გადახრა, — ეს უდავო ფაქტია. სიდინჯისა და სიმტკიცის შენარჩუნება; — წარსულის შეცდომების სისტემატურად გამოსწორება; — მუშათა მასებში და პროფესიულ კავშირებში და მათ გარეთ უმრავლესობის სისტემატურად მიმხრობა; — ისეთი მტკიცე და ჭკვიანი კომუნისტური პარტიის მოთმინებით შენება, რომელსაც ექნება უნარი ნამდვილად უხელმძღვანელოს მასებს მოვლენათა ყველა და ყოველგვარი შემობრუნებისას; — ყველაზე «განათლებული» (საუკუნეობრივი გამოცდილებით საერთოდ, «რუსული გამოცდილებით» განსაკუთრებით) მოწინავე ბურჟუაზიის საუკეთესო საერთაშორისო სტრატეგიის დონეზე მდგომი სტრატეგიის შემუშავება თავის თავისთვის, — აი რა უნდა გაკეთდეს და აი რას გააკეთებს გერმანიის პროლეტარიატი, აი რა უზრუნველყოფს მის გამარჯვებას.

მეორე მხრივ, ამჟამად გერმანიის კომუნისტური პარტიის მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გაძნელებულია ცუდი კომუნისტების ჩამოშორებით მარცხნივ («გერმანიის კომუნისტური მუშათა პარტია», **K. A. P. D.**) და მარჯვნივ (პაულ ლევი თავისი პაწია ჟურნალით: «ჩვენი გზა» ანუ «საბჭო»).

«მემარცხენეებმა», ანუ «კა-ა-პისტებმა», ჩვენგან საკმაო გაფრთხილება მიიღეს საერთაშორისო სარბიელზე, დაწყებული კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესიდან. ვიდრე ჯერ კიდევ არ გამობრძმედილან, უმთავრეს ქვეყნებში მაინც, საკმაოდ მტკიცე, გამოცდილი, გავლენიანი კომუნისტური პარტიები, ჩვენ იძულებული ვართ მოვითმინოთ ნახევრადანარქისტული ელემენტების მონაწილეობა ჩვენს საერთაშორისო ყრილობებში, და ეს რამდენადმე სასარგებლოა კიდეც. სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც ეს ელემენტები წარმოადგენენ

თვალსაჩინო «დამაფრთხობელ მაგალითს» გამოუცდელი კომუნისტებისათვის, აგრეთვე იმდენად, რამდენადაც თვით მათ კიდევ აქვთ სწავლის უნარი. მთელ მსოფლიოში ანარქიზმი ითიშება — და არა გუშინდელი დღიდან, არამედ 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომის დასაწყისიდან — ორ მიმდინარეობად: საბჭოთა მომხრე და საბჭოთა მოწინააღმდეგე, პროლეტარიატის დიქტატურის მომხრე და მის მოწინააღმდეგე მიმდინარეობად. საშუალება უნდა მივცეთ ანარქიზმის დაშლის ამ პროცესს მომწიფდეს და დამწიფდეს. დასავლეთ ევროპაში თითქმის არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც განეცადოთ რამდენადმე მაინც დიდი რევოლუციები; იქ თითქმის სრულიად დავიწყებულია დიდი რევოლუციების გამოცდილება; ხოლო გადასვლა რევოლუციონერად ყოფნის სურვილიდან და რევოლუციაზე ლაპარაკიდან (და რეზოლუციებიდან) ნამდვილ რევოლუციურ მუშაობაზე ძალიან ძნელი, ნელი და მტანჯველი გადასვლაა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ნახევრადანარქისტული ელემენტები შეიძლება და უნდა მოვითმინოთ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში. გერმანიაში ჩვენ მათ დიდ ხანს ვითმენდით. კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესმა მათ წაუყენა ულტიმატუმი ზუსტი ვადით. თუ ახლა ისინი თვითონ წავიდნენ კომუნისტური ინტერნაციონალიდან, მით უკეთესი. ჯერ ერთი, ამ ელემენტებმა ჩვენ გაგვათავისუფლეს მათი გარიცხვის ჯაფისაგან. მეორეც, ყველა მერყევი მუშის წინაშე, ყველას წინაშე, ვისაც ჰქონდა მიდრეკილება ანარქიზმისადმი ძველი სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნიზმის სიძულვილის გამო, ახლა განსაკუთრებული საფუძვლიანობით და განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავებულია, დამტკიცებულია ზუსტი ფაქტებით, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი მომთმენი იყო, რომ მას სრულიადაც არ გაურიცხავს ანარქისტები დაუყოვნებლივ და აუცილებლივ, რომ იგი ყურადღებით უსმენდა მათ და ეხმარებოდა მათ სწავლაში.

ახლა ნაკლებ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ კა-ა-პისტებს. ჩვენ მხოლოდ რეკლამას ვუკეთებთ კა-ა-პისტებს ჩვენი პოლე-

მიკით მათთან. ისინი მეტად უგუნურნი არიან; სწორი არ არის მათდამი სერიოზულად მოპყრობა; არ ღირს მათზე გულის მოსვლა. მასებში მათ გავლენა არა აქვთ და არც ექნებათ, თუ ჩვენ თვითონ არ ჩავიდენთ შეცდომებს. დავაცალოთ ამ პაწაწა მიმდინარეობას ბუნებრივი სიკვდილით მოკვდეს; მუშები თვითონ გაერკვევიან მის უნიადაგობაში. ვაწარმოოთ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის ორგანიზაციულ და ტაქტიკურ გადაწყვეტილებათა უფრო საფუძვლიანი პროპაგანდა და საქმით გამოყენება და ნაკლები რეკლამა ვუკეთოთ კა-ა-პისტებს მათთან პოლემიკით. მემარცხენეობის საყმაწვილო სენი ქრება და გაქრება მოძრაობის ზრდასთან ერთად.

სწორედ ასევე ჩვენ ახლა ტყუილად ვეხმარებით პაულ ლევის, ტყუილად ვუკეთებთ მას რეკლამას მასთან პოლემიკით. მას მხოლოდ ის უნდა, რომ ჩვენ მას ვედავოთ. უნდა დავივიწყოთ იგი კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის გადაწყვეტილების შემდეგ და მთელი ყურადღება, მთელი ძალები მოვანდომოთ მშვიდობიან (უკინკლაოდ, უპოლემიკოდ, გუშინდელი ჩხუბის გაუხსენებლად), საქმიან, დადებით მუშაობას ჩვენი III კონგრესის გადაწყვეტილებათა მიხედვით. III კონგრესის ამ საერთო და ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ჩემი აზრით, ცოტათი არ ცოდავს ამხ. კ. რადეკის სტატია: «III მსოფლიო კონგრესი მარტის გამოსვლის შესახებ და შემდგომი ტაქტიკა» (გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში «წითელ დროშაში», 1921 წლის 14 და 15 ივლისის №№). ეს სტატია, რომელიც მე გამომიგზავნა ერთმა ამხანაგმა პოლონელი კომუნისტების წრეებიდან, სრულიად უსაფუძვლოდ — და საქმისათვის პირდაპირ საზიანოდ — გამახვილებულია არა მარტო პაულ ლევის წინააღმდეგ (ეს კიდევ სრულიად უმნიშვნელო იქნებოდა), არამედ კლარა ცეტკინის წინააღმდეგაც. ხოლო კლარა ცეტკინმა თვითონ შეკრა მოსკოვში, III კონგრესის დროს, «სამშვიდობო ხელშეკრულება» გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ც. კ-თან

(«ცენტრალე») ერთსულოვანი, არაფრაქციული მუშაობის შესახებ! და ეს ხელშეკრულება მოწონებულ იქნა ყველა ჩვენ-განის მიერ. ამხ. კ. რადეკი თავისი უადგილო პოლემიკური გულმოდგინებით ისეთ აშკარა უმართებულობამდე მივიდა, რომ ცეტკინს მიაწერა აზრი, თითქოს იგი «დებდეს» (**verlegt**) «პარტიის ყოველ გამოსვლას» (**jede allgemeine Aktion der Partei**) «იმ დღემდე, როცა აღდგებიან დიდი მასები» (**auf den Tag, wo die grossen Massen aufstehen werden**). რა თქმა უნდა, ასეთი ხერხებით ამხ. კ. რადეკი ისეთ სამსახურს უწევს პაულ ლევის, რომელზე უკეთესსაც მას ვერც კი უსურვებდა ვინმე. პაულ ლევის მხოლოდ ის უნდა, რომ დავა დაუსრულებლივ გრძელდებოდეს, რომ დავაში მეტი ხალხი ჩაებას, რომ ცდილობდნენ ცეტკინის პარტიისაგან ჩამოშორებას იმ «სამშვიდობო ხელშეკრულების» პოლემიკური დარღვევით, რომელიც მანვე შეკრა და რომელიც მთელმა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მოიწონა. ამხ. კ. რადეკმა თავის სტატიაში მოგვცა იმის საუკეთესო ნიმუში, თუ როგორ ეხმარებიან «მარცხნიდან» პაულ ლევის.

აქ მე უნდა ავუხსნა გერმანელ ამხანაგებს, თუ რატომ ვიცავდი მე ასე დიდხანს პაულ ლევის III კონგრესზე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ლევი მე გავიცანი რადეკის საშუალებით შვეიცარიაში 1915 თუ 1916 წელს. ლევი უკვე მაშინ იყო ბოლშევიკი. ხოლო მე არ შემიძლია ერთგვარ უნდობლობას არ ვგრძნობდე მათდამი, ვინც ბოლშევიზმთან მოვიდა მ ხ ო ლ ო დ მისი რუსეთში გამარჯვების და საერთაშორისო ასპარეზზე მთელ რიგ გამარჯვებათა შ ე მ დ ე გ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მიზეზი შედარებით უმნიშვნელოა, ვინაიდან პაულ ლევის პირადად მე მაინც ძალიან ნაკლებად ვიცნობ. შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი იყო მეორე მიზეზი, სახელდობრ ის, რომ გერმანიაში 1921 წლის მარტს მომხდარი გამოსვლის კრიტიკაში პაულ ლევი ა რ ს ე ბ ი თ ა დ ბევრ რამეში მ ა რ თ ა ლ ი იყო (რასაკვირველია, არა იმაში, თითქოს ეს გამოსვლა იყო «პუტჩი»: პაულ ლევის ეს მტკიცება სისულელეა).

მართალია, ლევიმ გააკეთა ყოველივე შესაძლებელი და ბევრი შეუძლებელიც, რათა შეესუსტებინა და გაეფუჭებინა თავისი კრიტიკა, რათა გაეძნელებინა თავის თავისთვისაც და სხვებისთვისაც საქმის ა რ ს ე ბ ი ს გაგება უამრავი წვრილმანით, რაშიც ის აშკარად არ იყო მართალი. ლევიმ თავისი კრიტიკა დაუშვებელ და მავნე ფორმაში გაახვია. ლევიმ, რომელიც სხვებს უქადაგებს ფრთხილ და მოფიქრებულ სტრატეგიას, თვითონ ყოველ ბავშვზე უარესი სისულელე ჩაიდინა, როცა დაიწყო ბრძოლა ისე ნაადრევად, ისე მოუმზადებლად, ისე უაზროდ, ისე უხიაკად, რომ ის აუცილებლად აგებდა «ბრძოლას» (და მრავალი წლით აფუჭებდა ან აძნელებდა თავის მუშაობას), თუმცა ეს «ბრძოლა» შეიძლებოდა და კიდეც უნდა ყოფილიყო მოგებული. ლევი ისე მოიქცა, როგორც «ინტელიგენტური ანარქისტი» (თუ არ ვცდები, ამას გერმანულად ეწოდება Edelanarchist), იმის მაგივრად, რომ მოქცეულიყო როგორც პროლეტარული კომუნისტური ინტერნაციონალის ორგანიზებული წევრი. ლევიმ დაარღვია დისციპლინა.

ამ მთელი რიგი წარმოუდგენლად სულელური შეცდომებით ლევიმ გააძნელა ყურადღების მთლიანად საქმის არსებაზე მიპყრობა. ხოლო საქმის არსებას, ე. ი. გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის მიერ 1921 წლის მარტის გამოსვლის დროს დაშვებული მრავალრიცხოვანი შეცდომების შეფასებას და გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ა ს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ამ შეცდომების (რომლებიც ზოგიერთებს მარქსისტული ტაქტიკის მარგალიტად მიაჩნდათ) ახსნისა და გამოსწორებისათვის ს ა ჭ ი რ ო ი ყ ო მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ფრთაზე დგომა კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის დროს. სხვაფრივ კომუნისტური ინტერნაციონალის ხ ა ზ ი ს წ ო რ ი ა რ იქნებოდა.

მე ვიცავდი ლევის და უნდა დამეცვა იგი, რამდენადაც ვხედავდი მის ისეთ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მხოლოდ გაყვიროდნენ «მენშევიზმზე» და «ცენტრიზმზე» და რომლებსაც არ სურდათ დაენახათ მარტის გამოსვლის შეცდომები

და მათი ახსნისა და გამოსწორების აუცილებლობა. ასეთი ხალხი რევოლუციურ მარქსიზმს აქცევდა კარიკატურად, «ცენტრიზმთან» ბრძოლას — სასაცილო სპორტად. ასეთი ხალხი უდიდესი ზიანის მიყენებით ემუქრებოდა მთელ საქმეს, რადგან «ქვეყნად არავის არ შეუძლია რევოლუციური მარქსისტების სახელის გატეხა, თუ ისინი თვითონ არ გაუტეხენ სახელს თავიანთ თავს».

მე ასეთ ხალხს ვეუბნებოდი: ვთქვათ, რომ ლევი მენშევიკი გახდა. რაკი ნაკლებად ვიცნობ მას პირადად, მე არ დავიწყებ ჯიუტობას, თუ მე ამას დამიმტკიცებენ. მაგრამ ეს ჯერ დამტკიცებული არ არის. ჯერ დამტკიცებულია მხოლოდ ის, რომ მას თ ა ვ გ ზ ა ა ე ბ ნ ა. მარტო ამისათვის კაცის მენშევიკად გამოცხადება ბავშვური სისულელეა. პარტიის გამოცდილი და უაღრესად გავლენიანი ბელადების გამობრძმედა ხანგრძლივი, ძნელი საქმეა. უამისოდ კი პროლეტარიატის დიქტატურა, მისი «ნების ერთიანობა» ფუჭ ფრაზად დარჩება. ჩვენთან, რუსეთში, ხელმძღვანელთა ჯგუფის გამობრძმედა 15 წელიწადი გრძელდებოდა (1903 — 1917), 15 წელიწადი მენშევიზმთან ბრძოლისა, 15 წელიწადი ცარიზმის მხრივ დევნისა, 15 წელიწადი, რომელთა შორის იყო პირველი რევოლუციის (1905), დიდი და მძლავრი რევოლუციის წლები. და მაინც ჩვენ გვქონდა სამწუხარო შემთხვევები, როცა «თავგზა ებნეოდათ» საუცხოო ამხანაგებსაც კი. თუ დასავლეთ-ევროპელი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ისინი დაზღვეული არიან ამგვარი «სამწუხარო შემთხვევებისაგან», ეს ისეთი ბავშვობაა, რომელსაც არ შეიძლება არ ვებრძოლოთ.

ლევი გარიცხული უნდა ყოფილიყო დისციპლინის დარღვევისათვის. ტაქტიკა განსაზღვრული უნდა ყოფილიყო 1921 წლის მარტის გამოსვლის შეცდომების უაღრესად დაწვრილებითი განმარტებისა და გამოსწორების ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე. თუ ამის შ ე მ დ ე გ ლევი მოისურვებს ძველებურად მოქცევას, მაშინ ის დაადასტურებს მისი გარიცხვის სისწორეს, მაშინ მით უფრო მეტი ძალით, მით უფრო მეტი დარწმუნებით იქნება დამტკიცებული მერყევი ან დაეჭვებული მუშები-

სათვის სრული მართებულობა III კონგრესის გადაწყვეტილებებისა პაულ ლევის შესახებ.

და რაც უფრო ფრთხილად ვუდგებოდი მე კონგრესზე ლევის შეცდომების შეფასებას, მით უფრო მეტი დარწმუნებით შემიძლია ახლა ვთქვა, **რომ ლევი აჩქარდა** დაედასტურებინა ყველაზე ცუდი ვარაუდი. ჩემს წინ არის მისი პატარა ჟურნალის «ჩვენი გზის» № 6 (1921 წლის 15 ივლისის თარიღით). რედაქციის განცხადებიდან, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალის თავში, ჩანს, რომ პაულ ლევი იცნობს III კონგრესის გადაწყვეტილებებს. როგორია მისი პასუხი ამ გადაწყვეტილებათა გამო? — მენშევიკური სიტყვები «დიად განკვეთაზე» (**grosser Bann**), «საეკლესიო სამართალზე» (**kanonisches Recht**), იმაზე, რომ ის ამ გადაწყვეტილებებს «სრული თავისუფლებით» (**in vollständiger Freiheit**) «განიხილავს». რაღა თავისუფლება შეიძლება აქ იმაზე სრული, თუ ადამიანი განთავისუფლებულია პარტიის წევრისა და კომუნისტური ინტერნაციონალის წევრის სახელწოდებისაგან! ხოლო მის, ლევის, ორგანოში, თურმე, პარტიის წევრები ანონიმურად დაიწყებენ წერას!

ჯერ — ხრიკები პარტიის წინააღმდეგ, მიპარვით ჩხუბი, პარტიის მუშაობის გაფუჭება.

შემდეგ — კონგრესის გადაწყვეტილებათა განხილვა არსებითად.

ეს საუცხოოა.

მაგრამ ამით ლევი ხომ საბოლოოდ იკლავს თავს.

პაულ ლევის სურს ჩხუბის განგრძობა.

უდიდესი სტრატეგიული შეცდომა იქნება ამ სურვილის დაკმაყოფილება. მე ვურჩევ გერმანელ ამხანაგებს: აკრძალონ ლევისთან და მის პატარა ჟურნალთან პოლემიკა პარტიის ყოველდღიური პრესის ფურცლებზე. არ უნდა გავუკეთოთ მას რეკლამა. არ უნდა მივცეთ მას საშუალება, რომ მებრძოლი პარტიის ყურადღება მნიშვნელოვანიდან უმნიშვნელოზე გადაიტანოს. უკიდურესი საჭიროების შემთხვევებში პოლემიკა უნდა წარმოებდეს ყოველკვირეულ, ყოველთვიურ

ჟურნალებში თუ ბროშურებში და, შეძლებისამებრ, არ უნდა მივგვაროთ კა-ა-პისტებს და პაულ ლევის სიამოვნება, რომელსაც ისინი განიცდიან, როცა მათ სახელს ახსენებენ, არამედ უნდა ვილაპარაკოთ უბრალოდ «ზოგიერთ არცთუ ძალიან ჭკვიან კრიტიკოსზე, რომელთაც სურთ თავიანთ თავს აუცილებლად კომუნისტებად თვლიდნენ».

მატყობინებენ, რომ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე (Ausschuss) მემარცხენე ფრისლანდიც კი იძულებული იყო მკაცრად გამოსულიყო მასლოვის წინააღმდეგ, რომელიც მემარცხენეობას თამაშობს და რომელსაც სურს სპორტული ვარჯიშობა «ცენტრისტების დევნაში». ამ მასლოვის არაგონიერებამ (რბილად რომ ვთქვათ) თავი იჩინა აქაც, მოსკოვშიც. საჭირო კი იყო, რომ გერმანიის პარტიას ერთი-ორი წლით მოევლინებინა საბჭოთა რუსეთში ეს მასლოვი და ორი-სამი მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი, რომელთაც აშკარად არ სურთ დაიცვან «სამშვიდობო ხელშეკრულება» და რომელნიც უაზრო გულმოდგინებას იჩენენ. ჩვენ მათ მოვუნახავდით სასარგებლო საქმეს. ჩვენ მათ გადავხარშავდით. ხოლო საერთაშორისო და გერმანიის მოძრაობას ეს აშკარა სარგებლობას მოუტანდა.

რადაც უნდა დაჯდეს, გერმანელმა კომუნისტებმა უნდა დაასრულონ შინაური ჩხუბი, მოკვეთონ მოკინკლავე ელემენტები ორივე მხრიდან, დაივიწყონ პაულ ლევი და კა-ა-პისტები, ხელი მოჰკიდონ ნამდვილ საქმეს.

საქმე ბევრია.

კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის ტაქტიკური და ორგანიზაციული რეზოლუციები, ჩემი აზრით, მოასწავებს წინგადადგმულ დიდ ნაბიჯს. საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, რომ ნამდვილად განვახორციელოთ ორივე ეს რეზოლუცია. ეს ძნელია. მაგრამ ეს შესაძლებელია და უნდა გაკეთდეს.

ჯერ კომუნისტებს საქვეყნოდ უნდა გამოეცხადებინათ თავიანთი პრინციპები. ეს გაკეთდა I კონგრესზე. ეს პირველი ნაბიჯია.

მეორე ნაბიჯი იყო კომუნისტური ინტერნაციონალის ორგანიზაციული გაფორმება და მასში მიღების პირობების შემუშავება, — ცენტრისტებისაგან, მუშათა მოძრაობის შიგნით ბურჟუაზიის პირდაპირი და არაპირდაპირი აგენტებისაგან ნამდვილად გამოყოფის პირობების შემუშავება. ეს II კონგრესზე გაკეთდა.

III კონგრესზე უნდა დაგვეწყო საქმიანი, დადებითი მუშაობა, კონკრეტულად განგვესაზღვრა, უკვე დაწყებული კომუნისტური ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით განგვესაზღვრა, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო გ ო რ გვემუშავნა შემდგომ, ტაქტიკური მხრივ და ორგანიზაციული მხრივ. ეს მესამე ნაბიჯიც ჩვენ გადავდგით. ჩვენ გვყავს კომუნისტების არმია მთელ მსოფლიოში. ის ჯერ ცუდად არის გაწვრთნილი, ცუდად არის ორგანიზებული. უდიდეს ზიანს მიაყენებდა საქმეს ამ ჭეშმარიტების დავიწყება ან მისი აღიარების შიში. აუცილებელია ამ არმიას საქმიანად, უდიდესი სიფრთხილით და თავისთავის მკაცრად შემოწმების, თავისი საკუთარი მოძრაობის გამოცდილების შესწავლის გზით, როგორც საჭიროა ვასწავლოთ, როგორც საჭიროა დავრაზმოთ იგი, გამოვცადოთ ყოველგვარ მანევრზე, სხვადასხვა ბრძოლაში, შეტევისა და უკანდახევის ოპერაციებზე. ამ ხანგრძლივი და მძიმე სკოლის გაუვლელად გამარჯვება შეუძლებელია.

1921 წლის ზაფხულზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობის «დედააზრს» ის წარმოადგენდა, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის ზოგიერთმა საუკეთესო და ფრიად გავლენიანმა ნაწილმა სავსებით სწორად ვერ გაიგო ეს ამოცანა, ო დ ნ ა ვ გ ა დ ა ა ჭ ა რ ბ ა «ცენტრიზმთან ბრძოლაში», ო დ ნ ა ვ გ ა დ ა ლ ა ხ ა ის ზღვარი, რომლის იქით ეს ბრძოლა იქცევა სპორტად, რომლის იქით იწყება რევოლუციური მარქსიზმის კომპრომეტაცია.

ეს იყო III კონგრესის «დედააზრი».

გადაჭარბება დიდი არ ყოფილა. მაგრამ მისი საფრთხე უზარმაზარი იყო. მასთან ბრძოლა ძნელი იყო, რადგან აჭარბებდნენ მართლაც საუკეთესო, უერთგულესი ელემენტები, ურომლებისოდაც, შეიძლება, სრულიადაც არ იქნებოდა კომუნისტური ინტერნაციონალი. გაზეთ «მოსკვაში» [106] გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილ ტაქტიკურ შესწორებებში, რომლებსაც ხელს აწერდნენ გერმანიის, ავსტრიისა და იტალიის დელეგაციები, ეს გადაჭარბება სრულიად გარკვევით გამომჟღავნდა, — მით უფრო გარკვევით, რომ შესწორებები შემოტანილი იყო რეზოლუციის უკვე დამთავრებული (ხანგრძლივი და ყოველმხრივი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ დამთავრებული) პროექტისათვის. ამ შესწორებათა უარყოფა წარმოადგენდა კომუნისტური ინტერნაციონალის ხაზის გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ა ს, წარმოადგენდა გადაჭარბების საფრთხეზე გამარჯვებას.

ხოლო გადაჭარბება, ის რომ არ გამოგვესწორებინა, უეჭველად დაღუპავდა კომუნისტურ ინტერნაციონალს. ვინაიდან «ქვეყნად არავის არ შეუძლია რევოლუციური მარქსისტების სახელის გატეხა, თუ ისინი თვითონ არ გაუტეხენ სახელს თავიანთ თავს». ქვეყნად არავის არ შეუძლია ხელი შეუშალოს კომუნისტების გამარჯვებას მე-2 და 2½ ინტერნაციონალებზე (ხოლო ეს ნიშნავს, XX საუკუნის დასავლეთ ევროპის და ამერიკის პირობებში, პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ, — ბურჟუაზიაზე გამარჯვებას), თ უ თვითონ კომუნისტები არ შეუშლიან ხელს ამ გამარჯვებას.

ხოლო გადაჭარბება, თუნდაც ერთნავი გადაჭარბება, სწორედ ეს ნიშნავს გამარჯვებისათვის ხელის შეშლას.

ცენტრიზმთან ბრძოლის გადაჭარბება ნიშნავს ცენტრიზმის გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა ს, მისი მდგომარეობის, მუშებზე მისი გავლენის გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა ს.

ცენტრიზმთან ძლევამოსილი ბრძოლა ჩვენ, ინტერნაციონალური მასშტაბით, ვისწავლეთ II კონგრესიდან III კონგრესამდე გასულ პერიოდში. ეს დამტკიცებულია საქმით. ამ

ბრძოლას ჩვენ ბოლომდე განვაგრძობთ (გარიცხვა ლევისა და სერატის პარტიისა).

მაგრამ ცენტრიზმთან ბრძოლაში უმართებულო გადაჭარბებათა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება ჩვენ ჯერ კიდევ არ გვისწავლია ინტერნაციონალური მასშტაბით. მაგრამ ჩვენ ეს ნაკლი შევიგნეთ, როგორც ეს დაამტკიცა III კონგრესის მსვლელობამ და შედეგმა. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ შევიგნეთ ჩვენი ნაკლი, ჩვენ მას თავს დავაღწევთ.

მაშინ კი ჩვენ უძლეველი ვიქნებით, ვინაიდან თუ პროლეტარიატს შიგნით არა აქვს დასაყრდნობი (მე-2 და 2½ ინტერნაციონალების ბურჟუაზიული აგენტების საშუალებით), ისე ბურჟუაზიას დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ძალაუფლების შენარჩუნება არ ძალუძს.

უფრო გულმოდგინე, უფრო საფუძვლიანი მომზადება ახალი, უფრო გადამწყვეტი, როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი ბრძოლებისათვის, — აი რაა ძირითადი და მთავარი III კონგრესის გადაწყვეტილებებში.

...«იტალიაში კომუნიზმი გახდება მასობრივ ძალად, თუ იტალიის კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ და განუხრელად იბრძოლებს სერატიზმის ოპორტუნისტული პოლიტიკის წინააღმდეგ და ამავე დროს შეძლებს გააბას კავშირი პროლეტარიატის მასებთან ¡პროფესიულ კავშირებში, გაფიცვების დროს, ფაშისტების კონტრრევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლების დროს, თუ იგი შეძლებს გააერთიანოს მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციის მოძრაობა, გადააქციოს მისი სტიქიური გამოსვლები გულმოდგინედ მომზადებულ ბრძოლებად»...

...«გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტია მით უფრო წარმატებით შეძლებს მასობრივი გამოსვლების მოწყობას, რაც უკეთ შეუგუებს იგი მომავალში თავის საბრძოლო ლოზუნგებს ნამდვილ სიტუაციას, რაც უფრო გულმოდგინედ შეისწავლის ამ სიტუაციას და რაც უფრო გაერთიანებულად, დისციპლინიანად განახორციელებს გამოსვლებს»...

ასეთია III კონგრესის ტაქტიკური რეზოლუციის ყველაზე არსებითი ადგილები.

პროლეტარიატის უმრავლესობის მიმხრობა — აი «უმთავრესი ამოცანა» (სათაური ტაქტიკური რეზოლუციის მე-3 ს-ისა).

უმრავლესობის ეს მიმხრობა ჩვენ, რასაკვირველია, ფორმალურად არ გვესმის, როგორც ესმით 2½ ინტერნაციონალის მეშჩანური «დემოკრატიის» რაინდებს. როცა რომში 1921 წლის ივლისში მთელი პროლეტარიატი, რეფორმისტული პროლეტარიატიც პროფესიული კავშირებიდან, ცენტრისტულიც სერატის პარტიიდან, კომუნისტებს გ ა ჰ ყ ვ ა ფაშისტების წინააღმდეგ, ეს იყო მუშათა კლასის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს მ ი მ ხ რ ო ბ ა.

ეს იყო ჯერ კიდევ სრულიადაც, სრულიადაც არა გადამწყვეტი, მხოლოდ ნაწილობრივი, მხოლოდ წუთიერი, მხოლოდ ლოკალური მიმხრობა, მაგრამ ეს იყო უმრავლესობის მიმხრობა. ასეთი მიმხრობა შესაძლებელია — მაშინაც კი, როდესაც პროლეტარიატის უმრავლესობა ფორმალურად მიჰყვება ბურჟუაზიის ბელადებს ან ისეთ ბელადებს, რომლებიც ბურჟუაზიულ პოლიტიკას ატარებენ (როგორიც არის მე-2 და 2½ ინტერნაციონალების ყველა ბელადი), ან როდესაც პროლეტარიატის უმრავლესობა მერყეობს. ასეთი მიმხრობა მთელ მსოფლიოში ყველგან და ყოველნაირად განუხრელად წინ მიიწევს. უფრო საფუძვლიანად და უფრო გულმოდგინედ ვამზადოთ იგი, ნუ გავუშვებთ ნურც ერთ სერიოზულ შემთხვევას, როცა ბურჟუაზია აიძულებს პროლეტარიატს აღდგეს საბრძოლველად, ვისწავლოთ ისეთი მომენტების სწორად განსაზღვრა, როცა პროლეტარიატის მ ა ს ე ბ ს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ ა რ აღდგენ ჩვენთან ერთად.

მაშინ გამარჯვება უზრუნველყოფილია, რაც უნდა მძიმე იყოს ჯერ კიდევ ცალკეული დამარცხებანი და ცალკეული გადასვლები ჩვენს დიად ლაშქრობაში.

ჩვენი ტაქტიკური და სტრატეგიული ხერხები ჯერ კიდევ ჩამორჩება (თუ ინტერნაციონალური მასშტაბით ვიმსჯელებთ) ბურჟუაზიის საუცხოო სტრატეგიას, ბურჟუაზიისა, რომელმაც რუსეთის მაგალითზე ისწავლა და რომელიც არ დაუშ-

ვებს, რომ მას «მოულოდნელად წავადგეთ თავს». მაგრამ ძალები ჩვენ მეტი, განუზომლად მეტი გვყავს, ტაქტიკასა და სტრატეგიას ჩვენ ვსწავლობთ, ჩვენ წინ წავწიეთ ეს «მეცნიერება» 1921 წლის მარტის გამოსვლის შეცდომების გამოცდილების საფუძველზე. ჩვენ მთლიანად დავძლევთ ამ «მეცნიერებას».

ჩვენი პარტიები ჯერ ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში სრულიადაც, სრულიადაც ისეთნი არ არიან, როგორიც უნდა იყვნენ ნამდვილი კომუნისტური პარტიები, ნამდვილი რევოლუციური და ერთადერთი რევოლუციური კლასის ნამდვილი ავანგარდები, როცა პარტიის ყველა წევრი ერთიანად მონაწილეობს მასების ბრძოლაში, მოძრაობაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენ ვიცით ეს ჩვენი ნაკლი, ჩვენ ის უაღრესი სიცხადით გამოვააშკარავეთ III კონგრესის რეზოლუციაში პარტიის მუშაობის შესახებ. და ჩვენ ამ ნაკლს დავძლევთ.

ამხანაგო გერმანელო კომუნისტებო! ნება მომეცით დავამთავრო სურვილით, რომ თქვენმა პარტიულმა ყრილობამ 22 აგვისტოს მტკიცე ხელით და სამუდამოდ მოუღოს ბოლო წვრილმან ბრძოლას მარცხნით და მარჯვნით გამოთიშულებთან. კმარა შინაპარტიული ბრძოლა! ძირს ყველა, ვინც კიდევ მოისურვებს მის პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაჭიანურებას. ჩვენ ახლა ბევრად უფრო ცხადად, უფრო კონკრეტულად, უფრო თვალსაჩინოდ ვიცით ჩვენი ამოცანები, ვიდრე გუშინ; ჩვენ არ გვეშინია აშკარად მივუთითოთ ჩვენს შეცდომებზე, რათა გამოვასწოროთ ისინი. ჩვენ ახლა პარტიის მთელ ძალებს მოვახმართ მის საუკეთესო ორგანიზაციას, მისი მუშაობის ხარისხისა და შინაარსის ამაღლებას, მასებთან უფრო მჭიდრო კავშირის შექმნას, მუშათა კლასის სულ უფრო და უფრო სწორი და ზუსტი ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას.

კომუნისტური სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

1921 წ. 14 აგვისტო

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დაიბეჭდა 1921 წელს

შენიშვნები

1 ვ. ი. ლენინის სიტყვა «პროფესიულ კავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკის შეცდომებზე» ლენინის პირველი გამოსვლა იყო პარტიული აქტივის წინაშე პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების საკითხზე დაწყებულ დისკუსიასთან დაკავშირებით. დისკუსიის წამომწყები და ლენინისა და პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ამტეხი იყო ტროცკი. ტროცკის კვალდაკვალ გამოვიდნენ სხვა ანტიპარტიული ჯგუფებიც.

ლენინმა და ლენინელებმა, გააჩაღეს რა გადამწყვეტი ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ, უმთავრესად დაარტყეს ტროცკისტებს, როგორც ანტიპარტიულ დაჯგუფებათა ძირითად ძალას. ოპოზიციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში ვ. ი. ლენინის ერთგული დასაყრდენი იყო ი. ბ. სტალინი.

პროფკავშირულ დისკუსიაში ტროცკისტები და ყველა სხვა ოპოზიციონერები დამარცხდნენ. პარტიული ორგანიზაციები შემჭიდროვდნენ ლენინის გარშემო და შეუერთდნენ ლენინის პლატფორმას.

პროფკავშირების შესახებ პარტიაში წარმოებული დისკუსიის თაობაზე იხ. ეს ტომი, გვ. 69 — 121; ი. ბ. სტალინის სტატია «ჩვენი უთანხმოებანი» (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 5, 1949, გვ. 4 — 15); «საკავშირო კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 310 — 314 და რკპ(ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებანი («საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 369 — 379). — 1.

2 ლენინს მხედველობაში აქვს რკპ(ბ) IX ყრილობის რეზოლუციები «სამეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» და «პროფესიული კავშირებისა და მათი ორგანიზაციის საკითხზე» (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 329 — 337, 337 — 340). — 5.

3 იხ. ეს ტომი, გვ. 30. — 6.

4 ლაპარაკია საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში 1920 წლის 22-დან 29 დეკემბრამდე. — 8.

5 ლენინს მხედველობაში აქვს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის IX კონფერენციის რეზოლუცია «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ», მიღებული 1920 წლის სექტემბერში (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 349 — 353). — 12.

6 რკპ(ბ) ც. კ-ის «იზვესტია» (რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის «იზვესტია») — ც. კ-ის საინფორმაციო ბიულეტენი; დაარსდა რკპ(ბ) VIII ყრილობის გადაწყვეტილებით; იწყო გამოსვლა 1919 წლის მაისს მოსკოვში. 1929 წლის ოქტომბერში ც. კ-ის «იზვესტია» გადაკეთდა ჟურნალ «პარტიინოე სტროიტელსტვო»-დ, რომელიც გამოდიოდა 1946 წლის ივნისამდე. — 12.

7 «ბუფერული ჯგუფი» — ანტიპარტიული ჯგუფი (ბუხარინი, პრეობრაჟენსკი, სერებრიაკოვი და სხვ.), რომელიც წარმოიშვა პროფკავშირების შესახებ დისკუსიის დროს. «ბუფერული ჯგუფი» იცავდა და ხელს აფარებდა უბოროტეს ფრაქციონერ-ტროცკისტებს, ეხმარებოდა მათ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მალე ბუხარინელები აშკარად გაერთიანდნენ ტროცკისტებთან ლენინის წინააღმდეგ.

«ბუფერული ჯგუფის» დახასიათება და მისი ანტიპარტიული შეხედულებებისა და მოქმედების შეფასება ლენინმა მოგვცა სტატიაში «პარტიის კრიზისი», ბროშურაში «ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკისა და ბუხარინის შეცდომებზე» (იხ. ეს ტომი, გვ. 32 — 46, 69 — 121) და სხვა ნაწარმოებებში. — 13.

8 თავდაცვის საბჭო (მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭო) შექმნა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1918 წლის 30 ნოემბერს ფრონტზე და ზურგში თავდაცვის მთელი მუშაობისათვის — არმიების ორგანიზაციისა და შევსებისათვის, ფრონტის სურსათით, ჩაცმულობით და საჭურვლით მომარაგებისა და ამ მიზნით ქვეყნის მთელი რესურსების მობილიზაციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ვ. ი. ლენინი; მისი ფაქტიური მოადგილე იყო ი. ბ. სტალინი, რომელიც სრულიად რუსეთის ცაკმა გამოჰყო თავის წარმომადგენლად თავდაცვის საბჭოში.

თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, მის მიერ შექმნილი კომისიების გადაწყვეტილებებს, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხელმოწერილთ, თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებათა ძალა ჰქონდათ.

ძირითადი ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ თავდაცვის საბჭო 1920 წლის აპრილში გარდაიქმნა შრომისა და თავდაცვის საბჭოდ (შთს). სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის 1920 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ იწყო მოქმედება სახკომსაბჭოს კომისიის უფლებებით; არსებობდა 1936 წლის დამლევამდე. — **14.**

9 იგულისხმება პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის ცენტრალურ საბჭოსთან არსებული საწარმოო პროპაგანდის სრულიად რუსეთის ბიურო, შექმნილი ლენინის ინიციატივით. — **17.**

10 «გ ლ ა ვ პ ო ლ ი ტ პ უ ტ» (გზათა სახალხო კომისარიატის მთავარი პოლიტიკური განყოფილება) — შექმნილი იყო სრულიად რუსეთის ცაკის დადგენილებით 1919 წლის თებერვალში; გადაკეთდა 1920 წლის იანვარში გზათა სახალხო კომისარიატის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოდ — ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა შორის პარტიული, პოლიტიკური მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გამწევ დროებით ორგანოდ. რკპ(ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებით «გლავპოლიტპუტ» 1920 წლის იანვარში გაუქმებულ იქნა. — **21.**

11 «ც ე კ ტ რ ა ნ ი» — რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშაკთა გაერთიანებული კავშირის ცენტრალური კომიტეტი. შეიქმნა 1920 წლის სექტემბერში. ტროცკისტები, რომლებიც 1920 წლის დამლევს — 1921 წლის დამდეგს ცეკტრანის ხელმძღვანელობის სათავეში გაძვრნენ, პროფკავშირებში მოქმედებდნენ შიშველი იძულებისა და მბრძანებლობის მეთოდებით, ამხედრებდნენ უპარტიო მუშებს პარტიის წინააღმდეგ, სთიშავდნენ მუშათა კლასს. ტროცკისტების მოქმედება ამხილა და დაგმო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ტრანსპორტის მუშების პირველმა სრულიად რუსეთის ყრილობამ, რომელიც 1921 წლის მარტში მიმდინარეობდა, განდევნა ტროცკისტები ცეკტრანის ხელმძღვანელობიდან. — **21.**

12 იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 335. — **22.**

13 «პ ო ლ ი ტ ვ ო დ» («გლავპოლიტვოდ» — გზათა სახალხო კომისარიატის წყალთა ტრანსპორტის მთავარი პოლიტიკური სამმართველო) — შეიქმნა 1920 წლის აპრილში როგორც «გლავპოლიტპუტის» განყოფილება; გაუქმებულ იქნა 1920 წლის დეკემბერში. — **22.**

14 ლენინს მოჰყავს დებულება პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის (1920 წ.) მიერ პროფკავშირთა საკითხზე მიღებული რეზოლუციის მეხუთე პუნქტიდან. — 22.

15 პროფკავშირთა სრულიად რუსეთის V კონფერენცია მიმდინარეობდა 1920 წლის 2 — 6 ნოემბერს მოსკოვში.

კონფერენციის კომუნისტ-დელეგატების სხდომაზე ტროცკი გამოვიდა «ქანჩების მოჭერისა» და «პროფკავშირთა შებერტყვის» საეჭვო ლოზუნგით. მან წამოაყენა მოთხოვნა დაუყოვნებლივ მოეხდინათ «პროფკავშირთა გასახელმწიფოებრივება» და გადაეტანათ იქ მუშაობის სამხედრო მეთოდი. ტროცკისტები ცდილობდნენ აემხედრებინათ უპარტიო მუშები პარტიის წინააღმდეგ, გაეთიშათ მუშათა კლასი.

ტროცკის გამოსვლა წააწყდა წინააღმდეგობას კონფერენციის კომუნისტ-დელეგატების მხრივ. კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე მიღებულ რეზოლუციას საფუძვლად დაედო ლენინის მიერ დაწერილი «პროექტი რეზოლუციისა «პროფესიული კავშირების ამოცანები და მათი განხორციელების მეთოდები»» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 31, გვ. 456 — 457).

პროფკავშირების შესახებ პარტიაში შემდგომ გაჩაღებული დისკუსიის დროს და რკპ(ბ) X ყრილობაზე მხილებულ იქნა პარტიისა და მუშათა კლასისადმი მტრული ტროცკისტული პოლიტიკა, ხოლო ტროცკისტები, როგორც ანტიპარტიულ დაჯგუფებათა ძირითადი ძალა, განადგურებულ იქნენ. — 25.

16 «მუშათა ოპოზიცია» — ანტიპარტიული, ანარქო-სინდიკალისტური ჯგუფი; მას მეთაურობდნენ შლიაპნიკოვი, მედვედევი და სხვ.. ჯგუფი ჩამოყალიბდა 1920 წლის მეორე ნახევარში და ბრძოლას აწარმოებდა პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ. რკპ(ბ) X ყრილობამ დაგმო «მუშათა ოპოზიცია» და კომუნისტური პარტიის წევრობასთან შეუთავსებლად ცნო ანარქო-სინდიკალისტური გადახრის იდეათა პროპაგანდა. დამარცხებული «მუშათა ოპოზიციის» ნაშთები შემდეგში დაუკავშირდნენ კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს. — 87.

17 «პროექტი რკპ X ყრილობის დადგენილებისა პროფკავშირთა როლისა და ამოცანების საკითხზე» შეიცავდა ლენინის პოზიციას (პლატფორმას) ანტიპარტიული ჯგუფების პლატფორმათა საპირდაპიროდ. ამ დოკუმენტში განსაზღვრული იყო პროფკავშირების როლი როგორც მმართველობის სკოლისა, მეურნეობას გაძღოლის სკოლისა, კომუნიზმის სკო-

ლისა; აღნიშნული იყო, რომ პროფკავშირების მუშაობის მთავარ მეთოდს წარმოადგენს დარწმუნების მეთოდი როგორც კავშირების შიგნით პროლეტარული დემოკრატიის მეთოდი; წამოყენებული იყო სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის მთელი მუშათა კლასის დარაზმვის ამოცანა. — **40.**

18 იგულისხმება ანტიპარტიული ჯგუფი «დემოკრატიული ცენტრალიზმისა» (დეცისტები), რომელსაც მეთაურობდნენ საპრონოვი, ოსინსკი და სხვ.. ჯგუფი წარმოიშვა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში. დეცისტები უარყოფდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს საბჭოებსა და პროფკავშირებში; გამოდიოდნენ მრეწველობაში დირექტორების ერთმმართველობისა და პირადი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ, ორგანიზაციულ საკითხებში ლენინური ხაზის წინააღმდეგ; მოითხოვდნენ ფრაქციებისა და დაჯგუფებათა თავისუფლებას პარტიაში. პარტიის IX და X ყრილობებმა დაგმეს დეცისტები, როგორც ანტიპარტიული ჯგუფი. 1927 წელს «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფი, რომელიც დაუკავშირდა კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს, გარიცხულ იქნა პარტიიდან საკ. კპ(ბ) XV ყრილობის მიერ.

ლენინის მიერ ქვემოთ მოხსენებული «იგნატოველებიც» აგრეთვე იყვნენ ანარქო-სინდიკალისტური მიმართულების ერთ-ერთი ანტიპარტიული დაჯგუფების წარმომადგენელნი. — **40.**

19 იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 290 (პუნქტი 5). — **42.**

20 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ის დისკუსია, რომელიც გაჩაღდა პროფკავშირთა როლისა და ამოცანების საკითხის გამო რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რაც შედგა ქ. მოსკოვის რაიონების პარტიული ორგანიზაციებისა და სამაზრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად 1921 წლის 17 იანვარს. ამ სხდომაზე გამოვიდა ი. ბ. სტალინი სიტყვით ტროცკისა და ბუხარინის ანტიპარტიული პოზიციის წინააღმდეგ, პროფკავშირთა საკითხში პარტიის ლენინური ხაზის დასაცავად. ხმების უდიდესი უმრავლესობით მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი თეზისები.

მეორე დღეს (18 იანვარს) პარტიის მოსკოვის კომიტეტმა მიიღო მიმართვა «ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი», სადაც იგი მოუწოდებდა პარტიის ყველა წევრს ერთსულოვნად მხარი დაეჭირათ ლენინის პლატფორმისათვის. — **43.**

21 სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის II ყრილობა მიმდინარეობდა 1921 წლის 25 იანვრიდან 1 თებერვლამდე. ყრილობის გახსნამდე (22 — 24 იანვარს) შედგა კომუნისტური ფრაქციის ოთხი სხდომა. — 47.

22 იხ. ეს ტომი, გვ. 17. — 54.

23 მუშურ-გლეხური ინსპექცია (მუშგლეხინი) — სახალხო კომისარიატი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა კონტროლის სისტემის ხელმძღვანელობა და საქმის დაყენების გაუმჯობესება საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში.

1918 წლის იანვარში შეიქმნა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი (სახკონტროლი). 1919 წლის მარტში ვ. ი. ლენინის წინადადებით სახკომსაბჭომ მოახდინა სახკონტროლის რეორგანიზაცია და სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად დანიშნა ი. ბ. სტალინი. სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის დეკრეტის პროექტი მოამზადა კომისიამ ი. ბ. სტალინის, ი. მ. სვერდლოვის და სხვათა შემადგენლობით. 1919 წლის 9 აპრილს ვ. ი. ლენინმა, ი. ბ. სტალინმა და მ. ი. კალინინმა ხელი მოაწერეს სრ. რუსეთის ცაკის მიერ დამტკიცებულ დეკრეტს სახელმწიფო კონტროლის შესახებ.

1920 წლის თებერვალში მუშათა კონტროლის ორგანოები გაერთიანებულ იქნენ სახელმწიფო კონტროლის ორგანოებთან ერთიან ორგანოდ — მუშურ-გლეხურ ინსპექციად (მუშგლეხინი) და მიღებულ იქნა სპეციალური დებულება მუშგლეხინის შესახებ. მუშგლეხინის სახალხო კომისრად 1922 წლის აპრილამდე იყო ი. ბ. სტალინი.

1923 წელს რკპ(ბ) XII ყრილობამ ვ. ი. ლენინის მითითებით შექმნა გაერთიანებული ორგანო ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინი. 1934 წელს, საკ. კპ(ბ) XVII ყრილობის შემდეგ, რომელმაც მიიღო ი. ბ. სტალინის წინადადება მუშგლეხინის რეორგანიზაციის შესახებ, შეიქმნა საბჭოთა კონტროლის კომისია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან. 1940 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი, რომელიც 1946 წლის მარტში გადაკეთდა სახელმწიფო კონტროლის სამინისტროდ. — 65.

24 ბროშურა ლენინის მიერ დაწერილი იყო პროფკავშირების შესახებ პარტიაში გაჩაღებულ დისკუსიასთან დაკავშირებით. მუშაობა ბროშურაზე დამთავრდა 1921 წლის 25 იანვარს და იგი იმავე დღეს გადაცემულ იქნა ასაწყობად. 26 იანვარს, გვიან საღამოს, ბროშურის ტირაჟის ნაწილი დაურიგდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევ-

რებს, რომლებიც ადგილებზე მიემგზავრებოდნენ პროფკავშირების როლისა და ამოცანების შესახებ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად. — **69.**

25 «პ ე ტ რ ო გ რ ა დ ს კ ა ი ა ᲞᲠᲐᲕᲓᲐ» — ყოველდღიური გაზეთი; იწყო გამოსვლა 1918 წლის 2 აპრილიდან. თავდაპირველად იყო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის კომიტეტის ორგანო. იმავე წლის ივნისიდან კი გაზეთი გახდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, ჩრდილოეთის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, შემდეგ კი პარტიის საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტების ორგანო. 1924 წლის იანვარში ეწოდა «ლენინგრადსკაია პრავდა». — **69.**

26 მ ე ლ ი თ ო ნ ე თ ა მ ო ს კ ო ვ ი ს ფ ა რ თ ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა მიმდინარეობდა 1921 წლის 2 — 4 თებერვალს. კონფერენციას ესწრებოდა ქ. მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მუშა მელითონეთა 1 000-მდე წარმომადგენელი. კონფერენციამ განიხილა საკითხები სურსათისა და მომარაგებისა, პროფესიული კავშირების როლისა წარმოებაში, მუშათა კლასის დამოკიდებულებისა გლეხობისადმი და სხვა. ლენინი სიტყვით გამოვიდა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე. — **122.**

27 ამერიკელი კაპიტალისტების კოლონიზატორულ პოლიტიკას, რომელიც მიწის უფასოდ დარიგების დროშით ტარდებოდა, ლენინი ამხელს თავის ნაშრომში «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 22, გვ. 1 — 116). — **124.**

28 ს ა მ კ ე რ ვ ა ლ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს მ უ შ ა თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს IV ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 1 — 6 თებერვალს. ყრილობას ესწრებოდა 287 დელეგატი. ყრილობამ განიხილა საკითხები: კავშირის ც. კ-ის საქმიანობის, ეკონომიური ამოცანების, შრომის ნორმირების, პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების შესახებ და სხვა. ლენინმა სიტყვა წარმოთქვა მე-9 პლენარულ სხდომაზე, 6 თებერვალს დილით. — **127.**

29 ც ს ს კ (ცენტრალური სააღრიცხვო-საგანმანაწილებლო კომისია) სახელმწიფო გამომცემლობასთან; შეიქმნა 1919 წლის დეკემბერში ლიტერატურის აღრიცხვისა და განაწილების ერთიანი გეგმის შემუშავების მიზნით. — **148.**

30 იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 291 (პუნქტი 8). — **150.**

31 «წ ი ნ ა ს წ ა რ ი, შ ა ვ ა დ დ ა წ ე რ ი ლ ი მ ო ნ ა ხ ა ზ ი თ ე ზ ი ს ე ბ ი ს ა გ ლ ე ხ თ ა შ ე ს ა ხ ე ბ» — დოკუმენტი, შედგენილი ლენინის მიერ გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის საკითხზე.

1921 წლის იანვრის დამლევს — თებერვლის დამდეგს ლენინი იღებს გლეხთა დელეგატებს და ესაუბრება მათ სოფლად შექმნილი მდგომარეობის შესახებ. 1921 წლის 8 თებერვალს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, განიხილავდნენ საგაზაფხულო თესვის კამპანიისა და გლეხობის მდგომარეობის საკითხს. ამ სხდომაზე ლენინმა დაწერა ამ ტომში გამოქვეყნებული დოკუმენტი, რაც საფუძვლად დაედო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც მიღებულ იქნა პარტიის X ყრილობის მიერ. — **155.**

32 მ ი წ ს ა ხ კ ო მ ი — მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი. — **161.**

33 ლენინს მოჰყავს ნაწყვეტები რეზოლუციისა ელექტრიფიკაციის შესახებ, რომელიც მიიღო საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობამ 1920 წლის 29 დეკემბერს. ამ რეზოლუციის პროექტი დაწერილი იყო ლენინის მიერ (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 31, გვ. 654). — **165.**

34 აქ და ქვემოთ ლენინს მოჰყავს ადგილები პარტიული პროგრამიდან, რომელიც მიიღო 1919 წლის მარტში რკპ(ბ) VIII ყრილობამ (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 291). — **168.**

35 ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ უ კ რ ა ი ნ ი ს V ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა ხარკოვში 1921 წლის 25 თებერვლიდან 3 მარტამდე. ყრილობას ესწრებოდა ათასზე მეტი დელეგატი.

ყრილობამ ლენინი აირჩია სრულიად უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში. ლენინის მისალმება საბჭოების სრულიად უკრაინის V ყრილობისადმი გამოქვეყნდა 26 თებერვალს, ყრილობის მეორე სხდომაზე. — **171.**

36 მ ო ს კ ო ვ ი ს მ უ შ ა თ ა დ ა გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ს პ ლ ე ნ უ მ ი ს 1 9 2 1 წ ლ ი ს 2 8 თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს ს ხ დ ო მ ა, რომელიც შედგა რაიონული საბჭოების პლენუმებთან და

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი იყო საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის საკითხებისადმი.

პლენუმის სხდომას წინ უძღოდა მოსკოვის პარტიული აქტივის 24 თებერვლის კრება, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ლენინი; სწორედ პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილებით იქნა მოწვეული მოსკოვის საბჭოს პლენუმი. პლენუმზე ლენინი გამოვიდა სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. მოსკოვის საბჭოს პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო მიმართვა ქ. მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის მუშებისა, გლეხებისა და წითელარმიელებისადმი მოწოდებით — გაეჩაღებინათ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ კონტრრევოლუციური მიზნებისათვის გამოეყენებინათ რესპუბლიკის დროებითი სასურსათო სიძნელენი. — **172.**

87 ვ. ი. ლენინის წერილი ქართველი კომუნისტებისადმი ი. ბ. სტალინმა 1921 წლის 2 მარტს პირდაპირი მავთულით გადასცა გ. კ. ორჯონიკიძეს. იმავე დღეს ვ. ი. ლენინს ტელეგრაფით გაეგზავნა გ. კ. ორჯონიკიძის პასუხი. პასუხში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს კომუნისტები სავსებით და ერთსულოვნად ეთანხმებიან ვ. ი. ლენინის დირექტივას.

სათაურში სიტყვა «ბაქო» დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ. — **189.**

88 რკპ(ბ) X ყრილობა შედგა მოსკოვში 1921 წლის 8 — 16 მარტს. ყრილობას ესწრებოდა 694 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის 732 521 წევრს, და 296 დელეგატი — სათათბირო ხმით.

ყრილობამ მოისმინა და განიხილა ცკ-ის პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში, საკონტროლო კომისიის ანგარიში, მოხსენება პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ეროვნულ საკითხში, გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ, პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის შესახებ და სხვა.

ყრილობაზე მუშაობდა რამდენიმე კომისია გადაწყვეტილებათა მოსამზადებლად; ეროვნული საკითხის კომისიას მეთაურობდა ი. ბ. სტალინი.

ლენინი გამოვიდა სიტყვით ყრილობის გახსნისას და ხელმძღვანელობდა მთელ მის მუშაობას. მან გააკეთა მოხსენებანი დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხზე: რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის, გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის, პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის შესახებ; იგი გამოვიდა საბოლოო სიტყვით თვითეული ამ საკითხის

გამო. ლენინი აგრეთვე გამოვიდა ყრილობაზე სიტყვებით: პროფესიული კავშირების შესახებ, სათბობის საკითხის გამო, ყრილობის დახურვისას. ლენინის მიერ დამზადებული იყო პირვანდელი პროექტები რეზოლუციებისა: კოოპერაციის შესახებ, მუშათა და გაჭირვებულ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, პარტიის ერთიანობის შესახებ, სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში.

პარტიის ერთიანობისათვის, ყრილობაზე სწორ გადაწყვეტილებათა მიღებისათვის ბრძოლაში ვ. ი. ლენინის მთავარი დასაყრდენი იყო ი. ბ. სტალინი. ყრილობაზე მოსმენილ იქნა ი. ბ. სტალინის მოხსენება პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ეროვნულ საკითხში და საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო (იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტომი 5, 1949, გვ. 35 — 52).

ყრილობამ შეაჯამა პროფკავშირების შესახებ წარმოებული დისკუსიის შედეგები და ხმების უდიდესი უმრავლესობით მოიწონა ლენინის პლატფორმა. ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციები «პარტიის ერთიანობის შესახებ» და «სანდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში» (იხ. ეს ტომი, გვ. 292 — 298, 299 — 304). ყრილობამ კომუნისტური პარტიის წევრობასთან შეუთავსებლად ცნო ანარქო-სინდიკალისტური გადახრის იდეების პროპაგანდა.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ეროვნულ საკითხში, წარმოდგენილი კომისიის სახელით ი. ბ. სტალინის მიერ. პარტიის X ყრილობამ აირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც უზრუნველყოფილი იყო ლენინელთა უმრავლესობა. ც. კ-ის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: ლენინი, სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, ძერჟინსკი, ორჯონიკიძე, ფრუნზე და სხვ.; ც. კ-ის წევრობის კანდიდატებად არჩეულ იქნენ: კიროვი, კუიბიშევი და სხვ. — **195.**

39 იხ. ეს ტომი, გვ. 19. — **208.**

40 III ინტერნაციონალში მიღების 21 პირობა შეიმუშავა ლენინმა და მიიღო კომინტერნის II კონგრესმა 1920 წლის აგვისტოში. — **214.**

41 სავაჭრო შეთანხმება ინგლისთან ხელმოწერილ იქნა 1921 წლის 16 მარტს. — **216.**

42 ლენინს მხედველობაში აქვს კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხება, რომელიც დაიწყო 1921 წლის 28 თებერვალს. პარტიის X ყრილობამ ამბოხების სალიკვიდაციოდ გაგზავნა 300 დელეგატი კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით. 18 მარტს ამბოხება სავსებით ლიკვიდირებულ იქნა. — **219.**

43 სამარის დემოკრატიული კომიტეტი — ეგრეთწოდებული კომიტეტი დამფუძნებელი კრების წევრებისა — თეთრგვარდიულ-ესერული მთავრობა, რომელიც შეიქმნა 1918 წლის ივნისში და ლიკვიდირებულ იქნა იმავე წლის შემოდგომაზე. — **221.**

44 იხ. ეს ტომი, გვ. 69 — 121. — **238.**

45 ლენინს მხედველობაში აქვს ხარკოვში 1921 წლის 5 — 6 მარტს შემდგარი უპარტიო კონფერენცია სასურსათო საკითხის შესახებ. — **247.**

46 რეზოლუციის ეს პროექტი, დამუშავებული ლენინის მიერ, დაამტკიცა პარტიის X. ყრილობამ. — **252.**

47 «კომგოსოორი» — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახელმწიფო ნაგებობაა კომიტეტი, შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით 1918 წლის 9 მაისს იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს მთელი საქმიანობა სამრეწველო მშენებლობის დარგში გაერთიანებული ყოფილიყო. — **253.**

48 სიტყვა პროფესიული კავშირების შესახებ ლენინმა წარმოთქვა რკპ(ბ) X ყრილობის მეთორმეტე სხდომაზე 1921 წლის 14 მარტს. ლენინის გამოსვლის შემდეგ ყრილობამ ხმების უდიდესი უმრავლესობით მიიღო ლენინის პლატფორმა (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 369 — 379). — **254.**

49 იგულისხმება რეზოლუცია, მიღებული 1920 წლის 29 დეკემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის VIII ყრილობის მიერ რკინიგზის და წყლის ტრანსპორტის მდგომარეობის საკითხზე და მისი განმტკიცებისა და განვითარების შემდგომი პერსპექტივების შესახებ. — **256.**

50 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 388 . — **257.**

51 იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 290 (პუნქტი 5). — **258.**

52 იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 389). — 268.

53 რკპ(ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებით მეშვიდე პუნქტი რეზოლუციისა პარტიის ერთიანობის შესახებ არ ყოფილა გამოქვეყნებული. ი. ბ. სტალინმა «მოხსენებაში პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» რკპ(ბ) XIII კონფერენციაზე 1924 წლის 17 იანვარს გამოაქვეყნა ეს პუნქტი (იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტომი 6, 1949, გვ. 29). ი. ბ. სტალინის წინადადებით კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ამ პუნქტის გამოქვეყნების შესახებ (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 545, პუნქტი 14). — 292.

54 «ს ა დ ი ს კ უ ს ი ო ფ უ რ ც ე ლ ი» — რკპ(ბ) ც. კ-ის არაპერიოდული გამოცემა; იწყო გამოცემა 1920 წლის მარტში შემდგარი რკპ(ბ) IX სრულიად რუსეთის კონფერენციის დადგენილებით. გამოვიდა ორი ნომერი: პირველი — 1921 წლის იანვარში, მეორე — თებერვალში, რკპ(ბ) X ყრილობის წინ. — 297.

55 მოხსენებით პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის შესახებ პარტიაში ლენინი გამოვიდა ყრილობის უკანასკნელ, მეთექვსმეტე, სხდომაზე. მოხსენების გამო საბოლოო სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ხმების უდიდესი უმრავლესობით მიღებულ იქნა ლენინის მიერ შედგენილი და წარმოდგენილი რეზოლუციები «პარტიის ერთიანობის შესახებ» და «სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში». — 305.

56 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1950, გვ. 101; კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა»; კ. მარქსის 1852 წლის 5 მარტის წერილი ი. ვეიდემეიერისადმი (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 24, 547) და სხვ. — 307.

57 ლენინს მხედველობაში აქვს კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე გაჩაღებული ბრძოლა ანარქისტული ჯგუფის, გერმანიის ეგრეთწოდებული კომუნისტური მუშათა პარტიის წინააღმდეგ; ეს ჯგუფი შეიქმნა წვრილბურჟუაზიული, ანარქო-სინდიკალისტური, «მემარცხენე» ელემენტებისაგან, რომლებიც გამოეთიშნენ გერმანიის კომუნისტურ პარტიას. შემდეგში ეს ჯგუფი გადაიქცა პაწაწა სექტანტურ ჯგუფად, რომელიც მტრობას იჩენდა გერმანიას კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასისადმი და გამოდიოდა ცილისწამებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. — 310.

58 რიაზანოვის შესწორება ლენინის წინადადებით უარყოფილ იქნა ყრილობის მიერ. — **322.**

59 დირექტივების პროექტი, რომელსაც ვ. ი. ლენინი იმოწმებს, რკპ(ბ) X ყრილობის მასალებში არ შენახულა. — **330.**

60 «Reuter» («რეიტერ») — ინგლისური საინფორმაციო დეპეშათა სააგენტო. — **332.**

61 «Le Matin» («დილა») — ფრანგული ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; დაარსდა 1884 წელს. — **332.**

62 «The Times» («დროება») — ინგლისის ბურჟუაზიის კონსერვატიული წრეების ერთ-ერთი დიდი გაზეთი; დაარსდა ლონდონში 1785 წელს. — **333.**

63 «The Daily Chronicle» («ყოველდღიური ქრონიკა») — ინგლისის იმპერიალისტური ბურჟუაზიის გაზეთი; გამოდიოდა ლონდონში 1855 წლიდან 1930 წლამდე. — **333.**

64 ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 22-დან 31 მარტამდე. ყრილობას ესწრებოდა 1 079 დელეგატი.

ლენინმა სიტყვა წარმოთქვა ყრილობის მეხუთე პლენარულ სხდომაზე. — **336.**

65 ლენინის მილოცვა პასუხია იმ წერილისა, რომელშიც 1-ლი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის მუშები აუწყებდნენ ლენინს საავტომობილო ძრავების გამოშვებას და იწვევდნენ მას მიეღო მონაწილეობა ქარხნის დღესასწაულში, რაც დანიშნული იყო 1921 წლის 7 აპრილისათვის. — **354.**

66 რკპ(ბ) ქ. მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის უჯრედთა მდივნებისა და პასუხისმგებელი წარმომადგენლების კრება, მოწვეული პარტიის მოსკოვის კომიტეტის მიერ, მიმდინარეობდა კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში. კრებას ესწრებოდნენ აგრეთვე მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ის წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ კრონშტადტის კონტრრევოლუციური ამბოხების ლიკვიდაციაში, და მოსკოვის გუბერნიის გლეხ ქალთა შორის მომუშავე სათემო ორგანიზატორების წარმომადგენლები. დღის წესრიგში იდგა სასურსათო გადასახადის საკითხი. ამ საკითხზე მომხსენებლად იყო ლენინი. — **355.**

67 ღარიბთა კომიტეტები (ღარიბკომები) დაარსებული იყო სრულიად რუსეთის ცაკის 1918 წლის 11 ივნისის დეკრეტით («სოფლის ღარიბთა ორგანიზაციისა და მათი პურით, პირველი საჭიროების საგნებით და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით მომარაგების შესახებ»). საბჭოების სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობის (1918 წლის ნოემბერი) გადაწყვეტილებით ღარიბთა კომიტეტები, რომლებმაც თავიანთი ამოცანები შეასრულეს, შეუერთდნენ სოფლის საბჭოებს.

«კომნეზამოჟები» (ღარიბ სოფლელთა კომიტეტები) აერთიანებდნენ უკრაინის მცირემიწიან და უმიწო გლეხებს; შეიქმნა ღარიბთა და საშუალო გლეხთა ინტერესების დაცვის მიზნით; არსებობდნენ 1920 წლიდან და ლიკვიდირებულ იქნენ 1933 წელს. — 368.

68 იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 27, გვ. 385 — 425. — 369.

69 საბჭოთა ოლქებისა და რესპუბლიკების აღმოსავლეთის ხალხების ქალთა განყოფილებების წარმომადგენელთა პირველი თათბირი მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 5 — 7 აპრილს. თათბირს ესწრებოდა 45 კომუნისტი-დელეგატი ქალი, აღმოსავლეთის: თურქესტანის, აზერბაიჯანის, ბაშკირეთის, ყირიმის, კავკასიის, თათრეთის, ციმბირის და თურქთა და მთიელთა მოსახლეობის შემცველი მთელი რიგი გუბერნიების ქალთა ორგანიზატორები.

თათბირის დელეგატებმა ლენინს მიმართეს წერილით და მიიწვიეს თათბირზე. მიწვევის პასუხად ლენინმა მათ გაუგზავნა ამ ტომში გამოქვეყნებული ტელეფონოგრამა. — 374.

70 იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 390 — 391. — 375.

71 ლენინს მხედველობაში აქვს გერმანიის პროლეტარიატის 1921 წლის მარტის რევოლუციური გამოსვლა (ცნობილია მარტის ამბების სახელწოდებით), რაც ჩახშობილ იქნა, უმთავრესად, სოციალ-დემოკრატი ბელადების გამცემლობის გამო, რომლებიც ბურჟუაზიასთან ერთად გამოვიდნენ მასობრივი მუშათა მოძრაობის ჩამხშობთა როლში. ლენინის მიერ მარტის ამბების შეფასება იხ. ამ ტომში, გვ. 596 — 609, 653 — 667.

ინგლისელ მაღაროელთა გაფიცვა, რასაც ლენინი იხსენიებს, მიმდინარეობდა 1921 წლის აპრილ-ივნისში. გაფიცვა პასუხი იყო მაღაროების მფლობელთა მოთხოვნისა, რომ მუშების ხელფასი შემცირებულიყო 20%-ით; გაფიცვაში მონაწილეობდა მილიონზე მეტი

კაცი; გაფიცვა სამთამადნო მუშათა კავშირის ხაზით საყოველთაო გაფიცვად გადაიქცა. მაღაროელთა გმირული ბრძოლა ჩახშობილ იქნა ბურჟუაზიის მიერ პროფკავშირების რეფორმისტული ბელადების დახმარებით. — **385.**

72 პეტროგრადის უპარტიო მუშათა საერთო-საქალაქო თათბირი მიმდინარეობდა 1921 წლის 10-დან 20 აპრილამდე. თათბირის დელეგატებმა ლენინს მიმართეს მისალმებით და მიიწვიეს მიეღო მონაწილეობა თათბირის მუშაობაში. ამ ტომში გამოქვეყნებული დოკუმენტი წარმოადგენს ამ მიწვევის პასუხს. პასუხი 14 აპრილს გაიგზავნა; წაკითხულ იქნა თათბირის უკანასკნელ სხდომაზე, 1921 წლის 20 აპრილს. — **401.**

73 ლენინს მხედველობაში აქვს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პროგრამის ეკონომიური ნაწილის მე-2 პუნქტი (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 289). — **406.**

74 მოყვანილ მონაცემებში ლენინი გვიჩვენებს იმპერიალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მოსახლეობის თანაფარდობას და რიცხობრივ შემადგენლობას. დედამიწის მთელი მოსახლეობიდან—1 750 000 000 კაციდან (1920 წლის სტატისტიკურ მონაცემთა მიხედვით) $^1/_7$, ანუ 250 000 000, შეადგენდა იმპერიალისტური ქვეყნების მოსახლეობას და $^4/_7$, ანუ 1 000 000 000, — კოლონიების მოსახლეობას. — **407.**

75 აღნიშნავს რა თარიღებს «5. V. 1918» და «10. XI. 1918», ლენინი გულისხმობს თავის ნაშრომებს ««მემარცხენე» ბავშვობისა და წვრილ-ბურჟუაზიულობის შესახებ» და «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი». პირველი მათგანი დამთავრებულ იქნა 1918 წლის 5 მაისს, მეორე — იმავე წლის 10 ნოემბერს (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 27, გვ. 385 — 425; ტომი 28, გვ. 271 — 401). — **411.**

76 იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 27, გვ. 385 — 425. — **413.**

77 «ნოვაია ჟიზნ» და «ვპერიოდ» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთები, რომლებიც გამოდიოდა 1917 — 1918 წლებში; დახურა საბჭოთა ხელისუფლებამ კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის. — **422.**

78 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 17. — **422.**

79 იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 25, გვ. გვ. 436, 437, 438. — **423.**

80 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად; ტ. II, 1950, გვ. 530. — **424.**

81 იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 27, გვ. 399 — 416. — **429.**

82 II$^1/_2$ ინტერნაციონალი — დაარსდა ვენაში 1921 წლის თებერვალს ცენტრისტული პარტიებისა და ჯგუფების კონფერენციაზე, რომლებიც დროებით გამოვიდნენ II ინტერნაციონალიდან რევოლუციურად განწყობილი მუშათა მასების ზეგავლენით. 1923 წელს II$^1/_2$ ინტერნაციონალი კვლავ შეუერთდა II ინტერნაციონალს. — **450.**

83 იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 27, გვ. 403. — **457.**

84 ლენინის სიტყვების გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერა მოაწყო «ცენტროპეჩატმა» (სრ. რუსეთის ცაკის ბეჭდვითი სიტყვის მომარაგებისა და გავრცელების ცენტრალურმა სააგენტომ). ამ ტომში გამოქვეყნებული სიტყვები ჩაწერილი იყო 1921 წლის 25 აპრილს. — **464.**

85 «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის. პროექტი» ლენინმა 1921 წლის 30 მაისს განსახილველად შეიტანა სრ. რუსეთის ცაკის III სესიაზე. «განაწესის» პროექტის განხილვისას ლენინმა სიტყვა წარმოთქვა. სრ. რუსეთის ცაკის სესიამ, მიიღო რა «განაწესი», გადასცა იგი სრ. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად. 1921 წლის 30 ივნისს «განაწესი» დამტკიცებულ იქნა. — **475.**

86 ლენინს მხედველობაში აქვს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1921 წლის 21 მარტის დადგენილება სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ, მიღებული რკპ(ბ) X ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად. — **476.**

87 რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენცია შედგა მოსკოვში 1921 წლის 26 — 28 მაისს. კონფერენცია რიგგარეშე იყო.

კონფერენციამ მთავარი ყურადღება მიაქცია ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების საკითხს. ლენინმა კონფერენციისათვის დაამზადა წერილობითი გეგმა მოხსენებისა და გეგმა საბოლოო სიტყვისა სასურსათო გადასახადის საკითხზე, გააკეთა თავისი შენიშვნები რკპ(ბ) ც. კ-ის მუშაობის გეგმის გამო. ლენინმა წარმოთქვა სიტყვა კონფერენციის გახსნისას; გამოვიდა მოხსენებით სასურსათო

გადასახადის შესახებ და საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო; დაამზადა პროექტი რეზოლუციისა ამ საკითხზე; გამოვიდა მოხსენებით პროფკავშირთა IV ყრილობის კომუნისტური ფრაქციის მუშაობის შესახებ; წარმოთქვა სიტყვა კონფერენციის დახურვისას. კონფერენციის მუშაობის სამი დღის განმავლობაში ლენინი თორმეტჯერ გამოვიდა.

პროექტი რეზოლუციისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, დამუშავებული ლენინის მიერ, მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ. — **509.**

88 იგულისხმება ბროშურა «სასურსათო გადასახადის შესახებ (ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა და მისი პირობები)». იხ. ეს ტომი, გვ. 413 — 463. — **512.**

89 ლენინს მხედველობაში აქვს პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა 1921 წლის 17-დან 25 მაისამდე, და სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის IV ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა 1921 წლის 18 — 24 მაისს.

სახალხო მეურნეობის საბჭოების სრულიად რუსეთის IV ყრილობისა და პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის IV ყრილობის ცალკეული საკითხები განხილული იყო ორივე ყრილობის დელეგატთა გაერთიანებულ სხდომებზე. — **530.**

90 სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესია მიმდინარეობდა 1921 წლის 30 — 31 მაისს. სესიამ განიხილა მოხსენება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მოღვაწეობის შესახებ და მოიწონა მისი მუშაობა. სესიაზე მოსმენილ და განხილულ იქნა მოხსენებები: თესვის კამპანიის შესახებ; სამეურნეო სახალხო კომისარიატების საქმიანობის გამაერთიანებელი ორგანოებისა და ადგილობრივი ეკონომიური ორგანოების შესახებ; გაწერის გადასახადით შეცვლის შესახებ; პეტროგრადის მრეწველობის შესახებ; ტრიბუნალების რეორგანიზაციის შესახებ; ტვერის საგუბერნიო აღმასკომისა და ციმბირის რევოლუციური კომიტეტის მოხსენებანი.

სიტყვა ადგილობრივი ეკონომიური ორგანოების შესახებ ლენინმა წარმოთქვა სრ. რუსეთის ცაკის სესიის მეორე (საღამოს) სხდომაზე. — **557.**

91 იგულისხმება ბროშურა «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებებისათვის. პროექტი». იხ. ეს ტომი, გვ. 475 — 507. — **557.**

92 სრულიად რუსეთის III სასურსათო თათბირი მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 16-დან 24 ივნისამდე. ლენინი არჩეულ იქნა თათბირის პრეზიდიუმის საპატიო წევრად. თათბირმა განიხილა ახალი სასურსათო პოლიტიკის საკითხი და სხვა საკითხები. ამ ტომში დაბეჭდილი სიტყვა ლენინმა წარმოთქვა თათბირის პირველ სხდომაზე. — **561.**

93 ლენინს მხედველობაში აქვს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენციის დადგენილება «ეკონომიური პოლიტიკის შესახებ» (იხ. «საკ. კპ(ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 396 — 398). — **565.**

94 კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 22 ივნისიდან 12 ივლისამდე. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ 48 ქვეყნის კომუნისტური, მემარცხენე-სოციალისტური და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები და ახალგაზრდობისა და ქალთა საერთაშორისო კავშირების დელეგატები. კონგრესზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე კომინტერნთან ახლო მდგომი ჯგუფების წარმომადგენლები.

რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) კონგრესზე წარმოდგენილი იყო 72 დელეგატით. დელეგაციას მეთაურობდა ლენინი.

ლენინი არჩეულ იქნა კონგრესის საპატიო თავმჯდომარედ. ის ხელმძღვანელობდა კონგრესის მთელ მუშაობას. ლენინმა დაამუშავა «თეზისები მოხსენებისა რკპ ტაქტიკის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე». ლენინი კონგრესზე გამოვიდა სიტყვით იტალიის საკითხის გამო; სიტყვით კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის დასაცავად; მოხსენებით რკპ(ბ) ტაქტიკის შესახებ. 11 ივლისს ლენინმა წარმოთქვა სიტყვა კონგრესის ზოგიერთი დელეგაციის წარმომადგენელთა თათბირზე.

კომინტერნის III კონგრესმა, მოისმინა რა ლენინის მოხსენება რკპ(ბ) ტაქტიკის შესახებ, ერთხმად მოიწონა ეს ტაქტიკა; მოიწონა რკპ(ბ) ეკონომიური პოლიტიკა, მიმართული პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისაკენ, მოუწოდა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს დამდგარიყო საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მხარეზე და წასულიყო მათი გზით. — **575.**

95 იგულისხმება ინგლისის ჯარების მიერ ინდოეთის უიარაღო მასის დახვრეტა ქალაქ ამრიტსარში 1919 წლის 13 აპრილს. ამ ხოცვა-ჟლეტის შედეგად მოკლული აღმოჩნდა 400 კაცი და დაჭრილი — 1 200 კაცი. ასეთივე დახვრეტა მოხდა ინდოეთის სხვა ქალაქებშიც. — **579.**

96 «პ ო ს ლ ე დ ნ ი ე ნ ო ვ ო ს ტ ი» — ყოველდღიური თეთრემიგრანტული გაზეთი. კადეტების კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული პარტიის ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1920 წლის აპრილიდან 1940 წლის ივლისამდე; გაზეთის რედაქტორი იყო კადეტების ლიდერი პ. ნ. მილიუკოვი. — **586.**

97 «კ ო მ მ უ ნ ი ს ტ ი ჩ ე ს კ ი ტ რ უ დ» — ყოველდღიური გაზეთი; რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ორგანო. იწყო გამოსვლა 1920 წლის 18 მარტიდან. 1922 წლის 7 თებერვლიდან გამოდიოდა სახელწოდებით «რაბოჩაია მოსკვა»; 1939 წლის 1 მარტიდან — სახელწოდებით «მოსკოვსკი ბოლშევიკ»; 1950 წლის 19 თებერვლიდან გამოდის სახელწოდებით «მოსკოვსკაია პრავდა». — **587.**

98 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 423—424. — **587.**

99 ლაპარაკია იტალიელი რეფორმისტების კონფერენციის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა 1920 წლის 10 — 11 ოქტომბერს რეჯიო-ემილიაში. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, მიმართული პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. — **589.**

100 «A v a n t i!» («წინ!») — ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში. — **589.**

101 ი ტ ა ლ ი ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ლ ი ვ ო რ ნ ო ს ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა 1921 წლის იანვარში. ყრილობაზე გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების საკითხის გამო.

დელეგატების იმ ნაწილმა, რომელიც ემხრობოდა კომინტერნს, იცავდა კომინტერნში პარტიების შესვლის პირობების უყოყმანოდ მიღებას, მოითხოვდა რეფორმისტებთან კავშირის გაწყვეტას და კომუნისტურ ინტერნაციონალთან შეერთებას, დატოვა ყრილობა და დააარსა იტალიის კომუნისტური პარტია. — **590.**

102 იგულისხმება ჩეხი მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ყრილობა, რომელიც შედგა პრაღაში 1921 წლის მაისში. ყრილობაზე ხმების უდიდესი უმრავლესობით (562 ხმით 7 ხმის წინააღმდეგ) მიიღეს გადაწყვეტილება III, კომუნისტურ ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. — **622.**

103 «V o r w ä r t s» («წინ») — გაზეთი; ამ სახელწოდებით იწყო გამოსვლა 1911 წლის მაისს რეიპენბერგში როგორც ავსტრიის სოციალ-დემო-

კრატების მემარცხენე მიმართულების ორგანომ. 1914 — 1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში გაზეთი **«Vorwärts»** აკრძალულ იქნა ომის წინააღმდეგ გამოსვლისათვის; გაზეთის გამოსვლა კვლავ განაახლა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ჯგუფმა 1918 წელს, ავსტრია-უნგრეთის დაშლისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ.

1921 წლიდან გაზეთი **«Vorwärts»** გახდა ორგანო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა (გერმანული განყოფილება); 1934 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში მის ნაცვლად იწყო გამოსვლა გაზეთმა **«Die Rote Fahne»**-მ («წითელმა დროშამ»). — **622.**

104 რევოლუციური პროფესიული და საწარმოო კავშირების I საერთაშორისო კონგრესი მიმდინარეობდა მოსკოვში 1921 წლის 3-დან 19 ივლისამდე. კონგრესს ესწრებოდა 380 დელეგატი ევროპისა და ამერიკის 42 სახელმწიფოდან, აგრეთვე მთელი რიგი კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნებიდან (კორეა, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და სხვა).

ლენინის მისალმება პასუხი იყო მისდამი კონგრესის დელეგატების მიმართვისა თხოვნით, რომ მონაწილეობა მიეღო კონგრესის მუშაობაში. ლენინის მისალმება გამოქვეყნდა მეჩვიდმეტე სხდომაზე, 1921 წლის 19 ივლისს. — **639.**

105 გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტია (V. K. P. D.) შეიქმნა 1920 წლის დეკემბერში გერმანიის კომუნისტური პარტიისა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი უმრავლესობის გამაერთიანებელ სხდომაზე.

გაერთიანება მოხდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია გაითიშა ჰალეს ყრილობაზე (1920 წლის ოქტომბერში), სადაც დამოუკიდებელთა უმრავლესობამ კავშირი გაწყვიტა ამ ცენტრისტულ (კაუცკიანურ) პარტიასთან და გადავიდა III, კომუნისტური ინტერნაციონალის მხარეზე.

შემდგომ ყრილობაზე (ქ. იენაში, 1921 წლის აგვისტო) პარტიამ კვლავ მიიღო თავისი წინანდელი სახელწოდება: გერმანიის კომუნისტური პარტია. — **653.**

106 გაზეთი «მოსკვა» — კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის ორგანო, გამოდიოდა მოსკოვში სამ ენაზე: გერმანულზე — **«Moskau»** (№№ 1 — 50), ფრანგულზე — **«Moscou»** (№№ 1 — 44) და ინგლისურზე — **«Moscow»** (№ № 1 — 41).

შესწორებანი, რასაც ლენინი იხსენიებს, მთლიანად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე გაზეთ **«Moskau»**-ს № 30-ში, 1921 წლის 1 ივლისს.—**664.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1920* წლის დეკემბერი —*1921* წლის აგვისტო)

1920

დეკემბერი, 30. ლენინი გამოდის საბჭოების VIII ყრილობის დელეგატების, პროფკავშირთა სრ. რუსეთის ცენტრალური საბჭოს და პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს წევრების — რკპ(ბ) წევრების გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვით პროფესიული კავშირების, მიმდინარე მომენტისა და ტროცკის შეცდომების შესახებ.

დეკემბერი, 31. ლენინს ერთხმად ამტკიცებენ სახალხო კომისართა საბჭოს (სახკომსაბჭოს) თავმჯდომარედ საბჭოების VIII ყრილობის მიერ არჩეული სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე.

1921

იანვარი, 22-მდე. ლენინი შვებულებაშია და ცხოვრობს გორკაში, საიდანაც ჩამოდის ხოლმე მოსკოვში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებზე.

იანვარი, 4. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

იანვარი, 6. ლენინი ესაუბრება მოსკოვის გუბერნიის ბოგოროდის თემის სოფელ მოდენოვოს გლეხთა წარმომადგენელს სასურსათო გაწერის შემცირების შესახებ.

იანვარი, 9. ლენინი გამოდის მოსკოვის გუბერნიის სოფელ გორკის გლეხთა კრებაზე მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

იანვარი, 11. ლენინი საგუბერნიო აღმასკომებისა, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებისა და საგუბერნიო მიწგანებისათვის გაგზავნილ დეპეშაში მითითებებს იძლევა ადგილებზე თესვის კომიტეტების შექმნისა და თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ.

იანვარი, 12. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

იანვარი, 14. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებენ პროფკავშირების როლისა და ამოცანების საკითხზე რკპ(ბ) X. ყრილობის დადგენილების პროექტის შედგენაში.

იანვარი, 19. ლენინი წერს სტატიას «პარტიის კრიზისი».

იანვარი, 20. ლენინი წერილით მიმართავს კავკავის რკინიგზის სადგურ პროლეტარსკაიას მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც გამოგზავნეს დელეგაცია საჩუქრით მოსკოვის მშრომელებისათვის (ხორბალი, ქერი და ფქვილი), რჩევა-დარიგებას აძლევს მათ სასოფლო-სამეურნეო კომუნაში მუშაობის დაყენებისა და ახლომახლო მცხოვრებ გლეხებთან სწორი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ.

იანვარი, 23. ლენინი გამოდის სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის II ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე მოხსენებით პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების შესახებ.

იანვარი, 24. ლენინი გამოდის სამთამადნო მუშების სრულიად რუსეთის II ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის სხდომაზე საბოლოო სიტყვით პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების შესახებ მოხსენების გამო.

ვ. ი. ლენინი იღებს ა. მ. გორკის, ესაუბრება მას აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ვ. ი. ლენინი ხელს აწერს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას აკადემიკოს ი. პ. პავლოვისა და მისი თანამშრომლების სამეცნიერო მუშაობის უზრუნველმყოფელი პირობების შესახებ.

იანვარი, 25. ლენინი ამთავრებს ბროშურას «ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკისა და ბუხარინის შეცდომებზე».

იანვარი, 26. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას; პლენუმზე ამტკიცებენ კომისიას ლენინის ხელმძღვანელობით განსახკომის რეორგანიზაციის პროექტის შესამუშავებლად.

იანვარი, 27. ვ. ი. ლენინი იღებს ა. მ. გორკის და პეტროგრადის სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა გაერთიანებული საბჭოს დელეგაციას საბჭოთა რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის პირობების შექმნის საკითხზე.

იანვარი, 29 — თებერვალი, 2. ლენინი ხელმძღვანელობს განსახკომის რეორგანიზაციის კომისიის მუშაობას; წერს განსახკომის დებულების პროექტს და რკპ(ბ) ც. კ-ის დირექტივებს განსახკომის მუშაკ-კომუნისტებისათვის.

იანვარი, 31. ლენინი დირექტივას აძლევს ბაქოს ხელმძღვანელ მუშაკებს კასპიის ზღვაზე თევზის მრეწველობის მოწყობის შესახებ.

ლენინს ირჩევენ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან შექმნილი პურის კომისიის თავმჯდომარედ.

თებერვალი, 2. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ საკითხებს: თეზისები პარტიის X ყრილობისათვის პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს შესახებ და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის თაობაზე; მოუსავლობისაგან დაზარალებული გლეხობისათვის დახმარების გაწევის შესახებ; სარეწაო კოოპერაციის შესახებ და სხვ.

ლენინი სწერს წერილს მარქს-ენგელსის ინსტიტუტს და ეკითხება, რაა გაკეთებული მარქსისა და ენგელსის წერილებისა და მათი ყველა გამოქვეყნებული ნაწარმოების შესაკრებად.

თებერვალი, 4. ლენინი გამოდის სიტყვით მელითონელთა მოსკოვის ფართო კონფერენციაზე.

ლენინი ხელმძღვანელობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ საკითხებს: არმიის დემობილიზაციის მსვლელობის შესახებ; ელექტროსახნავი იარაღებისა და ძრავების წარმოების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ და სხვ.

თებერვალი, 5. «პრავდაში» ქვეყნდება ლენინის მიერ დაწერილი დირექტივები რკპ(ბ) ც. კ-ისა განსახკომის მუშაკ-კომუნისტებისათვის კომისარიატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ ი. ბ. სტალინის თეზისებს «პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში» პარტიის X ყრილობისათვის; თესვის კამპანიის, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის და სხვა საკითხებს.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მეთაურობენ თეზისების საბოლოო რედაქტირებისათვის შექმნილ კომისიას.

თებერვალი, 6. ლენინი გამოდის სამკერვალო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის IV ყრილობაზე სიტყვით საერთაშორისო მდგომარეობისა და პროფესიული მოძრაობის ამოცანების შესახებ.

თებერვალი, 7. ლენინი წერს სტატიას «განსახკომის მუშაობის შესახებ».

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი კომისიის სხვა წევრებთან ერთად რედაქციას უწევენ თეზისებს ნაციონალური საკითხის შესახებ რკპ(ბ) X ყრილობისათვის.

თებერვალი, 8. ლენინი წერს «წინასწარ, შავად დაწერილ მონახაზს თეზისებისას გლეხთა შესახებ».

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციით და ბლოკადით მიყენებული ზარალის საკითხს.

თებერვალი, 12.	ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს და პოლიტბიუროს სხვა წევრებს უგზავნის ბარათს და მასალებს ნავთის კონცესიების შესახებ და ნავთის მრეწველობის მდგომარეობის თაობაზე.
	ლენინი იღებს დაღისტნის დელეგაციას და ესაუბრება მას დაღისტნის რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ.
თებერვალი, 14.	ლენინი იღებს ტამბოვის გუბერნიის გლეხთა დელეგაციას და ესაუბრება მას სოფლად არსებული მდგომარეობის შესახებ.
თებერვალი, 16.	ლენინი მონაწილეობას იღებს მოსკოვის კომიტეტის სხდომაში, რომელიც პარტიულ აქტივთან ერთად შედგა, და გამოდის მოხსენებით შინაპარტიულ საკითხებზე.
თებერვალი, 17.	ლენინი ადგენს პროექტს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისას სახელმწიფო საერთოსაგეგმო კომისიის შექმნის შესახებ და სახავს ამ კომისიის წევრთა წინასწარ სიას.
თებერვალი, 19.	ლენინი რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაზე ხელმძღვანელობს საკითხების განხილვას რკპ(ბ) ც. კ-ის მომავალი პლენუმისათვის.
თებერვალი, 21.	ლენინი წერს სტატიას «ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ».
თებერვალი, 24 — 25.	ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობას, სადაც განიხილავენ საკითხებს: მოსკოვში შექმნილი მდგომარეობის შესახებ; სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ; ნავთის კონცესიების შესახებ; სათბობის შესახებ; წყლის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ; არმიის დემობილიზაციის შესახებ და სხვ.
თებერვალი, 25.	ლენინი ეწვევა სრულიად რუსეთის სამხატვრო სახელოსნოთა საერთო საცხოვრებელს და ესაუბრება სტუდენტებს ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ.
თებერვალი, 26.	ლენინი გამოდის სიტყვით მუშა და გლეხ ქალთა მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე.

ლენინი იღებს თურქეთის დელეგაციას და ესაუბრება მას თურქეთთან ხელშეკრულების დადების საკითხზე.

თებერვალი, 27. ლენინის მისალმება საბჭოების სრულიად **უკრაინის** V ყრილობისადმი გამოქვეყნდა გაზეთ «კომმუნისტში» (ხარკოვი).

თებერვალი, 28. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ საკითხებს: სათბობის შესახებ, მოსკოვსა და პეტროგრადში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ლენინი გამოდის მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომაზე სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი ესაუბრება ვლადიმირის გუბერნიის გლეხებს სოფლად არსებულ მდგომარეობაზე და სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ.

მარტი, 1. ლენინი სწერს წერილს მიწსახკომს იმის შესახებ, რომ უპარტიო გლეხები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, მიზიდულ იქნენ სოფლის მეურნეობის მოსაწესრიგებლად.

მარტი, 2. ვ. ი. ლენინი ი. ბ. სტალინს უგზავნის გასაცნობად ქართველი კომუნისტებისადმი მიმართულ წერილს.

მარტი, 3. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი პირდაპირი მავთულით გამოიძახებენ საქართველოს რევკომის წევრებს. ი. ბ. სტალინი გადასცემს მათ ვ. ი. ლენინის მისალმებას და დირექტივებს საქართველოს კომუნისტებისადმი.

მარტი, 4. ლენინი წერს სტატიას «მუშა ქალთა საერთაშორისო დღე».

მარტი, 7. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმის მუშაობას, სადაც განიხილავენ პროექტს რკპ(ბ) ც. კ-ის დადგენილებისას სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ.

ლენინს რკპ(ბ) ც. კ-ის პლენუმი ნიშნავს იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც დავალებული აქვს დაამუშაოს პროექტი დადგენილებისა პარტიის X ყრილობისათვის სასურსათო გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ.

მარტი, 8 — 16. ლენინი ხელმძღვანელობს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობის მუშაობას.

მარტი, 8. ლენინი წარმოთქვამს შესავალ სიტყვას პარტიის X ყრილობის გახსნისას.

ლენინს ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

ლენინი გამოდის ყრილობის სხდომაზე საანგარიშო მოხსენებით რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ.

მარტი, 9. ლენინი ყრილობის სხდომაზე გამოდის საბოლოო სიტყვით რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ მოხსენების გამო.

მარტი, 12 და 13. ლენინი მონაწილეობს ყრილობის დახურულ სხდომებში, რომლებიც მიძღვნილია სამხედრო საკითხის განხილვისადმი.

მარტი, 13. ვ. ი. ლენინი სწერს ბარათს ი. ბ. სტალინს კრონშტადტის ამბოხების სალიკვიდაციოდ ყრილობის დელეგატების გაგზავნის შესახებ.

მარტი, 13 ან 14. ლენინი წერს პირვანდელ პროექტს პარტიის X ყრილობის რეზოლუციისას მუშებისა და გაჭირვებული გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

მარტი, 14. ლენინი ყრილობის სხდომაზე გამოდის სიტყვით პროფესიული კავშირების შესახებ.

ლენინს ყრილობის დახურულ სხდომაზე ირჩევენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

მარტი, 14 ან 15. ლენინი ადგენს პირვანდელ პროექტებს ყრილობის რეზოლუციებისას პარტიის ერთიანობის შესახებ, სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში.

მარტი, არა-უგვიანეს 15-ისა. ლენინი ადგენს პროექტს ყრილობის რეზოლუციისას კოოპერაციის შესახებ.

მარტი, 15. ლენინი ყრილობის სხდომაზე გამოდის მოხსენებით და საბოლოო სიტყვით გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის საკითხზე.

მარტი, 16. ლენინი ყრილობის სხდომაზე გამოდის მოხსენებით და საბოლოო სიტყვით პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის საკითხის შესახებ და შეაქვს ამ საკითხების გამო რეზოლუციების პროექტები.

ლენინი გამოდის სიტყვით და შეაქვს წინადადება სათბობის საკითხზე.

ლენინი წარმოთქვამს საბოლოო სიტყვას, რომელშიც აჯამებს პარტიის X ყრილობის მუშაობის შედეგებს.

მარტი, 17. გამოქვეყნდა ლენინის დირექტივა XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი საქართველოს რევკომთან კონტაქტის დამყარების შესახებ.

მარტი, 21-ადე. ლენინი მითითებას აძლევს პეტროგრადის საბჭოს პეტროგრადში საალყო წესების მოხსნისა და მისი სამხედრო წესებით შეცვლის შესახებ.

მარტი, 22. ლენინი ესაუბრება უფის მაზრის გლეხებს და დავალებას იძლევა მიეცეს თვითეულ მათგანს მოწმობა, რომ ისინი მის მიერ გამოწვეული იყვნენ მოსკოვში «საუბრისა და რჩევისათვის მნიშვნელოვან საქმეზე, რომელიც გლეხურ მეურნეობას ეხება».

მარტი, 24. ლენინი დეპეშაში ფრონტების ყველა სარდლისა და ოლქების ჯარების სარდლებისადმი იძლევა მითითებას — მიიღონ სასწრაფო ზომები თესვის კამპანიის ჩატარებაში სამიწათმოქმედო ორგანოებისათვის დახმარების გასაწევად.

მარტი, 27. ლენინი გამოდის ტრანსპორტის მუშების სრულიად რუსეთის ყრილობაზე სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

მარტის დამ-ლევი — აპრილის დამდეგი. ლენინი მუშაობს გეგმაზე ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ».

აპრილი, 7. ლენინი მისალმების ტელეფონოგრამას უგზავნის 1-ლი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის ქარხ-კომს და ყველა მუშას ძრავების გამოშვების გამო.

აპრილი, 9. ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში იუწყება სომხეთის დასახმარებლად მიღებული ზომების შესახებ, იძლევა მითითებებს ამიერ-კავკასიის სამეურნეო ცხოვრების ასამაღლებლად მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

ლენინი ესაუბრება ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა წარმომადგენლებს გუბერნიაში არსებული საფეიქრო ფაბრიკების მდგომარეობის შესახებ.

ლენინი გამოდის მოხსენებით სასურსათო გადასახადის შესახებ ქ. მოსკოვის და მოსკოვის გუბერნიის რკპ(ბ) უჯრედების მდივნებისა და პასუხისმგებელი წარმომადგენლების კრებაზე.

აპრილი, 10. ქვეყნდება ლენინის მისალმება საბჭოთა ოლქებისა და რესპუბლიკების აღმოსავლეთის ხალხების ქალთა განყოფილებების წარმომადგენელთა თათბირისადმი.

აპრილი, 11. ლენინი გამოდის მოხსენებით კონცესიების შესახებ სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე.

აპრილი, 14. ლენინი წერილში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნისა და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი იძლევა მითითებებს კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და განვითარების შესახებ.

ლენინი წერს მისალმებას პეტროგრადის უპარტიო მუშების საერთო-საქალაქო თათბირისადმი.

აპრილი, 18. ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მითითებებს აძლევენ გ. კ. ორჯონიკიძეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის შენარჩუნების შესახებ, ქართველი მენშევიკების კონტრრევოლუციური საქმიანობის წინააღმდეგ

უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლის გაჩაღების აუცილებლობის შესახებ.

აპრილი, 21. ლენინმა დაამთავრა წერა ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ (ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა და მისი პირობები)».

აპრილი, 25. ლენინი წერს სამ სიტყვას გრამოფონის ფირფიტებზე ჩასაწერად: სასურსათო გადასახადის შესახებ, კონცესიებზე და კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის შესახებ.

აპრილი, 26. ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ საკითხებს: უზბეკეთისა და თურქმენების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (შეტანილია ი. ბ. სტალინის მიერ); კარელიის შრომითი კომუნის შესახებ და სხვ.

აპრილის დამლევი — მაისის დამდეგი. ლენინი წერს პროექტს ცირკულარული წერილისას პარტიის საგუბერნიო კომიტეტებისადმი უპარტიო მუშებთან დამოკიდებულების შესახებ.

მაისი, 10. ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ კოლექტიური მომარაგების საკითხს.

ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ საკითხებს: ადგილობრივი მუშათა ინსპექციის დებულების შესახებ, ეროვნებათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მცირე სახკომსაბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ.

ლენინი წერს შენიშვნებს კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესისათვის კომისიის მიერ დამუშავებული თეზისების გამო.

მაისი, 14. ლენინი წერილში «ამხ. კრჟიჟანოვსკის. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს» სახავს ძირითად საკითხებს უახლოესი წლებისათვის საერთო-სახელმწიფო სამეურნეო გეგმის შესადგენად.

მაისი, 18.	ლენინი რკპ(ბ) ც. კ-ის დავალებით გამოდის პროფკავშირთა სრულიად რუსეთის IV ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე იმ რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ანარქო-სინდიკალისტურმა ჯგუფმა შეიტანა პროფკავშირთა სრ. რუსეთის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ყრილობაზე წარმოდგენილი ანგარიშის გამო.
მაისი, 21.	ლენინმა დაამთავრა შედგენა პროექტისა: «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის».
მაისი, 22.	ლენინი წერს პროექტს დადგენილებისას რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროსათვის პროფესიულ კავშირთა IV ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის გადაწყვეტილებათა საკითხზე.
მაისი, 26 — 28.	ლენინი ხელმძღვანელობს რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენციის მუშაობას.
მაისი, 26.	ლენინი წარმოთქვამს შესავალ სიტყვას კონფერენციის გახსნისას.
	ლენინს ირჩევენ კონფერენციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.
	ლენინი გამოდის კონფერენციის სხდომაზე მოხსენებით სასურსათო გადასახადის შესახებ.
მაისი, 27.	ლენინი გამოდის კონფერენციის სხდომაზე საბოლოო სიტყვით სასურსათო გადასახადის შესახებ მოხსენების გამო.
	ლენინი გამოდის კონფერენციის სხდომაზე მოხსენებით პროფესიულ კავშირთა IV ყრილობის რკპ(ბ) ფრაქციის შესახებ.
მაისი, არაუგვიანეს 28-ისა.	ლენინი ადგენს პროექტს რეზოლუციისას ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე.
მაისი, 28.	ლენინი გამოდის კონფერენციის სხდომაზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხების გამო რეზოლუციის პროექტის დასაცავად.

ლენინი წარმოთქვამს საბოლოო სიტყვას, რომელშიც აჯამებს კონფერენციის მუშაობის შედეგებს.

მაისი, 30. ლენინი გამოდის სიტყვით ადგილობრივი ეკონომიური ორგანოების ამოცანების შესახებ სრულიად რუსეთის მე-8 მოწვევის ცაკის III სესიის სხდომაზე.

მაისი. ლენინი რამდენიმე წერილში განათლების სახალხო კომისრის მოადგილისადმი წინადადებას იძლევა შეამოწმონ რუსული ენის ლექსიკონის შესადგენად წარმოებული მუშაობა (პუშკინიდან გორკამდე).

ივნისი, 4. ვ. ი. ლენინი, მ. ი. კალინინი და ვ. მ. მოლოტოვი დეპეშაში საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარეებისადმი იძლევიან მითითებებს იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ადგილებზე ისეთ დადგენილებათა გამოცემა, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ცენტრის განკარგულებებს.

ივნისი, 5. ლენინი მითითებას აძლევს რსფს რესპუბლიკის ელექტრიფიკაციის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს დაამზადოს მასალები კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის წევრების გასაცნობად ელექტრიფიკაციის გეგმასთან.

ივნისი, 18. ლენინი წერს თეზისებს მოხსენებისა რკპ(ბ) ტაქტიკის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესისათვის.

ივნისი, 16. ლენინი გამოდის სიტყვით ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის III სასურსათო თათბირზე.

ივნისი, 17. ლენინი გამოდის სიტყვით კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე საფრანგეთის კომპარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ივნისი, 22 — ივლისი, 12. ლენინი ხელმძღვანელობს კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის მუშაობას.

ივნისი, 22. ლენინს ირჩევენ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის საპატიო თავმჯდომარედ.

ივნისი, 28. ლენინი კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის სხდომაზე გამოდის სიტყვით იტალიის საკითხის გამო.

ივნისი — ივლისი. ლენინი მითითებებს იძლევა კაშირის ელექტროსადგურის მშენებლობის მუშახელით და ყოველი საჭირო მასალით უზრუნველყოფის შესახებ.

ივლისი, 1. ლენინი კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის სხდომაზე გამოდის სიტყვით კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის დასაცავად.

ივლისი, 4. ვ. ი. ლენინი დეპეშით ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს, რატომ უშლიდნენ ხელს ი. ბ. სტალინს დასვენებაში, და თხოვს გამოუგზავნოს ექიმების დასკვნა ი. ბ. სტალინის ჯანმრთელობის შესახებ.

ლენინი წერილში «ფიქრები სახელმწიფო მეურნეობის «გეგმის» შესახებ» მითითებებს აძლევს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას სახელმწიფო გეგმის შედგენასთან დაკავშირებით.

ივლისი, 5. ლენინი გამოდის კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის სხდომაზე მოხსენებით რკპ(ბ) ტაქტიკის შესახებ.

ივლისი, 6. ლენინი უკრაინის სასურსათო სახალხო კომისარიატის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში მითითებებს იძლევა დონბასის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადამწყვეტი ზომების მიღების შესახებ;

ივლისი, 11. ლენინი კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის დელეგატთა თათბირზე გამოდის სიტყვით რევოლუციური ტაქტიკის საკითხის შესახებ.

ივლისი, 13. ლენინი იღებს ერთი თვის შვებულებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და მყდის გორკაში.

ივლისი, 16. ლენინი წერს მისალმებას «ცენტროსოიუზის» რწმუნებულთა ყრილობისადმი.

ივლისი, 17. ვ. ი. ლენინი ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს, თუ როგორია ი. ბ. სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობა, და თხოვს აცნობოს მას მისი მკურნავი ექიმების დასკვნა.

ივლისი, 18. ლენინი წერს მისალმებას რევოლუციური პროფესიული და საწარმოო კავშირების I საერთაშორისო კონგრესისადმი.

ივლისი, 19. ვ. ი. ლენინი მითითებებს აძლევს მ. ი. კალინინს ვოლგის მხარის დამშეულთა დახმარების ღონისძიებათა შესახებ.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც განიხილავენ საკითხებს: მოუსავლობისაგან დაზარალებული გუბერნიების დახმარების შესახებ და სხვ.

ივლისი, 20. ლენინი წერს მისალმების წერილს სოფელ გორკის გლეხებს მათ სოფელში ელექტროგანათების გახსნის გამო.

ივლისი, 25. ვ. ი. ლენინი ეკითხება გ. კ. ორჯონიკიძეს, რამდენ დღეს მოაცდინეს ი. ბ. სტალინი დასვენებას, და თხოვს აცნობოს მას ი. ბ. სტალინის მკურნავი ექიმის გვარი და მისამართი.

აგვისტო, 2. ვ. ი. ლენინი სწერს წერილს ვ. ვ. ადორატსკის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის წერილების კრებულის წინასიტყვაობის, აგრეთვე მარქსიზმის ძირითადი საკითხების შესახებ წიგნის გამო.

ლენინი წერს მიმართვას საერთაშორისო პროლეტარიატისადმი საბჭოთა რუსეთის რაიონების მოსახლეობისათვის დახმარების შესახებ, რომელიც მოუსავლობისაგან დაზარალდა.

ლენინი წერს მიმართვას უკრაინის გლეხებისადმი ვოლგის მხარის მუშებისა და გლეხებისათვის დახმარების შესახებ, რომლებიც მოუსავლობისაგან დაზარალდნენ.

აგვისტო, 5. წერილში გ. მიასნიკოვისადმი ლენინი ამხელს მიასნიკოვის ანტიპარტიულ და მუშათა კლასისადმი მტრულ შეხედულებებს.

აგვისტო, 13. ლენინი სწერს წერილს ინგლისის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომთან ინგლისის კომუნისტური პარტიის ამოცანების შესახებ.

აგვისტო, 14. ლენინი წერს წერილს გერმანელ კომუნისტებს გერმანიის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის მომავალ ყრილობასთან დაკავშირებით, სადაც რჩევას აძლევს იხელმძღვანელონ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის რეზოლუციებით.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1920 წ.

პროფესიულ კავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკის შეცდომებზე. სიტყვა საბჭოების VIII ყრილობის დელეგატების, პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს და ქ. მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს წევრების — რკპ(ბ) წევრების შეერთებულ თათბირზე 1920 წ. 30 დეკემბერი . . . . . 1 — 31

1921 წ.

პარტიის კრიზისი . . . . . 32 — 46

მთამადნის მუშათა სრულიად რუსეთის II ყრილობა 47 — 66

1. მოხსენება პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების შესახებ ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე, 23 იანვარი . . 47

2. საბოლოო სიტყვა პროფესიული კავშირების როლისა და ამოცანების შესახებ მოხსენების გამო ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე, 24 იანვარი 60

აკადემიკოს ი. პ. პავლოვისა და მისი თანამშრომლების მეცნიერული მუშაობის უზრუნველმყოფელი პირობების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება . . . . . 67 — 68

ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკისა და ბუხარინის შეცდომებზე . 69 — 121

ფრაქციული გამოსვლების პარტიული საშიშროება . . 70
ფორმალური დემოკრატიზმი და რევოლუციური მიზანშეწონილობა 74
პროფმოძრაობის გათიშვის პოლიტიკური საშიშროება . 75
პრინციპულ უთანხმოებათა შესახებ 83
პოლიტიკა და ეკონომიკა. დიალექტიკა და ეკლექტიციზმი 87
დიალექტიკა და ეკლექტიციზმი. «სკოლა» და «აპარატი» . 97
დასკვნა 111

სიტყვა მოსკოვის მელითონეთა ფართო კონფერენციაზე 1921 წ. 4 თებერვალი . . . . . 122 — 126

სიტყვა სამკერვალო მრეწველობის მუშათა სრულიად რუსეთის IV ყრილობაზე, 1921 წ. 6 თებერვალი 127 — 137

ცენტრალური კომიტეტის დირექტივები განსახკომის მუშაკ-კომუნისტებს . . . . . 138 — 140

განსახკომის მუშაობის შესახებ . . . . . 141 — 154

წინასწარი, შავად დაწერილი მონასახი თეზისებისა გლეხთა შესახებ 155

ბარათი ი. ბ. სტალინს და პოლიტბიუროს სხვა წევრებს . . . . . 156 — 158

ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ . . . . 159 — 170

მისალმება საბჭოების სრულიად უკრაინის V ყრილობას 171

სიტყვა მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომაზე, 1921 წ. 28 თებერვალი . 172 — 188

წერილი ბ. კ. ორჯონიკიძეს 189

მუშა ქალთა საერთაშორისო დღე . . . . 191 — 193

რკპ(ბ) X ყრილობა. 1921 წ. 8 — 16 მარტი . . 195 — 335

1. სიტყვა ყრილობის გახსნისას, 8 მარტი . . 197

2. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში, 8 მარტი . . . 201

3. საბოლოო სიტყვა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო, 9 მარტი 231

4. პირვანდელი პროექტი რეზოლუციისა მუშათა და გაჭირვებულ გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 252

5. სიტყვა პროფესიული კავშირების შესახებ, 14 მარტი 254

6. მოხსენება გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ, 15 მარტი . . . 259

7. საბოლოო სიტყვა გაწერის ნატურალური გადასახადით შეცვლის შესახებ მოხსენების გამო, 15 მარტი 279

8. პირვანდელი პროექტი რკპ X ყრილობის რეზოლუციისა პარტიის ერთიანობის შესახებ . 292

9. პირვანდელი პროექტი რკპ X ყრილობის რეზოლუციისა სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში . . 299

10. მოხსენება პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის შესახებ, 16 მარტი 305

11. საბოლოო სიტყვა პარტიის ერთიანობისა და ანარქო-სინდიკალისტური გადახრის შესახებ მოხსენების გამო, 16 მარტი 316

12. შენიშვნები რიაზანოვის მიერ პარტიის ერთიანობის შესახებ რეზოლუციისათვის წარმოდგენილი შესწორების გამო, 16 მარტი . 322

13. სიტყვა სათბობის საკითხზე, 16 მარტი . . 323

14. წინადადება სათბობის საკითხზე, 16 მარტი . 325

15. სიტყვა ყრილობის დახურვისას, 16 მარტი . 326

სიტყვა ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის ყრილობაზე, 1921 წ. 27 მარტი . . . . . 336 — 353

1-ლი სახელმწიფო საავტომობილო ქარხნის ქარხ-კომს და ყველა მუშას 354

მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ რკპ(ბ) ქ. მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის უჯრედების მდივნებისა და პასუხისმგებელ წარმომადგენელთა კრებაზე, 1921 წ. 9 აპრილი . . . . . 355 — 373

მისალმება საბჭოთა ოლქების და რესპუბლიკების აღმოსავლეთის ხალხების ქალთა განყოფილებების წარმომადგენელთა თათბირისადმი 374

მოხსენება კონცესიების შესახებ პროფკავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე, 1921 წ. 11 აპრილი . . 375 — 396

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს . . . . . 397 — 400

პეტროგრადის უპარტიო მუშათა საერთო-საქალაქო კრებას . . . . . 401 — 402

გეგმა ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ» . . . . . 403 — 412

I. 403
II. 404
III. 410
IV. 411

სასურსათო გადასახადის შესახებ (ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა და მისი პირობები) . . 413 — 463

შესავლის მაგიერ 413
რუსეთის თანამედროვე ეკონომიკის შესახებ (1918 წლის ბროშურიდან) 414
სასურსათო გადასახადის, ვაჭრობის თავისუფლებისა და კონცესიების შესახებ 429
პოლიტიკური შედეგები და დასკვნები 453
დასკვნა 461

გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი სიტყვები . 464 — 469

1. სასურსათო გადასახადის შესახებ . . . 464

2. კონცესიებზე და კაპიტალიზმის განვითარების შესახებ 466

3. სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის შესახებ 468

ამხ. ქრუიჟანოვსკის. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს . . . . . 470 — 474

შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის. პროექტი . . . . . 475 — 507

კითხვების პირველი ჯგუფი 487

1. საქონელცვლა გლეხობასთან 487

2. სახელმწიფოს დამოკიდებულება კაპიტალისტებისადმი 488

3. დამოუკიდებელი თაოსნობის წახალისება საქონელცვლისა და საერთოდ სამეურნეო მშენებლობის საქმეში 489

4. სხვადასხვა უწყების სამეურნეო მუშაობის შეთანხმება ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების — თემების, მაზრების, გუბერნიების შიგნით 490

5. მუშათა და 6. გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება . 491

7. სამეურნეო მშენებლობის სახელმწიფო მუშაკთა წრის გაფართოება 492

8. ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის ხერხები და შედეგები 494

კითხვების მეორე ჯგუფი 495

9. სოფლის მეურნეობის აღმავლობა: ა) გლეხური მეურნეობა; ბ) საბჭოთა მეურნეობანი; გ) კომუნები; დ) არტელები; ე) ამხანაგობანი; ვ) საზოგადოებრივი მეურნეობის სხვა სახეობანი 495

10. მრეწველობის აღმავლობა: ა) მარტოოდენ ცენტრის გამგებლობაში მყოფი მსხვილი მრეწველობისა; ბ) ნაწილობრივ ან მთლიანად ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი მსხვილი მრეწველობისა; გ) წვრილი, კუსტარული, საშინაო და ა. შ. მრეწველობისა . 496

11. სათბობი: ა) შეშა; ბ) ქვანახშირი; გ) ნავთი; დ) ფიქალი; ე) სხვა სახის სათბობი (ნაყარი სათბობი მასალა და ა. შ.) 497

12. სურსათი 497

13. სამშენებლო მრეწველობა 498

14. სანიმუშო და უიმედო საწარმოები და დაწესებულებანი 498

15. გაუმჯობესებანი სამეურნეო მუშაობაში . . . 498

16. ნატურპრემირება 499

17. პროფკავშირები, მათი მონაწილეობა წარმოებაში . 500

18. მტაცებლობა 500

19. მეტომრეობა 501

20. ჯარის ნაწილების გამოყენება შრომითი მიზნებისათვის 502

21. შრომითი ბეგარა და შრომითი მობილიზაცია . . 502

კითხვების მესამე ჯგუფი 503

22. საოლქო და ადგილობრივი ეკონომიური საბჭოები . 503

23. სახელმწიფო საგეგმო კომისია (შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საერთო-საგეგმო კომისია) და მისი დამოკიდებულება ადგილობრივ ეკონომიურ ორგანოებთან 503

24. ელექტრიფიკაცია 503

25. საქონელცვლა საზღვარგარეთთან 504

26. რკინიგზის, წყლისა და ადგილობრივი ტრანსპორტი . 505

27. ეკონომიური მუშაობის მომსახურება პრესის მიერ . 505

კითხვების მეოთხე ჯგუფი 506

რკპ(ბ) სრულიად რუსეთის X კონფერენცია 1921 წ. 26—28 მაისი . . . . . 509 — 556

1. სიტყვა კონფერენციის გახსნისას, 26 მაისი . 511

2. მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ, 26 მაისი 512

3. საბოლოო სიტყვა სასურსათო გადასახადის შესახებ მოხსენების გამო, 27 მაისი . . . 532

4. პროექტი რეზოლუციისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებზე 551

5. სიტყვა კონფერენციის დახურვისას, 28 მაისი . 555

სიტყვა ადგილობრივი ეკონომიური ორგანოების შესახებ სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე, 1921 წ. 30 მაისი . . . . . 557 — 560

სიტყვა სრულიად რუსეთის III სასურსათო თათბირზე, 1921 წ. 16 ივნისი . . . . . 561 — 573

კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი, 1921 წ. 22 ივნისი—12 ივლისი . . 575 — 633

1. თეზისები მოხსენებისა რკპ ტაქტიკის შესახებ კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე (პირვანდელი პროექტი) . . . 577

1. რსფს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა . 577

2. კლასობრივ ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო მასშტაბით 578

3. კლასობრივ ძალთა თანაფარდობა რუსეთში . . . 579

4. პროლეტარიატი და გლეხობა რუსეთში . . . 580

5. პროლეტარიატისა და გლეხობის სამხედრო კავშირი რსფს რესპუბლიკაში 581

6. პროლეტარიატისა და გლეხობის სწორ სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულებაზე გადასვლა . . . 582

7. საბჭოთა ხელისუფლების მიერ კაპიტალიზმისა და კონცესიების დაშვების მნიშვნელობა და პირობები . 582

8. ჩვენი სასურსათო პოლიტიკის წარმატებანი . . 583

9. სოციალიზმის მატერიალური საფუძველი და რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმა 584

10. «წმინდა დემოკრატიის», 2 და $2^1/_2$ ინტერნაციონალის, ესერების და მენშევიკების როლი, როგორც კაპიტალის მოკავშირეებისა 585

2. სიტყვა იტალიის საკითხის შესახებ, 28 ივნისი 588

3. სიტყვა კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის დასაცავად, 1 ივლისი 596

4. მოხსენება რკპ ტაქტიკის შესახებ, 5 ივლისი . 609

ფიქრები სახელმწიფო მეურნეობის «გეგმის» შესახებ 634 — 636

მისალმება «ცენტროსოიუზის» რწმუნებულთა ყრილობას . . . . . 637 — 638

მისალმება რევოლუციური პროფესიული და საწარმოო კავშირების 1 საერთაშორისო კონგრესს . . 639

მიმართვა საერთაშორისო პროლეტარიატისადმი . 640 — 641

მიმართვა უკრაინის გლეხებისადმი 642

წერილი გ. მიასნიკოვს . . . . . 643 — 649

ამხანაგ ტომას გელს . . . . . 650 — 652

წერილი გერმანელ კომუნისტებს . . . . . 653 — 667

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი . . . . . 669 — 690

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა დ ა მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს თ ა რ ი ღ ე ბ ი . . . . . 691 — 707

ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი

ვ. ი. ლენინი. — 1921 წ. მაისი . . . . . XII — 1

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის წერილისა გ. კ. ორჯონიკიძისადმი. — 1921 წ. 2 მარტი . . . . . 188 — 189

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «პირვანდელი პროექტი რკპ X ყრილობის რეზოლუციისა პარტიის ერთიანობის შესახებ». — 1921 წ. მარტი 293

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის. პროექტი». — 1921 წ. მაისი 477

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-1952.
უე 16058. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 45,5.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 952.